



კორნელი კეკელიძე



ძველი
ქართული
ლიტერატურის
ისტორია



ორ ტომად

კონული კეკელიძე



ძველი
ქართული
ლიტერატურის
ისტორია



ტომი მეორე

8 Г1
83.3 Гр1
899.962.1.09
კ 392

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი (XII—XVIII სს.) არის 1958 წ. გამოსული „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის ფოტოტიპური გამოცემა (შეტანილია მხოლოდ მცირეოდენი აუცილებელი შესწორებები).

რედაქტორი ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული საერო მწერლობის ჩასახვის პირობები და მისი აღმოცენების მიზეზები. საერო მწერლობის დასაწყისი. ძველ ქართულ საეკლესიო და საერო მწერლობათა ურთიერთობა. ძველი ქართული საერო მწერლობის შესწავლის საქმე. ძველი ქართული საერო მწერლობის ისტორიის პერიოდები.

I

მეათე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან იწყება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე პერიოდი. ამ პერიოდს, იმ მიზეზთა გამო, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ჩვეულებრივ ვუწოდებთ კლასიკურ პერიოდს. მის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ პერიოდში, შეიძლება საეკლესიო მწერლობის პარალელურად, შეიქმნა და გაიფურჩქნა მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო საერო მხატვრული ლიტერატურა.

ქართველი ერი ეკუთვნის ჯგუფს იმ ერებისა, რომელთაც თავის ენაზე შექმნეს მდიდარი ქრისტიანული კულტურა და დამუშავეს შინაარსიანი საეკლესიო მწერლობა. ამავ დროს ის ერთგვარ გამოჩაჩისადაც შეადგენს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიან ერთა შორის: მაშინ, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანი ერები შებოქილი იყვნენ საეკლესიო სქოლასტიკური ბორკილებით, ქართველებმა, საეკლესიო მწერლობასთან ერთად, განავითარეს მდიდარი საერო მხატვრული მწერლობა, რომელსაც მხედველობაში ჰყავს ჩვეულებრივი ადამიანი ამქვეყნიური ცხოვრების პირობებში, მისი არა მარტო სულიერი, არამედ მატერიალური, ხორციელი მოთხოვნილებებითა და მისწრაფებებით. ერთი სიტყვით, ჰუმანიზმი, რომელიც დასავლეთ ევროპის ისტორიაში შედარებით გვიანი მოვლენაა, ჩვენ წარსულში, ყოველ შემთხვევაში, XI—XII საუკუნეებიდან ფაქტობრივად იწყება.

რამ შეუწყო ხელი ამ გარემოებას, რამ გამოიწვია ჩვენში საერო მხატვრული ლიტერატურის, შედარებით, ასე ადრე აღმოცენება? როდესაც ასეთი საკითხი ისმის, უნდა წინა პერიოდის მთელი კულტურული ლიტერატურული მემკვიდრეობა მოვიგონოთ. მეათე საუკუნის გასული სათვის ჩვენში ყველა პირობა იყო საერო მწერლობის შექმნისათვის.

დავიწყოთ, პირველ ყოვლისა, ლიტერატურული ენიდან და ლიტერატურული ფორმიდან. საეკლესიო მწერლობის მძლავრმა განვითარებამ X—XI

საუკუნეებისათვის შექმნა ყოველმხრივ დამუშავებული და ჩამოყალიბებული ქართული ლიტერატურული ენა, რომელსაც შეეძლო გადმოეცა ადამიანის სულის, გრძნობისა და გონების მოძრაობის ყოველგვარი ნიუანსი. მწიგნობრობა მეთერთმეტე საუკუნიდან სასულიერო პირთაგან და ეკლესია-მონასტრებიდან გადავიდა შედარებით ფართო მასებში,—საერო-სამხედრო წრეებში, და ამით სალიტერატურო ენა დაუახლოვდა სასაუბრო, ხალხურ ენას. საკმაო იყო ამ ენის შეზავება ხალხური ენის მონაცემებით, მისი ლექსიკითა და ფორმებით, რომ ჩვენ წინ გადაშლილიყო საერო პოეზიის ნამდვილი მარგალიტები.

მეორე მხრით, ამ შრომის პირველ ტომში ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნემდე დამუშავდა ჩვენში საკმაოდ მნიშვნელოვანი საეკლესიო პოეზია არა მარტო იამბიკოს¹ სახით, რომელსაც ახასიათებდა მარცვალთა რაოდენობა, ცეზურა და, ზოგიერთ შემთხვევაში, მარტივი რითმის ჩანასახი, არამედ თექვსმეტმარცვლოვანი «შიარისა» (ღვთისმშობლის ჰიმნი ფილიპესი) და სხვა მოკლე სახომებს გამოყენებით². ამ პოეზიაში, რომელზედაც, ექვს არაა, გავლენას ახდენდა ხალხური პოეზია, ხალხურ მომღერალთა შემოქმედება, გარკვეულ პირობებში თამაშად გაუწოდა ხელი ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ხალხურ რაფსოდისს, და მოგვცა ის წარმტაცი, ნარნარი და მომხიბლავი ლექსი, რომლითაც წარმოდგენილია საერო მხატვრული პოეზიის ლიტერატურული ნიმუშები. ფილიპე ბეთლემელის (X ს.) ლექსის გაცნობის შემდეგ ნ. მარი ამბობდა: «Года три тому назад мною доказывалось, что заслуга выработки грузинского литературного языка неоспоримо принадлежит духовным писателям, предшествовавшим XII веку, и что светские писатели унаследовали совершенную и выработанную прозу от духовных. Теперь же узнаем, что и стихотворная форма светской поэзии была унаследована от духовной»³.

როდესაც ჩვენ ლიტერატურული ფორმის შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ საერო მწერლობაში შესაძლებელი გახდა აგიოგრაფიული ბელეტრისტიკისა და საეკლესიო ჰიმნოგრაფიის ლიტერატურულ-კომპოზიციური ბერებებისა და ელემენტების გამოყენება. ცნობილია, რომ საერო მხატვრულმა ლიტერატურამ იმთავითვე მოგვცა ორი მთავარი ენარი, რომელიც დამკვიდრებული იყო საეკლესიო მწერლობაში: ეპოსი, საგმირო და სამიჯნურო თხრობებით წარმოდგენილი, და ლირიკა, სახობტო პოეზიაში მოცემული. განვიხილოთ ჯერ ეპოსი: საეკლესიოსი—აგიოგრაფია და საეროსი—საგმირო-სამიჯნურო პოემები. აგიოგრაფიის ასულიერო გმირი პოემებში საერო, ამქვეყნიურ გმირად ქცეულა. მართლაც, როგორია აგიოგრაფიული თხრობის კომპოზიციური შაბლონი? ის ოთხი ელემენტისაგან შედგება:

¹ კ. ექვლიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გამოც. მეოთხე, სასულიერო პოეზია.

² Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме в поездку 1902 г.: «Сообщения Палестинского Общества», т. XIV, ч. II, 1903 г., стр. 40.

ა) «წმიდანი» ჯერ კიდევ ბავშვობაში იჩენს სულიერ სიმშენიერეს და ისეთ თვისებებს, რომელნიც განასხვავებენ მას ამხანაგებისაგან და მოასწავებენ მის სულიერ გამრობას მომავალში. ასევეა პოემებშიც: ესა თუ ის პირი არაიშვიათად ჯერ კიდევ ბავშვობაში იჩენს არაჩვეულებრივ თვისებებს, რომელნიც გვიჩვენებენ, რომ ის მომავალში მართლაც არაჩვეულებრივი გმირი იქნება. ასე, მაგალითად, ტარიელი ამბობს თავის თავზე: «ხუთისა წლისა შევიქნე მსგავსი ვარდისა შლილისა, ჳირად არ მიჩნდის ლომისა მოკლეა, მართვითა სირისა» (320), «ებურთაობდი, ვნადირობდი, ვით კატასა, ვხოციდი ლომსა» (328).

ბ) დავაკაცებული «წმიდანი» ნამდვილი «სულიერი გმირია» და «ზეკაცია». ის იბრძვის და სძლევს ხორცსა და სხვადასხვა ხასიათის ცთუნებას ამ ქვეყნად, «ეშმაკს», რომელიც მას ხშირად ხილულად, ვითომც ადამიანისა და რომელიმე ცხოველის სახით, ეჩვენება, და ასრულებს ისეთ «სასწაულებს», რომელნიც მას ბუნების კანონებზე მაღლა აყენებენ. ასევეა პოემებშიც. ტარიელი ამბობს: «მოვიწიფე, დავემსგავსე მშესა თვალად, ლომსა ნაკეთად» (319). მისი გმირობა, პოემით, ხომ ყველასათვის ცნობილია; ანდა «ამირანდარეჯანიანის გმირები, რა დაბრკოლებებს არ ებრძვიან და არ სძლევენ ისინი ლომების, დევების, გრძნეულების, გველეშაპებისა და სხვათა სახით? ერთი სიტყვით, ისინი ნამდვილი «ზეკაცები» არიან, მათ მიერ ჩადენილი «საქმენი საგმირონი» ისეთივე ფანტასტიკაა, როგორც «წმიდანების» სასწაულები.

გ) «წმიდანის» ამქვეყნიური ცხოვრება წარმოადგენს განუწყვეტელ სამსახურსა ღვთისადმი და შეუნებელ ერთულებას, მისი სიყვარულისათვის ის ითმენს და იტანს ათასგვარ ასკეტურ ღვაწლსა და შრომას, ის ნამდვილი «მიჯნურია» ღვთისა და მისი აგენტებისა (განსაკუთრებით ღვთისმშობლისა); მათთვის ბნედა, მათთვის კვლამა «წმიდანებს» მიერ ეკება უდაბნოებისაჲ, სადაც მრავალი მათგანი ათეული წლებით ცხოვრობს, ისე რომ ადამიანის სახეს ვერ ხედავს, და სადაც ისინი შეუნებლად «ალტობენ ცრემლითა თვისითა სარეცელსა თვისსა». მოვიგონოთ «ვეფხისტყაოსნისა» და «ამირანდარეჯანიანის» გმირები, მათი მიჯნურობა, რაინდული «სამსახური» და თავადება სატრფოსათვის, მათი ველად გაჰრა, სულთქმა-ოხვრა და ცრემლშეშრობელი ტირილი, რომ მსგავსება ნათელი გახდეს.

დ) «სულიერი გმირია» — წმიდანი ან მსხვერპლად ეწირება თავის მიზანს, მოწამებრივ სიკვდილს ითმენს, ანდა ხანგრძლივი გაქირვებულ-შევიწროებულ სიკვდილით კვდება, მაგრამ ორივე შემთხვევაში ის კეთილს ბოროტზე ამარჯვებინებს. ასევეა პოემებშიც: როგორც არ უნდა იყოს გმირების ბოლო, ისინი მიზანს აღწევენ და, ბოლოსა და ბოლოს, ამბობენ: «ბოროტსა სძლია კეთილმან, ვრსება მისი გრძელია»¹.

ვისაც საფუძვლიანად შეუსწავლია აგიოგრაფიული ლიტერატურა და მუშტრის თვალთ წაუკითხავს ჩვენი საგმირო-სამიჯნურო პოემები, მისთვის უდავოა აღნიშნული ოთხი ელემენტის ერთობა.

¹ შდრ. «ქვეყნისძე, წერილები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ერწ. ლიტერატურული ძიებანი. I, 1943 წ., გვ. 3-4.

ახლა განვიხილოთ ორივე სტილის ლირიკა: სასულეიეროსი—ჰიმნოგრაფია და საეროსი—ხოტბითი პოეზია. სასულეიერო ჰიმნოგრაფიას, წარმოდგენილს, მაგალითად, აბო თბილელის «ქებასა» და მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფების შრომებში, სამი კომპოზიციური შაბლონი ახასიათებს: ა) ავტორის მიერ თავისი უღირსობისა და არარაობის აღიარება, ბ) შესხმა და ქება ამა თუ იმ «სულიერი გმირისა» (წმიდანისა), აღნიშვნა მისი სიღიადე-ბუმბერაზობისა და აღსარება ჰიმნოგრაფისა, რომ მას არ ძალუძს ღირსეულად შეამკოს ის, გ) შესხმა და ქება ღვთისა, რომელიც არის ბრძენი, კეთილი, უხვი და სხვა ატრიბუტით შემკული, რომელსაც ყველა, დიდი და პატარა, უნდა ემორჩილებოდეს. ცენტრალიზმის ძლევამოსილმა მსვლელობამ ქართველ მონარქებს სიცოცხლეშივე მიანიჭა არათუ ავტორიტეტი «მესიის მონისა» (ესე. იგი წმიდანისა), არამედ ღვთისა სწორისა ტიტულიც, ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ალტყინებულმა კლასობრივმა გრძნობამ გამოხატულება პოვა ენაწყლიან, ყალბპათოსიან ხობებში, რომლებშიც მოცემულია სასულიერო ჰიმნოგრაფიის ყველა ზემონაჩვენები ელემენტი. დასამტკიცებლად საკმაო დასახელებულ იქნას ე. წ. «აბდულმესია» და «თამარიანია»¹.

რაც შეეხება შინაარსს, სუეტს, ამ მხრივაც ჩვენში დიდი ხნიდან მზადდებოდა ნიადაგი საერო მწერლობის განვითარებისათვის. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზღაპრულ, სადევეგმირო, ეპოსს, რომელიც უძველესი დროიდან ზეპირი გადმოცემის გზით ყალიბდებოდა და ვრცელდებოდა ჩვენში, იმ ეპოსს, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა ჩვენში საერო მწერლობის პირველი ყლორტები. მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ზეპირსიტყვიერებითს ხალხურ პოეზიას, რომელიც სახალხო მომღერლებისა და პოეტების მეშვეობით, განსაკუთრებით დღეობებისა და ბაზრობების დროს, ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდა და პოეტურ გემოვნებას ავითარებდა და ზრდიდა. ამასთანავე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჩვენში ძველიდანვე, საეკლესიო მწერლობის ბატონობის ხანიდანვე და თვით ამ მწერლობის წიაღში, ისახებოდა ელემენტები და მზადდებოდა ტრადიციები საერო მხატვრული ლიტერატურისა.

ამ ელემენტებს ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ პავლე მოციქულის «ეპისტოლეთა» უძველეს თარგმანში², რომელშიც აღნიშნულია წარმართული, ელინურ-კლასიკური წყაროები ეპისტოლეთა ამა თუ იმ ადგილისა, მაგალითად:

1 კორინთ. II, 9	წყარო: ელიაჰს საიდუმლოა
1 კორინთ. III, 18—19	„ ანტიკლნი კანონია
1 კორინთ. IX, 26—27	„ ეკანონი ანტიოქელთაა
1 კორინთ. XV, 32	„ დემოთესი ლაკონიკისი ო იგავი
1 კორინთ. XV, 33	„ ძმენანდრესი, სიმღერით მწერალისა, ზრახებაა.
ტიტუს I, 12	„ ვებენდესი, კრიტელისა მისისა ხზნაა.

¹ ქ. კეკელიძე, ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია, თბ., 1933 წ. გვ. 39—42.

² საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი A 345 (მისი აღწერილობა იხ. ფ. Ж о р - д а н я. Описание рукописей Тифлисского держ. музея. I, Т., 1903 г., გვ. 329).

საეკლესიო მწერლობის ძეგლებში ხშირად გვხვდება ჰომეროსისა და მისი ილიადა-ოდისეისა გმირების ხსენება და სახელი. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ VIII—IX საუკუნეში ნათარგმნ ტრაქტატში ბერძნული ანბანის შესახებ, რომელიც დიომიდე გრამატიკოსს ეკუთვნის, ჩვენ ვეითხულობთ: ესრძთ აღესრულა კდ იგი ასრძ [ბერძენთაჲ]; ამისთვისა მიამსგავსა ომიროს რიცხვ იგი კბ-თაჲ მათ წიგნთაჲ ებრაელთაჲ კდ-სა მას ასოსა, გამოსახულსა და აღრაცხილსა, და მანცა თუსი იგი ჯელოვნებაჲ შლადრომსი, კდ-ნი დაჩიბულნი, კდ-ითა მით ასოთა მიამსგავსა; ეგრძთვე კუალად ოდვსეკსა¹. ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის საშუალებით ჩვენში შემოდიოდა და ვრცელდებოდა ცნობები ბერძნული მითოლოგიიდან. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშეს იმ მწერლებმა, რომელნიც ახლო იდგნენ ანტიკურ ლიტერატურასთან და უფრო მწვავედ განიცდიდნენ მის სიდიადს. ვგულისხმობთ იმ მწერლებს, რომელნიც, პოლემიკური თუ სხვა მოსახრებით, თავიანთ ნაწარმოებებში ხშირად ეხებოდნენ ანტიკურ კულტურას, კერძოდ, მითოლოგიას. ასეთებია: ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი და განსაკუთრებით გრიგოლ ნაზიანზელი. უკანასკნელმა თითქმის ამოწურა ბერძნული მითოლოგია თავის თხზულებებში. მას საგანგებოდ ასეთი თხზულებაჲ კი დაუწერია: ზლაპრობანი, დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი² და იამბიკოჲ სასწავლოჲსა წილ წარმართთაჲსა, რომლისაგან განაყენნა ქრისტიანენი ივლიანე განდგომილმან. გრიგოლის თხზულებანი ქართულადაც უთარგმნიათ ჯერ კიდევ მეათე საუკუნემდე და ამ საუკუნეში ექვთიმე ათონელს. რა თქმა უნდა, მათი საშუალებით ქართველი მკითხველები ითვისებდნენ ძველი ბერძნული მითოლოგიის ცოდნასაც. ამ ცოდნის დონე და ფარგლები თანდათან ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა ჩვენში, განსაკუთრებით XI საუკუნეში, ეფრემ მცირის საშუალებით, რომელსაც, გრიგოლის ზემოდასახელებული ორი შრომის თარგმანის გარდა, ეკუთვნის აგრეთვე ზლაპრობანი განცხადებისანი³. ცნობები ძველი კლასიკური მითოლოგიიდან უხვად გვხვდება აგიოგრაფიულ თხზულებებში, რომლებიც უცხო ენიდან არიან გადმოთარგმნილი. ტიპიურია ამ მხრივ წყამებაჲ პანსოფი ალექსანდრიელისაჲ⁴, რომელშიაც გადაშლილია შთელი წარმართული თეოგონია, და წყამებაჲ პროკოპი დუქსისა, რომელშიც ვრცლადაა აღწერილი ღმერთები: ზევსი, ირა, პოსეიდონი, აპოლონი, ათენი, ერმი და მგზის დიდებულთა, დიოს, რომლისა საფლავი კრიტეს არს, ეფესტოს მქედელი; მოტანილია ვრცელი ციტატები წიგნისაგან სიბილაჲსა სახელგანთქმულისა, რომელიც ტარკუნას, პრომთა მეფემან, დიდძალითა ოქროთა მოიყიდნა, მოთხრობილია, როგორ იაზონ, წინამძღუარმან არლონაფტეთამან, ქალაქსა ათინას ტაძარი დიდი ალაშენა და მივიდა სამისნოსა

¹ ს. ყაუხჩი შვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923 წ., გვ. 180—184.

² ეს შრომაჲ გამოცემულია პროფ. ილ. აბულაძის მიერ: ელინთა ზლაპრობანი, ენიშენის მოამბე, X, 1941 წ., გვ. 1—53.

³ K. Kekelidze, Monyménta hagiograpica géorgica, I, p. 48—59. ეს თხზულება, P. Peeters-ის ცნობით, არაბულიდანაა ნათარგმნი.

მას დღეფისასა და ჰკითხა აპოლონს ღმერთსა» სხვადასხვა მოვლენის შესახებ¹. ამგვარი მასალები ჩვენ წინაპრებში აღვიძებდა ინტერესს ანტიკური კულტურისადმი და ხელს უწყობდა საერო მწერლობის ელემენტების ჩასახვას.

ამას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ უძველეს მწერლობაში შეგვიძლია ვიპოვნოთ მთლიანი ნათარგმნი ნაწარმოები დიდაქტიკური, ზნეთმოდლებითი ხასიათისა და შინაარსისა, ეგრეთწოდებული «სახისმეტყველი» ან «ფიზიოლოგია». ეს თხზულება, რომელიც შეიცავს ბიბლიურ მხეცთა და ცხოველთა თვისებების შესახებ დაკვირვებას მისტიკური და ზნობრივი ხასიათის შენიშვნათა თანდართვით, ჩვენ მწერლობაში თამაშობდა პირუტყვთა ეპოსის როლს და ხელს უწყობდა ამგვარი თემების პოპულარიზაციას.

მეორე თხზულება, რომელსაც ამგვარივე, და უფრო მეტი, მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საერო მწერლობისათვის ნიადაგის მოსამზადებლად, არის «ბლაჰვარია» ან «სიბრძნე ბლაჰვარისა», რომელსაც «სულთამარგებელი მოთხრობა» ეწოდება და მწერლობის ისტორიაში ძასაულიერო რომანადაა მიჩნეული. ის მეტად გავრცელებული იყო მთელ საქრისტიანოში და ამიტომ ყველა ენაზეა ნათარგმნი, სხვათა შორის, ქართულზედაც. ეს თხზულება შეიცავს მთელ რიგ იგავებს, რომელთაც ყოველდღიურ, პრაქტიკულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა და გასავალი ჰქონდა, და ამავე დროს იძლევა მდიდარ სურეეტს სხვადასხვაგვარი მოთხრობისათვის. ამგვარივე ხასიათისაა «ცხორება მარტინიანისი», რომელიც განხილულია ჩვენ მიერ².

საერო ლიტერატურას ამზადებდა შინაარსობლივად უძველესი აგიოგრაფია, რომლითაც ასე მდიდარია პირველი პერიოდის მწერლობა, როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური. აგიოგრაფიულმა ბელეტრისტიკამ ქართველი მკითხველი საზოგადოება მიიყვანა საერო მხატვრული «რომანის» საღარომდე. ის მკითხველი, რომელიც იცნობდა, მაგალითად, წმიდა მხედრების თავგადასავალს: საგმირო საქმეებს გიორგი ძლევაშოსილის, თეოდორე სტრატელის, ანდრია სტრატოტისა და სხვ., რომელნიც, ჰუნესა ზედა შემსხდარნი და საკურველითა ასხმულნი, ებრძვიან მოწინააღმდეგეთ, საშინელ მხეცებსა და ვეშაპებს, ხანდახან რომანტიულ ყაიდაზე, ქალწულის განსაცდელისაგან დახსნისა და გამოყვანის მიზნით, ადვილად მოკიდებდა ხელს ამირანდარეჯანიანისებურ სადევგმირო მოთხრობებს. იმ პირთ, რომელნიც იცნობდნენ აგიოგრაფიული ბელეტრისტიკიდან წმიდა შავრას, იუსტინას, ფებრონიას, მარინას, თეოდორას, პელაგიას, მარიამ მეგვიპტელს, ტაისია მეგვიპტელს, ევდოკიას, მეორე მარიამს (ძმისწული აბრაამისა), მარგარიტა ანტიოქიელსა და სხვ., არ ეუცხოებოდათ საერო მხატვრული ლიტერატურის მიჯნურობა. იგივე უნდა ვთქვათ ისეთი აგიოგრაფიული თხზულების შესახებ, როგორიც არის

¹ კ. ბიქელიძე, იტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945 წ., გვ. 131—145; მისივე, ანტიკის გადნაშთები ძველ ქართულ მწერლობაში, ენიშნის მოამბე, XIV, 1944 წ., გვ. 121—122.

² ТРА-ГФ, № VI, СПб., 1904 г.

³ იტიუდები, II გვ. 15—22.

მარტილობა მიქაელ საბაწმიდელისა¹, აგრეთვე ალექსიანი², რომელმაც ყველგან, ყველა ერთა მწერლობაში მიიღო ნამდვილი მოთხრობის ან რომანის ხასიათი. ასეთივეა ე. წ. კლემენტინები და, სექტანტების მიერ პოპულარულ რომანად ქცეული, აპოკრიფულ-აგიოგრაფიული თხზულებანი. ასეთებია ცხოვრება მაკარი რომაელისა³, წმიდა მხედრების ცხოვრება-მარტილობანი⁴, ცხოვრება ბაგრატ ტავრომენიელისა⁵ და სხვ. არას ვამბობთ ისეთ აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა შესახებ, რომელნიც წარმოადგენენ კლასიკური მითოლოგიურ-თეოგონიური თხზულებების გადმოკეთებას.

ამ ტრადიციების განმტკიცებას უფრო მეტად უწყობდა ხელს წმინდა ქართული, ორიგინალური აგიოგრაფიული მწერლობა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს იმდენად არა მუშანიკისა და აბოთბილელის მარტილობანი, რომელთაც განცვიფრებაში მოყავართ რეალური ცხოვრების მიმზიდველი აღწერილობით, რამდენად გიორგი მერჩულის თხზულება ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა⁶, რომელიც 951 წელსაა დაწერილი. ამ წმინდა საეკლესიო-აგიოგრაფიულ ნაწარმოებში ავტორს შეუტანია ნამდვილი რომანული ელემენტი. ასეთია, პირველ ყოვლისა, ეპიზოდი ზენონის შესახებ. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ზენონი და მისი დაი ობლად დარჩნენ. დაჟ იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებთა შეატუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველწარვიდის შავშეთს. ხოლო ზენონ ვითარცა ცნა, შეიქურა საქურველითა მარტოდ და ამკერდა ცხენსა და დევნა უყო. მაგრამ დევნის დროს თქვა გულში: მე მოვკლავ თუ ის მომკლავს, ორივე უჯერო და ჩემთვის შეუფერებელი იქნება, ამიტომ დაბრუნდა უკან და ბერად აღიკვეცა. მეორე ეპიზოდი ეხება ადარნასეს, რომელმაც წესმენითა მეძვისა ქალისათა, რომლისათანა იმრუშებდა იგი, უსამართლოდ განიშორა სიცრუითა სიძესათა სარწმუნოა ცოლი თვისი და წარგზავნა ქუეყანად თვსად აფხაზეთად. ეს მეძავი ქალი მერე მან ცოლად შეირთო, ხოლო პირველი ცოლი ბევრელი მონაზუნად შედგა ფერსათს და აღესრულა იქვე. ამ უწყესო საქციელისათვის ადარნასესა და მის შვილებს სამაგიერო მიეწყით საშინელი სენის სახით, რომლისაგან ისინი განთავისუფლდნენ მხოლოდ გულკეთილისა და უხვად შემნდობელის ბევრეღიანასტასიას ლოკით⁷. მესამე ეპიზოდი მოტანილია აქ აშოტ კურაპალატის ცხოვრებიდან⁸. მის მიერ აშენებულ ციხე არტანუჯში მან, კანონიერ ცოლთან ერთად, დასვა მეძავი ქალი, რომელთანაც მრუშობდა. გრიგოლმა რამდენჯერმე ამხილა ის, მაგრამ, რომ არაფერი გაუვიდა, მივიდა მოულოდნელად არტანუჯში, როდესაც აშოტი იქ არ იყო, ამხილა მეძავი და არწმუნა შედგომოდა მას. მართლაც, ის მან წაიყვანა მერეს, ქალთა მონასტერში, და

¹ ქ. ქველიძე, კიმენი, I, თბ., 1918 წ., გვ. 165—173.

² იქვე, გვ. 161—165.

³ ქ. ქველიძე, ეტიუდები, II, გვ. 34—63.

⁴ იქვე, გვ. 6—12.

⁵ იქვე, გვ. 23—33.

⁶ ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თავი 12, 56.

⁷ იქვე, თავი 55.

იქ მონაზუნად აღკვეცა. აშოტი რომ შინ დაბრუნდა და საყვარელი იქ ვერ პოვა, გამოიკითხა ყოველივე. როდესაც გაიგო საქმის ვითარება, წავიდა მერეს და წინამძღვარს, ფებრონიას, სთხოვა დროებით გაეტანებინა მისთვის ის ქალი, რათა მისგან ჩაებარებინა კლიტენი და საფასენი. ფებრონიამ ისე შერისხა და ამხილა იგი, რომ აშოტი იძულებული იყო შექირავებისაგან უნებლიედ ეთქვა: «ნეტარ მას კაცსა, ვინ არალარა ცოცხალ არსოა» და უკანვე მიიქცა.

ამგვარი მწერლობა, აგრეთვე ისეთი თხზულებების კითხვა, როგორც არის ფსევდოკალისტენის «ალექსანდრიანა»¹, ჯერ კიდევ მათე საუკუნის გასულამდე ამზადებდა ჩვენში ნიადაგს საერო მწერლობის აღმოცენებისათვის².

ის, რაც საეკლესიო მწერლობის წიაღში სტიქიურად მზადდებოდა, გარკვეული დროიდან, როდესაც შესაფერისი პირობები მომწიფდა, სახელმძღვრე მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნიდან, მკვეთრად გამოძვლავნდა და მხატვრული საერო ლიტერატურის სახით გაიშალა და გაიფურჩქნა. თუმცა შესაძლებელია, ასეთი წინასწარი კულტურულ-ლიტერატურული პირობები სხვა ქვეყანაშიც არსებობდა, მაგალითად, ბიზანტიაში, მაგრამ იქ საერო ლიტერატურა არ აღმოცენებულა, მაშასადამე, საჭირო იყო კიდევ რაღაც სხვა პირობა.

II

რა იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ სწორედ XI—XII საუკუნეებიდან ყალიბდება ჩვენში საერო მხატვრული ლიტერატურა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით? ამის მთავარი მიზეზი იყო არა წინაქრისტიანული, წარმართული ლიტერატურის ტრადიციები (პ. ინგოროყვა)³, ასეთი ტრადიციები უფრო ძლიერი იყო წარმართულ საბერძნეთში, მაგრამ იმან ქრისტიანულ ბიზანტიაში ვერ შექმნა საერო მხატვრული ლიტერატურა, არამედ ის ცვლილებანი საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიურსა და კულტურულ ცხოვრებაში, რომელთა შესახებ ქვემოთ, კლასიკური პერიოდის დახა-

¹ ამ თხზულებას ქართველები იცნობდნენ ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში, რაც იქიდან ჩანს, რომ იმისგან ციტატას «მოქცევა ქართლისაჲს» ქრონიკაში ვხვდებით (ქ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, «თბილ. უნივ. მოამბე», III, გვ. 47—51).

² ჩვენ ვერ გამოვალთ ფაქტურ, ისტორიულ-ლიტერატურულ მასალათა ჩარჩოებიდან და ვერ მივმართავთ დაუსაბუთებელ ჰიპოთეზებს შეათე საუკუნემდე ოფიციალური, მწიგნობრული, საერო მხატვრული ლიტერატურის არსებობის შესახებ «ბოდაი-ნამეს» თუ სხვა რამე ძეგლის სახით, როგორც ამას ჩადის ზოგიერთი მკვლევარი. აღიწვდებათ თუ განგებ ივიწყებენ, რომ პირველ პერიოდში ამგვარ ლიტერატურაზე ლაპარაკი, მაშინდელი პირობების მიხედვით, შეუძლებელია.

³ ამ შეხედულებას ებრძვის გ. სოსელია (საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება ვეფხისტყაოსნის მიხედვით, სოხუმი, 1956 წ., გვ. 218—219), მაგრამ არსებითად ის მასვე იმეორებს, როდესაც ამტკიცებს, რომ წყარო, რომელმაც საწყისი მისცა საერო ლიტერატურას ჩვენში, არის პირველყოფილი თემური საზოგადოების ტრადიციები (გვ. 223—224). ამ ტრადიციების როლის შესახებ ჩვენს წარსულში ლაპარაკი გვექნება «ვეფხისტყაოსნის» განხილვის დროს.

სიათებისას, დაწერილებით გვექნება ლაპარაკი. აქ კი ზოგადი ფორმულებისა და დებულებათა სახით აღვნიშნავთ ამ მოვლენის მთავარ მიზეზებს.

ქართული საერო მხატვრული ლიტერატურის წარმოშობის მიზეზებია:

1. საქართველოს აქამდე ერთმანეთისაგან გათიშული სხვადასხვა ფეოდალური ნაწილის მძლავრი და დამოუკიდებელი მონარქიის ფარგლებში გაერთიანება, რამაც გამოიწვია მათი გაერთიანება საერთო კულტურულ-ლიტერატურული მშენებლობისათვის.

2. მევეთად გამოსახული კლასობრივი ხასიათის წინააღმდეგობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა ფეოდალურ მონარქიაში. ამ მონარქიაში ეკლესია, როგორც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, მიუხედავად მისი ძლიერებისა, იძულებული იყო ხელმძღვანელი როლი, რომელიც მან წინაპერიოდში მოიპოვა, დაეთმო საერო სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისათვის. სახელმწიფოში დაწინაურდნენ საერო ფეოდალური და სამხედრო ელემენტები, რომელთა სხვადასხვა სახის მოთხოვნილება მხატვრულ გაფორმებას ეძებს შესაფერისი სტილის ლიტერატურაში. ამ მონარქიაში «კულტურულ დომინანტ» ტიპად სამხედრო-აზნაურული ჯგუფის წარმომადგენელია. მაგრამ ეს უწინდელი მეომარი აღარაა, მის ბინას მარტო ციხე-სიმაგრე აღარ წარმოადგენს. მისი მოთხოვნილებები გაიზარდა. იგი გამაღვებით ეწაფება კულტურას, ხელოვნებასა და მწერლობას. ომებისა და ჯვაროსნებთან ურთიერთობის წყალობით მისი გეოგრაფიული პოზიციონტი გაფართოვდა, მას აინტერესებს საკუთარი წარსული, ზოგჯერ—მეცნიერებაც და ფილოსოფიაც. იგი მორწმუნეა, იგი კვლავინდებურად ქრისტიანია, მაგრამ სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებთან ხშირი ურთიერთობის გამო ის ნაკლებად შეუწყნარებელია და ჰეტეროდოქსიასაც თანაუგრძნობს. მას სჭირდება საკუთარი ლიტერატურა ისეთი გმირებით, რომელთაც არა მარტო ღონიერი მკლავი აქვთ, არამედ მგრძნობიარე, კეთილი გულიც, რომელთაც იმდენივე ცრემლის დაფრქვევა ძალუძთ, რამდენიც სისხლი იღვრებოდა, რომელთაც ემარჯვებათ წერა, უფრო თანამედროვე ენით ლაპარაკობენ და ხუცური ასოების ნაცვლად მხედრულით წერენ. ეს ის სოციალურ-კულტურული ტიპია, რომელიც დასაყვლეთ ევროპაში კურტუაზიულ მხედარ-რაინდითაა წარმოდგენილი¹.

3. პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება ფეოდალური მონარქიისა. პოლიტიკურად მოღონიერებული საქართველო ეკონომიურადაც გაძლიერდა. გარეშე მტრებთან ომებისაგან და შინაური არეულობა-უთანხმოებისაგან დასვენებულნი, იგი თავისუფლად ამოისუნთქავს, თავისუფლად ჰკერაფს ქირანახულს—განვითარებული მეურნეობისა და გამარჯვებული ომების შედეგად მოპოვებულ ნაყოფს. ამის საფუძველზე წარმოიშვა ოპტიმისტური განწყობილება, უწინარეს ყოვლისა, ფეოდალური საზოგადოებრიობის საერო წრეში, და შესუსტდა ცხოვრებისადმი ის პესიმისტურ-ასკეტური დამოკიდებულება, რომელიც, შეიქმნა რა წინა პერიოდში ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიუ-

¹ Prof. V. Chichmaref, Chotha Roustaveli, ენციკლ. მოამბე, III, 1938 წ., № 234—235, 257.

რი ჩაგვრის ნიადაგზე, ადამიანის შეგნებას ამ ქვეყნის სინამდვილიდან ზეციური სამყაროსაკენ წარმართავდა. მაშასადამე, ის ხელს ვერ შეუწყობდა საერო ლიტერატურის იდეალების გაჩენასა და ზრდას. ამ წრემ, კლასობრივი ბრძოლის პირობებში, თვალი, გული და სული ზეციური სამყაროდან ქვეყნად ჩამოუშვა, შეიგნო ამქვეყნიური ცხოვრების ღირებულება და მშვენება, მან იმაშიაც დაინახა იდეალი, რომელიც ადამიანის დანიშნულებას შეშვენის, ერთი სიტყვით, შეიმუშავა ჰუმანური იდეალები და მისწრაფებანი.

4. მონარქიული ბრწყინვალე სამეფო კარის არსებობა. სამეფო კარი გადაიქცა საერო მხატვრული ლიტერატურული ცხოვრების მთავარ ცენტრად. აქ, სამეფო კარზე, თავი მოეყარათ იმ იდეოლოგიის მატარებლებსა და ხელმძღვანელებს, რომელთა მხატვრულ გემოვნებას ემსახურებოდა საერო ლიტერატურა. აქ, მონარქთა სასახლეში, თავმოყრილი იყო ლიტერატურული ძალები. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ თითოეული, ცოტად თუ ბევრად ცნობილი, მწერალი, რომელსაც, გადმოცემით, რაიმე თანამდებობა ეჭირა მეფის კარზე, ცხოვრობდა სასახლეში, როგორც კარის მგოსანი. ამიტომაც აღნიშნული ხანის ჩვენმა ლიტერატურამ მიიღო ხასიათი აკარის მწერლობისაა ყოველივე მისი დამახასიათებელი თვისებით. მონარქის კარის ბრწყინვალეობასთან და მის კეთილდღეობა-წარმატებასთან იყო დაკავშირებული საერო ლიტერატურის წარმატებაც.

5. ცენტრალიზებული მონარქიის რაინდული შინაარსი. იმ სადევგმირო და სამიჯნურო-რომანტიკული მოტივების დამუშავება, რომელნიც ასაზრდოებენ ახლად აღმოცენებულ საერო ლიტერატურას, ის ქალის კულტია, რომელიც დამახასიათებელია ცენტრალიზებული მონარქიის ცხოვრებისა და რომელიც ქვაკუთხედი ამდროინდელი საერო ლიტერატურისა, შესაძლებელი იყო მხოლოდ ფეოდალურ-რაინდული საზოგადოებრიობის პირობებში.

აი, ის შინაგანი პირობები, რომელთაც შესაძლებელი გახადეს საერო მხატვრული ლიტერატურის აღმოცენება ჩვენში. ყველაფერი ეს ის ნიადაგი იყო, რომელზედაც და რომლიდანაც უნდა ამოსულიყო საერო ლიტერატურის მარცვალი.

III

ნათქვამიდან ნათელი უნდა იყოს, რომ მეთათე საუკუნის ოთხმოციან წლებზე ადრე საერო მხატვრული მწერლობა, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებითა და მნიშვნელობით, ჩვენში ვერ დაიწყებოდა. საქმე ისაა, რომ ამ დრომდე ამ მწერლობის აღმოცენებისათვის საჭირო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ბაზა არ არსებობდა. მართალია, მეთორმეტე საუკუნემდე, როდესაც დასრულდა პროცესი საქართველოს გაერთიანებისა და ვით ალმაშენების მეოხებით, ჩვენში ბატონობა ჯერ კიდევ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას ეკუთვნის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერო მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, და ვით ალმაშენების მეფობის მიწურულში დაიწყო,

როგორც ამას ნ. მარი ამტკიცებდა¹. საერო მწერლობის არსებობა დავით აღმაშენებლის მეფობის მიწურულზე გაცილებით ადრე, არა ელემენტების სახით მხოლოდ, რის შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით, არამედ როგორც გარკვეული და ცოტად თუ ბევრად ჩამოყალიბებული მიმდინარეობისა, ნათელი ვახდება, თუ ერთ გაუგებრობას დავალწევთ თავს. როდესაც საერო მწერლობას მეთორმეტე საუკუნის თითქმის ნახევრიდან იწყებენ, ალბათ, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ამ ლიტერატურის უადრესი ცნობილი ძეგლები—ვისრამიანი და ამირანდარეჯანიანი ყოველ შემთხვევაში მეთორმეტე საუკუნის ნახევარზე ადრე ვერ გაჩნდებოდა ჩვენ მწერლობაში. მაგრამ ეს ძეგლები წარმოადგენენ უკვე მეორე საფეხურს საერო ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, ე. წ. რაინდული ლიტერატურის ნიმუშებს, პირველი საფეხური კი მისი მოცემულია მანამდე (მეათე საუკუნის 80-იანი წლებიდან მეთორმეტის ნახევრამდე) ეპიკურ-ფეოდალური ლიტერატურის სახით. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, ქართველთა ეროვნულ-პოლიტიკური ფიზიონომიის «დადგინების» ხანაში, უამრავი ლეგენდა, თქმულება და საგანი იქმნებოდა ამა თუ იმ ისტორიული თუ ნახევრად ისტორიული პირის შესახებ, რომელსაც რაიმე ღვაწლი მიუძღოდა აღნიშნული «დადგინების» პროცესში. მეათე-მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში, როდესაც «მთლიანი საქართველოს», ფეოდალური მონარქიის «დადგინების» პროცესი წარმოებდა, დაწყებულა ამ თქმულებათა ლიტერატურული დამუშავება, რომელიც წარმოდგენილია ლეონტი მროველის სახელით ცნობილ «მეფეთა ცხოვრებაში», ვახტანგ გორგასალის ცხოვრების ჩათვლით. ეს ძეგლი იმდენად ისტორიული ნაწარმოებია არაა, რამდენადაც ქართველების თავისებური *Chanson de geste*, რომელშიაც მოცემულია ლეგენდურ «საქმეთა საგმიროთა» ფეოდალურ გემოვნებაზე ვაღამუშავების ცდა. ამირანდარეჯანიანის ყაიდაზე მოხაზული სურათი პაოსიანთარგამოსიანთა ომისა, ფარნავაზისა, მირვანისა, არშაკისა, ადერკისა, სუმბატ ზივრიტიანისა, ფარსმან ქველისა, ამაზასპისა, მირიანისა და სხვათა მრავალთა, განსაკუთრებით კი ვახტანგ გორგასალისა, — ლეონტის შრომას ხდის ქართველების «მეფეთა ეპოპეად», მსგავსად XI საუკუნის ფრანგთა *Épopée royale*-სი. მასში ასახულია ფეოდალიზმის ის ეპოქა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს მკვეთრად ჩამოყალიბებულ რაინდობას. სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავის დადება, ბრძოლა უცხო ტომთა, განსაკუთრებით კი «ურჯულთათა» წინააღმდეგ, პატივისცემა და «სამსახურთა» სუზერენისადმი, გრძნობა ძმური მეგობრობა-ერთგულებისა და შეგნება მხედრის, მეომრის დანიშნულებისა, — აი, ამ ეპოპეაში გამოყვანილი გმირების დამახასიათებელი თვისებანი. ქალსა და ქალისადმი სიყვარულს, ე. წ. «ქალის კულტს», მასში ჯერ ადგილი არა აქვს. მეთორმეტე საუკუნის ნახევრიდან, როდესაც სახელმწიფოებრივი ცხოვრება ცენტრალიზაციის გზაზე შედგა და რაინდთა ინსტიტუტი გარკვეულად ჩამოყალიბდა თავისი კორპორაციული ეთიკითა და

¹ Возникновение и расцвет древне-грузинской светской литературы, «Журн. Мин. Народ. Просв.», 1899 г., декабрь, № 223—252.

წოდებრივი ტრადიციებით, ჩნდება რაინდული რომანი, რომელშიაც რაინდული კურტუაზია, ქალი და სიყვარული მთავარი სტიმულია მამაკაცობისა და წყარო საგმირო საქმეებისა. ამიერიდან საერო მხატვრული მწერლობა გარკვეული, მტკიცე სახის ფაქტია, რომელიც მთელი პერიოდის სიგრძეზე გაბედული ნაბიჯით მიდის წინ¹.

IV

მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, საეკლესიო მწერლობასთან ერთად, ჩვენში ვითარდებოდა და მუშავდებოდა საერო მწერლობა. საინტერესოა გარკვევა იმისა, თუ როგორი ურთიერთობა და განწყობილება არსებობდა მწერლობის ამ ორ დარგს შორის, როგორ ურიგდებოდნენ ერთმანეთს საერო და საეკლესიო ლიტერატურის წარმომადგენელი. ეს საკითხი სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ჩვენ ვიცით, თუ როგორი უცილობელი ბატონობა ჰქონდა მოპოვებული ძველ საქართველოში საეკლესიო მწერლობას და როგორ ფლობდა ამ მწერლობის იდეალები თანამედროვეთა სულსა და გულს. ნუთუ იმ ახალმა სუეეტებმა, რომელნიც საერო მწერლობამ შემოიტანა ჩვენში, რეაქცია არ გამოიწვია სასულიერო მწერლობაში? ეს სუეეტები ხომ ამქვეყნიური ცხოვრების ვარაშს ეხებოდა, ისინი ხომ მოგონილ-მოპორობისა და სატრფიალო ჰანგებს დამღეროდნენ, რომელთაც არამცთუ არავითარი საერთო არ ჰქონდათ სასულიერო მწერლობის სუეეტებთან, ეწინააღმდეგებოდნენ კიდევაც მათ! ნუთუ არავითარი ბრძოლა არ წარმოებდა ამ ორ მიმართულებას შორის, ნუთუ საეკლესიო მწერლობამ ასე ადვილად დაუთმო თავის გვერდით ადგილს საერო ხასიათის მწერლობას? ვიდრე პირდაპირ ამ კითხვაზე გაუცემდეთ რაიმე პასუხს, უნდა მოვიგონოთ, რომ, ქრისტიანული იდეოლოგიის წარმომადგენელთა შიხედულებით, რომელიც ქრისტიანობამ, არ თქმა უნდა, ჩვენშიაც შემოიტანა, არაქრისტიანულ ამქვეყნიურ სწავლა-მოდღვრებასა და მწერლობას ელლინური ეწოდება, რაც წარმართული ეკვივალენტად და სინონიმად ითვლებოდა. ქრისტიანები წარმართულ, კლასიკურ მწერლობის ეცნობოდნენ და სწავლობდნენ. ბასილ დიდმა საგანგებო ტრაქტატი-ჰომილიაც კი დაწერა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სარგებლობდნენ ქრისტიანები წარმართული მწერლობით, და, როდესაც იმპერატორმა ივლიანე განდგომილმა გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ქრისტიანებს აუკრძალა წარმართული ლიტერატურის შესწავლა თავიანთ სკოლებში, ქრისტიანები ამ აქტს გულდამწვინდებით არ შეხვდრიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც გრძნობდნენ განსხვავებას ამ ორ კულტურას შორის და წარმართულ კულტურას გარეშეთა კულტურას უწოდებდნენ. ასე იყო ჩვენშიც, როგორც ეს ჩანს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან, რომელშიც ვკითხულობთ: გრიგოლმა «სიბრძნის» იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაა ისწავა კეთილად და, რომელი ჰოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდისა, მაგრამ ამავე დროს ის «გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნა»².

¹ ს. კეკელიძე, ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია, გვ. 42—44.

² «ცხოვრება...» თავი ბ.

რაც შეეხება დასმულ კითხვას, იყო თუ არა რაიმე ბრძოლა ჩვენში საეკლესიო და საერო მწერლობას შორის, ისტორიულ დოკუმენტებში და წმინდელიტერატურულ ძეგლებში პირდაპირს, დადებით პასუხს ამაზე ვერ ვხვდებით საერო ლიტერატურის არსებობის პირველ პერიოდში. პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ შორის კეთილმეზობლური განწყობილება არსებობდა. ლეონტი მროველი, მაგალითად, თავის შრომაში უხვად სარგებლობს «შაჰნამეს» ეპიზოდებით; თამარ დედოფლის პირველ ისტორიკოსს, რომლისათვის საეკლესიო აზროვნების სფერო უცხო არ არის, პარალელები მოჰყავს მთელ რიგ სატრფიალო რომანებიდან; «თამარიანსა» და ე. წ. აბდულუმესიაშია უხვად შეტანილი ბიბლიური ელემენტები და ეპიზოდები. მაგრამ არის ერთი ნათარგმნი თხზულება—დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა, რომელიც XI მეთრე ნახევარში უნდა შემოსულიყო ჩვენ მწერლობაში, ჩომელშიც რომანულ-რამინდული მწერლობის დისკრედიტაციას აქვს ადგილი: «ჰე საერო პოეზია, როგორც «მუსიკობის» ერთ-ერთი დარგი, ცოდვად, სიძვა-შრუშობად და ღვთის მცნების გარდახდომადაა გამოცხადებული. აჰ ნათქვამია: «ძენი სეთისანი გარდახდეს მცნებასა და ისწავეს სიმღერა და ამთ გამოაჩინეს ქნარი, ებანი და ბობლანი და სტვირი და ნესტვი და ყოველი სახეობა განამრავლეს... და ესმოდა ხმა ღედათა, რომელნი უკუანა შეუხმობდენ მამათა სიმღერასა... მაშინ სდევდეს ღედანი უკუანა მამათა ურცხვიწოდ, ისიძვიდეს და იმრუშებდეს ურთიერთას განცხადებულად... სხდეს და რომღერდეს სტვირითა და ბობლნითა და ნესტვითა და ებნითა, და ხმა აღტეხისა ისმოდა ჰაერთა ზედაჲ. როგორც ჩანს, ისარი უმთაერესად სატრფიალო-სამიჯნურო პოეზიის წინააღმდეგაა მიმართული. ალბათ, ასეთი აზრების გავრცელებამ დასაწყისი მისცა იმ შეხედულებას, რომელმაც სატრფიალო-სამიჯნურო პოეზია აღიარა «სპარსთა ზღაპრობად, არაკობად და გოგობიქობად». ამის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ «ვეფხისტყაოსანს» მარტო ვახტანგ მეექვსის ეპოქაში არ თარგმნიდნენ «სამედაოდ», ასეთი «თარგმანების» ტრადიცია გაცილებით უფრო ძველი უნდა იყოს. შემდეგ საუკუნეებში, როდესაც ჩვენში ფეხი გაიდგა პესიმისტურ-მისტიკურმა სულიკვეთებამ რელიჯიური და დიდაქტიკურ-მორალური ტენდენციებით, საზოგადოებრივ მსოფლმხედველობასა და ფსიქიკაში მოხდა ერთგვარი გარდატეხა, რამაც გამოიწვია საერო ხასიათისა და შინაარსის მქონე ლიტერატურის თავისებური გადაფასება. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ბაგრატი მუხრანბატონი ერთგვარ შეფასებას აძლევს ამირანდარეჯანიანს, როდესაც ამბობს: «წიგნი იგი, რომელსა ყისაჲ ჰამზად უწოდენ სარკინოზნი, ისმაიტელთა ცხოვრებაჲ არს, და მის წიგნისა მცირედი რაჲმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასაცა ზედა ჩუენსა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ, რომელსა დარეჯნიანად უწოდენ, და არა თუ ეგვეთართათა სიმკნითა ახოვან იყუნენ, ვითარცა გვთხრობს ჭუენ წიგნოიგი, არამედ მათ მიერთათა ზღაპრობითა განვრცელობით აღუწერიის მოთხრო-

¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი თბ., 1906 წ., გვ. 801—802

ბაჰ იგია¹. აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ «ამირანდარეჯანიანი» დაწერილია «ზღაპარობითა და თარგმნილია ჯარეშეთა კაცთა მიერ», რითაც მას თითქოს ერთგვარი ჩრდილი ადგება. მეჩვიდმეტე საუკუნეში თეიმურაზ I შემდეგნაირად გვისურათებს საერო მწერლობას:

ნუ მკითხავ ზღაპრად შეთხზულს ამ უსარგებლო თქმულებსა,
განქარებდას, უნდოსა, იგ საღმრთოდ მოციქულეებსა,
სულსა სხვა უჯობს და ხორცი სხვას რასმე განიჯულეებსა,
სრულად სოფლისა მოყვასთა ისევ მოატყვებს წყლულეებსა.

ასეთი უღმობელი შეფასების შემდეგ ის ნაღვლიანად შენიშნავს:

არვის უნდა საზარება, არცა წიგნი მოციქულთა,
არ გვივირს რომ დაივიწყეს შემოკმედი მისგან ქმნულთა?
განკითხვა და საუკუნო არც სიკვდილი რძეს გულთა,
უნახავთა არას მივირს, ბრძენთა მივირს მონახულთა².

ამგვარივე მოტივები გვესმის ჩვენ არჩილ მეფის პოეზიაშიც:

ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღვდლო და საერო,
სამღვდელის მცოდინარე საეროსა მოერიო.

აღორძინების ხანის მწერლობაში ისეთი შეხედულება განმტკიცებულა, რომ საერო მწერლობას არამცთუ სერიოზულ საქმედ არა თვლიან, ის სულის მავნე მოვლენად მიაჩნიათ, და იმუიათი პოეტია, ბოდიშს რომ არ იხდიდეს და მოტყუებას არ ითხოვდეს ასეთი ლაქობისა და უსარგებლო საქმისათვის. საეუარადღებოა ამ მხრივ ონანა მდივნის სიტყვები «ბარამგულიოჯანიანისა წინასტყვობაში: «რომელნი ზადით მიბაძეითა უწინარეს გამომეტყველთა საღმრთოთა სამიჯნუროთასა, ნეტარ ხართ და კეთილი გეყოს თქვენ! და რომელნი იურვით მსოფლიოჯსა ამისა საშვებელად ნასიტყვსა კეკლუცთა ზედან კმა-ქალთა მიჯნურობასა, იგი არა სარგებელ გეყოს სახსრად სულისათვის». მართალია, ამბობს ის, იყენენ «ბრძენნი სოფლისა მის ნივთთა მღადადებელნი, რომელთა უთქვამს საქმენი საერთოა ვაჟთა საკეთილონი, პირმზეთა თანა სიუჟარულნი დაუტკბიათ ლექსითა გემოვანთა და ამბითაცა შეენიერითა, მაგრამ ვითარცა იაჯუნდთა შორის კენკნი, ანუ მთოვარეთა შორის ვარსკვლავნი, ნათელსა შორის ბნელი და ვარდთა თანა ასკილნი, ესრეთ შორს არიან საერონი საღმრთოთა წერილთა მიერ». არიანო, გაზაგრძობს ონანა, «წიგნები საერონი კაცთა შესატკბობელნი, ბრძენთა და ფილოსოფოსთაგან თქმულნი სამღერელად და საღაღობელად მსმენელთა მისთათვის, ისინი შრომობდნენ ამგვარ თხზულებათა წერისათვის, ვინაიდან «სამღვდელთა წერილთა ყოველთა კაცთა ბუნება ვერასადა მისწვდებოდა და მისთვის მოიგონეს, რომე ერისკაცი უსწავლელნი და ცოდნადაკარგულნი არ დარჩნენ და ამაზე იხალსებდნენ და საქაბუქოსა საქმესა ყურსა მიუჰპყრობ-

¹ Н. Марр, Из княги царевича Баграта, «Известия Академии Наук», 187 г. т. X, № 2, стр. 244.

² თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ჯ. ჯაობიას რედაქციით, თბ., 1934 წ., გვ. 99.

დენოა¹. როგორც ვახტანგის მიერ დაწერილი ვეფხისტყაოსნის კომენტარებიდან ჩანს, მის დროს ამ ნაწარმოებს სსამეძაოდ სთარგმნიდნა, ამიტომ ვახტანგი მას რეაბილიტაციას უკეთებს: ეს თხზულება არც სამეძაოა, არც წარსაწყმედელი და არც ქრისტიანობის საწინააღმდეგო, ეს რომ ასეთი ყოფილიყო, იმდროინდელი სამღვდლოება როდი ათქმევინებდა მის ავტორს, მის ნათქვამს დაუხვევლს როდი გაუშვებდაო! ვახტანგი ამ სიტყვებით გვაგრძობინებს, თუ როგორ ეპყრობოდნენ მის დროს ამგვარი ხასიათისა და შინაარსის თხზულებებს. და მართლაც, გადმოცემაც ხომ არსებობს, ვითომც 1712 წლის გამოცემა უმეტეს ნაწილად ავტოდაფეს მიეცაო! ანტონ პირველი თავის წყობილიტიყვაობაშია არა ერთხელ შენიშნავს საერო ლიტერატურის ამა თუ იმ წარმომადგენლის შესახებ, რომ ის ამაოდ დაშურა ასეთი თხზულების წერისასო.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ XVI—XVIII საუკუნეებში შეხედულებას საერო მწერლობაზე და მასთან საეკლესიო მწერლობის განწყობალებას საბრძოლო ხასიათი მიუღია და მათ შორის გარკვეული ანტაგონიზმი დამყარებულა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებამ თავისი გაიტანა და საერო მწერლობამ ძლევამოსილად გაიკაფა გზა საზოგადოებაში.

V

ჩვენი ძველი საერო მწერლობის შესწავლის საქმე შემდეგ სურათს იძლევა.

ჯერ კიდევ დაცემის ხანაში ვეფხისტყაოსნისა რომელიცა შემავსებელს თხზულებისთვის დაურთავს ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ერთი სტროფი, რომელიც გვაწვდის საყურადღებო ცნობას კლასიკური პერიოდის მწერლობიდან:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ზონელსა,
 აბდულ-მესია შვეთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
 ილარავთ სარგის თმოგველსა, მას-ენა დაუშრომელსა,
 ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.

ამგვარივე ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობას გვაწვდის ჩვენ ამირან-დარეჯანიანის შესახებ ბაკრატ მუხრანბატონი (XVI ს.) იმ ანტიმაჰმადიანურ პოლემიკურ ნაწარმოებში, რომლის ამონაწერი უკვე მოვიყვანეთ ზემოთ. უფრო მეტ ცნობებს გვაძლევს არჩილ მეფე თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებისა წინასიტყვაობის მეორე თავში, რომელსაც ეწოდება ძველთა და ახალთა საქართველოს მოღვექსეთათჳსა. ის აქ ასახელებს შემდეგ მწერლებს: ჩახრუხაძეს, ხოსრო თურმანიძეს, ნანუჩა ციციშვილს, ჯაგლაგა ფავლენიშვილს, ქაიხოსროს, ნოდარ ფარსადანისძეს, გარსევან ჩოლოყაშვილს, სულხან თანიაშვილს, ბარძიმ ვაჩნაძეს, იაკობ სამებელს, ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს, რუსთაველს, თეიმურაზ პირველს, ბააკა დვალიძესა და დათუნა ქვარიანს.

¹ Е. Тахаѣшвили, Описание рукописей, I, гл. 524—525.

უფრო მეტსა და საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს შეიცავს ანტონ კათოლიკოსის «წყობილისტიყვაობის» მეშვიდე ნაწილი, რომელსაც ეწოდება—თუხ ქართულთა სიბრძნის მოყუარეთა კაცთა მწიგნობართა. საერო მწერალთა შესახებ ლაპარაკია ამ ნაწილის მერვე თავში. მწერალნი და მოღვაწენი ჩამოთვლილი არიან მეთერთმეტე საუკუნიდან ავტორის დრომდე. ავტორი ახასიათებს მათ რიტორიკულ-სქოლასტიკური იამბიკობით და ზოგიერთ შემთხვევაში შრომასაც ასახელებს. მართალია, ბევრი რამ ავტორს გადმოცემიდან და ზეპირსიტყვაობიდან შემოაქვს, ბევრი მისი ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ, როგორც ისტორიულ-ლიტერატურული სისტემატიზაციის პირველი ცდა, თხზულება საპატიოა.

ანტონ კათოლიკოსის დასახელებული შრომა საფუძვლად დადებია იოანე ბატონიშვილის თხზულებას, რომელსაც შეეკვება მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის¹ და რომელშიაც მიმოხილულია ჩვენი მწერლები მეთერთმეტე საუკუნიდან. უფრო საყურადღებოა ამ შრომის მეორე ნაწილი, რომელიც მთლიანად იოანეს ეკუთვნის და რომელშიაც ჩამოთვლილია XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის მოღვაწენი და მწერალნი. ეს ნაწილი დამყარებულია ავტორის მიერ შეკრებილ, ნახულსა და გაგონილ ცნობებზე, რომელნიც, მართალია, არაიშვიათად ლეგენდური ელფერით არიან მოსილი, მაგრამ მაინც საინტერესო მასალას გვაძლევენ.

კრიტიკული ისტორიულ-ლიტერატურული მუშაობის ჩანასახი ამ სფეროში ჩვენ გვაქვს «ეფუხისტყაოსნის» 1712 წლის გამოცემაში, რომელშიაც დასმულია საკითხი რუსთაველის ნაშრომის ნამდვილი მოცულობისა² და მისი სურეტის ორიგინალობის შესახებ. ნაყოფიერი და სისტემატური ისტორიულ-კრიტიკული მუშაობა დაიწყო XIX საუკუნეში. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შრომები მ. ბროსესი, რომელმაც ამდენი ღვაწლი დასდო, საზოგადოდ, ჩვენი წარსულის შესწავლას. ის აგროვებდა ცნობებს ქართული ლიტერატურული ძეგლების შესახებ, კრიტიკულად იკვლევდა ამა თუ იმ კერძო საკითხს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიიდან, და ერთ-ერთ თავის შრომაში მან მოგვცა ბიბლიოგრაფიული ცნობები, კერძოდ, ქართულ პოეტურ ნაწარმოებზე შესახებ³.

ჩვენი ძველი საერო მწერლობის შესწავლაში მ. ბროსეს შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა პ. იოსელიანმა, რომელმაც მოახერხა გამოცემა ამ მწერლობის რამდენიმე საყურადღებო ძეგლი და თავის კერძო გამოკვლევა-მონოგრაფიებში, თუ სხვათა თხზულებების სქოლიოებში მოგვცა დიდძალი ისტორიულ-ლიტერატურული მასალა, მართალია, ახლა უკვე მოძველებული

¹ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეილიძისა და ჯლ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1948 წ., გვ. 162—214.

² თუმცა საკითხი პოემის მოცულობის შესახებ უფრო ადრე არჩილმა წამოაყენა, როდესაც თეიმურაზის პირით უთხრა რუსთაველს: «ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითა-ჟსაა-ო».

³ De la littérature romanesque géorgienne, «Mélanges Asiatique», t. VIII.

და უკრიტიკოდ მიუღებელი, მაგრამ თავისი დროისათვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო.

უფრო ნაყოფიერი მუშაობა დაიწყო მას შემდეგ, რაც ჩვენში საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურულ ძეგლთა კონცენტრაციას სხვადასხვა საბუხეუმო კოლექციის სახით. ამ მხრივ საყურადღებოა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, ასევე ქართველთა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, ასევე ქველსიო მუზეუმი, პეტროგრაღის საჯარო წიგნსაცავისა და სააზრო მუზეუმის ქართული კოლექციები, რომელთა შორის მომეტებული და მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე თბილისშია გადმოტანილი, და სხვ. ამ მუზეუმებში თავმოყრილია ჩვენი წარსული ლიტერატურული შემოქმედების მთელი საღარო, რაც კი დროთა ვითარებას გადაარჩენია და მკვლევართა და გამოკვლევლთათვის ხელმისაწვდომია. ამით აიხსნება, რომ სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლებიდან ინტენსიური მუშაობა იწყება ამ ძეგლების შესწავლა-გამოკვლევებისათვის. ამ მხრივ საყურადღებო შრომა გაუწვიათ და შესამჩნევი ღვაწლი დაუღვიათ: პროფესორებს დ. ჩუბინაშვილს, ა. ცაგარელს, ა. ხახანაშვილს, მ. ჯანაშვილსა და ე. თაყაიშვილს (უკანასკნელმა მეცნიერულად აღწერა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის) საერო ლიტერატურის ძეგლთა მნიშვნელოვანი ნაწილი), ი. ყორღანიას, დ. კარიჭაშვილს, ზ. ჭიქინაძეს, ს. გორგაძეს. აკად. ნ.-მარმა გამოაქვეყნა რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომი: 1) მონოგრაფია ქართული საერო მწერლობის აღმოცენებისა და აყვავების შესახებ, 2) კრიტიკული ისტორიული ლიტერატურული შენიშვნები ცალკეული ძეგლების (ამირანდარეჯანიანი, ვეისრამიანი, ფეფხისტყაოსანი, შაჰნამე, რუსულდანიანი) შესახებ და 3) კლასიკური ხანის მეხოტბეების აკადემიური გამოცემა. მნიშვნელოვანია ნ. მარის ღვაწლი კლასიკური პერიოდისა და იმდროინდელი მწერლობის ხასიათისა და მიმართულების შესწავლისა და შეგნების საქმეში, თუმცა მის საერთო ისტორიულ-ლიტერატურულ კონცეფციას მთლიანად ვერ ვავიზიარებთ.

გივანტური ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი ძველი საერო მწერლობის შესწავლის საქმე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მკვეთრად წამოაყენა ლოზუნგი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულად შესწავლისა და ათვისების შესახებ, ყოველნაირ პირობას ქმნის ამ ლოზუნგის რეალიზაციისათვის. ძველი საერო მწერლობის შესწავლისა და დამუშავების ასპარეზზე ახლა მუშაობენ: იუსტ. აბულაძე, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, მგოსნები—ი. გრიშაშვილი და გ. ლეონიძე, განსაკუთრებით კი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრისა და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წევრები. ასე, მაგალითად, პროფ. ა. ბარამიძემ სხვებთან ერთად თუ საკუთრად გამოსცა თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, ბესიკი, ქეილილა და დამანა და სხვ. მასვე ეკუთვნის რიგი მეცნიერული ნაარკვევები ამ ლიტერატურის ისტორიიდან სამ ტომად. კათედრის წევრების მონაწილეობით გამოიცა ვეისრამიანი, შაჰნამეს მეორე ტომი,

ეკალმასობა და «ვეფხისტყაოსნის» საიუბილეო რედაქცია როგორც 1937, ისე 1951 და 1957 წლისა. ნაყოფიერად მუშაობდა უდროოდ გარდაცვლილი გ. ჯაკობია.

ასეთია მუშაობა ჩვენი საერო მწერლობის ისტორიაში. ამ მწერლობის მთლიანი, სისტემატური ისტორია წარსულში არ არსებობდა, თუმცა ცდა კი ყოფილა ამგვარი შრომისა. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ განსვენებული ზ. ჭიჭინაძე, რომელსაც გამოუცია ჩვენი ძველი ლიტერატურის არა ერთი და ორი ძველი და უცვლია კიდევაც მისი სისტემატურად მიმოხილვა. აღსანიშნავია მისი შემდეგი შრომები: 1) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, 2) ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტემდე, 3) ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში. სამწუხაროდ, ზ. ჭიჭინაძე ცნობილ მწერალთა და თხზულებათა შესახებ გადმოგვცემს ზმირად შეუმოწმებელ ცნობებს. გარდა ამისა, გვაძლევს ნუსხას ისეთი მწერლებისა და თხზულებებისას, რომელთა შესახებ დღეს არაფერი ვიცით, და არ აღნიშნავს, საიდან ამოიღო მან ასეთი ცნობები. ასეთია, მაგალითად, «გოსტაშვიანი», «ქაშაშვიანი», «ამირმუსარაიანი», «მარგალიტიანი», «თანგირიანი», «ჯამაშვირიანი», «უსუფუასიმიანი», «საფანე გმირთა», «ჯამი-აბასი» და სხვ. პირდაპირ გული გიკვდება, როდესაც გგნის, რომ ეს თხზულებები მას თითქოს წაუკითხავს, ყოველ შემთხვევაში, უნახავს, ხელში ჰქონია, და არ გვეუბნება, სად ნახა ისინი, რა შინაარსისა იყო და რა იქნა?

ზ. ჭიჭინაძის ცდა რამდენადმე საფუძვლად დაედო განსვენებული ა. ხახანაშვილის სამტომიან შრომას, რომელსაც ეწოდება «Очерки по истории грузинской словесности» და რომელშიც მიმოხილულია ძველი მწერლობა. ქართულად გადმოკეთებული ეს სახელმძღვანელო გამოყენებული იყო ერთ დროს ჩვენ სკოლებში, ვინაიდან სხვა არ მოგვეპოვებოდა. ა. ხახანაშვილი ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიას აწვებებს უმთავრესად დაბეჭდილ ძეგლებზე, და ვინაიდან დაბეჭდილი და გამოცემული მის დროს ცოტა იყო, მისი ისტორია სრული და მასალის ამომწურავი არაა. როგორც უნდა იყოს, ეს იყო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემაში მოყვანის პირველი სერიოზული ცდა, ცდა, რომელსაც თავისი დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმთავისადაც, ვინც ქართული არ იცოდა.

1954 წელს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გამოუშვა კოლექტიური შრომა (კ.-კეკელიძისა და ა. ბარამიძისა) «ძველი ქართული ლიტერატურა» (V—XVIII სს.), რომელიც გამიზნულია უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოდ. ამასთან ერთად, მან უნდა დაეკმაყოფილოს ჩვეულებრივი მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილება ჩვენი ძველი მწერლობის განვითარების ისტორიული პროცესის შესაცნობლად. თავისი მიზნისათვის შრომა საკმარისია; შავრამ ის მაინც ვერ ამოწურავს თავისებოთ გარდასული საუკუნეების ჩვენს მდიდარსა და საინტერესო მწერლობას, საჭიროა მისი გაფართოება და შევსება.

VI

ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორია სამ პერიოდად განიყოფება.

პირველი პერიოდი, რომელიც განვითარებული აპატრონემური ფეოდალიზმისა და ფეოდალური მონარქიის ხანას ემთხვევა, არის ქართული კულტურისა და ლიტერატურის კლასიკური ხანა. ეს პერიოდი იწყება მეათე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან, როდესაც საფუძველი ეყრება საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებასა და პატრონემურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებას. როდესაც ამ პერიოდის მწერლობას „კლასიკურს“ ვუწოდებთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი მწერლობა, როგორც საერო, ისე საეკლესიოც. თუმცა, თუ ზოგადი ხასიათი გვეჩვენა მხედველობაში, ასეთი სახელი ამ პერიოდის საერო ლიტერატურაზედაც ზედგამოჭრილია: ამ პერიოდმა მოგვცა ჩვენ საერო მწერლობაშიაც საუკეთესო, შეუღარებელი თხზულებები, რომელნიც სამაგალითოდ, მისაბამად შეიქნენ შემდეგი დროისა და პერიოდისათვის, მაგალითად ვეფხისტყაოსანი. არ შეიძლება ამ პერიოდის დასასრული დავდოთ არც XII საუკუნის ბოლოს, არც XIII საუკუნის მეორე ათეულის გასულს, მონღოლების პირველი შემოსევის წელს, როგორც ეს მიღებულია ჩვენში. მართალია, ჩვენი ისტორიის კლასიკურ პერიოდს მონღოლებმა მოუღეს ბოლო, მაგრამ არა მაშინვე, პირველი შემოსევისას, არამედ გაცილებით გვიან, არაუადრეს სამოციანი წლების დამდეგისა. ცნობილია, რომ კულტურის ფორმები შლას იწყებს აღრე თუ გვიან მას შემდეგ, რაც პოლიტიკური და ეკონომიური რღვევა დაიწყო. ასე იყო საქართველოშიც: მონღოლების შემოსევის შემდეგ, სამოციანი წლების დაწყებამდე, როდესაც მონღოლთა ეკონომიურმა პოლიტიკამ გარდაუვალი ინტერვალი დაამყარა ძველსა და ახალს შორის, კიდევ გრძელდება კულტურული ლიტერატურული შემოქმედება.

ჩვენი საერო მწერლობის კლასიკური პერიოდი თავის მხრივ ორ ხანად შეიძლება გაყოფილი იქნას. პირველ ხანაში, მეათე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მეთორმეტის ნახევრამდე, საერო მწერლობას ჯერ თამამად და მთლიანად ვერ გაუშლია ფრთები ვერც შინაარსისა და ვერც ფორმის მხრივ; ამ პერიოდის მეორე ნახევარს, რომელიც ერთ საუკუნეს გრძელდება, მეთორმეტის ნახევრიდან მეცამეტის სამოციან წლებამდე, ნამდვილი კლასიკური ხანაა. ამ დროს მძლავრად გაუშლია ფრთა ქართველთა შემოქმედებითს ნიქსა და ფანტაზიას და მას იმდენი ძალა მოუკრებია, რომ მოუცია ორიგინალური შემოქმედების ისეთი მარგალიტები, როგორცაა ვეფხისტყაოსანი, თამარინი, ე. წ. აბდულმესიანთ და დღეს დაკარგული დილარინი. თხზულებები იწერება როგორც პროზით, ისე საუცხოო, ნარნარი ლექსით.

ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორიის მეორე პერიოდი, რომელიც მეცამეტე საუკუნის ნახევრიდან მეთხუთმეტე საუკუნის დამლევამდე გრძელდება, ემთხვევა ფეოდალური მონარქიის თანდათანობითს რღვევასა და დაშლას. ამ ხანას ჩვენ გამოვყოფთ ცალკე პერიოდად არა

იმიტომ, რომ მას მოეცეს ჩვენი მწერლობისათვის რაიმე ახალი მიმართულება და ახალი იდეები, გაემდიდრებინოს იგი ახალი და მნიშვნელოვანი ორიგინალური თუ ნათარგმნი ნაწარმოებებით. ანდა შეექმნას ახალი კულტურულ-ლიტერატურული ცენტრები, არამედ სულ საწინააღმდეგო მოვლენათა მიზეზით: ეს არის მწერლობის დაკნინებისა და დაცემის პერიოდი. თუ ამ მწერლობის წინა პერიოდი იყო „კლასიკურია ხანა მისი ზრდა-განვითარებისა, ეს პერიოდი შეიქნა „კლასიკურია ხანა მისი დაქვეითებისა. ამ მოვლენის მიზეზად უნდა ჩაითვალოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების უსახლერო დაცემა-დაკნინება, შეიძლება ითქვას, განადგურება. ეს უკანასკნელი კი გამოწვეული იყო მონღოლების შემოსევითა და გაბატონებით. როდესაც მონღოლთა დამპყრობლობითი ტალღა საქართველოს საზღვრებს მოაწყდა, ფეოდალური მონარქიის კედლები მძლავრად შეიძრა, ხოლო, როდესაც ეს ახალი ძალა აქ საბოლოოდ დამკვიდრდა და თავისი ეკონომიური პოლიტიკა გაბატონდა, ამ მონარქიისაგან ცოტა რამ დარჩა. მონღოლების ბატონობამ მოშალა სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც მერე აღარ გამთელებულა. მოისპო ცენტრალიზებული მონარქიული ხელისუფლება და ქვეყანაში კვლავ გაბატონდა ფეოდალური პარტიკულარიზმი. დაეცა ვაქრობა, დაცარიელდა ქალაქები და სოფლები, მოდუნდა საქალაქო ცხოვრება, გაბატონდა კარჩაიკეტილი ნატურალური მეურნეობა, მისი სიმძიმე კისერზე დააწვა განსაკუთრებით გლეხებს. შეიმუსრა განათლებისა და მწერლობის ცენტრები. ახლა ყველა იმისათვის ზრუნავს, რომ როგორმე თიზიკური არსებობა შეინარჩუნოს. ამ პირობებში კი, თავისთავად ცხადია, შეუძლებელი გახდებოდა ლიტერატურული მუშაობა და შემოქმედება, კერძოდ საერო ლიტერატურის დარგში. შეირყა თუ არა პატრონჟურული ურთიერთობის პრინციპი ყოფილ მონარქიაში, ჩაქრა თუ არა ბრწყინვალემა ცენტრალიზებული მონარქიის სასახლისა, რომელშიაც უმთავრესად შეფარებული იყო საერო ლიტერატურა შესუსტდა და დაეცა ეს უკანასკნელიც. ამის მეოხებით ჩვენი ლიტერატურული ჰორიზონტი წყვედიადმა მოიცვა და წინა დროის ლიტერატურული მემკვიდრეობაც კი განიავდა და დაიშრიტა, დაიკარგა და წაირყვნა მრავალი ლიტერატურული ძეგლი. აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: მართალია, კულტურა და მწერლობა ამ ხანაში დაქვეითდა და დაკნინდა, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მდგომარეობა „გაველურებამდე“ მივიდა, როგორც ჩვენი ისტორიკოსები ამბობენ. მცირე მასშტაბით, მაგრამ ზოგი რამ ამ პერიოდშიც გაკეთებულა¹.

მესამე პერიოდი ჩვენი საერო მწერლობის ისტორიისა, რომელიც მოგვიანო ფეოდალიზმის ხანას ემთხვევა, დაახლოებით სამ საუკუნე ნახევარს გრძელდება. ეს არის კულტურისა და, კერძოდ, მწერლობის გამოცოცხლება-გამოღვიძების ხანა. ამ პერიოდში იმდენად მოიპაგრა წელი ჩვენმა მწერლო-

¹ კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ვტიუდები, II, გვ. 314—324.

ბამ, რომ, შესაძლებელია, დაცემა-დაკნინების პერიოდთან შედარებით, ალორძინების ხანა ვუწოდოთ მას. უკრ ამ პერიოდის ფარგლების შესახებ.

ჩვენი მწერლობის ალორძინების ხანა მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგიდან უნდა დაიწყოს. რაც უნუგეშო და უილაჯო უნდა ყოფილიყო ქართველების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება ამ ხანაში (ამის შესახებ თავის ადგილას გვექნება ლაპარაკი), მონღოლთა ბატონობის, განსაკუთრებით თემურლენგის რბევა-აწიოკების ხანასთან შედარებით, მეთხუთმეტე საუკუნის გასულიდან დაწყებული, იგი მაინც გაუმჯობესების ნიშნებს იძლევა, ეს კი იმის გარანტია იყო, რომ, ამასთან დაკავშირებით, კულტურული-ლიტერატურული ცხოვრებაც ამ ხანიდან გაუმჯობესებას შესძლებდა. ამასთან დაერთო კიდევ შემდეგი გარემოება. მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და ძლიერდება ქართველების მისვლა-მოსვლა და კავშირი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. ამ კავშირის მიზანი იყო ომი ოსმალების წინააღმდეგ კონსტანტინოპოლის, მცირე აზიისა და საქუთარი თავის განთავისუფლების მიზნით¹. ეს ის დრო იყო, როდესაც ევროპაში იწყებოდა ჰუმანიზმი და რენესანსი, ხელოვნებისა და მეცნიერების ალორძინება. ქართველები ამ მისვლა-მოსვლისას ძალაუნებურად ეცნობოდნენ ევროპული ჰუმანიზმის მიღწევებს, ახალ აზრებსა და ცხოვრების მიმართულებას.

აი, რატომ ვიწყებთ ჩვენ ალორძინების პერიოდს მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგიდან. ახლა ორიოდე სიტყვა მისი დასასრულის შესახებ.

ჩვეულებრივ, ამ პერიოდს ათავებენ XVIII საუკუნით, რადგანაც XIX საუკუნის დამდეგიდან იწყება ახალი, როგორც იტყვიან, რუსულ-ევროპული ხანა ჩვენ ცხოვრებაში და, ამასთან დაკავშირებით, ლიტერატურაშიც. მაგრამ ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციები უცბად არ შეწყვეტილა. მათი გამოძახილი XIX საუკუნის პირველ მეოთხედშიაც გვესმის. ამ დროს ლიტერატურაში ძველ ნაკადს მეტი წარმომადგენელი ჰყავს, ის უფრო მსხვილი, ძლიერი და მრავალფეროვანია, ვიდრე ახალი². ეს არ უნდა გვაიწყებოდეს არც ძველი, არც ახალი ლიტერატურის ისტორიაში.

წინამდებარე შრომა სამი ნაწილისაგან შედგება: პირველში მიმოხილულია კლასიკური პერიოდის ლიტერატურა, მეორეში — დაცემა-დაკნინებისა, მესამეში კი — ალორძინების ხანისა.

¹ ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი: *Отъязки в Грузии на падение Константинополя (к 500-летию взятия Константинополя турками)*, ტიპუღები, III, თბ., 1955 წ., გვ. 87—95.

² კ. კ. კ. ლ. ი. ძე, ქართული ფოლკლორის ლიტერატურის პერიოდიზაცია, გვ. 51—55.



შოთა რუსთაველი

კლასიკური პერიოდის ლიტერატურა

კლასიკური პერიოდის ზოგადი დახასიათება

იმისათვის, რომ გავიგოთ როგორ და რამ წარმოშვა ქართული კულტურულ-ლიტერატურული კლასიციზმი და ჰუმანიზმი, რომელმაც რამდენიმე საუკუნით დაასწრო დასავლეთ ევროპის რენესანსს, აუცილებელია, რეტროსპექტულად მაინც, შევხედოთ X—XIII საუკუნეთა ქართული საზოგადოების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების პირობებსა და თავისებურებას¹.

I

IX საუკუნის დამლევს საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ოთხ ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, როგორცაა: ქართველთ სამეფოა ტაო-კლარჯეთში, არაბთა თბილისის საამირო, კახეთის საქორიკოზო და აფხაზეთის სამეფო, რომელიც უკვე X საუკუნიდან ზოგადი ქართულ კულტურულ-პოლიტიკური მშენებლობის მონაწილეა. ამ პოლიტიკური ერთეულების ჩასახვის მიზეზად უნდა ვიგულისხმოთ, მოსახლეობის ზრდითა და სამეურნეო ცხოვრების განვითარებით გამოწვეული, იმ ძალის შესუსტება, რომელსაც არაბთა ბატონობა ეწოდებოდა და რომლის მძიმე უღელქვეშ იმყოფებოდნენ ქართველი ტომები. არაბთა ხალიფატის დაშლა-რღვევამ, რომელიც მერვე საუკუნის ნახევრიდან იწყება, IX საუკუნის ბოლოს უმაღლეს წერტილს მიაღწია. ცენტრიდან გამოყოფა, სხვებთან ერთად, უნდოდა თბილისის საამიროსაც, რომელიც X საუკუნეში უკვე ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულად გვევლინება. ხალიფატის დასუსტებითა და დაშლით არ შეიძლება არ ესარგებლათ ქართველებს და არ აღედგინათ თავისი დიდი ხნით დაკარგული დამოუკიდებლობა.

X საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან იწყება ამ ერთეულების გაერთიანების პროცესი და ეთნიკური სახელწოდების ქართლის-ს გარდაქმნა კულტურულ-პოლიტიკურ ტერმინად «საქართველო». ეს პროცესი სრულდება XII

¹ ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ვითარება რუსთაფლის ეპოქაში, კრებ. «შოთა რუსთაფლი სკოლაში», თბ., 1937 წ., გვ. 1—27.

საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს, დავით აღმაშენებლის დროს, რომლის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ხელს უწყობდა არა მარტო ეკონომიური წარმატება ჩვენი ქვეყნისა მის დროს, არამედ მის მიერ შექმნილი მულღვი რეგულარული ჯარიც და მისი მეფობის დროს დაწესებული ჯვაროსნული ომები, რომელთაც მაჰმადიანთა, განსაკუთრებით კი სელჯუკების, ყურადღება ააცილა საქართველოს და მიმართა პალესტინისა და ევროპისაკენ. საქართველოს ფეოდალურ ძალთა დამოკიდებულება ამ პროცესისადმი სხვადასხვანაირი იყო. წერილი მემამულე აზნაურობა და მასთან შედარებით ახლომდგომი გლეხობა, რომელნიც ოცნებობდნენ ცენტრალიზებული ხელისუფლების საშუალებით რამდენადმე მაინც შეემსუბუქებინათ მსხვილი დიდგვარიანი ფეოდალებსაგან დამოკიდებულების უღელი, ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეწყობთ ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ამ საქმეს ხელს უწყობდნენ აგრეთვე ეკლესია, ცენტრალიზებული ხელისუფლების პრინციპული მომხრე, და სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელი, რომელნიც ვერ შეარიგებოდნენ პოლიტიკურ-ოლქობრივი საზღვრებისა და საბაჟო ზღუდეების არსებობას. ცენტრალიზებული ხელისუფლებით მსხვილი ფეოდალებიც იყვნენ დანტერესებული იმ პირობით, თუ მათი პრივილეგიების ხელშეუხებლობა შედარებით დაცული იქნებოდა. ეს ხელისუფლება მათ მიაჩნდათ იმ ორგანოდ, რომლის ირგვლივ გაერთიანდებოდნენ ისინი გარეშე მტერთან საბრძოლველად. მაგრამ, ვინაიდან იშვიათი იყო მათ შორის ისეთი ფეოდალი, რომელსაც არ ჰქონდა თავისი გავლენისა და მნიშვნელობის შესუსტების შიში, ისინი აწარმოებდნენ განუწყვეტელ ბრძოლას მათთვის არასასურველ ხელისუფალთა წინააღმდეგ და ამით ხელს უშლიდნენ ცენტრალიზაციის პროცესს. მსხვილი ფეოდალები ვერ შერიგებოდნენ ამ პრინციპს, რომელიც უფრო და უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას, მაგ., თამარის მეფობის დროს იქამდე მივიდნენ, რომ თავისებური პარლამენტარიზმის შემოღებაც კი მოითხოვეს.

ცენტრალიზებული ხელისუფლების წარმომადგენელი ფეოდალური არისტოკრატის ასეთ მუხანათობას უპასუხებდნენ სხვადასხვა სახის მკაცრი სასჯელით, როგორცაა: მამულებისა და თანამდებობათა ჩამორთმევა, გადასახლება, დაპატიმრება, დასახიჩრება და სამშობლოდან განდევნა. მაგრამ ხშირად მათზე საწინააღმდეგო მორალურ-ჰუმანური ზემოქმედების საშუალებებიცაა მოქმედებდნენ. ამ საშუალებათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული იყო უკმაყოფილო პირთა აშეწყობა, ესე იგი მამულების ან სხვადასხვაგვარი სახელმწიფო თანამდებობის ბოძება. უკანასკნელი საშუალება ისახავდა იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც, სხვათა შორის, ასე მკვეთრად და ლამაზად გამოთქმულაა «ფეხნისტყაოსნის» ავტორის მიერ: «უხვი ახსნილსა დაბამს, იგი თვით ების, ვინ ების».

შინაურ მტერთა და გარეშე დაბრკოლებათა წინააღმდეგ დაუსვენებელ ბრძოლაში საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა ძლიერი ფეოდალური მონარქია, რომელმაც დიდებისა და ძლიერების ზენიტს თამარ მეფის დროს

შიაღწია. ეს მონარქია, რომელსაც წინა აზიის საერთაშორისო პოლიტიკის რთულ საკითხებში ძალაუვნებურად ანგარიშს უწევდნენ, აერთიანებდა არა მარტო წმინდა ქართულ ფეოდალურ ერთეულებს, რომლებიც მის მთავარ დასაყრდენს შეადგენდა, არამედ ზოგიერთ არაქართულ, მაჰმადიანურ და ქრისტიანულ, სამფლობელოებსაც. ასეთია, მაგ., შირვანის სამთავრო და სომხ ბაგრატილთა ანისის სამეფო, აგრეთვე მთელი რიგი კავკასიის მთიულეებისა. ვარდა ამისა, თამარის გავლენის სფეროში ცდებოდნენ მოექციათ არანის სათაბაგო და თამარის მეოხებით შექმნილი ტრაპიზონის იმპერია. ამრიგად, XII საუკუნის დასასრულსა და მეცამეტის დამდეგს ქართული ფეოდალური მონარქია ტერიტორიულად შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ჩრდილო კავკასიიდან სპარსეთის აზერბაიჯანსა და არზრუმამდე აღწევდა. ამ დროისათვის საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი მ მილიონს აღწევდა. აღნიშნული მონარქიის სადარაჯოზე იდგა: ყიფჩაყებისაგან შემდგარი მუდმივი, რეგულარული არმია, რომელიც დავით აღმაშენებლის მიერ იყო შექმნილი, და, როგორც ჩანს, თამარის დროსაც განაგრძობდა არსებობას (თამარის მეფობის ხანაში იხსენიება ძველი და ახალი ყიფჩაღები); შემდეგ, რაინდთა რთული კორპორაცია, რომლის დროშაზე სამშობლოსათვის დასამსახურია აღინიშნებოდა, და, ბოლოს, ფეოდალთა მიერ თავის სამფლობელოთაგან გამოყვანილი მრავალრიცხოვანი სახალხო ლაშქარი. მახვილი მებრძოლი ფეოდალებისა, რომელნიც მიმართავდნენ ხოლმე ხელისუფალთა შემდეგად სიტყვებით: «არ არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა», ხშირად ირანის შორეულ პროვინციებშიც კი, თათქმის ხეარასანამდე, იჭრებოდა. ძლევაშოსილი ომების საშუალებით ქართველები აზიაში იხვეჭნენ ძალასა და დიდებას. უცხოელ ისტორიკოსთა სიტყვების მიხედვით, საქართველოსა და სულტანის სამფლობელოთა შორის დამყარდა ისეთი ურთიერთობა, რომ ქართველები იერუსალიმში არ იხდიდნენ არავითარ საპილიგრიმო ხარკს.

ფეოდალური მონარქიის შექმნა გაგებული უნდა იყოს უფრო როგორც გარეგანი გაერთიანება მანამდე ერთმანეთისაგან გათიშული ფეოდალური ერთეულების ანუ სამეფოებისა, რომელთაც გაერთიანების შემდეგაც შეინარჩუნეს თავისი ყოფაცხოვრების თავისებურებანი. ყოველ შემთხვევაში, ისტორიკოსები გვეუბნებიან, რომ გაერთიანებული საქართველოს ხელისუფალნი თავისი სამფლობელოს ყოველ კუთხეში, სამართლისა თუ სხვა საკითხების გადაწყვეტის დროს, მთლიანად იცადნენ «ადგილობრივ ჩვეულებებს». ასეთი ერთეული მაშინ სულ შეიდი მოიპოვებოდა. ამიტომ ისტორიკოსები ხშირად იხსენიებენ «შვიდ სამეფოს» და იხსენიებენ ისე დაბეჯითებით, რომ ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი ფიქრობს, რომ ვეფხისტყაოსნის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია «შვიდი სამეფოსაგან» შემდგარი ინდოეთის შესახებ, ნაგულისხმევია «შვიდსამეფოვანია საქართველო».

გაერთიანებული სამეფოს სითავეში იდგა მეფე, «მეფეთა მეფე», რომლის განკარგულებაშიც იყო შესაფერის ვეზირთა უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო მმართველობის მოქნილი და ელასტიკური აპარატი. შეუზღულდველი მონარქის პერსონა თავისი ბრწყინვალე სამეფო კარით იმდენად

დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ქვეშევრდომებზე, მათ შორის თვით ურჩ და მოუსვენარ ფეოდალებზედაც კი, რომ მონარქს, ისტორიკოსთა ცნობით, ლვთისა სწორსა უწოდებდნენ. ეპოქის შეხედულებით, მეფის ხელისუფლება იყო ღვთაებრივი წარმოშობისა (ენებითა ღმრთისაჲთაჲ), რის გამოც იგი სი-ცოცხლეშივე აპოთეოზის შარავანდელით იყო მოსილი. მეფის გარდაცვალებისა და დასაფლავების შემთხვევაში მიმართავდნენ სხვადასხვა სამგლოვიარო ცერემონიალს, როგორც არის, მაგ., «შეძაძვა, დათალხვა, თმისა და წვერის მოპარსვა, მთელი წლის განმავლობაში ბნელში ყოფნა და სხვ. (ასე მოიქცა, ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ტარიელიც თავისი მამის სიკვდილის შემდეგ). ახალი მეფის ტახტზე ასულა წარმოებდა გარკვეული რიტუალით, რომლის დროსაც უხვად გაიცემოდა ძვირფასი საჩუქრები როგორც მეფის, ისე ქვე-შევრდომთა მხრივ (ამ საზეიმო ცერემონიალის აღწერა მოცემულია ვეფხის-ტყაოსანში თინათინის გამეფების ეპიზოდის სახით).

მონარქის ხელისუფლება, სასტიკად დატული ლეგიტიმიზმის პრინციპის თანახმად, მემკვიდრეობითად ითვლებოდა ბაგრატიონთა დინასტიაში, რომელნიც თავის წარმოშობას უკავშირებდნენ ებრაელთა მეფის, ლვთის მამისა, დავითის სახელს. ძალიან ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მეფე სი-ცოცხლეშივე გადასცემდა სამეფო ტახტს თავის მემკვიდრეს, რაც აღწერილია როგორც ისტორიკოსების მიერ, ისე ვეფხისტყაოსანში (არაბეთის მეფე როსტევანი). აქვე აღსანიშნავია, რომ მეფის ხელისუფლება გადაეცემოდა არა მარტო მამრობითი, არამედ, თუ მეფეს ძე არ გააჩნდა, მღვდრობითი სქესის შთამომავალთაც. ვაეხსენოთ თამარ მეფე ისტორიიდან და თინათინი ვეფხისტყაოსნიდან.

II

აღწერალ ეპოქაში ქვეყნის სოციალურ დიფერენციაციას ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული. საზოგადოებრივ ცხოვრებაში წამყვანი როლი ეკუთვნოდა ფეოდალთა კლასს, რომელიც იძლევა ორ განსტობებას—საეროსა და სასუ-ლიეროს. საერო ფეოდალები განიყოფებოდნენ შემდეგ კატეგორიებად: 1) მსხვილი და წვრილი მემამულენი, 2) დიდგვარაინნი (წარმოშობით) აზნა-ურნი, 3) დიდებულნი, მსხვილი მემამულენი, რომელთაც ეკავათ რაიმე სა-ხელმწიფო თანამდებობა (მაგ., ერისთავის, მხედართმთავრის, მელიქისა და სხვ.), 4) ცხენ-სიმაგრეებისა და ქალაქების მფლობელი ფეოდალები და, პირი-ქით, რომელთაც ასეთები არ ჰქონდათ, ფეოდალური არისტოკრატიის აღ-ნიშნულ კატეგორიათა შორის იყო განუწყვეტელი ბრძოლა და კინკლაობა წო-ლებრივ პრივილეგიათა და უპირატესობათა მოსაპოვებლად. ეს ბრძოლა მნიშე-ნელოვნად აფერხებდა მთლიანი სახელმწიფოებრივი მექანიზმის მუშაობას.

ეკლესია, რომელიც ერთ-ერთ უმსხვილეს ფეოდალურ ერთეულს წარმო-ადგენდა, «პატრიარქის» ინსტიტუტის დაწესებით, საერო ცენტრალიზაციის მსგავსად, შეუდგა თავის ფარგლებში სასულიერო ცენტრალიზაციის პრინცი-პის გატარებას. იგი აღწევს დიდებისა და ძლიერების ზენიტს იმდენად, რომ მისი რიგებიდან ინიშნებიან ვაზირთუხუცესნი, რომელთა დაუკითხავად არ შეიძლებოდა გადაწყვეტილყო რომელიმე, ცოტად თუ ბევრად, მნიშვნელო-

ვანი საქმე. ამასთან ერთად, ეკლესიას ენიჭება კურთხევის დროს მეფისათვის თავზე სამეფო გვირგვინის დადგმისა და «ცხების» პრივილეგია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ძლევამოსილი მონარქიის შექმნასთან დაკავშირებით, ეკლესია, რომელიც სახელმწიფოებრივი მექანიზმის ერთ-ერთ ორგანოდ გადაიქცა, მაინც ჰკარგავს იმ განსაკუთრებულ გავლენასა და მნიშვნელობას, რომელიც მას ჰქონდა X საუკუნემდე, რადგან მონარქის ხელისუფლება, უმთავრესად, საერო-სამხედრო ფეოდალობას ეყრდნობოდა და პირველ რიგში აწინაურებდა მათ წარმომადგენელთ. ეკლესია ყოველნაირად უწყობდა ხელს ცენტრალიზებული მონარქიის გაძლიერებას, მაგრამ თავისი იმუნიტეტის დასაცავად მას ხშირად ჰქონდა ხელისუფლებასთან კონფლიქტი.

ამავე ეპოქის მეორე საზოგადოებრივ კლასს წარმოადგენს გლეხობა, რომელიც იყოფოდა მესაკუთრედ და დამოკიდებულებაში მყოფად. დამოკიდებულებაში მყოფი გლეხები იყოფოდნენ შემდეგ კატეგორიებად: 1) შეწყალებულნი, რომელთაც ფეოდალები ასახლებდნენ, მათი თხოვნის თანახმად, თავის საკუთარ მიწაზე, 2) ფულით ნასყიდნი, 3) ვალის გადაუხდელობის შედეგად დამონებულნი, 4) მონასტრებისა და ეკლესიებისათვის შეწირულნი. აღნიშნულ კატეგორიათა გლეხების მდგომარეობა არ იყო ერთნაირი, თუმცა კველანი წარმოადგენდნენ საერო და სასულიერო ფეოდალური არისტოკრატის ექსპლუატაციის ობიექტს. ხანდახან გლეხები მონებდა იწოდებოდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ წარსულის გადანაშთია, — ნამდვილ მონებად შეიძლება გამოხდარიყვნენ, უმთავრესად, ომში ტყვედჩაყვრილი უცხოელები. როგორც ჩანს, განუწყვეტელი სამხედრო ოპერაციების გამო, ასეთი ტყვე-მონების რიცხვი არ უნდა ყოფილიყო მცირე. ამით თავიდან იყო აცილებული მუშახელის ნაკლებობა. ეს გარემოება სრულიად ზედმეტად ხდიდა გლეხების მიწაზე მიმდგრებას, რის გამოც აღნიშნულ ეპოქას ეწოდება არა «ბატონყმობის», არამედ «პატრონყმობის» ეპოქა.

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის განხილვისას ვაქრებზედაც მოგვიხდება შეჩერება. ვაქრობის ინტენსიურმა განვითარებამ, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, გამოიწვია მოვაქრეთა რიცხვის ზრდა. აღნიშნულ ეპოქაში კარგად არის შეგნებული როგორც ფულის ღირებულება, ისე ვაქრობის მნიშვნელობა. ამით აიხსნება ის ყურადღება, რომლითაც სარგებლობდნენ ვაქრები საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და რომლის საფუძველზედაც მოხდა მათი დაყოფა «დიდა» და, იგულისხმება, «მცირე» ვაქრებად. დიდი ვაქარი ზანქან ზორაბაბელი, ისტორიკოსის სიტყვების თანახმად, გაგზავნილი იყო ჩრდილო კავკასიაში, სიღანაც მან ჩამოიყვანა თბილისში, თამარის საქმროდ არჩეული, რუსი ბატონიშვილი გიორგი. მაგრამ, მისი მნიშვნელობისა და მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, ეს ხალხი ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზებული როგორც კლასი.

ხელოსნობის განვითარებამ ქალაქებსა და დაბებში წარმოშვა კვალიფიციური ხელოსნების მრავალრიცხოვანი კადრი, რომელიც აკმაყოფილებდა ქალაქისა და სოფლის, სასულიერო და საერო ფეოდალური არისტოკრატის

განვითარებულ გემოვნებასა და მის გაზრდილსა და გართულვებულ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს.

პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების განვითარებისა და გართულების მეოხებით აღნიშნული პერიოდის ქართული ფეოდალიზმი შედის ახალ ფაზაში, რომელსაც პატრონყმობის ფაზა ეწოდება. პატრონყმობა წარმოადგენს წინა ეპოქისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას. ეს არის ფეოდალიზმის ის საფეხური, რომელიც ცნობილია პრეკარულ ბენეფიციური (ქარისტიკარული საეკლესიო სფეროში), ანუ ქართულად ღმრთალობითი სისტემის სახელწოდებით. ქონებრივად და საზოგადოებრივად სხვაზე მალა მდგომი პირი უწყალობებდა მეორეს, მისი თხოვნის თანახმად, ანდა მის განსაკუთრებულ დამსახურებათა აღსანიშნავად, ადგილ-მამულს და სხვ. პირველი მათგანი, მწყალობელი, იყო პატრონი, სუზერენი, მეორე კი—შეწყალებული, ვასალი, ყმა. ბენეფიციუმის ყველაზე უფრო ჩვეულებრივი სახე შემდეგში მდგომარეობდა: საზოგადოებრივი მდგომარეობით სუსტი ადამიანი, მფარველობისა და მზრუნველობის მოპოვების მიზნით, მიეკედლებოდა მეორეს, ქონებრივად და უფლებრივად მასზე უფრო ძლიერსა და გავლენიანს, რომელსაც გადასცემდა აგრეთვე მთელ თავის ქონებას. პატრონყმობის სისტემა წარმოადგენდა არა მარტო სოციალური, არამედ პოლიტიკური ცხოვრების საფუძველსაც. მაგალითად, ეგეფხისტყაოსანში მოთხრობილია, რომ სარიდანი, ინდოეთის ერთ-ერთი სამეფოს მფლობელი, ბოლოს და ბოლოს, მთელი თავისი სამეფოთი «შეეწყნარა» ინდოეთის დანარჩენი ექვსი სამეფოს უძლიერეს მფლობელს, ფარსადანს. იმ დროში იშვიათად მოინახებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც პატრონყმური ურთიერთობის გარეშე დარჩენილიყო. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ერთი და იგივე პირი ერთსა და იმავე დროს შეიძლება ყოფილიყო პატრონი (ერთის) და ვასალი ან ყმა (მეორის). პატრონყმობის სისტემით ნაჯულისხმევ დამოკიდებულებათა ძირითად მოტივს შეადგენდა ვასალის, ყმის «სამსახური» თავისი პატრონის წინაშე. ვასალი განუყრელად თან ახლდა თავის პატრონს და ყოველგვარი საშუალებით, ხშირად თავგანწირულებითაც, იცავდა მის ინტერესებს.

ამ «სამსახურის» საფუძველზე, რომელიც დაკისრებული ჰქონდა ვასალს პატრონ-სუზერენის მიმართ, იქმნება რაინდობა თავისი კორპორაციული ეთიკითა და წოდებრივი ტრადიციებით. ქართული რაინდობა უმთავრესად წვრილ მემამულე აზნაურთაგან შედგებოდა. თავისი კოდექსით მან ხელი შეუწყო ჩვენში «ქალის კულტის» შექმნასა და ფეოდალური მონარქიის განმტკიცებას, საერთოდ თავისებური კოლორიტი მისცა ქართული ფეოდალური ცხოვრების მთელ მსვლელობას.

III

ძლევამოსილი მონარქიის შექმნამ დადებითი გავლენა მოახდინა ამ ეპოქის ეკონომიური ცხოვრების განვითარებაზედაც. შიგნით მოწესრიგებული და გარეშე მტერთა თავდასხმა-მძლავრობისაგან უზრუნველყოფილი და მოსვენებუ-

ლი სახელმწიფო ყოველგვარ პირობას ქმნის ეკონომიური ცხოვრების განვითარებისათვის. ამ ხანაში შეინიშნება ვაქრობისა და სავაქრო კაპიტალის არაჩვეულებრივი ზრდა. გაერთიანებულ საქართველოში მძლავრად შეიგრძნობოდა მსოფლიო ბაზრის მაჯისცემა, რაც გამოწვეული იყო საქართველოს მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობითა და მისი სავაქრო გზების განსაკუთრებული მიმართულებით. არაბთა ხალიფატის პოლიტიკური დასუსტებისა და დაშლის შემდეგ დაიწყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის დაახლოება სავაქრო ურთიერთობათა ნიადაგზე, რომელთა მთავარ კვანძს ბაღდადი წარმოადგენდა. ჩვენ ქვეყანაში ეს მოვლენა ყველაზე ადრე სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე. წ. ტაო-კლარჯეთში, გახდა შესამჩნევი, რადგან ეს ნაწილი ყველაზე უფრო ახლოს მდებარეობდა ბაღდადისაკენ მიმავალ მსოფლიო სავაქრო გზებთან. ბაღდადის გარდა, როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს, სავაქრო ურთიერთობა წარმოებდა აგრეთვე ეგვიპტესთან—ალექსანდრიასთან. ამით ხომ არ აიხსნება, რომ «ვეფხისტყაოსნის» სუეეტის განვითარებაში საქმოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბაღდადულ და ეგვიპტელ ვაქრებს? ვაქრობა გაცხოველებულია ამ პერიოდში აგრეთვე საქართველოს შიდა პროვინციებშიც, ე. წ. ქართლში, რომლის მთავარი ქალაქი თბილისი, მისი შემოერთების შემდეგ, გადაიქცა საქართველოს ვაქრობის ცენტრად. სავაქრო ურთიერთობა ამ დროს საქართველოს შორეულ აღმოსავლეთთან, ცენტრალურ აზიასა და ინდოეთთანაც, ჰქონდა. ეს კავშირი ორი გზით ხორციელდებოდა. უპირველეს ყოვლისა, ე. წ. ხუმარ-მაჯარის ტრაქტის საშუალებით, რომელიც დღევანდელი სოხუმიდან იწყებოდა, ქლუხორის უღელტეხილით გადადიოდა ჩრდილო-კავკასიაში და თერგის გასწვრივ მიემართებოდა იტილის ან ვოლგის შესართავისაკენ, საიდანაც ცენტრალურ აზიაში გადადიოდა. ამ კავშირის არსებობას ხელს უწყობდა აგრეთვე რიონისა და მტკვრის სავაქრო ტრაქტის აღდგენა. იტალიურმა ქალაქებმა, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ცენტრალურ აზიასა და ინდოეთთან სავაქრო კავშირის დამყარებით, ყველაზე ადრე შეიგნეს ის სარგებლობა, რომელსაც მოუტანდა მათ ეს გზა, როგორც უმოკლესი, უადვილესი და, ამრიგად, ყველაზე მოხერხებული მათი მიზნების განსახორციელებლად. აღნიშნული სავაქრო გზების მეოხებით საქართველო ებმება მსოფლიო ვაქრობის ორომბრიალში და იმდენად ძლიერდება აქ ვაქართა მნიშვნელობა, რომ ისინი უკვე სახელმწიფო საქმეების მსვლელობაზედაც კი ახდენენ საგრძნობ გავლენას. ვაქრობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით საქართველოში გაჰყავთ გზები, აშენებენ ხიდებს, ქარავასლებსა და სხვ.

ვაქრობასთან ერთად გვიანტური ნაბიჯით წინ მიიწევა აგრეთვე საქალაქო ცხოვრება და ხელოსნობა. მეზობლებთან განუწყვეტელი ომებისა და ლაშქრობის შედეგად სახელმწიფოში შემოდიოდა დიდძალი სამხედრო ღოვლათი და ალაფი, ხოლო რეგულარული ხარკის სახით—თითქმის 75 მილიონი ღირებულება (20—25 კაპ.). ყველა ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ სახალხო მეურნეობაში უდიდესი როლი და მნიშვნელობა ეძლეოდა მიწათმოქმედებას, რომლის განვითარების მიზნით გაჰყავდათ ყოველგვარი სისტემის სარწყავი

არხები. მიწათმოქმედება და მიწათმფლობელობა წარმოდგენდა მთავარ ბაზას, რომელსაც ეყრდნობოდა საზოგადოების ფეოდალური სტრუქტურა.

ყველა ამის მეოხებით ქვეყნის ეკონომიური ძლიერება და მატერიალური კეთილდღეობა იმ დროისათვის მაქსიმალურ ეფექტს იძლევა. ამოთხრობად შეუძლებელ არსა, ამბობს ისტორიკოსი, თუ ვითარ ბედნიერებასა, სუიანობასა და დღეკეთილობასა განიცდიდა საქართველო თამარ მეფის დროს, როდესაც ფააზნაურდეს ქვეყნის-მომქმედნი, გადიდებულდეს აზნაურნი და გახელდნწიფდეს დიდებულნი. ამავე ეპოქის მეორე ისტორიკოსი კიდევ უფრო მხატვრულად და გაზვიადებულად აღწერს ქვეყნის კეთილდღეობის სურათს. იგი შენიშნავს: თამარ მეფის დროს იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურისა ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს. უძლურთა, ავადმყოფთა და დასახიჩრებულთათვის სახელმწიფოს გადადებული ჰქონდა მთელი შემოსავლის მეთადი, რომლის განაწილებას აწარმოებდნენ განსაკუთრებული მხოელენი. ყველა ხარობდა და მხიარულობდა, — ამბობს ისტორიკოსი. მარჯვება, სიხარული, სიყვარული, შვება და ნადირობა მათთა და ბართა — აი, რას ეძლეოდნენ, მემბტიანეს სიტყვებით, «ღეთისა სწორით თამარის ქვეშევრდომნი, რომელნიც მადლობას სწირავდნენ განგებას იმისათვის, რომ ბედმა არგუნა მათ ასეთ ბედნიერ დროში ცხოვრება.

ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებამ, ეკონომიკის დაწინაურებამ, სოციალური ურთიერთობის გართულება-გაღრმავებამ და პოლიტიკური ცხოვრების უჩვეულო, უმაგალითო სიმალღეზე ასვლამ გამოიწვია კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების იმდენად მძაფრი და არაჩვეულებრივი ზრდა-აყვავება, რომ ამ პერიოდს საქართველოს ისტორიაში, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სრულად. სამართლიანად აქლასიკური ხანა ეწოდება. სხვათა შორის, მაღალი კულტურული დონის მაჩვენებლად შეიძლება ის გარემოებაც გამოვლავს, რომ ამ პერიოდის ქართველები თავის თავს თამამად უპირისპირებენ ბიზანტიელებს და ერთ-ერთი მწერლის პირით შემდეგს გვეუბნებიან: საქართველოს ელინოფილური მიმართულების პირველმა წარმომადგენლებმა, ექვთიმემ და გიორგიმ, თავისი ლიტერატურული შრომებით ენაკულოვანებად ენისა ჩუენისაჲ აღავსეს და რომელნი ესე ბარბაროსად წოდებულ ვიყენით ელენთა მიერ უსწავლელობისათჳს და უმეცრებისა ჩუენისა, მათთანვე აგურა-ცხენს სიბრძნითა თჳსითა, ასე რომ, მათ თვით ბერძნებიც აიძულეს აღეარებინათ: «დალაყა თუ ნათესავი ხართ ქართველნი, სხუთა ყოვლითა სწავლულებითა სრულად ბერძენი ხართ. ამას გარდა, თუმცა ბიზანტიელი ბერძნები ქართველებს მოწაფებად თვლიდნენ, მაგრამ უკანასკნელნი ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ხანდახან მოწაფეც შეიძლება იყოს სასარგებლო მასწავლებლისათვის, კულტურულ სფეროშიც კი. ბიზანტიაში თავისი წარმომადგენლის, გიორგი ათონელის, პირით მათ განაცხადეს, რომ ზოგიერთი წიგნი, სხვათა შორის, საშუალო საუკუნეებში ისეთი პოპულარული «სულთამარგებელია რომანი, როგორცაჲ მბალავარი» ან ფარლამისა და იოდასაფის ისტორია, ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ქართველმა ექვთიმე ათონელმაო.

ამ პერიოდში განათლებისა და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების უჩვეულო ზრდისა და განვითარების ხელის შეწყობა მიზეზებს შორის კონკრეტულად აღსანიშნავია მეცენატობა, რაც აღწერილი დროის ფეოდალურ მონარქებს ახასიათებდათ. მონარქები არა მარტო ხელს უწყობენ მეცნიერებისა და ლიტერატურის აყვავებას, არამედ თვითვე იმდენივე მეცნიერთა მავალითს იქამდის, რომ მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობის პროცესში ხანდახან თავისი სახელმწიფო საქმეებიც კი ავიწყლებათ. ამ მხრივ საკმარისია გაეცხსნათ დავით აღმაშენებელი, რომელიც თვითონ უშუალოდ მონაწილეობდა ლიტერატურაში თავისი ღრმა ლირიზმით აღსავსე პენიტენციალური ჰიმნებით და ომშიც კი წიგნს ხელიდან არ უშვებდა. გარდა ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურისა, რომლის საუკეთესო მკოდნეც იყო დავით აღმაშენებელი, იგი დაინტერესებული იყო აგრეთვე მაჰმადიანური—არაბული და ირანული—ლიტერატურითაც; იგი ითვლებოდა ავტორიტეტად როგორც ასტრონომიის, ისე სხვა მეცნიერების დარგში. გარდა ამისა, ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი თავს უყრიდა სამეფო კარზე პოეტებსა და მწერლებს, რომელთაც უზრუნველყოფდა ყველაფრით, რაც მათთვის აუცილებელი იყო. ამასთან ერთად იგი იბარებდა საზღვარგარეთიდან იქ მოღვაწე განათლებულ ქართველებს და ყოველნაირად ხელს უწყობდა მათ მეცნიერულ-ლიტერატურულ მუშაობაში. მაგ., მის მიერ ბიზანტიიდან მოწვეული ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი აშკარად აცხადებს, რომ იგი მუშაობს დავითის გამგონებისა და წყალობათა და თანადგომისა მიზნობილი. დავითის დროს გზა მიეცა ნიქს და თანამდებობანი მარტო მამულების მიხედვით არ რიგდებოდა. ლიტერატურული მუშაობითა და მეცენატობით ცნობილია აგრეთვე დავითის შვილი, დიმიტრი მეფე. რაც შეეხება თამარ მეფეს, მის მეცენატობაზე მკვერმეტყველურად ლაპარაკობს თუნდაც ის გარემოება, რომ მისი სასახლე გადაიქცა პოეტების, მწერლებისა და მეცნიერთა ნამდვილ საერთო საცხოვრებლად, რასაც შემდგომი დროის ტრადიცია, რომელსაც საქმის ნამდვილ ვითარებაზე წარმოდგენა აღარ ჰქონდა, ისე ხსნიდა, თითქოს ისინი თამარ მეფის «მდივნები» იყვნენ. ისტორიკოსის სიტყვით, იგი არა მარტო საქართველოში მფარველობდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, არამედ უხვ შეწირულებებს უზავნიდა აგრეთვე საზღვარგარეთულ ქართულ ლიტერატურულ-სამწიგნობრო ცენტრებს:

განათლებისა და კულტურის გავრცელებისათვის ზრუნვა გამოიხატებოდა აგრეთვე სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო. ცენტრისა და დაწესებულების შექმნასა და მათთვის დახმარების გაწევაში. დავით აღმაშენებელმა, რომელმაც განათლების მისაღებად საბერძნეთში 40 ახალგაზრდა გაგზავნა (სომეხთა ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით), საფუძველი ჩაუყარა გელათის უმაღლეს სკოლას, აკადემიას, რომელიც, მისი აზრით, უნდა გადაქცეულიყო «მეორე ათინად» და რომელიც, ისტორიკოსის სიტყვით, მართლაც გადაიქცა ყოვლისა აღმოსაფლეთისა იერუსალიმად. სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსათა. გელათის აკადემიის მოჰყვა ასეთივე აკადემიები იყალთოსა და თითქოს გრემშიც:

გარდა ამისა, ფართოდ გაიშალა პირველდაწყებითი და საშუალო სასწავლებლები ქსელი, რომელთა ხელმძღვანელობა ჩაბარებული ჰქონდა სპეციალურ ვაზირს. განათლებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის განვითარების საქმეში დიდი როლი მიეკუთვნება აგრეთვე საზღვარგარეთულ ქართულ საგანებს, რომლებიც წარმოადგენდნენ იმდენად არა საკულტო, რამდენად საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ასეთია: ივერი (ათონზე), შავი მთა (სირიაში), ჯვარის მონასტერი (პალესტინაში) და პეტრიწონი (დღევანდელ ბულგარეთში). ამ საგანებში შეიქმნა სპეციალური ლიტერატურული სკოლები. ამ მხრივ განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას პეტრიწონის საგანეს და იქვე ჩამოყალიბებულ სემინარიას, სადაც მეცადინეობა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოებდა.

განათლება ამ ეპოქის ენაზე ნიშნავდა როგორც საერო მეცნიერების, ისე თეოლოგიის ცოდნას. საერო მეცნიერებისა და თეოლოგიის ასეთი დახლოების ტიპური წარმომადგენელია დავით აღმაშენებელი, რომელიც თავის დროზე ავტორიტეტი იყო როგორც ღვთისმეტყველებაში, ისე სხვა მეცნიერებათა დარგში, მაგ., ასტრონომიაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ეპოქის ლიტერატურული მოღვაწეები ხშირად ხასიათდებიან შემდეგი გამოთქმებით: «სწავლული, ფილოსოფოსი, რიტორი; «რიტორი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი» ან «ღვთისმეტყველო, პიტიკოსი, გრამატიკოსი» და ა. შ.

აღწერილი დროის გონებრივი ცხოვრების განმასხვავებელი ნიშანია მეცნიერულის აღრევა არამეცნიერულთან, მაგ., ასტრონომიის გარდაქმნა ასტროლოგიად, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რწმენა ასტროლოგიისადმი. სხვათა შორის, ამაზე მიუთითებს დავით აღმაშენებლის «სინანულის» გალობის სიტყვები: ვიცი ჭენაძსა მოძრაობისა ასურასტანელი ზნობაჲ და ცთომილთა ვარსკულათა და უცთომელთა კრებაჲ, განყრაჲ, სუე და ბედი და შობისა დღეო. ამასავე გვეუბნება აჭრეთვე მეხოტბის სიტყვები, რომლებსაც ისტორიკოსიც აღისტურებს, იმის შესახებ, რომ თამარ მეფის ვაჟიშვილის დაბადების გამო «იკითხვენ, სწერენ, თაყუშსა სჩხრეკენ, რამლსა ჰკრვენ, არჩევენ ბედთა მათთაგანა». ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ახლა ითარგმნება ასტრონომიული შინაარსის ამბები ნიმროდისა და გრძნეული ანდიბანის შესახებ; ითარგმნება ბერძნულიდან და არაბულიდან იმდროინდელი ასტრონომიის მრავალი ტრაქტატი, გარდა ამისა, ყოველგვარი შინაარსის ასტროლოგიური აღმანახები. ამ მხრივ მცირე შრომა არ მიუძღვის ცნობილ ფილოსოფოსს იოანე პეტრიწის.

თავისთავად გასაგებია, რომ ქართველები გულმოდგინედ ცდილობდნენ ხელი შეეწყობთ საღვთისმეტყველო ცოდნის გაღრმავება-გაფართოებისათვის. მართლაც, განვითარდა ორიგინალური ქართული მწერლობა. ამ ეპოქის გამოჩენილ ღვთისმეტყველთა პლეადას ამშვენებს სახელები ექვთიმე და გიორგი ათონელებისა, გიორგი მცირისა, თეოფილესი, ეზეკიელისა, არსენ ამარტოლისა, პეტრე გელათელისა, არსენ იყალთოელისა, იოანე პეტრიწისა და განსაკუთრებით ეფრემ მცირისა, რომელმაც გამოავლინა თავისი სახე ცოდნის ყოველ დარგში. ვითარდება საღვთისმეტყველო მწერლობის ყველა დარგი,

როგორცაა ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, ასკეტიკა, აგიოგრაფია, განსაკუთრებით მეტაფრასტიკა და სხვ.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ვითარდება არა მარტო ლეთისმეტყველება, არამედ აგრეთვე მეცნიერული ცოდნის სხვა დარგებიც, მაგ., იურის-პრულენცია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრამატიკა, განსაკუთრებით კი ასტრონომია¹ და ისტორია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იმ დროს ასტრონომიული ცოდნა აღრეული იყო ასტროლოგიურთან. როგორც უნდა ყოფილიყო ეს ცოდნა, იგი მაინც ვრცელდებოდა საქართველოში, სადაც კლასიკურ ეპოქაში გაბატონებულია პტოლომეოსის ასტრონომიული სისტემა. ცნობები ცთომილთა და უცთომელთა, ზეციურ სფეროთა და სარტყლების შესახებ, ისევე როგორც ქვეყნისა და ადამიანის ბედის (ბედ-იღბლის) მამოძრავებელ ზოდიაკებისა; და ცის მნათობთა თვისებათა შესახებ, საქართველოში ძველთაგანვე იყო გავრცელებული. ყურადღების ცენტრში დგას განსაკუთრებით მოძღვრება ზოდიაკების შესახებ. საშუალო საუკუნეებში მოპოვებული ასტრონომიული ცოდნა წარმოადგენდა თვალწარმტაცი სახეებისა და მოსწრებული შედარებების და უშრეტელ წყაროს როგორც მაკმადიანური აღმოსავლეთისა (ვისრამიანი, სელმან და ებსალი, ბარამ-გური ნიზამისა და სხვ.) და დასავლეთ ევროპის მხატვრული ლიტერატურისათვის (დანტე), ისე ქართულისათვის. ასტრონომიულმა ცნობებმა გამოხატულება პოვეს განსაკუთრებით ეფეფხისტუასანშიც. ავთანდილის შეიდი მნათობისადმი მიმართულ, სმენის მომხიბლავსა და სულის დამატკბობელ, საუცხოო ლოცვაში რუსთაველს ეძლევა შემთხვევა გამოთქვას თავისი ასტრონომიულ-ასტროლოგიური შეხედულებანი². ამ ლოცვაში იგი გვიჩვენებს თავის ცოდნას ცის შეიდი მნათობისა და შეიდი სფეროს შესახებ, აგრეთვე იმას, რომ იგი იცნობს მოძღვრებას ცის მნათობთა გავლენის შესახებ ადამიანის ბედ-იღბალზე, ცთომილთა განსაკუთრებული თვისებებისა და იმის შესახებ, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისი განსაკუთრებული ფერი. გარდა ამისა, ცნობილი ასტრონომიული ფაქტი, მზის შესვლა ლომის ზოდიაკოში, მან გამოიყენა ლამაზ მეტაფორად, რომელიც გამოხატავს სიყვდილის შემდეგ მზეზე აფრენილი ნესტან-დარეჯანის მიახლოებასა და შეერთებას ლომტარიელთან.

ქართველების ეროვნული, პოლიტიკური და კულტურული გაძვითცნობიერების სურვილი მკვეთრ გამოხატულებას პოულობს ისტორიულ ლიტერატურაში. XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი თავის შრომაში, ქართველთა ეროვნული «დადგინების» სურათის აღწერისას, ცდილობს მათ გარკვეული ადგილი გამოუნახოს ხალხთა ამა თუ იმ ოჯახში ან დაჯგუფებაში. ამ ეპოქის ისტორიკოსთა შრომებში, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევენ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი, რომელიც ითვლებო-

¹ ფ. შლოსერის ცნობით, თბილისში 1258 წელს არსებობდა ასტრონომიული ობსერვატორია («Всемирная история», გვ. 358, 360).

² შტრ. გ. იმედაშვილი, ზოგადი რუსთველის შეიდი მნათობის შესახებ, «საქ. მეც. აკადემიის მოამბე», ტ. XI, № 4, 1950 წ., გვ. 263—269.

დნენ ქვეყნის პოლიტიკური ძლიერებისა და ეროვნული აღორძინების გამოწვევ მიზეზად. ამ მხრივ საყურადღებოა ორი შრომა; ისტორია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა. დავით აღმაშენებლის ისტორია, რომელიც ამტკიცებს ავტორის ცოდნას როგორც ბიზანტიელი ისტორიკოსებისა, ისე წმინდა ლიტერატურული ნაწარმოებებისას (როგორცაა: ილიადა, ოდისეა, ალექსანდრია, შაჰნამე და სხვ.), შესანიშნავია ავრეთვე იმითაც, რომ იგი წარმოადგენს ძლიერ განვითარებული ეროვნული შეგნების გამოხატულებას. დავით აღმაშენებელსა და ალექსანდრე მაკედონელს შორის პარალელის გატარებისას ავტორი გვეუბნება: ჩუენი ესე გვირგვინოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ ეამითა შემდგომად, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნითა უმცირე, და თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედი ითქუმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავალთა უმაღლეს მგონის ესე. თამარ მეფის ისტორია წარმოადგენს ნამდვილ ხოტბას, მიძღვნილს დიდისა და დეუთის სწორისა თამარისადმი, რომლის მეფობა, ავტორის სიტყვით, შეზადებული იყო კაცობრიობის წინა დროის ისტორიის მსვლელობით. ამ ისტორიას მოსწრებული შედარებებით, რომელნიც ამოღებულია მსოფლიო ლიტერატურიდან და ისტორიიდან, ლამაზი სტილითა და მაღალი მხატვრული სახეებით შეუძენველად შეჰყავს მკითხველი საერო კაზმული ლიტერატურის სფეროში.

მეცნიერული ცოდნის სხვა ცალკეულ დარგებთან ერთად ახლა ფრთას შლის ავრეთვე ფილოსოფიური ლიტერატურა, რომელსაც უმთავრესად ქრისტიანულ-რელიგიური ხასიათი აქვს. ამით აიხსნება სიტყუები ამ ეპოქის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის, ეფრემ მცირისა, რომელიც აცხადებს: ჩვენ, აწმდგომნი თარგმანნი არა საღრამატკოსთა, არცა საფილოსოფოსთა, არამედ პირველ დამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებითა, მხედველობაში აქვს პატროლოგიური ნაშრომები ბერძნულ ენაზე და ქართულ თარგმანებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფია ჩვენში შემოდიოდა უპირატესად იმ საღვთისმეტყველო ნაშრომების საშუალებით, რომელშიაც იგი თეოლოგიის სამსახურში იმყოფებოდა. ასეთია, მაგ., თხზულებანი ათანასე, კირილე და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელებისა, სამი სახელგანთქმული კაბადოკიელის — ბასილი დიდის, გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელისა; გრიგოლ ნეოკესარიელის, ეპიფანე კვიპრელის, თეოდორე ხარანელის, აბუქურასი, თეოდორიტე კვირელის, რონის პაპის ლეონის, ნილო სინელის, ფოტი პატრიარქის, ექვთიმე ზიგაბენისა და ა. შ.

ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში მოწინავე ადვილს იჭერს არისტოტელეს მიმდევრის, იოანე დამასკელის, წყარო ცოდნისა, რომელიც საშუალო საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

რასაკვირველია, ქართველებისათვის არც პლატონის ფილოსოფია იყო უცხო. ამას მოწმობს, სხვა რომ არ იყოს, გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის გადმოთარგმნაც. იცნობენ ავრეთვე ნეოპლატონიზმსაც. საქართველოში ნეოპლატონიზმს ჰყავს ისეთი წარმომადგენლები, როგორცაა ეფრემ მცირე,

დიონისე არეოპაგელის თხზულებათა მთარგმნელი, აგრეთვე იოანე პეტრიწი, ქართული ფილოსოფიური ლიტერატურის ფუძემდებელი და მამამთავარი ისეთი მოაზროვნეებისა, როგორცაა იოანე ტარიქისძე, ნიკოლოზ გულაბერიძე, იოანე კიმქიველი და სხვ.

საშუალო საუკუნეების ბერძნული რენესანსის ფილოსოფია, რომელიც შემოდიოდა საქართველოში კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიიდან, უმთავრესად პეტრიწონული სკოლის საშუალებით, მუშავდებოდა უმეტეს ნაწილად გელათისა და იყალთოს აკადემიებში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქართველოში გაუბრძნებელი ბიზანტიური ფილოსოფიური სპეკულაციის უკიდურესობასა და ცალმხრიობას. ქართველები, რომლებიც აღმოსავლეთში ქრისტიანობის ავანგარდად ითვლებოდნენ, ქრისტიანული მსოფლმხედველობის სფეროშიც კი არ იზიარებდნენ ბიზანტიელთა ულტრა-რიტუალურ და კონსერვატიულ-რიგორისტულ შეხედულებებს. ამის დამამტკიცებელია მათი მონაწილეობა ეკლესიათა გაყოფისა შესახებ გამართულ პაექრობაში, XI საუკუნეში, როდესაც გიორგი ათონელი, რომელიც იმ დროს კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა, აშკარად მიემხრო მეტადი პარტიათა პროგრესულ-საირიტუალისტურ ფრთას. ქართველებისათვის უცხო იყო რელიგიური აუტანლობა და ფანატიზმი, ვინაიდან ისინი რელიგიაში ყურადღებას აქცევდნენ მის მთავარ, არსებით მხარეს და არა ასოებს. საქართველოში თავისუფლად გრძნობდნენ თავს ყოველგვარი რელიგიის მიმდევარნი: დავით აღმაშენებელი, რომელიც, მაჰმადიან ისტორიკოსთა ვადმოცემით, სწავლობდა მაჰმადიანობას პირველწყაროებით და მაჰმადიანთა მეჩეთებში დადიოდა, არანაკლებად სცემდა პატივს მათ რელიგიურ ჩვეულებებს, ვიდრე თვით მაჰმადიანი მთავრები. ეს, სხვათა შორის, დავით აღმაშენებელმა იმითაც დაამტკიცა, რომ ერთ კომისიაში, რომელშიც ირჩეოდა ქრისტიანთა საკითხი, მონაწილეობის მისაღებად მოიწვია არა მარტო მართლმადიდებლები და მონოფიზიტური სომხური სამღვდლოების წარმომადგენლები, არამედ აგრეთვე მაჰმადიანთა შეიხი და ყადი.

ჩვენში არ იყვნენ გატაცებული ბიზანტიური სქოლასტიკისა და მისტიკის ყველა წერილმანით.

ასეთი თავისუფლება სულისა ქართველებს მოაოვებელი ჰქონდათ დიდი ბრძოლით. იმ რთული ფილოსოფიური საკითხებით დაინტერესებამ, რომელიც აღვლევდა მაშინდელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოწინავე ქრისტიანულ ქვეყნებს, ხელი შეუწყო მოაზროვნე ქართული საზოგადოების გაყოფას ორ ბანაკად—პროგრესისტებად და კონსერვატორებად. მათ შორის იყო სასტიკი იდეური ბრძოლა, რომელიც იქამდე მიდიოდა, რომ, მაგ., ეფრემ მცირეზე, ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობის ნოვატორზე, ექვი ჰქონდათ, რომ იგი უპატივცემულად ეპყრობოდა წარსულის ავტორიტეტებს, და თითქმის მწვალებლობასაც კი სწამებდნენ. ამ ბრძოლად არ დაინდო ქართული ფილოსოფიური ლიტერატურის ფუძემდებელი იოანე პეტრიწი, რომელიც ჩივის, ქართველები მას დევნიან იმის ნაცვლად, რომ მადლობა შეეწირათ განგებისათვის, რომელსაც აქაცი ტომისაგან მათისა უწარმოებია ხელოვნებათაგან დახელოვნებული და ხედვათაგან გონებისათა გაგონებული». თუმცა

მე რაადე თანასიყვარული და შეწევნა მჩუენებოდა მათგანა, — განაგრძობს ის, — ფეციცე სურვილსა, რომელ ენადმცა ენისადა გაგეწყო და ხელდამცა ფილოსოფოსთა განცდისადა მუარისტოტელურა¹.

ქართული კულტურის კლასიკურ ეპოქაში იფურჩქნება და ჰყვავის ხელღუნება, განსაკუთრებით არქიტექტურა და ფერწერა. ამის შესახებ მკვერ-მეტყველურად ლაპარაკობს ისეთი მონუმენტური ძეგლები, როგორცაა ბაგრატიის ტაძარი ქუთაისში, გელათი, ახტალა, სამთავისი, ვარძიის მღვიმეები და სხვ.

კლასიკურ პერიოდში ქართველები კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ არა მარტო დასავლეთის ქრისტიან ერებთან, არამედ აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებთანაც. ისინი ბეჯითად ეცნობოდნენ და სწავლობდნენ სპარსულ-არაბულ კულტურასა და მხატვრულ ლიტერატურას. ამას ხელს უწყობდა, ერთი მხრით, ის გარემოება, რომ ირანი საქართველოს მომიჯნავე ქვეყანა იყო, მეორე მხრით — მასთან, საქართველოსთან, მტკიცე პოლიტიკურ კავშირში იმყოფებოდა ორი მაჰმადიანური ქვეყანა. მხედველობაში გვაქვს საქართველოს აღმოსავლეთითა და სამხრეთით მდებარე შირვანი და არანი, რომელთაგან პირველი, დავით აღმაშენებლის დროს დაკავშირებული საქართველოსთან, მთელი ორი საუკუნის განმავლობაში იმყოფებოდა ვასალურ დამოკიდებულებაში უკანასკნელის მიმართ. რაც შეეხება არანს, მისმა დამოკიდებულებამ საქართველოსადმი გარკვეული ხასიათი მიიღო XII საუკუნეში, განსაკუთრებით თამარ მეფის დროს. შირვანის შაჰების კარზე ცხოვრობდნენ სახელგანთქმული პოეტები — ხაკანი (გარდ. 1199 წ.) და ნიზამი განჯელი (გარდ. 1202 წ.). პირველი მათგანი, ხაკანი, ერთ-ერთ თავის ხობაში (ოღაში), რომელიც დაწერილია 1172 წელს, ამბობს: აფხაზეთის (საქართველოს) კარები ღია ჩემთვის, მე ვავემგზავრები ნაქარმაგვესა და მუხრანს, ბაგრატიონთა შორის მე ვიპოვნი თავშესაფარს... და თუ აფხაზეთში ვერ ვპოვე მფარველობას, იქიდან მე გადავალ ბიზანტიაში. შირვანის შაჰები ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში თავისი ამალით, რომელშიც, უეჭველად, პოეტებიც მოიპოვებოდნენ. თამარ მეფის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ აღსართან II, რომელიც მფარველობდა პოეტ ნიზამის, ორჯერ ჩამოსულა საქართველოში. ერთ-ერთი საზეიმო დარბაზობის დროს გამართულა საჯარო ლიტერატურული შეჯიბრება, რომელზედაც სასპარეზოდ გამოსულან ქართველი და უცხოელი პოეტები.

კლასიკური ხანის ქართული მხატვრული ლიტერატურა იძლევა ორ მთავარ ლიტერატურულ ეანრს: ეპოსსა და ლირიკას; ამას უნდა დავებატოს საკმაოდ მდიდარი საისტორიო მწერლობა. XI—XIII საუკუნეების მწერლობა ოთხი უმთავრესი ხაზით გვევლინება:

1. საღდეგმრო ეპოსი, რომლის შინაარსს შეადგენს საგმრო-რაინდული ამბები. ასეთი ამბები საქართველოში მოწონებული უნდა ყოფილიყო,

¹ დაწვრილებით ქართული ფილოსოფიური ახროვნებისა და ლიტერატურის შესახებ კლასიკურ პერიოდში იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, მეოთხე გამოცემა, იოანე პეტრიწი.

ვინაიდან ისინი საუცხოოდ უდგებოდა და რამდენადმე ასურათებდა კიდეცა მის გმირულ, რაინდულ ცხოვრებას, რომელიც სასესეა ამა თუ იმ ნამდვილ, ისტორიულ თუ მოგონილ პირთა სადევგმირო და რაინდული საქმეებით.

2. სადევგმირო მოთხრობებთან ერთად დიდი გასაყალი ჰქონდა აგრეთვე სატრფიალო და სამიჯნურო მოთხრობებსაც, რომლებშიც გაღმერთებულია ქალ-ვაიის სიყვარული. ასეთ ნაწარმოებს ჩვენში ბევრი მკითხველი უნდა ჰყოლოდა, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, აქ უაღრესად იყო განვითარებული «ქალის კულტი», ქალისადმი სიყვარული, პატივისცემა და მისთვის რაინდულად თავის დადება.

3. ჩვენ მწერლობაში მგოსნები თავის ჩანგის საგნად იხდიდნენ ხოლმე ხშირად ამა თუ იმ ისტორიულ პირს, რომელსაც ხოტბას ან შესხმას უძღვნიდნენ. ასეთი შესხმა-შეკების საგანი ჩვენში იმ დროს მრავლად მოიპოვებოდა: მაშინდელი საქართველოს მთელი დიდება შექმნილი იყო, როგორც მაშინ ფიქრობდნენ, ასეთი პირების თავდადებითა და დაუღალავი შრომით. განსაკუთრებით ამ მხრივ საერთო ყურადღება დაუშვასხურები თამარის ლეოთაებრივ სახესა და პიროვნებას. ამ ნიადაგზე გაჩენილა ჩვენში მთელი რიგი პოეტებისა, რომელთაც ასეთი შესხმა-ხოტბა დაუწერიათ.

4. ამ პერიოდში შექმნილა მეტად საინტერესო საისტორიო მწერლობა, რომელშიც ასახულია იმდროინდელი საქართველოს მიღწევები პოლიტიკურსა და კულტურულ ასპარეზზე. ეს მწერლობა იძლევა ნამდვილ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს.

ბანუოფილება პირველი

ეპოსი

კლასიკური პერიოდის ეპოსი სამი ნაწარმოებითაა ცნობილი. ერთი მათგანი, ფისრამინი, უპირატესად რომანული ხასიათისაა: ის შეიცავს მოთხრობას ქალ-ვაჟის უსაზღვრო სიყვარულის შესახებ; მეორე — ამირანდარეჯანიანი, უმთავრესად საღვთმშობლის ხასიათისაა: გმირები, ბუმბერაზები, გოლიათები, ზეკაცები და სწორუპოვარი კაბუკები ეომებიან ერთიმეორეს, დევებს, მხეცებს, ავსულებს და ძღვევენ სხვადასხვა მძიმე დაბრკოლებას, რომლებიც მათ წინ ეღობებათ მიზნის განხორციელებისას; მესამე — ვეფხისტყაოსანი, შერეული ხასიათისა და შინაარსისაა: გამიჯნურებული კაბუკები, შეპყრობილი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით, სატრფოს გულისათვის წარმოუდგენელ საღვთმშობრო საქმეებს ჩადიან. ასეთი თანმიყოლებით განვიხილავთ ჩვენ კლასიკური ეპოსის დასახელებულ ნიმუშებს. ამასთან ერთად განვიხილავთ იქნება ამ პერიოდის საისტორიო მწერლობაც.

კოც. წყარო: 1. მ სიბრძნის ფხვნილი	წყარ	ტ	6
ცემ-ბაილი: სწორად ფხვნილი-სწორად.	წყარ	ტ	6
ანდრა გუანს გუქრობის გულის შექმნის.	წყარ	ტ	6
ღ ა მ-ა პრინცი ლაბ-და-ლაბის შექმნის.	წყარ	ტ	6
ლაიწყარ: სწორად და გუანს აქვანობის	წყარის	ტ	6
მ ან მკვლევარი აქვანის შექმნის ვერს.	წყარის	ტ	6
გუანის ფ ხანის მ-სეფ ფ ანის სეფის.	წყარის	ტ	6
ღ ა გოც მის ფ შექმნის შექმნის შექმნის ან აქვ	წყარის	ტ	6
მათი: შექმნის. ცხად ლაიწყარის მკვლევარი-გუან	წყარის	ტ	6
მ კვლევარი მამისეფის შექმნის მათი	წყარის	ტ	6
გუანის გუანის მკვლევარი-მ-გ	წყარის	ტ	6
ღ ა გუანის შექმნის აქვანის შექმნის ან ლაიწ	წყარის	ტ	6
შექმნის: აქვანის ილან-სეფის შექმნის	წყარის	ტ	6
კ მა შექმნის შექმნის სწორად	წყარის	ტ	6
... ან მ-ა მ-სეფის ეს სწორად	წყარის	ტ	6
ღ ა ლაიწყარის მამისეფის მამისეფის	წყარის	ტ	6

1. პ ის რ ა მ ი ა ნ ი

«ფისრამიანი» არის სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოები, რომელიც თავდაპირველად დაწერილი ყოფილა ფალაურ ენაზე; ფალაურიდან მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში, 1048 (თუ 1054)წელს*, სულტან ტოღრულბეგის დროს, ის გადმოუთარგმნია ახალ სპარსულ ენაზე ლექსად პოეტ ფახრ-უდდინ გურგანის¹, რომელსაც ქართული ტექსტი უწოდებს ფახფურ ჯორჯანელს. ქართული «ფისრამიანის» შესავალში ეს ამბავი ასეა გადმოცემული: როდესაც ტოღრულბეგ სულტანმა ქ. ასპაანი აიღო, მის გამგედ დანიშნა ერთი ბრძენი და ჟეცხოთა ამბავთა და შაირთა მძებნელია ვაზირი იბდალ-მელიქ-აბუ-ნასარი, რომელიც მისულა პოეტ ჯორჯანელთან და, ვახშმის დროს, უკითხაეს მისთვის: «არა იცია ამბავი ვისისი და რამინის? დია მინდა ამბავსა მათისა შეტყობა და აღრითვან ვეძებ, მასმია სიკეთე მათიო». ფახფურ ჯორჯანელმა მიუგო: «მე ყუელა ვიცი და მასმია სიკეთე და სეფისპირობა მათი, რომელ კარგი ჰამო ამბავი ბრძანეთ, მეცნიერთაგან თქუმული და შეწყობილი ფალაურითა ენითა; და ფალაური თუ დიდად ვინმემ არ იცის, ვერეინ თარგმნის. აწ თუ შენ მიბრძანო, მე გამოვაცხადო ამბავი მათი და... სიტყუა-შეწყობით ვთქუა, და ვთარგმნო სპარსულადო, რათა... ამისითა მიზეზითა ჩემი სახელი დარჩეს ქუეყანასა ზედაო». იბდალ-მელიქმა მოუწონა აზრი და წყალობასაც დაჰპირდა. თხზულება, რომელსაც სპარსულად ეწოდება «ფის-ურამინ», resp. «ფის-ო-რამინ», შეეხება სპარსული მაზდეიანობის ან ცეცხლთაყვანისმცემლობის უძველეს დროს და მისი ელემენტების მატარებელია: მოაბად შაჰი ცეცხლის მსახურია, ცეცხლზე დაფიცება და ცეცხლით გამოცდა და დადასტურება სიტყვისა ჩვეულებრივია რომანში. ვისი მიღის «ჯიმშედის აგებულსა საცეცხლესა ლოცვად», რამინმა მისი სამარხავის მახლობლად, საცეცხლე სახლი ააგო სალოცავად». ფიცი მზის სახელით და, საზოგადოდ, მნათობებზე მაზდეიანობის ზაჩვენებელია, მისივე მაჩვენებელია დის შერთვა ცოლად ძმის მიერ, «შელოცვა, თილისმა და, საერთოდ, გრძნეულება, რომელსაც შესაშინევი ადგილი უკავია რომანში, აგრეთვე ბედისწერა და ფატალიზმი.

¹ Graf, Wiso Ramln, «Zeitschrift d. Deutsch. Morgen... Geaele», t. 23; H. E. t. h. e, Neupersische Litteratur («Grundriss d. iran. Philol», II). S. 240.

* ვ. ბერტელსი, — 1042—1054, История персидско-таджик. литературы, стр. 271, 1960.

ფისრამიანის ფალაური ორიგინალი არ შენახულა. გურგანის ხელთა კჳონია მისი პროზაული ვერსია და უთარგმნია, როგორც თვითონ ამბობს, «სიტყუაშეწყობით», ესე იგი ლექსად. მართლაც, მისი შრომა შეიცავს 8000 ორმუხლედ ტაეპს¹. ფისრამიანის ქართული თარგმანი ერთ-ერთი და, ამავე დროს, ერთადერთი უძველესი თარგმანია, რომელსაც ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სპარსული ტექსტის გასათვალისწინებლად, გასაგებად და, თუ ვნებება, აღსადგენდაც. საჭიროა ჯერ მოკლედ დავლოშვეთ მისი შინაარსი, რათა უფრო ადევილი იქნეს მსჯელობა თვით ძველის შესახებ.

დღეათა მოყვარულმა დიდებულმა შაჰმა მოაბადმა ზეიმზე ფიცი ჩამოართვა კეკლუც მანდილოსან შაჰროს, რომელიც იყო ცოლი ყარანისა და დედა ვიროსი, რომ ის მას მიათხოვებს ასულს, თუ ოდესმე ეყოლება ასეთი. აქედან იწყება მათი ჰირო: «მან უშობელი შეირთო და დედამან უშობელი გაათხოვა». ოცდაათი წლის შემდეგ შაჰროს მართლაც ეყოლა მზეზე ულამაზესი ასული ვისი; ის გაგზავნეს ხუზისტანს და მიაბარეს აღსაზრდელად ძიძას. ამავე დროს მოაბადს გაუჩნდა ძმა, სახელით რამინი, და ისიც მან ხუზისტანს გაგზავნა გასაზრდელად. რამინი და ვისი ერთად იზრდებოდნენ. რამინი მშვენიერზე უმშვენიერესი შეიქნა. ვაჟაკობით, ასპარეზობით, კჳუა-გონებით, სიმღერა-მოღბებით მას ვერავინ შეედრებოდა. როდესაც ის დაკაბუკდა, შაჰმა თავისთან მიიწვია ქ. მარავს. წამოიზარდა ვისიც, რომელსაც ისეთი უზნეობა გამოაჩნდა, რომ ძიძა ვერაფრით, ვერც სასმელ-საქმლით, ვერც ჩაცმა-დახურვით, მას ვერ ასიაშოვნებდა. ასე რომ, დედას აცნობა, შვილი წაიყვანეო, დედაც იძულებული იყო შვილი სახლში წაეყვანა. ვისი რომ წამოიზარდა, იმდენად მომხიბლავი შეიქნა, რომ დედამ მისი შესაფერისი საქმრო ველარ იპოვა ვერსად და ამიტომ, რადგან მას დაეიწყებოდა შაჰისადმი მიცემული ფიცი, ის ცოლად შერთო თავის საკუთარ შვილს ვიროს. ქორწილის დროს ეზოს ცხენით მოადგა მოაბადისაგან შიკრიკად გამოგზავნილი ძმა მისი ზარდი, რომელმაც შაჰროს მოსთხოვა, პირობის თანახმად, ვისი შაჰისათვის გაეგზავნა. ვისიმ რომ ეს გაიგონა, დაუწყო ლანძღვა-გინება შაჰს ასეთი უგუ-

¹ ფისრამიანის შემოკლებული თარგმანი ლექსად შესრულებულია Graf-ის მიერ («Zeitschrift d. Deut. Morgen. Gesel.», t. 23, n. 395—433), რუსულად გამოკვეთებულია ფისრამიანის სახელად ვრცელი შინაარსი (Штагелдер: «Труды Восточ. Комиссии Москов. Археол. Общества», II, 1896); ქართული გამოცემანი: ი. ჯავახიშვილის, ა. სარაჯიშვილისა და პ. უმიკაშვილისა, თბილისი, 1884 წ.; მეორე, აკადემიური გამოცემა ა. ბარამიძის, ა. ინგოროფასა და კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1938 წ. აქ ციტირებულია ეს გამოცემა. შესაბამისი გამოცემა — «ჩვენი სუენისა», ი. ლოლაშვილის რედაქციით, 1960 წ., მეორე — ა. გვახარაძის და მ. თოდუას, 1962 წ. ქართული ტექსტით ეს ოხზულება ითარგმნა ინგლისურად ო. უორდროპის მიერ «Oriental translation Fund.», ახალი სერია ტ. XXIII: «Visramiani. The story of the lives of Vis and Pamin. A. Romance of ancient Persia, Translated from the georgian version by O. W. London. 1914. ამ თარგმანში შრავალ შედრომა ქართული ტექსტის გაუგებრობის გამო (იხ. Н. Марр, Из грузинско-персидских литературных связей, «Визитки Коллегии востоковедов», т. I, გვ. 111—138). არის შემოკლებული რუსული თარგმანი ბ. რუდენკოსი და მ. დიაკონოვისა, ი. ორბელის რედაქციით («Визраман», 1938 г., Ленинград). უკანასკნელად გამოვიდა ოხზულები სრული რუსული თარგმანი ს. იორდანიშვილისა, კ. კეკელიძის რედაქციით (თბილისი, 1949 წ.).

ნური აზრისა და სურვილისათვის, ასე რომ ზარდი უკანვე დაბრუნდა და შაჰს ყველაფერი აუწყო. უკანასკნელმა გადაწყვიტა ომი გამოეცხადებინა ვიროსათვის და დიდძალი ლაშქარი გაგზავნა მის წინააღმდეგ. დაიწყო სასტიკი ომი, რომელშიც ყარანი, ვისის მამა, მოკლულ იქნა. ვიროს სისხლი ამღვრა, შეუტია მტერს და უკუაქცია, მაგრამ აღარ დაედგინა უკან. როდესაც ის ბრძოლის ველზე ისვენებდა, მტრის ნაწილი მიბრუნდა უკან და შეება მას. ამით ისარგებლა შაჰმა და ალყა შემოარტყა ვისის სახლს, რათა ძალით წაეყვანა ის. ვერც მუქარამ, ვერც მოფერებამ ვერ გაქრა, ვისისა და შაჰროს მოაბადის სახელის გაგონებაც არ უნდოდათ. ბოლოს შაჰმა თათბირი გამართა, როგორ მოეციკეთ. რამინი, რომელსაც ვისის სიყვარული უკვე გულში ჩავარდნოდა, ცბიერად ურჩევს შაჰს: თავი დაანებე, ვანა ღირს ვილაც ქალისათვის ასე შეიწუხო თავი? უფროსი ძმა ზარდი კი ურჩევს: შაჰროს საჩუქრები გაუგზავნე, ის იმაზე, როგორც ქალზე, გავლენას მოახდენს, და იქნება ნებაყოფლობით დაგითმოს შეილიო. შაჰს მოეწონა ეს რჩევა და, მართლაც, დიდი საჩუქარი გაუგზავნა შაჰროს. საჩუქარმა ის მოხიბლა, მან ვაულო მოაბადს ციხის კარები და ამნაირად ხელში ჩაუგდო თავისი ქალი. მოაბადმა ძალით გამოათრია იქიდან ვისი, ჩასვა კუბოში და მარავისაკენ გაიტაცა. კუბოს, სხვათა შორის, მიჰყვებოდა რამინი. უცბად ამოვარდა ქარი, რომელმაც კუბოს მოგლიჯა სახურავი ფარდაგი, და გამოჩნდა ვისის სახე, ვითარცა ელეა. რამინმა რომ ის დაინახა, სიყვარულის ცეცხლი მოედო, ცხენიდან ჩამოვარდა და დიდხანს მკვდარსავით მიწაზე ეგდო, მერე ძლიერძლივობით მოიყვანეს განზე. ამიერიდან იწყება მისი ტანჯვა-ვაება. ვისი მოიყვანეს მარავს, შაჰი თავს ევლებდა, მაგრამ ვისი ახლოც არ იკარებებს მას. ამ დროს ვისისთან მოვიდა მისი აღმზრდელი ძიძა, რომელსაც ვისი განუცხადებს, რომ, თუ არ დაიხსნის ამ მდგომარეობიდან, თავს მოიკლავს. ძიძა ამშვიდებს, მაგრამ არა გამოდის რა. ვისი სთხოვს ძიძას: გააკეთე თილისმა, შეულოცე და მოაბადი შექარი, მას კაცობა წაართვი, რათა მე ვერ მომეკაროსო. ძიძა იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო: გააკეთა მოაბადისა და ვისის სახეები, შექრა ისინი რკინით და წყლის პირას სილაში ჩაფლა, ერთი თვის შემდეგ, უთხრა ვისის, როდესაც შენ გული მოგიბრუნდება, ამოვიღებ და გავხსნი, მაშინ შაჰს კაცობა დაუბრუნდება. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მდინარე აღიღდა, ის ადგილი წალეკა და თილისმაც დაიკარგა. ასე რომ, მოაბადი სამუდამოდ შეკრული დარჩა.

რამინი ამ დროს სიყვარულით იწვის და ვისის გულს ეძებს. ის შედის შაჰის ბაღში, ტირის იქ და ვარდ-ბულბულებსა სთხოვს გადასცეს ვისის მისი გულისტივილი. ბაღში ის შემთხვევით შეხვდება და გაიცნობს ვისის ძიძას, გაუმელავნებს მას ყველაფერს და სთხოვს დახმარებას. ძიძა ჯერ უარს ეუბნება, მაგრამ მერე პირდება საქმეში ჩარევის და ეუბნება: აჰ, ბაღში, მელოდებოლმე ამბის გასაგებადო. ძიძა ცბიერად ანუგეშებს ვისის, ნუ იკლავ თავს ვიროსათვის, არის მასზე უკეთესი, რომელსაც გიგივით უყვარხარ, ეს არის შაჰის ძმა, რამინი. ვისი დიდხანს უარზე იყო, გაგონებაც კი არ უნდოდა ძიძას მკაენლობისა, მაგრამ, იძიას ახსნამ, ქალების დანიშ-

ნულეზბაა კაცებს ეკუთვნოდნენ, ყველა დიდებულის ცოლს ქმრის გარდა საყვარელიცა ჰყავსო, გული მოუღბო მას და რამინს მოუნადირა ის. ერთხელ შაჰის სასახლეში, ზეიმის დროს, ძიძამ შორიდან დაანახვა მას რამინი, რომელიც ვისის ძალზე მოეწონა, მისი სიყვარული გაუჯდა, დაავიწყდა ვირო და იმაზე ოცნებობდა, როგორ ენახა რამინი. რამინმა რომ ეს სასიხარულო ამბავი გაიგო, ძიძას დიდი მადლობა უთხრა და უთვალავი თვალ-მარგალიტი შეაძლია საჩუქრად, თუმცა ძიძამ მხოლოდ ერთი ბეჭედი აიღო.

შაჰი მარავიდან წაიღო ქალაქ რეს, სადაც დიდხანს უნდა დარჩენილიყო. თავის მოადგილედ მირავს მან რამინი დასტოვა, რომელსაც დაავალა აგრეთვე ვისის მოვლა და მისი მეთვალყურეობა. ამით შეყვარებულებმა ისარგებლეს და პირველსავე ღამეს შეხედნენ ერთმანეთს ვისის ოთახში. აქ ერთმანეთს გამოუცხადეს თავიანთი გულის წადილი, შეჰფიცეს სამუდამო, განუყრელი სიყვარული და ამ ფიცის სახსოვრად ერთმანეთს მისცეს ია და ვარდი. ორი თვე ასე ტკბებოდნენ ისინი ერთმანეთის გვერდით. მერე შაჰმა, რომელიც რედან ვისის დედის, შაჰროს, სახლში გადასულიყო, შეუთვალა რამინს: ვისი წამოიყვანე და მოდიო, ისინიც აიყარნენ და წავიდნენ. ამის შედეგი იყო, რომ ახლა ისე ველარ ხედებოდნენ ერთმანეთს, როგორც წინათ. ერთხელ შაჰმა მოინდომა სანადიროდ წასვლა მულანში, კასპიის ზღვის კიდეს, თან მას რამინიც უნდა გაჰყოლოდა და, ამრიგად, ვისის მოშორებოდა. წინაღობის, როდესაც უნდა გამგზავრებულიყვნენ, შაჰი და ვისი ერთად იწვნენ. ძიძას ეგონა შაჰს სძინავსო, მივიდა ვისისთან და ჩასჩურჩულა ყურში: ხვალ რამინი დიდი ხნით გშორდება, თუ გინდა მისი უკანასკნელად დანახვა, ადრე ადექი და კოშკზე გადი. შაჰმა რომ ეს გაიგონა, ყველაფერს მიხვდა, განრისხდა, ჯერ ძიძა გალანძლა, მერე ვისი, დაუძახა ვიროს და უთხრა: შენც უნდა შეარცხვინო შენი და ასეთი საქციელისათვისო. ვისიმ მამაცურად უთხრა ორივეს მთელი სიმართლე: მე რამინი მიყვარს და სიციცხლეს მირჩევნია! გავიდა დრო, შაჰმა დაივიწყა რაც მოხდა, ცოლი წამოიყვანა და მირავს მოვიდა. აქ ერთხელ საუბრის დროს, ვისიმ შაჰს უთხრა: თუმცა მარავი ქარგია, მაგრამ ურამინოდ მე აქაურობა ჯოჯოხეთად მიმაჩნიაო. შაჰი აინთო სიბრაზისაგან და ვისის უთხრა: წადი, დაიქარგე, მომშორდა აქედანაო! ვისიც აღვა, გასალეგებები გადასცა მას და ძიძითურთ თავის დედასთან წავიდა. აქ ის დიდად მოწყენილი იყო და სულ ხვარასნისაყენ ჰქონდა თვალი. რამინიც ველარ სძლებდა უიმისოდ, დაეთხოვა შაჰს, ვითომცდა სანადიროდ, და გასწია ვისისაკენ, თუმცა შაჰს პირობა და ფიცის მისცა, თვალთაც აღარ შეეხედა ვისისაო. ვისი და რამინი ერთად ყოფნით ტკბებოდნენ, მაგრამ შაჰმა გაიგო ეს და მოინდომა რამინის სიკვდილით დასჯა. საქმეში ჩაერია დედამისი, რომელმაც დაარწმუნა შაჰი, რომ რამინი აქ არაფერშია დამნაშავე შენი მტერი ვიროა, რომელიც ვისის ყვარობს. შაჰმა ვიროს მუქარა შეუთვალა და მოინდომა მისი ქვეყნისა და ოჯახის გავერანება. ვირომ თავი იმართლა: მე რა შუაში ვარ, შენ თვითონ გამოაგდე შენი ცოლი, ნუთუ მას უფლება არა აქვს ძმასთან მოვიდეს! თუ გინდა, წაიყვანე, რაც გენებოს უყავი, და, თუ მიინცდამინც ომი გინდა, მობრძანდი, მე მზადა ვარ, დაგხედებო. შაჰი დარწმუნ-

და, რომ ვირო მართალია, ბოდში მოითხოვა და მასთან სტუმრად წავიდა. იქ დიდი ამბით მიიღეს ის და ვისის შეარიგეს. ერთი თვის შემდეგ ისინი მარაგს დაბრუნდნენ.

ერთხელ შაჰმა ვისის მოსთხოვა ერთგულების დასამტკიცებლად ცეცხლზე დაუტყვებდა. მე გავიჩაღებ ცეცხლს და შენ, თუ მართალი ხარ ჩემს წინაშე, შუა გაიარეო. ვისი დათანხმდა, მაგრამ, როცა დაინახა აღგზნებული კოკონი, იფიქრა: შაჰს ჩემი დაწვა სურსო, და, რამინს სთხოვა აქედან გაევიპართო. აღგნენ და ჩუმად წავიდნენ ქ. რეს, სადაც ერთმა ნაცნობმა დიდებულმა შეიფარა ისინი. შაჰი გამოუდგა საძებნელად, მთელი თავისი საბრძანებელი შემოიარა, მაგრამ მათ გზა-კვალს ვერ მიაგნო. იმედდაკარგული მარაგს დაბრუნდა და სასოწარკვეთილებას მიეცა. ერთხელ დედამ, რომელმაც რამინის აღგისამყოფელი იცოდა, მოაბაღს უთხრა: თუ ფიცს მომცემ, რომ რამინსა და ვისის არაფერს ავნებ, მე იმათ დაგიბრუნებო. შაჰმა შეჰფიცა, მაშინ დედამ წერილთი აცნობა რამინს ყველაფერი, დააბრუნა სახლში და ძმას შეარიგა. აქ ვისი არწმუნებს შაჰს, რომ მას არავითარი საერთო აღარ აქვს რამინთან და მზე მხოლოდ მასზე, შაჰზე, ამოღის. ერთხელ ლეინთ შეზარხოშებულ შაჰს ვისისთან ეძინა; რამინი ამ დროს, ქარსა და ბუქში, სახლის ბანზე დადიოდა და მიჯნურობისაგან გული მისდიოდა. ვისიმ ეს გაიგო და ძიძას ჰკითხა, როგორ მოვიქცე, როგორ მივიღე რამინთან ისე, რომ შაჰმა არ გამიგოსო? მოდი, შენ დაწვექი მასთან ზურგშექცევით, ის მთვარალია და ვერ გაიგებსო. მართლაც, ძიძა ჩაწვა, ვისიმ აიღო სანთელი და წავიდა რამინთან; შაჰს გამოელევიდა, მიაგლ-მოავლო ხელი და იცნო, რომ მასთან ვისი არ იწვა. დაიწყო ყვირილი, სანთლის ძებნა, მაგრამ ვერაფერს გახდა. რამინმა გაიგონა ხმაურობა, გააღვიდა ვისი და გამოგზავნა შაჰის დასაძინებელ ოთახში. ის შევიდა ფეხაკრფით, ჩამოჯდა შაჰის სარეცელზე და თქვა: ამ ხელზე ძლიერ მიქერ, მეტიკინა, ჰა მეორე, ეს კი გამითავისუფლეო! შაჰმა მისი ხმა რომ გაიგონა, გაიხარა და ხელი გაუშვა. ამით ისარგებლა ძიძამ, ხელიდან გაუსხლტა მას და გავიდა. ვისიმ დაიწყო ტირილი და საყვედური უშიზეზო წყალებისა და შეწუხებისათვის, ასე რომ ბოდში მოახდევინა შაჰს.

ამ დროს საბერძნეთის იმპერატორმა ომი გამოუცხადა მოაბაღს; მან წაიყვანა ვისი და ძიძა მიუვალ ამქუფთიღენის ციხეში და ჩამწვედლია შიგ, გასაღები ჩააბარა თავის ძმას ზარდის და დაავალა—არავინ ციხეში არ შეუშვაო, თვითონ კი რამინითურთ საომრად გაემგზავრა. რამინი ისე იტანჯებოდა ვისის მოშორებით, რომ ავად გახდა. შაჰმა, სხვების თხოვნით, ის უკანვე დააბრუნა საქიმოდ. რამინი იმწამსვე დასახლებულ ციხესთან გაჩნდა, დიდხანს იტრიალა მის გარშემო, მერე აიღო ისარი, მოაბა წერილი და გაისროლა იმ ფანჯრისაკენ, საიდანაც სინათლე მოდიოდა. ისარი დაესო ოთახის შუა. ვისიმ და ძიძამ წერილიდან ყველაფერი გაიგეს, გადააბეს ორმოცი ზეწარი ერთმანეთს და ძირს ჩაუშვეს. ამ თოკით რამინი ამოცოცდა მათ ოთახში ისე, რომ არავინ ეს არ იცოდა; ის დარჩა იქ ცხრა თვე სრულ განცხრომაში. შაჰი დაბრუნდა და გაიგო რამინის მარაგს მოსვლა, იფიქრა, ის უთუოდ ვისისთან მოახერხებდა შესვლასო და ციხისაკენ გაემართა; აქ ზარ-

დის დიდი საყვედური უთხრა დაუდევრობისათვის. შეალო ციხის კარები, მაგრამ რამინი იქ არ აღმოჩნდა, ის იმავე თოკით გადაძმერალიყო ძირს. შაჰმა სასტიკად სცემა ვისისა და ძიძას, ზეკრა ისინი თოკით და იქვე ციხეში დაავლო. გავიდა ხანი. მოაბაღს მოეწყინა უვისოლ, ამიტომ ზარდის უბრძანა ის ციხიდან მარავს მოეყვანა. ზარდომ პატიება გამოსთხოვა მას რამინისათვისაც, ასე რომ სასახლეში კვლავ მშვიდობიანობა დამყარდა.

კარგა ხნის შემდეგ მოაბაღი გურგანს წავიდა, ვისი და ძიძა ოთახში დაამწყვდია, გასაღები ძიძას ჩააბარა და ყარაულობა დაავალა, რაოდა—ქურდს რომ ჩააბარო რისიმე შენახვა, ის უფრო მოუელის მასო. რამინი თუმცა თან წაიყვანა, მაგრამ ის გზიდან გამოეპარა, ვისისთან მოვიდა, სადაც ბაღში უიმედოდ, მკვდარივით დაეგლო. ვისიმ ეს გაიგო, თოკით ჩამოკურდა ბაღში და რამინი მოძებნა. შაჰმა გაიგო რამინის გამოპარვა, უკანვე დაედევნა მას, მოვიდა სასახლეში, კარები და ბეჭედი მთელი დახვდა, თუმცა ვისი სახლში არ აღმოჩნდა. დაუწყო ძებნა ყველგან, ჩავიდა ბაღშიც; რამინმა მოასწრო კედელზე გადახტომა და დამალვა. ვისი ხის ძირას იპოენეს მძინარე და გააღვიძეს. მან უთხრა შაჰს: შენ ტყუილად, უმიზეზოდ მაწვალე. სახლშიც კი დამამწყვდეი, ამიტომ ღმერთმა შემიბრალა და თავისი ანგელოზი გამომიგზავნა, რომელმაც ოთახიდან გამომიყვანა და აქ, ბაღში ჩამომაფრინაო. შაჰმა დაიჯერა, ბოლიში მოუხადა ვისის და საჩუქარიც მიართვა.

რამინს მოსწყინდა ამდენი დავიდარება და შევიწროება და ერთ თავის მეგობარს რჩევა სთხოვა. მან უთხრა: მოშორდი ვისის, სიყვარული თვალშია, მოშორდები,—დაგავიწყდება, ქალის მეტს რას იზოვნო. რამინს ეს ქკუაში დაუჯდა, გამოეთხოვა შაჰს და უთხრა: გამიშვი, ცოლი უნდა შევიერთო! შაჰს გაეხარა და დანიშნა ის ქ. რეის გამგედ და გაისტუმრა. აქ რამინმა ნახა ერთი ლამაზი ქალი, გული ი, რომელიც მოეწონა და ცოლად გამოითხოვა. ქალი დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ყოველგვარ კავშირს გაწყვეტდა ვისისთან. რამინმა მოსწერა ვისის გულშემზარავი წერილი, რომელშიც აცნობებდა მას, რომ ის სწყევლის თავის ბედს, რადგანაც ამდენი უსიამოვნება შეხვდა მას შაჰისაგან ვისის გულსათვის, თან ატყობინებს, რომ ისეთი ლამაზი ცოლი შეერთო, ვისი მას ოდნავადაც ვერ შეედრება. ვისი შეწუხდა, ტიროდა, თმებს იგლეჯდა და ძიძას სთხოვდა შეელასა და დახმარებას. გაგზავნა კიდევაც ის რამინთან, მაგრამ მან ის არ მიიღო, გალანძლა და უკანვე გამოავლო. ამის შემდეგ ვისიმ მისწერა მას ათი გულის გამგძირავი წერილი, რომელშიც აგონებდა წარსულს, უნუგეშო აწყყოს და სთხოვდა დაბრუნებას. რამინს, ბოლოს და ბოლოს, მოსწყინდა ახალი სატრფო გულიც, მოაგონდა ვისი, გაუცხოველდა გულში მისი სიყვარული და წამოვიდა მისკენ. თავდაპირველად ვისიმ თითქოს შერიგებასა და მიღებაზე უარი თქვა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ცბიერობით, ბოლოს შერიგდნენ; რადგანაც მათი მდგომარეობა ძველებურ სახეს იღებდა, გადაწყვიტეს მოშორებოდნენ იქაურობას. ისარგებლა რა იმით, რომ შაჰი მარავს არ იყო, რამინი ღამე თავს დაეცა სასახლეს; მოკლა ზარდი და მკვლელები, გამოიტანა სასახლიდან რაც კი სიმდიდრე იყო და გაემართა დელამთა ქვეყანას, სადაც ის და ვისი დიდი ამბით მიიღეს.

აქ რამინმა შეაგროვა ჯარი და წამოვიდა მოაბადის წინააღმდეგ. როდესაც მოპირდაპირენი დაბანაკებული იყვნენ ტყის პირას და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ, მოაბადის ბანაკში ტყიდან ეშვი შემოიჭრა, რომელსაც ის ცხენით გამოუღვა. ეშვმა შემოუტია, ცხენს მუცელი გამოლადრა, შაპი ძირს ჩამოაგდო და მოკლა. ახლა უბრძოლველად დამთავრდა ყველაფერი: რამინი მეფედ იქნა არჩეული მოაბადის მაგიერ და 83 წელიწადი მეფობდა. როდესაც ის 130 წლის შეიქნა, ვისი გარდაიცვალა. რამინმა ის შესაფერიისი პარტიით დაასაფლავა, აუგო სალოცავად საცეცხლე სახლი, სადაც დღე და ღამე სურნელს აკმეფდნენ. მეტე მოუწოდა უფროს შვილს ხორშედს, მეფობა მას ჩააბარა, სათანადო დარიგება მისცა და შევიდა ვისის სამარხავში, ჩაიკეტა კარები და უკან აღარ გამოსულა.

პირველი საკითხი, რომელიც უნებლიეთ იბადება ქართული ფისრამინის კითხვისას, ეხება მის წარმოშობას: ნათარგმნია ის თუ ორიგინალური? ამ საკითხს შეეხნენ ამ თხზულების პირველი გამომცემელნი, რომელნიც ამბობდნენ, რომ ჩვენ ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვივთ გადაჭრითო, მაგრამ აღნიშნავდნენ სამ შეხედულებას:

1) ვითომც ის ორიგინალური ნაწარმოებია; 2) ნახევრად ორიგინალურია: ქართველ ავტორს გაუგონია სპარსული ამბავი ვისისა და რამინისა და ლიტერატურულად გადაუშუშავებია ისო; 3) თხზულება ნათარგმნია სპარსულიდანო. ისინი, ვინც იცავენ ამ თხზულების ორიგინალობას თუ ნახევრად ორიგინალობას, თავის აზრს ამყარებენ იმაზე, რომ თხზულებაში წმინდა ქართული ჩვეულების მეტად თვალსაჩინო მაგალითებია მოყვანილი. თან ენა მეტად ფაქიზია, მკაფიო, სიტყვების გაწყობა ფრაზაში თითქმის არ ღალატობს წმინდა ქართულ ენას, რაც ყოველად შეუძლებელი იქნებოდა, რომ ის ნათარგმნი იყოსო (გვ. VIII). თხზულება, რომ არც ორიგინალური, არც ნახევრად ორიგინალურია, ეს გარკვეულად და მკაფიოდაა ნათქვამი მის შესავალში, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. აქ ავტორი გუ რგანი პირდაპირ ამბობს, რომ ვისისა და რამინის შესახებ მას ხელთა ჰქონდა ფალაური პროზითი მოთხრობა, რომელიც მან ძიტიყუაშეწყობით ან ლექსად გადმოიღო ახალ სპარსულ ენაზე. ორიგინალურ თუ ნახევრად ორიგინალურ ნაწარმოებში ამას აღვიღო არ ექნებოდა. ასე რომ, ფისრამიანია ნათარგმნია სპარსული ენიდან. თუმცა ამ აზრს არ იზიარებს განსვენებული ალ. ხახანაშვილი, რომელსაც პგონია, რომ ის ნათარგმნია პირდაპირ ფალაური ტექსტიდან და თარგმნილია იმდენად თავისუფლად, რომ ქართული ფისრამიანია წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ ვერსიას¹. იმის დასამტკიცებლად, რომ თხზულება პირდაპირ ფალაურიდან არის ნათარგმნი, ალ. ხახანაშვილს მოჰყავს შემდეგი მოსაზრება: 1) სპარსული ფისრამიანია დაწერილია ლექსად, ქართული კი პროზით, ის, მაშასადამე, უნდა მომდინარეობდეს ფალაური პროზითი მოთხრობიდან, და არა სპარსულიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველები, რომელთაც ასე

¹ «მოამბე», 1896 წ., № 6, გვ. 70—86.

უყვარდათ ამბების ლექსად თქმა, უეჭველია, ვისრამიანსაცა ლექსად ვადმოიღებდნენო¹. რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება გაუგებრობაა. განა ყოველი თხზულება იმ სახითა და ფორმით ითარგმნება, როგორც ორიგინალშია, განა ლიტერატურის ისტორიაში არ მოიპოვება ისეთი ფაქტი, რომ ლექსად დაწერილი თხზულება პროზით ეთარგმნოს და პროზით დაწერილი ლექსად ყოველ შემთხვევაში, ქართულ ლიტერატურაში იწვიათი არაა ასეთი შემთხვევა: ფირდოუსის შაჰნამე, რომელიც მომხიბლავი ლექსებითაა დაწერილი, ქართულად თავდაპირველად პროზით უთარგმნიათ. 2) ზოგიერთი საკუთარი სახელით, ამბობს ალ. ხახანაშვილი, ქართულში, სპარსულთან შედარებით, სხვანაირადაა წარმოდგენილი; მაგალითად, მოაბადი, მარაგი, შაპრო და სხვ., ალბათ, იმიტომ, რომ ეს სახელები ფალაურადან მომდინარეობს და არა სპარსულიდანო. ეს რომ ასეა, უფრო იქიდანა ჩანს, რომ ქართულში მოხსენებულა მდინარე მტკვარი, რაც სპარსულში არ არისო². თუ მხედველობაში გვექნება ამ სახელების არა რუსული ტრანსკრიპცია, რომელიც ალ. ხახანაშვილს შტაკელბერგის თარგმანში უნახავს, არამედ სპარსული ტექსტი, დავაწყუნდებით, რომ ქართული გამოთქმა მათი სწორედ სპარსულზეა დამოკიდებული და არა ფალაურზე, რომლის ტექსტი ჩვენამდე არ შენახულა და იმიტომ არც ვიცით, თუ როგორ გამოითქმოდა იქ ეს სახელები. რაც შეეხება მტკვარს, განა ის ფალაურში კი იქნებოდა, რომ ამით შეგვეძლოს ქართული ტექსტის ფალაურთან დაკავშირება?

იმის დისამტკიცებლად, რომ ქართული თარგმანი დამოუკიდებელ ვერსიას წარმოადგენს, ალ. ხახანაშვილი უჩვენებს: 1) ქართულ ტექსტში ნათქვამია, რომ რამინმე ჩანჯე მოიგონაო; მაგრამ ეს ქართულის თავისებურებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ჩანჯზე სპარსულ ტექსტშიცაა ლაპარაკი, და არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ფალაურშიც არ იქნებოდა.

2) ქართულ ვისრამიანში სწერია: «რა შაჰი მოაბად კარგითა ეტლითა შემოქცეული ქოისტანით მარავს ქალაქს მივიდა, კოშკთა ზედა ჯდა ვისსა თანა, ვითა სოლომონ და ბალავ, და თამაშობდა» (გვ. 93). შეიძლებაო, ამბობს ალ. ხახანაშვილი, ბალავი იყოს ქართულ მწერლობაში უკვე XI ს. ცნობილი ბალავარიო³. მაგრამ აქ მოაბადი შედარებულია სოლომონთან, ვისი კი—ბალავთან. შამასადამე, ბალავი არის ქალის სახელი და არა კაცისა—ბალავარი. ვინაა ეს ბალავი? სპარსულად ბალავს უდრის ბალკისი, ბალკისი კი არის საბეველთა დედოფალი, რომელიც, ბიბლიის თქმით, სოლომონს ეწვია, განცვიფრებულ იქნა მისი სიბრძნითა და სიმდიდრით და, მუსლიმანთა გადმოცემით, მერე მისთხოვდა მას. სპარსულს ტექსტში, სადაც ხმოვნები არ იწერება, ეს სახელი წარმოდგენილი იქნებოდა, როგორც ბლკს; ქართველმა მთარგმნელმა დაბოლოება ის მოაძალა, დანარჩენი ნაწილი წა-

¹ «მოამბე», 1896 წ., № 6, გვ. 85; «Очерки по истории грузин. словесности», II გვ. 205.

² «მოამბე», 1896 წ., № 6, გვ. 85—86.

³ იქვე, გვ. 83.

იკითხა ხმოვანი ა-თი და მიიღო ბ ა ლ ა კ , საიდანაც მერე, მხედრულში ვ და კ აღრევის გამო, წარმოდგა ძბალავი¹.

3) სპარსულ ფისრამიანშია, განაგრძობს ალ. ხახანაშვილი, მოხსენებულნი არიან ალექსანდრე შეკედონელი, მოსიარი არაში და ბრძენი ზვასრო, ქართულში კი ესენი არ არიან და მათ მაგიერ გვხვდება ამირანიო². ესეც გაუგებრობაა, ჩამოთვლილი სახელები ქართულშიც არის, მაგალითად: ამა დაკაზმულმან ლაშქარმან გამოდენა დაიწყო, ვითა ალექსანდრეს ლაშქარმან ბნელეთითა (გვ. 313); აარაშს ამისთვის აქებენ, რომელ სარავითა მარავს ისარი გამოუგდია (გვ. 218); მართალი არაჟი თქუა ზვასრომანა (გვ. 321, შდრ. 65). პირდაპირ კურითია ამირანის ინტერპრეტაცია. ტექსტი ვკითხულობთ: ადრე აოხრდების ქალაქი, რომელ ორნი ამირანი სხდენ (გვ. 277), ან: ყველა ამირანი და ხელმწიფენი თქუენისა სამსახურისათვის მონისაებრ სარტყელს შვირტყემენ (გვ. 304). ამ წინადადებაში ამირანიო ალ. ხახანაშვილს მიუღია საკუთარ სახელად, ამირანად, ნამდვილად კი აქ ჩვენ გვაქვს მრავლობითი რიცხვი სიტყვა ამირა-სი, რაც ემირს, მმართველს აღნიშნავს.

ამნაირად, არც ერთი საბუთი ალ. ხახანაშვილისა არ ამტკიცებს იმას, რომ ქართული ფისრამიანი თავისებური გადმოკეთებაა ფალაური პროზითი ფისრამიანისა.

1897 წელს ალ. ხახანაშვილმა, ნ. მარის ზემომოყვანილი შენიშვნების ზეგავლენით, თავისი მოსაზრება ასე შეცვალა: ქართული „ვისრამიანი“ მომდინარეობს არა ფალაურიდან, არამედ სპარსულიდან, მაგრამ არა პოეტ გურგანის შრომიდან, არამედ მეორე სპარსული, პროზითი, რედაქციიდან, რომელიც მას თავისებურად გადმოუკეთებიაო³. ამის საწინააღმდეგოდ საკმარისია მოვიგონოთ, რომ არავითარი პროზითი რედაქცია „ვისრამიანისა“ სპარსულ ენაზე არ არსებობს და არც არსებობდა, ამას პირდაპირ აცხადებს პოეტი გურგანი, როდესაც ამბობს, რომ სპარსულ ენაზე „ვისრამიანი“ არ იყო, მე ფალაური ენიდან ვთქვი ის ლექსად.

ამნაირად, ქართული ფისრამიანი გადმოთარგმნილია არა ფალაურიდან, არამედ სპარსულიდან, რასაც ამჟღავნებს სხვა არა იყოს რა, უამრავი ახალი სპარსული სიტყვა, ხშირად არაბული წყაროდან მომავალი⁴, გადმოთარგმნილია ის პოეტ გურგანის შრომიდან, რომლის სახელს ქართულ ტექსტშიც ვხვდებით.

ფისრამიანის ტექსტი საუკუნეთა განმავლობაში ძალიან წარყვნილა და დაზიანებულია. ამ წარყვნილი ადგილების შესწორების ცდა ეკუთვნის აკად. ნ. მარს, პროფ. იუსტ. აბულაძეს, განსაკუთრებით კი მეორე, აკადემიური გამოცემის რედაქტორებს. ამ შესწორებათა მიხედვით ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივდივართ.

¹ თეიმურაზის «იოსებბილიხანანში» ეს სახელი გამოითქმის როგორც ბილყიხი: «დალიდას და ვითა ბილყიხს ცნობა სრულად მიეღო» (ა. ხარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოც., სტრუფი 212).

² «შოაბე», 1896 წ., № 6, გვ. 63.

³ «Очерк», II, გვ. 201, 202, 205

⁴ მაგალითად: ახიხი, ბახთარი, ზვარი, ბეჩარა, ბუტი, დავლათი, მამბური, მექმანი ტარალი და სხვ.

ქართულ თარგმანში შეიმჩნევა დედნის ზოგიერთი ადგილის დაკარგვა, მაგალითად, ვისის სილაშაშის გრძელი აღწერილობა, შაპროს პასუხი მოაბადისადმი, რომელიც მას ცოლად გაყოლას სთხოვს. სამაგიეროდ ჩვენ თარგმანს შემოუნახავს დედნის ზოგიერთი დაკარგული ადგილი, მაგალითად, მოაბადისა და ვიროს ბრძოლის ეპიზოდებიდან. ამ მხრივ ქართულ თარგმანს სპარსული დედნის კრიტიკისა და აღდგენისათვის უცილობელი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელს ტექნიკურად ვერ მოუხერხებია დედნის გადმოცემა. მაგალითად, ვისის მეცხრე წერილის ნაწილი, რომელშიაც ანალოგიებისათვის გამოყენებულია არაბული ასოების ფორმა, მას სრულიად გამოუტოვებია, ვინაიდან ქართველი მკითხველისათვის, რომელიც ამ ანბანს არ იცნობდა, ასეთ ანალოგიას მნიშვნელობა და დამაჯერებლობა არ ექნებოდა, ქართული ანბანის გამოყენება კი ამ მიზნისათვის მას ვერ მოუხერხებია. არის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელს განგებ შეუცვლია სპარსული დედნის აზრი, რათა ქართველი მკითხველისათვის მიეცა ნაცნობი და უფრო გასაგები სურათი. ამით იხსნება, რომ სპარსულ ტექსტის ჯეონი ალაგ-ალაგ ქართული მტკუროთ არის ხოლმე შეცვლილი¹. ამ ტენდენციას განსაკუთრებით უჩენია თავი აღმოსავლური, სპარსული ფრაზების ბიბლიურ-ქრისტიანული ფრაზებითა და სურათებით შეცვლაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ზოგიერთი ადგილის გაქრისტიანება². ასე, მაგალითად, სპარსული ტექსტის «მას არც ერთი მარგალიტის თული მიწაზე არ დაუგდია» ასე გადმოუკეთებია: «მარგალიტი ღორსა წინა აღარ დაყარა» (გვ. 90, შდრ. მთ. VII, 6); სპარსული წინადადება — «შენ არა ხარ ის, რომ ჩემს იქით არაფერი გახსოვდა და ჩემის ფეხის ტალახისაგან სურას იკეთებდი», ქართულში ასეა წარმოდგენილი: «შენ, რომელ ჩემი მიჯნური იყავ, ჩემისა ნახვისათვის ასრე გსურდა, ვითა წყაროსათვის ირემსა» (შდრ. ფსალმ. 41,1); სპარსული — «მასწავლებელი რომ საამო გალობას იწყებს, მოწაფე იმწამსვე ცეკვას გააბამსო» შეცვლილია ეკლესიური სფეროდან ამოღებული, უეჭველია, ხალხური აფორიზმებით: «ხუცესი რა ორძალთა უკრევდეს, დიაკონმან შუშპარისა კიდე რამცა ქმნა?» (გვ. 88).

საერთოდ ქართული ვისრამიანი წარმოადგენს სპარსული დედნის თავისუფალ მხატვრულ თარგმანს, დიდი ხელოვნებით შესრულებულს: მთარგმნელი შეუდარებელი ოსტატობით ხან ამოკლებს, ხან ავრცობს, ხან სცვლის დედნის ამა თუ იმ ადგილს და, რომ უფრო გასაგები გახადოს იგი ქართველი მკითხველისათვის, შეაქვს თავის თარგმანში ქართული სინამდვილის დამახასიათებელი მხატვრული სახეები. აღნიშნული თავისუფლება, დედანთან შედარებით, სისრულესა და სუბტილურ ფაბულურ მთლიანობას ოდნავადაც არ არღვევს. გავრცობა და შემოკლება-შეკვეცა, რომელსაც ადგილი აქვს თარგმანში, აიხსნება მთარგმნელის საგანგებო მოსაზრებით, მისი მხატვრული

¹ ვისრამიანი, გამოც. მე-2, თბილისი, 1938 წ., გვ. IV—XVI.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1945 წ. გვ. 81—82; კ. მ. ჩაყელი, ვისრამიანის აკადემიური გამოცემა («თბილისი», № 15, 1962 წ.).

აღლოთი და მთარგმნელობითი ხერხით და არა XIII—XIV საუკუნეთა რესტავრატორის საქმიანობით, როგორც პროფ. იუსტ. აბულაძეს ჰგონია¹. იუსტ. აბულაძისებურად რომ ვიმსჯელოთ, რესტავრატორად უნდა მოვნითლოთ თითოეული გადაწყვეტი, რომელსაც გადაწყვიტის პროცესში, ნებისთავს თუ უნიკალურად, ყოველთვის შეაქვს ტექსტში ესა თუ ის ცვლილება.

როდის ითარგმნა ქართულად ვისრამიანი?

განსვენებული ნ. მარის თავდაპირველად მას თვლიდა XI—XII საუკ. ძეგლად, რასაც ის ამტკიცებდა გრამატიკული და ლექსიკური ფორმებით: თარგმანის ენა უდიდეს გავლენას განიცდის სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურის ენის ნორმებისას. ლექსიკის მხრივ აქ თითქოს ჩვეულებრივია ისეთი სიტყვები, რომელნიც სასულიერო ლიტერატურაშია გაბატონებული და მეტორმეტე საუკუნის ორიგინალურ საერო ძეგლებში აღარ გვხვდება. გრამატიკულად საუკრადღებოა ასეთი შეთანხმებანი: «შენი სიყუარული ჩემისა სულისა სწორად მიჩს» (გვ. 124), «ბროლის ხელი ვისისა შედებილი იყო ფეროანითა ღვინითა», «ვინა იხმარნეს შენეულნი სამოსელნი», «მძლე ეშმა მისად ომად მოსულიყო», «ვინა თუ ამა თოვლმან და ბუქმან მოსამეკლას» (გვ. 273) და სხვ.² აღნიშნული სტილისტიკური მოვლენებით ვერ დამტკიცდება ჩვენი ძეგლის გაჩენა მეთერთმეტე საუკუნის გასულსა თუ მეთორმეტის დამდეგს, ვინაიდან ასეთ მოვლენებს ჩვენ ეპოქაობთ გაცილებით უფრო გვიანდელი დროის ძეგლებშიაც, შემდეგში ნ. მარამ უარი თქვა ამ შეხედულებაზე და ქართული ვისრამიანი მონღოლთა ეპოქის ძეგლად გამოაცხადა³. ამ შემთხვევაში ის გამოდიოდა შემდეგი დაკვირვებიდან: სიყვითლის შესაღარებელ ობიექტად ძეგლში თითქოს აღებულია დრაჰჰანის მაგიერ დრაჰანკალი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართველებს აღარ აქვთ წარმოდგენა დრაჰანზე, როგორც ყვითელ, ოქროს ლითონზე, ოქროს ყვითელი დრაჰანის მონღოლთა ეპოქაში მოისპო საქართველოშიო. მაგრამ ეს გაუგებრობის შედეგია. როგორც გამოიკვება, მთარგმნელი, რომლისათვის «დრაჰანკალი» ერთ-ერთი სამეტაფორო ობიექტია, სიყვარულის აღსანიშნავად არათხელ დრაჰანსაც ხმარობს (გვ. 241, სტრიქ. 8)⁴.

ნ. მარის უკანასკნელმა შეხედულებამ ერთგვარი გავლენა მოახდინა პროფ. იუსტ. აბულაძეზე. მისი აზრით, ვისრამიანი უთარგმნიათ კლასიკურ ხანაში, მაგრამ შემდეგში ტექსტი საგრძნობლად დაზიანებულია და წარყენილა, ასოების გადასვლის გამო. ამიტომ XIII—XIV საუკუნეში ის აღუდგენია ვილაც რესტავრატორს, ასე რომ ამთავად ჩვენ ხელში გვაქვს არა თავდაპირ-

¹ იუსტ. აბულაძე, ვისრამიანის ტექსტისათვის, «ლიტერატ. მემკვიდრეობა», I, თბ., 1935 წ., გვ. 270—297.

² К вопросу о влиянии персидской литературы на грузинскую, ЖМН Просв., 1897 г., III.

³ Из грузинско-персидских литературных связей, «Записки Коллегии Востоковедов», I, XI, 1926 г., გვ. 198.

⁴ ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I³, გვ. 100—101.

⁵ იუსტ. აბულაძე, ვისრამიანის ტექსტისათვის, «ლიტერატურული მემკვიდრეობა», I, გვ. 292—297.

ველი თარგმანი, არამედ XIII—XIV სს. რესტავრაცია¹. საბუთი ამისა? ის, რომ ქართულ თარგმანში ჩვენ გვაქვს სახელები «თურქი», «თურქეთი». ჩვენში ტერმინი «თურქი» და «თურქეთი» შეიძლებოდა პოპულარული გამხდარიყო მხოლოდ 1225 წლის შემდეგ, როცა თურქები, მონღოლთა მიერ დევნილნი, წინა აზიამი გადმოვიდნენ და სომხეთში დასახლდნენო. ძალიან საეჭვო ამბავია! ცნობილია მეთვ საუკუნეში ილეკ-ხანების თურქთა სამეფო, მეთერთმეტეში სელჩუკების თურქთა უზარმაზარი იმპერია, რომელიც მთელ შუაგულ აზიას შეიცავდა². ნუთუ ამ თურქებს ქართველები არ იცნობდნენ, ნუთუ მათ არ იცოდნენ, ყოველ შემთხვევაში, სელჩუკები, რომელნიც საქართველოს ასე გააფთრებთ ებრძოდნენ? რა თქმა უნდა, იცოდნენ. «თურქები» მოხსენებული არიან ჯერ კიდევ «როქტევაჲ ქართლისაჲ»-ს მატრიანეში. ასე რომ, ამ ტერმინის მიხედვით, ფისრამიანის³ დათარიღება XIII—XIV საუკუნეებით შეუძლებელია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფისრამიანი ქართულად ითარგმნა თამარ დედოფლის მეფობაში, როგორც ამას დაეინებით ზახს უსვამს გადმოცემა, ტრადიცია. თამარზე აღრე ის არ შეიძლება ნათარგმნი იყოს, ვინაიდან იმაში ისეთი სახელისუფლო ტერმინები გვხვდება, რომელნიც, როგორც გარკვეულია უკვე მეცნიერებაში, მხოლოდ ისტორია-აზმანში, გიორგი მესამისა და თამარის ისტორიაში, იჩენენ თავს პირველად, ასეთებია: ამირსპასალარი, ვაზირი, ეჯიბი, მსახურთხუცესი, ყველაზე ადრინდელი თხზულება, რომელშიაც ფისრამიანის გმირებს ვხვდებით, არის ორი ოდა: თამარიანი და ე. წ. აბდულმესიანი⁴. პირველში ნათქვამია: «რამინს უშენოდ სტკივის: უშენოდ შურებოდა ვისის ნამიჯნურვედა (V, 22). მეორეში ვკითხულობთ: «ფხმოზ ვამეყ-ვისისა, არ თუ მეყვისისა, ჩამოთვლილია ვამეყის (რომანიდან ფამეყ და აზრა) საქმეები, მერე კი ვისის: ექმნა უწყალოდ, თვით ქმნა უძალოდ შიფე, გლახაკებრ ძონძთა მოფენით» (ნ. მარის გამოც., გვ. 23). ეს ოდები კი დაწერილია მეცამეტე საუკუნის დამდეგს, 1210 წლის მახლობლად, როგორც ეს თავის ადგილას იქნება ნაჩვენები. მაშასადამე, ამ წლისათვის ფისრამიანი იმდენად ცნობილი და პოპულარულია, რომ შესაძლებელი ხდება იქიდან ციტატის მოყვანაც კი. უფრო ზუსტად მისი გადმოთარგმნის დრო შეიძლება ნაჩვენები იქნას მთარგმნელის პიროვნების გარკვევასთან დაკავშირებით.

ვინაა ფისრამიანის მთარგმნელი?

სამეცნიერო ლიტერატურაში ისეთი აზრი არის განმტკიცებული, რომ ფისრამიანის მთარგმნელი არის სარგის თმოგველი, ივლისხმება პირველი, რომელსაც «დილარიანი» მიეწერება. ეს აზრი აღრევე გამოთქვა ბატონიშვილმა თეიმურაზმა ფეფხისტყაოსნის კომენტარებში⁵ და მერე მას

¹ А. Крымский, История Турции и ее литературы, т. I, гл. 3—4.

² არ ვასახელებთ ისტორია-აზმანს, რადგანც მისი წარმოშობა XII საუკუნეში, როგორც ცნობილია, საკამათო და სადისკუსიოა.

³ Е. Такайшвили, Описание, II, гл. 585. გაკრით ეს აღნიშნული ქონდა უკვე ევგენი ბოლხოვიტინოვის (Историческое изображение Грузии..., 1802 г., гл. 82).

იმეორებენ: დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, პლ. იოსელიანი, ი. მეუნარგია, იუსტ. აბულაძე და სხვ. თხზულების პირველი გამოცემლებიც, ცოტა ყოყმანით, მაგრამ მაინც ამ აზრს ემხრობიან (გვ. VII)¹. სარგისმა, ვარამ მხარგრძელის შვილმა, თმოგველობა 1191 წელს მიიღო. მაშასადამე, ვისრამიანი ამის შემდეგ უნდა იყოს გადმოთარგმნილი. თუ მხედველობაში გვექნება ის გარემოება, რომ მეცამეტე საუკუნის პირველ ათეულში ის იმდენად ცნობილი და პოპულარულია, რომ იქიდან, როგორც აღვნიშნეთ, ციტატები მოკვავთ, მისი გადმოთარგმნა მეთორმეტე საუკუნის უკანასკნელ ათეულს უნდა მივაკუთვნოთ.

საყურადღებოა, რომ სახელი რამინ ჩვენში პოპულარული ყოფილა გაცილებით ადრე, ვიდრე ეს რომანი ქართულად ითარგმნებოდა. ამ სახელს ატარებს ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ცხრაზმის ხევის ერთ-ერთი ხელისუფალი, როგორც ეს ჩანს ჩვენამდე შენახული ფიქალწერილიდან, რომელიც დამზადებული უნდა იყოს 923—926 წლებში და რომელშიაც ვკითხულობთ: „...ესე ქელი ჩუენ, რამინ და გიორგი, დაეწერეთ, ოდეს კოსტანტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმის ქევის ქელისუფლად ვიყვენითა“². ეს იმის მაჩვენებელია, რომ რამინისა და ვისის ამბავი ჩვენში ზეპირად ვრცელდებოდა ჯერ კიდევ ამ ამბის არსებობის ფალაურ პერიოდში, რა პერიოდისადაც ჩვენში შემოსულა და გავრცელებულა არა ერთი და არც ირანული საკუთარი სახელი. ამით, მაშასადამე, ისიც ირკვევა, რომ არ არის სავადღებულო ვიფიქროთ, ვითომც ჩვენნი ძველი გადმოთარგმნილი იყოს ფახრედინის მიერ ისეთი რედაქციიდან, რომლის სათაური ყოფილა „ვისორამ“ და არა „ვისურამინ“³. ქართული ონომასტიკონიდან ჩანს, რომ ფალაურადაც ცნობილი ყოფილა სახელი რამინ (და არა უეჭველად რამა).

ვისრამიანთა სატრფიალო-სამიჯნურო რომანია, გამომხატველი ფეოდალური არისტოკრატიის სულისკვეთებისა, განსაკუთრებით მისი იმ ფრთისა, რომლის ყოველდღიური ცხოვრების დროშაზე ლოზუნგად გამოყვანილია პედონიზმი: ფაიხარენ, სუი და ქამე (გვ. 42). ეს ის თხზულებაა, რომელიც ადამიანის სიცოცხლის მთავარ აზრს სიყვარულში, მიჯნურობაში ხედავს, იქამდის, რომ, მისი ავტორის შეხედულებით, ვინცა მიჯნური არაა, არცა კაცია (გვ. 32). რამინმა იცის მხოლოდ ხორციელი, მიწიერი, ფიზიოლოგიური სიყვარული, რომელიც მის მსხვერპლს ავიწყებინებს როგორც მშობლიურ-

¹ მიუღებელია ზ. კიკინაძის აზრი, თითქოს „ვისრამიანის“ მთარგმნელი იყოს ვილად დავით სანთაბაგოელი (ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 10), ვინაიდან მას საფუძლად უღდეს 1810 წლის კატალოგის რაღაც ბუნდოვანი ცნობა: ვისრამიანი, მეფის თამარის დროს ქმნილი დილარგეთის ბრძნის დავით საათაბაგოელისაგან შენიერს ენაზედა (А. Цагарели. Сведения. III, გვ. 257). ეს კატალოგი, როგორც უკანასკნელ დროს გამოიჩინა (ტ. რუხაძე), დავით რეპტორის მიერ ყოფილა შედგენილი (Brosset, De la littérature romanesque géorgienne, p. 420—421). თან, როგორც იმავე ტ. რუხაძემ გარკვევა. ხელნაწერში ყოფილა არა დავითი, არამედ თაქა და.

² ესაისტორიო მოამბე, წიგნი I, თბილისი, 1925 წ., გვ. 96—99.

³ იუსტ. აბულაძე, ვისრამიანის ტექსტისათვის, გვ. 273.

სა და მეუღლეობრივს, ისე ძმურსა და ელემენტარულ ადამიანურ მოვალეობას, რომელიც ფატალისტური აუცილებლობით ეწვეა ადამიანს და ამიტომ ქადაგებს: არ უნდა მიჯნურსა ყუედრება (გვ. 32). რომანის ავტორმა საეწიებით მოხადა ამ ბიოლოგიურ გრძობას კდემის, მორიდებისა და თავდაპირველობის სამოსელი, რომლითაც შემოსა ის კაცობრიობის კულტურულმა პროგრესმა, სულ ერთიანად გააშიშვლა ის და განაცხადა: მიწისაგან დაბადებული მიწით ნებისა და სიამოვნისა მონატრეა და მიწით სიამოვნისა ბადითა დაბმული. ლმერთსა კაცთა დაბადება ესრე გაუჩნია, რომელ ღიაცა და მამაცა ერთმანერთისაგან უფრო არ უყუარს (გვ. 81) და «შენ ესე არ იცი, რომელ მიჯნურისა უმოყუროდ საწუთრო არ ჰამოა? ლმერთსა ფრინველიცა დედალი მამალისათვის დაუბადებია, არ შენ (ვისი) დედალი მამალსა (რამინს) ჰშუენია? (გვ. 72). საკვირველი ის კი არაა, რომ ავტორი ასეთ მსჯელობას აპოდიქტურ ხასიათს აძლევს, როცა უმატებს: «აჰა, მართალ ხარ, რომელ ღიაცი მამაცისათვის დაბადებულია» (გვ. 73), არამედ ის, რომ მან თავის ქადაგებაში ოჯახური სიწმინდეცა დალაბა: «ესე კელმწიფეთა და დიდებულთა ცოლები ნახე, ყუელა მხიარულობს და ყუელას მალვითა მოყუარე უვის, ყუელა ცხადად და მალვით გაიხარებს» (გვ. 72—73), «რანიცა ფარდაგსა შიგან მყოფია, კელმწიფეთა ცოლნი და ასულნი და აგრეთვე დიდებულთანი, მრავალფერითა საქმითა იხარებენ: რაზომცა კელუსცი და კელმწიფე ქმრები უვის, მალვით ეგრეცა მიჯნურობენ და სხუანი შეუყვარდებიან» (გვ. 64).

ვნებათა ლელა, აღვირახსნილი ეინიანობა, რომანით, მამაკაცსც ითხოვს თავის კაობში, მაგრამ თავის ძალას ის განსაკუთრებით დედაკაცთა წრეში იჩენს: «ყარგი ჰრქუა მოაბადნან ოშანგს: დედანი ნებისაქენ უფრო იზიდენ, ვირე სახელისაქენ; დედანი უსრულად დაბადებულნია, მით მიწვიც თავისა წადილი მორევს, საწუთროსა და საუკუნოსა გასწირვენ ერთისა წადილისა გასრულებისათვის» (გვ. 65). ქალი რომანში სიამოვნების ფილადაა გადაქცეული. მას სხვა დანიშნულება და ღირებულება არ გააჩნია. ორიგინალურია აქ დამოკიდებულება მიჯნურთან, ტრფობის ობიექტთან: «სიყუარული თუალთა აქუს, ვინცა თუალითა აშორავს, გულითაცა აშორავს» (გვ. 171). ამით აიხსნება, რომ შეყვარებულნი ჰეპელისავეთ ასე ადვილად გადადიან ერთი ყვავილიდან მეორეზე: ვის. ვიროსაგან რამინისაქენ, რამინი ვისისაგან გულისაქენ.

ყოველივე ამის შემდეგ, საკვირველი არაა, რომ გარკვეულმა ანტისპარსულმა წრემ, უფრო კი კლერიკალურმა, ვისრამიანია გამოაცხადა ობიექტად ნამდვილი დევნისა, რომელიც XVIII საუკუნეში შემდეგ სიტყვებში იქნა ჩამოყალიბებული:

სიტყვას ვიტყვი მეტად მხრიანს, თუ შეესმის კაცსა მღვთიანს.
 მოვახსენებ ბრძენსა—ქვიანს, არ გამზილებ გიჟს—ბნედიანს:
 ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩახედავს ვისრამიანს,
 დაუზნებლბს დღესა მზიანს, ჯოჯობეთში ნახავს ზიანს¹

¹ Е. Такай швили, Описание, I, гв. 293. ასე იყო სპარსეთშიც. Ср. также, История персид.-таджик. литер., стр. 271, 285, 1960.

ფორმის მხრივ ვისრამიანი უაღრესად პოეტური ნაწარმოებია, საუცხოო პოეტური სურათები, შედარებანი, ფრაზები მას ქმნის პოეტური ხელოვნების შედეგად. შეუღარებელია ის ადამიანის გრძნობის ლეღვითა მიქცევი-მოქცევის ხელოვნურად დასურათებით. შეყვარებულთა, მიჯნურთა განცდის გამოხატვით, ერთად იმყოფებიან ისინი თუ არა, ამ რომანს ერთი უპირველესი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებთა შორის. მაგრამ სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენენ აქ ხელოვნურად დასურათებულნი პირობები. რომანში დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებითაა წარმოდგენილი სიყვარულის გრძნობა, მაგრამ ეს არ არის წმინდა, ნაზი და უზადო სიყვარული, ეს, როგორც ვთქვით, ხორციელი, მიწიერი, ამქვეყნიური გრძნობაა, რომელსაც მიზნად აქვს დაბალი მისწრაფებანი. მოქმედი პირნი დიდსა და უძლეველ დამბრკოლებებს სძლევენ თავისი გრძნობის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ სძლევენ არა თავისი გონებრივი თუ ზნებრივი თვისებებით და, თუ გნებავთ, ფიზიკური ღირსებით, არამედ ხერხით, ცბიერებით, თილისმით, მოტყუებით. თუ ჯადოსნობა და მესამე პირის ცბიერება-კუდიანობა არა, ისინი მხოლოდ უნუგემო სევედას, სასოწარკვეთილებას და დიაკურ ტირილსა და მოთქმას ეძლევიან და თავისთავად ვერაფერს აკეთებენ. ამ პირთ არ ახასიათებთ გრძნობის სიმტკიცე, კიდევანობაში ერხიმეორის დაუვიწყებლობა: როგორც ითქვა, ვისი ადვილად იგიწყებენ ვიროს, რაინი ჯერ ვისის და მერე გულის; და თუ ისინი თავის გრძნობისათვის მაინც კვდებიან, იმდენად არა გრძნობისათვის, რამდენად ხორციელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, როდესაც ერთად არიან და ერთმანეთს შეჰყურებენ. თითქოს შაპი მოაბადი ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს, ის, მიუხედავად ყოველგვარი დამცირებისა, მაინც მტკიცედ ინახავს ვისის სიყვარულს, მაშინაც კი, როდესაც მასთან არ არის, და მსხვერპლადაც ხდება ამ სიყვარულისა, მაგრამ ეს მას მოსდის მისი ხორციელი ვნება-ღელვით, მისი ხასიათის სისუსტის გამო, რომლის მეოხებით ის პირდაპირ კომიკურ როლშია გამოყვანილი და ყველასაგან მოტყუებისა და დაცინვის საგნად ხდება. გემთვრალეობა, უსაქმობა, უმიზნოდ დოოსტარება, აი, მთავარი გმირების დამახასიათებელი თვისებანი. რამინიკ ლვინის სმის, ნადირობის, ბურთაობის, შეჩანგებობისა და დუქნებში ლხინის მეტს არაფერს აკეთებს, როდესაც თავის საყვარელთან არ არის. ვისი ლამაზი ანგელოზსავით, მაგრამ სატანისებრი ცბიერი, იგი მზადაა შეურიგდეს თავის მდგომარეობას: კანონიერად ერთის მუდღელედ ითვებოდეს, ხოლო გვერდზე კურო ჰყავდეს, თუკი ეს მოსახერხებელია. და თუ ბოლოს ის აუშხვედრდება თავის მდგომარეობას, იმიტომ, რომ ასეთ ორ სკამზე ჯდომა აღარ ხერხდება. ძიძა,—ეს ხომ ნამდვილი მაქანკლის ტიპური წარმომადგენელია, რომელიც მზადაა გაურიგოს თავისი აღზრდილი მას, ვისგანაც მეტ სარგებლობას მოელის: ჯერ ვიროს აყვარებს მას, მერე მოაბადს უნდა შეურიგოს, მერე კიდევ რამინს დაუკავშირა. ერთი სიტყვით, ყველა მოქმედი პირი უარყოფითი ტიპია, იქამდის, რომ დედა ანგარებით შეიღსა ჰყიდის და მტერს ხელში უგდებს, ძმა და ქმარი (ვირო) იმდენ სულიერ სილაჩრეს იჩენს, რომ მერე მაქანკლად უღკება თავის დასა და ცოლს, ერთი მხრით, და მოძალადე მტერს,

მეორე მხრით. ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს შაპის ძმა ზარდი, გულ-წრფელი, ერთგული, თავისი მოვალეობის შემგნები კაცი, რომელიც მსხვერპლად ეწირება თავის მოვალეობას, მაგრამ ის რომანში მეორეხარისხოვანი პირია.

თავის დროზე რომანი ჩვენში პოპულარული ყოფილა, მას მკითხველი მრავალი პყლია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ კლასიკური ეპოქის თხზულებებში ხშირია ციტატები მისგან; ალორძინების ხანაში არჩილ მეფეს ის გაუღუქსავეს კიდეცა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. ცნობილია დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეებში ჩამოყალიბებული, ფრანგულ-ირლანდურ-ინგლისურ თქმულებათა საფუძველზე, რომანი ტრისტან და ისოლდე, რომელიც, თუ საკუთარ სახელებს არ მივაქცევთ ყურადღებას, ზედმიწევნითი განმეორებაა ფისრამიანისა¹ არა მარტო სუეტურად, ფაბულურადაც. მეცნიერებაში დასმულია საკითხი ამ ორი რომანის ურთიერთობის შესახებ. რით აიხსნება ასეთი ზედმიწევნითი მსგავსება მათ შორის? ამ საკითხს შეეხო ნ. მარი, რომელიც ამბობს: როგორც ტრისტან და ისოლდე, ისე ფისრამიანი, იაფეტური ეპოსის, იაფეტური პოეზიის წარმონაშობი ზღაპარია, ჯერ კიდევ ისტორიული წინდასწრებულ ხანებიდან მომდინარე თქმულება გახლავს¹. არაფერი გვეთქმოდნა ამის საწინააღმდეგოდ, მარტო ზოგად სუეტურ მსგავსებასთან რომ გვეკონდეს საქმე, მაგრამ ძნელია ამ ნიადაგზე ახსნა ფაბულასა და ლეტალებში იმ ზედმიწევნითი მსგავსებისა, რომელსაც ადგილი აქვს ამ შემთხვევაში. ჩვენი აზრით, რომანის ევროპული ვერსია (ტრისტან და ისოლდე) მომდინარეობს ფალაური ფისრამიანიდან, მაგრამ არა ლიტერატურული, არამედ ზეპირი გზით. ზეპირი თხრობის გზით გადასული ევროპაში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის პროცესში, ის, ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებაში, იღებს იმ სახეს, როგორც გვევლინება ტრისტან და ისოლდეში.

2. ამირანდარქანიანი

ეს თხზულება მოხსენებულია ფსევდორუსთველურ სტროფში, რომელშიც ნათქვამია: ამირან დარქანის-ძე მოსეს უქია ხონელსა. ამ ნაწარმოების ხელნაწერები საკმაოდ მრავალია, მაგრამ ყველა ალორძინებისა ხანისაა, მეჩვიდმეტე-შეცხრამეტე საუკუნეებისა, ისინი განსხვავდებიან ერთიმეორისაგან სტილით, ზოგიერთი ლეტალით, სათაურების აღნუსხვით, კარების ან თავების ნუმერაციით და, გადაწერის დროს აუცილებელი, შეცდომების მეტნაკლებობითა და რაოდენობით. პირველი მისი გამოცემა, რა თქმა უნდა, არაკრიტი-

¹ ქართული ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით, «მნათობი», 1925 წ., № 5—6, გვ. 309, 311, 327.

კული, ეკუთვნის ზ. კიკინაძეს¹, მეორე—ს. კაკაბაძეს², ხოლო მესამე, პირველ ორთან შედარებით უკეთესი—ს. ყუბანიშვილს³.

საქიროდ მიგვაჩნია, ვიდრე მისი შინაარსის გადმოცემასა და ისტორიულ ლიტერატურულ ანალიზს შევუდგებოდეთ, ორიოდ სიტყვა ვთქვათ ამ თხზულების შედარებითობის შესახებ. საკმე ისაა, რომ მოთხრობა დაყოფილია ცალკეულ კარებად ან თავებად, რომელთა სათვალავი დროთა განმავლობაში ვადამწერტ აურევიათ, რაც წარმომდგარა იქიდან, რომ ზოგი მთლიანი მოთხრობა, რომელიც ერთ თავს ან კარს უნდა შეადგენდეს შინაარსის მიხედვით, გაუყვიათ რამდენიმე ნაწილად, ხოლო რამდენიმე მთლიანი, ერთმეორისაგან დამოუკიდებელი შინაარსის მოთხრობა, მათი სიმოკლის გამო, შეუერთებიათ და ერთ კარად ან თავად წარმოუდგენიათ. პირველ კარში, რომელიც ნამდვილად არის თხზულების შესავალი, მომთხრობელი, სავარსიმისძე, ამბობს: «თორმეტნი კარნი არიან პატრონისა ჩემისანიო და სხუათა მათ ქაბუქთანი» (გვ. 9), მაშასადამე, თხზულებაში 12 თავი ან კარი უნდა ვეძიოთ. ამ თავების გამოსარკვევად ორი გზა არსებობს: ფორმალური და შინაარსობრივი. ფორმალური მხრით თითოეული თავი იწყება სტერეოტიპული ფრაზით: «ისმენდი მეფეთ მეფეო», ან «ცხონდი მეფეო უკუნისამდე», ხოლო თავდება: «აქა დასრულდა კარი ესა ესო, და მეერ ამინა. ასეთია თხზულების ტენდენცია, თუმცა ეს ტენდენცია ბოლომდის გატარებული არაა. თხზულების მეორე ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ თითოეულ თავში ლაპარაკი უნდა იყოს ერთი რომელიმე ქაბუქისა საგმირო საქმეებზე, მაგრამ არც ეს ტენდენცია ბოლომდის გატარებული: ბაღრი იამანისძის ამბავი ზოგ ხელნაწერში ორ კარადაა გაყოფილი, ამბრი არაბისა და ინდო ქაბუქის ამ-

¹ ამირანდარეჯანიანი მოსე ხონელისა (XII ს.), თბილისი, 1896 წ.

² ამირანდარეჯანიანი მოსე ხონელისა, თბილისი, 1939 წ. არ შეგვიძლია მწუხარება არ გამოვთქვათ, რომ გამოცემულ-რედაქტორმა არ გამოაყენა ყველა არსებული ხელნაწერი ამირანდარეჯანიანისა, განსაკუთრებით ისეთები, როგორიცაა, საქართ. მუზეუმის A 441 (რომელიც, თ. ყორანის აღწერილობით, თითქოს XVI საუკუნისაა) და ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავის № 29 (იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან), 1699 წლისა.

³ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. II, გვ. 2—140. რომანის კრიტიკული, აკადემიური გამოცემა ახლაც ისეა მოსალოდნელი, როგორც ამდენ ხანს იყო.

ლიტერატურა ამირანდარეჯანიანის შესახებ: 1) Broset: *Bullet. Sc. de l'Academ. imper. des Sciences*, III, Melang. *Asiatiq.*, VIII; 2) მ. ჯანაშვილი, მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი, 1895 წ.; 3) Грөн, *Грузинская повесть об Амيرانе...* ЖМН Провв., 1895 г., III; 4) Н. Марр, *Персидская национальная тенденция в Грузии. романе Амيران-Дареджавиани*, ЖМН Провв., 1895 г., Июнь; მისივე რეცენზია მოსე ჯანაშვილის დასახელებულ შრომაზე: ЖМН Провв., 1895 г., Октябрь; 5) А. Хачапов, *Сверх по история Грузии. словесности*, I (შინაარსი), II (გარჩევა); მ-ი ივე წერტილი ივერანიაში 1892 წ., № 17; 6) ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა XII საუკ. გვ. 11—13; 7) Н. Марр, *Из книги царевича Ваграта о переводе... Амيران-Дареджавиани*, ИАН, 1930 г., т. X, № 2; 8) Амيران, СМОПК, вып. XX; 9) კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია, ტურნ. «ჩუენი მეცნიერება», 1923 წ., № 4—5; 10) ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I², 1945 წ., 11) К. Дондуа, *Амيران-Дареджавиани*, Сборник «Памятники эпохи Руставели», Ленинград, 1938 г. და სხ.

ბავი. რომელიც ყველგან ორ კარადაა წარმოდგენილი, ნამდვილად ერთი თავი უნდა იყოს, ვინაიდან ინდო კაბუჯის ამბავში მთავარი მოქმედი პირი იგივე ამბრი არაბია. ერთ თავში უნდა იყოს მოქცეული მზეკაბუჯისა და სისხლთა ძებნის ამბავიც, რადგანაც აქ ერთსა და იმავე სუვეტურ რკალთან გვაქვს საქმე. ეს გარემოება ახლა საკმაოდ აძნელებს იმის გამორკვევას, თუ როგორი იყო თავდაპირველ დედანში თავების ან კარების რიგი. ამით აიხსნება. რომ როგორც ზოგიერთი ხელნაწერის გადაწერით, ისე ახალი დროის გველევართ, ამირანდარეჯანიანის შემადგენელ ნაწილად მიუღიათ ორი ამბავი «ჯიმშერ. ხაზართა მეფის დილარის შვილისა და ჯიმშერის შვილის, ჯიმშერ-არმოკლას, და მზეკაბუჯისა», რომელიც შესულა აგრეთვე ზ. კიკინაძისა და დამატების სახით ს. ყუბანეიშვილის გამოცემაშიც.

ეს ამბები იწყება ასე: «ოდესმე მეფესა ხაზართასა დაეპყრეს ყოველნი ქუეყანანი სიმხნითა და სიქველითა თვისითა, ყოველნი მონებდეს, უძრწოდეს, ყოველივე გარეგანი მეფენი, რომელნიცა თვითეულად აღწერილ არს სარგის თმოგველისაგან, სიმხნენი და გოლიათობანი სიკაბუჯისა მისისანი». ამის მიხედვით, ეს ორი ამბავი ა. ხაზანაშვილსა და ზ. კიკინაძეს მიაჩნდათ დილარიანიდან შემოტანილ ზედმეტ თავებად. მაგრამ ეს სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. ამათი შესავალი წინადადება—«ვითარცა თვითეულად აღწერილ არს სარგის თმოგველისაგან სიმხნენი და გოლიათობანი სიკაბუჯისა მისისანი»—გვეუბნება, რომ ეს ორი თავი არაა ნაწილი დილარიანიანისა, პირიქით, მათში აღნიშნულია სარგის თმოგველის შრომა, როგორც სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოები, ამ ნაწარმოებს ისინი იმოსწმებენ, იქიდან მათ ციტატი მოჰყავთ თითქოს. მეორე—აქ ჯიმშერის მამა დილარი აზაშეთის მეფეა. ასეთი შეხედულება არსებობს, თითქოს ეს თავები იყოს დილარიანისა არა ნაწილი, არამედ გაგრძელება, დაწერილი ამირანდარეჯანიანის მიბაძვით. საექვოა ესეც: გაგრძელება შეიძლება დაიწეროს იმისი, რაც არსებობს და რასაც იცნობენ (მაგალ., წერდნენ «ვეფხისტყაოსნის» გაგრძელებას). ვის უნდა მოსვლოდა აზრად დაწერა უკვე დაკარგულის, არარსებულისა და უცნობი დილარიანისა გაგრძელება? მერე, რაღა ამირანდარეჯანიანის მიხედვით და მიბაძვით მოინდომეს ამ გაგრძელების დაწერა?

მაშ, ნუთუ ეს თავები მართლა შემადგენელი ნაწილია ამირანდარეჯანიანისა? ერთი შეხედვით ეს ასე გამოდის. მართლაც: 1) პირველს ამ ორ ამბავთაგანს აწერია «ყარი მეთერთმეტე, ხოლო მეორეს—ყარი მეთორმეტე, ალბათ, იმიტომ, რომ ყველაფერი ის, რაც მათ წინ მიუძღვის, ათ თავშია ნაგულისხმევი; 2) ეს ამბები იწყება და თავდება ისე, როგორც სხვა კარები ამირანდარეჯანიანისა: «ისმენდინ მეფეთ მეფო, ცხონდინ უკუნისამდე», აქა დასრულდა კარო ესა და ესა, ამინ; 3) ეს ორი ამბავი სტილით, სულით, შინაარსითა და მოთხრობის ხასიათით ზედმიწევნით ენათესავენა ამირანდარეჯანიანისა სხვა ამბებს; 4) ამ ამბებს უყვება ამირანსა და სეფედავლეს იგივე რაბბ-ნობადი, რომელმაც მათ გადასცა მზეკაბუჯის ამბავი. მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, ეს ამბავი არაა ორგანული ნაწილი ამირანდარეჯანიანისა, ისინი შემდეგაა მიკერებული ამ თხზულებაზე. ამისი დამამტკიცებელი

საბუთია უმთავრესად ტერმინოლოგია და ლექსიკა. ასეთია: ზუჩი, ვიგრის ტყავის ფარი, სტილი (303), ღურბინი, ჯადაგობა, ჯირითი, ალაჯი, ბელადი, ყათლანი. ეს სიტყვები და ტერმინები ამირანდარეჯანიანმა არ იცის. ასევე უნდა ვთქვათ ორი სახელის შესახებაც: ერთია «ქეთევან» დედოფალი, ცოლი ხუსრუჯან დედისა (გვ. 267); ეს სახელი შემოვიდა ჩვენში «შაჰნამეს» თარგმანადან, პირველად ის შეთქმესტეტე საუკუნის მიწურულსა და მეჩვიდმეტის დამდეგს გვხვდება; მეორე—ამირანდარეჯანიანში ჩინეთს ეწოდება ქვინთა ქვეყანა (გვ. 111—114, 116—120); აქ კი მას ჩინეთი ეწოდება (გვ. 266).

ამრიგად, ეს თავები დაწერილია შემდეგში, როგორც დამატება და გაგრძელება ამირანდარეჯანიანისა, კერძოდ მისი იმ თავისა, რომელშიც მოთხრობილია მზექაბუჯის ამბავი. აქ გამოყენებულია აღნიშნული ამბის საკუთარი სახელები: მზექაბუჯი, ხოსრო, აბრამი, რაიბ-ნობადი, დაწერილია იმ მიზნით, რომ მკითხველს მისცეს მზექაბუჯის უკლებელი, ესე იგი, სრული ამბავი და თავგადასავალი. ამ თავების ავტორს ზედმიწევნით შეთვისებული აქვს სული, სტილი და მანერა ამირანდარეჯანიანისა, იმიტაცია უკიდურესობამდე დაყვანილი. მართლა «ქრციხნავალელი» კაცის მოგონებული და მოკორილია ეს თავები, როგორც ამას ერთ-ერთი ხელნაწერი აღნიშნავს, თუ არა, ან ვინ იყო ეს «ქრციხნავალელი» კაცი, ამის შესახებ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით ამჟამად. ის კი შეიძლება ითქვას, რომ ეს თავები დაწერილია XV II საუკუნის უკანასკნელ წლებში, ან XVIII ს. დამდეგს, მას შემდეგ, რაც სულხან საბა ორბელიანმა თავისი «ლექსიკონი» შეადგინა. საქმე ისაა, რომ ზემოჩამოთვლილ სიტყვებსა და ტერმინებს საბას ლექსიკონი არ იცნობს, უნდა ვიფიქროთ, იმიტომ, რომ ლექსიკონის დაწყებისას (1685 წ.) ეს თავები ჯერ არ არსებობდა. შეიძლებოდა მათი წარმოშობა 1716 წლის შემდეგ დაგვედო, როგორც ამას ა. ბარამიძე სჩადის, დარწმუნებული რომ ვიყოთ იმაში, რომ «ჯიმშერიანის» სიტყვები—«შენიერობითა მაჰმადიანთ სამოთხისა სძლებსა საპატიურობას ასწავლის» ნასესხებია საბას «ქილილა და დამანადან», რომელშიც ნათქვამია: «ეკელუტობითა მაჰმადიანთ სამოთხის სძლებს საპატიურობას ასწავლიდა; მაგრამ ეს ისეთი აფორიზმია, რომელიც ხალხში მოარული იყო (სპარსულ დედანში ის სხვაგვარი ნიუანსითა მოცემული), ამიტომ ერთ ავტორსაც და მეორესაც დამოუკიდებლევ შეეძლო ამრელო ხალხის წიაღიდან.

ახლა, მაშასადამე, თუ თხზულების შესავალს ცალკე თავად ვივლისხმებთ, და ინდო ქაბუჯის ამბავს ცალკე, ამბარი არაბის ამბისაგან დამოუკიდებელ, ამბად ჩავთვლით, მივიღებთ თხზულების შემდეგ თავებს ან კარებს, როგორც ეს მოცემულია ისეთ ძველ, შედარებით, ხელნაწერებში, როგორიც ყოფილა, ერთი მხრით, დედანი გალექსილი ამირანდარეჯანიანისა და, მეორე მხრით, ხელნაწერები: S 393, A 441 და ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავის № 29 (იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან).

1. აბესალომ, ინდოთ მეფის ამბავი (შესავალი)
2. ბადრი იამანისძის ამბავი
3. ნოსარ ნისრელის ამბავი
4. ამირან დარეჯანიძის ამბავი

5. ამბრი არაბის ამბავი
6. ინდო კაბუკის ამბავი
7. მნათობთა ამბავი
8. ტილისმათა ამბავი
9. სეფედავლე დარისპანისძის ამბავი
10. შზისა კაბუკის ამბავი
11. სისხლთა ძებნის ამბავი
12. ბალხეთს შესვლის ამბავი.

ამირანდარეჯანიანისა შედგენილობის გარკვევის შემდეგ საჭიროდ ვთვლით, მისი ხასიათის შესავნებად, გადმოვცეთ მოკლედ თხზულების შინაარსი.

ქარნი I. ინდოეთის მეფე აბესალომი ორშაბათობით, სამშაბათობითა და ოთხშაბათობით ნადიმობდა დიდებულებთან ერთად, ხუთშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით ნადირობდა, ხოლო კვირაობით სამეფო საქმეებს განაგებდა. ერთხელ ნადირობისას მინდორში მან შეამჩნია ქურციკი, რომელსაც ოქროს რქები ჰქონდა, გამოუდგა მას ორი მხლებლით და შვიდი დღე სდია. შემვიდგე დღეს ქურციკი მივიდა ადგილსა ერთსა კლდოვანსა, ჩაიხვეწა იქ და უჩინო იქმნა. მეფემ და მხლებლებმა მიიხედ-მოიხედეს და იქვე შენიშნეს ერთი ქვიციკრის სახლი, რომლის კედელზე გამოხატული იყო ექვსი კაბუკი და მათ შუა ლამაზი ქალი. სურათს შემდეგი წარწერა ჰქონდა: მე ვარ ამირან დარეჯანისძე და ყმა ჩემი საეარსიმისძე, ბადრი იამანისძე და ყმა მისი ინდო კაბუკი, ნოსარ ნისრელი და ყმა მისი ალი დილაში; ოდეს ქაჯნი დაეკრეწნით და ზღუათა მეფისა ასული გამოვიყვანეთ, ამას ადგილსა მოვედით და ყოველი არაბეთი ზედა მოგუიჯდა და მაშინ არა ავად ვიყვანიოთ. მეფეს გაუკვირდა ყოველივე ეს, გამოვიდა გარეთ და მინდორში დაინახა მთელი გორა ცხენებისა და კაცთა ძვლებისა, აგრეთვე იარაღის ნამსხვრევები. დაბრუნდა ის სახლში დაღონებული, მუდამ კითხულობდა ამ კაბუკთა ვინაობას და, რადგანაც ვერაფერი გაიგო, სულ ერთიანად სევდამ მოიკცა, თავი დაანება ლხინს, ნადირობასა და სახელმწიფო საქმეებსაც. თავისი დიდებულის აბულ ასანის რჩევის თანახმად, მან ამბის შესატყობად კაცები გაგზავნა ბაღდადს, სადაც მათ მიაგნეს ერთ მოხუცებულს. ამისაგან გაიგეს, რომ მახლობელ ბალხეთში, რომელიც აშენებულია ამირან დარეჯანისძის მიერ, ცხოვრობს მისი ყმა, ყველა მისი თავგადასავლის მოწამე, საეარსიმისძე. გაგზავნილები წავიდნენ ბალხეთს, რომლის შესავალ კარებზე დაინახეს ცხენზე მჯდომი ამირანის გამოხატულება. აქ მართლაც მოძებნეს საეარსიმისძე, რომლისაგან ამირან დარეჯანისძის თავგადასავალი მაინც ვერ მოისმინეს, ასე რომ აბესალომი იძულებული შეიქნა საგანგებოდ დეპუტაცია გაეგზავნა და ისე მოეყვანა ეს კაცი თავის სამეფოში. საეარსიმისძემ მეფეს განუცხადა, რომ ამირან დარეჯანისძის ამბის თქმას, რომელიც თორმეტი კარისაგან შედგება, ერთ წელიწადს მაინც მოუხდებო და დაიწყო ასე:

ქარნი II. ბადრი იამანისძის ამბავი. ერთხელ ნადირობისას ამირან დარეჯანისძე შეხვდა მტირალ შაოსან კაცს, რომელმაც უამბო მას შემდეგი:

ჩემი პატრონი, ბადრი იამანისძე, შეუღარბელი გმირი იყო. თავისი ბადალი კაბუკი მან ვერსად პოვა, რითაც შეწუხებული იყო. ერთხელ მოვიდა მასთან მოხუცებული არაბი და უთხრა: წადი და გამოიყვანე ზღვათა მეფის ქალი, იქ გზა ძნელი და სახიფათოა, თან ისეთ კაბუკებს შეხედები იმ სამეფოში, რომ შენს ბედს დასწყევლიო. ბადრიმ წაგვიყვანა მე და ინლო კაბუკი, თან მოხუცებული არაბიც, რომელიც თხოთმეტი დღის მგზავრობის შემდეგ ჩამოგვჩნა და აღარ მოინდომა გზის გაგრძელება. ჩვენ წავედით და ენახეთ ერთი კარავი, რომელშიც წითელ კაბუკს ეძინა, ეს კაბუკი ინდომ დაამარცხა და მერე ჩვენ გამოგვყვა. შემდეგ ჩვენ დავემარცხეთ მთელი რიგი კაბუკებისა. გზაზე, ერთი მათგანის, შაოსანის, ამაღაში ვიპოვეთ უსიბი, რომელიც თან გაეიყოლიეთ. გზაზე მოგვიხდა ბრძოლა მხეცებთან, სპილოსთან, მარტორქასთან, გველებით მოსილ კაცთან, შავსა და თეთრ ვეშაპთან. ყველას ეძლიეთ, დავემარცხეთ აგრეთვე 3000 კაბუკისაგან შემდგარი ლაშქარი და მივედით ზღვის პირას ერთ პატარა ქალაქში. აქ, ჩავსხედით თუ არა ნაევბში, თავს დაგვეხსნენ ზღვის პირატები, რომელთაც გახურებული ქვეები დაგვიშინეს. ბადრი იამანისძე გადახტა იმათ ნაეში და ყველანი ზღვაში ჩაყარა. ჩვენ გადავედით კუნძულზე, მივედით ზღვათა სამეფოში და მეფეს გადავებინეთ ჩვენი მისვლის მიზეზი. მეფემ აღგვითქვა თავისი ქალი, მაგრამ ბადრის მოსთხოვა წინასწარ შებოღა მის სამ ბუმბერაზს: აბაზს, მოკლე კაბუკსა და არზამანიკს. ბადრიმ სძლია სამივეს და მეფემ, დაპირებისამებრ, ქალი მისცა. სამი თვის ნადიმობის შემდეგ გამოვემგზავრეთ სამშობლოში. ღამე მოვიდა ბაყბაყ დევი, რომელმაც ბადრი მოიტაცა. ინლო კაბუკი დაედევნა მას დასახსნელად, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჩვენ შეწუხებულნი დავბრუნდით ზღვათა მეფესთან, მივეგვარეთ უკანვე მისი ქალი და ყველაფერი ვუამბეთ. ზღვათა მეფემ მე და უსიბი დაუყოვნებლივ გაგვგზავნა მოციქულებად ნოსარ ნისრელთან, რომელსაც ის დახმარებას სთხოვდა. ნოსარმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, წამოიყვანა თავისი ყმა ალი დილამი და გამოემართა საქმებელად.

ქპარი III. ნოსარ ნისრელის ამბავი. ავირჩიეთ მოკლე, მაგრამ სახიფათო გზა. ყველაფერი, რაც კი შეგვხვდა,—მხეცები, საშინელი ფრინველები და უძლეველი ლაშქარნი,—შემუსვრილ იქნა ნოსარისა და უსიბის მიერ. მიუხაზლოდით ერთ ქალაქს, რომელიც დევთა ქალაქი აღმოჩნდა. ნოსარი შევიდა შიგ და კარგა ხნის შემდეგ მოიყვანა ორპირიანი კაცი; ერთი პირი შავი ჰქონდა და ერთი წითელი. შავი პირით სპარსულად ლაპარაკობდა, წითლით ნალაპარაკევი კი არ გვესმოდა. ამ ორპირიანი კაცის თანხლებით მივედით ერთ ციხესთან, რომელიც დევებს ეკუთვნოდა და რომელშიაც ბადრი იამანისძე იყო დამწყვედული. ნოსარმა აქ დაიძინა. ღამე მოვიდა ბაყბაყ დევი და მისი ძმა ხაზარანი და შეიპყრეს ნოსარი, რომლის საქმებელად წავიდა მისი ყმა ალი დილამი. იამან კაბუკმა მე ახლა შენთან გამოგზავნა, ამირან, შენ თუ არა, შეტი გზა არ არის ბადრისა და ნოსარის ხსნისა. ამირანმა, მოისმინა თუ არა ყოველივე ეს; არც კი დაუცადა თავის კაბუკებს, იმწამსვე გზას გაუდგა.

ქარტი IV. ამირან დარეჯანისძის ამბავი. ამირანი, სავარსიმისძე და შო-სანი ქაბუჯი მივიდნენ ქ. იამანში ბადრის მამასთან, რომელსაც ამირანმა აღუ-თქვა შვილის დახსნა. წაიყვანა უსიბი და 12 დღის მგზავრობის შემდეგ მიად-გა ერთ ციხეს, რომელშიც, ორპირიანი კაცის სიტყვით, დამწყვედელი იყე-ნენ ინლო ქაბუჯი და ალი დილამი. ამირანმა ციხე შემუსრა და დატყვევე-ბულნი გაათავისუფლა და აქედან ყველანი ერთად გაუდგინა გზას. გზაზე მათ მრავალი დამბრკოლება ელოდებოდათ: მდინარეზე გადასვლა, საშინელი გველები და სამი ვეშაპი, რომელთაგან ერთმა ამირანი გადაუღაპა. ამირანს ფეხსაცმლის მოგვში დანა ჰქონდა, რომლითაც ვეშაპს მუცელი გაუჭრა და გამოვიდა. გზაზე შეხვდათ მტირალი ქალი, რომელმაც ისინი სადილზე მიიწ-ვია; ამირანი შეიყვანა გამოქვამულში და უცბად კარზე დიდი ლოდი მიაგორა. გამოქვამულში ამირანმა ნახა ერთი ცალთვალა დევი შვილითურთ, რომელ-თაც მისი შეკმა მოინდომეს. ამირანმა ჯერ შვილი მოკლა და მერე მამას მე-ორე თვალაც ამოთხარა. ამის შემდეგ ამირანს თავს დაესხნენ ბაყბაყ დევი და მისი ძმა ხაზარანი, უკანასკნელი ომში მოიკლა. ბოლოს და ბოლოს მი-ადგნენ იმ ციხეს, რომელშიაც ბადრი და ნოსარი იმყოფებოდნენ. რადგან შიგ შესვლა შეუძლებელი იყო, ამირანმა შემდეგ ხეჩხს მიმართა: მან ფეხში წააგლო ხელი ერთ საშინელ ფრინველს, მდინარის პირს მოფრენილს, რომელმაც ამირანი ციხეში გადაიყვანა. ნოსარისა და ბადრის დახმარებით მან დაღწეა ციხის კარები, ამოწყვიტა მცველები და დიდი სიმდიდრით უკან დაბ-რუნდა ბადრითა და ნოსარით. მათი გამარჯვების ამბავი მთელ არაბეთს მო-ედო, ბაყბაყ დევმა დიდძალი ჯარი შეაგროვა და დაედევნა მათ უკან, გაი-მართა საშინელი ომი, რომელიც სამი დღის შემდეგ ბუმბერაზი ქაბუჯების გამარჯვებით გათავდა. აქ მათ ააშენეს ქვიტკირის სახლი, რომელიც მათ თავიანთი გამოხატულებით შეამკეს; ეს ის სახლი იყო, რომელიც ინდოეთის მეფემ აბესალომმა ნახა.

ქარტი V. ამბრი არაბის ამბავი. ერთხელ ბაღდადში ამირანმა და სავარ-სიმისძემ მოკეიფე კომპანიისაგან გაიგონეს, რომ, თუმცა ამირანი სწორუპოვა-რი ქაბუჯია, მაგრამ არის ვინმე ამბრი არაბი, რომელიც მას არ ჩამოუვარ-დება. ამირანმა გამოიკითხა ვინაობა ამბრი არაბისა და აღმოჩნდა შემდეგი: ამბრი იყო დიდი კაცის შვილი, რომელიც მამამ აღსაზრდელად მიიბარა გა-მოჩენილ ქაბუჯს აბუთარს. შვიდი წლის ის უჩვე ლომებს ხოცდა. თხოთმეტი წლისას უყიდეს შესანიშნავი ცხენი. ასპარეზობაში მას ბადალი არა ჰყავდა. ის ცხოვრობდა არაბეთის ქალაქ იემენში. არაბებს ამ დროს აწუხებდნენ თურქები, რომელთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს 15 წლის ამბრის. ამბ-რიმ წაიყვანა აბუთარი და პირველსავე შეხვედრისას 3000 თურქი მოკლა. თურქების მოკავშირე ხანმა 200000 კაცი გაგზავნა იემენში. ამბრიმ წაიყვანა 60000 ჯარისკაცი და შეასია თურქებს. აქ მას ჯარი გაუწყვიტეს, ასე რომ იძულებული შეიქნა თავისი ქაბუჯებით თავი შეეფარებინა ერთ ციხეში, რომელსაც თურქებმა 80000 კაცი შემოარტყეს გარს, თუმცა უშედეგოდ. თურ-ქებმა ამბრის წინააღმდეგ გამოუშვეს სამი ბუმბერაზი, რომელნიც სათითაოდ დახოცა ამბრიმ. ბოლოს თურქთა ჯარი დამარცხდა და ამბრის ხელთ ჩაუ-

ვარდა მათი მეფე, რომელიც მან შეიბრალა, როგორც მეფე, და ცოცხალი გაუშვა.

პარტი VI. ინდო ქაბუჯის ამბავი. ამის შემდეგ იემენს ახალი მტერი გამოუჩნდა, ინდო ქაბუჯი, რომელიც მას აოხრებდა. ამბრი გავიდა მის წინააღმდეგ, რამდენჯერმე შეეჯახნენ ერთმანეთს, მაგრამ ვერ სძლიეს ერთიმეორეს, ამიტომ ისინი დამძობილდნენ და ფიცი დადეს, რომ ერთად დაიკავენ იემენს. მართლაც, მათ ამოწყვიტეს ხანთა მეფის ჯარი და განდგომილი არაბები კვლავ დაუმორჩილეს იემენს. მოისპინა რა ეს ამირანმა, დაუყოვნებლივ მოიბრუნა პირი და თავისი ამალით იემენისაკენ გაემგზავრა. მას უნდოდა ენახა ამბრი არაბი და თავისი ძალა გამოეცადა მასთან ბრძოლაში. სამწუხაროდ, მან ის ცოცხალი ვერ ნახა, ქალაქის კარებში შეხვდა სამგლოვიარო პროცესიას, რომელიც გარდაცვალებულ ამბრის ასაფლავებდა.

პარტი VII. მნათობთა ამბავი. ბაღდადის ამირ მუმლს უნდოდა თავისი სამი შვილისათვის ცოლები მოეყვანა. რადგანაც ბერძენთა, ინდოთა და ხაზართა მეფეების ქალები საკადრისები არ აღმოჩნდნენ, მან უბრძანა ვეზირს სხვაგან მოეძებნა სარძლოები. ერთი თვის შემდეგ ვეზირმა გაიგო, რომ მნათობთა ქვეყნის მეფეს ასფანს ჰყავს შვიდი მზეთუნახავი, მაგრამ იქ მისვლა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამირ-მუმლი თავისი ამალით მივიდა ამირანთან და დახმარება სთხოვა, ისიც დაუყოვნებლივ ადგა და გაემგზავრა. ბევრი დაბრკოლებისა და ხიფათის შემდეგ მივიდა მნათობთა ქვეყანაში, სადაც მეფის კარზე ნახა მისი ქალების ხელის საძებნელად მოსული ოთხი მეფისშვილი: ჩინეთის, დელამის, ხაზარეთისა და იემენისა. ისინი და მათი ამალა ებრძვიან ერთიმეორეს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან. ამირანმა სათითაოდ დაამარცხა ყველა, მეფეს გამოსთხოვა შვიდივე ქალი. ოთხი აქ მოსულ მეფეთა შვილებს დაუტოვა, ხოლო სამი წაუყვანა ამირ-მუმლს.

პარტი VIII. თილისმათა ამბავი. ამირანს ძილში ეცხადებოდა უცნობი კაცი, რომელიც ეუბნებოდა, რომ თილისმათა ქვეყანაში არის მზეთუნახავი ქალი, რომელიც შენ შეგშენის ცოლადო. იმდენი ელაპარაკა მას, რომ ამირანს გულში ჩაუვარდა ამ ქალის სიყვარული და გზას გაუდგა მის საძებნელად. გზაზე მან უჩალებისაგან იხსნა ვაჟართა ქარავანი, რომელთაც მას მისცეს გზის მაჩვენებელი. მრავალი თილისმისა და დაბრკოლების ძლევის შემდეგ ის მივიდა იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობდა მისი სატრფო, ხვარაშან ქალი. აქ მან სძლია მრავალ კონკურენტ-ბუმბერაზს და თავის სურვილს მიაღწია: ხვარაშანი შეირთო და ბაღდადს დაბრუნდა.

პარტი IX. სეფედავლე დარისპანისძის ამბავი. სეფედავლე ძალიან ადრე დაობლებულა და დედის ამრია დარჩენილა, მას მტრები მის სამკვიდრებელს ერთიმეორაზე აცლიდნენ ხელიდან. ცოტა რომ წამოიზარდა, ჯერ მტრებს გაუსწორდა, თავისი სამკვიდრებელი დაიბრუნა, და მერე გაემგზავრა ჩინეთს იქაური ქალის შესართავად. გზაზე ბევრი ხიფათი შეხვდა. მოუხდა ბრძოლა მხეცებთან და თილისმებთან, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თავის მიზანს მიაღწია. ამირანმა რომ მოისპინა სწორუპოვარი ქაბუჯის სეფედავლეს ამბავი, მოძებნა ის და ბრძოლაში გამოიწვია. დიდხანს იბრძოლეს, მაგრამ ვერც ერთ-

მა სძლია და ვერც მეორემ, რის გამო ისინი დამეგობრდნენ და ძმობა შეპყვეცეს ერთმანეთს.

პარტი X. მზისა ქაბუჯისა ამბავი. ნადირობის დროს ამირანი ჰკლავს ირლომს, ამ დროს გამოჩნდა შალსანი კაცი და დაიწყო ტირილი. ამირანმა ის შინ წაიყვანა, გამოკითხა ამბავი და მისგან მოისმინა მზექაბუჯის გვირობა, ხაზართა მეფის ხვასროს კარზე ბუმბერაზებთან ბრძოლა მისი ქალის გული-სათვის, ამ ქალის გატაცება თილისმათა ქვეყანაში, მზექაბუჯის იქ გამგზავრება, ქალის გამოყვანა, ხაზართში ხვასროს შემდეგ გამეფება, და ღალატით ხუთი ბუმბერაზის მიერ მისი მოკვლა.

პარტი XI. სისხლთა ძებნის ამბავი. ამირანი აღშფოთდა ამ ქაბუჯთა ვერაგული საქციელით, ამიტომ განიზრახა მათი და მათ თანამოაზრეთა დასჯა. მან მოიწვია სეფედავლე და მასთან ერთად გაემგზავრა ქ. ღაზნაში, შევიდა ქალაქში და სულ მუსრი გააგლო ყველას მზექაბუჯის მოკვლისათვის.

პარტი XII. ბალხეთს შესვლის ამბავი. ზეიმის დროს ამირანს შეატყობინეს, რომ ბალხეთის მეფეს აუჯანყდა მონა ბალხამი, რომელმაც განიზრახა მეფის ტახტიდან ჩამოგდება და მისი ქალის ცოლად შერთვა. ამირანი მიდის ბალხეთს, ქალაქს იპყრობს და მერე შეებმება ბალხამს, რომელსაც ის ჰკლავს. ამის შემდეგ ის თვითონ შეერთავს მეფის ქალს და ბრუნდება უკანვე.

ასეთია მოკლე ზინაარსი ამ სადევგმირო რომანისა. როგორც ვხედავთ, აქ თავმოყრილია და ერთიმეორეზე მექანიკურად გადაბმული რამდენიმე სხვადასხვა მოთხრობა. მთავარი, ცენტრალური ადგილი რომანში უკავია ამირან დარეჯანისძეს, რომელიც, რომანის ტენდენციით, არის სახელით ყოველთა უფროსი და ღმრთა ღმირი¹. საკუთრივ ამირანის ამბავი, მისი დევგმირობა და ბუმბერაზობა მოთხრობილია მეოთხე, მეშვიდე, მერვე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კარებში, სხვა კარები შეიცავენ დამოუკიდებელ მოთხრობებს: 1) ბადრი იამანისძისას, 2) ნოსარ ნისრელისას, 3) ამბრი არაბისას, 4) ინლო ქაბუჯისას, 5) სეფედავლე დარისპანისძისას და 6) მზექაბუჯისას. ამ პირთა თავგადასავალი მექანიკურადაა გადაბმული ამირანის ამბებსა და პიროვნებაზე. მართლაც, ბადრი იამანისძესა და ნოსარ ნისრელთან, რომელთაც ამირანი არც კი იცნობდა წინათ, აერთებს მას მხოლოდ ის, რომ შემთხვევით სთხოვეს მას მათი დასხნა დევების ტყვეობიდან. ამბრი არაბი არც კი უნახავს ამირანს ცოცხალი, მან მოინდომა მისი მოძებნა, რომ თავისი ძალა გამოეცადა. აგრეთვე საგანგებოდ მოძებნა მან სეფედავლე დარისპანისძე, რათა მისი ვაჟი ცოცხალი გამოეცადა. მზექაბუჯი ამირანს არც ცოცხალი, არც მკვდარი არ უნახავს, მან მხოლოდ შერი იძია მისი მუხანათური მკვლევლობისათვის.

ამ ქაბუჯთა ამბავი არა მარტო მექანიკურადაა გადაბმული ამირანის ამბავზე, არამედ ყოველგვარი წესისა და სისტემის გარეშე, წინდაუხედავად, წინააღმდეგობათა დაშვებით. მართლაც, მთავარი წინააღმდეგობა თვით რომანის შედგენილობაში ჩანს. შესავალში საქმე ასეა წარმოდგენილი: ინლოეთის მეფე აბესალომი მინდორში, რომელიც დაფარულია რაღაც ომის შედეგად

¹ ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 32.

დახოცილ ადამიანთა და ცხენების ძვლებით, ნახავს ერთ ქვიტკირის სახლს შევა შიგ მზლებლებით და კედლებზე დაინახავს ექვსი ქაბუჯის გამოხატულებას, მათ შორის კი ერთი მზეთუნახავი ქალისას. სურათს ასეთი წარწერა აქვს: *მე ვარ ამირან დარეჯანისძე და ყმა ჩემი სავარსიმისძე, ბადრი იამანისძე და ყმა მისი ინლო ქაბუჯი, ნოსარ ნისრელი და ყმა მისი ალი დილამი. ოდეს ქაჯნი დავჯოცენით და ზღუათა მეფისა ასული გამოვიყვანეთ, ამას ადგილსა მოვედით და ყოველი არაბეთი ზედა მოგუივდა და მაშინ არა ავად ვიყენით. აბესალომი ძალზე დაინტერესდება, უნდა გაიგოს ამ სურათის შინაარსი და აქ აღნიშნული პირების თავგადასავალი. მოსძებნის კაცს, რომელიც ამ საიდუმლოებას გაუხსნის მას: მოუყვება ზღვათა მეფის ასულის გამოყვანას, ბადრი იამანისძისა და ნოსარ ნისრელის თავგადასავალს, მათ გამოხსნას ღვეთა ტყვეობიდან და არაბებთან გადახდულ ომს. სუეეტური ჯვალის, ნაგულსხმევი შესავალში, ამოიწურა პირველ ოთხ თავში, დანარჩენი ამბები და თავები სრულიად მოულოდნელი და ზედმეტია ამის შემდეგ. მართალია, აქვე, შესავალშივე ნათქვამია, რომ თხზულება 12 კარის ან ამბისაგან შედგებაო, მაგრამ ეს არის ზეპირი განცხადება, აღნიშნული სუეეტური წინააღმდეგობისა და უხერხულობის მოსაბოდიშებლად.*

მეორე: თილისმათა ამბავში მოთხრობილია, რომ, იმ სახლში, რომელ მაც თავისი სურათებით ასე დაინტერესა აბესალომი და რომლის საიდუმლოება მისთვის და მკითხველისათვის უკვე გარკვეულია, მოხვედრილა შემდეგ თავისი სატრფოს, ხვარეშანის, მძებნელი ამირან დარეჯანისძე. სავარსიმისძე უყვება აბესალომს: ჩვენ, ესე იგი ამირანი, მე, აბან ქამანისძე და ქაოზ ქოსისძე, წვაედით და მას სახლსა მივედით, რომელ თქვენ გინახავს; და ოდეს შევედით, ქალისა სახე იყო დაწერილი ავთიივე, რომელი კედელსა ზედა ეკრა. ამოიღო იგი ეტრატსა ზედა დაწერილი ამირან დარეჯანისძემან. ოდესცა ერთგან გენახნეს, ამას ბრძანებდი, თუ ერთნი არიანო. და ზედა ეგრე ეწერა: ესე არს სახე მის ხვარაშან ქალისაო (გვ. 78). გასაკვირველი არის აქ მკითხველისათვის ის გარემოება, რომ ქალის სურათს, რომელიც, როგორც ვიცით, ზღვათა მეფის ასულია, აქ აწერია, რომ ეს არს სახე მის ხვარაშან ქალისაო. შემდეგ, როდესაც ამირანმა და მისმა სამმა ყმამ თილისმათა ქვეყნიდან ხვარაშან ქალი გამოიყვანეს, ისინი მოსულან იმავე სახლში. მაშინ მოიყვანა (ამირანმა) მხატვარი და დაწერა თავი თვისი და ჩვენცა (გვ. 96). გამოდის, თითქოს ის სურათები, რომელნიც ინდოთა მეფეს უნახავს და რომელნიც წინათ გასაღებულია ამირანის, ბადრის, ნოსარის, სავარსიმისძის, ინლო ქაბუჯის, ალი დილამისა და ზღვათა მეფის ასულის სურათად, არის ამირანის, ხვარაშანის, სავარსიმისძის, აბან ქამანისძისა და ქაოზ ქოსისძის სურათი.

მესამე: ინლო ქაბუჯი, რომელიც ბადრი იამანისძის ამბავში გამოყვანილია როგორც უბრალო ყმა ბადრისა, ამასთან წვაზხდარი დევებისაგან, მეექვსე თავში მოულოდნელად გვევლინება როგორც ამბრი არაბის ძმადნაფიცი, დიდი და უზარმაზარი ლაშქრის პატრონი, ამასთან, როგორც უძლეველი ქაბუჯი, რომელიც მუსრს ავლებს იამანეთის მეფეებს.

მეთხე: ამარ იამანელი, სამშობლოდან გამოძევებული და იამანეთში თავშეფარებული არაბთა მეფის დიდებულის შვილი, რომელიც მოულოდნელად იქცევა ამბრი არაბად (გვ. 33—34) და კვდება ისე, რომ მას ამირანი ვერც კი ნახავს, სიკვდილის შემდეგ, მზექაბუქთან ერთად ხაზართა მეფის ხოსროს კარზე ებრძვის მოსორ ნადირისძესა და ღამარ ღაზნელს (გვ. 140—144).

მეხუთე: თილისმათა ქვეყანაში ამირან დარეჯანისძემ შვირთო ცოლად ხვარაშან ქალი (გვ. 83—90) და სახლში წამოიყვანა (127). გზაზე ის შეხვდება ანთარქავისძეს, რომელსაც ინდოთ მეფის ასული მოჰყავდა, დაამარცხებს მას და მის ცოლს ცოლად შეირთავს (გვ. 130, არა მაჰმადიანური ორკოლიანობის საფუძველზე), თითქოს უცოლო ყოფილიყოს; რამდენიმე ხნის შემდეგ ბალხეთის მეფის ასულს ირთავს კიდევ (გვ. 173).

მეექვსე: თხზულების ავტორს თუ რედაქტორს მოუნდომებია ბალხეთის შესვლის ამბავი დაეკავშირებია წინამძებთან და ერთ ადგილას ის შენიშნავს: *ოღეს ბაღრი იამანისძე ტყვედ ჰყვანდათ, მრავალი დღეი დაეჰკოცუ* (გვ. 178). ამ სიტყვების ავტორი, ამირანი, ამ შემთხვევაში ჰკლავს ვეშაპზე მჯდომ ღამაზ დევს, ბაღრის გამოყვანისას კი ის ჰკლავს შავს, წითელსა და თეთრ ვეშაპს, აგრეთვე ბაყბაყ დევს, ხაზარანსა და ცალთვალას. ასე რომ მომენტთა იგივეობას აქ ადგილი არა აქვს და გაუგებარია ბაღრი იამანისძის ამბების მოხსენიება.

თუ სხვადასხვა თავში მიმობნეულ ამბებსა და სახელებს გაეთვალისწინებთ, რომანის შინაარსი ასეთი თანამიმდევრობით უნდა დალაგდეს. ამბრი არაბისა და ინდო ქაბუქის ამბავი; აქ მოთხრობილია, რომ ამბრი არაბი, ძე არაბეთიდან გამოძევებული მეფის დიდებულისა და მასთან ერთად იამანეთის მეფის სახლში თავშეფარებული, მცველი ამ გამოძევებული მეფის ინტერესებისა და აგრეთვე იამანეთის მეფისაც, ებრძვის იამანეთის მახორებელ ინდო ქაბუქს. უკანასკნელად, როდესაც, ომის შემდეგ, ერთმანეთს გაიცნობენ, ამბრი და ინდო დამპობილებიან. ამბრი ინდოს მიიყვანს იამანეთის მეფესთან და გააცნობს მას, ინდო დიდხანს რჩება იამანეთში, მერე გამოეთხოვება იამანთა მეფეს და ეტყვის: *წავეალ მე და როსცა სამსახური იყოს, თქვენსა წინაშე ვდგევარო* (გვ. 47). მართლაც, როდესაც ამბრი არაბი გაილაშქრებს არაბეთის უზურპატორის წინააღმდეგ და, უკანასკნელს ხანთა ან თურქთა მიერ მოხეზარება, რის გამო იამანეთი განსაცდელში ვარდება, ინდო ქაბუქი, მინის ამბრის დასახმარებლად თავისი ლაშქრით და ამარცხებს ამბრისა და იამანეთის შეერთებულ მტრებს.

შემდეგ ამას უნდა მოჰყოლოდა მნათობთა ამბავი, რომელშიაც ჩვენ ვხვდებით ზემოაღნიშნული იამანეთის მეფის შვილს, იამან ქაბუქს, რომელიც მოსულა ისფან მეფის კარზე მისი ასულის შესართავად და აქ ეომება ჯერ ისფანის ბუმბერაზს და მერე ამირან დარეჯანისძეს. ისფანის ერთ-ერთი ასული ამასაც ხვდა წილად და წამოიყვანა ცოლად იამანეთს.

ამას ბუნებრივად უნდა მოსდევდეს მეორე, მესამე და მეოთხე თავები (ზღვათა მეფის ასულის გამოყვანა), რომლებშიაც ერთ-ერთ მოქმედ პირად

გამოყვანილია ქაბუკი ბადრი იამანისძე. ბადრი არის ძე «იამანის ქაბუკისა», რომელიც ამეამად უკვე არის «ბერი კაცი» (გვ. 31—32). ის ბადრის დასახსნელად დღეის ტყვეობიდან გზავნის კაცს ამირან დარეჯანისძესთან და ამირანს იმწამსვე მიდის დასახმარებლად. ასეთი დამოკიდებულება მათ შორის გაუგებარი იქნებოდა, თუ ისინი წინათ ერთმანეთს არ იცნობდნენ (ამ დაცნობობის შესახებ ამბავი გამოტოვებულია აღნიშნულ თავებში). საყურადღებო ისაა, რომ ინდო ქაბუკი, რომელიც იამან ქაბუკის შამის კარზე იზრდებოდა და მის ინტერესებს ემსახურებოდა და რომელიც ამიტომ. საფიქრებელია, ამ იამან ქაბუკთან იზრდებოდა, მოქმედებს ბადრი იამანისძის წრეში, ის არის მისი ყმა და მის ინტერესებს ეწირება (დღეი ატყვევებს მას). ამით აიხსნება, რომ სავარსიმისძე ეუბნება ინდოთა მეფეს აბესალომს, რომელიც მას სთხოვს უამბოს «სამის» (ბადრის, ნოსარისა და ამირანის) ამბავი—ეგე ადგილი შუა კერძო არის, იმიტომ რომ ამ ამბავს (ზღვათა მეფის ასულის გამოყვანას) წინ უსწრებდა ყველაფერი ის, რაც მოთხრობილია 32—70 გვერდზე.

ამრიგად, თხზულების ანალიზი ამელავენებს, რომ არსებობდა ამბების რამდენიმე ციკლი: 1) ზღვათა მეფის ასულის გამოყვანის, 2) ამირანის, 3) ამბრი არაბისა და ინდო ქაბუკის, 4) სეფედავლე დარისპანისძისა და 5) მზისა ქაბუკისა, რომელნიც რომელიღაც ავტორს თუ რედაქტორს მექანიკურად გადაუბამს ერთმანეთზე, ამირანის უპირატესობის აღნიშვნითა და ხაზგასმით.

ახლა უნდა ვიკითხოთ, ორიგინალურია ეს ნაწარმოები თუ ნათარგმნი? ამ საკითხის შესახებ სამი მოსაზრება არსებობს. ერთი შეხედულებით, რომელიც პირველად ზ. ჭიჭინაძემ გამოთქვა¹ და მერე უფრო განავრცო მ. ჯანაშვილმა², ამირანდარეჯანიანი წმინდა ქართული, ორიგინალური ნაწარმოებია. აქ ალფაბოტიკულ-იგავურად გამოხატულია საქრისტიანო საქართველოს ბრძოლა არაბ-სპარს-თურქებთან სჯულისა და თავისუფლებისათვის, მით უმეტეს, რომ თხზულებას ქრისტიანული ელფერი და ხასიათი აქვს. რა გვეთქმის ამის შესახებ? ამ მოსაზრებებით თხზულების ორიგინალობა ვერ დამტკიცდება: ალფაბოტიკულ-იგავური მეთოდის გამოყენება მოითხოვს გარკვეულ პირობებს, რომელთაც ამ შემთხვევაში ვერ ვხედავთ. რომანის ქრისტიანული ხასიათი არ შეიძლება დამტკიცებულ იქნას იმით, რომ იმაში გვხვდება ჩვენ სიტყვა ღმერთი, ცხოვნი, ამინ. ეს სიტყვები არაქრისტიანულ ნაწარმოებშიაც შეიძლება ნახმარი იყოს.

მეორე შეხედულებით, რომელიც პირველად გამოთქვა ა. გრენმა და მერე განავითარა ა. ხახანაშვილმა, ამირანდარეჯანიანი ნახევრად ორიგინალური, ნახევრად ნათარგმნი თხზულებაა; ის დაწერილია სპარსული ლიტერატურ-

¹ „ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში“, გვ. 12; მისივე გამოცემა „ამირანდარეჯანიანი“. გვ. 372—398.

² „მოსე ხანელი და მისი ამირანდარეჯანიანი“, გვ. 4, ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნია „ამირანდარეჯანიანი“ ს. კაპაბაძესაც ყოფაცხოვრებითი რეალიების მიხედვით (გვ. XII), თუმცა ის ამ რეალიებს არ ჩამოგვითვლის და არ გვაცნობს.

რის ძლიერი გავლენით და ზოგიერთი მოთხრობა და ეპიზოდი, შეიძლება, პირდაპირ ნათარგმნი იყოს. ის სადევგმირო მოთხრობები, რომელნიც შეადგენენ ამირანდარეჯანიანის შინაარსს, ა. ხახანაშვილის აზრით, არის ლიტერატურულად გადამშუშავებული თქმულებები ამირანის შესახებ, რომელიც დღესდღეობით ცნობილია ხალხში. ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ, პირველ ყოვლისა, რომ შეიძლება თხზულება დაწერილი იყოს რომელიმე უცხო ლიტერატურის ზეგავლენით, მაგრამ ის ორიგინალური იყოს, მეორე მხრით—ლიტერატურული ამირანდარეჯანიანია არ არის დამოკიდებული დღესდღეობით ცნობილ ხალხურ ამირანდარეჯანიანზე, პირიქით, როგორც თავის ადგილას ვაჩვენებთ, დღევანდელი ხალხური თქმულებანი ლიტერატურულიდან მომდინარეობენ.

მესამე შეხედულებით, რომლის წარმომადგენელი აკად. ნ. მარი იყო, ამირანდარეჯანიანია სპარსულიდან ნათარგმნი თხზულებაა. ამის დამამტკიცებელ საბუთს ნ. მარი თვით თხზულებაში პოულობდა, სახელდობრ: თხზულებაში გატარებულია სპარსული ეროვნული ტენდენცია. მართლაც, თხზულების მთავარი მოქმედი პირები არიან ამირან დარეჯანიძე და სეფედავლე დარისპანისძე. ამ პირთ, რომელნიც მამაცობითა და კაბუჯობით ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან, რომანში გამოყვანილი ვერც ერთი სხვა გმირი ვერ შეედრება, ისინი ყველას სჯობიან. ამირანი და სეფედავლე არიან სპარსელნი, სპარსეთის წარმომადგენელნი, სხვები კი სხვა ქვეყნებისა, მაშასადამე, აქ ხაზგასმულია სპარსეთის უპირატესობა სხვა ქვეყნების წინაშე. ამირანი და სეფედავლე რომ სპარსელები არიან, ეს შემდეგიდანაც ჩანს: ა) საეარსიმიისძე ამირანის ყმა, ცხოვრობს სპარსეთში; -ბ) ამირანი ეომება ინდოელებს, ხაზარებს, თურქებს, ჩინელებსა და სხვ., და ერთხელაც არ არის ნახსენები მისი ან მისი მეგობრების თუ მტრების სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრება; გ) ბასრელ ვაჟრებს, რომელნიც ყაჩაღებმა შეაწუხეს, უწინასწარმეტყველეს, რომ მათ სპარსელი იხსნის, მართლაც მერე მხსნელად მოველინა მათ ამირან დარეჯანისძე; დ) ამირანმა რომ ორპირი კაცი ნახა, გაიგო მხოლოდ სპარსულად მის მიერ ნათქვამი; ე) ცალთვალა დევი ამირანს სპარსულად ეუბნება: იქ ჩეშმე ნესტა; ვ) ამ გმირების სახელები ამირანდარეჯანისძე და სეფედავლე დარისპანისძე სპარსული ფორმისაა; ამ სახელებს, რომ ქართული დაბოლოება იქნება. მოვაშოროთ, მივიღებთ: ამირანდარეჯან, და სეფედავლე დარისპან. ამ სახელებში ჩვენ გვაქვს სპარსული პირი ანდარამ ჯან და სემემ დავლემ დარ ისპან, რაც ნიშნავს: ამირ —ამირა, მბრძანებელი, ან დარე, resp. დარ —ში-ზე, ჯან (ჯაპან)—ქვეყანა; სეფე—ხმალი, დავლე—სახელმწიფო. მაშასადამე, ამირან დარეჯან ნიშნავს: მბრძანებელი ქვეყნისა ან ქვეყანაზე; სეფე დავლე დარ ისპან.—სახელმწიფოს ხმალი ისპანში; ზ) თხზულებაში შენახულია მაჰმადიანური ყოფაცხოვრების კვალი: ქებინის მიცემა, შეწირულება მიზეთში, მრავალცოლიანობა და სხვ. ¹

¹ Персидская национальная тенденция в груз. романе Амиран-Дареджаниани ЖМН Просв., 1895 г., Июнь, гл. 352—365.

შემდეგში ნ. მარმა იპოვა თითქოს ისტორიულ-ლიტერატურული წყაროც ამ შეხედულებების სასარგებლოდ¹. მეთექვსმეტე საუკუნეში ბაგრატი მუხრანბატონის დაუწერია ერთი ანტიმამაქმადიანური პოლემიკური თხზულება, რომელსაც ეწოდება მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთა. მამაქმადიანთა განსაქიქებლად ის ამბობს: ისმაიტელნი გამოვიდეს და იყვნენ ყოველნივე ერთბამად მგისისხლენი, მტაცებლნი, მემრუშენი, მეშფოთენი, მპარავნი და ყოვლადე უპოვარნი; რამეთუ წიგნი იგი, რომელსა ყისაჲ ჰამზად უწოდენ სარკინოზნი, ამათ ისმაიტელთა ცხოვრება არს, და მის წიგნისაჲ მცირედი რაჲმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასაცა ზედა ჩუენსა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ, რომელსა დარეჯანიანად უწოდენ, და არა თუ ეგვეითართითა სიმხნითა ახოვან იყენეს, ვითარცა მოგვითხრობს ჩუენ წიგნი იგი, არამედ მით მიერთითა ზღაპრობითა განერკელობით აღუწერიესთ მოთხრობაჲ იგი. ამ ცნობაში, რომელიც XVII საუკუნეში გაუმეორებია ლექსად იაკობ შემოქმედელს, საყურადღებოა შემდეგი: 1) ყოფილა ისმაიტელთა ან მამაქმადიანთა წიგნი ყისაჲ ჰამზა, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ისმაიტელთა ან მამაქმადიანთა ცხოვრება; 2) ამ წიგნში გამოყვანილი პირები რალაც არაჩვეულებრივი სიმხნითა და ახოვნებით ყოფილან აღჭურვილი, ესე იგი საღვეგმირო თვისებებით შემკული; 3) ეს სიმხნით ახოვნება ზღაპრობით აღწერილი ყოფილა და არა ნამდვილი; 4) ამ წიგნის მცირე ნაწილი ქართულადაც ყოფილა თარგმნილი; 5) გარეშეთა კაცთა, ესე იგი ერისკაცთა მიერ და 6) ამ თარგმანს დარეჯანიანი ეწოდება. ბაგრატი არ ამბობს, რომელი მუსლიმანური ენიდანაა ნათარგმნი ეს თხზულება, სპარსულიდან თუ არაბულიდან, მაგრამ სახელი ყისაჲ ჰამზა. უჩვენებს სპარსულ ორიგინალს; ეს სახელწოდება ნიშნავს მოთხრობას ჰამზასა შესახებ. ასეთი თხზულება (Kisse-i amir Hamza) მართლაც არსებობს სპარსულ ენაზე ოთხი სხვადასხვა რედაქციით².

ასეთია ის მოსაზრებანი და ფაქტები, რომლებითაც ნ. მარი ამირანდარეჯანიანის სპარსულიდან მომდინარეობას ასაბუთებდა. რამდენად დამაჯერებელია ყოველივე ეს? ყველაზე მეტი ძალა ამ შემთხვევაში ბაგრატის მიერ მოტანილ ცნობას ექნებოდა, ის რომ სიმართლეს შეესაბამებოდეს. პროფ. ა. ბარაშიძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ ცნობის შემოწმება ამირანდარეჯანიანის ყისაჲ ჰამზასთანა უშუალო შედარების გზით. ამ შედარებამ ნათელყო, რომ ამ ორ თხზულებას შორის არ არსებობს არავითარი ნათესაობა, არც შინაარსობლივი, არც იდეური, არც კომპოზიციური. ეს ორი სხვადასხვა საღვეგმირო ხასიათის თხზულებაა, ყისაჲ ჰამზა ამირანდარეჯანიანის ორიგინალად ოდნავადაც კი ვერ ჩაითვლება³. პოლემიკური მიზნებით გა-

¹ Н. Марр, Из книги царевича Ваграта о грузинских переводах духовных сочинений и героической повести Дареджамияни, „Известия Академии наук“, 1899 г., т. X, № 2.

² Е. Э. Бертельс, Очерки истории персидской литературы, Ленинград, 1928 г., стр. 68.

³ ა. ბარაშიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 35—45; ⁴, გვ. 15—23.

ტაცებულ ბაგრატ ბატონიშვილს რალაც უნახავს თუ სმენია, მაგრამ ჩაკვირვებით არ ჩაკვირვებია და იმის გამო, რომ ორივე თხზულებაში უალრესად ფანტასტიკური, სადევგმირო ამბებია აღწერილი, ერთი მოჩვენებია მეორის დედნად, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი სახელი, შეიძლება, ორივეში გვევლებოდეს, მაგალითად, აბღ-აღ-აღ-აღ-აღ-აღ (ყისაჲ ჰამზასი) და აბღტალიბი (ამირანდარეჯანიანისა); ისიც დასაშვებია, რომ ჰამზას სახელმა ამირ-ე არაბა-მ მას უნებლიეთ შოაგონა არა მარტო ამბრი არაბის, resp. ამირ არაბის სახელი, არამედ ამირანისაც¹. ერთი სიტყვით, მისი ცნობა ამ შემთხვევაში უნდა მოხსნილ იქნას.

ახლა თვით ნ. მარის მოსაზრებათა შესახებ. ჩვენ გვერდს ავუვლით იმ მოსაზრებას, რომ თხზულებაში მაჰმადიანური ზნე-ჩვეულების კვალია, ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს, მოქმედება მაჰმადიანურ ქვეყნებში წარმოებს, მოქმედნი პირნიც თითქმის ყველა მაჰმადიანია, ამიტომ თხზულებაში სხვა კვალი მოსალოდნელი არაა, თუ არა მაჰმადიანობის მაჩვენებელი². გვერდს ავუვლით აგრეთვე ამირან დარეჯანისძისა და სეფედავლ დარისპანისძის სახელთა ეტიმოლოგიას; რომელი სახელიც არ უნდა ავიღოთ, მისი ეტიმოლოგია უმკველად რომელიმე ერთი გაირკვევა, მაგრამ ეს გარემოება ორიგინალობა-მთარგმნელობას ვერ გაგვირკვევს. ვანა, მაგალითად, არ შეიძლება, რომ ქართველმა მწერალმა თავისი ორიგინალური ნაწარმოების გმირად გამოიყვანოს ეთქვას, ისეთი ადამიანი, რომელსაც რუსული წარმოების სახელი ევლადიმირა ერქვას, ნუთუ ამისათვის მისი თხზულება რუსულიდან ნათარგმნად უნდა მივიჩნიოთ? რამდენად სწორია ის დებულება, რომ ამირანდარეჯანიანში სპარსული ნაციონალური ტენდენციაა გატარებული? მართალია, ამირანი ყველა კაბუჯზე უფრო სახელოვანია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის ეროვნებით სპარსელია; რომანის შინაარსი არ იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ იმაში ხაზგასმულია სპარსეთის უპირატესობა სხვა ქვეყნების წინაშე. მაგალითად, ხაზართა შესახებ ნათქვამია: «ხაზართა მეფე არს ყოვლისა ქვეყანისა პატრონი და თვითმპყრობელი» (139); თურქთა შესახებ: «ეციწობ თურქთა, არის დიდი სამეფო და დიდი ლაშქარნი არიან, მაგრა გალაღებულან» (გვ. 36), «იყვენს ბუმბერაზნი ხანთა მეფისანი, რომელთა დამართებითა არა იყა» (გვ. 37). ასევე ხაზგასმული არიან არაბნი: «იციით თქვენცა, რომ არა არიან კაბუჯნი არაბთაებრნი პირსა ყოვლისა ქვეყნისასა» (გვ. 33), «არიან ლომნი კაბუჯნი არაბნი, ძნელ არს მათზედა მისლეა» (გვ. 48), «სჯობანს კაბუჯნი არაბნი ყველისასა» (გვ. 49), «არაბნი დიდად ამპარტაენნი არიან» (გვ. 136). ამბრი არაბი უებრო კაბუჯია, მისი დაძლევა შეუძლებელია, ამირანი მას ვერ შეაბრძოლა ავტორმა, ამბრი მის მოსვლამდე მოკვდა. ინდოეთი და ბალდაღის ხალი-

¹ ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I¹, გვ. 25—26.

² ამგვარი მოსაზრებით, რომ ვიხუდმდგენლოთ—მოქმედების უცხო ქვეყნებში ვაშლით უცხო, მაჰმადიანური სახელებითა და ზნე-ჩვეულების კვალით—მაშინ ისეთი უცილობელი ორიგინალური ქართული ნაწარმოებიც კი, როგორცაა, მაგალითად, ქიხოსრო ჩოლოყაშვილის „მანიანი“, სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებად უნდა მივიჩნიოთ.

ფატი აქ უფრო განდიდებულია, ვიდრე სპარსეთი. სავარსებობს ეუბნება ინდოთ მეფეს: მე რომ სიმდიდრენი მინახავს, ზენ, ინდოთა მეფესა, და ანუ ბაღდადელსა ამირ-მუმლსა თუ არა, სხვასა ხელმწიფესა, ამ ორისაგან კიდე, არავეს შეედლოა ჰქონოდაო (გვ. 123). როგორ შეიძლება ლაპარაკი რომანში სპარსული ნაციონალური ტრენდენტის ხაზგასმის შესახებ, როდესაც სპარსეთის საუკეთესო კაბუჯი ამირანი აქ არაბთა მეფის, ამირ-მუმლის კარზე ცხოვრობს, მის მონად და ყმადაა გამოყვანილი, მას აღმერთებს და მას ეთაყვანება? სპარსეთი არცთუ მორალურადაა გაიდევლებული რომანში, ტყუილის თქმა დამახასიათებელია მისი საუკეთესო წარმომადგენლის სეფედავლესთვის; როდესაც ისა და ამირანი შეიბნენ, ამირანი აჯობა იმით, რომელ მოქმედი ხმალი დააგდებინა... სეფედავლე იტყოდა: ხმალი თვით დაეაგდეთ... მაგრამ ტყუილა, ხმალი დაქირავით გააგდებინა (გვ. 127).

ერთი სიტყვით, იმ მოსაზრებებით, რომელნიც ნ. მარს მოჰყავდა, ვერ დამტკიცდება, რომ ამირანდარეჯანიანი სპარსულიდან ნათარგმნი თხზულებაა¹. წავიდა უკვე ის დრო, როდესაც ყველაფერი ჩვენში უცხოურიდან, კერძოდ სპარსულიდან, გამოჰყავდათ. ქართული ფილოლოგიის დღევანდელი მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს საკითხს უფრო ღიხად და ღრმად ჩაეხედოთ. ამირანდარეჯანიანი არ არის სპარსულიდან ნათარგმნი თხზულება, ის ორიგინალური ნაწარმოებია², რა თქმა უნდა, არა იმ გაგებით, როგორც ეს მ. ჯანაშვილს ჰქონდა წარმოდგენილი.

ეს ორიგინალობა ჩვენ ასე გვეხატება: ავტორს ხელთა ჰქონია რამდენიმე, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, ციკლი თქმულება-ლეგენდებისა და ზღაპრებისა, სახელდობრ: ზღვათა მეფის ასულის, ამირანის, ამბრი არაბის, ინდო კაბუჯის, სეფედავლისი, შვეკაბუჯისა და სხვ. შესახებ. ეს ზღაპრები ზოგი ადგილობრივი, ქართული წარმოშობისაა. ასეთი უნდა იყოს ზღაპარი მშვეკაბუჯის შესახებ, როგორც ამას ამკლავებს მისი წმინდა ქართული სახელი—მშვეკაბუჯი, განსაკუთრებით კი ზღაპარი ამირანის შესახებ, რომელ-

¹ დ. კობიძემ, რომელსაც შეუძლებლად არ მიჩნია თხზულების ორიგინალურ ნაწარმობად მიჩნევა, მაინც მოიხილმა „ყისია ჰამხას“ მნიშვნელობა გადარჩენა იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ არსებობს ამ თხზულების რამდენიმე რედაქცია (ამირანდარეჯანიანის სადასტოვო-სათვის, „ლიტერატურული ძეგანი“. II, გვ. 263—264). მაგრამ რედაქციის სხვადასხვაობას არ შეიძლება საკითხისათვის გადაწყვეტი მიიშველობა ჰქონდეს. რადანაც, ა. ბარამიძის სიტყვით, არსებული წყაროების მიხედვით, მოთხრობის ძირითადი შინაარსული წრე და არაბულ-მუსლიმანური ეროვნულ-სარწმუნოებრივი ტრენდენტია ტექსტის ყველა რედაქციისათვის საერთოა („ნარკვევები“. I³, გვ. 23). სამწუხაროდ, ვერც ა. ბარამიძე შერჩა მის მიერ თავდაპირველად აღდგენილ ფაქტს და ნ. მარსს აღიინდელ პოზიციებზე შეჩერდა, რამდენადაც რომანი სპარსული იდუგური და ლიტერატურული ნიადაგიდან მომდინარე ნაწარმობად აღიარა („ნარკვევები“, I³, გვ. 23—27).

² საყურადღებოა, რომ ამ საკითხში გარდატეხა თვით ნ. მარსი მოხდა. აი რას წერდა ის 1918 წელს: „В последнее время у меня возникли сомнения относительно книжной повести Амиран-Дареджаниани: не находится ли автор грузинской версии повести... под влиянием ходивших в грузинском населении любимых народных героических сказаний“ (Ossetia-japhetic, „Aznetskii Sbornik“, 1918 г., გვ. 2080).

შიც ჩვენ ვხვდებით, სხვათა შორის, დიღოთა მეფეს და მისი ქვეყნის აღწერილობას ასეთი ფორმით: იყო მეტად კლდოვანი ადგილი და ხევი ღრმა, მას ხევისა შინა მაღალი მოხვეწილი კლდე (გვ. 28). საქართველოში, როგორც ცნობილია, ძალიან პოპულარული ყოფილა თქმულებანი ამირანის შესახებ, ამიტომ საკვირველი არაა, რომ ჩვენში მომხდარა ამირანის პერსონიფიკაცია სხვადასხვა თქმულებაში, რომლებშიაც ამირანი, თავისი მითოური სიხნას მსგავსად, წარმოდგენილია როგორც კეთილისათვის მებრძოლი, ბოროტისა და ბოროტი სულების შემუსვრელი და დამთრგუნველი, ყველა ჩაგრულისა და შევიწროებულის ხელისამწყობი. თუ ნაწარმოებში ვივარაუდებთ აღმოსავლური წარმოშობის ზღაპრებსაც, ისინი მთლიანად თითქმის გაქართულებულია, რამდენადაც მათში გამოყვანილი მოქმედი პირების გვარი დაბოლოებულია უკვე ქართული სიტყვით ძევა: იამანისძე, სავარსიმისძე, ასტარაბისძე, ქოოსისძე, დარისპანისძე და სხვ. აი ეს ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ზღაპრების ციკლი აულია ვიღაც ავტორს და გადაუშუშავებია ლიტერატურულად, მას ისინი აუგია ერთ ლერძზე, ასეთ ლერძად გამოუყენებია ამირანის პიროვნება. მაინცდამაინც დახელოვნებული ლიტერატურულ საქმიანობაში ის ვერ ყოფილა, ამით აიხსნება მოთხრობის ის ერთფეროვნება, რომელიც რამდენიმე გვერდის შემდეგ გვაგრძობინებს თავს; ამით აიხსნება ზღაპრების ერთიმეორეზე გადაბმის ის მექანიკურობა, არქიტექტონიკის ის ულაზათობა, სხვადასხვა ნაწილთა შორის ის წინდაუხედაობა და წინააღმდეგობა, რომელიც ზემოთ იყო ნაჩვენები და რომელიც პირველი და მთავარი დამადასტურებელი იმისა, რომ ნაწარმოები მზამზარეული თხზულების თარგმანს კი არ წარმოადგენს, არამედ ჯერ კიდევ მოუშფიფებელი ორიგინალური შემოქმედების ნიმუშს, ნიმუშს, როგორც ძველად იტყოდნენ, «სიტყვისა» ან «ამბავთა მკერვალობისას».

თხზულების ორიგინალობის მაჩვენებელია სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების, რაინდობის, ქალის კულტისა და პატრონეჟური ურთიერთობის ის სურათი, რომელიც დამახასიათებელია ქართული ფეოდალური მონარქიის აღმავლობისა ე. წ. კლასიკურ ხანაში. განსაკუთრებით უურადღებს იპყრობს წმინდა ქართული ინსტიტუტი «მმად-ფიცობისა», რომლის მსგავსს სხვა ლიტერატურაში ვერ ვხვდებით. შეუძლებელია უცხო წარმოშობის, ნათარგმნ თხზულებაში აღვნიშნოთ ქართული სინამდვილის ისეთ ზუსტ სურათს, რომელსაც ამირანდარეჯანიანშია ეპოულობთ (ამ მხრივ ამირანდარეჯანიანი შესამჩნევად განსხვავდება ზვისრამიანისაგან).

ჩვენ ერთხელ შემთხვევა გვქონდა აღვენიშნა ის საოცარი, იდენტრობა მდის დაყვანილი, მსგავსება ომის სურათებისა და მისი წარმოებისა, რომელსაც ეპოულობთ ვახტანგ გორგასალის ისტორიასა და ამირანდარეჯანიანშია¹. ამ მსგავსებას ჩვენ მაშინ ვხსნიდით ამირანდარეჯანიანისა გავლენით მემატიანეზე. ახლა ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ ასეთ ახსნაზე: რომანის წარმოშობის ახალი თარიღი, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, შეუძლე-

¹ ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია, ტურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923 წ., № 4—5, გვ. 35—40.

ბელს ხდის რომანის გაელენას მეტერთმეტე საუკუნის მემატრიანეზე. ეს მსგავსება გულისხმობს იმ საერთო ფონდის, ზეპირის თუ წერილობითის, არსებობას, რომელიც მასალას აძლევდა ორივე ავტორს. კლასიკური ხანის საქართველოში, რომელიც გაერთიანებისა და მონარქიის შექმნის პროცესში დაუსრულებელ ომებს აწარმოებდა სხვადასხვა მტერთან, შემუშავებული იყო, რა თქმა უნდა, ომის, მისი წარმოების, კაბუკების შეზღვევის, იარაღის ხმარების, რაინდობისა და მამაკობის ერთნაირი მოდუსი. ამ მოდუსმა თავი იჩინა როგორც მატრიანეში, ისე ჩვენ რომანშია. ეს გარემოება კი ამირანდარეჯანიანის ორიგინალობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია. უცხო წარმოშობის, ნათარგუნ თხზულებაში აღნიშნულ მსგავსებას, ასეთი დიდი და ზუსტი საზომით, ადგილი არ ექნებოდა.

რომანის ორიგინალობის მაჩვენებელია აგრეთვე ის რეალიები, რომელთაც მასში ეპოულობთ. ამ მხრივ საგულისხმოა განსაკუთრებით სახელისუფლო ტერმინები: ეჯიბი, ვაზირი, ეჯიბთუხუცესი, ვაზირთუხუცესი, ნეპურკლეთუხუცესი, სპასალარი, ერისთავი. სისტემატური (და არა შემთხვევითი, როგორც ფისრაშიანში) ხმარება ამ ტერმინებისა ნათარგუნ თხზულებაში არაა მოსალოდნელი.

დასასრულ, როდესაც ლაპარაკია თხზულების ორიგინალობის შესახებ, უმნიშვნელო არაა მოვიგონოთ ის ფსევდორუსთველური სტროფი, სადაც ნათქვამია: ამირან დარეჯანის-ძე მოსეს უქია ზონელსა. საქმე ისაა, რომ ამ სტროფში ჩამოთვლილია მხოლოდ ორიგინალური თხზულებანი: აბდულმესია, დილარია, ვეფხისტყაოსანი. მაშასადამე, ამ სტროფის ავტორს, ვინც უნდა იყოს ის, ამირანდარეჯანიანიც ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნია, ის კი ამ შემთხვევაში საქართველოს ლიტერატურულ წრეებში განმტკიცებულ რწმენისა და ტრადიციის გამომხატველია.

ვინ არის თხზულების ავტორი? რომანის ერთ-ერთი ნუსხის ბოლოს მიწერილია, რომ ამირანდარეჯანიანი არის მოსე ზონელის მიერ ნასიტყვია¹. ვეფხისტყაოსნის ფსევდორუსთველურ სტროფში, როგორც ვთქვით, დამოწმებულია, რომ ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ზონელსა. ომანიანის შესავალში ვკითხულობთ: თვით ამირანს მოსესაგან ქება კარგად შეუხდებია. მოსე ზონელს ასახელებს რომანის ავტორად მისი გაშლექსავი სულხან თანიაშვილი² და თეიმურაზ ბატონიშვილიც ვეფხისტყაოსნის კომენტარებში³. ეს ცნობა, თითქმის ყველა, ეკუთვნის ე. წ. ალორძინების ხანას, მაშასადამე, აქ ჩვენ გვაქვს მხოლოდ ვადმოცემა, ტრადიცია და არა ისეთი ცნობა, რომელიც თვით თხზულების წარმოშობის დროიდან მომდინარეობდეს. დღესდღეობით ჩვენც იძულებულნი ვართ ეს ტრადიცია გავიმეოროთ და იმით დავკმაყოფილდეთ. ვინ იყო ეს მოსე ზონელი, სად ისწავლა, რა განათლებისა და თანამდებობის კაცი იყო, არავითარი ისტორიული ცნობა და საბუთი ამის

¹ S 1119; ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 258.

² S 357.

³ «Описавние», II, გვ. 584.

შესახებ არ მოგვეპოვება. თეიმურაზ ბატონიშვილი მას თამარის მდივან-მწიგნობრად თელის, მაგრამ ეს ისეთივე ლირებულების ცნობაა, როგორც ზ. კინაძისა¹ და მ. ჯანაშვილის² მიერ შეთხზული მოსე ხონელის ბიოგრაფია, რომელიც, რა თქმა უნდა, ფანტაზიის ნაყოფია.

როდისაა დაწერილი ამირანდარეჯანიანი? იმ ტრადიციული ცნობებით მოსე ხონელის შესახებ, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ, მოსე ხონელს ეს რომანი თამარ დედოფლის მეფობაში დაუწერია, მაშასადამე, მეთორმეტე საუკუნის .გასულს თუ მეცამეტის დამდეგს. სხვანაირად სჯრიდა ამ საკითხს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აკად. ნ. შარი. მიუხედავად იმისა, რომ საერო მხატვრული ლიტერატურის დასაწყისს ის დავით აღმაშენებლის მეფობის მეორე ნახევარში, მეთორმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, სდებდა, ამირანდარეჯანიანი მან გამოაცხადა მეთერთმეტე საუკუნის დასასრულის თუ მეთორმეტის დამდეგის ნაწარმოებად. საბუთები? რომანის .ენას ატყვია საეკლესიო-ლიტერატურული ნორმების ძლიერი გავლენა, რაც მხოლოდ ამ ხანაშია მოსალოდნელი; რომანში გვიქვს სხვადასხვა ლექსი კურო არქაიზმები, როგორცაა: ქვეყანა (დედამიწის მაგიერ), გვალე, რა შვამა, მიწყიე, ორძალი, რქვა, წა-ველარ-უხვალთ, მო-ვინმე-ვიდა. წარ-თუ-ვთქვა, გამო-ვინ-ვირჩითო და სხვ. არის აგრეთვე ეტიმოლოგიური არქაიზმებიც: მრავლობითში ნი-ს უპირატესობა მბი-ს წინაში, -ბრს- -ბრის- წინაში და სხვ.³ ამგვარი არგუმენტაცია, ისიც წმინდა ფორმალური ხასიათისა, გასაგებია XIX საუკუნის მიწურულში, დღეს კი ამით ვერ დავკმაყოფილებით დასმული საკითხის გადასაჭრელად. არაერთარ სპეციფიკურ საეკლესიო ენის ნორმებს ამირანდარეჯანიანში აღგილი არ აქვს უფრო მეტად, ვიდრე ამას ვხედავთ კლასიკური პერიოდის სხვა ძეგლებში, თუგინდ თამარიაში. ლექსიკური, ეტიმოლოგიური თუ სინტაქსური ხასიათის აღნიშნული არქაიზმები ჩვენ გვხვდება არამცთუ კლასიკური ხანის მოგვიანო ძეგლებში, არამედ, წარმოიდგინეთ, ალორძინებისა ხანაშიაც კი. ს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ რომანს ჩვენამდე ორი რედაქციით მოუღწევია. ერთი, უფრო მოკლე, დაწერილია მეთერთმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, ვინაიდან აქ ინდოეთი და ბაღდადის ხალიფატი ყველა ქვეყანაზე უფრო მძლავრ და მდიდარ ქვეყნებადაა გამოცხადებული, ამას კი ადგილი ჰქონდა მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის ნახევრამდეო. ეს პირვანდელი რედაქცია შეუცვლია და გაუვრცია თამარ მეფის დროს მოსე ხონელს ფეოდალური საზოგადოების მოთხოვნებთან მიხედვითო. ორი რედაქციის არსებობას თითქოს ადასტურებს ის რედაქციულ-ვარიანტული განსხვავებანი, რომელთაც ადგილი აქვს სხვადასხვა დროის ხელნაწერებში (გვ. XII—XVIII). ინდოეთისა და ბაღდადის ხალიფატის სიდიადის აღნიშვნით ვერ დამტკიცდება რომანის წარმოშობა მეთერთმეტე საუკუნის

¹ ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 11.

² მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, გვ. 2—3.

³ Возникновение и расцвет древне-грузин. светской литературы, ЖМН Просв.,

პირველ ნახევარში. რომანში ადგილი აქვს პიპერბოლას, აქ თითოეული ქვეყანა და მისი ქვაბულები ისეა გაზვიადებული, რომ ვერ იტყვი, რომელი მათგანი უფრო ღიღია, ვინაიდან ყველა მათგანის შესახებ ნათქვამია: «არა არს დამართებთი მისაო, ესე იგი მისი სწორიო. აქ სპარსეთი ისეა გაზვიადებული, რომ აკად. ნ. მარი ამის მიხედვით ამტკიცებდა რომანის სპარსულ წარმოშობას, მაგრამ, როგორც დავინახეთ, სხვა ადგილის აზრანაკლებ გაზვიადებულია სხვა ქვეყანა: ხაზარეთი, თურქეთი, არაბეთი. რა ვასაკვირია, რომ სავარსიმისძე, არაბეთის ხალიფას კარზე მცხოვრები ამირანის ყმა და ინლოთა მეფის აბესალომის მოსაუბრე, მას გაზვიადებულად და პირმოთნებით ეუბნება, რომ ინლოეთისა და არაბეთის სწორი ქვეყანა სხვა არ არისო? მაგრამ საქმე ისაა, რომ რომანის არაერთადი ორი სხვადასხვა, სხვადასხვა დროს დაწერილი რედაქცია არ არსებობს. ის სახე მისი, რომელიც მოცემულია შედარებით მოგვიანო დროის ხელნაწერებში, არის შედეგი რომანის საუკუნეთა განმავლობაში გადამწერთა მიერ დამახინჯებისა, რომელიც გამოიხატებოდა არათუ ცალკეული ადგილების გავრცობასა და შეკეთებაში, მთელი თავებისა და ეპიზოდების დამატებაში¹.

თხზულება არ შეიძლება დაწერილი იყოს თამარის მეფობაზე ადრე. ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი: ამირანდარეჯანიანი სტილით ძალიან ახლოა თამარის ისტორიასთან (ისტორიანი და აზმანი). მართლაც, ავილოთ ცალკეული ტერმინები და სიტყვები. ვაზირობა (59), ტერმინი ჩნდება თამარის დროს², ვაზირთუხუცესი (4, 5, 58), ეჯიბთუხუცესი (58), მექურქულთუხუცესი (87), მეჯინიბთუხუცესი (173),—ყველა ესენი პირველად გვხვდება თამარის ისტორიაში, როგორც ეს გამოარკვეულია ი. ჯავახიშვილის მიერ. ამავე ისტორიაში გვხვდება პირველად ჩვენი რომანის შემდეგი სიტყვები: შიკრიკი (თამარ.—170, ისტ. 456), კინენი (34, 47 და სხვ.), რესპ. პოლტიკნი კინენი (20, 47 და სხვ.—372), სკარამანგი (83, 109, 125=410), ოქროს სელი და შასზე ჯდომა (83,84 და სხვ.—410)³. საყურადღებოა სარიანდო ტერმინების ხმარება ამ რომანში: გმირი, გოლიათი, ბუმბერაზი, ყველაზე უფრო ხშირად—ქაბუკი და ყმა. ამ ტერმინებიდან ლეონტი მროველი ხმარობს ტერმინებს: გმირი, გოლიათი, ბუმბერაზი; დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: გოლიათი (არის აქ ქაბუკი და ყრმა), მაგრამ მხოლოდ ახალგაზრდის მნიშვნელობით); თამარის ისტორიკოსი: გოლიათი, ქაბუკი, ბუმბერაზი. ყველაზე ხშირად—ყმა (445, 446 და სხვ.), მოყმე (459, 372—3, 380, 419, 430, 439, 440, 444, 452, 458, 460 და სხვ.). ქაბუკი არის ტექნიკური ტერ-

¹ ს. კაკაბაძე ამბობს, რომ მის მიერ გამოცემული ტექსტი არის პირვანდელი, მეორეთმეტე საუკუნის რედაქცია რომანისა, ხოლო ზ. კიკინაძის მიერ გამოცემული—თამარ მეფის დროინდელი რედაქცია მოსე ხონელისაო. მიუხედავად ამისა, ის თავის გამოცემას სათურად აწერს „ამირანდარეჯანიანი მოსე ხონელისა“ (?).

² ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 122—123.

³ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 244, თუმცა „სკარამანგის“ შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სიტყვა გვხვდება ჯერ კიდევ გიორგი ათონელის მიერ 1042—1044 წლებში დაწერილ „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ („ათონის ძრებული“, გვ. 18).

მინი «რაინდის» აღსანიშნავად, «გოლიათი, გმირი, ბუმბერაზი» არის ეპითეტური ornans, ფიზიკური თვისების აღმნიშვნელი; ხოლო «ყმა» და «მოყმე», რომელიც ნიჟე მხოლოდ თამარის ისტორიაშია, — სოციალური მომენტისა.

რომანი რომ თამარის მეფობაზე ადრე არ შეიძლება დაწერილიყო, გარდა ამისა, ჩანს შემდეგიდან: 1) აქ წარმოდგენილი რაინდობის სახე, რომელიც მოყმეობაში გადადის, და პატრონყმური ურთიერთობის უაღრესად რთული ფორმა, ყმადა შეწყნარების ფორმა, მხოლოდ თამარის დროს ჩანს, უფრო ადრე კი არა; 2) ქალის მეფობის საგანგებოდ ხაზგასმამ (ხვარეშანის დედისა თილისმათა ქვეყანაში და ქვრივისა ბალხეთში) ნაკარანხევი უნდა იყოს საქართველოში ქალის, თამარის, მეფობის ფაქტი; 3) ქალისადმი პატივისცემა, ერთი სიტყვით, ქალის კულტი, მართალია, არც ისე განვითარებული, როგორც ივეფხისტყაოსანშია, მაგრამ იმ სახითაც კი, როგორც ჩვენ რომანშია მოცემული, თამარზე ადრე არ შეიძლება ნაჩვენები იქნას; 4) ამირანდარეჯანიანი ქადაგებს მეფისადმი უაღრეს კრძალულებას, პატივისცემას, მისადმი უანგარო სამსახურს, მისთვის თავდადებას: «შემინდევ მეფეო, მე მონა ვარ და შენ დიდი ხელმწიფე, და არა ეგების ჩემგან შენი არცა სიკვდილი და არცა საპატიმროდ წაყვანა» (42), «ერთხელ მოგეწიე, შეგიპყარ და გაგიშვი» (გვ. 52), «მე ყოველთა მეფეთა ყმა და მონა ვარ, არვის ვეკადრებ ომსა» (გვ. 66), «უწყის ღმერთმან, მე ნებითა ჩემითა არ ვებრძვი ხელმწიფეთა, არამცა ხელმწიფეთა ფათერაკი წამეიქლოს და მოკვდეს რომელიმე ხელთაგან ჩემთა» (67), «არ არის კარგი აზნაურთაგან ხელმწიფეთა სიკვდილია» (67), «არა ხამს პატრონისა დიდად ცილება» (7), «არ შევიწყალო თავი ჩემი, ანუ მოკვუდე, ანუ აღვისრულო საწადელი თქვენი» (56), «მითა მიქადებია, ანუ გმსახურო, ანუ კვლა მოვიკლა თავი ჩემი» (59). ასეთი გრძნობები და განწყობილება მონარქის პიროვნებისადმი მოსალოდნელი არაა არც XI საუკუნეში, თუ მოვიგონებთ ლიპარიტ ორბელიანისა და აბაზაძეთა დამოკიდებულებას ბაგრატ IV-სთან, არც დავით აღმაშენებლის დროს, რომელმაც ფეოდალების დამოკიდებულება მისდამი დაახასიათა ასე: «კული ძალისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს», არც გიორგი მესამის დროს, რომელმაც ბევრი რამ გადაიტანა ურჩი ორბელებსაგან, არც, წარმოიდგინეთ, თამარის მეფობის დასაწყისში, ეს მოსალოდნელია და გასაგები თამარის მეფობის მეორე ნახევარში, დავით სოსლანის ქმრად შერთვის შემდეგ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თხზულება დაწერილია თამარის მეფობის მიწურულში, შეიძლება მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგაც, როდესაც ისტორიის ასპარეზზე ახლად გამოჩენილმა მონღოლებმა უკვე შეაშფოთეს აზიის მყუდროება, 1220 წლამდე, როდესაც ისინი პირველად შემოიჭრნენ საქართველოში და უფრო ახლოს გააცნეს თავი ქართველებს. მართლაც, ამირანდარეჯანიანში უნებლიეთ გვევება თვალში გეოგრაფიული სურათი არის სიფართოვე, რომელიც შექმნა მონღოლთა დამპყრობლობითმა სპეციალობამ. აქ მონახული გეოგრაფიული არც ძალიან უახლოვდება თამარიაინის ელგვიაში მოცემულ სურათს, რომელსაც ნ. მარი მონღოლთა ეპოქას აკუთვნებს¹. სპარ-

¹ Грузинская поэма „Витязь в барской шкуре“..., გვ. 603.

სეთი, არაბეთი, ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი, ხაზარეთი, მისრეთი, იამანი, ბალხეთი, დილამი, სამხრეთ-რუსეთის მიდამოები,—აი, ის ადგილები, რომლებზეც ამირანდარეჯანიანს დასახელებულ ელევასთან აახლოებს. მაგრამ აქ უფრო ნიშანდობლივი თარიღიკაა მოცემული. ნოსარ ნისრელის ამბავი ასე იწყება: წყვედით და ვლეთ სამი დღე. ქალაქი მისი იყო უზღულდ და ცოტაი. მოსულ იყვნენ თათარნი და ქალაქი მისი დაეტყვევნა; დიაცი ვინმე შემოტიროდა გზადაგზა და იტყოდა: ვი, სად ხარ ნოსარ ნისრელო, რომე ბილწთა კაცთა ქალაქი შენი მოაოხრეს და დაატყვევნენ (გვ. 20). აქ, როგორც ვხედავთ, პირდაპირ დასახელებული არიან თათარნი, რა სახელითაც მაშინ ცნობილი იყვნენ მონღოლები. ეს ადგილი უცვლელად იკითხება რომანის ყველა, დღესდღეობით ცნობილ ნუსხაში, იგი ამავე სახით შესულია გალექსილ ამირანდარეჯანიანშიც, ასე რომ, შეუძლებელია ექვი იქნას შეტანილი იმაში, რომ ის ავტორს არ ეკუთვნის და შემდეგაა ჩამატებული¹.

ამ დათარიღებას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ამირანდარეჯანიანის გმირები მოხსენებული არიან თამარის ისტორიასა (ისტორიანი და აზმანი) და თამარიანში. თამარის ისტორიკოსი, მოგვითხრობს რა თამარიანისათვის საქმროს არჩევის ამბავს, შენიშნავს, რომ მისი ხელის მძებნელნი ისე უნდა იყვნენ გახელებულნი მისთვის, „ვითა ამირან ხორაშნისათვის... ვითა მზექაბუქ მზისათვის ხაზართასა“². „ისტორიანი და აზმანი შარავანდიდთანი“, როგორც გამორკვეულზე გვაქვს ჩვენ, დაწერილია 1222 წლის მახლობლად, მაშასადამე, ამირანდარეჯანიანის შემდეგ³. ესეც რომ არ იყოს, ისტორიკოსს შეეძლო ეს ციტატი ამოეღო იმ ზღაპრული თქმულებებიდან ამირანისა და მზექაბუქის შესახებ, რომელნიც შემდეგში გადაამუშავა ჩვენი რომანის ავტორმა. თამარიანის მეთორმეტე ოლაში (ტაეპი 35) ვკითხულობთ: ვინ კრმოითა ბადრობს, უშიშ-უქადრობს მტერთა სრვისათვის აღმართებულად? ტყუილად ფიქრობენ, რომ ბადრობს არის ამირანდარეჯანიანის გმირის ბადრი იამანისძის სახელი. აქ ჩვენ გვაქვს არა საკუთარი სახელი, არამედ ზნა ბადრობა. ბადრობს ნიშნავს—ეტოლებს, ესწორებს. ბადრი აქ იგივეა რაც ბადალი. წინადადება ასე უნდა გავიგოთ: ვინ ეტოლებს ან ესწორებს მას, ვინ არის მისი ბადრი ხმლის ხმარებაში? მეორე ადგილას მეთათე ოლაში (ტაეპი 32) ვკითხულობთ: „ახალო პირო⁴, მძლეო ნოსარ ვითა“, „ნოსარ“—ნოსარი

¹ ხ. ბიტინაძის გამოცემაში არის ტერმინი «ყარაული». ეს მონღოლური ტერმინია,— ზარაუ resp. ბარაუ, სპარსული გზით შემოსული (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 704).

² ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 414.

³ კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდიდთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, «რუსთაველის კრებული», თბ., 1938 წ., გვ. 133.

⁴ შდრ. «შაჰნავაზიანი» შაჰნავაზი, რომელიც «ხმლითა ბადრობს მებრძოლთა» (გ. ლეონიძის გამოც., სტრ. 1).

⁵ აქ იგულისხმება პირი ან *Νεοπειραμοσ*, ან ცნობილი, აქილევსის ძე, რომელმაც თავი ისახელა ტროას აღების დროს, ან მეფე ეპირისა (III ს. ჩვ. წ.-აღრიცხვამდე).

უეჭველად ამირანდარეჯანიანის ნოსარ ნისრელს გულისხმობს, მაგრამ საქმე ისაა, რომ როგორც ეს ტაეპი, ისე ხაში მომდევნო (33—35) არ უნდა იყოს თამარიანის ავტორის კუთვნილება, ის შემდეგში უნდა იყოს მიმატებული; ეს ჩანს შემდეგიდან: ყველა წინა ტაეპს ამ ოლაში აქვს შინაგანი რითმა¹, ამ ოთხ ტაეპს (32—35) კი არა; 2) ყველა წინა ტაეპის რითმა არის ებარე, ამ ოთხისა კი.ჲა ისოა (ასურმა ისო, ფლასულმა ისო, ასურმა ისო, ნასურმა ისო,—რალაქ ნაწვალეზი სიტყვები, მაჯამის პრეტენზიით, რაც ამითაქ ამელაენებს თავის სიყალბეს)².

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩვენ ვპოულობთ მრავალ თქმულებას, ზღაპარსა და ლეგენდას, რომელშიაც გადმოცემულია ამირანის თავგადასავალის ესა თუ ის ეპიზოდი. ორი მთლიანი თქმულებაც შენახულა—სვანური და ფშავ-ხევსურული. მეტად დამახასიათებელი და საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ეპიზოდები „ამირანდარეჯანიანიდან“ საეკლესიო მხატვრობაშიც კი შექრილა. ასე, მაგალითად, სვანეთში, ლენჯერის ახლოს, სოფელ ლაშთხვერში მთავარანგელოზთა ეკლესიის სამხრეთის კედელზე გამოხატული ყოფილა შემდეგი სცენები ამ რომანიდან: 1) ოდეს ამირან ვეშაპმან ჩანთქა, ვეშაპი მოკლა და გამოვიდა, 2) ომი ამირანისა და ბაყბაყ დევისა, 3) ბადრი, სეფედავლა, ოქსიბი³. რა დამოკიდებულება არსებობს ხალხურ ამირანიანსა და მოსე ხონელის ნაწარმოებს შორის? ხალხურ ამირანიანში საქმე გვაქვს უმთავრესად ზღვათა მეფის ასულის (ხალხურში ქამარ—ყამარ ქალი) გამოყვანის ამბის ვარიაციასთან; აქ გვხვდებიან ამირანი, ბადრი, უსიფი, იამანი. ვხვდებით აგრეთვე ამბრი არაბის ამბიდანაც ეპიზოდს, აგრეთვე ძალბეთს შესვლისა ამბებიდანაც, ყოველ შემთხვევაში, ფშავურ ვერსიაში ვკითხულობთ: ჩაბალხეთს ჩაიყარენითა, ჩაბალხეთს შაიყარენით, თავს მოვიხდით ბალხის კარავსა⁴. ლიტერატურულმა ამირანდარეჯანიანმა არ იცის ამირანის წარმოშობა, მისი მოღვაწეობის დასაწყისი და ცხოვრების აღსასრული, რაც ასე მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ხალხურში. სხვა შემთხვევაში შეხვედრის წერტილები ლიტერატურულის პრიორიტეტობას მიუთითებს. აი, ეს წერტილები:

¹ ჩანრუხული შინაგანი რითმა გულისხმობს რითმულ შესატყვისობას ტაეპის პირველი ხუთი მარცხლისას მორე ზუთეულთან და არა ტაეპის პირველი ათეულისას შემდეგი ტაეპის პირველ ათეულთან, როგორც ი. ლოლაშვილს წარმოუდგენია (ძველი ქართველი მებობენი, თბ., 1957 წ., გვ. 100—102).

² ამ თარიღს მხარს უჭერს თხზულების ენაც, ყოველ შემთხვევაში, ის უფრო სადა, მარტივი, თავისუფალი და ხალხურია, ვიდრე „ვისრაჰიანისა“. ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „გობალი, კახრაგი, უკარავად, უმაგალითო, უწინ, მართალი გითხრა, ამაღამ, წუხელის, ამა-სობაში, წვერდიდი კაცი“ და სხვ. უფრო კლასიკური პერიოდის მიწურულს უჩვენებს.

³ «Материалы по Археологии Кавказа», X, М., 1904 г., გვ. 64, 65; приложение, გვ. 38; შდრ. ლ. შერვაშიძე, კედლის მხატვრობა ამირანდარეჯანიანის სიუჟეტით სვანეთში, «საბჭოთა ხელოვნება», I, 1957 წ., გვ. 60—61.

⁴ ხ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 314.

1. თითქმის ყველა თქმულებაში გამოყვანილია ამირანთან ერთად ბადრი და უსიბი, ესენი არიან ძმები, ან ძმადნაფიცები; ისე როგორც ლიტერატურულში, მათ აერთებს მტკიცე მეგობრული კავშირი.

2. ამირანი, თქმულებით, თავის ღონეს გრძნობს, დაეძებს ისეთ ადამიანს, რომელთან ბრძოლაში ის თავის ძალას გამოცდის, ამიტომ თვით ქრისტე ღმერთსაც კი ეჭვიდავება. ასეა ლიტერატურულშიაც: ამირანის ბადალი ქვეყანაზე არავინ არის, სადაც კი შეხედება ჰქაბუქს, ომში იწვევს; თუ გაიგო, რომ სადღაც შორს სახელოვანი ჰქაბუქია, მიდის მის საქმერად და თავისი ღონის გამოსაცდელად.

3. თქმულებით, ამირანი და ბაყბაყ დევი შეიბნენ. ამირანმა სძლია დევს, უკანასკნელი ეხვეწება მას: ნუ მომკლავ და ზღვის გაღმა ქალს გასწავლიო. აქ წარმოდგენილია ამირანდარეჯანიანის შემდეგი ეპიზოდი—ამირანის, ბადრისა და ნოსარის ბრძოლა ბაყბაყ დევთან, ამირანის შეტაკება ცალთვალა დევთან, რომელიც ეუბნება მას, ნუ მომკლავო, მისვლა ბადრი იამანისძესთან ბერი არაბის, რომელიც ეუბნება მას: ზღვათა მეფისა ასულისა გამოყვანებად წადი და მუნ მოგვხედებიან ჰაბუქნი, რომლებთან ომში შენ გამოსციდი შენს ღონესო (გვ. 11).

4. ბაყბაყ დევა, თქმულებით, ამირანსა და მის ძმებს მისცა შიკრიკი, რომელსაც მათთვის უნდოდა გზის აბნევა და ამიტომ ერთსა და იმავე ადგილს უვლიდა გარშემო. აქ წარმოდგენილია ის ეპიზოდი ამირანდარეჯანიანიდან, როდესაც ბერი არაბი თითქოს აცილებს ბადრი იამანისძეს ზღვათა სამეფოში, მაგრამ სახითათო გზით მიჰყავს; იმ არაბს სხვანიც მოუცდუნებია და დაუბოცნიებიაო.

5. ამ სამ ძმას, თქმულებით, შეხვდა სამი ვეშაპი: თეთრი, წითელი და შავი. თეთრი ბადრის, წითელი უსიბის და შავი, მეო,—თქვა ამირანმა. თეთრიც შენა და წითელიც, შავიც შენ გყავდესო,—უთხრა უსიბმა. თეთრი და წითელი მოკლა ამირანმა, შავმა კი ის ჩაყლაპა, მაგრამ ამირანმა ამოიღო ჯიბიდან დანა, გამოკრა მას მუცელი და გამოვიდა. ეს ამირანდარეჯანიანის ანალოგიური ეპიზოდის თითქმის სიტყვასიტყვითი გაშეორებაა.

6. თქმულებით, დევების სახლში აპატარა შვილი მამასა ლოგინით წამოჰკიოდა: აკი მას მიქადებდიო, ამირანს მოგაკვლევინებ? მამას შვილი ჰკარპირშია, სისხლი წავა დსავუბარად, წარბის თავს დაჰკარ ხანჯალი სისხლისა გასადინარად. აქ იგულისხმება ამირანდარეჯანიანის შემდეგი ეპიზოდი: ამირანმა გამოქვაბულში, რომელშიაც ის დედაცკმა შეიტყუა, ნახა ცალთვალა დევი, რომელსაც შვილი ეუბნება: ფიცი, რომე იმა ყმასა მოჰკლავ, ქვე დამიდე, თვით მე მოვჰკლაო. ამირანმა მას «ფეხნი დაუქირნა და მისსა მამასა პირსა შესტყორცა და მოკლა იგი ყმა ცოტა» (გვ. 29). ამირანი მოერიცა ცალთვალა მამასაც, ამოიღო დაშნა და ჩასცა თვალსა და თვალი წამოუგლოა (იქვე).

7. უამარის მოსატაკებლად, თქმულებით, ამირანი ზღვის გაღმა მიდის და იქიდან მოჰყავს ეს ქალი; იგულისხმება ბადრი იამანისძის გამგზავრება ზღვათა სამეფოში და იქიდან ქალის გამოყვანა.

8. ამირანი, თქმულებით, შეხვდება ურემს, რომელზედაც იღო მკვდარი ამბრი არაბი. მას ერთი ფეხი გადმოვარდნოდა და მიწაზე მიათრევედა, ამირანმა ის ვერ დაუღო ურემს. აქ იგულისხმება ამირანის გამგზავრება ამბრი არაბის საქმენელად, იმასთან ომში თავისი ღონის გამოსაცდელად, მაგრამ, როდესაც ის მოვიდა ამბრის ქალაქში, იქ მას შეხვდა სამგლოვიარო პროცესია, ამბრი მომკვდარიყო და დასამარხად მიჰქონდათ.

კიდევ სხვა მრავალი დეტალი შეიძლება ზღაპრებსა და ლეგენდებში მოიძებნოს ისეთი, რომელიც თავისი ვარიაციებითა და ახალი ენით ამელავენებს მათს ლიტერატურული ამირანდარეჯანიანიდან წარმოშობას.

ლიტერატურული და ხალხური ამირანდარეჯანიანის ურთიერთობის გათვალისწინებისას ასეთ მოვლენას ვხვდებით. ის ზღაპრები, ლეგენდები და თქმულებანი, რომელნიც ლიტერატურულად გადამუშავებულ იქნენ ამირანდარეჯანიანში, უკანასკნელის გაერკვლების შემდეგ იყარგებიან და დავიწყებას ეძლევიან, ლიტერატურულმა ამირანდარეჯანიანმა ჩაჰკლა ისინი. სამაგიეროდ მან წარმოშვა, საუკუნეთა განმავლობაში, ის ახალი თქმულებები, რომლებიც დღეს ხალხში ტრიალებს. იმ ძველი, პირველადი თქმულებებიდან გადარჩა მხოლოდ ის, რაც თავის დროს ამირანდარეჯანიანში არ შესულა. ასეთი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, თქმულება ამირანის ცხოვრება-მოღვაწეობის პირველი და უკანასკნელი პერიოდის შესახებ, რომელიც ლიტერატურაში ვერ პოულაბს წყაროს. ამ შემთხვევაში გამეორდა ის, რაც მოუვიდა ჩვენში შმაჰნამეს ეპიზოდებს. ეს ეპიზოდები, ზოგიერთი მანინც, უძველესი დროიდან დაიდოდა ჩვენში, ამას, სხვა არა იყოს, ადასტურებს ზღაპარი თორითინო¹. მას შემდეგ, რაც შმაჰნამეა ქართულად ითარგმნა, ეს თქმულებები დავიწყებას მიეცა, სამაგიეროდ «როსტომიანმა» წარმოშვა ის ხალხური თქმულებანი როსტომისა და სხვა პერსონაჟების შესახებ, რომელნიც დღეს ცნობილი არიან ჩვენში ხალხური როსტომიანის სახელით. ამირანდარეჯანიანის ხალხური ვარიანტების წარმოშობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი მისმა გალექსევამ XVII საუკუნეში, რომელიც შეუსრულებიათ ძმებს თანიაშვილებს.

ამირანდარეჯანიანის სახით ჩვენ გვაქვს ნიმუში რაინდული, სადევგმირო რომანისა, რომელშიაც მოცემულია რაინდული სამსახურის, კაბუკის თვისებების კოდექსი და ხაზგასმულია ფიზიკური ძალ-ღონის, მამაცობისა და ვაჟკაცობის კულტი. ფეოდალურ საქართველოში, სადაც, ქვეყნის გაერთიანების პროცესში და აბსოლუტურ-მონარქიული პრინციპის განმტკიცების ცდაში, ადგილი ჰქონდა დაუსრულებელ ომებს გარეშე თუ შინაურ მტრებთან, სადაც ე. წ. პატარწყმობა როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური ცხოვრების საფუძველი იყო, ასეთ ნაწარმოებზე აუცილებლივ დიდი მოთხოვნილე-

¹ აკაკის კრებული, 1899 წ., № 5, განც. I. ამასვე ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სახელი როსტომი გვხვდება ჯერ კიდევ 988 წლამდე გადაწერილ ბერთის ოთხთავში (ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 022). თორითინოს შესახებ იხ. ს. ყუბანეიშვილი, ლიტერატურული და ხალხური „ზაქიანი“ (ხაქ. სსრ მეცნ. აკადემიის მუშაბე, 1953 წ., XIV, № 6, გვ. 378—382).

ბა უნდა ყოფილიყო. ამით აიხსნება ის პოპულარობა, რომელიც ამ თხზულებას მოუპოვებია იმთავითვე და შემდეგში „გახალხურებულა“ კიდევაც, ესე იგი, ხალხის, მასების კუთვნილებად ქცეულა. „ამირანდარეჯანიანი“ გვიხსნათებს სხვისკვეთებასა და იღვალეებს გაბატონებულ ფეოდალური კლასისას, განსაკუთრებით კი მისი საშუალო წვრილახალხურული ფენისას, საიდანაც რაინდები, ყმები ან ქაბუკები გამოდიოდნენ. რაინდობას თხზულებაში „ქაბუკობა“ ეწოდება. ჯელი თქვენი ქაბუკობა არის, — ეუბნება მზექაბუკი მის მიერ შეწყენარებულ ექვს რაინდს (გვ. 159). ბაღრი იამანისძის მამას, რომელიც არის „ყაყი ბერი“ (გვ. 26), ამავე დროს „ქაბუკი“ ეწოდება (გვ. 23); მაშასადამე, ის ასაკით ბერი, მოხუცებულია, ხელობით კი „ქაბუკი“, რაინდი. ამით აიხსნება, რომ ის ამირან დარეჯანისძეს უთვლის: „მე ბერი კაცი ვარ და აღარ ძალმიც ომი, თვარე ვიპოწმებ ღმერთსა, რომე ქაბუკობისათვის არავისი მიიწოდეს ქენება“ (გვ. 25). თხზულებაში დამოწმებულია, რომ მისი მთავარი გმირები ან „ქაბუკები“, ამირან დარეჯანისძე და სეფედაველ დარისპანისძე, გამოსული არიან აზნაურთა წრიდან და „ქაბუკობითა გამეფდეს და გაკეთდეს“ (გვ. 67, 106). რაინდი, „ქაბუკი“ არის „ყმა“ თავისი პატრონისა, მისი ინტერესების სადარაჯოზე მდგომი; ის საყრდენია იმ პატრონყმური ურთიერთობისა, რომელიც მთელი იმდროინდელი. ცხოვრების დამახასიათებელია. ის თავისი პატრონის „ყმაა“. მაგრამ ამავე დროს შეიძლება იყოს თავისი ყმის პატრონი. ამის მკვეთრი ნიმუში მოცემულია ამირანის სახით, რომელიც ბაღდადის ამირ-მუმლის „ყმაა“, მაგრამ ამავე დროს მას ჰყავს ექვსი სახელოვანი „ქაბუკი“, რომელნიც მის მიერ „ყმად“ არიან „შეწყენარებულნი“. ერთი სიტყვით, ერთსა და იმავე დროს „დიდებული“ შეიძლება „დიდებულიც“ იყოს და „ყმაც“, ხოლო „ყმა“ — „ყმაც“ და „დიდებულიც“, ასე, მაგალითად, ამირანმა მოკლა ანთარქავეისძე, მის ქაბუკთაგან „ზოგნი ყმად შემოგვეწყენარენს“ (გვ. 130).

„ყმები“ არ იყვნენ მიმაგრებულნი თავისი „პატრონის“ პიროვნებასა და მიწა-მამულზე, მათ უფლება ჰქონდათ თავისი „პატრონის“ არამცთუ სიკვდილის შემდეგ, არამედ სიცოცხლეშიაც, თუ ის მათ არ მოსწონდათ, სხვას „შესწყენარებოდნენ“. ამირანმა მოკლა წითლოსანი ქაბუკი, სპათა მისთა მოახსენეს მას: „აქათგან მონანი ვართ შენნი. უბრძანა ამირან დარეჯანისძემან: აწ თუ გინდეს, ჩემთანა წამოდი, და, თუ არა, რა გინდა, იგი ქენითო; მათ თაყვანი გვცეს და წარიიღეს“ (გვ. 78). უფრო დამახასიათებელია ამ მხრივ მზექაბუკის ერთი ეპიზოდი. ერთხელ მზექაბუკთან მოვიდა ექვსი ქაბუკი, რომელთაც მას უთხრეს: „ჩვენ ღარიბნი ვინმე კაცნი ვართ, ამხანაგნი ერთმანერთისანი და ცოტანი, ერთგან გაზრდილვართ, ვისაც შევისწყენარებივართ; პატრონად ვერაიენ მოგვეწონებია. აწე გვასმია სიკეთე და ქაბუკობა შენი, მოვსულვართ წინაშე შენსა. ესე ხანნი დაგვიყოფიან და მით არა მოგახსენეთ, რომელ განვიციდიდით ქაბუკობასა შენსა; აწ განახეთ ქაბუკი აგეთი; რომელ არცავეის სხვას უნახავს და არცა ჩვენ დაგვიანახავს; აწ დაგვიქირე ყმად და რაცა ჩვენსა გვარსა კაცსა სხვათა პატრონთათვის არა ემსახუროს, თქვენდა რასაცა ზედა გვიბრძანებდა გმსახუროთ. თუ სკაბუკოა საქმე დაგვივარდეს, ესე ბრძანოთ თუ: ისი კაცნი ქაბუკად, ღმერთო, კმარანო; მზექაბუკი დიდი

მეფე იყო და ქაბუჯობისა მოყვარე, ეგრე უბრძანა ვითა: მე დიდად გამხარებია თქვენი მოსლვა და ქაბუჯობისათვის მიყვართ; აწ ვითამცა ძმანი ხართ ჩემნი, არა ყმანი, ეგრე დაგიჟირნო! მოვიდეს, ყმად თაყვანისცეს, საბოძვარი და საკარგავი უბოძა კიდის-კიდე ყოველთა; იყვნეს და მსახურებდეს ერთგულად“ (გვ. 158—159).

„ყმის“ მოვალეობას შეადგენს თავდადებული „სამსახური“ თავისი „პატრონისადმი“. „თავი ჩემი არ შევიწყალო, ანუ მოეკვდე, ანუ აღვასრულო სავადელი თქვენი“, — ეუბნება ამირანი თავის პატრონს, ბაღდადის ხალიფას (გვ. 56). მას უნდა ახასიათებდეს უსაზღვრო კრძალულება და მორიდება პატრონისა და განსაკუთრებით მეფის წინაშე. ამის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი და საჭირო არაა შესაფერისი ადგილები მოვიტანოთ რომანიდან. ყმა-რაინდისათვის დამახასიათებელია ქვეყნის, სამშობლოს დაცვა შემოსეული მტრებისა და უზურპატორებისაგან, დახმარება დაჩაგრულ-დაბეჩაებულებისა და შევიწროებულთათვის. მოვიგონოთ ამ მხრივ მზექაბუჯის სისხლის ძიება ამირანისა და სეფედავლესაგან, ანდა ამირანის ბალხეთს შესვლა. განსაკუთრებით ყურადღებას აპყრობს მფარველობა, რომელსაც რომანის გმირები უჩვენებენ ვაქრებს. რაინდის რაინდისადმი დახმარება — ეს ხომ დამახასიათებელია მთელი რომანისათვის, ეგვევ უნდა ითქვას იმ ყურადღების შესახებ, რომელსაც ისინი იჩენენ ქალისადმი, როგორც ფიზიკურად სუსტი არსებისადმი. მამაცობა რაინდმა იმითაც უნდა გამოიჩინოს, რომ საცოლო უეჭველად შორეული და მიუვალი ქვეყნიდან, დიდი ვაჭირების შემდეგ, გამოიყვანოს.

რაინდის მთავარი დამახასიათებელი თვისება არის მამაცობა, ვაქაცობა, გმირობა, ფიზიკური ძალა, იარაღის ხმარება. ფიზიკური ძალა რომანში პირდაპირ კულტის ხასიათს ღებულობს. ვერაფრით ისე ვერ შელახავ რაინდის თავმოყვარეობას, როგორც მის ძალასა და ვაქაცობაში ექვის შეტანით, მას მოხუცებულობა იმდენად აწუხებს, რამდენადაც ის დაკავშირებულია ძალღონის, „ქაბუჯობის“ დაკარგვასთან (იამან ქაბუჯი). რაინდი იმიტომაცა რაინდი, რომ, რასაც განზრახავს, უნდა შეასრულოს; განზრახულ საქმეზე ხელის აღება „კარგთა ქაბუჯთა ველი არ არის“ (გვ. 60). რაინდს, ფიზიკურის გარდა, სულიერი, მორალური თვისებაც უნდა ამკობდეს. „თავის ქება არა ხამს“ (გვ. 16), „ტყუილის თქმა და უბადოდ კეცხნა არა ქაბუჯთა ველი არის“ (119), და თუ რომანის გმირები, ომში გასვლისას, როდესაც ისინი „ნავარდს“ უვლიან, იკვებიან თავისი მამაცობით, ეს ბრძოლის ერთ-ერთი ხერხია, რომ მოპირდაპირეს თავზარი დასცენ. შურისძიება, უბრალოდ სისხლის დაღვრა რაინდისათვის არასაკადრისი საქციელია, პირიქით, მას უნდა ახასიათებდეს დამარცხებულისა და ნაჯობნისადმი სულგრძელობა. ამით აიხსნება, რომ გამარჯვებული გმირები ომის ასპარეზზე დამარცხებულთ ხშირად ქრილობას უზევევენ ხოლმე. ნამდვილი რაინდი, როდესაც ის ღირსეულ მოპირდაპირეს შეხვდება, მისდამი უაღრესი პატივისცემით, კრძალულებითა და მეგობრული გრძნობებით იმსჯელება, ის მას ჰკოცნის და უძმობილდება კიდევაც. „ძმად ფიცობა“ დამახასიათებელია მთელი რომანისათვის, მოვიგონოთ ამ მხრივ ამირანი, ბადრი და ნოსარი (31), ამბრი არაბი და ინლო ქაბუჯი და ამირანი-

ლო (148), განსაკუთრებით ამირან დარეჯანისძე და სეფედაველ დარისპანისძე (127). უკანასკნელთა დაძმობილების შემდეგ „ღობილდებიან“ მათი ცოლებიც. სეფედაველს ცოლი უთვლის ამირანის ცოლს: „ჩვენი პატრონნი ძმანნი არიან ერთმანერთისანი და ჩვენ დანი ვიყვენით“ (127). დამახსიათებელია რაინდისათვის აგრეთვე უანგარობა. შეელა-დანმარებისათვის დავალანებულ-საგან ის არ მოითხოვს მატერიალურ საზღაურს, თუ რამეს აიღებს, მხოლოდ სამახსოვროდ. ქალისადმი პატივისცემა, რაინდული კდემა და კრძალულება აქაც, ამ რომანშიც, საკმაოდ გამოსქვივის, ასე რომ „ქალის კულტის“ ელემენტები საგრძნობი და შესამჩნევია ამირანდარეჯანიანში¹.

3. ეფესოსკეანისი

ეფესოსკეანისი შეზავებულია ორი ელემენტი: საგმირო და სამიჯნურო. ვინაიდან ეს თხზულება წარმოადგენს ქართული ლიტერატურის სიამაყეს, საჭიროდ მიგვაჩნია უფრო მეტი ყურადღებით შევჩერდეთ მასზე და, ამიტომ, მისი შენაარსიც უფრო დაწვრილებით გადმოვცეთ.

იყო არაბეთს მეფე როსტევეანი, უკვე მოხუცებული, რომელსაც ერთადერთი მზეთუნახავი ქალი, თინათინი, ჰყავდა. მის სახლშივე იზრდებოდა რაინდი ქაბუჯი აეთანდილი, რომელსაც როსტევეანმა სპასალარობა მისცა. აეთანდილსა და თინათინს ერთმანეთი უყვარდათ. მაგრამ ამ გრძნობას არ უმკლავნებდნენ არც სხვას, არც ერთიმეორეს. როსტევეანმა დიდებულთა თათბირზე განაცხადა, რომ, ვინაიდან ის უკვე მოხუცებულია, სამეფო ტახტს ის თავის ქალს, თინათინს, უთმობს. აეთანდილს ეს ამბავი განსაკუთრებით გაუხარდა, რადგანაც ამით მას საშუალება ეძლეოდა, როგორც სპასპეტს, ხშირად მისულიყო ხოლმე თავის სატრფოსთან და ხშირად ენახა ის. გაიმართა დიდი ზეიმი თინათინის ტახტზე ასვლის გამო. ყველა მხიარულობს, მოწყენილია მართა როსტევეანი. მივიდნენ მასთან კრძალულებით აეთანდილი და ვეზირი სოგრათი და ჰკითხეს: რად მოგიწყენია მეფეო? ალბათ იმიტომ, ეუბნება სოგრათი, რომ შენმა ქალმა გულუხვობით შენი სალარო სულ დააცარიელაო. არა, უპასუხა როსტევეანმა, იმიტომ ვარ მოწყენილი, რომ ჩემს საბრძანებელში ისეთი კაცი არ არის, რომელსაც ჩემგან შეეთვისებობს ჩემი სამამაცო ზენი; ღმერთმა ვაფიშვილი არ მომცა, რომ მას ჩემგან ესწავლა ან მშვილდოსნობა, ან ბურთაობა, ჩემ მიერ გავრდილი აეთანდილი მხოლოდ ცოტათი მგავსო. აეთანდილს გაეცინა და უთხრა: ნუ გამიწყრები, მეფეო, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი: გავიდეთ სანადიროდ და იქ ენახოთ ვინ უფრო კარგი მშვილდოსანია. კარგიო, უთხრა მეფემ, შენ წამოიყვანე შენი მონა შერმადინი, მე წამოვიყვან ჩემ თორმეტ მონას, რათა მათ ისარი მოგვაწოდონ და შეაფასონ ჩვენი მკლავიო. გავიდნენ ველად სადაც წინასწარ მორეკილი იყო ნადირი, და მრავალი დახოცეს. საღამო ხანს, როდესაც ნადირმა მახლობელ ტყეს მიაშუ-

¹ რაინდობის შესახებ «ამირანდარეჯანიანში» იხ. ა. ბარამიძის «ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან», I, გვ. 52-62.

რა და თავი შეაფარა, ისინი ჩამოხტნენ ცხენებიდან და მონებს ჰკითხეს მათი აზრი. იმათ პირდაპირ მოახსენეს: ავთანდილს ოცით მეტი მოუკლავს; თან მას ერთხელაც არ დაუცილებია ისარიო. მეფეს ეს არამცთუ ეწყინა, პირიქით, გაუხარდა კიდევაც. ისინი ხის ძირში ისხდნენ, ლაშქართა სიმრავლევ მოემატათ იქ და ერთად შეეკცეოდნენ.

დაინახეს, რომ იქვე, წყლის პირას, იჯდა ვილაც მშვენიერი კნაბუკი, რომელსაც „ჰყავ შავი ცხენი სადავითა“. ხელში ეჭირა მსხვილი მათრახი, ტანზე ეცვა ვეფხის ტყავი და თავზე ეხურა ვეფხის ტყავისავე ქუდი. ამასთან ის საშინლად, გულამოსკვნილი ტიროდა. მეფემ გაგზავნა ერთი მონა ამბის გასაგებად, მაგრამ კნაბუკმა მას ყურადღება არ მიაქცია. მერე მეფემ გაგზავნა თორმეტი მონა, რომ, თუ საჭირო იქნებოდა, ძალით მოეყვანათ. იარაღის ელარუნი რომ მოესმა ყმას, წამოხტა, შეჯდა ცხენზე, მათრახით სულ მუსრბ გაავლო გაგზავნილებს და გაუდგა თავის გზას. უკან მას დაედევნენ ავთანდილი და თვით მეფე. უცხო ყმამ რომ გაიგო, თვით მეფე მომდევსო, ჰკრა მათრახი თავის ცხენს და ისე გადაიკარგა, რომ ადამიანის თვალს ის აღარ უნახავს. მეფე დაბრუნდა სახლში დანაღვლიანებული, არაფერს არ აკეთებდა და არაფერი არ აინტერესებდა. თინათინმა მას ურჩია გაეგზავნა იმ ყმის მძებნელნი. მართლაც, გაგზავნეს მონები, რომელთაც მთელი წელიწადი ეძიეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამის შემდეგ მეფემ თითქოს დაივიწყა ეს ამბავი. ერთხელ, როდესაც ავთანდილი თავის ოთახში იყო, მოვიდა თინათინის კაცი, რომელმაც უთხრა, რომ თინათინი გიბარებსო. ავთანდილს გაეხარდა და იმწამსვე ეახლა მას. თინათინმა უთხრა: ვიცი, რომ გიყვარავარ, მეც ამავე გრძნობითა ვარ შეპყრობილი, მაგრამ, თუ გინდა მართლა დაიმსახურო ჩემი სიყვარული, წადი და ის უცხო ყმა მოძებნე; მომიცია სამი წლის ვადა, თუ იპოვნის, ხომ კარგი, თუ არადა—მოხვალ და მე აქ დაგხვდები, პირობას გაძლევი, შენს გარდა მე არავის წავეყვები ცოლადო. ავთანდილმა მაშინვე შეუთვალა მეფეს: ნება მიბოძე თინათინის გამეფების გამო წავიდე და გარემო ქვეყნები დაგიმონო შენო. მეფემ ნება დართო. ავთანდილი წავიდა თავის საკუთარ ქალაქში, იქ თავის მონას შერმადინს გაუშეღავნა ყველაფერი და უთხრა: შენ ყოველწლივ მეფეს წერილი მისწერე ჩემი სახელით და საქმეთა მდგომარეობა აცნობე ხოლმე მას. სამი წლის განმავლობაში თუ დაებრუნდი, ხომ კარგი, თუ არადა—მერე ყოველივე სიმაართლე აუწყე მეფეს, მე, ალბათ, ცოცხალი აღარ ვიქნებიო. ამის შემდეგ ადგა და გაუდგა გზას.

ავთანდილმა მთვლო თითქმის მთელი დღეამიწის პირი, მაგრამ უცხო ყმის კვალს ვერ წააწყდა. ამასობაში სამმა წელიწადმაც განელო, დარჩა მხოლოდ სამი თვე. ის შევიდა ერთ მწირ ქვეყანაში, ჰთის წვერიდან დაინახა მინდორი, ჩაეიდა იქ, მოკლა ირემი, გააჩაღა ცეცხლი და მწვადს დაუწყო წვა. შორიდან შენიშნა, რომ მოდის ექვსი ცხენოსანი, რომელნიც მან მეკობრეებად მიიღო; მათ მოჰყავდათ ერთი დაქრილი კაცი. ავთანდილი მიიქრა მათთან და გაიგო, რომ ესენი არიან ხატაეთიდან მოსული დიდგვარიანი მონადირენი. ეს-ეს არის, ეუბნებოდა მას, მინდორში შეგვხვდა უცხო ყმა, შვე ცხენზე, თავსა და ტანს ვეფხის ტყავი ემოსა. ჩვენ გვინდოდა გაგვეჩერებინა

ის, უმცროსმა ძმამ ხელიც მოჰკიდა, მაგრამ ის მათრახით სასიკვდილოდ დაგვიქრაო. აი, გაიხედე და დაინახავ კიდევაც, როგორ მიქრისო. ავთანდილმა მართლაც მოჰკრა მას თვალი, გამოემშვიდობა ხატაელებს და დაედევნა უკან. გზაზე იფიქრა, რომ პირდაპირ მისელა სახიფათოა, ან მომკლავს, ან მოვკლავო, ამიტომ ნელ-ნელა უკან მიჰყვებოდა. ორი დღის სიარულის შემდეგ შევიდნენ ერთ ხშირ ტყეში, სადაც მდინარე ჩამოდიოდა, მდინარის გაღმა დიდი გამოქვაბულები იყო, ხოლო მდინარის პირას ლერწმის ქალა. ავთანდილი ავიდა მაღალ ხეზე და იქიდან დაიწყო ცქერა. უცხო ყმა მივიდა გამოქვაბულთან, საიდანაც გამოვიდა ერთი ქალი, თმაგაშლილი და მტირალი, მოეხვია ყმას, იტირეს, მერე ცხენი შეიყვანეს გამოქვაბულში. მეორე დილით ქალმა გამოიყვანა ცხენი, შეკაზმა ის, გამოეთხოვა ტირილით უცხო ყმას, რომელიც იმავე გზით წავიდა, რომლითაც მოვიდა, ქალი კი გამოქვაბულში შევიდა. ავთანდილმა ამით ისარგებლა და მიადგა პირდაპირ გამოქვაბულს. ქალი გამოვარდა გარეთ, მაგრამ, დაინახა თუ არა უცხო ადამიანი, ყვირილი მორთო. ავთანდილი ეხვეწება მას: დამშვიდდი, მე კაცი ვარ, არას გერჩი, მხოლოდ მითხარი, ვინ არის ის უცხო ყმა, რომელსაც მე ამდენი ხანია დაეძებე. ქალი არ უსმენს, ასე რომ ავთანდილმა იძრო დანა, წაავლო თმაში ხელი და უნდოდა ყელის გამოქრა. ქალმა უთხრა: თუ მომკლავ, მით უფრო ვერ გაიგებ, რაც გინდა, მე კი სიკვდილი არაფრად მიღირს, გამიხარდება კიდევაცო. ავთანდილს შერცხვა და სხვა ღონეს მიმართა: დაჯდა ცოტა მოშორებით და დაიწყო გულამოსკენილი ტირილი. ქალს შეატყო, შეებრალა ის, ამიტომ მივიდა, მოუყარა მუხლი, ბოდიში მოსთხოვა შეურაცხყოფისათვის და ტირილითვე უთხრა: შემიბრალე, მე მიჯნური ვარ, ჩემმა სატრფომ გამოგზავნა მაგ ყმის ამბის გასაგებად, დიდი ვაება გადამხდა მაგის ძებნაში, ახლა მომიგნია და შენ არ გინდა მაცნობო მაგის ვინაობაო. ქალს უფრო შეებრალა, როგორც მიჯნური, და უთხრა: მე გეტყვი მხოლოდ, რომ მას სახელად ტარიელი ჰქვია, მე—ასმათი. ვცხოვრობთ აქ და ვიკვებებით იმით, რასაც ის მონიადირებს, ვეცდები—დაწვრილებით მან თვითონ გიაშბოს ყველაფერი, როდესაც დაბრუნდება, შენ მხოლოდ დარჩი აქ. ამ დროს მათ დემოქისმათ ცხენის ფეხის ხმა, ტარიელი დაბრუნდა შინ. ქალმა ავთანდილი სწრაფად დამალა და ტარიელს შეეგება. დაიწვეს ტირილი, კენესა, ვაება. ასმათი ეუბნება ტარიელს: სანამ გინდა იყო ასეთ მდგომარეობაში და იცხოვრო უდაბნოში მხეცებთან უკაცოდ და უამხანაგოდ? ტარიელმა უთხრა: აბა, სად გამოჩნდება ისეთი დედისშვილი, რომ მე მიმეგობროს? სიტყვა მომეცი, რომ არაფერს ავნებ და მე გაჩვენებ შენ მაგისთანა ადამიანსო,—ეუბნება ასმათი. ტარიელს გაეხარდა. მაშინ ასმათმა გამოიყვანა დამალული ავთანდილი. კაბუეებს მოეწონათ ერთმანეთი, ხელი ხელს მისცეს და გადაკოცნეს ერთიმეორე. მერე ჩამოჯდნენ და ავთანდილმა, ბოდიშის მოხდისა და ქების შესხმის შემდეგ, უამბო ყველაფერი. ტარიელს მოეწონა ეს, გულში ჩაუვარდა სიყვარული ავთანდილისა და შეჰნატრა მას, რომ მან, ბოლოს და ბოლოს, თავის გულის წადილს მიაღწია, ამის შემდეგ დაწვრილებით უამბო მას თავისი ვინაობა და თავგადასავალი.

ინდოეთში შვილი სამეფოა, ექვსის პატრონი იყო მეფე ფარსადანი, ხოლო მეშვიდესი მამაჩემი სარიდანი, რომელმაც მოხუცებულობისას თავისი წილიც ფარსადანს გადასცა და სამაგიეროდ მისგან მიიღო ამირბარობა და ამირსპასალარობა, ამასთან მეფის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ფარსადანს შვილი არ ჰყავდა და მე მზრდიდა შვილსავეთ, რადგანაც მეფისავე გვარის ვიყავი. ხუთი წლის რომ შევიქენი, დედოფალი დაორსულდა და ეყოლა მშვენიერი ქალი, ნესტან-დარეჯანი, რომელთანაც ერთად ვიზრდებოდი მეც, სანამ ის შვილი წლის შეიქმნებოდა. მერე მე მამასთან დამაბრუნეს, ხოლო ქალს აუგეს ცალკე კოშკი და მისი აღზრდა ჩააბარეს მეფის დას, ქაჯეთის მეფის ქერივს, დავარს. თხუთმეტი წლის რომ შევიქენი, მამა მომიკვდა, ერთი წელიწადი ვივლოვე ის ბნელი ჯდომით, მერე ფარსადანმა მანუგეშა, ამხანა შავი და ამირბარობა მიბოძა, რის გამო ხშირად მიხდებოდა მასთან ყოფნა. ერთხელ, ნადირობიდან დაბრუნებულნი, ჩვენ გაეჩერლით ნესტანის კოშკის ეზოში. მამა შევიდა შვილის სანახავად და იქიდან გამომიგზავნა ასმათი, რათა ჩემთვის ჩამოერთმია ნანადირევი. ის რომ გამოდიოდა, ფარდაგვ ვადაიწია და მე ანაზღეულად დავინახე ნესტანის სახე, როგორც ელვა, ისე კამკამებდა. იმწამსვე გული წამივიდა, დავეცი უგრძობლად მიწაზე, თავს დამეხვიენენ მეფე-დედოფალი, დიდებულნი და აქიმები, წამიყვანეს სახლში და ძლივძლივობით გრძობაზე მომიყვანეს. ერთხელ ჩემ ოთახში შემოვიდა მსახური და მითხრა, ასმათის მონას შენი ნახვა უნდაო. ის შემოვიდა და გადმოცა წერილი, რომელშიაც ასმათი მატყობინებდა დაუყოვნებლივ მივსულიყავ მასთან. მე ვთქვი: რას იტყვიან სხვები, მე რომ იმასთან წავიდე, და ამიტომ თავი შევიკავე. მერე დე თვით ასმათი მოვიდა ჩემთან და მამიტანა წერილი, რომელშიაც ნესტან-დარეჯანი მწერდა: „ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გაცონა! სჯობს საყვარელსა უჩვენენე საქმენი საგმირონია!“ ხატაელნი, ჩვენნი სახარაჯონი, თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ, ამიტომ წადი, შეები მათ და კარგად გამაჩვენე თავიო. მეც, რა თქმა უნდა, საპასუხო წერილი მივსწერე მას, ასმათს მივართვი დიდი საჩუქარი, რომლიდანაც მან მხოლოდ ერთი ბეჭედი აიღო. მერე გაუგზავნე წერილი ხატაელთა მეფეს, რომ ის დაუყოვნებლივ გამოცხადებულყო ინდოთა მეფის წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თვითონ მოვალთ შენთან და განანიებთ მეოქი. ერთხელ მოვიდა ასმათის მონა და შემატყობინა, ასმათი გეძახისო. გავეყვი მას, ბალში ასმათი შემეგება და ნესტანთან წამიყვანა. ის იჯდა, მე ვიდექი მის წინაშე გაქვავებული, ერთი სიტყვაც არ მიითხრა და ასმათს უბრძანა—გაეყვანე; გამოვედი გულდაბნედილი და მტირალი. ხატაეთიდან დაბრუნებულეშმა მომიტანეს რამაზ მეფის წერილი, რომელშიაც ის იწერებოდა: რა ხელი აქვს ჩემზე ინდოთა მეფეს, ან როგორ გამიბედე შენ ამისთანა წერილის გამოგზავნა? მობრძანდით, არც ჩვენ ვართ ჯაბანნი, პასუხს გააცემთო! იმწამსვე მე სალაშქროდ მოვემზადე. ომში წასვლის წინ მიმიწვია ნესტანმა და პირადად ამიხსნა თავისი გრძობები, შემომფიცა სიყვარული და ცოლობა. მე გავეუდექი გზას, რამაზმა წინ მომაგება ყმები და შემატყობინა, მზადა ვარ თქვენი სურვილი ავასრულო, ოღონდ

ჯარს ნუ შემოიყვან ჩემ სამეფოში, შენ თვითონ შენი მხლებლებით მობრძანდი და მეწვიეო. ღამე ერთმა გამოგზავნილთაგანმა, რომელიც მამაჩემს გაეზარდა, ჩუმად მაცნობა, რომ რამაზს განზრახული აქვს შეგიტყუოს მარტო და იქ მოგკლასო. მეორე დღეს მე ჯარს ეუთხარი უკან ჩამორჩენილიყო, გამოვყავი პატარა რაზმი და წავედი რამაზისაკენ. როდესაც მისი ვერაგობა გამომელავნდა, ჯერ ამ მცირე რაზმით შევები მას, მერე ჯარიც მომეშველა და სულ ერთიანად გავეუწყვიტეთ იმას ლაშქარი, ავიღეთ მისი ქალაქი, ჩამოვართვით ყველა გასაღები, ავეკიდეთ ჯორ-აქლემებს ყოველივე სიმდიდრე და რამაზი ხელშეკრული წამოვიყვანეთ თან. მე საგანგებოდ წამოვიღე ნესტანისათვის საჩუქრად ერთი საუცხოო ყაბაჩა და რიდე-ინლოთა მეფე დიდის ამბით დამხვდა, გამიმართა ზეიმი, რომლის დროს მე პირისპირ ვიჯექი ნესტანთან და მისი ცქერით ვტკბებოდი. ზეიმის შემდეგ, როდესაც მე საწოლში ვიყავი, ასმათმა მომიტანა მისი წერილი, რომელშიაც მატყობინებდა, დღეს მეტად მომეწონე, უშენოდ დემერთმა ნუ მაცოცხლოსო. თან მთხოვა, ის რიდე, დღეს რომ გქონდა, მე მომეც და დამამშვენი, ხოლო ჩემგან აიღე სამკლავეო-დლით აღრე სასახლეში დამიბარეს. მეფემ მითხრა: მე მოხუცებული ვარ, ძე არა მყავს, რომ სამეფოს ეპატრონოს, ამიტომ ჩვენს ქალს უნდა მოვეძებნოთ შესაფერისი საქმრო, ხოლო ქვეყანას—პატრონი; ჩვენ გადავწყვიტეთ მოვიწვიოთ სიძღე ხვარაზმშას შვილი, შენ რას იტყვიო? მე გული შემიწუხდა, მაგრამ საწინააღმდეგო ვერაფერი ეუთხარი, ვინაიდან დავინახე, რომ ეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მას და, სულ ერთია, ვერაფერს გავხდებოდი; ამიტომ მეც თანხმობა განუცხადე და განზრახვა მოვეწონე. იმწამსვე გაგზავნეს მოციქულები ხვარაზმშასთან. მე წავედი ჩემს საწოლში გულმოკლული. მოვიდა ასმათის მონა და შემატყობინა—დაუყოვნებლივ მოდი, გეძახისო. მივედი, ვნახე ჩემი მზე შეწუხებული და გაჯავრებული. მან წყრომითა და საყვედურით მითხრა: არა გრცხვენია, ასე მალე გასტეხე შენი სიტყვა და ფიცი? შენ დაესწარ თათბირს, რომელზედაც ჩემი გათხოვება გადაწყდა, და არამცოთუ საწინააღმდეგო თქვი რამე, დაუღასტურე კიდევაც მეფეს მისი განზრახვა?! მე ავეხსენი ყველაფერი, ეუთხარი, რომ არავის არ დავანებებ არც ინლოეთს, არც შენს თავს მეთქი. მაშინ ის ცოტათი მოლბა და მითხრა: მაშ, როდესაც ხვარაზმშას შვილი მოვა, ის უთუოდ მოკალი, მამაჩემს უთხარი: ნუ გგონია, შენი ქალის გულისათვის ჩავიდინე ეს, ვისაც გინდა, მას შეიცი ის, მე ინლოეთს არავის დაეუთმობ-თქო. მაშას ეს მართალი ეგონება და დაგითმობს ტახტსაცა და ჩემს თავსაც. ხვარაზმშას შვილი მართლაც მოვიდა დიდი ამალით, მას და მის მხლებლებს განსასვენებელი კარავები ცალკე დავუდგით. მე ღამით შევიპარე სასიძოს კარავში, ფეხში ხელი ვსტაცე მას, შემოვტყორცნე სვეტს და სული დავალევი. ამის შემდეგ გამოგბრუნდი უკან, ყველა დაეხტე, ვინც კი დადევნება განიზრახა, და წავედი ჩემს საკუთარ ქალაქში, რომელსაც მტკიცე ზღუდეები ჰქონდა. ეს ამბავი ფარსადანმა იმ ღამესვე გაიგო. გამოგზავნა ჩემთან კაცები, მაგრამ მე იქ აღარ აღმოვჩნდი. ჰო, ვიცილო, თქვა მან, რომ ტარიელს ჩემი ქალი უყვარდა, ეს ჩემი დის, დავარის, ბრალია, რომ მან ასეთი ბოზი აღმიზარდა, კაცი არ ვიქნები, თუ იმას ეს არ

ვანანო! დილით ადრე გამოვგზავნა სამი დიდებული და შემოეთვალა ჩემთვის: თუ ჩემი ქალი გინდოდა, რატომ არ შემატყობინე და ტყუილუბრალოდ ხეარაზმშას შვილის სისხლი კისერზე დამადევო? მე შევეუთვალე ის, რაც ნესტანმა მასწავლა წინათ. ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, რომ ორ კაცს მოჰყავს თმა-გაწეწილი მტირალი ასმათი, რომელმაც მიაშბო შემდეგი: წუხელის, როდესაც მეფემ მოგიკითხა და იქ აღარ აღმოჩნდი, ის დავარს დემეუქრა, დავარმა კიდევ ჯერ საშინლად სცემა ნესტანს, მერე მოატანინა კუბო, ჩასვა შიგ ნესტანი და ორ ზანგს ზღვისაყენ გააქროლებინა ის, თვითონ კი დანა დაიცა გულსაო. მე იმწამსვე ავდექი, ვუხემ 160 კაცს, შეეჯექით ცხენებზე და ჩამოვედით ზღვის პირას, იქ ჩავსხედით ნავში, შეეცურდით ზღვაში და ერთი ნაეიც არ გაგვიშვია დაუკითხავი. ასე ვიარე ოცი თვე და მის გზა-კელას ვერ მივაგენი, მხლებელნი სულ დამეხოცენ, დამრჩენ მხოლოდ ასმათი და ორი მონა. გამოვედი ხმელეთზე და ზღვის პირას ერთ ბალში შეველ, სადაც ხის ძირას დაეჯექი პურის საჭმელად და დასასვენებლად. უცბად შემომგმამა ხმა ლანძღვა-გინებისა და ყვირილის, გავიხედე და დავინახე—მოდის ერთი კარგი ქაბუქი, დაკოდილი, ხელში გადატეხილი ხპალი ჰქონდა. მე გავეშურე მისკენ, შევაჩერე და მისგან შემდეგი გავიგე: მე ვარო, თქვა მან, ნურადინ-ფრიდონ, მულ-ლაზანზარის ქალაქის პატრონი. აქვე მახლობლად არის კუნძული, რომელსაც ბიძაშვილები მედაეებთან. მე ამ კუნძულზე სანადიროდ გამოვედი, ამით ისარგებლეს ბიძაშვილებმა, რომელნიც მოულოდნელად თავს დამესხნენ და ომი ამიტეხეს. სანამ შემეძლო, მუსრი გავაეღე მათ, მაგრამ, როდესაც ხმალი გამიტყდა, ცხენი გადმოგაგდე ზღვაში და ცურვით თავი დაეაღწიე იმათ. კაცი არ ვიქნები, თუ მათ სამაგიერო არ გადაეუხადეო! მე ამ ქაბუქს წყლული შევეუხევე და დახმარება აღეუთქვი. დანიშნულ დროს, მართლაც, შეეცურეთ ზღვაში, მოწინააღმდეგენიც შემოგვეგებნენ, მე მათი ნაეები ერთმანეთს დაეჯახებ და სულ მუსრი გავაეღე ყველას. ამნაირად, ფრიდონს დაეუმორჩილე მთელი ის მხარე და მტრები. მე მასთან დაერჩი რამდენიმე ხანი, დავედიოდით ერთად, ვნადირობდით და ვერთობოდით. ერთხელ, სეირნობის დროს, გავედით ზღვის პირას და ავედით მალალ სერზე. აქ ფრიდონმა მიაშბო შემდეგი: ერთხელ მე ამ ადგილიდან დავინახე, რომ ზღვაში მოცურავდა კიდობანი, რომელშიაც შევაშჩნიე ორი ზანგი და ერთი მშვენიერი ასული, ელვასავით ბრწყინვალე და მოკამკამე. როდესაც კიდობანი ზღვის კიდეს მოადგა, მე გავექანე მათკენ, მაგრამ მათ შემინშნეს, შეცურდნენ ზღვაში და გამასწრესო. მე რომ ეს ამბავი გავიგონე, გული წამივიდა, ფრიდონმა დიდი ვაეებით გონზე მომიყვანა, და მერე ჩემი ვინაობა და თავგადასავალი დაწერილებით ვუამბე მას. ფრიდონმა დიდი მონაწილეობა მიიღო ჩემ ბედში, იმწამსვე დაგზავნა კაცები ყველა ნავსადგურში. საქებრად, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი გავიგეთ. ამის შემდეგ ფრიდონს ვსთხოვე წასვლის ნება, თუმცა მას ეს მეტად ეძინებოდა, მაგრამ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს ძმებსავით და მე, აი ამ ცხენით, რომელიც მისგან მივიღე საჩუქრად, წამოვედი საქებრად. თითქმის მთელი დედამიწა შემოვიარე, მაგრამ ნესტანის კვალსაც კი ვერ წაეაწყდი. მაშინ ასმათსა და ორ მონას, რომლებიც დამრჩენოდა, ვუთხარი: თქვენ ისედაც

შეწუხებული ხართ ჩემგან, ახლა წადით, თქვენს თავს ეპატრონეთ, მე კი დამტოვეთ მარტო, გავეიკრები და ან მოვკვდები, ან დავჩივებ-მეთქი. ამათ უარი თქვეს, ვერ დატოვებთო. მაშინ წამოვედი, მოვძებნე ეს გამოქვავებული, რომელშიაც დევები ცხოვრობდნენ, შეეები მათ და დაეხოცე. მათთან ომში დაეკარგე ის ორი მონაც, დამრჩა მარტო ასმათი. მას შემდეგ აქ ვცხოვრობთ. რადგანაც „ვეფხი მშვენიერი სახელ მისად დამისახავს“, ამიტომ ვეფხის ტყავი მშოსია ტანსა და თავზე. მინდა სიკვდილი, მაგრამ, როგორც მხედავ, არ ვკვდები.

ავთანდილმა რომ ყოველივე ეს მოისმინა, ნუგეში სცა მტირალ ტარიელს და უთხრა: შეფვიცოთ ერთმანეთს ძმობა, მე ახლა სახლში წავალ და ჩემ პატრონს ვუამბობ ყველაფერს, ორი თვის შემდეგ მოვბრუნდები და. სიტყვას გაძღვე, თავს არ დაეზოგავ, როგორმე დაგებმარო და სევდა შეგიმსუბუქო, თან სთხოვა მას, იქიდან არსად წასულიყო მის დაბრუნებამდე. მეორე დილას გამოეთხოვნენ ერთმანეთს თვალკრემლიანნი და ავთანდილი წაშოვიდა თავის საკუთარ ქალაქში, საიდანაც წერილი გაუგზავნა როსტევეანს და ყველაფერი აცნობა. როსტევეანი დიდი ზეიმითა და სიხარულით შეხვდა ავთანდილს, რომლისაგან სიტყვიერად მოისმინა ამ სამი წლის ამბავი. ავთანდილმა თინათინს უთხრა, როდესაც ის მასთან იყო მიწვეული, რომ მე ტარიელს შეეფიცე ძმობა, დახმარება, ამიტომ, მიცემული სიტყვის თანახმად, ისევ უკან უნდა დაებრუნდყო. თინათინმა მოუწონა გადაწყვეტილება, დაავალა კიდევაც მტიკედლ შეესრულებინა სიტყვა და მიჯნური მიჯნურს დახმარებოდა. საქირი იყო, როსტევეანს დასთხოვებოდა ის, მაგრამ ეს აღვივს არ იყო, და ამიტომ ავთანდილი ამას ვერც ბედლავდა. მან მიუგზავნა მეფეს ერთი გავლენიანი ვაზირი, რომელიც კინაღამ მოკლა მეფემ ასეთი თხოვნისათვის და უპატიო გამოისტუმრა უკანეე. ავთანდილი იძულებული შეიქნა გაპარულიყო. მან დაწერა მეფის სახელზე ანდერძი, რომელიც შერმადინს დაუტოვა გადასაცემად, თვითონ შევიდა მიზითში სალოცავად და გაუღდა გზას მტირალი და გულდამწვარი სატრფოსთან მოშორების გამო. დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ ის მივიდა ტარიელის გამოქვავებულში, მაგრამ იქ ტარიელი ვერ ნახა. ასმათმა უამბო, რომ, რაც შენ წახვედი, მე ის აღარ მინახავს და აღარც მსმენია მასზე რამე, ის სადღაც უგზო-უკვლოდ გაიქრა. ავთანდილს იწყინა, საყვედურიც თქვა ტარიელის მიმართ, მაგრამ რა უნდა ექნა, შეუღდა მის ძებნას. ერთხელ ერთი სერიდან მან გადახვდა შამბნარით მოსილ მინდორს და დაინახა ტარიელის ცხენი. იმწამსვე ძირს ჩავიდა და ნახა, რომ ტარიელი უგრძნობლად ეგდო მიწაზე, ხოლო აქეთ-იქით მკვდარი ლომი და ვეფხი ეყარა. ავთანდილმა დიდი ვაი-ვაგლახით გრძნობაზე მოიყვანა ტარიელი და იმდენი ელაპარაკა, რომ, თუშცა მას არ უნდოდა წასვლა, ასმაითს სიბრალულით დაითანხმა ამაზე და გამოქვავებულში წაიყვანა. გზაზე ტარიელმა უამბო ავთანდილს, როგორ დახოცა მან ლომი და ვეფხი. გამოქვავებულში მათ დიდი სიხარულით მიეგება ასმათი. აქ ავთანდილმა უთხრა ტარიელს: ახლა მე წავალ შენი ნესტანის საძებრად, შენ გინდა აქ დარჩი, გინდა სხვაგან წადი, ნხოლოდ არა სამუდამოდ. ერთი წლის შემდეგ, თუ ცოცხალი ვიქნე, უკანეე მოვბრუნდები,

თუ არადა, იცოდნენ მკვდარი ვარ, და, როგორც გინდოდნენ, ისე მოუხარე თავს. ამის შემდეგ ცხარე ტრემლებით გამოეთხოვნენ ერთმანეთს სამივენი და ავთანდილი გაუღდა გზას.

ავთანდილი გაემგზავრა ჯერ მულაზანზარს ფრიდონ მეფესთან. მის ქალაქს რომ მიუახლოვდა, დაინახა, რომ თავისი ამალით მინდორში სანადიროდ გამოსულა ფრიდონი. ავთანდილმა ესროლა ისარი მფრინავ ქორს და ძირს ჩამოაგდო. მონადირეებს გაუეკირდათ ეს და ვარს შემრთხვიყენენ უცხო ყმას. ავთანდილმა სთხოვა მათ: ვადაცვით ფრიდონს, რომ მოვსულვარ ტარიელის ძმადნაფიცო, საქმე მაქვს მასთან. ფრიდონს ეს მეტად გაუხარდა, შვიდი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ის ტარიელს დაშორდა და ძლიერ აინტერესებდა მისი ამბის გაგება. ფრიდონმა დიდი ამბით მიიღო ავთანდილი, რომელმაც მას დაწერილებით უამბო თავისი და ტარიელის თავგადასავალი და დახმარება სთხოვა. აქ ავთანდილი დარჩა რამდენიმე ხანს, ნადირობდნენ, შეექცეოდნენ და დროს ატარებდნენ. მერე ავთანდილმა უთხრა ფრიდონს: თუმცა ძნელია შენი გაყრა, მაგრამ მე მაინც ჩემს საქმეს უნდა შევეუდგე და ვეძიო ის, ვის საძებრადაც წამოვსულვარო. ფრიდონმაც არ დაუშალა, გააყოლა თან ოთხი საიმედო მონა, მისცა კარგი ცხენი და ყველაფერი გზისათვის საჭირო, თვითონაც ჩამოყვა ზღვის პირს, იმ ადგილას, სადაც მან დაინახა ოდესღაც ნესტან-დარეჯანი ზანგების მიერ მოტაცებული, და იქ გამოეთხოვნენ ერთმანეთს ტირილითა და ვაებით.

ავთანდილმა იარა ასი დღე, მაგრამ უშედეგოდ. ერთხელ ერთი ქედლიდან ზღვის პირას დაინახა ვაჰართა ქარავანი. ჩავიდა და გამოკითხა ვაჰრებს: ვინა ხართ ან რათა ხართ ასე შეწუხებული? ვაჰართა უფროსმა, უსამმა, უთხრა: ჩვენ ვართ ბაღდადელი ვაჰრები, წამოვსულვართ სლვათა მეფის ქალაქს სავაჰროდ, მაგრამ აქ, ზღვის პირას, ვნახეთ ერთი სულთმბრძოლი კაცი, რომელმაც გადმოგვცა შემდეგი: ეგვიპტელი ვაჰრები მოვლიოდით ზღვათა სამეფოში სავაჰროდ. აქ დაგვეცნენ თავს მეკობრეები, გაგეძარცვეს, ჩემი ამხანაგები დახოცეს, მე კი როგორ მოვხვდი აქ, არ ვიცი. იცოდეთ, თუ წახვალთ, იგივე დღე დაგადგებათ, რაც ჩვენო. აი, ამიტომ ჩვენც ვდგავართ აქ და არ ვიცი, წავიდეთ თუ არაო! ავთანდილმა უთხრა მათ: ნუ გეშინიათ, მე გიხსნით თქვენ იმათგან და დაგანახებთ მათ ვაეკაცობასო. მან ჩასხა ვაჰრები ნავში, ჩაუკეტა კარები და თვითონ უშიშრად დადგა ნავის ცხვირზე. მეკობრეებმა დაინახეს თუ არა ნავი, ყოყინით გამოეშურნენ ავთანდილისაკენ და დაუპირდაპირეს მის ნავს სახნისიანი ძელი. ავთანდილმა კეტით მოსტეხა ეს ძელი, მერე გადახტა იმათ ნავში და სულ მუსრი გააელო მეკობრეებს, მთელი მათი სიმდიდრე თავის ნავში გადმოიტანა. უსამი და მობაღდადენი გახარებული არიან, მათ ქება შეასხეს ავთანდილს და უთხრეს: შენ ხარ მხსნელი ჩვენი, ყველაფერი, რაც გვაბადია, შენია, როგორც გინდა, ისე მოიხმარეო. ავთანდილმა უპასუხა: მე რომ სიმდიდრე მდომოდა, ჩემი ბევრი მქონდა, პირიქით, ჩემიც თქვენთვის დამითმია ყველაფერი, გარდა ცხენისა. გთხოვთ მხოლოდ ერთ რამეს: როდესაც ზღვათა მეფის ქალაქში შევალთ, არ გამკეთ და არ გაამჟღავნოთ ჩემი ქაბუკობა, მე ვაჰრულად გამოვეწყობი და ჩემ თავს

ვეწოდებ თქვენს უფროსს. კარგა ხნის მგზავრობის შემდეგ მიუახლოვდნენ ერთ ქალაქს, რომელიც აღმოჩნდა ზღვათა სამეფოს სატახტო ქალაქი გულან-შარო. ერთი მებალისაგან გაიგეს, რომ აქაურ მეფეს ეწოდება მელიქ-სურხავი. ვაქრები, რომელნიც აქ მოდიან, ნახულობენ ხოლმე ადგილობრივ ვაქართა უხუცესს, უსენს, რომელიც ყიდულობს მათგან, რაც მოეწონება, დანარჩენს კი, როგორც უნდათ ისე გაყიდიანო. უსენი ამეამად აქ არ არის, მაგრამ მე მოვახსენებ თქვენს შესახებ, ეუბნება მათ მებალე, მის ცოლს, ფატმან-ხათუნს და ის მიგიღებს თქვენო. ფატმანმა მართლაც მიიწვია თავისთან ვაქრები და აეთანდილი და კარგად გაუმასპინძლდა. მას ჩაუვარდა გულში აეთანდილის სიყვარული, ისე რომ წერილი მისწერა მას და თავისი გული გადაუშალა. აეთანდილმა ეს რომ გაიგო, თქვა: ეს ქალი ისეთ ადგილას ზის, რომ მაგას მთელი ქვეყნის ამბავი ეცოდინება, იქნება მაგის დახმარებით ნესტან-დარეჯანისაც გაეიგო რამე, ამიტომ მას მისწერა გრძნობებით აღსავსე საპასუხო წერილი. ფატმანის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და იმდენი სულმოკლეობა გამოიჩინა, რომ იმ ღამესვე დაიბარა თავისთან აეთანდილი. როგორც კი შელამდა, აეთანდილი წავიდა, მაგრამ გზაზე შემოხვდა ფატმანის მონა, რომელმაც გადასცა აეთანდილს: ფატმანმა შემოგითვისა—ამალამ ნუ მოხვალ, საქმე ისე მოეწყო, რომ ვერ მიგიღებო. აეთანდილი არ შეჩერდა და მაინც მივიდა ფატმანთან. უკანასკნელს ეს თითქოს კიდევაც ეწყინა, კიდევაც ემაძ, აეთანდილი დარჩა მასთან და მიეცნენ უსახლეგო ალერსისა და ტრფიალებას.

ამ დროს მოულოდნელად გაიღო კარები და წარმოდგა მოხდენილი ქაბუჯი. დაინახა თუ არა მან უხერხული სცენა, მიბრუნდა და ფატმანს დაემუქრა: შენ ბოზო, ისე გაგიხდი საქმეს, რომ საკუთარი კბილებით შეგაქმევე შენს. შევიღებსაო. ფატმანს გული წაუვიდა და აეთანდილს უთხრა: ან ის კაცი უნდა მოკლა ჩემად, რომ ვერაფერს გაიგოს, ანდა ახლავე აქედან უნდა აიბარგო და ქალაქი დასტოვო. აეთანდილმა გამოკითხა იმ კაცის საცხოვრებელი ადგილი, ადგა ღამე, წავიდა მის სახლში, შესავალში მცველები დახოცა, მერე შევიდა მის ოთახში და ისიც მოკლა. არავის ეს ამბავი არ გაუგია, გარდა ფატმანისა, რომელსაც დასარწმუნებლად მოუტანა მოკლული კაცის ბეჭდიანი თითი. დამშვიდებული ფატმანი მთელი თავისი არსებით განცხრომას მიეცა აეთანდილთან, რომელსაც მან უამბო შემდეგ: ერთხელ ფანჯრიდან სევდიანი ვიქქირებოდი ზღვისაკენ, დავინახე კიღობანი, რომელიც ჩემი ბალის პირდაპირ გამოიტანეს ხმელეთზე. კიღობნიდან გადმოვიდა ორი ზანგი და ერთი ლამაზი, თვალწარმტაცი ქალი, რომლის მშვენიერებამ დიდად გამაქვირვა. მე იმწამსვე გავგზავნე მონები და დავავალე ან ნებით, ან ძალით ის ქალი ჩემთან მოეყვანათ. ისინი წავიდნენ, ზანგები დახოცეს და ქალი მომგვარეს მე. ქალი ტიროდა და არც ერთ შეკითხვაზე პასუხს არ მაძლევდა. დავაბინავე ცალკე ოთახში და ქმარსაც კი არაფერს ვეუბნებოდი, ვინაიდან მეშინოდა, რომ ის მას მეფეს აჩუქებდა. დიდხანს მაინც ვერ შევიინახე და იძულებული შევიქენე გამემტლავებინა ქმრისათვის, რომელსაც ფიცი და სიტყვა ჩამოვართვი, რომ ამ საიდუმლოებას ის არ გასცემდა. ერთხელ ის მეფესთან წავიდა. საჩუქრებით, იქ დათვრა, ფიციც დაივიწყა და სიტყვაც, და მეფეს

უთხრა: ისეთი ქალი გაჩუქო, რომლის მსგავსი შენს სიციცხლეში არ გენახოს, ის შენი შეილისათვის გამოგადგება საცოლედო. იმწამსვე გამოგზავნეს ქონები და ქალი წაიყვანეს. მე დღად შეეწუხდი, მაგრამ რას ვიზამდი, ქალს წასვლისას ვაჩუქე ერთი ძვირფასი ქამარი და ვუსურვე ყოველივე კარგი. მეფე გაკვირვებულიყო ამ ქალის სიმშვენიერით და ცალკე ოთახში დაებინავებინა იმ განზრახვით, რომ, როდესაც მისი შეილი ლაშქრობიდან დაბრუნდებოდა, ცოლად შერთავდა მას. ქალმა უთხრა თავის მცველებს: ტყუილად აქვს იმედი თქვენს მეფეს, რომ მე ის ვინმეს შემართავს, იცოდეთ, თავს მოვიკლავ და თქვენ ეს რას წაგადგებათ, უკეთესია გამაპარეთ და სამაგიეროდ მიიღეთ ჩემგან ეს ძვირფასი ქამარი! ისინიც დათანხმდნენ და ღამე გააპარეს ქალი, რომელიც ჩემთან მოვიდა, ცხენი მთოვია, შეჯდა ზედ და ღამევე გაიპარა. ეს ამბავი იცოდა სწორედ იმ კაცმა, რომელიც შენ მოჰკალი. ის ჩემი საყვარელი იყო და ამიტომ მემუქრებოდა, მეფესთან დაგაბეზლებო.

ავთანდილმა რომ მოისმინა ეს ამბავი, კინაღამ სიხარულისაგან გული წაუვიდა და ფატმანს სთხოვა, ეამბნა იმისათვის, თუ რა მოუვიდა იმ ქალს შემდეგ. ფატმანმა განაგრძო: ერთხელ ხანაგის ეზოში თავი მოეყარათ სხვადასხვა მხრიდან მოსულ მონებს, რომელნიც ერთმანეთს თავის ვინაობას ეუბნებოდნენ. მე შორიახლო ვუსმენდი მათ ლაპარაკს. ერთმა მათგანმა დაიწყო: მე ვარ მონა ქაჯეთის მეფისა, რომელიც ახლახან გარდაიცვალა და რომელსაც ორი ვაჟი დარჩა. მათ ზრდის მეფის და დულარდუხტი, რომელიც თავისი ძმის მაგიერ მეფობს იქ. მას ზღვის იქით სადღაც და მოუკედა და წასასვლელად ემზადებოდა. ერთხელ ჩვენმა უფროსმა სამეკობროდ მონები გამოიყვანა მინდორში, როცა დაბნელდა და შინისაკენ ემზადდებოდით, შევნიშნეთ ცხენით მომავალი უცხო ყმა, რომელიც თავისი ვოვარებით ღამის სიბნელეს ანათებდა. ჩვენ, გაკვირვებულნი, მივედით მასთან ახლოს და ვავიგეთ, რომ ის გულანშაროდან ქაჯეთს მიდიოდა. ჩვენმა უფროსმა ეკვი აიღო, რომ ეს კაცი კი არ იყო, არამედ ქალი, შემოვებვიეთ, დავიჭირეთ და მართლაც ქალი აღმოჩნდა. წაიყვანეთ კრძალულებით სახლში, სადაც ის როსანის საცოლედ დანიშნესო. ის მონა მე სახლში მიიყვანე, ამბობს ფატმანი, და უფრო დაწვრილებით გამოვიკითხე ყველაფერი. ამის შემდეგ გავგზავნე ქაჯეთს ორი საკუთარი მონა, ქაჯი და გრძნეული, რომ მათ ყოველგვარი ცნობა შეეკრიბათ იქ და ჩემთვის მოეტანათ ისინი დაბრუნდნენ და გადმომცეს შემდეგი: ქაჯეთა ქალაქი მიუვალია, შიგ არის მაღალი ციხე, რომელშიაც შესვლა შეუძლებელია მხოლოდ გვირაბით. ამ ციხეში დაუმწყვდევია დულარდუხტს ეს ქალი, რათა, დაბრუნების შემდეგ, ქორწილი გადაუხადოს როსანს, წასულან ახლახან და მალე არ დაბრუნდებიან, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქალაქში შესავალ სამ კარს დარაჯობს სამ-სამი ათასი კაცი, ხოლო ციხეში შესავალ გვირაბს—10000 კაცი. ეს ამბავი რომ მოისმინა ავთანდილმა, სიხარულისაგან კინაღამ გული წაუვიდა და ფატმანს გაუმეღაუნა თავისი ვინაობა და მიზანი, თან სთხოვა მხურვალედ, რითაც კი შეეძლო, დახმარებოდა მიჯნურებს. ფატმანმა დაუყოვნებლივ გავგზავნა ქაჯეთს მონა და ნესტანს მისწერა წერილი, რომლითაც აღწერებდა: შენ საქმერად მოვიდა შენი სატრფოს, ტარიელის, ძმადნაფიცი

კაცი, რომელმაც გამაგებინა შენი ვინაობა. ისინი მალე შენ დასახსნელად მოვლენ, შენ მხოლოდ შეგვატყობინე, რა პირობებში იმყოფები, და შენს სატრფოს რამე ნიშანი გამოუგზავნეო! ზანგი ქარივით გაჰქრა, გრძნებით შევიდა ნესტანის ციხეში და ყველაფერი უამბო მას, გადასცა ამასთანავე ფატმანის წერილიც. ნესტანს ჯერ მოჩვენება ეგონა ყველაფერი ეს, მაგრამ მერე დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს სინამდვილეა. ფატმანს სიყვარულითა და მადლობის გრძნობით აღსავსე წერილი მისწერა და შეუთვალა: იცოდე შენც და ჩემს მძებნელსაც შეატყობინე, რომ ჩემი დახსნა ძნელია, შეუძლებელია, და ტყუილად თავს ნუ შეიწუხებენ. სატრფოს ნიშნად ვუგზავნი ერთ ნაკვეთს იმ რილისას, რომელიც მისგან მქონდა ნაჩუქარი. მეორე წერილი, სასოწარკვეთილებით აღსავსე, ტარიელს მისწერა: ცოცხალი არ მეგონე, მადლობა ღმერთს, რომ შენი ამბავი გავიგე, შე თვით სიცოცხლე არად მიღირს. მერე აუწერს თავის მდგომარეობას და ეუბნება: ჩემი დახსნა შეუძლებელია, შენ რომ აქ მოხვიდე და ჩემი გულისათვის თავი მოიკლა, ეს ხომ ჩემთვის ყველაზე მეტი ტანჯვა იქნება. უკეთესია, წადი და ჩემს მშობლებს დაეხმარე, მტრებისაგან შევიწროებულთ და შეწუხებულთ. მე, სანამ ცოცხალი ვარ, ვერაფერ ჩამიგდებს ხელში, თუ საჭირო იქნება, კლდიდან გადმოვარდები, ცოცხალი კი არავის დაენებდები.

რადესაც ყველაფერი ეს მოისმინა ავთანდილმა, დაუყოვნებლივ გზას დაადგა. ფრიდონს წერილი გაუგზავნა და ყველაფერი შეატყობინა, შეუთვალა, რომ ახლა შენ ვერ გამოგივლით, მაგრამ გველოდე, ორივენი მოვალთ შენთან და ნესტანის დასახსნელად უნდა წავიდეთო. გაზაფხულის დამდეგს, დაპირების თანახმად, ავთანდილმა მიადგინა ტარიელის გამოქვამულს და შამბნარისაკენ გაემართა საძებრად, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ტარიელი გამოქვამულში არ იქნებოდა. ტარიელი მართლაც შამბნარის პირს აღმოჩნდა, მას ლომი მოეკლა და ხმალს სწმენდა. მეგობრები გადაეხევივნენ ერთმანეთს, ავთანდილმა უამბო ტარიელს სასიხარულო ამბავი, თავისი სიტყვების დასადასტურებლად, მისცა მას ნესტანის წერილი და რილის ნაჭერი. ტარიელზე ისე იმოქმედა ყოველივე ამან, რომ გული წაუვიდა და მკვდარსავით მიწაზე დაეცა. მოსაბრუნებლად ავთანდილმა, წყალი რომ ვერ იშოვა, მოკლულ ლომის სისხლს მოიტანა პეშვით, დაასხა ტარიელს გულზე და გრძობაზე მოიყვანა. მერე მხიარულნი წამოვიდნენ გამოქვამულისაკენ, ასმათი განახარეს და შეუდგნენ მზადებას ფრიდონთან წასასვლელად. ტარიელმა გახსნა გამოქვამულში ორმოცი ოთახი, რომლებიც დევებს წაართვა, საესე იარაღითა და ყოველგვარი საგანძობით. იარაღი თან წაიღეს და ასმათითურთ გზას გაუდგნენ. ფრიდონმა დიდი ამბითა და ზემით მიიღო ძმადნაფიცო კაბუტები და, დასვენების შემდეგ, სამასი რჩული კაცით, მიადგნენ ქაჯეთს. აქ წინასწარ გაიმართა თათბირი, როგორ შესულიყვნენ ქალაქში. სამივე გმირმა თავისი აზრი გამოთქვა, მაგრამ მიღებულ იქნა ტარიელის რჩევა. დილაადრიან ისინი ერთსა და იმავე დროს დაეცნენ ქალაქის კარებს, შელწყეს კარები, შემუსრეს მცველები და შევიდნენ ქალაქში. აქ გაიმართა საშინელი ბრძოლა, რომელშიაც ქალაქის მცველნი სულ გაიყლიტნენ. ტარიელი მიიქრა გვირაბის

კარებთან, გაწყვიტა მცველები და შევიდა ციხეში, სადაც თავისი ნესტანი ნახა. იმ დროს შემოვიდნენ იქ ფრიდონი და ავთანდილიც, დაუყოვნებლივ გამოიყვანეს ნესტანი, გამოიტანეს ქაჯეთის ქალაქის მთელი სიმდიდრე, აკიდეს ჯორაკლებს და გასწიეს ზღვათა მეფესაკენ. აქ დიდი ამბით მიიღეს ისინი, ნესტანსა და ტარიელს ქორწილი გადაუხადეს. ზღვათა მეფეს უძღვნეს ქაჯეთის სამეფო მთლიანად, ფატმანს კიდევ ყველა ის საქურქლე, რაც ქაჯეთიდან გამოიტანეს. აქედან ისინი წავიდნენ ფრიდონისაკენ, აქაც კარგა ხანს დარჩნენ და კიდევ ქორწილი გადაიხადეს. ტარიელმა ავთანდილს ფრიდონი მიუგზავნა და შეუთვალა: როგორც შენ დასდე ჩემთვის თავი, მეც მინდა გემსახურო და შენს სატრფოს შეგყარო. ავთანდილს გაეცინა, მე რა დახმარება მინდა, ჩემი სატრფო ქაჯებს ხომ არა ჰყავთ, ის მეფედ ზისო! ამის შემდეგ დაასკვნეს წასულიყვნენ არაბეთს როსტევან მეფესთან. გზაში მათ შეიარეს ტარიელის გამოქვამულში, იქ რაც სიმდიდრე და იარაღი იყო ტარიელმა ყველაფერი ფრიდონს უბოძა. იქედან როსტევანს შეუთვალეს—მოვდივართო. როსტევანი დიდი ზეიმით შეხვდა მათ. ავთანდილი და ნესტანი უკან ჩამოაჩნენ, ტარიელი კი, ფრიდონის თანხლებით, შეეგება მეფეს, დიდი სიყვარულით მოიკითხა, ბოდიში მოითხოვა ერთხელ მისი მონების დახოცვისათვის და სთხოვა ეპატიებია ავთანდილისათვის, თუ რაიმე აწყენია მან. ამასთანავე განუცხადა, რომ შენს ქალს და მას ერთმანეთი უყვარდა და შენ წინააღმდეგობას ნუ გაუწევ იმათ გოძნობებსო. როსტევანს ეამა ყველაფერი ეს და უთხრა ტარიელს: მე შენი რჩევით მზადა ვარ უბრალო მონასაც კი შევერთო ჩემი ქალი, არათუ ავთანდილს, იმაზე უკეთესი სასიძო მე რად მინდაო? მართლაც, დიდი ზეიმით გადაუხადეს აქ ქორწილი ტარიელსა და ნესტანს და ავთანდილსა და თინათინს. კარგა ხნის შემდეგ აქედან, ყველანი ერთად ავთანდილის თანხლებით, გაემგზავრნენ ინდოეთისაკენ. დიდი მწუხარებითა და ცრემლებით გამოეთხოვნენ ერთმანეთს თინათინი და ნესტანი, გამოეთხოვნენ აგრეთვე როსტევან მეფესაც. ინდოეთი დიდი ამბით შეეგება ტარიელსა და ნესტანს. ისინი მეფედ აღიარეს და ქორწილი გადაუხადეს. ტარიელმა ასმათს უბოძა ინდოეთის ერთი მეწვიდელი და უთხრა, ვინც გინდა ქმრად შეირთე და მემსახურედ დიდი ხნის განცხრომისა და მზიარულების შემდეგ ავთანდილი და ფრიდონი გამოეთხოვნენ ტარიელსა და ნესტანს და წავიდნენ თავიანთ სამეფოში. გაყრისას მეგობრებმა კიდევ შეჭფიცეს ერთმანეთს ძმობა. პირობა დასდეს, რომ ხშირ-ხშირად ინახულებენ ერთმანეთს და გაკირავების დროს დახმარებამს აღმოუჩინენ. ავთანდილი დაბრუნდა თავის თინათინთან და იმანაც თავის მიზანს მიაღწია.

* * *

არც ერთ ნაწარმოებს ძველ ქართულ ლიტერატურაში იმდენი ყურადღება არ დაუშსახურებია. რამდენიც წილად ზედა ვეფხისტყაოსანს: მისი ავტორი პირდაპირ კანონმდებელი და მისაბაძი გახდა მთელ მომდევნო ქართულ პოეზიაში. ის დიდი პოპულარობა, რომელიც მოაოვებულნი ჰქონდა ამ პოემას, მგონი, სავეალაოც შეიქნა მისთვის: ის გახდა მიზეზი იმ დამახინჯებისა, რომელიც ასე აძნელებს დღეს მის ჯეროვანსა და ყოველმხრივ გაგებას. საქ-

მე ისაა, რომ თხზულება, ყველასათვის სანუკვარი და საინტერესო, მაგრამ არა ყველასათვის ერთნაირად გასაგები, საუკუნეთა განმავლობაში შეიქნა საგანი სხვადასხვაგვარი, შეგნებული თუ შეუგნებელი, ოპერაციებისა მკითხველთა და გადაამწერთა მხრივ. ამის გამო ტექსტში თავი იჩინა სხვადასხვა ხასიათის ცვლილებამ. ზოგი ეს ცვლილება, ვამბობთ, შეუგნებელი იყო: გადაწერის პროცესში არაკომპეტენტური პირები ცუდად კითხულობდნენ ამა თუ იმ სიტყვას და შეცდომით ვადმოჰქონდათ ის თავიანთ ნუსხებში. უფრო მეტად ეს ცვლილებანი და დამახინჯებანი შეგნებულად ხდებოდა: ზოგი იდეოლოგიური, მსოფლმხედველობითი მოსაზრებით ასწორებდა ტექსტს; ზოგიერთი გადაამწერი, რომელსაც არ ესმოდა ესა თუ ის სიტყვა, გადაწერის დროს ან სულ გამოაგდებდა მას, ანდა თავისი გემოვნებისა და გავების მიხედვით შესცვლიდა მას; მეორეს, აზრის მიხედვით, ზედმეტად ეჩვენებოდა ესა თუ ის სტროფი, ამიტომ უყოყმანოდ ამოაგდებდა მას პოემიდან; მესამესათვის ნათელი არ იყო აზრობლივი კავშირი ორ სტროფს შუა, ამიტომ შუაში ჩაურთავდა, აზრის ნათელსაყოფად, ახალს, მის მიერ შეთხზულ სტროფს; მეოთხეს არ აკმაყოფილებდა არა მარტო ცალკეული ეპიზოდის, არამედ მთელი პოემის განვითარება და დასასრული, ამიტომ საკიროდ მიაჩნდა დაემატებინა მისთვის ახალი თავები და ეპიზოდები, როგორც ეს მოხდა განსაკუთრებით პოემის ბოლოში. სხვები კიდევ, რუსთაველთან პოეტური მერტეობის ეინით შეპყრობლნი, ან ერთდებოდნენ პოემის გამდიდრებას თავისი პოეტური შემოქმედების ნიმუშებით. ყოველივე ამის წყალობით პოემამ დროთა მსვლელობაში საგრძნობლად დაკარგა ის სახე, რომელიც მას მისცა მისმა უკვდავმა ავტორმა. ამიტომ რუსთაველოლოგიის, როგორც მეცნიერების, მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს არა მარტო გარკვევა პოეტის ეინაობის, მისი მსოფლმხედველობისა და იმ პირობებისა, რომელთაც ის წარმოშვეს, არამედ, ამასთან ერთად, პოემის ტექსტის გაცხრილვა და მისი კრიტიკული აღდგენა.

ეს მიზანი ჯერ, რა თქმა უნდა, საბოლოოდ მიღწეული არაა, მაგრამ ეს აიხსნება არა იმით, რომ ქართველებს აკლდათ შეგნება იმ ზნეობრივი ვალდებულებისა, რომელიც მათ დიდებული მგოსნისადმი აწვა¹, არამედ მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის იმ დუხქირი პირობებით, რომელიც გაბატონებული იყო როგორც ძველ საქართველოში, ისე მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში ცარიზმის დამჩაგვრელი პოლიტიკის წყალობით. ამ საზინელსა და არახელსაყრელ პირობებში ქართველებმა, აღნიშნული მიმართულებით, გააკეთეს ის, რისი გაკეთებაც მათ შეეძლოთ. საკმაო მოვიგონოთ, რომ 1712 წლიდან, როდესაც პოემა პირველად დაიბეჭდა თბილისის სტამბაში, 1937 წლამდე (ჩათვლით), როდესაც, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, უდიდესი ზეიმით გადახდილ იქნა პოემის 750-წლისთავი, ის 31-ჯერ გამოიცა; საკმაო მოვიგონოთ ისიც, რომ მუშაობა მისი შესწავლისა და გავებისათვის, დაწყებული

¹ ასეთი ბრალდების შთაბეჭდილებას ახდენს ივ. ჯავახიშვილის წერილი «შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო» (იხ. მისი ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956 წ., გვ. 5-12).

ე. წ. „აღორძინების ხანაში“¹, დღემდე არ შენელებულა. დღეს ხომ, სოციალიზმის ხანაში, მან გაუგონარი ტემპებით წაიწია წინ. ცხოვრების დღევანდელ, ახალ პირობებშიაც ეს მუშაობა ერთი დაკვრით ვერ დასრულდება, საჭიროა მეცნიერთა მთელი თაობის ინტენსიური მუშაობა, რომ რუსთველოლოგიური პრობლემები საბოლოოდ გაირკვეს.

რა აძნელებს ამ საქმეს? პირველი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება ისტორიულ-ლიტერატურული დოკუმენტური ხასიათის საჭირო ცნობები და მასალები, რომლებიც მომდინარეობს არამცთუ უშუალოდ პოეტისაგან, მის ეპოქასთან ოდნავ მაინც დაახლოებული დროიდან. არსებული ცნობები, რომლებიც ლიტერატურაში ალორძინების ხანიდან იჩენს თავს, როგორც გადმოცემითი, ტრადიციული ხასიათისა, მეცნიერულ წყაროდ ვერ გამოდგება, ისინი თვითონ საჭიროებენ მეცნიერულ შემოწმებასა და კონტროლს. მეორე სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება უძველესი, თუ პოეტის ხელიდან გამოსული არა, მასთან მაინც ქრონოლოგიურად ახლოს მდგომი პოემის ხელნაწერი, რომ თვით ტექსტი გაგვეხადა კვლევა-ძიების ბაზად. არსებული ხელნაწერები XVII საუკუნეს არ სცილდებიან, მათში დაცული ტექსტი, როგორც შერყენილი და დამახინჯებული, მეცნიერული დასკვნებისათვის ბაზად ყოველთვის არ გამოდგება.² გადამწვეტ მნიშვნელობას ამ მხრივ ჩვეულებრივ ანიჭებენ პოემის 1712 წლის გამოცემას, რადგანაც ფიქრობენ, რომ ტექსტი, რომელიც მოცემულია ამ გამოცემაში, უცვლელად გადმოგვტოვებულია ისეთი ხელნაწერიდან, რომელიც შეიკვდა პოემის უძველეს რედაქციას, ყოველ შემთხვევაში, არაუგვიანეს 1267—1318 წლებისას.³ ამიტომ საჭიროა შეჩერება ამ გამოცემაზე, რას წარმოადგენს ის, ან რამდენად სანდოა, როგორც მეცნიერული კვლევა-ძიების საყრდენი? მართლა უცვლელად შემოგვინახა მან ახლოს მდგომი ტექსტი? ამ საკითხს მთელი ისტორია აქვს, აღნიშნულ აზრს ჰყავს როგორც მომ-

¹ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, არჩილ მეფის დროს, საზოგადოებას შეგნებული ჰქონია, რომ ჯვალაფერი ის, რასაც იმდროინდელი ხელნაწერები შეიცავდნენ, რუსთაველს არ ეკუთვნის. თეიმურაზ I რუსთაველთან კამათში პირდაპირ ეუბნება მას: „ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესოა. არჩილო, ამ სიტყვების ავტორი, სასტიკად ამოთრახებს ყველა ჯურის ინტერპოლატორს ვინმე ნან უჩაბ სახით, რომლის შესახებ ამბობს: ნანუჩას რუსთაველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაუტრეკია, საბრალოს ვერ შეუწყვია, წმიდა რამ აღუძვრევია. ასეთი შეგნების პირობებში საკვირველი არაა, რომ XVIII საუკუნის დამდეგს ჩვენში უკვე მომწიფებულა პოემის კრიტიკული გამოცემის იდეა, რომელიც 1712 წელს განხორციელდა. ამ გამოცემის კომენტარებში ვახტანგ VI გვამცნობს, რომ კრიტიკული მიდგომა პოემისადმი დამახასიათებელი არ იყო მართო მისთვის. ისეთ კომენტარებს, რომელიც მან დაეკრიტა, სხვებიც წყურდნენ: „მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია, ერთი მე ასე მივხვდი და მიოთქვამოა.“

² ალ. იოსელიანის ცნობა ორი ხელნაწერის არსებობის შესახებ, რომელთაგან ერთი (ქალაქი) თათრის მე-15 საუკუნეს ეკუთვნოდა, ხოლო მეორე (პერალმენტე) — უფრო ადრე ხანას (Кавказ, 1870, № 12), არ მართლდება. სამაგიეროდ მოგვეპოვება ორი ციტატა პოემიდან: ერთია ვახანის ქვათა ეკლესიის კედელზე მე-15 საუკუნის გასულის წარწერაში დამახინჯებული სახით შემონახული ფრაგმენტი 1300 და 1301 სტროფებისა (ე. უისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 30, 1954, გვ. 175; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 28). მეორე — ბერძნის სახარების (X ს) ერთ-ერთ გვერდზე ნუსხურით მე-15 საუკუნეში მიწერილი ტაბეი: „მართლად იტყვის მოციქული: შიში შეიქს სიყვარულსა“ (ა. შანიძე, ეფესოსკაპადოკიის სიმფონია, გვ. 016—017). უფრო ადრინდელი ციტატა ჩერქეზობით ცნობილი არაა.

ბრენი, ისე მოწიხააღმდეგენი. უკანასკნელი დროის კვლევა-ძიებამ ნათელყო, რომ 1712 წლის გამოცემა არის არა ძველი, 1267—1318 წლებიდან მომდინარე, ხელნაწერის უცვლელი განმეორება, არამედ თავისებური კრიტიკული რედაქცია, ესე იგი შეგნებულს შემოკლება XVII საუკუნის ხელნაწერებში დაცული ვრცელი, დამატებიანი და ჩამატებიანი, ტექსტისა. ამ გამოცემაში მისმა რედაქტორმა ვეფხისტყაოსნის ტექსტი მოგვცა იმ სახით, რა სახეც უნდა ჰქონოდა მას თავდაპირველად მისი, რედაქტორის, შეგნებითა და რწმენით. აი, ამისი საბუთები:

პირველი. გამოცემაში შეტანილი არაა ერთი სტროფი—„პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად“, რომლითაც იწყება პოემის მრავალი ხელნაწერი. არაა შეტანილი იმიტომ, რომ აქ გამოთქმულია ისეთი აზრი, თითქოს პოემა იყოს მხოლოდ და მხოლოდ „საერო“, სულისმანებელი, რედაქტორის შეხედულებით კი, რომელიც მოცემულია გამოცემის სულ ბოლო სტროფში, ის „საღმერთოა და საეროცა“.

მეორე. გამოცემაში არ არის ვრცელი რედაქციების ის გაგრძელებანი, რომლებშიც მოთხრობილია ამბავი ხატაელთა და ხვარაზმელთა მიერ ინდოთა შევიწროებისა და მათი განთავისუფლებისა ტარიელის მიერ მეგობრების დახმარებით, აგრეთვე პოემის მთავარ გმირთა გარდაცვალებისა. ამავე დროს ჩვენ აქ ვხედავთ 22 სტროფს (1568—1589), რომელთა გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ისინი ამოღებულია ამ დანართი ეპიზოდებიდან. ასე, მაგალითად, გამოცემის სიტყვები, რომ ინდონი „ამბობდიან კირთა მათთა“ (1570) და „ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხალოდიან“ (1571), გასაგები ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოვიგონებთ იმ გაკირვებას, რაც ხატაელ-ხვარაზმელებმა მიაყენეს ინდოელებს, რომელნიც ტარიელმა ავთანდილისა და ფრიდონის დახმარებით დაიხსნა ამ გაკირვებისაგან. ასევე უნდა ითქვას გამოცემის იმ ადგილის შესახებ, სადაც ლაპარაკია, რომ ფრიდონი ეთხოვება ტარიელს (1577) და ეს უკანასკნელი მას როსტევიანთან საჩუქრებს ატანს (1578), თუმცა ფრიდონი როსტევიანთან კი არ მიდრიოდა, არამედ თავის სამფლობელოში. ამ გაუგებრობას ფანტაზის ვრცელი რედაქცია, სადაც აღნიშნულ სტროფთა შუა მოთავსებულია შესამე, რომელშიაც ლაპარაკია ავთანდილის გამოთხოვებაზე; ავთანდილის მიერ კი როსტევიანისათვის საჩუქრების წაღება სრულიად ბუნებრივია. ანდა სიტყვები: „გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა, გარდახდეს, განვლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ეამისა“, რომლებსაც 1712 წლის გამოცემაში (1585) აზრი არა აქვს, ვინაიდან იქ მოთხრობა ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის დაქორწინების ამბით თავდება, გასაგებია ვრცელ რედაქციაში, რომელშიც მათ წინ ლაპარაკია მთავარ გმირთა გარდაცვალების შესახებ¹. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ რედაქტორს, ვრცელი რედაქციის შემოკლებისას, ზოგიერთი სტროფი უხერხულად ამოუგლეჯია იქიდან და უადგილოდ შეუტანია თავის გამოცემაში.

მესამე. ამ გამოცემაში არის ისეთი ლექსიკური ფაქტები, რომელთა მიხედვით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აქ გამოყენებული ხელნა-

¹ იხ. ეურნ. «მნათობი», 1927 წ., № 2, გვ. 185—186; ს. კაკაბაძის მიერ ვეფხისტყაოსნისა პირველი გამოცემა, გვ. 21—22.

წერის რედაქცია ე. წ. აღორძინების ხანაზე უადრესი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა, პირველ ყოვლისა, პროლოგის შემდეგი ადგილი: „რა ველარ მიხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა, არ შეამოკლოს ქართული, არა კმნას სიტყვა-მცირობა“. აქ „ქართული“ ნახმარია „სიტყვის“ ზოგადი მნიშვნელობით. ეს სიტყვა ამგვარი მნიშვნელობით მწერლობაში შემოდის აღორძინების პერიოდიდან, უფრო ადრე ამის კვალს ვერსად ვპოულობთ. მაშასადამე, ამ სიტყვის შემცველი რედაქცია თუ ხელნაწერი მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებს ვერ მიეკუთვნება. შემდეგ: გამოცემაში ვკითხულობთ: „ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საბატონოსა“ (631). რედაქტორს ხელში ჰქონია ისეთი ხელნაწერი, რომელშიც ყოფილა ტერმინი „საბატონო“, რაც კლასიკურ და მის მომდევნო ხანაში მოულოდნელია. იმ ეპოქაში მოსალოდნელია არა „საბატონო“, არამედ „საპატრონო“, რომელიც, მართლაც, შემოუნახავს აღნიშნულ სტროფში ზოგიერთ ხელნაწერს, მაგალითად, S 2829, S 4499. დასასრულ, ერთ სტროფში ნათქვამია: „ბროლისა ველსა სტურობდეს გიზრისა მუნ საყენია“ (191). აქ მეტაფორულად აღინიშნება წამწამები თუ ულვაშები. „საყე“ resp. „საყი“ ნიშნავს საზეიმო მაგიდასთან მდგომს, საროს მსგავსს, პირ-მზე, პირ-მხიარულს, ლამაზსა და მოხდენილ ღვინის მწდეს ან მიმრთმევს, რომელიც საზეიმო სუფრისა და გარემოს დამამშვენებელი იყო. მეტაფორული თქმის აზრი ასეთია: როგორც „საყენი“ ან ღვინის მწდენი ამშვენებდნენ ხოლმე საზეიმო სუფრას, რომლის გარშემო ისინი იდგნენ, ისე ამართული შავი (გიზრის) წამწამი და ულვაშები ამკობდა, ამშვენებდა ავთანდილის „ბროლის ველს“ ან ლოყას. სიტყვა „საყე“ ჩვენს მწერლობაში ხმარებაში შემოდის აღორძინების ხანაში, ის გვხვდება „ბარამგურინასა“¹ და „შაპნავაზიანში“². მაშასადამე, აღორძინების ხანაზე ადრინდელი ვერ იქნებოდა ის ხელნაწერი, რომელიც რედაქტორს გამოუყენებია³.

ამრიგად, 1712 წლის გამოცემის ობიექტურ შესწავლას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ის არის არა უცვლელი განმეორება რაღაც ძველი, ჩვენამდე არშენახული, ხელნაწერისა, არამედ თავისებური კრიტიკული გამოცემა. მეორე საკითხი. ვის ეკუთვნის ეს პირველი კრიტიკული რედაქცია? 1712 წლის გამოცემას, ჩვეულებრივ, ვახტანგისეულ გამოცემას უწოდებენ იმ მოსაზრებით, რომ ის ნაყოფია ვახტანგ VI-ის უშუალო რედაქტორული მუშაობისა და დაბეჭდილია მისი უშუალო ხელმძღვანელობით. მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს, აქ მოცემული ტექსტის რედაქცია ვახტანგს არ უნდა ეკუთვნოდეს.

¹ კ. ქიქელიძის გამოც., სტროფ. 159, 212, 213, 259, 752, 854.

² გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის გამოც., სტროფ. 333, 668. აქ ეს სიტყვა მოცემულია როგორც «სალი».

³ კ. ქიქელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები, თსუ შრომები, 1936 წ. III, გვ. 132—133; მისივე, შტუდიები, IV, გვ. 12—13.

ეს გამოცემა შედგება ორი ნაწილისაგან: ერთია პოემის ტექსტი, მეორე—ტექსტის თარგმანი ან კომენტარები. მეორე ნაწილი, თარგმანი, უმკველად ვახტანგისაა. ეს დამოწმებულია როგორც თარგმანში, რომელიც იწყება ასე: „მე ვსწერ, წმინწული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლსა ვახტანგ წიგნსა ამას“, ისე ცნობილ ეპიტაფიაში: „დაესწერე ვეფხისტყაოსნის თარგმნობა“¹. გამოცემის პირველი ნაწილი, პოემის ტექსტი, დამუშავებული და რედაქტირებული უნდა იყოს არა ვახტანგის მიერ, არამედ მისგან დამოუკიდებელი. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ, მოლოდინის წინააღმდეგ, თარგმანში ან გამოცემის სხვა ადგილას არც ერთხელ, გაკერთიაც კი, არ არის აღნიშნული, რომ ვახტანგმა პოემის ტექსტი დაამუშავა, ანდა დაამზადა გამოსაცემად; არ არის აღნიშნული ეს არც ეპიტაფიაში, რომელშიაც ნაჩვენებია ვახტანგის არა მარტო საეკონომიკო, არამედ სარედაქტორო მუშაობაც სხვადასხვა ძეგლებზე. ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ 1712 წლის პოემის დაბეჭდვაში ვახტანგი არც ღებულობდა მონაწილეობას. ამ შემთხვევაში გამეორდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა „ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობის დროს. ვახუშტი ამის შესახებ ამბობს: „აღუწერიათ სახელითა ვახტანგისითა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ, განა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი“. ამ ღებულებას გვიდასტურებს გამოცემის თარიღი: პოემა დაბეჭდილია „დასაბამითგან ვიდრე აქამომდე ზვიად ათას ორას ოცსა“, ანუ „ათას შეიღას ლა თორმეტსა, წელსა ქრისტესით“. 1712 წლის 23 აპრილიდან ვახტანგი უკვე ქართლში აღარაა, ის წაიყვანეს სპარსეთს, საიდანაც მხოლოდ 1719 წლის 7 აგვისტოს მობრუნდა. იქნება ვინმემ იფიქროს, რომ წიგნი დაიბეჭდებოდა 1712 წლის იანვრიდან 23 აპრილამდე, მაგრამ ასეთი დიდი წიგნის დაბეჭდვა ოთხ თვეში არამტკურ მაშინ, ბეჭდვითი ტექნიკის უმაღლეს საფეხურზე ასე-ლის ეპოქაშიაც კი, საეჭვოა. ეს კიდევ არაფერი, როგორც გამოცემის ბოლოს აღუნიშნავთ, „დაესრულა წიგნი ესე ქორანიკანს უნსა სმულსა“, ესე იგი წიგნი დაბეჭდილია უ ქორონიკონს, რაც იმავე 1712 წელს უდრის, მხოლოდ არა იანვრის წლით, არამედ ქორონიკონულით—მარტის. ქორონიკონი უ (400) შეიცავდა დროს 1712 წლის 1 მარტიდან 1713 წლის 1 მარტამდე, ასე რომ, ამის მიხედვით, პოემის დასაბეჭდად რჩება არა ოთხი თვე, არამედ ორი, მარტი—აპრილი, ეს ხომ სულ შეუძლებელი იქნებოდა. ამას არ ეწინააღმდეგება გამოცემის თავფურცლის ცნობა, რომ პოემა დაიბეჭდა „ეამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა... ვახტანგისისა... საქმე ისაა, რომ 1713 წლის „ქართველანშიაც“ კია ნათქვამი, რომ ის დაიბეჭდა „ეამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა ვახტანგისისა“, თუმცა 1713 წელს ის სპარსეთშია. არ ყოფილა ის ქართლში არც 1717 წელს, მიუხედავად ამისა, ამ წელს დაბეჭდილ „ეამნში“ ნათქვამია, რომ ის დაიბეჭდა „ეამსა მეფისა ვახტანგისისა“. ვახტანგი ქართლის მეფედ და მპყრობელად ნაგულისხმევია მაშინაც კი, როდესაც ის აქ არ იყო და სპარსეთში ცხოვრობდა.

¹ ხელნაწ. S 1512, გვ. 93.

ამაზე შეუძლიათ გვითხრან: ის გარემოება, რომ პოემა უვახტანგოდ და-
 იბეჭდა, კიდევ არ ნიშნავს, რომ პოემის ტექსტი მას არ დაუმუშავებია. მას
 წინასწარ ექნებოდა ის დამუშავებული და დასტოვებდა დასაბეჭდად გამზა-
 ნებულს, ანდა ბეჭდვა დაიწყებოდა ადრე, 1711 წელს, დამთავრდებოდა ვახ-
 ტანგის შემდეგ. მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს შემდეგი გარე-
 მოება. ა. შანიძემ ამ გამოცემაზე მუშაობის პროცესში აღმოაჩინა ერთი მე-
 ტად საყურადღებო ფაქტი: ვახტანგის კომენტარები გაკეთებული აქვს არა
 იმ ტექსტს, რომელიც 1712 წლის გამოცემაშია, არამედ სხვას; კომენტარებში
 განმარტებულია მთელი რიგი სტროფები, რომელთაც პოემის დაბეჭდილ
 ტექსტში ვერ ვპოულობთ, ანდა კომენტარებში განმარტებულია ერთი სიტყვა,
 თვით პოემის ტექსტში კი მოუყვანილია სხვა. ერთი სიტყვით, ვახტანგს კო-
 მენტარები დაუწერია პოემის იმ ვრცელი რედაქციის ტექსტისათვის, რომელ-
 თაც ჩვენ ვიცნობთ ხელნაწერებით. ამრიგად, ირკვევა, რომ დაბეჭდილია პოე-
 მის ერთი ტექსტი, კომენტარები კი გაკეთებული აქვს არა ამ დაბეჭდილ,
 არამედ სხვა, ვრცელ რედაქციას¹. რას ნიშნავს ეს, ან როგორ გავიგოთ?
 ვახტანგი იმდენად გონიერი კაცი იყო, იმდენად კეთილი მყოფი, რომ ასეთ
 შეუსაბამობას და „ახირებულ“ რამეს ვერ ჩაიდენდა. ეს ასე უნდა წარმოვიდ-
 გინოთ: „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის იდეა დაბადებია ვახტანგს, თბილისის
 სტამბის შემქმნელსა და მისი მუშაობის სულისჩამდგმელს; ამის შესახებ მისი
 „ბრძანება“ კი ყოფილა. როგორც ჩანს, მას განზრახვა ჰქონია დაებეჭდა პოე-
 მის ერთ-ერთი ვრცელი რედაქცია, რომლისათვის მას „თარგმანი“ კი და-
 უწერია². მაგრამ მას ვერ მოუსწრია თავისი განზრახვისა და სურვილის გან-
 ხორციელება, რადგანაც 1712 წლის 23 აპრილს, როგორც ვთქვით, იძულებ-
 ული შეიქნა სპარსეთს წასულიყო. მის მიერ განზრახული საქმე სისრულე-
 ში მოუყვანია სხვას, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ვახტანგი ფიქრობდა:
 მას დაუბეჭდავს არა ვახტანგის მიერ შერჩეული და კომენტირებული სრული
 ტექსტი, არამედ სხვა, მის მიერ რედაქტირებული, ზედ მიუბამს ვახტანგის
 „თარგმანი“, რომლისათვისაც არ შიაზე მიუწერია პოემის სტროფების სათვა-
 ლავი³, ხოლო იმისათვის კი არ მიუქცევია ყურადღება—თარგმანში შესა-
 ფერისი სიტყვებით დაწყებულ სტროფში ეს სტროფთა მართო განმარტებუ-
 ლი თუ სხვა. ვახტანგს რომ პოემის ტექსტი არ დაუმუშავებია, ეს, ა. შა-
 ნიძის მიერ ნაჩვენებ შეუსაბამობის გარდა, შემდეგიდანაც ჩანს: ტექსტის
 რედაქტორი პოემის ბოლოს დართულ სტროფში ამბობს, რომ პოემა „საღმრ-
 თოცია და საეროცო“. ვახტანგი კი თავის „თარგმანში“ კატეგორიულად და

¹ «ვეფხისტყაოსანი» 1712 წლისა, პირველი გამოცემა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, თბ., 1937 წ., გვ. 390—393.

² «თარგმანი» დაწერილია 1712 წლამდე, როდესაც ვახტანგი «მპყრობელი» კი არაა, არამედ «გამგებელი»—მე ვსწერ წიგნსა ამას, გამგებელი ქართლისა ვახტანგა.

³ სტროფების აღწნიშვნილი ის ნუმერაცია, რომელსაც „თარგმანში“ ვპოულობთ, გუთუნის რედაქტორის და არა ვახტანგის. ვახტანგის ორიგინალში იმის მაგიერობას სწევდა სტროფის დასაწყისის აღნიშვნა წითელი მელნით.

გადაქრით აცხადებს, რომ ის მხოლოდ საღმრთოა, საღმრთო მიჯნურობას გულისხმობს, რომ პოეტს ის „საეროდ არ უთქვამს“.

ვინ უნდა ყოფილიყო ეს რედაქტორი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ პასუხი ამაზე გაცემულია თვით გამოცემაში. აქ თავფურცელზე ვკითხულობთ: პოემა „გაიმართა ჯელითა ჯელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“. რას ნიშნავს სიტყვა „გაიმართა“? „გამართვა“ აღნიშნავს იმასაც, რასაც ჩვენ ახლა რედაქტირებას ვეძახით, აქედან — გამმართველი, მმართველი, ნიშნავს არა მარტო იმას, ვინც ბეჭდვითს შეცდომებს ასწორებს, კორექტორს, იმისათვის XVIII საუკუნეში სხვა სახელწოდებაც იხმარება — „პრობის მმართველი“, არამედ, უფრო ნიშანდობლივად, რედაქტორსაც. ამის საბუთს გვაძლევს XVIII საუკუნეში, კერძოდ ვახტანგის დროს, დაბეჭდილი წიგნების „ანდერძები“. 1709 წლის სახარების მეოთხე გვერდზე ვკითხულობთ: „ეს წმიდა სახარება დიდის ქირითა ბერძენთა დაბეჭდილ სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გაემართა“. იმავე 1709 წლის „სამოციქულოს“ უკანასკნელ ფურცელზე ნათქვამია: „ესე წმიდა სამოციქულო... დიდის ქირითა ბერძნულთა დაბეჭდილ [სამოციქულთა] შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გაემართა“. 1764 წლის „კურთხევანის“ ანდერძში ვკითხულობთ: „ოდეს მეფობდა საქართველოსა შინა... მეფე ვახტანგ, დროსა მას გამართულ იყო წიგნი ესე... ბერძნულსა კურთხევანსა ზედა და დაბეჭდილ იყოცა“; ახლა, ირაკლის დროს, შევეუდეკით რა ამავე წიგნის ბეჭდვას, აღმოჩნდა, რომ „გარეგან ღრამატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩუენი და დედანიცა“, ამისთვის... იგი „გაიმართა კანონსა ზედა ღრამატიკისასა და დაბეჭდილ იქმნა“. 1783 წლის „საღმრთო მსახურებაში“ სწერია, რომ „შემოწმებულ იქმნა რუსულსა საღმრთოსა მსახურებასა ზედა ღრამატიკის კანონთა ზედა გამართვითა“. „გამართვა“ ბერძნულსა და რუსულსა „წიგნსა ზედა“, აგრეთვე „გამართვა კანონსა ზედა ღრამატიკისასა“ ნიშნავს რედაქციულ მუშაობას, რედაქტირებას. პავლე დეკანოზი, რომელსაც პეტრე იბერიელის „ცხოვრება“ გაუფრცხვლებია შესავლითა და სასწაულთა მიწყობითა და ბოლოჯსა კეთილად დასრულებითა“, თავის თავს „მმართველს“ უწოდებს¹.

ამრიგად, სიტყვები — „გაიმართა ჯელითა ჯელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“ ნიშნავს: ვეფხისტყაოსნის ტექსტი გასწორდა, რედაქტირებულ იქნა მიქელის ხელით. ეს რომ ასეა, მიქელი რომ პოემის რედაქტორია, ეს დამოწმებულია პოემის ლექსად გამოთქმულ „ანდერძში“:

აჲ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწირი ხელისა...

ნალვაწი მისის (ვახტანგის) მლოცვლისა, მესტამბე მიქაელისა.

ეს ნიშნავს: დაიბეჭდა სტამბურად მიქაელის ნალვაწი. სიტყვა „ნალვაწი“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს ნაშრომს არა შეთხზვის (მიქელი ვერ იტყოდა, რა თქმა უნდა, რომ ვეფხისტყაოსანი მისი შეთხზულია), არამედ შესწორების, რედაქტირების აზრით.

¹ Житъе Пётра Иверя, ППС, XVII, вып. II, 1896 г., гл. 53.

ამრიგად, ირკვევა, რომ 1712 წელს დაბეჭდილი ტექსტის რედაქცია ეკუთვნის არა განსწავლულსა და ავტორიტეტით მოსილ კულტურტრეგერს თავის დროისას ვახტანგს, არამედ მისი დროის წიგნების მმართველს, ჯერ-ხობით უცნობს ვილაც მიხეილს¹. ჩვენ არ გვაქვს არავითარი გარანტია იმისა, რომ მის მიერ რედაქტირებულ ტექსტში ორიგინალის აღდგენის მხრივ ყველაფერი რიგზეა. პირიქით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არის რიგზე, ეს გამომდგენდა შემდეგი თაობის მეცნიერთა კვლევა-ძიებით, განსაკუთრებით კი საიუბილეო (1937, 1951, 1957 წწ.) გამოცემის ტექსტის დადგენისას.

იქნება ამ უკანასკნელ გამოცემებში იყოს აღდგენილი პოემის თავდაპირველი სახე? ცალკეული წარყვნილი სიტყვებისა და ფრაზების შესწორების მხრივ ამ გამოცემებში იმდენია გაკეთებული და ისე, რომ ბევრი რამ დასამატებელი და შესასწორებელი ახლო მომავალში მოსალოდნელი არაა. რაც შეეხება პოემის სტროფული შედგენილობის საკითხს, ეს საკითხი ამ გამოცემის შემდგომად კიდევ სადავო და საკამათო იქნება, სანამ არ აღმოჩნდება პოემის უძველესი ხელნაწერი, რისი იმედი დაკარგული არ უნდა იყოს. ეს ბუნებრივია: ერთი რომელიმე გამოცემით, რაიგ აკადემიური არ უნდა იყოს, არც ერთი დიდი ნაწარმოების შესწავლა არ დამთავრებულა.

ნათქვამიდან ნათელია, რომ ჯერ ჩვენ კიდევ არა გვაქვს ხელში ყველაფერი ის, რაც საჭიროა რუსთველოლოგიური პრობლემების საბოლოოდ გადაწყვეტისათვის. მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს და ხელს არ უნდა გვიშლიდეს კვლევა-ძიება განვადროთ და კეშმარტებას თანდათან მიეუახლოვდეთ, თუგინდ საკუთარ, წინათგამოთქმულ მოსაზრებათა რევიზიის გზით.

რუსთველოლოგიის ძირითადი პრობლემებია: 1) ტექსტის დადგენა, 2) გარკვევა იმ პირობებისა და სოციალური არისა, რომელთაც წარმოშვეს პოემა, 3) პოემის ავტორი, 4) მისი დაწერის დრო, 5) პოემის სუჟეტი, 6) პოეტის მსოფლმხედველობა, 7) პოემის პოეტური, მხატვრული მხარე. ამათგან პოემის წარმომშობ პირობებზე აქ აღარ ვილაპარაკებთ, რადგანაც ჩვენ უკვე ვაჩვენეთ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ვითარება ქართული მწერლობის ე. წ. კლასიკური პერიოდისა, რომელსაც ეკუთვნის პოემა. რაც შეეხება ტექსტის დადგენის პრობლემას, აქ შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს ზოგად ხაზებში ის პრინციპები, რომლითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ ასეთი მუშაობისას. ეს პრინციპები ჩვენ ასე გვეხატება: 1) კონტექსტი, მოთხრობის სუჟეტურ განვითარებასთან ერთად. 2) სტილი კლასიკური პერიოდისა, რომელსაც პოემა ეკუთვნის; ამ სტილის ზოგადი ხასიათი და მოხაზულობა დღეს იმდენადაა ცნობილი და გათვალისწინებული, რომ მისი გამოყენება, როგორც ტექსტის დადგენის აუცილებელი პრინციპისა, შესაძლებელია. 3) ენობრივი მოვლენები; კლასიკური პერიოდის ლიტერატურული ენა საკმაოდ შესწავლილია, ასე რომ მას შეუძლია მკვლევარს ექვემდებარებული ფაქტები მისცეს პოემის ტექსტზე მუშაობისას. 4) პოე-

¹ ამის შესახებ დაწერილებით იხ. კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, თსუ შრომები, X, 1939 წ., გვ. 95—100; მისივე, ეტიუდები, IV, გვ. 16—21.

ტოკა; მართალია, ვეფხისტყაოსნის პოეტიკა ჯერ სათანადოდ შესწავლილი არაა და ამ მხრივ ეს თვითონ პრობლემად გვევლინება, მაგრამ ძირითადი ტონი მისი იმდენადაა დაკერილი, რომ ტექსტზე მუშაობისას ამ პრინციპითაც შესაძლებელია ხელმძღვანელობა. 5) ხელნაწერთა ტრადიცია; ვისაც მეცნიერული კვლევა-ძიებისას საქმე ხელნაწერთან ჰქონია, იმან კარგად იცის, რომ დაუშვებელია ხელნაწერის ფეტიშად ქცევა და ტექსტის დადგენისას, საეჭვო ადგილის გარკვევისას, მთლიანად იმაზე დაყრდნობა; მაგრამ მანუსკრიპტული ტრადიციის ხელაღებით უარყოფა შეუძლებელია: ტექსტუალური მუშაობისათვის მით უფრო ხელსაყრელია, რაც მეტია ხელნაწერები, მით უმეტეს ძველი ან მათგან უშუალოდ მომდინარე ნუსხები. 6) იდეოლოგიური ხასიათის მოსაზრებანი: უნდა გვახსოვდეს, რომ პოემის ტექსტი ხშირად იდეოლოგიური მოსაზრებით ირყვნებოდა, ამიტომ ავტორისა და მისი ეპოქის მსოფლმხედველობის გათვალისწინება უცილობელ დანმარებას გაგვიწვევს ტექსტუალური მუშაობის დროს. დაწვრილებით შეეჩერდებით სხვა პრობლემებზე.

I. პოემის ავტორი

თუ რამდენადაა დამუშავებული რუსთველოლოგიური პრობლემები, ყველაზე ნათლად იქიდან ჩანს, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება ნამდვილი და უტყუარი ცნობები მისი ავტორის შესახებაც კი; ვინ იყო ის შეუდარებელი მხატვარი, პოეტური სიტყვის ნამდვილი ჯადოქარი, რომელმაც წარუვალა ღირებულების ნაწარმოები დაგვიტოვა?

ჩვენში მტკიცედ აქვს ფესვები გამდგარი შეხედულებასა და რწმენას, რომ ავტორი ვეფხისტყაოსნისა არის შოთა რუსთაველი ან, უფრო სწორად, რუსთველი; ჯერ იჩენს თავს სახელწოდება რუსთველი, მერე «შოთა». პირველად რუსთველი, როგორც «ლამაზ-ენა» მელექსე, «აშიყი იმის თვალწარბისა, ვინ სოფელი დააშენა», მოხსენებულია XVI საუკუნის პირველ ნახევარში სერაპიონ სოგრატიძის საბაშვილის მიერ, რომელსაც მის მიერ გალექსილ «როსტომიანში» შეუტანია გაბაასება ბერის რუსთველისა ბაგრატ მუხრანბატონთან¹. შემდეგ რუსთველის სახელს ვხვდებით XVII საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ ნათარგმნ „იოსებზილიხანიანში“, რომლის შესავალში ვკითხულობთ: «თუმცა ხელქმნილი რუსთველი თინათინს აქებს არ ავსა, ნესტან-დარეჯან ბროლ-ვარდსა გიშრის მანითა სარავსა»². XVII საუკუნის პირველ წლებში რუსთველი მოხსენებულია კახეთის მეფის დავითის (გარდ. 1602 წ.) მიერ ქეილილა და დამანასა მის მიერ თარგმნილ ნაწილში: «რუსთველი იტყვის ვითა, სხვამან სხვისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარია». ამის შემდეგ, რაც დრო გადის, უფრო ხშირია რუსთველის ხსენება. საიდან გაიგვს ალორძინების ხანის მწერლებმა, რომ პოემის ავტორი არის რუსთველი? ეს მათ გაიგვს, ეკვი არაა, იმ სტროფებიდან, რომელ-

¹ „როსტომიანი“, ტ. II, სტროფი 3599—3601.

² ხ. ჯაკობიას გამოც., სტროფი 17. შტრ. 1, 2, 8.

³ S 3177, გვ. 2.

ბიც დართული ჰქონდა, როგორც პროლოგი და ეპილოგი, მათ დროს პოემას. პროლოგში ნათქვამია¹:

დაჯეჲ, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი (7).
მე, რუსთველი, ხელობითა, ვიქმ საქმესა, ამაღარი (8).

ეპილოგში:

წერ ეინვე მეხსი მელექსე მე რუსთველისად ამისა (1665).
ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა (1669).

მართალია, პოემის ავტორი არ აღნიშნავს, რომ მას «შოთა» ეწოდება, სამაგიეროდ ხაზგასმით ამბობს, რომ ის «რუსთველია». მაგრამ საკითხავია: მართლა პოემის ავტორის თვითმოწმობა გვაქვს აქ ჩვენ, თუ ეს სტროფებიც შემდგომში ჩამატებულ-დამატებულია, ისე როგორც ბევრი სხვა რამე პოემაში? მაშასადამე, მიუადექით საკითხს პროლოგისა და ეპილოგის, როგორც ისტორიულ-ლიტერატურული წყაროს, შესახებ. ისინი მეცნიერულ ლიტერატურაში დიდ ექვს იწვევენ.

საქმე ისაა, რომ პროლოგ-ეპილოგის სტროფების არც რაოდენობა, არც მათი თანამიმდევრობა არსებულ ნუსხებში ერთნაირად არაა წარმოდგენილი, ამ მხრივ ისინი დიდ სხვადასხვაობას განიცდიან; ვერ შეხედებით ორ ისეთ ხელნაწერს, რომლებიც ამ შემთხვევაში ერთმანეთს ზუსტად ემთხვეოდეს. ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ეს სტროფები არ ეკუთვნის ერთსა და იმავე მწერლის კალამს, მით უმეტეს პოემის ავტორს. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ პროლოგი ყოველთვის და ყველაფერში პოემის შინაარსით არ მართლდება. ასე, მაგალითად, პროლოგში ნათქვამია, რომ მიჯნური «ხამს თავისსა ხეაშიადასა არვისთანა ამელაენებდეს» და «არსით უჩნდეს მიჯნურობა» (28). ამ სიტყვების ავტორს «დავიწყებია, რომ პოემის მთავარი კვანძი «ხეა-შიადის» გამელაენებაშია: ნესტანს რომ ასმათისათვის არ გაემელაენებინა თავისი ხეაშიადი და ტარიელს ფრიდონისა და ავთანდილისათვის, ის პოემა არ გვექნებოდა, რაცა გვაქვს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ იმის დიდი ნაწილი, რაც მიჯნურობის შესახებაა ნათქვამი პროლოგში (28—31), ე. წ. აღორძინების ხანის დოქტრინიორულ-მორალიზატორული სულისკვეთების ანარეკლი და გამომმელაენებელია.

ამით აიხსნება, რომ მკვლევართა შორისაც პროლოგ-ეპილოგის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ვერ შეხედებით ორ ისეთ მკვლევარს, რომელიც ერთნაირად ფიქრობდეს იმის შესახებ, თუ რამდენი ან რომელი სტროფი ეკუთვნის აქ პოემის ავტორს. აქ დიდი გასაქანი აქვს ხოლმე სუბიექტივიზმს. «ფეფხისტყაოსნის» პროლოგისა და ეპილოგის საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა აკად. ნ. მარმა, მაგრამ მასაც იგივე სუბიექტივიზმი ახასიათებს, როგორიც იმაში გაკრიტიკებული მკვლევარების ჰიმოთეზებს². ერთი სიტყვით, პროლოგსა და ეპილოგში ყველაფერი რიგზე არაა.

¹ სტროფები ჩაჩვენებია ყველგან და ყოველთვის 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

² Вступительные и заключительные строфы, «Тексты и разыскания», XII, 1910 г.

მაშ რა გარანტიაა, რომ «რუსთველობის» შემცველი სტროფი ნამდვილია და არა შემდეგ ჩამატებული? არავეითარი, გარდა ერთი მოსაზრებისა.

ხელაღებით უარყოფა პროლოგისა მთლიანად, როგორც ამას ჩაღიოდა განსვენებული დ. კარიჭაშვილი¹, არ შეიძლება გამართლებულ იქნას. წარმოუდგენელია, რომ პოემას რაიმე შესავალი არ ჰქონოდა და ის მის ავტორს პირდაპირ აერაბთა მეფის როსტევეანის ამბითა დაეწყო. როგორი უნდა ყოფილიყო ეს შესავალი?

საშუალო საუკუნეთა პოემების შესავალში ჩვეულებრივ სამი ელემენტი იყო დაკანონებული: 1) ღვთისადმი მიმართვა, 2) პოეტის თანამედროვე მეფისა ან მეცენატის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოხსენიება, 3) მოკლე ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებთან ერთად (დასახელება ავტორის, პოემის გმირისა და სხვ.). 4) მსჯელობა ზოგიერთ განცხადებულ, თეორიულ საგანზე². ყოველ ექვს გარეშეა, ამგვარი ელემენტები, თითო-ოროლა სტროფით, ჩვენი პოემის შესავალშიც უნდა ყოფილიყო. ამის მიხედვით, ვეფხისტყაოსნის პროლოგი, ჩვენი შეხედულებით, შემდეგნაირად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი:

დასაწყისში—მიმართვა ღვთისადმი (1—2 სტროფი), ამას მოჰყვებოდა აღნიშვნა თამარისა, რომლის საქებრად დაწერილია თითქოს პოემა (4, 19)³, პოეტის სახელისა და მისი დამოკიდებულებისა ვილაც მეფესთან (8)⁴, რომლის პიროვნებას, როგორც თამარის სამეფო რეგალიების ღირსეულ მატარებელს, ხაზი გასმული აქვს მესამე სტროფში (ეპილოგის 1666 სტროფში ის უკვე დასახელებულია). თქვა რა, რომ ამ მეფეს მისმა მკვრეტელმა უნდა შექარსავით ტყბილი ლექები მიართვას, პოეტი გამოსთხოვს მას ძაღსა და შეწყენას ტარიელის ამბის სათქმელად (6) და გააღოს მსჯელობაზე მელექსეობის შესახებ და აღნიშნავს მის სამ სახეს (12, 13, 16, 17)⁵. ეს გარემოება მას საბაბს აძლევს, მელექსეობის გარდა, ილაპარაკოს ადამიანის სხვა მოწოდებაზედაც, კერძოდ მიჯნურობაზე (11), და აღნიშნავს მიჯნურობის ორ სახეს—მისტიკურსა და ამქვეყნიურს, გეაცნობს რომელ მათგანს უმღერის ის თავის ნაწარმოებში (20, 21) და როგორი უნდა იყოს ნამდვილი მიჯნურობა (22—27). ყველაფერ ამას, დასასრულ, შესაძლოა, მოჰყვებოდა მეცხრე სტრო-

¹ იხ. მისი მოსაზრება პოემის 1903 წლის გამოცემაში, აგრეთვე ჟურნ. „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“, 1913 წ., VI.

² შდრ. აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის საკითხისათვის, ნარკვევები, I, გვ. 235—236.

³ მეოთხე სტროფის შემდეგ ზედმეტად. ჩანს მეხუთე სტროფი, კინაიდან რაღაც არაბუნებრივია ვინმეს ებრძანებინა პოეტისათვის, მით უმეტეს თვით თამარს, შეეჭო მას მისი, თამარის, წარბი, წამწამი, თმა და ბაგე-კბილები.

⁴ მეშვიდე სტროფი, რომელშიაც აგრეთვე მოხსენიებულია «რუსთველი», თავისი უზამსი სიტყვით «შეუწრომილია, უღაბათო კონსტრუქციით და იმის განმეორებით, რაც ნათქვამია მერვე სტროფში, თვითონ ამკლავებს თავის სიყალბეს.

⁵ მეოთხმეტე სტროფი კლასიკური ხანისათვის უჩვეულო სიტყვით «ქართული» და იმის განმეორებით, რაც წინა, მეცამეტე, სტროფში უკვე ნათქვამია, იწვევს დაეჭვებას მისი რუსთაველისადმი მიკუთვნებაში.

ფი, რომელშიაც ლაპარაკია პოემის წარმოშობის შესახებ და რომელშიაც ავტორი ვაშლითხოვს თავისი ძველმკნელისაგანა ლექსის თქმის ნებას.

ამრიგად, ჩვენი მოსაზრებით, პროლოგის შედგენილობა და ახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო: 1, 2, 4, 19, 8, 3, 6, 12, 13, 15—17, 11, 20—27, 9 სტროფები. რაც შეეხება ეპილოგს, მისი ხუთი სტროფიდან ნამდვილი უნდა იყოს მხოლოდ ერთადერთი სტროფი (1666), რომელშიც პოეტის „ხელმძღვანელი“ შეფე დავითად არის წოდებული.

ამრიგად, პოემის ავტორად უნდა რუსთაველი მივიჩნიოთ. პროლოგის გარდა, ამას გვაიძულებს ღრმად ფესვებგამდგარი ტრადიცია, რომელიც, ეპილოგის ერთ-ერთი სტროფის მიხედვით (1665), რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, შედარებით ძველად მოჩანს. თუ, შედარებით უფრო ახალი ტრადიციის მიხედვით, ჩვენ ამირანდარეჯანიანის ავტორად მოსე ხონელს ვცნობთ, თამარბინისას—ჩახრუხაძეს, ე. წ. აბდულმესიანიანისას—იოანე შავთელს, ხოლო ვისრამიანის მთარგმნელად—სარგის თმოგველს, რატომ, იმავე ტრადიციის მიხედვით, ვეფხისტყაოსნის ავტორად არ უნდა ვცნოთ რუსთველი, თუგინდ პროლოგის შესაფერისი სტროფი (8) ყალბიც აღმოჩნდეს!

რა ვიცით ამ რუსთაველის შესახებ? საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გენიოსი პოეტის ვინაობა და ღვაწლი საუკუნეთა განმავლობაში წყვილიდს მოუცავს. აღორძინების ხანის დასაწყისამდე არსად, არც ერთ ძეგლში, მისი ხსენება არაა, არც სადმეა დამოწმებული მისი პოემა. ეს არ აიხსნება იმით, რომ პოემა და მისი ავტორი გარკვეულ წარწერებში ღვევის საგანი გახდნენ და ამიტომ საჭიროდ მიუჩნევიათ მათი მიჩქმალვა¹. ღვევით, როგორც თავის ადგილას დაეინახეთ, ვისრამიანიც იღვევნებოდა ჩვენში, მაგრამ ამაზე არ დაუშალა მას დამოწმებული ყოფილიყო სხვადასხვა ლიტერატურულ ძეგლში. ღვევით, ყბადაღებული და ოდილობური, ის, პოეტი, კამათის, ცილობის, შეჩვენებისა და წყევლა-კრულვის საგანი უნდა გამხდარიყო, მაშასადამე, უფრო მეტად უნდა აღბეჭდილიყო შესაფერ დოკუმენტებში, მაგრამ ამას ვერ ვხედავთ. განა ამ მხრივ კლასიკური პერიოდის სხვა ლიტერა-

¹ ნათქვამთან დაკავშირებით ჩვენ დიდი ხანია მოგსენით ჩვენი წინანდელი შეხედულება სარგის თმოგველის, როგორც პოემის შესაძლებელი ავტორის შესახებ (იხ. ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა, რურნ. მნათობი, 1931 წ., №№ 7—8 და 9—10). აღარ არის საჭირო ვილაპარაკოთ არც ს. კაკაბაძის სარგის თმოგველების (პაპა 1236—1262 და შეილიშვილი 1292—1297 წწ.) შესახებ, როგორც პოემის პროზაული ვერსიის მთარგმნელების თუ შემთხვევების (წინასიტყვაობა მისი 1914 წლის გამოცემისა და „სასიტორიო მონაბე“, 1924 წ., № 1), ვინაიდან პოემის 1927 წლის გამოცემაში მან უარყო ეს მოსაზრება და პოემის პროზაული ვერსიის ავტორად წამოაყენა სარგის თმოგველი 1160—1175 წლებისა, ხოლო მის გამლექსავად 1196—1197 წლებში ტრადიციული შოთა რუსთაველი, რომელსაც ის ჩახრუხაძედ თვლიდა. არ ვიცით, იზიარებს თუ არა ახლა ს. კაკაბაძე ამ უკანასკნელ შეხედულებას, ყოველ შემთხვევაში, 1160—1175 წლებში არაერთი სარგის თმოგველი არ ჩანს, ვინაიდან სარგისის გვარში „თმოგველობა“ 1191 წლიდან ჩნდება (ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი: „კიდევ ვეფხისტყაოსნის გარშემო“, რურნ. მნათობი, 1927 წ., № 5—6, გვ. 167—188).

² ასე ხსნის ამ ფაქტს ივ. ჯავახიშვილი წერილში: შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო (იხ. მისი ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 5—12).

ტურული ძეგლები უკეთეს მდგომარეობაშია? ვეფხისტყაოსნის ავტორის ხსენება კანტიკუნტად მეხუთმეტე საუკუნიდან მაინც იწყება. მისი ხელნაწერები XVII საუკუნის დამდეგიდან მაინც შემონახულა, ამას ვერ ვიტყვით ამირანდარეჯანიანის, თამარიანისა და ე. წ. აბლულმესიანის შესახებ, მათი ხელნაწერები (აგრეთვე ვისრამიანისაც) XVII საუკუნის გასულზე აღწინდელი არაა, არც მათი ავტორების შესახებ ვიცით მეტი, ვიდრე ვეფხისტყაოსნისა. რით ავსნათ ეს? ყოველ შემთხვევაში, ეს თხზულებები არასდროს ყოფილა დევნის საგანი! არც იმით აიხსნება აღნიშნული ფაქტი, რომ ასეთია, საზოგადოდ ხეცური უდიდესი გენიოსებისა, როგორც, მაგალითად, პომპროსი, შექსპირი და სხვ. მიზეზი ამისა არის, ერთი მხრით, დაცემა-დაკნინების პერიოდში (XIII—XV საუკ.) კლასიკური ხანის ლიტერატურული ძეგლების განადგურება და მათ შესახებ ცნობათა დაკარგვა, მეორე მხრით კი ის ვარაუდობა, რომ ჩვენში, ჩვენდა საველად, უძველეს დროში ყოველთვის არ იწერებოდა და არ ინახებოდა ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები.

იგნორაცია იქამდე მიდის, რომ ჩვენ პოეტის სახელიც კი არ ვიცით კარგად, სახელწოდება „რუსთველი“, რომელიც ან რუსთავიდან წარმოშობილს ნიშნავს, ან რუსთავის მფლობელს, როგორც დავინახეთ, პოემის პროლოგსა და ეპილოგშია დამოწმებული. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით „შოთა“-ს შესახებ. მას ვერ ვხვდებით ვერც პოემაში, ვერც მასთან ქრონოლოგიურად დაახლოებულ რომელიმე ძეგლში. რამდენადაც არსებული და დღესდღეობით ცნობილი მასალები ამის დასკვნის უფლებას იძლევა, სულ პირველად ცნობა იმის შესახებ, რომ პოემის ავტორს რუსთაველს შოთა ერქვა, წერილობითი სახით მოცემულია მეფე-პოეტის თეიმურაზ I-ის მიერ, რომელიც მის მიერ 1629 წელს გადმოკეთებულ იოსებზილიხანიანის შესავალში ამბობს: „ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა“¹. ილ. აბულაძესა და ქრ. შარაშიძეს უპოვნიათ მეხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ერთი შაირი, რომელიც შეუთხზავს გიორგი კაბადოციელის სახელზე მისი ხატის მხლებელსა და მსახურს, დეკანოზს სვიმონ შოთაძეს, და რომელშიაც ავტორი თავისი გვარის დამწვებად თითქოს შოთა რუსთაველს გულისხმობს². თუ ეს მართლა ასეა, მეხუთმეტე საუკუნეში უკვე ყოფილა ტრადიციული ცნობა იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელი იყო შოთა. საიდან გაჩნდა ასეთი ცნობა, XV საუკუნემდე ხომ ვერსად ვხვდებით იმას? ეს ცნობა უნდა მოდიოდეს ქართველთა ჯვარის მონასტრიდან პალესტინაში. საქმე ისაა, რომ ჩვენში დიდი ხნიდან არსებობდა ლეგენდა, რომ პოემის ავტორი რუსთაველი იყო თამარის მეჭურჭლეთუხუცესი და რომ მან თავისი ცხოვრების უკანასკ-

¹ აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოც., სტრ. 17.

² К вопросу об имени и родине Руставели, Сообщения АН Груз. ССР, II, № 7, 1941 г., გვ. 681—688.

³ მაგრამ ეს ასე არაა, ეს ნაწარმოები XVI ს. პირველი ნახევრისაა. იბ. კ. კ-ის რეცენზია აღნიშნულ შრომაზე (ელიტ. ძიებანი, ტ. I, გვ. 275—277; მისივე, იტუდები, IV, გვ. 32—34); ტ. რუხაძე, პოეტი სვიმონ დეკანოზი შოთაძე (ელიტ. ძიებანი, ტ. III, გვ. 379—381); ე. თაყაიშვილი, ჩხარის გელესის სიძველენი (ასპართვ. მუზეუმის შობაზე, ტ. XV-B, გვ. 165—179).

ნელი წლები იერუსალიმის მახლობლად, ჯვარის მონასტერში, გაატარა. ამავე დროს ჯვარის მონასტრის ქართული „სენიანქსრის“ აღაპთა შორის იკითხებოდა ერთი აღაპი, რომელიც მიწერილი უნდა იყოს არაუადრეს, ყოველ შემთხვევაში, XIV საუკუნისა: „ამასვე ორშაბათსა აღაპი შოთაჲსა, მექურქლეთუხუცესისისაჲ“¹. ამგვარად, ქართულ მწიგნობრულ წიგნებში შეხვედრიან ერთმანეთს ტრადიცია-ლეგენდის „მექურქლეთუხუცესი რუსთველი“ და სენიანქსრის „მექურქლეთუხუცესი შოთა“, აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ შოთა და რუსთველი ერთი ერთი და იგივე პირია. სახელდობრ, ვეფხისტყაოსნის ავტორი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დასკვნა, რომელსაც, პირველ ყოვლისა, თვით ჯვარის მონასტერში უნდა ეჩინა თავი, თეიმურაზმა გაიგო მასთან ძალიან დაახლოებული, ერთხელ მისი პირადი მდივნის, ნიკიფორე ან ნიკოლოზ ომანისძე ჩოლოყაშვილისაგან, რომელიც 1614—1626 წლებში ჯვარის მონასტერში ცხოვრობდა, ხოლო 1643—1649 წლებში დასახლებული მონასტრის წინამძღვრად, „ჯუარის მამად“ იყო². ეს დასკვნა მერე, 1643 წლის მახლობლად, ნიკიფორემ გადმოიტანა ჯვარის მონასტრის სვეტზე, სადაც გამოხატულია მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი, რომელთა წინაშე მუხლი მოუყრია ერთ დიდებულ ქართველს, წარწერია: „ამისა დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან ამინ“. ეს წარწერა სურათის მარცხენა მხარეზეა, ხოლო მარჯვენაზე, ალბათ, ქართველის ვინაობის გასარკვევად, მიწერილია: „შოთა რუსთველი“³.

თეიმურაზის შემდეგ ამ ცნობას იმეორებენ როგორც XVII—XVIII საუკუნეების მწერლები, ისე, განსაკუთრებული კატეგორიულობით, XIX—XX საუკუნეებში. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მკვლევარებმა ისტორიულ წყაროებში დაიწყეს პოეტ შოთა რუსთაველის ძებნა. გარდა დასახლებული ორი პირისა—1) სენიანქსრის შოთა მექურქლეთუხუცესისა და 2) მონასტრის სვეტზე გამოხატული შოთა რუსთველისა, პოემის ავტორად მიჩნეულია კიდევ შემდეგი შოთა:

3) შოთა ართავჩაოს-ძე, 1177 წლის აჯანყების მონაწილე და მეთაური; პოემის ავტორად მას თვლიდა მ. ჯანაშვილი.

4) შოთა კუპრი, ჰერეთის ერისთავი, რუსუდან დედოფლის, ულუ-დავითისა და ნარინ-დავითის დროის პოლიტიკური მოღვაწე; ეს შოთა პოემის ავტორად მიიჩნიეს თეიმურაზ ბატონიშვილმა და პ. ინგოროყვამ.

¹ აღაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გამოსცა ნ. მარმან, სპბ., 1914 წ., გვ. 78. ჩვენთვის საჭმის ვითარება არ იცვლება თუ ამ მინაწერს მე-13 საუკუნეში გადმოიტანთ, როგორც ამას სჩადის ე. მეტრეველი (ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, თბ., 1956 წ., გვ. 056).

² ამის შესახებ იხ. კ. ქეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, თსუ შრომები, X, 1939 წ., გვ. 101—104; მისივე, ეტიუდები, IV, გვ. 21—26.

³ А. Цагарели, Памятники грузинской старины в сев.земле и на Синае, ППС, IV, вып. I, СПб., 1888 г., гв. 94—95. ეს ფაქტი აქვს მხედველობაში ტიმოთე გაბაშვილს თავის „წმიდათა ადგილთა, მონილვაში“ (ე. მეტრეველის გამოცემა, გვ. 80). სხვანაირი ინტერპრეტაცია ამ ფაქტისა, რომელიც მოცემულია ე. მეტრეველის გამოცემაში (გვ. 055—059), როგორც ობიექტურ საბუთებს მოკლებული, ჯამაჯერებელი არაა.

5) მანდატურთუხუცესის ქიაბრის სიგელზე (1184—1188 წწ.) ხელისმომწერი შოთა, ეინვანის პატრონი, რომელსაც პ. ინგოროყვა თელის შოთა კუპრად, ხოლო მ. ჯანაშვილი და ს. კაკაბაძე—ქიაბრის შვილად და პოემის ავტორად.

6) ზარზმის რესტავრატორის გაბრიელ ხურსიძის მამა შიო, შოთა ყოფილი¹, რომელსაც პოემის ავტორად თვლიდა საეგვიპტო ა. ხახანაშვილი², ხოლო დაეინებით მოქ. ნათეხაძე³.

7) მთავარი შოთა, გამოხატული სოფ. აძიკვის ეკლესიის ბარელიეფზე ელიქატმონ, გამრეკელ და ავაგ ორბელიანებთან ერთად; პ. ინგოროყვას აზრით, ეს შოთა არის ჰერეთის მთავარი შოთა კუპრი, პოემის ავტორი, რომელიც ორბელიანთა საგვარეულოსთან ნათესაურ კავშირში ყოფილა, თითქოს სიძე მათი⁴.

როგორც ვხედავთ, არ დაჩინილა ისტორიული ძეგლებით ცნობილი არც ერთი შოთა, რომელიც ამა თუ იმ შველევარს პოემის ავტორად არ გამოეცხადებინოს. ეს გარემოება თავისთავად არყევს და ძირს უთხრის ნიკიფორე ირბახის, თუ უფრო აღრინდელი დროიდან მომდინარე ცნობას. როგორ შეიძლება ჩამოთვლილ პირებში ვიცნოთ პოემის ავტორი, თუ შოთა, როგორც პოეტის სახელი, XV—XVII საუკუნეებშია გამოგონილი? თან, იყო კი რომელიმე იმათგანი იმავე დროს რუსთველი? მართა სახელით რომ ვხეღმძღვანელოთ, კიდევაც რომ ნამდვილი იყოს ის, ვინ იცის, რამდენი ავტორი აღმოუჩნდებოდა პოემას, ეს სახელი ხომ ძალიან გავრცელებული იყო საქართველოში! მაგალითად, შეიძლება პოემის ავტორად ვცნოთ ვიღაც ხურსიძე იმიტომ, რომ მას შოთა რქმევია (მე-ნ მაგალითი), ან ქიაბრის სიგელზე, მისი ოდესღაც, გაურკვეველ დროს, ხელისმომწერი შოთა (5), ანდა იერუსალიმის სენაქისარში არაუადრეს XIV საუკუნისა ჩაწერილი შოთა (1)? ანდა რა საბუთებით თელის მ. ჯანაშვილი პოემის ავტორად შოთა ართავაჩოს-ძეს (3)? თამარიანშიო, ამბობს ის, ავტორი მისი, ჩვენი შოთა რუსთაველი, მიმართავს თამარს სიტყვებით: „შენით სიცოცხლე შქონდა მჩუქარსა“, ესე იგი, შენ მე სიცოცხლე მარჩუქო. ამბობებაში მონაწილეობის მიღებისათვის შოთას მოელოდა სიკვდილით დასჯა, მაგრამ ის, ალბათ, იხსნა თამარმა, ამის გამო შოთა შეიქნა თამარის უერთგულესი, მისი ინტერესების დამცველი, მისი გულწრფელი მეხოტბე, და თამარიც მას მისცემდა წარჩინებას, სახელდობრ: 1185 წელს მას ჩააბარებდა რუსთავეის საერისთაოს, ანდა 1191 წლიდან მისცემდა მას მოლარეთ ან მექურქლეთუხუცესობას⁵. მთელი ეს არგუმენტაცია უბრალო გაუგებრობაზეა აგებული. ჯერ ერთი, არსაიდან ჩანს, რომ შოთა ართავაჩოს-ძე თამარს სიკვდილისაგან დაეხსნას და მერე დაეწინაურებინოს. პირიქით,

¹ E. Такайшвили, Археологические экскурсии, I, გვ. 87, 18—14.

² Материалы по археологии Кавказа, IV, გვ. 122.

³ გაზ. «კომუნისტი», 1937 წ., № 53; უზრ. ძმნათობი, 1937 წ., № 8—9, გვ. 265—291.

⁴ «რუსთველიანა», გვ. 329—347. რუსთაველის სახელის შოთას შესახებ იხ. კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, თსუ შრომები, X, გვ. 103—105; მისივე, ეტოლუბი, IV, გვ. 24—26.

⁵ გაზ. «ტრიბუნა», 1923 წ., № 449.

მატანე გვაუწყებს, რომ ის, როგორც აჯანყების ერთ-ერთი ინიციატორი, ცხარე ბრძოლის დროს ჩავარდნილი გიორგი მეფის ხელში, დასჯილ იქნა სხვებთან ერთად, თუ სიყვდილით არა, სხვა რაიმე სასტიკი სასჯელით. მეორე, რაც უფრო საყურადღებოა, ყველაფერი ეს აგებულია იმ მოსაზრებაზე, ვითომც თამარის ავტორი იყოს შოთა რუსთაველი, რასაც, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, არავითარი საფუძველი აქვს.

ვერ მივიჩნევთ პოემის ავტორად ვერც მონღოლთა დროის მოღვაწე შოთა კუპრს (4, 5, 7), რომელსაც ისტორიკოსი შემდგენიერად ახასიათებს: „არარათა ნიქთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“¹. განა „არარათა ნიქთა და ზნეთა მქონებელ“ კაცს შეეძლო დაეწერა ისეთი გენიალური ნაწარმოები, რომელიც მსოფლიო მწერლობის ისტორიაშიც შედევრად შეიძლება ჩათვალოს?

ამრიგად, რუსთაველის სახელი გამოურკვეველია. თუ მას ჩვენ შოთას ვუწოდებთ, პირობით, როგორც, არც ისე ძველ, მაგრამ მაინც ტრადიციით ნაანდერძებს².

ჩვენ არც ის ვიცით, თუ სადაური იყო რუსთაველი. ეს სახელი, როგორც ზემოთაც შეენიშნეთ, გვაჩვენებს, რომ ის ან წარმოშობით იყო რუსთაველიან, ან მფლობელი იყო რუსთავისა³. მაგრამ რომელი რუსთავი იგულისხმება აქ?—ადგილი ასეთი სახელით არა ერთი და ორი ყოფილა და არის საქართველოში. ჩვეულებრივ, მხედველობაში იღებენ ამ შემთხვევაში ორ რუსთავს: ერთია დაბა რუსთავი მესხეთში, ხოლო მეორე—ქალაქი რუსთავი თბილისის ახლოს, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქახეთის განაპირას მდებარე. ეს უკანასკნელი, რომელიც ცნობილია ბოსტან-ქალაქის სახელითაც, XI—XII საუკ. მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. ვინაიდან ძველად ჩვეულება იყო, რომ გვარი წარმოღებოდა ხოლმე რომელიმე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქისაგან, რომელთანაც დაკავშირებული იყო ესა თუ ის პირი (მაგალ., ორბელი, თმოგველი, სურამელი და სხვ.), ფიქრობენ, რუსთაველი წარმომდგარია არა მესხეთის დაბა რუსთავისაგან, რომელიც არაფრით ცნობილი არაა ჩვენს წარსულში და რომლის ხედვრითი წონა ისტორიაში მეტ საბუთს არ იძლევა პოეტის სამშობლოდ მივიჩნიოთ ის, ვიდრე სხვა რომელიმე პუნქტი ასეთი სახელწოდებისა (თუგინდ სოფელი რუსთავი ნიქოზის თავში, ქ. სტალინის მახლობლად), არამედ ქახეთის რუსთავისაგან. მართლაც, თეიმურაზ ბატონიშვილმა პირველმა გამოთქვა აზრი ვეფხისტყაოსნის კომენტარებში, რომ პოემის

¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 605.

² ცნობისათვის საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ცენტრალური ანგონილანდის მცხოვრებთა ერთ-ერთ ლეიტის სახელად შოთა რქვეთია (E. Фрегер, Золотая ветвь, вып. I, 1928 г., стр. 90).

³ სიტყვების „ზე რუსთველი ხელობითა“ (8) მიხედვით, ზოგიერთს „რუსთველი“ ესმის როგორც თანამდებობა; მაგრამ თანამდებობას ერქვა არა „რუსთველი“, არამედ „რუსთავი“. ასე მაგალ., უნობი ავტორის იოსებხილინისაში ვკითხულობთ: „ქალაქის, სოფლის რუსთავი მოვიხმოთ თქვენსა წინარე“ (ს. ჯაკობიას გამოც., სტროფი 621).

ავტორი დაბადებულა და ცხოვრობდა კახეთის რუსთავში, სადაც ის გამგე-
დაც იყო¹. თეიმურაზის აზრი გაიმეორეს შერე ს. კაკაბაძემ, იუსტ. აბულა-
ძემ და პ. ინგოროყვამ („რუსთველიანა“). რადგანაც არავითარხ პირდაპირი
ცნობა ამის შესახებ არ არსებობს, პ. ინგოროყვა ამის გამართლებას ცდი-
ლობდა, სხვათა შორის, პოემაზე ქართული ენის იმ კილოს ძლიერი გავლენით,
რომელიც ჰერეთში იყო გავრცელებული², ე. წ. ჰერეთისზმებით, რომელნიც,
მისი აზრით, შემონახულნი უნდა იყვნენ დღევანდელ ინგოლოურში³. ეს
ასეც რომ იყოს, განა ის გარემოება, რომ პოემის ზოგიერთი ლექსიკური ვა-
რიანტი დღეს საინგილოშიც გვხვდება, საკმარისია იმის დასამტკიცებლად,
რომ პოემის ავტორი იყო ჰერეთის რუსთავიდან? არ შეგვიძლია არ მოვიყვა-
ნოთ ამ შემთხვევაში მოსაზრება განსვენებული მ. ჯანაშვილისა, რომელიც
თვითონ ინგილო იყო და ინგილოურის ზედმიწევნით მკოდნე: „ჩვენ არ
გვაბადია შოთას ქმნილების მეცნიერული გამოცემა, არ დაგვრჩენია თვით მი-
სი დედანიც, რომ გავიგოთ—დღევანდელი ინგილოურ-ჰერეთული რეალიები
მართა ადგილობრივი ხასიათისა იყო ძველათაც, თუ საერთო მთელი საქართ-
ველოსათვის და, მაშასადამე, შოთასათვისაც, როგორც ყოველი ქართველი
მწერლისათვის. ინგილოებში თ ფ უ ის მაგიერ ამბობენ თუ, როგორც ეს
ვეფხისტყაოსანშიც არის, მაგრამ ვინ იტყვის, რომ თავდაპირველად შოთას
დედანში იყო თ უ და არა თ ფ უ, რომელიც რომელიმე გადამწერმა, თუნდ
იმავე ჰერეთელმა, არ აქცია „თუ“-დ?“ მრავალი ის სიტყვა, რომელიც ვეფ-
ხისტყაოსანში შენახულა და დღეს საინგილოშიც იხმარება, სპეციფიკურ ჰე-
რეთისზმად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ასეთ სიტყვებს, მ. ჯანაშვილით, ად-
გილი აქვს სხვა ძველ ნაწარმოებშიც, როგორც საეროში, ისე სასულიეროში.
ასე რომ, ასკენის მ. ჯანაშვილი, „ის მასალა, რომელსაც დღეს ინგილოურში
ვპოებთ, არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ავტორი ვეფხისტყაოსნისა
იყო ჰერეთელი რუსთველი“⁴.

მკვლევართა მეორე რიგი ფიქრობს, რომ პოემის ავტორი იყო მესხეთის
რუსთავიდან. თუ მხედველობაში მივიღებთ ფოლკლორულ მასალასაც, რომე-
ლიც თანდათან გროვდება, მესხეთის რუსთავს უფრო მეტი მიმდევარი ჰყო-
ლია და ჰყავს. მესხეთის რუსთავს მხარს უჭერს მეტად მტკიცე და პოპულა-
რული ტრადიციები, რომელთაც ადგილობრივ, მესხეთში, ვპოულობთ. იქ
სხვადასხვა თქმულება დარჩენილა პოეტის სწორედ იქაური რუსთავიდან წარ-
მოშობის შესახებ, იქ დღესაც უჩვენებენ შოთა რუსთაველის მთას, ციხეს და
სხვ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წყარო ტრადიციისა და საერთოდ ფოლკლორული
მასალების ცნობისა, რომელთა მიხედვით პოეტის სამშობლოდ მესხეთის რუს-
თავია მიჩნეული, იგივეა, რაც მეცნიერ-მკვლევართა შეხედულებისა, სახელ-
დობრ, ცნობილი ტაეპი: „მწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“.

¹ Е. Такашвили, Описание рукописей, II, гл. 587.

² რუსთველიანა, გვ. 167.

³ ამის შესახებ იხ. იუსტ. აბულაძე, მე-12 საუკუნის ქართული საერო მწერლობა და
ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1923 წ., გვ. 257—259.

⁴ შოთა, ინგილოური გლოსები, გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ., № 490.

მ ტაევის არასწორმა წაკითხვამ და მასთან დაკავშირებით ყალბმა ინტერპრეტაციამ წარმოშვა ასეთი შეხედულება. საკმარისია თვალი გადავავლოთ პოემის ხელნაწერებსა და ბექლურ გამოცემებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ ტაევის მეორე ნახევარი სხვადასხვანაირად წაუკითხავთ და გაუვიათ.

როგორაა საქმე ხელნაწერებში? პოემის 27 ძირითადი ხელნაწერიდან, რომელიც დღესდღეობით ცნობილია, სტროფი („გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“), რომლის დაბოლოებას შეადგენს დასახელებული ტაევი, იკითხება ცამეტში (№№ 54, 461, 599, 757, 1839, 2074, 2610, 3061, 4499, 4732, 4988, 5006, ზაზასული), შეიღს შესაფერისი ფურცელი დაქარგვითა და არ ვიცით, იყო თუ არა იქ ეს სტროფი (G, L, N, Q, R, W, X), დანარჩენ შეიღში ის არ მოიპოვება. ცამეტი ხელნაწერიდან ზოგი კითხულობს: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა თემისა“ (№ 599), „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა თემისა“ (1839), „მე მესხმან ვინმე დავწერე იქ რუსთავისა თემისა“ (4988) „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა და მისა“ (461), „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დამისა“ (3061, ზაზასული), „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ (54, 2610, 4499, 4732, 5006).

ბექლურ გამოცემებში ვკითხულობთ: „მე რუსთველისა და მისა“ (1712 წ. გამოც.), „მე რუსთველისა დაბისა“ (ბროსე, ჩუბინაშვილი), „მე რუსთავისა დაბისა“ (ქართველიშვილი), „მე რუსთველისა დამისა“ (კაკაბაძე, I; კარიკაშვილი), „მე რუსთველი... სად ამისა“ (აბულაძე, II), „მე რუსთველი სადამი სა“ (ჯანაშვილი)¹, „მე რუსთველისად ამისა“ (ქიქინაძე, ინგოროყვა)². ნ. მარი ჯერ კითხულობდა „რუსთავისა დაბისა“ მერე—„რუსთავისა დამისა“.

წაკითხვისა და გაგების ასეთი სხვადასხვაობა თავისთავად დამახასიათებელი და დამაფიქრებელია. ეს წაკითხვა ლალატობს ან რითმას (თემისა, დაბისა), ან ლექსიკას (დამისა?), ან ლოგიკას („რუსთველისა და მისა“, „რუსთველი... სად ამისა“, „რუსთველი სადამი სა“). ხელნაწერთა უმრავლესობისა და აზრის მიხედვით უნდა იკითხებოდეს არა „რუსთველი, რუსთველისა, რუსთავისა, რუსთავისა“, არამედ „რუსთველისად“, და არა „დაბისა, დამისა, თემისა, და მისა, სად ამისა, სადამი სა“, არამედ „ამისა“, ესე იგი—„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“.

რას ნიშნავს „რუსთველისად ამისა“? პ. ინგოროყვას განმარტებით, ეს ნიშნავს: ვწერ ამას ვინმე მესხი მელექსე ამა რუსთველისად, ესე იგი რუსთველისათვის, რუსთველის თქმულის დამატებად, შესავსებად³. კ. ქიქინაძის აზრით, „ეს სიტყვები ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, შემდგეს: ვწერ ვინმე მესხი მელექსე ამას რუსთველის სახელით ანუ ფსევდონიმით, თუ დღევანდელს ტერმინს ვიხმართ“⁴. არის ასეთი გაგებაც: ვწერ რუსთაველის მიმართ

¹ გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ., № 490.

² რუსთველიანა, გვ. 88.

³ იქვე

⁴ ალიტერაცია ქართულ ზმარში., გვ. 19.

ან მისამართით. არც ერთი მოყვანილი ვაგება და ინტერპრეტაცია სწორი არაა. „რუსთველისადამისა“ არ ნიშნავს არც „რუსთველისათვის“, „რუსთველის თქმულის დამატებასა და შევსებას“, არც „რუსთველის სახელით და ფსევდონიმით“, არც „რუსთველის მიმართ, მისამართით“. მისი აზრი ასეთია: ვწერ ამას მე მესხი ვინმე მელექსე, აი „ამ რუსთველის მსგავსად“, „ამ რუსთველის მიბაძვით“, ან „როგორც ეს რუსთველი“, ვწერ „როგორ“ და არა „ვის-ნადმი“. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ანალოგიებს იმავე კლასიკური პერიოდის ლიტერატურიდან. ე. წ. აბდულმესიანში ნათქვამია: „ქმობს ღმერც ხალისად, ა მერცხალისად, კმატკბილ მკმობარედ, იადონისად“ (7,1), ესე იგი ის, ხოტბის გპირი, მიმართავს ღმერთს ხალისიანად, როგორც მერცხალი („მერცხალისად“), მიმართავს ხმატკბილად, როგორც იადონი („იადონისად“), მერცხლისა და იადონის მსგავსად, მერცხლისა და იადონის მიბაძვით, და არა „მერცხლისა და იადონისათვის“, მათ „დამატება-შესავსებად“, თუგინდ „მერცხალ-იადონის სახელითა და ფსევდონიმით“, თუ „მერცხლისა და იადონის მიმართ, მისამართით“. ვისრამიანში ნათქვამია: „ნუ ვაქცი უბრალოსა შეცოდებულისად“¹, ესე იგი—ნუ ვახდი, ნუ შეხედავ უბრალოს, როგორც ბრალიანს, შეცოდებულს. ასეთი ფორმა თვით პოემაშიც მოიპოვება: „მუნ ეძებს, ცრემლი მტირალსა სდის ზღვათა შესართავისად“ (181), „ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად“ (1253), ესე იგი—ცრემლი სდის მსგავსად შესართავისა, როგორც შესართავი და არა „შესართავისათვის“, „დამატება-შესავსებად შესართავისა“, ან „შესართავის სახელით და ფსევდონიმით“, ან „შესართავის მიმართ, მისამართით“. ასეთი ვაგებით „მესხი ვინმე მელექსე“ სხვა პოეტია და „რუსთველი“ სხვა პირველი, „მესხი ვინმე მელექსე“, წერს პოემის დამატება-გაგრძელებას (გმირების გარდაცვალების ამბავს), „მსგავსად რუსთველისა“, „როგორც რუსთველი“, „რუსთველის მიბაძვით“, „რუსთველისებრ“. ბესიკის შესახებ ამბობდნენ: „რუსთველისებრ“ ხმატკბილობით არ აკლებდა არცერთს გვარებს².

ასე, რომ, პოემის ავტორის „მესხობას“ ნიადაგი ეცლება. მე ამით, რასაკვირველია, იმისი თქმა არ მინდა, რომ ჩვენი პოეტი მესხეთიდან საზოგადოდ არ იყო. გამორიცხული არაა, რომ ის მართლაც მესხი იყო, მით უმეტეს, რომ მესხეთი იმ დროს ჩვენი მწერლობისა და კულტურის აკვანი იყო, მაგრამ მისი „მესხობის“ დამტკიცება მოყვანილი ადგილით არ შეიძლება, ვინაიდან ეს ადგილი გულისხმობს არა პოემის ავტორს, არამედ რუსთველის პოემის ერთ-ერთი დამატების ავტორს. ეს ადგილი ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ პოემის ავტორად რუსთაველს თვლიდა ის მელექსე მესხიც, რომელსაც ეს სიტყვები ეკუთვნის.

ნ. მარს, რომელსაც, მოყვანილ სტროფზე დაყრდნობით, პოეტი მესხეთიდან გამოჰყავს, მისი „მესხობის“ დამტკიცების მიზნით, პოემაში მესხიზმების მოძებნა სურდა. ასეთ მესხიზმებად მას მიაჩნდა ნაწარმოების სომხუ-

¹ ვისრამიანი, მეორე გამოცემა, გვ. 165.

² კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, თსუ შრომები, X, გვ. 101—103; მისივე, ეტიუდები, I, გვ. 22—24

რი, სვანური და არაბულ-სპარსული სიტყვები, აგრეთვე ის პოეტურ-სტილისტიკური პარალელიზმები, რომელთაც ის მესხეთში მუსლიმანური გავლენის შედეგად თვლიდა¹. მაგრამ საქმე ისაა, რომ ე. წ. არაბულ სპარსული ელემენტები, გამოიხატება ის ლექსიკურ მასალაში თუ პოეტურ-სტილისტიკურ პარალელიზმებში, გვხვდება ქართული ლიტერატურის ისეთ ძეგლებშიც, რომელნიც, დანამდვილებით ვიცით, მესხეთში არ წარმოშობილან. რაც შეეხება სვანისებებსა და არმენისებებს, ისინი შესაძლებელია აიხსნას, თუ მათ მართლა აქვთ პოემაში ადგილი, არა იმიტომ, რომ თხზულება დაწერილია მესხეთში, არამედ საზოგადოდ ქართულ ნიადაგზე, სხვადასხვა ლინგვისტური და კულტურული ფაქტორის ზეგავლენით. სხვა საქმე იქნებოდა, ნ. მარს პოემაში წმინდა მესხური, სპეციფიკურად მესხეთში ხმარებული სიტყვები და რეალიები რომ ეჩვენებინა, მაგრამ ამას მის შრომაში ჩვენ ვერ ვხედავთ. ამისი ჩვენება მოინდომა მოკ. ნათენაძემ ერთ-ერთ თავის მოხსენებაში. მან აღნიშნა მთელი რიგი სიტყვები, რომელნიც ვეფხისტყაოსანში იხმარებიან და რომელთაც დღეს მესხეთში ვხვდებით². მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა ამ მოხსენების ვაშო, რა გარანტიაა იმისი, რომ ეს სიტყვები მაშინ სხვაგანაც არ იხმარებოდა? არამტყუ მაშინ, ისინი დღესაც თურმე ხმარებაში არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

აკად. ა. ჩიქობავამ ერთ-ერთ თავის შრომაში წამოაყენა საკითხი ვეფხისტყაოსანში დიალექტიზმების შესახებ, რადგანაც, მისი სიტყვით, „დიალექტიზმების ანალიზს შეუძლია მიგვახვედროს, რომელი კუთხიდან იყო შოთა რუსთაველი“. კვლევა-ძიების პროცესს ავტორი მიუყვანია შემდეგ დასკვნამდე: პოემაში არის აღმოსავლური (ქართლ-კახური) და დასავლური (იმერულ-გურულ-აჭარული) დიალექტიზმები, მაგრამ ეს ავტორის კი არ არის, არამედ თვით იმდროინდელი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა. მათი მიხედვით შეუძლებელია გარკვევა, თუ რომელი კუთხიდან უნდა ყოფილიყო ავტორი. ვეფხისტყაოსანში, უნდა ვიფიქროთ, არის ავტორის დიალექტიზმებიც, მაგრამ მათი გარკვევა საჭიროებს უფრო ღრმა ჩახედვას ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურის ისტორიაში³. ასე რომ, პოემის ენის მიხედვით ვერ ბერძნდება რუსთაველის სადაურობის გარკვევა, ამიტომ ეს საკითხიც უგრჯერობით ღიად უნდა დარჩეს.

როდესაც ლაპარაკია პოეტის ვინაობის შესახებ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ნ. მარსის საგანგებო შეხედულებას, რომელიც მან მკვეთრად წამოაყენა 1902 წელს⁴ და, მართალია, 1917 წელს უარყო⁵, გაიმეორა გარდაცვალების წინაწლებშიც⁶. ამ შეხედულებით, პოემის ავტორი არის იგივე ჩახრუ-

¹ Грузинская поэма „Витязь в барсовою шкуре“ Шоты на Рустава, гл. 442-446, 485-487.

² იხ. იურბ. „მნათობი“, 1937 წ., № 8-9, გვ. 265-291.

³ „მნათობი“ III, 1938 წ., გვ. 209-227; იმავე ინსტიტუტის „Сборник Руставели“, გვ. 205-222.

⁴ Древне-грузинские одошцы, „Тексты и разыскания“, IV.

⁵ Грузинская поэма „Витязь в барсовою шкуре“.

⁶ Die Georgische Sprache („Das Neue Russland“, Georgien, 1929).

ხაძე, რომელსაც თამარიანი დაუწერია, ასე რომ პოეტი არის შოთა რუსთაველი ჩახრუხაძე. აღნიშნულმა შეხედულებამ ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა შემდეგში ზოგიერთ მკვლევარზე, და მას მიმდევარნი გამოუჩნდნენ. ასე, მაგალითად, ეს შეხედულება, ჩვენი პოემისა და თამარიანის ავტორთა იგივეობის შესახებ, ამის შემდეგ გაიმეორა მ. ჯანაშვილმა¹. ს. კაკაბაძემ² და იუსტ. აბულაძემ³ კი ვეფხისტყაოსნის ავტორად იცნეს არა ის ჩახრუხაძე, რომელმაც თამარიანი დაწერა, არამედ მისი ძმა. ამ შემთხვევაში ისინი გამოდიოდნენ თამარიანის ბოლოში მიწერილი სტროფიდან, რომელშიც დასახელებულია რამდენიმე ძმა ჩახრუხაძე: „მოხვევს ძეთა, ჩახრუხაძეთა“. რა საბუთი ჰქონდა ნ. მარს ასეთი შტაკიცებისათვის? 1) პოემის ავტორი არის მესხი, ჩახრუხაძეც თავისთავს უწოდებს მესხს ან მესხს, როდესაც ამბობს: „მაშა მესხელი ვით ვანგელობდო“ (VII, 27); 2) პოემის ავტორი ამბობს: „თამარს ვაქებდეთ მეფისა... ვთქვენი ქებანი ვისინიმე, არ ავად გამორჩეული“, და „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტბილისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგეკბილისა, ბროლბადახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა“, ანდა: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“. აქედან ჩანსო, ამბობს ნ. მარი, რომ პოემის ავტორს წინათაც ჰქონია შეკვეთილი ქება თამარისა, მას წინათაც უთქვამს მისი ქებანი, ახლაც, პოემაშიც აქებს მას, ვინც წინათ უქია. სადაოო, ჰკითხულობს ის, ეს, წინათ ნათქვამი ქებანი? უუკველია, როგორც ეს წინათ ვაკვრით მ. ბროსემაც გამოთქვა, ასეთი ქებანი ჩვენ გვაქვს ჩახრუხაძის სახელით ცნობილ თამარიანშიო. მართლაც, განაგრძობს ის, 3) ორივე ნაწარმოების სტილი, ენა თითქმის არაფრით განირჩევა ერთიმეორისაგან; ორივე ნაწარმოებში ჩვენ გვაქვს ერთი და იგივე რითმები, ეპითეტები, შედარებანი, პოეტური ფიგურები და ხელოვნური ფორმები; 4) პოემის ავტორს ჰყვარებია თამარი, მას, მისი ქებისას, მეღნად უხმარია გიჟრის ტბა და კალმად—ნაგ რხეული. თამარიანის ავტორსაც ჰყვარებია თამარი (VII, 27—29; XII, 13—15), ისიც აქებს მის თვალებს—„მელნის ტბას“ (V, 50; XII, 8). პოემის ავტორს უთქვამს, მისი სიტყვით, „ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგეკბილისა, ბროლბადახშისა თლილისა“. თამარიანის ავტორიც აქებს წარბთა და წამწამთ (III, 7; V, 51; IX, 8; XII, 8), ლოყებს (II, 7; V, 50; VII, 2; X, 10), თვალებს (V, 44; IX, 4), კისერს (V, 45; VII, 2) და სხვ.; 5) ორივე ნაწარმოებში გატარებულია ერთი და იგივე იდეა—ნაციონალურ-პოლიტიკური, რომ მეფის უფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა, თამარი არის ცხებული ღვთისა და თვით ღვთაება; ორივეში გამომხატულია ერთი და იგივე მხარე თამარის მოღვაწეობისა და ორივეში ის წარმოდგენილია ღვთის ნების აღმასრულებელ მოყმედ.

¹ გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ., № 466.

² ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის გამოც., 1927 წ., შესავალი წერილი, გვ. LXXV.

³ ვეფხისტყაოსანი, იუსტ. აბულაძის გამოც., 1927 წ., შესავალი წერილი, გვ. LXXVIII—LXXIX.

რა გვეთქმის ყოველივე ამის შესახებ? კიდევაც რომ ყველაფერი ასე იყოს, პოეტის ვინაობის გარკვევას ეს არ შეეძლოს, ვინაიდან ჩახრუხადის ვინაობაც ისეთივე საიდუმლოებითაა მოცული და სარკვევეი—ამას ქვემოთ დავინახავთ—როგორც რუსთაველის. მაგრამ ასეა კი? ჯერ ერთი, მოყვანილი ანალოგიებიდან ზოგიერთი საცილობელია. სხვას რომ თავი დაეანებოთ, როგორც გაირკვა, პოემის ავტორის მესხობა შერყევულია; მეორე, მსგავსება პრომისა და თამარიანისა შინაარსითა და გარეგანი ფორმით აიხსნება იმით, რომ ორივენი არიან ნაწარმოებნი ერთისა და იმავე ეპოქისა, ძველები ერთისა და იმავე ლიტერატურული მიმდინარეობისა და სკოლისა. ავტორი პოემისა, როგორც მისი სუეტის განხილვისას დავინახავთ, არანაკლებ ნაცნობობას იჩენს სხვა ნაწარმოებთანაც, მაგრამ ამ საფუძველზე არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ისინი მის კალამს ეკუთვნის; მესამე, როგორც თვით ნ. მარიც აღნიშნავს, პოემის ავტორისათვის თამარი არის „უწყალო, ვითა ჯიქია“, თამარიანის ავტორი კი ეუბნება თამარს: „გოცი, გეწყალო“, „თვით მე გეწყალო“ (V, 1; VII, 3). პოემის ავტორი ამბობს, რომ მან წინათ თქვა „ქებანი, არ ავად გამორჩეულნი“, თამარიანის ავტორი კი ასე მალლა არ აყენებს თავის „ქებათ“. პირიქით, ის მუდამ ჩივის, რომ მას არ ძალუძს ღირსეულად შეაქოს თამარი.

მ. ჯანაშვილი, რომელსაც მტკიცედ სწამს ვეფხისტყაოსნისა და თამარიანის ავტორთა იგივეობა და რომელიც თამარიანის ავტორად ჩახრუხადეს თვლის, ამბობს: რაც შეეხება ჩახრუხადეს, ის ვერ იქნებოდა შოთას გვარი, არამედ მხოლოდ შავთელისა¹. სადღაა ლოგიკა? მტკიცება ორი ჩახრუხადის არსებობისა „მხევეს ძეთა ჩახრუხადეთა“-ს მიხედვით, როგორც ამას სჩადიან ნ. კაკაბაძე და იუსტ. აბულაძე, მეტი რომ არა ვთქვათ, ძალიან ძნელია. რა გარანტია იმისი, რომ თავდაპირველად იკითხებოდა „ძეთა ჩახრუხადეთა“ და არა მხოლოდობით რიცხვში „ძესა ჩახრუხადესა“, როგორც ნ. მარი ამბობს? აღარ ვლაპარაკობთ აქ საერთოდ ამ სტროფის შესახებ, სადგენაც მას. ჩვენი განვიხილავთ თამარიანის ანალიზის დროს. თუნდაც რომ დავუშვათ ორი ჩახრუხადის არსებობა, რატომ უტკველად ერთი მათგანი ვეფხისტყაოსნის ავტორი უნდა იყოს?²

¹ „ტრიბუნა“, 1923 წ., № 466.

² თუ რამდენად ბუნდოვანია საკითხი პოემის ავტორის შესახებ, ამას, სხვათა შორის, თვალწინ გვიშლის იუსტ. აბულაძის სიტყვები: „ტექსტის კვლევა-ძიებამ ჩვენ მოგვცა საუკეთესო გასაღები იმის გამოსარკვევად, რომ ვეფხისტყაოსნის ნამდვილი და, მაშასადამე, ყველაზე სარწმუნო რედაქციის ავტორი მხოლოდობათს რიცხვში როდი ყოფილა, არამედ იგი არის ორის ძველის პოეტის ნახელავი, რომელიც მესამეს, გაცილებით უფრო უგვიანესს, რომელიც, ჩვენი აზრით, XIV—XV საუკუნის შუა ცხოვრობდა, შეუკეთებია და შეუვსია პოემა იმ სახით, როგორც ეს დაუძავს ვახტანგის რედაქციას“ (მე-12 საუკ. ქართული მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, გვ. 192). თუ ავტორი მხედველობაში აქვს პოემის ჩანართი და შემდეგ დროში დამატებული ნაწიები და თავები, ცხადია, მაშინ, შეიძლება, ის იყოს ნახელავი არა ორისა და სამის, არამედ გაცილებით უფრო მეტი კალმოსნისა; ხოლო თუ ის გულისხმობს ძირითად ტექსტსა და ნაწილს, ნამდვილ ვეფხისტყაოსნს, ყოვლად შეუძლებელია იმაში ორი ავტორის ნახელავი დავინახოთ, თვინდ იმიტომაც, რომ ის ორი მთავარი ეპიზოდისაგან შედგება: ტარიელ-

საკვირველი არ არის, რომ ასეთ პირობებში პოემის ავტორის პიროვნების გარშემო სხვადასხვა ლეგენდა შეთხზულა. ამ ლეგენდებით, პოეტს, შოთა რუსთაველს, პირველდაწყებითი სწავლა-განათლება მიუღია ჯერ რუსთავეის სკოლაში, მესხეთში, შემდეგ კი ტბეთის სამონასტრო სასწავლებელში. უმაღლესი განათლება მას მიუღია თითქოს ათონის მთაზე, ქართველთა მონასტერში, მერე კი ათინაში, იქაურ აკადემიაში. ლეგენდების შემქმნელთ დანიშნულებით, რომ ათონზე, ივერიის მონასტერში, არც უმაღლესი და არც საშუალო სასწავლებელი არ არსებობდა, სადაც ერისკაცები შესძლებდნენ სწავლის მიღებას. იქ თუ სწავლობდნენ, ბერ-მონაზვნები და მათი კანდიდატები—პრაქტიკულად, ბერ-მონაზონთა წრეში. არ არსებობდა ამ დროს არავითარი აკადემია არც ათინაში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა უმაღლესი სწავლის შექმნა. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, პოეტს დიდი თანამდებობა მიუღია თამარ მეფის კარზე: ერთი გადმოცემით, ის იყო მექურკლეთუხუცესი მისი, მეორე გადმოცემით, რომელიც იოანე ბატონიშვილს შეუტანია თავის „კალმასობაში“, თამარმა ის „უცხოთა მხარეთა მდივნად ყო“. თავისი ცხოვრება პოეტს დაუსრულებია იერუსალიმში, ქართველთა ჯვარის მონასტერში, სადაც ის, ერთი ვერსიით, თითქოს ბერადაც კი შემდგარა. რამ გამოიწვია, ლეგენდით, მისი ბერად შედგომა? ერთი თქმულებით, რომელიც აღრიღანვე ყოფილა გავრცელებული, მას უყვარდა თამარ დედოფალი¹, რომელსაც, მიჯნურობის გრძნობით გატაცებულმა, მან ვეფხისტყაოსანი უძღვნა, და, ვინაიდან დედოფალმა მისი გრძნობები არ გაიზიარა, შეურაცხყოფილმა მგოსანმა, მთელი მაშინდელი მსოფლიოს შემოვლის შემდეგ, მონასტრის კედლებში პოვა მღვღვარე სულის სიმშვიდე. მეორე თქმულებით კი მგოსანი ერთ ქალს შეყვარებია, მაგრამ მას თანაგრძნობა ვერ დაუმსახურებია და პოეტს ცოლად სხვა ქალი შეურთავს. მისთვის ცოლს უღალატნია, მსახურ ზანგზე გაუცვლია. როცა მგოსანი ამაში დარწმუნებულია, მას მოუკლავს როგორც ცოლი, ისე ზანგი და აგრეთვე მის მიერ დაწუნებული ქალი, რომელმაც მას სინამდვილე დაანახებია; ამის შემდეგ პოეტი ბერად შემდგარა. ასეთია

ნენტანისა და ავთანდილ-თინათინის ამბებისაგან. საქმე ისაა, რომ ეს ორი ეპიზოდი ისეა გადანართული ერთიმეორეზე, რომ მათი დაცილება, მათი ცალ-ცალკე გამოყოფა ყოლად შეუძლებელია. აქ, ვეფხისტყაოსანში, როგორც თვით იუსტ. აბულაძეც ამბობს, მკითხველის ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული სიმეტრია, რომელიც დაკულია შინაარსის ინტერესთა თანდათანობითის ზრდაში (იქვე, გვ. 52), ეს კი შეუძლებლად ხდის ორი ავტორის ნახელავის შეკოწიწებას. მით უმეტეს, რომ არც სტილი და ენა, არც ვირტუოზული ლექსი არ გააძლგეს ნებას ამ პოემაში ორი ადამიანის ნაწარმოები დაეინახოთ.

¹ ყველაზე ადრე ამ თქმულებას ლიტერატურული გამოვლენა უპოვნია სერაპიონ სოგრატიძის საბაშვილის თხზულებაში „გაბაასება რუსთველისა, ბაგრატიისა და სერაპიონისა“, რომელშიც რუსთაველი ამბობს: „აზიყი ვარ თვალწარბისა, ვინ სოფელი დააშენა“. მეტიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც თეიმურაზის იოსებზილიხანიანის წინასიტყვაობიდან ჩანს, უკვე განმტკიცებული ყოფილა თქმულება, რომ შოთა რუსთაველს „სწუყედა სახმილი უშრეტო პირმხისა თამარ მეფისა“, ასე რომ „მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჯდა გლახ ცრემლთა დენითა“ (ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს. გამოც., სტროფ. 19 და 20).

ეს პოეტური ლეგენდები, რომელთა რიცხვს დღესაც კი აესებს ხალხი, და არა მარტო ხალხი, არამედ ზოგიერთი მკვლევარი „მეცნიერული“ ბიოგრაფიის სახით.

ამრიგად, მასალებისა და ცნობების დღევანდელ მდგომარეობაში, რუსთაველის ეპიზოდის გარკვევა შეუძლებელია, ასე რომ, თუ ძველ ელადში შვილი ქალაქი ეცილებოდა ერთიმეორეს დიდი პომეროსის სამშობლოდ სახელწოდების პატივს, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ „შვიდთა სამეფოთა“ ფარგლებში დღესაც შესაძლებელია ასეთი ცილობა და კამათი რუსთაველის გამო. ერთადერთ ხელმოსაკიდ დეტალს მისი ცხოვრებიდან, ვფიქრობთ, უნდა იძლეოდეს პროლოგის შემდეგი სიტყვები: „მე, რუსთველი, ხელობითა, ვიქმ საქმესა, ამადარი, ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“. აქ გასარკვევია ორი რამ: ა) „ხელობითა“ თუ „ჯელობითა“, ბ) რას ნიშნავს „ამადარი“? სიტყვები—„ხელობითა“, „ჯელობ“ გამომკემელთა და მკვლევართ ესმით როგორც „გიეობით“, „ვეგიობ“, ესე იგი: მე, რუსთაველი, გაგიეებული, გაშმაგებული, გახელებული ვიქმ საქმეს იმისას, ვისთვისაც გახელებული, გაგიეებული ვარო. რუსთაველი, ლექსისა და სიტყვის შეუდარებელი ვირტუოზი, ერთსა და იმავე ადგილას ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას არ იმეორებს, ამიტომ პირველ შემთხვევაში (ხელობითა) ლაპარაკი უნდა იყოს არა „ხელობაზე“—გიეობაზე, არამედ „ჯელობაზე“, მოხელებობა-თანამდებობაზე; მეორე შემთხვევაში კი (ჯელობ) ლაპარაკია „ხელობაზე“ ან გიეობაზე.

რალა ამადარი? 1712 წლის გამოცემა, ბროსე, ქართველიშვილი, კარიკაშვილი, იუსტ. აბულაძე, კაკაბაძე, ჯანაშვილი აქ კითხულობენ ერთ სიტყვას „ამადარი“, რაც თითქოს ნიშნავს—ამისათვის, ამიტომ, ამნაირი, ასეთი¹. ნ. მარო კითხულობს „ამა დარი“ და გულისხმობს—ამის დარი, ამის მსგავსი („Безъ-пнт. и закаяю. строды“). ამ სიტყვის ამგვარი წაკითხვა, ქართული ენის თვალსაზრისით, გაუმართლებელი და მიუღებელია. აქ ჩვენ უნდა გვექნოდეს არა ორი („ამა დარი“ და „ამად არი“), არამედ ერთი სიტყვა, მაგრამ არა „ამადარი“, არამედ შემდეგში გადაშფერთა მიერ წარყვნილი და დამახინჯებული „ალამადარი“, რაც მედროშეს, მეზაირალეს ნიშნავს². ასეთი ინტერპრეტაციის შემდეგ პროლოგის შემომოყვანილი სიტყვები შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ვიქმ საქმეს (იგულისხმება პოემის დაწერა) მე, რუსთაველი, რომელიც ხელობით ან თანამდებობით ვარ ალამდარი, ესე იგი მედროშე, მეზაირალე იმისა, ვისაც მორჩილობს ჯარი სპათა და ვისთვისაც გაგიეებული ვარო. ასეთი გაგების ნიადაგზეა, ყოველ ექვს გარეშე, აღმოცენებული გადმოცემა, რომელ-

¹ იუსტ. აბულაძემ პოემის მეორე გამოცემაში ეს სიტყვა ორად გაყო: „ამად არი“, იმავე მნიშვნელობის დატოვებით. მ. ჯანაშვილის აზრით, „ამადარი“ თითქოს წარმოებულა ისე, როგორც სპარსული ჰამა-სალა („ამასალა“ ნიშნავს, ამბობს ის, საყოველწლო ჯამაგირს, შემოსავალს), და ნიშნავს „მოლაგობას, სახელმწიფოს ყოველი შემოსავლის მქონებლობას“ (გახ. „ტრიბუნა“, 1923 წ., № 499).

² კ. კეკელიძე, ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა, იურნ. „მნათობი“, 1931 წ., № 7—8, გვ. 155—156.

საც თავი უჩენია არჩილ მეფის „თეიმურაზიანში“ და რომელიც გვაცნობს, რომ შოთა რუსთაველი იყო სამხედრო პირი და თანამონაწილე თამარ მეფის ომებისაო.

საბოლოო ანგარიშში პოემის ავტორის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: 1) ის იყო რუსთაველი და 2) სამხედრო პირი—მედროშე ან მებარილე რომელიღაც მეფისა. ამის თქმის ნებას იძლევა თვით ავტორი, მისი პოემის პროლოგის მიხედვით, სხვა ყველაფერი იმის შესახებ არის ნაყოფი შედარებით აღრინდელი თუ მოგვიანო გადმოცემისა.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა რუსთაველის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ რუსთაველს, ვეფხისტყაოსნის გარდა, სხვა თხზულებებიც ჰქონდა, როგორც, მაგალითად, თამარიანი, იოსებ მშვენიერისა და თამარის ისტორია. რასაკვირველია, არაფრის თქმა იმის საწინააღმდეგოდ არ შეიძლება, რომ ამ უდიდეს გენიოს პოეტს სხვა ნაწარმოებიც ჰქონდა, თუმცა ის გარემოება, რომ მისი სახით ჩვენ დიდი მასშტაბის პოეტთან გვაქვს საქმე, აუცილებლად არ გული-სხმობს, რომ მას ასეთი ნაწარმოებები უთუოდ ჰქონდა. ჩვენამდე ამის შესახებ არ შენახულა არავითარი პირდაპირი ცნობა, ამიტომ საპირთა განვიხილოთ ის მოსაზრებანი, რომლითაც ამ შეხედულებას ასაბუთებენ.

რუსთაველს რომ თამარიანიც ეკუთვნის, ამ აზრის დასაბუთება მონი-დრმა პირველად აკად. ნ. მარმა, რომლის შეხედულებით ჩახზრუბაძე, თამარიანის ავტორი, და შოთა რუსთაველი ერთი და იგივე პირია. ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ ლაპარაკი, ამიტომ ხელშეორედ ამ საკითხს არ დავუბრუნდებით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ნ. მარის მიერ მოყვანილი საბუ-თებით ეს მოსაზრება ვერ მართლდება.

მეორე თხზულება, რომელსაც რუსთაველს მიაწერენ, არის თურმე „ქებანი“. ამ შეხედულებას იცავს პ. ნგოროყვა¹. ამ მოსაზრების გამოსავალ წერტილად აღებულია პროლოგის შემდეგი ადგილი: „ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული“. „ვთქვენი“ წარსული დროის ზმნაა და, მაშასადამე, უჩვენებს, რომ პოეტს, სანამ ის ვეფხისტყაოსანს დაწერდა, უთქვამს, დაუწერია რაღაც „ქებანი“, რომელიც ისეთივე ეპიკური ხასიათის ნაწარმოები იყო, როგორც ვეფხისტყაოსანიო. ეს რომ ასეა, ამას, თურმე, ადასტურებს პროლოგის ის ტაეპი, რომელშიც ნათქვამია: „მას ვაქებ, ვინცა მიქია“, ესე იგი—მე, პოეტი, ამ პოემაშიც იმას ვაქებ, ვინც ვინათაც მიქია“. მაშასადამე, მას წინათაც დაუწერია „ქებაო“. ჩვენ არ შევჩერდებით იმაზე, რომ ეს ადგილი უნდა იკითხებოდეს არა ტრადიციული, წარყენილი სახით, არამედ, როგორც აკად. ნ. მარმა ნათელჰყო—„ვინ ცამ იქია“. არ შევჩერდებით არც იმაზე, რომ წინადადებაში „ვთქვენი ქებანი“ ნ. მარი და სხვა მკვლევრები ხედავენ თამარიანის ოდებს. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ სტროფის ინტერ-

¹ რუსთაველიანა, გვ. 283—295; მისივე, ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის შესავალი წერილი, გვ. XXI—XXV; მისივე, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“, გვ. 12—13.

პრეტაცია არ არის სწორი: ავტორი აქ, შესავალში, ლაპარაკობს იმავე ვეფხისტყაოსანზე, მას ის გულისხმობს უკვე დაწერილად, ნათქვამად (გამორიხული არაა, რომ მას ეს შესავალი დაეწერა, მართლაც, პოემის დამთავრების შემდეგ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე). მაშასადამე, მისი აზრი ასეთი იქნება: თამარი იმის ღირსია, რომ მას ყველა ვაჟებდეთ; მე უკვე ვთქვი, დავეწერე მისი ქება ვეფხისტყაოსანში, მელნად გიშრის ტბა, თამარის თვალები, ვიხმარე, კალმად ნაი ჩხეული—მისი ლერწამივით ტანი. ვინც ამ ქებას, ვეფხისტყაოსანს, მოისმენს, მისი გული დახვრით განიგმირება.

მესამე თხზულება, რომელიც, იმავე პ. ინგოროყვას აზრით, რუსთაველს დაუწერია, არის რომანი იოსებ მშვენიერისა¹. ამის დამამტკიცებელ საბუთს მკვლევარი პოულობს XVII საუკუნეში უცნობი პოეტის მიერ გადმოთარგმნილ იოსებზილიხანისაში. აქ შესავალში ვკითხულობთ:

აწ, რუსთველო, გუაზოვები, რომე მომეც ნება თქმისა,
 არ გასწყრე და არ ამიელო, თხოვნა მე მქვს ამ ჰოქმისა,—
 რომე ჭადრე უკადრომა დაჯრა თქვენის ნასაქმისა;
 თქვენე იცით, სხვაე არგებს, დასნეულდეს რა, აქიმსა.

მკვლევარს ეს ადგილდასე ესმის: რუსთაველს დაუწერია რომანი იოსებ მშვენიერისა, რომელიც XVI საუკუნეში „დასნეულებული“, ნაწყვეტად, არასრულად, ნაგლეჯ-ნაგლეჯად ყოფილა. ამიტომ ამ საუკუნეში უცნობ პოეტს განუზრახავს ამ რომანის სპარსული ენიდან (ჯამის რედაქციით) სრულად გადმოღება. ის ამისათვის ნებართვას ითხოვს რუსთაველისაგან და თან ბოდის იხდის, რომ გაბედა „დაჯრა მისი ნასაქმისა“, ესე იგი ლექსად თქმა მისი, რუსთაველის, ნასაქმის ან თხზულების, იგულისხმება, იოსებ მშვენიერის რომანი. მე ამას ის გაბედვინებსო, ამბობს თითქოს პოეტი, რომ თქვენი, რუსთაველის, დიდი აქიმის, ესე იგი პოეტის, ნასაქმი დასნეულებულია, ნაწილ-ნაწილ, დაგლეჯილი სახით არის, ამიტომ მე, შედარებით უფრო ნაკლები აქიმი, ესე იგი პოეტი, ჩემს მოვალეობად ვთვლი „გარგოთ“ რამე, იგულისხმება—აღვადგინო მთლიანი სახით თქვენი ნასაქმიო. შეუძლებელია ასეთი ინტერპრეტაციის გაზიარება. ჯერ ერთი, უცნობ პოეტს უნდა „დაჯრა“, პ. ინგოროყვას აზრით, ლექსად თქმა, არა რუსთაველის „ნასაქმისა“, არამედ სპარსული პოეტის ჯამისა, მაშასადამე, ბოდისი რუსთაველის წინაშე სულ უადგილოა. მეორე, „დაჯრა“ ვერაა სწორად გაგებული. ჯერ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: შეუძლებელი არაა, რომ „დაჯრა“ არის შეცდომით გადმოცემული ხელნაწერში „დაღრა“, დაღარება, დამსგავსება (ვიკადრე მე დაღარება თქვენი ნასაქმისა, მიბაძვა მისი), ეს სიტყვა კონტექსტით უფრო მოსალოდნელია, ვიდრე „დაჯრა“. მაგრამ ვთქვათ, რომ მართლა „დაჯრა“-სთან გვაქვს საქმე. „დაჯრა“ არ ნიშნავს ლექსად თქმას, „დაჯრა“ ცოცხალ ლაპარაკში შეიცავს „მიჩხერის“, ესე იგი, ერთიმეორისაგან დაშორებულის, საწი-

¹ იხ. ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის შესავალი წერილი, გვ. XX—XXII; მისივე, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“, გვ. 13—19.

ნალმდეგო აზრს, ის ნიშნავს რამდენიმე საგნის ერთიმეორესთან ძალიან ახლოს, მკერძოდ ყოფნას. ასეთი გაგებით უცნობი პოეტის სიტყვებში შემდეგი აზრი უნდა დავინახოთ: მაპატიე, რომ მე ვიკადრე, გავბედე, როგორც პოეტმა, თქვენს ნასაქმთან ახლოს მისვლა, მისთვის ჩემი ნაშრომის გვერდში ამოყენება. თქვენს ნასაქმის მიბაძვა, მისი მაგალითად აღება მე იმიტომ გადავწყვიტე, რომ მე, როგორც პოეტი, თქვენთან შედარებით, ვარ სნეული, სუსტი, უძლური, ამიტომ თქვენ, დიდ აქიმს—პოეტს, შეგიძლიათ „მარგოთ“ რამე, დამეხმაროთ, მასწავლოთ ლექსის თქმა, მიხელმძღვანელოთ. ასე რომ რომანი იოსებ მშვენიერისა ამ გაგებით საესებით მოხსნილია, როგორც რუსთაველის თხზულება.

მეოთხე თხზულება, რომელიც რუსთაველს მიეწერება, არის „ცხოვრება მეფისა თამარისა“. ასეთ თხზულებას მას მიაკუთვნებს ცნობილი ანტონ კათოლიკოსი თავის „ღრამმატიკაში“, სადაც „რჩეულსიტყუაობისა და ტკილმეტყუელების“ ნიმუშად მთელი ციტატი მოჰყავს რუსთაველის დასახელებული თხზულებიდან. ამ ციტატის მიხედვით, პროფ. ილ. აბულაძე, რომელმაც პირველმა შენიშნა ანტონის ეს ცნობა და გამოაქვეყნა კიდევაც¹, სამართლიანად ასკვნის, რომ ანტონი ამ შემთხვევაში რუსთაველს მიაწერს თამარის იმ ისტორიას, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა² და რომელიც „თამარის მეორე ისტორიის“ სახელითაა ცნობილი: ანტონი საერთოდ მაღალი შეხედულების იყო რუსთაველზე, მის ნიჭზე, ერუდიციაზე³, კერძოდ „ვეფხისტყაოსანზედაც; კრძალულება და თაყვანისცემა მისი ამ თხზულებისადმი იქამდე მიდიოდა, რომ „ღრამმატიკაში“ მას მაგალითადაც კი მოჰყავს ასეთი წინადადება: „ენება მას ვალოხად შაირნი შოთასნი“⁴. ამიტომ საესებით მოსალოდნელი იყო მისგან რუსთაველის დამოწმება, თუ ის დარწმუნებული

¹ ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, „ენიმკის მოამბე“, III, გვ. 201—207; იგივე რუსულად: „Снирник Русаваели“, გვ. 161—171.

² ახლად აღმოაჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე, აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, „თბილ. უნივ. მოამბე“, III, 1923 წ., გვ. 86—216.

³ „შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყუარე ფრიად, ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენისა. თუ სამ სწადოდა, ლეთისმეტყუელიცა მაღალი, უცხო, საკვირველ პოეტისა მესტიხე“— ამბობს ის, და თუ ამას უმატებ: „მაგრამ ამოღ დაშურა, საწუხ არს ესე“, ეს „განჭიკება“ და გაციკვა კი არ არის, არამედ ისეთივე გულსიტყვილი, რომელსაც იხენენ, მაგალითად, ფეშანგი ფაშვიბერტყაძე და თეიმურაზ II, როდესაც რუსთაველს უსაყვედურებენ, რომ ის „დაშურა“, თავისი ნიჭი და ვნერგია მონადღმა ფანტასტიკური, არარსებული პირობის (ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები) კებას და არა ისტორიულის, ნამდვილისას. ანტონი იოსებ თბილელის შესახებაც კი ამბობს, რომ ის, როგორც ავტორი დიდმოუზრავიანისა, „დაშურა ამოთათვისო“. ის ასეთ შემთხვევაში ესარჩლება სარწმუნოებრივ-რელიგიურ თემატიკას. საყვედურის თქმა არამტოვ სხვებისადმი, არამედ თავ ისთავისადმი, საველსიო ლექსების მაგიერ საეროს თქმისათვის, ტრაფარეტული ამბავია აღორძინების ხანაში. იოსებ თბილელი და მამუკა ბარათაშვილი პირინცოპულად უარჰყოფდნენ ს აერო პოეზიას, მაგრამ ამ გაჩემობებამ მათ ხელი არ შეუშალა თავიანთი შემოქმედებითი პრაქტიკა ამ პოეზიისათვის შეეწირათ.

⁴ 1885 წ. გამოც., გვ. 241. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, დროა გადაისინჯოს საკითხი იმ ბრალდების შესახებ, რომელსაც ანტონს უყენებენ, ვითომც მან დასწვა, თუ მტკვარში ჩაყარა, 1712 წელს დახტქედლი ცალები ვეფხისტყაოსნისა. ანტონი, რომელიც ასეთი მა-

იყო, რომ დასახელებული შრომა მართლა მას ეკუთვნის. მაგრამ საკითხიც სწორედ ეს არის: მართლა მას ეკუთვნის დასახელებული „ისტორია“? აკად. ივ. ჯავახიშვილი, ჰიპოთეზის მსგავსად, ამ თხზულებას ბასილ ეზოსმოდღვარს მიაწერს, რადგანაც აქ ნათქვამია, რომ ის ჯვარი, რომლის სამთხვევად მეომარნი მიდიოდნენ, „ერთითა კელითა თამარს ეპყრა, ხოლო ერთითა ეზოს-მოდღვარსა ბასილს“¹. ამის მიხედვით ბასილის ავტორობაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. — ამ საბუთით თვით თამარიც ხომ შეიძლება ავტორად იქნეს აღიარებული, ასე რომ, ავტორის ძიებაში, შეიძლება რუსთაველიც იქნეს დასახელებული. მაგრამ იძლევა თუ არა ამის საშუალებას თხზულების შინაარსი? აკად. ივ. ჯავახიშვილმა თხზულების ანალიზით ნათელჰყო შემდეგი: ის საომარ მოქმედებათა მინდინარეობას არ გვიჩვენებს, მისი ავტორი არც სამეფო დარბაზობის აღწერილობით ყოფილა დაინტერესებული, ის არც მმართველთა უმაღლეს წრეს უნდა ჰკუთვნებოდა, მას აინტერესებს თამარის ცხოვრების ისეთი დეტალები, თუ სად და როგორ ლოცულობდა, როცა ჯარს საომრად ისტუმრებდა ხოლმე, ვის ეპირა ჯვარი, როცა მეომარნი მას ემთხვეოდნენ, საგანგებოდ აქებს სასულიერო პირებს (ანტონ ჰყონდიდელი), ძალიან უხვად სარგებლობს საღმრთო წერილის ციტატებით; მას სოფლიო ისტორიიდან მოყვანილი შედარებანი ცოტა აქვს და არცერთი პარსულ-არაბული მხატვრული მწერლობიდან ამოღებული მაგალითი არ მოპოვება, ის უმთავრესად საღმრთო წერილსა და ბერძნული ეპითაღამწერლობის ძეგლებში ნაკითხ ადამიანად გვეჩვენება და მაჰმადიანური მხატვრული თუ ისტორიული მწერლობის ნაკითხობა არ ემჩნევა“². ამას ჩვენ დავუმატებთ, რომ ამ თხზულებაში მეტი ყურადღება აქვს მიქცეული თამარის აღზრდა-ცხოვრებასა და ლეთისნიერობას, მის ღიოს ზენი ქვეყნის სარწმუნო-

დადი შეხედულების იყო რუსთაველზე, რომელიც ვეროპის ცივილიზაციის შემოტანისათვის იმასაც კი არ მოერიდა, რომ მართლმადიდებლობისათვის ელაღატნა და კათოლიციოსობა და საშრობლო (ერთნობით მაინც) დაეკარგა, ასეთი ადამიანი ამგვარ ბარბაროსობასა და ველურობას ვერ გამოიჩინდა. რომ ჯუფისტყაოსანს სდევნიდნენ, ის რომ, შესაძლოა, დასწევს კიდევაც, ეს მოსალოდნელია და დამოწმებულიც არის, მაგრამ რატომ მაინცადამაინც ეს ამბავი ამ დროს 1712 წელს დაბეჭდილ ცალგულ დაემართა და არა ხელნაწერებს მასობრივად? ვფიქრობთ, ასეთი რამ მოხდა გეონომიურ ნიადაგზე რომ პირთა მიერ, რომელიც წიგნების, აგრძობ ჯუფისტყაოსანის გადაწერით ცხოვრების სახსარს პოულობდნენ. დაბეჭდილმა წიგნმა მათ ლუკმა პური გამოაცალა. ეს რომ ასეა, დამოწმებულია თვით 1712 წლის გამოცემის შესავალში, რომელშიც ნათქვამია: „ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო ცაყუნდა ყოველი მხაზხელი“, ესე იგი წიგნის დაბეჭდვამ ცუდი ვახადა, უბრალო „მხაზხელთა“ ანუ გადაწერეთა საქმიანობა. ამ შემთხვევაში გამეორდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა გეოგრაფი, რომელსაც მუშები ქარხანა-ფაბრიკებში მანქანებს ანადგურებდნენ. შემდეგ ეს ფაქტი მიაწერეს ანტონს შერთო და მტრობით (რომ მას შერთოა და მტრობით უმასპინძლებოდნენ თანამედროვენი, ამის შესახებ ის თითქმის ყველა თავის შრომაში ლაპარაკობს). პირველი ასეთი ვერსიის შემქმნელი, შეიძლება, ეკანსენელი მეფე, გიორგიც, იყო, რომელიც „სიყრმიდანვე არ სწყალობდა ანტონს, და ვი-თარცა კაცსა პაპისაგან მისისა თვიმურაზისა შეძლებულსა, მოიხსენებდა არა კეთილად“³.

¹ თბილისის უნივერსიტეტის შობაზე, III, გვ. 208.

² იქვე, გვ. 207—213.

ებრივ-ეკლესიურ მდგომარეობასა და ზნეობრივ დონეს. ერთი სიტყვით, ყველა ნიშნით, ჩვენ საქმე გვაქვს თამარის ხსენების დღეს (მისი კულტის შექმნის შემდეგ) საეკლესიო სვინაქსარულ საკითხავთან. ამ მიზნისათვის თამარის პირველი ისტორია არ გამოდგებოდა არც მოცულობით, არც შინაარსით და არც მიზანდასახულობით, ეს მეორე ისტორია კი თითქოს ზედგამოჭრილია. ძალიან საეჭვოა, რომ რუსთაველს დაეწერა ამგვარი შინაარსის, ხასიათისა და მიზანდასახულობის თხზულება. ანტონის ცნობა სწორედ რაღაც გაუგებრობაზეა აგებული, ამიტომ ეს საკითხი უნდა მოახსნას და სხვა გზები გამოიძებნოს ამ საისტორიო თხზულების ნამდვილი ავტორის აღმოსაჩენად.

ამრიგად, დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება ურყევი საბუთი იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორისაგან სხვა რომელიმე ნაწარმოები შემონახულიყო ჩვენამდე. მაგრამ, თუ მხედველობაში გვექნება, რასაკვირველია, ვეფხისტყაოსნის გათვალისწინებით, მისი განათლების, პირველ რიგში ლიტერატურულის, დიპაზონი, შეუძლებლად არ გვეჩვენება, რომ მას მართლაც დაეწეროს სხვა რამეც.

როგორც უნდა იყოს, როდესაც ჩვენ პოემის ავტორის შესახებ ვლაპარაკობთ, საჭიროა თვალი მიმოვაგლოთ მისი ლიტერატურული განათლების მიყენებლებს. რუსთაველის ლიტერატურული განათლების დიპაზონი იმდენად ფართოა, რამდენადც მაღალი იყო ე. წ. კლასიკური ეპოქის ქართული ინტელიგენტური საზოგადოებრიობის გონებრივი და ესთეტიკური განვითარების დონე. მისთვის, პოეტისთვის, არაა უცხო დასაველეთის, რომაულ-ბიზანტიური, სამყარო, განსაკუთრებით კი აღმოსავლური არაბულ-ობიექტი. ის დიდი მცოდნეა თავისი ქვეყნის ლიტერატურისა, სასულიერო და საეროსი. ის შეუდარებელი მცოდნეა ამავე დროს აღმოსავლური, ირანული მხატვრული ლიტერატურისაც. იმას უკითხავს ეს ლიტერატურა და საჭირო შემთხვევაში აღუბეჭდავს კიდევაც თავის პოეზიაში მასთან ნაცნობობის კვალი. ეს ბუნებრივია: რუსთაველი ვერ იქნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი, საკუთარ ნაქუქში რომ ჩამწყვედულიყო და ზურგი შეექცია თავისი მშობლიური და სხვა მეზობელი ქვეყნების საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული ტრადიციებისათვის.

შემდეგი ანალიზი გვაჩვენებს, თუ რამდენად იცნობდა ის როგორც აღმოსავლურს, ისე ქართულ ლიტერატურას.

I. ჩვენი პოემის ავტორი ზედმიწევნით იცნობს ვისრამიანს, რაც იქიდან ჩანს, რომ ის არაერთხელ პირდაპირ იმოწმებს მას; მაგალითად: „იგი ქირი არ უნახავს არც რამინს და არცა ვისსა“, რა ქირიც ავთანდილს გადახდა ტარიელის ძებნისას; „ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა“, „ნუ ევე მიჯნურად მათებრსა, ნუცა თუ რამინს და ვისსა“. ვისრამიანი ჩვენს ავტორს უნდა ეკითხოოს არა მარტო ქართულად, არამედ სპარსულადაც, ვინაიდან ზოგიერთი ადგილი იქიდან მას ისე კი არ მოჰყავს, როგორც ქართულს თარგმანშია, არამედ როგორც სპარსულშია; მაგალითად, ერთს ადგილას ავტორი ამბობს: „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მვეცნი მოვიდიან,

მისვე ჳმისა სიტკბოსაგან წყლით ჳვანიცა გამოსხდიან“. ვის რამ იან ში ქართულად შესაფერისი ადგილი ასე იკითხება: „რამინ თუით ეგზომ კარგი მეჩანგე იყო, რომელ, რა რამინ ჩანგი აიღის და ცემა დაუწყის, სიამოვნითა ფრინველთაჲს სულნი დაილიან“ (გვ. 121)¹. აქ რამინის სიმღერის სიტკბოებას ფრინველნი განიცდიან, ვეფხისტყაოსანში კი ავთანდილის სიმღერას განიცდიან ჳვანი, ასეა ვადმოცემული ეს ადგილი სპარსულ ვისრამიანშიც: „როდესაც დროგამოშვებით რამინი ჩანგზე სიმღერას დაიწყებდა, წყლის ჳედაპირზე ჳვები ამოდიოდა“².

მსგავსება ვეფხისტყაოსანსა და ვისრამიანს შორის ჩანს სუეტტში, შინაარსის ზოგიერთ დეტალში და გარეგან ფორმაში. სუეტტის მხრივ ჩვენს წინ არის: 1) ვისი, რომელიც იმდენად მშვენიერია, რომ „მზესა და მას შუა საცილობელი შეექნა, თუ რომელ რომელიაო“ (გვ. 12), ისე; როგორც თინათინ „სოფლისა მნათი მნათობი, მზისათა დასთა დასული“, რომლისაგან „მზე საწუნარია“ და რომელიც „მზესა სწუნობდა“. 2) რამინი ისეთივე ლამაზი, ლალი, ახოვანი, მოსპარეზე და მონადირეა, როგორც არიან ავთანდილი და ტარიელი. რამინსა და ვისის აერთებს ისეთივე მწვავე, თავდავიწყებული და უსაზღვრო სიყვარული, როგორც თინათინსა და ავთანდილს, ნესტანსა და ტარიელს. მართალია, ჳნებობივი ლირებულებით და სიფაქიზით მათი სიყვარული განირჩევა ვეფხისტყაოსანში დაბატული სიყვარულისაგან, მაგრამ ინტენსივობით ის მაგალითი გამხდარა ჩვენი პოეტისათვის, რომელიც მას, როგორც დავინახეთ, შესადაარებლად იყენებს ხოლმე. რამინსა და ვისის ჳყოფს მეტად დიდი დაბრკოლება: ვისი იმყოფება შაჳინ-შაჳის ჳნებობივს ტყვეობაში, როგორც ცოლი მისი, ის იმყოფება ფიზიკურ ტყვეობაშიც: შაჳი მას ამწყვედევს აშქაფთიღენის ციხეში „ეგზომ მალალსა მთასა ჳედა, რომელ თავი ცამდი იყო“ (გვ. 132), ხუთი კარი დაეკეტა და ურიცხვი მცველები დააყენა. ამ დაბრკოლებას რამინი გადალახავს როგორც თავისი მამაცობითა და მოხერხებით, ისე მეგობრების რჩევით, დახმარებით და თანაგრძნობით, და ვისის უერთდება ხოლმე როგორც სპორადულად, ისე საბოლოოდ და სამუდამოდ შაჳის სიკვდილის შემდეგ. მაშასადამე, სუეტტის მხრივ ანალოგია ამ ორ ნაწარმოებთა შორის თვალსაჩინო და ცხადია.

შინაარსის დეტალების მხრივ ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

1. ვისი და რამინი „ერთსა ჳუეყანასა შიგან (ხუზისტანს) იზრდებოდეს, ვითა ერთსა ბაღსა შიგან ორნი ყუაელინი“ (გვ. 8); „რამინ სიყმაწულითგან მიჯნური იყო ვისისი; ოდეს ორნივე ხუზისტანს იზრდებოდეს ძიძისასა, მაშინ ყმაწულისავე შეჳყვარებოდა ვისი, მაგრა ვერ გამოცხადა და გულსა შინა ჳქონდა“ (გვ. 30—31). ამნაირადვე ავთანდილი იზრდებოდა როსტევანის სახლში თინათინთან ერთად და „გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჳქონდა დამალულად“; ერთად იზრდებოდნენ პატარაობიდანვე ტარიელი და ნესტან-ღარეჯანიც.

¹ მეორე გამოცემით.

² Н. М а р р, Грузинская поэма „Витязь в барсовој шкуре“, გვ. 420—421..

2. როდესაც რამინი მიჰყვებოდა მოტაცებული ვისის კუბოს, „ანაზღად ღმრთისა განგებისაგან ადგა დიდი ქარი და მოჰკლიჯა კუბოსა სახურავი ფარდაგი. თუ სთქუა, ღრუბლისაგან ელვა გამორჩნდა, ანუ ანაზღად შზე ამოვიდა: გამორჩნდა ვისის პირი; და მისის გამორჩენისაგან დატყუვედა რამინის უღლი. თუ სთქუა, გრძნეულმან მოწამლა რამინი, რომელ ერთთა ნახეთა სული წაუღო“. ის მაშინვე ცხენიდან ჩამოყარდა და მიწაზე იდგა დიდხანს, პირი გაუყვიოლდა; ყველანი, დიდებულნი და მოყმენი, ხოჯები, რომელნიც კუბოს მიჰყვებოდნენ, გარსშემოგზებინენ, სტიროდნენ, სურნელს უკმევენდნენ და ვარდის წყალს ასხამდნენ, მერე კაცთა სირცხვილით კვენესა დაიწყო, ენის ხმარების ძალა მიეცა, ცხენზე შეეკა და გაუმჯობესება დაეტყო (გვ. 39—40). მსგავსი ეპიზოდი გვხვდება ვეფხისტყაოსანშიც: ტარიელმა შემთხვევით დაინახა ნესტანის სახე, როდესაც კარის ფარდაგი ასწია ასმათმა; იმწამსვე ის დაბნდა და უსულოდ დაეცა მიწაზე, გადაიტანეს უგრძობლად სასახლეში, იქ მას შემოეხვივნენ ყველანი, მეფე-დედოფალი, დიდებულნი, მუყრნი და მულიმნი, სტიროდნენ, ულოცავდნენ, წყალს ასხამდნენ. სამი დღე უსულოდ იდგა, მერე ცოტათი გონებას მოვიდა, შეშინდა, — „აქა ყოფნა გამამკლავნებსო“, შემოიკრიფა ძალღონე და მოითხოვა ცხენზე შეეკდომა; რამაც გაუმჯობესება შეიტანა მის მდგომარეობაში.

3. ვისრამიანში ნათქვამია, რომ მიჯნურობის ხის ნაყოფია „ველად გაქრა და გახელბა“ (გვ. 39); პოემაში ნათქვამია:

თუ მიჯნური ვარ, ერთი ეხამ ხელი მინდორთა მე გრებად;
არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?
გაქრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად!
ასრეა ესე სოფელი, შესჯერი კელა შეჯერებად! (784).

მართლაც, რამინი გახელბული და გაქრილია: „არა ჰქონდის მოსვენება არც დღისით და არცა ღამით; ვითა ხელი, ცურვიდის; ვითა კანჯარი და ვითა ველური თხა, კაცთა ფრთხებოდის... სადაცა წალკოტსა შიგან ვარდსა ჰპოვის, მისისა პირისა მიმსგავსებისათვის მას კოცნიდის... ეგზომისა სისხლისა ცრემლითა ტიროდის, რომელ მუქლთამდის ტალახსა შიგან ჩაეფლის. მისსა თუალსა დღე ნათელი ბნელად იყვის... შიჯნურობისაგან და ქირისაგან სულნი ბაგემდის მოსელოდეს და მიწყით თავისა სიცოცხლისა და მოყურისაგან იმედგადაწყუებული იყვის... მეტისა გოდებისაგან დამთურალთა და ხელთაებრ უცნობო იყვის“ (გვ. 52—59). გაქრილი და გახელბულია აგრეთვე მოაბად შაჰიც: ის ვისის საძებრად წავიდა, თან წაიღო და წაიტანა ერთი ხმალი და ერთი ცხენი, რომელნიც ყველაფერს ერჩია. „ქუეყანათა შიგან მარტო იარებოდა... მოიარა ყოველი პირი მიწისა: ოქერი და შენი, ზღუა და კმელი... ვისის ნიშანსა და ამბავს იკითხვიდა. ვერცა თუით მიხუდა და ვერცა-რა მისი ნიშანი სხუაგან ესმა. ზოგჯერ არნისაებრ მთათა და კლდეთა ზედა იარებოდის, ზოგჯერ ლომისაებრ ლერწამთა და ტევრთა შიგან იარებოდის, ზოგჯერ გარე-თხისაებრ მინდორთა შიგან იყვის, ზოგჯერ გუელისაებრ ქურელთა შიგან იყვის. არ დარჩა ადგილი, სადაცა არ ეძებნა. ხუთსა თუესა, ვითა

ხელი და მტერიანი, ცურვიდა ვისის გზათა უკანა. ზოგჯერ სიციხითა მისკირდის, ზოგჯერ სიცივითა თავუწევარ იქმნის“ (გვ. 113). ამგვარ სურათს ჩვენს პოემაშიც ვპოულობთ: გაქრილი ტარიელი, თავისი ცხენისა და ხმლის ამარა, მუდამ მტირალი, ადამიანებისაგან კიდევანქმნილი, მხეცებთან ერთად ტყეში, გამოქვაბულში და შამბნარში მოხეტიალე და მცხოვრები, შველისა და დახმარების იმედდაკარგული, რომელიც მზადაა ვეფხს სახე დაუკოცნოს, რადგანაც ის მას სატრფოს მოაკონებს. აქ ხომ მსგავსი სურათთა ტარიელისა და ავთანდილისაგან ნესტანის ძებნისა ხმელეთსა და ზღვაში, მინდორსა და ტყეში, უდაბნოსა და ხერელში, სურათი, ასეთი ფერადებით გადაშლილი ნიკიერი პოეტის მიერ!

4. ვისისა და რამინს შუამავლად და დამხმარედა ჰყავთ ძიძა, რომელსაც მათ გაანდევს თავისი საიდუმლო; მადლიერმა რამინმა მას შესთავაზა უთვალავი თვალმარგალიტი და ძვირფასეულობა, რომელთაგან ძიძამ „ერთი ბეჭედი აიღო იადგრად და სხუა არა დაიჭირა“ (გვ. 79). ტარიელსა და ნესტანდარეჯანსაც აერთებს ასმათი, მათი შესაიდუმლე; ტარიელი გვიამბობს, რომ—

ასმათს მივართვი რჩეული თვალი ოქროსა ჯამითა;
მან მოთხრა: „არა, არ მინდა, ვარ გამძღარი ამითა“.
ერთი აიღო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა:
„ეტუ კმა ნიშნად, საესე ვარ სხვად ზელის შესაბამითა“. (385)

5. რამინისა და ვისის გაძეფების შემდეგ სპარსეთში დამყარდა სრული ბედნიერება; „არაცა ქუეყანანი აოკრებულნი იყვნეს, მისითა ბრძანებითა აშენდეს. ათასი ქალაქი უფრო ააშენა და სოფელი. გარანლამცა ავისამოქმედნი ამოსწყუილნა და დატოცნა... და დასცალა ქუეყანა ავისამოქმედთა და გზისმლეწულთაგან. ეგზომი ოქრო და საქონელი გასცა, რომელ ძუირთა სახელი ამოჰტოცა. ყოველსა ქუეყანასა დაავიწყდა პირველი ჳირა და უსამართლობა, ყოველნი გალხინიანდეს, მთხოელნი გამდიდრდეს, ცხუარნი მგელთა თანა ძოედეს“ (გვ. 321). ასე იქცეოდნენ ვეფხისტყაოსნის სამნი გმირნი მეფენი:

ყოველთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა, მოათოვდეს;
ოხოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს;
ავის მქნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოდდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს. (1664)

6. ვისრამიანი იწყება ასე: „იყო დიდი და მაღალი სულტანი ტულსურბეგ ქვეყანასა ხორასნისასა და აღრაბადაგანისა, ლაშქარმრავალი, მოვლენილი, მორკმული და აღსრულებული ყოველსა სპარსეთსა ზედა“ (გვ. 3). გაძეფებული რამინი აძლევს ღმერთს აღთქმას, რომ იგი იქნება „მოსამართლე, მდაბალი, ღმრთის მოშიში, მართლის მეტყუელი, სიმართლის მძებნელი, გლახაკთა დაუპირველი და მოწყალე“ (გვ. 319). მოვიგონოთ ვეფხისტყაოსნის შემდეგი სიტყვები:

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,

მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი. (32)

7. რამინი ჩადიოდა ხოლმე შაპინ-შაპის ბალში, იქ ტიროდა, ტრიალებდა, თვითეულ ხეს იხდიდა მოწმედ თვისი გრძობისა; იქვე ხედებოდა ის ძიძას, გებულობდა მისგან ვისის ამბავს და მოლაპარაკებას აწარმოებდა მასთან (გვ. 52—53 და სხვ.). ტარიელიც შედის ხოლმე ფარსადანის ბალში და იქ ნახულობს ნესტანისაგან გამოგზავნილ ასმათს, აქ ეხვეწება ის—მომიტანე ხოლმე ამბავი და წერილი ნესტანისაო.

8. ვისიმ აღინას ხელით რამინს, მეათე წერილთან ერთად, გაუგზავნა თავისი პერანგი და თავსაბურავი; „რა რამინ ვისის ნიშანი დაინახა, ვითა ცხროიანი ათროლოდა, დაბნდა, ცნობათა მიპხდა, წიგნი ჯელთაგან დავარდა. მერმე, რა გუნებად მოვიდა, წიგნს წაკითხვა დაუწყუო... ზოგჯერ პირსა დაიდვის და ზოგჯერ მკერდსა“ (გვ. 243). ნესტან-დარეჯანიც ტარიელს ქაჯეთის ციხიდან წერილთან ერთად უგზავნის „რიდეთა ნაკეთს“, ტარიელიც ნესტანის წერილს „იდებს თვალებზე“, ხოლო ქაჯეთიდან მოწერილი „პირსა დაიდვა“.

9. ნესტან-დარეჯანის წყრომითი ბაასი ტარიელთან იმის გამო, რომ უკანასკნელი დაესწრო თათბირს, რომელზედაც ვადასწყდა ნესტანისათვის საქმროდ ხვარაზმშას შვილის მოყვანა, მოგვაგონებს ვისისა და რამინის წყრომით გაყრას (გვ. 178), აგრეთვე რამინისა და მისი ცოლის გული ს შორის მომხდარ სცენას, როდესაც გულიმ გაიგო, რომ რამინს ვისისთან ჯანუზრახავს დაბრუნება.

10. ფრიდონის გეგმა ქაჯეთის ციხეში შესვლისა თოჯზე, ვით მუშითი, მოგვაგონებს რამინის ნამოქმედარს, რომელიც თოჯზე შევიდა აშქაფთიდენის ციხეში (გვ. 141—2).

11. რამინმა რომ მოაბადის სასახლე და ციხე აიღო, ყოველგვარი თვალთ, მარგალიტი, ოქრო და სტავრა აპკიდა აქლემებს, ჯორებს, სპილოებს და ისე გამოიტანა იქიდან; დააცარიელა საქურქულე ისე, რომ ერთი სტავრა და ერთი დრაკანი იქ აღარ დაუტოვებია; ვისი ჩასვა თვალითა და მარგალიტითა კუბოსა და გამოიყვანა იქიდან (გვ. 315). ტარიელმა და მისმა მეგობრებმა ქაჯეთის ციხე რომ აიღეს,

მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს მალეები;
სამიათასსა აკიდეს მარგალიტი და თვალეები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლაღები,
იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალეები. (1426)

12. გამეფების შემდეგ რამინმა „სამაღლობელად გლახაკთა ზედა ვასცა“ (გვ. 319) და ყველა თავისი დამხმარენი, მეგობარნი და კეთილისმყოფელნი დაასაჩუქრა: „ტაბრისტანი უბოძა ბასინელსა როჰამს, რე ქალაქი ბეჰროზს, გურგანი აღინას, ამირსპასალარობა ვიროს და მსახურთუხუცესობა შეროს; თუთოო ქუეყანა თუთოოსა აზნაურსა მისცა და თუთოო ქალაქი თუთოოსა ყმა-სა“, (320), მერე წავიდა ხვარასნისაკენ, ყველა მას გზაზე ეგებებოდა, თვალსა

და მარგალიტს ასხამდა და ყოველი ენა მას აქებდა. მარავს შესრულს ქორწილი გადაუხადეს; „მეტრიბნი მათს ქებას დამღეროდენ, აკმევდენ ალვასა და ამბარასა, აყრიდენ ყოველგნით ოქროსა და ვეცხლსა, თუალსა და მარგალიტსა“ (გვ. 320). მაღლიერმა ტარიელმაც ყველა მისი კეთილისმყოფელი დიდად დაასაჩუქრა: „გლახათათვის საბოძვარსა საქურქელსა ერთგან ჰყრიდეს“, ზღვათა მეფეს უძღვნა სრულიად ქაჯთა სამეფო, ფატმანს—ქალაქიდან წამოდებული საქურქლე, ფრიდონს—ყველა ის საქურქლე, რაც მან დევებს წაართვა ქვაბებში, ასმათს—ინდოეთის მეშვიდედი ნაწილი; მერე, ინდოეთს გამობრუნებულნი, ისინი დიდი ამბით მიიღეს, დასვეს ტახტზე და ქორწილი გადაუხადეს.

13. მოაბად შაჰმა რამინი აბანოში გაგზავნა და მერე იქ გაუგზავნა სხვა-დასხვაგვარი მდიდარი ტანისამოსი (გვ. 297), ასე დემართა ავთანდილსაც:

გათენდა, ბანად წავიდა მზე, სოფელს შუქ-ნაკიდები;
 დიაცმან უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდები,
 მრავალი ფერი სურნელი, ტურფა პერანგი, წმიდები:
 „რაც გეწადოსო, ჩაიცვი, მე ნურას ნუ მერიდები“ (1255).

14. რამინი სწორუპოვარი მომღერალი და დამკვრელია ჩანგზე; ჩანგით ერთობა ავთანდილი, აგრეთვე სხვა პირებიც ვეფხისტყაოსანში.

როდესაც გარეგანი ფორმის მხრივ ვადარებთ ვეფხისტყაოსანსა და ვის-რამიანს, ყურადღება უნდა მიექციოთ შემდეგს გარემოებას:

1. ვეფხისტყაოსანი, ისე როგორც ვისრამიანი, დაყოფილია თავებად და ამბებად.

2. ვეფხისტყაოსანში ძალიან ხშირად, თითქმის ყოველ ნაბიჯზე, ვხვდებით სენტენციებსა და აფორიზმებს, ისე როგორც ვისრამიანში ჰუქუმათს, შეგონებასა და არაკს; რაც უფრო მნიშვნელოვანია, სენტენცია-აფორიზმები ამ ორი თხზულებისა დიდად წააგავს ერთიმეორეს, რაც შემდეგიდანაც ჩანს:

ვეფხისტყაოსანი:

ვისრამიანი:

- ა) კაცსა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა, მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ქირთა ხსოვნა. (211)
- ბ) არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა. (795)
- გ) სმა-ჰამა—დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?! რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია! (50)
- ასეთია გული ადამის ტომთა, რომელ გარდასრულისა ქირისა ლხინსა შიგან დამვიწყებელია. (166)
- უსარგებლოა ცული დაღრეჯა. (156)
- გაიხარენ, სუი და ჰამე, გაეც, რომელ სახელი დაგრჩეს. (42)

- დ) ვის არ უნახვან პატიენი, ვისთვის ვინ არა ბნდებინან? არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუყრებინან? (877)
- ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად? მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოენა შენი რად არს კირად?“ (878)
- რათგან ვარდი ამას იტყვის, უსულო და უსასაკო, მაშა ლხინსა ვინ მოიშკის პირველ კირთა უმუშაკო? (879)
- ე) განგებასა ვერვინ შესცელის, არსაქმნელი არ იქმნების. (190)
- ვ) მიჯნური მტერთაჲცა შეებრალე-ბის. (249)
- სღევს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანავლღებს. (915)
- ზ) გველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარო. (901)
- ძ) მიჯნურმა მიჯნურობა „არცა ვის-გან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს“. (11)
- თ) კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ წახდების. (432)
- ვინცა ვარდსა დასთესავს და მოჰკრებს, ხელსა ეკალიცა დაესობის (170). შენ, გულო, მეწალოცტესა არა უარე ხარ, არცა იგი, შენი საგონებელი, ვარდისა ხესა უარეა; მას ჰხედავ თუ: რა დაჰკრავს, რაზომსა კირსა ნახავს მოკრეფამდინ (215). საწუთროსა რას-ღონჯერცა გამოსკდი, მიწყით ასრეა, რომელ ლხინი მისი უქიროდ არ იქმნების. ვარდი მისი ეკლიანია და ლხინი კირიანი, მიჯნურობა ფათერაკია და სარგებელი მისი ზიანია. (314)
- ღმრთისა განგებასა ნუვინ ემკლავე-ბის, ამით რომელ მოწიენადსა ვერვინ შეაქტევს (46). ღმრთისა განგებასა ვერ-სით აპყდები და რაცა ეტლსა გიწე-რია, მას ვერ დაეცნებო. (28)
- სჯობს თუ ყოველსა კაცსა მიჯ-ნური ებრალეზოდეს (41). მიჯნურსა ტირილი გამოაცხადებს და ავად მოუხ-დების, ცხადსა მიჯნურსა ღია ფათე-რაკი სღევს. (69)
- ღონითა... ჯურელთაგან გუელსა გა-მოიყვანებენ, შელოცვითა დაამშვიდე-ბენ. (59)
- არ უნდა მიჯნურსა კაცსა ყვედრე-ბა. (32)
- დასტურობით იცოდე, კარგისა ქნა არ წაქდების. (260)
- კარგისა მოქმედობა კაცისა ესრე არ წაქდების. (320)

ი) სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველ-
სა მოსახვეჭელსა. კაცისათვის უკეთესი საქმე არის სა-
ხელისა ძებნა. (47)¹
(799)

3. ვეფხისტყაოსანში გვხვდება ისეთი პოეტური ფიგურები და შედარებ-
ბანი, როგორც ვისრამიანში, მაგალითად:

რა უამეა პირის-პირ საყვარელისა რა უამეა მოყუარეთა ერთგან შე-
კერეტისა. ყრასა. (238)
(484)

ამოა. კერეტა ტურფისა, სიახლე
საყვარელისა.
(121)

მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან, დიჯლისა ოდენი წყალი ეგრეცა
მსგავსად დიჯლისა დენისად. გარდმოვიდის შენთა თვალთაგან. (217)
(832)

დიჯლადცა კმარის, მას რომე თვალ-
თაგან ცრემლი სდენია.
(850)

ამგვარი შედარება ვისრამიანში მე-
ტად ხშირია.

ვერ გარღვიხდი ცრემლთა მისთა,
ჯეონიცა თვალთა მდინდეს.
(749)

განმეორებულია ვისრამიანში აგრეთვე ასეთი შედარებაც: „მას თეთრსა
ყელსა ეხვიენეს გრძლად თმანი არ-უწეშირონი“. (123)

4. არის დიდი მსგავსება ფრაზეოლოგიასა და ლექსიკაშიც, მაგრამ მათი
აღნიშვნა შორს წაგვიყვანდა.

როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსანში ჩანს, რომ მისი აეტორი ზედმი-
წევნით იცნობს ვისრამიანს.

II. მეორე პოეტი, რომელსაც უცილობლივ იცნობს რუსთველი, არის
ნიზამი განჯელი, რომლის თხზულებებს ის თუ ქართულად არა, სპარსულ-
ლად მაინც გაიცნობდა.

ნიზამის თხზულებათაგან ჩვენი პოეტი უდავოდ იცნობს ლეილ მაჯნუნ-
ნიანს. პირველ ყოვლისა, პოემის შესავალში ყველა ის ელემენტი გვაქვს, რასაც
ლეილმაჯნუნნიანის შესავალში ვპოულობთ (რასაკვირველია, არა ისე ვრცლად,
როგორც უქანასქნელში): მიმართვა ღვთისადმი, სიტყვის ჩამოგდება მეფეზე,

¹ ეს სენტენცია-აფორიზმები იხ. ი. აბულაძის შრომაში: XII ს. ქართული საერო
მწერლობა და რუსთველის ვეფხისტყაოსანი, გვ. 45—50.

აღნიშვნა თავის სახელისა, მსჯელობა მეღვინეობასა და მიჯნურობაზე. შინაარსის მხრივ ამ ორ პოემას შემდეგი საერთო ხაზები ახასიათებს.

1. ყაისის მამა, უნარიანი, ღირსეული, კმაყოფილი, ღარიბთ მოწყალე, ძლიერი და ქებული, როგორც ხალიფა, ავისილი ბედით, როგორც საესე ნაქუქი გულით, შეწუხებული იყო იმით, რომ მას ვაჟი არ ჰყავდა. ამას ეხმაურება ილწერილობა როსტეან მეფისა (32), რომელსაც აწუხებდა ის, რომ მას „ძე არ ესვა“. (33)

2. სილამაზე და მოხდენილობა ლეილისა და მაჯუნისა, ერთი მხრით, თინათინ-ნესტანისა და ავთანდილ-ტარიელისა, მეორე მხრით, მოხაზულის ორივე პოეტის მიერ ზოგადად მსგავსი სიტყვებით, მეტაფორებითა და გამოთქმებით.

3. მიჯნურობის გრძნობა ლეილისა და მაჯუნის გულში ილვიძებს მათი ერთად აღზრდის დროს ბავშვობაში; მსგავსად ამისა, ერთად იზრდებიან ბავშვობაში თინათინ-ავთანდილი და ნესტან-ტარიელი, მათ გულშიაც აღრიდანვე იჩენს თავს სიყვარულის გრძნობა.

4. ლეილი მშობლებს კარავში ჰყავთ, უცხო თვალისაგან დაფარული, ნესტანიც შვიდი წლიდან ცხოვრობს მისთვის საგანგებოდ აგებულს სასახლეში ისე, რომ მას „ვერვინ ხედავდა“. (331).

5. სულიერი ტანჯვა-ვაება ყაისისა და ტარიელისა ერთნაირია; ისინი მივიდნენ გონების დაკარგვამდე, ასე რომ „მაჯუნნი—მიჯნური“ (სიყვარულით გახლებული) მათი საერთო სახელია. სიყვარული მათთვის შეუნელებელი ტანჯვა და ცრემლთა ღვრაა; ცხოვრება მათი წვალებბაა, ის მათ არ სწყალობს. მაჯუნნი „ვარდის მოუკრებლად ეკლით დაქრილია“, „ვარდი უეკლოდ ვის მოუკრებია“—რუსთაველის სიტყვით. ისინი არ ელიან ამქვეყნად შეერთებას თავიანთ სატრფოსთან, ამიტომ ოცნებობენ სიკვდილზე, რათა „აქა გაყარილი მიჯნური მუნამცა შეიყარინენ“.

6. სიყვარულის ცეცხლში ჩაყრილი ყაისი და ტარიელი გაიჭრებიან უღაბნოში და იქ „მხეცთა თანა იარებიან მარტო, ტევრად“.

7. უღაბნოში მაჯუნთან მიდის მისი მამა და ემუდარება მას დაბრუნდეს სახლში, მსგავსადვე ავთანდილი მოსძებნის გამოქვაბულიდან უღაბნოში გავარდნილ ტარიელს და ეხვეწება დაბრუნდეს შინ, გამოქვაბულში; ერთიცა და მეორეც უარზე არიან. ხასიათი და ტონი ხვეწნა-მუდარისა, აგრეთვე მოტივი უარისა, ორივე პოეტს თითქმის ერთნაირად წარმოუდგენია.

8. მაჯუნისა და ტარიელიც განსაკუთრებულ სიმპათიას განიცდიან მხეცებისადმი, რომელთა საზოგადოებაში მათ უხდებათ ცხოვრება; მხეცი მათ აგონებს მათს სატრფოს, ტარიელს—ვეფხი, მაჯუნს—შველი და ირემი, რომელთაც ის გამოიყიდის და გაათავისუფლებს და რომელთა თვალი მას სატრფოს თვალს მოაგონებდა.

9. ერთმანეთს წააგავს ზოგიერთი მოტივით მიწერ-მოწერა ლეილსა და მაჯუნს შორის, ერთი მხრით, ტარიელსა და ნესტანს შორის, მეორე მხრით. სალას სახლში, რომელსაც ის ძალად მიათხოვეს, ლეილი ნამდვილ ტყვედა გრძნობს თავს და იტანჯება, რომ მოშორებულია მაჯუნს, ნესტან-ღარეჯა-

ნიც ასევე გრძნობს თავს ქაჯეთის ციხეში, როსანზე დაწინდული და ტარიელს მოშორებული. ერთნაირად ეპყრობიან მიჯნურები საყვარლის წერილებს. ტარიელმა ნესტანის წერილი „თვალთა ზედა“ დაიღვია, მეორეჯერ, ქაჯეთის ციხიდან წერილი „პირსა ზედა“ დაიღვია და გრძნობა დაკარგა; ასე მოსდით ლეილსა და მაჯუნსაც.

10. ერთნაირად აგვიწერენ პოეტები ქალის უარყოფითი ხასიათის ზოგიერთ თვისებას; ორივეს შეხედულებით ქალი დაუნდობელია, იქამდის, რომ, რუსთველის სიტყვით, „ღიაქსა სამალავი არასთანა არ ეთხრობის“, რადგანაც, უმატებს ნიზამი, „მათ ცბიერი და საძაგელი ენა აქეთ“.

11. ნიზამის ნოფალი, ეს უებრო რაინდი, მთლიანად ეწირება მსხვერპლად თავისი მეგობრის, მაჯუნის, ინტერესებს; ის თავგამოდებით ეძებს და ცდილობს შეაერთოს მისთვის დაკარგულ ლეილთან, ამისათვის ებრძვის ყოველგვარ დაბრკოლებას. ვის არ მოაგონდება ამ შემთხვევაში ტარიელისათვის თავდადებული ავთანდილი?

ასეთია, ზოგადად, სუფეტურ-ფაბულური ელემენტები, რომელნიც ექვს არ სტოვებენ, რომ რუსთაველი ნიზამის ლეილმაჯუნნიანს იცნობდა¹.

ამ ნაცნობობას არანაკლებ ამჟღავნებს შემდეგი აფორიზმები:

ა) უნდა გაზლილი იყოს ფართოდ სიტყვათა ველი,
რომ ზედ მხედარმა მოიპოვოს დიდი სახელი (ნიზამი).

მოიგონეთ აქ რუსთველის ცხენის გამომცდელი „შარა გრძელი“ და „გრძელთა ლექსთა თქმა“. (13)

- ბ) შაჰი ის არის, ვინც საუნჯეს მთლიანად გასცემს (ნიზამი)
რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია (რუსთველი)
- გ) ჩუგდო მთვარე გველუშაპს შესაქმელად პირში.
მთვარე გველუშაპის ხახაში იყო. (ნიზამი)
რა საბრალთა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა!
დარჩა მთვარე გავსებული, გველისაგან ჩაუნთქმელი. (რუსთველი)
- დ) დიდი სიუხვე ყველა კაცის გულს მოარბილებს,
თვით თავისუფალს, როგორც მონას, დაიმორჩილებს. (ნიზამი)
უხვი ახსნილსა დაბაბს, იგი თვით ების, ვინ ების. (რუსთველი)
- ე) ტრფობა სარკვა დიდი, სხივით ნათელმოსილი,
ეინსა და ტრფობას შორის არის დიდი მანძილი.
ტრფობა ეს არის, ის მეორე კი რა ტრფობაა?
ეს ნამდვილია, ის მეორე მეძაობაა. (ნიზამი)
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უხის დიდი მღვარი. (რუსთველი)
- ვ) ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს წ ე ს ს მ ხ ე ი ც კ ი ე მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა . (ნიზამი)
შენ დაბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა. (რუსთველი)²

¹ ამის შესახებ დაწერილებით იხ. К. Кекелидзе, Руставели и Нивами Гянджеви, თსუ შრომები, V, 1936 წ., გვ. 169—174, სადაც მოყვანილია შესაფერისი ადგილები ორივე პოემიდან.

² ნიზამის აფორიზმები მოყვანილია ა. კელიძის თარგმანით.

III. მესამე თხზულება, რომელსაც იცნობს ჩვენი პოეტი, არის ფირდოუსის შაჰნამე. ჯერ ერთი, ვეფხის ტყავე, რომელიც ტარიელს აცვია, ეცვა აგრეთვე როსტომსაც, ეცვა ის უთრუთსა და გოსტამსაც: „აგრე ორისა ვეფხისა ტყავისა შესამოსელი და ორი ქული, ისიცა ვეფხისა ტყავისა, ერთი უთრუთს ჩააცვეს და ერთი გოსტამს“ (ხელნ. S № 1594, ფ. 8). თან შაჰნამეთი, კაცობრიობის წინაპარმა ქაიმურსმა ერს სამოსლად ვეფხის ტყავე ჩააცვა. როსტომი ცხოვრობს საშინელ გამოქვაბულში, დევამენდის მთებში, ისე როგორც ტარიელი; როსტომი ზის ფიცხს, უჩინოს მაგვარ, ელვისებრ მალ რაშზე, რომელიც ძლიერ წააგავს ტარიელის შავს რაშს. აეთანდლილი იყო „კაც დევი“, როგორც როსტომი, და შეიარაღებული „ისრითა როსტომის მკლავთ უგრძესითა“. ამასთანავე მულანზანზარი ჩვენი პოემისა მონსენებულია როსტომიანშიც: „მულანზარშიგან დგებიან... ვარდის საქრეფლად მულანზარს იარებიან... მას უკანით მულანზარში მოსულიყო მისი ქალი“. უეკველია, პოემაში გამოყვანილ ქაბუყთა დევ-გმირობის აღწერილობაში თავისი წვლილი შეუტანია როსტომიანსაც.

უფრო თვალსაჩინოა ნაცნობობა როსტომიანის ბეყანისა და მანიე-ეავის ეპიზოდთან. ბეყანსა და მანიეავს აერთებდა ძიძა მანიეავისა ისე, როგორც ტარიელსა და ნესტანს ასმათი. ძიძამ ბეყანი წაიყვანა მანიეავთან, „ფარდაგშიგან შეიყვანეს ლომი ბეყან პირადმზეა“, ესე იგი, როგორც ასმათმა ტარიელი წაიყვანა ნესტანის სასახლეში და, შიგ რომ შეიყვანა, „აუგდლო ქალმენ ფარდაგი მძიმი თავისა ძალისა“. ბეყანის სახსენლად ირანიდან თურანს გაემგზავრა როსტომი, ვაჰრულად გამოწყობილი:

თურანს მივიდა, დამალა ახჯარი საომარი,
მან ტანსა ჩუბა ჩაიცვა, თქვა: მე ვარ დიდ ვაჰარია,
გუჰარი ჯამი ოქროსი ფირანის საჩუქარია,
წინ მიეგება, მიართვა, დაუწყო საუბარია.

მან ფირანს უთხრა: მე ირანელი ვაჰარი ვარ, დატვირთული ვარ მრავალგვარი საქონლით, თუ ნებას მომცემ, ვიყიდი და გავეყიდიო. ფირანმა უთხრა: შენ ჩემს სახლვრებში ხარო, მიიბატრეა თავისთან და მფარველობა აღუთქვა:

იგი დადგენ ერთს ადგილსა, ვაჰრობდიან და ჰყიდიან,
ახნაურნი და თავადნი სავაჰროდ იქ მოვიდია.

ასე მოიქცა, როგორც ვიცით, აეთანდლილიც, როდესაც ის გულანზაროს მივიდა ვაჰრად გადაცემული: „აეთანდლილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვა, დაჯდა სკამითა“; მებალისაგან გამოიკითხა იქაურობის ამბავი, ვაიგო, რომ ის ადგილი, სადაც გაჩერებული იყო, ეკუთვნოდა მელიქ-სურხავს; მებალემ მას აღუთქვა მფარველობა და თავისუფალი ვაჰრობის უზრუნველყოფა, თანაც დაუმატა, რომ აქ „დიდევაჰარნი იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ“. თვით მელიქ-სურხავის სახელიც შეიძლება როსტომიანისა და იყოს გადმოღებული, სადაც მოხსენებულია ვინმე სურხავი, რომელსაც თავი მოკვეთეს.

IV. მეოთხე სპარსული სამიჯნურო რომანი, რომლის სუეეტური სქემა, რამდენადაც იმის შესახებ მსჯელობა შეგვიძლია XVI საუკუნის თურქთა პოეტის ლამის თარგმანის მიხედვით¹, ძალიან წააგავს ვეფხისტყაოსნისას, არის ონსორის „ვამეყ და აზრა“². ა) აქაც შეყვარებულთა ორი მთავარი წყვილია: ვამეყ-აზრა და ბექმენ-დელფეზირ; ძირითად მოთხრობაში აქაც შექსოვილია მესამე მეფის ლაზიჯანის ეპიზოდი, როგორც ჩვენს პოემაში ფრიდონისა. ბ) ვამეყი და ბექმენი აქაც ძმობილები არიან, ძუძუს-მტენი, ბექმენი იმნაირადვე ეხმარება ვამეყს აზრას მოძებნაში, როგორც ავთანდილი ტარიელს. გ) მათი დამხმარეა აგრეთვე აზრას ძიძა-გამზრდელი, რომელიც ისე აერთებს შეყვარებულებს, როგორც ასმათი ტარიელ-ნესტანს, და რომელიც იმდენსავე გასაქირს იტანს იმათთვის, როგორც ასმათი. დ) ვამეყი და ბექმენი აუტანელ, პირდაპირ წარმოუდგენელ დაბრკოლებებსა და გასაქირს ხედებიან აზრას ძებნისას როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე; ამ ხეტიალის დროს გმირის ვაქრულად გამოწყობას აქაც ისეთივე ადგილი აქვს, როგორც ჩვენს პოემაში. ე) მიჯნურთა თავგადასავალი აქაც კეთილად დასრულდება: შეუღლებიან როგორც ვამეყი და აზრა, ისე ბექმენი და დელფეზირი³.

უფრო კარგად იცნობს რუსთაველი, რასაკვირველია, მშობლიურ ლიტერატურას.

ამ შემთხვევაში პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ამირანდარეჯანი. ამ ნაწარმოებში ჩვენ გვაქვს სამივე ის მომენტი ვეფხისტყაოსნის სუეეტისა, რომელიც ზემოთ დავასახელეთ; აქ არიან მზეთუნახავი ქალები და ლომთა-ლომი ქაბუკები, რომელთაც ერთმანეთი თავდავიწყებით უყვართ, მაგრამ მათი გრძნობების დაქმნაფილებას წინ ელოდებოდა საშინელი დაბრკოლებები. ასე, მაგალითად, რომანში გამოყვანილია: 1) ზღვათა მეფის ასული, რომელიც უყვარს ბადრი იამანისძეს, მაგრამ მის გამოსაყვანად მას უხდება ბრძოლა მრავალ ქაბუკთან, გავლა „მრავალი და დიდად მარცხთა და საბრძოლველთა გზათა, რომელ არა ეგების მას გზასა შესღვა“⁴. 2) მნათობთ-მნათობი ხვარეშანი, რომელსაც გამიჯნურებია ისეთი გოლიათი, როგორცაა ამირანდარეჯანისძე, და რომლის გამოსაყვანად მას უხდება თილისმათა ქვეყანაში შესღვა გრძელისა და ძნელი გზით, გადალახვა მრავალი თილისმა-გრძნეულე-

¹ Hammer, Geschichte der osmanischen Dichtkunst, Bd. II, S. 45—63, მოკლედ — E. Gibb, History of ottoman poetry, III, 357—360.

² ეს რომანი, თუ თარგმანში არა, სპარსულ დედანში შეგძლოა სტოდნოდა ჩვენს პოეტს, ვინაიდან, დღეს დაკარგული, ონსორის რომანები, როგორც ირკვევა, არსებობდნენ არამც თუ XIII საუკ. პირველ ნახევარში, თითქოს შეთქმულბრტის დამდგეასც (იხ.—Вамек и Азра, კრებულის—Хакани, Низами, Руставели, გვ. 41—52; Е. Бертельс, Стиль эпических поэм Унсура, Доклады Акад. Наук, 1929 г., № 3, стр. 47—53).

³ ის გარემოება, რომ რუსთაველი იცნობს აღმოსავლურ ლიტერატურას და მის ეპიზოდებს, იმას არ ნიშნავს, რომ ის ამ ლიტერატურის ტყუობაში იმყოფება; პირიქით, იდეური გააზრება ნაცნობი ეპიზოდებისა რუსთაველთან ხშირად სხვაგვარია, ის უფრო მაღალი და ხემოქმედი.

⁴ ამირანდარეჯანის, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 11.

ბისა და ბრძოლა სწორუპოვარ ქაბუკებთან. 3) კენტა მეფის ასული, თვალწარმტაცი სილამაზის პატრონი, რომელიც ისეთ ციხეშია დამწყვდეული ერთს ქუნძულზე, რომ მას კაცობრივი ძალა ვერ შეებრძოლება, თან, იქ რომ კაცი მივიდეს, საჭიროა სიარული გრძელი და ძნელი გზით, რომელსაც „საგრძნეულო გზა“ ეწოდება (გვ. 112). ეს ქალი უყვარს ისეთს ახოვან ქაბუკს, როგორცაა სეფედავლე დარისპანისძე; მას უბდება არა მარტო ამ სიძნელის გადალახვა, არამედ აგრეთვე ბრძოლა სწორუპოვარ ქაბუკებთან, მრავალრიცხოვან მუსაქართან და დევებთან. 4) პირმზე, ხაზართა მეფის ასული, რომელიც მოიპარეს და დაამწყვდიეს ქვაბში გრძნეულთა ქვეყანას; არც მისვლავების და არც გამოყვანა, თუმცა ყოვლისა ქუეყანისა გმირნი და გოლიათნიცა ერთად შეკრბენ (გვ. 148). ეს ქალი შეპყვარებია სწორუპოვარ გმირთა-გმირს მზექაბუკს, რომელსაც მის გამოსაყვანად უბდება ბრძოლა გზის სიძნელესთან, თილისმა-გრძნეულებასთან, დევებთან და გოლიათ ქაბუკებთან. დასახელებული მიჯნურები მათ წინაშე აღმართულ სიძნელეს სძლევენ არა მარტო თავისი გამპირიანობით და გოლიათობა-ბუმბერაზობით, არამედ ძმადნაფიცი და თავდადებული ქაბუკებისა და მოყმების დახმარებით. არ შეიძლება ამასთანავე უურადლება არ მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ ამ მიჯნურთა ამბავიც გადაბმული და დაკავშირებულია ერთიმეორესთან, როგორც ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ-ნესტანისა, თუმცა, მართალია, არა ისე სიმეტრიულად და ისე მტკიცედ, როგორც ჩვენს პოემაში.

ახლა, თუ შინაარსს გადავავლებთ თვალს, ჩვენ შევსძლებთ ვეფხისტყაოსნის ზღაპრის მსგავსი ჩონჩხის აღდგენას ამირანდარეჯანიანის მიჯნურთა ამბებიდან.

ვეფხისტყაოსანი:

იყო არაბეთს მეფე როსტევან... მორკპული, განგებიანი. სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართოდენ მარტო ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული. მეფემ მოიხმო ვეზირები, გვერდს დაისხნა ისინი და უთხრა: მე-გადავსულვარ, სიბერე მჭირს... ღმერთმან არ მომცა ყმაწვილი და ამიტომ ჩემი ქალი უნდა დაესვა ტახტზეო; მერე ქალს უთხრა: ასულო, დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს... დაუდგეს საჯდომი-ტახტი ფასუთქმელი.

ნადირობის დროს როსტევანი შეხვდება ვეფხის ტყავით მოსილ ქაბუკს; მისი ამბის შესატყობად გაგზავნის კაცებს, რომელთაც უცხო ყმა გაწყვეტს და უკვალოდ გადაიკარგება. მეფე ნა-

ამირანდარეჯანიანი:

იყო ინდოეთს მეფე აბესალომ, მორკმული, განგებიანი (გვ. 3)... მოიხმო ზღვათა მეფემან დიდებულნი თვისნი, დაჯდა და მიუგზავნა ასულსა თვისსა ვითა, შვილო, მე დავბერებულვარ და შენ ხარ ჩემი შვილი მკვიდრი [და არა მივის შენგან კიდე სხვა ძე] (გვ. 18)... პირმზე ასული მისი ვნახეთ და ვთქვი: არა ხორციელია, მზე არსო (გვ. 19)... ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა, რომ მზე მისად არა ჯობნილა (გვ. 20); შეუმკეს ტახტი მნათობი და მას ზედა დასხდენ (გვ. 21).

ნადირობის დროს აბესალომი შეხვდება სახლს, რომლის კედელზე სწერია სახელი ამირანისა; სახლის გარშემო მინდორი მოფენილია ძვლებით

დღირობიდან დაბრუნდება დაღრეჯილი, აღარ ასპარეზობს, ყველაფერს თავი მიანება. ის საწოლს შევიდა სევდიანი, მას შეჰყვება მხოლოდ სპასპეტი ავთანდილი... მეფეს მისმა ქალმა მოახსენა: თუ ის ყმა ხორციელი არსებაა, მას ნახვი-და სხვაც ვინმე, გაგზავნე კაცი ყოველ-გან მისი ამბის მცნობელი. მართლაც, გაგზავნეს კაცები, რომელთაც ერთი წელიწადი იარეს, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგეს; ამის შემდეგ საძებნელად მიდის თვით სპასპეტი ავთანდილი, რომელიც სამი წლის ძებნის შემდეგ მიაგნებს ქაბუკს, გაიგებს მის ვინაობას და სიყვარულის ამბავს, გაიგებს, რომ მისი სატრფოვო გატაცებული ჰყავთ ზანგებს-ქაჯებს; ამიერიდან უკვე ის შეუდგება ნესტანის ძებნას.

ღიდი ხნის ძებნის შემდეგ, როდესაც ავთანდილი ოთხი მონით ზღვის პირას იყავდა დაინახა, რომ მოქარავენნი ზღვის პირასა დაყრით დგეს შექირებულნი; მუნ ქარავენი ურიცხვი იდგა ზღვის კიდესა. მათ ავთანდილს ქება შეასხეს, ავთანდილმა, ჰკითხა: ვაქარნო, ვინ ხართ? ქარავენის უხუცესმა, უსამმა, მოახსენა მას ხოტბა და მერე შეჰკადრეს: შენ მოხვე ჩენი მლხენი, ჩამოხე და მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩენიო. გარდახდა, ჰკადრეს: ჩვენ ვართ მობაღდადენი ვაქარნი, ზღვათა მეფისა ქალაქსა გარდმოწაქარნი; აქ ეპოეთ ერთი კაცი, რომელმაც გვითხრა: ქარავენი იგვიპტით გამოვემართენით, ზღვასა შევევლეთ, მუნ მეკობრეთა დაგეხოცეს ძელისა სახნისითა. ესაა მიზეზი ჩენი აქ დგომისა, არ ვიცით, წავიდეთ თუ აქ ვიდგეთო. ავთანდილმა უთხრა: მე მივიწოდებ სისხლსა თქვენსა;

დახოცილი კაცებისა და ცხენებისა, რომელნიც ამოწყვეტილი ყოფილან ამირანის მიერ. მოისურვებს—გაიგოს მისი ვინაობა, მაგრამ ვერაფერს ვერ შეიტყობს. ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ ის მიეცემა უფროსსა შექირებებსა: აღარცა გავიდა სანადიროდ და აღარცა გადიხადა ნადიმი. შევიდა ჯაზაირი, ვეზირთა უხუცესი, და მოახსენა: გაგზავნეთ კაცი ქალაქთა სპარსეთისა, ნუთუ ვინმე ყმა დარჩომილი იყოს ამირანის და მით ვსცნათო. გაგზავნეს კაცი სპარსეთსა და ყოველსა ქვეყანასა შინა, წარმავალთა დაყენეს ჟამნი მრავალნი (გვ. 4—7) უშედეგოდ. მხოლოდ ორმა მათგანმა მიაგნო სავარსიმისძე, ყმა ამირანისა, რომელმაც მათ უამბო ამირანის ისტორია. ამირანს სწევას მზეთუნახავის ბეარეშნის სიყვარული, მაგრამ, სამუხებაროდ, ის იმყოფება თილისმათა და გრძნეულთა ქვეყანაში, სადაც ძნელია შესვლა. ამირანი წავიდა მის საძებრად და გამოსაყვანად თავისი ერთგული მონები თა და მოყმებით.

დავინახეთ — ხევში დგას ქარავენი ურიცხვი; მოგვეგებენ წინა ყოველნივე და თავყვანისცეს ამირანს და შეგვახსმიდენ ქებასა. ჩვენ მოქარავენნი ვართ, ბრძანეთ და გარდმოხედით ჩვენსა ლარსა შინა და მოგახსენოთ ამბავი ჩენიო. გარდახედით კარავს უხუცესისა მათისა; მოქარავენთუხუცესი აბრაამი მოიხმო ამირანმა და ჰკითხა: ვინა ხარ შენა, ანუ ვისი არს ესე ქარავენიო? მან მოახსენა: ჩენი აჯა ეს არს: ბასრელნი ქარავენი ვართ,¹ მოვდივართ ინდოეთიდან, აქ იმიტომ გავჩერებულვართ, რომ წინა მეკობ-

¹ მეორე ასეთს შემთხვევაში დასახელებულნი არიან მოქარავენნი ბალდაღდინი და მეგვიპტელები.

მოქარავენნი აივსნენ სიხარულითა, ჩა-
სხდნენ ნაფში და შესცურეს ზღვაში,
მათი ბაღრაგა ავთანდილი იყო. გამო-
ჩნდა ნაფი მეკობრეთა ძელზე სახნისით,
მეკობრენი ჰკიოდნენ და მოდიოდნენ,
ქარავანს შეეშინდა, ავთანდილმა უთხ-
რა მათ: ჩაიკეტეთ კარნი, თქვენ, ვა-
ქარნი, ჯაბანნი ხართ, ომის უმეცარნი,
შაგათ მე გავუსწორდებიო! მან შეანარ-
ცხა მათი ნაფები ერთმანეთს და სულ
მუსრი გაავლო ყველას. ზღვა გაიარა
ავთანდილ, ნახეს ქალაქი, მოცული
გარე ბაღისა ტვერითა, გვარად უცხო-
ნი ყვაილნი, ფერთა ბეგრისბეგრითა,
მის ქვეყანისა სიტურფე რა გაიგონო
შენ რითა?

ზღვათა სამეფოში ავთანდილი მიიღო
ვაქართა უხუცესის ცოლმა ფატმანმა,
შეგვკრემანმან, რომელიც უმეგობრდება
მას. ჩაჩნაგირმა რომ გაიგო მათი კავში-
რი, ემუქრება ფატმანს: ბოზო დიაყო,
ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა და-
მაქმევლად! ფატმანმა მოაკლევინა ჩაჩნა-
გირი და მერე უამბო ავთანდილს ნესტან-
დარეჯანის ამბავი. ნესტანი ქაჯებს შე-
უპყრითა და მიუვალს ციხეში ჰყავთ და-
პატიმრებული. ქაჯეთის მეფეს ის უკვე
დაუწინდავს საცოლოდ როსანისათვის.
ფატმანი შიკრიკის ხელით მიაწვდის წე-
რილს ნესტანსა და სთხოვს, მანდაური
ამბავი შეგვატყობინეო, შენდა გამო-
სახსნელად მოყმენი მოვიდნენო, ნესტა-
ნი ატყობინებს თავის აუტანელ მდგო-
მარეობას, აგრეთვე იმასაც, თუ ვინ
სცავს მას, ან როგორი შესავალია მის
კოშკში.

ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი
მიდიან ჯარით, ამოსწყვეტენ კოშკის
მცველებს, გამოჰყავთ ნესტან-დარეჯა-
ნი და არ დაიზარებენ შორეული გზით
იარონ, ოღონდ ზღვათა სამეფოში მი-
ვიდნენ, რომ მაღლობა უთხრან ფატ-

რენი გვიმზერიან და მათი შიშით ვერ
დავძრულვართ ადგილიდანო, შენ მო-
სულხარ მხსნელად ჩვენდა და შემწედ
თავისა ჩვენისა. ამირანმა უთხრა: ნუ
გეშინიათ, მე არ მიგცემთ მტერთა
თქვენთა სავენებლად. მათ გაუხარდათ
და თაყვანისცეს მას. გამოჩნდნენ მე-
კობრენი, შეიქნა ქარავანთა შიგან ტი-
რილი საშინელი; ამირანმა უთხრა:
თქვენ, ბასრელნი, არცა კაი ქაბუჯი
ხართ და არცა კაი ქაბუჯნი გინახავთ,
ნუ გეშინიანთ, უვენებლად გავასხამთ
თქვენსავე ქვეყანასა. მეორე დღეს
წავედით, ჩვენ წინ მივედიდით, ქარა-
ვანი უკან მოგვედეთ, გამოჩნდნენ
მეკობრენი (გვ. 74—78) [ბადრი ია-
მანისძის ეპიზოდებიდან:], ნავითა მოვ-
ლენ ლაშქარნი ურიცხენი, გვესრო-
დეს, შეგვაპირებდეს; მაშინ გვიკიფ-
ლა ბადრი იამანისძემან: ჩაიმაღენით
ნავთა შიგანო! ჩავიმაღენით, მოგვე-
ახლენ მეკობრენი. ახტა ბადრი ია-
მანისძე და მათ ნაფებში გადახტა.
ჰკრა ხმალი წითურსა თავდასა და
მოკლა, სხვანი ლაშქარნი უჩინო იქმ-
ნენ. გავიარეთ იგი ზღვა და მივედით
იმიერ ზღვისა კუნძულსა, ზღვათა
მეფის ქვეყანასა. დავინახეთ ზღვასა
კიდესა ოცი ათასი სოფელი და ქვე-
ყანა მშვენიერი, რომელ არა ნახულა
მსგავსი კაცისა თვალთა (გვ. 16).
მექარავენთა უფროსმა ამირანს გამო-
კითხა, რად მოსულა ის აქ, და, რო-
დესაც გაიგო ყველაფერი, მისცა ისე-
თი ეტიკი, რომლის ჩვენებით მან მი-
აგნო ბევარშნის გზა-კვალს (გვ. 78—
83). სეფედავლე დარისპანისძემ რომ
შემუსრა მეკობრეები და მათგან გაა-
თავისუფლა ქარავანთა უფროსი და
მექარავენნი ქენთა მეფისა, ქარავან-
თა უფროსმა ქება შეესხა მას, დიდი
ძღვენი მიართვა და ჰკითხა: საით მი-

მანს. ფატმანი დიდის სიყვარულით შეხვდება ნესტანს, გადაჰკოცნის მას; ტარიელიც დიდს მადლობას უცხადებს მას და ქაჯთა ციხეს ზღვათა. მეფეს აჩუქებს. მეფე დაუმაღლებს და მიუძღვნის მას ლარს, გვირგვინს, ოქროს ტახტს და გააცილებს.

დიხარო? საცოლისა ჩემისა კენთა მეფის ასულის გამოსახსნელად მივდივარო. ქარავენის უფროსმა უთხრა, რომ იქ სავეალი გზა საგრძნეულო არისო. ერთი შაოსანი დიაცი არის და მან იცის ყველა მის გზის ამბავიო და იგი გითბრობს ყველასაო. მოქარავენნი შინ წავიდნენ, ჩვენც წავედით საძებრად, შევხედით შაოსან დიაცს, რომელსაც სეფედავლემ გზის ჩვენება სთხოვა. მან მოახსენა: ჯაგრი ამომიყარე რაზიმან დევისა, რომელმაც შვილები დამიტყვევა! მიადგნენ ციხეს, სადაც დევი იყო, დევმა დიაცს უთხრა: როსკიპო დიაცო! და შეუტია სეფედავლეს, რომელმაც იქვე მოკლა დევი. დიაცმა უთხრა: კენთა მეფის ასული ჩაკეტილია მაღალს კოშკში და კართა ზედა ხუთასი რჩეული არაბი უყენია. წავიდნენ, შევიდნენ კენთა მეფის ქალაქში, რომლის შუაგულს კოშკი იყო და მასში იჯდა მეფის ასული, რომელმაც შიკრიკის პირით თავისი ამბავი შემოუთვალა (გვ. 111—116).

სეფედავლე მიუხდა ციხეს, შემუსრა მისი კარები, დახოცა მცველები, გამოიყვანა ქალი კუბოთი და მიგობრებით გაუდგა გზას; თუმცა მოკლე გზა ჰქონდათ, მაგრამ შორეული არჩიეს, რათა მადლობა გადაეხადათ შაოსანი დიაცისათვის. შაოსანი დიდი სიხარულით გამოეგება, უძღვნა მრავალი მარგალიტი, გვირგვინი, ფარლულნი და სხვ. სეფედავლემ დაპყრობილი ქვეყანა მასა და მის შვილებს მისცა და წავიდნენ (გვ. 116—121)¹.

როგორც ვხედავთ, ზღაპრის მთავარი ჩონჩხი გასაოცარი თანხმობითა და მსგავსებითაა წარმოდგენილი ორსავე ნაწარმიებში; გადავალთ ახლა დეტა-

¹ შტრ. შ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი“.

ლებზე. ამ შემთხვევაში ხაზს არ გაუსვამთ იმ გარემოებას, რომ ორსავე ნაწარმოებში ერთიდაიგივე შტრიხითა და სურათებითაა აწერილი ქალ-ვაეთა სილამაზე და გოლიათობა, ერთმანეთის გომზავებით ძებნა, დაბრკოლებათა გადალახვა, მეგობრეთაგან მოქარავენე ვაჟრების დახსნა, ვაჟრების მიერ გზის ან საშუალების ჩვენება სატრფოს მოსაძებნად, სატრფოს ციხეში ან კოშკში დამწყვდევა, ამ ციხის იერიშით აღება, მცველების შემუსვრა და სატრფოს კუბოთი გამოყვანა,—ვინაიდან ყველა ეს ზემოთხსენებულ შედარებიდანაც ჩანს, ახლა სხვა დეტალებს აღვნიშნავთ.

1. თინათინი ავთანდილს აველებს, ვიდრე ისინი დაქორწინდებიან, შეასრულოს საგმირო საქმე: მოძებნოს უცხო ყმა, ტარიელი აგრეთვე ნესტანდარეჯანიც ეუბნება ტარიელს:

ბედითი ბნედა, სივდილი, რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია (377)

წა, შეები ხატელთა, ილაშტრე და ინაირე,
ღმერთმან კმნას და გაგიმარჯედეს, მორტუმლიმცა ზემ ყრამ ირე (414).

ასევე იქცევა ზღვათა მეფის ქალიც: როდესაც მამა წინადადებას აძლევს მას—ოვლად გაჰყვი, ბადრი იამანისძესო, ის უპასუხებს: „მე ეგეთი კაცი არ მინდა, რომე ეგრე ვგონებდე თუ: მისი დამართებითი კაცი არს და ან უკეთესი ქვეყანასა ზედა, აწ შეაბით ის მესამე კაციცა და, თუ აჯობოს, დავმორჩილდე ბრძანებნასა თქვენსა“ (გვ. 18).

2. ნესტანდარეჯანს, რომელიც ტარიელს უყვარს, უპირებენ გათხოვებას სხვაზე—ხვარაზშმას შვილზე, ამიტომ ტარიელი ამ თავის კონკურენტს ჰკლავს; ასეა ამირანდარეჯანიანშიც: კენტა მეფის ასულს, რომლის საძებრად მოსულა მისი მიჯნური, სეფედავლე დარისპანისძე, უპირებენ გათხოვებას არაბთა მეფის შვილზე, რომელიც უკვე მოსულა საქორწილოდ; სეფედავლემ ის წუთისოფელს გამოასალმა ასეთი განზრახვისათვის (გვ. 116—120).

3. ტარიელსა და ნესტანდარეჯანს ეხმარება და ხელს უწყობს თინათინი, რომელსაც მადლიერი ტარიელი ეუბნება: „მწაღს შენი დება“ ან დობილობა; სეფედავლემაც ის შაოსანი დიაცი, რომელიც მის ეხმარებოდა მისი მიჯნურის ძებნასა და შეყრაში, „დობილად დაისვა“ (გვ. 121).

4. პოემაში ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი განუყრელი მეგობრობით არიან დაკავშირებულნი, ისინი თავდადებით ემსახურებიან ერთმანეთს, ერთმანეთს ფიცს აძლევენ—არასოდეს არ გასწირონ ერთმანეთი და არც სწირავენ, ნახულობენ ერთმანეთს და ეხმარებიან, ისინი ძმად არიან ნაფიცნი. ამა თუ იმ გულის სიღრმეში ჩამწყდომი სცენის დროს, როგორც, მაგალითად, თავგადასავალის მოთხრობა ან ერთმანეთისაგან გაყრა, ისინი გულამომჯდარი სტირიან და მოსთქვამენ. ასეა ამირანდარეჯანიანშიც: ინლო კაბუჯი და ამბრი არაბი ფიცსა სდებენ: „რომელსაცა გაგვიპირდეს, ერთმანეთსა უშველოთ“ (გვ. 47); ანდა, ამირანმა და სეფედავლემ „მისცეს ფიცი ერთმანეთსა ეგეთი, რომე, თუ ეგებოდეს, ზედაზედა ვნახვიდეთ ერთმანეთსა, და, თუ რა გვიპირდეს, უშველდეთ ერთმანეთსაო. შიქცა სეფედავლე ჩუენისა წამოსლვი-

სათვის მომძივარი და გვიმძივდა ჩუენცა გაყრა სეფედავლესი* (გვ. 127). როდესაც ამირანი მივიდა ამ ადგილას, სადაც ბაღრი იამანისძე შეპყრობილი იყო, „ატირა“ (გვ. 26). ამირან დარეჯანისძემ და სეფედავლემ „იფიცეს ძმაღ“ (გვ. 127), ძმობას ეფიცებიან ერთმანეთს აგრეთვე სხვა გმირებიც.

5. შერმადინმა რომ თინათინს აცნობა საამო აშბავი ავთანდილის მობრუნებისა ტარიელის მოძებნის შემდეგ, თინათინმა „მას საბოძვარი უბოძა, მისი ყველაი დამოსა“. ასეა ამირანდარეჯანიანშიაც: მოციქულს, რაიმე ამბის ან ცნობის მიმწოდებელს, ტანისამოსს აჩუქებენ ხოლმე (გვ. 11 და სხვ.).

6. ტარიელმა მათრახით დაუპო თავი როსტევიანის მონებს, ასევე უყო მან ხატაელ მონადირე ძმებს, რომელთაც მისი შეპყრობა განიზრახეს; სეფედავლემ რომ დაინახა, რომ მეკობრენი მოქარავენებს ძარცვავდნენ, „მათრახით სამნი მხედარნი ჩამოყარა“ (გვ. 111).

7. ავთანდილი ტარიელის საქებრად წასვლის წინ შედის მიზგიტას და იქ ლოცულობს, შერმადინს ანდერძს უტოვებს, თუ მოგვედ, „გლახაკთა მიეც საქურტლე, ოქრო, ვერცხლი და რეალია“, ხოლო მეფე როსტევიანსა სწერს: „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები“, და, თუ მოვკვდი და ვერ დავბრუნდი, —

მიეც გლახაკთა საქურტლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ოხოლი, არას მქონები:
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოფგონები (803)

ამირანდარეჯანიანითაც „დედოფალმან მადლი შესწირა ღმერთსა მათისა მშვიდობით დარჩომისათვის; დიდი გასაცემელი გასცა და დიადი შესწირა მიზგიტთა და გლახაკთაჲ გაუყო დიადი“ (გვ. 127).

8. ტარიელი ეომება დევებს და ართმევს მათ ქვაბებს, რომლებიც საგსეა ყოველგვარი საქურტლეთი, განძეულობით და იარაღით; ამირანდარეჯანიანში დევებთან ბრძოლა ხომ აუცილებელი ატრიბუტია თითქმის ყველა გოლიათისა, ამ ბრძოლას ყოველ ნაბიჯზე ვხედებით და, რაც უფრო საუურადღებოა, დევების დამარცხების შემდეგ მათ ხელში უვარდებათ მათი საცხოვრებელი ბინა, აღსაესე ყოველგვარი საგანძურით, სიმდიდრით, თვალმარგალიტით, საქურტლეთა და იარაღით.

9. ტარიელს „ასრე უჩნს მოკლეა ლომისა, მართ ვითა ლომსა ვაცისა“; ის, ჯერ კიდევ ბავშვი, „ვით კატასა, ხოცდა ლომსა“, მას არაერთხელ მოუკლავს ლომი, ხოლო ერთხელ ვეფხი ხელით შეიპყრო; ლომსა და ვეფხს ხოცავს ავთანდილიც. ასეა ამირანდარეჯანიანშიაც: ამირანმა ორი ლომი ნახა, „ერთითა ტელითა ერთი აილო და მეორითა მეორე, თავი თავსა შეუტაკა და ტინი მკლავსა გარდაეხსა“ (გვ. 82); ომად ამაღისძე ამბობს: „სადაცა მხეცი ანუ ლომი გარდამეკიდის, ვითა კატა მოვჰკლი“ (გვ. 98). მზექაბუქს შემოუტია ორმა ლომმა; ჰკრა ხმალი და მოკლა ერთი, „ქვლავ მეორემან შემოუტევა, ტელი მიჰყო მასკა და შეუპყრა ყია და იგიცა მოჰკლა... ეგზომ უქირველად დატოცნა, ვითამცა კატანი ყოფილიყვნეს“ (გვ. 131); მეორეჯერ მასვე შემოუტია ორმა ლომმა: „მიჰყო ტელი, მას ერთსა ყია შეუბყრა, შესტყორცა მას მეორესა და ორნივე დატოცნა“ (გვ. 137).

10. როდესაც ამირანი და ექვსნი მისნი ყმანი მიდიან ბალხეთის ასალე-ბად, ისინი პართავენ თათბირს წინასწარ, თუ როგორ აიღონ ის; ყველა თავის შეებღებებას გამოსთქვამს, სხვადასხვა ხერხს უჩვენებს, მაგრამ ამირანის სხეებს არ ეთანხმებია: ომი აუცილებელია, პირდაპირ მივიდეთ, სადაც მეტი ლაშქარი იყოს, იქ შევებათო (გვ. 172); ყოველივე ეს მოგვაგონებს ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის თათბირს ქაჯეთის ციხის აღების წინ და ტარიელის გადაწყვეტ აზრს.

11. ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან, რომელ-ზედაც

იაგუნდისა ჯამები იყვის, ლაღისა ჰიკები,
კვლა უცხოფერთა შურველთა სხდის უცხო-უცხო სიკები (1551).

აწერილია ამირანისა და ბვარეშანის ქორწილის მსგავსად, როდესაც „სანეფო-თა ტაბლათა თვალისა კიკათა და ჯამთა მეტი არა იმსახურებოდა; რომელი-მე იყო კიკა ძოწვეულისა იაგუნდისა და რომელიმე ნწვანისა ზურმუხტისა, რომელიმე ყვითლისა იაგუნდისა და რომელიმე ბადაზშისა“ (გვ. 85).

12. ამირანმა და ბალხეთის მეფის ასულმა იქორწილეს; „იყო ყოველი ბალხეთი შავით შემოსილი მეფისათვის; გასცა ბრძანება დედოფალმან და აპხადა შავნი ყოველთავე“ (გვ. 173); ტარიელისა და ნესტანის დაბრუნებისას ინდოეთი ტრაურშია მეფის გარდაცვალების გამო; ქორწილის გამო დედო-ფალმა „გასცა ბრძანება ინდოეთს ახლად შავისა სრულისა“, „დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა, დიდებულთა შესამოსი მზიარული დაუმზადა“.

ამირანდარეჯანიანთან ნაცნობობა ჩანს ფრაზეოლოგიაშიც; საყურად-ღებოა ამ მხრივ მხარება სიტყვებისა: ყმა (კაბუკი, გმირი), ცოტა ყმა, შავი ტაიკი, თეთრი ტაიკი, ჩაბალახი, პირმზე, განსაკუთრებით „ღია ღმერთო“ (დარეჯ. მეტად ხშირად), დაღრეჯილობა, ნაეროზობა, ბადრაგა და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა მთელი ლექსიკონის შედგენას მოითხოვდა. ზიარია პოემისა და ამირანდარეჯანიანის ზოგიერთი საკუთარი სახელი, როგორც, მა-გალითად, ფარსადანი (დარეჯ. 65), უსენ (დარეჯ. 61).

ფორმით, გარეგნულად, ვეფხისტყაოსანი ისევეა „ამებნად“ დაყოფილი, როგორც ამირანდარეჯანიანი.

ერთი სიტყვით, რა მხრითაც არ უნდა მივედგეთ ამ ორ ნაწარმოებს, მათ შორის დიდს მსგავსებას დავინახავთ (ზოგადი აზრი, ჩონჩხი ზღაპრისა, ზოგიერთი დეტალი შინაარსისა, ფრაზეოლოგია, გარეგანი ფორმა):

ჩვენ ჩამოვთვალეთ სპარსული და ქართული ეპოსის ნიმუშები¹, რომელ-

¹ იუსტ. ა ბ უ ლ ა ბ ე თავის გამოკვლევებში ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსანი სუფიერთ წაგავს ორს, სპარსულ-ენაზე არსებულ, სამიჯნურო პოემას: ბ ა რ ა მ - გ უ ლ ი ჯ ა ნ ი ა ნ ს ა და ბ ა რ ა მ - გ უ ლ ა ნ დ ა მ ი ა ნ ს ო (XII ს. ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, ძველი საქართველო, I, შენიშვნა 1. „ვეფხისტყაოსანი“ გამოცემულ მის მიერ, გვ. XXV—XXVI, და „XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი“, გვ. 41—42); მაგრამ ეს მსგავსება, კიდევაც რომ აღმოჩნდეს, დასახელებულ თხზულებათა პრიორიტეტობას ჯერ დაამტკიცებს. ამაზე ლაპარაკი გვექნება დასახელებული ძეგლების გარჩევის დროს.

თაც ზედმიწევნით იცნობს, სუეეტიისა და შინაარსის მიხედვით, ვეფხისტყაოსნის ავტორი. იცნობს ის აგრეთვე ქართულ ლირიკულ თხზულებებს, როგორცაა თამარიანი და „ქება დავით აღმაშენებლისა და თამარისა“. ამის უფრო ამტკიცებებს გარეგანი მხარე, ფორმა. დავიწყოთ თამარიანი დან.

ჩვენი პოემა იმდენად ენათესაება თამარიანს, რომ, როგორც აღვნიშნეთ უკვე, აკად. ნ. მარი 1902 წელს სერიოზულად ამტკიცებდა—თამარიანი და ვეფხისტყაოსანი ერთიანი იმევე ავტორის ნაწარმოებიაო¹. ეს ნათესაობა გამოიხატება, პირველ ყოვლისა, ლექსთაწყობაში; მართალია, თამარიანი დაწერილია ოცმარცვლოვანი, ეგრეთწოდებული ჩახრუხაული ლექსით, მაგრამ ვეფხისტყაოსნის თექვსმეტმარცვლოვანი სილაბურ-ტონური ლექსისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ვინმე ფილიპეს მიერ დაწერილ ლარიზირებულ თექვსმეტმარცვლოვან იამბიკოს, დასაწყისი მიუცია იმავე თამარიანს, სადაც ჩვენ გვაქვს საში მაგალითი ვეფხისტყაოსნური ლექსისა:

- 1) თამარ წყნარი, შესწყნარი, ხმა-ნარნარი, პარ-მეინარი,
მზე-მეინარი, საინარი, წყალი მენარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი რა არს? ქნარი არსით მთქნარს უჩინარი,
ვარდ-შამხნარი, შამხ-მადნარი, ლაწე-მწყახარი, შექ-მფინარი.
- 2) შენ მწუნობი ხარ მნათობთა: არის ასმენ, ლებ, არი დენ.
შენ შუქი ეღვათერთა მზისა მწვერულთა არიდენ,
შენ სისბლთა შენთა ურჩათასა უხლო-უმგავსოდ არ იდენ,
აწუა ნათლისა ისარი მჭერეტელთა გულებს არიდენ.
- 3) გვიან შენებრთა ძებნანი, რკინის ხმალთა შესხმანი,
შენთვის ხმა არისტოტელი, დიონის წოგნთა შესხმანი,
მსგავსად აქილევ-ტროელთა უმიროსისგან შესხმანი,
ჯირცა დამტვერობს სოფელი, არა თუ ზემნი შესხმანი.

ამნაირად, პიონერად თექვსმეტმარცვლოვანი სილაბურ-ტონური ლექსისა ჩვენი პოემის ავტორი ვერ ჩაითვლება, მას მხოლოდ ის გაუბატონებია და ფართო გასაქალი მოუპოვებია მისთვის. ეს გარემოება ჰქონდა, ალბათ, მხედველობაში არჩილ მეფეს, როდესაც მან თიმიურაზ მეფეს რუსთველთან ბაასში ათქმევინა შემდეგი სიტყვები:

ჩახრუხაემ უწინ არ თქვა? რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა!
ვიტე, მას დარჩეს პირველობა, დაგინარს შენე მასა,
თორემ ვკითხოთ კორანციონს, გაგინდების შენ იმასა.

მეორე, ჩვენს პოემაში ჩვეულებრივთა ეგრეთწოდებული მაჯამა, რომელიც ლექსის ვირტუოზობის ნიმუშია და იმაში მდგომარეობს, რომ, თუ

¹ Древне-грузинские описцы, Тексты и разыскания, кн. IV, гл. 61—66.

ოთხივე სტრიქონი სტროფისა არა, სამი, ორი მაინც, თავდება ერთიდაიმავე სიტყვით, რომელსაც თვითეულს სტრიქონში თავისი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაშიაც წინამორბედი და მაგალითი ჩვენი პოეტისათვის არის იგივე თამარიანი, სადაც, განსაკუთრებით შინაგან რითმებში, ძალიან ხშირად გვაქვს მაჯამის ნიმუშები, თუმცა არის მაგალითი მისი ვეფხისტყაოსნისებური ხმარებისაც, ორჯერ, ზემოამოწერილს სტროფში (არი-დენ, შეესმანა).

საყურადღებოა, ერთ-ერთი ამ მაჯამათგანია—არიდენ, ვეფხისტყაოსანშიაც გვხვდება: „თუმცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო“ (495).

როგორც ვეფხისტყაოსანში, ისე თამარიანში ხშირად ერთიდაიგივე სიტყვაა გამოყენებული რითმისათვის, მაგალითად: უქი—შუქი (თამარიანი, V, 5, VIII, 2; ვეფხისტყაოსანი, 1143), მაგით—შმაგით (V, 35—935, 961), მოუბარისა—მღუღარისა (XII, 18—92, 199), მოხედვა-ვა (V, 10—243).

თამარიანში ვკითხულობთ: „ცისკრობს, მოხედვა: მოკლის, მო-ხედ-ვა“ (V, 10), სადაც ზმნის შემაღლებული ნაწილი მთა განმეორებულია დამოუკიდებელივ; ასეთი შემთხვევები მეტად ხშირია ვეფხისტყაოსანშიც. აქ განმეორებულია ამავე სახით ნაწილაკი: მთ, ში, შე, წა და გა¹.

დასასრულ, საოცარი მსგავსებაა ამ ორ ნაწარმოებს შორის ეპითეტებისა და პოეტური ფიგურების ხმარების მხრივაც; მაგალითისათვის მოვეყვანო შემდეგს ადგილს:

თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი. (თამარ., II, 16)

მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინართა,
აკოცა მისთა მეშველთა ლაღმან ცნობითა წყნართა,
მათ მდაბლად მადლი უბრძანა, სიტყვითა მითნარნართა.

(ვეფხისტყაოსანი, 1423)

ამას რომ დავუმატოთ კიდევ თვალსაჩინო მსგავსება ფრაზეოლოგიის მხრივაც, უკოყმანოდ შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენი პოეტი ზედმიწევნით იცნობს აგრეთვე იმ მწერალსაც, რომელსაც ჩვენ ჩახრუხაძის სახელით ვიცნობთ.

ეგვივე უნდა ვთქვათ აგრეთვე იმ თხზულებაზე, რომელსაც აბდულმესიას ეძახიან და რომელიც ნამდვილად არის „ქება დავით აღმაშენებლისა და თამარისა“; ორსავე თხზულებაში ჩვენ გვხვდება ერთიდაიგივე სახიარო ადგილები:²

¹ Н. Марр, Древне-грузинские описания, гл. 64—65; იუსტ. აბულაძე, XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, გვ. 162—164.

² ეს ადგილები მოყვანილი იყო ჯერ მ. ჯანაშვილის მიერ (მოსე ბონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, გვ. 25—26) და მერე ნ. შარის მიერ (Древне-грузинские описания, гл. 14—15).

ქ ე ბ ა :

მეფხისტყაოსანი:

1. ესა შართალი:
ე სამართალი
ხეს შეიკმს ჰმელსა
წყალმომდინარედ.
(21,1)
2. მართებს, რომ ცამცა
შქონდეს მასცამცა
სახლად, სამყოფად
განიიხებულლი.
(68,4)
3. გვირგვინოსანსა,
პორფიროსანსა
უქდების პყრობა
სციტრისა ქელსა.
(41,1)
4. აქვს ზარდაზნანი
მას, ხე-ბაღბანი
ლესკუმებრ მათთვის
დასაკრძალითა.
(43,1-4)
5. იაგუნდისა—
სხვად რა უნდისა!
ჯამები იყვის
ლაღფირუზისა.
იყვის კურკერთა
სხვათ უცხოფერთა
სიმრავლით დება
თვით შურიცხვისა.
(44,1-2)
6. ხეჯრად ძეს გორი
ერთა საგორი,
ხოდი ოქროსა
მისგან თლილისა.
ისმის მგოსანთა,
ვით საფირონთა,
კმანი ებნისა
და წინწილისა.
(44, 8-4)
7. ვინც იწყოს რიცხვი,
იყოს შურიცხვი
გორარი მათგან
დანათვალრთა:
რჩიე თვალისა
წინ ნათალისა,
- კმნა მართლისა სამართლისა.
ხესა შეიკმს ხმელსა ნედლადა.
(542)
- სახლ-სამყოფი არა კმართებს,
ცამცა გაიდარბაზესა.
(685)
- სციტროსან-გვირგვინოსანსა
კმუნოდა ცმა პორფიროსა.
(1540)
- იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო
გატენილი,
პოვეს, ერთი ზარდაზნა, აბჯრისათვის
სახლად კმნილი.
(1367)
- იაგუნდისა ჯამები
იყვის, ლალისა კიკები,
კვლა უცხო-ფერთა კურკულთა
სხდის უცხო-უცხო სიკები.
(1551)
- მურტიბნი მოდგეს კოველგნით.
ისმოდის ხმა წინწილისა;
შეყრით ძეს გორი ოქროსა
და ბადაზშისა თლილისა.
(1552)
- პოვეს საკურკულე უსახო,
კვლა უნახავი თვალისა:
მუნ იდეა რჩიე თვალისა,
ხელწმიდად განათალისა,
ხნდის მარგალიტი ოდენი
ბურთისა საბურთალისა;

წყალნი მგზებარობს
 შიგან აღითა,
 ხანს მარჯალიტი—
 ართუა ლიტი—
 ოდენ ბურთისა
 საბურთაღითა.
 (43₁-ა)

ვინმეა ქმნა რიცები ოქროსა,
 ვერუსიგან დანათეღლისა.
 (1366)

II. პოემის დაწმინდის ღვაწლ

ახლა გადავიდეთ საკითხზე: როდისაა დაწერილი პოემა?

ტრადიციული შეხედულებით, ავტორს დაუწერია თავისი პოემა XII საუკუნის გასულს თუ XIII-ის პირველ ათეულში, ვინაიდან იმაში შექებულია თამარ მეფეო. ამ შეხედულებას იზიარებს დღეს მომეტებული ნაწილი რუსთველოლოგებისა¹. იმიტომ ჯერ უნდა განვიხილოთ — რამდენად მისაღებია ასეთი შეხედულება. ცნობილია, რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ფაქტს ჩვენ ისტორიისას ხალხი აწერს ხოლმე თამარსა და მის დროს.

თუ პოემის შესავალს დავუჯერებთ, ის მართლაცა თამარის საქებრად და დაწერილი: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“, „ვთქვენი ქებანი ვისნი მე“ (4), „მისი სახელი შეფარვით ქვემოზე მითქვამს, მიქია“ (19). მაგრამ ეს კოლეგ არ ნიშნავს იმას, რომ პოემა უთუოდ თამარის მეფობაშია დაწერილი, თამარის „ქება“ შეიძლო რომელიმე პოეტს მისი გარდაცვალების შემდეგაც დაეწერა. მართლაც, ხომ დასწერა XVII საუკუნეში თამარის ქება თეიმურაზ პირველმა („თამარის სახე დავით გარეჯას“), არჩილმა (არჩილიანში) და XIX საუკუნეში გრიგოლ ორბელიანმა („თამარის სახე ბეთანიას“)! თვით პოემის პროლოგში გათვალისწინებულია, რომ თამარის ეს „ქება“ დაწერილია არა მის სიცოცხლეში, არამედ მისი გარდაცვალების შემდეგ. „ჩემი აწ სცანით ყოველთა: მას ვაქებ, ვინ ცამ იქია“ (19), ესე იგი, როგორც აკად. ნ. მარმა განმარტა, — მე ვაქებ იმას, ვინც ცაზე იმყოფება, ვინც მკვდარია უკვე². „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“ (4); რატომ ცრემლების ღვრით? იმიტომ, რომ ის პოეტს ეგულდება უკვე გარდაცვლილად. დავითო, რომელსაც შეგნის თამარის რეგალიების ხმარება და ტარება, არის არა მისი ქმარი, არამედ შვილისშვილი.

¹ გამონაკლისს წარმოადგენდა აქედან ოდესლაც ორი მკვლევარი: ს. კაკაბაძე და ნ. მარა. პირველი მათგანი, პოემაში დაკული შინაგანი რეალიების მიხედვით, მის დაწერას (პროზული ამბის გადმოთარგმნას თუ შეთხზავს და მერე გალექსავს) სდებდა საუკუნეთა მანძილზე, მე-13-ის. ნახევრიდან მე-15 ს. დაწყებამდე (შესავალი მისი პირველი გამოცემისა და „საისტორიო მოამბე“, 1924 წ., № 1); აკად. ნ. მარა იც ფიქრობდა, რომ პოემა დაწერილია მეცხრეში მე-14—15 საუკუნეებშით (Грушин. поэма Витязя в берцовом шкуре). ამჟამად ჩვენ არ შეგვირდებით ამ შეხედულებათა გარჩევანზე, რადგანაც შემდეგში ერთმაც უარყო თავისი მოსაზრება და შეორებდა და ორივენი ტრადიციულ შეხედულებას დაუბრუნდნენ.

² Вступительные и заключительные строфы, გვ. 4, 23. როგორც ნ. მარმა გააკეთა, არაა სწორი წაკითხვა: მას „ვაქებ, ვინცა მიქია“, რადგანაც „მიქია“ მოკლებულია სტროფის მეოთხე ტაქტში; რუსთველს არ სდევია ისეთი „მაჯამა“, როდესაც ერთიდაიგივე სიტყვა ერთიდაიმავე მნიშვნელობათა ნახმარი სტროფში.

შეიძლებაოდა თუ არა ჩვენი პოემა თამარის შეფობაში წარმოშობილიყო? ვინც ვეფხისტყაოსანს გულდადებით გადაიკითხავს, ის დაინახავს, რომ იმაში ეს კვეყანა და წუთისოფელი მუქ ფერებშია წარმოდგენილი; მოვიყვანოთ შესაფერი ადგილები:

როსტაშანი:

რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია? (36)
 ბრძანა: ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ზემი შეგბა,
 ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანალულება,
 სიკვდილამდის დამაწყლულა, ჯერვის ძალ-უც განჯურნება. (99)
 ტყბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,
 დამაფიწყდა, რაცა დღენი მზიარულსა წამეარნეს;
 ყოფლმან პირმან ვაგლახ მიყოს. ველარაჲინ მინეტარნეს,
 სადამდისცა დღენი მესხნენ, ჯლარამან გამახარნეს. (112)

ტარიელი:

თქვა: ცოცხალ გარ, საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლნი ზურიტნა. (499)
 ვა, სოფელი უხანოო, რად ჰხი სისხლთა ზემთა ზურეტად?! (529)
 საწუთრო ნაცულად გვატირებს, რაც ოდენ გაცვიციონია,
 ძელი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია. (918)
 კაცმანცა სოფელს ვით პოვა, რაც არა საქმე ზენია? (1338)
 მიმდღონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებთან,
 იშვებენ, მაგრა უბუბთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებთან;
 ვაქებ ჰკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებთან. (347)

ამთანლილი:

ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოელი დასვა ცრემლთა დენად. (700)
 იტყვის: ვერ გაბლა სოფელი, ვა, ჩემთა სისხლთა ზურეტითა. (712)
 ბინდის გვარია სოფელი, ეს თურე ამად ბინდდების. (1094)

თინათინ:

საწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი, უხდების:
 ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუბდების. (705)

ნოსტან-დარეჯანი:

მისგან ტყუქმნილსა სოფელმან რა მიყო, ამას მხედარო? (1285)
 მხედარო, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!
 რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია;
 ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით, მათგან საწუნელია. (1294)
 აწ კლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების. (1298)
 აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა,
 არ დასჯერდა ბიდი ზემი მას პატიეთა მრავალგვართა. (1299)

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ აღნიშნულ პირობა ასეთი განწყობილება ბუნებრივია, ვინაიდან პოეტმა ისინი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომელსაც სწორედ ასეთი სიტყვები და ზრახვები უნდა გამოეწვია მათში. მაგრამ საყურადღებოა, რომ ასეთ რამეს ამბობს თვით პოეტიც, რომელიც თავისი გმირების მდგომარეობაში პირადად არ იმყოფება:

ეჭვობ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა. (948)

ვა, სოფელი, რაშიგან ხარ, რას გვებრუნებ, რა ხნე გჭირსა?

ყოელი შენი მონდობილი ნიადამცა ზემებრ ტირსა. (951)

ვა, საწუთროო, სიკრუვით თავი სატანას ადარე,

შენი ჯირაქი ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე;

პირი, მხისაებრ საბინო, სად უჩინო ჰყავ, სად არე?

მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოზრად ჩანს ყოელი სად არე. (1218)

იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია! (1348)

როგორც ვხედავთ, პოემაში მძლავრად ისმის მღერვა წუთისოფლისა და საჩივარი იმის შესახებ, რომ ის არის სისხლის მსმელი, უხანო, ცრემლთა-მდენი, ცვალებადი, დაუნდობელი, მუხთალი, ცრუ, მტერი და გაუტანელი; ტარიელისა და ნესტანის შეხედულებით, ამქვეყნად ბედნიერება არ არსებობს, ამიტომ ისინი ხელს იღებენ ამ ცხოვრებაზე და ბედნიერებას, „ლხინებას“, სიკვდილში ეძებენ, რადგანაც სიკვდილის გზით ისინი ლამობენ მივიღნენ იქ, სადაც ერთმანეთს შეხედებიან (274, 918, 881, 882, 1304, 1305). მართალია, ავთანდილი ამ ქვეყანაზე არ იღებს ხელს, მას შესაძლებლად მიაჩნია ამქვეყნად, თუ სრული ბედნიერება არა, აჩრდილი მიხეც მისი; მართალია ისიც, რომ პოემაც ბედნიერების მოპოვებით თავდება („კეთილმან სძლას ბოროტსა“), მაგრამ როგორაა ის მოპოვებული? გაცირების, ვაების, ტანჯვისა და სიმწარის გზით (162, 877, 878, 879). როგორ შევეთანხმოთ ასეთი განწყობილება, აზრები და შეხედულებანი წუთისოფლის შესახებ თამარის დროის ლაღსა და ცხოველმყოფელ მსოფლმხედველობას, როდესაც, ისტორიკოსების ცნობით, ყველა თავს ბედნიერად თვლიდა, ყველა შესტრფოდა ცხოვრებას, ყველა მადლობდა თავის ბედს, ყველგან ესმოდა ქება თამარისა? „შუქძლებელ არს მოთხრობად“, ამბობს ისტორიკოსი, „თუ ვითარ ბედნიერებასა, სვიანობასა და დღეკეთილობასა შინა“ იყო საქართველო თამარისა და დავით სოსლანის დროს (ქართ. ცხოვრ. მარიაიმისა, გვ. 432—3); „გააზნაურდეს ქუეყანისა მომქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა თამარისსა“, რომელმან „ლონიერ ყვნა გლახაკნი და მდიდარ ლონიერი“ (იქვე, გვ. 404, 411). „და იყო მდიდრად ესე სამეფო“, ამბობს ლაშა გიორგის დროინდელი ისტორიკოსი, „რომელ აზნაურისა ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“ (გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა, გვ. 16). „ამას შინა იხარებდეს და იშვებდეს ყოველნი, ნადირობდეს და მხიარულობდეს“, იყო „მარჯუება, სიხარული, სიყუარული, შვება და ნადირობა მათთა და ბართა“, „ერთბამად ძოვდეს ლომი და ხარი და იხარებდეს ვეფხი თიქანთა თანა და მგელი ცხოვირთა თანა“ (ქართ. ცხოვრ. მარიაიმისა, გვ. 419, 429, 443). დასკვნა თავისთავად ცხადია: პოემა დაწერის თარიღით არ ემთხვევა თამარის მეფობას¹.

¹ ამბობენ, რომ ამოწერილი ადგილები მაჩვენებელია მხოლოდ „მსოფლიო კმუნვისა“, რომელიც განუწყრელი თანამგზავრია ადამიანისა, რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს ისო. ეს ასეც რომ იყოს. საკითხავია: ყოველთვის ზომ არ იხენს ერთნაირად ეს „კმუნვა“ თავს? არის მომენტები ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც ის მწვავედ გელავნდება, როდესაც საგანგებოდ უსჯამს მას. მაზს ადამიანი, როგორც ამას ვხედავთ ზენს პოემაში; ალბათ იმიტომ, რომ იმ მომენტში არის ისეთი მიზეზი, რაც ამ შეგნება-ცნობიერებასა და განწყობილებას აღიზიანებს საგანგებოდ.

ასეთი განწყობილება, შეხედულება და აზრები მაჩვენებელია იმის, რომ პოემა ისეთს დროსაა დაწერილი, როდესაც, როგორც ისტორიკოსი ამბობს, „იკვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა“ (იქვე, გვ. 533, შენ.), როდესაც, მისი პოეტური სიტყვები რომ ვინმართ, „დღემან იწყო მიდრეკად და მზემან დასლვად და ჰაერმან სხვიფერად უფერულობა და ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა“ (იქვე, გვ. 531, შენ.). ყველაფერი ეს მაჩვენებელია იმის, რომ ქართველების ცხოვრებაში მომხდარა რაღაც ანაზღაურული, ისეთი რამ, რასაც ისინი არ მოელოდნენ იმ ცხოვრებისაგან, რომელსაც ასე განებივრებული ჰყავდა ისინი, რომ ამ ცხოვრებამ არ გაამართლა ის იმედი, რომლითაც მას შეუურებდნენ, იმაში შეიქრა რაღაც გარეშე, მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი ძალა, რამაც სულ სხვაფრივ წარმოუდგინა მათ მისი აზრი, მნიშვნელობა და ღირებულება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მოულოდნელი რამე იყო მონღოლებისა და განსაკუთრებით მათ მომდევნოდ ხვარაზმელების შემოსევა ჩვენში. ამ საშინელმა, სტიქიურმა უბედურებამ, რომელმაც ძირიან-ფესვიანად შეარყია „სტაბილური“ ფეოდალური მდგომარეობა და კეთილდღეობა, დააბნია ქართველები, მათ მეტი არა დარჩენოდათ რა, რომ გაემიჯნებინათ პოემის ზემოთყვანილი ადგილები, რომლებიც, ბოლოსდაბოლოს, იმავე აზრისა და განწყობილების შემცველია, როგორისაც მონღოლთა ისტორიკოსის, ე. წ. „ჟამთააღმწერელის“ სიტყვები: „იქმნა მოწვევა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა... აქა ემამდი სვიანი იყო ბრძოლასა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი, ხოლო ამიერითგან იქმნა ცულება ბედისა ქართველთა ნათესავისა“, ვინაიდან „დაუდგრომელ არს მიხდობა სოფლისა ამისა ამაოისა“ (ქართ. ცხოვრ. მარია-მისა, გვ. 560—1, 591).

ასე და ამრიგად, აღნიშნული ფაქტების მიხედვით, ჩვენი პოემა არ შეიძლება დაწერილი იყოს უადრეს მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევის ჩვენში. ამასვე გვიდასტურებს ჩვენ პოემის წმინდა ისტორიული რეალიზმიც.

როდესაც ისტორიულ რეალობებზე ვლაპარაკობთ, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ვეფხისტყაოსანი პოეტური ნაწარმოებია, ამიტომ იქ ამაო იქნება ძიება ზუსტი ისტორიული ცნობებისა და ფაქტებისა, მაგრამ პოეტურ შემოქმედებასაც თავისი ლოლიკა აქვს: პოეტიც ვერ აღნიშნავს თავის ნაწარმოებში ისეთს რამეს, რასაც ადგილი ჰქონდა არა მის დროს ან მის დრომდე, არამედ მის შემდეგ, ის ვერ „იწინასწარმეტყველებს“ ისეთს რამეს, რასაც მის შემდეგ ჰქონდა ადგილი სინამდვილეში¹.

¹ ამ პრინციპის მიხედვით, პოემა, კიდევაც რომ მივაკუთვნოთ ის თამარის მეფობას, 1194 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა; საკმე ისაა, რომ აქ ლაპარაკია ხვარაზმის შესახებ, რომელსაც მთელი სპარსეთი დაუპყრია, ასე რომ ხვარაზმი და სპარსეთი სინონიმებია თხზულებაში: „ეგჳ ამზად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“ (540), „სპარსთა ვრა ვიქ ინდოეთისა კამასა“ (554), ნათქვამია აქ. სპარსეთში ახალი, ხვარაზმთა, დინასტიის დამყარებას ადგილი ჰქონდა 1194 წელს, მაშასადამე, ამაზე ადრე პოემა ვერ დაიწერებოდა. აღვნიშნავთ ამ გარემოებას იმისათვის, რომ ერთ დროს ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ პროზაული ვერსია ჩვენი პოემისა დაწერილია 1160—1175 წლებში (ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემა, შესავალი).

ისტორიული რეალები თვალსაზრისით, ყურადღება უნდა მიექცეს, პირველ ყოვლისა, შემდეგს გარემოებას: პოეტი იცნობს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ისეთ თხზულებებს; რომლებიც დაწერილია ან თამარის მეფობის მიწურულში, ან მისი გარდაცვალების შემდეგ; ასეთებია ხოტბები „თამარიანი“ და ე. წ. „აბდულ-მესია“, აგრეთვე რაინდული რომანი „ამირანდარეჯანიანი“.

ყურადღებას იქცევს პოემაში აგრეთვე ტერმინი „ხატაეთი“, „ხატაელი“, რომელიც მონღოლთა ეპოქამდე ქართულ მწერლობაში, — არც ისტორიულში, არც მხატვრულში, არ გვხვდება.

„ხატაეთის“ გარდა ჩვენს გულისყურს პოემაში შემდეგი გარემოება იპყრობს: ინდოეთი აქ წარმოდგენილია როგორც ძლიერი (387) და დამოუკიდებელი სახელმწიფო; მისი გაერთიანება დასრულებულა საჩიდანის „შეწყნარებით“ (313—314) და მისი სამფლობელოს შემოერთებით; ნესტანის მამა „თვით იყო მპყრობელი, მეფეთა ზედა მფლობელი“, ამასთან „ომად მძლე, რაზმთა მწყობელი“ (311). ინდოეთის მეფის დიადობასა და სწორუპოვრობას სცნობენ არა მარტო პატარა მეფეები, როგორც არიან ფრიდონი და მელიქ-სურხავი, რომელნიც თავისთავს აღიარებენ ტარიელის „მონად“ (636, 641) და „მოახლედ“ (1442), არამედ დიდი არაბეთის მფლობელნიც (როსტევიანი), რომელიც ტარიელს „შორს უკუღვა, თაყვანისცა, კვემიწადის დაუვარდა“ (1524) და მოებოდიშა: „აწ, მეფეო, არ ეგების ჩენი სხლომა თქვენად სწორად“ (1555), რადგანაც „მეფე ხარ ყოველთა მეფეთა“ (1554). ინდოეთის მეფესთან დამოყვრებას სიხარულით ეგებება და ბედნიერებად სთვლის დიდი ხვარაზშეაკ კი (615). დამოუკიდებელი, სუვერენული ინდოეთი იმდენად ძლიერია, რომ აგრესიულ პოლიტიკასაც კი აწარმოებს სხვების, მაგალითად, ხატაეთის მიმართ. ერთი სიტყვით, ის სურათი ინდოეთისა, რომელიც პოემაშია მოცემული, ნებას იძლევა გავიმეოროთ ტარიელის სიტყვები: „იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა საჯდომია“ (564). ახლა გავითვალისწინოთ ზოკლედ და ზოგად ხაზებში ინდოეთის წარსული. მას შემდეგ, რაც მამულდ ლაზნევიდმა XI საუკუნის დამდეგს დაიპყრო ინდოეთი, ის მულამ სხვის ბატონობას განიცდიდა: ჯერ ის ლაზნევიდთა ხელში იყო (სატახტო ქალაქი ლაზნა); ლაზნევიდთა ბატონობა შესცვალეს 1187 წელს გურიდებმა (სატახ. ქალაქი ლაპორი ინდოეთში); უკანასკნელთა მოსპობის შემდეგ (1216 წ.) ინდოეთი თანდათან იშორებს მონობის უღელს, 1227 წლიდან კი საბოლოოდ თავისუფლდება და ექცევა თავის საკუთარს, ინდოეთის, საზღვრებში (სატახტო ქალაქი დეკლი) ილთუთმიშის ხელქვეით. უკანასკნელმა დამოუკიდებელ ინდოეთში შექმნა დინასტია „გურიდთა მონებისა“ (მამლიუკებისა), რომელიც 1290 წლამდე არსებობდა¹. ინდოეთის წარმოდგენა ისეთ ძლიერ და დამოუკიდებელ სახელმწი-

¹ А. Крымский, История Персии, III, 171—172; А. Мюллер, История ислама, III, 184—208, перев. Н. Медникова; В. Бартольд, История Туркестана, № 23—25; არამტოუ ლაზნევიდთა დინასტიამდე, მანამდეც, ჩვენს წელთაღრიცხვამდეც კი, ინდოეთი სხვის ხელში იყო: ბერძნების, სკითების, პართებისა და არაბების (А. Крымский, История Персии и ее литературы, III, 160—170).

ფოდ, როგორც ვეფხისტყაოსანშია, აღნიშნულ დროზე ადრე შეუძლებელია, მაშასადამე, ამაზე ადრე არც პოემის საბოლოო გაფორმებაა მოსალოდნელი¹.

პოემის დათარიღებისათვის უდავო მნიშვნელობა აქვს ყოველდღიური ცხოვრების რეალიებსა და მატერიალური კულტურის მონაცემებს. მაგრამ ეს მეთოდი ნაყოფიერი მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც შინაური ყოფაცხოვრებისა და მატერიალური კულტურის ისტორია კარგად, ზუსტად და ზედმიწევნით იქნება შესწავლილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი შეცდომების ჩადენა იქნება შესაძლებელი, როგორც ჩაიდინა ერთხელ ს. კაკაბაძემ, რომელმაც ამ მეთოდის გამოყენება მოინდომა პოემის დათარიღების მიზნით². ასეთსავე შეცდომაში შეიძლება ჩავარდეს ის მკვლევარიც, რომელიც, პროფ. ნ. ქოიავას მსგავსად, მოინდომებს პოემის დასათარიღებლად გამოიყენოს ის გარემოება, რომ პოემაში ძვირფასი ქვები, ან თვლები, აღმასის ვარდა, გათლილია³. თუ მართალი გამოდგებოდა ნ. ქოიავას მიერ დამოწმებული მეცნიერ-სპეციალისტთა შეხედულება, რომ ძვირფასი ქვების გათლა მხოლოდ XIII—XIV საუკუნეებში დაიწყო, მაშინ ჩვენი პოემაც უთუოდ აღნიშნულ საუკუნეებში უნდა გადაგვეტანა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს შეხედულება მცდარია. ჩვენ რომ ავიღოთ ნიხამი განჯელის „ხოსროვშირინიანი“, რომელიც 1180 წელსაა დაწერილი, ვნახავთ, რომ „გათლილი“ ძვირფასი ქვები აქ ჩვეულებრივი მოვლენაა.

ამრიგად, პოემა თამარის მეფობაში არ უნდა იყოს დაწერილი, ის შეთხზულია თამარის გარდაცვალების შემდეგ. რა მოსაზრებით უნდა დაეწერა პოეტს თამარის გარდაცვალების შემდეგ მისი „ქება“? ამის გასათვალისწინებლად საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგს გარემოებას. „ქება“ აქ უნდა გავიგოთ არა როგორც შესხმა თამარისა პერსონალურად, მისი სულიერი და

¹ ამაზე, შეიძლება, გვითხრან: პოემაში ხვარაზმშაც დიდებულ, ძლიერ და დამოუკიდებელ ხელმწიფედაა გამოყვანილი, თუმცა მას მონღოლებმა 1219 წელს მოუღეს ბოლო და 1227 წელს უკვე აღარ არსებობდა. როგორ აეხსნათ ეს? სულ უბრალოდ: პოეტმა, მართალია ანაქრონისტულად (ის პოეტია და არა ისტორიკოსი), მაგრამ მაინც აღნიშნა ისეთი ფაქტი, — ხვარაზმშას დიადობა და დამოუკიდებლობა, — რომელსაც მართლაც ჰქონდა ადგილი პოემის დაწერამდე რაღაც ათიოდე წლის წინათ, ის კი არ შეეძლო მას, რომ თამარის დროს ელაპარაკა ძლიერი და დამოუკიდებელი ინდოეთის შესახებ, ვინაიდან ასეთი ინდოეთი მხოლოდ 1227 წლიდან ჩნდება სინამდვილეში. ამ წელზე ადრე რომ პოემა -საბოლოოდ გაფორმებული არაა, იქიდანაც ჩანს, რომ „ისტორია-ახმანში“, რომელიც დაწერილია 1222 წლის მანობიდან (კ. კეკელიძე, ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, რუსთაველის კრებულის, გვ. 121—158) და რომელშიაც, თამარის ხელის შეხენულთა ანალოგიად, ჩამოთვლილია სხვადასხვა ლიტერატურული შრომებიდან შეგვარებულია წყვილები, ვეფხისტყაოსნის მაგალითი არაა ნახევნები, თუმცა ყველაზე მკვეთრ მაგალითს ეს პოემა მისცემდა მის ავტორს.

² ვეფხისტყაოსნის მისი პირველი გამოცემა, გვ. 50—56; ამის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 662—666; მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეტობები, გვ. „ტრიბუნა“, 1923 წ., № 509.

³ ენიშქის მოამბე, III, გვ. 76—79; იგივე რუსულად: Сборник Руставели, გვ. 84—86.

ფიზიკური თვისებებისა (ასე გაუგია ეს სიტყვა მეხუთე სტროფის ჩამმატებელს), არამედ მის პიროვნებაში განსახიერებული ბრწყინვალე დროისა, რომლის სული და ხასიათი ასე რელიეფურადაა მოცემული პოემის მხატვრულ სახეებში; თამარი შექმნილია პოემაში „შეფარვით“ (19), როგორც სიმბოლო მისი დროის საქართველოსი. პოემა დაწერილია ქართველი ერის ცხოვრებაში ისეთი კრიზისის დროს, როდესაც მოგონება თამარის პიროვნებისა და, ამასთან დაკავშირებით, მისი ბრწყინვალე შეფობისა წარმოადგენდა მდგომარეობის გამოსწორება-გაუმჯობესებისაკენ მოწოდებას და ამ მიმართულებით მოქმედების სტიმულს; ძველი საქართველოს ისტორიაში თამარის სახელს არასოდეს არ დაუკარგავს ასეთი მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ კ. მარქსის „თერამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“, სადაც შემდეგი აზრია გატარებული: სწორედ იმ დროს, როდესაც ადამიანები ცდილობენ გარდაქმნან თავისი თავი და გარემო საშუარო... სწორედ ასეთი რევოლუციური კრიზისების დროს ისინი იწვევენ დახმარებისათვის წარსულის სულებს. სესხულობენ მათგან სახელს, საბრძოლო პაროლს, კოსტიუმს, რათა წარსულის ტანისამოსში და ნასესხები ენით ახალი მოქმედება გაითამაშონ¹.

რა კრიზისი იყო ეს კრიზისი, რა მდგომარეობაა ის მდგომარეობა, როდესაც თამარის პიროვნებისა და მისი დროის მოგონებას უნდა გამოეღვიძებინა და გამოეფხიზლებინა თანამედროვენი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და მორალური ძილისაგან? ამ საკითხის გასაღები იქნებ პოემის მთავარი მოტივებისა და აზრების გარკვევამ მოგვცეს, იმის გათვალისწინებამ, თუ ავტორი განსაკუთრებით რას უსვამს ხაზს. მართლაც, ხომ არ შეიძლება სერიოზულად ვიფიქროთ, რომ პოეტმა ეს საინტერესო ნაწარმოები შექმნა ვიღაცას გაართობის მიზნით? ცნობილია, რომ მარტო გაართობის მიზნით ხალხური ზღაპრებიც კი არ ითხზებიან, იმათშიაც გარკვეული აზრი და იდეა ჩაქსოვილი. ალბათ, ამ ზღაპრული ამბით პოეტს სურდა პასუხი გაეცა თანამედროვე ცხოვრების საკითხბოროტო საკითხებზე, მალამო დაედო იმ იარაგზე, რომლითაც დასერილი იყო იმდროინდელი საზოგადოების ორგანიზმი. როგორია ეს მოტივები და აზრები?

1. პოემაში, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ქადაგება შეუნელებელი, თავდადებული ბრძოლისა, ბედნიერებისა და კეთილდღეობის მოპოვების მიზნით; გაქირვებაში ჩაყარდნილ კაცს მართებს მამაცობა, მოქმედება და არა წუწუნის და სულით დაცემა: „ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა; ქირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტიკირსა“ (875). აქედან საფიქრებელია, რომ საქართველოს ცხოვრებაში მომხდარა რაღაც ისეთი, რასაც მისი ენერჯია შესამჩნევად მოუღუნებია და, ამასთან ერთად, საზოგადოებაში უიმედობა და დაცემულობა შეუქმნია.

¹ Der achzehnte Brumaire des Louis Bonaparte, Государств. социально-эконом. издательство, 1933 г., стр. 5. შტრ. თარგმანები: რუსული—К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. VIII, Госуд. соц.-экон. издат., 1931 г., стр. 323. ქართული—თერამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, თბ., 1954 წ., გვ. 9—10.

2. გაკირვებიდან გამოსასვლელად აუცილებელია შეთანხმებული, სოლიდარული, მეგობრული და ძმური მოქმედება; მეგობარმა მეგობრისათვის თავი უნდა დასდოს, არ უღალატოს მას: „ვეგომბ კაცსა აუგვიანსა, ცრუსა და ღალატისანსა“ (789). მეგობრული გრძნობა უნდა სცილდებოდეს ეროვნულ ფარგლებს და ინტერნაციონალურ მოვლენად ხდებოდეს. აქედან ჩანს, რომ იმდროინდელ საზოგადოებაში ეს გრძნობა შერყეულა.

3. მეფის წინაშე პატრონ-ყმური რიდი, კრძალულება, შორიდება და სამსახური; „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რზიან“ (440), „ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალია“ (1485), „სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“ (1453-ში). ჩანს, იმდროინდელ საზოგადოებაში შესუსტებულა ეს გრძნობაც.

4. ქალს, მიუხედავად იმისა, რომ ის „ღიაცია“, შეუძლია იყოს მეფედ, მეფობისათვის მარტო მამაკაცი კი არაა შექმნილი, არამედ ქალიც; „თუკა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაზალია“ (39), იმდროინდელ საზოგადოებაში ყოფილან, მაშასადამე, ისეთებიც, რომელთაც ქალის მეფობა საეჭვოდ და შეუძლებლად მიაჩნდათ.

5. სატრფოსადმი სიკვდილამდე ერთგულება, ისეთი, როგორც ახასიათებს პოემის მთავარ გმირებს, სიყვარული მტკიცე, „ხანიერი“ (25) და არა ისეთი, „ღღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა“ (26). ჩანს, იმდროინდელ საზოგადოებაში ყოფილან ისეთი პირები, რომელთათვის საჭირო აღმოჩენილა ასეთი რამეს მოგონება.

პოეტს სურს გამოიყენოს თამარის სახელი, რომელიც ყველას აგონებდა მის ბრწყინვალე მეფობას, სტიმულად აღნიშნული დიფექტების გამოსწორება-აღმოფხვრისა და თავისი პოემის მხატვრულ სახეებში იძლევა ამ დიფექტების საწინააღმდეგო კონკრეტულ მაგალითებს.

ახლა შესაძლოა ნაჩვენები იქნას ის დრო, როდესაც საჭირო იყო ჩვენში ასეთი იდეების ქადაგება. ეს იყო დასაწყისი ხანა თამარის ქალის, რუსუდანის, მეფობისა, 1230 წლამდე დაახლოებით. განვიხილოთ ეს ხანა, აღმოაჩნდება თუ არა მას ყველა ის უარყოფითი მხარეები, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია ჩვენი პოემის მთავარი მოტივები და აზრები?

1220 წლიდან იწყება „განწირვა“ და „ცვალება სვიანობისა ქართველთა ნათესავისა“¹; დავით აღმაშენებლის შემდეგ, სახელოვანი, ძღვევამოსილი ომების გადახსნელნი, ქართველები პირველად იქნენ დამარცხებული მონღოლების მიერ, დამარცხებული სასტიკად, გატლეტილი შეუბრალებლად. შთაბეჭდილება, რომელიც მოუხდენიათ მონღოლებს ქართველებზე, ასეა გადმოცემული ისტორიკოს იბნ-ალ-ასირის მიერ ერთი ქართველის პირით: „თუ ვინმე გეტყვის თქვენ, რომ თათრები უკუნიჰქნენ ანდა ტყვედ დანებდნენო, არ დაუჯეროთ მას. თუ გაიგონებთ, რომ ისინი მოკლულ იქნენო, ეს შეგიძლიათ დაიჯეროთ, გაქცევით კი ეს ხალხი არასდროს არ გაიქცევა. ჩვენ ხელში ჩა-

¹ ეპითალამწერელის ქრონიკა, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, გვ. 560—561; ქვემოთ ყველგან ეს მატარია ნაგულისხმევი.

გვივარდა ერთი თათარი, ის გადმოვარდა ცხენიდან და თავი ქვას დაახეთქა, მოკვდა, მაგრამ ტყვედ არ დაგვნებდა“¹. ის პანიკა, რომელიც დაბადა ჩვენში მონღოლების შემოსევაზე, დიდხანს არ შენელებულა. ამიერიდანო, ამბობს მე-თოთხმეტე საუკუნის ისტორიკოსი, ე. წ. „უშმათაღმწერელი“, მათ, ქართველებს, „არდარა მიეცა ძლევა თათართა ზედა, ვიდრე ეამდმდე ჩუნეთაო“ (გვ. 561). „წელსა მესამესა ლაშა გიორგის მიცვალებისაგან“ (გვ. 566), ესე იგი—1225 წელს, დე ფ რ ე მ ე რ ა ის ცნობით, განძაქისაგან უქუნიტეული, შირვანში ძლეული და აღდგომიჯანში დამარცხებული ქართველები შეიქნენ მსხვერპლი ჯელალ-ედ-დინ ხვარაზმელის უსაშინელესი თავდასხმისა და აწიოკებისა. ისეთი სამარცხვინო დამარცხება, რაც მათ გარნისის ომში იწვენიეს, ქართველებს არ განუცლიათ არასდროს. 1225 წლიდან 1230 წლამდე ჯელალს არ შეუწყვეტია, პირადად თუ თავისი სარდლობის მიერ, საქართველოს რბევა, წვა და ტყვევნა, ხოლო ის უბედურება, რაც მან თავს დაატეხა თბილისს 1227 წელს, შეუძლებელია აღწერილ იქნას. ეს უბედურება, ეს „სრულიადი მოსპოლვა ქართველთა ნათესავისა“ (გვ. 570), თანამედროვეთა შეგნებით, „იქმნა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩუნეთა“ (გვ. 560), იგი შედეგი იყო ღვთის რისხვისა: „ვითარ არა განიცადეს ღმერთი, მისცა იგინი ღმერთმან უჯეროდ გინებად და ხოცად წარმართთა“ (გვ. 565). მათში ფეხი გაიღვა რწმენამ: „დაუღგრომელ არს მინდობა სოფლისა ამის ამაოხსა, ყოველივე ამაო არს, გარნა საუკუნოჲ იგი უქუდავი ცხოვრებაჲ“ (გვ. 591). ასეთმა შეგნებამ მოადუნა მათი ენერჯია, გამოიწვია მათში აპატია, ცრემლები და ვეება, იქამდის, რომ „ძლიერნი და სახელოვანიც კი შეიცვებოდეს სულთქმითა და მწუხარებითა“ (გვ. 561). აი, ამ უბედურების დროს, ასეთი სულიერი განწყობილებისას საქირო იყო როგორც მოგონება თამარის ბრწყინვალე სახელისა, ისე ლოზუნგები: „ქირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქეიტკირსა“ (875) და „აწ შევებნეთ ხატაელთა, ხრმალნი ცუდად რად ვებაიან“ (440), გინა თუ: „ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა“ (544).

ქვეყნის ასეთს დამარცხებას, დამცირებასა და გავერანებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქართველთა შორის შესუსტდა ერთობის, სოლიდარობისა და ძმობა-მეგობრობის გრძნობა. მემატიაანის სიტყვით, მათ „დაუტრევეს სიყუარული, სიწრფივება, სიმართლე და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავნება, ზაკვა, შური, ჯდობა, სიძულვილი და კვლანი“ (გვ. 580—581). განსაკუთრებით ხაზს უსვამს მემატიაანე შურს; გარნისის ომში სამარცხვინო და სასტიკი დამარცხება, მისი სიტყვით, შედეგი იყო ამირ-სპასალარის ივანე ათაბაგის შურისა წინამებრძოლთა ივანე და შალვა ახალციხელების მიმართ. „დაიპყრა ფერკი ივანე ათაბაგმან“ (გვ. 567); კრიტიკულ მომენტში ახალციხელებმა ორჯერ მიმართეს ივანე ათაბაგს თხოვნით—მიშველებოდა ის მათ თავისი ჯარით, „ხოლო იგი არა მიუღებოდა“ (გვ. 568), შემადრწუნებელი და საშინელი სისხლის ღვრის დროს ივანე ათაბაგი და მისი ჯარი „ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა ქრისტეს

¹ А. Крыжский, История Персии и ее литературы, III, 3—4.

აღმსარებელთა, თორელთა და მათ თანა მრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორის, და არა ინება შეველა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურიითა ჰყოფდა და არა შიშითა“ (გვ. 568—569). იგონებს რა ამას, გემპტიანე მწარე გრძნობით შენიშნავს: „პოი შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი და ძკრადმომწყუდიდელი კაცთა ნათესავეისა და ყოველთა ნათესავთა მწყველელი“! (გვ. 567). შესუსტებულა ამ დროს ის სოლიდარობა, რომელიც აერთიანებდა წინამეფობაში, განსაკუთრებით თამარის დროს, საქართველოს ფარგლებში შემავალ ქართველებსა და არაქართველებს. ყოველ შემთხვევაში, ჯეღალ-ედ-დინის 1227 წელს თბილისი აუღია ამ ქალაქის კარისმცველ სპარსთა შინაგამცემლობის წყალობით. ქალაქის მცველ „მემნას სპარსმან ვინმე აფთითა ძლიერ უხეტქნა უმუზარადოსა თავსა, განუპო და მყის დაეცა და მოკუდა. და შეიქმნა შიგნით ომი, რამეთუ განუხვენეს კარნი სპარსთა ტფილელთა. ესრეთ შინაგანცემა იყო ქალაქისა და ივტოდღეს მცველნი ქალაქისანი“ (გვ. 575—576). ახლა, ასეთს პირობებში საჭირო იყო პოემის ლოზუნგები: „ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ლალატიანსა“ (798), „ვინცა კაცმან ძმა იძმოს თუ დაცა იდოს, ხამს თუ მისთვის სიკვდილსა და კირსა თავი არ დაპრიდოს“ (306), „რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტებელსა“ (736). ამ გაჭირვების დროს ჰქონდა სწორედ აზრი ინტერნაციონალური მეგობრობისა და გრძნობის გამაღვიძებელ ქადაგებას და თამარის დროის, ზღვიდან ზღვამდე გადაჰიშული, საქართველოს მოგონებას.

მდგომარეობის სიძნელეს ართულებდა თვით რუსუდან დედოფალიც. რუსუდანი მოკლებული იყო თავისი დედის, თამარის, სახელმწიფოებრივს ნიჟს, ტაქტს, შორსმხედველობას და პირადი ოჯახური ცხოვრების მორალურ სიფაქიზეს. ამას უნდა შეესუსტებინა რუსუდანიმადმი, როგორც მონარქიული ხელისუფლების წარმომადგენლისადმი, პატივისცემა, რიდი და პატრონ-ყმური კრძალულება.

ამას თან დაემატა პრინციპული რწმენა და მოსაზრება გარკვეული წრეებისა, რომ რუსუდანის მეფობა, როგორც ქალისა, შეუძლებელი და დაუშვებელია. ასეთი რწმენა არ იყო ახალი, იმას იმ დროს თავისი ისტორია ჰქონდა. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა მიტქმა-მოთქმა გამოიწვია თავის დროს თამარის, როგორც ქალის, გამეფებამ. თუ თამარმა თავისი პირადი თვისებებით და ღირსებით შეასუსტა ექვეები მისი, როგორც ქალის, მეფობის შესაძლებლობის შესახებ, რუსუდანმა, რომელსაც არ ახასიათებდა თანამედროვეთა მომხიბვლელი თვისებები თავისი დედისა, გარკვეულ წრეებში უფრო გააძლიერა ეს ექვეები. ამ ექვეებს რომ მართლაც ჰქონდა ადგილი რუსუდანის მიმართ, ეს მკვეთრად გამოჰქვანდა რამდენიმე ხნის შემდეგ ყარაყორუმში მონღოლთა ყანვის წინაშე, სადაც სწყუდებოდა საკითხი ორი პრეტენდენტის—ულუ დავითისა (ლაშა გიორგის შვილის) და დავით ნარინის (რუსუდანის შვილის) შესახებ ულუ დავითის მომხრე „თმოგველი სარგის ძლიერად წინააღმდეგობდა ნარინ დავითს და რომელნი მის წინაშე იყვნეს თანაზრდილნი მისნი, რამეთუ ეტყოდა: არა ჯერ არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან თვითმპყრობელისა შეფისა და მამაკაცისამან“ (გვ. 649). რო-

გორც ჩანს, ულუ დავეითის მომხრენი დავეით ნარინის მეფობის კანონიერებას იმიტომ უარპყოფდნენ, რომ ნარინი ნაშობი იყო დედაკაცისა და არა თვით-მპყრობელი მამაკაცისა; მაშასადამე, ისინი პრინციპულად უარპყოფდნენ რუსულანის, როგორც ქალის, მეფობასა და თვითმპყრობელობას.

თუ ყველაფერი ეს მხედველობაში გვექნება, გასაგები გახდება, ერთი მხრით, მოხსენება პოემაში თამარის სახელისა, მეორე მხრით, დემონსტრაცია იმაში ნამდვილი მიჯნურობისა და, სიყვარულისა არა თეორიული მსჯელობით მართო (პროლოგი), არამედ გამოყვანილ გმირთა კონკრეტულ მაგალითზე, შესამე მხრით—ქადაგება იმაში მეფისადმი პატივისცემის, რიღისა და კრძალულება-ერთგულებისა და, დასასრულ, ხაზგასმა იმისა, რომ ქალსაც შეუძლია მეფობა, მიუხედავად იმისა, რომ ის ქალი, „ღიაცია“.

ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსანი თამარის სახელისა და მისი მეფობის შოგონებით ამათრახებს რუსულანის დროისა და მისი პირადი ცხოვრების ანომალიებს.

მას, პოემას, მხედველობაში აქვს რუსულანის მეფობის დასაწყისი ხანა; ეს ხანა 1230 წელს არ უნდა სცილდებოდეს, რადგანაც ჯეალ-ედ-დინის სიკვდილის შემდეგ 1238 წლამდე, როდესაც მონღოლებმა საბოლოოდ დაიპყრეს საქართველო, აქ შედარებით სიმშვიდეა, ყოველ შემთხვევაში, ისეთ საშინელებას აღარ აქვს აღვლილი, როგორსაც 1230 წლამდე ჰქონდა. აქედან ცხადია, პოეტიც ამავე დროს ცხოვრობდა. ის უეჭველია, თამარის მეფობის შეგნებულს თანამედროვე და მომსწრე იყო; მას, როგორც თამარისა და მისი მეფობის „მაქებარს“, სურათი თეოდალურ-არისტოკრატიული და ბრწყინვალე სამეფისკართ ცხოვრებიდან, რომელიც ასე რელიეფურადაა მოკვებული პოემაში, მისი, თამარის, დროისა და სასახლის ცხოვრებიდან აქვს აღებული. ამიტომ, ფართო გაგებით, პოემა თამარის ეპოქის (და არა მეფობის) ნაწარმოებადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ¹.

¹ სპარსელი პოეტის ხაკანის ერთ-ერთ ნაწარმოებში მის მკვლევარს ყურადღება მიუქცევია ორი მისი მეტოქის განქიქებისათვის შემდეგი სიტყვებით: „ჩემი გულის დარდის მიზეზი დღეთა ჩარხის ტრიალი კი არ არის, (არამედ) საქციელი ჭანჭელი ძალისა და ძრახვა რუსთა-ს (ხარ-ერუსთა) ვირისა“. მკვლევარს დაუსვამს საკითხი: „რუსთა-ს ვირად“ ხაკანი რუსთაველს ხომ არ გულისხმობს? თუმცა ეს საეჭვოდ არის მიხედვით მიჩნეული, მაგრამ მაინც ნათქვამია: თუ დასაშვებია რუსთაველისა და ხაკანის ნაცნობობა და შეხვედრა, ამას ადგილი უნდა ჰქონოდა არაუგვიანეს 1174 წლისა (Сборник Руставели, изд. Груа. Флинта Акаде. Наук, გვ. 21—27). ვფიქრობთ, ეს თარიღი ნაადრევია რუსთაველისათვის იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მის მიერ პოემის დაწერას თამარის მეფობაში დაესდებოდა. თან არ არის საბუთი დაუშვით მეტოქეობა ორს სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ენაზე მწერალ-პოეტთა შორის, მით უმეტეს, რომ ხაკანი თავის მეტოქე „რუსთა-ს ვირს“ აბრალებს მხოლოდ იმას, რომ „ის, როგორც კალია, იყ სპობს საოწმუნოების ყანაზე აღმონაცენს“, ესე იგი—სარწმუნოების ნიღილიზმს, იგულისხმება მამადიანურს და არა ქრისტიანულს. ქრისტიანული ნიღილიზმისათვის ხაკანი, რასაკვირველია, არ აღელდებოდა და თავს არ გამოიდებდა, უარყოფა კი მამადიანობისა ქართული პოეტის მიერ მისთვის არც ისე მოულოდნელი და გულისდამწველი უნდა ყოფილიყო.

ასეთი დათარიღების საწინააღმდეგოდ ორ მოსაზრებას აყენებენ. პირველი: პოემა იცნობს და ასახელებს აღმოსავლეთის ისეთ ერებსა და ქვეყნებს, როგორცაა ინდოეთი, სპარსეთი, არაბეთი, ხატაეთი, თურქეთი; მონღოლები და მათი სამეფო იმაში ერთი სიტყვითაც კი არაა მოხსენებული. როგორ აეხსნათ ეს, თუ ის დაწერილია მონღოლთა შემოსევის შემდეგ? ამაზე ჩვენ ვუპასუხებდით: შიგ პოემაში არც საქართველოა პირდაპირ დასახელებული, ნუთუ ამიტომ ის პოემის დაწერისას არ არსებობდა? მონღოლები არ არიან პოემაში მოხსენებულნი იმიტომ, რომ ისინი ჯერ გაბატონებულნი არ არიან, 1220—1221 წლის შემდეგ 1238 წლამდე ისინი არც გამოჩენილან აქ, მაშასადამე, ჯერ იმდენად პოპულარული არ ყოფილან ჩვენში, როგორც სხვა, ზემოჩამოთვლილი ერები და ქვეყნები. სხვა საქმეა, მაგალითად, ხვარაზმელები, რომელნიც 1225—1230 წლებში შეუწინებელი არბეიდნენ ჩვენს ქვეყანას და რომელნიც ხაზგასმულნი არიან პოემაში. იქნება ხვარაზმელები შეიღობილნი იმდროინდელ სიძელ ვახდომისა და აქ მისი გამეფების განზრახვა, რომელიც, პოემით, ვერ განხორციელდა, სიტყვაგადაკვრით გულისხმობდეს ჯალალ-ედ-დინ ხვარაზმელის სურვილს რუსუდანის ცოლად შერთვისა და საქართველოში გამეფებისას, რომელიც აგრეთვე უშედეგოდ დარჩა (გვ. 573—574)! მოვიგონოთ ამ შემთხვევაში პოემის: „ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გავვიხასდენ“ და „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ქამასა“!

მეორე: ვეფხისტყაოსნიცბური ნაწარმოების დაწერა მოსალოდნელია მხოლოდ თამარის ბრწყინვალე მეფობაში და არა მონღოლების შემოსევის შემდეგ, როდესაც ბოლო მოეღო ყოველგვარ კულტურულ შემოქმედებას და ჩვენში წყვდიადი და ბნელეაი დამკვიდრდა¹. ასეთი აზრი ანარეკლია იმ ყალბი შეხედულებისა, რომელიც დამყარებულია ისტორიოგრაფიაში მონღოლთა შემოსევის შესახებ. საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს, შემოდგეს თუ არა მონღოლებმა ჩვენში ფეხი, იმწამსვე ბოლო მოეღო კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას. ეს ასე არ არის: მეცამეტე საუკუნის ორმოცდაათიანსამოციან წლებამდე, როდესაც მონღოლებმა გაანადგურებელი ეკონომიური პოლიტიკა დაამყარეს ჩვენში, არ მოსპობილა აქ ის კულტურულ შემოქმედებითი, კერძოდ ლიტერატურული მუშაობა, რომელიც ცნობილი იყო წინათ, და არც შეიძლებოდა მოსპობილიყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, პოლიტიკურ-ეკონომიური ცვლილება ერის ცხოვრებაში იმწამსვე არ იწვევს კულტურულ ცვლილებას, უკანასკნელი თავს იჩენს „ნელად თუ სწრაფად“, ესე იგი—ადრე თუ გვიან.

III. სუჟათის საკითხები

საკითხი შემდეგშია: ის მასალა ან, უკეთ ვთქვათ, ზღაპარი, რომელიც პოემაში ასე საუცხოოდ და მოხერხებულადაა გაფორმებული, თვით პოეტის მიერაა შეთხზული, თუ იმან გამოიყენა მის დრომდე ანდა მის დროს არსებუ-

¹ იუსტ. აბულაძე, მისი პირველი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა, შესავალი, გვ. X—XI

ლი ამბავი, უცხოური თუ თვით საქართველოში შექმნილი? ეს მასალა, ზღაპარი; კიდევაც რომ „ნასესხები“ აღმოჩნდეს, ამით, რასაკვირველია, პოემის ორიგინალობას და რუსთველის პოეტურ ბუმბერაზობას ისე არა დააკლდება რა, როგორც არ აკლდება არაფერი შექსპირს, გოეთესა და მათ თხზულებებს იმით, რომ ამ თხზულებებში დამუშავებულია „ნასესხები“ ამბები. მაგრამ საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია თავისთავად, იმდენი მითქმა-მოთქმა იყო და არის იმის ვარშემო, რომ ვეფხისტყაოსნის მკვლევარს უფლება არ აქვს მას გვერდი აუაროს; ამიტომ ჩვენც უნდა შევიჩერდეთ იმაზე.

ამ საკითხის ვარშემო ორგვარი შეხედულება არსებობს. ერთი რიგი მკვლევარებისა ფიქრობდა და ფიქრობს, რომ ზღაპარი ან ამბავი, რომელიც გაშლილია ვეფხისტყაოსანში, ნასესხებია პოეტის მიერ. მხოლოდ ეს „სესხება“ მეტნიერ-მკვლევართა ამ ფრთას სხვადასხვანაირად აქვს წარმოდგენილი. ა) ამბავი პირდაპირი თარგმანია ერთ-ერთი სპარსული თხზულებისა (ნ. მარი); ბ) ის ზღაპრის სახით დადიოდა აღმოსავლეთში, ლიტერატურულად დამუშავდა სპარსეთში, მერე ითარგმნა ქართულად პროზის სახით და ვალექსიდ იქნა რუსთველის მიერ (იუსტ. აბულაძე); გ) აღმოსავლეთში მოარული ამბავი უხსოვარი. დროიდან შემოვიდა ჩვენში, აქ ფეხი მოიკიდა და მერე გამოყენებულ იქნა რუსთველის მიერ (ა. ხახანაშვილი); დ) ზღაპარი წმინდა ქართული ქმნილებია, საქართველოში, ხალხში შექმნილი, მხოლოდ გაცილებით ადრე რუსთველამდე (მ. ჩიქოვანი). ასეა თუ ისე, გამოდის, ზღაპარი რუსთველს არ ეკუთვნის, ამიტომ, ამ თვალსაზრისით, პოემა ორიგინალური არაა.

„სესხების“ თეორიის პირველი ვარიანტის წარმომადგენელია აკად. ნ. მარი, რომელიც 1890 წელს გაზეთ „თეატრი“ (№ 12), აღ. ხახანაშვილის საპასუხოდ, წერდა: „კითხვა: ვისი ქმნილებაა ვეფხისტყაოსანი, ერის თუ რუსთველის, უნდოდა და დასმული. თვალსაჩინო საკითხი აქ ეხება თვით შინაარსს; თუ ეს ასეა და ჯერ ვინ დაამტკიცა, რომ რუსთველი ცრუმობს და ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან არ არის გადმოთარგმნილი? ან ის, რომ ვეფხისტყაოსანი ქართული ქმნილება არის შინაარსის მხრითაც, ვინ დაგვიმტკიცა?... მე სრულ კეშმარიტებად მიმაჩნია რუსთველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი უნდა გაეღეკოს. რამდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გააქრეკლა ან შეამოკლა, ამაზედ სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავ. სპარსულ დედანში თვით ტარიელის და ნესტან-დარეჯანის ამბავი უნდა იყოს, თვით სახელებიც კი: ტარიელი გადმოქართულებული სპარსელი კაცის სახელია, სპარსულად ითქმის შაჰრიერი და ნიშნავს ხელმწიფეს, ხოლო ნესტან-დარეჯანი აგრეთვე სპარსელი ქალის სახელია; სპარსულად ითქმის ნესტან დარი-ჯეჰან და ნიშნავს სიტყვა-სიტყვით „არ არის ქვეყანაზე“, ხოლო აზრით—„არ არის ქვეყანაზე მსავსი მისი“, ესე იგი უებრო... ველი ცნობებს ერთ-ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება, ლონდონში, და იქნება თვით ვეფხისტყაოსნის დედანია, რადგან ხელნაწერი შეიცავს შაჰრიერი-ნამეს, ესე იგი—წიგნს შარიერზე (ტარიელზე), რომლის ამბავი ინდოეთში მომხდარა“. ამრიგად, ნ. მარის აზრით, ვეფხისტყაოსანი

სპარსული შაჰრინამეს უბრალო თარგმანია. მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ ბრიტანულ მუზეუმში ვეფხისტყაოსნის დედანი არ აღმოჩნდა, შემდეგი დროის რუსთველოლოგიურ შტუდიებში მან თანდათან შეარბილა თავისი შეხედულება, იქამდის, რომ განაცხადა: „ამ, ლექსად გადმოკეთებულს, სპარსულ რომანში ჩვენ გვაქვს შეგნებული დასურათხატება ქართველი ავტორის ნაცნობი ტიპებისა და მოვლენებისა პოეტური იფაგ-გაკერით, რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნებოდა თანამედროვეთათვის“. მაგრამ იმ აზრსა და რწმენას, რომ სუეტეი ნასესხებია, ის სიკვდილამდე შერჩა; „сюжет поэмы — персидская сказка, все ее герои — чужеземцы с востока, мусульмане по религии“, აი, მისი უქანასკნელი სიტყვები რუსთველოლოგიაში¹.

არსებითად ამავი შეხედულებას ემხრობა „სესხების“ თეორიის მეორე ვარიანტის წარმომადგენელი იუსტ. აბულაძე თავის გამოკვლევებში ვეფხისტყაოსნის შესახებ; მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი გადმოგვცემს არაბეთში წარმოშობილს სადევმბირო ზღაპრულ ამბავს, სპარსეთში ლიტერატურულად შემუშავებულს, სპარსულიდან ქართულ ლიტერატურაში პროზით შემოსულს და მერე რუსთველის მიერ გალექსილს, რომელშიაც გენიოს პოეტს ნასესხები ჩონჩხისათვის მიუმატებია სხვადასხვა წყაროდან ამოღებული ეპიზოდები და ზოგიერთი დეტალი ქართულ ყაიდაზე გადაუკეთებია, როგორც, მაგალითად, დევების შესახებ თქმულება—ქაჯთა შესახებ თქმულებადღაო².

მოყვანილი შეხედულებისაგან დიდად არ განსხვავდება ა. ხახანაშვილის აზრი, ვითომც ვეფხისტყაოსანში მოცემულია აღმოსავლეთში მოარული ამბავი, რომელიც ჩვენში შემოვიდა არა ლიტერატურული, არამედ ზეპირი თქმულების გზით და ქართული ზღაპრის ხასიათი მიიღო.

მთავარ არგუმენტს აღნიშნულ შეხედულებათა წარმომადგენლებს აძლევს პოემის პროლოგისა და ეპილოგის შემდეგი სტროფები:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგამანები,
გოჭუ და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ სატოქმანები,
ჩემმან ხელ-შემგელმან დამმართოს ლაღმან და ლაშაზმან ნები. (9)

მო, დავსხდეთ, ტართელისთვის ცრემლი ჯდის შეუშჩობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინცა ყოფილა შობილი!
დავუკუ, რუსთველმან გაეღუქსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
აქამდის ახმად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი. (7)

დავითის ქნანი ვითა ვთქვენ, სიხალბე-სიხაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი შათ მეფეთანი,
ვაოუენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი. (1667)

¹ Язык и история, I, 1928 г., стр. 28—41.

² აბ. მისი „მე-12 საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი“.

გარდა ამისა, ამ შეხედულებათა წარმომადგენელნი თავიანთ აზრს შემდეგზე ამყარებენ: პოეტს მოქმედება აღმოსავლეთის ქვეყნებში გადაუშლია, მის ნაწარმოებში მრავლადაა არაბულ-სპარსული სიტყვები, მოქმედ პირთა სახელები მაჰმადიანურია, რელიგიითა და ზნე-ჩვეულებებითაც ისინი მაჰმადიანები არიან. რა გვეთქმის ამის შესახებ?

ჩვენ მაინცაღამაინც დაეინებით არ ვიტყოდით, რომ სტროფი: „ესე ამბავი სპარსული“ (9) უალბია და რუსთველს არ ეკუთვნის¹, ვფიქრობთ, ასეთი რამე შეეძლო მას ეთქვა სხვადასხვა მოსაზრებით, ცნობილია, რომ რუსთველის ეპოქაში სპარსულ ეპიკურ-რომანულ ნაწარმოებთ ჩვენში დიდი გასავალი ჰქონდა, მათზე დიდი მოთხოვნილება იყო, ისინი ჩვენს მწერლობაში მისაბად ნიმუშებად ითვლებოდნენ; ამიტომ ეს სიტყვები შეგვიძლია გავიგოთ როგორც მითითება, რომელსაც განსაკუთრებული წონა და მნიშვნელობა უნდა მიეცა ვეფხისტყაოსნისათვის მისი მოქცევით ცნობილ, ავტორიტეტულ თხზულებათა წრეში. ასეთი მაგალითი არც ისე იშვიათია ლიტერატურის ისტორიაში; ასე, მაგალითად, „საშუალო საუკუნეთა ზოგიერთი მწერალი ბიზანტიაში თავის საკუთარ თხზულებას, რათა მისთვის მეტი ავტორიტეტი და პოპულარობა მოეპოვებინა, თვითონ მიაწერდა ხოლმე ამა თუ იმ გამოჩენილსა და საყოველთაოდ ცნობილ ავტორს. ასევე იყო დასავლეთშიაც, სადაც მწერლები, რომელნიც ვულგარული ენით წერდნენ, ხანდახან მიუთითებდნენ ხოლმე ლათინურ წიგნს, საიდანაც მათ თითქმის ამოღებული ჰქონდათ ესა თუ ის ფაბულა ან საერთოდ რაიმე მასალა². ასეთი განცხადებით, მეორე მხრით, ჩვენი პოეტი ერთგვარად იმ წრესაც დაამშვიდებდა, რომელშიაც სატრფიალოსამიჯუნრო პოეზია, როგორც „სპარსთა ზღაპარი“ და „სპარსული გოგო-ბიჭობა“, როგორც „უსარგებლო თქმულება“ და „უცუდად ლაყფობა“, ქრისტიანი ავტორისათვის ოდიოზური მოვლენად იყო მიჩნეული.

გაუგებრობად მიგვაჩნია მტკიცება იმისა, რომ, რადგანაც პოემით მოქმედება აღმოსავლეთის ქვეყნებშია, — ინდოეთი, სპარსეთი, არაბეთი, — გაშლილი, ამიტომ ის ორიგინალური არაა. განა ლიტერატურაში ცოტაა ისეთი მაგალითი, როდესაც ამა თუ იმ ეროვნების ავტორს მოქმედება უცხო ქვეყანაში გადაუტანია, განა ის თხზულება არ შეიძლება ორიგინალური იყოს, რომელშიაც მოქმედება უცხო ქვეყნებშია გაშლილი და „უცხონი ამბავნი უცხოთა ხელმწიფეთანი“ არის მოთხოვნილი? მაშინ ჩვენი „ომანიანიცა“ და მთელი რიგი რომანებისა ალორძინების ხანიდან არ იქნებიან ორიგინალური!

რაც შეეხება უცხო, არაბულ-სპარსული, სიტყვებისა და სახელების გამოყენებას პოემაში, აგრეთვე მაჰმადიანური ზნე-ჩვეულების წარმოდგენას, ვერც ეს გამოდგება პოემის არაორიგინალობის არგუმენტად. განა უცხო სიტყვები და სახელები არ შეიძლება იყოს ორიგინალურ ნაწარმოებში? უცხო

¹ ამას ვერ ვიტყვით სხვა ორის (7, 1667) შესახებ, მათი ორიგინალობის დამტკიცება ძნელი და უშიშრო საკმეა.

² V. Chichmaroff, Chotha Rousthavéil (quelques parallèles et analogies) ენიშნის მოამბე, III, გვ. 254, 232.

სიტყვები, ფარსიზმები და არაბიზმები, აქ ნასესხობის ნაშთი კი არ უნდა იყოს, არამედ თვით პოეტის ენის თავისებურება; ეს სიტყვები ქართულ მეტყველებასა და მწერლობაში შესაძლებელია შემოსულიყო გაცილებით ადრე, ვიდრე რუსთველი თავის პოემას დასწერდა, მისი დროისათვის ამ სიტყვებს, ალბათ, მოქალაქეობა ჰქონდა მოპოვებული ჩვენში. იუსტ. აბულაძის აზრით, პოემის სუფეტის უცხოურობის საუკეთესო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს ქართული ლექსიკონისათვის სრულიად უცხო არაბული და ირანული სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, აჯაბი, ვამი, ხალვათი¹. ჩანს პროფ. იუსტ. აბულაძემ არ იცის, რომ „აჯაბი“ ჯერ კიდევ ამირანდარეჯანიანში გვხვდება (ზ. კიქინაძის გამოცემა, გვ. 121, სტრიქ. 11; ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 85, სტრ. 34), „ვამი“ იხმარება თამარის პირველ ისტორიაში; რომელსაც „ისტორიანი და აზმანი“ ეწოდება (ქართ. ცხოვრება, მარიამის ვარიანტი, გვ. 392, სტრიქ. 9), „ხალვათი“ ჩვეულებრივია ქართულ ლიტერატურაში, ის, მაგალითისათვის, არჩილ მეფესაც უხმარია: „მიმიხმო ხალვათად“².

ესევე უნდა ითქვას საკუთარი სახელების შესახებ: ვინ თქვა და ვინ დაამტკიცა, რომ პოემაში ხმარებული სახელი არცერთი ქართული არაა, ანდა არაქართული სახელი სპარსული ორიგინალიდან შემოვიდა? რა გარანტია გვაქვს იმისი, რომ ეს სახელები რუსთველამდე არ იყო ჩვენში ცნობილი, ისე როგორც, მაგალითად, რამინი ვისრამიანის სპარსულად დაწერამდე და ქართულად გადმოთარგმნამდე (იხ. ზემოთ გვ. 57)? განსაკუთრებით ეს უნდა ვთქვათ ტარიელის შესახებ. მცდარია, როგორც პროფ. იუსტ. აბულაძემ გარკვეა, აკად. ნ. მარის ეტიმოლოგიური განმარტება, რომლითაც „ტარიელი“ გაიგივებულია სპარსულ „შაპარი“-თან; ჩვენ აქ გვაქვს წმინდა ირანული სახელი „დარიელ“³; ეს სახელი, იმავე იუსტ. აბულაძის ჩვენებით, ჯერ კიდევ XI საუკუნის მემატრიანეს აქვს მოხსენებული. მაგრამ ჩვენ ვიტყვით, რომ ის გაცილებით უფრო ადრეა ქართველთა შორის შემოსული, ბიბლიის თარგმანთან ერთად, მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში. ამ თარგმანში უძველესი ირანის მეფის დარითოს სისტემატურად „დარიელ“ ეწოდება⁴. იშვიათია ისეთი ბიბლიური სახელი, რომელიც ჩვენში ეროვნულ სახელოდ არ ქცეულა იყოს, მაშადაამე. რა გარანტია გვაქვს იმისი, რომ „დარიელ—ტარიელ“-იც ბიბლიიდან არ შემოვიდა ჩვენში გაცილებით ადრე ვეფხისტყაოსნის დაწერამდე?

ახლა მოქმედ პირთა მამამლიანური რელიგიისა და ზნე-ჩვეულების შესახებ. გაუგებარი და არაბუნებრივი იქნებოდა, რომ პოეტს, რომელსაც საკიროდ დაუნახავს მოქმედების გაშლა მამამლიანურ ქვეყნებში, წარმოედგინა არა მამამლიანური რელიგია და ზნე-ჩვეულება, არამედ, ვთქვათ, ქრისტიანუ-

¹ ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის საკითხთა კვლევის ისტორია, კრებული: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 210.

² არჩილიანი, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, ტ. II, სტრ. 404, 1.

³ ვეფხისტყაოსნის ორი უმთავრესი გმირის სახელის „ტარიელ“ და „ავთანდილ“ ეტიმოლოგიისათვის, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 182—184.

⁴ ბიბლია, საქართვ. საზ. მუზეუმის ხელნაწერი A570, აღწერილი მ. ჯანაშვილის მიერ; იხ. მისი ნაშრომი, № 3, თბ., 1910 წ., გვ. 61.

ლი. ტყუილად ცდილობდა აკად. ნ. მარი ირონიულად მოეცილებია თავიდან ეს მოსაზრება: რუსთველი ებერსის მსგავს რეალისტურ-ისტორიულ რომანსკი არ წერსო¹. ქართველებს რომ არ ჰქონოდათ წარმოდგენა მაჰმადიანებსა და სამაჰმადიანო ქვეყნებზე, მათ შეეძლოთ ისინი თავისი საკუთარი თავით წარმოედგინათ, მაგრამ შეიძლება ამისი თქმა? საჭიროა აქ მოყვანილ იქნას პროფ. ვ. შიშმარიოვი ეს საულისხმო სიტყვები: „საშუალო საუკუნეთა ფრანგები დიდხანს ხატავდნენ სარკინოზთ, ან საქსონელ-გერმანელთ ისე, როგორც ფრანგებს; საშუალო საუკუნეების მინიატურებში—დაბადების სუეტიებით—ებრაელები, ჩვეულებრივ, არაფრით არ განირჩევიან პარიზის ან ფლანდრიის მოქალაქეთაგან. მაგრამ სარკინოზთა და ებრაელთ, და მით უფრო ალექსანდრე მაკედონელის მხედრობას, ისინი ხომ იმ დროს კონკრეტულად ვერ წარმოიდგენდნენ, რადგანაც არ იცნობდნენ მათ, ან, თუ იცნობდნენ, მხოლოდ ყურის მოკერით. სულ სხვაა ქართველები, რომლებიც მაჰმადიანთა გვერდით და მათთან მკიდრო კონტაქტში ცხოვრობდნენ. დროთა განმავლობაში იგივე მოხდა დასავლეთ ევროპაშიაც. ქართველებს შეეძლოთ მაჰმადიანთა იდეალური ფიგურების შექმნა და თავისი შინაგანი სამყაროს გადმოცემა მათში, როგორც ამას არისტო შერებოდა, მაგრამ, ცხადია, შესაძლებელი იყო საყოფაცხოვრებო, გარეგნული ღეტალების დაცვა“².

ეს ზოგადად ყველა იმათ შესახებ, ვინც პოემის ამბის „უცხოურობის“ დასამტკიცებლად ნაჩვენებ არგუმენტებს მიმართავს. კერძოდ, პროფ. იუსტ. აბულაძე პოემის „უცხოურობის“ დასამტკიცებლად საჭიროდ თვლის დაიმოწმოს ფოლკლორისტ მ. ჩიქოვანის საკლევადიებო მუშაობა; ის წერს: „ამემამდ უფრო შერს რწმენით შემოძლია. აღვიარო, რომ ჰქმარებდასთან ახლოა ის, რომ ვეფხისტყაოსანი უნდა შექმნილიყო ირანულ-მაჰმადიანური სამყაროდან ქართულ სინამდვილეში შემოქრილი ერთ-ერთი მოარული აღმოსავლური სუეტის ქართველი პოეტის მიერ ათვისების ნიადაგზე. ასეთი რწმენა ძლიერდება ჰემში დღეს მით უმეტეს, რომ ქართველი ფოლკლორისტი მის. ჩიქოვანი სწორედ ამ გზას ადგია და თვალსაჩინო მუშაობას ეწევა ქართული ფოლკლორის ნიადაგზე ჩვენი ძეგლის წარმოშობის საკითხის, როგორც ერთ-ერთი ძნელი პრობლემის გადაწყვეტისათვის“³. მართალი მოგახსენოთ, ვერ ვაგვიგია, როგორ აძლიერებს მ. ჩიქოვანის ფოლკლორისტული მუშაობა იუსტ. აბულაძის რწმენას, რომ ვეფხისტყაოსანში პოეტს გამოუყენებია „ირანულ-მაჰმადიანური სამყაროდან ქართულ სინამდვილეში შემოქრილი აღმოსავლური სუეტის“, როდესაც მ. ჩიქოვანის ფოლკლორისტული მუშაობის შედეგი აღნიშნული მიმართულებით იმავე წიგნში, სადაც იუსტ. აბულაძე მოყვანილ სიტყვებსა წერს, ასეა ფორმულირებული: „მშასადამე, შოთა რუსთველის ცნობა სრულებით არ უნდა გავიგოთ სიტყვა-სიტყვით. „ესე ამბავი“ არაა სპარსული,

¹ Груаннская поэма „Витязь в барской шапке“, стр. 487.

² Chotha Roustavéli (quelques parallèles et analogies), ენიმის მოამბე, III, გვ. 270, 247.

³ ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის საკითხთა კლდევის ისტორია, კრებული: „შოთა რუსთველი სკოლაში“, გვ. 211.

არამედ ქართული, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და შემდეგ დიდ პოეტისაგან წყობილ მარგალიტად გარდაქმნილი. ჩვენს მსჯელობას შემდეგ დასკვნამდისაც მივყავართ: „ესე ამბავი“ არ არის ირანულ-სპარსული, არც არაბული და არც ინდური. შოთა რუსთაველს „ამბავი“ არსიდან არ შემოუტანია, არ უსესხა; არამედ ის თვით საქართველოში არსებობდა საკუთარ ნიადაგზე შექმნილი და ჩამოყალიბებული¹.

პოემის „უცხოურობის“ დანერგვას, ექვი არაა, შეეცდებიან თავისი თეორიის სასარგებლოდ გამოიყენონ ამ ოციოდე წლის წინათ გამომტკიცებული მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: უზბეკურ ფოლკლორში აღმოჩენილა ვეფხისტყაოსნის ზღაპარი, რომელსაც ჩვენს პოემასთან დიდი, ზედმიწევნითი მსგავსება ჰქონია, იქამდის, რომ გმირთა სახელებიც კი იგივეა². საკვირველია, რომ 1937 წლის მაისს, სამარყანდში ყოფნისას, როდესაც ჩვენ საგანგებო საუბარი გვექონდა იქაურ ფოლკლორისტებთან ჩვენი პოემის სუფიეტის შესახებ, არაფერი ამის მსგავსი არავის გაგონილი არ ჰქონდა; არ გასულა ნახევარი წელიწადიც კი ამის შემდეგ, და იქ მთელი ჩვენი პოემის ორეული აღმოჩნდა! ამით, რასაკვირველია, ჩვენ ოდნავადაც არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ აღმოჩენილ ფაქტს, მხოლოდ მისი ახსნისას აჩქარება არ გვმართებს. ჯერ კიდევ ამ აღმოჩენამდე პროფ. გ. წერეთელი, რომელსაც შუააზიის არაბთა ფოლკლორში სახელი ნესტან-დარეჯანი მიუკვლევი, წერს: „შუააზიის ფოლკლორში, არამც თუ ერთი სახელი, მთელი პოემის მსგავსი ამბავიც რომ აღმოჩნდეს, ეს კიდევ არ მოგვეცემს უფლებას მისი „ნასესხობა“ ვამტკიცოთ; მართო მსგავსება თავისთავად არ სწყვეტს საკითხს სესხების შესახებ, ვინაიდან გავლენა შეიძლება სხვა მიმართულებითაც წარმართულიყო, სახელდობრ, ქართულიდან ირანულსაკენ, და ვეფხისტყაოსნის მსგავსი ირანული მოთხრობა განვკვირვებულა როგორც შორეული ანარეკლი რუსთაველის გენიალური თხზულებისა. ასეთი გავლენის შესაძლებლობა (ქართულისა ირანულზე) მით უფრო საფიქრებელია, რომ, როგორც სპეციალისტების (განსვენებული გიორგი მარი) უკანასკნელი გამოკვლევებიდან ირკვევა, ირანული ლიტერატურული სამყაროსათვის უცნობი არ ყოფილა ქართველი ხალხის დიდი კულტურული ტრადიციები“³. ამასთან ერთად ყურადღებიდან არ უნდა გავუშვათ კონკრეტული ისტორიული ფაქტი თემურ-ლენგის მიერ ჩვენი ქვეყნის მრავალგზის აოხრებისა და აქედან შუააზიაში მოსახლეობის გაყვანისა. აი, რას ამბობს ამის შესახებ იოანე ბატონიშვილი „ქართლის ისტორიაში“, რომელიც „კალმასობაშია“ მოთავსებული: თემურ-ლენგის მთავართ, რომელთაც აოხრებს და დაარბიეს საქართველო, „აქუნდათ ბრძანებამ, რათა ქართულნი წიგნები,

¹ მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, კრებული: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 171.

² კ. ტიქინაძე, ვეფხისტყაოსნის უზბეკური ვერსიები, „მნათობი“, 1938 წ., № 10, გვ. 135—174.

³ ნესტან-დარეჯანი შუააზიის არაბულ ფოლკლორში, ენიმის მოამბე, III, გვ. 11—12. ეს სახელი ირანში მიღებული ყოფილა როგორც უებრო, შეუდარებელი მზეთუნახავის ეპითეტო.

ეკლესიათანი და სხუანი, რაოდენ შესაძლებელ იყოს ველთ-გდებად მეცადინე იყვნენ, მით, რამეთუ ენება სრულიად საღმრთოაჲსა წერილთა აღზოცა და ამა ღონითა მიქცევა ქართველთა მახმადიანად... მებისტორიენი და მოგზაურნი კაცნი იტყვიან და მსმენიეს მე თვით, რომელ ლანგ-თემურმან რააცა საღმრთო ანუ სხუანი წერილნი წარიღო საქართველოდამ თურქისტანსა შინა გააკეთებინა ქვეთვირისა დიდი სახლი და რკინისა ფანჯარანი და კარნი შეასხა და მას შინა დასლო ყოველივე წერილნი და წიგნნი და დასლო წყევამ, რომელ არავინ განიღოს მუნიდგან იგი წერილნი და არს აწცა ისევ ისე დაკრძალულ¹. ამ წიგნებით, რომელთა შორის, საფიქრებელია, არაერთი და ორი ცალი ვეფხისტყაოსნისა იქნებოდა, და გადასახლებულთა პირით ვეფხისტყაოსნის ამბავი ადვილად გაეცეცლებოდა შუააზიაშიც. ამიტომ ნაჩქარევი, ვიქრობთ, კ. კიკინაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უზბეკისტანში ვეფხისტყაოსნის არაკი, როგორც, მისი აზრით, საყოველთაოდ მოარული, სხვა გზითაც, საქართველოს გარდა, შეძლებდა შესვლას. ზედმიწევნით, ზუსტი, დეტალბამდე დამთხვევა ამ არაკისა რუსთველის არაკთან მაჩვენებელია იმისა, რომ უზბეკური ვერსია ლიტერატურული ვეფხისტყაოსნიდან მოდის; მხოლოდ აქედან, მხოლოდ საქართველოდან შეიძლებოდა გასულიყო, სხვას რომ თავი დაეანებოთ, ისეთი წმინდა ქართული სახელი, როგორცაა „თინათინ“. ნაჩქარევი დასკვნა პოემის ე. წ. „ზედმეტი თავების“ შესახებაც; მათი კვალი უზბეკურ ვერსიაში მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ იმ დროს, როდესაც რუსთველის არაკი უზბეკისტანში გავიდა, ეს „ზედმეტი თავები“ ჩვენს პოემაში უკვე იყო დღეს უკვე გარკვეულია, რომ უზბეკური „ფოლკლორი“ წარმოშობილა პოემის რუსული თარგმანების ნიადაგზე, რომელნიც შესრულებულნი არიან 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ახლა „სესხების“ თეორიის ფოლკლორისტული ვარიანტის შესახებ. ამ ვარიანტის პირველი წარმომადგენელი არის ა. ხახანაშვილი; ვეფხისტყაოსნის სუეტის ის თვლიდა აღმოსავლეთიდან შემოსულ მოარულ არაკად, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში ნამდვილი ქართული თქმულების ხასიათი მიიღოვო. ამ არაკს ის ხედავდა დღესდღეობით ხალხში დარჩენილ ნაწყვეტ ლექსებში. 1890 წელს ის წერდა: „ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილა ლიტერატურულ პოემად; პოეტს შეუტანია კაცის ამაღლებებელი და განმანაპეტებელი გრძნობა ისყიარულისა, თავიდან ბოლომდე გაუტარებია ის აზრი და ამით შეუერთებია დაწყვეტილი ლექსები“². რამდენადაც ა. ხახანაშვილს არ დაუსაბუთებია ეს შეხედულება, ჩვენ არ გვაქვს საშუალება ვილაპარაკოთ იმის შესახებ, ერთს რამეს კი შევნიშნავთ: თუ, ამ დებულების დამტკიცებისას ჩვენ გამოვალთ დღეს ხალხში არსებული ლექსებიდან, პროფ. იუსტ. აბულაძესთან ერთად უნდა ვთქვათ, რომ „ლექსები ხალხის ფანტაზიით გადამახინჯებული რუსთველის ლექსების უაზრო გადმოცემაა,

¹ ხელნაწერი საქართ. საბ. მუზეუმისა H № 2170, 329 ყ. 330 ყ.

² გაზეთი „იურია“, 1890 წ., № 25; მისივე, Очеркъ по истории русскаго словеса, II, გვ. 263. ამის წინააღმდეგ უკრ. თარგ. ვიო-ფიშელამ გაილაშქრა სასტიკად (გაზ. „იურია“, 1890 წ., № 39).

სხვა არაფერი¹. საკმარისია გულდადებით გადახედო დღევანდელ ხალხურ ვეფხისტყაოსანს, რათა დარწმუნდე, რომ ის მსუბუქი ლექსი, რომლითაც ის წარმოდგენილია, ვერ ჩაითვლება კლასიკური ხანისად, მით უმეტეს—უფრო ადრინდელად. ქრისტიანული ნაღები მოგვიანო ეპოქისა, რომელსაც ხალხურ ვერსიაში ვხედავთ, მისი ლექსიკა (თოფი, თათარი, ყიზილბაში), პოემიდან იმაში უცვლელად შეტანილი წარყვნილი ციტატები და, რაც მთავარია, „ლექსჩართული“ პროზა, აგრეთვე არევა იმაში ამირანდარეჯანიანის, როსტომიანისა და ვეფხისტყაოსნის ეპიზოდებისა, საერთოდ მთელი მისი გაფორმება, უმთავრესად ე. წ. ალორძინების ხანას მიუთითებს.

ინტენსიურსა და საპატიო მუშაობას ხალხური ვეფხისტყაოსნის შესწავლის ხაზით აწარმოებს პროფ. მ. ჩიქოვანი, რომელიც სპეციალურ გამოკვლევას² და ცალკეულ წერილებში³ მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ ლიტერატურული ვეფხისტყაოსნის საწყისი უნდა ხალხურში, ე. წ. „ტარიელიანში“ ვეძიოთ, ვეფხისტყაოსნის ამბავი, მისი საბოლოო დასკვნით, „არაა სპარსული, არამედ ქართული, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და შემდეგ დიდი პოეტისაგან წყობილ მარგალიტად გარდაქმნილი... „ესე ამბავი“ არ არის ირანულ-სპარსული, არც არაბული და არც ინდური. შოთა რუსთაველს „ამბავი“ არსაიდან არ შემოუტანია, არ უსესხია, არამედ ის თვით საქართველოში არსებობდა, საკუთარ ნიადაგზე შექმნილი და ჩამოყალიბებული“⁴ სამწუხაროდ, მკვლევარმა თავის მეცნიერულ მუშაობას თვითონ გამოაცალა ბაზა და საყრდენი, როდესაც კატეგორიულად განაცხადა: „XII საუკუნიდან მოყოლებული „ტარიელიანმა“ შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის დიდი გავლენა განიცადა. პოეტის ვირტუოზობამ აჯობა სახალხო მომღერალს და დაიმორჩილა იგი. შოთას ქმნილებამ ადრინდელი თქმულება დაიმსგავსა, დაიჭლოვა და პირვანდელი სახე დაუკარგა, რის გამოც ჩვენთვის ეხლა თითქმის შეუძლებელია აღვადგინოთ „ტარიელიანის“ პირვანდელი სახე“⁵. „ვეფხისტყაოსნის დიდმა პოპულარობამ და მაღალხელოვნებამ თითქმის შთანთქა ძველი გარდამოცემა, ზოგჯერ განდევნა, აღმოფხვრა, ზოგჯერ კი დაიმსგავსა და დაიქვემდებარა“⁶. თუ ეს ასეა, თუ ჩვენ ხელთ აღარა გვაქვს პირვანდელი სახე ხალხური ვეფხისტყაოსნისა, რა ფასი და მნიშვნელობა ექნება მსჯელობას ხალხურისა და ლიტერატურული ვეფხისტყაოსნის ურთიერთობის შესახებ, როგორ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე პირველზეა დამოკიდებული და არა პირიქით? ამით აიხსნება, რომ მკვლევარი თითქმის მთლიანად მოსწყდა საძიებელ პრობლემას და გადავარდა სუბეტურ პალეონტოლოგიაში, ხალხურ ვეფხისტყაოსანში კოსმიურ-მითოლოგიური აზროვნების გარდანაშთაა ძიებაში.

¹ მე-12 საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, გვ. 40, შენ. შდრ. მისივე სტატია კრებულში: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 211.

² ხალხური ვეფხისტყაოსანი, არსებობს ორი გამოცემა, 1936 და 1937 წლებისა.

³ განსაკუთრებით სტატია—„შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი“, კრებული „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 150—195.

⁴ იქვე, გვ. 170.

⁵ ხალხური ვეფხისტყაოსანი, გვ. 64 (1936 წლის გამოცემა).

„ტრისტან-იზოლდეს“, „ეთერიანის“, „ტარიელის“, „ამირანის“, „შაჰ-ნამეს“, „როსტომიანისა“ და სომხურ-აზერბაიჯანულ ზღაპართა სუეეტური შედარების შემდეგ ის ასკენის: „მოყვანილი მასაღების საფუძველზე ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპულ, ირანულ და კავკასიურ ფოლკლორს შორის გენეტიკური ნათესაობა არსებობს“¹. ეს ყველაფერი კარგი, შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ სუეტის პალეონტოლოგიის რკვევის პროცესში მთავარი საკითხი,—რუსთველის კმნილებისა და ხალხური თქმულების ურთიერთობა,—საღდაც დაიკარგა. ერთი სიტყვით, მ. ჩიქოვანის შრომები საყურადღებოა ქართული ფოლკლორის სუეეტური პალეონტოლოგიის თვალსაზრისით შესწავლისათვის, მაგრამ იმათში ჯერ დამტკიცებული არაა, რომ ლიტერატურული ვეფხისტყაოსანი ხალხურიდან იყოს წარმომდგარი.

ამრიგად, ვეფხისტყაოსნის ამბავი რომ „ნასესხებია“, როგორც არ უნდა გავიგოთ ეს „ნასესხობა“, და ამიტომ პოემა ორიგინალური არ არის, ეს დამტკიცებული არაა, და ვიქვობთ, რომ ოდესმე დამტკიცდეს.

მეორე შეხედულებით, ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ნაწარმოებია. ეს დებულება მთელი სიღრმე-სიგანით წამოაყენა პირველად ვახტანგ მეექვსემ მის მიერ პოემისათვის საგანგებოდ დაწერილ კომენტარებში. აქ ჩვენ ვკითხულობთ: „ეს ამბავი სპარსში არ არის; და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ: და თამარ მეფე კარგი და ძალიანი კელმწიფე რომ იყო ვითამ ეს მახედ მონღოლმა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო რომე ქართლშიაც არ იყოსო: და უბძანა მის მდივანს რუსთველს ქართლის ენით კაი ლექსები თქვიო: აჲ იმას ამბობს სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო: თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოგბა: ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც იმისთვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძხედ რომ სთქვა სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო“²; თამარმა „ქართულად ლექსის თქმა უბძანა, ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიც“³.

ახალი დროის მკვლევარნი ამ საკითხს ისტორიული თვალსაზრისით უდგებიან; ისინი ეძებენ—არის თუ არა ვეფხისტყაოსანში, თუგინდ იგავ-გაკერით, გადაკრული სიტყვით, ალეგორიით, რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნებოდა თანამედროვეთათვის, აღნიშნული რაიმე ფაქტი ან მოვლენა საქართველოს იმდროინდელი ისტორიიდან? თანამედროვე ამბების ალეგორიულად ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში ჩვეულებრივი ამბავია, ასე შეეძლო მოქცეულიყო ჩვენი პოეტიც, და თუ მის ნაწარმოებში ასეთი რამე აღმოჩნდებოდა, ეს უტყუარი დადასტურება იქნებოდა იმისა, რომ თხზულება საქართველოში, ქართველის მიერ არის დაწერილი. დღევანდელ პირობებში ასეთი გზა, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი საიმედო და მისაღები გზაა, თუ, რასაკვირველია,

¹ შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, კრებული; „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 169.

² ვეფხისტყაოსანი 1712 წლისა, პირველი გამოცემა, აღდგენილი აკ. შანიძის მიერ, გვ. სვე—სვე.

³ იქვე, გვ. სუა.

აღეგორია და ისტორიული სინამდვილე ერთმანეთს ზუსტად ემთხვევიან და ისტორიული ინტერპრეტაცია ნაძალადევი არაა.

პირველი, ვინც ასეთი გზით მიუდგა საკითხს, იყო აწ განსვენებული პროფ. დ. ჩუბინაშვილი; ის ფიქრობდა, რომ პოემა თამარის მეფობაშია დაწერილი და მის პერსონალურ ისტორიას შეიცავს. ამას ის ასე ასაბუთებდა: 1) ნესტან-დარეჯანი ერთადერთი ასული იყო ინდოეთის მეფის ფარსადანისა, თამარიც აგრეთვე ერთადერთი ასული იყო გიორგი მესამისა; 2) ნესტან-დარეჯანის აღზრდა ფარსადანმა თავის დას დაეარს მიანდო, თამარის აღზრდაც გიორგიმ თავის დას რუსუდანს მიანდო; 3) ნესტან-დარეჯანთან ერთად იზრდებოდა ტარიელი, რომელსაც ის გაუმიჯნურდა, თამართან ერთად იზრდებოდა დავით სოსლანი, რომელიც მას შეუყვარდა; 4) ფარსადანმა გადასწყვიტა ნესტანი ხვარაზმშას შვილისათვის მიეთხოვებინა, ჩვენი მემბტიანის თქმითაც ხვარაზმშას თამარის ცოლად შერთვა სწადდა, მაგრამ უარი მიიღო; 5) ვეფხისტყაოსანში ინდოეთი შვიდ სამეფოდაა დანაწილებული, საქართველოც თამარის დროს შვიდ სამეფოდ იყო გაყოფილი¹.

აქ მოყვანილი ანალოგიები ზოგი ისტორიულად არ მართლდება, ზოგი შემთხვევითი ხასიათისაა. 1) თამარი არ იყო ერთადერთი ასული გიორგი მესამისა, როგორც ნესტანი თავისი მამისა, მას, როგორც ახლა უკვე გარკვეულია, ჰყავდა მეორე და, დედოფალი რუსუდანი²; 2) დავარი ტარიელს არ ზრდიდა ისე, როგორც რუსუდანი დავითს, იმას მიანდევს განცალკევებულ კოშკში აღზრდა მხოლოდ ნესტანისა მას შემდეგ, რაც უკანასკნელი შვიდი წლის გახდა; 3) თამარსა და დავით სოსლანს შორის სამიჯნურო ურთიერთობა არ ყოფილა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ნესტანსა და ტარიელს შორის³; 4) ისტორიულად სწორი არაა, ვითომც ხვარაზმშას თამარის ცოლად შერთვა სწადდა, აქ არეულია, ალბათ, ხვარაზმშა და შარვანშა; 5) ინდოეთის შვიდ სამეფოდ დანაწილება და აგრეთვე საქართველოსიც არაფერს არ გვეუბნება, ვინაიდან „შვიდი სამეფო“, „შვიდი იყლიმი“, „შვიდი ქიშვარი“ შაბლონური ადგილია სპარსულ რომანებში, მაგალითად, იოსებ-ზილიხანიანში (უცნობი მთარგმნელისა), ლეილმაჯუნუიანში, ბარამჯურიანში და სხვ. ბარამჯურიანში პირდაპირ ინდოეთია დაყოფილი შვიდ სამეფოდ; აქ ნათქვამია, რომ ინდოეთის მეფემ ომანში თავის მეგობარს ახის მისცა „შვიდთაგან ერთი სამეფო“ ინდოეთისა⁴; ხალხში ან იანში ვკითხულობთ: ინდოეთის მეფემ „შვიდივე სახელმწიფო ინდოეთისა თვისითა ხმლითა და სიმამაცითა დაიპყროვო“⁵. ეს მოტივი საეკლესიო მწერლობაშიაც კი შესულა, მაგალითად, მიქელ-გობრონის მარტვილობაში ვკითხულობთ: „ალიძრა მეფე სარკინოზთა და უფალი სპარსეთისა, რომელსა ჰმონებდა სამეოცი ქალაქი

¹ დ. ჩუბინაშვილი, ქართული ჰისტორია, II, პეტერბურგი, 1846წ., გვ. VI-VIII.

² გ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, როგორც ლიტერატურული წყარო, „რუსთაველის კრებული“, გვ. 134, შენიშვნა 1.

³ გ. კეკელიძე, რუსთაველილოგიური შტუდიები, თსუ შრომები, III, გვ. 120-122, მისამართი, პერიოდები, IV, გვ. 1-7.

⁴ გ. კეკელიძე, გამოცემა, სტროფი 540.

⁵ საქართველოს საზ. მუზეუმის ხელნაწერი S 1145, გვ. 153.

დიდდიდი და შვილი მეფენი მორჩილებდეს ძლიერნი“¹. არსებითად ნესტან-ტარიელისა და თამარ-დავითის ამბები ძირითადად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან: თამარი გათხოვილი იყო, ის რუსის მთავრის ძეს გიორგის შერთეს, დავითი მეორე ქმარი იყო მისი. ნესტანი კი არ გათხოვილა, იმას ქმრის სარეცელი არ უნახავს, სანამ ტარიელს არ შეეუღლა, პირიქით, ქაჯეთის ციხიდან ტარიელს სწერს:

შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვედს მთვარე შენი,
 შენმან მზემან, ვერვის მიჰხვედს, მოკავიღენ სამნი მზენი;
 აქა თავსა გარდავიქვევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,
 სული ჩემი შეიგვდრე, ზეცით მომხვედენ ნუთუ ფრთენი. (1303)

ამ მეთოდის გამოყენება მოისურვეს შემდეგ ს. ქვარიანმა და მ. ჯანაშვილმა². ს. ქვარიანის აზრით, ტარიელისა და ნესტანის ამბავში გამოხატულია თამარისა და მისი ბიძაშვილის, დემნას, ამბავი. დემნა აუჯანყდა თამარის მამას გიორგის იმ მიზნით, რომ ის ტახტიდან ჩამოეგდო და თვითონ გამეფებულყო; ამისათვის მას, დამარცხების შემდეგ, ჯერ თვალები დასთხარეს, მერე ის გამოასაკურისეს და, ბოლოს, ასე გაუბედურებული, გარდაიცვალა კიდევაც უღროოდ. აი, ამ დემნასა და თამარს უყვარდათ ერთმანეთი, მათ განზრახვასა და გრძნობებს წინ აღუდგა მამა თამარისა³. ეს ჰიპოთეზი სრულიად უსაფუძვლოა: არსად ისტორიიდან არ ჩანს, რომ დემნასა და თამარს შორის რაიმე ამგვარი განწყობილება ყოფილიყო და არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან თამარს ისე სწამდა ნათესაობა, რომ შორეულ ნათესავებსაც კი უარი უთხრა ცოლად გაყოლაზე (ბერძენთა უფლისწული ალექსი და შარვანშა). მაგრამ, ვთქვათ, ეს ინტიმური მხარე მისი ცხოვრებისა სხეებისათვის დაფარული იყო, ანალოგია მაინც აქ სრულიადაც არა გვაქვს: ტარიელმა ნესტანი შეირთო და ინდოეთის ტახტიც დაიმკვიდრა, ხოლო დემნას არც საქართველოს ტახტი მიუღია და არც თამარი შეურთავს; მას როგორც მემამობეს, თვალები დასთხარეს, გამოასაკურისეს და უღროოდ ბოლო მოუღეს, რაც ტარიელს არ განუტღია.

უფრო რთული და საყურადღებოა მ. ჯანაშვილის ისტორიული პარალელები და ალფეგორიები⁴. მისი შეხედულებით, ავთანდილ-თინათინის ამ-

¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 395.

² არ შეგჩერდებით ცალკე ა. წერეთლის ლექციებზე (კრებული, 1898 წ., იანვ. თებერვ., V, VI), რომლებშიაც ის აზრია გატარებული, თითქოს რუსთველს სურდეს წარმოკვიდგინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ტიპები: ტაროელ-ნესტანი წარმომადგენელი არიან ქართლისა, ავთანდილ-თინათინი—იმერეთისა, ხოლო ფრიდონი—ზღვის პირის ან სამეგრელოსი. თუ პოეტს მართლა ამგვარი რაიმე სურდა ეჩვენებინა, რაღა მართო სამს კუთხეს,—ქართლს, იმერეთს, სამეგრელოს,—შეგზო ის, როდესაც მის დროს ჩვენი ქვეყანა, როგორც ამას მართანედ უსვამს ხაზს, დაყოფილი იყო შვიდ სამეფოდ? მთლიანი საქართველოს სურათის მოსაცემად საჭირო იქნებოდა შვიდივე სამეფოს მკვიდრთა დახასიათება. პოემის გაგების ამგვარ ცდას, როგორც ცნობილია, გამანადგურებელი კრიტიკით უპასუხა პოეტმა ი. ჭავჭავაძემ (თხზულებანი, ტ. III, თბ., 1953 წ., გვ. 166—176).

³ მთა მთბე, 1903 წ., № 7, 8.

⁴ თამარ მეფის მეობტენი, გახეთი „ტრიბუნა“, 1923 წ., № 478, 481, 483.

ბაგში გამოხატულია თამარისა და დავით სოსლანის ამბავი, ხოლო ტარიელისა და ნესტანისაში—სპარსეთის უკანასკნელი სელჩუკიანთა შაჰის ტოლრილის ისტორია. ტოლრილი გამეფდა 1177 წელს, მას მოსვენებას არ აძლევდნენ და სისხლს უშრობდნენ ხვარაზმელები, ერთს პროვინციას მეორეზე ჰგლეჯდნენ ხელიდან და, ბოლოს, 1194 წელს, სიცოცხლესაც გამოასალმეს. ტოლრილი იძულებული იყო სხვა სახელმწიფოებში ეძებნა დახმარება თავისი ტახტის (—ნესტან-დარეჯანს) მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. მას ეხმარება „ზღვათა სამეფოს“ მეფე: ეს სამეფო უნდა ყოფილიყო გურჯანისა და ურმიის ზღვათა შორის, სადაც ძველიდანვე იყო ცალკე სამთავრო გილახისა, რომელსაც, ალბათ, ზღვათა სამეფოს უწოდებდნენ. ფრიდონის სამეფო უნდა ყოფილიყო გურჯანის ზღვის იქით, ახალთექვს გაყოლებმა, ავღანისტანისაკენ, დღევანდელ ქალაქ კრასნოვოდსკამდე: მის პირდაპირ ზღვაში კუნძული ჩელეკენია, რომლის დაჩემებისათვის, შესაძლებელია, ფრიდონს დავა ჰქონდა ბიძაშვილებთან. არაბეთი, მ. ჯანაშვილის სიტყვით, არის საქართველო, ვინაიდან პოემაში ნათქვამია, რომ არაბეთში მრავალი სოფელი და ციხე-კოშკია და მცხოვრებთ ჰმოსიათ ლურჯი და მწვანე ტანისამოსი. ტოლრილს საქართველოსათვისაც უთხოვინია დახმარება ჯერ გიორგი მეფის დროს, 1179 წელს, მერე, ალბათ, თამარის დროსაც. თამარმა (—თინათინს) დაავალა დავით სოსლანს (—ავთანდილს) მართლა დახმარებოდა ტარიელს; დავითის დახმარება გამოიხატა იმაში, რომ განჯა-შამქორში მან გაამეფა ტოლრილის გერისშვილი ამირ-მირანი.

მ. ჯანაშვილის ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერპრეტაცია, რომელსაც ის ერთგვარ ქრონოლოგიურ საფუძვლებსაც უქმნის, არის თვითნებობა, დამყარებული „ალბათ“ და „უნდა იყოს“-ზე, და არავითარ ანალოგიას და პარალელს არ შეიცავს. დავიწყოთ ტარიელ-ნესტანიდან: ტარიელი არის სელჩუკიანთა უკანასკნელი მეფე სპარსეთისა ტოლრილი, ნესტან-დარეჯანი კი—ინდოეთის სამეფო და სპარსეთი, რომელსაც მას ართმევენ ხვარაზმელები და რომელსაც ის დაეძებს. პოემაში ინდოეთი სხვაა, სპარსეთი სხვაა, ტარიელს ინდოეთს ართმევენ სპარსეთი ხვარაზმელების დინასტიისა; მ. ჯანაშვილის ინტერპრეტაციით კი პოემაში გამოხატულია ის მომენტი და პროცესი, როდესაც სელჩუკიანთა დინასტიის სპარსეთში ეცილება და ეომება მეორე დინასტია ხვარაზმიდებისა, მაშასადამე, აქ არავითარი ანალოგია არაა. მეორე, ტარიელმა ნესტანი მოძებნა და დაიბრუნა კიდევ, ეს იგი, შეერთო, მ. ჯანაშვილი კი ტოლრილი 1194 წელს მოჰკლეს ხვარაზმიდებმა, რომელნიც დაეპატრონენ მთელს სპარსეთს და, სხვათა შორის, ინდოეთსაც. დასასრულ, საქართველოს (დავითის) დახმარება ტოლრილისათვის გამოიხატა, მ. ჯანაშვილით, იმაში, რომ ქართველებმა განჯა-შამქორში გაამეფეს ამირ-მირანი, რომელიც გერისშვილი იყო ტოლრილისა; პოემით კი არაბეთმა (—საქართველომ) ტარიელი გაამეფა მთელს ინდოეთში და არა ერთს მის ნაწილში, თან საქართველოს მიერ განჯა-შამქორში გაამეფებული ამირ-მირანი არ შეიძლება ტარიელ-ტოლრილად მიჩნიათ, ვინაიდან, მართალია, ამირ-მირანი დედით გერისშვილი იყო ტოლრილისა, მაგრამ ამავე დროს ის ძმისშვილი იყო

ტოლრილის მოქიშპე და მოსისხლე მტრის ათაბაგ ყიზლ-არსლანისა, და საქართველო ამ დროს აგვარებდა არა ტოლრილის საქმეს, არამედ ყიზლ-არსლანის სამი ძმისშვილისას, რომელნიც ერთიგეორეს ართმევდნენ მათ ხვედრ ქვეყნებს. ასე რომ აქ არც ისტორიული პარალელიზმია დატული და არც, თუ გნებავთ, პოემისა. ესევე უნდა ვთქვათ ავთანდილ-თინათინის შესახებაც: ავთანდილი, მ. ჯანაშვილის სიტყვით, დავით სოსლანია, თინათინი—თამარი; დავითი და თამარი ერთად იზრდებოდნენ, როგორც ავთანდილი და თინათინი. დავითს მისი სატროფო (თამარი და საქართველო) გამოვლიჯეს ხელიდან და მისცეს რუსის მთავარს; ამის შემდეგ, ალბათ თამარის ბრძანებით, დავითი გაეცალა საქართველოს და ხუთ წლამდე მოუნდა თამარისა და საქართველოს უკან დაბრუნებას (1184—1189), ისე როგორც ავთანდილი ხუთ წელს მოუნდა თინათინის დავალების შესრულებას—უცხო ყმისა და მისი სატროფოს ნესტანის პოვნას. პარალელიზმი და ანალოგია არც აქაა დატული: ავთანდილი ვერ იქნება დავით სოსლანი, რადგანაც სოსლანი მეფის, ბაგრატიონთა, შთამომავალი იყო, ავთანდილი კი არა; თინათინიც ვერ იქნება თამარი, ვინაიდან თამარი, როგორც ვიცით, რუსს მიათხოვეს, მაშასადამე, რუსის ტყვეობაში იყო, თინათინი კი არც გაუთხოვებიათ, არც ვისმეს ტყვეობაში ყოფილა, როგორც თვით ავთანდილიც ამბობს:

მეშველი რად მინდა, მპირს არავისგან წყლულობა!
ხემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს, არცა სპირს ლზინ-ნაკლულობა. (1473)

ჩემი მზე ტახტსა ხედა ხის, მორკმულა ღმრთისა ნებითა,
საქრძალავი და უჯადრი, ლალი, არვისგან ვნებითა,
არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა,
მას ხედა შველა რად მინდა?! რად მექე რასაცა თნებითა? (1474)

ამასთან, დავითი დაეძებს თამარსა და საქართველოს, მ. ჯანაშვილის სიტყვით, პოემაში კი ავთანდილი თინათინს კი არ დაეძებს, არამედ ტარიელსა და ნესტანს; ავთანდილი გაჭრილია საძებრად, თანახმად თინათინის სურვილისა და ბრძანებისა, დავითი თითქოს სხვებმა აიძულეს, თამარის სურვილის წინააღმდეგ, მოშორებოდა მას და გასცლოდა საქართველოს.

როგორც ვხედავთ, ნამდვილი, არსებითი პარალელები და ანალოგიები არსად, არცერთს ჰიპოთეზში არა გვაქვს, შემთხვევითი ხასიათის მსგავსებანი კი სხვა ნაწარმოებშიაც შეიძლება იპოვოს აღადმიანმა, განსაკუთრებით, თუ ისეთ ძალადობას ვიხმართ შედარებისას, როგორც ამას მოყვანილ მოსაზრებათა ავტორები სჩადიან.

ამრიგად, ნაჩვენები ისტორიულ-გეოგრაფიული ანალოგიებით ვეფხისტყაოსნის ორიგინალობა ვერ დამტკიცდება. როგორც ტარიელსა და ავთანდილში ვერ დავინახავთ დავით სოსლანსა თუ სხვა რომელიმე, იმ დროის ისტორიულ, პირს, ისე ვერც ნესტან-დარეჯანსა და თინათინში—თამარ დედოფალს.

მართალია, შესავალში ნათქვამია, რომ პოემა დაწერილია თამარის საკებრად, რომ ავტორს თავის ნაწარმოებში თამარის სახელი „შეფარვით უქია“;

მაგრამ „ქება“ აქ არ გულისხმობს თამარის არც „წარბ-წამწამთა და თმა-ბაგე-კბილთა“ შესხმას, როგორც ეს გაუგია პროლოგის ერთ-ერთი სტროფის (5) ინტერპოლატორს, არც მისი ცხოვრების პერიპეტეიების გადმოცემას იმ გაგებით, როგორც ეს მოცემულია ფსევდო-რუსთველურ სტროფში: „ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა“. თუ რაში მდგომარეობს ეს „ქება“, ამის შესახებ ლაპარაკი გვქონდა ზემოთ, როდესაც პოემის დაწერის დროს ვარკვევდით. იმ მიზნით, რომ უფრო გაემახვილებია ყურადღება რუსულდანის მეფობის დასაწყისი ხანის საველალო მდგომარეობაზე, ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ავტორმა თანამედროვე საზოგადოებას მოაგონა, არც ისე დიდ და შორებულ მისგან, სათნოიანი სახელი თამარ დედოფლისა და მისი ბრწყინვალე მეფობა, რომელიც რუსულდანის მეფობის პირდაპირ კონტრასტს წარმოადგენდა. ამასთან ერთად, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ზოგიერთი სურათი ფეოდალურ-არისტოკრატიული და ბრწყინვალე სამეფისკარო ცხოვრებიდან, რომელიც ასე რელიეფურადაა წარმოდგენილი პოემაში, მან თამარის დროსა და სასახლის ცხოვრებიდან აიღო.

როდესაც პოემის წარმოშობაზე ვლაპარაკობთ, უნდა შემდეგი გარემოება მოვიგონოთ. 1956 წელს გამოვიდა გ. სოსელიას შრომა — „საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება ვეფხისტყაოსნის მიხედვით“. ეს შრომა, რომლის საწყისები ბ. ფურცხვანიძის ნაშრომში (აღამიანის პატივისა და ლირების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1949 წ.) შეიმჩნევა, მიზნად ისახავს ახალი, „ორიგინალური“ მიდგომით ახსნას რუსთველოლოგიის ძირითადი საკითხები. ავტორი ზოგადად სწორ სურათს იძლევა რუსთაველის ეპოქაში საქართველოს მაღალი კულტურული მდგომარეობისას, რომელიც ასახულია ვეფხისტყაოსანში, მაგრამ სასტიკად სცდება, როდესაც ამ მდგომარეობის გამოშფევე მიზეზებს არკვევს; ის ამბობს: ვეფხისტყაოსნის მაღალი აზრები და იდეები, რომელნიც საშუალო საუკუნეთა სამყაროში ვერსად პარალელს ვერ პოულობენ, წარმოადგენენ შედეგს არა ქვეყნის კანონზომიერი განვითარებისას, არამედ პირველყოფილი თემური საზოგადოების გადაწეობის. „გვაროვნული საზოგადოების წესები, ზნე-ჩვეულება, როგორც გადაწეობის წარსულისა, კიდევ ცხოველყოფილი იყო რუსთაველის დროის საქართველოში. რუსთაველის შემოქმედებას, მის უკვდავ თხზულებაში გამოთქმულ აზრებს და იდეებს გვაროვნულ წესწყობილებაში აქვს ფესვები, რუსთაველი შთაგონებულია პირველყოფილი საზოგადოების საუცხოო წესებით“. აქ ბევრი სალაპარაკო არა გვაქვს რა¹. ვინც ასეთ რამეს ამტკიცებს, მას სწორი წარმოდგენა არა აქვს არც პირველყოფილი თემურ საზოგადოებაზე, არც საქართველოს წარსულზე, კერძოდ რუსთაველის დროის საქართველოზე. რუსთაველი, ამ შეხედულებით თანახმად, უაღრესად რეალისტური შვერალია, ის ზედმიწევნითი სიზუსტით აგვიწერს მისი დროის საქართვე-

¹ მით უმეტეს, რომ ეს შეხედულება უკერძოდ შეფასებულია ი. სურგულაძის შრომაში: საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის დამაზინჯების შესახებ, „მნათობი“, 1957 წ., № 9, გვ. 106—117.

ლოს რეალურ მდგომარეობას, რომლის დამახასიათებელია გვიაროვნული წყობილების კონსერვირებული ინსტიტუტები და შეხედულებანი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პირველყოფილი თემური ფორმაცია როგორ უანდერძებდა მომდევნო ფორმაციას ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოსა და მტკიცე მონარქიული ხელისუფლების იდეას, ანდა პატრონ-ყმური ურთიერთობის ინსტიტუტს, ყმის პატრონისადმი ერთგულებისა და თავდალების იდეას? მიუხედავად პოემის რეალისტური ხასიათისა, მისი მალაღა აზრებისა და იდეებისა, მას ებრძვის ფეოდალური საზოგადოება, რადგანაც მას, ამ საზოგადოებას, არ ესმის ეს იდეები, და აზრები, რომელიც რუსთაველმა პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში იპოვა; ასე ფიქრობს ავტორი ამ ახალი თეორიისა. მაგრამ ის პოპულარობა, რომლითაც მუდამ სარგებლობდა ვეფხისტყაოსანი, არ ადასტურებს იმას, რომ ის გაუგებარი იყო ფეოდალურ წრეებში. ძნელია გაძმართლებულ იქნეს გ. სოსელიას რუსთველოლოგიური კონცეფცია, მას მეცნიერული საბუთიანობა აქვია¹.

IV. ავტორის მსოფლმხედველობა

ჩვენს პოემაში საგანგებო ყურადღებას იპყრობს მეგობრობის, „ძმანად-ფიცობის“ მოტივი, რომელიც განუყრელად აკავშირებს ერთმანეთთან სამ სხვადასხვა ეროვნების გმირს. მეგობრისა და ძმობის ღრმა გრძობა, რომელიც არ ექვემდებარება სივრცის კატეგორიას (მოიგონეთ პოემის ფართო გეოგრაფიული პორიზონტი), სცილდება პოლიტიკურსა და ეროვნულ ვიწრო ჩარჩოებს და მოუწოდებს მეგობრებს ზოგადი საკაცობრიო იდეალების სამსახურისაკენ, და სწორედ ეს იდეური შინაარსი ამ პოემის შემოქმედს ახასიათებს როგორც ზოგადსაკაცობრიო მასშტაბის მოაზროვნესა და პოეტს. ასეთი განწყობილება უსათუოდ სავსებით შეეფარდებოდა რუსთაველის ეპოქის ქართული ფეოდალური მონარქიის პოლიტიკურ სახეს, რომელიც აერთიანებდა მთელ კავკასიას მასში შემავალი მრავალტომიანი და მრავალენიანი ერთეულებით, სადაც მეგობრულად თანამშრომლობდნენ ქართველებთან ერთად სომხები, ბერძნები, ქურთები, ოსები, ყივჩაყები, ებრაელები (მოიგონეთ ზანქან ზორაბაბელი), სადაც არ გაუარობდნენ დინასტიურ-ნათესაურ კავშირს რუსებთან, ბერძნებთან, ოსებთან, სელჩუკებთან, სომხებთან, ხვარასნელებთან და სხვ., სადაც, დასასრულ, მაჰმადიან პოეტებს, სუფიებსა და მწერლებს თავშესაფარს უშენებდნენ, პენსიას უნიშნავდნენ და ყოველნაირად მფარველობდნენ. აქ, ამ გარემოში, შეიძლება წარმოშობილიყო ძმობისა და მეგობრობის ქადაგება საკაცობრიო იდეალების სამსახურისათვის, განურჩევლად ეროვნებისა.

¹ სამწუხაროა, რომ გ. სოსელია მეცნიერულ წინდახედულებასა და სიხუსტეს ვერ იჩენს სხვისი შეხედულების ციტირებისასაც კი. მაგალითად, თავისი შრომის 122-ე გვერდზე, 26-ე უნიშვნაში მოყვანილი სტრიქონები მას მოუწერია ჩემთვის (ალბათ იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობაში მამბილოს), ნამდვილად კი ისინი მკუთვნიან ერთ დროს ცნობილ კრიტიკოსს რუსეთში ლუპატოსს.

ასეთივე მაღალი, საკაცობრიო და ჰუმანური ხასიათისაა ჩვენი პოეტის სხვა შეხედულებანიც: პოლიტიკური, სოციალური და ფილოსოფიურ-რელიგიური.

პოეტი გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებელია. ის ფეოდალური არისტოკრატის იმ ფრთას ეკუთვნის, რომელიც, პატრონჟურ თრთიერთობაზეა დამყარებული, მონარქიული პრინციპის, ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების მომხრე და თავიანთსმცემელია. მეფე, პოეტის სიტყვით, „ნებიერია“, იგი უზენაესი მპყრობელია და თავისი ქვეშევრდომების პატრონი, როგორც ღმერთი ცის განუსაზღვრელი მპყრობელია, ისე მეფე—ღედამიწისა: „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სხიხთა მის მიერთა“. ამიტომ იგი არა მარტო მნათობთა შორის გამეფებულ მზეს ეთანაბრება, იგი არა მარტო „მზისა სწორია“, არამედ „ღვთისა სწორიცა“. აქედან გამომდინარეობს მეფისადმი თავიანთსმცემისა და თავდადებული ერთგულების აუცილებლობა: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“,—ამბობს პოეტი. მას ვერც კი წარმოუდგენია რაიმე არალოიალური მოქმედება უზენაესი მპყრობელის მიმართ: „ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალია“?—გვეკითხება იგი. თუ მხედველობაში გვიქნება, რომ იმ ეპოქაში, რომელსაც ეკუთვნის „გეფხისტყაოსანი“, ჩვენში წარმოებდა ქართველობის პოლიტიკურად გაერთიანების პროცესი, რომ ამ პროცესში ცენტრალურ ხელისუფლებას გააფთრებული ბრძოლა უხდებოდა როგორც უამრავ გარეზე შტრეთან, ისე ფეოდალური თვითნებობისა და ანარქიის წინააღმდეგ, რუსთაველის პოლიტიკური იდეები მოწინავედ და პროგრესულად უნდა ჩაითვალოს. ეს იდეები ამავე დროს ჰუმანურიცაა, რადგანაც ჩვენი პოეტის იდეალია არა აღმოსავლური დესპოტიზმის, თუგინდ დასავლეთის ცეზარეპაპიზმის წარმომადგენელი, არამედ უხვი, მოწყალები, კაცთმოყვარე, გონიერი და მართლმსაჯული მეფე.

მრავალრიცხოვანი ლაშქრითა და ბრწყინვალე რაინდებით გარშემორტყმული მონარქიული ხელისუფლების მთავარ დასაყრდენს პოემაში წარმოადგენს ფეოდალური არისტოკრატია სხვიდასხვა საფეხურისა და უკვე განვითარებული საეპრო-საქალაქო ცხოვრების წარმომადგენელი—ვაჟკრები, რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური არისტოკრატია მიინცდამიწი მალაღია აზრის არაა მათი მორალური და სულიერი თვისებების შესახებ, დიდი გავლენით სარგებლობენ სამეფო კარზე. მდიდარი მონარქიული და ფეოდალური ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენენ „ყმანი“, „მსახურნი“, „მონანი“, ერთი სიტყვით—ფეოდალური საზოგადოებრიობის დაბალი საფეხურების წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი რაზმი. პოეტის აზრით, ფეოდალიზმის ძირითადი საფუძვლები ურყევია, სოციალურად განსხვავებული საფეხურების არსებობა საზოგადოებრივი ცხოვრების ურყევი კანონია, ასე რომ ის თავიდანვე აცხადებს:

რაკა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს. (11).

და თუ ერთ ადგილას ის ამბობს:

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათაისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები (803),—

ეს, რა თქმა უნდა, არ არის პროტესტი, მიმართული არსებული სოციალური მდგომარეობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, თუ ყურადღებას მივაქცივთ ასეთი საქციელის მოტივაციას: „მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“,—ეს არის მხოლოდ ჰუმანიზმის გამოვლინება, ამ მდგომარეობის უკიდურესობათა შერბილების მოთხოვნილება, მონებისა და ემებისადმი ადამიანური დამოკიდებულებისა და ქველმოქმედების გზით მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა. პატრონყმურ ურთიერთობაში პოეტს სურს შეიტანოს „მამა-შვილური“ დამოკიდებულებისა და სიყვარულის ელემენტები. „სჯობან ყოველთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“ (1453),—ამბობს ის. იმ დროისათვის ესეც, რა თქმა უნდა, დიდი, მნიშვნელოვანი, პროგრესული და ჰუმანური ნაბიჯია წინ.

ასევე საინტერესოა „ვეფხისტყაოსანში“ „ქალთა საკითხი“. პოემაში ყურადღებას იპყრობს შემდეგი კლასიკური სტროფი:

თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნვეთ, იცის მეფობა, უტყვენოდ გვიტყვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია. (39).

ჩვენში ბევრი ფიქრობდა და ახლაც ფიქრობს, რომ ამ სიტყვებში დასმულია და გადაწყვეტილი ქალთა ემანსიპაციის საკითხი ისე, როგორც ეს ესმის თანამედროვე მეცნიერულ სოციალიზმს. ეს შეხედულება იმდენად მძლავრი იყო, რომ აკად. ნ. მარი სერიოზულად ეკამათებოდა მას, როდესაც წერდა: „ამ ლექსს ძალიან აწვალებდნენ, რათა გამოეწურათ მისგან იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ შოთა ქალთა სწორუფლებიანობის მომხრე იყო, ნამდვილად კი აქ ლაპარაკია თანასწორობაზე მეფის ოჯახის ვიწრო წრეში, როგორი თანასწორობაც ნადირთა მეფის ოჯახშიც არისო“¹. მაგრამ ასეთი დასკვნის უფლებას არ იძლევა პოემაში „მეფის ოჯახის ვიწრო წრეც“. ნ. მარს, ალბათ, ყურადღება არ მიუქცევია იმისათვის, რომ მეფე როსტევეანი, ეს შეუღარებლად სრულქმნილის, უმშვენიერესი ქალიშვილის, თინათინის, მამა, სწუხს და გოდებს იმის გამო, რომ ღმერთმა მას ვაგიშვილი არ მისცა. მაშასადამე, მისთვისაც, მეფის ოჯახისთვისაც, სულ ერთი არ ყოფილა ვაგისა და ქალის ყოლა. მეორე მხრით, როდესაც ნ. მარი ლაპარაკობდა აფორიზმის „ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“-ს შესახებ, აღნიშნავდა, რომ აზრი, რომელსაც შეიტავს ეს აფორიზმი, გვხვდება ნიშაში განჯელთან, რომელიც „ისიკანდერ-ნამეში“ ამბობს:

¹ Грушинская поэма „Витязь в барсовою шкуре“, гл. 421.

მე ტუ ლომი ვარ, შენ თუ ხვადი ხარ,
ლომი ბრძოლაში სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია.

ადგილი აქვს მას, მისი სიტყვით, ქურთთა შორისაც, რომელნიც, თურმე, ამბობენ:

ლომი ლომია საერთოდ, ძე იყოს, თუნდა ხვადია.

ესა და მსგავსი აფორიზმები, განაგრძობს ნ. მარი, შოთას შეეძლო შეეთვისებინა პოემის სპარსული ორიგინალიდან ქართული პროზაული თარგმანის საშუალებით, ანდა როგორც მოარული ხალხური თქმულებათ. მასხადადამე, მას შესაძლებლად მიაჩნია ექვს ქვეშ დააყენოს ამ აფორიზმის ორიგინალობაც კი და მისი რუსთაველისადმი კუთვნილება.

ასეთი მსჯელობისას არაა ვითვალისწინებულნი, სად და რა სინამდვილეში იხმარება ეს აფორიზმი. მაჰმადიანურ სამყაროში, სადაც ქალზე გარკვეული შეხედულება არსებობდა, ის ეგზოტიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ნიხაში განჯელს, ის კატეგორიულად ემიჯნება აფორიზმში გამოთქმულ აზრს, როდესაც „ლეილმაჯუნუნიანში“ ამბობს:

შეაბი ქალსა მახვილი წელზე —
ქალად დარჩება ის სარეცელზე;
თუნდ ძე ლომივით ჰქონდეს მას ძალი,
მაინც ქალადა შობილა ქალი¹.

სხვები კიდევ ამტკიცებენ. რომ პოეტის შეხედულება ქალზე მაინცდამაინც მაღალი არაა, ყოველ შემთხვევაში, მამაკაცთან შედარებით, ის მას უფრო დაბალი სოციალური კატეგორიის წარმომადგენლად მიაჩნიაო. ამის დასადასტურებლად, სხვათა შორის, ხაზს უსვამენ განსაკუთრებით შემდეგ სტროფებს:

სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დითმობის:
ჩლიხლებს და შევიკვეთებს, მიგინდობს და მოვედნობის,
მართ ანახდად ვილაღატებს, — გაჰკვეთს, რააც დაესობის, —
მით დიაცსა სამალავი არასთანა არ ეთხრობის. (1081).

რუსთაველის იმ სტროფების შეფასებისას, რომელთაც ქალის სწორუფლებიანობის სასარგებლოდ თუ სიწინააღმდეგოდ უჩვენებენ, უნდა შემდეგი გარემოება გვახსოვდეს: შუა საუკუნეებში, ფეოდალური ცხოვრების პირობებში, ქალს ფაქტიურად ვერც რუსთაველი გაათანასწორებდა მამაკაცთან, ისიც ვერ იტყოდა, რომ მათ შორის განსხვავება არაა. მაგრამ, როდესაც ის ქალის უარყოფით თვისებებს უჩვენებდა, ამ თვისებებს ის თვლიდა მისი რეალური დღეპირი ყოფა-არსებობის შედეგად, როდესაც ის „ქსლის მბეკველის“ (799) როლიდან ვერ გამოდიოდა, და არა თანდაყოლილ, იმანენტურ თვისებად მისი, როგორც ქალის, ბუნებისა. იდამიანი, ქალი იქნება ის თუ კაცი, როგორც „ღვთის დინაბადი“, ერთია, ამიტომ იდეურად ქალსაც შეუძლია შე-

¹ Грузинская поэма „Витязь в барсовою шкуре“, 83. 421.

² „Восток“, II, გვ. 802; ქართული თარგმანი (რუსულიდან) ჩვენ ავეუთუნის.

ასრულოს ის საქმე, რომელსაც მამაკაცი ასრულებს; სინამდვილეში კი, ცხოვრების პირობათა ზეგავლენით, ეს მას შეუძლია მხოლოდ გამონაკლისის სახით მაგალითად, მეფობისათვის ღმერთს, მისი აზრით, მართო მამაკაცი არ შეუქმნია, მეფობა ქალსაც შეუძლია. თინათინი ქალია, მაგრამ მან „იციან მეფობა“, მხოლოდ ის, რაც მან „იციან“, შეუძლია განახორციელოს, როგორც გამონაკლისი („მართ ღმრთისა დანაბადია“).

ასე არ ფიქრობდნენ აღმოსავლეთში, სადაც 1120 წლის მახლობლად ერთ-ერთი, სახელით უცნობი, სპარსელი პოეტი წერდა: „ღიაცი რაზომც კვიანი და ბრძენი იყოს, მისგან ხელმწიფობისა კმნა როგორ იქმნების, ანუ რით ღონითა მოხდების?“¹ ასე არ ფიქრობდა არც თვით ნიზამი, რომელიც ქალს არავითარ პირობებში, არავითარ შემთხვევაში მამაკაცის საქმის შემსრულებლად არ თვლიდა. მისი აზრით, როგორც დაეინახეთ, ქალი, თუგინდ მას ხმალი შეარტყი და ლომის ძალ-ღონე მიეცი, მაინც ქალია, საწოლისათვის განკუთვნილი. თუ საქირო და ფაქტიურად შესაძლებელი იქნებოდა ქალისათვის წელზე ხმლის შერტყმა და მისი აღქურვა ლომის ძალით, რუსთაველი არ იტყოდა, რომ ის მაინც საწოლის სამკაულია, პირიქით, ის იტყოდა, რომ ის, ქალი, „ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“. აი, ამაშია რუსთაველის შეხედულების ბუმბერაზობა და პროგრესულობა, აქედან შეგვიძლია ჩვენ დაეინახოთ, რამდენად მიღალი, ფაქიზი, ჰუმანური და საშუალო საუკუნეებისათვის არაჩვეულებრივია მისი შეხედულება ქალზე. ამ შეხედულების სიდიადის მაჩვენებელია ქალისადმი თაყვანისცემა და მისი უსახლგო გაღმერთება, ამის მაჩვენებელია „ქალის კულტი“, რომლის აპოლოგიაა მთელი მისი პოემა.

ყველაფერი ეს შესაძლებელი და მოსალოდნელი იყო იმდროინდელ საქართველოში, სადაც ქალში ხედავდნენ არა „ბოროტის საწყისს ევას“, როგორც დასავლეთ ევროპაში, არამედ „ბოროტის დამორგუნველის იესოს დედას“, იმ „ღვთისმშობელს“, რომლის „წილხედომილად“, რუსთაველის ეპოქის დასაწყისში, გამოცხადებულ იქნა საქართველო. ეს მოსალოდნელი იყო საქართველოში, რომლის „განმანათლებლად“, ნინოს სახით, ქალი იყო აღიარებული, იმ საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში ქალს ეუბნებიან: „ეხედავ ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იზახის ყოველსავე ზედა ოთხფერხსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერისასა უფროდს მამლისა, და ყოველი ქუეყანა გუგასა თუალისა მისისასა მკირესა, მარგალიტისა სწორსა, შეაყენის“², ეს მოსალოდნელი იყო საქართველოში, სადაც XII საუკუნის მიწურულში რომელი ნიკოლოზ გულაბერიძე ერთ-ერთ თავის შრომაში სპეციალურად ლაპარაკობს „ღირსებისა და პატივისათვის ქალისა“, იმ საქართველოში, სადაც ფაქტიურად მეფობდა ქალი, თამარი, და სადაც აჯანყებულ დიდებულ ფეოდალებს, ისტორიკოსის ცნობით, ამშვიდებდნენ და მორჩილებაში მოიყვანდნენ ხუაშაქისა და კრავეის მსგავსი მანდილოსნები.

¹ პოემა „ბაამიანი“ (A 999, 44 ყ).

² Ж. Такайшвили, Описание, II, стр. 742.

სიყვება

* * *

ასეთივე დიდ ჰუმანიტად გვევლინება რუსთაველი ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების სფეროშიაც. დღეს ბევრსა წერენ და დაობენ მისი ფილოსოფიური კონცეფციის შესახებ, ზოგი მას თვლის პლატონიკად, ზოგი არისტოტელიკად, ზოგი ნეოპლატონიკად, ზოგი სტოეკად, ზოგი სუფისტად, ზოგი კიდევ ინდური რივედის აღმტად. ასეთი სხვადასხვაობა შეხედულებისა აიხსნება იმით, რომ პოემაში ავტორს არ მოუცია მტკიცე დასაყრდენი იმისა, რომ ის ჩავთვალთ ამა თუ იმ კონკრეტული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლად. მართალია, მისი ნაწარმოები საესეა ღრმააზროვანი აფორიზმების, სენტენციების, ფილოსოფიური და მორალურ-დოქტრინული ხასიათის აზრთა მარგალიტებით, მაგრამ ეს აზრები, აფორიზმები და სენტენციები არის ნაყოფი იმდენად არა მშრალი დოქტრინიზაციისა და ფილოსოფიური დოგმატიზმისა, რამდენად ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვებისა და ყოფაცხოვრებითი გამოცდილებისა. მართალია ისიც, რომ პოემაში ერთხელ ფილოსოფოსი პლატონის სახელით გარკვეული დებულებაჲც კია მოყვანილი — „სიკრუე და ოპირობა. ანებს ხორცსა, მერმე სულსა“ (789), მაგრამ, ვინაიდან ასეთი დებულება პლატონის თხზულებებში ჯერ აღმოჩენილი არაა, უნდა ვიფიქროთ, პლატონი აქ დასახელებულია როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი იმ „ბრძნეთა“ და „ფილოსოფოსთა“, რომელთაც, როგორც ავტორიტეტს, პოეტი ხშირად მიმართავს ხოლმე, ისე, როგორც აღმოსაგულეს, სპარსულ-არაბულ, ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით პლატონის (აფლათუნ) და არისტოტელის სახელს, მაგრამ არა როგორც საკუთარს, არამედ როგორც სინონიმს ბრძნისა და გონიერი ადამიანისას. ყოველთვის ვერც დავეყრდნობით ამა თუ იმ დებულებას, რომელსაც პოეტი აყენებს ხოლმე, მისი ფილოსოფიური ფიზიონომიის გასარკვევად, რადგანაც ის მტკიცედ არ დგას ხოლმე ერთ დებულებაზე. ასე, მაგალითად, სიტყვები:

გული, ცნობა და გონება ერთმანერთხედა ჰკიდიან:

რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისცე მიდიან, — (848)

რომლებშიაც აღნიშნულია გულის პრიორიტეტი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, საყურადღებო იქნებოდა ამა თუ იმ ფილოსოფიური სკოლის გასარკვევად, მაგრამ სხვა ადგილას ამის შესახებ ავტორი სულ სხვა რამეს ამბობს: „რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს“ (833); თუ პირველ შემთხვევაში, ავტორის შეხედულებით, გონება გულისკენ მიდის ხოლმე, აქ, პირიქით, გული მიდის გონებისაკენ. რასაკვირველია, პოემაში მოიძებნება ისეთი აზრები და დებულებანი, რომელნიც ახასიათებენ როგორც არისტოტელიზმს, ისე პლატონიზმსა და ნეოპლატონიზმს, თუ გნებავთ, სტოიციზმსაც, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ პოეტი უთუოდ ან პლატონიკია, ან არისტოტელიკი, ან სტოეკი, ან ნეოპლატონიკი¹, რომ ის ამა თუ იმ კონკრე-

¹ ყველაზე მეტად გავრცელებულია ჩვენში ის აზრი, რომ რუსთაველი წმინდა ფელის ნეოპლატონიკია. ამის საწინააღმდეგოდ იხ. პროფ. მ. გოგინძე რიძის საყურადღებო წერილი: შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი, გახ. „კომუნისტი“, 1938 წ., № 35.

ტული ფილოსოფიური სკოლის ანექტია. არა, რუსთაველი არ ჩანს ისეთ მოაზროვნედ, რომელიც რომელიმე ფილოსოფიური დოქტრინის ვიწროდ შემოფარგლულ ნაჭუჭში ეტეოდეს, ის, ზედმიწევნით მცოდნე იმდროინდელ და უფრო ძველ ფილოსოფიურ მოძღვრებათა და სკოლათა, იღებს და ისრუტავს თვითეული ფილოსოფიური სისტემიდან იმას, რასაც მასში ხედავს საუკეთესოს, საყოველთაოს, საკაცობრიოს. ის პროლექტია დასავლეთში, ბიზანტიისში, მეთაფ-მეთერთმეტე საუკუნეებიდან დაწყებული სინთეზური მიმართულებისა ფილოსოფიაში, რომელსაც ჩვენში ისეთი მკვეთრი წარმომადგენელნი ჰყავს, როგორიც არიან ეგრემ მცირე და იოანე პეტრიწი; მას არაფერი საერთო არ აქვს არც დასავლურ იმდროინდელ სქოლასტიკასთან, არც აღმოსავლურ პანთეისტურ მისტიკასთან. რუსთაველი თავისუფალია სქოლასტიკის ყველა წვრილმანისაგან, თავისუფალია სქოლასტიკური მისტიკისაგან უფრო მეტად, ვიდრე მის შემდეგ ევროპაში ამღვრებული დანტე. მისი გმირები უფრო ამქვეყნიურ ხორციელ არსებებს წარმოადგენენ, ვიდრე „ღვთაებრივი კომედიის“ სისხლგამოკლილი ფიგურები. აიღეთ, ერთი მხრით, ბეატრიჩე: „ეს არის მალაი ოცნება, კვრეტისა და თავყვანისცემის საგანი, კეთილშობილურად დამუშავებული მედალიონი ლამაზი ქალის სახით და მასში მოთავსებული საყვარელი ადამიანის თმებით, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, აქ არ არის ნამდვილი ქალი“ (ა. ბალმონტი). შეადარეთ მას ხორცისა და სისხლისაგან შექმნილი ნესტან-დარეჯანი, რომელიც ხავერდივით რბილია და ნაზი სამიჯნურო აღერსის დროს, ხოლო აღშფოთებისა და მრისხანების ეამს სასტიკი და შეუბრალებელი, როგორც ჯიქი; იგი ესწრაფვის ზეციურ სიმაღლეს სიყვარულის გასაგრძელებლად და დასაგვირგვინებლად ამქვეყნიურ, მიწიერ ფორმებში. იგი ანთებულია სატრფიალო ტანჯვა-წამების იმ ვნებით, რომლის შესახებ უაღრესად პოეტურ „ქებათა ქებაში“ ნათქვამია: „ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი, სიყვარული; ფიცხელ არს, ვითარცა ჯოჯოხეთი, შური; ისარი მისი—ისარი ცეცხლისა, ის ალი არს ცეცხლისა, მეტად ძლიერი: არ ძალ-უც წყალსა მრავალსა და შრეტა სიყვარულისა, და მდინარე ვერ წარღვნის მას“ (VIII, 6—7). რუსთველს არაფერი აქვს საერთო არც აღმოსავლეთის მისტიკურ სუფიზმთან, რომლის კონცეფციას ის ეკამათება კიდევაც პოემის შესავალში, როდესაც ამბობს:

ვთქვა მიჯნურობა პირველი და რომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე სახეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა. (20)
მას ერთსა მიჯნურობასა ტკვიანნი ვერ მიჰვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ხურნიცა დავალდებიან.—

და რადგანაც ასეთია ის სუფისტური, ზეციური სიყვარული, განაგრძობს პოეტი, მე იმას კი არ ვუგალობ, არამედ „ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხედებიან“ო. (21).

რუსთველის ფილოსოფიურ შეხედულებათა შედარებითი თავისუფლება და ჰუმანურობა უშუალო გამოძახილია საქართველოში მის დროს „სულის თა-

ვისუფლებიანა“, რომლის შესახებ ზემოთ, კლასიკური პერიოდის ზოგადი დახასიათებისას, გვკონდა საუბარი. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი პოეტი მატერიალისტი და ათეისტიცა, როგორც ზოგიერთი ფიქრობს.

ვისაც, ერთი მხრით, ზერელედ მაინც გადაუკითხავს ვეფხისტყაოსანი, ის უთუოდ შეამჩნევს, რომ 1) მის ავტორს სწამს, რომ აღამიანი შედგება ზორცისა და სულისაგან, რომელიც, როგორც ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, ერთიმეორეს გაეყრებიან (274, 528, 789). სული, მისი რწმენით, არის არა მატერიალური რაიმე, არამედ „ზეციით მონაბერი“ (1); როგორც ასეთი, ის „ზეცად რბის“ (440), მას აქვს უნარი „აღმაფრენისა“ (1197), სადაც ის ინარჩუნებს ინდივიდუალური არსებობის უნარს, უნარს „ნახვისა და სახვისას“ (1305). 2) პოეტს სწამს საიქაო ცხოვრება მისი სამოთხითა და ჯოჯოხეთით, მას სწამს, რომ სულმა, შეიძლება, „წაწყმედა“ იხმიოს (959, 1152). ამის დასამტკიცებლად ჩვენ არ გამოვიყენებთ სიტყვებს: მომეტ „ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანაწასატანისა“ (2), ვინაიდან ამ სიტყვების რუსთველისადმი კუთვნილებაში ეკვივ გამოთქმული, მოვიყვანთ სხვა ადგილებს:

ვგრ ჯვრუფები, ვრ ვუხამ საქმესა საძაბუნოსა,
პირისპირ მარცხენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა. (797)

მეფე ეტყვის: ძმათა თქვენთა თავნი ჩვენთვის დაიხოცნეს,
ოგი უფხა საუკუნოს ცხადად პოჟეს, არ იოცნეს,
ერთსა მიძხედეს საზიაროს, დიდებანი იასოცნეს. (1455)

თუკა მე მათი დახოცა მტკივის და სატკივარია,
მაგრა მათ მიძხედა უკდავი მუნ დიდი საჩუქარია. (1456)

ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ, ვნით,
აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანერთი კლა ვნახნეთ, კლა რამე გავიზარენით. (882)

ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან. (440)

სრულად მოვწყდეს სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი. (133)

თბუღლა: ქრთამი საურაგსა ჯოჯოხეთსცა დაიურჯებს. (764)

3) პოეტი ქვეყნისა და აღამიანის პრინციპად ილიარებს ტრანსცენდენტ არსებას—ღმერთს, იმ ღმერთს, რომელიც, მისი სიტყვით, არის არა მარტო „უცნაური და უთქმელი“ (809, 917, 1250), „უერთაგან მოუსმენელი“ (1250) „ძალი უხილავი“ (792), „უცამო ეამითა“ (836)¹, არამედ აგრეთვე „ერთი“ (2, 836), „ცხოველი“ (872), „უკვდავი“ (792), „უფალი უფლებათა“ (809), „მართლისა მბჰობელი“ (1432), „შემქნელი სამყაროსი“ (1), „ხმელთა და ცათა“ (809), „ქვეხათ-ზენასი“ (809), კერძოდ აღამიანისა (792), „კეთილის მომვლინებელი

¹ აქ მოცემულია პლატონისებური ნეგაციური ან ფსევდო-დიონისისებური აპოფატიკური წარმოდგენა ღმერთისა, რომელიც ზეუღლებრივია ქრისტიანულ თეოლოგიაში.

და ზოროტის არდამბადი“ (113, 1492, 1509), „უხვი“ (931), „სახიერა“ (576), „მფარველი“ (811, 1046), „გამკითხველი“ (865), „შემნდობი შეცოდებულთა“ (470), „მოწყალე“ (811, 1250), „კირთა მომაღხენელი“ (1250), „ნუგეშინის მცემი“ (931), „მფლობელი გულისთქმათა, მომცემი პატიეთა და კეთილთა“ (809), „მზრდელი ყოელისა“ (929), „ტკბილად მწყალობელი და შხედი“ (112, 113), „შემწე ყოველთა მიწიერთა“ (792)¹.

ადამიანი, რომელსაც სწამს ყველაფერი ეს, მატერიალისტად და ათეისტად ვერ ჩაითვლება; პირიქით, ეკვიპოტანლად შეიძლება ითქვას, რომ იგი წმინდა წყლის თეისტია და, როგორც ასეთი, მიმდევარი გარკვეული რელიგიური სისტემისა. რომელია ეს სისტემა?

ამ საკითხში გაცილებით მეტი არე-დარევა არსებობს, რაც თავისთავად გასაგებია. უნდა გვახსოვდეს, რომ ისეთ მხატვრულ ნაწარმოებში, როგორიც ვეფხისტყაოსანია, პოეტი არ შეეძლო მოეცა განყენებული რელიგიურ-ფილოსოფიური ტრაქტატი და თეორიული დასაბუთება თავისი შეხედულებებისა; ის თან ცდილობს შეგნებულად გვერდი აუაროს ყველაფერს, რაც გამომგლავნებელია კონფესიური პარტიკულარიზმისა და აღმსარებლობითი გარეგნობისა. ამით აიხსნება, რომ ზოგი მას თვლის მაჰმადიანად, ზოგი ქრისტიანად, ზოგი მანიქეველად, ზოგი წარმართობის ან პაგანიზმის იმ სახის ადებტად, რომელსაც სოლარიზმი ეწოდება. უყოყმანოდ აცხადებენ, რომ ის შუა საუკუნეთა ქრისტიანული იდეოლოგიის დაღს არ ატარებს. არ დარჩენილა არცერთი, გვეგონია, ისტორიულად ცნობილი რელიგიური სისტემა წინააზიაში, რომლის ადებტად და წარმომადგენლად არ იყოს გამოცხადებული ამა თუ იმ მკვლევრის მიერ ვეფხისტყაოსნის ავტორი. არაფერს არ უშვებენ ყურადღებიდან, მხოლოდ იფიქვებენ იმას, რაც მთავარია, სახელდობრ: სად ცხოვრობდა პოეტი, როდის ცხოვრობდა, რა კულტურულ გარემოში ქმნიდა თავის შრომას, რა შეეძლო მიეცა მისთვის მშობლიური ქვეყნის ცხოვრების იმ პირობებს, რომელშიაც ის ქმნიდა.

1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ წარმოებდა ცხარე კამათი, რომელშიაც ერთი მხარე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ავტორი ვეფხისტყაოსნისა მაჰმადიანია. როგორც უშუალო გამომდინარე ამ პოლემიკისა, 1917 წელს გამოვიდა საყურადღებო შრომა აკად. ნ. მარისა², რომელშიაც ის ამტკიცებს, რომ ავტორი პოემისა არის მაჰმადიანი ქართველი მეთოთხმეტე საუკუნისა, მკვიდრი გამაჰმადიანებული მესხეთისა. საბუთები? 1) პოემაში გვხვდება მუსულმანური, არაბულ-სპარსული სიტყვები და ტერმინები, ერთი სიტყვით — მაჰმადიანური კულტურისა და ზნე-ჩვეულების გამოხატულება. 2) ავტორი არის აღმსარებელი ერთი ღმერთისა, ის არსად არ ახსენებს

ვეფხისტყაოსანი

¹ აქ კი მოცემულია პოზიტიური ატრიბუტები ღვთაებისა — კატაფატისა ქრისტიანული თეოლოგიისა.

² Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре“ Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблема.

სამეზას, ღვთისმშობელსა და წმინდანებს. 3) ყველა მოქმედი პირი პოემისა მაჰმადიანია, მაჰმადიანურია მათი საკუთარი სახელებიც. 4) სუჟეტი და ფაბულა პოემისა მაჰმადიანურია. 5) ავტორს არ მოჰყავს ციტატები საღმრთო წერილიდან, თუ ზოგიერთი მისი აფორიზმი ასე თუ ისე მოგვაგონებს ბიძლიის შესაფერადგელს, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ავტორს უკითხავს საღმრთო წერილი. 6) XIV საუკუნე, როდესაც მესხეთში მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული მაჰმადიანობას, არის ეპოქა ამ ქვეყნის კულტურულად აყვავებისა მაჰმადიანობის ზეგავლენით.

რა გვეთქმის ამის შესახებ? ის გარემოება, რომ პოემაში გვხვდება სპარსულ-არაბული სიტყვები და ტერმინები, ავტორის მაჰმადიანობას ვერ დაგვიმტკიცებს, ვინაიდან ასეთი სიტყვები და ტერმინები შემოდის ჩვენში უფრო ლიტერატურული და კულტურული, ვიდრე სარწმუნოებრივი გზით; ესევე უნდა ითქვას საკუთარ სახელთა შესახებ, ხოლო რაც შეეხება მაჰმადიანური კულტურისა და ზნე-ჩვეულების წარმოდგენას პოემაში, ის თავისთავად არას ამბობს პოეტის მაჰმადიანობაზე; საქმე ისაა, რომ მოქმედება წარმოებს სამაჰმადიანო ქვეყნებში და, რასაკვირველია, ამიტომ პოემაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მაჰმადიანური წრე. ვერც იმიტომ დაეწამებთ პოეტს მაჰმადიანობას, რომ მისი ნაწარმოების ფაბულა და სუჟეტი მაჰმადიანურია: ნუთუ დამწერნი ან გადმომთარგმნელ-გადამკეთებელი ისეთი ნაწარმოებებისა, როგორცაა, მაგალითად, ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი, რუსუდანიანი, ყარამანიანი და სხვანი, ყველანი მაჰმადიანებია იმიტომ, რომ ამ თხზულებებში ყველგან სპარსულ-არაბული, საზოგადოდ მუსულმანური ელემენტები ქარბადა წარმოდგენილი? ყოვლად წარმოუდგენელია, ისტორიულად შეუძლებელი, იმ დროს, როდესაც ვეფხისტყაოსანი დაიწერა, თუგინდ ასეთ დროდ, თანახმად ნ. მარისა, XIV საუკ. მივიჩნიოთ, მესხეთში, ერთი მხრით, მაჰმადიანობას ჰქონდეს ფეხი გამდგარი იმდენად, რომ იქ შესაძლებელი იყოს წმინდა მაჰმადიანური ლიტერატურის შექმნა, ხოლო, მეორე მხრით, ამავე დროს ეროვნული ელფერიც იმდენად შერჩენოდეს მხარეს, რომ მაჰმადიანი ქართველი მაჰმადიანური შინაარსის თხზულებას ქართულ ენაზე წერდეს. ეს იმიტომაა შეუძლებელი, რომ, ჩვენ ვიცით, გამაჰმადიანებას ამ მხარეში მუდამ დენაციონალიზაცია სდევდა თან, არასოდეს მესხეთში მაჰმადიანობას ხელი არ შეუწყვია ეროვნული კულტურის განვითარებისათვის და მით უმეტეს იმ დონემდე, რომ იქ მაჰმადიანობის დროს შესაძლებელი ყოფილიყო ისეთი დიდი ნაწარმოების შექმნა, როგორცაა ვეფხისტყაოსანი. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ მას შემდეგ, რაც იმ მხარეში ფეხი შედგა მაჰმადიანობამ, იქ ჩაქრა ლამპარი წინანდელი კულტურული შემოქმედებისა და მხარე ბარბაროსობამ მოიცვა. ავტორი ერთი ღმერთის აღმსარებელიაო, ამბობს ნ. მარი, და სამეზას, ღვთისმშობელსა და წმინდანებს არ ახსენებს; ერთ ღმერთს აღიარებს ქრისტიანობაც, მას აღიარებს იუდაიზმიც, მაშასადამე, ამ საფუძველზე ავტორი ქრისტიანადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ და იუდაისტადაც. მოთხოვნა კი იმისა, რომ მას პოემაში სამეზა, ღვთისმშობელი და წმინდანები მოეხსენებინა, სწორედ რომ გაუგებარი და ახიარებულია: მხატვრული ნაწარმოები „ლოცვანი“ და „სვინაქსარი“ ხომ არაა,

რომ ასეთი რამეების ძებნა დავიწყოთ შიგ? და თუ ამაზე წავა საქმე, რატომ მაჰმადიანურ წმინდანებს არ ახსენებს ის ამ პოემაში, თუ ის მაჰმადიანია? რაც შეეხება მოსაზრებას, ვითომც კოეტს არ მოჰყავდეს ციტატები საღმრთო წერილიდან, ეს სწორი არაა, როგორც ამას ქვევით დავინახავთ; და თუ ზოგიერთი ადგილი, რომელიც ვითომცა შორით მოგვაგონებს ბიბლიის ციტატებს, მაჩვენებელია მხოლოდ იმისა, რომ ავტორს უკითხავს ეს წიგნი, მაშინ ვიკითხავთ ჩვენ: რატომ არ ამელავენებს ის მაჰმადიანურ ლიტერატურაში ნაკითხობას, მაგალითად, ყურანიდან შესაფერი ციტატების მოყვანით?

თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, არ გვეუცხოვება ის გარემოება, რომ აკად. ნ. მარი ბლომდის არ შერჩა ამ თეორიას, ის მან უარყო, როდესაც განაცხადა, რომ ავტორი პოემისა არის არა მე-14 საუკუნის მაჰმადიანი ქართველი, არამედ თამარის თანამედროვე შოთა რუსთველი ჩახრუხაძე (Das neue Russland, № 5—6, Die georgische Sprache, 1929).

მით უფრო მოულოდნელი და გაუგებარი აღმოჩნდა ჩვენთვის, რომ ამ თეორიის რესტავრაცია მოინდომა უკანასკნელ ხანებში პროფ. იუსტ. აბულაძემ თავის პატარა შენიშვნაში „როგორ უნდა გვესმოდეს შოთა კუპრი?“ (გაზ. „კომუნისტი“, 1935, წ., № 87). იუსტ. აბულაძის გაგებით, პოეტი მუსულმანიც არის, ქრისტიან-ნეოპლატონიკიც და „კუპრიც“—ურწმუნო; აი, მისი სიტყვები: „პოემა თავიდან ბლომდემ წმინდა-მაჰმადიანური მოძღვრების სულით და აზროვნებით იყო გამსჭვალული“ (ვეფხისტყაოსნის გამოცემა 1926 წლისა, გვ. LXXVI); „ამ წყაროებში უკვე აღნიშნულია და პირდაპირ ნაჩვენები ნეოპლატონური წყარო და აფორიზმები და პოეტური ფიგურები, რომლებიც ამშვენებენ და სიბრძნის დაუშვრეტელ წყაროდ ჰქმნიან პოეტის ქმნილებას, და მასთან წმინდა საქრისტიანო წყაროდაც ამოღებული ფრაზები“ (იქვე, გვ. LXVI). „ჩვენი ძველის მთელი შინაარსი, სადაც წარმოდგენილია წმინდა არაბულ-მუსულმანური სამყარო თავისი კულტით, ზნე-ჩვეულებით, სადაც პოეტის მთავარი გმირი—ინდოეთის უფლისწული ტარიელ სარიდანის ძეც კი ყურანის აღმსარებელია, და, მაშასადამე, წმინდა მუსულმანი, ისევე, როგორც არაბი ავთანდილი და პოემის ყველა სხვა მოქმედი პირები,—იძლევა ჩვენი პოეტის „კუპრად“, ე. ი. ურწმუნოდ გამოცხადების სრულ საბუთს“ („კომუნისტი“, 1935 წ., № 87). ავტორი ვარდება წინააღმდეგობაში, როდესაც მუსულმანი პოეტი ურწმუნოდ უნდა გამოაცხადოს! „ურწმუნოს“ არც ჰკრისტიანობა სწამს, არც მაჰმადიანობა და არც სხვა რამე, ამიტომაც ის „ურწმუნო“; თუ ის მაჰმადიანია, მაშასადამე, „ურწმუნო“ არ ყოფილა! მკვლევრის სიტყვით, „კუპრი“ არაბულ-ირანული „ქუტრ“-ის ქართულ გადაბგერებას წარმოადგენს და ნიშნავს ურწმუნრას, უღმრთოს, სარწმუნოებიდან გამდგარს. ამის მიხედვით, მას პოეტი წარმოდგენილი უნდა ჰყავდეს მაჰმადიანად. „თვით ჩვენი ძველის მთელი შინაარსი“, ამბობს ის, „სადაც წარმოდგენილია წმინდა არაბულ-მუსულმანური სამყარო, თავისი კულტით, ზნე-ჩვეულებებით“, სადაც პოემის მთავარი გმირები მუსულმანებია, „იძლევა ჩვენი პოეტის „კუპრად“, ე. ი. ურწმუნოდ გამოცხადების სრულ საბუთს“. ამას, მისივე სიტყვით, „იშვარად მოწმობს თვით პოეტის უზომო სიყვარული და

სიმპატია თავისი საკუთარი გმირებისადმი, რომლებიც, როგორც ყველასათვის ცნობილია, თითქმის ჟველა მართლმორწმუნე მუსულმანებია და პოემაშიც ყველგან ადგილი აქვს ყურანის მეტის-მეტად მკაცრ და ზუსტ მიმდევრობას. მიგვიჩვენია ლინგვისტიკისათვის გარკვევა იმისა, „კუპრი“ მართლა არაბული-ირანული „ქუჭრა“-ს გადაბერება თუ არა (ეს იუსტ. აბულაძის გარდა არავის არ უნდა სწამდეს), ჩვენთვის ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის, რომ „ქუჭრა“ ტერმინით მაჰმადიანები აღნიშნავენ მაჰმადიანობისაგან განდგომილს, შოთა კუპრი კი, თუ მას მართლა ვინმე სარწმუნოებისაგან განდგომილად ჩათვლის, უნდა მიჩნეულ იქნას ქრისტიანობისაგან და არა მაჰმადიანობისაგან განდგომილად, მაშასადამე, არც „გამთა აღმწერელ“ მემბტიანეს, არც სხვა ვინმეს საბუთი არ ექნებოდა ასეთი სახელი ეწოდებინა მისთვის. მეორე—ქართულ ენაზე ჩვენ გვაქვს „ქუჭრა“-ის შესატყვისი ქართული ტერმინები და სიტყვები; რად უნდა ეხმარა ეს უცხო, მაჰმადიანური წარმოშობის და მაჰმადიანთა წრეში ხმარებული ტერმინი ისეთს ულტრაქრისტიან მწერალს, როგორიცაა ჩვენი „გამთა აღმწერელი“? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამთავად გვიანტერესებს არა ლინგვისტიკა ანალიზი სიტყვა „კუპრისა“, რამდენადაც დასაბუთება ჩვენი პოეტის მაჰმადიანობისა. პოემაში წარმოდგენილია მუსულმანური სამყარო თავისი ზნე-ჩვეულებებით, მოქმედი პირები, რომელთაღმდეგ პოეტი უზომო სიყვარულითა და სიმპატიითაა გამსჭვალული, არიან მუსულმანები, ყურანის ზუსტი მიმდევარი. აი ეს საბუთები! ნუთუ ეს კმარა პოეტის მაჰმადიანობის დასამტკიცებლად? სიტყვას არ გვაგვარძლებთ, რადგანაც ყველა ამაზე საუბარი გვქონდა, როდესაც ნ. მარის თეორიის შესახებ ვლაპარაკობდით, და შეენიშნავდით, რომ ასეთი „საბუთებით“ რომ ვიხელმძღვანელოთ, მაშინ, ვინ იცის, რამდენი თანამედროვე თუ წარსული დროის მწერალი, ქართველი და არაქართველი, გამოცხადდებოდა მაჰმადიანური რელიგიის მიმდევრად! იქნება იმისი თქმა უნდათ, რომ პოეტი ნამდვილად კი არ იყო მაჰმადიანი, მაგრამ მას ურწმუნო, სარწმუნოებისაგან გამდგარი უწოდეს, რადგანაც მის თხზულებაში წარმოდგენილია მუსულმანური სამყარო და მოქმედი პირები, რომელთაღმდეგ ის უზომო სიყვარულითა და სიმპატიითაა გამსჭვალული, მუსულმანები არიან. ეს უფრო გაუგებარი იქნებოდა. ქართულ ლიტერატურაში, ვინ იცის, რამდენი ისეთი ნაწარმოებია შემოსული მუსულმანური სამყაროდან (ვეფხისტყაოსანიც, იუსტ. აბულაძის შეხედულებით, მუსულმანური, არაბულ-სპარსული, სამყაროდანაა შემოსული), რომლებშიაც მოქმედ პირებად მუსულმანები არიან გამოყვანილნი, მაგრამ არცერთს მათ გადმომთარგმნელ-გადმომკეთებელს და გამლექსეულს ურწმუნოისა და სჯულისაგან განდგომილის სახელი არ დაუმსახურებია; რაღა ვეფხისტყაოსნის ავტორს უნდა მოსვლოდა ასეთი უბედურება?

ერთი სიტყვით, მაჰმადიანობის თეორიას ვერც ამ არგუმენტაციამ უშველა რა; ვერ უშველა იმიტომ, რომ ავტორი ჩვენი პოემისა არ შეიძლება მაჰმადიანი იყოს, ვინაიდან:

1) ვეფხისტყაოსნის ღმერთი, როგორც დავინახეთ, არის უხვი, სახიერი, მოწყალი, ტკბილად მწყალობელი და ტკბილად მხედი, ჰირთა მომღხენელი;

ასეთი ატრიბუტები ღვთაებისა მაჰმადიანობამ არ იცის, მისი ღმერთი არის საშინელი, მრისხანე ტრიანი, ამავე დროს გულქვა არსება, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში ხელმძღვანელობს არა სიყვარულითა და სამართლიანობის პრინციპით, არამედ თვითნებობით. ამიტომ მაჰმადიანს არ შეუძლია უყვარდეს ღმერთი, მისდამი დამოკიდებულებაში ის მხოლოდდამხოლოდ შიშით ხელმძღვანელობს¹.

2) ჩვენი პოეტი დაუფარავი სარკაზმითა და ირონიით იხსენიებს მაჰმადიანობას, მის წესებს ის პირზე ღიმილით აღნიშნავს ხოლმე. ასეთი ტონი გვესმის ავთანდილის მიერ გადარჩენილი ვეპერების სიტყვებში:

გარდაბა, ჭადრეს: ჩვენ ვართ მობაღდაფენი ვეპარი,
მაჰმადის სჯულის მვირავნი, აროდეს გვისეგან მაჰარი. (1031)

გვესმის ის თვით ტარიელის სიტყვებშიც:

სრულნი მუყარი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან,
მათ ხელთა ჭონდა მუსაფი, ყოველნი იკითხოვიან;
მტერ-დაცემული ვგონებ, არ ვოცი, რას ჩმაზვიდიან. (351)

ასეთივე რამე გვესმის მოთხრობაში უსენის შესახებ, რომელსაც „დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი?“ (1166). ცხადია, მართლმორწმუნე მაჰმადიანისაგან ასეთი რამე მოსალოდნელი არაა! არ არის მოსალოდნელი მისგან გულგრილობა ისლამის მორალური კოდექსის მოთხოვნილებათაღმე (მარხვა, ლოცვა, პილიგრიმობა, ქველმოქმედება, სიბართლე), რომელიც თავს იჩენს პოემაში².

1926 წელს პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა დებულება, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო მიმდევარი „სპარსული“ მოძღვრების—მანიქეიზმისა, ამიტომ მას, როგორც ურჯულს, სარწმუნოებისაგან განდგომილს „ქუპარს“-ს ეძახდნენო³. ამის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს მკვლევარს აძლევდა ერთი ყალბი სტროფი, რომელიც ზოგიერთ ხელნაწერში წინ უძღვის პოემას და რომელიც იწყება ასე:

პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად,
ვებობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორცს არ სულად.

აქო, ამბობს მკვლევარი, ვილაც ინტერპოლატორი პოლემიკას აწარმოებს ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ, ვინაიდან მან იცის, რომ ეს პოემა არის „სპარსული“ მოძღვრების, ესე იგი—მანიქეიზმის შემცველიო. თუ ფრაზას—„ნათქვამია იგ სპარსულად“,—ასეთ გადამწყვეტ მნიშვნელობას მივანიჭებდით ამ შემთხვევაში, რატომ „სპარსულ“ მოძღვრებად უქვეყლად მანიქეიზმი უნდა მივიჩნიოთ და არა ზორაოსტრიზმ-მაზდეიზმი, როგორც მთლიანი, დამოუკ-

¹ А. М. Яхер, История ислама, I, гл. 207—211.

² ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ვერნ. „მნათობი“, 1931 წ., № 7—8, გვ. 169—171.

³ რუსთველიანი, გვ. 54—55, 116—118, 218—220.

დებელი და დამთავრებული რელიგიური სისტემა? განა უკანასკნელი ნაკლებ „სპარსულია“, ვიდრე მანიქეიზმი? მით უმეტეს, რომ მანიქეიზმი არაა მთლიანად „სპარსული“ მოძღვრება, ის იმდენადაა „სპარსული“, რამდენადაც „ქრისტიანული“. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ტლანქ ინტერპოლაციაში ფრაზა— „ნათქვამია იგ სპარსულად“—არ შეიცავს იმ აზრს, თითქოს პოემაში რაიმე რელიგიური მოძღვრება, კერძოდ მანიქეიზმი, არის გადმოცემული, ის უხეირო მიბაძეა და გამომდინარეობს პროლოგის იმ სტროფისა, სადაც ნათქვამია: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“. მანიქეიზმის ერთ-ერთი მთავარი დოგმატი იყო, პ. ინგოროყვას სიტყვით, უარყოფა ღვთაებაში ყოველგვარი ატრიბუტისა (რუსთველიანა, გვ. 117—118); პოემაში კი, როგორც დავინახეთ, მოცემულია მთელი ცხრილი ასეთი ატრიბუტებისა.

მთავარია შემდეგი გარემოება: ვეფხისტყაოსანი მთელი თავისი შინაარსით ლიამეტრულად ეწინააღმდეგება მანიქეიზმის მთავარ დებულებებს. მანიქეიზმს ახასიათებს მკაცრი დუალიზმი, ის ადამიანს თელის ეშმაკის ქმნილებად, კერძოდ ქალს—არაწმინდა არსებად; კრძალავს ქალისადმი სიყვარულს, ქორწინებასა და შვილების გაჩენას, კრძალავს აგრეთვე ნადირობას, სულდგმულ არსებათა დახოცვასა და ქაშას, ქეიფს, ღვინის სმას, ომიანობას, ტყუილის თქმას, ცუდი სიტყვების ხმარებას, მისნობასა და ვაჭრობას¹. ვეფხისტყაოსანს ახასიათებს გარკვეული მონოთეიზმი (ავთანდილის მიმართვა „ერთი“ ღვთაებისადმი, 836), მასში, როგორც ვიცით, გაღმერთებულია ქალისადმი სიყვარული, სატოფოსთან დაქორწინება და შეუღლება ადამიანის სიციცხლის იდეალადაა მიჩნეული, ნადირობის დროს ცხოველების დახოცვა და ნანადირევის ჭამა ყოველდღიური ცხოვრების ნორმადაა გამოყვანილი, ქეიფი, შექცევა და ღვინის სმა აუცილებელი ატრიბუტია ცხოვრებისა, იმაში ომიანობასა და ბრძოლას მთავარი ადგილი უკავია; ადამიანი, კაცი იქნება თუ ქალი, მას მიაჩნია ღვთისაგან დაბადებულად. (39, 792), მისი გმირები, რჩეულები კი, ტყუილსაც ამბობენ. (ავთანდილის ორჯერ გაპარვა, ვაჭრულად გადაცმა) და ცუდ სიტყვებსაც (577, 578, 593, 1101), ისინი არ ერიდებიან არც ცუდს საქმეს, როგორცაა მრუშობა (369—374, 1099, 1254), არც გრძნება-მისნობასა და ცრუმორწმუნეობას, არც ვაჭრობას.

რუსთველი რომ მანიქეიზმის მიმდევარია, ამის საბუთს პ. ინგოროყვას აძლევს, სხვათა შორის; მონღოლთა შემოსევის ისტორიკოსი, ე. წ. ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, რომელიც თითქოსდა პოემის ავტორის შოთა კუპრის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: ქართველებმა მონღოლებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს, სხვათა შორის, „ერთის: ერის: თავი: შოთა: რომელსა: მანისი: ფერობისა: თვის: კუპრობით: უხმობდეს“ (ქართ. ცხოვრ. მარამისა, გვ. 600). ამ ბუნდოვან ადგილს პ. ინგოროყვა ასე კითხულობს: „ერთის ერისთავი შოთაჲ, რომელსა მანისი ფერობისათვის კუპრობით უხმობდეს“, ესე იგი—

¹ მანიქეელთა მოძღვრების შესახებ იხ. Flügel, Mani, seine Lehre und seine Schriften, Leipzig, 1862; Kessler, Untersuchungen zur Genesis des manichäischen Religions Systems, 1876.

რომელსაც მანიქეიზმის (მანისა) მეთაურობისათვის (ფერობისათვის) კუპარს (სარწმუნოებიდან განდგომილს) უძახოდნენო, მაგრამ არც XVII საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, არც ვახტანგ VI და „სწავლულ კაცთა“ კომისია, არც თეიმურაზ ბატონიშვილი აქ მანიქეიზმსა და მის მეთაურს არ ხედავენ; მათი გაგებით, „მანისა ფერობისათვის“ არის დამახინჯებული გადამწერის მიერ „მელნისა ფერობისათვის“ და აზრი მისი ის არის, რომ, რადგანაც შოთა იყო შავი ფერი, როგორც მელანი, მას კუპარს აღარებდნენ და შოთა კუპარს ეძახდნენო¹.

საქართველოში მანიქეიზმის არსებობას, პ. ინგოროყვას აზრით, თითქოს აღასტურებს იმავე ე. ა. მ. თ. ა. დ. მ. წ. რ. ე. ლ. ის ცნობა ლაშა გიორგის შესახებ: „ოღესმე: მსმელ: ფრიაღისა: ლეინისა: თფილისს: მყოფი: წარიყვანეს: რინდთა: თანა: რათა: მუნ: განიძლონ: სიბილწე: თვისი: ხოლო: რინდნიმან: მეფისა: მოსლვისა: არა: მგონებელნი: და: ლეინითა: უცნობო: ქმნილნი: ზედამოეტევენეს: მგუემელნი: ძლიერად: ვიდრემდის: ერთიცა: თუალი: მარჯუენე: ხედვისაგან: უხედვო: ყვეს“ (ქართლ. ცხოვრ. მარიამისა, გვ. 544). პ. ინგოროყვა დამახინჯებულ სიტყვას რინდნიმან კითხულობს ასე: „რინდნი მანნი“ და ამბობს: რინდნი არიან მანნი, ესე იგი—მანიქეველნი (რუსთველიანა, გვ. 228—229). დამახინჯებული „რინდნიმან“ არის არა „რინდნიმანნი“, არამედ „რინდნი მუნ“, და ზემომოყვანილი ამონაწერი ასე უნდა წავიკითხოთ: „ოღესმე, მსმელი ფრიაღისა ლეინისა, თფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძლონ სიბილწე თვისი; ხოლო რინდნი, მუნ მეფისა მისლვისა არამგონებელნი, და ლეინითა უცნობოქმნილნი, ზედამოეტევენეს, მგუემელნი ძლიერად, ვიდრემდის ერთიცა თუალი, მარჯუენე, ხედვისაგან უხედვო ყვეს“. ერთი სიტყვით, ზემომოყვანილი ტირადის ავტორს აზრადაც არ ჰქონია მანიქეველობაზე ელაპარაკნა, ის აგვიწერს ზნე-ჩვეულებას რინდებისას (ლეინის მსმელნი, მემთვრალენი), რომელთაც გიორგი მეფეც ჩაუთრევიათ თავიანთ კომპანიაში².

ვეფხისტყაოსნის ავტორის „კუპარობა“ და მანიქეველობა დღეს საერთოდ უარყოფილია³.

ამით აიხსნება, უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგს თავის შტუდიებში პ. ინგოროყვა მანიქეველობაზე ჰიკრდაპირ აღარ ლაპარაკობს და თავის თეორიას, ოღნავ შეცვლილი სახით, ღვთაება—მზის ან ე. წ. სოლარული ჰაგანიზმის რელიგიაში აყალიბებს. „შოთას პოემაში ღვთაება წარმოდგენილია, ამბობს ის, როგორც კოსმიური ნათელი, რომლის სრულყოფილი გამოვლინებაა მზე.

¹ ამგვარი შედარების ტრადიცია იმდროის ლიტერატურაში ჩვეულებრივია; მაგალითად, ამირანდარეჯანიანში ვკითხულობთ: „ამაზედან კაცი ვინმე მოვიდოდა შავი, ვითარცა კუპრი, არა მარტო შაოსანი იყო ტანსა ზედა, თვით პირითაცა შავი იყო“ და „მერზე მოასხნა დედოფალმან სამნი კაცნი, შავნი, ვითა კუპრი“ (გვ. 186, 355).

² რუსთველის მანიქეველობის შესახებ იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1927 წ., № 2, გვ. 199—204.

³ „კუპარის“ შესახებ დაწერილებით იხ. ს. ი. ლ. ა. ნ. შ. ვ. ი. ლ. ი., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953 წ., გვ. 29—55.

ვეფხისტყაოსანში ჩვენ გვაქვს პოეტური რელიგია ღვთაება—მზისა, რომელიც აღიარებულია კოსმიური წყობის დასაბამად¹. ამ შეხედულებას სხვადასხვა ვარიაციებით სხვებიც იმეორებენ ხოლმე. ჩვენ არ ვიცით, რა წარმოდგენის უნდა იყოს ადამიანი რუსთველის განათლებისა და მისი დროის საქართველოს კულტურის შესახებ, რომ ის დაესახოთ წარმომადგენლად ისეთი შეხედულებისა და რწმენისა, რომელიც მატერიალურ მზეს ღვთაებად აღიარებს და რომელიც დამახასიათებელია პირველყოფილი ადამიანის აზროვნებისა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვალდებული ვართ განვიხილოთ საბუთები ასეთი მოსაზრებისა. ასეთ საბუთად წაიწყებულა პოემიდან ამოღებული ორი ადგილი. ერთია ნესტანდარეჯანის წერილი, ქაჯეთის ციხიდან მიწერილი სატროსადმი.

ღმერთსა შემედრე, ნუთუ კელა დამხნას სოფლისა შრომასა,
 ცუცხლსა, წყალსა და მიწასა, ზერთა თანა ძრომასა;
 მამცნეს ფრთენი და აღფრინდე, მიგზხდე მას ზემსა ნდომასა,
 დღსით და ღამით ვახედვიდე მზისა ელვათა კრომასა. (1304)

მზე უშენოდ ვერ იქნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
 განაღამეცა მას ეახელ მისი ეტილი, არ თუ წბილი!
 მუნა განაზო, მადდე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
 თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმეცა მქონდა ტკბილი! (1305)

ამ ადგილს მთელი რიგი მკვლევრებისა, ნ. მარტიანი მოყოლებული², ნეოპლატონიკურად განმარტავს, თუმცა ჩვენთვის გაოუგებარია—რა სიერთა უნდა ჰქონდეს ასეთ გაგებასთან ნეოპლატონიზმს, რომელმაც მატერიალური მზის ღვთაება გონებრივი მზით შესცვალა და ღვთაება ტრანსცენდენტად გამოაცხადა? არის თუ არა ამ სტროფებში რაიმე იმისი მსგავსი, რაც ღვთაება—მზის ან სოლარული პაგანიზმის თეორიას ადასტურებდეს? არავითარი მათი მიხედვით, არც იმის თქმა შეიძლება, რომ პოეტს ღვთაება წარმოდგენილი ჰყავს ნათელი არსის სახით, არც იმის, რომ მზე არის ემანაცია ღვთაებისა და ღვთაების მატარებელი. მათი აზრი ასეთია: ღმერთს სთხოვე ჩემ მაგერ, იქნება მან გამათავისუფლოს მე ამქვეყნიური ტანჯვისა და იმ ოთხი ელემენტისაგან, რომლისაგან, იგულისხმება, შედგება ჩემი ფიზიკური არსება (ესე იგი—რათა მოკვდე; შეადარე: „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შერთვიან სულთა სირასა“ სიკვდილის აღსანიშნავად); სთხოვე მას, რომ, სიკვდილის გზით, მომცეს მე,—უფრო სწორად, იგულისხმება, ჩემს სულს,—ფრთები ასაფრენად იქ, სადაც მუდამ მზის სხივთა ელვარებაა, ესე იგი—მზეზე. რად უნდა მას მზეზე აფრენა? თუ, შენგან განზორებულს, სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილი ტკბილი მექნება, რადგანაც მზეზე („მუნა“) შეგზვდები და განახავ იმავე სახით („მადდე“), რა სახითაც, მანდ, მიწაზე, წარმოდგენილი

¹ ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის (1937 წ.) წინასიტყვაობა, გვ. XXIX.

² Вступительные и заключительные строфы „Витаяя в барсовой коже“ Шоты из Руставы, гл. XLVII.

მყავხარ. როგორ ნახავს მზეზე მას? შენ, ლომთა-ლომი ტარიელი, ხარ მზის წილი, ესე იგი—კრძი, ხვედრი, სამკვიდრებელი (хлѣбъ, уделъ და არა чачица, როგორც ნ. მარი თარგმნის თავის Вступит. и заключит. строфы-ში გვ. XLVIII), როგორც მისი ეტლი—სახლი, ზოდიაკო; ის უშენოდ, უთავის-სახლოდ, წარმოუდგენელია, შენში, ლომის ზოდიაკოში. თავის დროს ის აუცილებელიე შემოვა (შდრ. „ჰგვანდა, ოდეს ლომსა შესჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი“) და მეც, მასზე, მზეზე, მყოფს, შენთან მომიყვანს და შემაერთებს. ამგვარად, მოხსენებულ სტროფებში, როგორც ეს აღნიშნულია ლიტერატურაში, პოეტმა შუა საუკუნეებში ცნობილი ასტრონომიულ-ასტროლოგიური ფაქტი,—ლომის ზოდიაკოში მზის შესვლა,—გამოიყენა უმშვენიერეს მეტაფორად მზეზე სიკვდილის შემდეგ აფრენილი ნესტანდარეჯანის ლომტარიელთან მიახლოვებისა და მათ მიერ ერთმანეთის ნახვისა.

მეორე საბუთი „ღვთაება-მზის“ თეორიისა: იმ თავში, სადაც ლაპარაკია ავთანდილის მოგზაურობაზე, მზეს პირდაპირ ღვთაება ეწოდება, პოეტი წერს:

მიმავალი ცასა შესტირს, ვუბნების, ეტყვის მხესა:

აჰა, ღმერთო, გვაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა. (957)

ამის შესახებ, პირველ ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ პოემის ბექდვითი გამოცემანი და ხელნაწერები, გარდა ერთისა¹, ამ სტროფში კითხულობენ არა „აჰა, ღმერთო“, არამედ „აჰა, მზეო“. რა საბუთით უნდა მივიანიკოთ ასეთი უპირატესობა და გადამწყვეტი მნიშვნელობა ერთი, შემთხვევითი ხასიათის ხელნაწერის წაკითხვას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ამ ხელნაწერშიაც პირველად დაწერილი ყოფილა „მზეო“, რომელიც მერე ვილაცას გადაუშლია და მის მაგიერ ჩაუწერია „ღმერთო“. დავუშვათ, რომ აქ თავდაპირველად მართლაც „ღმერთო“ იკითხებოდა და არა „მზეო“, რას მივიღებთ აქედან? იმას, რომ პოეტის ფრაზეოლოგიაში ისმის გადმონაშთი ოდესღაც სხვადასხვა ერებსა და ქვეყნებში არსებული მზისთაყვანისცემისა. მზეს „მძლეთა მძლეს“ უწოდებდნენ მისი ყოველდღიური განახლებისა და სიბნელეზე, ღამეზე, გამარჯვების გამო, აგრეთვე იმიტომაც, რომ, საერთო რწმენით, ის ბატონობს ცხოვრებასა და აღამიანზე, აღამიანის სვე, ბედი („მდაბალს გაამალლებ, მეფობასა მისცემ სვესა“) დამოკიდებულია მზეზე. მზის კულტს ადგილი ჰქონდა წინააზიაში (მაზდეიზმი, მითრაიზმი), მესოპოტამიაში (ხარანელ-საბეველთა კულტი), რომსა და საბერძნეთში (aniktos, invictus sol) და ძველს საქართველოშიაც. ვინ იცის, აეტორის პოეტური აქსესუარი რამდენი ასეთი გადმონაშთის შემცველია, მისი სიტყვიერი მარაგი ერთია და პირადი რწმენა მეორე. ამ ფრაზაში ისეთივე შეუგნებელი გადმონაშთია შემოპარული, როგორიც დღევანდელი ქართველის თქმაში: „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“, „შენს მზეს ვფიცავ“ და სხვა ამგვარი. ასეთი ფორმით განა თვით პოეტი არ გვაძლევს ფრაზას: „შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე“ (1296)? ჟღერებულად კი პოეტი სასტიკად განარჩევს მზეს ღვთისაგან, ის მას თვლის

¹ H № 2810.

ღვთაების ქმნილებად და დანაბადად, მაგალითად: „აჰა მზეო, რათგან ღმერთ-მან მზედ დაგბადა“ (135), „ჰე, მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწალდი დასა-ბადებლად“ (1085), „ღმერთო, რომელი აღგვესებ მზეებრ ფენითა“ (917). მას შემდეგ, რაც ნეოპლატონურმა ფილოსოფიამ მატერიალური მზის ღვთაება გონებრივი მზით შეცვალა და ღვთაება ტრანსცენდენტად გამოაცხადა, მზედარჩა მხოლოდ ღვთაების სიმბოლოდ და ხატად, რაც ჩვენს პოეტს შემდეგი სიტყვებით აღუნაშნავს: „ჰე, მზეო, ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილო-სოფოსნი წინანი“ (836—837).

საერთოდ, ღვთაების სინათლედ, ნათელ არსებად, ნათელად, მზედ აღიარება და წარმოდგენა შაბლონური მეტაფორაა ქრისტიანობაშიც (ეს შაბლონური მეტაფორა ფილოსოფიური კონცეფციის საწყისად არ უნდა იქნეს მი-ღებული); ასე, მაგალითად, ბიბლიაში ვკითხულობთ: „უფალი ღმერთი მზე არს“ (ფსალ. 83, მუხ. 12 ებრაული და მისგან მომდინარე ვერსიებით); განსაკუთრებით სახარებაში: „ღმერთი ნათელ არს“ (1 იონ. I, 5), „ნათელი ქეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა“ (იონ. I, 9), „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს“ (იონ. I, 5), „ნათელი მოვიდა სოფლად“ (იონ. III, 9), „მე ვარ ნათელი სოფლისა“ (იონ. VIII, 12; IX, 5). ერთ-ერთი ფილოსოფიური სკოლა (სეითიანები, პტოლომეოსი) ამბობდა: „ზეციერი მამა პირველადი ნათელია, მისი არსება—მუდმივი, აბსოლუტური ნათელია“. ცნობილს „სიმბოლო სარწმუნოებაში“ ნათქვამია: „ნათელი ნათლისაგან ღმერთი ქეშმარიტი“ (ეს ტერმინი „ნათელი ნათლისაგან“—ფრანგ. *ex parte*—ნეოპლატონიკის პლოტინის ფილოსოფიაშიც გვაქვს). საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ასეთს სიტყვებს ღვთაების შესახებ: „მზე გონიერი“, „ნათელი სამბრწყინვალე“, „მზე დაუვალი“, „ნათელი შეუხებელი“, „ნათელი ერთი და სამშინანი“ (არაქსად), „მამა ნათელი, ძე ნათელი, სული ნათელი“, „ბრწყინვალესა ნათელსა შენსა“, „სამბრწყინვალეებასა ერთღვთაებისასა“, „ვითარცა მე (ღმერთი) ნათლისაგან ბრწყინვალე ნათელი ვარ“, „ნათელი ნათლისა მომცემელი“, „მარადარსი ნათელი მარადარსისა ნათლისაგან“, „მზე სიმართლისა“, „ნათელი ქეშმარიტი“, „ნათელი მხიარული“ და სხვ. და რაღა ბევრი ვილაპარაკოთ: ქართველებს გაქრისტიანების აღმნიშვნელად სხვა ტერმინი არ მიუღიათ, თუ არა „ნათლეა, ნათლისღება, მონათლეა“ (ბერძნული *βαπτισμα*—წყალში ჩაყურყუმღება, რუსული *крестить* სიტყვისაგან „ჯვარი“)! ნუთუ ამის მიხედვით ქრისტიანობაც სოლარულ პაგანიზმად უნდა აღვიაროდე?¹ ასეთი წარმოდგენა ღვთაებისა ჩვეულებრივია ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაშიც; ასე, მაგალითად, ი. წ. აბდუღმეისიანში ვკითხულობთ: „ღმრთისა სამშისა, ვინ ზესთ სამ ზისა“ (ნ. მარის გამოცემა, გვ. ით). დავით გურამიშვილი მთელ რიგს ჰიმნებისას უძღვნის „მზეთა მზეს“—ღმერთს:

სახით იგავად სათქმელად მამა მზეთა—მზედ ითქოსა,
ძე ღვთისა მხოლოდშობილი მზე სიმართლისა იქოსა.

¹ ნუთუ სოლარიზმის აღებტად უნდა მივიჩნიოთ ცნობილი ანტონ I კათოლიკოსი, რომელიც ქრისტეს შესახებ ამბობს, რომ ის არის „შარავანდი ნათელ-წყაროსა მზისა“ (მისი „სპეკალი“, შესავალი)?

მზე და სხივი და ნათელი ვით სამად გალქსულია,
იგ სამივე ერთი მზე არის, არ ცალკე გაქსაქსულია;
ეგრეთ მამა და ეგრეთ ძე და ეგრეთ წმიდა სულია.

ჩვენი განვიხილეთ უფრო მნიშვნელოვანი თეორიები, რომელთა მიხედვით ჩვენი პოეტი წარმომადგენელია ყოველგვარი რელიგიური სისტემისა, მხოლოდ არა ქრისტიანობისა. ღირებულება ამ თეორიებისა ნათქვამის შემდეგ, ეფიქრობ, ნათელი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც საკითხს ობიექტურად უდგება. უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება. ვეფხისტყაოსანს საუკუნეთა განმავლობაში გარკვეული წრეები, უფრო კი კლერიკალურად განწყობილი, ალმაცურად უყურებდნენ, ბრძოლასაც კი აწარმოებდნენ მის წინააღმდეგ; მაგრამ ეს ბრძოლა იყო წარმოებული იმდენად არა რელიგიურ ნიადაგზე, რამდენად მორალურზე: პოემას ებრძოდნენ იმისათვის, რომ ის თითქოს სამეძო ხასიათის იყო, ხორციელი სიყვარულის აპოთეოზით თითქოს ხელს უწყობდა საზოგადოებაში ზნეობრივი სიწმინდის შებღალეას და ეორწინებრივი მორალის შერყენას, არ არის ისეთი კატეგორიული ცნობა, რომელიც ავტორის წინააღმდეგ რელიგიურ ნიადაგზე ბრძოლას ადასტურებდეს და რომელიც სერიოზულად მისაღები იყოს მხედველობაში. უეჭველია, ამ შემთხვევაში მე მიმოთიბებენ იმ სტროფზე, რომელიც ვილაც უცნობ ინტერპოლატორს პოემის დასაწყისში მოუთავსებია და რომელიც იმდენად დამახინჯებულია ხელნაწერებში, რომ მისი ნამდვილი სახის აღდგენა ძნელია. დაახლოებით ის ასე უნდა იკითხებოდეს:

პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ საარსულად¹,
ეუხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა² შეიქს ზორცს არ სულად³;
საერთა, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად⁴,
თუ უყურა⁵ მონაზონმან, შეიქმნების გაპარსულად⁶.

აი ეს სტროფი, რომელშიაც თითქოს ნათქვამია, რომ ვეფხისტყაოსანი სამებას არ ახსენებსო, ზოგიერთ მკვლევარს სურს გამოიყენოს ქვაყუთხედალ თავისი თეორიისა. ჯერ უნდა აღვნიშნო, რომ აქ არ არის ნათქვამი, თითქოს ვეფხისტყაოსანი სამებას არ ახსენებს; არა! აქ ნათქვამია პირიქით, რომ ის

¹ „პირველ თავი დასაწყისი, ეგრე ნათქვამი საარსულად“ (ქუთაისის მუხ. ხელნ. № 205).

² „არა შეიქს“, „არას შეიქს“ (ძალიან ბევრ ხელნაწერში).

³ „ზორცსა სულად“ (ზშირად), ანდა—„არსსა შეიქს ზორცსა სრულად“ (ვილაც ბერიკას მიერ მიწერილი რედაქცია ცენტრარქივის № 303 სვინაქსარზე ფურ. 194).

⁴ ამ ტაქსის მაგიერ ქუთაის. მუხ. ხელნ. № 205: „სასმენელად შევნიერი, გათარგმნული მით ქართულად“, ბერიკას მინაწერში ეს ტაქსი სულ არაა.

⁵ „თუ იკითხოს“ (ბერიკას მინაწერი).

⁶ ამ ტაქსის მაგიერ ქუთაის. მუხ. ხელნ. № 205: „მსმენელთათვის მარგებელი, ყურანი მივცნეთ, გულნი სრულად“, V № 5006: „არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად“; ბერიკას მინაწერში: „ბერიკა ვწერ, მომაგონდა, ოდეს საყვარელსა წავეყვიდე“. ეს სტროფი შეთხზულია, ცოველ მკვს გარეშე, ამ ჯერჯერობით უცნობი ბე რ ი კ ა ს მიერ.

სამეზას კი ახსენებს, მაგრამ არა „ერთარსებით“. ვინც დოღმატების ისტორია ოღნავ მანც იცის, ის ჰოიგონებს, რომ იყო მთელი რიგი მოაზროვნეებისა და სექტებისა, რომელნიც სამეზას კი აღიარებდნენ, მაგრამ უარყოფდნენ მის ერთარსებას (არიანობა, ნესტორიანობა, მაკელონიანობა და სხვ.). ეს სულ სხვა რამეა! ვთქვათ, აქ მართლაც ის აზრია, რომ ვეფხისტყაოსანი სამეზას არ ახსენებს, განა შეიძლება ასეთი მასალით სარგებლობა? ამ სტროფის უბადრუტობას ამეღავენებს მისი ვარიაციული სახე, რომელიც იმისაგან უნდა წარმომდგარიყოს, რომ ვერავის გაუგია, რა უნდოდა ეთქვა მის ავტორს. მართლაც, განა შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა მეტი უაზრობა და სისულელე, ვიდრე ეს მოცემულია წინადადებაში: „არსსა (თუ გინდ— არას, არა“) შეიქს ხორცს არ სულად“? განა ასეთი სისულელის მთქმელის დამოწმება შეიძლება სერიოზულ სემეცნიერო კვლევა-ძიებისას, განა შეიძლება მას რაიმე ანგარიში გაეწიოს? მით უმეტეს, შეიძლება მის ნათქვამზე ავაშენოთ თეორია პოემის ავტორის რელიგიური მსოფლმხედველობის შესახებ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრალდებას— „არ ახსენებს სამეზასა ერთარსულად“, ძველადაც არ აქცევდნენ სერიოზულ ყურადღებას, ვინაიდან არის ნუსხები, რომლებშიაც მისი შემცველი ტაეპი ან სულ არაა, ანდა გადასხვაფერებულია.

განსვენებული აკად. ნ. მარც, როდესაც ის მაჰმადიანობის თეორიას ასაბუთებდა, გულახდილად ამბობდა: პოეტის მაჰმადიანად აღიარება „при трезвом отношении к явлению принимает тем большую яркость и выпуклость, производит тем больше впечатление, что наше представление о современной Грузии, Грузии Тамары, является полной антитезой: с одной стороны высокое проявление могущества Грузии, как пропагандиста христианства, народ-крестоносец, возглавляемый святой женщиной, поборницей православия, предающей, по словам современника одописца, огню и мечу неверных агаряя, т. е. мусульман, и с другой— величайший грузинский поэт, с бесподобным мастерством открывающий нам дух и неисчерпаемые художественные богатства грузинской народной речи, наиболее национальный, и в то же время не христианин, а мусульманин! Возможность примирения этих антитез настолько невероятна, что в первый момент невольно возникает мысль, был ли Шота из Рустава современником Тамары?“¹ თუ გნებავთ, საკითხი თანამედროველად, მარქსისტულადაა დასმული და, საკითხის ამგვარად დაყენებისას, ნ. მარცს სხვა გამოსავლი აღარ ჰქონდა, თუ არა მართლაც რომ ჩამოშორება პოეტისა თამარის დროისაგან და გადაყვანა მისი XIV საუკუნეში, ისიც ვითომცდა იმ დროისათვის გამაჰმადიანებულ მესხეთში. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: როდესაც არ უნდა იყოს დაწერილი ის, დაწერილია ის საქართველოში, რომელიც იყო ფორპოსტი ქრისტიანობისა წინააზიში და მატარებელი ქრისტიანული იდეოლოგიისა. საქართველოში ეს ნაწარმოები შეიქნა,

¹ Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, გვ. 499—500.

როგორც იტყვიან ხოლმე, „მეორე სახარებად“ ყველასათვის, განურჩევლად კლასისა, სქესისა და ასაკისა. როგორ, „ქრისტესმოსავემ“ ერმა „სახარებად“ გაიხადა ისეთი ნაწარმოები, რომელიც მატარებელია მანიქეური, მაჰმადიანური და წარმართული იდეოლოგიისა? არა, აქ რაღაც გაუგებრობასთან უნდა გვეკონდეს საქმე. თუ საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ და თან არ მოვიწოდებოდეთ პოეტთა რეალურ მშობლიურ ნიადაგს მოვგლიჯოთ, კატეგორიულად უნდა ეთქვათ, რომ ის არ არის არც მაჰმადიანობის, არც მანიქეიზმის და არც სოლარული პაგანიზმის მიმდევარი, ის ქრისტიანია. შევეცდებით დავასაბუთოთ ეს დებულება.

პოემის ავტორი რომ ქრისტიანია, ეს მეღაღადებდა შემდეგიდან: 1) ის იცნობს ქრისტიანობის ზოგ რიტუალურ მოვლენას; 2) იცნობს ქრისტიანული მოძღვრების პირველწყაროს—ბიბლიას, ე. ი. ძველისა და ახალი აღთქმის წიგნებს; 3) მის ნაწარმოებში გვაქვს სპეციფიკური ქრისტიანული აზრები.

რიტუალური მხარე ქრისტიანობისა, რასაკვირველია, მკვეთრად ხაზგასმული არაა პოემაში და არც შეიძლება იყოს, თუ მხედველობაში გვექნება ის გარემოება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს რელიგიური საკითხებისადმი, საზოგადოდ, მეტად თავდაპირველ პოეტთან; მაგრამ ზოგ რამეს მაინც ვპოულობთ ისეთს ამ მხრივ, რაც მაჩვენებელია მისი ქრისტიანობისა. პოეტმა იცის ქრისტიანთა ის „საიდუმლოება“, რომელსაც ზიარება ეწოდება, და ტუქნიკა მისი შესრულებისა; ამას ამეღაღადებს შემდეგი მისი სიტყვები: „თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით“ (388). მან იცის აგრეთვე ქრისტიანთა უდიდესი დღესასწაული, რომელსაც „აღდგომა“ ან „აღვსება“, გინა თუ „პასექი“ ეწოდება, და მასთან დაკავშირებული სიხარული, რომლის სიმბოლოდ წითელი ფერი (საეკლესიო საგალობელში ნათქვამია: „პასქა წითელი“, შდრ. აგრეთვე აღდგომას კვერცხის წითლად შეღებვის ჩვეულება) იყო მიღებული; ეს ჩანს შემდეგი სიტყვებიდან:

მოედანს დაედგი კარვები წითლისა ატლასებისა,

მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა (552)¹.

ესე იგი: მოედანი მოვრთე საზეიმოდ, წითელი ატლასის კარვებით, გეგონებოდა—აღვსების ან აღდგომის დღეაო.

პოეტი რომ ზედმიწევნით იცნობს ბიბლიას, ეს ჩანს, პირველ ყოვლისა, იქიდან, რომ მას ხშირად მოჰყავს ბიბლიური საკუთარი სახელები და ტერმინები; ასე, მაგალითად: ბისონი (719—მდინარე ფისონი), ელემი (50, 309, 321, 332, 476, 522, 694, 715, 725), ლევი ურია (816), გაბაონი (331), ჯოჯოხეთი (764), სატანა (787, 874, 1213), ეშმაკი (118, 574, 805, 1196), ბელზებელი (349). მაგრამ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია

¹ მოგვყავს ჩვენი შესწორებით; ყველა დღესდღეობით ცნობილ ხელნაწერში ეს აღდილი ასე იკითხება: „დღე ჰგვანდა არ აღვსებისა“, რაც სრული უაზრობაა და გრამატიკულადაც უზამსობა; ორ ხელნაწერში ასეა შესწორებული: „დღე უგავს არ აღვსებისა“ (H 599), „დღე ჰგონა გლახ მან შევბისა“ (S № 4732), ერთიცა და მეორეც უფრო უზადრუცია და აზრის დამბნელებელი.

ამ მხრივ ის აზრები და ციტატები, რომელიც პოეტს უხვად მოჰყავს ბიბლიიდან. როდესაც ჩვენ ციტატების შესახებ ვლაპარაკობთ, იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ პოეტს ციტატები უცვლელად, სიტყვისიტყვივით მოჰყავს, ამას ვერც მოვთხოვთ მხატვრულ ნაწარმოებს; საყურადღებო ისაა, რომ პოეტს მხატვრულ ფორმაში და სახეებში მოუცია იგივე აზრი, რასაც ეს თუ ის ციტატა შეიცავს, მხოლოდ არასოდეს ის წყაროს. არ ასახვლებს, როგორც ეს მიღებული იყო მის დროს. მე ამ შემთხვევაში მოვიყვან პოემიდან, სტროფის თანამიმდევრობის დაცვით, მხოლოდ რამდენსამე მნიშვნელოვან ადგილს, რომელიც ნაკარანახეია. ბიბლიის ამა თუ იმ ციტატით, მოყვანა ყველასი შეუძლებელია, საქიროც არაა.

1. პროლოგის პირველი სტროფი აზრითა და ფრაზეოლოგიით გამეორება ბიბლიისა:

რომელმან შექმნა სამყარო

ძალითა მით ძლიერითა,

ხეგარდმო არსნი სულითა ყვნა

ხეცით მონახერითა,

ჩვენ, კატა, მოგვცა ქვეყანა,

გვაქვს უთვალავი ფერითა,

შექმნა ღმერთმან სამყარო (შესაქ. I, 7).

შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად (შესაქ. II, 7).

აღავსეთ ქუეყანა და ეუფლენით მას და მთავრობით თევზთა ხდვისათა და მბეტთა და ფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა და ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა ქუეწარმავალთა ქუეყანასა ზედა (შესაქ. I, 28)

არა არს ხელმწიფებდა, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი იგი არიან ხელმწიფენი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან (რომ. XIII, 1).

მისგან არს ყოვლი ხელმწიფე
სახითა მის მიერითა.

2. „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს: მუშა მიწვივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“ (11). იუ რ. მარის სიტყვივით, ეს ადგილი პარალელია „შაჰნამეს“ შემდეგი დებულებისა: „მეომარი და ხელოსანი ერთი მიმართულებით არ უნდა იჩენდენ თავიანთ უნარს; დეე, ერთმა იმუშაოს, მეორემ იბრძოლოს, თვითულ მათგანს უქველად შესაფერი საქმე აქვს“ („მნათობი“, 1934 წ., № 9, გვ. 144). სიტყვიერი მსგავსება უქვეელია, მაგრამ იდეური იგივეობა არა ჩანს: ფირდოუსი ამბობს, რომ ყველა უნდა აკეთებდეს იმას, რის გაკეთება მას შეუძლია თავისი უნარისა და ცოდნის მიხედვით, მაგრამ ის არავის ავალებს მულამ ამ ცოდნაზე დარჩეს და სხვაზე არ იფიქროს. ჩვენი პოეტი კი მოითხოვს—ადამიანი „დასჯერდეს“ მას, რაც „ბედმან მისცა“; ამ შემთხვევაში ის იმეორებს იმას, რასაც პავლე მოციქული ამბობს: „თვითული ადამიანი უნდა დარჩეს იმ წოდებაში“—ესე იგი—მდგომარეობაში,—რომელშიცაა ის მოწოდებულია“ (1 კორ. VII, 20).

3. „ვარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების“ (49); ეს იგივეა, რაც სახარების სიტყვები: „რამეთუ მზე მისი (ღვთისა) აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა და სწვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მთ. V, 45).

4. ერთი შეხედვით ისეთი პარადოქსი, როგორიცაა—„რასაცა გასცემ, შენიც; რას არა, დაკარგულია!“ (50), გამეორებდა იმ აზრისა, რაც სახარებაში

ასეა გამოთქმული: „რომელმან მოიპოვოს სული თუხი, წარწყმიდოს იგი; და რომელმან წარწყმიდოს სული თუხი, მოიპოვოს იგი“ (მთ. X, 39; მარ. VIII, 35; ლკ. IX, 24. რუსულად: „кто сбережет душу свою, потеряет ее, а кто потеряет, сбережет ее“).¹

5. „ამად რომე შევლოდება შეიდგზის თქმულა შესანდობლად“ (246), იმეორებს სახარების შემდეგ ადგილს: „დადათუ შეიდგზის დღესა შინა შეგცოდოს შენ ძმამან შენმან... მიუტყვეე მას“ (მთ. XVIII, 22; ლკ. XVII, 4).

6. „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს, ხაშს, თუ მისთვის სიყვდილსა და კირსა თავი არ დაპრიდოს“ (306); აქ ხაზგასმული აზრი ძმისა და მეგობრისათვის თავის დაღების შესახებ ამოღებულია სახარებიდან, სადაც ნათქვამია: „უფროსი ამისა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თავისი დასდვას მეგობართა თვისთათვის“ (იონ. V, 13); იგივე აზრი ასეა გამოთქმული სოლომონის „იგავებში“: „ყოველსა ზედა ეამსა რათა იყოს შენდა მეგობარი, ხოლო ძმანი კირსა შინა სახმარ არიან, რამეთუ ამისათვის იშობიან“ (XVII, 17), „არს მეგობარი თანამიკრულ უფროს ძმისა“ (XVIII, 25).

7. „ღმერთმან ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!“ (306); აქ, რასაკვირველია, ლაპარაკია არა საიქიო ცხოვნება-წაწყმედაზე, როგორც ზოგიერთსა ჰგონია. ამ შემთხვევაში აღნიშნულია კავშირი ორ კონტრასტულ მოვლენას შორის: სიცოცხლესა („აცხოვნოს“) და სიკვდილს („წაწყმიდოს“), სიცოცხლე-არსებობა განპირობებულია მოსპობა-სიკვდილით. ეს აზრი, რომელიც პროკლეს ასე ჰქონდა გამოთქმული: „სიკვდილი ერთისა არის წინამძღვარი და აუცილებელი პირობა მეორის სიცოცხლისა“, ხოლო ნემესიო მესელს—„სხვისა ქმნასა სხვისა ხრწნად იტყვიან და კულად სხვისა ხრწნასა სხვისა ქმნად“ (ბუნებისათვის კაცისა, გვ. 66, ს. გორგაძის გამოცემა), გამოერებაა მოციქული პავლესი, რომელიც ამბობს: „შენ რომელი დასთესი, არა ცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკვდის“ (1 კორ. XV, 36); ეს ნიშნავს: „დათესილი არ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა“ ესე იგი—ჯეჯილის აღმოცენება—სიცოცხლე დამყარებულია მარცვლის სიკვდილსა და ხრწნაზე.

8. „შენ არ გატეხა კარგი გპირს ზენაარისა, ფიცისა, ხაშს გასრულება მოყერისა სიყვარულისა მტკიცისა“ (706); ეს ხომ იგივეა, რაც: „კაცმან, რომელმან აღუთქუას უფალსა, ანუ ფუცოს ფიცი, არა განაცრუვოს სიტყუა თვისი; ყოველი, რაოდენი გამოხდეს პირისაგან მისისა, ყოს იგი“ (აიციხვთა, XXX, 3).

9. „თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, კირინცა შევიწყნაროთა“ (726); ეს არის დადებითი პასუხი-და განმეორება შემდეგი ადგილისა: „უქუეთუ კეთილი შევიწყნარეთ ხელისაგან უფლისა, ბოროტი არა მოვითმინოთა?“ (იობ. II, 10).

10. „მეშინიან, თუცა შიშსა მოციქული ვერ დაპრიდობსა (754); ასეთივე „შიშის არ რიდობაა, ესე იგი—არად ჩაგდება, ხაზგასმულია ბიბლიაშიც: „ნუ

¹ ეს აფორიზმი რეზუ-ნა სახარების იმ იგავისა, სადაც ლაპარაკია მდიდარი კაცის ვნის შესახებ, რომელმაც „გაცემით“ მოიპოვა ის, რაც მას სჭირდებოდა (ლუკ. XVI, 1—9); ის პარალელს აუქვლავს ლკ. XII, 35; აგრეთვე მთ. VI, 19; XIX, 21.

გეშინინ ნუცა ერთისა შიშისა... ხოლო შიშისა მათისათვის ნუ გეშინინ, ნუცა შესძრწუნდებით“ (1 პეტრ. III, 6, 14), შიში არა არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარეგანადღის შიში (1 იონ. IV, 18).

11. „წაგვიტოხავს, სიყუარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ? ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ. სიყუარული აღგვამსულვებს, ვით ეტყენნი, ამას ეღერენ“ (791); ეს აღგილი პირდაპირი გამოხმაურებაა იმ აზრებისა, რომელიც გატარებულია პავლე მოციქულის 1 კორნ. VIII, 1; XIII, 1—8, 14.

12. მიეც გლახაკთა საქურქლე, ათავისუფლე მონებია (803); მართალია, გლახაკთა გაკითხვა და მონისათვის თავისუფლების მინიჭება ისლამითაც კარგ საქმედ ითვლება, მაგრამ, როგორც ვარკვეულია, ეს ამბავი ისლამში ნაკარნახევია ქრისტიანიზმით, რომელიც ამბობს: ჟანყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა (მთ. XIX, 21; ლკ. XVIII, 22) და მონასა ნუ ხუებულ ჰყოფ განთავისუფლებისაგან (ისო ზირ. VII, 23).

13. ჟამოქრილ ვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად (855), ჟენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა (1656); ეს სიტყვები გამეორებაა ფსალმუნის (44,1) შემდეგი მუხლისა: ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყართა მიმართ წყლისათა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო.

14. არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა: არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა? (902); აქ იგივე აზრია გამოთქმული, რაც ბრძნის ისო ზირაქის (XX, 30) შემდეგ სიტყვებში: სიბრძნე დაფარული და საუნჯე გამოუჩენელი—რა სარგებელ არს ორთავე შინა? (შღრ. იქვე, თავი 41, 17). ის ვისრამიანის ქართულად მთარგმნელსაც გამოუყენებია თავის დროს.

15. ჟენ ხარ სავსება ყოველთა, აღგვაყებ მზეებრ ფენითა (917). გამოძახილია მოციქულის სიტყვებისა: იესო ქრისტე არს სავსება აღმავსებელისა ყოველისა ყოველსა შინა (ეფესელ. I, 23).

16. ღმერთსამცე ვით არ შეეძლო კვლა განკურნება წყლულისა (929), წყლულსა, მისგან დაკოდილსა, მასვე ძალუც განკურნება (1454); ეს გამეორება შემდეგი აზრისა: იტყვის უფალი: მე მოვსწული და მე განვჰკურნო (მეორე შჯული XXXII, 39).

17. იგია მზრდელი ყოველისა დანერგულ-დათვისულისა (929); ეს პარალელია პავლე მოციქულის შემდეგი თქმისა: არც დამსხმელი (დამნერგველ-დამთვისველი) რა არს, არცა მომრწყველი, არამედ აღმაორძინებელი (მზრდელი) ღმერთი (1 კორ. III, 7).

18. ძოლოდ ყოველი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს (939), პირდაპირი გამეორებაა შემდეგი სიტყვებისა: არაარა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს (ლუკ. XII, 2).

19. «მართლად იტყვის მოციქული: შიში შეიქმს სიყვარულსა» (1045); ბრძენი ისო ზირაქი ამბობს: «შიში დაადგენს გზათა ზედა სიყუარულისათა» (I, 13).

20. «კაცო, ძალსა ნუ იქაღი, ნუცა მოჰქვებ ვითა მთერალიი არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწვეს ღმრთისა ძალი» (1046); წინასწარმეტყველი ამბობს: «ნუ იქაღინ ძლიერი ძლიერებისა მიერ თვისისა» (იერემ. IX, 23—24).

21. «მით ღიაცა სამალავი არასთანა არ ეთხრობის» (1081); «რით განსხვავდება ეს ადგილი შემღვდისაგან: თანამესარეცელისაგან დაფარე, არა თხრობად რაიმე მისდა?» (მიქ. VII, 5).

22. «ღედისმუცლით რა გამოგყვა?» (1168), კითხვითი ფორმით გამოთქმული აზრი ბიბლიისა: «შიშველი გამოველ მუცლისაგან ღედისა ჩემისა» (იობ. I, 21).

23. ვა. ოქრო მისთა მღევასთა აროდეს მისცემს ლხენას, ღღედ სიკვდილამდის სისარბე შეაქმნეს კბილთა ღრქენას; შესდის და გასდის, აკლია, ვმღურვის ეტლთა რბენასა, აკლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენას. (1197)

ეს სიტყვები გავრცობაა მხატვრულ ფორმაში შემდეგი სიტყვებისა: «რამეთუ ძირი არს ყოველთა ბოროტთა ვეცხლისმოყვარება, რომლისათვის ვიეთმე თაენი თვისნი შესთხინეს საღმობათა მრავალთა» (I ტომოთ. VI, 9—10).

24. «ვა, საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე» (1213), აქ სატანა, ეშმაკი, გამოყვანილია სიცრუის, ტყუილის საზომად და მატარებლად. სიცრუისა და ტყუილის განსახიერებლად წარმოდგენილია ის სახარებაშიც: სატანა, ეშმაკი «ქეშმარიტებასა არა დაადგრა, რამეთუ ქეშმარიტება არა არს მისთანა; ოდეს იტყვის ტყუილსა, თვისისაგან გულისა იტყვინ. რამეთუ მტყუარ არს და რამეთუ მამაცა მისი მტყუარი არს» (იოან. VIII, 44).

25. «ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალია?» (1485); აქ პატრონყმური ურთიერთობის ტერმინოლოგიით გადმოცემულია ბიბლიის შემდეგი სიტყვები: «ვინ განმარტოს ხელი თვისი ცხებულსა ზედა უფლისასა?» (I მეფ. 26, 9).

26. «ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდომა» (1544); აქ ნაგულისხმევია მოციქულის სიტყვები: «სიყუარული არასადა დაუარდების» (I კორნ. XIII, 8).

27. «შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს» (1664), ამოღებულია ისაია წინასწარმეტყველიდან, სადაც ნათქვამია: «მაშინ ძოვდეს მგელი კრავთა თანა და ვეფხი თიკანთა თანა განისუენებდეს, მაშინ მგელნი და კრავნი ძოვდენ ერთბამად» (XI, 6; LXV, 25).

მოყვანილი ადგილებიდან ვხედავთ, რომ პოეტი თავისი მიზნებისათვის სარგებლობს ბიბლიის აზრებითა და სახეებით. ზოგიერთი მისი შეხედულება ბიბლიის ამა თუ იმ დებულების განმეორებაა. ასე, მაგალითად:

1. ზემოთ ჩვენ ამოვწერეთ ყველა ატრიბუტი ღვთაებისა, რომელსაც უჩენებს ჩვენი პოეტი, აღვნიშნეთ არა მარტო მეტაფიზიკური პრელიკატები

მისი, არამედ ანთროპომორფულიც, როგორც პოზიტიური, ისე ნეგაციური. ზოგი ამ ატრიბუტაგანი ზოგადი ხასიათისაა, დამახასიათებელი სხვადასხვა რელიგიური სისტემისა, მაგრამ არის ისეთი, რომელიც ქრისტიანიზმის სპეციფიკას შეადგენს და სხვა რელიგიისათვის უცხოა. ასეთია იდეა ღვთის სახიერებისა (576), რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ღმერთი არის ყოვლისათვის ტკბილად მხედი (113) და „ტკბილად მწყალობელი“ (112), კეთილი (1509) და სიყვარულით აღსავსე იქამდე, რომ მუდამ მზადაა მის წინაშე დამნაშავესა და შეცოდებულს (470) შეუნდოს, შეუნდოს არა ერთხელ, არამედ შეიდგზის (246)—მრავალჯერ. ეს იდეა არის კუთვნილება ქრისტიანობისა, რომელმაც ასეთი ლოზუნგი წამოაყენა: „ღმერთი სიყვარული არაა“ (1 იოან. IV, 8, 16), მან, ღმერთმან, ფსრეთ შეიყვარა სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მისცა მას“ (იოან. III, 16), მისცა მის წინაშე დამნაშავე კაცობრიობას ძლახინებელად ცოდვათა“ მისთა, „რათა ცხონდნ მის მიერ“ (1 იოან. IV, 9—10). სხვა რელიგიურ სისტემებში სიყვარულით აღსავსე ღვთაების, სახიერი ღვთის ადგილს იკავებს ან ბერძენ-რომაელთა განუყენებელი სამართლიანობა (Justitia), ან ებრაელთა თვალისა თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ, ან აღმოსავლეთის მრისხანე შეიხი, რომელიც ერთსადიმივე დროს ბატონ-პატრონიც არის და უღმრთელი მსაჯულიც თავისი ქვეშევრდომებისა (მაჰმადიანობა).

2. აეტროი პოემისა, გამსჭვალული სწავლისა და ცოდნისადმი უაღრესი პატივით, ცხოვრებაში, აღამიანთა ურთიერთობაში, უპირატესობას მაინც პრაქტიკულ მოქმედებასა და საქმიანობას ანიჭებს; ის ამბობს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?“ (790), „არას გარგებს სწავლულემა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა“ (902). ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ქრისტიანიზმის იმ დებულებასთან, რომელიც ცოდნაზე, კერძოდ რელიგიურ ცოდნაზე, — სარწმუნოებაზე, — მალა საქმეს, მოქმედ სიყვარულს აყენებს: „თუ მე ვუწყოდე ყოველი საიდუმლოა და ყოველი მეცნიერებაა, ხოლო სიყვარული არა მაქუნდეს, არავერა ვარა“ (1 კორნ. XIII, 2), „თუ შენს ძმას ან დას, რომელიც შიშველია და დღიურ საზრდოს მოკლებული, ეტყვი: წადი მშვიდობით, გაძეხი და გათბი, ხოლო არ მისცემ იმას, რაც მისთვის საჭიროა, რა სარგებელია? მსგავსად ამისა, სარწმუნოება, უკუეთუ არა აქუნდეს საქმენი, მკუდარ არს“ (იაკობ. II, 15—17).

3. ვედხისტყაოსანში მკვლევრის უურადლებას უნებლიეთ იპყრობს „უტალისტური“ ტენდენცია, ქრისტიანული „განგების“ ცნებით წარმოდგენილი; მართლაც, უური დაუგდოთ პოეტს:

განგებას ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების. (190)

განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვემცა სადა დავიშალო? (438)

განგებით კმნილსა რისხვასა ვერავინ დაჭრიდებია. (766)

რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების (793)

არ გარდავა გარდღვალად მომავალი საქმე ხენა,

არვის ძალუც ხორციელსა განგებისა გარდავლენა. (795)

რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად, გარდამხდეს... (796)

არ თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების? (903)
 რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცობის. (1035)
 არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწყვეს ღმრთისა ძალი. (1046)

თუ ყველაფერი ქვეყანასა და კაცის თავზე განგებისა და ღვთისაგანაა მოვლი-
 ნებული, თუ ადამიანს უგანგებოდ და უღვთოდ არაფრის გაკეთება არ შეუ-
 ძლია, თუ ყველაფერი ისე გათავდება, როგორც ვადწევეტილია ღვთის გან-
 გებით, მაშინ რადლა უნდა მოქმედებდეს და ირჯებოდეს ადამიანი? რადლა
 მოქმედებს ასე თავგამოდებით ავთანდილი და რად ეძებს თავდავიწყებით
 ტარიელსა და ნესტანს, ის ავთანდილი, რომელიც პოემით ყველაზე მეტადაა
 გამსქვალული ამგვარი შეხედულებით? ავთანდილი არამტუ ირჯება და
 მოქმედებს, გულოვნობასაც კი ასაბუთებს ასეთი რწმენითა და შეხედუ-
 ლებით; აი მისი სიტყვები:

უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებნენ ხმელთა სპანი;
 განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მხანი;
 ვერ მიხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვანნი, ვერცა ძმანი,—
 ვინცა იყის ესე ასრე, ჩემებრევა გულოვანი. (1039)

რატომაა „გულოვანი“? ამაზე პასუხს შემდეგს სიტყვებში ვპოულობთ:
 „ღმერთმან ქმნა და გიბოვნივარ, შენცა ცდილხარ მამაცურად“ (300);
 „ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა“ (1191). „ბედი,
 ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცახვდებისა (903); ესე იგი—ჩვენ
 უნდა ბედი ვცადოთ, ვეცადოთ, და, რაც შეეხება გამარჯვებას, თუ ღმერთს უნდა,
 გავიმარჯვებთ. მაშასადამე, პოეტის შეხედულებით, გამარჯვება ორ რამეზეა
 დამოკიდებული: 1) ადამიანის გარჯაზე, თუ ადამიანი არ გაირჯება, ის ვერ
 გაიმარჯვებს, 2) ღვთის ნება-სურვილზე, თუ ღმერთს არ უნდა, ადამიანი,
 ბევრსაც რომ სცდილობდეს, ვერას გახდება. ერთი სიტყვით, ადამიანის გარ-
 ჯა და ღვთის სურვილი, აი აუცილებელი პირობა გამარჯვებისა. ამ შემთხვე-
 ვაში ჩვენ საქმე გვაქვს დინერგისა ან ყოორდინაციისა სისტემასთან, რომე-
 ლიც ქრისტიანობის კუთვნილებაა. ქრისტიანობა, მისი პირველწყაროების მი-
 ხედვით, ფატალისტური რელიგიაა¹ და, თუ გნებავთ, არაფატალისტურიც².
 მისი მოძღვრებით, ღვთის ნების გარეშე არაფერი არ კეთდება, თუ ღმერთს
 არ უნდა, ადამიანის თავიდან ერთი თმაც არ ჩამოვარდება ძირს, ისე, რო-
 გორც არ „დავარდება ქუეყანასა ზედა თვინიერ ნებისა მისისა“ პატარა ჩიტიც
 კი (მთ. X, 29). „თუ უფალმან არ ააშენა სახლი, ტყვილად ირჯებიან მაშენე-
 ბელნი მისნი, თუ უფალმან არ დაიცვა ქალაქი, ტყვილად იფრთხოვნენ ძილს
 მისნი მკველნი“ (ფსალ. 126, 1—2), „არა კაცისაგან არს გზა მისი“ (იერემ.
 X, 33). როგორც ვხედავთ, ქრისტიანობის „ფატალიზმი“ ისეთივეა, როგო-
 რიც ვეფხისტყაოსნის: ქრისტიანობა არ ხმარობს ტერმინს „ფატალიზმი“, „ბე-
 დი“, მის ნაცვლად მან შეითვისა ანტიკიდან (განსხვავებული შინაარსით)

¹ ავგუსტინის ქრისტიანული თეორია.

² აელავიანობის თეორია. გაბატონება მოიპოვა, ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთში, სინერგის თეორიამ, რომელიც გამარჯვებისათვის ორ ფაქტორს აღიარებს: ღვთის ნებასა და ადამიანის სურვილს.

ტერმინი „განგება“, რომელსაც ძალიან ხშირად ჩვენი პოეტიც ხმარობს. როგორც ჩვენი პოეტი მოითხოვს, გამარჯვების მიზნით, ღვთის ნებასთან ერთად, ადამიანის გარჯასა და მოქმედებას, ისე ქრისტიანობაც, ღვთის ნება-განგებასთან ერთად, გამარჯვებისათვის ითხოვს ადამიანის აქტივობას, მოქმედებასა და გარჯას. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ: „ამერიკიდან, ძმანო, ჩემნო, შეიმოსეთ ყოვლადსაქურველი იგი ღმრთისა, რათა შეუძლოთ თქვენ წინადადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა... ამისათვის აღიღეთ ყოვლადსაქურველი იგი ღმრთისა, რათა შეუძლოთ წინადადგომად დღესა მას ბოროტსა, და ყოველსავე იქმოდეთ, რათა სდგეთ... აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისა, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად“ (ეფეს. VI, 10—17). როგორც ვხედავთ, დამთხვევა ამ მხრივ ქრისტიანობასა და ვეფხისტყაოსანს შორის ზედმიწევნითია.

4. ვეფხისტყაოსნის მკითხველს არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს იმ კონტრასტს, რომელიც, ავტორის შეხედულებით, არსებობს ღმერთსა და ქვეყანას შორის. ერთის მხრივ „უხვი ღმერთი“, მეორე მხრივ „ძვირი სოფელი“ (931); ერთის მხრივ—სახიერი, კეთილი, ტკბილი ღმერთი, მეორე მხრივ—ცრუ და მუხთალი (339), ფლიდი (754), ცრემლთა მდენელი (700, 918), ბოროტით აღსავსე (879) სოფელი, რომელიც შეწელობს იმისა, რაც „მას შეშვენის“ (1298), და რომელიც ყველასა სწავავს „სოფლისა ქმნისა წესითა“ (927), რომელიც აღსავსეა ქირითა და ვაებით, იქამდის, რომ „უეკლოდ ვარდის მოვლელა შეუძლებელია“ (877), „ყოლა ლხინს ვერ იამებს კაცი ქირთა ვადუხდელი“ (1637). ამ სოფელს „ბრძენნი იცნობენ“ და, როგორც ასეთს, „სწუნობენ“, ის „მათგან საწუნელია“ (1294). ეს კონტრასტი რელიეფურად არის გამოხატული შემდეგ სტროფში:

ჟა, სოფელი, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ხენ გვირისა!
ყოლი შენი მონდობილი ნიადგმეა ზემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი საღით ძირსა?
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა. (951)

აღნიშნული კონტრასტი აიხსნება არა დუალისტური მსოფლმხედველობით, რომლის მიხედვით ქვეყანა, როგორც მატერია, ბოროტი საწყისია და ბოროტება შეადგენს მის თვისებას; არც ფილოსოფოსი პლატონის შეხედულებით, რომელიც შემდეგ უკიდურესობამდე დაიყვანა გნოსტიკმა მარკიონმა, ვითომც ის, ქვეყანა, იყოს ქმნილება მეორეხარისხოვანი, არასრულყოფილი ვითაებინსა თუ ძალისა. რატომ? იმიტომ, რომ პოემაში ჩვენ საქმე გვაქვს სასტიკ მონოთეიზმთან, ერთი ღვთის იდეა წამყვანი იდეა იმაში, ამ ერთ ღმერთს აქ არაფერ არ ეცილება ძალა-უფლებას, არც მატერია და არც მეორეხარისხოვანი ღმერთი; ყველაფერი, რაც არსებობს, მაშასადამე—მატერიალური ქვეყანაც, მისი ქმნილებაა („რომელმან შექმნა სამყარო“), და; თუ ეს ასეა, ქვეყანა, როგორც მატერია, ვერ იქნება ბოროტება, რადგანაც „ბოროტთა უმყოფო ღმერთი“, რომლისათვის „კეთილია მზანი“ (1509), ბოროტებასა და ბოროტს ვერ გააჩენდა: „ღმერთი კარგსა მოავლენებს და ბოროტსა არ

დაბადებს“ (1492); „ბოროტიმცა რად შეეკმნა კეთილისა შემოკმედსა?“ (113), — კითხულობს ავტორი. მაშ რაშია საკმე? იქაც, ამ შემთხვევაშიაც, თავი იჩინა ჩვენი პოეტის ქრისტიანულმა სულსიყვითებამ. ქრისტიანიზმით სახიერი ღმერთის მიერ შეკმნილი ქვეყანა და ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაზეა, არის არა ბოროტება, არამედ კეთილი (შესაქ. I, 4, 8, 10, 12, 18, 21, 25): „და იხილნა ღმერთმან ყოველი, რაოდენნი კმნნა, და აჰა კეთილ ფრიად“ (შესაქ. I, 31), „ყოველი დაბადებული ღმრთისა კეთილ არს“ (1 ტიმოთ. IV, 4). მაგრამ მას შემდეგ, რაც აღამიანმა „თავისუფალი ნება“ გამოიყენა არა ჯერისამებრ და შესცოდა, „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას“ (1 იოან. V, 20), „ცოდვა სოფლად შემოვიდა და ცოდვისა ძლით სიკუდილი“ (რომ. V, 12), „ამაოებასა დაემორჩილა დაბადებული“ (რომ. VIII, 21), „იწრო შეიქნა ბჭე და გასაქირ გზა, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა“ (მთ. VII, 14). შეცოდების შედეგად „წყეულ იქმნა ქუეყანა საკმეთა შინა“ კაცისათა, რომელიც „მწუხარებითა შვეას მას ყოველთა დღეთა ცხოვრებისა“ მისისათა და რომელსაც ის, ქვეყანა, „ეკალსა და კუროსთავსა აღმოუცუნებს“ (შესაქ. III, 17—18). ერთი სიტყვით, ამ სამწუხარო ფაქტის შემდეგ აღამიანის ცხოვრება წარიმართა „წესთა მათებრ ამის სოფლისათა“ (კოლ. II, 8). ასე გადასჭრა ქრისტიანობამ ანტიკური ფილოსოფიისათვისაც თავსამტკრევი და საჭირბოროტო პრობლემა ზემოაღნიშნული კონტრასტისა და ამქვეყნად ბოროტების არსებობისა. ამ საფუძემდელ დგას დასახლებულ საკითხში ჩვენი პოეტიც, ბოროტება, ბნელი, მისი შეხედულებით, კეთილისა და სინათლის გაძლიერებას ემსახურება, ის ხანმოკლეა და კეთილის მიერ დათრგუნვილი იქნება: „იტყვის: ღმერთო, რა გმსახურო, გამინათლდა რათგან ბნელი! ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ (1435), „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1361). ესეც ქრისტიანული შეხედულებაა; მისი მოძღვრებითაც ამქვეყნიური ქირი და ბოროტება ხანმოკლეა, ის აუცილებელიცაა არსებობის სისტემაში, რადგანაც ხელს უწყობს კეთილისა და ღიღების გამოვლინებას, ის დათრგუნვილი იქნება და ამ გზით აღდგება ოდესლაც დარღვეული ჰარმონია. „რამეთუ საწუთო ესე მცირე ქირი ჩუენი, — ამბობს მოციქული, — გარდამატებულსა და გარდარეულსა დიდსა ღიღებასა საუქუნესა შეიქმს ჩუენთვის“ (2 კორნ. IV, 17); „თუ მცირედ ვიტანჯებით, მდიდრად ქველყოფილ ვიქმნებით“ (სიბრძ. III, 5), „უკუანასკნელ მტერი იგი — სიკუდილი“, რომელიც განხორციელდება ქვეყნად არსებული ბოროტებისა, „განქარდეს; დაინთქა სიკუდილო ძლეუთა. სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი, სადა არს, ჯოჯობეთო, ძლევა შენი?“ (1 კორნ. XV, 26, 54—55). საბოლოო დათრგუნვა და ძლევა ბოროტისა, მოხდება იმ „ახალსა ცასა და ქუეყანასა ზედა“, „რომელსა შინა დამკვიდრებულ არს სიმართლე“ საუქუნო (2 პეტრ. III, 13).

მოყვანილი ადგილების მიხედვით, ვფიქრობთ, ეპემიოტანელად შეიძლება ითქვას, რომ ავტორი პოემისა ქრისტიანია. შეიძლება გვითხრან, რომ ეს ადგილები მაჩვენებელია არა პოეტის რწმენისა, არამედ მხოლოდ იმისა, რომ მას უკითხავს ქრისტიანთა საღმრთო წერილიც; მაგრამ რაღა მაინცდამაინც ქრისტიანთა საღმრთო წერილია მისთვის ცნობილი, რაღა უმეკველად ის უკი-

თხავს მას და არა მისი ლეიძლი სარწმუნოების (თუ ის ქრისტიანი არაა) წიგნები, რატომ იმათ არ იმორწმუნებს ის? ეს გარემოება ალბად შეაშფოთებს მკვლევართა იმ ფრთას, რომელიც რატომღაც მზად არის რუსთველი გამოაცხადოს მიმდევრად ყოველგვარი სარწმუნოებისა, მხოლოდ არა ქრისტიანობისა, რომელიც ფიქრობს, რომ ის ვერ ავიდოდა იმ პოეტურ სიმალღეზე, რომელზედაც დგას, თუ ქრისტიანი იქნებოდა და არა სხვა რომელიმე რელიგიის მიმდევარი. თუ შუა დასკუნეთა მწერლისათვის, სამწუხაროდ, შეუძლებელი იყო თავის დაღწევა რელიგიური ცრუმორწმუნეობისაგან, ჩვენ ვამჯობინებდით, რომ ის ისევე ქრისტიანი ყოფილიყო, ვიდრე მაჰმადიანი, მანიქეველი ვინა თუ ადვკტი პირველყოფილი მზისთაყვანისმცემლობისა; ნუ დავივიწყებთ იმას, რომ, შედარებით სხვებთან, ქრისტიანობამ უფრო მეტად დაუახლოვა ჩვენი ქვეყანა მოწინავე და განათლებულ ქვეყნებს, რომ მან შემოიტანა ჩვენში არა მარტო კულტი, არამედ გარკვეული კულტურაც. მაგრამ ამაზე აპრიორულად კი არ უნდა ვმსჯელობდეთ, არამედ იმ მონაცემთა მიხედვით, რომელთაც პოემაში ვპოულობთ, პოემაში კი ჩვენ ქრისტიანის ფიზიონომიას ვხედავთ.

როდესაც ჩვენ რუსთაველის ქრისტიანობის შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა შემდეგი გარემოება გვახსოვდეს. რუსთველი მთლიანად ემყარება ქრისტიანობის პირველწყაროს, ბიბლიას, „საღმრთო წერილს“ (მიაქციეთ ყურადღება ზემოთხსენებულ ციტაციას, იქ არ არის არცერთი არაბიბლიური ციტატი), ამ მხრივ ის წარმომადგენელია ე. წ. „ბიბლიური“ ქრისტიანობისა და თეოლოგიისა (ეს შედარებით ახალი დროის ტერმინია), მისთვის უცხოა დოგმატურ-ეკლესიური ქრისტიანობა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიო კრებათა და შემდეგდროის სქოლასტიკურ-მისტიკურ გონებრივ აკრომატობაზე, მისთვის უცხოა მთელი ის ბალასტი, რომელიც ქრისტიანობას შეეზარდა შემდეგ, საუკუნეთა განმავლობაში, და რომელთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში გაბედული ხმა პირველად რეფორმაციის წინამორბედებმა XV საუკუნეში ამოიღეს. ამიტომაც ის მოწინავე ადამიანი და პროგრესულად მოაზროვნე რელიგიურ სფეროშიაც კი. აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი იმისა, რომ, თუ მას მომდევნო საუკუნეებში გარკვეული წრე რელიგიურ ნიადაგზედაც დევნიდა, დევნიდა, არა იმიტომ, რომ ის საზოგადოდ ქრისტიანი არ იყო, არამედ იმიტომ, რომ ის არ იყო მიმდევარი და მოტრფიალე დოგმატური ქრისტიანობისა, ხოლო იმ ხანებში სხვანაირი ქრისტიანობა წარმოუდგენელი იყო.

მეორე, რაც საყურადღებოა რუსთაველის მსოფლვაებაში, რაც მას ახასიათებს აგრეთვე როგორც მოწინავე მოაზროვნესა და დიდ ჰუმანისტს, არის ის გარემოება, რომ რელიგიას ის საერთოდ არ თვლის ცხოვრების მამოძრავებელ ძალად. ადამიანთა ურთიერთობის საკითხში მან ისევე გადალახა რელიგიური კარჩაეტილობა და ზღუდეები, როგორც ეროვნული (უკანასკნელის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი). ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ასმათი და სხვ. თავიანთ მოქმედებაში გაერთიანებულნი არიან არა რელიგიური ნათესაობით, არა იმით, რომ ისინი მაჰმადიანებადა ჩანან, არამედ იმ შეგნებით, რომ ისინი „ადამიანები“ და ძმადნაფიცნი არიან, რომ მათ აქვთ ერთი-

დაიგივე აღამიანური მიზანი—ბრძოლა ბედნიერებისათვის და ამ ბრძოლაში კეთილის ბოროტზე გამარჯვება.

ამრიგად, ჩვენს პოეტს ქრისტიანობა არ უშლის ხელს დარჩეს თავისი დროის დიდ ჰუმანისტად და მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე აღამიანად.

V. კომიის მხატვრული მხარე

საქიროა მოკლედ პოემის მხატვრულ მხარესაც შევეხოთ. ვეფხისტყაოსნის სახით ჩვენ მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, პოემის ინტერესს მართო ის მიმზიდველი ამბავი კი არ კმნის, რომელიც თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება, იქამდის, რომ ერთ-ერთი შემდეგიდროის მიმბაძველი იძულებული იყო ეთქვა: „მისთა ამბავთა უამეკაცს რამცა ვაეგონება?“ მის ინტერესს კმნის უმთავრესად მისი მხატვრული მხარე, პოემის არქიტექტონიკის სილიაღე და მასთან სიმარტივე, მისი შემადგენელი ნაწილების სიმეტრია, სიმდიდრე პოეტურ-მეტაფორულ გამოთქმათა, ღრმააზროვანი სენტენცია-აფორიზმებისა, ლაპიდარული მოკვეთილობა პოეტის მეტყველებითი საშუალებისა, აი რა ხიბლავს მკითხველს და რა მოსავეს მიუწვდომელი შარავანდელით ნაწარმოებს! რალა გვეთქმის მისი ლექსის შესახებ? საკმარისია ვაიხსენოთ, რომ შემდგომ საუკუნეთა პოეტების აზრით, რუსთაველს „ქართველთა ენით მელექსე ვერ ედარების“ ვერავინ, ამიტომ, ამბობენ ისინი, არც არავინ უნდა იწუხებდეს თავს მელექსეობის დარგში. ვინაიდან „მისის ლექსების მკითხველსა სხვა რადმცა მოეწონების?“ მელექსეობის დარგში ჩვენი პოეტი შეუდარებელი ოსტატია; „მოქმელი და გამომეტყველი მისებრი არსად არია“,—ასეთი იყო საერთო რწმენა წარსულშიც. საოცარია არაჩვეულებრივი სიმდიდრე მისი ლექსიკური მარაგისა, რომელიც აღებულია როგორც მწიგნობრული ლიტერატურიდან, ისე ცოცხალი ხალხური მეტყველებიდან. სიტყვათა განსაკუთრებულ წყობას პოეტი მიმართავს მუსიკალობისა და ტონური შთაბეჭდილების გაძლიერებისათვის. ამ მხრივ მკითხველის სმენას ატკბობს სილიაღე ეპიკური სტილისა, რომელიც დინჯია და ნაზი, როგორც საქართველოს ველები, ხან კი ქუხს ლამაზად შეკინძული ფრაზებით, როგორც პოეტის მშობლიური მთებიდან მოვარდნილი ჩანჩქერი. სიტყვათა ოსტატური შერჩევიზა და ბგერითი მასალის თავისებური კომბინაციით პოეტი მკაფიოდ გამოხატავს, ერთის მხრივ, ფეოდალური არისტოკრატის აღვირაწყვეტილ, დარდიმანდ ყოფას, ხოლო მეორეს მხრივ—ცხოვრების ჭირ-ვარამით დამძიმებულ განწყობილებას. ავტორის მიერ ხმარებული მეტაფორების, მოსწრებული შედარებებისა და პარალელიზმების სიუხვე და შრავალსახეობა შეუდარებელ ადგილს აკუთვნებს მას მსოფლიო ლიტერატურაში; ამ მხრივ ის სიტყვის ნამდვილი ჯადოქარია. საესებით გულწრფელნი იყვნენ მისი მემკვიდრეები. მხატვრული სიტყვის დარგში, როდესაც თიმიურაზ მეორის პირით ასკენიდნენ:

ვეფხისტყაოსნის ლექსები სხვა ლექსთა გაშეკვლია,
საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია.

რუსთველი არა მარტო შემოქმედია, არამედ ამავე დროს ის პოეზიის თეორეტიკოსიცაა. საყურადღებოა ამ მხრივ პოემის პროლოგი, სადაც პოეტი აცხადებს, რომ „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“, ამავე დროს „მსმენელთათვის დიდი მარგი“, ესე იგი, სასარგებლო, გამოსადეგი, ცხოვრების სამსახურისათვის განკუთვნილი და არა მისგან მოგლეჯილი და მოწყვეტილი. ამასთან ერთად პოეტი აქვე ლაპარაკობს მელექსეობის სამი დარგის შესახებ, მათი ღირსება-ნაკულევანების აღნიშვნით. ერთი—**შაირი**, რომლითაც იქმნის გრძელი ეპიური ამბები; მეორე—**ლექსი** ცოტაი, ნაწილი მოშაირთა“, რომელსაც „არ ძალუც სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირთა“; მესამე—ეს არის ლექსი სანადიმო, სამღერელი, სააშვიკო, სალალობო, ამხანაგთა სათრეველი, ესე იგი—მოკლე, ლირიკული ენარის ლექსი. პოეტი აშკარა უპირატესობას ანიჭებს შაირს, რომლის ბუმბერაზი წარმომადგენელი თვითონაა. ის პირდაპირ აცხადებს: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. თავისი დიდი ავტორიტეტითა და ამ სიტყვებით რუსთაველმა წვრილ, ლირიკული ენარის ლექსებს ისეთი ჩრდილი მიაყენა, რომელიც არ გაუფანტულა თვით მეთვრამეტე საუკუნემდე.

საზომს, რომლითაც დაწერილია „ვეფხისტყაოსანი“, ეწოდება „შაირი“. ეს სიტყვა არაბულია¹ და ნიშნავს იმასვე, რასაც ჩვეულებრივ აღნიშნავს სიტყვა „ლექსი“ (ეს უკანასკნელი ბერძნულია: λέξις—სიტყვა). შაირი 16-მარცვლიანი ლექსია, სილაბურ-ტონური ხასიათისა, მწერლობაში ხალხური ზეპირსიტყვიერი შემოქმედებიდან შეთვისებული, მისი დამახასიათებელი თვისებაა ამასთანავე რითმა, რიტმი და ცეზურა მერვე მარცვლის შემდეგ. ამ საზომმა ჩვენში დაიმკვიდრა სახელწოდება „რუსთველური შაირისა“ იმიტომ, რომ რუსთაველმა ის აიყვანა განვითარებისა და გამოყენების უმაღლეს საფეხურზე, ისე კი გამოყენებით ის გამოყენებული იყო მწერლობაში გაცილებით უფრო ადრე რუსთაველამდე. საყურადღებოა, რომ პირველად ის გამოყენებით სასულიერო მწერლობაში ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში. აღნიშნულ საუკუნეში ამ საზომით ვილაც ფილიპეს დაუწერია ღვთისმშობლის სადიდებელი ჰიმნი, რომელსაც ახასიათებს ღარიბი (ერთმარცვლიანი) რითმა და აკროსტიქი. ჰიმნი ასე იწყება: „ფესვთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო“. ის 13 სტრიქონისაგან შედგება, სტროფებად დაყოფილი არაა, აკროსტიქში ნათქვამია: „ფილიპე ბეთლემი“². რუსთველამდე შაირის გამოყენების მეორე შემთხვევა ჩვენ მოგვეპოვება ლეონტი მროველთან, რომელიც ამბობს: „რომელმან შეკრა ჯაქვით ბევრასფი, გველთა უფალი, და დაბაბ. მთასა ზედა, რომელ არს კაცთ შეუვალი“. მესამე მგაღალითი ეფერემ მცირესთან: „ბარბით-მცემლობს პირშო შობს, ვერ მეცნიერი შობისა“. პეტოხე შემთხვევა გვაქვს „დავით აღმაშენებლის ეპიტაფიანა“, რომელიც არსენ აყალთოელს ეკუთვნის:

¹ Н. Марр, Вступительные и заключительные строфы „Витязя в барсовою коже“ Шоты из Рустава, гл. 20.

² იქვე, LVI.

ვის ნაკარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად ჩამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი სახლვართა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მომქმედსა გულხედა ხელნი დამესხნეს¹.

შემდეგ შაირით დაწერილი ლექსებს ერთი სტროფი გვაქვს გიორგი მესამის ისტორიაში:

შენ, ვახტანგ, სანატრული ბარ შენთვის ღმრთის მამებარისა,
ცნამცა შენი მტერთა ძღვეა, თვთონ მხეგრ მშუგბარისა,
მუსულმანთ ამწყუდედლისა, ქრისტიანთ მშენებარისა,
ვინ დაგბადა, მასვე ჰნებავს ბადება შენებარისა².

„თამარიანში“, რომელიც წინ უსწრებს „ვეფხისტყაოსანს“, სამი შაირის სტროფია. ამით აიხსნება, რომ თეიმურაზ პირველი „რუსთველთან გაბაასებაში“, პირდაპირ ეუბნება მას:

ჩაბრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიერთხი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა!
გეჟე, მას დარჩეს პირველობა, დაჯიბიოს შენი მასა,
თორემ ვკითხოთ ქორანიკონს, გაჯიხნდების შენ, იმასა!³

შაირი ორგვარია: მაღალი და დაბალი; განსხვავება მათ შორის რიტმისა და რითმში (ორ და სამ მარცვლიანი) მდგომარეობს. პროფ. ა. ბერაძის სქემით⁴, მაღალი შაირია ოთხტერფიანი დიქორული ლექსი, ხოლო დაბალ შაირში ექვსი ტერფია: ოთხი დაქტილია (ამათგან ერთი მოდის ცეზურის წინ და მეორე ტაქტის ბოლოს) და ორი ქორეი (თითო-თითო თითოეულ საცეზურო ნაწილში). ექვსი ტერფის ფარგლებში ქორეის შემდეგი ადგილი შეიძლება ეკავოს: 1,4 | 1,5 | 2,4 | 2,5. ყველაზე უფრო მოხერხებულია, თუ მას ორივე საცეზურო ნაწილში ერთი და იგივე ადგილი უკავია. დაქტილური ტერფი და სიტყვა ერთმანეთს ემთხვევა, მაგალ.:

ახალმან | ფიფქან | დათოვა | ვარდი | დათრთვილა | დანასა,
მოუნდის | გულსა | დაცემა | ხოჯჯერ | მიმართის | დანასა.

არის შემთხვევა, როდესაც დაქტილი იქმნება ორი სიტყვის შეერთებით, ან დაქტილის მისაღებად სიტყვა ტყდება, მაგალითად: ძლი | ერთია.

მაღალი და დაბალი შაირის ხმარებით „ვეფხისტყაოსანში“ თავიდან აცილებულია ერთფეროვნება და მონოტონურობა, რომელიც უთუოდ დაამძი-

¹ ლექსი რომ არსენ იყალთოელს გუთვნის, ეს დამოწმებულია „აკლმწიფის კარის გაჩეგებაში“, და მას რომ დავით აღმაშენებელი ჰყავს მხედველობაში და არა თამარი, ამის შესახებ იხ. ამ წიგნის პირველი გამოცემა, გვ. 504—505.

² ისტორიანი და ახმანი შარავანდუდთანი, გვ. 55—57.

³ „არჩილიანი“, ტ. II, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., გვ. 11, სტრ. 80.

⁴ თსუ შრომები, ტ. XXXIII, 1948 წ., გვ. 121—132.

მებდა ნაწარმოებს, ხალისს წაართმევდა მას და შესათვისებლადაც გაიძინებდა. ამასთან ერთად მათს გამოყენებაში ერთგვარ კანონზომიერებასაც აქვს ადგილი, შინაარსის თავისებურებასა და მდგომარეობის დრამატუზმთან დაკავშირებით. მაღალი შიირი უმეტესად მაშინაა გამოყენებული, როდესაც აჩქარებული, დაუყოვნებლივი მოქმედებაა აღწერილი, ანდა მხიარული, გასართობი მომენტებია მოცემული. დაბალი შიირი უმთავრესად მაშინაა გამოყენებული, როდესაც მელანქოლიური და კრიტიკული მომენტებია აღწერილი, ანდა დინჯ, დარბაისლურ, ეპიკურ მოთხრობასთან გვაქვს საქმე.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულობას, მეტრისა და რიტმის გარდა, ქმნის ამოუწურავი სიმდიდრე რითმის, ალიტერაციის, მაჯამების, მეტაფორებისა და აფორიზმებისა.

პოემის რითმა, როგორც ვთქვით, ორგანოა: ორმარცვლიანი მაღალ შიირში და სამიანი—დაბალში. არის რანდენიმე გამონაკლისი ამ წესიდან, მაგრამ ასეთ გამონაკლის სტროფებში, შეიძლება, ჩვენ უფრო ყალბის მქმნელთან გვეკონდეს საქმე, ვიდრე პოემის ავტორის მხატვრულ უხერხულობასთან. ერთმარცვლიანი რითმა „ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება. ძალიან მცირეა, სულ რამდენიმე ერთეული, უთანხმოვნო ისეთი რითმები, როგორცაა ია, ეი და სხვ. რითმის მრავალსახეობითა და სიმდიდრით რუსთაველს იშვიათად თუ შეედრება რომელიმე პოეტი მსოფლიო ლიტერატურაში. ის პირდაპირ ვირტუოზია რითმის მოგონებასა და შექმნაში. რითმის მრავალსახეობის მისაღებად ის ისე მოლოდინდელად და მოხერხებულად აქცევს ხოლმე ზმნად არამცერთ სახელებს, არამედ მეტყველების უცვლელ ნაწილებსაც, რომ პირდაპირ გავიწყებს ეძლევა აღამიანი.

ბეგათა საოცრად შეხამებული ძღერა, ალიტერაციის ამოუწურავი მარაგი და ნიირ-ნიირობა მიუწვდომელ მუსიკალობას ქმნის პოემაში. საკმარისია პოეტის ოსტატობის დასახასიათებლად აღვნიშნოთ ტუპი: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავეკრ, ჩავეკარაბაქე“; აქ კ ოთხჯერაა გამეორებული, ბ—თერთმეტჯერ, რ—ოთხჯერ, ლ—სამჯერ, ვ—სამჯერ, ჩ—სამჯერ. დიდ ეფექტს აღწევს ამ მხრივ პოეტი ხშირად უმნიშვნელო და უაზრო ნაწილაკი-მარცვლის გამეორებით, მაგალითად: „მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხობისა, შე, რისა“. აქ უკანასკნელი შე ნახმარია ორი წინა შე-სთან (შესხმა, შევკადრო) შეხამებით. ანდა: „მისთა მვერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერი-სა“; უკანასკნელი მი გამეორებულია აქ პირველ ორთან (მისთა, მირთმა) დაკავშირებით. ამგვარი მაგალითები „ვეფხისტყაოსანში“ ძალიან ბევრია.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ გვაქვს შემთხვევები ე. წ. მაჯამის ან მაჯამური რითმების, ომონიმების გამოყენებისა, რაც უმეტეს შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ სტროფში ყველა ოთხი სტრიქონი (ანდა ორი, სამი) ერთი და იმავე სიტყვით თავდება, მაგრამ ამ სიტყვების შინაარსი სხვადასხვაა. უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ პოემაში ამგვარი რითმები არც ისე ბევრია

არც ყოველთვის გადაკრით შეიძლება იმისი თქმა, რომ ესა თუ ის სტროფი, სადაც ასეთი რითმაა გამოყენებული, უეკველად რუსთაველისაა და არა ალორძინების ხანის ნაყოფი, როდესაც ლიტერატურაში პირდაპირ კულტი შეიქმნა მაჯამისა. ყოველ შემთხვევაში რუსთაველი იმდენად დიდი ხელოვანი იყო, რომ მაჯამის შემთხვევაში ერთსა და იმავე სიტყვას ერთი და იმავე მნიშვნელობით რამდენჯერმე არ გამოიყენებდა.

რათა „გრძელ სიტყვა მოკლედ ითქვას“, რუსთაველი მიმართავს, სხვათა შორის, მეტაფორებს. იშვიათია მსოფლიო ლიტერატურაში ისეთი პოეტი, რომელსაც მეტაფორების ისეთი მარაგი ჰქონდეს და მათი ხმარება-გამოყენების უნარი შესწევდეს, როგორც რუსთაველს.

ვეფხისტყაოსანი აღსაესგა ღრმააზროვანი აფორიზმებისა და სენტენციების ელვარე მარგალიტებით. ისინი შეადგენენ სიბრძნისა და ყოფაცხოვრებითი გამოცდილების დაუშრეტელ წყაროს, რომელშიაც თითოეული პოეტი იმას, რაც მისთვის იყო საჭირო. ამით აიხსნება მათი უმაგალითო პოპულარობა ხალხში, რაც, თავის მხრივ, თვით პოემის პოპულარობასაც უწყობდა ხელს. აფორიზმების სიმდიდრით, მათი მოხდენილობით, შინაარსიანობით რუსთაველი პირდაპირ შეუდარებელი მოვლენაა ლიტერატურის ისტორიაში.

* * *

რუსთაველი ეკუთვნის ისეთ გენიოსთა რიცხვს, რომლებიც ხდებიან შემდგომი თაობების აზრთა და გრძობათა მფლობელად. ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც ვეფხისტყაოსნის დაწერის შემდეგ ჰქონდა დაცემისა და აღორძინების პერიოდები, რუსთაველი ნამდვილი კანონმდებელი გახდა. ამ ლიტერატურისათვის უცნობია ფსევდოკლასიკური მიმართულება იმ გაგებით, როგორც ეს გვეხმის ვეროპისა და რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში, სმაგვიეროდ მას აქვს პერიოდი თავისი ფსევდოკლასიციზმისა—რუსთაველის კლასიკური პოეზიისადმი ყოველმხრივი მიბაძვის მიმართებით.

შემდგომ საუკუნეთა პოეტებისა და მწერლების აღიარებით, „სიბრძნითა სავეს რუსთველი“, „თვით მინდობილი სიბრძნეთა“, „არის სიბრძნის ტა“, რომელთან შედარებით დანარჩენები არიან მხოლოდ „უარსკვლავები“. მისდამი მოწიწება და მისი ავტორიტეტის წინაშე ქედის მოდრეკა იქამდე მიდიოდა, რომ ეს პოეტები და მწერლები თავიანთ ნაწარმოებთა დასაწყისში შთაგონებისათვის მიმართავდნენ არა მუზეებს, არამედ სწორუპოვარი პოეტის სახელს, რომელსაც ეუბნებიან: „აწ, რუსთველო, გეთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა“, თუმცა ამავე დროს მათ არ ავიწყლებათ ერთმანეთს უთხრან: „მელექსენო, ნუ გკონიათ თავი რუსთველის დასადარი“! მისი ერთ-ერთი საუკეთესო მიმბაძველი გულახდილად აღიარებს:

სხვა მელექსე, ვინცა ვინა, მისად სწორად არ იქების;
თუ ვინ თავა მას ადარებს, ცულ-მაშერალოს, ცულად სცდების,

თუ ვინ იტყვის „ხეში სჯობსო“, ცუდ სასჯელი წაუხდების, ვინც სხვათ ლექსთა მას ადარებს, თურმე ლექსთა ვერ მიხედების¹.

XVI საუკუნეში წარმოიშვა სპეციალური თანრი „რუსთაველთან გაბაასე-ბისა“ და ამ თანრის თხზულებებში რუსთაველი პოეტური ნიჟის საზომად და კრიტერიუმად მიჩნეული. თეიმურაზ I-ის შესახებ ნათქვამია: „თქვა ხელმწი-ფური ლექსები, თვით რუსთელის მოსაწონისი“. მეორე პოეტის შესახებ ვკი-თხულობთ: „პარვალ სთქვა, მაგრამ ვერ გვიზამს რუსთველის თქმულთა ჩე-ნობას“. რუსთაველის შემდეგ ყველაზე პოპულარული პოეტი XVIII საუკუნისა, დავით გურამიშვილი, წერს:

ლექსი, რუსთველისებრ ნათქვამი, მე სხვისა ვერა ვნახეო.

მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარჯალიტს—ჩალის ძირსა.

ვით მყდარს—ყრმისა მცირისა წყალასა ზედან ჯდომანი,
მიმგაესების ცხენოსანს ჯობით რბენა და ხლდომანი,
ვგრეთვე შოთა რუსთველსა ეს ხეში ლექსთ მიხდომანი².

ვეფხისტყაოსნის შემდეგ ეპიკურ-გმირული და ეპიკურ-რომანტიკული თანრის ქართულ ლიტერატურაში სამუდამოდ დაკანონდა რუსთველური ლექ-სის, შა ი რ ის, ფორმა. ამ ლექსით იწერება არა მარტო ორიგინალური თხზუ-ლებები, არამედ ნათარგმნიც, მას მიმართავენ არა მარტო საერო, არამედ სასულიერო მწერლებიც. ამა თუ იმ პოეტის ნიჟი იზომებოდა იმით, თუ რამ-დენად შესწევდა მას უნარი გამოეყენებინა ეს ლექსი, რამდენად უახლოვდე-ბოდა ის მის უდიდეს წარმომადგენელს. ამ მხრივ ქართული პოეტური კიბე მრავალ სხვადასხვა საფეხურს იძლევა. ლექსის ფორმასთან ერთად შემდგომი პერიოდის ლიტერატურაში გადადის პოემის თითქმის მთელი მხატვრული აქსესუარი მისი მეტაფორებით, შედარებებით, პარალელიზმებით და სხვ. სა-გულისხმოა, რომ აღნიშნული მხატვრული აქსესუარი გამოეყენებასა და ადგილს პოულობს არა მარტო ორიგინალურ ნაწარმოებში, არამედ ნათარგმნშიაც, როგორცაა, მაგალითად, „როსტომიანი“, „ბარამგურიანი“ და სხვ.

შემდგომმა ლიტერატურამ გამოიყენა ის მოსწრებული გამოთქმები, ღრმააზროვანი აფორიზმები და სენტენციები, რომელნიც ესოდენ უხვად არის მიმობნეული პოემაში. არ არის არც ერთი პოეტი და მწერალი, რომელსაც ამ მხრივ, როგორც XVIII საუკუნის მწერალი, იესე ტლავაძე, ამბობს, არ „გაეკურდოს“ რუსთაველი, როგორც „ქურდს მელას“. „ქურდავდენენ“, მას არა მარტო „ავი მთქმელები“. ისეთი პოეტი, როგორც თეიმურაზ I იყო, რომელსაც თანამედროვენი კადნიერად თვით რუსთაველს ადარებდნენ, ცოტას რო-დი სენსულობა თავისი სახელოვანი წინამორბედის პოეტური აქსესუარიდან. საყურადღებოა, რომ, როგორც ზეპირ შემოქმედებაში, ისე მწიგნობრულ ლი-ტერატურაშიც, გენიალური რუსთაველისათვის ისეთი სენტენცი-აფორიზმე-

¹ ნ. ციცი შვილი, ბარამგურიანი, კ. კეკელიძის გამოც., სტროფი 8.

² „დავითიანი“, 1955 წ., სტრ. 4, 7, 5.

ზის მიკუთვნება დაიწყეს, რომლებიც მას ნამდვილად არ ეკუთვნის. ამ მხრივ მოხდა ის, რაც დაემართა პოემასაც, რომელშიც შემდგომი საუკუნეების მელექსეებს უხვად შეჰქონდათ ცალკეული სტროფები და მთელი თავებიც კი.

რუსთაველის შემდგომი ეპოქის ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდნენ სახელგანთქმული პოემის პირდაპირი გამგრძობლები და მიმბაძეველი. უწინარეს ყოვლისა, მკითხველებს უნდოდათ სკოლნოდით, რა ურთიერთობა დამყარდა მთავარ გმირებს შორის მათ მიერ თავიანთი მიზნების მიღწევის შემდეგ, გრძელდებოდა თუ არა ის მეგობრობა, რომელიც მათ პოემის დასაწყისში საერთო მიზნებისათვის აერთიანებდა. ამ კითხვებზე პასუხს იძლევა დამატებათა სამი ციკლი, რომელთა მიხედვით პოემის გმირები რჩებიან ძმებად და მეგობრებად დაშორების შემდეგაც, ერთად ანადგურებენ მტრებს და ერთად განიცდიან სიხარულისა და მწუხარების დღეებს. უფრო მეტიც, ისეთი პირებიც კი გამოჩნდნენ, რომელთაც უნდოდათ სკოლნოდით ამ გმირთა შთამომავლობის ურთიერთობა. ასეთმა სურვილმა XVII საუკუნის დასაწყისში წარმოშვა პოემა „ომანიანი“, რომლის ავტორმა ავთანდილ—თინათინის ქალი შერთო ტარიელ—ნესტანის ვაჟს და მათი მეგვიდრის, ომანიის, შესახებ შეთხზა „ვეფხისტყაოსნის“ ყაიდისა და სტილის სამიჯნურო პოემა. XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში იწერება პოემა „მიჯნურთ ბადე“; რომელშიც რუსთველური ლექსით აღწერილია მიჯნურთა თავგადასავალი და ამ აღწერილობაში წვრილობამდამდე მოცემულია ვეფხისტყაოსნის ეპიზოდები, სახეები, აზრები და სენტენციები.

„ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ემჩნევა უცხო ენიდან თარგმნილ თუ გადმოკეთებულ რომანტიკულ ნაწარმოებებსაც კი: ხდება მათი გადამუშავება ჩვენი პოემის საფუძველზე და მათში ამ უკანასკნელიდან შეაქვთ ეპიზოდები და სუვეტურ-ფაბულური დეტალები. ამ მხრივ აღსანიშნავია პოემები „ბარამგულანდამიანი“ და „ბარამგულიჯანიანი“.

XVII საუკუნეში, როდესაც ქართულ ლიტერატურაში ხელს ჰკიდებენ ნაციონალური თემატიკის დამუშავებას, იწყება რუსთველური ფანტასტიკის კრიტიკა თავისებური „რეალიზმის“ პოზიციებიდან. საყურადღებოა, რომ თვით ასეთი ნაწარმოებნიც კი ვერ ვადურჩნენ საგრძნობ გავლენას იმ პოემისას, რომელსაც აკრიტიკებდნენ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ისტორიული რომანი-პოემა „შაჰნავაზიანი“, რომელშიაც მეფის ვახტანგ მეხუთისა (1658—1675) და მისი მეუღლის მარიამის პიროვნება მოხაზულია „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ყაიდასა და სტილზე.

რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი იყო საქართველოში რუსთაველის პოპულარობა და გავლენა, საკმარისია გავიხსენოთ, რომ პოემა ცოცხალ ნაკადად მოედო ხალხის ღრმა ფენებს. მიუხედავად იმ დევნისა, რომელსაც პოემა განიცდიდა ვითომდა ოჯახური ზნეობის შერყენისათვის, იგი ფართოდ იკვლევდა გზას. პოემა ზეპირად იცოდა არა მარტო შვიგნობართა წრემ, არამედ მღაბიო ხალხმაც, რომელიც მას აფასებდა, როგორც ძვირფას განძს. სათანადო ფეოდალურ წრეებში, ქალს რომ ათხოვებდნენ, მზითვად, სახარებასთან ერთად, ვეფხისტყაოსანსაც ატანდნენ ხოლმე. ლიტერატურულმა პოემამ უდიდესი

ფოლკლორული მეგვიდრეობა შექმნა: საქართველოში არ არის კუთხე, სადაც ჩვენი პოემის თავისებური ხალხური ვარიაცია არ მოიპოვებოდეს.

„ვეფხისტყაოსანი“ ეკუთვნის წარსული დროის კაცობრიობის გენიის ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს, რომლებიც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, დღევანდლამდის ინარჩუნებენ ნორმისა და სწორუპოვარი ნიმუშის მნიშვნელობას. ამ პოემას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ლიტერატურისათვისაც. როგორ, რა მხრივ?

ვეფხისტყაოსანი ყურადღებას იპყრობს სინამდვილისადმი განსაკუთრებული ინტერესით, ადამიანის სულის ცოდნით, ადამიანის გულისთქმათა რეალისტური ასახვით, ერთი სიტყვით, მართლის თქმით. მართლის თქმა არის ძირითადი შემოქმედებითი მეთოდი თანამედროვე ლიტერატურისაც. რუსთაველი იძლევა თავისი ეპოქის ფსიქო-იდეოლოგიის სრულსა და ამომწურავ, ზუსტ სურათს. ამ მხრივ ის უთუოდ შეიძლება გახდეს მისაბამ მავალითა თანამედროვე მწერლისათვისაც. ხერხი მხატვრული სახეების შექმნისა, ამ სახეების მღვთმართობასა და მომენტთან შეხამებისა და გზები მათი ადამიანზე შემოქმედებისა შეუდარებელი ოსტატობით არის მოცემული ჩვენი პოეტის შემოქმედებაში, ამ მხრივ ის მასწავლებლობას გაუწევს ყოველი ეპოქის მწერალს. დასასრულ, მისი შეუდარებელი, პირდაპირ ვიკტუოზული ლექსი, ლექსის თქმის, მელექსეობის ტექნიკა, სალიტერატურო ენის სასაუბროსთან დაახლოების უნარი, არასდროს, არავისთვის არ დაჰკარგავს ნორმისა და ნიმუშის მნიშვნელობას.

ჩვეულებრივ წიგნიც ძველდება და ბერდება: ის რასაც ოდესღაც ჩვენი წინაპრები იტაკებდაში მოჰყავდა, დღეს, შეიძლება, უაზრო და უგემური აღმოჩნდეს. ვეფხისტყაოსანი არასდროს არ დაძველდება და არ დაბერდება. რატომ? იმიტომ რომ შინაარსით ის არის სიმღერა, სხვათა შორის, ისეთი სიყვარულისა, რომელიც, ხელში აღებული მწველი ნაკვერცხალის მსგავსად, ერთნაირად საგრძნობია ყველა დროისა და მღვთმართობის ადამიანისათვის; ხოლო ფორმით ის არის სიყვარულის ისეთი სიმღერა, რომ, თანაბმად თვით პოემის სიტყვებისა,

რა ესოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცი მოვიდიან,


მისხე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქეანიცა გამოსხდიან.

ამრიგად, რუსთაველი არის თავისი ეპოქის ლეივლი შვილი, კლასიკური პერიოდის ქართული სინამდვილის ნიადაგზე მან შექმნა პოემა, რომელშიაც რამდენიმე საუკუნით იარე აისახა დასავლურ-ევროპული რენესანსის ჰუმანური იდეები და კეთილშობილური მისწრაფებანი. ამაშია პოემისა და მისი უკვდავი შემოქმედის მსოფლიო-ისტორიული, საკაცობრიო მნიშვნელობა. გაივლის კიდევ საუკუნეები და ქართული ლიტერატურის ჰორიზონტზე ლამაზდროშად იფრიალებს რუსთაველის სახელი, რომელიც მუდამ იქნება შეუნელებელი ინტერესისა და ყურადღების საგანი, რადგან იგი იძლევა უხვ საზრდოს გონებისათვის, ლამაზ განცდებს გულისათვის, ბრძოლისა და გამარჯვების იმპულსს ნებისყოფისათვის, ხოლო მთელი ქართული ლიტერატურისათვის, და არა მარტო ქართული ლიტერატურისათვის, მაღალმხატვრული შემოქმედების განუმეორებელ ნიმუშს.

განხილვა მოკრე

ლირიკა

კლასიკური ხანის ქართული ლირიკა შექმნილია იმდროინდელი სინამდვილის ნიადაგზე. თამარის პიროვნებამ, მისმა ძლევაგოსილმა და ბრძნულმა მეფობამ, თანამედროვეთა აზრით, დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ საქართველო ასულიყო, პოლიტიკურად და კულტურულად, აყვავების უმწვერვალეს საფეხურზე, საიდანაც ბევრი თანამემამულე სიხარულითა და სიყვარულით შეჰყურებდა ეთეროვანა დედოფალს, ეთაყვანებოდა და ხოტბებს უძღვნიდა მას. საქართველოს აღორძინებამ და წარმატებამ აამოძრავა ენა არა მარტო მგონებისა, არამედ, წარმოიდგინეთ, მემატთანეებისაც. მან წყლისა მოაბადნი რიტორთა მძლედ გამოაჩინა და ენა უტყვ მტყველყო, როგორც ამბობს თამარის ისტორიკოსი თავისი თხზულების სათაურში.



ჩახრუხაძე (მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე)

1. თ ა მ ა რ ი ა ნ ი

ასეთი სახელი ეწოდება იმ ნაწარმოებს, რომელიც წარმოადგენს თამარ მეფის ქებასა და ხოტბას. ხელნაწერები ამ თხზულებბისა, რომელიც რამდენჯერმეა გამოცემული¹, შედარებით ახალი დროისაა (XVIII — XIX საუკ.). ამ ხელნაწერებში ის დამახინჯებულია და შესაძინველად წარყენილი, რაც საკმაოდ ამწელებს მის შეგნებასა და გაგებას. ამიტომ გამომცემელნი და კომენტატორნი ცდილობენ მისცენ თხზულებას ის სახე, რა სახითაც ის ავტორის ხელიდან გამოვიდა.

ამ მიმართულებით დიდი და საპატიო მუშაობა ჩატარებულა ჩვენში; საკმარისია დავასახელოთ პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, პ. ინგოროყვა, ა. ბარამიძე, შ. ნუცუბიძე, ი. ლოლაშვილი, რომელნიც დიდი გულისხმიერობით სწავლობდნენ და სწავლობენ ამ ნაწარმოებს, მაგრამ მიზანი ჯერ მიღწეული არაა. რატომ? იმიტომ რომ მკვლევარნი მეტს დროს ანდომებენ ერთმანეთის კრიტიკას, ვიდრე ტექსტის შეგნებას. ზოგიერთი მათგანი არავითარ ანგარიშს არ უწევს ხელნაწერთა ტრადიციას და ზეპირად მსჯელობს. გასაგებია, რომ ძველი ლიტერატურული ძეგლის მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია, თუ წაკითხული არ იქნა ხელნაწერები. ზოგი კიდევ მთელ თავის ღონეს ალევს ხელნაწერების ჩხრეკას და თავისი ნამუშევარის ღირებულებას და დამაჯერებლობას საზღვრავს იმით, თუ რამდენი ხელნაწერი გამოიყენა. მას ავიწყდება, რომ ხელნაწერი ფეტიში არაა, განსაკუთრებით ისეთი ხელნაწერები, რომელთაც შემოუნახავთ თამარიანის ტექსტი. ამ ხელნაწერთა შორის (მხედველობაში მაქვს უძველესი მათგანი — XVIII საუკუნისა) ვერ ნახავთ ორს ისეთს, რომელნიც ერთმანეთს ზუსტად უდგებოდნენ. ისეთი ძველი თხზულების შესაგნებად, როგორიც თამარიანია, საჭიროა იმდენად არა ზე-

¹ პირველი გამოცემა ეკუთვნის პ. იოსელიანს (1838 წ.), მეორე — დ. ჩუბინაშვილს (1863 წ.), მესამე — ზ. ტუბინაძეს (1882 წ.), მეოთხე — აკად. ნ. მარს (Древне-грузинские одписцы, «Тексты и разнечания», IV, 1902 г.), მეხუთე — ს. კაკაბაძეს (1913 წ.), მეექვსე — ს. კაკაბაძეს (1937 წ.), მეშვიდე — ს. ყუბანეიშვილს («ქრესტომათია», II, გვ. 188 — 198), მერვე — ი. ლოლაშვილს (1957 წ.). არსებობს შ. ნუცუბიძის რუსული თარგმანი (Т а м а р у х а д а е, Тамарваия, 1942 г.).

პირი, სუბიექტური მსჯელობა და წარყენილი ხელნაწერების ფურცელა, რამდენადაც ტექსტის ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური გაგება. თამარის ამ მხრივ ძნელად დასაძლევია ძეგლია.

ყველაზე მეტი შრომა თამარის ალდგენისა და გაგების ხაზით აკად. ნ. მარს გაუწვია. რასაკვირველია, ნ. მარსის შრომის ბევრი დიფექტი ახლავს, მაგრამ ის მაინც ფუძემდებელი შრომაა თამარის შესწავლის საქმეში. ნ. მარსა შეაწვროა და აღადგინა ხოტბის მრავალი წარყენილი ადგილი და განსკვრიტა მისი ნამდვილი ხასიათი. მისი შთაფარი მოსაზრება მდგომარეობს იმაში, რომ თხზულება წარმოადგენს კრებულს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საბაბთა გამო დაწერილი ხოტბებისას, რომელნიც განოუწვევია თამარის მეფობის მნიშვნელოვან ფაქტებს, განსაკუთრებით კი მის ძლევამოსილ ლაშქრობას¹. შინაარსისა და ძირითად რითმათა მიხედვით ნ. მარს აღმოუჩენია ამ კრებულში 11 ოდა და ერთი ელეგია, რომელშიაც პოეტი დასტირის თავის მოყმეს, რომელიც გაქრილა, ყველა ცნობილი ქვეყანა შემოუვლია, და რომლის დაბრუნებას ის ვეღარ ღირსებია. ცხადია, მაშასადამე, რომ კრებულში არ შენახულა ყველა ის ოდა, რაც პოეტს, უმეველია, დაწერილი ეწებოდა თამარის მეფობაში, რომელიც იმდროინდელ საკარო წრებს ქართველთა კულტურულ-პოლიტიკური შემოქმედებისა და წინსვლის განუწყვეტელ, დაუსრულებელ ტრიუმფად ეჩვენებოდათ. თავისი შედგენილობის მიუხედავად, კრებული წარმოადგენს ერთ მთლიან ნაწარმოებს, რომელშიაც გატარებულია ერთი აზრი და იდეა: თამარი მიუწვდომელია, როგორც ღმერთი, ის თვით ღვთაებაა. შექება ზეციური თამარისა, რომლის წინაშე პირს იფარვენ და კრთებიან მნათობნი ცისანი, არ ძალუფს ძველი თუ ახალი დროის არც ერთ ფილოსოფოსს, რიტორსა და პოეტს, მისი არსებობა წინასწარ მოსწავებულია, ისტორია იყო მომზადება წარმოსაშობად თამარისა, რომელიც ამქვეყნად უნდა ყოფილიყო გამომხატველი ერთღვთაებისა.

თამარის დაწერილია საზომით, რომელმაც ჩვენს ვერსიფიკაციაში დაიმკვიდრა ჩახრუხაულის სახელწოდება. ჩახრუხაული არის ისეთი ლექსი, 1) რომლის ტაეპი ოცს მარცვალს შეიცავს და 2) ცეზურით, რომელიც ათი მარცვლის შემდეგ მოდის, ორ ნაწილად განიყოფება. შემდეგ ამ ლექსს ახასიათებს 3) ორნაირი რითმა: გარეგანი და შინაგანი. გარეგანი რითმა ერთიდაიგივეა სტროფის ყველა ტაეპისათვის, შინაგანი მოთავსებულია ტაეპის პირველი ათეული მარცვლის ფარგლებში: აქ პირველი ხუთი მარცვალი ერთმება მეორე ხუთეულს. 4) შინაგანი რითმა ძალიან ხშირად არის ომონიმურმაჯამური².

¹ «Древне-грузинские однопядцы». შდრ. მისივე, ჩახრუხაულის ლექსები, «ლიტერატურული მემკვიდრეობა», I, 1935 წ., 257 — 269.

² ჩახრუხაულის ამ ნიშნებს ხაზს უსვამ შემდეგი მოსაზრებითაც. ბოლო ოთხი (32 — 35) ტაეპი მათე ოდისა, ნ. მარსის გამოცემით, რომელიც ი. ლოლაშვილის გამოცემაში (ძველი ქართული მესობტენი, 1957 წ.) დამოუკიდებელ მიმკვლე ოდად ქცეულა, გამოამტყმელს ასე გაუმართავს (მოგვამს პირველი ორი ტაეპი):

ახალი პირი, მღვთო ნოსრვითა, ბრძენმან გასახაასურმა ისო.

მთავარი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი, რომელიც ჩვენს წინ იშლება თამარიანის შესწავლისას განსაკუთრებით ეხება: თხზულების შედგენილობა-კომპოზიციას, მისი ავტორის ვინაობას და დაწერის დროს.

გარკვევა თამარიანის შედგენილობა-კომპოზიციის გაძნელებულია იმით, რომ ამ ძეგლის ხელნაწერებში სტროფებისა და ტაეპების აღრევა შეიმჩნევა, რაოდენობა და თანმიმდევრობა მათი ერთნაირი არაა არც ხელნაწერებში, არც არსებულ გამოცემებში. მტკიცე, ობიექტური მონაცემების უქონლობის გამო მკვლევართა მოსაზრება ამ საკითხის შესახებ აგებულია საეარაულო მსჯელობაზე. ჩვენი აზრით, ოდების რაოდენობის გასარკვევად უფრო ობიექტურია ის პრინციპი, რომელიც თავის დროს წამოაყენა ნ. მარმა, სახელდობრ—ერთგვარობა გარეგანი რითმებისა. ამ პრინციპის მიხედვით, ნ. მარმა თამარიანში აღმოაჩინა 11 ოდა და ერთი ელეგია, პ. ინგოროყვამ ნ. მარის მეთორმეტე ოდა ორად გაყო და ნაწარმოებში 12 ოდა მიიღო. ი. ლოლაშვილმა სახელმძღვანელოდ აიღო იგივე პრინციპი, გარეგანი რითმების ერთგვარობა, მხოლოდ ერთსა და იმავე რითმაზე ააგო რამდენიმე ოდა; ასე, მაგალითად, რითმაზე „ებულად“ აგებულია მის გამოცემაში I და XV ოდები. რითმაზე „არი“—II და IX. არსებითად ნ. მარი და ი. ლოლაშვილი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამ შემთხვევაში, ერთიც თავისუფლად ეპყრობა ერთნაირრითმიან ტაეპებსა და სტროფებს და მეორეც, ერთი მათი დანაწევრების, მეორე—გაერთიანების სახით. ი. ლოლაშვილმა თამარიანში აღმოაჩინა 18 ხოტბა ან ოდა, მან დამოუკიდებელ ოდად სცნო სამი თითო სტროფიანი შირი („შენ მწუნები ხარ“, „გვიან შენბრთა“, „თამარ წყნარი“), რისთვისაც არავითარი საბუთი არ არსებობს, განსაკუთრებით უკანასკნელის ბაზით; ის გარეგანი რითმითა და შინაარსით გარკვეულაა მეორე ოდისა. დამოუკიდებელ ოდად (VI) გამოუცხადებია მას ერთსტროფიანი ლექსი — „ახლო პირო“ (ამ სტროფის შესახებ იხ. გვ. 216, შენ. 2), ნ. მარის მიერ ელეგიად ცნობილი მეექვსე ოდა („ვიცი გეწყალი“) და მისი პარალელი („ასრე წყალთაგან“). ერთი სიტყვით, სხვადასხვა გამოცემელი და რედაქტორი თამარიანის ოდების სხვადასხვა რაოდენობას თვლის ამ ნაწარმოებში; ესეც მაჩვენე-

მწეო და გმირო, ბობქარ ოხრეთა ითხრის მგოდებმან ფლასურმა ისო.

ამ ტაეპის ჩაზრუნულობას რედაქტორი იმიტაც ადასტურებს, რომ მას მოეკუება შინაგანი რითმებიცო (გვ. 101). დიახ, შინაგანი რითმა აქ მართლაც არის. ერთის მაგიერ ორი, მაგრამ არა ჩაზრუნული ლექსის, არამედ სულ სხვა სისტემის: ერთმებთან ერთმანეთს ამა თუ იმ ტაეპის არა მარტო პირველი ზედი მარცვლი იმავე ტაეპის მეორე ზეთმარცვალს, როგორც ჩაზრუნულია, არამედ პირველი ზედი მარცვლი ტაეპისა მეორე ტაეპის პირველ ზეთ მარცვალს (ახლო პიროქმწეო და გმირო), ხოლო იმავე ტაეპის მეორე ზეთი მარცვლი—მეორე ტაეპის მეორე ზეთ მარცვალს (მძლეო ნოსრეთაქობქარ ოხრეთა); ამასთან ერთად გამოდის, რომ პირველი ათი მარცვლი ამა თუ იმ ტაეპისა ერთმება პირველ ათ მარცვალს მეორისას ეს არაა ის ჩაზრუნული, რომლითაც დაწერილია თამარიანი. რას ნიშნავს სიტყვები: „ბობქარ ოხრეთა ითხრის მგოდებმან ფლასურმან ისო“? აქ არც მორფოლოგიური, არც სინტაქსური ზეთანხმება ჩანს. რედაქტორი ასე შეფრავს ამ სიტყვებს: მგოდები და ძამამოსილი (ფლასური) ბობქარ ითხრის საფლავსო (გვ. 102); თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ყოფილიყო არა „მგოდებმან, ფლასურმა“, არამედ „მგოდები, ფლასური“.

ბელია იმისა, რომ ვერც ხელნაწერების ჩხრეკა შველის საქმეს, თუ ნაწარმოების ტექსტი არ გვემისი.

ასევე უნდა ითქვას თამარიანში ოდების თანმიმდევრობის შესახებ, აქაც ისეთივე სხვადასხვაობაა შეხედულებათა, როგორც მათი რაოდენობის რკვევისას. ამ შემთხვევაში პირველ ყოვლისა აუცილებელია ტექსტის გაგება, შემდეგ კი გათვალისწინება იმ ისტორიული თარიღებისა, რომელნიც პირდაპირ თუ გადაკრული სიტყვით, აღნიშნულნი არიან თხზულებაში. ჯერჯერობით მაინც უნდა დარჩეს ნ. მარის გამოცემაში წარმოდგენილი რიცხვი ოდებისა და მათი თანმიმდევრობა.

მეორე საკითხი: ვინ არის ხობტის ავტორი? გადაჭრითი ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება, მხოლოდ ჩვენში განმტკიცებულა ტრადიცია, რომლითაც თამარიანის ავტორი არის ხევის მცხოვრები, მოხევე, გვარად ჩახრუხაძე. პოეტი რომ მოხევეა, ამ ტრადიციას საფუძვლად უნდა ედოს თვით მისი სიტყვები: «მაშა მე, ხელი, მაშა მეხელი (VII, 27). ძნელია მეხელი-ს ნამდვილი მნიშვნელობის გაგება და დადგენა, მაგრამ, ცხადია, ძველად ის გაუგიათ ხევიდან წარმომდგარი მეხევის ან მოხევის მნიშვნელობით¹. რაც შეეხება მის გვარს ჩახრუხაძეს, საიდანაც, ალბათ, თვით ლექსს, რომლითაც დაწერილია თამარიანი, ეწოდა ჩახრუხაული², ის, ფიქრობენ, დამოწმებულია აგრეთვე თვით პოეტის შემდეგი სიტყვებით, რომელთაც ჩვენ ვკითხულობთ. კრებულის ბოლოში და რომელთაც ჯერ სასვენნი ნიშნების დაუსმელად მოვიყვანთ:

მოხევეს ძესა ჩახრუხაძესა ექო თამარი მეფე წყლიანი
 მისი სიმეტე ბრძენთა სირეტე თინათინ ვაჟო ბალი წყლიანი
 ა ეს თინათინ ნუ ის თინათინ არაბეთს იყო სულადინი
 ჯერეთ ყმაწვილი წმიდათ ნაწილი სამოთხის ვარდი პირად მზიანი.

ეს ლექსი კლასიკურ ხანაში მცხოვრებ პოეტს არ ეკუთვნის და, მაშასადამე, «თამარიანის» ავტორის თვითმოწმობა არაა; ეს ჩანს, თუ გინდათ, შემდეგიდან: პირველ სტრიქონში ნათქვამია, რომ ჩახრუხაძეს უქია თამარიო, მეორეში ვილაც სხვა პირი, და არა ჩახრუხაძე, ამბობს: მე კი ვაქებ თინათინსო. მაშასადამე, ჩახრუხაძეზე სხვა ვილაც ლაპარაკობს.

¹ ძალიან საეჭვოდ გვეჩვენება ამ ტაჰის ინტერპრეტაცია, რომელსაც იძლევა ი. ლოლა-შვილი (გვ. 63 — 64).

² ნ. მარმა გამოთქვა ყოვლად შეუწყნარებელი მოსაზრება, რომ მეტრიკულ ტერმინში «ჩახრუხა» უნდა გვეჩინდეს სპარსული «ჩარ-რუხა», — ოთხი რუხა, ოთხსტრიქონიანი ლექსი («В тупике я история материальной культуры», 1933 г., стр. 37). ზ. წერეთელმა არაბულ პოეზიაში აღმოაჩინა ზენი ჩახრუხაული სიდენტური სახომი:

ღამ მაჯა სანჭინცა ღწ მუსაჭინ³ ვა ღწ მაყნუნცა ღწ მუტრუ
 ვაჭი ღ-მასნერი ბადწ თ-თასანი⁴ ჭა ღწ ამინენი ვაღწ სამინუ.

საკეცადისტები ფიქრობენ თურმე, რომ ეს სახომი არაბული წარმოშობის არ უნდა იყოს (სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის შესწავლის ისტორიისათვის, «სამეცნიერო სესიები», გვ. 43 — 45).

როგორია ამ სტროფის აზრი? პოეტ ჩახრუხაძეს, ამბობს ამ სტროფის ვიღაც უცნობი ავტორი, შეუქია თამარ მეფე; მე კიო, განაგრძობს ეს უცნობი ავტორი, ვაქებ თინათინს, რომელიც არის თამარის სიმეტე და ბრძენთა სირეტე. რომელ თინათინს? არა იმას, რომელიც არაბეთში იყო ცნობილი (ვეფხისტყაოსნითა), არამედ აი, იმას — ჯერ კიდევ ახალგაზრდასა და მშვენიერს. ასეთია ამ სტროფის დღესდღეობით მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც მკვეთრად გამოთქმულია მოსე ჯანაშვილის მიერ (იხ. მისი «თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნია, გვ. 8). შეიძლება თუ არა გავიზიაროთ ასეთი ინტერპრეტაცია? არა, ვინაიდან ის ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს. მართლაც, ის, ერთი მხრით, თინათინს თვლის თამარის ალევორიად, მის «სიმეტედ», ესე იგი ორეულად (ასე ესმით ეს სიტყვა დღეს), მაგრამ, ამავე დროს, მეორე მხრით, გვარწმუნებს, რომ ეს თინათინი ის თინათინი კი არაა, რომელიც არაბეთში იყო ცნობილი, არამედ სულ სხვაო. ნამდვილად კი თამარ მეფის ალევორიად გააკვეული დროიდან, ე. წ. აღორძინების ხანიდან, მხოლოდ არაბთა მეფის ქალი და ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი გმირი ითვლებოდა.

ჩვენი აზრით, ამ სტროფში არავითარი ალევორია არა გვაქვს და არც, ვეფხისტყაოსნის თინათინზეა ლაპარაკი. გაუგებრობა წარმოდგა იქიდან, რომ ზემომოყვანილი ინტერპრეტაციის ავტორებს ჯეროვნად ვერ გაუგიათ სიტყვა «სიმეტე» და ვერც სასვეენ ნიშნები უფარაუდნიათ სტროფში თავის აღვილას. «სიმეტე» არ ნიშნავს ალევორიას, ორეულს, არც ისე შეიძლება გავიგოთ ის, თითქოს თინათინი წარმოადგენს უფრო «მეტს», უფრო დიდ პერსონას თამართან შედარებით, ასეთ რამეს ჩვენში ვერაფერ ვერ იფიქრებდა. «სიმეტე» აქ ნიშნავს სიდიდეს, აღმატებულებას, სწორუპოვრობას, სიდიადეს, ისეთ სიდიადეს, რომელიც ბრძენსაც კი არეტებს და თავბრუს ასხამს. თუ სიტყვა «სიმეტე»-ს შემდეგ დავსვათ სასვეენ ნიშანს (წერტილს), მივიღებთ შემდეგს: «მოხვევს ძესა ჩახრუხაძესა ექო თამარი, მეფე წყლიანი, ექო მისი ბრძენთა გამარტებელი. «სიმეტე», ანუ სიდიადე და შეუღარებლობა. იგონებს რა იმას, უცნობი ავტორი განაგრძობს: მე კი ვაქებ თინათინს, არა იმას, რომელიც არაბეთს იყო (ვეფხისტყაოსნითა), არამედ აი, ამ თინათინს, ჯერ ყმაწვილს, წმინდათა მონაწილეს, სამოთხის ვარდს, პირად მზიანს, ესე იგი რომელიღაც ნამდიელ, რეალურ პიროვნებას, რომელიც იმ მომენტში მის, პოეტის, თვალწინაა. ასე რომ, ეს სტროფი წარმოადგენს თავისებურ ექსპრომტს, რომელიც ვიღაც უცნობ პოეტს წარმოუთქვამს რომელიღაც ახალგაზრდა, ლამაზი და გაუთხოვარი — უმანკო (წმინდათა ნაწილი) თინათინის სახელზე. თუ სასვეენ ნიშნებს მივმართავთ, სტროფი ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

მოხვევს ძესა, ჩახრუხაძესა, ექო თამარი, მეფე წყლიანი¹,

მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე. თინათინ ვაქო, ბალი წყლიანი;

ა, ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, — არაბეთს იყო სულადიანი, —

ჯერეთ ყმაწვილი, წმინდათა ნაწილი, სამოთხის ვარდი, პირად მზიანი.

¹ თუ აქ სიტყვა «წყლიანი» მოწყალის მნიშვნელობით არაა ნაბმარი, ის უნდა შეიცვალოს სიტყვით «სვნიანი». ამ სტროფის ავტორს არ შეეძლო ორი ტაქტი ერთსა და იმავე მნიშვნელობის სიტყვით დებოლოგობინა.

ასეთი ინტერპრეტაციით, თავისთავად იგულისხმება, გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ სადავო სტროფი თამარის დროს იყოს დაწერილი და სიტყვები — «ა, ეს თინათინ» თამარს გულისხმობდეს. სტროფი არ შეიძლება დაწერილი იყოს თამარის სიცოცხლეში იმიტომ, რომ თამარიანის დასრულებისას, მით უმეტეს მას შემდეგ, როდესაც, იგულისხმება, ეს სტროფი იწერებოდა, თამარი არ იყო «ჯერეთ ყმაწვილი», ის მაშინ იქნებოდა, თუ მეტის არა, 40 წლისა მაინც. სტროფი უეჭველად დაწერილია ე. წ. ალორძინების ხანაში, როდესაც შესაძლებელი და მოსალოდნელია ჩახრუხაძისა-ს მავიერ ჩახრუხაძეთა (მხოლოდითი რიცხვის მავიერ მრავლობითი). ამის დასამტკიცებლად ისიც შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სახელი «თინათინ», რამდენადაც დღეს ცნობილი ისტორიული წყაროებისა და სიგელ-გუჯრების დახმარებით შეგვიძლია გაეითვალისწინოთ, XV — XVI საუკუნეებზე ადრე მაღალ, არისტოკრატიულ-სამეფო წრეშიც არ იხმარება¹. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სტროფი გამომხატველია ბუნდოვანი გადმოცემისა ჩახრუხაძის ავტორობის შესახებ, და არა ის, რომ თვით გადმოცემა ამ სტროფზეა აღმოცენებული, ის უფრო ძველი წყაროდან უნდა მოდიოდეს.

ამ ცნობებს თანდართვია კიდევ ერთი დეტალი, თითქოს ჩახრუხაძე თამარ დედოფლის მდივანი იყო, ისე, როგორც ესაა ნათქვამი ვეფხისტყაოსნისა და ამირანდარეჯანიანის ავტორთა შესახებ. ამაზე მეტი ცნობები ჩვენი პოეტის შესახებ ალორძინების ხანაშიაც არ არსებობდა, როგორც ესა ჩანს ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებში ისეთი კომპეტენტური პირის ნაწერებიდან, როგორიცაა არჩილ მეფე. არჩილი რამდენჯერმე ეხება თამარიანის ავტორს ჩახრუხაძეს. პირველად ის იხსენებს მას თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების წინასიტყვაობაში შემდეგნაირად:

სხვა ლექსით ჩახრუხაძემა შეამო მეფე თამარი,
არ მებრალდის საკებრად თამარი, მისი ამარი,
ვა ამით, რომე სრულ ვერა მყო, ადრე უთარეს სამარი,
მუდამ სხვას წინებს ვიკითხავთ, მაგრამ ისიცა სამ არი².

გაცხარებულ კამათში თეიმურაზ მეფე შენიშნავს რუსთაველს:

ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარე პირველ თქმსა?
რას მიერჯი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა!
ჟბე, მას დარჩეს პირველობა, დაგიხოს შენი მასა,
თორემ ეკითხოთ ქორანიონს, გაგიჩნდების შენი ბასა³.

მეორედ არჩილ მეფე ჩახრუხაძეს ეხება თხზულებაში, რომელსაც ეწოდება «პირველთა და შემდგომითი-შემდგომთა მეფეთა ქება და სამხილებელნია აი, რას ამბობს ის აქ:

¹ კ. კ. კ. დ. ი. ძ. რუსთველოლოგიური შტუდიები, თსუ შ. რ. მ. ბ. ი, III, გვ. 123—124; მ. ი. ი. ვ. მ. ბ. ი. დ. ბ. ი. გ. 7—9. აქვეა გამოთქმული ჰომოთეხა თეიმურაზ პირველისათვის ამ სტროფის მიკუთვნების შესაძლებლობის შესახებ.

² «არჩილიანი», II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., გვ. 3, სტროფი 24.

³ იქვე, გვ. 11, სტროფი 80.

ჩაბრუხაძე ბრძენთ ვაბაძნეთ, მაგრამ სახელს გვიმაღლავსა, იარება, შებრკოლება არ ეტყობა დრკულ რამ სლუასა; მაგრამ გვარი, მოსაგვარი, სახელ ვის გვდებს დასავალსა, დია ამკობს, ვით იაკობს, თამარს მაშრიყს-დასავალსა.

ვისმე ხევითა, საროს ხე ვითა, უთქვამს ლექსები რტო-გარდადენით, ყვავილთ მრავალფეროთ, ფერად შესაფეროთ, ვარდი უყრია ბაგეთ მოფენით; ეინ ვარტყვეთ ლალთა, ცუდებრ მოლალთა, მისთა თქმულთა გავიაფენით, ქალნი თუ ყრმანი, არსად უზმარნი, მკვერად უქია ერნიც მეფენით.

ჩაბრუხაული, ვით რებუული, ძეგლად უწესა თავისა ლექსსა, სიტყვის სიმტკიცით, ვინცა ვინ ვიცით, იგი მთიული უცხოდ რამ ლესსა, ქვეყნის მპყრობელთა, სვეთ შემსწრობელთა, წარწარად აქებს მის დროს მოსულსა, შაირთ მოჯრობით, ლექსთ დარაჯობით, სწორედ შეამკობს ფინიკს და ლელსა.

მო, ნახე, ვსურის, მონა ხევისურის სიყვარულითა მის ხმით ეთქვი მეცა, ვითა აზრდილად, ართუ სადილად, გარნა იქნების დღესთან ლამეცა, მე, ქვე მეთრევესა, იგ ესრეთ მრევესა, დაბაღს იატას, თუ სთქვა, აღმეცა. მოშაირენი, ბრძენგონიერნი, თურ გამოსულან ხევიდაწყეცა.

მოხეველისამ, ჩაბრუხელისამ, ლექსთა სიტკობა ამიყოლია, მისებრ მთიული, სიბრძნით ლეთიული, თამარის კიდე ვისმცა ჰყოლია? ან სხვა მდივანი, გულშემტკივანი, გინა შინაყმა, კამყოლია? მაგრამ რიტრთა, ვით რამ მარტოთა, დასჯის ლექსობა, ვინ მიჰყოლია!.

ამნაირად, არჩილი გადმოგვეცემს, რომ: 1) თამარ მეფე შეაქო ჩაბრუხაძემ, 2) სხვა ლექსით, რომელსაც ჩაბრუხაული უწოდა; 3) ის იყო მოხევე, მთიული, 4) თამარ მეფის მდივანი, 5) მისი ქებანი საამო და საკადრისია, მე მას ვერ შეევედრებდი, 6) მისი შემოქმედებით მოღვაწეობა ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა რუსთაველის მოღვაწეობასა.

აი ყველა ის ცნობა, რომელიც ტრადიციის სახით მომდინარეობს და რომელიც ახალი დროის მეკლევართ სხედასხვა ზღაპრით გაუვრციათ. მაგალითად, ზ. ქიქინაძე გადმოგვეცემს, რომ ჩაბრუხაძე პირველად სწავლობდა შიომღვიმეში, მერე საბერძნეთში, სადაც მან შეისწავლა ისტორია, ფილოსოფია და ენები; საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ ჯერ მდივანად იყო თამარის კარზე, მერე ეს თანამდებობა დატოვა და ისევ მთაში წავიდა, სადაც «თამარიანი» დაწერაო. რა თქმა უნდა, ეს ტრადიციული, ფრაგმენტური და თან ზღაპრული ცნობები ჩვენ ვერ გვიშუქებს ამ ხელოვანი მგოსნის ვინაობასა და შემოქმედებას, ამიტომ სრულიად ბუნებრივია ცდა ფარდა აებადოს მის, საიდუმლოებით მოკულ, პიროვნებას და გარკვეულ იქნეს ის.

5. მარმა მგოსნის ვინაობის შესახებ მსჯელობისას მეცნიერულად დასაბუთება მონიღომა მ. ბროსეს მიერ 1830 წელს შემთხვევით გამოთქმული აზრისა, ვითომც აეტორი «ვეფხისტყაოსნისა» და «თამარიანისა» იყო ერთი და

¹ არჩილიანი, I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., გვ. 225—226, სტროფ. I — 5.

² «ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში», გვ. 1 — 5.

იგივე პიროვნება, სახელდობრ, შოთა რუსთაველი ჩახრუხაძე. რამდენად სამართლიანია ეს შეხედულება, ეს ჩვენ ვნახეთ, როდესაც ვეფხისტყაოსნის ავტორის შესახებ გვექონდა ლაპარაკი. სამაგიეროდ მას გამოვხმაურა მ. ჯანაშვილი, რომლის აზრითაც დასახელებული ორი ნაწარმოების ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა, მხოლოდ არა შოთა რუსთაველი ჩახრუხაძე, არამედ შოთა რუსთაველი ართავაჩოს-ძე¹. მ. ჯანაშვილი იყარვს დასაბუთებულ ვერსიას ვეფხისტყაოსნის პროლოგისა და ეპილოგის სტროფებს: ვის შვენი ლომსა ხმარება, ღემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა შიქია, დავითის ქანი ვითა ვთქვენე. ვეფხისტყაოსნის ავტორი გვიპრდება დავით სოსლანის შექებას, რომელიც მას შეუქა კიდევაც ერთხელ, ხოლო თამარის შესახებ პირდაპირ ამბობს, რომ მე ის უკვე მძიქია ერთხელო. სად არის დავითისა და თამარის ეს წინანდელი ქება? ალბათ, თამარიანში, — ამბობს ის. ეს მოსაზრებანი და ტყუილები თავის დროს ამავე აზრის დასამტკიცებლად მოჰყავდა ნ. მარსაც. რამდენად შესაწყნარებელია საზოგადოდ შოთა ართავაჩოს-ძის ავტორობა, ეს ჩვენ უკვე ვნახეთ ვეფხისტყაოსნის ავტორის შესახებ ლაპარაკის დროს.

თამარიანის ავტორის პორტრეტის აღდგენა მოინდომა პ. ინგოროყვამ, რომელმაც საგანგებო გამოკვლევა უძღვნა ამ საკითხს შემდეგი სათაურით: ჩახრუხაძე, პოეტი, მოგზაური². მასაც ჩახრუხაძე, თანახმად ტრადიციისა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მეხელზეა დამყარებული, მოხევედ მიაჩნია. დაბადებულია ის, მისი სიტყვით, 1164—5 წწ. ახლო ხანებში. რატომ? იმიტომ რომ 1184—5 წლებში მას დაუწერია თავისი პირველი ოდა, რომელშიაც ის თამარს ტახტზე ასვლას ულოცავს. რადგან ეს პირველი მისი ოდაა, ჩანს, 1184—5 წლებში მომხდარა მისი სამეფო კარზე მიღება «დალოცვითა» და «შეწყალებითა», ხოლო ასეთი მიღება ხდებოდა, როდესაც ადამიანი სრულწლოვანი, 20 წლის, შეიქნებოდაო³. არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ მატანიეში მოხსენებული ტერმინი «დალოცვა» და «შეწყალება» სრულწლოვანების აღმნიშვნელი აქტი იყო. არც ის ვიცით, რომ ჩვენში სრულწლოვანებად მაშინ რაი წლის ასაკი იყო მიჩნეული. თან არც ისაა მართალი, რომ ის ოდა, რომელიც ნ. მარის გამოცემაში პირველ ადგილზეა, ქრონოლოგიურადაც პირველია, რომ ის დაწერილია თამარის ტახტზე ასვლის გამო. მისი შემდეგი სიტყვები (I, 55—56):

მტაციდ აქვს სჯული, ჩანს მართლმსაჯული, მას რომ უზმობენ ღვთის სახიერსა;
უძრწის ავარი, სტურფობს ჯავარი, მშვიდსა და წრფელსა და ღმობიერსა, —

გულსხმობს, რომ თამარს კარგა ხანია უკვე გამოუჩენია თავისი მეფური ფიზიონომია: ის ჩანს მართლმსაჯულად, მას უძრწის ავარი და სხვ.

ამ ბიოგრაფიული პორტრეტის შემდეგი მოხაზულობა ასეთია: 1184—5 წლებიდან 1188 წლის გასულამდე ჩახრუხაძე თამარის კარზე იყო, როგორც

¹ თამარ მეფის მეზობენი, გახ. ტრიბუნა, 1923 წ., № 466.

² იურნ. აკადემიონი, 1924 წ., № 1—2, № 3—4.

³ აკადემიონი, 1924 წ., № 1—2, გვ. 278—280.

კარის მგოსანი, 1188 წლის გასულიდან 1191 წლის ბოლომდე ის უნდა ყოფილიყო შირვანში, 1191 წლიდან 1193 წლამდე კვლავ თამარის კარზე იმყოფებოდა¹, ხოლო 1193 წელს გადახვეწილა სამშობლოდან და უცხოეთში გაქარილა. ამის მიზეზი იყო უიმედო სიყვარული თამარისადმი. პოეტის მოგზაურობა და ხეტიალი გაგრძელებულა 10 წელიწადს, 1193—1203 წწ.; ამ ხნის განმავლობაში ის ყოფილა სპარსეთში, აღმოსავლეთ ირანსა და ინდოეთში, ჩინეთსა და ხატაეთში, ხაზარეთს, რუსეთს, საბერძნეთსა და იტალიაში, არაბულ სახალიფატოში, ეგვიპტეში, იემენსა და მექაში, სადაც მაჰმადიანობა მიუღია და არაბის ქალი შეურთავს. იქიდან მოსულა ბაღდადში და საქართველოსაკენ ამირებდა გამომგზავრებას, წერილიც გამოგზავნა ამის შესახებ, მაგრამ ქ. ბარდაეში, სადაც მისი მეგობრები წავიდნენ მის შესახვედრად, მათ მეორე წერილი მიიღეს პოეტისაგან, რომ მას, რაღაც მიზეზის გამო, გადაუფიქრნია შინ დაბრუნება, კვლავ ზღვისათვის მიუმართავს და უცხოეთის გზას დადგომია. ამის შემდეგ ის, მართლაც, აღარ დაბრუნებულა სამშობლოში და გარდაცვლილა, შეიძლება ქართველთა ჯვარის მონასტერში პალესტინაში, 1213 წლამდეო. რატომ ჰგონია მკვლევარს, რომ ეს მოგზაურობა ათ წელიწადს გაგრძელდა? იმიტომ რომ პოეტის მგზავრობისას კონსტანტინოპოლში ამეფედ ზის კეისარია, მაშასადამე, ის ჯერ კიდევ არაა აღებული ლათინების მიერ, რასაც 1204 წელს ჰქონდა აღგილიო². რაზეა დამყარებული ყველაფერი ეს, საიდან ამოიღო მკვლევარმა ასეთი დეტალური ცნობები?

როგორც ვთქვით, ხოტბათა კრებულში შეტანილია ერთი ელეგია, რომელშიაც პოეტი დასტირის თავის მოყმეს, რომელიც გაქრილია სახლიდან, იმ დროს ცნობილი ყველა ქვეყანა (ზემოჩამოთვლილი) შემოუვლია და რომლის დაბრუნებას ის ვერ ღირსებია (VI, 1—21). ამ ელეგიისათვის ვილაც მეორე პოეტს მიუწერია იმავე ხასიათისა და შინაარსის საპასუხო სტროფები, რამდენიმე ზედმეტი დეტალის დამატებით (VI ა, 1—16). აი, ამ ორი ელეგიიდან ამოულია პ. ინგოროყვას ყველა ეს ცნობა. ის დარწმუნებულია, რომ პირველი ელეგია ეკუთვნის თამარინის ავტორის ძმას, მეორე ჩახრუხაძეს, ხოლო მეორე ელეგია — მის მეგობარ პოეტს, ვინმე ბარამან მანისს, ესე იგი მანიქეველს. მეორე ჩახრუხაძეს შეუდგენია თავისი ძმის ოდების კრებული, წინასიტყვაობის სახით დაუწერია ელეგია, რომელშიაც ვადმოუცია თავისი ძმის ბიოგრაფია, და გაუგზავნია ბარამან მანისათვის, რომელსაც საპასუხო ელეგიაში ზოგიერთი ფაქტობრივი დეტალი შეუტანიაო. ელეგიები დაწერილია 1204 წლამდე და, მაშასადამე, მათში დაკულ ცნობებს თანამედროვე წყაროდან მომდინარე დოკუმენტის ხასიათი და მნიშვნელობა აქვსო. ამნაირად, ვამოდის, რომ არსებობდა ორი ძმა პოეტი ჩახრუხაძე, რომელთაც ჰყავდათ მეგობარი, ბარამან მანი. ამ სამი პირის ნაწარმოები შემოუნახავს თამარინსო.

¹ «კავკასიონი», 1924 წ., № 1—2, გვ. 290—292.

² იქვე, გვ. 310.

ორი ჩახრუხადის არსებობის მთავარ საბუთად პ. ინგოროყვის შიანია «თამარიანის» ბოლო მინაწერი: «მოხვევს ძეთა, ჩახრუხადეთა», რომელიც, ნისო აზრით, დაწერილია 1213 წლამდე, თამარის სიცოცხლეში. ამ მინაწერის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა. სადაც მკითხველი ნახავს, რამდენად საიმედო და გამოსაყენებელია ის ასეთი კარდინალური დასკვნისათვის, მით უმეტეს, რომ ჩვენ არა გვაქვს არავითარი გარანტია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად იკითხებოდა «მოხვევს ძეთა, ჩახრუხადეთა» და არა «მოხვევს ძესა, ჩახრუხადესა». მეორე მხრით, თუ ელევგის ავტორი გადახვეწილი პოეტის ცოლს სძალს ეძახის (VI, 15), ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ის უძველად ძმა იყო მისი¹. ასე შეეძლო მოენათლა მას მგვობრის, ძმადნაფიცის ცოლიც. ამნაირად, არ მოიპოვება ექვმიუტანელი და საიმედო საბუთი ორი ჩახრუხადის არსებობისა².

შეიძლება თუ არა ვენდოთ ამ ელევგიებს, როგორც თანამედროვე დოკუმენტებს? არა! მეორე ელევგია თავისი უღაზათო, უშნო და უხეში ლექსით თვითონ ამელავნებს მიმბაძველობით ჩახრუხაულობას, რომელსაც ადგილი აქვს ალორძინების ხანაში. რაც შეეხება პირველ ელევგის, ის «ლექსის ფაქტურით, რითების ხასიათით, ლექსიკონით და სხვა რეალიებით»³ იმდენად განსხვავდება ოდებიდან, რომ საექვო ხდება მისი მიკუთვნება იმ ეპოქისათვის. რომელშიაც დაწერილია ოდები. მაგრამ, ვთქვათ, ის ოდების თანამედროვეა: რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის დაწერილია მეორე ჩახრუხადის მიერ და გადმოგვცემს «თამარიანის» ავტორის თავგადასავალს? ამისი თქმა იქნება პირწავარდნილი თვითნებობა, ვინაიდან არავითარი საფუძველი ამისათვის არ არსებობს, არც ფაქტური, არც ლოგიკური.

ამნაირად, «თამარიანის» ავტორის ბიოგრაფია, რომელიც პ. ინგოროყვის აღუდგენია, მტკიცე მეცნიერულ ბაზას მოკლებულია. კერძოდ, ორი დეტალი ამ ბიოგრაფიისა: შესაძლებელია, რომ პოეტს მართლა უყვარდა თამარი, თუმცა მისი სიტყვები, რომ ის გაგიჟებულია თამარისაგან, კიდევ არ ნიშნავს, რომ სინამდვილეშიც უყვარს ის; ასეთი აღსარება ჩვეულებრივი ხერხია ad maiorem gloriam თამარისა. რაც შეეხება პოეტის მოგზაურობის დათარიღებას კონსტანტინოპოლში კეისრის ჯდომით, ეს უბრალო გაუგებრობაა: ალორძინების ხანის მთელ რიგ ლიტერატურულ ძეგლებში ოსმალებით სულტანი, კონსტანტინოპოლში მჯდომი, კეისრად იწოდება⁴.

¹ «კავკასიონი», 1924 წ., № 1—2, გვ. 275.

² ჩვენ არაფერს ვამბობთ ბარამან მანის შესახებ, ვინაიდან მეორე ელევგის სიტყვები — «მარამ არმანან» (5), შეიძლება გადაკეთდეს როგორც ბარამან მანად, ისე სხვანაირადაც, ვინც როგორ მოინდომებს.

³ «კავკასიონი», 1924 წ., № 1—2, გვ. 274.

⁴ მაგალითად: «ომანიანი», «შაჰნავაზიანი», «დიდნოეზავიანი» და სხვ. ეს კიდევ ცოტაა: «ბარამეურთანში» კეისარი იწოდება ქ. ალაბის უბრალო გამგეს. XI საუკუნეში, მცირე აზიის დაპყრობის შემდეგ, რომელიც მანამდის ბიზანტიელებს ეკუთვნოდათ, სელჩუკიან-თურქთა მმართველებმა ამ ადგილში შიითვისის იმპერატორის ტიტული და დიდი ხნით ადრე კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე უწოდებდნენ თავის თავს «რუმის კეისარს» (მელიქ-ი რუმ კეისარ) იბ. «Мир ислама», 1912 г., т. 1, № 2, стр. 220—221.

ერთი სიტყვით, «თამარიანის» ავტორის შესახებ დღესაც ის ვიცით, რაც იკოდნენ ალორძინების ხანაში, ახალი ფაქტობრივი მასალა ჩვენ მას შემდეგ არ შეგვძენია. როდესაც ლაპარაკია ამ ავტორის ვინაობის შესახებ, არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ გელათის მონასტრის ერთ-ერთ «სჯულთ-კანონს» (№ 25 ჩვენ მიერ 1912 წელს შედგენილი კატალოგით), რომელიც მეცამეტე საუკუნის პირველ მესამედზე უგვიანესი არ უნდა იყოს და რომელსაც შემდეგი ან დე რძი აქვს დართული: «...გლახაკი ფრიალ ცოდვილი გ რ ი გ ო ლ ი ჩ ა ხ რ ე ხ ა ხ ს ძ ე მომიკსენეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, რომელმან დიდითა გულსმოდგინებითა გარდაეწერე თვისთა ჳელითა ქრისტეანეთა წინამძღუარი დიდი ესე სჯულისკანონი საუკუნოდ მოკსენებულისა და ჩუენ ქართველთათჳს ფრიალ ჳირთა თავსმდებელისა არსენი იყალთოელისა თარგმნილი: საუკუნო ყოს ღმერთმან კსენებაჲ მისი: არარაჲს სხჳათჳს მოვიკირევე წერაჲ ამისი, თჳნიერ რომელ სიყუარული მქონდა ცალკერძ წმიდისა მონასტრისა პატიოსნისა ჯუარისაჲ და მერმე ამის წმიდისა წიგნისაჲ. და ესე დავიდევ გონებასა ჩემსა, ვითარმედ, უკუეთუ ღირსმყოს ღმერთმან და წმიდასა მონასტერსა პატიოსანსა ჯუარისსა შინა შემიწყნარონ¹, მაშა თუთ კეთილ, და ვიდრე ცოცხალ ვიყო, არა დავაკლდები ხილვასა ამისსა; და თუ არა, ვიდრე ცოცხალ ვიყო, მე მქონდის, და შემდგომ ჩემსა — სადაცა ღმერთმან ინებოს. ხოლო მე ბევრისბევრეულითა² ცოდვითა აღტჳრთულითა ესე წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა მომიკსენეთ ყოველმან ჳელად თმოდებელმან ამის წიგნისაჲ. მან. წიგნისა სიმართლისათჳს იჳკ ნუვის გაქუს, პირველდელაჲ მართალი და კარგისა მწერლისა დაწერილი მქონდა და თუთ რად არა წარმოგიდგინებ კაცსა მას მოკსენებითა სახელისაჲთა? იოანე დიაკონისა, წმიდისა დედოფლისა ბორენაჲს გაზრდილისაჲთა; რომელ მე ესრე მასშია, რომელ გიორგი ბროლასა, კათოლიკოს-ყოფილსა, აქაჲთ მისებრი და მის უმართლესი მწერალი არა გამოსრულა ჩუენ ქართველთა ნათესაჲსა შინა. და მერმე დიდ[ად] მოჳირეუბით შემიმოწმებია; ღმერთმან გარწმუნოს, ვინცა იკითხვიდეთ და ვინცა სწერდეთ ამისგან, ვითა ჳპოოთ, ეგრე დაწერეთ. მრავალნი უცხონი სიტყუანი არიან, გარნა დედასა ეგრე ეპოვე³. ამ ანდერძიდან ჩანს, რომ ყოფილა ვილაც გრიგოლ ჩ ა ხ რ ე ხ ა ხ ს ძ ე, რომელსაც ჯუარის მონასტერში, პალესტინაში, ბერად შესვლის განზრახეჲა ჳქონია. მას გადაუწერია არსენ იყალთოელის დიდი სჯულისკანონი და დედნად უხმარია ბორენა დედოფლის (მაგრატ IV-ის ცოლი, რომელიც XI საუკუნის ოთხმოციან წლებში კიდევ ცოცხალი იყო) მიერ გაზრდილი, სწორუპოვარი კალიგრაფის³, იოანე დიაკონის მიერ გადაწერილი

¹ ხელნაწერში: შეიწყნარონ.

² საუბროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ ამ ანდერძის ცნობას პარკვლად ჩვენ 1912 წელს მივაქციეთ ყურადღება, როდესაც გელათის მონასტრის ხელნაწერთა კატალოგიზაცია და აღწერილობა შევადგინეთ, და იმავე წლის 20 სექტემბერს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სდომიანე ჯავახეთთ მოხსენება: «ორი კვირა გელათის მონასტერშია (საზოგადოების სდომიანთა ოქმი № 62). შემდეგ, 1912 წლის დეკემბერში, გელათის ხელნაწერები ინახულა ბ. ინგოროყვამაც (საზოგადოების სდომიან 1913 წლის 8 თებერვლის ოქმი № 68).

³ კათოლიკოს გიორგი ბროლას შემდეგ, რომელიც XI საუკუნის სამოციან წლებში ცხოვრობდა, იმისი ბადალი კალიგრაფი არ ყოფილა.

ნუსხა. შეიძლება დავსვათ საკითხი: ეს გრიგოლ ჩახრებასძე და თამარიანის ავტორი ჩახრებაძე ერთი და იგივე პიროვნება ხომ არაა? ამას გვაფიქრებინებს შემდეგი ვარაუზი: 1) გრიგოლ ჩახრებასძე და თამარიანის ავტორი ჩახრებაძე დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ; 2) ან დერძის სტილი არ არის მთლიანად საეკლესიო, მასში ჩვენ ვვაქვს ხალხური ენის მორფოლოგიურ-ფონეტიკურ ელემენტებთან ერთად ერთი ისეთი ლექსიკური მოვლენა, რომელიც სწორედ თამარიანშია გვხვდება; ეს არის სიტყვა მაშა. თამარიანში ვკითხულობთ: «მაშა მე, ხელი, მაშა მებელი» (VII, 17). აქ ერთი მაშა უდრის დღევანდელ მაშ-ს resp. მაშასა და მეს, მეორე მაშა ნიშნავს მრავალმოსიარულეს, მგზავრს, მოხეტიალეს, ყარბს (свиталя). პირველი მნიშვნელობით ეს სიტყვა ნახმარია ზემოამოწერილ ანდერძში: თუ მე მიმიღებენ, შემეწყნარებენ, ჯვარის მონასტერში, «მაშა კეთილია, — ამბობს ის. ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა, რომლითაც თამარიანის ავტორი ახასიათებს თავის თავს, საესებით უდგება გრიგოლ ჩახრებასძეს, რომელსაც, როგორც მისი ანდერძიდან ჩანს, უმოგზაურია პალესტინაში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თამარიანის ავტორი, ჩახრებაძე, ბოლოხანს ბერად შევიდა თუ ჯვარის მონასტერში არა, საქართველოს ერთ-ერთ მონასტერში, ამას თითქოს მხარს უჭერს თამარიანის შინაარსიც: მესიანური იდეა მისი, ძველი და ახალი აღთქმის საღვთო ისტორიის გალექსვა, განსაკუთრებით პირველ ოდაში (ნ. მართ), და მისი მესიანიზმის იდეასთან დაკავშირება არ უარყოფს პოეტის სულში ეკლესიური განწყობილებისა და ასკეტური მიდრეკილების პოტენციას.

მესამე საკითხია, როდის არის დაწერილი ოდები? როდესაც ასეთ საკითხს ვსვამთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ოდები, რომელნიც ცხადად გულისხმობენ თამარის ბრწყინვალე მფეობის სხვადასხვა ამბავს, შესაძლებელია დაწერილი იყოს სხვადასხვა დროს და მერე თავმოყრილი ერთ კრებულში (ნ. მარი), შესაძლებელია ისიც დავუშვათ, რომ ყველა ისინი ერთდროულადაა დაწერილი (ასეთი აზრია გამოთქმული ს. კაკაბაძის 1937 წ. და ი. ლოლაშვილის გამოცემებში), მით უმეტეს, რომ ხშირად ერთსა და იმავე ოდაში იგულისხმება ორი სხვადასხვა დროის ამბავი. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო პირველ ხაზს იღებენ და სხვადასხვა ცდას იძლევიან დასმული საკითხის გასარკვევად. ჩვენ შეეჩერდებით ზოგიერთ საყურადღებოსა და მნიშვნელოვან მოსაზრებაზე.

ი. ნ. მარმა 1934 წელს გამოთქვა მოსაზრება¹, რომ თამარიანის მეექვსე ოდა-ელეგია გულისხმობს სტიქიური ქარიშხლის უბედურებას, რომელსაც ას-

¹ ზ. ჭიჭინაძის 1862 წელს ქუთაისის ეკლესიის «გულანში» უნახავს. ყოველი ნიშნებით, ზემოამოწერილი მინაწერი და ამიტომ ის თამარიანის ავტორის ჩახრებაძეს კატეგორიულად და გადატრით გ რ ი გ ო ლ ს ებანის («ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში», გვ. 1—3). ეს ცნობა ზ. ჭიჭინაძის შედარებით მივიღო დ. ბაქრაძიდან, რომელსაც დაუბეჭდავს ის «ციცკარში», 1863 წ., № 2, გვ. 239 — 240.

² «მნათობი», 1934 წ., № 9, გვ. 144 — 148.

ტროლოგები 1186 წლისათვის წინასწარმეტყველებდნენ¹. ამ უბედურების მოლოდინით არის გამოწვეული ის სიტყვები, რომელნიც, დამატების თუ კომენტარების სახით, მიწერილია ვილაყას მიერ 1186 წლის მახლობლად და ასე იკითხება:

ქაბას მფლობი დიდი ემირი მას შიგან მოხრებლსა თვისად ისობდის;
მაჰმადის ხმობად, მიხვითსა შესვლად, თაყვანისცემად მას შინა ჯადის.

მკვლევარი გამოდიოდა ამ სიტყვების რუსული თარგმანიდან, რომელიც მის მამას, აკად. ნ. მარს, ეკუთვნის: „Властитель Каабы, великий эмир, роет для себя в священном месте подвал для укрытия и ждет тебя в нем, чтобы ты воззвал к Мухаммеду и вошел в мечеть“² და ამბობდა: რად დასჭირდა ემირს ასეთი «მოხრებლის — სარდაფის» (подвал) ამოთხრა? იმისათვის, რომ ასეთი მიწისქვეშა თავშესაფარი მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც საიმედო საშუალება სტიქიური კატასტროფის, საშინელი გრიგალისაგან თავის გადასარჩენად. ეს მოსაზრება გაზიარებულ იქნა სხვების მიერაც. ასე, ერთ-ერთ სპარსულ თხზულებაში იპოვეს კიდევაც ცნობა იმის შესახებ, თუ რა სახით მოელოდნენ ამ ქარიშხალს ათაბაგ მოჰამედის დროს (1174—1186 წწ.) აზერბაიჯანში და რა საშუალებას ამზადებდნენ წინასწარ მისგან თავის დასაცავად³. შესაძლოა, ასეთ რამეს მართლაც მოელოდნენ 1186 წლისათვის როგორც ირანში, ისე არაბეთში, მაგრამ საეჭვოა, რომ ზემოაღწერილი სიტყვები ამ ქარიშხალს გულისხმობდეს. ჯერ ერთი, მინაწერი ძალიან საეჭვო ხასიათისაა: ელგვის მინაწერის ყველა სტროფის სტრიქონი თავდება რითიმით «ოდის», აღნიშნული ორი სტრიქონი კი თავდება «ობდის» და «ადის»; მეორე — ნ. მარსის თარგმანი არ არის სწორი: დედანში არ არის «в священном месте» და თუ სიტყვას «მოხრებელი» გავიგებთ როგორც «подвал»-ს, «для укрытия» მაინც არაა ქართულში. ამ არასწორმა თარგმანმა შეცდომაში შეიყვანა ზემოდასახელებული მკვლევარი. ფრაზა «მოხრებლსა თვისად ისობდის» არ ნიშნავს «роет для себя подвал для укрытия», ის ტექნიკური თქმაა იმ აზრის გამოსახატავად, რომ ქაბაში მისი მფლობელი იმზადებდა თავისთვის სამარხს ან აკლამას, ამით კი გამორიცხულია ყოველგვარი «подвал»-ის ამოთხრა ქარიშხლისაგან თავის დასაცავად. ასე რომ 1186 წელი მოხსნილი უნდა იქნას როგორც თარიღი მეექვსე ოდისა და მისი დამატებისა თუ კომენტარებისა.

ნ. მარსი ოდების დაწერას სდებდა 1192 — 1195 წლებში, თამარის მეორე გათხოვებიდან რუსულანის დაბადებამდე. თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ სხვა ისტორიულ თარიღებსაც, რომელთაც პოეტი იძლევა და რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ამ შეხედულებას, რასაკვირველია, ვერ გავიზიარებთ.

სხვა შეხედულებისაა პ. ინგოროყვა. მისი აზრით, ოდები დაწერილია 8 — 9 წლის მანძილზე: 1184 — 5 წლებიდან ვიდრე 1193 წლამდე, როდესაც

¹ ამ ქარიშხლის შესახებ იხ. კრებული: «Хакани, Низами, Руставели», გვ. 16 — 84.

² Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре»... ИАН, 1917, гв. 504.

³ К датировке VI оды Чхврухадзе («Сборник Руставели», 1938 г., Тбилиси, гв. 17 — 20; «ენიშის შობა», 11, გვ. 13 — 16).

პოეტი სამშობლოდან სამუდამოდ გადაიხვეწა¹. კერძოდ, პირველი ოდა დაწერილია 1184—5 წლებში თამარის ტახტზე ასვლის გამო, II—V ოდები დაწერილია 1187 წლის შემოდგომიდან 1189 წლის დასაწყისამდე, VII—VIII ოდები — 1191 წლის დამლევეს ან 1192 წლის დამდეგს, IX, X და XII ოდები დაწერილია გიორგი ლაშას დაბადებისა და მასთან დაკავშირებული ომების გამო 1192 წელს, ხოლო XI ოდა — 1193 წელსაო. ასეთ დათარიღებას მკვლევარი ასაბუთებს თვით ოდათა შინაარსითა და რეალიებით².

ეს შეხედულება სწორი არ უნდა იყოს. შესაძლებელია კიდევ დავეთანხმოთ მას II—V ოდათა, მათი შინაარსის უნიშანდობლიობის გამო, და XI ოდის დათარიღებაში, სხვებისაში კი ვერა. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, რომ პირველი ოდა არაა გამოწვეული თამარის ტახტზე ასვლით და, მაშასადამე, 1184—5 წლებში დაწერილი, ასევე უნდა ითქვას დანარჩენების შესახებაც. მართლაც, VII, VIII და IX ოდები რომ იმ წელს ვერ იქნებიან დაწერილი, რომელშიაც პ. ინგოროყვას ჰგონია, შემდეგიდან ჩანს. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

ბობქარ აღარბის დასდვას დვინსა რბის ოდესმე ლხინთა საზღვარი ბნელი,
სხეთა მძლევართა, ხარკთა მძლევართა ზედა სხვა შიში ჰპატს საშინელი.

(VII, 18).

ბობქარ მგოდები, მცდრად ნაწოდები, დავითის ხმლითა შესარცხვენალი.

(VIII, 7).

უძლე ძლიერთა ბევრთა სძლი ერთა, ოს ყვენ ბობქარის მეოტებანი.

(IX, 21).

ამ ოდებში, როგორც ვხედავთ, ლაპარაკია აზერბაიჯანის ათაბაგის ბობქარ ან აბუბაქრის შესახებ, რომელიც არამცთუ ლხინმოკლებული, შეშინებული, დავითის ხმლით შერცხვენელი და ოტებულია, არამედ ქ. დვინ დაკარგულიცაა. ყოველივე ეს გულისხმობს, ერთი მხრით, აბუბაქრის ქართველები-საგან დამარცხებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველად შამქორის ომში 1195 წელს, და, მეორე მხრით, მისთვის დვინის წართმევას 1203 წელს. ასე რომ VIII და IX ოდები დაწერილია არაუადრეს 1195 წლისა, VII კი — არაუადრეს 1203 წლისა.

მეათე ოდაში ვკითხულობთ:

წაუღე რანი, წა უღერანი, ყელსა დასახენ ჩამომდებარე:

მიუშვენოდეს! მიუშვენ ოდეს ამბერდად რად ვსთქვენ იგი მე ბარე?

(X, 22—23).

ეს სიტყვები გულისხმობს ამბერდის დაპყრობას; რომელიც მოხდა 1196 წელს. უფრო საყურადღებოა ამ ოდის სხვა ადგილი:

ვინანი, სადა ვინ ანისადა მისთა მოყმეთა მარცხო მზებარე?

წუხად ანელმან რა სთქვა ანელმან. დღეს მუსულმანთა მოსანთებარე.

აგარის ერთა საღმობიერთა სხვამცა ვინ იყოს სხვად შემძლეზარე?

არ მით აენებდა, არ მითავენებდა; რომე მჩანს ლომებარე შემძახებარე.

(X, 13—16).

¹ «კავკასიონი», 1924 წ., № 1—2, გვ. 273.

² იქვე, გვ. 188—190.

აქ მოხსენებულია ანისის მცხოვრებთა გაწყვეტა არდაველის სულტნისაგან და ქართველთა მიერ სამაგიეროს, თავნის, აღება, როდესაც რამაზანის დროს იმდენივე მაჰმადიანი ამოსწყვიტეს ანისში და თან ქალაქიც დაიკავეს. ეს ამბავი მოხდა, იბნ-ხალიკანის გადმოცემით, 1206 — 7 წელს¹, ასე რომ მეთათე ოღა ამაზე აღრე დაწერილი ვერ იქნება.

დასასრულ, XII ოღაში (48 — 59, 3 — 74) აღწერილია შემდეგი: გამოჩნდა ვინმე ზავი, მხეცებრ მძინვარე, ამპარტავანი, ლალი, რომელსაც თავისი თავი უძლეველად მიაჩნდა და რომელიც ურიცხვი, ძალდატანებით შეგროვილი, ჯარით ჩვენ წინააღმდეგ გამოემართა ქადილით: მე მათ ქვეყანას გავხდი მოოხრებულად. შენ, თამარ, შეპყარე ჯარი, გაამხნევე როგორც ჯარისკაცები, ისე მათი მთავარნი, და უბრძანე მათ შებმოდნენ მტერს ქრისტეს სახელით. ჯარს წაუძღვა დავითი, რომელმაც შიშის ზარი დასცა მტერს, სასტიკად დაამარცხა იგი, გააბნია, ამოწყვიტა და დაატყვევა. ტყვეები შეწყალებას სთხოვდნენ და ეუბნებოდნენ: არ მოვედით ნებითოა. სხვათა შორის, მას ტყვედ ჩაუვარდა ხელში ეზინაკს მფლობი, რომელიც თან წამოიყვანა. ტყვეებთან ერთად ქართველებს დარჩათ დიდი და მდიდარი სამხედრო ალაფი. ვინ არ დანახავს ამ აღწერილობაში რუქნადინის, resp. ნუქრადინის ზეიადობას, რომელმაც ამიირთნა თვნიერ ნებისა მათისა შიშით ეზინკელნი, ხალფერდელნი და კარნუქალაქელნი და «ოთხმეოც ბევრია» კაცი, მუქპართა და ტრაბახით, გამოემართა ჩვენენ² როგორც ვიცი, ქართველებმა, დავით სოსლანის მეთაურობით, სასტიკად დაამარცხეს ის ქ. ბოლოსტიკესთან ბრძოლაში და ხელში ჩაიგდეს დიდი ალაფი და ურიცხვი ტყვე, რომელთა შორის იყო ეზინკიელი ამირაკ³. ეს სახელოვანი ომი მოხდა 1206 წელს⁴, მაშასადამე, მეთორმეტე ოღა 1206 წ. აღრე ვერ დაიწერებოდა⁵.

ამნაირად, ჩაბრუხადეს არამცთუ 1193 წელს არ დაუმთავრებია მოღვაწეობა სამშობლოში და უცხოეთში არ გადახვეწილა, როგორც პ. ინგოროყვას აქვს აღნიშნული, 1206 წელსაც საქართველოშია და თამარს ხობტა-ქებას ასხამს.

ი. ლოლაშვილმა, ისტორიული ამბების გათვალისწინებით, თამარიანის დაწერის თარიღად გამოაცხადა 1205 — 1207 წლების შუალედი (გვ. 179), მაშასადამე, 1206 წელი. რატომ? იმიტომ რომ თამარიანი დაწერილია დავით სოსლანის სიცოცხლეში, დავითი კი გარდაიცვალა 1207 წელს, მაშასადამე, ამ წლის შემდეგ შეუძლებელია ის დაწერილი იყოსო (გვ. 175). ასეთი კატე-

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948 წ., გვ. 282 — 284, 287 — 289.

² ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 496 — 509.

³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948 წ., გვ. 277.

⁴ იქვე, გვ. 278.

⁵ ამრიგად, მოხსნილი უნდა იქნას ს. კაკაბაძის მოსახრება, ვითომც «თამარიანი» საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1202 წელს, ვინაიდან იმაში მოხსენიებული არაა ბოლოსტიკეს ომი 1203 წლისაო («ეფესისტყაოსანი», 1927 წლის გამოც., გვ. LXXIII—LXXV; მის მიერ 1937 წელს გამოცემული «თამარიანი», გვ. 11).

გორიული განცხადებისათვის არა გვაქვს საფუძველი. ყველას, ვინც ამ ნაწარმოების დაწერას დავით სოსლანის სიკვდილს უკავშირებს, ჩვენ შეგვიძლია ეკითხოთ: რატომ არ შეიძლებოდა დავითის სიკვდილის შემდეგ დაწერილიყო ზოგიერთი ნაწილი თამარისა, ნუთუ დავითის შემდეგ თამარის მეფობაში ქების ღირსი არაფერი გაკეთებულა, განა თამარის ეპოქა უცნობ ისტორიკოსს-პანეგირისტს („ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი“) დავით სოსლანის სიკვდილით დაუმთავრებია და მისი შემდგომი ამბები არ გადმოუცია? მაშ რატომ ჩახრუხაძე უნდა შემოგვფარგლოთ უთუოდ? ეს გასაგები იქნებოდა, პოეტს რომ მარტო დავითის ქება ჰქონოდა განზრახული, ის ხომ უმთავრესად თამარს აქებს! რატომ იღებს მკვლევარი თამარისა და დაწერის უადრეს თარიღად 1205 წელს? იმიტომ რომ ამ წელს დავითს დაუმარცხებია ბოლოსტიკეს ომში რუქნადინი, ქართველებს კი მოუთავებიათ პირველი ტური ხლათელების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლებისათ (გვ. 179). ჯერ ერთი, ბოლოსტიკეს ომს ადგილი ჰქონდა არა 1205, არამედ 1206 წელს¹. მეორე—საიდან ვიცით, რომ სიტყვებში „სხვამცა ვინა ჩანს ხლათს ნამარხევად“ იგულისხმება უთუოდ 1204—5 წწ. ხლათის ბრძოლები, ამ ბრძოლებს შემდეგ წლებშიაც (1210-მდე) აქვთ ადგილი. ამრიგად, ეს მოსაზრება ჰიპოთეზური ხასიათისაა, ისტორიული რეალებით ის ვერ მტკიცდება.

ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა თამარისაში მოძებნოს ქრონოლოგიურად უგვიანესი ისტორიული ამბავი, რომელსაც პოეტი პირდაპირ თუ სიტყვავადაკვრით ახსენებს. ამ შემთხვევაში უდავოდ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ სიტყვებს: „მოუნდი არსთა, მიდთა და სპარსთა ერთსამწყსოობა, ერთუფლებულად“ (მარი, XII, 30, ლოლაშვილი, XV, 10). ჩვენი მკვლევრის სამართლიანი სიტყვით, ეს ნიშნავს: „ყოველ არსებას, მათ შორის მიდიელებსა და სპარსელებსაც კი, შენს სამწყსოში ყოფნა მოუნდათო“ (გვ. 165). აქ იგულისხმება სპარსეთში 1210 წელს გალაშქრება, რომელსაც მიზნად ჰქონდა მიდიელებისა და სპარსელების ერთს სამწყსოში ან სამეფოში (იგულისხმება საქართველო) გაერთიანება, ესე იგი დაპყრობა მათი. 1210 წელი ნაგულისხმევია აგრეთვე შემდეგს ტიპში, რომლის აღდგენის ი. ლოლაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ: „ლომთა თავადად, თქმულო ავადად, სხვამცა ვინა ჩანს ხლათს ნამარხევად“ (VII, 32). ამ ოდის 45 სტროფში პოეტი იგონებს დავით სოსლანის სახელოვან ომებს სპარსელებთან, გიორგი რუსის მომხრეებთან, ბოქარ ერანელთან, ხლათელებთან და გულსტიკევილით კითხულობს: ახლა ვინდაა ნავიარაუდევი (ვინ ჩანს ნამარხევად) ხლათის ლომად და ბელადად? ხლათელებთან, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ქართველებს 1210 წლამდე თამარის მეფობაში არაერთხელ ჰქონიათ ომი, ამ ომებში ისინი ხან იმარჯვებდნენ, ხან მარცხდებოდნენ, მაგალითად, 1204—5 წელს მათ ბრწყინვალედ გაიმარჯვეს, 1210 წელს კი სასტიკად დამარცხდნენ, იქამდე, რომ მათი სპასალარი, ივანე მხარგრძელი, დატყვევებული იქნა². სწორედ ამ დამარცხების შემდეგ იყო მოსა-

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948 წ., გვ. 281.

² იქვე, გვ. 282—283.

ლოდნელი დავით სოსლანის მამაცობისა და სამხედრო ნიჭის მოგონება და სევდიანი შეკითხვა: მის ადგილას ვინლა ჩანს ახლა ხლათელებთან (საერთოდ მტრებთან) ბრძოლისათვის საჭირო „ლომთა თავადი და ავადიო“?

ამრიგად, თამარიანის ოდები, რომელნიც დაწერილინი არიან ქართველთა ცხოვრების მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით თამარის მეფობაში, 1210 წელს დამთავრებულად შეგვიძლია ვიყარაულოთ.

თამარიანი წარმოადგენს ერთ მთლიან ნაწარმოებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის „ერთდროულადაა გააზრებული და ერთდროულად დაწერილი“. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ამბებთან დაკავშირებით დაწერილი ოდები 1210 წლის შემდეგ თვით ოდების ავტორს თუ სხვა რომელიმე რედაქტორს გაუერთიანებია და აუგია შემდეგს იდეურ ძაფზე: შეუდარებლობა თამარისა და დიდება მისი ხელმძღვანელობით აყვავებული საქართველოსი.

ჩანს, ჩახრუხაძის ოდებს დიდი პოპულარობა მოუპოვებია თანამედროვე შეკითხველ საზოგადოებაში, ვინაიდან ისინი დიდ გავლენას ახდენენ შემდეგი დროის ლიტერატურულ შემოქმედებაზე. საყურადღებოა, რომ ამ გავლენას განიცდიან არა მარტო წმინდა ლიტერატურული ნაწარმოების ავტორები, არამედ მემატიანეცი. ასე, მაგალითად, თამარ დედოფლის მატიანე¹, რომელიც დამთავრებულია 1222 წლის მახლობლად², განიცდის ჩახრუხაძის ოდების უცილობელ გავლენას. ის აღფრთოვანებული კილო, რომლითაც მემატიანე აგვიწერს თამარსა და მის საქმიანობას, თამარის პიროვნების ის იდეალიზაცია, რომელსაც მატიანეში ვპოულობთ, გადმოტანილია ამ ოდებიდან. თამარ ცხებული, ხოტბით, აღმსრულებელია საღმრთო მისიისა (!); მემატიანის შეხედულებითაც თამარი, «ცხებული ღმრთისა» და მჯდომი «საყდართა მათ ცამდი აღმართებულთა» (გვ. 408 — 409), მოვლინებულია ქვეყნად ღვთის ნებისა და წინასწარგანჩინების ასასრულებლად. მემატიანის ისეთი ფრაზები, როგორცაა «სამებისაგან ოთხად თანააღზავებული» (გვ. 363), «სამებისა თანა იხილვების ოთხად თამარია» (გვ. 398), შედგენილია ხოტბათა ეპიტეტების ზეგავლენით. განსაკუთრებით ოდის სიტყვები: თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირმცინარი (II, 16), პირდაპირ გადმოსულა მატიანეში შემდეგი სახით: თამარ წყნარი და ნარნარი, ცნობიერი და გონიერი» (გვ. 422), აგრეთვე — წყალ ჯავარი (V, 36) განმეორებულია მატიანეშიც (გვ. 409). თამარიანის» შემდეგი ადგილი —

რამინს უშენოდ სტკივის: უშენოდ შერებოდა ვისის ნამიჯნურევად.
უგავს შატბიერს, გულად ლახბიერს, ალათისა რად დაშვრა მოძეად, —
(V, 22 — 25)

განმეორებულია მატიანეში, სადაც ჩამოთვლილია სხვადასხვა მიჯნური თამარის სილამაზით გატაცების აღსანიშნავად: ვითარ რამინ ვისისათვის, ვითარ შადბავარ აინლითისათუს» (გვ. 414).

¹ ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 362 — 474.

² ქ. გ. გ. კელიძე, ისტორიანი და ახმანი შარავანდდთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, «რუსთაველის კრებული», მკ. 133 — 134.

თამარის ოდების მშვენება — მათს არაჩვეულებრივ მხატვრულ ფორმაშია, ლექსების მომჯადოებელ მუსიკალობაში, ულამაზეს, შეუღარებელ და ვირტუოზულ რითმათა სიმდიდრეში¹. მუხედავად ამისა, ოდების მთელი მნიშვნელობა მის შინაარსშია. ამ ოდებში ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო მეთორნეტე საუკუნის თავისებური ქართული კულტურის შესასწავლად და იმდროინდელი განათლების გასათვალისწინებლად. ოდებში შემონახულია ქართული საბელმწიფოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიისა და ფრთებმესხმული პატრიოტიზმის უდიდესი ძეგლი. ეს პატრიოტიზმი მართოპოეტის დამახასიათებელი არ არის. მთელი ეპოქა, როდესაც ცხოვრობდა ის, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და სამხედრო დიდების უმაღლეს განვითარებას წარმოადგენს². ერთი სიტყვით, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ «თამარიანი» მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია კლასიკური ხანის წყურლობაში.

რა შორსაა სინამდვილისაგან ის დახასიათება, რომელიც მიუცია ამ თხზულებისათვის ჩვენ მგოსანს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ამბობს: ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე ს ა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელი მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით დაიწყება და თითქმის ზედშესრულით თავდება. რა ვაი-ვაგლახით და კისრის მტრევეთ მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი ოცმარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსი!.. არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჰკუპ, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რაბა-რუხისაა³. ესეც დამახასიათებელია ქართველთმეტყველების დონისა მეცხრამეტე საუკუნეში: ილია ჭავჭავაძის გენიალური ვერც ვერ გადალახა რუსი მწერლის სიტყვები, წარმოთქმული მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში: «Тамариани, составляющая довольно великую книгу, соплетена почти из одних только прозваний и нарицательных имен, приписуемых Тамаре»⁴, სიტყვები, რომელიც მერე გაიმეორა ილია ჭავჭავაძის მასწავლებელმა უნივერსიტეტში, პროფ. დ. ჩუბინაშვილმა შემდეგნაირად: «Тамариани вся почти состоит из одних только прозваний и нарицательных имен, приписываемых Тамаре»⁵.

¹ ძეგლის შინაარსობლივ-მხატვრული და იდეოლოგიური მიმოხილვა მოცემულია ა. ბ. ა. შ. ა. შ. ი. ს. ნარკვევში, ნარკვევები, III, თბ., 1952 წ., გვ. 235—292.

² «Древне-грузинские одописцы...» გვ. 48 — 49. შდრ. ა. ბ. ა. შ. ი. ს. ნარკვევები, III, გვ. 246—250.

³ «თხზულებანი», ტ. III, 1953წ., გვ. 10—11

⁴ Евгений митрополит, Историческое изображение Грузии в подлитическом, церковном и учебном ее состоянии, СПб., 1802 г., стр. 87.

⁵ «Грузинская хрестоматия», ч. II, СПб., 1846 г., стр. III, прим.

2. დავით აღმაშენებლისა და თამარის ქება

(ი. წ. «აბდულუმესია»)

«ვეფხისტყაოსნის» ბიბლიოგრაფიული მინაწერი ამბობს:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
 აბდულ-მესია — შავთელსა, ლექი მას უქეს რომელსა... (1669).

ეს მინაწერი, რომელიც, უეჭველია, რალაც ძველი ლიტერატურული ტრადიციის შემცველია, აღნიშნავს, რომ შავთელს, რომელიც კარგი მელექსე ყოფილა, უქია აბდულ-მესია. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სიტყვების გაგებას შემდეგი ფაზისები გაუვლია: ზოგიერთები აბდულუმესიას თვლიდნენ ავტორის, შავთელის სახელად (პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი), მაგრამ კონტექსტით აქ თხზულების სახელი უნდა იგულისხმებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უაზრობა გამოდის: რა უქია აბდულუმესია შავთელს? სხვები კიდევ აქ მართლაც თხზულების სახელს ხედავდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რა თხზულებაა ეს აბდულუმესია? აკად. ნ. მარმა 1902 წელს წამოაყენა მოსაზრება, რომ აბდულუმესია, რა თქმა უნდა, თხზულების სახელია, და ეს თხზულება არის დავით აღმაშენებლის ხოტბა, ამდენ ხანს თამარისა და დავით სოსლანის ხოტბად ცნობილი. აბდულუმესიად წოდებულია დავით აღმაშენებელი და ამიტომ თხზულებას დარქმევია «აბდულუმესიანი»¹ (ვთქვათ, «დავითიანის» მაგიერ). ნ. მარის პიპოთეზამ ჩვენში ერთგვარი სენსაცია გამოიწვია, იმას მისაყვანი თანამოაზრე გაუჩნდა და თითქმის ბატონობაც მოიპოვა; მაგრამ ეს იყო გატაცება ახალი აზრით, რომელიც თანდათან სუსტდებოდა და ნელდებოდა.

მართლაც, შესაძლებელია თუ არა აბდულუმესიად ვიგულისხმოთ დავით აღმაშენებელი და აბდულუმესიანად ის ხოტბა, რომელიც ამდენ ხანს თამარისა და სოსლანის ხოტბად ითვლებოდა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. თვით ნ. მარი აცხადებს, რომ ჩვენმა ძველმა მწერლობამ არ იცის ისეთი თხზულება, რომელსაც აბდულუმესიაა რქმეოდეს, ანდა რომელშიაც ასეთი პირი იყოს გამოყვანილი. მაშ რა საბუთები მოჰყავს მას იმისი, რომ აბდულუმესია არის სახელწოდება დავით აღმაშენებლისა? არაბული აბდულუმესია, რომელიც ქრისტეს, მესიას, მონას ნიშნავს, მისი სიტყვით, შეშვენიის დავით აღმაშენებელს, რომელიც იყო ერთგული მონა-მოსახსახურე ქრისტესი, მისი შცნების აღმსარებელი, მისთვის მებრძოლი და ოფლის დამღვრელი, ძლევამოსილი მხედარი მესიასი და მისი ჯვრისაო. მაგრამ ეს თვისებანი შეიძლება მიეკუთვნოს არანაკლებ სხვა ქართველ მეფეს. თუ დავითი ოფლსა ღვირიდა ქრისტესთვის (71, 2), სხვა მეფეებს სისხლი დაუღვრიათ მისთვის და მოწამებრივი გვირგვინი დაუღვამთ თავზე. მაშ, რატომ განსაკუთრებით დავით აღმაშენებელს უნდა მინიჭებოდა ეს სახელწოდება?² სომხური წყაროებიდან ცნობილია, ამბობს

¹ Н. Марр, Древне-грузинские подписки, «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», IV, гл. V, 1 — 27.

² ამ მოსაზრებით თამარსაც შევიძლია აბდულუმესია ვუწოდოთ, და მართლაც, მის ფულზე ამოჭრილი იყო: «თამარ, შემდეგი მესიისა».

ნ. მარი, რომ იოანე დიაკონი სხვანაირად არ მიმართავდა დავითს, თუ არა სიტყვებით: მონა ქრისტესი. ყოველთვის შეხვედრისას, განსწავლული სომეხი დიაკონი მას მიესალმებოდა დავით წინასწარმეტყველის სიტყვით: ფაოვე დავით, მონა ჩემი, და საცხებელი წმიდა ჩემი ვსცხე მას; რამეთუ ხელი ჩემი შეეწიოს მას და მკლავებან ჩემმან განაძლიეროს იგია (ფსალ. 88, 20 — 21, ქართული ვერსიით). თუ სომეხი დიაკონი დავითს ქრისტეს მონას უწოდებდა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ქართველებმა ისტორიულად დაუმკვიდრეს მას ეს სახელი, როგორც, ასე ვთქვათ, ებითეტი, სიმბოლური გამოთქმა. თან იოანე დიაკონი საგანგებოდ ამ სახელით კი არ მიმართავდა ხოლმე დავითს, არამედ ფსალმუნის მთელი ორი მულით, რომელშიაც მისი სენა, დავით წინასწარმეტყველი, წოდებულია ღვთის და არა მესიის მონად. არავითარი სხვა ცნობა არ მოიპოვება იმის შესახებ, რომ დავითის საგანგებო, სიმბოლურ სახელს შეადგენდა აბდულმესია, მონა მესიასი. გასაგები იქნებოდა კიდევ, რომ მას შერჩენოდა სახელი ჰუსამულ-მესიჰ, ხმალი ქრისტესი, რომელიც ამოჭრილი იყო მის ფულეზე, და ამიტომ მის ხოტბას ჰუსამულ-მესიჰი დარქმეოდა, აბდულმესიანისათვისა კი, ვიმეორებთ, განსაკუთრებული საბუთი არ არსებობს. მართლაცა, ვეფუხისტყაოსნისა ბიბლიოგრაფიულ მინაწერში, რომელშიაც შენახულა ცნობა შავთელის მიერ აბდულმესიას შექების შესახებ, სამ შემთხვევაში პირდაპირ საკუთარი სახელითაა აღნიშნული ამა თუ იმ თხზულების მთავარი გმირი: ამირან დარეჯანის ძე, დილარი და ტარიელი. რაღა მხოლოდ ამ შემთხვევაში მოუნდა ამ მინაწერის ავტორს შავთელის თხზულების მთავარი გმირი მოეხსენებინა არა საკუთარი სახელით, არამედ ებითეტით, სიმბოლურ-ალეგორიულით? ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ აბდულმესია არ გულისხმობს დავით აღმაშენებელს¹ და აბდულმესიანი არა ის ხოტბა, რომელსაც წინათ თამარისა და სოსლანის ქებას ეძახდნენ; ის არც ძველადაც მიაჩნდათ აბდულმესიად: საქმე ისაა, რომ ცნობილ ფსევდორუსთველურ სტროფში ოთხ, იქ დასახელებულ, თხზულებიდან სამი თხრობითი, ეპიკური ეპარისაა — ამირანდარეჯანიანი, დილარიანი, ვეფუხისტყაოსანი, იგულისხმება, მეოთხეც (აბდულმესიაც) ასეთივე და არა ლირიკული ეპარისა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში რაღა ეს ხოტბა დაასახელა ამ სტროფის ავტორმა, რა დააშავა თამარიანიანი?

აბდულმესია არის არა ებითეტი, არა სიმბოლურ-ალეგორიული, არამედ საკუთარი სახელი აღმოსავლეთის ეკლესიისა, საიდანაც ის ჩვენშიაც შემოსულა. როგორც 1666 წლის სიგელიდან (იოსებ თბილელის სახელზე) ჩანს, აბდულმესი რქმევია ჯვარის მამის მელეტის ძმასაც², აღმოსავლეთის ეკლესიამ იცის წმიდა აბდულმესი ან აბდალმესი, რომლის ცხოვრებაა შენახულა.

¹ კატეგორიულად დარწმუნებული ამაში არც ნ. მარი უნდა იყოს, ის ამბობს: «აბდულმესია, მონა ქრისტესი, ალბათ (по всем вероятностям), არის ზედწოდება (прозвище) და არა სახელი» დავითისაო (ტ. 1 — 2). «По всем вероятностям» კიდევ არაა საბუთი.

² თ. ეო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 383 — 384.

ასურულ¹, სომხურსა² და არაბულ³ ენებზე. ეს ცხოვრება ქართულადაც ყოფილა ნათარგმნი, ის შენახულა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ XII—XIII საუკუნეების ხელნაწერში № 20⁴. ის იწყება ასე: «ფებ[ერ]ვალსა: კი: წამებაჲ წმიდისა მოწამისა აბდულმესიასი. რომელი გამოითარგმანების მონაჲ ქრისტესი: აწ ვიწ[ყ]ო დისაბამი უწყებად. წამებაჲ წმიდისა მოწამისა აბდულმესიასი, რომელი გამოითარგმანების მონაჲ ქრისტესი. ესთა მესამედ შუდელუთასა რიცხსამებრ იონთაჲსა... ამ აბდულმესიას» რამე კავშირი ხომ არ აქვს შავთელის თხზულებასთან? ხომ არ გულისხმობს აბდულმესიანიო აღნიშნულ «ცხოვრებას», რომელიც, იქნება, შავთელმა გალექსა, ისე, როგორც ამას სწადიოდნენ ალორძინების ხანაშიც, საიდანაც ჩვენ გვაქვს ლექსით დაწერილი «ცხოვრება» წმ. გიორგის, მარინესი, ეკატერინესი, ალექსისა, ქეთევან დედოფლისა და სხვ.?

ყოველ შემთხვევაში, აბდულმესიანიო არაა დავით აღმაშენებლის ხოტბა, ის რაღაც სხვა თხზულება ყოფილა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ დაკარგული თხზულების ავტორი ყოფილა იოანე შავთელი, რომელსაც მემკვიდრე იყავდა ასე ახასიათებს: იოვანე, კაცი შავთელი ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღუაწებათა შინა და ლექსთა გამომთქმელი, ანდა: «შავთელი, კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული»⁵. ეს შავთელი იყო თამარ დედოფლის თანამედროვე, ახლდა მას ბოლოსტიკის ომში, რომლის გამო დაუწერია სამადლობელი იამბიკო ლეთისმშობლისა.

ამ იოანე შავთელის «აბდულმესიაზე», რომელიც, ვაშბობთ, დაკარგული უნდა იყოს, ცნობებს გვაწვდის თეიმურაზ ბატონიშვილი ვეფხისტყაოსნის კომენტარებში (1843 წ.) და მ. ბროსესადმი მიწერილ წერილში (1833 წ.). აი, რას ამბობს ის ვეფხისტყაოსნის კომენტარებში: ამისნი გვქონან ლექსნი შესხმანი სამქებარონი თამარ მეფისანი, ხოლო გაუკეთებთეს ამას სტიხად წიგნი, აბდულ-მესია სახელსდებთეს წიგნსა მას, რომლისთვისცა იტყვიან, რომელ ფრიადისა მალლისა ხელოვნებითა ყოფილან სტინნი მისნი შეთხზულნი»⁶. ბროსესადმი მიწერილ წერილში ამბობს: «შავთელს დაუწერია ლექსად საკვირველის შეთხზვით მოთხრობა აბდულ-მესიასი ვისიმე, და ასე იტყვიან ჩვენში მომთხრობელნი, რომ იმისთანა ლექსები არაოდეს ქართულს ენაზედ

¹ J. Corluy, Acta sancti Mar Abdu'i Masich, «Analecta Bollandiana», V, 9—52; Bedjan, Acta martyrum et sanctorum, I, 172—201.

² «Vitae et passiones sanctorum selectae ex Eclogariis», Venetijs, 1874, I, 6—25 «Bibliotheca hagiographica orientalis», № 9, Bruxelias. 1910).

³ გამოცემულია P. Peeters-ის მიერ: La Passion arab. dei Abd al-Masih («Analecta Bollandiana», 1926, p. 270—342).

⁴ R. Blake, Catalogue des manuscrits Georgiens de la bibliotheque patriarcale Crecque a Jerusalem, p. 52—53 (ა. ცაგარლის კატალოგში ის უნდა იყოს № 1:6, თუ 137).

⁵ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 501.

⁶ «Описание рукописей», II, გვ. 584—585.

არ დაწერილიყოს... ჩვენ უბადრუკთ ქართველებს ის საკვირველი სტიხები შევთელისა, აბდულ-მესიას წიგნი, დაქარაგვიათ; პაპს ჩემს მეფე ერეკლეს მრავალი უძებნივბია, დიდი სურვილი ჰქონია იმისის ლექსების, მაგრამ ეს წიგნი ვეღარ უპოვნიათ. სხვა ლექსები კი არის შევთელისაგან შეთხზული, — თამარ მეფის ქება, — და რომელნიმე სხვანი დიახ ურჩეულესნია. ამ მოგვიანო დროის ტრადიციულ ცნობაში კატეგორიულადაა, როგორც ვხედავთ, ნათქვამი, რომ «აბდულმესია» სხვა თხზულება ყოფილა და «თამარის ქება» სხვა, პირველი დაქარაგულია.

თხზულება. რომელსაც შინაარსის მიხედვით, «დავითისა და თამარის ქება» უნდა ვუწოდოთ, რამდენჯერმეა, მოგვიანო დროის (XVIII — XIX სს.) ხელნაწერების მიხედვით, გამოცემული¹, თუმცა ნამდვილი, პირვანდელი სახე მისი ჯერაც არაა აღდგენილი და საკვებით გამოჩვენებული.

მთავარი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები ამ თხზულების გარშემო შემდეგია: 1) ვინ არის შექმნილი თხზულებაში, 2) ვინაა ავტორი მისი და 3) როდისაა დაწერილი ის? ამ საკითხების შესახებ სამგვარი აზრი არსებობს: ტრადიციული შეხედულებით, ხოტბის ავტორი, იოანე შავთელი, აქებს თამარ მეფესა და მის მეუღლეს დავით სოსლანს. 1902 წელს ნ. მარმა წამოაყენა მოსაზრება, რომ ხოტბაში შექმნილია არა ორი პირი, არამედ ერთი, დავით აღმაშენებელი, და მეხოტბე არის არა თამარის, არამედ დავით აღმაშენებლის თანამედროვე იოანე შავთელი². ს. კაკაბაძე 1911 წელს ფიქრობდა, რომ ხოტბა დაწერილია 1360 წელს³, 1913 წლის გამოცემაში კი ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს თხზულება არის შესხმა გიორგი ლაშას შვილის დავით ულარის და დაწერილია ვილად დავით მწირის მიერ 1268 — 1270 წლებში, როდესაც ამ დავით მეფის შემკვიდრედ მისი შვილი დიმიტრი ითვლებოდა⁴ 1927 წელს ის აცხადებს, რომ ხოტბა დაწერილია 1155 წელს დავით მესამის (დიმიტრის შვილის) სადიდებლად⁵.

აზრების ასეთი სხვადასხვაობა აიხსნება იმით, რომ წამოყენებულ საკითხთა გადასაწყვეტად, ხოტბის ტექსტის გარდა, არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, ტექსტი კი პირვანდელი სახით ჩვენამდე არ შენახულა, ამიტომ თითოეული მკვლევარი და გამომკვამელი მას თავისი საკუთარი, სუბიექტური თვალსაზრისით უდგება, რის გამო თავისებურად კითხულობს და განმარტავს თხზულების ამა თუ იმ ადგილს.

¹ აი ეს გამოცემანი: პ. იოსელიანის (1838), დ. ჩუბინაშვილის (1863), ხ. კვიციანიძის (1883), ნ. მარის (1902), ს. კაკაბაძის ორი (1913 და 1937), მ. ჯანაშვილის ორი (1920 და 1922) და ს. ყუბანეიშვილის («ქრესტომათია», II, გვ. 198 — 209). არის შ. ნუცუბიძის რუსული თარგმანი («Архивъ-Мещанъ», 1942 г.). ამ თარგმანის შესახებ იხ. რეცენზია: ა. ბარამიძე, აბდულ-მესიანის რუსული თარგმანის გამო, «ლიტერატურული ძიებანი», I, გვ. 257 — 274.

² ამ მოსაზრებას დღეს მთლიანად იხიარებს პ. ინგოროყვა (რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო შემკვიდრება, «რუსთაველის კრებული», გვ. 53 — 55).

³ «სახალხო გახეთია», 1911 წ., მაისის 13.

⁴ «ქებანი დავით მეფისა დავით მწირის მიერ», 1913 წ.

⁵ იხ. მისი გამოცემა «ვეფხისტყაოსნისა», 1927 წ., გვ. XIV — L.

ამ შეხედულებებიდან საცხებით სიმართლეს არც ერთი არ შეესაბამება. დაეიწყეთ ს. კაკაბაძის თეორიებიდან, რომლის შესახებ ბევრი არაფერი გვეთქმის. ჯერ ერთი, იმ ადგილების ს. კაკაბაძისებური წაითხვა ან გაგება, რომელზედაც ის ამყარებს თავის შეხედულებას ავტორის სახელის (1₂) და ლაშა გიორგის შვილის, დავით მეფის, შესახებ (55₁, 66₁), საეჭვო და საცილობელია. მეორე: მართალია, ქებაში ნახმარი ეპითეტების უმეტესი ნაწილი ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ზოგიერთი მთვანის მკვეთრ უცილობელ ინდივიდუალობას და ხოტბის საერთო სულსა და ღედაზრს, მისი მიკუთვნება ლაშა გიორგის შვილის დავითისათვის იმდენად საბუთიანი იქნება, რამდენადაც მეჩვიდმეტე საუკუნის მეფის არჩილისათვის, როგორც ამას სჩადის იაკობ ღუმბაძე შემოკმედელი¹. მით უმეტეს შეუძლებელია ხოტბის ობიექტად ვცნოთ დავით მესამე, რომელიც რაღაც ნახევარწელიწადს მეფობდა, არაფერი ქების ღირსი არ გაუკეთებია და თუ რითიმე ვიცნობთ მას, მხოლოდ ძალადობით, რომელიც მამაზე იხმარა, და დიდებულთა ამოწყვეტით. ს. კაკაბაძის მოსაზრებანი აიხსნება იმით, რომ ია ხოტბას სდებდა «ვეფხისტყაოსნის» წინ, ამიტომ იმას იმ დროს აკუთვნებდა ხოლმე, რომელსაც აღნიშნულ პოემას. თავის უკანასკნელ გამოცემაში ის საკუთარ შეხედულებებს აღარ იცავს და საკითხს ღიად სტოვებს.

ნ. მარის თეორიით, ამ ხოტბაში შემკობილია მხოლოდ ერთი პირი—დავით აღმაშენებელი, და დაწერილია ის მისი და არა თამარ მეფის თანამედროვის იოანე შავთელის მიერ. ეს ასე არ უნდა იყოს: ხოტბაში შემკობილია არა ერთი, არამედ ორი პირი: მართლაც, ავტორი ქების საგანს მიმართავს თქვენობით (1₁, 27₁, 54₁, 62₁₋₂, 94₁, 99₁₋₂, 101₁, 106₁, 107₁), თუმცა ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში *pluralis majestatis* არის ნახმარი, ვინაიდან შესაფერისი ზნა იქვე მხოლოდით რიცხვშია, მაგრამ პირველი ტაეპის პირველ მუხლში და უკანასკნელის მეორეში. რომელთაგან პირველი თხზულების ზოგადი შესავალია, ხოლო მეორე — დასასრული, ყოველ ექვს გარეშე ორი პირი იგულისხმება. აქ რომ ორი პირია შექებული და არა ერთი, დავით აღმაშენებელი, ჩანს იქიდან, რომ: 1) ქების საგანი სიცოცხლეშივეა გაღმერთებული. მას მეხოტბე უკვე წმინდანად პირაქს (9₁, 41₁, 45₁₋₂, 68₁, 72₁₋₂, 94₁, 95₁₋₂, 105₁) და სამოთხეში ხედავს. დავით აღმაშენებელს თანამედროვენი სიცოცხლეში წმინდანად არ თვლიდნენ და არ აღმერთებდნენ, დავითის კულტი მისი გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა²; 2) ერთი სტროფიდან (105₁) ჩანს, რომ მეხოტბის დროს გელათი უკვე საზოგადოდ მიჩნეული მეფეთა საკრძალავი ყოფილა, ხოლო ეს არ შეიძლება დავით აღმაშენებლის დროს ყოფილიყო, რადგან მაშინ გელათის დიდი ტაძარი დამთავრებული არ იყო და გელათიც

¹ S 1511, გვ. 94 — 114; A 656.

² თუ მართალია ს. ბარათაშვილის ცნობა, რომ დავითმა თბილისის აღების პირველსავე დღეს 500 მამადიანი ჩამოახრჩო ქალაქში,—გუშინოდეთ და მეკრძალოდეთო («История Грузии», т. IV, გვ. 20; ნ. ურბნელი გაზ. «ივერია», 1888 წ., № 46), ამის მოწმენი მას სიცოცხლეში ჯერ გაღმერთებდნენ.

მეფეთა საკრძალავად არ ითვლებოდა¹; 3) ხოტბის გმირი იმორჩილებს შავი ზღვისაიენ ლი მონას, ხარკს ადებს მას, ვინც არის ჯიმშედს მფლობელი» (33₁, 36₁), მას ხალიფასავან ახალი ფასი მრავლად მოერთმის თავთა მონებადა (16₄), მას თან ახლავს დროშა «დავითიანი» (31₁). ყოველივე ეს დავით აღმაშენებლის მეფობაში ანაქრონიზმია².

ამნაირად, პოეტი შეამკობს არა ერთ პირს, დავით აღმაშენებელს, არამედ ორს. ამათგან ერთი უეჭველად დედაკაცი, ქალი, უნდა იყოს. მართლაც, პოეტი ალაგ-ალაგ ისეთ ეპითეტებს ხმარობს, რომ ყოვლად შეუძლებელია მამაკაცი ვიგულისხმოთ ამისთანა შემთხვევაში. მაგალითად, «ნარგიზ-ლაეროტი, ია მაკროტია (8₄), მზისადმი წამწამთა, ვით ლახვარის, მსროლელი (67₄) და სხვ. რა თქმა უნდა. იმის წინააღმდეგ, რომ აქ ქალიცაა გამოყვანილი, ვერაფერს ამბობს, როგორც ნ. მარსა ჰგონია (გვ. 9), სიტყვა ძმ, რომლითაც აღნიშნულია შექებული პირი (3₁, 47₁), ვინაიდან ძმ-ს უწოდებს ქართული ძეგლები ქალსაც. მაგალითად, მემბტიანე ამბობს: «გიორგის ძისა თამარისათვის», «რუსულან, ძე თამარ მეფეთ-მეფისა», «ძენი თამარისნი გიორგი და, რუსულანა»³; «ამირანდარეჯანიანში» ზღვათა მეფე ეუბნება თავის ქალს: «მეილომე არა მივის შენგან კიდე სხვა ძე»⁴; «ვეფხისტყაოსნით» როსტევეანს ესხვა ძე არ ესეა, მართ ოდენ მარტო ასულია. არც ისაა მართალი, თითქოს შექებული პირი ერთხელაც არ ირის ასულად წოდებული (ნ. მარსა, გვ. 9), პოეტი პირდაპირ ამბობს: «მენე ხარ ასული მჭერეტელთა სულია»⁵.

ამნაირად, მეხოტბე ამკობს ორ გვირგვინოსანს: კაცსა და ქალს. ნუთუ მართლდება ტრადიციული შეხედულება, რომ აქ შემკობილია თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სასლანი? დედაკაცად რომ აქ თამარ მეფე იგულისხმება, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა: 1) სიწმინდე, უბრწუნელობა, ანგელოზთა მდგასეობა, სილაშავე-სიკეკლუცე, სინაზე და სხვა ქალური ეპითეტები, რომელიც ნაწარმოებში ბლომადაა მიმობნეული, მხოლოდ თამარს შეეფენის, რამდენადაც მას ჩვენ ვიცნობთ მისი მატიანიდან; 2) იღუმალაი ქველი საქმე, რომლის შესახებ პოეტი გვამცნობს. (22₄), თამარის განსაკუთრებული თვისება იყო; 3) ხოტბის გეოგრაფია (33₁, 36₁, 60₁₋₃) სწორედ თამარის მეფობით მართლდება; 4) სიტყვები — «კაცთა მკოდვისა და მამკოდვისა, შეიწრებისა არ მომთმინოსა» (59₁), პარალელს პოულობს თამარ მეფის დახასიათებაში: «ვიდრემდის ამისსა განგებასა ოცდათერთმეტსა წელიწადსა შინა არცა თუ ტაჯგენავაი უბრძანა ვისდამე დაკრავად, კიდემქონებელი ყოვლისავე მესისხლეობისა

¹ ს. კაკაბაძე, კებანი დავით მეფისა, გვ. II — III.

² სიტყვებს—თვით სულ იმონა კიდე, ლიმონა», ნ. მარსა, არ უჩვენებს რატომ, კითხულობს ასე: «თვით სული მონა, კიდელი მონა» (33₁). «ლაზია, ტრაპიზონი, ლი მონა და სამი-სონი» დაპყრობილ იქნა ქართველების მიერ 1204 წ. (ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 507, შენ; «ქართლის ცხოვრება», I, გვ. 325).

³ «ქართლის ცხოვრება», I, გვ. 306, 338, 349.

⁴ ხ. ბიჭინაძის გამოცემა, გვ. 22.

⁵ A 656, სტრ. 9. ნ. მარსა ამ ადგილს, არ ვიცით რატომ, ასე კითხულობს: «მხნე ხარ ასური, მჭერეტთა დასური».

და ბნელობლობისა და ასოთა მიმღეობისაჲ¹. სიტყვები — შენ ხარ მამა ობოლთა, მსაჯული ქერიეთა (63), მიუთითებს სწორედ თამარს, რომელსაც შემატანენ ათქმევინებს: შენ ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქერიეთა², აგრეთვე — საშავის ნეტარი (47), არის „თამარ სამგზის სანატრელი შემატანენისი“³; 5) ოღაში რომ თამარიცაა შექებული, ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: არიან მხეცნი... მისთვის შერდომით (10). იგულისხმება თამარის მიერ აღზრდილი ლომი, რომელიც მას, მატინით, შირვანიდან მოუყვანეს საჩუქრად. აგრეთვე: ქვეყნის მნათენი, მოკამათენი, ბაზიყად გექმნეს, სურვილით რეცა (58); აქ ბაზიყა-დ იგულისხმება იოსებზილიხანიანის გმირი ქალი ბაზიყა, რომელსაც იოსების ტრფობის ალი სწვადა. არაგის ბაზიყასებრი მიჯნურობა (იოსები-სადმი) არ გამოუჩინია არც დავით აღმაშენებლის, არც მისი შვილიშვილის დავით მესამის, არც დავით სოსლანის, არც მისი შვილიშვილის დავით მეოთხის მიმართ, ხოლო თამარისათვის რომ შრავალნი ქვეყნის მნათენია — მეფე და მეფისწულები, მოკამათენი, ესე ოვი ერთმანეთის მოცილენი, გიედებოდნენ, როგორც ბაზიყა იოსებისათვის, და ერთი მისი მოტრფიალე მეფისწულთაგანი, უცხო ქვეყნით მოსული, აღესრულა კიდევაც მიჯნურობის სეფდისაგან ნიქოზში, როგორც ბაზიყა მოკვდა ეგვიპტეში, იამანეთით მოსული, ეს კარგად ცნობილია ისტორიაში⁴.

მეორე პირი და ხოტბის საგანი არის მეფე-მამაკაცი, მაგრამ არა თამარის მეუღლე დავით სოსლანი. მართალია, პოეტი ზოგადი შტრიხებითა და ეპითეტებით ამკობს თავის გმირს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დავით სოსლანი არ შეგვიძლია დავსახოთ ისეთ დიდებულ და სახელოვან მეფედ, რომელიც პოეტს მხედველობაში ჰყავს. ჯერ ერთი, დავით სოსლანი იმდენად იყო მეფე, რამდენადაც ის თამარ მეფის ქმარი იყო, მეტი არაფერი, ხოლო ხოტბის მეფე არის «ცხებული ან ზნეთცხებული (2₁, 6), ჭვირგვინოსან-პორფიროსან-სკიპტრა-მპყრობელი (41₁), ქვეყნის მპყრობელი (4₁) და თვითმპყრობელი (28₁). ამგვარი მეფე დავით სოსლანი არასოდეს არ ყოფილა⁵. თან ხოტბა გულისხმობს იესიან მეფეს, დავით სოსლანი კი წოდებულია არა იესიანად, არამედ ეფრემიანად, მაგალითად, «თამარიანში» (VII, 21; IX, 10; X, 25; XI, 21; XIII, 31), თუგინდ მატინეში, სადაც ნათქვამია: იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანიასა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოგსნი⁶.

¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 412 (შესწორებული სახით).

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 312.

³ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 363.

⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 417.

⁵ მართალია, ხოტბა იმითმამა ხოტბა, რომ იმაში ჰიპერბოლასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ჰიპერბოლასთან და არა ისეთი რაშეს უეთხვა-მოგონებასთან, რასაც სინამდვილეში აღვლით არა აქვს; მეხოტბეს შეეძლო გაეზვიადებინა დავით სოსლანის პიროვნება, ის თვისება, რაც მას გარკვეული მასშტაბით ახასიათებდა, გაეხერა-გაედიდებინა, მაგრამ არ შეეძლო მიეწერა მისთვის ის, რაც მას სულაც არ ჰქონდა.

⁶ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 430; ქართლის ცხოვრება, ერთი მომონტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში, ერთეულები, I, გვ. 312 — 318.

ეს მეფე არის დავით აღმაშენებელი. მართლაც, მეხოტბეს რომ დავით აღმაშენებელი ჰყავს სახეში, ეს საკმაოდ ნათელჰყო აკად. ნ. მარმა (ის ცდება მხოლოდ იმაში, რომ დავითის გარდა სხვას ვერ ამჩნევს ოდაში), ჩვენ მის არგუმენტებს აქ აღარ გავიშვორებთ, ჩვენის მხრივ დაფუძნატებთ შემდეგს: პოეტი ამბობს: ალვის ხე ტანი, მსგავსად შემტანი აქვს კოწოლ-დაყრით კვიპაროზისა (49₂); ამასვე იმეორებს დავით აღმაშენებელი თავის «სინანულის გალობაში»: «მეგვტური გულმძიმობა... კოწოლი თმათაჲ და სხუანი... უწარმდებესად მოვიგეო»¹. პოეტის სიტყვები — უწყის ყოველნი ნამნი და წელნი, შეყინვა ნივთთა ცით მომგვრგვლებულთა (69₂), პარალელს პოულობს იმავე «გალობაში», რომელშიც დავითი ამბობს: ზენაჲს მოძრაობისა ასურასტანელი ზმნობაჲ და ცთომილთა ვარსკულავთა და უცთომელთა კრებაჲ, განყრაჲ, სუე და ზედი და შობის დღე, ვითარცა საღმრთოთა უსმენელმან, ვიქტურენო»². პოეტის სიტყვები — «შემუსრავს ბაალს, მოლოქს და ქამალს, ასტარტის კერპსა საძაგელთასა» (28₄), უნდა იყოს მეხოტბის ანტითეზა, ამოღებული იმავე «გალობიდან», რომელშიც დავითი ამბობს: «თაყუანის ვეც ანგაპარებისა მამონას, ვითარ იგი ძუელთა მათ ბაალს და ასტარტეს და ქამალს საძაგელსა»³.

ასე და ამნაირად, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პოეტი ხოტბაში შეანკობს ან აქებს ორ გვირგვინოსანს: დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს. ეს საკვირველიც არაა, პოეტი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო, თუ სახეში გვექნება მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა და თანამედროვეობის შეგნება. პოეტი მოხიბლულია, პირდაპირ მოჯადოებულია, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიური და ზნეობრივი სურათით, მას თვალწინ ეხატება ძლიერი, განათლებული და გაღალღებული საქარსტიანო სახელმწიფო, რომელიც შიშის ზარსა სცემს აზრის ბარბაროსებს მას უნებლიეთ აღეძვრის კითხვა: ვინაა მიზეზი, ვინ შექმნა ასეთი საქართველო? რა თქმა უნდა, არა მარტო თამარ მეფემ, არამედ დავით აღმაშენებელმაც. თამარი უდავითოდ წარმოუდგენელია, დავითი არის ალფა მომხიბლელი საქართველოსი, ხოლო თამარი — ომეგა, მათ ორთავეს თანაბარი ღვაწლი მიუძღვის მის შექმნაში, წარმატებასა და განდიდებაში. ამიტომ ის განუყრელად შეაქებს ორივეს, მისი ჩანგი პოეტური აღრეულობით გადმოგვცემს მის გულში ორივე გვირგვინოსნის მიერ აღძრულ გრძნობებს, რომელნიც უშუალოდ ცვლიან ერთიმეორეს: ზოგ სტროფში დავითია შესხმული, ზოგში თამარი, ზოგში კიდევ ორივე ერთად. თუ მხედველობაში გვექნება პოეტის ასეთი მიზანდასახულება, აღარ გვექნება საბუთი ვთქვათ: თამარისადმი მიძღვნილ ოდაში გვერდს ვერ აუვლიდნენ მის ქმარს. «თქვენებრ სურვილი შეუღლობისა» (62 სტროფი) არ გულისხმობს უეჭველად ორ პირს — ცოლქმარს; «იქვენებრ» არის ჩვეულებრივი ოდაში თამარისადმი მიმართული pluralis majestatis. იქნებ ვისმეს ეუცხოოს და პარადოქსად მოეჩვენოს, რომ პოეტი, ცოცხალთან ერთად, აქებს დიდი ხნის გარდაცვალებულ

¹ თ. ქორდანია, კოლექციები, II, გვ. 104.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 105.

გვირგვინოსანს; მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია: პოეტი, როგორც დავინახავთ, საეკლესიო ტრადიციების მატარებელია, ეკლესიაში კი მიღებული იყო, რომ ამა თუ იმ წმინდანს, სულიერ გმირს, ქებასა და ენკომიებს შეუთხზავდნენ ხოლმე სიკვდილის შემდეგ, ხშირად მთელი საუკუნეების შემდეგაც.

ვინ არის ხოტბის ავტორი? ს. კაკაბაძის ერთხელ წამოყენებული ჰიმოთეზით, ქების ავტორი არის ვილაც დავით მწიერი, მეცამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მოღვაწე, ხოლო პ. ინგოროყვას შემთხვევით გამოთქმული აზრით — ვილაც დავით შავთელი¹. უეჭველია, პოეტის სახელი დავითი მათ გამოჰყავთ ხოტბის ერთი ადგილის თავისებურად წაკითხვიდან, სახელდობრ: მწაღს აქ ებანი დავითის, დავით ვსჯდე მუსიკობად (I, 2).

აქ თითქოს პირდაპირაა ნათქვამი: თუ მექნება დავით (წინასწარმეტყველის) ებანი, მე, დავითი, დავეჯდები მუსიკობად, ესე იგი ვიწყებ გალობას, ქებას. მაგრამ ასეთი წაკითხვა ნათელ აზრს არ იძლევა, ამიტომ ეს ადგილი ასე უნდა იქნეს წაკითხულ:

მწაღს აქ ებანი,
და, ვით ის დავით,
ვსჯდე მუსიკობად.

ეს ნიშნავს: მე მწაღს ებანი (მუსიკალური ინსტრუმენტი) და თუ ის მექნება მე, ვით ის დავითა, ან როგორც ის დავითი, იგულისხმება წინასწარმეტყველი, რომელიც ებანზე მღეროდა თავის ფსალმუნებს, დავეჯდები და ვიწყებ მუსიკობას, ან ქებასო. ამ შემთხვევაში უკვე აღარსად ჩანს პოეტის სახელი დავითი. შ. მაჭავარიანი კატეგორიული ტონით აცხადებს, რომ ცნობილი ადგილი წაკითხული უნდა იქნეს ტრადიციულად: «მწაღს აქ ებანი დავითის, დავით ვსჯდე მუსიკობად, და თხზულების ავტორად უნდა მიჩნეულ იქნეს ვილაც დავითიო. დავითის ავტორობა მას ამოუკითხავს თამარ დედოფლის მეორე ისტორიაში, სადაც ნათქვამია: აპირი მისი (თამარის) პირველივე იქო დავითის მიერ თქმითა, რათა ლიტანიობით თაყუანს სცემდნენ მეფენი და მთავარნი და მეძღუნებოდნენ ნათესავნი»². ისტორიკოსი პირდაპირ წერსო, ამბობს ის, რომ თამარის მშენება პირველად უქია ვინმე დავითს, ხოლო ქება ძველი ქართულით პოეტურ ხოტბა-შესხმას ნიშნავსო³. ავტორმა არ იცის, რომ სიტყვა «პირველივე» ნიშნავს ამ შემთხვევაში არა «პირველად», არამედ «ძველად», რომ ისტორიკოსი აქ ლაპარაკობს არა ვილაც დავით პოეტზე, არამედ დავით წინასწარმეტყველზე და რომ მისი ზემოამოწერილი სიტყვები ამოკრებილია დავითის ფსალმუნებიდან: «გულმან უთქუას მეუფესა სიკეთისა შენისათჳს... პიოსა შენსა ლიტანიობდნენ მდიდარნი ერისანი» (ფსალ. 44, 11 — 12), «მეფეთა ძღუენი შეწირონ მისა, მეფეთა ძღუენი მიართვან მას და თაყუანის სცემდნენ მას ყოველნი მეფენი ქუეყანისანი» (ფსალ. 71, 10 — 11). ის მკვლევარნი, რომელნიც ამ თხზულებაში «აბდულმესიას» ხედავენ, მის ავტორად იოანე შავთელს აღიარებენ. მართალია, ეს თხზულება, როგორც

¹ იურნ. «კავკასიონი», 1924 წ., № 1—2, გვ. 291, შენ. 2; «რუსთაველის კრებული», გვ. 74.

² ი. ჯავახიშვილის გამოც., გვ. 324.

³ ვახ. «ლიტერატურა და ხელოვნება», 1950 წ., № 31.

ვთქვით, არაა აბდულმესიაა, მაგრამ ავტორი მისი მაინც იოანე შავთელია. საქმე ისაა, რომ ტრადიცია, რომელიც წერილობით დადასტურებულია თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ 1843 წელს, აღნიშნავს რა იოანე შავთელის თხზულების აბდულმესიას დაკარგვის ფაქტს, ხაზს უსვამს შემდეგ ლიტერატურულ ცნობას: ამისნი გვექონან ლექსნი შესხმანი სამკებრონი თამარ მეფისანი (ფეფხისტყაოსნის) კომენტარებში), ანდა: აბდულმესიაა ფელარ უპოვანიათ, სხვა ლექსებში კი არის შავთელისაგან შეთხზული — თამარ მეფის ქება (ბროსესადმი მიწერილი წერილი)¹. იმავე ტრადიციით, იოანე შავთელი იყო მდივან-მწიგნობარი დიდისა მეფისა თამარისი... შემდგომად მდივან-მწიგნობარი ესე შემოიზნებულა, გელათის მონასტერში შესულა, იქ უცხოვრია და მუნ აღსრულებულა. ესე ქართველთა პიტიკოსთა შორის მაღალი გმირი არს, აქუსთ შეთხზულთა მისთა სტიხთა მაღალი ფრასი, რიფმანი, სხვადასხვაგვარად სათარგმანებნი, ტკბილი ღარმონიკი, აზრითა შესაბამიერთა სავსე, მშვენიერებითა ლექსებისათა უხვად აღსავსე, ურჩეულესითა თხზულებითა შემკობილ და საქებელ². იოანე შავთელს ნ. მარო, მიუხედავად იმისა, რომ «ქართლის ცხოვრებაში» ის თამარ დედოფლის თანამედროვედაა გამოყვანილი, დავით აღმაშენებლის თანამედროვედ თვლის³ და ამ შემთხვევაში ის ეყრდნობა ზ. ჭიქინაძის ცნობას რამდენიმე იოანე შავთელის არსებობის შესახებ⁴, რომელიც შემდეგ თვით ზ. ჭიქინაძის მიერ უარყოფილია⁵.

ჩვენ ვფიქრობთ, საკმაო საბუთები ვუჩვენეთ იმისა, რომ ხოტბაში შექმბულია თანარ მეფეც, მაშასადამე, ავტორი მისი, იოანე შავთელი, არ შეიძლება იყოს დავითის თანამედროვე, ის თამარის დროის მოღვაწეა და თხზულებაც მის დროს დაუწერია. გასარკვევია მხოლოდ როდის, რომელ წლებში? ხოტბის შინაარსი შესაძლებლობას გვაძლევს გავარკვიოთ როგორც ეს საკითხი, ისე ავტორის მსოფლმხედველობა.

ამ ხოტბაში ნათლად ჩანს ავტორის ორმაგი განათლება: საერო და სასულიერო. იდეურად და ფორმით საერო ხასიათის ნაწარმოები, სულითა და დამუშავებით სასულიერო ელფერის თხზულებაა. სასულიერო ელემენტს ჩვენ უმთავრესად ვგრძნობთ არა თემის დამუშავებაში, არამედ ენაში: შედარებანი ავტორს მოჰყავს ძველი აღთქმიდან და აზრებს გამოსთქვამს ბიბლიის სიტყვებით⁶. ის ნაკითხია როგორც ძველ ბერძნულ ისტორიულ, ფილოსოფიურსა და მხატვრულ მწერლობაში, ისე აღმოსავლურ, სპარსულ-არაბულში, მაგრამ არანაკლებ მცოდნეა ის, ბიბლიის გარდა, საეკლესიო-სასულიერო მწერლობისაც, რომლითაც უხვად სარგებლობს თავის ნაწარმოებში. საკიროდ ვთვლით დავასახელოთ მისი წყაროები.

¹ „Описание рукописей“, II, გვ. 585; S 4797, გვ. 21.

² „Описание рукописей“, II, გვ. 585.

³ „Древне-грузинские одописцы“, გვ. 28, ზენ. 2.

⁴ იხ. მისი „ქართული მწერლობა მეორეხეტი საუკუნეში“, 1897 წ., გვ. 14.

⁵ Н. Марр, Древне-грузинские одописцы, გვ. 16 — 17.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ავტორს ციტატები და პარალელები მოჰყავს დავით აღმაშენებლის ძინანულის გალობათაგან. ამას გარდა, ავტორს გამოუყენებია ერთი აპოკრიფი, რომელსაც ეწოდება თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა¹ ფერემისი, თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და აღამისათჳსა². აქედან, როგორც ნ. მარიც შენიშნავს³, ამოღებულია ცნობა ან დ ბ ა ნ მოგვის შესახებ. პოეტი ამბობს:

ანდებან მოვმან, გრძნებითა მბოგმან, მისნობით ხელყო ხაკით ზღაპრობა,
ეშმაქს ევედრა, სული შევედრა, მით ექმნა სრულად მათთან საგრობა.

(79₁₋₂).

ეს პოეტური გადმოცემა აღნიშნული აპოკრიფის შემდეგი ადგილისა: ნებროთმა იუნიტან გრძნეულისაგან ისწავლა წიგნი სიბრძნისა, რომლითაც ის ყველას აკვირებდა. ფითარცა იხილა ესე ანდებან მღვდელმან, რომელი ჰმსახურებდა ცეცხლსა, ევედრებოდა იგი ეშმაკთა, რომელნი გამოეცხადებოდეს ცეცხლსა მას შინა, რათა ასწაონ მას სიბრძნე იგი ნებროთისა. ეშმაკმა მართლა ასწავლა მას ყველა ის, რაც ნებროთმა ისწავლა იუნიტან გრძნეულისაგან და რომლითაც ის აკვირებდა ყველას. ამის შემდეგ ანდებან იწყო ვარსკულავთრიცხუად და გრძნებად და ბედის თხრობად და მისნობად და ზღაპრობად და კარი ყოვლისა ბილწებისად ისწავა, და ესე ჯელოვნებად ეშმაკისად არსა⁴. ამას გარდა, ამ აპოკრიფიდანვე⁵ უნდა ჰქონდეს მას ამოღებული ცნობა ნებროთ გმირის შესახებაც (46₃, 91₃₋₄), თუმცა ამ შემთხვევაში ის უფრო დამოკიდებულია მემატიანეზე. ნებროთის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს, რომ მან განიზრახა ველზე აშენება მაღალი გოდლისა, რათა აღვიდეს და იხილნეს მყოფნი ცისანი; მაგრამ, როდესაც მან გაწვლო საზღვარი ჰაერისა და შევიდა საზღვართა ვარსკულავთასა, საიდანაც იწყებოდა ჯელოწიფება ცეცხლისა, იძულებული იქნა შეჩერებულიყო, და ესმა მუნით საზრახავი შჯდთა გუნდთა ზეცისათა და იქმნა ყოველი თუთო კაცი ნათესავითურთ მეტყუელ თუთო ენასა... და დაუტევნა ჰინდურად მზრახველნი ინდოეთს, სინდნი სინდეთს, ჰრომნი ჰრომს, ბერძენნი საბერძნეთს, აგ და მაგუგ მაგუგეთს, სპარსნი სპარსეთს; ხოლო პირველი ენა ასურებრი იყო, და ესე არიან შჯდნი ენანი, რომელნი ნებროთისადმე ზრახვიდეს⁶. ყველაფერი ეს გადმოუცია პოეტს შემდეგ ტაეებში:

როს ენა შედი, მათთვის დამშვიდი, საზრახელ იყო სულთა ცოველთა:
ასურთა, ჰინდთა, რომთა და სინდთა, ბერძენთა, სპარსთა, გოგ-მაგოგულთა,
მაშინლა ნებროთ კვით სამისებროთ გოდოლი ჯელოწიფებად ველთა.

(91₃₋₄).

იქ, სადაც პოეტი ჩამოგვითვლის ძველი და ახალი აღთქმის მწველ-ბელთ, რომელთაც მისი ხოტბის გმირი პირს დაუყოფს (84 — 85), ის იმეო-

¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 786—816.

² „Древне-грузинские апокрифы“, გვ. VI.

³ A 153, გვ. 140 — 143.

⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 812, 813, 835.

⁵ იქვე, გვ. 140 — 141.

რებს, განსაკუთრებით პირველ ნაწილში, ერთ საეკლესიო ნაწარმოებს, რომელსაც ეწოდება ფელოზანი მწველებელთა ყოველთა თვთულისა წვალებისა შეჩუენებისანი და რომელსაც ჰგალობდნენ ეკლესიაში ფანქიქებისა მათისათჳს პირველსა კვირიაყესა წმიდათა მარხვათასა¹. აი, პარალელურად ეს ადგილები:

ხ ო ტ ბ ა :

შვიდ წვალებითა შეცალებითა იყვენს ძველთაგან შობის დღის მზმელნი, სადღუკველნი, ფარისეველნი, მცნებათა სჯულსა არ კმაქყოფელნი, წერილთ მომპოენნი, თვისით მომგონნი, სხვანი დღითი-დღე ნათლისმღებელნი, ნახარვევლნი, ხუთოსინელნი მისგან შეიქმნეს პირდაყოფილნი.

(84₁-4)

ბ ა ლ ო ბ ა ნ ი :

შუდ წვალებანი იყენეს ძველთაგან: პირველ — მწიგნობართა, სჯულმცნებათა არა კმაყოფელნი, სხუთაცა რათმე უწერელად მომპოენნი; და ფარისეველნი, შობისა დღისა მზმელნი: სამ — სადღუკველნი, აღდგომისა და სულთა და ანგელოზთა უარისყოფელნი; სხუანი დღითი-დღე ნათლისმღებელნი; ხუთ — ოსინელნი, არმჯერნი წინასწარმეტყუელთანი; მეექვსედ — ნახარვევლნი, ქორციის მკამელთა მძაგნი და წინასწარმეტყუელთა არ შემწყნარებელნი; შუდ — ჰეროდიანნი, ჰეროდეს ქრისტედ შეუცუელნი².

ამის შემდეგ ორივე ძველში ჩამოთვლილია, ახალი აღთქმის მწველებელნი: ხოტბაში — მაკედონიოსი, საბელიოსი, მანი, სამუსატელი და მომფსვეტელი (85), რომელნიც საგალობელშიცა იხსენიებიან სხვებთან ერთად. ეს საგალობლები შედგენილია ეპიფანე კვიპრელის თხზულების «*Ἀνακτακλασειδα*»³ მიხედვით, რომელიც ქართულად უთარგმნია თეოფილე ხუცესმონაზონს მეთორმეტე საუკუნის პირველ მეხუთედში⁴. შედგენილია ისინი, შეგვიძლია ვიფიქროთ, ქართველ მამათა მიერ, არა უადრეს, არის საბუთი, 1172 წლისა⁵. პოეტს ხელთა ჰქონია არა ეპიფანეს თხზულება თეოფილეს თარგმანში, არამედ თვით საგალობელნი, რაც, სხვათა შორის, იქიდან ჩანს, რომ ძველი აღთქმის მწველებელთაგან საგალობლებში მეხუთე ადგილას ყოფილან ოსინელნი: «ხუთ — ოსინელნი» (ეს იგი მეხუთედ — ოსინელნი), რაც შემდეგ დროის გადამწერთათვის, გაუგებრობის გამო, შეერთებულა და ქცეულა ხუთ ოსინელად (№ 85); ხუთოსინელად გადმოუღია ისინი ჩვენ პოეტსაც⁶,

მესამე წყარო, რომლითაც უსარგებლნია მეხოტბეს, არის «სიტყუად გრიგოლ ღმრთისმეტყუელისაჲ ივლიანეს მიმართ განდგომილისა განმაქიქებელი პირველთა, რომელიც გადმოუღია დავით ტბელს. აქ ჩვენ ვკითხულობთ: ფარნა მითხარლა, შენი არსა ელენობა? ანუ არა ფინიკელთანი არია-

¹ A 85, ფურც. 347 — 350.

² A 85, ფურც. 347.

³ *Migne, Patrol. Gr., t. 42, col. 837.*

⁴ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 226.

⁵ 1103 წლის ხელნაწერში, რომლიდანაც მომდინარეობს ხელნაწ. A 85-ის მსგავსი ფელათის ხელნაწერი № 22, მეცამეტე საუკუნისა, ეს საგალობლები არ ყოფილა.

⁶ ასევე კითხულობს მას ნ. მარცი (გვ. 103, 84).

ნა წერილნი, და ვითარ ვიეთნიმე იტყუან მეგუპტელთანი, გინა თუ უბრძნესთაღა მათთა ებრაელთანი?¹ ამ სიტყვებზე აუშენებია პოეტს შემდეგი მუხლი:

ვთქვა ფინიკელნი,
არ აფრიკელნი,
მათ ქმნეს წერილთა
მოგონებანი. (78.)

მეორე მისი მუხლი:

პირველ წერანი
და აწერანი
პალამიდისგან
მოაოვებულ არს (102,)—

დამყარებულია იმავე ნაწარმოების შემდეგ სიტყვებზე: არამეთუ საცნაურ არს, პალამიდი, მომპოვნებელი იგი ამათი, იებოსელი იყო, რომელმან მრავალნი სახენი მოიპოვნა და აღძრნა ამას ზედა მოშურნენი, რომელთა ჰშურდა სიბრძნე იგი მისთა².

ყველა ჩამოთვლილი წყარო ეკლესიური ხასიათისაა. ჩვენ პოეტს უსარგებლნია აგრეთვე საისტორიო თხზულებებითაც. პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ დავით აღმაშენებლის ისტორია, რომელიც დამთავრებულია, როგორც ვიცით, 1126 წელს. მართლაც, პოეტის სიტყვები: მოსიმახოსა — მოსიმახოსა მახვილი თქვენი მტერთა მწყობელი» (36,) დაწერილი უნდა იყოს ამ ისტორიის ზეგავლენით, რომელშიც ვკითხულობთ: მოსიმახოს ვინმე ითქუმის ებრაელი მოისრობისა და კეთილმმართველობისათჳს. ასეთია ის ლიტერატურული წყაროები, რომლითაც პოეტს უსარგებლნია. ზოგიერთი მათგანის მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოეტი არაა დავით აღმაშენებლის თანამედროვე.

პოეტი ამბობს: «თვით სულ იმონა კიდე, ლიმონა» (33,) — აქ იგულისხმება თამარის მიერ შავი ზღვის სამხრეთი კიდის ან ნაპირის, კერძოდ ლიმონას, დაპყრობა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. 1204 წელს³.

სხვა ადგილას პოეტი ამბობს: «ა, ხალიფასი ახალი ფასი მრავლად მორთმის თავთა მონებად» (16,) ამ სიტყვებში ჩვენ გვაქვს გამომახილი მემატეიანის შემდეგი. თქმულებისა: «დაშრტა სასოგება მუსულმანთა და ყოვლითურთ ულონონი ღონეპყოფდეს, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობის მოყუარე თამარ. ამისთჳს კუალად წარვიდეს ხალიფასა და შესახვეწელთა სიტყუათა მოაქსენებდეს, რათა ევედროს თამარს აღებად ხარკისა ოდენ, მახვილი მსრველი დააყენოს და ჯაჰვი შემკერელი, რომელი ესე ყო ხალიფამან და წარმოავლინა მოციქული ორგზის ამის პირისთჳს, და დიდნი მრავალფერნი

¹ A 292, ფ. 198.

² A 292, ფ. 198; თუმცა, შეიძლება, ის გიორგი ამარტოლის «ხრონოგრაფის» ქართული თარგმანიდან (ქ. კეკელიძე, ტიპოგრაფი, I, გვ. 263) ანდა «ქლინთა ზღაპრბანის» კომენტარებიდან («ენიკმის მოამბე», X, გვ. 5—6) მომდინარეობდეს.

³ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 507, შენიშვნა.

სამეფონი ძღვენი უცხონი წარმოგზავნა და დიდითა სიმდაბლითა შემოეხვეწა თამარს, რათა აილოს ხარკი და დააცადოს რბევა. ისმინა თამარ ამისი ვედრება და ესრეთ მისცა პასუხი: „აღმისრულებიეს თხოვნა შენი და რომელთაცა ინებონ მშჯღობა თავთა თუსთა და მოილონ ხარკი წინაშე ჩემსა, ამათლა მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება ვედრებისათჳს შენისა, რომელი ესე ესრეთ იქმნა“¹. ამ შემთხვევაში იგულისხმება ქ. კარის აღების მომდევნო ამბები, რომელსაც ადგილი ჰქონდათ 1206 წლის დამდეგს.

დასასრულ, ერთ ადგილას ხოტბაში ნათქვამია: ხარკე ისარი! ხარკეისარი, სიმდიდრით ლალი ჯიმშედ მფლობელია (36_კ), ესე იგი „მოიხმარე ისარი, შენ ხარ კეისარი, სიმდიდრით ლალი ჯიმშედ მფლობელი“. პოეტს შეეძლო ეწოდებინა თამარისათვის კეისარი, რადგანაც 1204 წელს მან დააარსა ტრაპიზონის იმპერია, შეეძლო მას თამარისათვის ეწოდებინა ჯიმშედ მფლობელი, რადგანაც 1210 წელს ის გახდა სპარსეთის სამეფოს დიდი ნაწილის მფლობელი². მაშასადამე, 1210 წელი არის *terminus ante non* პოემის დაწერისა. ვინაიდან ხოტბა დაწერილია თამარის სიცოცხლეში, თავისთავად ცხადია, 1215 წელს, როდესაც თამარი გარდაიცვალა, იმისი დაწერა ვერ გადასცილდებოდა, ესე იგი 1215 წელი არის *terminus post non* მისი დაწერისა. ამრიგად, ხოტბა დაწერილია 1210—1215 წლებში.

როგორც იდეის მხრივ, ისე ფორმითაც, ეს ხოტბა ახლოს დგას ჩახრუხადის «თამარიანთან». ჩახრუხადისა და ამ ხოტბის ავტორის მსოფლმხედველობა ერთი და იგივეა: ქართული სახელმწიფოებრიობის ღვათებრივი; წარმოშობა, ძველი და ახალი აღთქმის ისტორიის შესიანიზში, რომელსაც მიზნად ჰქონდა თამარისა და მისი ბრწყინვალე ეპოქის მომზადება, ეთეროვანი დედოფლის გაღმერთება და სხვა ამგვარი მოტივები, ერთნაირად გვევსმის ორივე ხოტბაში. დაწერილია ჩვენი ხოტბა იმავე ოცმარცვლიანი, ჩამოყალიბებული, სურათოვანი, მაჯამებით გაშვებებული ლექსით, როგორითაც ჩახრუხადის თამარიანი³. განსხვავება «თამარიანისა» და ამ ხოტბის საზომს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ამ ხოტბაში თითოეულ ოთხტაეპოვან სტროფს თავისი საკუთარი რითმა აქვს, «თამარიანში» კი საკუთარი რითმა აქვს არა

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318; მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 496, შენ. 12.

² კ. კეკელიძე, კონსტანტინე პლდულმესიანის ზოგიერთი ტაეპისა, ლიტერატურული ძიებანი, III, გვ. 364—366; მ. ი. ი. ვე, ეტიუდები, IV, გვ. 59—61.

³ ოცმარცვლიანი ლექსი საზოგადოდ საკმაოდ ძველ მოველენად ჩანს ჩვენი, საქმე ისაა, რომ ამ ლექსის ერთი სახე, რომელმაც შინაგანი რითმა არ იცის და რომელსაც ფისტიკაურო იწოდება, გამოყენებული ყოფილა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში, არაუგვიანეს მეშვიდე-მერვე საუკუნეებთან, პროკოპე კესარიელის წამების თარგმნისას; აქ ილიადას ერთი ტაეპი (B 205—206) გადმოღებულია ასე: არა კეთილ არს მრავალუფლებაა, ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფე» (კ. კეკელიძე, კიმენი, II, გვ. 113, სტრ. 31—33). XI საუკუნეში ეფრემ მცირეს ამ საზომით გადმოუღია ერთი ადგილი შრომიდან: თბრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოდ ბულნი. ეს ადგილი, რომელიც ილიადადან უნდა იყოს ამოღებული (Z 506), ასე იკითხება ქართულად: «ამიჲ ვისიჲმ დგომამ ცხენისაჲ სასმენელ იქმნა ბაგათა ხელა» (ა. შანიძე, ფისტიკაურის ისტორიისათვის, ლიტერატურული ძიებანი, II, გვ. 5—13).

ოთხტაეპოვან სტროფს, არამედ თითოეულ ცალკეულ ოდას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი სტროფია მასში. ნათესაობა ამ ორ ნაწარმოებს შორის, იდეური და ფორმალური, აიხსნება იმით, რომ ჩახრუხაძე და შავთელი არიან მწერლები ერთი და იმავე ღროისა და წარმომადგენელი ერთი და იმავე ლიტერატურული სკოლისა. მათი «ქებანი» მდიდარ და უძვირფასეს რეალებს იძლევიან XII საუკუნის საქართველოს ცხოვრების გასათვალისწინებლად.



იოანე ბატონიშვილი

ბანუოფილება მისამე

საისტორიო მწერლობა

კლასიკური პერიოდიდან ჩვენ გვაქვს არა მარტო განხილული თხზულებები, არამედ საკმაოდ მდიდარი და მნიშვნელოვანი საისტორიო ჟანრის ძეგლები, რომლებშიაც ასახულია იმდროინდელი საქართველოს მიღწევები პოლიტიკურსა და კულტურულ სარბიელზე. ეს მოთხრობითი ჟანრის თხზულებები ფორმით წარმოადგენენ ამ ეპოქის ალტყინებულ ოდას, ნამდვილ ხოტბას და მხატვრული პროზის დარგში გადადიან. ჩვენ არ გვექნებოდა სრული წარმოდგენა კლასიკური პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე, თუ ასეთ თხზულებებსაც არ განვიხილავდით. ისინი, როგორც საისტორიო ძეგლები, უკვე შესწავლილი არიან (ი. ჯავახიშვილის მიერ), ჩვენ მათ ვიხილავთ უპირატესად როგორც ლიტერატურულ ძეგლებს.

წმიდა საისტორიო ხასიათის თხზულება, ორიგინალური თუ ნათარგმნი, პირველი პერიოდიდან ჩვენამდე არ შენახულა. ეს აიხსნება იმით, რომ ამ პერიოდში ქართველების ისტორიულ ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებდა ის მდიდარი აგიოგრაფიული მწერლობა, ორიგინალური და ნათარგმნი, რომელიც წარმოადგენს საკუთრივ საისტორიო მწერლობის ერთ-ერთ დარგს და რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წმიდა საისტორიო მწერლობას. ცნობილია, რომ აგიოგრაფიულ ძეგლებში, რომელნიც წმიდათა ცხოვრება-მარტვილობას შეიცავენ, ავტორებს ისეთი დეტალები და ცნობები დაუტოვებიათ, რაც ნათივ ქრონისტებსა და მემატიანეთ უყურადღებოდ რჩებოდათ ხოლმე.

მდგომარეობა ამ მიმართულებით შესამჩნევად შეიცვალა მეორე პერიოდიდან, როდესაც ჩვენში, გარკვეული პირობების გამო, ლიტერატურასთან ერთად უაღრესად განვითარდა ყოველი დარგი მეცნიერებისა, კერძოდ საისტორიო მწერლობაც. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ძლიერი ფეოდალური მონარქია, რომელმაც მოწინავე ადგილი დაიკავა წინააზიის სახელმწიფოთა შორის. ამასთან დაკავშირებით ქართველთა შორის გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნება, რომელიც უფრო სრულ გამოხატულებას პოულობს საისტორიო მწერლობაში. ამან გამოიწვია ეროვნული ისტორიოგრაფიის განვითარება.

თუ ზოგადად გადავავლებთ თვალს ამ პერიოდის ქართულ საისტორიო მწერლობას, ორი გარემოება მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას. პირველი: ეს მწერლობა, როგორც ვთქვით, პანეგირიკის („აზმა“) ხასიათს ატარებს, ამიტომ იმაში მომქმედი პირები ძალზე იდეალიზირებულად და გაზვიადებულად გამოიყურებიან. ეს აიხსნება ეროვნული სიამაყის გრძნობით, რაც გამოწვეული და გაძლიერებულია ამ პერიოდში მოპოვებული წარმატებით ცხოვრების ყოველ დარგში. მეორე: ეს მწერლობა ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც ჩვენ დღე ვუყენებთ ნამდვილ ისტორიას. ი. ბ. სტალინის სიტყვით, „ისტორიულ მეცნიერებას, თუ მას სურს იყოს ნამდვილი მეცნიერება, ალარ შეუძლია საზოგადოებრივი განვითარების ისტორია მეფეთა და მხედართმთავართა მოქმედებამდე, სახელმწიფოების „დამპყრობელთა“ და „დამპროჩილებელთა“ მოქმედებამდე დაიყვანოს, არამედ უწინარეს ყოვლისა, მან ხელი უნდა მოჰკიდოს მატერიალური დოკუმენტის მწარმოებლების ისტორიას, მშრომელი მასების ისტორიას, ხალხთა ისტორიას“¹.

ი. კავკავაძე გულისტკივილით ამბობდა: „ჩვენი ისტორია მართლმობისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს... საქმე ხალხია, ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“. ყველაფერი ეს მართალია და სავალალოც, მაგრამ, უნდა მოვიგონოთ, რომ საშუალო საუკუნეებში ისტორიოგრაფია ყველგან ობიექტის ამგვარი ხასიათისა იყო. სამაგიეროდ, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ამ მემკვიდრეობის შრომები არ ჩამოუვარდებიან იმდროინდელ სხვა ერთა ისტორიკოსებსა და ქრონისტებს, რომელთა ნაშრომები ლიტერატურის ისტორიაშიც შეაქვთ ხოლმე. გადავდივართ ამ შრომების, უფრო მნიშვნელოვანის, მიმოხილვაზე.

¹ საკუშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1949 წ., გვ. 150.

1. „ბაბრამიონთა სხოვარება“ სუბაგ ლავითისძისა

სუბაგ ლავითისძე ერთ-ერთი იმ ისტორიკოსთაგანია, რომელნიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას, ვბნაიდან ამ დინასტიას თელიდნენ ისინი ქვეყნის პოლიტიკური ძლიერებისა და ეროვნული აღორძინების მთავარ მიზეზად. სუბაგს მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში დაუწერია საგანგებო ისტორია ბაგრატიონებისა, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება ბაგრატიონთა“¹. მისი მიზანია გაგვიჩვენოს: ვინ არიან ბაგრატიონები, საიდან და როდის მოვიდნენ საქართველოში. საქართველოს სუბმატი თელის ქრისტეს სარწმუნოების მთავარ წარმომადგენლად წინააზიაში და მაჰმადიანურ გარემოცვაში მისთვის მებრძოლად; ამიტომ, იმ მიზნით, რომ ქრისტე ხორციელად დაანათესაოს ბაგრატიონებთან, უყოყმანოდ იმეორებს ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნიდან ცნობილ ლეგენდას მათი წარმოშობის შესახებ ებრაელთა მეფის დავით წინასწარმეტყველისაგან, რომელიც „ქრისტეს მამად“ ითვლებოდა საქრისტიანოში. ის იძლევა გრძელ გენეალოგიურ, ბიბლიიდან ნასესხებ, ნუსხას, რომელიც ვითომდა ამ ნათესაობას ადასტურებს, და ბაგრატიონები მოჰყავს საქართველოში მეექვსე საუკუნეში. მათ სახელთან ის აკავშირებს ჩვენი ქვეყნის მთელს მოძღვენო ისტორიას ბაგრატ მეოთხის მეფობის პირველ ნახევრამდე. დიდი პატრიოტი ბაგრატიონების დროის საქართველოსი, სუბმატი უარყოფითადაა განწყობილი აზნაურებისადმი, რომელნიც ხელს უშლიდნენ ბაგრატიონთა სააღმშენებლო საქმიანობას. ასეთი მისი განწყობილება ნათლად ჩანს შემდეგ სიტყვებში: „დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგანო“, „ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი“ მხარს არ უქერდნენ მეფესო. სამაგიეროდ არ მალავს ბერძნების ვითომდა კეთილმეზობლურს ურთიერთობას ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებ-

¹ გამოცემულია ე. თაყაიშვილისა (სამი ისტორიული ზრონიკა, თბ., 1890 წ., გვ. 41—79; ქართლის ცხოვრება, მარიაშ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 336—361; მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1949 წ., ნაკვეთი 27) და ს. ყაუხჩიშვილის მიერ (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955 წ., გვ. 372—386). არსებობს მისი რუსული თარგმანიც: Источники грузинских летописей. Три хроники, СМОМПК, XXVIII, Т., 1900 г., стр. 117—182. ლიტერატურა: ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945 წ., გვ. 192—194.

თან, როდესაც აშოტ კურაპალატის შესახებ ამბობს: „განამტკიცა ღმერთმან ველმწიფებანი მისი ნებითა ბერძენთა მეფისაითაო“. როგორც ლიტერატურული ძეგლი, თხზულება მეტად მშრალი და ერთფეროვანია. ის წარმოადგენს ბაგრატიონთა გვიანის პირთა სახელების წესხას, მათი დაბადების, ერისთავად თუ მიყვად გახდომისა და გარდაცვალების წლები აღნიშნავს. მხატვრული სახეებისა და პოეტური გაფორმების ნიშნულებს აქ ჩვენ ვერ ვიპოვნით, ასეთი ნიშნულები არცაა მოსალოდნელი ისეთს მატინისებურ თხზულებაში, როგორიცაა სუმბატის შრომა.

2. «მეუთა მხოვრება» ან «მეუთა ამბავი» ლეონტი მროველის

ქართული ისტორიოგრაფია განვითარების გზაზე დგება განსაკუთრებით მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ახლა ჩვენში დაბადებულია მოთხოვნილება გააშუქებულ იქნეს ისტორიულად ჩვენი წარსული არა გარკვეული რომელიმე მომენტიდან, როგორც ამას მიზნად ისახავს, მაგალითად, სუმბატ დავითისძე (VI საუკუნიდან), არამედ უძველესი პრეისტორიული ხანიდან. ასეთია მიზანი იმ ისტორიკოსისა, რომელსაც ლეონტი მროველის სახელით ვიცნობთ.

ლეონტი მროველი, როგორც ამ წიგნის პირველ ტომშია გარკვეული, არის მწერალი მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. ლეონტის ყველაზე მნიშვნელოვანი შრომა არის „მეფეთა ცხოვრება“ ან „ჰამბავი მეფეთა“, რომლის სრული სახელწოდებაა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“¹. ეს არის საკმაოდ ვრცელი ნაწარმოები, რომელშიაც წარმოდგენილია ქართველების ისტორია, თუ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმაროთ, წარღვნის შემდეგ კაცობრიობის მომრავლებიდან ქრისტეს მოსვლამდე და ქრისტედან მეექვსე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, როდესაც ჩვენში სპარსელებმა გააუქმეს მეფობის („პირველთა მეფეთა“) ინსტიტუტი. სწორი არ არის, როგორც შემდეგი ისტორიკოსის განხილვიდან დავინახავთ, შეხედულება, თითქოს ლეონტის საისტორიო შრომა მოყვანილი იყოს მხოლოდ ვახტანგ გორგასალის მეფობამდე, ვახტანგიდან კი არჩილის წამებამდე—ის სხვა ისტორიკოსს ეკუთვნის. თუ შეხედულებაში გვიქნება გიგმა ლეონტისა, რომელსაც განუზარხავს დაეწერა პირველთა მეფეთა ცხოვრება,

¹ გამოცემულია ე. თაყაიშვილისა (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 1—55, 109—190) და ს. ყაუხჩიშვილის (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 1—138) მიერ (აქაც და შემდეგაც ციტირებულია მარიამისეული ნუსხა). ლიტერატურა: ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 171—184; კ. ქიქელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“, III, გვ. 27—56; მისივე, ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია, ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923 წ., № 4, გვ. 17—47; მისივე, ეტიუდები, IV, გვ. 187—201; მისივე, „ნინოს ცხოვრების“ მატინისეული რედაქციის ავტორი, ეტიუდები, II, გვ. 269—280; პ. ინგოროვიჩი, ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი მეგრე საუკუნისა, ენიქის მოამბე, X, გვ. 93—152.

ვახტანგის ისტორიაც უქველად მის შრომაში უნდა მოვათავსოთ. ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზიც მისი შრომისა ამას გვიკარნახებს. ვახტანგის ცხოვრებაც იმავე ზღაპრული, სადეგმირო სულითაა გამსჭვალული, როგორითაც ლეონტის უცილობელი შრომა. ორივე ამ ნაწილში მოთხრობას ერთნაირი ხასიათი აქვს, ენაც მათი თავიდან ბოლომდე ერთგვარია; აქ ჩვენ გვხვდება ერთი და იგივე აზრები, ერთი და იგივე სტერეოტიპული წინადადებანი და ფრაზები, ერთი და იგივე სურათები და სახეები; ამასვე გვიკარნახებს ერთობა ლიტერატურული წყაროებისა ორივე ნაწილში და მათი ერთი და იმავე მეთოდით გამოყენება. მართალია, ვახტანგის „ცხოვრება“ ცალკე სათაურითაა გამოყოფილი, მაგრამ ცალკე თავები და სათაურები გვაქვს ლეონტის უცილობელ შრომაშიაც, მაგალითად „ცხოვრება მირიანისა“ (გვ. 48) და სხვ.

ლეონტის შრომის მთავარი მიზანი ყოფილა „პირველთა მამათა და მეფეთა“ ცხოვრების დასურათება, ესე იგი, საქართველოს ისტორიის წარმოდგენა იმ ხანაში, როდესაც ჩვენს ქვეყანას განაგებდნენ ჯერ მამანი (მამასახლისები), შემდეგ კი მეფენი, ან უძველეს დროიდან ქრისტეს შემდეგ მეექვსე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე. ასეთი შრომის დაწერას ითხოვდა ის დრო და წრე, რომელშიაც ლეონტი ცხოვრობდა. ეს იყო ბაგრატ IV-ის დრო; ამ დროს ქართულ საისტორიო მწერლობაში მხოლოდ ერთი შრომა იყო — სუმბატ დავითისძისა. ამ შრომაში, როგორც ვთქვით, საქართველოს ისტორია წარმოდგენილია მეექვსე საუკუნიდან, ბაგრატიონთა დამკვიდრებიდან ჩვენში, ბაგრატ მეოთხემდე; რას წარმოვადგენდით ჩვენ წინათ, ამაზე ის პასუხს არ იძლევა. მაგრამ მზარდი ეროვნული თვითშეგნება პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აყვავების გზაზე დამდგარი ქართველებისა დაფინებით მოითხოვდა ისტორიულ გააზრებას ჩვენი წარსულის უძველესი ხანისას, რომელიც არა მარტო ბაგრატიონთა ეპოქას უსწრებდა წინ, არამედ ჩვენს წელთაღრიცხვასაც.

ამით აიხსნება სწორედ წარმოშობა ლეონტის შრომისა, ღირებულება მისი და ხასიათი იმ წყაროებისა, რომელნიც მას გამოუყენებია ამ შემთხვევაში.

მეორე მიზანი ლეონტის საისტორიო შრომისა არის მოძებნა ქართველებისათვის გარკვეული ადგილისა კაცობრიობის ოჯახში. საშუალო საუკუნეთა ქრისტიანი ისტორიკოსები თავიანთი ქვეყნის ისტორიას ჩვეულებრივ იწყებდნენ იმის გარკვევით, თუ წარღვნის შემდეგ ნოეს რომელი შვილისაგან წარმოიშვა შესაფერისი ხალხი, ასე მოქცეულა ლეონტიც: მას ქართველები გამოჰყავს ნოეს შვილის იაფეტისაგან თანახმად იმ ტრადიციისა, რომლის გამოხმაურებას ჩვენ ვპოულობთ იპოლიტე რომაელის ქრონიკასა (235—236 წწ). და მის სომხურ თარგმანში (VII ს.). ამით ის თავის ხალხს გვერდში უყენებს იმ კულტურულ ხალხებს, რომელთაც საწყისი იაფეტისაგან მოჰქონდათ.

მესამე მიზანი ლეონტისა არის გარკვევა იმისა, თუ რა ურთიერთობა არსებობს კავკასიაში მოზინადრე ხალხთა შორის. ეს საკითხიც მას ზემონაჩვენები ტრადიციის თანახმად აქვს გადაწყვეტილი. ამ ხალხებს ის აღიარებს

არა მარტო ერთი წინაპრის, იაფეტისაგან, არამედ ერთი მამის—თარგამოსისაგან, წარმოშობილად: ამათ ყოველთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოსიოა.

მეოთხე მიზანი ლეონტისა მდგომარეობს იმაში, რომ გვიჩვენოს საიდან და როგორ წარმოიშვა ქართული ენა. მისი შეხედულებით, ქართველები არსებობდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული ენა არ იყო. მათი ენა, ვიდრე ნაბუქოდონოსორი იერუსალიმს აიღებდა, სომხური იყო, მერე კი, როდესაც ჩვენში მრავალი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, ხალხი დაბინავდა, მოხდა აღრევა ამ ენებისა და ამის შედეგად წარმოიშვა ქართული. ეს გულუბრყვილო, მეცნიერულ სიზუსტეს მოკლებული, შეხედულება იმდენადაა საყურადღებო, რამდენადაც ქართველების თავდაპირველ ენად სომხურს აღიარებს; ეს დაკავშირებულია ლეონტის არმენოფილურ შეხედულებასთან, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

თავისი საისტორიო შრომის დაწერისას ლეონტის რაიმე წყაროებით უნდა ესარგებლნა, აბა თვითონ ხომ ვერ მოიგონებდა ისტორიულ ამბებსა და ფაქტებს. ეს წყაროები სამგვარია: სპარსული, ბერძნული და ქართული. უცხო წყაროების გამოყენება აუცილებელი იყო ლეონტისათვის, რადგანაც საქართველოს ისტორიას ის წარმოგვიდგენს არა იზოლირებულად, არამედ მსოფლიო ისტორიასთან ურთიერთობაში.

სპარსულ წყაროთაგან ლეონტის ხელთა კქონია ეგრეთ წოდებულ სპარსთა ცხოვრება, რომელსაც ის თვითონ ასახელებს (გვ. 10, 11). ამ წიგნით მას უსარგებლნია სპარსთა მიერ ქართლის დაპყრობისა და მათ წინააღმდეგ სომეხ-ქართველთა ბრძოლის აღწერისას, დაწყებული სიტყვებიდან: „მიერიოთგან განძლიერდეს სპარსნი მზისა აღმოსავლითგან, ნათესავნი ნებროთისნი, ვიდრე აღექსანდრე მაკედონელის შემოსვლამდე ჩვენში (გვ. 9—13). თუ მხედველობაში მივიღებთ აქ მოხსენებულ სახელებს: აფრიდონ, ბევრასფ, იარედ, ქეკაპოს, ფარაშოროტი, შიოშ ბედნიერი, ქაიხოსრო, ვაშტაშაბ, სპანდიატ რვალი, ბაჰამან და სხვ., დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპარსთა ცხოვრება არის, თუ ფირდოუსის შაჰნამე არა, რომლის დაწერა 1010 წელს დასრულდა, ყოველ შემთხვევაში, მისი პირდაპირი წყარო, ეგრეთ წოდებული ხოდაე-ნამე, რომელიც შეიცავს სპარსეთის ლეგენდურ-გმირულ ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან ხოსრო მეორის მეფობამდე და რომელიც მერევე საუკუნეში ფალაურტიდან არაბულად გადაუთარგმნია აბდულა-ინბენ-მუსაფას.

ბერძნული წყაროები უფრო მეტადაა გამოყენებული ლეონტის შრომაში. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ IV—V საუკ. ბიზანტიელი ისტორიკოსები, რომელთა შრომას ის ბერძენთა ცხოვრებას ეძახის. ამ ისტორიკოსებიდან (ეგსევი კესარიელი, სოკრატი, სოზომენი და თეოდორიტი) ლეონტის ამოულია ცნობა კონსტანტინე კეისრის მიერ ნათლისღებისა და წარძღვანებითა ჯუარისაჲთა მტერთა ზედა ძლევისა (გვ. 54), აგრეთვე იობიანე იმპერატორის გამეფების შესახებ სპარსეთში ლაშქრობისას (გვ. 139, 143—144, 151).

მეორე ბერძნული წყარო ლეონტისა არის ცხოვრება გიორგი ამასტრიდელისა (IX ს.)¹, რომლის საფუძველზე მას შეუდგენია თხრობა პონტოესა და ქ. ანძიანძორის სპარსთა ლაშქრისაგან დახსნის შესახებ ვახტანგ გორგასალის მიერ, გრიგოლ ნაზიანზელისა და მისი მოწაფეებისაგან მხილების შემდეგ (გვ. 138, 142—150).

მესამე ბერძნული წყაროა წიგნი ნებროთისა, ან მოკლედ ნებროთიანი, რომლიდანაც ლეონტის საკმაოდ ვრცელი ციტატი მოაქვს ვახტანგის ცხოვრებაშიც (გვ. 122—123). ნებროთის წიგნი, არის ფსევდოფერემის სახელით ცნობილი აპოკრიფი თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის.

მეოთხე ბერძნული წყარო ლეონტისა არის ფსევდოკალისტენის პოპულარული რომანი ალექსანდრია. ესე ალექსანდრეო, ამბობს ლეონტის მკვედონელის შესახებ, გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა რქვან მკვედონი, ძე ნიკტანებისი, მეგუპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა (გვ. 13—14). ამ წიგნიდან უნდა იყოს შემოტანილი ჩვენს მატიანეში, საზოგადოდ, ცნობა ალექსანდრე მკვედონელის ჩვენში ყოფნის შესახებ და, კერძოდ, დახასიათება წარმართობის დროის ქართველებისა, რომელნიც თითქოს ნათესაობას არ სცნობდნენ, მკვედრებს არ მარხავდნენ და ამასთან ერთად ყოველგვარ სიბინძურესა სკამდნენ (გვ. 3, 14).

მეხუთე ბერძნული წყარო ლეონტისა არის ერთი აპოკრიფულ ესქატოლოგიური თხზულება, რომელიც მეთოდი პატრელის ან ოლიმპელის (III—IV სს.) სახელს ატარებს: „მოთხრობა უცთომელი სუფიქისათვის ნათესავთა და უკანასკნელთა ეამთათვის“. აქედან ამოღებული უნდა იყოს ცნობა სარკინელთა შესახებ, რომელთაც კლდე გახვრიტეს და ისე დააღწიეს თავი ალექსანდრე მკვედონელის ალყასო (გვ. 14—15).

მეექვსე ბერძნული წყარო ლეონტისა არის მოქცევაჲ სომეხთაჲ ან აგათანგელოსის სახელით ცნობილი ისტორია, საიდანაც ამოღებულია: ა) დასაწყისი მეოთხე თავისა: ქართლსა შესვლაჲ სპარსთაჲ და მეფობაჲ მირიანისა, სიტყვებამდე: „მაშინ, ვითარცა დაიპყრა სომხითი სპარსთა მეფემან და შემოვიდა ქართლად“ (გვ. 44—47) და ბ) მოკლე აღწერილობა თრდატ მეფის გოლიათობისა, მის მიერ გუთთა დამარცხებისა და მათი მეფის ხელის შეპყრობისა (გვ. 52—53). ამ წყაროს ჩვენ ვუწოდებთ ბერძნულს და არა სომხურს იმიტომ, რომ აგათანგელოსით ლეონტი სარგებლობს არა სომხურ, არამედ ბერძნულ ენაზე. ამ შემთხვევაში მას გამოუყენებია არა ის რედაქცია, რომელიც ქართულ ენაზედაც არის თარგმნილი 1081 წელს², არამედ სხვა, რომელიც უფრო უახლოვდება ვრცელ აგათანგელოსს.

¹ Acta Sanctorum, Febr. III, 278 sqq.

² ლ. მელიქიძე-ბეგი, ცხოვრება გრიგოლ პართელისა, თბილისი, 1920 წ.

ჩვენს ისტორიკოსს უსარგებლნია მოსე ხორენელის საისტორიო შრომითაც, საქმე ისაა, რომ ლეონტის შრომასა და მოსე ხორენელის ისტორიას შორის ერთგვარი მსგავსება შეინიშნება. თითქოს ხორენელს მიუყვია ლეონტისათვის როგორც ვეგმა მისი საისტორიო შრომისა, ისე რამდენადმე შინაარსი და ზოგიერთი დეტალი. აქედანაა შეტანილი სურათი თარგამოსიანთა შეტაკებისა ნებროთ გმირთან (გვ. 3—5), საზღვრები, რომელთაც ლეონტი უჩენს ჰაოსის სამფლობელოს, მისი მბრძანებლობა კავკასიაში მობინადრე ტომების მამათმთავრებზე და სომხური ენის ბატონობა მთელ კავკასიაში, კერძოდ, ქართლოსიანთა შორისაც, ერთი სიტყვით, სომეხთა პრიორიტეტისა და უპირატესობის იდეა, რომლითაც გამსჭვალულია პირველი ნაწილი ჩვენი მატიანისა¹. ვინაიდან მეფერთმეტე საუკუნეში, როდესაც სომეხ-ქართველთა პოლიტიკურ-ეროვნული და კულტურულ-ლიტერატურული დამოკიდებულება და ურთიერთობა მეტად გამწვავებული იყო, ამგვარი არმენოფილური ტენდენციები ლეონტისა ძალიან აფიქრებდა მკვლევარებს, მაგრამ გაუგებარი აქ არაფერია, თუ შემდეგ გარემოებას გავითვალისწინებთ. ლეონტი ბიბლიურად მოაზროვნე ისტორიკოსია, მისი ისტორიული კონცეფცია ბიბლიურია, ამიტომაც, რომ მას თავისი შრომისათვის წინ წაუძმძღვარებია ფსევდო-ეფრემის აპოკრიფი დაბადებისათვის ცისა და ქუეყნისა და ადამისათვის... და ცუადლება ნათესავთა. ბიბლიაში, როგორც ვიცით, ხაზგასმულია უფროსი შვილის ძირმშობითა ურყევი და გარდუვლი პრეროგატივა და უფლებანი. როდესაც ისააკმა აკურთხა, როგორც პირმშო, თავისი შვილი იაკობი. უთხრა მას: *გმონებდენ შენ თესლები, და თაყვანისგემდენ შენ ძენი მამისა შენისანი* (შესაქ. XXVII, 29). ამის შემდეგ მეორე თავის შვილს ისაევ ისააკი ეუბნება: *ფინაფთვან უფალ შენდა ვყავ იგი (იაკობი) და ყოველნი ძმანი მისნი ვყვენ მონა მისა, ამიტომ ძმბასა შენსა მონებდეთ* (შესაქ. XXVII, 37—40). თარგამოსის შვილებში უფროსია ჰაოსი, სომეხების ეპონიმი, ამიტომ ლეონტიმ იმაზე გაავრცელა მთლიანად ის უპირატესობა, რაც მინიჭებული აქვს პირმშოს ბიბლიის ზემო-ამოწერილი სიტყვებით².

ქართულ წყაროთაგან ლეონტის ხელთ ჰქონია, პირველ ყოვლისა, ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილი მოკტევეა და ქართლისა და. აქედან მას ამოუღია, ცოტა ცვლილებითა და განსხვავებით, მეფეების მშრალი ნუსხა, რომელსაც ხორცად შეასხა სხვადასხვა ლეგენდურ-აპოკრიფული და სადევგმირო ნაწარმოებებიდან ამოღებული მასალები³.

¹ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, «თბილ. უნივ. მო-აზნე», III, გვ. 52—53. უეჭველია მას ხელთ ეკნებოდა ქართული წარმომოხის სხვა წყაროებიც, რომელთა კვალი არ შემონახულა და დღეს საძიებელია.

² К. Кекелидзе, Идея братства закавказских народов по генеалогической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გვ. 102).

³ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, «თბილ. უნივ. მო-აზნე», III, გვ. 52—53.

ქართულ წყაროთაგან ლეონტი მროველი თავის შრომაში იყენებს აგრეთვე ზოგიერთ აგიოგრაფიულ ნაწარმოებს. ასეთია: წამება რაყდენ პირველმოწამისა (გვ. 179—180), ცხოვრება იოანე ზედაზნელისა მოწაფეებითურთ, არსენ კათალიკოსის მიერ (X ს.) შედგენილი (გვ. 178—188), და მარტილოზა შუშანიკ დედოფლისა (გვ. 188). აღნიშნულ პირთა ღვაწლს ის მხოლოდ მოკლედ და ვაკვრით აღნიშნავს, ვრცელი ციტატები მათი ცხოვრებიდან და წამებიდან მას არ მოჰყავს, პირიქით, გაურბის კიდევაც ამას. მაგალითად, შუშანიკის ღვაწლთა შესახებ ამბობს, რომ მათ, სიგრიძისა გამომ, ჩემს შრომაში ვერ შემოვიტანო (გვ. 188).

როდესაც ლეონტი მროველის ისტორიას ვკითხულობთ, უნებლიეთ ჩვენს ყურადღებას იპყრობს უამრავი ზღაპრული, სადევეგმირო, გოლიათ-ბუმბერაზთა შესახებ თქმულებანი, რომელთაც ამდენი ადგილი უკავია მის შრომაში (როგორც პირველ ნაწილში, ისე ვახტანგის ცხოვრებაშიც). ეს თქმულებები ძალიან გვაგონებს ამირანდარეჯანიანის შინაარსს. დეტალები ლეგენდარული მოთხრობებისა, განსაკუთრებით აღწერა ბუმბერაზთა შეტაკებისა და ბრძოლისა, ურიცხვი, ხშირად უმიზეზო და ისტორიაში უადგილო ლაშქრობა, თავბრუდამსხმელი რიცხვი ჯარისკაცებისა და ტყვეებისა, შეუბრალებელი ხოცვა-ყლევა ბუმბერაზებისა, რომლებიც ხშირად ლომსა კელითა იპყრობენ, ვითარცა თიკანსა, თვალწინ წარმოგვიდგენს ამირანდარეჯანიანის თქმულებებს. მაგრამ ლეონტი მროველის შრომაში ეს თქმულებები შევიდა არა ამირანდარეჯანიანიდან, არამედ იმავე წყაროდან, საიდანაც ისინი აღებულია ამირანდარეჯანიანის ავტორის მიერ, სახელდობრ, ხალხური ეპოსიდან, მათში ჩვენ გვაქვს ქართული ხალხური ზეპირი თქმულებანი.

ხალხური ეპოსის კვალი აჩნია სულწარმეტაც თხრობას იმის შესახებ, რომ ფარნავაზმა, რომელმაც „მიჰყო ხელი და მოხოცა ცუარი პირსა მზისსა და იცხო პირსა თჳსსა“, იხილა სიზმარი, გამოუდგა ირემს და, მისი ღვენის დროს, პოვა გამოქევაბული, სავეს განძეულებითა (გვ. 17—18). ხალხური ეპოსის გამომდახილი გვაქვს ქართლის მეფე-ბუმბერაზთა მტრებთან შეტაკების აღწერილობაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბრძოლა მირიანისა და ბარტომისა (27), არშაკისა და ადერკისა (28—29), სუმბატ ბივირტიანისა და ბაზუკისა (33—34) ფარსმან ქველისა და მირდატისა (37—39), ამაზასპისა და ოსებისა (41—42) და სხვ.

აღწერილობა მეფეთა და ბუმბერაზთა ბრძოლა-შეტაკებებისა მოცემულია სამხედრო-სარაინდო თქმულებათა ტრადიციულ-სტილისტიკურ ფორმულებში. მოქმედი პირები თხზულებაში წარმოდგენილნი არიან ზეკაცებად, გმირებად, ბუმბერაზებად და გოლიათებად. ბუმბერაზი მეფე-მთავარი ეომებიან ბუმბერაზებსავე, მაგალითად, მირიან მეფემ მოკლა ცამეტი ბუმბერაზი (27), ადერკი იყო „ტანითა დიდი და გოლიათი და მოკლა მრავალი ბუმბერაზი“ (28), ფარსმან ქველი იყო „ტანითა დიდი და ძლიერი, შემმართებელი ბრძოლასა, უშიში, ვითარცა უხორცო“ (37), ჯუანშერი „ლომსა ხელითა შეიპყრობდა“ (38), ფარსმან-ფარუხს „მრავალი ლომი ხელითა შეეპყრა“ (130); ვახტანგი „უშიშ იყო, ვითარცა უხორცო“ (130) და „ძლიერი ძალითა, რო-

მელ ქურვილი ქუეითი ირემსა მიეწიის, უპყრის რქა და დაიპირის და ცხენი ქურვილი აღილის მხართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა“ (137). ნებროთ გმირი „ლომსა ძალითა, ვითარცა თიქანსა, მოიყვანებდა, კანჯართა და ქურციკთა ქუეითი იპყრობდა“ (14). „ჰაოს უდგა ზურგად გმირთა მისთა ნუგეშინისცემად ხმითა საზარელითა, რომელი მსგავს იყო მეხისტებისა“ (4), „ვახტანგ უქუეთუ მარჯუენით კერძო იბრძოდა, მარცხენით კერძონი ძრწოდის, და თუ მარცხენით კერძო იბრძოდის, მარჯუენით კერძნი ძრწოდინ, და ეგოდენსა მას ეამსა შინა ხმასა სპათასა იცნობებოდა ხმა ვახტანგისი, ვითარცა ხმა ლომისა“ (134). მოპირდაპირე, მებრძოლნი წინადადებას აძლევენ ერთმანეთს ბრძოლაში გასვლის შესახებ: „ჯუანშერმა „სთხოვა ბრძოლა მეფესა ფარსმანს, ხოლო მეფე ფარსმან სიხარულით აღიქურვა და განვიდა“ (28, 33, 38), სინღთა მეფე უთვლის ვახტანგს „გამოვედ ბრძოლად ჩემდა“ (130, 132). მოპირდაპირენი „აღიქურვიან და აღჯდებიან ტაიქსა“ (28, 33, 131, 132), მათი საქურველი არაჩვეულებრივია: აქ ვხვდებით „კაცის მკლავის სისხო ლახვარს“ (155), ბაყათარის „მშულღისა სიგრძე იყო თორმეტი მტკაველი, ისარი მისი ექვსი მტკაველი“ (139). შეიარაღებულნი არიან არა მარტო მებრძოლნი, არამედ მათი ცხენებიც. ბრძოლად გასვლისას მოპირდაპირენი აღიზახებენ ხმითა საშინელითა და სასტიკითა“ (28, 33, 38, 41, 130—1, 155). შეტაკებადღე ისინი გარეშემოურბენენ ერთმანეთს და მერე „სცემენ საქურველსა ზედა“ იარაღს, ადერკიმ „ჰკრა ისარი მკერდსა არშაკისასა და ვერღარა უფარა სიმაგრემან საქურველისამან“ (29), სუმბატმა „სცნა ჰოროლნი სარტყელსა ზედა“ ბაზუკისასა (37), „სცნა ვახტანგ ჰოროლნი სინღთა მეფესა ბუქსა მარცხენასა, ვერა უფარა სიმაგრემან საქურველისამან“ (175), „ჰკრა ისარი და განავლო ზურგით წყრთა ერთი და ჩამოავლო ცხენისაჯან“ (5, 29, 33, 41, 175). საშინელია მომენტი მათი შეტაკებისა: „იყო მტურერი ფერხისა მათისა ვითარცა ღრუბელი სქელი, ხმა პირისა მათისა ვითარცა ხმა ქუხილისა“ (4), შეტაკებისას „იძრვოდეს მთანი და ბორცუნი“ (133) და „იყო ხმა იგი ვითარცა ხმა ქუხილისა, რომლითა შეიძრა ქუეყანა“ (155). გამარჯვებულებს შეტაკების შემდეგ მალღობას სწირავენ და ქებას შეასხმენ ხოლმე. ნათქვამის უფრო ნათელსაყოფად მოვიტანთ ერთ მთლიან სურათს ქართლოსიან-ჰაოსიანთა ნებროთ გმირთან ბრძოლისას: „იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა; რამეთუ მტურერი ფერქისა მათისა ვითარცა ღრუბელი სქელი, ეღვა აბჯრისა მათისა ვითარცა ეღვა ცისა, ჰმა პირისა მათისა ვითარცა ჰმა ქუხილისა, სიმრავლე ერისა და ტყორცა ქუისა მათისა ვითარცა სეტყუა ჰშირი, და დათხევა სისხლისა მათისა ვითარცა წუიმა. განძლიერდა ბრძოლა მათ შორის და მოსწყდა ორგნითვე ურიცხუო; ხოლო ჰაოს უდგა ზურგად გმირთა მისთა ნუგეშინის საცემად ხმითა საზარელითა, რომელი მსგავს იყო მეხისტებისა. მაშინ სძლეს თარგამოსიანთა და მოსრნეს. სამეოცნი იგი გმირნი ნებროთისნი და სპანი მათნი. ხოლო ვითარცა ესმა ნებროთს, განწყრა და წარმოემართა მითთ კერძო ძალითა მისითა ყოვლითა... და იყო იგი შექურვილ რკინითა და რვა-ლითა ტერფთაგან ვიდრე თხემამდე... ხოლო ჰაოს სტყორცნა ისარი და ჰკრა

მკერდსა ნებროთისასა ფიცარსა ზედა რვალისასა და განავლო ზურგიოთ. მაშინ დაეცა ნებროთ და იოტა ბანაკი მისი და განთავისუფლდეს ნათესავი თარგამოსისი“ (3—5).

ლეონტის საისტორიო შრომა უფრო საყურადღებოა ჩვენთვის როგორც ლიტერატურული ძეგლი, რომელსაც დაუცავს ჩვენთვის უძველესი ნიმუშები ხალხური ეპოსისა და ისეთი თქმულებანი და შეხედულებანი, რომელნიც გვისურათებენ გონებრივ ინტერესებსა და სულისკვეთებას იმდროინდელი საზოგადოების გარკვეული ნაწილისას.

ენა ნაწარმოებისა არის სხარტი, ლაკონიური, რომელშიაც თავს იჩენს ცოცხალი ხალხური მეტყველების მონაცემებიც. ავტორი მიმართავს ხოლმე დიალოგს, რასაც მის თხზულებაში შეაქვს დრამატიზაციის ელემენტები. ამა თუ იმ პერსონაჟის შინაგან თვისებათა აღწერასთან ერთად ავტორი იძლევა ხშირად მის გარგეულ, პორტრეტულ აღწერილობასაც. თხზულების კითხვისას უნებლიეთ გვეცემა თვალში მდიდარი პოეტური აქსესუარი, რომელიც მას აძლევს საერო, მხატვრული ლიტერატურისადმი გარდამავალი საფეხურის ხასიათს.

3. ისტორია ჯუანშერისა

ლეონტი მროველის შრომა გაუგრძელდება ვილაც ჯუანშერს, რომელსაც დაუწერია საქართველოს ისტორია მეექვსე საუკუნიდან (მეფობის გაუქმებისა და ბაგრატიონთა ჩვენში დამკვიდრების შემდეგ) გიორგი მეორის მეფობის დასაწყისამდე¹. „ქართლის ცხოვრების“ პირველი კრებულის რედაქტორის შენიშვნამ: „წიგნი ესე ქართულთ ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ეამითი ეამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმაო“, სავალალო როლი ითამაშა არა მარტო ლეონტი მროველის, არამედ მისი გამგრძელებლის, ჯუანშერის, შრომის ფარგლების გათვალისწინების საქმეში: ჯუანშერს მიაწერეს არა მარტო ვახტანგის „ცხოვრება“, არამედ ყველაფერი ის, რაც მას მოსდევს არჩილის წამებამდე (გვ. 190—211). მაგრამ შედარება ამ ნაწილისა ვახტანგის „ცხოვრებასთან“ ენის, სტილის, მოთხრობის მანერისა და მეთოდის მხრივ გვირკევეს, რომ არაფერი მათ შორის საერთო არაა. ვახტანგის „ცხოვრება“, როგორც ვაჩვენეთ, ლეონტი მროველის ნაწარმოებია, მაშასადამე, ჯუანშერის შრომად უნდა მიჩნეულ იქნეს, თანახმად რედაქციული შენიშვნისა, მისი გაგრძელება (გვ. 190 — 211), მაგრამ არა მარტო ეს გაგრძელება, ჯუანშერის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს ის ნაწილიც, რომელიც ამას მოჰყვება თვით დავით აღმაშენებლის ისტორიამდე (გვ. 216—280) და რომელსაც ჩვეულებრივ

¹ გამოცემულია ე. თაყაიშვილისა (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 190—211, 216—280) და ს. ყაუხჩიშვილის მიერ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 139—244, 249—317). ლიტერატურა: ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 185—191; კ. ქიქელიძე, ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია, თურნ. „ჩენი მეცნიერება“, 1923 წ., № 4, გვ. 17—47; მისივე, იტიულები, IV, გვ. 187—201.

„მატიანე ქართლისაჲ“ ეწოდება. საქმე ისაა, რომ ენითა და მოთხრობის ხასიათით ეს ორი ნაწილი ერთნაირია; ე. წ. „მატიანე ქართლისაჲს“ ყველა დამახასიათებელ თვისებას ჩვენ ვპოულობთ იმ ნაწილშიაც, რომელიც ვახტანგის „ცხოვრებას“ მისდევს უშუალოდ არჩილის გარდაცვალებამდე (გვ. 190—211). არ არსებობს მტკიცე საბუთი იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ „მატიანე ქართლისაჲს“, როგორც დამოუკიდებელი თხზულების შესახებ. საეჭვოა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები—„ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისაჲ“ (329) აღნიშნავდეს რაიმე საგანგებო, კონკრეტულ თხზულებას, რომელიმე გარკვეული ეპოქის მატიაენს. ეს არის ტექნიკური ტერმინი, რომელსაც სხვაგანაც, სხვა შემთხვევაშიც ვხვდებით. ასე, მაგალითად, ამ ტერმინს, მხოლოდ შემოკლებულად, ხმარობს რაედენ პირველმოწამის მარტილობის ავტორი, როდესაც ამბობს, რომ რაედენი იყო სპარსი, „ვითარცა ძუელნი მატიაენნი გვაუწყებენო“¹. საყურადღებოა, რომ ამ თხზულების ბოლოში, ვახტანგ გორგასალისა და სპარსთა მეფის დაზავების აწერისას, ეს ძუელნი მატიაენნი მას მოუნათლავს როგორც ქართულთა ცხოვრებანი². აქედან ჩანს, რომ „ძუელი მატიაენ ქართლისაჲ“ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის პირში არის საზოგადოდ კრებული ლეონტი მროველისა და ჯუანშერის საისტორიო შრომებისა, რომელსაც უსწობი რედაქტორის სიტყვით ეწოდება „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“, ხოლო არჩილ მეფის მეტაფრასული „ცხოვრებით“ — მატიაენ ქართველთა ცხოვრებისა³.

ამრიგად, ჯუანშერის შრომა უნდა შეიცავდეს ქართველთა ისტორიას მეექვსე საუკუნის ნახევრიდან, ბაგრატიონთა დამკვიდრებიდან ჩვენში, ბაგრატ მეოთხის გარდაცვალებამდე.

ვინ არის ჯუანშერი, არ ვიცით, ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ შენახულა. თავდაპირველი რედაქტორი „ქართლის ცხოვრებისა“, რომელმაც ჯუანშერს ვახტანგ გორგასალის „ცხოვრებაც“ მიაწერა, ამბობს, რომ ის იყო „ძმის წულის ქმარი წმიდისა არჩილ მეფისაო“ (გვ. 211, 215). ჯუანშერი ვერავითარ შემთხვევაში არჩილ მეფის ძმისწულის ქმარი, ესე იგი, მერვე საუკუნის მოღვაწე, ვერ იქნებოდა, ვინაიდან მას, ვახტანგის „ცხოვრებით“, სკოდნია პაქანიკთა, თურქების მოწოლის გამო, გადასახლება დონისა და დუნაის შუა ნაწილიდან დასავლეთისაკენ, ამას კი ადგილი ჰქონდა არა უადრეს მეთერთმეტე საუკუნის ნახევრისა. ჯუანშერის შრომა დამთავრებული ჩანს არა უადრეს 1072 წლისა, როდესაც ბაგრატ IV გარდაიცვალა და არა უგვიანეს ანაკოფიის ბერძენთაგან დაბრუნებისა 1074 წელს. ჯუანშერი, მასასადამე, ამ დროის მოღვაწეა. შესაძლებელია, ის სასულიერო პირიც იყო, სახელად ერქვა ილარიონი და მოღვაწეობდა ათონზე, მსგავსად ლეონტი მროველისა. საქმე ისაა, რომ ათონის მონასტრის XI საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში

¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 171.

² იქვე, გვ. 178.

³ მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, I, თბ., 1900 წ., 256.

მოსხენებულია მწერალი ილარიონ ჯუანშერი: „თქუა მამამან ილარიონ ჯუანშერმანო“.

როგორც თხზულებიდან ჩანს, ჯუანშერს თავისი შრომის დაწერისას გამოუყენებია ნაირნაირი წყარო; ასეთებია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სუმბატ დავითისძის ქრონიკა, ე. წ. „აფხაზთა ცხოვრებაჲ“, ქართული ავოგრაფიული ძეგლები და სხვ. საინტერესოა სამი კატეგორიის წყარო: 1) ასტროლოგიურ-კაბალისტური წიგნი „ჰერმეს ტრისმეჯისტონისა“, რომლის შინაარსი ყოფილა თეოსოფია, ალქიმია, ასტროლოგია, აგრეთვე ასოების, საუკუნეთა, შვიდეულისა და მისი ღლეების კაბალისტური ახსნა-განმარტება¹. ავტორს იზიდავს სხვადასხვა „ჩვენება“ და „წინასწარმეტყველება“, როგორც, მაგალითად, „ჩუნება“ აგარიანისა, რომელმაც იხილა მამადი და მისგან გარკვეული განკარგულება მოისმინა (204), „წინასწარმეტყველება“ აგარიანთა დაუძღურების შესახებ 300 წლის შემდეგ (205) და სხვ. 2) აპოკალიპტიკური „წიგნი დანიელის ხილვათა“, სადაც ლაპარაკი ყოფილა დასავლეთის ვაქისა და აღმოსავლეთის ვერძის შეტაკების შესახებ (194—195), 3) ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ, სარკინოზთა გამოჩენის გამო, საქართველოში მყოფმა ირაკლი კეისარმა, სპარსელებმა და თვით არჩილ მეფემ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაფლეს მიწაში საგანძურები. საყურადღებოა აგრეთვე თქმულება შუშანას მოტაცებისა და თვითმკვლელობის (216—217) და აგარიანთა ჯარის ცხენისწყალსა და აბაშას შუა (204—205) დაღუპვის შესახებ. ამას თუ დავემატებთ ანეგდოტს იმის შესახებ, რომ თბილისის ციხისთავმა ირაკლი კეისარს აგინა: „ვაქის წუერიანი გასხენ და ვატოტისა კისერი გაქუსო“ (194—195), ჩვენ საბუთი გვექნება ვთქვათ, რომ აღნიშნული სამი კატეგორიის ცნობები და წყაროები ანიჭებენ ჯუანშერის შრომას განსაკუთრებულ ლიტერატურულ მნიშვნელობას.

მართალია, ჩვენი ისტორიკოსი ქრონოლოგიურ თარიღებს ძუნწად იძლევა, მაგრამ წელთაღრიცხვის სისტემაზე მას წარმოდგენა აქვს; ის ერთადგილას ამბობს: „მოჰმედის გამოჩინებამდე ალექსანდრეს წელთაგან გარდასრულ იყო ცხრაას ოცდაშვიდი წელიო“ (198—199). „ალექსანდრეს წელნი“ არის ერა სელევკიდებისა, რომელსაც ეწოდება „წელნი ალექსანდრე მეფისანი“, „იონთა წელნი“, ის იწყება ალექსანდრე IV გარდაცვალებიდან, ესე იგი—311 წლიდან და იხმარება უფრო ხშირად აღმოსავლური წარმოშობის წყაროებში.

ავტორი აგვიწერს ამა თუ იმ პერსონაჟის პოლიტიკურსა და საეკლესიო საქმიანობას და არაიშვიათად იძლევა მის დახასიათებას; მაგალითად: „იყო იგი (გიორგი აფხაზთა მეფე) სრულ ყოელითა სიყეთითა, სიმბნითა და ახოვნებითა, ღვთისმოყუარე და უმეტეს ყოველთა ეკლესიათა მაშენებელი.“

¹ კ. კ. კელიძე, რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი, ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა, „თბილ. უნივ. მოამბე“. V, 1925 წ., გვ. 306—309; მისივე, ეტიუდები, IV, გვ. 70—73.

გლახაკთა მოწყალე, უხვი, მდაბალი და ყოვლითა კეთილითა სათნოებითა სრული“ (228). დავით კურაპალატი იყო „ღვთისმოყუარე, გლახაკთა მოწყალე, მდაბალი, მშვიდი და ძვრუსხენებელი, ტბილი, უხვი და კაცთმოყუარე, ყოველთათვის კეთილისმყოფელ“ (237). „არაჲინ გამოჩენილიყო მსგავსი მისი (გიორგი I) მამათა შორის მისთა ახოვნებითა, კაბუკობითა და სიკველითა, ტანითა და სახითა და ცნობითა და ყოვლითურთ სრული“ (253). ბაგრატ IV, ყოვლადვე და ყოვლითა სრული, „იყო კაცი უმშუენიერესი ყოველთა კაცთა“ (278). ავტორი აღტაცებულია თავისი გმირების საქმიანობით და პატრიოტული აღტყინებით ესალმება მათ წარმატებას. ის არ მალავს ზიზღსა და სიძულვილს მშობლიური ქვეყნის მტრებისადმი, განსაკუთრებით სიმშვილეს უქარგავენ მას სელჯუკიანები, რომელთაც ბევრი გაპირვება და უსიამოვნება აგემეს საქართველოს.

ჩვენი ავტორის მოთხოვრებას თავიდან ბოლომდე ერთგვარი ხასიათი აქვს, ენაც მისი ერთგვარია, მისთვის უცხოა მრავალსიტყვაობა. მისი მოთხოვრების ენა მარტივი და ბუნებრივია; მას სიტყვის მოკლე მოკრა უყვარს, ამ მხრივ იგი მეტად თავდაპირვლი და მოკლედ მოუბარი მწერალია; ამის გამო მისი თხზულება ისეა ნაწერი, რომ თვითულ სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს და არც ერთის გამოგდება არ შეიძლება (ი. ჯავახიშვილი). რიტორიკული და ეფექტის მოსახდენად გამიზნული სიტყვა მისთვის უცხოა.

დასასრულ. ზედმეტი არაა აღვნიშნოთ, რომ ჯუანშერის მიერ გადმოცემულმა ეპიზოდმა უშუალო ბატონიშვილის ხაზართა მიერ მოტაცებისა და თვითმკვლელობის შესახებ შთააგონა მწერალი ვ. ბარნოვი დაეწერა საინტერესო რომანი, რომელსაც „ხაზართა სასძლო“ ეწოდება.

4. ისტორია ლაშით აღმაშენებლისა

ბაგრატ მეოთხის გარდაცვალების ამბებს „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში უშუალოდ მისდევს ისტორია გიორგი მეორისა და მისი შვილის დავით აღმაშენებლისა. ისტორიას ასეთი სათაური აქვს: „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“¹. ამ შრომის უშუალო მიზანია დავითის მეფობის გადმოცემა, მაგრამ იმის გასათვალისწინებლად, თუ რა ძნელ პირობებში მოუხდა დავითს გამეფება, ავტორს დავითის „ცხოვრებისათვის“, შესავლის სახით წაუძმღვარებია მისი მამის, გიორგის, მეფობის ამბებიც.

ავტორი ამ თხზულებისა, მისი შინაარსის მიხედვით, არის თანამედროვე დავითისა, მასთან და მის კართან ძალიან დაახლოვებული პირი, მისი „მოდლუარი“; ეს უნდა იყოს არსენ ბერი საღირისძე². თხზულება დაწერილია 1123—1126 წლებში.

¹ გამოცემულია ე. თაყაიშვილისა (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 281—335) და ს. ყაუხჩიშვილის მიერ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318—364). ლიტერატურა: ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 208—219; ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემკვიდრის ვინაობა, თბ., 1913 წ.

² შეად. ქ. თოდუაშვილი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, ხელნ. ინსტიტუტის III საშეცნ. სესია, თეზისები, გვ. 7—8, 1961.

არსენი, ამ თხზულების მიხედვით, განათლებული კაცი ყოფილა, მას ზედმიწევნით სცოდნია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ისტორია, კულტურა და ლიტერატურა. ეს ცოდნა მას გამოუყენებია ამ შრომის დაწერისასაც. თანახმად იმდროინდელ ქართველთა შალრესად განვითარებული ეროვნული თვითშეგნებისა, მას საქართველო და მისი პოლიტიკური შესვეურები გამოუყენებია მსოფლიო-ისტორიულ შედარებათა ფართო ასპარეზზე; დავითის მსგავსს მოღვაწეს ის ისტორიაში ვერ პოულობს. იმდროინდელ საქართველოში, ჩანს, ყველა ასე არ ფიქრობდა და არ აფასებდა დავითის საქმიანობას, მას „მაბრალობენი“ ჰყოლია, რომელთაც არ მოსწონდათ მისი მოქმედება და მითქმა-მოთქმის საგნად ხდიდნენ მას. მოწინააღმდეგენი მას სხვადასხვა ბრალდებას უყენებდნენ.

ავტორი ამომწურავად და თანმიმდევრულად იხილავს დავითის სამხედრო-პოლიტიკურ, სამოქალაქო-საეკლესიოსა და კულტურულ მშენებლობას, ან „ხორციელთა და სულიერთა საქმეთა“ მისთა (313—314), ის განცვიფრებულია მისი ნიჭით, ახოვნებითა და გამჭირაზობით, მაგრამ, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, განსხვავებით საშუალ-საუკუნეთა ისტორიკოსებისაგან, ის ყველაფერს არ აწერს დავითის პირად ღირსებას. მართალია, ამბობს ის, ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო, დავითს კი ასეთი რამე არ ჩაუდენია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის ნიჭით ან სხვა რამეთი ალექსანდრეს ჩამოუვარდებოდა, არა—„ჩუენი ესე გვრგვონსანი და ახალი ალექსანდრე არც საქმითა, არცა განზრახვითა, არცა სიმზნითა უმცირეს და უმდაბლეს, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიაო“ (303), ამბობს ის,—ეს მოხდა იმიტომ, რომ დავითის სამეფოს მდგომარეობა ალექსანდრეს სამეფოს მდგომარეობას ვერ შეედრებოდა. „ქართველთა ოდენ სპითა ვერცა რასა ალექსანდრე იქმოდა კარგსა, და თუმცა დავითს სპარსთამცა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და პარსთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი და სხუათა ქებულთანიო“ (329). მიუხედავად ამისა, ამბობს ჩვენი ისტორიკოსი, დავითმა ისეთი და იმდენი რამ გააკეთა, რომ ეგონებ, მთელი ქვეყნის ბრძენთა და გამოგეტყუელთა ენაც კი ვერ შესძლებს ყოველივეს ზედმიწევნით გადმოცემასო (306—307), მეც, რასაკვირველია, მხოლოდ ცოტა რამეს მოგიხრობთ მისი ცხოვრებიდანო. ამასთან დაკავშირებით ავტორი გვეუბნება: ჯეროვნად და მოსაწონად რომ იქნეს „შექებული“ ესა თუ ის ისტორიული პირი, საქირთა, პირველ ყოვლისა, რიტორობა ან „რიტორობის ხელოვნება“, მეორედ კი „ნიეთნი საქმეთანი“—სათანადო, ნამდვილი და არა მოგონილი მასალა. ამის საილუსტრაციოდ ის ამბობს: მე ვაების ღირსად მიმაჩნია ისეთი დიდი და სახელოვანი „გამომეტყუელნი“ ან მწერალნი, როგორც იყვნენ: ერთის მხრით—ომიროსი ან არისტოტელე, რომელთაგან ერთმა შეაქო ტროადელთა ომის გმირები, ხოლო მეორემ—ალექსანდრე მაკედონელი, მეორე მხრით — იოსებ ებრაელი ან ფლავიუსი, რომელმაც აღწერა იმპერატორ ტიტუს მიერ ებრაელთა განადგურება. რატომ თვლის ამ მწერლებს ვაების ღირსად? იმიტომ რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობით „ნიეთნი საქმეთანი“ და მოინდომეს მასალის უქონლობა

„რიტორობის ხელოვნებით“ აენაზლაურებინათ. ამით აიხსნება, რომ ტროადელთა ომის მათ მიერ აღწერისას „ვერარაი ღირსი ქებისა იქმნა“. მათ, რიტორობის ხელოვნებით აღკურვილთ, „ნიეთად თხრობისა“ დავითის საქმენი რომ ჰქონოდათ, მაშინ ისინი მოახერხებდნენ თავისი გმირების ჯეროვნად ქებასო (307—8).

თავისი პერსონაჟის დასახასიათებლად და მისი სიდიადის გამოსავლინებლად ისტორიკოსი უხუად სარგებლობს შედარებითი მეთოდით; აქ ის ღრმა ერუდიციას იჩენს მსოფლიო ისტორიაში. დავითთან შეუდარებია მას ალექსანდრე მაკედონელი; დავითიო, ამბობს ის, მეორე ახალი ალექსანდრეაო (300, 302, 303, 304, 329), ძველი ქაიხოსრო (302), პტოლომეოს ეგვიპტელი (314), მოსიმახოს ებრაელი, აქილევი, ბარამ-გური (316), ანტონ ეგვიპტელი (320), პავლე მოციქული და იმპერატორი კონსტანტინე (322). დავითის ომებს ადარებს ტროადელთა და ალექსანდრე მაკედონელის ომებს (307). დავითის მიერ აშენებული გელათის შესახებ ამბობს: აწ წინამდებარე არს ყოელისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალემად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსაო (295).

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს ისტორიკოსს „რიტორების ხელოვნება“ ერთ-ერთ იარაღად მიაჩნია სრულყოფილი „ქების“ სათქმელად. ამიტომ ის ბშირად მიმართავს ამ იარაღს, რომელსაც ის არაიშვითად მიჰყავს ზომიერების დაკარგვამდე, გადაქარბება-ჰიპერბოლამდე. ევრაეინ ძუელთა და ახალთა მეფეთაგანი ემსგავსა დავითსაო ამბობს ის. დავითის მიერ გელათში აშენებული ტაძარი აღმატებულ არს ყოველთა წინაღულთა ქმნულებათა; ის ზესთა ჰმართა შეუნიერებასა ყოველთასა სიერცითა და ნიეთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქმნულობის შესწორებელობითა (294) და სხვ.

ჩვენს ავტორს ეხერხება არა მარტო საგმირო საქმეთა აღწერა, არამედ ბუნების სურათების მოცემაც. ამავე დროს ჩვენი ისტორიკოსი შესანაშნავი პორტრეტისტიცაა; აი მის მიერ დახატული სურათი დავითისა: ვინ იყო ესდენ ტკბილი შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა, იგივე შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისაჲთა, შეწყობილ ანაგებითა, ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მკუწუნვარებითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა (331). დავითის სახით ავტორი იძლევა შეუდარებელი მეომრის სურათს, რომლის მოსახაზად ნახმარია მეტად ცოცხალი საღებავები საშხედრო ენარის მოთხრობებისა: ენა ნაწარმოებისა არის ლამაზი, მოხდენილი და მხატვრული; ავტორი ერთი კალმის მოსმით გვაგარძობინებს მომენტის რაობასა და სიმწვავეს. მაგალითად, საკმარისია მისთვის მოკლედ თქვას: „ხელნი დედათა მოწყალეთანი არა საზრდელთა შილთა მიცემად მოქმედებენ, არამედ საზრდელ თვსსა ჰყოფენ თუთ თვსთა მათ საყუარელთა“ (284), რომ თქვენ იგარძნოთ და გაიგოთ ის საშინელება, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას დიდი თურქობის დროს 1080 წელს. დიდი მხატვრული შესაძლებლობანი ამ ენისა, მისი მეტაფორული სახე-შედარებანი.

არსენ ბერს უნდა ეყუთვნოდეს შესხმა ან ხოტბა, რომელსაც უძღვნის „მეფესა და ვითს მონაზონი არსენი“¹. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ არსენ მონაზონი იმავე ენამზებობით, იმავე ფოაზებით, სიტყვებითა და ეპითეტებით ამკობს და ვითს, რომლებითაც არსენ ბერი აგვიწერს და ვითს ფიზიკურსა და სულიერ თვისებებს თავის ისტორიაში². ორივე ძეგლში ერთი და იგივე პარალელიზმია და ვითისა და ალექსანდრე მაკედონელისა, და ვითისა და აქილეევილინისა³.

5. თამარ მეფის ისტორიანი

თამარ მეფის სახელს, როგორც ცნობილია, თავიდანვე დიდი გამოხმაურება და პოპულარობა მოუპოვებია. ამიტომ, ეკვი არაა, მას არაერთი აღმწერიელი და „ვასილოგრაფი“ ეყოლებოდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე შენახულა ორი „ისტორია“ თამარისა, რომელნიც, როგორც ლიტერატურული ძეგლები, ღირსნი არიან საგანგებო განხილვისა.

ა. ისტორიანი და აზმანი შარაჟანდელთანი

კლასიკური პერიოდის ერთს შესანიშნავ ნაწარმოებს, რომელსაც თამარის პირველ ისტორიას ეძახიან, ასეთი სათაური აქვს: „რომელმან წულისა მოაბადნი რიტორთა მძლედ გამოაჩინნე ყოველთა, ენა უტყუი მეტყუელ ჰყვე ანგელოზთა მთავრისა მიერ, აწუა განმარტე ენაჲ ბრგუნილი ისტორიათა და აზმათა მეტყუელებასა შინა შარაჟანდელთასა“. შემოკლებულად ამ თხზულებას ეწოდება „ისტორიანი და აზმანი შარაჟანდელთანი“, ესე იგი, მეფეთა ისტორიანი და ქებანი⁴. ასეთი სახელწოდება ზედმიწევნით გვიხატავს თხზულების შინაარსსა და ხასიათს, ის მართლაც არის მეფეების ისტორია: თავში, შედარებით მოკლედ, გადმოცემულია ისტორია გიორგი მესამის მეფობისა, მეორე, უფრო ვრცელ ნაწილში,—თამარისა. ეს ისტორია ამავე დროს არის „აზმა“ ან ქება, ესე იგი, შესხმა, ხოტბა, ნამდვილი პანეგირიკი.

ეს მოზრდილი თხზულება თავიდან ბოლომდე დაწერილია ერთი პირის მიერ თამარის გარდაცვალების შემდეგ 1222 წლის მახლობლად⁵. ეს პირი თანამე-

¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 528—530.

² შდრ. ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 331—332.

³ იქვე, გვ. 316, 328—329.

⁴ გამოცემულია პირველად ე. თაყაიშვილის მიერ მარამისეულ ქართლის ცხოვრებაში (გვ. 362—535). მეორედ კ. ქეკელიძის მიერ: „ისტორიანი და აზმანი შარაჟანდელთანი“, 1941 წ. (ციტატები ნაჩვენები გვაქვს აქ ბირველი გამოცემიდან, კ. კეკელიძის შესწორებებით). ლიტერატურა: ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 220—241; კ. ქეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარაჟანდელთანი როგორც ლიტერატურული წყარო, „რუსთაველის კრებული“, გვ. 121—158; მისივე, წინასიტყვაობა ტექსტის გამოცემისა; მისივე, თამარის პირველი ისტორია, აღ. ბარამიძისთან ერთად შედგენილ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში, გვ. 148—158.

⁵ კ. ქეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარაჟანდელთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, „რუსთაველის კრებული“, გვ. 125—133.

დროვე იყო თამარისი, ამით აიხსნება მისი სიტყვები: „აწ მე რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მსმენია, გარდავსცე ისტორიასო“. ვინ იყო ეს ავტორი, არ ვიცი, ამის შესახებ ვამოთქმულია მხოლოდ სხვადასხვა მოსაზრება.

თხზულების მიხედვით შესაძლებელია გავითვალისწინოთ მთავარი შეხედულებანი ამ უცნობი ავტორისა. პოლიტიკურ ცხოვრებაში ის მონარქიის მომხრეა, „მრავალმთავრობას“, მისი აზრით, თან სდევს „შური და ხდომა“, ესე იგი, ყოველგვარი უწყობა. ამასთან ერთად ის თავგამოდებული მომხრე და დამცველია თამარის პოლიტიკისა, მისთვის მიუღებელია როგორც დიდგვარიან მოხელეთა ვერაგობა, ისე ყუთლუ-არსლანის პარლამენტური ტენდენციები. პოლიტიკაში ის გვევლინება დიდ ჰუმანისტად, „მესისხლეობასა“ და „მომძლავრებაზე“, ან რეპრესიებზე დამყარებული მართვა-გამგეობა მისთვის შეუწყნარებელია; „შიშისა და ზარის“ მაგიერ ის „მშვიდობისმყოფლობას“ ქადაგებს. თამარმო, ამბობს ის, თავისი ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში „არცა თუ ტაჯგენაგი უბრძანა ვისაღმე კვრადო“ (412).

სოციალური შეხედულებანი ავტორისა განსაზღვრულია მის დროს გაბატონებული პატრონ-ყმური ურთიერთობის კოდექსით, ამ კოდექსის ფარგლებიდან ის არ გამოდის, მაგრამ ერთი კია: სახელმწიფოს წარმატება მას ესმის არა როგორც მართო „პატრონის“ კეთილდღეობა, არამედ „უმისაც“. ის ალტაცებულია იმით, რომ თამარის მეფობაში არა მართო „აზნაურნი გადიდებულდეს და დიდებულნი გაკელმწიფდეს“, არამედ „ქუეყნის ქმედნიც (გლენები) გააზნაურდესო“ (411).

ავტორის ფილოსოფიურ აზროვნებას ახასიათებს ქრისტიანული პროვინციალიზმი; მისი აზრით, ყველაფერი, რაც ხდება, „ზეგარდმოჩინებით“ ხდება. გიორგი მეფის ერთი სამხედრო ოპერაციის გამო ის ამბობს: „უქუეთუმცა მიეშვა ზენასა განგებასა“ (381), ის დაამხოზდა სულერთიან სარკინოზთა ძლიერებასო. „ეამთა და ეამთა ზეგარდმოჩინებითა“, მისი სიტყვით, „აღმოჩნდებიან ქუეყანის მფლობელნი და მიიღებს თვთეული საქმისა შესატყვისა აღმკულობასა სიტყუთა და საქმითა“ (363). მისივე შეხედულებით, ადამიანი მემკვიდრეობით იღებს თავის წინაპართაგან არა მართო სულიერ თვისებებს, არამედ ზორციელსაც, ასე რომ, „ვითარ საცნაურ არს ხე ნაყოფისაგან და ნაყოფი ხისაგან“ (363), ისე შვილი მშობლებისაგან. ასე, მაგალითად, „ოდეს დახატული ბუნებისაგან იშვა და წარმოჩინა“ ლაშა გიორგი, მას „მოაქუნდეს თვს შორის ხატნი და სახენი თვსთა დამსახთა მშობელთაო“ (447—8).

ავტორი გულწრფელი პატრიოტია, რომელიც სიამაყის გრძობით ლაპარაკობს თავის სამშობლოზე. მის დასაცავად, გარეშე მტერთა თუ შინაგან მოძალადეთაგან, ის თავის დადებასაც კი მოითხოვს. გადამწყვეტი ომის წინ ის გიორგი მეფეს ასე ალაპარაკებს: „უფროჲს სისახელო არს მვნებრივ სიკედლი, ვიდრეღა სენითა განდნობითა განლეულებასა შინა, რამეთუ სახე და სახელი კეთილი საუკუნოდ გზად გუყვების“ (371).

ხასიათი და ღირებულება თხზულებისა ნათლად ჩანს მისი სახელწოდებ-
 ბიდან—„აზმანი“, რაც ქებას, ხოტბას, პანეგირიკს ნიშნავს. ამით, ალბათ,
 აიხსნება ისტორიკოსის შემდეგი სიტყვები: ის საქმე, რასაც ის ხელს ჰკი-
 დებს, შეშენის არა მას, არამედ „დიდთა სიტყვისმოქმედთა პირველთა“ (496).
 მართლაც, თხზულება ნამდვილი ხოტბაა თამარისა და მისი მეფობისა, ამი-
 ტომ ის არაა ყოველთვის დაზღვეული ჰიპერბოლებისაგან. თხზულებაში თამა-
 რის პიროვნება გახვიადებულია, ის „წმინდანის“ შარავეანდელითაა შემოსილი.
 თავის ხანგრძლივ მეფობაში თამარს „ტაჯგენაგი“ არ დაუკრავს აივანთეი-
 სო, ნათქვამია აქ. „ტაჯგენაგის“ ან, სხეანაირად რომ ვთქვათ, იძულებითი
 ზომების გარეშე, სახელმწიფო წარმოუდგენელია, ამიტომ სინამდვილეში იმას
 თამარიც მიმართავდა ხოლმე. ეს დამოწმებულია თამარის მეორე ისტორი-
 კოსის მიერ, რომელიც ამბობს: თამარი „სანთელი იყო გონიერთა და უგუ-
 ნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუხველ; აღვირი.
 იყო უწყსოდ მკრთომელთა და დეზუდებთათვის, კანონი სირცხვილისა მოხუ-
 ცებულთა და კუერთხი რკინისა ქაბუკათვის; კეთილ მავალთა სიბრძნით
 მცველ, ხოლო მბორგალეთა თუალუხუად მგუემელ“. დამოწმებულია ეს
 მეორე იმდროინდელი მეხოტბის, ჩახრუხაძის, მიერაც, რომელიც ამბობს:
 თამარი „ურჩთა გვიგოდებს“ (XI, 9—10), ესე იგი—გვიტირებსო. ტენდენ-
 ციურადაა თხზულებაში გადმოცემული ეპიზოდი თამარის პირველი ქმრის,
 გიორგი რუსის, მოწვევისა და გაძევებისა. აქ მიჩქმალულია ის ღრმა სოცია-
 ლური და პოლიტიკური მოტივები, რომელიც საფუძვლად ედო გიორგის
 აძებებს. ის გარემოება, რომ გიორგის მიემხრო მთელი დასავლეთი და სამხრეთ-
 დასავლეთი საქართველო, მისი ტახტზე დაბრუნების მიზნით, ლაპარაკობს
 იმის შესახებ, რომ მისი გაძევება ვერ აიხსნება იმ მიზეზით, რომელიც ნაჩვენ-
 ებია თხზულებაში. თხზულებაში რელიეფურად და სრულადაა წარმოდგენი-
 ლი კულტურული დონე ჩვენი ქვეყნისა. აქ, ავტორის სახით, ნაჩვენებია მო-
 ცულობა და სიღრმე ქართველისათვის იმ დროს ხელმისაწვდომი სწავლა-გა-
 ნათლებისა. გარდა მშობლიური კულტურული ტრადიციებისა, რომელთაც
 ძირითადად განსაზღვრებს იმდროინდელი ქართული კულტურის დიპაზონი,
 ავტორი კარგად იცნობს ორ კულტურულ სამყაროს: დასავლურს, ელი-
 ნურ-ბიზანტიურ-ქრისტიანულს, და აღმოსავლურს, ირანულ-არაბულ-მაჰ-
 მდიანურს. დასავლურ-აღმოსავლური ელემენტები ავტორის განათლებისა
 პირველ ყოვლისა იმ ტიტულატურაში მოჩანს, რომელსაც ის ხმარობს სა-
 ქართველოს მეფის დიდებულებისა და წარმოშობის აღსანიშნავად. პანკრატო-
 ნიან (363) და გორგასლიან (365, 426) ქართველთა მეფეს ის უწოდებს არა
 მარტო დავითიანს (383, 438, 456) და სოლომონიანს (383), როგორც ვი-
 თომცდა ებრაელ მეფეთაგან წარმოშობილს, არამედ აგრეთვე, ერთის მხრით,
 აელუსტიანს (402), აფროდიტიანს (409), აპოლონიანსა (409) და ულუმ-
 პიანს (362, 382, 393, 401, 417), მეორე მხრით კი—ხუასროანიანს (363) ან
 ხოსროვანს (370), შარავეანდელს (363) და სულტანს (470). ამით მას უნდა
 თქვას, რომ თესლისაგან ებრაელთა მეფისა წარმოშობითი ქართველთა მეფე

მატარებელია როგორც ბერძენ-რომაელთა კეისრის, ისე ირანულ-მაჰმადიან ვეირავებისა და დიდებისა და ძლევამოსილებისა.

ავტორის განათლებაში დასავლური ბერძენულ-ბიზანტიური განათლების ელემენტს ამეღავნებს მისი ლექსიკონი, რომელშიაც ჩვენ ვხვდებით უამრავ ბერძენულ ტერმინულ სიტყვასა და ტერმინს. ამასთან ერთად და ამის გვერდით მის თხზულებაში მრავლად გვაქვს აღმოსავლური წარმოშობის სიტყვები და ტერმინები, რომელნიც მაჩვენებელია იმისა, რომ მისთვის უცხო არც ირანულ-არაბული კულტურაა.

ორმაგი ხასიათი ავტორის სწავლა-განათლებისა უფრო მეტად ჩანს იმ პოეტურ შედარებათა და მხატვრული სახეებიდან, რომლითაც თხზულება თავიდან ბოლომდე სავსეა და რომელთა მეოხებით ის, სცილდება რა ისტორიული ნაწარმოების ფარგლებს, პოეტური შემოქმედების სფეროში გადადის. შედარებისათვის ავტორი მიმართავს როგორც ბუნებას, ისე ზღაპრულ-ლიტერატურულსა და ისტორიულ-მითოლოგიურ პერსონაჟებს. მისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომია ბერძენულ-ირანული მითოლოგია, ისტორია და ლიტერატურა, როგორც ეს ჩანს, თუ გინდ, თხზულების დასაწყისიდანვე, სადაც ის გიორგი მესამის შესახებ ამბობს, რომ ის არის „მზე მნათობთა შორის, ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის, აქილევ, სამბსონ და ნებროთ გმირთა შორის, სპანდიაჩ, თაჰამთა და სიაოშ გოლიათთა შორის, სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის“ (364).

ჩვენი ავტორი კარგად იცნობს მითოლოგიას, განსაკუთრებით ბერძენულ-რომაულს. გიორგი მეფეო, ამბობს ის, იყო მონადირე „არტემის სახედ, რომელი ითქუმის მთაფოლო, რომელ არს ღმერთი მონადირე“ (367). მის ქალს, თამარ მეფესო, განაგრძობს ის, „მოესთლო სურნელობა და შუებად სამოთხისაჲ, მოეფუტკრა ვარდ-ბუტკობაჲ, ყუაველ-მცენარეობაჲ, ასფოდელ-ნარგიზობაჲ ილქსიოსის ველისაო“ (458). დავით სოსლანს ის სთვლის ისეთ კარგ მსროლელად, თითქოს ის იყო გაწერთილი „კენტავროსისაგან“ (გვ. 364). იცის მან აგრეთვე აღმოსავლეთის მითოლოგიური გარდამოცემანიც. ასე, მაგალითად, ირანულთა შესახებ ამბობს, რომ მათ „ძებნეს ცეცხლითა განლეულნი ძუალნი ზოროასტროსისნი, რომელი იყო პირველი მეფე და ვარსკვლავთა-მრიცხველი სპარსთა შორის, რომელთათჳს ესრეთ თქუმულ არს: ვიდრემდის გაქუნდეს ესე, არა მოაკლდეს მეფობაჲ სპარსთა“ (375). ეს უკანასკნელი ადგილი ჩვენს ისტორიკოსს შეთვისებული უნდა ჰქონდეს გიორგი ამარტოლის ზრონორაფიიდან¹.

აღმოსავლური ვარსკვლავთმრიცხველობა და ცეცხლთაყვანისმცემლობა სავანგებოდ აინტერესებს ჩვენს ავტორს, როგორც ეს ჩანს მისი მეორე ციტატიდან; ერთს ადგილას ის შენიშნავს: „აწ თქუას სიტყუამან... საქმე (სპარსთა) გრძნებისაჲ და მოჯუობისაჲ, განსწავლილთა იუნიტანისაგან, რომელი ნებროთ იხილა კიდესა ზღუასაჲ, და დარიოსისა და შემდგომითი შემდგომად. ისინი არიან მჩხბაენი, მწამლველნი, უარისმყოფელნი“ (474). ეს ცნობა ავტორს ამოღებუ-

¹ ს. ყაუხჩი შვილის გამოცემა, გვ. 4.

ლი აქვს აპოკრიფიდან, რომელსაც ეწოდება „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის“, ქართულად კი „ნებროთის წიგნი“ (ხელნაწ. A 153, გვ. 138, 143).

უფრო საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ლიტერატურული ერთეულიცა და ნაქოთხაობა ავტორისა; მისი სახით ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ — რითი საზრდოობდა და რას ეწაფებოდა თანამედროვე ქართველი ინტელიგენცია, სასულიერო და საერო. თავისი აზრების დასასაბუთებლად თუ შედარებებისა და მხატვრული სურათებისათვის ის მიმართავს ხოლმე სამი დარგის ლიტერატურას: საეკლესიოს (ბიბლიურ-პატროლოგიურსა და ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიულს), საისტორიოსა და საეროს — მხატვრულს.

საეკლესიო მწერლობიდან ყველაზე მეტ მასალას ჩვენს ავტორს აძლევს ბიბლია, ძველისა და ახალი აღთქმის წიგნები. საკმარისია მოვიგონოთ ამ მხრივ, რომ თვით სათაური თხზულებისა ბიბლიურ მოტივზეა აგებული: აქ აღნიშნულნი მოაბადნი არიან ქრისტეს მოწაფეები, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უბრალო შეთევზენი იყვნენ, სძლიეს წარმართთა განსწავლულ რიტორებსო. ამასთან ერთად აქვე ნათქვამია, რომ ღმერთმან „ენაუტყუი მეტყუელყო ანგელოზთამთავრისა მიერ“, იგულისხმება ერთ-ერთი სერაფიმთაგანი, რომელმაც, ბიბლიური გადმოცემით, ნაკვერცხალი შეახო ისაია წინასწარმეტყველის ენას და პირში ჩაუღო მას საქადაგებელი სიტყვა (ისაია VI, 6—7). იშვიათია ისეთი ბიბლიური წიგნი ან პირი, რომელიც გამოყენებული არ იყოს მხატვრული შედარებისა და სურათისათვის.

პატროლოგიურ თხზულებათაგან ავტორს ციტატა მოჰყავს ბასილი დიდის შრომიდან, რომელსაც „ექუსთა დღეათავს“ ეწოდება და ქართულად გიორგი მთაწმიდლის მიერაა თარგმნილი. იცნობს ის აგრეთვე კირილე იერუსალიმელის თხზულებას კონსტანტი კეისრისადმი ჯვარის გამოცხადების შესახებ.

არაიშვიათად ავტორი თავისი აზრების დასურათხატების მიზნით აგიოგრაფიულ ლიტერატურასაც მიმართავს ხოლმე. ერთხელ საგანგებოდაც კი ასახელებს „მოწამეთა მეტაფრასებს“, სადაც ის თამარის მიერ ღომის დამორჩილების ანალოგიებს უჩვენებს (გვ. 454).

საეკლესიო მწერლობის დარგიდან ავტორი გატაცებულია აგრეთვე ჰიმნოგრაფიით. ყოველ შემთხვევაში, მას საჭიროდ დაუნახავს ჩაერთო თავის თხზულებაში ორი ნიმუში ასეთი პოეზიისა: ერთია „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად“, რომელიც თითქოს თვით თამარს დაუწერია შამქორის ომში ბრწყინვალე გამარჯვების გამო (გვ. 472—3), ხოლო მეორე იამბიკო ერთ-ხუთეული არსენისა (534).

მეორე დარგი მწერლობისა, რომელშიაც ჩვენი ავტორი სრული ბატონ-პატრონია, არის საისტორიო. თხზულების შესავალში ავტორს ხელმძღვანელიც კი დაუსახელებია, რომელსაც „ისტორიათა აღმწერლობაში“ უნდა მიბაძოს; ეს არის „პლუტარხოსი, ზემომხადლეელი ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემასხმელობისასა“ (363). მან იციის საგანგებო ეანრი საის-

ტორიო მწერლობისა, ე. წ. „ვასილოლრაფი, რომელ არს მოთხრობა მეფეთა“ (363), და რომლის ნიმუშს წარმოადგენს მისი შრომა.

პირველ ყოვლისა ავტორი იცნობს იმ ლეგენდებს, რომელნიც ისტორიის სახელით გასაღებულნი იყვნენ იმდროინდელ ქართულსა თუ სომხურ ისტორიოგრაფიაში, სახელდობრ: ნებროთის (363, 364, 395, 448, 474), ქაოსის (363, 448) და თარგამოსის (489) შესახებ. იცნობს ის ზოგიერთ ბიოსონაეებს ანტიკური ისტორიიდანაც; ერთ ადგილას ის ამბობს, რომ თამარი იცნობება მის მიერ მოწყობილი და აშენებული საქართველოს გათვალისწინებით, „ვითარ პითოდორა და კრიტია შენებულთა ხედვათაგან განსაცდელნი“ არიანო (403). იცის ჩვენმა ავტორმა „იერუსალიმის მოხბრების“ ისტორიაც ტიტესა და ვესპასიანეს მიერ (გვ. 531). ერთ-ერთი ომის წინ გიორგი მესამე ასე მიმართავს თავის მხედრობას: „გუასმეიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთათჳს ტომან ებრაელთამან არტაქსერქსის ზე, ელენთა—ოდეს იგი იძღუნებოდეს თემისტოკლეს მიერ, უცთომელისა სპასპეტისაგან, სოფლისმქონებელისა მძლისა ქსერქსის რომელმან ზღუაჲცა მტკიცე ყო უომრად სპათათჳს, ხოლო ათინელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნქცეულ იქმნა“ (371).

ჩვენს ისტორიკოსს უხვად უსარგებლნია გიორგი ამარტოლის ხრონოლრაფით. გიორგი მესამის ერთ-ერთი სამხედრო მოქმედების გამო ისტორიკოსი შენიშნავს: „ოდესმე ალექსანდრეცა იძლიეა დედაკაცისა მიერ და ეგრეთვე სამბსონ დალილაჲსაგან და სოლომონ სიბილაჲსაგანო“ (379); ეს ადგილი ამოღებულია გიორგის ხრონოლრაფიდან¹. მეორე შემთხვევაში ისტორიკოსი დავით სოსლანის შესახებ ამბობს: „შეირტყა მახვილი და კაპარკი მოსიმახოს, უცთომელმან მსროლელმან“. მოსიმახოსის სახელი შემოსულია მართიანეში მხოლოდ გიორგი ამარტოლის ხრონოლრაფიდან. ითვალისწინებს რა კაცობრიობის სარწმუნოებრივ მდგომარეობას უძველეს დროში, ჩვენი ისტორიკოსი შენიშნავს: „არამეცნიერნი და დამტევებელნი ღმრთისანი უზორვიდეს კერპთა, ხახუსა და ნიორსა და კინჳარსა“. ეს ადგილი ამოღებულია გიორგი ამარტოლის ხრონოლრაფიდან².

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ავტორი ამ ხრონოლრაფის გავლენას ფრაზეოლოგიაშიაც კი განიცდის; ასე, მაგალითად, სიტყვები: „აწ ფრთოვანო ლომნო ჩემნო“, „ანუ ვეფხისა მის ფრთოვანისა“ (გვ. 371, 383) ამოღებულია ხრონოლრაფიდან, სადაც ვკითხულობთ: „ამისთჳსცა ფრთოსანსა ვეფხსა მიაშგავსა იგი წინაჲსწარმეტყუელმან მყის სიმალით ცეცხლის სახედ მოვ[ლისათჳს] კუეყანისა“ (გვ. 11). ფრაზა „ბეკედსა სოლომონისსა“ (398) ამოღებულია იმავე ხრონოლრაფიდან, სადაც ნათქვამია: „რომლისა საბეკდაჲსა ზედა ეწერა სოლომონის მიერ მოგონებული იგი სახე საბეკდაჲისა“ (გვ. 91).

¹ ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 10, 70, 91.

² იქვე, გვ. 25.

ქართველ მემატრიანეთაგან ყველაზე დიდ გავლენას ჩვენს ავტორზე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ახდენს. მიზნით, მეთოდით, გეგმით, სტილითა და ხასიათით ეს ორი ნაწარმოები ძალიან ახლოსა დგას ერთმეორესთან. ორივენი ნამდვილს პანეგირიკს ან „აზმას“ წარმოადგენენ, ორივე დაწერილია რიტორული მკვერპრურობებით, ორივენი გმირები განდიდებული-ვაზნავიადებული სახით გამოიყურებიან, იქამდის, რომ მათ შესაქებად არამც თუ მათი, ავტორების, ძალა და უნარი არ კმარა, არამედ ისეთი დიდი ავტორიტეტისა, როგორც არაან ჰომეროსი, არისტოვულე, იოსიპოს ებრაელი, „სიტყუს მოქმედი“ და „ყოვლისა სოფლისა ბრძენთა და გამომეტყუელთა ენა“. თავის გმირებს ორივე ისტორიკოსი ადარებს ებრაელთა, ბერძენთა, სპარსთა, ქრისტიან ერთა ისტორიიდან და სხვადასხვა ენაზე არსებული ლიტერატურიდან ამოღებულ პერსონაჟებს, როგორცაა: ალექსანდრე მაკედონელი, მოსიმახი, აქილევი, კენტავროისაგან განსწავლილი, ბარამ-გური და სხვ. ორივე ისტორიკოსის შრომა ორ მთავარ ნაწილადაა გაყოფილი; პირველს ნაწილში მოცემულია „ხორციელნი საქმენი“ ან სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობის აღწერილობა, მეორეში—„საღმრთოთა და სულიერთა სათნოებთა“ (საეკლესიო-ზნეობრივი მოღვაწეობა). ერთნაირადაა გადმოცემული მათ მიერ ზოგიერთი ფაქტი, განსაკუთრებით სომხებთან სარწმუნოების შესახებ პაექრობა (325—6, 481—484). ისტორიკოსის სიტყვები „არა თუ წარმკვეთნი ერთი ათასთა და ორი ბევრთა იხილებოდეს, არამედ შემომკვეთნი ერთი ათასთა და ერთი ბევრთა ტყუემქნელად ჭელმწიფეთა, დიდებულთა და აზნაურთა“ (467),—გამოძახილია დავითის ისტორიის შემდეგი სიტყვებისა: „ერთი ათასთა არათუ სდეგდა, არამედ ხელითა იყრობდა, და ორთა არათუ წარექცივნენს ბევრნი, არამედ საბლითა თვთ მათითვე ტყუათ და მთხრებლათ ტყუედ მოჰყვანდეს იგინო“ (292).

ავტორს გამოყენებული აქვს ერთი ნახევრად ისტორიული, ნახევრად ბელეტრისტული ნაწარმოები, რომელიც „ივლიანეს რომანის“ სახელითაა ცნობილი. იქ, სადაც ის აპირებს თამარ დედოფლის გარდაცვალების ამბავი გადმოგვეცეს, შენიშნავს: „კონსტანტინეს ძმისა წულისა ივბიმიანოსისათჳს წერილ არს, რომელ ჰრქუა ანგელოზმან მონაზონსა ვისმე, რომელი ივლოვდა სიკუდილისათჳს ივბიმიანოსისა, ვითარმედ: რასა დააკლო ღმერთმან ქრისტიანეთა ესევეთარი მეფე, რომელსა ანგელოზმან დაადგა გვრგვინი სახილველად ყოველთა. და ეტყუდა ანგელოზი: რაჲ არს, ბერო, რასა გამოეძიებ შენ მსჯავრთა ღმრთისათა? აწ გიბრძანებ, დაცხერ გამოძიებისაგან მაგის ბოროტისა. არა უწყია, რომელ აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდე უკუეთუ ყოველი ქუეყანა მართლმადიდებელი იყოს, არცა იგი ღირს იყოს მეფობასა ივბიმიანოსისა, არა თუმცა საბერძნეთი ოდენ. ეგრეთვე აწცა იქმნა ამისა დიდისა მეფისა (თამარის) საქმე: არა თუ ოდენ საქართველო, არამედ არცა თუ ოდენ ყოველი ქუეყანაჲ ღირს იყო მეფობასა თამარისასა“ (გვ. 529—530).

უფრო საინტერესო და მდიდარი კატალოგი საერო მხატვრული თხზულებებისა, რომელთაც იცნობდა და კითხულობდა ჩვენი ავტორი და მასთან ერთად მისი დროის ლიტერატურული საზოგადოებრიობა. მის თხზულებაში

დასახელებულია არა ერთი და ორი ისეთი ნაწარმოები, რომელთაგან ზოგი დღესაც არსებობს, ზოგი დაკარგულია. ავტორი მოტრფილაჲა პოეზიისა და პოეტური სიტყვისა; საკმარისია მოვიგონოთ ამისათვის, რომ თავისი შრომის დასაწყისში, ლაპარაკობს რა გიორგი მესამის „ვახტანგანობასა და გორგას-ლიანობაზე“, ის იმოწმებს ერთსტროფიან შაირს ვიღაც პოეტისას, რომლის შესახებ ამბობს: „დალექსავეს მლექსავეი ვინმე და იტყვს“ (გვ. 365—366).

თხზულების ბოლოში კი, იქ, სადაც თამარის დასაფლავებას მოგვითხრობს, მას მოჰყავს იოანე კიმიმელის სახელით ერთსტროფიანი შაირი (გვ. 535).

ავტორი თავის მიზნებისათვის საჭირო მასალას იმდროინდელ ქართულ ლირიკულ თხზულებებშიაც პოულობს. ასე, მაგალითად, ის ეხმარება თამარიანს. ის აღფრთოვანებული კილო, რომლითაც ისტორიკოსი ავკიწებს თამარსა და მის საქმიანობას, ის იღვალისაჲცა თამარის პიროვნებისა, რომელსაც მის თხზულებაში ეპოულობთ, გადმოტანილია თამარიანიდან. თამარ ცხებული, ხობით, აღმასრულებელია საღეთო მისიისა; ისტორიკოსის შეხედულებითაც, თამარი—„ცხებული ღმრთისა“ და მჯდომი „საყდართა მათ ცამდი აღმართებულთა“ (გვ. 408—9), მოვლინებულია ქვეყნად ღვთის ნებისა და წინაგანჩინების აღსასრულებლად. ისეთი ფრაზები, როგორიცაა „სამებისაგან ოთხად თანაღლებული“ (გვ. 363), „სამებისა თანა იხილვების ოთხად თამარი“ (გვ. 398), შედგენილია ხობბათა ეპითეტების ზეგავლენით. განსაკუთრებით ოდის სიტყვები: „თამარ წუნარი, შესაწუნარი, ხმანარნარი, პირპინარი“ (11, 16), პირდაპირ გადმოსულა მატრიანეში შემდეგი სახით: „თამარ წუნარი და ნარნარი, ცნობიერი და გონიერი“ (გვ. 422), აგრეთვე „წყალ-ჯავარი“ (V, 36), განმეორებულია მატრიანეშიც (გვ. 409). თამარიანის სამიჯნურო წყვილების (V, 22—25) ზეგავლენით, შესაძლოა, ისტორიკოსს მოეგონებოდა მიჯნურთა ის წყვილები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

გამოუყენებია ისტორიკოსს აგრეთვე ე. წ. აბდულმესიანი (ავტორი ამ ხობბისა გადმოგვცემს, რომ „მართალი შვილის“,—გიორგი ლაშას,— დაბადების „გამო იკითხვენ, სწერენ, თაყუმსა სჩხრეკენ, რამლს ჰკერენ, არხევენ ბედთა მათთაგან“, მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან იწვიან, მზე მას ვერ ედრება და პირს არიდებს, ის „დოვლათ-სვიანად სუფევს მზიანად, შეიღთა მნათობთა გარმოზღუდვითა... განათდა არე მისთვს, ვით მთვარე“, შობა მისი „ღზინად ეყოფის ყველას“ და „არს მიწყვი შევბით და განცხრომით“. არსებითად ამასვე გადმოგვცემს ისტორიკოსიც.

ავტორს დაუმრტელ მასალას აძლევს მისი მიზნებისათვის, შედარებებისათვის, ეპიკური თანრის თხზულებები. საყურადღებოა, რომ ის თავისებურ კლასიფიკაციასაც კი იძლევა ამგვარი თხზულებებისას; მისი სიტყვით, არის სამი რიგის მოთხრობითი თხზულება: ჰაგიოგრაფიული, საგმირო და სამიჯნურო. შამქორის ომის წინ სპასპეტნი შემდეგი სიტყვით მიმართავენ მხედრობას: „მოვიგონნეთ ვითინიჲ სჯულისა და ქრისტეს კუალთა შედგომილენისათვს თავსმსხმელნი ლანძუთა და ტაფათა (და) კატაპელტოანი; და ვინმე

გმირნი, სახელის შიშობისათვის არა მრინი სიკუდილისანი; და ვინმე მიჯნურნი, მნათობთა მათთა მოგონებითა ყოვლად უწყალოდ მქმნელნი ჯორცთა და სულისანი“ (გვ. 465). პირველი რიგის მოთხრობითს თხზულებებს მას აძლევდა, როგორც ზევით იყო ნაჩვენები, ავთოგრაფიული მწერლობა, ხოლო მეორისა და მესამისა, — საგმიროსა და სამიჯნუროს, — იმდროინდელი მხატვრული საერო ლიტერატურა.

საერო მხატვრული ლიტერატურიდან მას უფრო იზიდავს სატრფიალო-სამიჯნურო თხზულებები, იქამდის, რომ ტრფობის ნიმუშებს ის, როგორც თავის ადგილას დაენახავით, ბიბლიაშიც კი ეძებს. ბურღუხან დედოფლის შესახებ ის ამბობს, რომ მისი სილამაზის წარმოსადგენად მინდა „ვთქუა სახეები გარეშეთა გინა თუ ვიეთმე სატრფიალოთა“ წიგნთაგან, მაგრამ „მაქუს შიში და კდემაო“ (გვ. 365). თამარის შესახებ კი ერთ ადგილას შენიშნავს: „დაჯდა ცხებული ღმრთისა საყდართა მათ ცამდი აღმართებულთა, შუენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხებითა მით მზეებრ ამოლონიანითა, სატრფო-საქურეტი დაბნედამდის და გაქრამდის ყოველთა გამცდელ-მხედთა და მაყურებლისა“ (გვ. 409).

საერო ნიმუშებს აეტორს აძლევს, პირველ ყოვლისა, მშობლიური ქართული ლექსდური წარსული, ბაყათარისა და თარხანის სახით, რომელთაც ის დავით სოსლანს ადარებს (გვ. 458), მერე — დასავლური — ელნურ-ბიზანტიური ლიტერატურა, კერძოდ ჰომეროსის პოემები და ფსევდო-კალისტენის „ალექსანდრია“, რომელთა პოპულარობა კლასიკური პერიოდის საქართველოში სხვა წყაროებითა და ძეგლებითაც დამოწმებულია. თავისი შრომის შესავალში ის, ითვალისწინებს რა სიდიადეს შესაქები მეფეებისას, ამბობს: მერგორი გაკვადნიერდე ამისათვის, მათდა „შემსხმველად ხაშს ჰომეროსისო“ (363). გიორგი მესამე, მისი სიტყვით, არის, „აქილეუ გმირთა შორის“ (364). „ახალი აქილეუ“ (395), „მკლავითა აქილიანი“ (397), მსგავსი აქილევისა არის სოსლანი (467). ალექსანდრე მაკედონელის სახელი თხზულებაში არა ერთხელაა მოხსენებული (363, 364, 372, 379, 395, 475), შეიძლება წმინდა ისტორიული თხზულებებიდანაც, მაგრამ ერთი ციტატა უეჭველად უნდა ფსევდო-კალისტენის „ალექსანდრიას“ გულისხმობდეს. (475). აქ ლაპარაკია ინდოეთის მეფის პორეს შესახებ, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა სძლია, მაგრამ, მოხიბლულმა მისი მამაკობითა და კეთილშობილებით, არამც თუ შეუნარჩუნა მას სამეფო, გაუფართოვა კიდევაც და გულითად მეგობრად გაიხიდა ის. შემდეგ, როდესაც პორე მუხანათურად მოკლეს, ალექსანდრემ ის გულწრფელად გამოიგლოვა და გამოიტირა.

ყველაზე მეტად ჩვენს ისტორიკოსს შედარებისთვის გამოყენებული აქვს აღმოსავლური, ტაჯიკურ-სპარსული ლიტერატურა.

ერთ-ერთი მთავარი ნაწარმოები, რომელიც მასალას აძლევს მას შედარებისათვის, არის შ ა ჰ ნ ა მ ე ფირდოუსისა; ქაიხოსრო, სპანდიარ, სიოშ, როსტომ, გიგი, — აი მთავარი პერსონაჟები შაჰნამესი, რომლებიც აეტორს გამოყენებული ჰყავს შედარებისათვის. გიორგი მესამე, ამბობს ის, იყო „ვითარცა ქაიხოსრო მპყრობელთა შორის, სპანდიარ და სიოშ გოლიათთა შორის“

(364); თამარის ის ეძახის „ქაიხოსროს მსგავს ველმწიფეს“ (403), ის ახსენებს „დიდებულთა ბუმბერაზთა და მოყმეთა, მსგავსთა როსტომისთა და გივისთა“ (458).

მეორე თხზულება ირანული მწერლობისა, რომელსაც ჩვენი ავტორი იყენებს, არის ვისრამიანი. თამარისათვის ისე იყენებ ვახულებულნი, „გიოთარამინ ვისისათჳს“ (415), „სალღუხის ძის ძემან, სახელით მუტაფრადინმან... ნახვასავე თანა თამარისსა რამინისებრი აჩვენა ცრემლთა ნაკადთა მრავლობა“ (425).

მესამე თხზულება იმავე ლიტერატურისა, რომელსაც ჩვენი ავტორი ასახელებს, არის „ქილილა და დამანა“. (378). „ქილილა და დამანას“ კლასიკურ საქართველოში, კერძოდ თამარის დროს, რომ იცნობდენ, ამას ადასტურებს მისი მთარგმნელი მე-18 საუკუნეში ვახტანგ VI, რომელიც ამბობს: „უამსა მას პატრიოსნისა და ამალღებულისა... მეფეთ-მეფისა თამარისა ესე წიგნი ეთარგმნათ, რომელი ცხოვრებასა ქართლისასაც წერილ არსო“¹.

ლიტერატურული წარმოშობის უნდა იყოს ერთი ციტატა ჩვენი ისტორიკოსისა, თუმცა სახელდებით ჩვენება მისი წყაროსი ძნელია. მოგვითხრობს რა ათაბაგისა და მისი ჯარის განადგურებას შამქორის ომში, ავტორი შენიშნავს, რომ სათმაზ ეზდინის სიუხვისა სახელი სპარსეთს ასეთი ითქუმოდა: „ჰეტემ თაელისი“ (468). „ჰეტემ თაელისი“ უნდა წარმოადგენდეს დამახინჯებას ერთი ლეგენდური არაბის სახელისას, რომელიც სპარსულად გამოითქმოდნა როგორც „ჰათემ თაი“, ესე იგი—ჰათემ თაის ტომიდან. ეს არაბი, ლეგენდით, ყოფილა მეტად უხვი და სტუმართმოყვარე, ასე რომ აღმოსავლეთში, კერძოდ სპარსეთში, ის შექმნილა სიუხვის, ქველმოქმედებისა და გულგაშლილობის სინონიმად. ჩვენს ისტორიკოსს სურს თქვას, რომ ვილაც სათმაზის შამის სიუხვე სპარსეთში ყველას აგონებდა ჰათემ თაის სახელსაო. ექვს გარეშეა, ეს სახელი მისთვის ცნობილი ყოფილა, თორემ ის მას არ აღნიშნავდა, რაც გულუხვი არ უნდა ყოფილიყო სათმაზის შამა.

განსაკუთრებით საყურადღებოსა და მდიდარ ლიტერატურულ ფაქტებს ჩვენი ისტორიკოსი იძლევა იქ, სადაც ის აგვიწერს დიდებულთა ზრუნვასა და თათბირს თამარისათვის საქმროს მოძებნისა და მოყვანის შესახებ. დიდებულთა აზრით, თამარის საქმრო უნდა ყოფილიყო ყოველივე ღირსებით შემკული და ამავე დროს ისეთი მიჯნური, როგორც მას სცოდნია სხვადასხვა სამიჯნურო-სატრფიალო რომანებიდან; აქ ის ჩამოგვითვლის მთელ რიგს ასეთი მიჯნურებისას.

ეს საყურადღებო ადგილი ჩვენი ისტორიკოსისა, ჩვენ მიერ შესწორებული და აღდგენილი სახით, შემდგენილია წარმოგვიდგება:

„შეიყარნეს შემკირნენი და ზრახვა ყვეს ძებნად წალმართისა და მოყვანად ქრმისა, რომლისათჳს ჯამდა თუმცა ყოფილიყო უამი გმირთა და გოლიათთა ყოფისაჲ, ანუ-მე გარეშედ წოდებულთა ელინთა სისხლთა დათხ-

¹ ქილილა და დამანა, გამოცემა ი. გუონიასი, გვ. 11.

ვისაჲ, ანუ-მე გაქრანთ მიჯნურთანი, ცოფ ქალთათჳს ქმნილთანი, ვითარ თაჰამთან თუმიანისათჳს, ვითარ ამირან ხორაშნისათჳს, ვითარ ხოსრო შანშა ბანუისათჳს, ვითარ მშეკაბუკ მზისათჳს ხაზართასა; ვითარ იაკობ რაქელი-სათჳს და იოსებ ასენეთისათჳს, დავით ბერსაბესთჳს და აბისაქისათჳს, ვითარ პელოპი მწენდმბრძოლი ჰიპოდამისათჳს, ენოშაოსის ასულისა, ვითარ პლუტონ პერსეფონისათჳს, ვითარ რამინ ვისისათჳს, ვითარ ფრიდონ შაჰრი-ნოს—არნავაზისთჳს, ვითარ შადბერ აინლიეთისთჳს. და უჩნდა სავაჲსოდ, თუმცა გამოჩენილ იყვნეს ვინმე ანუ გმირნი სხუანი გმირთანი, ანუ მამანი სხუანი მამათმთავართა შუენიერთა და კეთილად მბრძოლთანი, სისხლდამთხე-ველნი შეყუარებულთათჳს, ანუ მიჯნურნი ლომნი და მშენი, მკვებერ გაქრილ-ნი ამის მზისა და უმეტეს მზისა და თვთ მათ მითხრობილთა მზედ და მნათობლად საგონებელთა უბრწყინვალესისა და უნათლესისათჳს; გარნა ვი-ნათგან ცუდსაგონებელ იქმნა და აღარ დაეხდა ღმერთსა სწორო ამისი, არცაღა, მგონიეს თუ დაბადებად არს, გამოვიწმინდა მეტყუელი მკვლართგან ტფილისისათა, თავადი და მეფეთ-მეფეთაგან წყალობა-ველდასხმული, ამირაჲ ქართლისაჲ და ტფილისისაჲ, სახელით აბულასან, და მან თქუა“...

ეს ადგილი, ისტორიულ-ლიტერატურული და ბიბლიოგრაფიული თვალ-საზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია კლასიკური პერიოდის ქართუ-ლი ლიტერატურის გასათვალისწინებლად. ავტორს ლიტერატურული მაგა-ლითები მოჰყავს მითოლოგიიდან, ბიბლიიდან და სპარსული წარმოშობის თხზულებებიდან, როგორცაჲ: შაჰნამე, ვისრამიანი, ამირანდარეჯანიანი და ონსორის დაკარგული „შატბერ და აინლიეთი“.

ავტორის განათლების მაჩვენებელია, სხვათა შორის, მისი მაღალფარ-დოვანი, მოქარგულ-მოგვირისტებული, მხატვრულ-პოეტური სტილი, რომე-ლიც რიტორული განვითარების უმაღლეს მწვერვალზე დგას. ის, როგორც მოხდენილად ამბობს თ. ჟორდანიანი, „მუსიკობს, მკვერმეტყვეობს, ენა-წყლინობს, სახემეტყვეობს, რათა ენამზიანობით რამდენადმე შეგვაგნებ-ნოს დიდებულება მეფობისა, რომლის ვრცლად აღწერას ვერ ჰკადრულობს, ვერ ახერხებს“¹. საერთოდ თხზულებას ახასიათებს მძიმე, მწიგნობრულ-სქო-ლასტიკური, გასაგებად ძნელი, პეტრიწონული სტილი, რთული სიტყვები, ქართულისათვის არაჩვეულებრივი კომპოზიციები, ზედშესრული სახელის „ითი“ სუფიქსით წარმოება, განსაკუთრებით გრძელი პერიოდები, რომლებშიაც წინადადება შემოკლებულია ზნის მიმდებარით ფორმის საშუალებით, რომე-ლიც ამავე დროს ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს.

განსაცვიფრებელია სიმდიდრე და ნაირნაირობა ავტორის პოეტური აქსესუარისა. ძნელი და შეუძლებელია ჩვენება ყველა იმ პოეტური სახის, სურათისა და ხერხისა, რომელიც მის შრომას ახასიათებს (რამდენადმე ამაზე შეიძლება წარმოდგენა მოგვცეს ზემოაღწერილმა ადგილებმა), ამისთვის საჭირო იქნებოდა თითქმის მთელი თხზულების გადმოწერა. საერთოდ ეს

¹ ქრონიკები, I, გვ. 1.

უნდა ითქვას, რომ ეს, მიზანდასახულობით სიისტორიო, შრომა ნამდვილი მხატვრული ნაწარმოების მიჯნებამდე აღის. ეს პროზით დაწერილი ხოტბაა, ისტორიულ ჩარჩოში ჩასმული.

ბ. ცნობილია მითით-მითის თამარისა

მეორე ისტორია თამარისა, რომელიც 1923 წელს იქნა აღმოჩენილი, შედარებით პირველთან, მოკლედ გადმოგვცემს თამარის მეფობის ამბავს¹. თავისი ხასიათით ეს შრომა არსებითად განსხვავდება პირველისაგან. ის საომარ მოქმედებათა მიმდინარეობას არ გვისურათებს, მისი ავტორი არც სამეფო დარბაზობის აღწერილობით ყოფილა დაინტერესებული, ის არც მმართველთა უმაღლეს წრეს უნდა ჰკუთვნებოდა, მას აინტერესებს ისეთი დეტალები თამარის ცხოვრებისა, თუ სად და როგორ ლოცულობდა, როცა ჯარს საომრად ისტუმრებდა ხოლმე, ვის ეპირა ჯვარი, როდესაც მას მეომარნი ემთხვეოდნენ, საჯანგებოდ აქებს სასულიერო პირებს, ძალიან უხვად სარგებლობს საღვთო წერილის ციტატებით; მსოფლიო ისტორიიდან მოყვანილი შედარებანი მას ცოტა აქვს და არც ერთი სპარსულ-არაბული მხატვრული მწერლობიდან ამოღებული მაგალითი არ მოეპოვება, ის უმთავრესად საღვთო წერილისა და ბერძნული ეპოქაღმწერელობის ძეგლებში ნაკითხ ადამიანად გვეჩვენება და მაჰმადიანური მხატვრული თუ ისტორიული მწერლობის ნაკითხობა არ ემჩნევა. აქ მეტი ყურადღება აქვს მიქცეული თამარის აღზრდა-ცხოვრებას და ღვთისსიერებას, მის ღროს ჩენი ქვეყნის სარწმუნოებრივ-ეკლესიურ მდგომარეობასა და ზნეობრივ დონეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენ საქმე გვაქვს თამარის ხსენების დღეს განკუთვნილ სვინაქსარულ საკითხავთან.

არავითარი ცნობა შესახებ ავტორისა და თხზულების დაწერის დროისა არ მოგვეპოვება; ჰიპოთეზის სახით ვარაუდობენ, რომ ის დაწერილია 1210—1213 წ. თამარის თანამედროვის ბასილი ეზოს. მოძღვრის მიერ. ეს სწორი არ უნდა იყოს. ისტორიკოსის ცნობა—თამარის გარდაცვალებისას „ჩუენთანა იგლოვდესცა და ყოველი სოფელიო“—არ შეიცავს აზრს, რომ ისტორიკოსი თანამედროვეა თამარისა: სიტყვაში „იგლოვდესცა“ „ცა“ ნაწილაკი კი არაა ზმნასთან (მაშინ მომდევნო „და“ გაუგებარი იქნებოდა), არამედ სრულიად დამოუკიდებელი სიტყვაა—ცა: თამარის გარდაცვალებას იგლოვდა ცა და ყოველი სოფელი „ჩუენ თანა“, არა თამარის თანამედროვეებთან, არამედ

¹ გამოცემულია ი. ჯავახიშვილის მიერ („ენიშის მოამბე“, ტ. XIV, 1944 წ., გვ. 333—357). არსებობს რუსული მისი თარგმანი ვ. დონდუასი (Василин, историк Цариды Тамары, კრებული: Памятники эпохи Руставели, გვ. 33—76). ლიტერატურა: ი. ჯავახიშვილი, იქვე შესავალი წერილი, გვ. 321—332; მისივე, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, „თბილ. უნივ. მოამბე“, III, გვ. 186—210; კ. კიქელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 127—129; ისტორიანი და აზნანი, როგორც ლიტერატურული წყარო, „რუსთაველის კრებული“, გვ. 134, შენ. 1; შესავალი წერილი „ისტორია-აზნანის“ გამოცემისა, გვ. 33—36.

ქვეყნის მცხოვრებლებთან ერთად. ბასილის ავტორობის სასარგებლოდ არ კმარა ცნობა თხზულებისა, რომ ჯვარი, რომლის სამთხვევად მიდიოდნენ მეომარნი, „ერთითა ხელითა თამარს ეპყრა, ხოლო მეორითა ეხოს მოძღუარსა ბასილის“. ამ საბუთით თამარიც ხომ შეიძლება აღიარებული იქნეს ავტორად, მაგრამ მთავარი ისაა, რომ, როგორც შენიშნულია, ავტორი არ ეკუთვნის მმართველთა წრეს, ის არის დაინტერესებული სამეფო დარბაზობის აღწერა-რილობით; „ეზოს მოძღუარზე“ კი, ბასილი იქნება ის თუ სხვა ვინმე, ამის თქმა არ შეიძლება. თუ მხედველობაში მივიღებთ ისტორიკოსის ცნობას, რომ თამარის დაი, ყოფილი დედოფალი რუსუდანი, 80 წლის რომ გახდა, მოლოზნად შედგაო (გვ. 333), უნდა ვიფიქროთ, რომ თხზულება დაწერილია გაცილებით გვიან, ვიდრე 1210—1213 წლები. ისტორიკოსის ცნობით, გიორგი რომ გამეფდა, მას შეილი არ ჰყავდა (გვ. 333); ვთქვათ, რუსუდანი პირველი შეილი იყო მისი და 1156 წელს დაიბადა, 80 წლის ის გახდებოდა 1236 წელს მხოლოდ, მაშასადამე, ამაზე ადრე თხზულება ვერ დაიწერებოდა, უფრო გვიან კი მოსალოდნელი და საფიქრებელია.


ამ ისტორიკოსის ენა ოდნავადაც არ მიაგავს პირველი ისტორიკოსის ხელოვნურ, რიტორულ, მძიმე ფილოსოფიური ტერმინოლოგიით დატვირთულ ენას. მისი მოთხრობა მკვირცხლად მიმდინარეობს, მსუბუქი ენით არის დაწერილი და ბუნებრივობითა და გულწრფელობითაა აღბეჭდილი. ამასთან ის მხატვრობასაც არაა მოკლებული. ავტორს ემარჯვება მოხდენილი პოეტური გამოთქმები, შედარებანი და სახეები. განსაკუთრებული პოეტური ექსპრესიითაა დაწერილი, „გლოვა“ გარდაცვლილი თამარისა (354—7), რომელიც მოგვაგონებს გიორგი მციარის „გლოვას“ გიორგი მთაწმიდლის (სედიართან. ავტორს დაუხატავს თამარის არა მარტო სულიერი, არამედ ხორციელი სურათიც. თამარს ამკობდაო, ამბობს ის, „ტანი ზომიერი, გრემანობა თულთა და ლაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნება, მორცხუივ ხედვა, ლალი მიმოხედვა, ტბილი პირი და ულიზლო სიტყუის სინარნარე“ (333). მან, როგორც მეფემ, „განიოტა წურბლისა მსგავსი ვერმძღრისობა“ (356) და აგრესიულ პოლიტიკას არ აწარმოებდაო; პირიქით, ყველას ჰფენდა წყალობას, „ვეითარცა ღრუბელი ყოველთა ზედა მსხურებელ იყო ტბილთა წუი-მათა“ (356). ის იყო „სანთელი გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუელ; აღჯრი იყო უწყსოდ მკართომელთა და დეზუდებთათვს“ (356), „ვეითარცა მზე, სწორპატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თვსთა შარავენდედთასა“ (355). დიდებულნი მოითხოვდნენ თამარისაგან გათხოვებას, „ყოვლითურთ შეაიწროებდეს სულსა მისსა და ირემსა ემსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა, პილოთაებრ არა განიხილვიდეს მისაყრდნობელსა და ესოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს“ (336). მან მეორე საქმროდ მოუწოდა დავითს. თამარი და დავითი, „ეს ორნი მნათობნი, ორნი მზენი, ორნი განმანათლებლნი“ (338), შევიდნენ თბილისში, „ვეითარცა შარავენდედი მიფენითა“ (349). დაუღალავი იყო თამარი მართავაგამგობის საქმეში, სხვათა შორის, მან მოიწვია დიდი საეკლესიო კრება, მას ხელმძღვანელობას უწევდნენ ნიკოლოზი და ანტონი, „რომელნი, ვითარ

პირმეტყუელნი მთიებნი, უძლოდეს მომრგულებასა ცაებრივსა მის ვარსკვლავთა კრებულისასა“ (335—6). გავიდა დრო, მოახლებულ იყო „მწოდებელი“—სივედილი, რომელიც „კართა ზედა დგა“... წინააღდგომობა შეუძლებელი იყო, „დღემან იწყო მიდრეკად და მზემან დასლვად და ჰაერმან სხუადფერად უფერულობა. და ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა: დაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაქნობად, და თუალთა მათ, ტბაებრ მზისა შემცხრომელთა, სიმრუმედ მიმართეს“ (353).

ხშირი იყო თამარის მეფობაში თავდასხმა მტერთა, რომელნიც „სიმრავლითა უმეტეს იყვნეს რიცხუსა, ვითარცა მკალნი“ (341) და „ჯინჭუენი“ (345). მოიწვიეს ლაშქარი, „ათსა შინა დღეთა, ვითარცა გროი ზავარდენთა, მოფრინდა ყოველი მხედარი“ (340), „ცოტა დღეთა შინა შემოკრბეს, ვითარცა ვეფხნი სიკისკასითა და ვითარცა ლომნი გულითა“ (346). ისინი, ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვივდეს“ მტრებს (348), „ვითარ არწივთა მიმართეს და ვითარ ვეფხნი ეკუთვნეს“ მოწინააღმდეგეთ, რომელთაც „ვითარცა თავუთა მოსრევდეს და ვითარცა ქათამთა იპყრობდეს“ (341). შებრალებდა არ იყო, „ვითარ არწივთა კაკაბნი, ეგრეთ დანაბნიან ყოველნი წინააღმდეგობნი“ (343) თვისნი; ის, ვინც გადაურჩა ქართველთა ხმალს, „ვითარცა მელნი იმაღლოდეს, და, ვითარცა მთხუნველნი, ძურებოდეს მიწათა შინა“ (339). დამორჩილებული მტრები მოჰყავდათ „ვითარცა თიქანნი“, „გაქცეულთა ხოცდეს, ხოლო ნეშტთა, ვითარცა მართუეთა ქათამთასა, მოჰკრეფდეს და გამოუშვებდეს“ (349). ზვიადი ნუქრადინი, რომელმაც მრავალი ჯარი შეკრიბა და ომისთვის ემზადებოდა, საგანი გამხდარა ასეთი შედარებისა: „ვითარცა იტყვან გძღარბისათჳს კმელისა, შვილ-მრავალ არს ცხოველი ესე და, რაჟამს იხილნის ნაშობნი თჳსნი მრავლად, გამოვალს ბუდით თჳსით მართუებით და განაწყობს და გოდლოის მათ ზედაო“ (346).

ბანყოფილება მეოთხე

ჩვენ განვიხილეთ ეპოქის, ლირიკისა და ისტორიული ხასიათის ის ძეგლები, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ. ისმის საკითხი: ნუთუ კლასიკური პერიოდის ლიტერატურული მემკვიდრეობა ამ ძეგლებით ამოიწურებოდა? თუ გავიხსენებთ იმას, რაც ზემოთ მომდევნო, დაცემა-დაკნინების, პერიოდის შესახებ იყო ნაჩვენები (გვ. 19—20), დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენამდე არ შენახულა ყველაფერი ის, რაც კლასიკურ პერიოდში არსებობდა და ცნობილი იყო, ბევრი რამ დაკარგულა და მოსპობილა. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ როგორც განხილულ ლიტერატურულ ძეგლებში, ისე იმავე ხანის საისტორიო თხზულებებში მოხსენიებულია მთელი რიგი მხატვრული ძეგლები, როგორც ორიგინალური, ისე. ნათარგმნი, რომელთაც კლასიკური პერიოდის მკითხველნი იცნობდნენ და რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. საჭიროა მთელი ამ მემკვიდრეობის ზოგადად მაინც აღნიშვნა, რათა უფრო ნათელი გახდეს ჩვენთვის ამ პერიოდის ქართული კულტურული საზოგადოების ლიტერატურული გემოვნება და ინტერესი.




ვეფხისტყაოსანა :

აწ ახალი ლბეჭდული ქართულის ენასა ზედა ქაშისა ამა
ღღობულისა საქართველოს მსყრობელისა
უფლისა უფლისა ვახტანგისსა :
შრომითა ლწარსაგებელითა მისეე მსყრობელისათა :



ვაიმართა ჯელითა ჯელმწიფის კარის ღეკანოზის შვი
ლის მიქედისათა : ქალაქსა ტფილისისასა
ქრისტეს აქეთ
ათას შვილას ლთორმეცსა ლსაბამითან ვიდრე
აქამომდე შვილიათას ორას ოცსა :



სიგაგაპი სხადასხვა თხზულებიდან

დაეწყოთ ორიგინალური თხზულებების განხილვიდან.

«ვეფხისტყაოსნის» ფსევდორუსთველურ სტროფში წათქვაშია, რომ ფენადაუშრომელ სარგის თმოგველს უქია დილარგეთიო» (1669). თხზულება, რომლის სახელი იყო დილარგეთი, დილარგეთიანი, resp. დილარიანი, ჩვენამდე არ შენახულა არც მთლიანად, არც ექსცერპტულად¹, მაგრამ ასეთი თხზულება რომ მართლაც არსებობდა, ეს ჩანს ჩაბრუხადის თამარიანიდანაც, რომელშიც ვკითხულობთ (VII, 17—19):

თუ ვერინ გნახის, მით ივაგლახის, შეიკმნებოდის განციფრებულად;
მოუბარისა მის მდულარისა დილარისაგან აღშფოთებულად
თავსა კლვად სდებდეს, ხვეკით ეებდეს შენსა ნახესა მიახლებულად.

ზოგიერთ მკვლევარს ეს ადგილი ისე გაუგია, ვითომც ჩაბრუხადის მხედველობაში ჰყავდეს თამარ დედოფალი, დილარიანით აღშფოთებული. ნამდვილად კი ამ სიტყვების აზრი შემდეგია: პოეტს უნდა აღნიშნოს, რომ ყველა მონღოლმებულია თამარის პირისპირ ნახვასა და შეხედვას; ვინც ამას ვერ ახერხებს, ის ვაგლახობს და განციფრებულია. არიან ისეთები, რომელნიც მისი ახლოს ნახვის სურვილითა და ძებნით თავს იკლავენ, ესენი არიან აღშფოთებულნი ან, სხვანაირად, აგზნებულნი დილარის ამბით, რომელსაც, ალბათ, ის თვითონ გადმოსცემდა. ესე იგი, როგორც დილარი თავგამოდებით დაეძებს მისთვის სანუკვარი პირის დაახლოებასა და ნახვას, ისე მისი ამბით აღშფოთებულნი ან აგზნებულნი დაეძებენ თამარის ნახვასო. აქედან ჩანს, რომ მეტამეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც თამარიანი იწერებოდა, ცნობილი ყოფილა დილარის ამბავი ან «დილარიანი», რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მკითხველებზე, ისინი აღშფოთებული, ესე იგი გატაცებული, აგზნებული და შეპყრობილი იყვნენ ამ ამბის სიცხოვლითა და ინტერესით. თუ შედარებებსა და პარალელიზმს მივიღებთ მხედველობაში, «დი-

¹ ეს «დილარიანი» არ არის პეტრე ლარაძის სახელით ცნობილი «დილარიანი», არც ის ორი თავი—დილარის ჯიშურისა და მისი შვილის არმოკლა-ჯიშურის ამბის შემცველი, რომელსაც ჩვენ ვაოულობთ «ამირანდარჯიანიანის» ზოგიერთ ნუსხაში დამატების სახით.

ლარიანში¹ ლაპარაკი უნდა ყოფილიყო გმირ-ჰაბუკის მიერ თავისი სატრფოს ძებნის შესახებ, ესე იგი «დილარიანი» ყოფილა სადევგმირო და სამიჯნურო ნაწარმოები.

«დილარიანის» ავტორი, სარგის თმოგველი, ჩახრუხადის გადმოცემით, ყოფილა «მდულარე მოუბარი», ესე იგი ცხარე, შეუჩერებელი, გამტაცებელი და, ამასთანავე, ფსევდოროუსთველური ტაეპის ავტორით, «ენადაუშრომელი» ან დაულადავი მოუბარი, სხეანირად—ავტორი გრძელი და დიდი ამბისა. ამ სიტყვიდან ისიც შეგებოდა დავასკვანთ, რომ დილარიანის დაწერილი იყო სარგისის მიერ საუბრის ან მოთხრობის სახით და არა ლექსად. ეს სარგისი უნდა იყოს სარგის პირველი თმოგველი, «ვისრამიანის» ქართულად მთარგმნელი.

ზემოთ, თავის ადგილას, უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კლასიკურ ხანაში ყოფილა რაღაც თხზულება, რომელსაც სახელად «აბდულმესია» რქმევია, და რომ, ამ თხზულების დაქარგვის შემდეგ, ეს სახელი მიჰკუთვნებოდა იმ ხობტას ან ოდას, რომელშიაც შექმნილი არიან დავით აღმაშენებელი და თამარ დედოფალი. ამაზე ახლა აღარ შეგჩერდებით.

გარდა ამისა, ქართლის ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ ყოფილან თამარის უამრავი «მაქებელნი» (გვ. 333—338), რომელთა პროდუქცია ჩვენამდე არ შენახულა. ცნობილია დაინებებით გადმოცემა პოეტ ისე ხემშის ძე ძაგნაკორელის შესახებ², რომელიც თითქოს რუსთაველზე ადრე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და რომლის მიერ შემოღებულ სალექსო ფორმას «ძაგნაკორული» ერქვა. ამისიც არაფერი დარჩენილა ჩვენამდე³.

¹ «აღმაშობა», II, გვ. 185—186.

² აქ არ ვახსენებ თეიმურაზ მეორის მიერ დასახლებულ «ბისტრია მეზარეს», რადგანაც საკუთა, რომ ის კლასიკურ ხანას ეკუთვნოდეს (პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო შემეცნებლობა, «რუსთაველის კრებული», გვ. 75—77; შდრ. ა. შანიძე, ფსიქოკურის ისტორიისათვის, «ლიტერატურული ძიებანი», II, გვ. 5—13). თავს ვიკავებთ აგრეთვე ვითომცდა «რადდარ», «რაშენ» და «ეთერიანის» რომანებისაგან. «თამარიანის» «რადდარად» და «რაშენ» (V, 19, 28) სიტყვებში, რომლებშიაც, ნ. მართ, «п о ж а л у ж е, с к р ы в а в а т с я с о б с т в е н н ы е и м е н я к а к и х т о р о м а н т и ч е с к и х г е р о в ы» («Древне-груз. олопиха», გვ. 99, შენ. 1), პ. ინგოროყვამ ნამდვილი რომანები დაინახა (იქვე, გვ. 40—41; «ეპიკოსონი», № 1—2, გვ. 286), მაგრამ ეს საეჭუო უნდა იყოს: «რადდარად», თუ ეს საკუთარი სახელია, უნდა იყოს ძალზე დამახინჯებული ბიბლიური სახელი ქალისა, ვინაიდან ის მოთავსებულია «ივდითი, დალიდა და დებორას» სახელებს შორის, ბოლო სიტყვები: «ნებითრად რა შენ გემუდარა შენ» უნდა წაკითხულ იქნეს ასე: «ნებით არ აშენ», ესე იგი—ნებაყოფლობით არ გახადე შენი, უფო, შენ არ გახადი მისი (იგულისხმება ვიღაც თამარის ხელის მძებნელი), გემუდარა, შეგებუწვა შენ, აქედანაც არაფერი გამოვიდა, შერე სამონოდ, დასაყრობად მოგმართა. სიტყვები—იყო ეთერი, მაგრამ ეთერი არა ჰქვია მასცა სულნახუთევადა (V, 21), არ გულისხმობს არაფერთა «ეთერიანის» რომანს (პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 37—40), აქ ლაპარაკია ბიბლიურ ესთეზე ან, ქართული ხალხური გამოთქმით, ეთერზე (იხ. «ბიბლიაში» წიგნი ესთერისა) ამ სიტყვების ახრი ასეთია: იყო ეთერი (ბიბლიური), მაგრამ მისთვის «ეთერია»—ეფირო არ დაუარქმევია ღმერთსო (იგულისხმება, რომ თამარს ეთეროვანს და ეთერ-ბრწყინვალეს უწოდებდნენ).

³ 1941 წლის «მნათობის» შესახებ ნომერში (გვ. 115—153) პ. ინგოროყვამ გამოაკვივდა «თამარ მეფის იამბიკონია», ოთხი უცნობი: მარიამ მეტეპიტელის, გიორგის, თევდორესი და

ახლა თვალი მიმოვაგლოთ, რომელ უცხოურ თხზულებათა სახელებს ვხვდებით ჩვენ კლასიკური პერიოდის ლიტერატურაში. ზოგადად უნდა აღვნიშნოთ, რომ ციტატებს ვხვდებით როგორც დასავლური, — ელინურ-ბიზანტიური —, ისე აღმოსავლური, — ირანულ-მამადიანური, — სამყაროდან მომდინარე თხზულებებიდან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, რომელშიც თითქოს საგანგებო კატალოგია მოცემული საქართველოში იმ დროს ცნობილი ასეთი თხზულებებისა.

განვიხილოთ ჯერ ცნობები დასავლური, ელინურ-ბიზანტიური სამყაროს თხზულებების შესახებ.

ამ მხრივ პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ რომანი ალექსანდრიანი. ეს თხზულება, რომელიც შეიცავს ალექსანდრე მაკედონელის ლეგენდურ თავგადასავალს, ატარებს კალისტენის სახელს. კალისტენი იყო ძმისწული ფილოსოფოს არისტოტელისა, ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებლისა, მისი ბავშვობის ამხანაგი და მერე თანამგზავრი აზიაში. ეს რომანი ნამდვილად კალისტენს არ ეკუთვნის, ვინაიდან კალისტენი ალექსანდრეზე ადრე გარდაიცვალა, რომანში კი აღწერილია ალექსანდრეს გარდაცვალება, ამიტომ ის ფსევდოკალისტენის სახელითაა ცნობილი. ალექსანდრიანი, რომელიც გაჩნდა ბერძნულ ენაზე მესამე საუკუნის დამდეგს ქრისტეს შემდეგ, შეიცავდა მოპულარული ყოფილა შუა საუკუნეებში, მისი შინაარსითა და ეტიმოლოგიით ისტორიკოსებიც კი სარგებლობდნენ, როგორც, მაგალითად, მოსე ხორენელი (III, 28). ეს რომანი ქართულადაც ყოფილა ცნობილი შედარებით ადრე, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, ვინაიდან მისი კვალი ჩვენ გვაქვს, ჯერ კიდევ, ქართლის მოქცევაჲ-ს ქრონიკაში, რომელშიც ვკითხულობთ: «პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიკცინა და შეტანა იგი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი... და უკვირდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ჯორციელსა სკამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შემკამდეს»¹. ცნობა ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ყოფნის შესახებ შეტანილი უნდა იყოს ჩვენ მატრიანეში სწორედ ამ რომანიდან და არა იმ კლასიკურ მწერალთა თხზულებებიდან, რომელთაც შეცდო-

თმარის, ორი ცნობილი: ხახულის ბატის წარწერა და იამბიკო შამქორში გამარჯუებისა. რატომღა პირველი ოთხი თამარის კუთვნილება? იმიტომ, რომ მეოთხეს აწერია: «თამარისი». მაგრამ პირველ სამს რომ არ აწერია ასეთი სახელი? იმათ აწერია: მარიამისი, გიორგისი, თევდორესი, მახსადამე, ისინი ამ პირების კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ. წარწერა «თამარისი» (ანდა მარიამისი, გიორგისი, თევდორესი) იმას კი არ აღნიშნავს, რომ ის თამარის თხზულებაა, არამედ იმას, რომ ის «თამარის შესახებ», «თამარზე» დაწერილი, მართალია, ხახულის ბატის წარწერაში ცკითხლობთ — «მე თამარ», ხოლო შამქორის იამბიკოს შესახებ ნათქვამია, რომ ის თამარმა ააღწერაო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი თამარის მიერაა შეთხზული. რამდენი სიკვლე-გუჯარი ვიცით, რომელიც მეთაობით, ამა თუ იმ მეფის (თუგინდ თამარის) სახელით არის დაწერილი, მაგრამ ნამდვილად ისინი დაწერილი არიან ამისათვის საგანგებოდ მიჩენილი პირების მიერ.

¹ Е. Т а к а ш в и л и, Описание, II, გვ. 706.

მით შუა აზიის კავკასი ჩვენ კავკასიად მიიჩნიეს. ეს შესაძლებელი იქნებოდა მით უმეტეს, რომ, აღნიშნული რომანით, ალექსანდრე ეომებდა უწმინდურ ერებს, რომელთაც შეამწყვდევს ორ მთას შუა, კასპიის კარებს იქით, და იმ ხალხთა შორის, რომელნიც თავს დაესხნენ ალექსანდრეს მამას ნიქტანებს, მოხსენიებული არიან იბერიელები. თუ ისე ადრე არა, როგორც IX საუკუნე, მეთერთმეტე საუკუნეში მაინც უნდა ყოფილიყო ალექსანდრიანთა ქართულად ნათარგმნი. ის ხელთ ჰქონია ლეონტი მროველი, რომელიც ერთ ადგილას ამბობს: ალექსანდრე მოვიდა ქართლად და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულთა, რამეთუ ცოლქმრობისა და სიძესათჳს თჳსობა [არა] უჩნდა, ყოველსა სულიერსა სკამდეს, [საფლავი არა იყო], მკუდარსა შესკამდეს; და უჯკრდა ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს ამას¹. ეს ადგილი ლეონტის ამოულია ფსევდოკალისტენის რომანიდან, რომელშიც ვკითხულობთ: «როდესაც ალექსანდრე იმყოფებოდა აღმოსავლეთში, მან იხილა აქ ერნი უწმინდურნი, იაფეტის შთამომავალნი, რომელთაც ის განცვიფრებაში მოიყვანეს: ისინი სკამდნენ ყოველსავე სულიერსა და არაწმიდას, კოლოს, ბუზს, კატას, თაგვს, გველს, ქალთა საშოის კვალს, მკედრებს, რომელთაც ამ მიზნით არც კი მარხავდნენ. ალექსანდრე შეებრძოლა მათ, გარეკა ისინი ჩრდილოეთისაკენ და შეამწყვდია იქ ორ მთას შუა, რომელთა კარები სამუდამოდ დახშოა. ცხადია, აქ საქმე გვაქვს პირდაპირ ლიტერატურულ სესხთან, იმ განსხვავებით, რომ უწმინდურ ხალხთა რიცხვს ლეონტიმ ქართველებიც მიათვალა, როგორც აღმოსავლეთის მკვიდრნი. რომ ცნობა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ლეონტის თავის მარტანეში პირდაპირ ალექსანდრიანიდანა შეუტანია და არა სხვა რომელიმე წყაროდან, თუგინდ მოქცევაა ქართლისაჲ“-დან, ამას არც თვითონ მალავს, როდესაც ამბობს: «ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა პრქჳან მაკედონი, ძე ნიქტანებისა მეგვიპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა². რომელ წიგნში? რა თქმა უნდა, ფსევდოკალისტენის «ალექსანდრიანიში», ვინაიდან ნიქტანები, რფჳ. ნიქტანები, იყო ნამდვილი მამა ალექსანდრესი მხოლოდ ფსევდოკალისტენის რომანით³.

ლეონტის გარდა ამ რომანს იცნობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც, მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი. ის არამტურ ხსენიებს ხოლმე ალექსანდრე მაკედონელს, პარალელბნსაც კი ავლებს მასა და დავითს შორის, როდესაც ამბობს: «ჩუენი ესე გჯრჯუნოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ ეამითა შემდგომად [იყო], არამედ არცა საქმიითა, არცა განზრახვითა, არცა სიძნითა უმცირე. და თუთ მათ საქმითა შინა, რომელთა მძლედი ითქუმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავალთა უმაღლეს

¹ ქართლის ცხოვრება, მარიაზ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 14.

² იქვე, გვ. 13-14.

³ ეს რომანი ლეონტის თავისებურად გამოუყენებია. თავისებურადაა გადმოცემული მის მიერ, მაგალითად. ცნობა ალექსანდრეს დიაღოსების შესახებ, რომელთა სახელი მას სხვადასხვა ერის ეპონიმებად უძკვეია. ეს არის დამახასიათებელი თვისება ლეონტის თავისი წყაროებისადმი მოპყრობისა.

მგონიეს ესე; და რაოდენ საწუთოთა და ქორციელთა შინა იგი მისთა სწოროთა და მოკამეთა [უმაღლეს და უზესთაეს იყო], ეგეოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს მცნებათა შინა ქორციელთავე თანა მისთა პირველთა ჰმატოდაო¹. ამასთანავე, დავითის ისტორიკოსი ალექსანდრეს ოპერაციების მარშრუტსაც კი აღნიშნავს, როდესაც ამბობს: ალექსანდრე პირველად მაშულისა თვისისანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავალნი: ეგროპა, იტალია, პრომი და აფრიკეთი და მათ თანაწარტანებითა დაიპყრა ეგვიპტე, შესულმან კარქედონით, და მიერ ეგპტით, პალესტინე და ფინიკე, და კილიკიისა თჳსად შემქნელი, წინაგანწყყო დარიოსს და, რაემს სპარსეთი მოიროთო, მაშინლა ჰბრძო პიროსს ჰინდოსა და ეგრეთლა ამით ყოველითა მოვლო ყოველი ქვეყანა².

ეს ფაქტები, ვფიქრობთ, ექვს არ ტოვებენ იმაში, რომ ალექსანდრიანთა ქართულად უკვე კლასიკურ ხანაში იყო ცნობილი, თუ უფრო ადრე არა. ქართული ვერსია მისი გადმოღებული ყოფილა მეორე, ვრცელი ბერძნული რედაქციიდან. ეს იმიტომ, რომ ეპიზოდი ურჯულთა და უწმინდულთა ხალხთა მთებში შეწყვედვის შესახებ პირველ რედაქციაში არაა³.

მეორე რომანი, რომელიც კლასიკურ ხანაში ჩანს ჩვენ ლიტერატურაში, არის ივლიანე განდგომილია. ეს თხზულება, რომელიც დაწერილია ქ. ედესაში 502—532 წწ. ასურულ ენაზე მონოფიზიტის მიერ, მოგვითხრობს რომის იმპერატორების—ივლიანე განდგომილისა და მისი მემკვიდრის იობიანეს (363—364 წწ.) თავადადასავალს, რომელშიაც ზოგი რამ ისტორიული წყაროებიდანაა შეტანილი, უფრო მეტი კი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. ეს რომანი შუა საუკუნეებში გამოყენებული იყო არაბულსა და ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაშიც კი. მეთერთმეტე საუკუნეში საკმაო სიუბეით ის გამოყენებია ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსსაც, რაც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის ნათარგმნი იყო ქართულად. რომანი გამოყენებია აგრეთვე მეცამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ისტორიანი და აზმანი შარაფანდედთანისა ავტორის იქ, სადაც აგვიწერს თამარ დედოფლის გარდაცვალებას, რომელსაც ის იობიანე იმპერატორს აღარებს⁴. ამისი ციტატა სხვაა, ვახტანგის ისტორიკოსის ციტატები კი სხვა, ასე რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ სარგებლობენ ამ რომანით, რაც აგრეთვე მისი ქართულ ენაზე არსებობის სასარგებლოდ ლაპარაკობს⁵.

¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 303; შდრ. გვ. 307, 30F, 329.

² იქვე, გვ. 318—319. ამ რომანის იცნობენ აგრეთვე ისტორიკოსები: თამარ დედოფლისა—ისტორია-აზმანისა (გვ. 379, 475) და მონოლოთა ბატონობისა—ემათადმწერელს (გვ. 710—712).

³ ალექსანდრიანის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, «თბილ. უნივ. მოამბე», III, 47—51.

⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 529.

⁵ ამ რომანის შესახებ დაწერილებით იხ. კ. კეკელიძე, Julianos Roman-ის კვლადრინდელ ქართულ მწერლობაში, «ლიტერატურული მემკვიდრეობა», I, გვ. 53—61; მისივე მტრუ დები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 71—80.

როდესაც ლაპარაკია დასავლური, ელინურ-ბიზანტიური, წარმოშობის თხზულებების შესახებ, უნდა შევჩერდეთ ჰომეროსის «ილიადასა» და «ოდისეაზე». კლასიკური პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ჰომეროსისა და მისი გმირების სახელები დიდი პოპულარობით სარგებლობენ, ისინი ძალიან ხშირად იხსენიებიან არა მარტო ნათარგმნ ლიტერატურაში, ამთავად ეს ჩვენთვის საინტერესო არაა, არამედ ორიგინალურშიაც, განსაკუთრებით საისტორიოში და ხოტბებში. პირველ ყოვლისა ჰომეროსის ეპოსს იყენებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ის ამბობს: «ყაბისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანი მეტყუელნი: ვიტყვ უკუე უმიროსსა და არისტოვულესა ელლინთა, ხოლო იოსიპოსს ებრაელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქაველთა შეაწკუნა თხოვბანი, თუ ვითარ აღამემნონ და პრიაშოს, ანუ აქილეე და ჰექტორ, მერმეცა ოდისეოს და ორესტ ეკუეთნეს, და ვინ ვის მძლე ექმნა. და მეორემან აღექსანდრესნი წარმოთქუნა მკენ-კაცებანი და ძლე-ვანი; ხოლო მესამემან ტიტეის-მიერნი მეტომეთა თუსთა-ზედანი ქირნი მისცნა აღწერასა. და ვინაჟთგან ამათ ნიფთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხოვლად, ამისთუსცა კელოვნობითა რიტროვობისაჟთა განავრცელნეს, ვითარცა იტყვს თუთ სადამე აღექსანდრე: არა დიდ იყავ აქილეე, არამედ დიდსა მიემთხვე შექებელსა უმიროსს: რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა ღირს ქებისა იქმნა¹. თამარის ისტორიკოსი (ისტორიანი და აზმანია) ამბობს, რომ დავითიან-პანკრატონიან მეფეთა შემსხმელად ეჯამს ომიროსია-ო², გიორგი მესამე, მისი სიტყვით, არის «აქილეევი», «მკლავ-აქილიანი»³, ამირ-მირმანი არის «მოსიმახოს, უცთომელი მსროლელი, და კენტავროსისაგან განსწავლილი»⁴. ეამთააღმწერელი შენიშნავს: «მიიტაკებელმან ელენესამან, ცოლისა აღამემონისა, ძმისა მენელაოჟსა, ოცდარვა წლად უმშუდებელნი ბრძოლანი მოუგნა ტროელთა»⁵. ჩახრუხაძე იმ საქმის შემსრულებლად, რაც მას განზრახული აქვს, მოუწოდებს «უმიროსსა (XII, 61). ტროელნი შენთვის, თამარისათვის, უნდა მომკვდარიყვნენო (V, 16),—მიმართავს ეს თამარს. ის სხვა შემთხვევაშიც არაერთხელ იყენებს ჰომეროსს და მის გმირებს (I, 4; III; 17; IX, 18). ყოველივე ამის შიუხედავად, ჩვენ დაეინებით მაინც ვერ ვიტყვით, რომ ამ ხანაში ჰომეროსი ქართულად თარგმნილი იყო, ეს ცნობები შესაძლებელია ქართულ მწერლობაში შემოსულიყო სკოლაში სახმარებელი რომელიმე Compendium-იდან⁶ და ბიზანტიელი სქოლასტიკების კომენტარებიდან. ამისი საბუთია, სხვათა შორის, ტროელთა ომის ხანგრძლიობა, რომელიც 28 წლითაა განსაზღვრული.

¹ ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლისიყული ვარიანტი, გვ. 307—308.

² იქვე, გვ. 363.

³ იქვე, გვ. 364, 372, 376, 397.

⁴ იქვე, გვ. 464.

⁵ იქვე, გვ. 620.

⁶ Н. М а р р, Возникновение и расцвет древне-грузинской светской литературы, ЖМН Просв., 1899 წ., XII, №. 226.

აღმოსავლური, მაჰმადიანური ლიტერატურის ძეგლთა გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია, როგორც ვთქვი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. აქ აღწერილია დიდებულთა ზრუნვა და თათბირი თამარისათვის საქმროს მოძებნისა და მოყვანის შესახებ. მათი აზრით, თამარის საქმრო უნდა ყოფილიყო ყოველივე ღირსებით შემკული და ამავე დროს ისეთი მიჯნური, როგორც მათ სცოდნიათ სხვადასხვა სატრფიალო-სამიჯნურო რომანიდან. აქ ჩამოთვლილია ასეთი მიჯნურების თორმეტი წყვილი. ამ ადგილს, რომელიც ხელნაწერში მეტად დამახინჯებულია, მოვიყვანთ იმ სახით, როგორც ის აღდგენილია ჩვენ მიერ¹. «შეიყარნეს შემკირნენი და ზრახვა ყვეს ძებნად წაღმართისა და მოყვანად ქრმისა, რომლისათუხ ჯამდა თუმცა ყოფილიყო ეამი გმირთა და გოლიათთა ყოფისა, ანუ-მე გარეშედ წოდებულთა ელინთა სისხლთა დათხევისამ, ანუ-მე გაქრანი მიჯნურთანი, ცოფ ქალთათუხ ქმნილთანი, ვითარ თაჰამთან თუმინისათუხ, ვითარ ამირან ხორაშნისათუხ, ვითარ ხოსრო შანშა ბანუსისათუხ, ვითარ მზექაბუე მზისათუხ ხაზართასა, ვითარ იაკობ რაქელისათუხ და იოსებ ასენეთისათუხ, დავით ბერსამესათუხ და აბისაკისათუხ, ვითარ პელოპი მვენდმბრძოლი ჰიპოდამისათუხ, ენომპოსის ასულისა, ვითარ პლუტონ პერსეფონისათუხ, ვითარ რამინ ვისისათუხ, ვითარ ფრიდონ შაჰრინოს-არანავაზისათუხ, ვითარ შადბერ აინლიეთისათუხ.

აქ, როგორც ვხედავთ, დასახელებულია სხვათა შორის:

1. «შაჰნამე» resp. «მეფეთა წიბნი». «შაჰნამე» აღმოსავლური ლიტერატურის საზოგადოდ, კერძოდ კი სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის უდიდესი ნაწარმოებია. ის ეკუთვნის პოეტ ფირდოუსის, რომელიც მეფე მაჰმუდის (998—1030 წწ.) კარზე ცხოვრობდა და მისი მფარველობით სარგებლობდა. ამ თხზულებაში თავმოყრილია აზიაში გავრცელებული თქმულებანი სპარსეთის უძველესი დროისა. ეს თქმულებანი ჯერ შეგროვილი ყოფილა ფალაურ «ხვატაა-ნამაჰში», მერე, 958 წელს, ისინი შეუვისიათ და პროზაულად უთარგმნიათ ახალ სპარსულ ენაზე «შაჰნამეს» სახელით. ეს პროზაული «შაჰნამე» გაულექსავს ფირდოუსის და შეუქმნია მისგან ეპოპეა, რომელმაც ერთი უპირველესი ადგილი დაიჭირა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. თხზულება გამოქვეყნდა 1010 წელს². საფიქრებელია, რომ ეს თხზულება დედანში იმავე საუკუნეში გაიცინეს საქართველოში, ვინაიდან იმითი სარგებლობს ამ საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი. ისტორიული კონცეფცია ლეონტისა, რომელიც თავის ისტორიას ადამიდან იწყებს და უძველესი დროიდან გადმოგვცემს ლეგენდურ-ზღაპარულ მოთხრობებს ზღაპრულ-მიითურ მეფეთა შესახებ, მათ ბუმბერაზულ ბრძოლარკენას ბუმბერაზებთან, წარმოადგენს გამომდახილს ფირდოუსის «შაჰნამესი», რომელიც ასევე იწყება და ამგვარსავე ამბებს შეიცავს. ის წიგნი სპარსთა ცხოვრებისა, რომელსაც ლეონტი ასახელებს³, ჩვენი აზრით, უნდა იყოს უფრო ფირდოუსის «შაჰნამე», ვიდრე პროფ. პატკანოვის სპარსული ის-

¹ კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, „რუსთაველის კრებულო“, გვ. 148—157; მისივე გამოცემა „ისტორია-აზმანისა“, გვ. 80.

² E. Бертельс, История персидско-таджикской литературы, стр. 169—237, 1960 г.

³ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 10—11.

ტორიული Compendium-ი¹, ანდა იუსტ. აბულაძისა² და პ. ინგოროყვას³ *ახვტაფანამაკი*, ყოველ შემთხვევაში არა ფალაური ძველი გადმოცემანი დ. ბაქრაძისა⁴ და აზიანი გაერცელებული ძველ-სპარსული საეპოსო ამბები მ. ჯანაშვილისა⁵, ვინაიდან ლეონტი ასახელებს არა ზეპირ ამბებს და გადმოცემებს, არამედ წიგნს. ამ წიგნიდან ლეონტის უნდა ამოეღოს სპარსეთშიერ ქართლის დაპყრობისა და მათ წინააღმდეგ სომეხ-ქართველთა ბრძოლის ამბები, დაწყებული სიტყვებიდან: *ამიერიდან განძლიერდეს სპარსნი მზისა აღმოსავლითგან, ვიდრე აღექსანდრე მაკედონელის შემოსვლამდე ჩვენში*⁶. მართალია, მატინეში დაცულ, *შაჰნამეთი* ცნობილ, მეფეთა და ბუმბერაზთა სახელებს, როგორცია: აფრიღონ, ბევრასფ, იარედ, ქეკაქოს, თარაშოროტი, შიოშ ბედნიერი, ქაიხოსრო, ვაშტაშაბ, სპანდიატ რვალი, ბაჰამან და სხვ., აზის, როგორც იუსტ. აბულაძე ამბობს⁷, ფალაური ბეკედი, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა ჩვენი დებულების საწინააღმდეგოდ. ექვს გარეშეა, *შაჰნამისებური გადმოცემანი უძველესი დროიდან ვრცელდებოდა ჩვენში*. ლეონტი მროველმა ფირდოუსის შრომის გამოყენებისას საკუთარი სახელები იმავე ფალაური ფორმით იხმარა, რომლითაც ისინი ძველიდანვე ტრიალებდნენ ჩვენში ზეპირად. ლეონტის დროს, მეთერთმეტე საუკუნეში, ფირდოუსის *შაჰნამე*, რასაკვირველია, ქართულად ჯერ კიდევ ვერ იქნებოდა თარგმნილი, ის სპარსულ დედანში კითხულობდა ამ თხზულებას. მეთორმეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების დამდეგისათვის ეს თხზულება უკვე უნდა ყოფილიყო თარგმნილი ქართულად.

მართლაც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავისი შრომის ერთ ადგილას შენიშნავს: *ვიან ჰგვანდა კორციელი, ანუ ვინ იხილა ნადირობასა შინა ესეოდენ განმარჯვებული? მოსიმახოს ვინმე ითქუმის ებრაელი მოისრობისა და კეთილმმართველობისათვის აღექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილევნი კენტავრომსაგან განსწავლულად ელენთა შორის, ხოლო ბაჰრამ-გური სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკვრელთა*⁸. ვინ არის ეს ბაჰრამ-გური? რა თქმა უნდა, გმირი არა რომანტიკული პოემის *ბარამგურიანისა*, რომელიც ეკუთვნის ნიზმი განჯელს და დაწერილია 1197 წელს⁹, ამ

¹ О древне-грузинской хронике, ЖМН Просв., 1888 г., Декабрь, стр. 267.

² შაჰნამეს ან მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, გვ. XXXI; ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, 1924 წ., გვ. 144—148.

³ რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“, გვ. 47.

⁴ „საქართველოს ისტორია“, გვ. 68.

⁵ ერან-თურანის ტალღა, „ივერია“, 1899 წ., № 98—103; მისივე, Кармлис-цховреба—Жизнь Грузахи, СМОМПК, вып. XXXV.

⁶ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 9—13; კ. ქეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, „თბილ. უნივ. მოამბე“, III, გვ. 38—41.

⁷ „შაჰნამეს ქართული ვერსიები“, I, გვ. XXX.

⁸ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 315—316; ტექსტში ბარამ-გურის მაგიერ წერია შაჰრამ-გური.

⁹ H. E t h e, Neupersische Litteratur, „Grundriss“, II, S. 142.

უკანასკნელს დავითის ისტორიკოსი, ცხადია, ვერ დაასახელებდა, არამედ ფირდოუსის «შაჰნამეს» ბარამ-გური¹, რომელიც სწორედ იყო ამოკმედი უცხოთა და საკრველთა². «შაჰნამეს» მთავარი გმირის, როსტომის, სახელი შესაძარბლად შეტანილია ფისრამინის ქართულ თარგმანში³, რაც სპარსულმა დედანმა არ იცის, იმასთან, მგავლითად, შედარებულია რამინი. «შაჰნამეთა» სარგებლობს თამარის პირველი ისტორიკოსი, რომელიც გიორგი მესამის შესახებ ამბობს, რომ ის არის ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის... სპანდიარ, თაჰამთან და სიამო გოლიათთა შორის-ო⁴; თამარს ის ეძახის ქაიხოსროს მსგავს ხელმწიფეს, ის ახსენებს «დიდებულთა ბუმბერაზთა და მოყმეთა, მსგავსთა როსტომისთა და გივისთა»⁵. თამარის ხელის მძებნელნი, მისი სიტყვით, ისე უნდა იყვნენ გახელებული მისთვის, ვითარ თაჰამთან თუმიანისათვის, ესე იგი როსტომი თუმიანისათვის, «ვითარ ფრიდონ შაჰრინოს-არნავისათვის»⁶. «თამარიანში» ვკითხულობთ: «ყარყუმს და არამს, მათზედა არანს როსტომ ებრძოლა თვით შეძლებულად» (XII, 44); ე. წ. «აბდულმესიაში»: «უთრუთ-საამით, ზაალსა ამით განქიქებულ ჰყოფს ძლიერებითა; სალიმ და თური, ძალთ უკეთური, როსტომს, ვერა ვცან, სწორავს თუ რითა» (15₃₋₄); «ვეფხისტყაოსანში»: «ავთანდილ «ისრითა მოკლის ნადირი როსტომის მკლავთ უგრძესითა» (195). დაუჯერებელია, ეს სახელები ჩამოთვლილი თხზულებებში პირდაპირ სპარსული დედნიდან იყოს შესული. საქმე ისაა, რომ ავტორები ამ თხზულებათა მათ ხმარობენ შესაძლარებლად იმდენად არა სამეციერო-საისტორიო შრომებში, რამდენადაც სიტყვა-კაზმულში, რაც იმას გულისხმობს, რომ მათ კარგად იცნობდნენ საშუალო დონის მკითხველნიც, რომელთაც, ყველას მაინც, სპარსული ენა არ ეცოდინებოდა, ნ. მარის აზრითაც ეს სახელები შეტანილია აღნიშნულ თხზულებებში არა სპარსული დედნიდან, არამედ ქართული თარგმნიდან, რომელიც, მისი სიტყვით, შესრულებულია ჰროზით, და არა ლექსით, მეთორმეტე საუკუნეში⁷.

2. «ქილილ და დამანა». ეს თხზულება ძველადაც ყოფილა ცნობილი ქართულად, როგორცა ჩანს თამარ დედოფლის ისტორიკოსის სიტყვებიდან: «ვითარ ითქუმის ინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა იგავი ბუთა და ყუაეთაო»⁸. ვახტანგ მეექვსეც აღნიშნავს მის მიერ თარგმნილ ვერსიაში: «ყამსა მას პატრიონისა და ამაღლებულისა... მეფეთ მეფისა თამარისა ესე

¹ J. Mohl, Le livre des rois, V, 442—VI, 64.

² Th. Nöldeke, Das iranische Nationalepos «Rundris», II, S. 166.

³ გამოცემა 1938 წლისა, გვ. 65, 320.

⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 364; შესწორებულია და აღდგენილი ჩვენ მიერ «ისტორია-აზმანის» გამოცემაში, გვ. 55.

⁵ იქვე, გვ. 403, 458; ჩვენი გამოცემა, გვ. 102—103.

⁶ ტექსტის დამახინჯებული შესაფერისი ადგილები აღდგენილია ჩვენ მიერ. იხ. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, «რუსთაველის კრებულის», გვ. 150—155; ჩვენივე გამოცემა «ისტორია-აზმანისა», გვ. 80.

⁷ ორიოდე სიტყვა «შაჰნამეს» ქართული თარგმანის შესახებ, «ივრია», 1891 წ., № 132.

⁸ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 378.

წიგნი ეთარგმნათ, რომელი „ცხოვრებასა ქართლისასაცა“ წერილ არსოა¹. ვახტანგ გორგასალის ისტორიაში მემატინანეს შეუტანია ყვავისა და ქორის იგავი, რომლითაც სინდთა მეფე ახასიათებს ვახტანგისა და სპარსელების ურთიერთშორის დამოკიდებულებას². ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ ეს იგავი ამოღებულია ქეილილა და დამანადანა³, მაშასადამე, ეს თხზულება ნათარგმნი გამოდის მეთერთმეტე საუკუნეში. მაგრამ საქმე ისაა, რომ ქეილილა და დამანას არც ერთ ვერსიაში, რომელიც ფალაურზეა დამყარებული, სახელდობრ არც ქველ ასურულში, არც არაბულში, რომლიდანაც მომდინარეობს ამ თხზულების ყველა დღესდღეობით ცნობილი ვერსია, ეს იგავი არ მოიპოვება. მხოლოდ იმ ვერსიაში, რომელიც ან ვ ა რ ი სოჰაილის სახელით მეთხუთმეტე საუკუნის გასულს გამოქვეყნდა სპარსულად და მეთერამეტე საუკუნის დამდეგს ქართულად ითარგმნა, ავტორს შეუტანია სხვა იგავთა შორის, რომელნიც არაბულში არ არიან, ამისი მსგავსი იგავიც⁴. ვამბობთ მსგავსი, იმიტომ, რომ ლეონტის იგავი და სპარსული ერთი და იგივე არაა: მატინანეში გამზრდელად გამოყვანილია ყვავი, ანვარი სოჰაილში—ყორანი; ლეონტი ლაპარაკობს ქორის ბარტყზე, რომელიც იყო მოწყულული და გაგლეჯილი არწივისაგან, ჰუსეინი კი ისეთზე, რომელიც ბუდიდან თავისით ვადმოვარდნილიყო. მატინანეში ნათქვამია, რომ, როდესაც ქორი მოიზარდა, მან თავისი გამზრდელი ყვავი შექამა, ანვარი სოჰაილში კი ქორი, რომელსაც ყორანის ბუდე არც იტევს და არც აკმაყოფილებს, გამოეთხოვა თავის გამზრდელს და წავიდა უფრო კარგი ადგილის საძებრად. დასასრულ, მიზანი იგავებისა დასახელებულ თხზულებებში სხვადასხვაა. როგორც უნდა იყოს, ლეონტი მროველი, რასაკვირველია, ანვარი სოჰაილიდან ამ იგავს ვერ ამოიღებდა, არაბულსა ან სხვა რომელიმე ვერსიაში ის, როგორც ვთქვით, არ არის. მაშასადამე, ცხადია, ის ქეილილა და დამანადანა ამოღებულად ვერ ჩაითვლება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორც ეს იგავი, აგრეთვე მეორე, რომელსაც ვახტანგი ეუბნება სინდთა მეფეს,—მთხუნველი თავის შესახებ⁵, ამოღებულია ერთ-ერთ იმ კრებულიდან, რომელიც ფიზიოლოგისა და ბესტიარისა სახელით მრავლად იყო ცნობილი შუა საუკუნეებში იმა თუ იმ ენაზე, კერძოდ ქართულზედაც. ამნაირად, ქეილილა და დამანა ვერ ჩაითვლება მეთერთმეტე საუკუნეში თარგმნილად, ის ვადმოღებულია არაუადრეს XII საუკუნისა. სამწუხაროდ, ეს ქველი თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა.

3. *„ლეილმაჯნუნიანი“*. დაწერილია ის შირვანშაჰის აღსართან მეორის წინადადებითა და თხოვნით ნიზამი განჯელის მიერ 1188 წელს. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო რომანტიკული პოემა, რომელსაც დიდი გავლენა მოუხდენია

¹ ქეილილა და დამანა, ი. ქეილილა და გამოც., გვ. 11.

² ქართლის ცხოვრება, მარტომ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 170—171.

³ მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეზობენი, გვ. ტრიბუნა, 1923 წ., № 502.

⁴ ქეილილა და დამანა, ი. ქეილილა და გამოც., გვ. 9—52, 57—58.

⁵ ქართლის ცხოვრება, მარტომ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 152.

აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურაში და შეუმჩნეველი არც ქართულ მწერლობაში დარჩენილა. ჯერ ერთი, მას უდავოდ იცნობს რუსთაველი¹, მეორე — მისი გმირები მოხსენიებულია და შედარებისათვის გამოყენებული თამარია²ში:

და სტირს კანის ეს, ვით კენი; ის ძმის მკვლელობისა დასაბრალებად,
ამან თავი რად, მართ ახვირად, შექმნა ლეილის ნამიჯნურეკად³.

აქ პირდაპირ დასახელებული არიან კანის — მაჯნუნი (ყაისი) და ლეილი. ამავე რომანს (და არა «საღმან და ებსალს») უნდა გულისხმობდეს აგრეთვე «თამარიანისა» შემდეგი სიტყვებიც (V, 24):

სალას საღმობად უნს სვედ და ლმობად სხვათათვის ხელ-ქმნა ლხინუნხეკად.

სალა უნდა იყოს ამ რომანის გმირი იბ-სალამ, რომელსაც ძალად მიათხოვეს ლეილა და რომელიც მასთან, ლეილასთან, «ლხინ-უნახავი» დარჩა. თუ მხედველობაში გვექნება შირვანის, აღსართანის და, უეჭველია, ნიზამის დამოკიდებულება საქართველოსთან, ამ რომანის არსებობა ამ დროს ქართულ ენაზე მოულოდნელი არ უნდა იყოს⁴.

4. «**ნოსროდშირინიანი**». ისტორიკოსი ვაღმოგვეცეს, რომ თამარის ხელის მძიებელი ისეთი მიჯნური უნდა ყოფილიყვნენ, ვითარ ხოსრო შანშა ბანუსთვის». როგორც ჩვენ უკვე გავარკვიეთ, ამ შემთხვევაში იგულისხმებიან რომან ხოსროვშირინიანის გმირები: ხოსროვ შანშა, ესე იგი მეფეთა მეფე; და მისი სატრფო ბანუ, ანუ შირინი⁵. ასეთი რომანი პირველად დაუწერია იმავე ნიზამი განჯელს 1180 წელს. ჩვენს ისტორიკოსს შეეძლო გამოეყენებინა ნიზამის შრომა. ჩვენ გვგონია, რომ ის სარგებლობდა პოემის არა დედნით, არამედ ქართული თარგმანით. ნიზამის «ხოსროვშირინიანისათვის» საქართველოში არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექციათ არა მარტო იმიტომ, რომ ის ნიზამის შრომა იყო, არამედ თვით რომანის ხასიათისა და შინაარსის გამო. საქმე ის არის, რომ ამ პოემაში, როგორც დღეს უკვე გარკვეულია, მოხსენიებულია, საკმაოდ ვრცლად და ნიშანდობლივად, თამარ დედოფალი და მისი აღმზრდელი მამიდა რუსუდანი, პოემის დასაწყისში მათ შესაებ უამბობს ხოსროვს მისი მეგობარი და მასთან დაახლოებული შაფური. რუსუდანს აქ ეწოდება «შამირა», ესე იგი დიდი ბანუ, ხოლო თამარს — შირინი. ერთი სიტყვით, შირინის პორტრეტად ნიზამის აულია მშვენიერი ქალწულია

¹ К. Кекелидзе, Руставели и Низами Гянджеви, тсუ შრომები, V, გვ. 157—178.

² II. М а р р, Древне-грузинские олоисцы, V, გვ. 26—27.

³ К. Кекелидзе, Op. cit.

⁴ გ. ჯაკობია ასეთ შეხედულებას არ იზიარებს იმიტომ, რომ «ვეფხისტყაოსანი», როცა მელიქ რამინსა და ვისს ასახელებს, ლეილა და მაჯნუნს არც იხსენიებს (თეიმურაზის თხზულებანი, გვ. 255); თითქოს რუსთაველი ვაღმობული იყო კველაფერი და კველა სახელი მოეხსენიებინა თავის ნაწარმოებში.

⁵ ქ. კეკელიძე, ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, რუსთაველის კრებული, გვ. 152; მისივე გამოცემა «ისტორია-ახმანისა», გვ. 80.

თამარი¹. შეუძლებელია, ეს გარემოება შეუმჩნეველი დარჩენილიყო იმდროინდელ ქართულ სამეფისკარო პოეზიაში, ამიტომ რომანი, ყოველ ექვს გარეშე, უნდა გადმოვლოთ ქართულად.

5. «იოსებზილიხსანიანი». ქართული მწერლობის კლასიკურ პერიოდში ცნობილი იყო ტაჯიკურ-სპარსულ ენაზე მხოლოდ ერთადერთი რედაქცია იოსებზილიხსანიანისა, რომელიც გამოჩენილი ფირდოუსის კალამს ეკუთვნოდა. ამ რომანის მთავარი გმირები მოხსენიებული არიან მხოლოდ დავითისა და თამარის ქებაში, ე. წ. აბდულმესისაში. აქ ერთ ადგილას ნათქვამია, რომ ხოტბის გმირმა, რომელიც მსგავსია იოსებისა (46₂), მას სიტურფე წაართვაო: მან იოსებსა... სიტურფე ართო, თვით მსგავსი პასი» (48₁); მეორე ადგილას მეხოტბე, მიმართავს რა თავის გმირს, ეუბნება მას: «ქეყენის მნათენი, მოკამათენი, ბაზიყად გექმნეს სურვილით რეცა» (58₂), ისე იგი—გამოჩენილი პირები, რომელიც შენთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ, გაგზიდნენ შენ სიყვარულის გრძნობით ბაზიყად, იგულისხმება იოსებზილიხსანიანის ერთ-ერთი გმირი. დაინებით ვერ ვიტყვი, რომ მეხოტბეს ხელთ ჰქონდა ამ რომანის უთუოდ ქართული თარგმანი. საქმე ისაა, რომ ე. წ. აბდულმესისა გარდა, სხვა ძეგლში ამ რომანის მონაგონარი ამ დროს არ გვაქვს, ისე, თავისთავად, ამ რომანის ფირდოუსის რედაქცია არც იმდენად მხატვრული და მიმზიდველი იყო, რომ ის უქვეყლად ეთარგმნათ ქართულად.

6. თამარის პირველი ისტორიკოსი ერთ ადგილას ამბობს: «ეითარი იტყუს ისტორია ისქანდერ მაქედოვენისისა»². ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს ალექსანდრე მაკედონელის არც ისტორია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არც ფსევდოკალისტენის რომანი ალექსანდრიანი, რადგანაც ამ წყაროების გამოყენებისას მაკედონელ გმირს ჩვენი ისტორიკოსი მუდამ ალექსანდრეს ეძახის. აქ ჩვენ გვაქვს აღმოსავლური, მაჰმადიანური წყაროდან მომდინარე სახელი «ისქანდერა», ამიტომ არ შეეცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ ადგილას ისტორიკოსს მხედველობაში აქვს ისქანდერ-ნამე ნიზამი განჯელისა, დაწერილი ნიზამის სიციოცხლის უკანასკნელ წლებში³. საყვებით ბუნებრივი და მოსალოდნელია, რომ ნიზამის სხვა რომანებთან ერთად ქართველებს ეს თხზულებაც გაეცნოთ და ლიტერატურაში გამოეყენებინათ.

7. ვერც იმას ვიტყვით გადაპირით, იყო თუ არა თარგმნილი ქართულად გამოჩენილი პოეტის ონსორის (გარდ. 1039 წ.) ორი რომანი, რომ-

¹ ამ ადგილის თარგმანი სპარსულიდან, რომელიც ეკუთვნის ა. ნ. ბოლდირეცს, იხ. კრებულში «Памятники эпохи Руставели», изд. Государств. Эрмитажа, Ленинград, 1938 г., სტატია—«Два ширванских поэта, Низами и Хагани», გვ. 119—128. ამაზე ადრე ამ პოემის ის ადგილი, რომელიც შამირას შეეხება, თარგმნა ი. ნ. მარმა («Хагани, Ширванши, Руставели», 1935 წ., გვ. 8—9). ქართული თარგმანი მისი მოგვცა პროფ. დ. კობიძემ («სახბოთა ზღოვნება», 1940 წ., № 1, გვ. 60).

² ქართლის ცხოვრება, მარიაშ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 369; კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 58.

³ ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზნანი, როგორც ლიტერატურული წყარო, «რუსთაველის კრებულში», გვ. 146—147.

მელთაჲ ჩვენი კლასიკური პერიოდის მწერლობა ასახელებს. ესენია: ა) ფამეყ და აზრაა, რომელიც მოხსენიებულია ე. წ. აბდულუმესიაში: «ეხმომ ვამეყევისსა, არ თუ მეყევისსა; როს იავარყო იამან ქვეყეთი, აღმოფხვრა სული—და ასული: რაჲ უყო, თქმდა ვის ძალ-უც ენით?» (32₁₋₂). ეს ნიშნავს: მე მოვეწოდებ ვამეყს, როდესაც მან აიკლო იამანი და მისი ქვეყანა, მას ამარხადა სული, ამოუწვევია ძე და ასული; არავის შეუძლია ერთი გადმოსცეს, რაჲ მან იამანს უყო. ბ) «შადბერ-აინლიეთი», რომელიც დასახელებულია «თამარიანში»: «უგავს შატბიერს, გულად ლაყბიერს, ალათისა რად დაშვრა მოძევადა» (V, 26) და «ისტორია-აზმანში»: თამარის მიჯნური ისე უნდა იყოს გახელებული მისთვის, ვითარ შადბერ აინლიეთისთვის¹. პირველ ყოვლისა, თუ მხედველობაში გვექნება ონსორის რომანების უდიდესი პოპულარობა, მეორედ—ადრიდანეე პოპულარობა ჩვენში «ფამეყ» სახელისა და შესამედ—«შადბერ-აინლიეთის» მოხსენიება ორ სხვადასხვა თხზულებაში, საკითხი ონსორის ქართულად თარგმნის შესახებ შეიძლება დადებითად გადაწყდეს. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს რომანები აღმოსავლურ ლიტერატურაში ადრე გამჭარალა, ქართული მწერლობის ცნობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

8. როგორც აღვნიშნეთ, ლიტერატურული წარმოშობის უნდა იყოს ერთი ციტატი თამარის ისტორიკოსისა, რომელიც, მოგვიტობს რა ათაბაგისა და მისი ჯარის განადგურებას შამქორის ომში, შენიშნავს: «გარნა ათაბაგი მხოლოდ განერა ერთითა მონითა, და პოვნეს ქალაქნი სამნი, ვითა არს წესი სარკინოზთა ლაშქართა შინა ქონება ქალაქთა და სიმდიდრეთა: ერთი ათაბაგისა, ერთი ათაბაგის ძისა ბეშქენ ქველისა, ერთი სათმაზ ეზღინის ძისა, რომლისა მამისა სიუხვისა სახელი სპარსეთს ასეთი ითქუმოდა: «ეტემ თულესია» (468). ეტემ თულესია უნდა წარმოადგენდეს დამახინჯებას ერთი ლეგენდური არაბის სახელისას, რომელიც სპარსულად გამოითქმოდა როგორც «ჰათემ თაჲ», ესე იგი ჰათემ თაჲს ტომიდან (რუსულად: Хатем Тайский, из племени Тай). ეს არაბი, ლეგენდით, ყოფილა მეტად უხვი და სტუმართმოყვარე, ასე რომ აღმოსავლეთში, ეგრძოდ სპარსეთში, ის შექმნილა სიუხვის, ქველმოქმედებისა და გულგაშლილობის სინონიმად. აღმოსავლურ ლიტერატურაში ის არაერთხელ გვხვდება. პოეტი რუდეგი ერთ-ერთ ხოტბაში, რომელიც მიძღვნილია ამირ-ნასრ სამანიდისადმი, უკანასკნელს ეუბნება: «ჰათემ თაჲ ხარ შენ გულუხვობითა». განსაკუთრებით ჩერდება იმაზე პოეტი საადი თავის «ბუსტანში», რომლის მეორე თავში (სიუხვისა და ქველმოქმედებისათვის) ოთხი ამბავია მის შესახებ: 1) ამბავი ჰათემ თაჲსა, 2) ამბავი იემენის მეფისა და ჰათემისა, 3) კვალად სიუხვისათვის ჰათემისა, 4) ამბავი მოჰამედ წინასწარმეტყველისა და ჰათემის ქალისა². იხსენიებს მას აგრეთვე პოეტი ჯამი ც

¹ ონსორის დასახელებული რომანების შესახებ დაწერილებით ლაპარაკია ჩვენ ნარკვევში: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, «რუსთაველის რეზეული», გვ. 155—156. იხ. აგრეთვე რუსული გამოკლევა—Вамек и Азра, Сбор. «Хакамы, Инами, Руставели», 1939 წ., გვ. 41—52.

² Литература Ирана X—XV вв., «Восток», II, гл. 834—838.

თავის ძეგლმან და ებსალში, რომელშიც აგვიწერს სელმანის სიუხვესა და ქველმოქმედებას¹. ჩვენ ისტორიკოსს სურს თქვას, რომ ვილაც სათმაზის მამის სიუხვე სპარსეთში ყველას აგონებდა ჰათემ თავს სახელსაო. ექვს გარეშეა, ეს სახელი მისთვის ცნობილი ყოფილა, თორემ ის მას არ აღნიშნავდა, რა გულუხვიც უნდა ყოფილიყო სათმაზის მამა. თავდაპირველ დედანში ეწერებოდა: ამის მამის სიუხვისა სახელი სპარსეთს ასეთი ითქუმოდა, [ვითარცა] ჰათემ resp. ჰატემ თაელისი. შემდეგ, დამახინჯების გამო, ჰათემ-ჰატემ იქცა ფეტმა-ად, თაელისი კი—თულესა-ად². ქართველ ისტორიკოსს ეს ცნობა ამოღებული ექნებოდა,—ეს გამორიცხული არაა,—ამ ჰათემის რომანიდან, რომელსაც სპარსულად რქმევია ფისსაჲ ჰათიმ ანდა ჰათიმი თაჲ³. რა თქმა უნდა, იმას ვერ ვიტყვით გადაქრით, რომ ეს რომანი ქართულადაც იყო თარგმნილი⁴.

9. ახლა გარკვეულია, რომ თამარბანის სიტყვები: ოსან ოს რეტი არს შენამჭერეტი, გმოს თავის ბედი, თმო ნატანჯევადა (V, 23), არ გულისხმობს სატრფიალო-სამიჯნურო რომანს. ყოველ შემთხვევაში აქ არ იგულისხმება თამარის პირველი ისტორიკოსის დამახინჯებული წყვილი «ბაჰაროს ნაეაზი» (ვახტანგის რედაქციით—«შარბაროს ოსნაოზ»), როგორც ფიქრობდა აკად. ნ. მარი⁵. დღეს უკვე გარკვეულია, რომ ისტორიკოსის ეს დამახინჯებული სახელები ამოღებულია «შაჰნამედან» და უნდა იკითხებოდეს: ფითარ ფრიდონ შაჰრინოს არნაეაზისთვის⁶.

10. დასასრულ, ისტორიანი და აზმანში ერთ ადგილას ნათქვამია: თამარს, გონებითა და განზრახვითა ბრძენსა, არ ავიწყებოდა ყაბოს მწროქნელი ქექაოსა (გვ. 476)⁷. აქ ჩვენ უნდა გვექონდეს სპარსული ეთიკურ-პოლიტიკური თხზულება ყაბუს-ნამეჲ, დაწერილი 1082 წელს⁸. ქექაოზს მისი ნა-

¹ Литература Ирана X—XV вв., „Восток“, II, გვ. 437.

² ქ. ქეკელიძე, ისტორიანი და აზმანი, როგორც ლიტერატურული წყარო, „რუსთაველის კრებული“, გვ. 147.

³ E. B. Bortol's, Очерки истории персидской литературы, გვ. 68—196.

⁴ მისი სახელი ჩვენ გვხვდება თხზულებაში, რომელსაც ქართულად „მეფეთა საღარო“ ეწოდება (ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, კრესტომათია, II, გვ. 267—270).

⁵ Древне-грузинские Одописцы, გვ. 99—100; მისივე, Грузинская поэма „Витязь в боровой шапке“ Шоты из Руставы, გვ. 429.


⁶ ქ. ქეკელიძე, ისტორიანი და აზმანი, როგორც ლიტერატურული წყარო, „რუსთაველის კრებული“, გვ. 153—155; მისივე გამოც. „ისტორიანი-აზმანისა“, გვ. 80; მისივე, კომენტარები „თამარბანის“ ზოგიერთი ტაჰისა, იტრუდები, III, გვ. 27—32.

⁷ ქ. ქეკელიძე, ისტორიანი-აზმანის გამოცემა, გვ. 112. დედანში ეს ადგილი ძალზე დამახინჯებულადაა მოცემული: „თამარასა: გონებითა: და: განზრახვითა: ბრძინდა: დაეიწყებოდა: მას: ყაბოს: მკვლელო: კოს“.

⁸ H. Ethé, Neopersische Literatur. „Grundriss“, II, S 947. არის ისეთი მოსაზრებაც, რომ ავტორი თხზულებისა არის ზიარედი ინსორ-ელ-მე ალი იბნ ისკანდერ ქეიქავუს (1049—1069), რომელსაც თავის წინაპრის უაბუს იბნ ვეშაგირ შემს-ელ-მეალის (976—1012) სახსოვრად წინისთვის უწოდებია „ქაბუს-ნამეჲ“. დაწერილებით იხ. გ. იმედაშვილის „ყაბუს-ნამეს ქართული ჯრისია ამირნასარიანი“ („ლიტერატურული ძეგანი“, IX, გვ. 325—375).

ტამალის, ყაბოს, დასამოძღვრად ამ წიგნში ჩაუღვია მთელი საუნჯე თავისი გამოცდილებისა და ცხოვრების კანონთა ცოდნისა. იყო თუ არა ამ ეპოქაში ეს თხზულება ქართულ ენაზე, არ ვიცით; ვიცით მხოლოდ, რომ ის, როგორც ამას შემდეგ დაეინახავთ, 1703—1711 წლებში «ითქუა სპარსულისაგან ქართულად ბატონიშვილის განმგებლის ვახტანგისაგან აშირნასარჩანის» სახელით.

აი, დაახლოებითი სია იმ თხზულებებისა, რომელთაც კლასიკური ხანის ლიტერატურული წრეები იცნობდნენ და კითხულობდნენ. როდესაც საკითხი ისმის, არსებობდნენ თუ არა ისინი ქართულ ენაზე, მეცნიერული სიფრთხილე იქაც არ უნდა გვალატობდეს, სადაც ამის სასარგებლოდ შედარებით დამაჯერებელი ცნობები და მოსაზრებანი არსებობს.



მე. მს. ყ. მს. უნა. ყველაყი. მოსს.	ე	6
ურა წმულია. არა. იცხ. რაც. მახარ. ვეყ ექ	ე	6
მს. დღმ მუთით. არ წედა. ანა დამ. ცქმე	ე	6
ქ ცხ. წარ. მგუც. გემათი. დეე რა. მამარ. ვათ	ე	6
რკ. რა. დედა დამარ არა ქა ვა. ხარეთ	ა	6
რეკრად. მბარბელი წიყ მს. ურას. მათ	ა	6
ექმას. წედა ხარეთ ხმ. დეე ვლ. დედმა. ათ	ა	6
ქ მს. ლა. მს. ანა. უნარის. მს მს. მს. მუცათ	ა	6
მხოყლა. მუყ. თუყდრი ხარას. მო რე. მს. ქ დეე	ბ	6
მს. ხმ. მეს. ყველმე მს. ყრადყო. რა. რი. დე	ბ	6
მს. ურას. ყრად. ყრ. მან. მ. თუქ. მს. მეს. თა. დე	ბ	6
ქ მ. რან. ქ დე. დეე ყრ. მ. რა. რ. მუცათ. ქ მუც	ბ	6
მს. ყრ. მ. მუყ. თუყდრი. მო რე. მს. ურას.	ე	6
მს. მს. მს. მო. თუყდრი. მ. თ. მს. მს. თ.	ე	6
მს. რად. მო. რ. წარ. მს. ყრ. მს. ყრ. მს.	ე	6
ქ მს. მს. ვას. რ. მ. დამ. მს. მს. მს. მს.	ე	6

დაცემის პერიოდის ლიტერატურა

დავითის პერიოდის ლიტერატურის ზოგადი დახასიათება

ამ წიგნის პირველ ტომში ჩვენ ვაჩვენებთ ის მიზეზები, რამაც მონღოლთა ბატონობის ხანაში (XIII—XV სს.) გამოიწვია ჩვენში მწერლობის, საერთოდ კულტურის, დაცემა და დაქვეითება. თქმა არ უნდა, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების აუტანელ პირობებში კულტურული ცხოვრებაც უნდა დაქინებულყო და დაქვეითებულყო წინა პერიოდთან შედარებით, და ეს ასეც მოხდა, მაგრამ არა იმ დონემდე, რომ ეს დაქვეითება „გაველურებამდე“ დაიყვანოთ¹. ძალიან მცირე მასშტაბით, მაგრამ ამ ხანაშიც შეიგრძნობა მოძრაობა და კულტურული მაჯისცემა. აი, ზოგიერთი ამის საილუსტრაციო ფაქტი.

ჩვენამდე შენახულა ერთი დოკუმენტი 1310 წლისა, რომელშიაც გადმოცემულია, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა ექვთიმემ (1320—1340), როდესაც ის ათვალთვრებდა თავის სამწყსოს აღმოსავლეთ საქართველოში, უბრძანა ქურუმების მთავარეპისკოპოსს კირილე დონაურს გაეცრეცლებინა თავის ეპარქიაში სახარების ცალები. კირილემ ამ ცალების დამზადება დაავალა მღვდელს იასე ქიტიაშვილს, რომელმაც თავის 12 მოწაფეს გადააწერინა საქირო რაოდენობა სახარებისა და დაუგზავნა ისინი ეკლესია-მონასტრებს და შეიღოთ „სასწავლოთა“ ან სკოლათა „თავსმდგომთ“ (მეთაურებს). მაშასადამე, მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში მართო ქურუმების სამთავარეპისკოპოსოში ყოფილა შეიდი სკოლა. ამ სკოლებში, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ასწავლიდნენ თურმე ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას და ისტორიას, საეკლესიოსა და სამოქალაქოს: ქართლის ცხოვრებასა და „აღვანის ისტორიას“, რომელიც დაწერილი ყოფილა ვინმე პეტრე ლაგოძის მიერ².

ამ დოკუმენტის გარდა ჩვენ სხვა ფაქტებიც მოგვეპოვება.

1) როგორც ჩვენს მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებში შემონახული ხელნაწერებიდან და მათი აღწერილობებიდან ჩანს, ამ პერიოდში გადაუწერიით მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი წინა დროისა და ამ გზით ჩვენამდე შემონახულა უნიკალური ძეგლები კულტურისა და ლიტერატურისა.

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1941 წ., გვ. 164.

² კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში (ტრუფები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 314—324).

2) ახლა, ამ პერიოდში, შეუდგენიათ მეტად საყურადღებო იურიდიული ძეგლები¹, როგორიცაა: კანონმდებლობა ბექასი, აღბუღასი, გიორგი V-ისა და ცნობილი „ქელმწიფის კარის გარიგება“.

3) ახლა შეუდგენიათ ისეთი ლიტერატურული ძეგლები, როგორიცაა „მეფის კურთხევის წესი“, და „წესი ერისთავთა და მთავართა დადგინებისა“ და „განგება ვაჰანის ქუაბთა მონასტრისა“.

4) შემატებია ჩვენს მწერლობას ამ ხანაში რამდენიმე ავთოგრაფიული ჟანრის ძეგლი, როგორიცაა: „ცხოვრება“ პეტრე იბერიისა, გადმოთარგმნილი სირიულიდან მაკარი მესხის მიერ; „მარტვილობა“ ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალისა.

5) უფრო საყურადღებოა, რომ არ ჩამქრალა მთლიანად არც ისტორიო-გრაფიული მუშაობა; მაგალითად, ამ ხანაში დაწერილია საყურადღებო სა-ისტორიო შრომა, რომელიც ეკუთვნის ვილაც ეამთაალმწერელს. ამ ძეგლში დასახელებულნი არიან სხვა ისტორიკოსებიც. მაგალითად, „ბერი ვინმე მღვიმელი“, და „ყოველთა აღმწერელი“, და ვინ იცის, რამდენი რამ დაიწერა კიდევ, მაგრამ ეამთავიანობის ხანაში უგზო-უკელოდ გაქრა.

ამ ეპოქაში წარმოშობილი ლიტერატურული ძეგლებიდან იურიდიული და ავთოგრაფიული თხზულებები, რომელნიც ზემოთ ვაჩვენეთ, ჩვენს მეცნიერებაში კარგადაა ცნობილი. ერთ-ერთი საყურადღებო შრომა, რომელსაც ამ ხანიდან ჩვენამდრე მოუღწევია, არის საისტორიო შრომა ვილაც ეამთაალმწერლისა. ტექსტი მისი, თუმცა ცუდად, მაგრამ გამოცემულია (მარიამ ღვთისმშობლის ქართლის ცხოვრებაში). ის იმდენად მნიშვნელოვანი ძეგლია, რომ ჩვენ ვალდებული ვართ დაწვრილებით განვიხილოთ იგი.



¹ ი. დ. ლ. ი. ძე, ქველი ქართული სამართალი, თბ., 1953 წ.; მ. ი. ი. ვე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957 წ.

ქართალმნარლის ისტორია

საქართველოს ისტორია თამარის გარდაცვალების შემდეგ, ლაშა გიორგის გამეფებიდან გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე, ეკუთვნის მწერალს, რომელიც ცნობილია ქართალმწერლის სახელით¹. ეს სახელი, რომელიც თვით თხზულებაში გვხვდება (578, 650), ნიშნავს ხრონოგრაფს, მემატიანეს. ეს არის საქმაოდ მოზრდილი თხზულება, რომლის ნამდვილი სახელი არ შენახულა, შეიცავს ის ასი წლის ისტორიას, იგი აგვიწერს იმ ხანას, რომელსაც მონღოლთა ბატონობის ხანა ეწოდება. აქ აღწერილია არა მარტო პოლიტიკური თავგადასავალი საქართველოსი, არამედ ყოველი მხარე მისი ცხოვრებისა. ავტორი თხზულებისა ცნობილი არ არის, მაგრამ თვით თხზულებიდან ჩანს, რომ მან, ავტორმა, იცის გიორგი ბრწყინვალისა და თითქოს მისი მემკვიდრეების დროის ამბები, ასე რომ ის მეთოთხმეტე საუკუნის მწერალი უნდა იყოს.

ის მკოდნე კაცი ჩანს, იცნობს მონღოლურ ენასა და სარწმუნოებას (552), მონღოლურ საისტორიო მწერლობას, ქორონიკონსა (551) და ზეპირსიტყვიერებას (728). იცნობს ის სპარსელებსაც, მათ ისტორიკოს ჯუვეინს (XIII ს.), მათ ენასა (621) და ზნეობრივ სილუბჭირეს (606—607). ზედმიწევნით იცის მან ბერძნული ენა, ისტორია და მწერლობა, საისტორიო თუ მხატვრული. ასე, მაგალითად, მის შრომაში დასახელებულია ისტორიკოსი იოსებ ფლაბიუსი, მოსიმახოს ებრაელი, ასტიაგი, კვიროსი, ხრიზმოსი აპოლონის დედოფლისა, პრიამოსი, აღამემნონი და მისი ცოლი ელენე, რომლის გამო ატყდა ტრაადელთა 28 წლიანი ომი (619—620), ანტიპატროს და კასანდროს (710), ალექსანდრე მაკედონელი, მიდასი და ანთიპატროს (711—712). აქვე დასახელებულია ძველ ბერძენთა „თორამეტლი ზოდიაკნი ანუ ეტლნი“, აგრეთვე ქრისტიანთა პასქალისტური „ათცხრაამეტული, ცამეტური, ზედნადები და ზედმეტული“ (550—551). ზედმეტია ლაბარაკი იმაზე, რომ კარვად იცის თავისი მშობლიური წარსული, აწყყო, ზნე-ჩვეულება და მწერლობა,

¹ ერთადერთი გამოცემა ძველისა გუთუნის ე. თაყაიშვილს (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 536—785). ლიტერატურა: ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 246—263.

განსაკუთრებით საისტორიო. მის შრომაში გამოყენებულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავით აღმაშენებლის ისტორია, გამოყენებულია მას აგრეთვე, როგორც თვითონ უჩვენებს, შრომა „ვინმე ბერი მღვმელისა“ (578), „წიგნი მეფეთა ბაღუშისთა და ნათესავთა მისთა“ (712) და ვილაც „ყოველთა აღმწერლის“ ცნობა (651—652).. ავტორი არა მარტო წიგნებს მიმართავს თავისი აზრების გასათვალისწინებლად და საკირო ცნობების მოსაპოვებლად, არამედ გადმოცემებს, ნათქვამსა და ვაგონილსაც. მის მოთხრობაში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: იტყვან, სიტყუაყა იყო, თქმულ არს და სხვ.; ეს მაჩვენებელია მისი ფართო ცნობისმოყვარეობისა. როგორც მოაზროვნე, ის გამომხატველია მონღოლთა დროის სულიერი განწყობილებისა ჩვენს საზოგადოებაში. მონღოლების შემოსევამ ძირიან-ფესვიანად შეარყია მდგომარეობა და კეთილდღეობა თამარის მონარქიისა, ამან დაბადა საზოგადოებაში სასოწარკვეთილება. ასეთი განწყობილება წითელი ძაფივით არის გატარებული მთელს თხზულებაში და გამოხატულებას პოულობს ავტორის სიტყვებში: „იყო განწირვა ქართველთა ნათესავისა... აქა ეამამდი სვიანი იყო ბრძოლსა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი, ხოლო ამიერთგან იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა“, ვინაიდან „დაუდგრომელ არს მინდობა სოფლისა ამის ამაოისა“ (560—61, 591). ასე რომ ბესიმისტური განწყობილება ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ჩვენი ავტორისა.

მეორე დამახასიათებელი თვისება ავტორის აზროვნებისა თავს იჩენს ძიებაში, თუ რა იყო მიზეზი მონღოლთა შემოსევისა და საქართველოს ანაზღივლად გაოხრებისა. ამ უბედურების მიზეზს ის ხედავს ერის მორალურად დაქვეითებაში და არა თამარის მონარქიის სოციალ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობაში.

ჩვენი ისტორიკოსი ზიზლითაა გამსქვალული დამპყრობელთა გამანადგურებელი ძალებისადმი მონღოლების, სპარსელების და წარმართთა სახით. სპარსელები, ამბობს ის, „არიან ცრუ, მოღალატე და ფიცის არ შემნახველ და შრავლნი იპოებიან მათ შორის მწამლველნი და მამათმავლნი ურცხვინოდ“ (606). „საძაველ არს სჯული მუსულმანთა“ (654), შენიშნავს ის. მას შეუძლებლად მიაჩნია „წარმართთა ქორწინება ქრისტეს აღმსარებელთა თანა“ (720).

დიდია მისი პატრიოტიზმი. სხვებთან შედარებისას მაშულიშვილური გრძნობა მას ავიწყებინებს ქართველების' იმ ავთვისებებსაც კი, რომელნიც თითქოს გახდნენ მიზეზი საქართველოს გაოხრებისა. ის თვით მონღოლებს აღიარებინებს ქართველების კარგ თვისებებს: „ქართველთა აქუს სჯული კეთილი და ტყუელისა ელტვიან, მწამლველი არცა თუ სახელიდების მათ შორის“ (606); „არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკლველ და არცა სჯული უკთ ცუდისა საქმისა ქმნად“ (625); ცოტნე დადიანის ღვაწლის გამო მონღოლებს ათქმევინებს: „ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან“, რომ მზად არიან დადვან სული თვისი მოყუასათავს, „არა არს სიცრუე მათ შორის“ (637—8). ავაგის ეგვიპტის თავის განწირვის გამო მონღოლები ამბობენ: „უკუეთუ ნათესავი ქართველთა ეგვიპტარი არს, ვბრძანებ: ყოველ-

თა ნათესაეთა, რათა მორჩილებასა ქუეშე მათსა იყენენ“ (601). ისტორიკოსს არა ერთი ამალელებელი მაგალითი უჩვენებია ქართველების მამულისა და მოძმეთათვის თავის დადებისა. ასე, მაგალითად, მას აწერილი აქვს მისვლა ნოინებთან ავაგ სპასალარისა, რომელიც იქნა „დამღები სულსა თვისისა ქუეყანისა მისისათს“ (597). ეს ავაგი მერე თვით მონღოლეთში წასულა, თან წაუყვანია ეჯიბად ვინმე დავითი, რომელიც იმის შიშით, რომ მონღოლებმა მისი პატრონი ავაგი არ მოკლან, გამოწყობილა ავაგის ტანისამოსში და გაუთამაშებია ავაგის როლი, რაოდა, თუ პატრონის მოკვლას მოინდომებენ, მე მომკლავენ და ავაგი ცოცხალი დარჩებაო (608—609). მეორე მაგალითი, რომელსაც დღესაც კი მოიგონებენ ხოლმე, არის ღვაწლი ცოტნე დადიანისა, რომელმაც თავისი ამხანაგების საშინელი ბედი ნებაყოფლობით გაიზიარა (634—637). ყველაზე მეტად ზემოქმედი მაგალითი აეტორს მოუყვია დიმიტრი თავდადებულის ღვაწლის სახით. დიმიტრი ეუბნება კრებას: მიწვევენ მონღოლეთში, თუ არ წავედი, ქვეყანას ააოხრებენ, თუ წავედი, მომკლავენო. უმჯობესია, მე წაიდე, დეე „მომკლან, ვგონებ, ქვეყანა უვნებლად დარჩეს. მეწყალის უბრალო ვი, არასადა აქუს ნუგეშინის ცემა, მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისთვის ჩემისა და არა დავიშლი ურდოსა წარსლვასო“, ის მართლაც შეეწირა სამშობლოს. მსოფლიო ისტორიაში იშვიათად ვიპოვით მამულისა და მოძმისათვის თავდადების ასეთ მაგალითებს. საესებით გასაგებია, რომ დიმიტრის ღვაწლმა ასახვა პოვა ილიას ნაწარმოებში, ხოლო ცოტნე დადიანის თავგანწირულებამ აკაკის „ნათელაში“.

ისტორიული ამბების გადმოცემისას, აეტორი არ ერიდება პირდაპირ ზღაპრულსა და ლეგენდურ ამბებს. ეს არაა მის თხზულებაში ლიტერატურული ხერხი, მოთხრობის გასაცოცხლებლად გამოყენებული, ასეთი ამბები მას თითქოს სუერა კიდევ. დავსახელოთ ზოგიერთი ასეთი ამბავი. „თქუმულ არს ესეო“, გადმოგვცემს ის, თითქოს ჩინგიზ-ხანს, სანამ ის ყაენი გახდებოდა, ჩინეთში მალალ მთაზე გამოეცხადა იესო ქრისტე, რომელმაც მისცა მას გარკვეული დარიგება და უთხრა, თუ ყველაფერ ამას შეასრულებ, მთელ ქვეყანას დაიმორჩილებო. მართლაც, როდესაც ის ყაენი შეიქნა, ხატაეთს შევიდა ეკლესიაში და იხილა ქრისტეს ხატი და თქვა: აი, სწორედ ეს კაცი გამოეცხადა მე და აღმოთქვა ქვეყნის დაპყრობაო; ამიტომ მან შეიყვარა ქრისტიანებით (556). ერთმა სპარსელმა მოკლა ჩალატა ნოინი და ლერწმონში დაიშალა. მონღოლებმა ეს იქ მყოფ ქართველებს დააბრალეს და მოინდომეს მათი გაყვლა. ამ დროს მკვლელს გამოცხადებია ღვთისმშობელი მშვენიერი დედაკაცის სახით და უთქვამს: წადი ახლავე, გამოაცხადე შენი საქმე და უდანაშაულო ხალხი დაიხსენიო. ის მართლაც გამოვიდა ლერწმონიდან და ყველაფერი აღიარა (624—7). ამავე ღვთისმშობლის შეოხებით მსწრაფლ და ანაზღვეულად განიკურნა სიშინელი სენისაგან დავით მეფის ძე გიორგი (695). ასეთივე სასწაულთმოქმედება აჩვენა იოანე ნათლისმცემელმა თათრებს, რომელთაც 1000 კაცი გავზავნეს ოპიზის მონასტრის დასანგრევად; უცრად წამოვიდა საშინელი წვიმა, მოვარდა დიდი ნიაღვარი, რომელმაც მთლიანად წალეკა გამოგზავნილებიო (700—1). ამგვარივე სასწაულთმოქმედ-

ბანი ავტორს არაერთი აქვს აწერილი; მაგალითად, აქ ვრცელი მოთხრობაა მოცემული ლაშა გიორგის შვილის დავითის ზღვაში გადაგდებისა და გადაარჩენის შესახებ, მისი გველებით სავსე ორმოში ჩაგდება, სადაც ერთმა გველმა უკბინა მას, სხვებმა კი ნაკბენი აღვილი მოლოკეს და მოარჩინეს (613—17). ერთხელ, რადგანაც მონღოლებს გაუპიროდათ გარშემოზღუდული ქალაქის აღება, მათ „ვითარცა ძალთა, იწყეს ყვირილი და ყვირილი“, რის შედეგად „განსკადა ქალაქი ორადო“ (666). სასწაულებს ავტორი ბუნების მოვლენებშიც კი ხედავს; ერთ წელს, გადმოგვეცემს ის, „გამოჩნდა ვარსკვლავი კვმატი ლახვრის სახე ჩრდილოეთ კერძო და დგა ვიდრე ოთხ თუემდე, და ყოველთა ლამეთა იხილებოდა ვარსკვლავი იგი ლახვრის სახე, და იტყოდეს: ლახვრით მოწყუედასა მოასწავებსო“ (757).

საუკრადლებოა ჩვენი ისტორიკოსი როგორც მწერალი. ის, პირველყოფლისა, მოყვარული ყოფილა ხალხური ლექსისა, იქამდე, რომ მონღოლური ლექსის ნიმუშიც კი მოუყვანია. ერთი დამარცხების შემდეგო, ამბობს ის, აბალა მონღოლმა „იხილა თათარი ვინმე ლტოლვილი“ და დაუწყო მას გამოკითხვა თუ როგორ ექირათ თავი მის მთავრებს. ხოლო მან „ყოველივე ლექსთა მიერ შეწყობითა წარმოუთხრა ენითა მათითა თვთეულისა მთავრისა შედარება. ილიყანისთვის თქუა: „ვითარცა მალლით მომავალი შავარდნი მოუხდა“, მანგუდებურ ვერძსა მიემსგავსა, სირმონის შვილი ებაგან მხტომელსა ვეფხსა და იასიბულია მოზურესა ბუღა კამბეჩსა, და თავენი დედალსა თხასა“. „ხოლო ქართველთა მეფისათვის ესრეთ თქუა ენითა მათითა: „ვითა სიმერთი გრგვიწვიდეს, ვითა აქლემი ბულრობდეს ქართველნიო“ (728); ეს ლექვები მონღოლურადაცაა მოყვანილი). მას აქვს სხვა კარგი შედარებანიც. გიორგი ბრწყინვალის შესახებ ამბობს, რომ ის „მარტო იყო ძე დედისა, მარტო შვა დედამან, ვითარცა მარგალიტისათვის თქუმულ არს მარტოება“ (734), ანდა: „მარტო ეშვა დედსა, ვითარცა მარტოაქა, რამეთუ ვერ შემძლებელ იყო ბუნებითა დედითა სხვსა ეგევითარისა შობად“ (758). ავტორს ეხერხება სხვადასხვა მოვლენის დასურათხატება; მაგალითად, აი როგორ ავეიწერს ის შიმშილობას: „ესოდენ განძვნდა შიმშილი, რომელ მძორსა არაწმინდასა ურიდად სკამდეს, საესე იყვენს უბანნი და ფოლორცნი, გზანი და მინდორნი, და ქალაქნი და სოფელნი მკუდრებითა; ყრმანი მკუდართა დედათა ძუძუთა სწოვიდინ“ (765). არც თუ ლხინის აღწერა უპირის მას: ქუთაისში დავით მეფემ მასთან სტუმრად მისულ თეგუთარ ყაენს „სერი დიდი განუმზადა: ხუთასი ზროხა მოხარული დაუდგა, თვნიერ ღორისა და ცხურისა კიდე, და ლაშქრისა გამოსაზრდელად მასვე დღესა ცხენი ექუსასი, ზროხა ათას ხუთასი, ცხუარი ორი ათასი, ღორი ორი ათასი. ხოლო ღვინისა ჰამარი არა იყო: მოიღეს ურმითა და ქურითა და ამოასხმიდეს ესრეთ“ (703). საშინელ მიწისძვრას ასე ავეიწერს ავტორი: „საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა და შეიძრუნდა, დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი და ციხენი ნაშენებნი მოხრდეს, მთანი და ბორცუნი დაიზულეს, კლდენი სახედ მტურისა დაიშალნეს, და მიწა განიპო, შავი წყალი, მსგავსად კუპრისა, აღმოიქრა, ხენი დაეცნეს და ირყეოდინ“ (724). არას ვამბობთ უამრავი ბატალური

სურათის შესახებ, რომელშიც ნაჩვენებია არაჩვეულებრივი მხნეობა-მამაცობა და არაადამიანური ძალა მომრისა, რომელშიც ომში „სრულიად შექურ-ვილი კაცი აღიღო უნაგრისაგან და ტახტისა თავსა შემოიღო“ (707).

ჩვენი ავტორი ალაგ-ალაგ თავისი პერსონაჟების პორტრეტსაც გვიხატავს ხოლმე. აი როგორ გვისურათებს ის მონღოლებს: „იყვენენ ტანითა სრულ, გუამითა ახოვან და ძლიერ ფერხითა, შუენიერ და სპეტაქ ზორციითა; ჭრუტ და გრემან თუალითა მცირე, ძალითა საჩინო და განზიდულ; თავითა დიდ, თმითა შავ და ხშირ, შებლ-ბრტყელ; ცხვირითა მდაბალ ესოდენ; რომელ ლაწუნი უმაღლეს იყენიან ცხვირთა; მცირედნი ნესტუნი ოდენ ჩნდიან; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაქ, ყოვლად უწუერულნი“ (548-9). დავით ნარინსა და ულუ დავითს შემდეგნაირად გვიხატავს: „იყო ესე ლაშას ძე დავით ტანითა დიდ და ახოვან და სხვილ და მოსრე მაგრითა მშვილდითა, უმანკო, წრფელ, მალი; შემნდობელ ბოროტის მყოფელთა; ენა-მძიმე და რუსუდანის ძე დავით იყო ტანითა ზომიერ და თხელ, ფერითა ჰაეროვან, მშუენიერ და თმითა თხელ; ფერხითა მალი, მონადირე რჩეულნი და კეთილად მსრველი ნადირთა, ენა-ტკბილ და სიტყვიერ, უხუი და მდა-ბალი, ცხენსა ზედა მხნე და ლაშქართა შინა გამგონე, სამართლის მოქმედ“ (654,685). დიმიტრი თავდადებულის შესახებ ამბობს: „იყო ესე დიმიტრი ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, შესახედავად ტურჟა, თმითა და წუერი-თა მწყაზარ; თუალითა გრემან; ბრტყელ და შეწყობილ; სამხედროობთა წესითა სრული, ცხენოსანი და მშველდოსანი რჩეული; უხუი, მოწყალე გლახაკთა და მდაბალ“ (716).

თხზულება, როგორც რომელიმე მხატვრული ნაწარმოები, თითქმის თავშივე აღიზიანებს მკითხველის ცნობისმრეყარობას შემდეგი სიტყვებით: „ქუყყანასა მზისა აღმოსავლეთისა კერძოჲსასა; რომელსა ეწოდების ჩინ-მამჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკვრველნი; ადგილსა; ყარაყარუმაღ წოდებულსა, უცხო სახითა, წესითა და შესახედავადცა“ (548). ის წარმოგვიდგენს გრძელ ჯაქვს პოლიტიკურ-სამხედრო და ყრფა-ცხოვრებითი ეპიზოდებისა; რომელნიც მოხერხებულად სცვლიან ერთიმეორეს, რათა მოთხრობის ერთ-ფეროვნებით არ დაიღალოს მკითხველის ყურადღება. ენა თხზულებისა არის სადა; უბრალო, დინჯი; ადვილად გასაგები; რომელიც გვეუბნება, რომ მონღოლთა ბატონობის ხანაში; ლიტერატურული ძეგლების ფიზიკურ განადგურებასთან ერთად, არ განადგურებულა და არ მოსპობილა ლიტერატურული გემოვნება; სამწუხაროდ, ეს ერთადერთი; ამ ხანიდან შემონახული; ძეგლი კრიტიკულად გამოცემული არაა.

აღორძინების პერიოდის ლიტერატურა

აღორძინების პერიოდის ზოგადი ლახსიანობა

ზემოთ, შესავალში, ჩვენ უკვე ვაჩვენებთ ფარგლები ე. წ. აღორძინების პერიოდისა. იქ აღნიშნული იყო, რომ ეს პერიოდი იწყება შეთქმულმა საუკუნის დამდგომიდან და გრძელდება XVIII საუკუნის გასულამდე, თუმცა მრავალფეროვანი და საკმაოდ მძლავრი ტალღა ამ ხნის ლიტერატურული შემოქმედებისა მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედშიაც საგრძნობია. იქვე, შესავალში, ნაჩვენებია იყო, თუ რატომ ვიღებთ ასეთ და არა სხვანაირ მიჯნებს აღორძინების პერიოდისათვის. ახლა ზოგადად მოეხაზავთ იმ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავდა ამ პერიოდის ლიტერატურის ხასიათს, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნემდე, ამ საუკუნის პირველი მესამედის, ე. წ. «გარდამავალი» ხანის ძველ ლიტერატურულ მოვლენებს ჩვენ არ ვეხებით, რადგანაც ამ მოვლენების შესახებ სპეციალური კვლევა-ძიება წარმოებს ¹.

როგორი იყო სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ვითარება ჩვენი ქვეყნისა მესამე პერიოდში? ²

სოციალური დიფერენციაცია მთავარ ხაზებში იგივე რჩება, რაც წინა პერიოდებიდან ვიცით. ფეოდალური კლასი ორ ფრთად იყოფა — საეროდ და სასულიეროდ. საერო ფეოდალური კლასი თავის მხრივ ორ გჯგუფს იძლევა: მსხვილ და წვრილმამულიან აზნაურობას. სიტყვა თავადია, რომელიც წინათ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, ახლა იღებს სოციალურ შინაარსს, ის აღნიშნავს დიდ ბატონს, თავს, უფროსს რომელიმე მსხვილი ფეოდალური საგვარეულოსას. თავადებს, რომელნიც ფართოდ სარგებლობდნენ ე. წ. «შეუვლობითა», ჰყავდათ თავიანთი აზნაურები, მსახურები და გლეხები. მსახურთ, მეტეგრე გლეხთან შედარებით, უკეთესი უფლებრივი მდგომარეობა ჰქონდათ, თუმცა, საერთო აშლილობის დროს, მათი მდგომარეობაც ირყეოდა და გლეხისას უახლოვდებოდა. XVII საუკუნის დასასრულიდან დასავლეთ საქართველოში ჩნდება კატეგორია ე. წ. მოჯალაბე გლეხთა, რომელთა მდგომარეობა მეტეგრე გლეხისაზე უარესი იყო ³. მდგომარეობა გლეხკაცისა, რო-

¹ ტრ. რუხაძე, ქართული ეპოსი «გარდამავალი ხანის» ლიტერატურაში, თბილისი 1939 წ. ამ მიხედვით ჩვენ არ შეგვაქვს ამ გამოცემაში ამ ხანის ის თხზულებებიც კი, რომელთაც ადგილი პოვის პირველ გამოცემაში.

² ზოგადად ამის შესახებ იხ. ამ წიგნის პირველ ტომშიც.

³ ს. კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, 1920 წ., გვ. 79 — 81.

მელიც შეაბეს ბატონყმობის მძიმე უღელში, იმდენად უნუგეშო და აუტანელი იყო, რომ XVII — XVIII საუკუნეთა მანძილზე მან გამოიწვია მთელი რიგი აგრარული ხასიათის მოძრაობა. ცნობილი მოგზაური შარდენი XVII საუკუნის მეორე ნახევარში წერს: მებატონეებს ღიდი უფლება აქვთ ყმებზე, ისინი მთელი თევების განმავლობაში, რამდენიც სურთ, ამუშავენ ყმებს და არც ჯამაგირს და არც საზრდოს აძლევენ მათ. მათ ხელი მიუწვდებათ ყმების ქონებასა, თავისუფლებასა და სიცოცხლეზედაც კი. ბატონები ჰყიდიან ყმების შვილებს, ანდა მონებად ჰყავთ სახლშია. მიინცლდამინც სანატრელი არც იმ გლეხის მდგომარეობა იყო, რომელიც ეკლესიას ეუთვნოდა, რადგანაც ეკლესია უფრო მეტად სარგებლობდა მუშევარობითა, ვიდრე თავადაზნაურობა, რაც მას მეტი ექსპლოატაციის საშუალებას აძლევდა. ამით აიხსნება, რომ XVIII საუკუნეში გლეხთა მასობრივი პროტესტი განსაკუთრებით საეკლესიოსამონასტრო მიწათმფლობელობის წინააღმდეგაა მიმართული.

თუ აღნიშნულ კლასებსა და ჯგუფებს ჩვენ მივუმატებთ აღებ-მიცემობის ხელმძღვანელ ვაჭართა ჯგუფს (და არა კლასს ჯერჯერობით), აგრეთვე საამქრო სისტემაზე აღმოცენებულ ხელოსანთა კორპორაციასა და მანუფაქტურული და მსხვილი მრეწველობის ელემენტების ჩასახვით შექმნილ მუშათა წრეებს, მივიღებთ იმდროინდელი ჩვენი სოციალური ყოფის სრულ სურათს.

ეკონომიური მდგომარეობა, იმისდა მიხედვით, მოსვენებული იყო თუ არა ქვეყანა გარეშე მტერთა თავდასხმისაგან, ხან წინ იწევდა, ხან ქვეითდებოდა. ასე, მაგალითად, ვახტანგ V შაჰნავაზის დროს ქვეყანა გარეშე მტრებისაგან შედარებით მოსვენებული იყო. ამით აიხსნება, ალბათ, რომ ამ მეფის სასახლის მოწყობილობამ და სიმდიდრემ გაკვირვებაში მოიყვანა თვით განათლებული ევროპელი შარდენიც კი, რომელიც, ზედმეტი არაა აღვნიშნოთ, ამბობს: დაბალი წოდებისანი სულ ღირის ხორცსა სქამენ... დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ იმისთანა კარგი სანოვაგე, როგორც საქართველოშია, არსად სხვა ქვეყანაში არ იქნება. არც ისეთი ქვეყანა იქნება, რომ იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც საქართველოში. საპაღნე ღვინო აქ ფასობს რვა ფრანკი, ასე ფასობს უკეთესი ღვინო, ხოლო ცოტა მდარე არც ამის ნახევარი ღირს. არც სხვა სანოვაგეა ძვირი. ეკონომიკის მთავარ ბაზას შეადგენდა კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა, სოფლის მეურნეობის უპირატესობით: მისდევდნენ უმთავრესად მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მებაბრეშუმეობას, მებაბმეობას, მებალეობა-მევენახეობას. უუურადღებოდ არ რჩებოდა სახალხო მეურნეობის არც სხვა დარგი. განვითარდა, განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან, სხვადასხვა დარგის ხელოსნობა¹, თავი იჩინა საუკუნის მეორე ნახევარში მანუფაქტურულმა (ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადება) და ნაწილობრივ მსხვილმა მრეწველობამ სამთამადრო საქმიანობის წამოწყებით. მადნეულობის დამუშავების მნიშვნელობა შეგნებული

¹ ხელოსნობას რომ ფართოდ ჰქონდა კარები გაღებული, ეს ჩანს XVII საუკუნის მისიონერის, ბერნარდე ნეაპოლელის, მოხსენებიდან, რომელშიც ნათქვამია: «ბავშვები, გახდებიან თუ არა რვისა ან, სულ ბევრი, ათი წლისა, მშობლებს ჩვენგან გაჰყავთ და აყვებენ ხელობაზე» (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 254 — 5).

ჰქონდა ჯერ კიდევ თეიმურაზ პირველს, რომელიც ამ საქმისათვის ოსტატებს რუსეთიდან იწვევდა. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მას მიაქცია ერეკლე მეორემ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახტალისა და ალავერდის ქარხნებს. ეს მადნები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმდროინდელ ეკონომიკაში: 1780 წელს ახტალის მადნებმა მისცა ერეკლეს 63200 მანეთის ოქრო-ვერცხლი.

ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა აღებ-მიცემობის განვითარებამ და სავაჭრო კაპიტალიზმის ზრდამ, რაც XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან იჩენს თავს დასავლეთ ევროპასა და რუსეთთან ურთიერთობის დამყარების გამო. ცნობილია, რომ ევროპის კაპიტალს აღმოსავლეთისაკენ გზას უკაფავდა ჯვარი და სახარება. კათოლიკეთა მისიონერებმა ამ მხრივ საქართველოსაც დააჩინეს კვალი. მას შემდეგ, რაც რომში, საქართველოს მიზეზით, პროპაგანდის კოლეგია დაარსდა და ევროპელ მისიონერებს გაეხსნათ საქართველოში შემოსასვლელი გზა, მას შემდეგ, რაც ცნობილმა ნიკიფორე ირბანმა, თეიმურაზის დავალებით, საგანგებო მისიით, თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა შემოიარა, კათოლიკეთა მისიონერები, სხვადასხვა ორდენისა და მიმართულებისა, მკვიდრად იკიდებენ ფეხს. ამათ კვალდაკვალ მოჰყვებიან უკან სხვადასხვა კომერსანტები, რომელნიც მისიონერთა ეკლესიებსა და მონასტრებს ბაზად იყენებენ თავიანთი კომერციული საქმიანობისათვის და, აქ შესვენებით, სპარსეთსა და ცენტრალურ აზიაში გადადიან. ცნობილი შარდენი, რომელიც ჩვენში 1671 წელს იყო, წერს: მეფემ (ვახტანგ V) შემომითვალა: ძლიერ მსურს ევროპელები დასახლდნენ საქართველოში, და გვიბრძანა: თუ აღებ-მიცემისათვის მოვლენ ევროპელები, გავანთავისუფლებ ყველა გადასახადისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენ. ჩემი საბრძანებელია შეეზღვაძღვ, დიდი გავლენა მაქვს სპარსეთში, დიდი პატივი ოსმალეთში და ამიტომ ევროპელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისათვის საქართველოზე უკეთესს გზას ვერ იპოვიან. თუ ერთხელ სცადეს და ამ გზით გაიარეს, მერე აღარ დასტოვებენ ამ გზით სიარულს. ცხადია, ასეთი ცდები უშედეგოდ არ დარჩებოდა.

ამ პერიოდში საქართველოს ვაჭრობის შესახებ აღმოსავლეთთან და დასავლეთთან ცნობები შემოუნახავთ ევროპელებსაც, რომელნიც სავაჭრო საგნებსაც კი აღნიშნავენ. საქართველოში 1631 წელს ჩამოსულ არქანჯელო ლამბერტის ცნობით, წინა საუკუნეებში მიმქრალი ვაჭრობა კვლავ გამოცოცხლებულა XVII საუკუნის პირველ ნახევარში. ამ დროს სამეგრელო და მისი საშუალებით მთელი საქართველო აწარმოებს ვაჭრობას სპარსეთთან და ოსმალეთთან, საიდანაც შემოჰქონდათ ნიხები, ტყავეულობა, უნაგირები, მანუღი, რკინეულობა, სპილენძი, მატყლი, ქსოვილები, თევზეულობა, დანები, შაქარი, მარილი და სხვ. საქართველოდან გაჰქონდათ თაფლი, სანთელი, ადგილობრივი ტილო-ხამი, ძაფეულობა, აბრეშუმი, სელის კაკალი და სხვ., მაგრამ ყველაზე უფრო მოსაგებიანი საექსპორტო საგანი ყოფილა ადამიანი. ზემოდასახელებული შარდენი წერს: თბილისიდან ბლომად ღვინო მიაქვთ სომ-

ხეთს, მიდიასა და ისპანს... აქ ბევრი აბრეშუმი მოჰყავთ, აბრეშუმის მოვლა კარგად იციან. აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთს, არზრუმს და სხვა ქვეყნებში... თბილისი დიდი არ არის, მაგრამ ძლიერ დასახლებულია და გამაგრებული... აქ რამდენიმე კარგი საჯარო შენობაა; დიდრონი ბაზრები, ქვით ნაშენი და სუფთად შენახული... დუქნებიც კარგად მოწყობილია, სუფთად შენახული, ისინი ჩამწკრივებულია მაღლობზე, დიდი მოედნის პირსა. ტურნეფორი 1702 წელს წერს: თბილისი საქმაოდ ვრცელი და კარგად დასახლებული ქალაქია... უმთავრესი სავაქრო თბილისისა არის ტყავები და ბეწვეულობა, რომელიც გააქვთ სპარსეთსა და კონსტანტინოპოლს არზრუმიდან. ადგილობრივი აბრეშუმი თბილისში არ შემოაქვთ, რომ ბაგი არ გადაიხადონ, მას ადგილობრივ ჰყიდულობენ თბილისის სომხები და პირდაპირ ჰგზავნიან ზმირნასა და ხმელთაშუა ზღვის ნავსაყუდლებში ფრანგთათვის მისაყიდად. თბილისის მიდამოებიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდან ყოველ წლივ იგზავნება 2000 აქლემი საპალნე ენდრო; არზრუმიდან ენდრო შეაქვთ დიარბერქირს, სადაც იმით ლებავენ ფარჩეულობას პოლონელთა ქარხნებისათვის. საქართველო ბევრ ენდროს აძლევს ინდოსტანსაცა¹.

განსაკუთრებული როლი ითამაშა ამ პერიოდის ქართველთა ცხოვრებაში რუსეთის სავაქრო კაპიტალმა, რუსეთთან ურთიერთობა სისტემატურ ხასიათს იღებს ალექსი მეფის დროიდან, რომელიც საგანგებოდ ელჩებს ჰგზავნის ჩვენში და თეიმურაზ პირველსაც სტუმრად ლეზღობს. ეს ურთიერთობა უფრო საქმიანი ხასიათისაა, ელჩებს დავალებული აქვთ მუშტრის თვალთ შეისწავლონ ჩვენი ქვეყანა, მისი საწარმოო ძალები, სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობა, მოსახლეობა, დამოკიდებულება სხვა მეზობელ ქვეყნებთან და სხვ. გიგანტური ნაბიჯით მიემართება აღმოსავლეთისაკენ საქართველოს გზით რუსეთის სავაქრო კაპიტალი, განსაკუთრებით პეტრე დიდის დროიდან, რომელმაც მოიმაგრა ფეხი რა აზოვისა და კასპიის ზღვებზე, საქართველოშიც გადმოიხედა და ვახტანგ მეექვსესთან პოლიტიკური ურთიერთობის დაჭერაც კი მოინდომა იმ მიზნით, რომ ვახტანგის ხელით გაეაქფა გზა რუსული კაპიტალისათვის სპარსეთში. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო, უფრო კი მისი აღმოსავლეთი ნაწილი, სულ ერთიანად დაპყრობილი ჰყავს რუსეთის კაპიტალს, ის რუსეთის ბაზარადაა ქიუთული. თბილისი რუსეთის საქონლის საწყობია, იქამდის, რომ ბეწვეულობას აქედან აგზავნიან არა მარტო სპარსეთსა და არზრუმს, არამედ ყირიმშიც კი. წინანდელი პრიმიტიული გაცვლითი ვაჭრობა თანდათან ადგილს უთმობს ფულზე ვაჭრობას, რაც იწვევს ფულის მოთხოვნილებების ზრდას. მის ნაქლებობას, საბაიოებისა და საგადასახადო სისტემის მოგვარების მიუხედავად, ავსებენ ძველებური ნაცადი გზით — უცხოეთიდან შემოსული ხარკით. 1785 წელს განჯა-ერევნის სახანოებიდან შემოსული ხარკი უდრებდა 400 ათას მანეთს. XVII — XVIII საუკუნეებში იმდენად ძლიერია ეკპართა წირი, რომ არჩილ მეფე და დავით გურამიშვილი მის ჭნეობისა კოდინჯიკაციას ახლენენ,

¹ «Сборник сведений о Кавказе», т. VI, гл. 283 — 285.

პოლიტიკურად საქართველო ამ პერიოდში გაყოფილია სამ სამეფოდ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, — და ოთხ სამთავროდ: გურიი, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი (სამცხე-საათაბაგო უკვე 1625 წლიდან ოსმალეთმა შეიერთა). ამ სამეფო-სამთავროებს შორის დაუსრულებელი კიშპობა, კინკლაობა და შფოთი იყო, რასაც ართულებდა ხშირად გაუგებრობა ეკლესიასთან, რომელიც „შეუვალობის“ პრინციპის წყალობით წინანდებურად „სახელმწიფოს სახელმწიფოში“. წარმოადგენდა (ისიც გაყოფილი იყო მცხეთისა და აფხაზეთის საქათლოოკოლოდ, უკანასკნელიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერთ დროს ოდიშის საქათლოოკოსო გამოეყო) და პოლიტიკურ ძალაუფლებასაც კი იღებდა ხელში, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, მალაქია კათოლიკოსის დროს, რომელმაც 1625 წელს გურიელობაც კი დაიკავა. როგორც თითოეული სამეფო, ისე სამთავრო, თავის მხრივ, რამდენიმე კარჩაკეტილ და, „შეუვალობის“ წყალობით, თითქმის დამოუკიდებელ საერისთაოდ ნაწილდებოდა. ამ საერისთაოთა სათავეში მდგომი ფეოდალები გამუდმებულ ბრძოლასა და კინკლაობას აწარმოებდნენ როგორც ურთიერთ შორის, ისე მეფე-მთავართა წინააღმდეგ. ქვეყნის ასეთი დანაწილება დამლუპველი იყო, რაც შეუმჩნეველი არ რჩებოდა იმ დროსაც კი. ამიტომ ამ პერიოდის დასაწყისიდანვე თავს იჩინს მისწრაფება ეროვნული მთლიანობის აღდგენისაკენ. ასეთი მთლიანობის აღდგენისათვის საკირო იყო ჯერ შინაური, გამოიშავი ფეოდალური ძალების ალაგმვა, ამ მხრივ სოლომონ პირველმა იმერეთში და ერეკლე მეორემ ქართლში გარკვეულ შედეგებსაც მიაღწიეს (რაქის, ქსნისა და არაგვის საერისთაოების გაუქმება), მაგრამ ფეოდალური სისტემა იმდენად ფეხგამდგარი იყო ჯერ კიდევ, რომ ერეკლე უნებლიეთ უწყობს ხელს მის არსებობის გაგრძელებას, როდესაც სახელმწიფოს ნაწილებს ფეოდალად უფრიგებს თავის შეილებს. აღნიშნული მთლიანობის აღსადგენად საკირო იყო უფრო მეტად ცალკე სამეფო-სამთავროების გაერთიანება. ამ აზრს გაბედულად ქადაგებს მწერლობა ფეშანგი ფაშვიბერტყაძისა და დავით გურამიშვილის პირით, ხელს ჰკიდებს მის პრაქტიკულად განხორციელებას ვახტანგ V შაჰნავაზი და წერილი აზნაურული წრიდან გამოსული გიორგი სააკაძე, მაგრამ ყველაზე უფრო მძლავრი ფაქტორი ამ შემთხვევაში გამოდგა სავაქრო კაპიტალი. მისი გამაერთიანებელი, ცენტრალისტური ტენდენციებით აიხსნება, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ფაქტიურად გაერთიანდა ქართლ-კახეთი, მძლავრად დაისვა საკითხი სამცხე-საათაბაგოს შემოერთებისა და დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოსთან გაერთიანებისა, რამაც გამოხატულგება პოვა 1792 წლის ტრაქტატში. ეს საკითხი იმდენად მომწიფებული და რეალური იყო, რომ უკვე XVIII საუკუნე, განსაკუთრებით კი ერეკლე მეორის დროის სამეფო კარი და საზოგადოების შეგნებული ნაწილი აბსოლუტისტური სულისკვეთებითაა გამსჭვალული, სამწუხაროდ, ქართული სავაქრო კაპიტალი ჯერ იმდენად არ იყო წილგამაგრებული, რომ მას შესძლებოდა ამ საქმის სისრულეში მოყვანა, ეს წილად ხედა უკვე უცხო კაპიტალს, რომელიც XIX საუკუნეში რუსული ბურჟუაზიის სახით შემოიკრა ჩვენში.

რუსულ ბურჟუაზიას დიდი ხნიდან ეკაფებოდა გზა ჩვენში. საქართველოს მდგომარეობას ართულებდა იმდენად არა შინაური უთანხმოება და არევე-დარევა, რამდენადაც გარეშე მტრების პერმანენტული თარეში. ქრისტიანული საქართველო გარშემორტყმული იყო ისეთი ქვეყნებით (სპარსეთი, ოსმალეთი, კავკასიის მთიელები), რომელნიც მაჰმადიანობას აღიარებდნენ და, თავიანთ ზნე-ჩვეულებასთან ერთად, თავზე ახვევდნენ ქართველებს მაჰმადიანობას. ამიტომ ამ ორ ბანაკს შორის წარმოებული ბრძოლა, რასაკვირველია, ეკონომიური ინტერესების კარნახით, იღებდა ხოლმე საწმენოებრივი ომის ხასიათს, რაც ჩვენი ცხოვრების მესვეურთა პოლიტიკას გარკვეულ მიმართულებას აძლევდა. ქართველი მეფეები მაჰმადიანთა წინააღმდეგ დახმარებას ეძებენ ორი გზით: დასავლეთი ევროპისა (თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II) და რუსეთის გზით. რუსეთის გზა უფრო მოკლე გამოდგა, თან ის კონფესიურადაც უფრო მისაღები იყო ქართველებისათვის (როგორც რუსები, ისე ქართველები მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ), ამიტომ რუსული ორიენტაცია საბოლოოდ იმარჯვებს ჩვენში: 1783 წელს ქართველები შედიან რუსეთის მფარველობაში, რომელიც 1801 წელს სრული ინკორპორაციით შეიცვალა. ამ გარემოებამ ქართველი ფეოდალების კლასში, რომელმაც დაკარგა პოლიტიკური ძალაუფლება, გამოიწვია იმედის სრული გაცრუება და უკმაყოფილება, რამაც გამოხატულება პოვა როგორც ლიტერატურაში, რომანტიზმის წინათ ჩასახული ელემენტების განვითარებისა და მომწიფების სახით, ისე მთელ რიგ შეთქმულება-აჯანყებაში. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დაქუცმაცებული საქართველო ეროვნულად და კულტურულად გაერთიანდა.

მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ლტოლვა აღმოსავლეთისაკენ საქართველოს გზით დასავლეთიდან ევროპულის, ხოლო ჩრდილოეთიდან რუსული კაპიტალისა, ასეთივე ლტოლვა სამხრეთიდან საქართველოსაკენ სპარსეთისა და ოსმალეთის, ერთი მხრით, რუსეთისაგან თავდაცვის მიზნით, მეორე მხრით — ჩვენი ქვეყნის ხელში ჩაგდების გულისათვის, საქართველოს ხდის ერთ-ერთ იმ ქვეყნად, სადაც თავს იყრის, შეიძლება ითქვას, იმდროინდელი მსოფლიო ბურჟუაზიის ინტერესები. ამ გარემოებას აუცილებლივ უნდა ჩეთრიო ეს ქვეყანა, რომელიც, ბუნდოვნად მაინც, უკვე გრძნობდა ფულის მნიშვნელობას და ფეოდალური არტახების მოშვების აუცილებლობას, ამ მსოფლიო ორომპტრიალში, და ისიც ფართოდ უღებს, თუ აღებინებენ, კარებს ყველა ქვეყნიდან აქეთკენ წამოსულთ. მისი საერთაშორისო ურთიერთობის წრე გაფართოვდა: მას პირდაპირ უხდება საქმის დაკერა დასავლეთ ევროპასთან, რუსეთთან, სპარსეთთან, ოსმალეთთან, სომხეთთან და ძველი ბიზანტიის მონაგონარ ბერძნებთან. ორი წლის განმავლობაში ქართველთა ჯარის, ერეკლე მეორის მეთაურობით, ლაშქრობა ნადირ-შაჰის დროს ინდოეთში ფარდას ხდის მის თვალწინ შორეული აღმოსავლეთის ფერადულ საიდუმლოებას. ასე რომ, მართალი იყო შარდენი, როდესაც წერდა: ქართველებს მისვლა-მოსვლა აქვთ მრავალ ხალხთან. თვით საქართველოში ყველას აქვს უფლება იცხოვროს თავისი რჯულისა და ჩვეულებისამებრ, თავისუფლად

ილაპარაკოს ამ საგანზე და დაიცვას თავისი შეხედულება. აქ შეხედებით სომხებს, ბერძნებს, ურიებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, რუსებს, ევროპელებს. სომხები ბევრნი არიან აქ, ისინი ქართველებზე უფრო მდიდარებიან, დაბალი მოხელეების ადგილები უმეტესად მათ უჭირავთ. ყველაფერი ეს შესაძლებლობას ქმნიდა წინა პერიოდში მიფერფლილი და მიძინებული ტრადიციები კულტურული ცხოვრებისა კვლავ გაცოცხლებულიყო; და ეს ასეც მოხდა.

მართლაც, მიმდინარე პერიოდში საქართველოში თავი იჩინა საკმაოდ ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ: გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა სასკოლო საქმე, იხსნება პარველდაწყებითი და საშუალო საფეხურის სკოლები (სემინარია თბილისისა და თელავისა, კეთილშობილთა სასწავლებელი XIX საუკუნე.), მუშავდება პროექტი და გეგმები უმაღლესი სკოლისა გორში, შემოღებულ იქნა წიგნის ბეჭდვის ხელობა, საფუძველი დაედო მნიშვნელოვან წიგნსაცავებს, გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა წრე, განსაკუთრებით ქალთა შორის, როგორც ამას მოწმობს კაპიტანი იაზიკოვი: «*это же принадлежит ди благородных женщин, они все писать умеют*». გაფართოვდა წრე ლიტერატურულ მოღვაწეთა, ამ წრეში მოექცნენ ახლა სამეფო ოჯახისა და გვარეულობის წევრებიც, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები. გამრავლდა რიცხვი უცხო ენათა მცოდნე პირებისა, გაჩაღდა ახალი ცენტრები ლიტერატურული მუშაობისა საქართველოს გარეშეც, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც, მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ისტორიული ჩარხის ტრიალი შეუჩერებლად მიერეკება ცხოველმყოფელ კულტურულ ძალებს, რომელნიც ინტენსიურად მომუშავე და პროდუქტიულად ნაყოფიერ სკოლას ქმნიან იქ. საუკუნეთა განმავლობაში შემოსულ აღმოსავლურ ტრადიციათა გვერდით ფეხს იკიდებს ახალი, რუსული ზნე-ჩვეულებები: სუფრის მოწყობილობა, ფაიფურის ქურქელი, კოსტუმი, ქალების ქოლგა, «შლაპა» და სხვ. იწყება ალორძინება მეცნიერების სხვადასხვა დარგისა, როგორცაა: მედიცინა, ლინგვისტიკა, ასტრონომია, გეოგრაფია, ისტორია, ფილოსოფია (შემოდის ვოლტერიანობა), იურისპრუდენცია. ანტონ კათოლიკოსის ძეზამეტყველებამა უკანასკნელად იელვა დიდი ხნის მიძინებულმა ქართულმა თეოლოგიურმა აზროვნებამ. მეცნიერებასთან ერთად ისახება თეატრი.

აზვითებულ მდინარეს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისას ქმნიან სხვადასხვა მიმართულებისა და მნიშვნელობის ნაკადნი, რომელნიც პირველობას ეცილებიან ერთმანეთს. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ პერიოდში საერო კულტურა ებრძვის სასულიეროს. სასულიერო სფეროში იბრძვიან მაჰმადიანობა და ქრისტიანობა, ქრისტიანობაში — კათოლიკობა და მართლმადიდებლობა. საერო სფეროში ებრძვის რუსულ-ევროპული კულტურა აღმოსავლურს, ვაქრულ-ხელოსნური — აგარაულს. ბრძოლა კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროში, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, სოციალურ-ეკონომიურ ნიდაგზეა აღმოცენებული, გამოძახილს პოულობს ამდროინდელ მწერლობაში.

მესამე პერიოდის ლიტერატურაში თავი იჩინა გამოცოცხლებისა და წინსვლის უტყუარმა ნიშნებმა, გამოცოცხლებას ვამჩნევთ მწერლობას რო-

გორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. ჩვენ მწერლობაში ახლა იკრება რუსულ-ევროპული ნაკადი.

აღნიშნულმა მოვლენებმა განსაზღვრეს ხასიათი და მიმართულება ამ პერიოდის მწერლობისა და შემოიტანეს იმაში ყოველივე ის ახალი, რაც ასე დამახასიათებელია მისი, სახელდობრ:

1. ეროვნული მოტივისა და ორიგინალური შემოქმედების გაძლიერება. გაჩნდა მთელი რიგი მწერლებისა, რომელნიც ღრმად ჩასწვდნენ გულში თანამედროვეობას და ზუსტად აღბეჭდეს მისი ქირ-ვარამი. საქართველოს თანამედროვე ვითარებამ წარუშლელი ბეჭედი დაასვა ამ კატეგორიის ნაწარმოებთ, რომელთა ხასიათი, პატრიოტული მიმართულება და ლიტერატული ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობის გამომხატველია. ეროვნული სული ჩანს, არაიშვიათად, ავით უცხო ენიდან ნათარგმნ თუ გადმოკეთებულ თხზულებებში, რომელთაშიც, არის შემთხვევა, საკუთარი სახელები ქართულ სახეს ღებულობს, ქართულ ენაზე ლაპარაკობენ ამა თუ იმ თხზულების სხვადასხვა ეროვნებათა პერსონაჟები.

2. თემატიკის გაფართოება. ცხოვრების ახალმა სიომ მოითხოვა მწერლობაში თემატიკის გაფართოება იქამდის, რომ ლიტერატურაში გაბედულად და მკაფიოდ წამოყენებულა პრობლემა სოციალური ბოროტებისა და უთანასწორობის შესახებაც კი. რით აიხსნება, რომ ერთი ღარიბია და უბედური, მეორე კი მდიდარი და თითქოს ბედნიერი (გაბაასება წუთისოფელთან, განსაკუთრებით არჩილისა)? მართალია, საკითხი გადაჭრილია ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით, მაგრამ ამ დროისათვის ჩვენში თვით საკითხის დასმაც სიმპტომატურ და საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თემატიკის გაფართოება აუცილებელი იყო ამ პერიოდში, ვინაიდან ახლა ცხოვრებაში გარკვეულ ადგილს თხოულობდნენ, საკმაოდ საგრძნობლად, ის სოციალური წრეები, რომელთაც ფეოდალური ლიტერატურა წინათ იმდენად ყურადღებას არ აქცევდა. ესენია: ვაქრები, ხელოსნები, გლეხები ან მუშაკნი, დილით ღამემდინ მყეფენი (არჩილი) და მუშები (ჩანასახის სახით). ჩნდებიან ვაქრულ-ხელოსნური წრიდან გამოსული პოეტები და მელექსეები, როგორც, მაგალითად, საიათნოვა, ბისტრია¹, მებაღე დავითა, პაქუა, ბლიაძე, კორაშვილი და სხვ., და მწერლობაში იკრება ვაქრულ-ხელოსნური მოტივები, განსაკუთრებით ე. წ. «მუღღური» პოეზიის სახით. ვაქრულ-ხელოსნურსა და გლეხურ მოტივებს ეხებიან ფეოდალური წრიდან გამოსული პოეტებიც (არჩილი, დავით გურამიშვილი, განსაკუთრებით ივანე-არაკების ავტორები), მაგრამ ეს მოტივები აქ ფეოდალურ პრიზმაშია გადატეხილი, ამ პერიოდის ვაქრულ წრეს, საერთოდ ბურჟუაზიას, ჯერ კიდევ არ შესწევდა საკუთარი კლა-

¹ თუ ეს შერთლა პიროვნების აღნიშნული სახელია, რომელმაც გამოიყენა ფისტიაკურის სახელით ენობლი სალქსო სახომი (იხ. ამის შესახებ ა. შანიძე; ფისტიაკურის ისტორიისათვის, «ლიტერატურული ძიებანი», II, გვ. 5 — 13).

სობრივი მწერლობის შექმნის ძალა, გვაქვს მხოლოდ ერთადერთი გაუბედავი და მორცხვი ცდა ამ დარგში პოემა «სარიღონიანის» სახით, სადაც ვაჭრული ტენდენციები და ვაჭრის იდეალიზაცია აშკარად გამოსკვივინს.

3. ამ პერიოდის ლიტერატურის დამახასიათებელია ახალი ლიტერატურული მიმართულება. საუკუნეების განმტკიცებული ფეოდალურ-რეაქციული ფანტასტიკის გვერდით ამ დროის მწერლობაში თავს იჩენს, როგორც რეაქცია მის წინააღმდეგ, ახალი რეალისტური, თუ შეიძლება ითქვას პირობით, მიმართულება და სტილი. ეს, რასაკვირველია, შედეგია ბურჟუაზიული ტენდენციების ჩასახვა-გაჩენისა, რომელსაც ამ პერიოდში ვხედავთ. ფანტასტიკის მაგიერ ლიტერატურა თხოვლობს მართლის თქმას, ის, ზოგიერთი პოეტის პირით (ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, არჩილი, თეიმურაზ II) ჰგმობს სპარსულ ნაქორ ამბებსა და მწერლებს, რომელნიც დროსა და ენერგიას ხარჯავდნენ ისეთ პირთა და ამბავთა შესაქებად, რომელნიც არ ყოფილან და არ მომხდარან ნამდვილად. ამის პასუხია ის რეალისტი (რა თქმა უნდა, არა თანამედროვე გაგებით), რომელიც მოცემულია საისტორიო პოემებსა და «ზნეობათა» კლბიფიკაციაში (არჩილი, ფეშანგი, იოსებ სააკაძე, თეიმურაზ II, გურამიშვილი). ეს ერთი, მეორე — ეპოქის აბსოლუტისტური სულისკვეთება, რომელიც თავს იჩენს განსაკუთრებით ერეკლე მეორის დროსა და კარზე და ნაწილობრივ განხორციელდება კიდევაც, ჰქმნის ახალ ლიტერატურულ მოვლენას. სამეფისკარო არისტოკრატის ხელით საფუძველი ეყრება ახალ კულტურას, რომელიც შეშენის გამარჯვების გზაზე შემდგარ აბსოლუტიზმს და რომელიც ჰქმნის თავისებურ ქართულ კლასიციზმს¹. ამისი ნიშნებია: ა) ამ ხანის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ოდას, რომელიც ქებათაქებას ასხამს ეპოქის დიდების შემქმნელ ბრძენ მეფეებსა და ძლევაშოსილ სარდლებს (ერეკლეს, დავით სარდალს, ასპინძისა და რუბის ბრძოლას, ფოთის აღებას და სხვ.). ბ) ყველაზე მეტად სამეფისკარო არისტოკრატიული კლასიციზმი თავს იჩენს ახლადჩასახულ დრამატურგიაში, მისი კლასიკური თემებით (იხ. ქვემოთ დრამატურგიის შესახებ). გ) პოეზიის თეორიის რეგლამენტაცია, წარმოდგენილი მამუკა ბარათაშვილის «ქაშნიკში». დ) ზრუნვა ენის პურიზმისათვის და თეორია «შტილის» შესახებ, რომელიც მუშავდებოდა ანტონ პირველის სამეცნიერო-ლიტერატურულ სკოლაში. ე. ს. ა. — სავაჭრო კაპიტალის ელემენტების შემოქრით. სოციალური ბატონობის ბაზის შერყევამ მბრძანებელ კლასს სულის სიმშვიდე დაუკარგა და ფეოდალურ ლიტერატურაში გამოიწვია რომანტიზმი ის ელემენტები. უნდა შევნიშნოთ, რომ რომანტიზმის ელემენტებს ჩვენ გარკვევით ვამჩნევთ ქართულ მწერლობაში, თუ უფრო ადრე არა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მინც, განსაკუთრებით კი რუსულ ემიგრაციაში. დაკარგვა სამშობლოსი, ნაც-

¹ ამ ხანის ხეენ კლასიციზმს არაფერი აქვს საერთო ფროპის კლასიციზმთან, მითუმეტეს ცრულკლასიციზმთან, ის თავის საკუთარ ერთეულ ნიადაგზე ადგილებული და მიმართულია უფრო რუსთაფლის ეპოქის კულტურის აღდგენისაკენ, ლიტერატურაში ის გამოხატება რუსთაფლისადმი მიბაძვაში.

ნობ-მეგობრებსა და ნათესაეებს დაშორება, დაკარგვა პოლიტიკური ძალა-უფლებისა (რუსეთში უფრო აღრე, ვიდრე საქართველოში) და სოციალური მდგომარეობის შერყევა, აი, ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ქართული ფეოდალური კლასის რომანტიზმის ელემენტები. დასასრულ, რომანტიზმთან დაკავშირებით, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის გასულს ჩვენ მწერლობაში იღვწებს, დაეთ ბატონიშვილის ახალ შიხში, სანტიმენტალიზმის ნაპერწყალიც.

4. ახალ სტილთან ერთად ლიტერატურაში ჩნდება ახალი ეპოქები. ასეთებია: ა) საისტორიო ეპოქა. XVII საუკუნიდან მთელი რიგი პოეტებისა მიმართავს მშობლიურ სუფეტებს და დამღერის სამშობლოს წარსულიდან ამა თუ იმ ეპოქას, ამბებსა და პირებს. ფეოდალური კლასის პოზიციებზე მდგომი, ის მისტირის ფეოდალური საქართველოს წარსულ დიდებას. ამ მწერალთა პოეზია გამსჭვალულია ეროვნულ-ნაციონალური ტენდენციითა და სულით, ისინი ცრემლებსა ღვრიან სამშობლოს უნუგეშო პოლიტიკური მდგომარეობის გამო და წყევლა-კრულევას უთვლიან იმ პარობებს, რომელთაც ასეთი მდგომარეობა შექმნეს. ამ ნიადაგზე წარმოიშვა საისტორიო ეპოქა, რომელიც საკმაოდ მდიდრადაა წარმოდგენილი. ბ) იგავ-არაკული ფაბლიო. ამ პერიოდის სოციალურმა სიდუხჭირემ და პოლიტიკურმა რეჟიმმა საუკეთესო ნიადაგი შექმნა ე. წ. ეზობეს ენისა წარმოშობისათვის, რომელიც, როგორც ცნობილია, იგავ-არაკებში პოულობს გამოყენებას. იგავ-არაკებში გამოყვანილი ცხოველები, განსაკუთრებით მელია, არის ამავე დროს პროგნოზი ფეოდალური კლასის რღვევისა და ბურჟუაზიული ეპოქის მოახლოებისა, როდესაც ცხოვრებაში გამეფდება ხერხი და საზრიანობა. გ) სატირა. ცხოვრების ზოგიერთი მესვეურის სივერაგემ, სამღვდლოების ანგარება და ყოფა-ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის დროისათვის შეუფერებლობამ ხელი შეუწყო სატირის განვითარებას, განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. დ) მოგზაურობა-მემუარები. როგორც ვთქვით, ამ პერიოდში გაფართოვდა ქართველთა საერთაშორისო ურთიერთობა, რაც, სხვადასხვა მიზნით, შორეულ ქვეყნებში იწვევდა მათს წარმომადგენლებს. ნახულის, გაგონილის აღწერა საინტერესო მასალას აძლევდა თანამედროვე მკითხველებს, რომელნიც ასე მოწყურებული იყვნენ უცხო ქვეყნებისა და იქაური ზნე-ჩვეულების გაცნობას. ე) ქება. ახლა ჩვეულებაში შემოდის ისეთი თხზულებების წერა, რომელნიც წარმომადგენენ ამა თუ იმ საგნის ქებას ან მესხხმას. შეიძლება, ეს გამოძახილი იყოს ხოტბითი პოეზიის განვითარებისა საზოგადოდ, რომლის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი. განსაკუთრებით გავრცელებულია ანბანთქება, ხილთა ქება და სასახლის ქება. ვ) გაბაასება და მორალიტი, სადაც მოქმედ პირებად გამოყვანილია ალგორიული ფიგურები, მაგალითად — სიცოცხლე, სიკვდილი, წუთისოფელი, გაქირვება, სიღარიბე, აღამიანი ხომ თავისთავად. ეს გამოწვეულია ეპოქაში გაბატონებული დიდაქტიურ-მორალური ტენდენციით, რომელსაც მიზნად ჰქონდა ცხოვრების გარდაქმნა ამა თუ იმ მიმართულებით. ზ) მაჯამა, ესე იგი ლექსი «აქა-იქ თქმულები», რომელთა კრებული შეყრილად ითარგმანებისა.

ეს არის კრებული ალტაცებული, თავისებური ლექსით დაწერილი ხოტბებისა, რომელთა საგანია სიყვარული, სიღამაზე და ღვინო (თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI და სხვ.). თ) მანამდე გაბატონებული ეპოსის გვერდით საპატიო ადგილს იკავებს უშუალო, მწვავე განცდების გამომხატველი ლირიკა, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, შეიძლება ითქვას, პირველ ადგილს იჭერს მწერლობაში.

5. ამ პერიოდში თავს იჩენს ტენდენცია — ლიტერატურაში უპირატესობა ლექსს მიენიჭოს პროზის წინაშე. ამით აიხსნება, რომ ისეთი ეპიკური ხასიათის ძეგლებიც კი, როგორცაა საისტორიო პოემები, ლექსით იწერება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, წინათ პროზით დაწერილი ძეგლები ახლა ილექსება, მაგ., «შაჰნამე», ამიზანდარეჯანიანი, «ვისრამიანისა» და «რუსუღანიანისა» ნაწილი. ეს იმით, რომ ახლა თავისებური ლოზუნგი შემუშავებულა: «ლექსს უფრო ყურსა უპყრობენ, ამბის წიგნები ძეს ავად».

6. ცხოვრების ახალი ნაკადი და მიმართულება ხელს უწყობს, ერთი მხრით, პროზაული სტილის დემოკრატიზაციას, მეორე მხრით — ახალ მიღწევებს ლექსთწყობის დარგში. საუკუნეთა განმავლობაში ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებული ლიტერატურული ენა, სქოლასტიკურ-მწიგნობრულ ნორმებზე აგებული, რომლებიც ასე შეეფერებოდა მაღალი ფეოდალური კლასის გემოვნებას, სულხან-საბა ორბელიანის პროზაში («სიბრძნე სიცრუისა») შესამჩნევ ცვლილებას განიცდის მისი გამარტივების, თუ შეიძლება ითქვას, — გახალსების გზით. რაც შეეხება ლექსთწყობას, ის გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ განვითარების გზაზე. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იხსნება ტრადიციული ფორმები ქართული ვერსიფიკაციისა, რომელიც რუსთველური შაირით და ჩახრუხაული ლექსით იყო შებოქილი. ჩნდება ლექსთწყობის ის მრავალფეროვანი საზომი, რომელიც მერე ასე გამოიყენა შემდეგმა თაობამ, შემოდის ლიტერატურაში ხალხური სიმღერების კილო და გამოყენებულია ხალხური სიმღერები ქართული ვერსიფიკაციის გასამდიდრებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგა დავით გურამიშვილმა, მას მოჰყვება ბესიკი და საიათნოვა, რომლის მუხამბაზები გამოხმაურებას პოულობს XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოეზიაში.

7. პესიმიზმი, ფიდეიზმი, დიდაქტიზმი და ეროტიზმი მწერლობისა. მიმდინარე პერიოდის ცხოვრებაში ახალი სოციალური ელემენტებისა და ნაკადის ჩასახვა, რომელიც წყალს უყენებდა ფეოდალთა კლასის მდგომარეობას და თანდათანობით უღრღნიდა მას ფესვებს, შეუმჩნეველი ლიტერატურაში, რასაკვირველია, არ რჩებოდა. ყველაზე ადრე ეს პროცესი ასახა არჩილმა, მას მოჰყვა ვახტანგ მეფე, რომელიც ჟილილა და დამანაშია (იხ. «მეფისა» ლექსი) ხაზგასმით ამბობდა:

უჯაროს მისკა სოფელმან სიდიდე, მეფეთ დარობით,
პირი უჩვენა ბედმა და დასვა ყოვლთ ზემოთ ხარობით;
გვარიანსა და მეციერს პური აჰამა ხარობით,
არ შეაცილა კარსა და დარჩენ სულ გარის-გარობით.

ეს პროცესი, კვეყნის საერთო პოლიტიკურ აფორიაქებასთან ერთად, რომელსაც თანერთოდა ამა თუ იმ მწერლის პირადი ცხოვრების უკუღმართობა, ფეოდალურ ლიტერატურაში იწვევდა პირველ რიგში მწვავე პესიმიზმს, შემდეგ კი ფიდეიზმს, დიდაქტიზმსა და ეროტიზმს. ბევრი ზრავა ისეთი პოეტი, რომელიც უარყოფით არ უყურებდეს ცხოვრებასა და არ ჰქოლავდეს მას, რომელიც სარწმუნოებასა და მისტიკურ სამყაროში არ ეძიებდეს გამოსავალს, ანდა აღვირახსნილი ეროტიკა-ჰედონიკის მორევეში არ ცდილობდეს მწვავე სევდის ჩახრჩობას. დამოძღვრა-დარიგება და მორალი, ფორმალისტური დიდაქტიკა, რომლის მიზანია სახელმძღვანელო დებულების მიცემა ცხოვრების ლიანდაგიდან გადავარდნილი ადამიანისათვის, ხომ საგანგებო დიდაქტიკურ-მორალურ დარგსა ქმნის ამ პერიოდის მწერლობაში!

პესიმიზმს, ფიდეიზმსა და დიდაქტიზმს შეგნებულად და ხელოვნურად აღვივებდა და აძლიერებდა მწერლობაში ის სასტიკი ფეოდალურ-კლერიკალური რეაქცია, რომელსაც სათავეში მოექცა ანტონ კათოლიკოსის სკოლა. შედეგი ამ რეაქციისა, რომელშიაც გვეხვით კენესა წყალშემდგარი ფეოდალურ-კლერიკალური საზოგადოების სულია და მოწოდება თავისი ჰეგემონური პოზიციების შენარჩუნება-განმტკიცებისაკენ, იყო, ერთი მხრით, აღიარება თეოროულად სასულიერო მწერლობის პრიმატობისა, რომელიც მკვეთრად მოცემულია მამუკა ბარათაშვილის ეპაზნიკში, მეორე მხრით კი — შემოკრა ლიტერატურაში სიმბოლიზმისა და ალევგორიისა, რომელიც რელიგიურსა და პატრიოტულ სულისკვეთებაში ეძებს განსახიერებას (არჩილი, დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI). მაგრამ ეს რეაქცია უძლური შეიქნა, მან ვერ შესძლო დატრიალებული ბორბლის შეჩერება: ფეოდალურ-კლერიკალური საზოგადოება ისტორიას ჩაბარდა სამუდამოდ და მისი ლიტერატურა დღეს ისტორიული კვლევა-ძიების საგანსა წარმოადგენს ¹.

* * *

აღორძინების პერიოდის ლიტერატურა ჩვენ გვაძლევს არა ზარტო ეპოსსა და ლირიკას, როგორც კლასიკური პერიოდის მწერლობა, არამედ დრამასაც. ამისდა მიხედვით ამ შრომის მეორე ნაწილი სამი განყოფილებისაგან შედგება: პირველში განხილულია ეპოსი, მეორეში — ლირიკა და მესამეში — დრამა.

¹ ბ. ქეკელიძე, ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია, გვ. 55—71

განყოფილება პირველი

ე კ ო ს ი

აღორძინების ხანის ეპოსი ჩვენ გვაძლევს ხუთ მთავარ დარგს: 1) საგმირო ეპოსი, რომელშიც მთავარი ადგილი ჩვეულებრივ გმირებისა და ბუმბერაზების ერთიგეორეში და საშინელ მხეტვებთან და ავსულებთან ბრძოლას უკავია; 2) რომანტიკული ეპოსი, რომელშიც მთავარ მოტივს წარმოადგენს უზენაესად განვითარებული მიჯნურობა და ბრძოლა იმ დაბრკოლებებთან, რომლებიც მიჯნურთ წინ ეღობება; 3) საზღაპრო ეპოსი, რომელიც შეიცავს ლიტერატურულად გადამუშავებულ ზღაპრებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; 4) დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი, რომელსაც გარკვეული ტენდენცია აქვს და იგავ-არაკების თუ სხვადასხვა სენტენციის საშუალებით მკითხველთა დამოძღვრა და მორალურად განსპეტაკება სურს; 5) საისტორიო ეპოსი, რომელშიც ლიტერატურულადაა დამუშავებული სხვადასხვა ეპოქა და ეპიზოდი ჩვენი წარსული ისტორიისა.



სულხან-საბა მთაწმიდის ვახტანგს „ქილილა და ღამანას“

I. საგმირო ეპოსი

I. ღირდოსის შექნა

ღირდოსის უკვდავი «შაჰნამე» ანუ «მეფეთა წიგნი», რომელიც მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ შედევრად ითვლება, როგორც ზემოთაღკვეთნა გაკვირვებით საუბარი, ქართულ ენაზედაც არის ცნობილი, მაგრამ არა მთლიანად, არამედ მისი მხოლოდ ერთი ნაწილი. ეს ეპოპეა, როგორც ცნობილია, ორი ნაწილისაგან შედგება: წინა ისტორიული საგან, რომელშიაც თავმოყრილია ლეგენდური თქმულებები ირანის ლეგენდურ-მითური მეფეებისა და ცხოვრების შესახებ, ქვეყნის გაჩენიდან აქამდინდეთა ეპოქამდე, და ისტორიული საგან, აღნიშნული ეპოქიდან მეშვიდე საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვით. ქართულ ენაზე ჩვენ გვაქვს მხოლოდ პირველი, ლეგენდური, ნაწილი, მეორე, ისტორიული, ქართულად არ თარგმნილა არასდროს. ჩვენი აზრით, ეს აიხსნება ფეოდალური საზოგადოებრიობის სოციალური დაკვეთითა. ამ საზოგადოებრიობას, მეფეებისა და დევ-გმირების ომსა და რკინასთან ერთად, აინტერესებდა «ყმის», «სამსახური» და ერთგულება «პატრონისადმი», აგრეთვე სმა-ქეიფი, ნადირობა, მიჯნურობა და ფეოდალურ-რაინდული ცხოვრების სხვა აქსესუარი. ყველაფერი ეს პირველ ნაწილში უფრო მხატვრულად და ემოციურადაა მოცემული, ვიდრე მეორეში, ისტორიულში, რომლის შინაარსს, სხვადასხვა საისტორიო წყაროდან ამოღებულს, უშუალოდ ამ წყაროების დახმარებითაც გაიცნობდნენ. ამ ნაწილშიაც «შაჰნამე» სიტყვასიტყვით კი არაა გადმოცემული, არამედ შედარებით მოკლედ: ხშირად ის, რასაც ღირდოსი ოც და მეტ წველი-წველი ლექსს ანდომებს, ქართულში ერთი ოთხსტრიქონიანი სტროფით არის ხოლმე გადმოცემული. როგორც თავის ადგილას გვქონდა ლაპარაკი, «შაჰნამე» ნათარგმნი ყოფილია ქართულად პროზაულად ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში. ეს თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა. მეთხუთმეტე საუკუნის გასულიდან თუ მეთექვსმეტის დამდეგიდან, როდესაც ჩვენი ლიტერატურის გამოცოცხლების ნიშნებმა იჩინა თავი, ქართველებს ამ თხზულებასათვის მიუქცევიათ ყურადღება და, ერთი მხრით, ხელახლა უთარგმნიათ ის პროზაულად, ხოლო, მეორე მხრით—გაულექსავთ ეს პროზაული თარგმანი.

პროზაული თარგმანის გალექსვა გამოწვეული იყო, უძველესია, იმ მოტივით, რა მოტივითაც საზოგადოდ საქიროდა თელიან ამ ეპოქაში წინა დროის პროზაული თხზულებების გალექსვას (ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი): ლექსის უპირატესობით ამბის წინაშე.

რატომ უნდა მიექციათ ალორძინების ხანის დამდეგს განსაკუთრებული ყურადღება «შაჰნამესათვის»? მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგიდან საქართველო შეიქნა ოსმალეთისა და სპარსეთის აგრესიული ზრახვების განსაკუთრებული საგანი. გაქირავებაში ჩაყარნილი ფეოდალური საზოგადოებრიობა ეპოქისა ლიტერატურაშიც ეძებს გამამხნეველ მოტივებს. ამ გარემოებას უნდა გამოეწვია საგანგებო მოთხოვნილება სადღევშირო ეანრის ლიტერატურაზე, რომელშიაც ის ისწავლიდა ბრძოლას და, როგორც არჩილი ამბობს, «იარაღის ხმარებას». ამ მხრივ საუკეთესო, ნიმუშად ჩანდა სწორედ «შაჰნამეს» პირველი ნაწილი, რომლის მიმზიდველი ეპიზოდები გაშლილია ირანსა და თურანს შორის დაუსრულებელი, საუკუნეობრივი სადღევშირო ბრძოლის ფონზე. ამ ბრძოლაში ირანი წარმომადგენელია კეთილი საწყისისა, ხოლო თურანი — ბოროტისა. «შაჰნამეს» ნაწილებიდან ქართულ ლიტერატურაში ცნობილია:

A. შრიდონიანი

როგორც ქვემოთ დავინახავთ, სერაპიონ საბაშვილს, «როსტომიანის» გალექსავს, თავისი შრომა დაუწყია ზაალის შობითა და მანუჩარ ხელმწიფის ამბით. ამიტომ ამბობს ის, რომ ქართულ თარგმანს, რომელიც მას ხელთა ჰქონდა, «თავი» ნაკლები აქვს¹, იგულისხმება აქ «შაჰნამეს» მთელი დასაწყისი ნაწილი, სადაც ლაპარაკია ქაიმურსის (ქაიომარ), უშანგის, თამურაზის, ჯიმშედის, ზაჰაქისა (ზაჰქისა) და ფერიდუნის (ფრიდონის) შესახებ². კლასიკურ პერიოდში ეს ნაწილიც იყო თარგმნილი, ციტატები მისგანაც გვხვდება ამ პერიოდის ლიტერატურაში, მაგრამ, ალბათ, დაკარგულა. სერაპიონი, აღნიშნავს რა მისი შრომის დეფექტს, ითხოვს: «რაც აკლია, ვინც ათაოთ, სამოთხე ხედეს სულსა თქვენსა» (II, 09). ამ მოწოდებას ლიტერატურულ ასპარეზზე გამოუწვევია, როგორც დავინახავთ, ხოსრო თურმანიძე, რომელსაც დაუმთავრებია «როსტომიანი». მას გამოუწვევია აგრეთვე გადმოღება ქართულ ენაზე «შაჰნამეს» დასაწყისი ნაწილისა (ზაალის შობამდე და მანუჩარის გამეფებამდე), რომელსაც «ფრიდონიანი» შეგვიძლია ვუწოდოთ. ეს თარგმანი აღმოჩენილი იყო ჯერ კიდევ ნ. მარის მიერ პეტროგრადის (ლენინგრადის) ხელნაწერში № 50³, მაგრამ მისი რაობის გარკვევა და გამოცემა ეკუთვნის პროფ. ა. ბარამიძეს⁴. ეს ახლად აღმოჩენილი ნაწილი «შაჰნამესის» მომდინარეობს სპარსული «შაჰნამესის» ისეთი ვერსიიდან, რომელშიაც შეტანილი ყოფილა მიმბაძველ-გამგრძელებელთა ცალკეული თავები და ადგილები და

¹ «შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები», II, გვ. 09.

² J. Mohl, Le livre des rois, I, 19—163.

³ გახ. «იფრია», 1891 წ., № 132.

⁴ «შაჰ-ნამეს ახლად აღმოჩენილი ქართული პროზაული ვერსია», «ლიტერატურული მემკვიდრეობა», I, გვ. 196—207; «ნარკვევები», II, გვ. 35—51. გამოცემა: «შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები», II, გვ. 369—445.

რომელიც X.V საუკუნეზე ადრე არ უნდა ყოფილიყო შემუშავებული¹. ვის ეკუთვნის ეს თარგმანი, არავითარი ცნობა ამის შესახებ არ მოგვეპოვება. მისი ენა, სტილი, განსაკუთრებით ზოგიერთი ლექსიკური მოვლენა, მიუთითებს მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარს. ის რომ უფრო ადრინდელი თარგმანი იყოს, ვთქვათ სერაპიონის წინა დროსა, ის იმასაც ვალექსავდა და არ იტყოდა, რომ «შაჰნამეს» ქართულ თარგმანს «თავი» აკლიაო, მისი გადმოთარგმნა, პირიქით, როგორც ვთქვით, გამოწვეული უნდა იყოს სერაპიონის შემომოყვანილი მოწოდებით. ეს პროზაული თარგმანი ვალექსავით არავის ვალექსავს, მხოლოდ უსარგებლნია იმით, როგორც დავინახავთ ქვემოთ, პოეტს მამუკა თავაქალაშვილს.

ა. ბარამიდის დაკვირვებით², ჩვენ საქმე გვაქვს ფირდოუსის «შაჰნამეს» შესაფერისი ნაკვეთის უშუალო თარგმანთან. ქართული თარგმანი დედანთან საერთოდ ახლოს დგას ზედმიწევნით სისრულით იმეორებს მოთხრობათა თანმიმდევრობის ყოველგვარ წვრილმანს, ალაგ-ალაგ მიღწეულია ტექსტური შესატყვისობის თითქმის აბსოლუტური სიზუსტეც კი. მაგრამ ამისდა მიუხედავად ქართული პროზაული ვერსია მაინც ვერ ჩათვლება ზედმიწევნილობითი სიახლოვით აღბეჭდილ, სრულ თარგმანად. მთარგმნელი თუმცა საერთოდ სრულ იგვიგობას იჩენს ფაბულურ-სურეტური შესატყვისობის დეტალებში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში თავისი სიტყვებით გადმოსცემს დედნის აზრსა და სიტყვიერ წყობას, ზოგიერთ მომენტს მთარგმნელი უფრო ხაზს უსვამს და აძლიერებს, ზოგიერთს კი, პირიქით, ჰკვეცს, ათავისებურებს. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ შაჰ-ნამეს ახლად აღმოჩენილი ქართული პროზაული ვერსია დედნის საკმაოდ თავისუფალი თარგმანია და ტექსტურ სიტყვა-სიტყვით იდენტურობას მოკლებულია. ასეთივე შეხედულებისაა ძირითადად დ. კობიძე³.

ბ. როსტომიანი

«შაჰნამეს» ნაწილებიდან ქართულ ლიტერატურაში ცნობილია განსაკუთრებით «როსტომიანია»⁴. ის შეიცავს ციკლს იმ მოთხრობებისას, რომელნიც თავმოყრილი არიან ძველი ირანის გამოჩენილი გმირისა და ფალაენის როსტომის სახელის გარშემო. «როსტომიანია», რომელშიაც მოკემულია ამბები შაა-

¹ დ. კობიძე, საარსული ლიტერატურა, II, თბ., 1947 წ., გვ. 135—136.

² «ლიტერატურული მემკვიდრეობა», I, გვ. 200; «ნარკვევები», II, გვ. 41.

³ დ. კობიძე, საარსული ლიტერატურა, II, გვ. 136.

⁴ «როსტომიანია» დღეს უკვე მთლიანადაა გამოცემული. პირველი ნაწილი მისი გამოცემა «საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ» 1916 წელს იუსტ. აბულაძის რედაქტორობით («შაჰ-ნამე ანუ მეფეთა წიგნის ქართული ფრსიები», ტ. I), მეორე ნაწილი კი, ფირდოუსის ათასი წლისთავთან დაკავშირებით, — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1934 წელს, იუსტ. აბულაძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროვიჩის, კ. ქაქიელიძისა და ა. შანიძის რედაქციით («შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები», ტ. II). ძირითადი ლიტერატურა «როსტომიანის» შესახებ: ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940 წ., გვ. 51—78; დ. კობიძე, საარსული ლიტერატურა, II, გვ. 101—125.

ლის შობიდან ბაამანის გამეფებამდე¹, არ არის ერთი აღამიანის ნახელავი; ის წარმოადგენს რამდენიმე პირის კოლექტიურ შრომას, რომელნიც ერთიმეორის შემდეგ ცხოვრობდნენ. ცნობები ამ პირთა და მათი მუშაობის შესახებ შემონახულია როგორც თვით «როსტომიანში», ისე ზოგიერთ სხვა თხზულებაში.

პირველი მწერალი, რომელსაც «როსტომიანის» ჩამოყალიბება დაუწყია, არის პოეტი სერაპიონ სოგრატიძე-საბაშვილი.

მოვიყვანოთ ცნობები ამ პოეტის შესახებ. «როსტომიანში» ვკითხულობთ:

ამ როსტომთა გამლექსავი, სოგრატიძე-საბაშვილი,
მხატვარია ზელოვანი, ლექს-უღევი, სიტყვა-ტკბილი;
მრევლთა თავი, ხევის ბერი, ზღმწიფეთა თანა ზრდილი,
შენდობასა მიბრძანებდეთ, ვინცა ნახოთ ჩემგან თქმული! (II, 3133).

ეს სტროფი მიუძღვის წინ ქექაოზისაგან სიაოშის სიკვდილის ცნობის» ამბავს, ხოლო თხზულების ტასასრულს, ბოლოსიტყვაობად, ეგვივე სტროფი მოცემულია ოდნავი რედაქციული ცვლილებით:

როსტომიანთ გამლექსავი სოგრატიძე-საბაშვილი:
ზალს შობით ღორასამდის ლექსი მითქვამს სიტყვა-ტკბილი,—
გრემელთ თავი², ხევის ბერი, ზღმწიფეთა თანა ზრდილი,
შენდობასა მიბრძანებდეთ, ვინცა ნახოთ ჩემი თქმული! (II, 06).

მეორე მხრივ, ფეშანგი ფაშვიბერტყაძის შრომაში, რომელსაც «შაჰნავაზიანი» ეწოდება, საკუთრივ მის წინასიტყვაობაში, სადაც მოცემულია ცნობები ზოგიერთი მწერლის შესახებ, ჩვენ ვკითხულობთ:

როსტომ აქო სერაპიონ, კაცი სრული, არ თუ ნასი,
ხოტბა ჰადრა ფალანური, ოგ შეამკო მეტად ნასი;
ხევის მორიგა უნებლიეთ, ვის შეეძლო სიტყვით ბასი,
მან მეღქმე მოიმდურვა, აღარ მისცა დასტი ფასი³.

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ის პირი, რომელსაც «როსტომიანი» გაუღეკსავს ზალის შობით ღორასამდის, არის სერაპიონ (სახელი). სოგრატიძე-საბაშვილი (გვარი). ეს სერაპიონ საბაშვილი ამავე დროს უნდა იყოს იგივე კედელაური⁴, რომლის შესახებ ქაიხოსრო, რომანიანის ავტორი, შენიშნავს:

¹ აქ აღწერილია მანუხარის, ნაგზარის, კაიყუბადის, ქექაოზის, ქაიხოსროვის, ლოქრასპის, გოშტასაბისა და სანდიატის ამბები (J. M o h l, Le livre des rois, I, 164—IV, 558).

² ქსნის ზეობაში ცნობილია გრემის ხევი («ქართ. ცხოვრ., II, გვ. 59 და სხვ.). ს. გრემი დღეითიდან ათორღე კილომეტრით იქნება დაშორებული; აქედან «გრემელთ თავი, ხევის ბერი». რადგანაც გრემის ხევი იმყოფებოდა «მრეჯლის» რაიონში, ამიტომ შესაძლოა «მრეჯელთა» თავიც.

³ «შაჰნავაზიანი», გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის გამოც., სტროფი 5.

⁴ საბაშვილი არის განუყოფელი კედელაურთ გვარისა (ანუ რომ ქაიხოსროს ის კედელაურადაც შეეძლო მოეხსენებინა), რომელსაც დასაწყისი მოაქვს 1474 წლის სიგე-

კედელურამან თურქნი თქენა და როსტომ ზულელია

როდის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეს სერაპიონ სოგრატიისძე-საბა-
შვილი ან კედელური?

ზემომოყვანილ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში ნათქვამია, რომ სერაპი-
ონი ყოფილა ხელოვანი მხატვარი, ენატკბილი მეღმკსე, ხევის ბერი და გრე-
მის თავი, ესე იგი გრემის ხევის თავი ან ბერი, მეფეობთან გაზრდილი და
მათთან დაახლოებული. რომელ მეფეებთან? ამაზე პასუხს ვეძებოდა ერთი
ისტორიული ხასიათის შენიშვნა, რომელსაც «როსტომიანის» თითქმის ყველა
ნუსხაში ვპოულობთ შემდეგი სათაურით — აქა ბაგრატ ბენგი ყალა წაულო
მტერთა:

კონსტანტინე გაყმაწვილი, მითან გეარამან გაიხარა,
მისიმე თავი მორკმული მყავს, მტერზედ გული ვინც მიფხანა,
ილათი და ქვაგონებან ზაალისა მოიქმარა,
აწე ბაგრატ მოიცილოს, სხუასაც იქს შორით ყალაა.

მეორე იდგილას, ქაიხოსროს მეფობის ამბავში, ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ
ვაბაასებას სერაპიონსა, ბაგრატსა და რუსთაველს შორის:

ღმთ ცნობილი «ფრიად ცოდვილის და გლახაის კარის მწიგნობრის საბა კედელა შვი-
ლი დანა» («ქრონიკები», II, გვ. 293. თუ თარიღი სწორადაა გადმოღებული, ეს მაგიერ ხომ
არაა?). «კედელურისა» და «კედელაშვილის» იგივეობა დოკუმენტურადაა გარკვეული პროფ.
ა. ბარამიძის მიერ («ფიროსის და მისი შანაპე», თბილისი, 1934 წ., გვ. 40). ჩვენ
ვფიქრობთ, რომ 1474 წლის სიგელის დამწერი საბა არის ბერი (მეფის მდგომარეობის
სასულიერო ბირებზე იყვნენ. მოვიგონოთ, მაგალითად, ნიკიფორე — ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი
თეიმურაზ პირველის მდგომარეობის; ამას ამტკიცებს მის მიერ თავის სახელთან დამატებული სი-
ტყუბი: «ფრიად ცოდვილი და გლახაი». მისი საერისკაცო სახელი უნდა ყოფილიყო «სოგრატ»
(ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ, მიღებული პრაქტიკით, ბერად შედგომისას ხშირად
ირქმეოდნენ, ცდილობდნენ მაინც, ისეთ სახელს, რომელიც იმავე ასოთი იწყებოდა, როგორი-
თაც საერისკაცო: სოგრატ — საბა, სულხან — საბა, არჩილ — ანტონ). სერაპიონი ყოფილა შვილი
ამ სოგრატ — საბასი, აქედან მას მიუღია გვარი სოგრატიისძე-საბაშვილი (გვარის მაგიერ მამის
სახელით წოდებულობა ჩვენთნ ძალიან ხშირია ამბავი იყო, იხ. «შანაპე-სანი», გ. ლგონი-
ძის გამოც., გვ. XV, შენ. 2), იგივე კედელაშვილი — კედელური. ასე რომ ეს კედელა-
ური, რომელმაც, «ომანიანის» ცნობით, «თურქნი თქენა და როსტომ ზულელია», იგივე
სერაპიონ სოგრატიისძე-საბაშვილია, და მის მიერ «ნათქვამი» «როსტომიანი» პროზაულ თარგ-
მანს ეს არ გულისხმობს, როგორც ჩვენ თვლიდა ვფიქრობდით, არამედ სერაპიონის მიერ გა-
ღმკსილ «როსტომიანს». ის გარემოება, რომ, ზემოთმოყვანილი ცნობებით, როსტომის ამბები
კედელაურსაც უთქვამს და სერაპიონ სოგრატიისძე-საბაშვილსაც, ამხსნება ამით და არა ისე,
თითქოს კედელაურის «ნათქვამი» პროზაულ თარგმანს წარმოადგენდა, სერაპიონისა კი — გა-
ღმკსილ რედაქციას. სერაპიონს ხელთ ჰქონდა პროზაული თარგმანი არა ვაჟა — კედელა-
ურისა, არამედ კლასიკური ზერიოდისა, რომელიც ჩვენამდე არ შენახულა. როგორც, გვითხა-
ვენ, ალბათ, სერაპიონმა «როსტომიანი» დაიწყო «ხალის შობით», კედელაურის კი თითქოს
უთქვამს წინა ნაწილიც: ფრანგის, ტომარანის, სელიმისა და თურას ამდებდაცოქ, ამავე ჰქონთ
იქნება საუბარი.

² შანაპეს ქართული ვერსიები, I, გვ. 411, შენიშვნა 11.

ბაგრატ ვნახე, მარანას ჯდა, მუხრანს შექმნა ნადიმობა,
ხელო საყდართ აშენება, დიპიჩრა ბატონობა,
ძველი ტახტი განაახლა, პია ლეთითა მორკმულობა,
ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა. (II, 3599).

ამა რუსთველისაგან პასუხის შემცდობა:

რას მიმერჩი ხერი ბერსა? მე გაეღვესე ლაბაზუნა,
ამიყი ვარ თელაწარბისა, ვინ სოფელი დააშენა;
შენ ტყვილადა შემოფიცეს, მათ აუბნეს ტპილაღ ენა,
თუშტა ფასი არ მიბობა, მან რუსთავი ამიშენა. (II, 3600).

ამა ბაბრატის პასუხის შემცდობა:

ვიცი, ჩემო სერაპიონ, ხარ მრავლისა მონახული,
მეფე უნდა ლუთის მოშინე, სიკეთითა დანერჯული;
ამ სოფლთა იღვებასა მიჩვენება მცირე სული,
არას მარგებს საუკუნოს საბჭოდ შენი ჭირნახული. (3601).

როგორც ხეხდავთ, მოყვანილ ადგილებში ლაპარაკია ჯერ კონსტანტინესა და ბაგრატის, მერე კერძოდ ბაგრატის შესახებ. მაშასადამე, ის შეფიქვნი, რომელთა თანახმადილი ყოფილა სერაპიონ სიბაშვილი, არიან კონსტანტინე და ბაგრატი. ამავე დროს ეს ბაგრატი აქ მოხსენიებულია როგორც მარანას მჯღომი, მუხრანს მონადიმი და ბატონობის დამკვერული, ესე იგი, ყველა ნიშნებით, ბაგრატ მუხრანბატონი. მაგრამ ბაგრატ მუხრანბატონი რამდენიმე იყო მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა სიგრძეზე, რომელი უნდა იგულისხმებოდეს აქ? ჩვენ გვგონია, რომ ბაგრატ პირველი, რომელმაც 1512 წელს მიიღო მისთვის საგანგებოდ შექმნილი მუხრანბატონობა, ხოლო 1539 წელს თავი დაანება მას და ბერად აღიკვეცა ბარნაბის სახელით¹. ეს რომ ასეა, შემდეგიდან ჩანს: 1) მოყვანილ სტროფში ბაგრატი მოხსენიებულია კონსტანტინესთან ერთად, როგორც მისი მოღვაწეობის გამგარძელებელი (აწე ბაგრატ მოიცალოს, სხუასაცა იქმს შორით ყალნა). ჩვენ ვიცით, რომ ბაგრატ პირველი მუხრანბატონი იყო შვილი მეფე კონსტანტინესი (1478—1505), რომლის მოღვაწეობას² ჩინებულად უდგება მისი ის დახასიათება, რომელიც ზემო-მოყვანილ პირველ სტროფში გვაქვს. 2) ბაგრატზე აქ ნათქვამია, რომ მან დიპიჩრა ბატონობა და ძველი ტახტი განაახლა. მართლაც, მუხრანბატონობა შექმნილ იქნა ამ ბაგრატისათვის დავით მეფის მიერ: «და გამოითხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვისა და ქსნის კვენი მთიულ-მოკვეითურთ თქსსა მორჩილებასა ქვეშე»³. 3) ბაგრატმა, ნათქვამია სტროფში, ლეთისაგან მორკმულობა პოვა, მან მტერს წაართვა იენგი ყალა, ის რომ მოაცილის, სხვასაც იქმსო. ეს ყველაფერი უდგება ბაგრატის სახელოვან პოლიტიკურ მოღვაწეობას დავითისა და გიორგის მეფეთა დროს, როდესაც მან ააშენა

¹ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 23, 271.

² იქვე, გვ. 11—16.

³ იქვე, გვ. 17.

მტკვრის ციხე, დაიპირა ავ-გიორგი და მეფის მტრებს შიშის ზარს სცემდა¹. 4) უკანასკნელ სტროფში ბაგრატი ლაპარაკობს ლეთისმომიშობაზე, საუკუნო ცხოვრებასა და სულის ცხოვებაზე, რომელიც მას ურჩევნია ამ სოფლის დიდებას. ეს ამქლავებს ბაგრატის ასკეტიკურ-ბერულ განწყობილებას, ხოლო მუხრანბატონთაგან ბერად პირველი ბაგრატი შედგა. 5) მელექსისა და ლიტერატურით გატაცებული სერაპიონის სიახლოვე ბაგრატთან გვიყარნახებს, რომ ეს ბაგრატი არის პირველი ბაგრატი, რომელიც ლიტერატურაშიცაა ცნობილი თავისი საყურადღებო პოლემიკურ შრომით—*მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ*.

ამრიგად, სერაპიონ საბაშვილი ყოფილა თანამედროვე მეფე კონსტანტინესი და მისი შვილის ბაგრატი პირველის მუხრანბატონისა, მამასადამე, მას უცხოვრია მეთხუმეტე საუკუნის გასულსა და მეთექვსმეტის პირველ ნახევარში². სერაპიონს თავისი შრომა უნდა ეწეროს როგორც ბაგრატის მუხრანბატონობამდე, ისე მუხრანბატონობისასაც (1512—1539), ვინაიდან შენიშვნა მის მიერ მტრებისათვის იენგი ყალას წართმევის შესახებ მოთავსებულია პირველ ნაწილში. უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც სერაპიონი წერდა 1512-ე სტროფს (ტ. I, იუსტ. აბულაძის გამოც.), სწორედ მაშინ გაუგია მას ეს სასიხარულო ამბავი და იქვე შეუტანია თავის შრომაში შესაფერისი *memento*, რომელიც მისი ნუსხიდან მერე სხვა ნუსხებშიც გადასულა.

ამრიგად, სერაპიონის ლიტერატურული მოღვაწეობა ძირითადად მოდის მეთექვსმეტე საუკუნის პირველ მესამედზე. როდესაც ის თავის შრომას ასრულებდა, უკვე მოხუცებული, დაბერებული ყოფილა. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო ის გარემოება, რომ გაბაასებაში რუსთაველი მას *ბერსა* უწოდებს (სიტყვა *ბერო* აქ შეიძლება აღნიშნავდეს არა ასაკს, არამედ თანამდებობას—გრემის ხევის ბერობას), არამედ შემდეგი გარემოებაც: სერაპიონი, რატომღაც ხაზს უსვამს *სამოცდა თორმეტ კიქასა* (II, 3134, 3135, 07, 08). თუ ეს ციფრი შეგნებულადაა მოცემული, უნდა ვიფიქროთ, შრომის დასრულებისას ის 72 წლის კაცი იყო.

¹ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 17—23.

² ვფიქრობთ, რომ ყველა ამის შემდეგ, კატეგორიულად უარყოფილი უნდა იქნას ს. კაკაბაძის ჰიპოთეზა, რომლის დასამტკიცებლად მას არც ერთი საბუთი არ მოჰყავს, ვითომც აქ იგულისხმებოდეს დიდი ბაგრატი მეფე და სერაპიონი იყოს მეთოთხმეტე საუკუნის (1325—1385) მოღვაწე (იხ. მისი სტატია: „ვეფხისტყაოსნის პრობლემების გარშემო“, კრებ. „საისტორიო მოამბე“, № 1, გვ. 161—163; მ ი ს ი ე ვ ე, საისტორიო ძიებანი, გვ. 88, 147). მართლაც, 1) ბაგრატი სტროფებში ხსენებული არაა მეფედ, არამედ „მუხრანს მჯდომად“, ესე იგი მუხრანბატონად; 2) არსაიდან ჩანს, რომ უცნობისა და გაურკვეველი იენგი ყალას აღება გულისხმობდეს თემურ-ლენგის შემოსევის ხანას; 3) სტროფებში ბაგრატი მისდევს კონსტანტინეს, როგორც მემკვიდრე, და არა კონსტანტინე ბაგრატს, როგორც ს. კაკაბაძის წარმოდგენისა; 4) ს. კაკაბაძის მიერ ნაგულისხმევი კონსტანტინე ვერ ჩაითვლება „გვარის გამგრძელებლად“, ვინაიდან ის 1413 წელს თურქების მიერ დატყვევებულ იქნა და დაიღუპა პირ-ბუღაკის ხელით.

რა გააკეთა სერაპიონმა, რაში გამოიხატა მისი ლიტერატურული მუშაობა? სერაპიონმა დაიწყო «როსტომიანის» გალექსვა. საინტერესოა ვიცოდეთ, ის სპარსულ დედანს ლექსავდა თუ ქართულ თარგმანს? მას ხელთა ჰქონია პროზაული ქართული თარგმანი. ეს ჩანს პოეტის შემდეგი სიტყვიდან:

ამ წიგნსა უღვეულსა, — გრძელად უთქვამს კაცსა ბრძენსა,
თავიბოლო ნაკლები აქვს, რაც რომ უთქვამს ენას ჩვენსა;
ცოტა რამე მე ვარჩიევ, — საკითხავად მოვალხენსა,
რაც აკლია, ვინც ათავით, სამოთხე ხედეს სულსა თქვენსა! (II, 09).

აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ თავი და ბოლო ნაკლები აქვს იმას, რაც ჩვენ ენას უთქვამს, რაც ქართულ ენაზეა, ბრძენი კაცის, იგულისხმება ფირდოუსი, გრძელად ნათქვამი წიგნიდან, ესე იგი «შაჰნამედან». მაშასადამე, დამოწმებულია, რომ სერაპიონს ხელში ჰქონდა ქართული თარგმანი, რომელიც «შაჰნამეს» სრულ ტექსტს არ შეიცავდა. იმდროინდელ ქართულ თარგმანში «შაჰნამეს» ჰკლებია არა მარტო თავი და ბოლო, არამედ შიგადაშიგ ცალკეული ადგილები და ეპიზოდები. ასეთი ადგილების შესავსებად სერაპიონ სოგრატისძე სპარსულ ტექსტს მიმართავდა ხოლმე. ეს შეინიშნება უმთავრესად ქეჰოზის შესახებ ეპიზოდებში. ამას ადასტურებს ასეთი ეპიზოდების თარგმანის ხასიათი¹. ის სპარსული ტექსტი, რომლიდანაც მომდინარეობდა სერაპიონის დედანი, პროზაული ქართული თარგმანი, შესაძლებელია შემუშავებული ყოფილიყო მხოლოდ XIV—XV საუკუნეებში, ვინაიდან იმაში ჩანართების სახით შეტანილი ყოფილა ფირდოუსის მიმბაძველებისა და გამგრძელებლების თხზულებანი, მაგალითად, «საამშნამე» (XIV—XV სს.)². მაშასადამე, ამაზე ადრე ვერც ქართული პროზაული თარგმანი გაჩნდებოდა.

საიდან დაიწყო სერაპიონმა ლექსვა? ამიზე თვით სერაპიონი იძლევა პასუხს:

ჰე, შემომქმედო, ნუ წამწყმედ, დამხსენ სახმილთა ალია!
თავი ეს არის როსტომთა, ბოლოში ლექს-პრავალია (I, 1082).

ეს სიტყვები მოთავსებულია მანუჩარ ხელმწიფისა და საამ ფილავნის ამბის წინ, სადაც სწერია: «დისაწყისი როსტომიანთა», ესე იგი ქაიმურსის, ჰუშანგის, თამურაზის, ჯიმედის, ზაქისა და ფერიდუნის ამბების³ შემდეგ. ამნაირად, იმ პროზაულ თარგმანს, რომელიც სერაპიონს ხელთ ჰქონია, ჰკლებია მთელი დისაწყისი ნაწილი ფირდოუსის «შაჰნამესი», ზალის დაბადებამდე. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს XVII საუკუნის დამდეგის პოეტი ქაიხოსროც, ავტორი «ომანიანისა», რომელშიაც ნათქვამია:

კელაურზან თურქნი თქნა და როსტომ ზოულელია,
ფეშანგ, ტომეჩან, სალიმ, თურ ხოსროჯან ვერ რომელია.

¹ დ. კობიძე, სპარსული ლიტერატურა, II, გვ. 102, 103.

² იქვე, გვ. 101—125.

³ J. Mohl, Le livre des rois, I, 10—163.

ეს ნიშნავს: კედელაურმა, იგულისხმება სერაპიონი, თქვა ამბები თურქებისა (ეროსტომიანში) მოთხრობილი) და როსტომ ზაულელისა. ფეშანგი, ტომერანი, სალიმი და თური არაფერს წარმოადგენენ ხოსროვთან ან ქაიხოსროსთან შედარებით, რომლის ამბავი, იგულისხმება, აგრეთვე თქვა სერაპიონ კედელაურმა. ამ შედარების მიზანი, ვფიქრობთ, ის არის, რომ ერთნაირად ბოლოში მოეხადოს სერაპიონის შრომის თავში დეფექტურობას: მართალია, ამ შრომას თავი აკლია, მაგრამ ჩამოთვლილ პირთა ამბები, რაც ნაკლებიანი ნაწილის შინაარსს შეადგენს, ხოსროვის და, იგულისხმება, «როსტომიანის» სხვა გმირების ამბავთან შედარებით, არაფერია.

რაც შეეხება იმას, თუ სადამდე მიიყვანა სერაპიონმა თავისი შრომა, ამის გარკვევა მოსახერხებელია, დაახლოებით მაინც. ლენინგრადის საჯარო წიგნსაცხის ნუსხაში, რომელსაც ფარსადან გორგიჯანიძის რედაქცია გაუვლია, და მისგან მომდინარე S 1580-ში, ნათქვამია: ზალის შობილ ლორასპამდის ლექსი მითქვამს ენატკბილი (II, 06). ჩვენ არ გვაქვს საბუთი არ დაუუჯეროთ ეროსტომიანის საკითხებში ისეთ კომპეტენტურ პირს, როგორც იყო ფარსადან გორგიჯანიძე და, მის ცნობაში სიმართლე არ დავინახოთ. მაშასადამე, ძირითადად სერაპიონს ლექსად აუთქვამს «ეროსტომიანი» ზალის შობილ ლორასპამდე ან ლორასპის ციკლის ამბების (II, 5035—5186) ჩათვლით (ეს სტროფები, ლექსის ხასიათის მიხედვით, წინა ნაწილს უნდა მიეკუთვნოს), ზარდაშტის გამოჩენამდე. ამ მოცულობითაა წარმოდგენილი სერაპიონის შრომა დ. კობიძის სპეციალურ ნარკვევში¹.

¹ დ. კობიძე, დასახ. თხზ., გვ. 101, 104, 106. მაგრამ ამაზე უეჭველად გვეტყვიან, რატომ ფარსადან გორგიჯანიძეს უნდა დაუუჯეროთ და არა თვით სერაპიონს, რომელიც ამბობს: ქაიხოსრომდი გაულექსავ (I, 1082)? თქმა «ქაიხოსრომდი» არ გულისხმობს უეჭველად იმას, რომ სერაპიონი მოვიდა ქაიხოსროს ამბებამდე და გაჩერდა, ჩვეულებრივ საუბარში ასეთი თქმა აღნიშნავს აგრეთვე «ქაიხოსრომდი ჩათვლით», inclusive. პროფ. ა. ბარამიძე მართლაც ფიქრობს, რომ სერაპიონმა თავისი შრომა მიიყვანა ქაიხოსრომდე, ხოლო «ეროსტომიანის» მეორე ფენა, ქაიხოსროს ამბები, გალექსილია რომელიღაც ანონიმის მიერ XVI საუკუნეში (ფირდოუსი და მისი შანამე, გვ. 25—37. შტრ. მისივე, ნარკვევები, II, გვ. 71—75). ამას ის ასაბუთებს იმით, რომ ქაიხოსროს ამბებიდან დაწყებული ძალზე იცვლება «ეროსტომიანის» რედაქციულ-ტიტესტუალური ხასიათი ამბების შეკვეთისა და შემოკლების ხაზით და დედნიდან საგრძნობი დაშორებით. მაგრამ, როგორც თვითონვე ამბობს, «სრული ზედმიწევნილობა არც პირველს ფენაში ყოფილა დაცული; ეს ფენა, ალაგ-ალაგ საქმოდ ხუსტი და სწორი, ალაგ-ალაგ დაშორებულია დედანს შინაარსის გახრების მხრივ, ალაგ-ალაგ შეკვეთილ-შეუმშლელი და ალაგ გახვიადებული» (გვ. 34). თან, განა ვივით ჩვენ, როგორი იყო დედანთან მიმართებით, თავიდან ბოლომდე ის პროზაული თარგმანი, რომელიც სერაპიონს ხელთ ჰქონდა? არას გაშობთ იმის შესახებ, რომ არავითარი ცნობა, თუგინდ ყრუც, არ არსებობს ვიღაც ანონიმის სასარგებლოდ. მნიშვნელობას არაა მოკლებული ამ მხრივ ის გარემოებაც, რომ გაბაასება სერაპიონსა და ბაგრატს შორის მოთავსებულია ქაიხოსროვის ამბები. დ. კობიძის სპეციალურ ნარკვევში «ეროსტომიანის» რედაქციულ-ტიტესტუალური ხასიათის სხვაობანი ახსნილია ქართული მთარგმნელის თუ გამლექსავის სხვადასხვაგვარი ინტერესით როსტომისა და სხვა ბერსონეებისადმი (დასახ. თხზ., გვ. 105—107).

მართლაც, ყველა ცნობილი ნუსხა «როსტომიანისა» ადასტურებს, რომ სერაპიონმა თავისი შრომა მიიყვანა არა მარტო ქაიხოსრომდე inclusive, არამედ თვით სპანდიატამდე. იგი ეს ადგილი:

ქე, შემოქმედო, ნუ წამწყმედ, დამსენ საბმილა ილია
თუი ეს არის როსტომა, ბოლომდი ლექს-მრავალია.
ქაიხოსრომდი გავლესავ, ღვთით ვიტყვი, რა სჯელაა.
ნეტარ რა გიყო, სპანდიატ, სოფელი წარმავალია (1, 1082).

აქ პოეტი ამბობს: რადგანაც «როსტომიანი» ბოლომდის ლექს-მრავალია, ესე იგი დიდია, შე მას ქაიხოსრომდე (ჩათვლით) მივიყვანო, და თან მწუხარებას გამოთქვამს, რომ «წარმავალი» წუთისოფელი მას ნებას არ აძლევს ქაიხოსროს მომდენო ამბები, სპანდიატის ციკლისა, მთლიანად გადმოგვცეს: «ნეტარ რა გიყო, სპანდიატ!» ამასვე ადასტურებს ქაიხოსროს «ომანიანის» წინასიტყვაობა, სადაც კეთხულობთ:

კედლაურმან თურქნი თქენა და როსტომ ზაულელა,
ფეშანგ, ტომერან, სალიმ, თურ ხოსროვთან ვერ რომელა.

ერანი და თურანელი ფარმანს ქვეშე მოიქცია,
მორჩილ-ქმნილან ააშენა, ურჩმან სახლი დააქცია,
ყოვლა მზეებრ მოეფინა, კარგ-სჯულობით შეიქცია,
ლაუტევი ეს სოფელი, თავი სხვაგან გაიქცია.

ქაიხოსროვის შედეგად შაჰაბაზ ერანს მჯდომი,
უცხო დაბყრა ქვეყანა, ერან-თურანის ზომია.
სხვათა მეფეთა ვეხირნი ნიძლავ ჭეერსა სხდომი,
ეს თვით მარტო იქს ყველასა, ტყებმის თუ გინდა მწყრომი.

ბევრია მეფეთ ამბავი, არ გათაულების მბობთა,
ანუშრევანის ამბავი მასია არაკობთა,
ზოგნი იბრძვიან, არან ნიძლავ რაზმთა წყობთა,
ზოგნი გლახთა მისცემენ, სხედან ღვთის მომშობთა¹.

ამ სტროფების აზრი ასეთია: კედლაურს (სერაპიონს) «უთქვამს» თურქნი, როსტომი და ხოსრო ან ქაიხოსრო, რომელთან შედარებით სხვები (ფეშანგ, ტომერან, სალიმ, თურ) «ვერ რომელია», ესე იგი არაფერია, ვინაიდან მან, ქაიხოსრომ, ერანი და თურანელი ფარმანს ქვეშე მოიქცია. რაც შეიხება ქაიხოსროსაგან დაშორებულ მეფეთა ამბავს, მაგალითად, ანუშრევანისას («შაჰნამეს» ისტორიული ნაწილი), ეს ამბავი «ომანიანის» ავტორს მხოლოდ არაკად სმენია, ქართულ თარგმანში ის მას არ წაუკითხავს.

ამრიგად, სერაპიონის შრომა იწყებოდა «ზალის შობით» და თავდებოდა ქაიხოსროსა და მისი მომდენო (ზარდაშტის გამოჩენამდე) ამბებით. ის საკმაოდ დიდი მოცულობისაა, შეიცავს 3729-მდე სტროფს, ასე რომ მის მართ-

¹ «ომანიანი», გ. ჯაკობიას გამოც., სტროფ. 17—20.

ლაც შეიძლო ეთქვა: ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემონობა» (II, 3599), რასაკვირველია, მოცულობით და არა მხატვრულობით, თუმც არც მხატვრული მხარეა მის შრომაში უგულვებელსაყოფი. ეს შრომა, დაწერილი 16-მარცვლიანი რუსთველური შაირით, დილაღ ამელავენებს, რომ მისი ავტორი ამხატვარია ხელოვანი, ლექსულევი, სიტყვა-ტყვილია (II, 3133).

სერაპიონის შრომიდან ამოღებულია ცალკე ეპიზოდი ბეციანისა და მანიეავის (თურანელი ქალი) შესახებ, რომელიც ჩვენში მეტად პოპულარული ყოფილა და რომელიც გავრცელებულია არა მარტო ხელნაწერებით¹, არამედ სტამბის საშუალებითაც². ბეციანიანი ვადმოგვეცემს შემოკლებით ბეციან ფალავნისა და აფრასიაბის ქალის მანიეავის მიჯნურობის ამბავს³. ეს ეპიზოდი გამოყოფილი ყოფილა ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში, ვინაიდან პატრი ბერნარდე, რომელიც ჩვენში 1670—1679 წლებში იყო, ამბობს, რომ ქართველები ძალზე მიზიდული არიან, სხვათა შორის, ბეციანიანის კითხვაზედაო⁴.

როგორც ვნახეთ, სერაპიონი სურვილს გამოთქვამდა—მის შრომას გამოჩენოდა გამგრძელებელი, რომელსაც ის «სამოთხეს» ჰპირდებოდა. ასეთი გამგრძელებელი მართლაც გამოჩენია მას. ეს არის ვინმე ხოსრო ოუსრამანიძე, რომელსაც დაუსრულებია «როსტომიანის» გალექსვა და მიუყვანია ის ბაბიანის გამეფებამდე⁵.

ამის შესახებ «როსტომიანის» ბოლოში ვკითხულობთ:

კურთხულე არის უფალი, ყოვლის მპყრობელი, ზესია
მე, ხოსროე თურმანიმეზან, ამბავი ვპოვე ესაი:
უცხო, ტურფი და ლამაზი, სპარსულად იყო ესაი;
პატრონან ჩემან მიბრძანა: «ქართულად წერე ესაი!» (II, 01).

სპანდიერ-ბარზუს ამბავი აქ სრულად გაიგონების,
მტერი ორგული ყოველი მეფესამე დაეღონების
ცხრაას სამოცდათორმეტსა ლექსს ხოსროე მოეგონების;
ვინც ნახოთ, ჩემსა ლოცვასა ნურავინ დაეღონების. (II, 02).

სხვაც ბერი აკლდა ამ წიგნსა პირველთა თარგმანულთაგან;
პატრონი ჩემი სვიმონ სვიამცა არის სულთაგანი
მოსამცა ძეთა მიხედების, რომე მოიბრძმონ მტერთაგან,
და ძათა მათი წყალობა ნუ მოეშლებს ხმელთაგან. (II, 03).

ხოსრო თურმანიძე ამ სიტყვებში ვადმოგვეცემს შემდეგს: 1) ის ამბავი, რომელიც მას გულექსავს, ვადმოუღია სპარსულიდან, მაშასადამე, მას პრო-

¹ Е. Такашвили. Описание рукописей, I, გვ. 378—385.

² არსებობს ბეციანიანის ცამეტი გამოცემა. აი ზოგიერთი მათგანი: 1873, 1875, 1879, 1880, 1900, 1903 წლებისა. ჯანასენელი, მე-13 გამოცემა, 1915 წლისა, ეკუთვნის «წალკოტის» აზნაუგობას.

³ J. Mohl, Le livre des rois, III, 231 და სვ.

⁴ შ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 683.

⁵ J. Mohl, Le livre des rois, IV, 233—568.

ზაული თარგმანი ხელთ არ ჰქონია, როგორც სერაპიონ სოგრატისძე-საბა-შვილს; 2) უმუშაენია მას მისი პატრონის, სეიმონ მეფის, ბრძანებით; 3) მისი შრომა შეიცავდა 972 ლექსს და სპანდიატ-ბარზუს ამბავს გადმოგვცემდა.

ხოსრო თურმანიძეს რომ მართლაც უშრომია «როსტომიანის» გადმოქართულებასა და გალექსევაზე, ამას ადასტურებს არჩილ მეფეც, რომელიც ხოსროს მთელ «როსტომიანს» მიაწერს:

როსტომიანი უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირბდა, დაწერია მას როსა.
დიდს საქმესა უყოღნი სჯერდებო საქმეს მომცროსა,
ახლა ეუღად ძეს, მაგრამე მოიხმარებდს ზოგს დროსა¹.

საყურადღებოა, რომ ხოსროს, ქართული თარგმანის უქონლობის გამო, პირდაპირ სპარსული დედანი გაულექსავს, ასე რომ ის მთარგმნელიც არის და გამლექსავიც. საიდან იწყება ხოსროს ნაშრომი? თუ სერაპიონმა თავისი შრომა, როგორც დამოწმებულია, «ლორასპამდე» მიიყვანა, უნდა გვეფიქრა, რომ ხოსრომ თავისი შრომა ლორასპის ამბებიდან დაიწყო. მაგრამ ლორასპის (ლუარსაბის) და მისი მომდევნო ამბები (II, 5035—5186) დაწერილი იხეთი მოხდენილი ლექსით, რომელიც არ უდგება ხოსროს საერთოდ უღა-ზათო, ბლავესა და უხეირო რუსთველურ შაირს, ის უშუალო გაგრძელება უნდა იყოს სერაპიონის შრომისა, მით უმეტეს, რომ 5175—5187 სტროფებში მოკლედ ლაპარაკია სპანდიატის შესახებ. სერაპიონი ხომ გულისტკივლით ამბობდა: «ნეტა რა გიყო სპანდიატა, რომ შენ ამბავს მე ისე სრულად ვერ ვამბობ, როგორც, იგულისხმება, სრულად ის გაიგონებისა ხოსროს შრომაში! ასე რომ, ხოსროს შრომა დაახლოებით უნდა იწყებოდეს 5187 სტროფიდან, ის შეიცავს გოშტასაბის, სპანდიატისა და ბაამანის გამეფების ამბებს. ხოსროს სიტყვით, ქართულ «როსტომიანს» «სხვაეც ბევრი აკლდა», მაგალითად, არ ყოფილა იმაში «ბარზუს» ამბავი, ამიტომ ეს ამბავი, როგორც ქვემოთ დაწვრილებით იქნება ნაჩვენები, მას უთარგმნია და ჩაურთავს სერაპიონის შრომაში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მას ერთგვარი რედაქციული შალაშინი გაუკრავს მთლიანად «როსტომიანისათვის», სიბართლეს არ უნდა ღილატობდეს ხოსროს ცნობა, რომ მისი შრომა 972 სტროფისაგან შედგებოდა: ბარზუს ამბავი 377 სტროფს შეიცავს, «როსტომიანის» ბოლო (6187 სტროფიდან)— 460-ს, სულ 857 სტროფს. დანარჩენი 115 სტროფი, იღბით, მის მიერ, ბარზუს ამბავის მსგავსად, ჩამატებულია სერაპიონის შრომის სხვადასხვა იდგილას. მაგალითად, შემჩნეულია, რომ თეთრი პილოს მოკვლის ამბავი (I, 1839—1856) თავისი უღაზათო ლექსით სერაპიონის კალამს არ უნდა ეკუთვნოდეს, ის სწორედ ხოსროს ნახელავი უნდა იყოს².

¹ ძარზილიანი, ტ. II, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., სტროფი 25.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 77; დ. კობიძე, სპარსული ლიტერატურა, II, გვ. 108.

ვინ არის ხოსრო თურმანიძე? ხოსრო თურმანიძე დაახლოებული ყოფილა, როგორც თვითონ ამბობს, სვიმონ მეფესთან, რომელსაც ის თავის პატრონს ეძახის და რომლის ბრძანებით შეუსრულებია მას თავისი შრომა. მაგრამ რომელი სვიმონ მეფე იგულისხმება აქ: პირველი (1558—1600) თუ მეორე (1622—1629)? ჩვენ ვგვონია, რომ პირველი, და აი რატომ: როგორც ზემომოყვანილი სტროფიდან ჩანს, ხოსრო თურმანიძის პატრონს სვიმონს ჰყოლია ძენი (მათსამცა ძეთა მიხედვების) და ამ ძეთა ან ძმათათვის ხოსრო გამოითხოვს იმ წყალობასა და სვიანობას, რომელიც მათ მამას ხელაწილად. ძენი ჰყავდა სწორედ სვიმონ პირველს: «ხოლო დაუტევა მეფემან სვიმონ ძენი გიორგი და ვახტანგა¹, ამათგან გიორგიმ დაიჭირა მამის ტახტი (1600—1603) და ჩინებულად უძღვებოდა სახელმწიფო საქმეებს². რაც შეეხება სვიმონ მეორეს, მას ჰყავდა არა ძენი, არამედ მხოლოდ ერთი ძე, ვახტანგი, მაგრამ მეფედ არც ის ყოფილა: ის იზრდებოდა და ცხოვრობდა ისპანში და ცნობილია ჩვენ ისტორიაში იმით, რომ მისი შვილი ლუარსაბი იშვილა როსტომ მეფემ, მაგრამ ტახტი არც მას ხელა, ვინაიდან, ისპანიდან მოყვანის შემდეგ, ნადირობისას მოკლულ იქნა შემთხვევით თუ განზრახ³. თან სვიმონ მეორის «სვიანობა» არც ისეთი თვალსაჩინო იყო, რომ პოეტს ის ვისთვისმე ესურვებია: ჩვენ ვიცით, რომ ის იყო ნომინალური მეფე, სპარსელების ხელში სათამაშო იარაღი, და უმეტეს შემთხვევაში თბილისში ჩამწყვდულად და ტახტიმინდელი გიორგი სააკაძის, ზურაბ ერისთავისა და თეიმურაზ პირველის მიერ. გარდა ამისა, პირველი სვიმონის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ის მელექსეობის მოტრფიალედ ყოფილა. არსებობს ცნობა, რომ სპარსეთში ტყვეობისას მან შაჰ-ისმაილის წყალობა, სხვათა შორის, მელექსეობით დაიმსახურა⁴. ამნაირად, ხოსრო თურმანიძე არის მეტექსმეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე. შეუძლებელი არც ისაა, რომ ის ცოცხალი ყოფილიყო მეჩვიდმეტე საუკუნის ოცდაათიან წლებშიც, როგორც ამას გვარწმუნებს ზ. კვიციანიძე, რომელიც ამბობს, რომ 1630 წელს ხოსრო სპარსეთიდან დაბრუნდა და 1638 წელს ხელს აწერს დმანისის ეკლესიის ერთ გუჯარსო⁵, თუმცა თავისი შრომა მას გაუთავებია მეტექსმეტე საუკუნეში, როდესაც სვიმონი მეფედ იყო და მისი შვილები უფლისწულებად ითვლებოდნენ.

«როსტომიანის» თარგმნა დასრულებულა მართლაც ხოსრო თურმანიძის ხელით, ჯერ კიდევ როსტომ მეფემდე. ეს იქიდან ჩანს, რომ, როგორც თეიმურაზ II ვადმოვცემს თავის თხზულებაში—«სასახლის ქება», როსტომ მეფეს თავისი სასახლე მოუხატენებია «როსტომიანიდან» ამოღებული სცენებით, ამიტომ სახელადაც მისთვის «როსტომიანი» უწოდებია:

¹ «ქართლის ცხოვრება», II, გვ. 33.

² იქვე, გვ. 33—34.

³ იქვე, გვ. 49.

⁴ «იადიგარ დაუღია», ლ. კოტეტი შვილის გამოც., 1938 წ., გვ. 24.

⁵ «ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში», გვ. 3—4.

როსტომ მეფისგან ნიგები საწოლი სახელადნი,
ნახატი სურათებითა, ყვაეილი ფერადანნი,
თითი როსტომ ფალავანი და დევნი ესატა რქიანი,
შეემო დიდად, დაედვა სახელად როსტომიანი¹.

მაშასადამე, როსტომ მეფის დროს (გარდ. 1658 წ.) უკვე არსებობდა დამთავრებული «როსტომიანი», სურათებით შემკული², და ეს სურათები როსტომს თავის სასახლის კედლებზედაც გადაუტანია.

ფარსადან ბორბიჯანიძემ. ჩვენ მწერლობაში არსებობს აზრი, რომ «როსტომიანის» გადმოღებაში წილი უძველეს აგრეთვე ცნობილ ისტორიკოსს ფარსადან გორგიჯანიძეს, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის სამოციან წლებში ტყვედ იყო ქ. შუშტარს³ და რომელმაც ზედმიწევნით იცოდა სპარსული ენა და ლიტერატურა⁴. ამის საბუთს თითქოს იძლევა ლენინგრადის ნუსხა № 15 (და მისგან გადმოწერილი ხელნაწერი S 1580), სახელდობრ, მისი ბოლოსიტყვაობა, სადაც ვკითხულობთ:

ჰე, ვლახ, გმართებს, თო ჩემო, ლოცვისაგან არ დასცხრია!
ღმერთსა ხშირად ვთაყვანე, გაათავე რაცა სთქვია:
მანუჩარით ბაჰმანამდის ორსა თვესა დავსწერია,
კვიანსა და გონიერსა მელარმან კაცმან აღრე მძლია. (II, 04).

შუშტარს უბრალოდ ტყვედ ვიყავ ფარსადან ლეჰისწერია,
არა მყავს მშველი, მოხმარე, არც მეფე, არცა ერია;
მა მახლავს ჩემი უმცროსი, მელოქედ შეენიერია,
შველად, ამედად მეცა მყავს მყარობელი სახიერია. (II, 05).

შემდეგ ოთხ ელემენტურ სტროფში ფარსადანი მოკლედ გვაცნობს თავის უკუღმართ ბედს და იმ უსამართლობას, რაც მის წინაშე ჩაიდინეს მისმა მტრებმა, რომელთაც ის ექსორია ყვეს⁵. რა ეკუთვნის «როსტომიანში» ფარსადანს? ის ამბობს: „მანუჩარით ბაჰმანამდის ორსა თვესა დავსწერია“. გამოდის, რომ მას მთელი «როსტომიანი» დაუწერია, ვინაიდან «როსტომიანი» იწყება მანუჩარით და მიყვანილია ბაჰმანამდე. მაგრამ ორ თვეში ასეთი შრომის გალექსვა ერთი კაცისათვის, რაც ლეჰისწერია უნდა იყოს ის, შეუძლებელია. თან, თუ მთელი «როსტომიანი» ფარსადანმა გალექსა, რაღა გააკეთეს სერაპიონ საბაშვილმა და ხოსრო თურმანიძემ? პირიქით, ჩვენ უკვე

¹ S 1512, გვ. 30; S 2694, გვ. 78, თეიმურაზ მეორე, თხზ. სრული კრებული, გვ. 105.

² ალბათ როსტომ მეფის დასურათებული «როსტომიანიდან» მომდინარეობს 1671 წელს გადაწერილი და დასურათებული ლენინგრადის ნუსხა № 15 და მისგან გადმოღებული S 1580.

³ «Histoire de la Géorgie», II, 513.

⁴ ნ. შარტი, როსტომიანი, ორიოდ სიტყვა შანამეს ქართულად თარგმნის შესახებ, «ივერია», 1891 წ., № 135; А. Х а х а н о в, Очерки, III, გვ. 116—116; Е. Т а х а ш и ш и л и, Описание, I, გვ. 351. ბილგრაფიული ცნობები ფარსადანის შესახებ იხ.: ნ. ტიტიჩაძემ, ქართული მწერლობა XVII საუკუნეში, გვ. 17—18 და აკად. ივ. ჯავახიშვილი ივ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 234—251.

⁵ Е. Т а х а ш и ш и л и, Описание, I, გვ. 276.

ვიციტ, რომ როსტომიანი მანუჩარიდან ბაჰმანამდე წარმოადგენს ამ ორი პირის კოლექტიურ შრომას. ფარსადანი ამბობს დაეწერეო. ეს სიტყვა კი უნდა ნიშნავდეს არა გადმოთარგმნას ან გალექსვას, არამედ უბრალო გადაწერას¹. ასე რომ, ფარსადანის შრომა ამ შემთხვევაში უფრო გადაწერაში მდგომარეობდა, რაც, რასაკვირველია, შეუძლებელი არ იქნებოდა ორი-თვის განმავლობაშიაც. მართლაც, ლენინგრადის ხელნაწერი, რომელშიაც მოთავსებულია ცნობები ფარსადანის შესახებ (აქედან S 1580), გადაწერილია 1671 წელს, საფიქრებელია ფარსადანის მიერ ან მისი ინიციატივით. შესაძლოა, გადაწერისას ფარსადანს რამდენიმე სტროფი თავისივე შეეტანოს როსტომიანში². მაგალითად, S ნუსხაში, რომელიც ლენინგრადის ხელნაწერის პირს წარმოადგენს, 33 სტროფი (1149—1167 და 1652—1665 იუსტ. აბულაძის გამოცემით) სულ სხვანაირადაა გადმოცემული, ვიდრე სხვა ნუსხებში, ალბათ, ეს რედაქციული განსხვავება და სხვა ამგვარი ფარსადანის საქმედ უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, ორ დასახელებულ ხელნაწერში (ლენინგრ. № 15 და S 1580) ჩვენ გვაქვს 70-მდე სტროფი, რომელთაც ვერ ვპოულობთ სხვა ცნობილ ხელნაწერებში. საყურადღებოა, რომ ამ ზედმეტ სტროფებში, უმეტეს შემთხვევაში, გადმოცემულია ის, რაც სხვა ხელნაწერებში წარმოდგენილია პროზაული სათაურის სახით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პროზაული სათაურები გაულექსავს ფარსადანს და ამაში უნდა ვეძიოთ მისი ორიგინალური შემოქმედება³. გარდა ამისა, ფარსადანს ჩაღბი გაუკრავს განსაკუთრებით ხოსრო თურმანიძის ლექსისათვის.

ქართული როსტომიანი წარმოადგენს გადმოკეთებას რუსტემის თავ-გადასავლისას, რომელიც მოთხრობილია ფირდოუსის «შაჰნამეში». გამლექსავი თუ მთარგმნელი, საკუთარი შეხედულებისა და გემოს მიხედვით, ხშირად ამოკლებს ამა თუ იმ ადგილს, მაგალითად, მეფეთა ისტორიას ის თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს, სამაგიეროდ, ფალანგების, განსაკუთრებით როსტომის, ერთმანეთთან და დევებ-ავსულებთან რკენას უფრო ხაზს უსვამს. ამავე დროს მას შეაქვს შიგ პირადი ერუდიციისა და მსოფლმხედველობის დამახასიათებელი ცნობები და ტერმინები, ამით აიხსნება „როსტომიანში“ ქარბად წარმოდგენილი ქრისტიანული ელემენტი. ამითვე აიხსნება ქართული ელემენტის შეტანა თხზულებაში, როგორც, მაგალითად, სათაურში: „აქა წიგნი აფრასიაბისაგან ზურაბთან ქართულად მინაწერი“ და სხვ. „შაჰნამეს“ ქართულად გადმომღებთ აქვთ „საკუთარი პოეტური წვა; ისინი საკუთარი პოეტური ნიჭითა და გრძნობით, საკუთარი პოეტური ალღოთი სცვლიან სპარსულ ვერსიებში წარმოდგენილ პოეტურ ფერებს, ალაგ-ალაგ შინაარსსაც კი, და ამრიგად ამუშაებენ, აქართულებენ შაჰ-ნამეში მოთხრობილ ამბებს. ასე რომ ისინი სპარსული წყაროების მთარგმნელებად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, როლი გვევლინებიან“⁴.

¹ კ. კეიხილიძე, ორი მკითხვემ ძველს ქართულ მწერლობაში, «ხენი შეცნობება», № 2—3, გვ. 118, შენ. 2; მისივე, იტიულები, IV, გვ. 102, შენ. 3.

² B. Тахавшвили, Описание, I, გვ. 278.

³ დ. კობიძე, სპარსული ლიტერატურა, II, გვ. 125.

„როსტომიანს“ იშვიათი პოპულარობა მოუპოვებია საქართველოში. თითქმის ყველა სახელი, რომელიც „როსტომიანში“ გვხვდება, ქართულ ეროვნულ სახელად ქცეულა, ამ მხრივ „როსტომიანს“ დიდი მეტოქეობა გაუწევია ქრისტიანული კალენდრის ონომასტიკონისათვის. „თუმცა როსტომიანის გმირთა შესახებ თქმულება უცხო ქვეყნიდან არის შემოსული“, ამბობს ერთ-ერთი მკვლევარი, „მინც იგინი შეუთვისებია ჩვენს ერს და ნაციონალურ ქაბუკებად გადაქცევიან“¹. ის დიდ გავლენას ახდენდა შემდეგი დროის ქართულ ლიტერატურაზე. ქართველი მკითხველი ხარბად ეწაფებოდა და კითხულობდა მას. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევიან საქართველოში 1670—1679 წლებში მყოფ პატარ ბერნარდესს, რომელიც თავის მოხსენებაში სწერს რომის კურაას: „ქართველები თუმცა ძლიერ გონიერნი და კაცთმოყვარენი არიან... მაგრამ მიზიდულნი არიან ბეენიანის, ბარამიანის, როსტომიანის და მათი მსგავსი წიგნების კითხვან“². ამასთანავე ხალხში არსებობს თქმულებათა მთელი ციკლი როსტომის შესახებ, რომელნიც იმეორებენ „როსტომიანის“ შესაფერის ადგილებს. მიუხედავად იმისა, რომ ვარკვეულია ლიტერატურული „როსტომიანის“ სპარსული „შაჰნამედან“ წარმომდინარეობა, ზოგიერთები მზად არიან სერიოზულად გვიმტკიცონ, რომ ლიტერატურული „როსტომიანი“ ხალხურზე დამოკიდებულია. პროფ. ა. შანიძემ ტექსტუალური შედარების გზით დაამტკიცა, რომ ხალხური „როსტომიანის“ ზოგიერთი სახელი და ტერმინი წარმოადგენს დამახინჯებას ლიტერატურულიასას, რომ პირველი მეორეზეა დამოკიდებული³.

2. შაჰნამეს მიბაძვნა

ფირდოუსის „შაჰნამეს“ სპარსულ ლიტერატურაში გამოუჩნდნენ მიმბაძველნი, რომელნიც „შაჰნამეს“ ამა თუ იმ გმირის, ანდა მის წინაპართა და შთამომავალთა შესახებ თხზუდნენ მთელ საგმირო-ეპიკურ ნაწარმოებს, რომლის შინაარსს ისეთი საღვევმირო ამბები და ზღაპრები შეადგენს, რომელიც „შაჰნამეში“ ან სრულიად არ მოიპოვება, ანდა არის შემოკლებული და შეცვლილი სახით. საყურადღებო ისაა, რომ ასეთი თხზულებები ან მთლიანად, ან ზოგიერთი ეპიზოდის სახით, შექმნდათ თვით „შაჰნამეში“, ასეთებია: „გერშასფ-ნამე“ საადი ტუსელისა და „ბარზუ-ნამე“ ათაისა (XI ს.), „ბაჰმან-ნამე“ (XII ს.), „სააშნამე“ (XIV—XV სს.) და სხვ. აქედან სპარსულ ლიტერატურაში, ნამდვილ „შაჰნამეს“ გვერდით, არსებობს ე. წ. შერყენილი „შაჰნამე“. ამგვარი „მიბაძვანი“ ქართულადაც უთარგმნიათ. ასეთია, არსებული მასალის მიხედვით, შემდეგი თხზულებები:

¹ აღ. ხაზანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1919 წ., გვ. 33.

² მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 682—683.

³ მათი გამოცემანი ნაჩვენებია პროფ. ა. შანიძის მიერ: „შაჰნამეს“ ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში, „ლიტერატურული შემკვიდრეობა“, I, გვ. 177—178.

⁴ იქვე, გვ. 177—195; ნ. მარჩი, წერილი ვეფხისტყაოსნის გამო, გახ. „თეატრი“ 1890 წ., № 12; Е. Такашвили, Описание рукописей, I, გვ. 878—874; А. Хаханов, Очерки, III, გვ. 117.

A. უთრუთიან-საამიანი

ქართულ ენაზე არსებობს ერთი თხზულება, რომელიც შეიცავს თავისებურად გადაშუქებულ „შაჰნამეს“ პირველ, დასაწყის ნაწილს, თავიდან მოყოლებული ზაალის დაბადებამდე. აქ მოთხრობილია თავადასავალი ძველი ირანის მეფეებისა: ქაიომარის, უშენგის, თამურაზის, ჯიმშედის, ზაჰქის, ფრიდონის, ნაწილობრივ მანუჩარისა და ფადაენების: უთრუთის, გორჯასპის, ქარიზანის, განსაკუთრებით კი ნარიზანისა და საამის. ამ თხზულებას შეეძინა ვუწოდოთ თითოეული აქ აღნიშნული პირის სახელი, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანის ეპიზოდს გამოეცალკეებოდა და საგანგებოდ ხაზს გაეუსვამოდა. ვინაიდან ყველაზე ვრცლად აქ ლაპარაკი უთრუთისა და საამის შესახებ არის. ჩვენც ამ თხზულებას „უთრუთიან-საამიანს“ ვუწოდებთ.

ამ თხზულების პროზაული რედაქცია მოთავსებულია ორ დიფექტურ ხელნაწერში¹, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში არიან გადაწერილი (უკანასკნელი ცნობილი პოეტის მამუკა თავაქალაშვილის მიერ). ამ შრომის ენა იმდენად ძველია, რომ მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარს მისი თარგმნავერად გადმოსცილდება, თან ის მხატვრულობასაც არაა მთლიანად მოკლებული.

რას წარმოადგენს ეს თხზულება და საიდან მომდინარეობს ის, ჯერჯერობით საბოლოოდ გარკვეული არაა. პროფ. დ. კობიძის გამოკვლევით, ის უნდა განტყდიდეს, განსაკუთრებით ნარიზანის ბრძოლისა და სიკვდილის ეპიზოდში, ე. წ. „გერშასფ-ნამეს“² ძლიერ გავლენას, თუმცა ჩანს აგრეთვე სხვა მიმზადველ-გამგრძელებელთა თხზულებების გავლენაც³. ეს გავლენა შეიძლება მომდინარეობდეს არა უშუალოდ ამ თხზულებიდან, არამედ მისი იმ რედაქციიდან, რომელიც შეტანილია ე. წ. შერყენილ „შაჰნამეში“.

ვინ გადმოთარგმნა ქართულად ეს საკმაოდ დიდი თხზულება, არავითარი ცნობები ამის შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

ქართულ ენაზევე არსებობს მეორე, ლექსითი რედაქცია ამ თხზულებისა, რომლის პირველი ნახევარი, დაახლოებით საამის ამბებამდე, შენახულა მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერში H 61, რომელსაც აკლია თავში რამდენიმე ფურცელი და ბოლოში მთელი მეორე ნახევარი⁴. ეს მეორე ნახევარი, რომელიც ამ ხელნაწერში დაქარგულა, უნდა იყოს საამ ფალაგნის ამბები, რომელნიც ხელნაწერებში შემონახულან „საამიანის“ სახელწოდებით⁵. ეს ე. წ. „სა-

¹ H 821; S 1584.

² ეს „გერშასფ-ნამე“ არის საგმირო-ეპიკური პოემა, რომელშიაც გადმოცემულია სასანელ ფალავანთა—უთრუთის, გერშასპის, ნარიზანის და სხვათა საგმირო საქმეები. ის დაწერილია პოეტის ასადის მიერ 1064—1066 წლებში ნახჩევანის შთაგრის ახუ დოღღუფისათვის და შეიცავს 9—10 ათას ბეითს (H. Ethé, Neupersische Literatur, „Grundriss“, II, 226; N. S. I. d. e. k. e, Das iranische nationalepos „Grundriss“, II, 209—210; E. B. r. o. w. n. e, The Literary History of Persia, II, 116, 148, 272). E. Бертелез История персидско-таджикского литературы, стр. 248—267.

³ დ. კობიძე, საარსული ლიტერატურა, II, გვ. 136—146.

⁴ ხელნაწერი წყდება 232 გვერდზე, უკანასკნელი სათაური 229 გვერდზე არის შემდგომ „აქა ნარიზანისა და არმან დევის ომი“.

⁵ S 4528, S 1505, A 330 და სხვ. გამოცემულია პროფ. იუსტ. აბულაძის მიერ: „შაჰნამეს ქართული ვერსიები“, ტ. I, გვ. 39—267.

ამიანი“ რომ უშუალო გაგრძელებაა ხელნაწერ H 61-ში დარჩენილი ნაწილისა, ეს ჩანს შემდეგიდან: 1) ორივე ნაწილს საფუძვლად უძეგს პროზაული თხრობა, შენახული ხელნაწერებში H 921 და S 1594, როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილი ამ ხელნაწერების გალექსვას; 2) ლექსის ტექნიკა და ხასიათი ორივე ნაწილში ერთი და იგივეა; 3) მეორე ნაწილს, „საამიანს“, არაერთი შესავალი, თუგინდ სულ მოკლე, არ აქვს, ის იწყება ex abrupto—„აწ ლექსად ვთქვა ამბავი საამის გმირთა გმირისა“, რაც განმეორებაა პროზაული რედაქციის ერთ-ერთი სათაურისა—„ახლა საამის ამბავი არის“¹, სადაც ის, წინა ამბების მომდევნო, ბუნებრივია. შეუძლებელია ამგვარად რომელიმე დამოუკიდებელი ნაწარმოები იწყებოდეს. ერთი სიტყვით, ხელნაწერში H 61 რომ მეორე ნახევარი არ დაკარგულიყო, იმაში ჩვენ გვეძინებოდა ე. წ. „საამიანიც“, როგორც უშუალო გაგრძელება პირველი ნაწილისა.

ამ თხზულების ლექსითი რედაქცია წარმოადგენს, როგორც ვთქვით, პროზაული რედაქციის გალექსვას. მართალია, სათაური და რიცხვი კარგებისა ამ რედაქციებში ერთმეორეს არ ჰფარავს (ლექსითს რედაქციაში ერთი და იგივე კარი პროზაული რედაქციისა რამდენიმე კარადაა დაყოფილი), მაგრამ სკამარისია ერთი თვალის გადავლება, რათა დავრწმუნდეთ, რომ გამლექსავს სახელმძღვანელოდ გაუხდია სწორედ ეს პროზაული და არა სხვა რომელიმე რედაქცია. ლექსითი რედაქცია სიტყვასიტყვით მისდევს პროზაულ თხრობას და ყოველ ნაბიჯზე იმეორებს მის ფრაზებსა და ტერმინებს და ზოგჯერ სრულიად უცვლელად იცავს მთელ წინადადებებს. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ორივე რედაქციიდან შემდეგ ეპიზოდს:

პროზაული რედაქცია
კარი კმ

ლიტერატული რედაქცია

ზააკს ეშმაკისა მანქანებითა
მკართა გუელნი ამოუქდეს:

აქა ზააკ ეშმაკმან აცდინა და მხრებზე
გყელები ამოასხა:

მერმე ასე უთხრა ეშმაკმან ვითა:
შენი წყალობა არა მაკლიან რა:
ამის მეტი არა მინდა რა. რომე
ორთავე მკრის თავთა მაკოცინენ:
აგრე ამოუყარნა მხარნი და მი-
ვიდა და მკრის თავსა აკოცა:
მერმე განქარდა ეშმაკი: აგრევე ორ-
ნივე მკრის თავნი აქვადეს და მო-
იფხანანა ფხანაშიგან ორთა გუელ-
თა თავი ამოყვეს. ამოეხარდნეს:
ორთავე ყურთა წოუნა დაუწყეს-
მერმე აქიმი მოიკითხეს: ვერა შე
უტყვეს რა: აგრე მოვიდა ისივე
ეშმაკი კაცისა სახით: თავი მოე-

ეშმაკმან უთხრა: წყალობა არ მინდა ამის მეტი,
შიშველი მხრები მიჩვენე, ვიყო იმისა მევერტია:
მახე გაყოცო, ვითომცა ვიყო შარბათის მხრერტია,
გარდილო, ფიცხლად აკოცა, დაკარგა ნათლის სვეტია.

ორთა მხართა აკოცა, ეშმაკი გაუჩინარდა:
ვერვი შეუტყო რა იქნა, ან ვინ იყო, ან ვინ არ და,
ზააკს დაუწყო ჭკვილი მხრებმა ორმავე წინარდა,
იფხანდის, მეტად ქაოდა, არ წოლა, არ დაძინარ და.

ნათხანში გველის მართებმა თავი ამოყო წინარე.
იგ დაიხარდნენ დიდები კაცისა მოსაწყინარე,
ცხვირთა და ყურთა სწოვდიან, მისგან არ იყო მძინაოე-
ყოვლგან მოიხმო აქიმი, სადაცა იყო ვინ არე.

მისქინდა; ასრე თქუა ვითა: ჩემსა უყეთესი აქიმნი არსადა იქნების. მერმე ჭკითხა ზაქ გველთა ამბავი და ასრე ასწავლა ვითა ყოველთა დღეთა ორორსა კაცსა მოჰქლევდი. თავისა ტვინსა ამოართმევდი. შაქარასა დააყრიდი და აპევედი და აღარას გაწყენენ. რა ესე საუბარი გაიგონო ეშმაკისაგან ზაქ კლემწიფემან: აგრე მოახსენა: ორნი კაცნი დახოცეს და თავის ტვინი ამოართვეს. აქამეს და რა დაძღეს, სული დაიღეს. ყოველთა დღეთა განსმა ამბავი ყოველსა ქუეყანასა. ზუთსა წელიწადსა ამა ყოფითა იყო: დაურიგდებიან ყოველთა ალაგთა. თემთა და ქალაქთაღალმან მოჰყვანდის კაცი და აპევედინ. დიდროვანი ვეშაპები შეიქნა. მერმე ამა ქალაქშიგან ერთი მჭედელი იყო, სახელად ქაე ერქუა. მას ორმოცი შვილი ედგა. ოცდა თურამეტი წაუსხეს და ვეშაპსა აქამეს და ორნი შერჩეს.

(ფურც. 34—35).

აქიმნი ყოველგნით მოვიდენ, ვერა შეიტყვის ვერითა არა წამალი არ ერგო, არ ღონით არას ფერისა, ისიუ ეშმაკი მოვიდა სხვაფერად სხვაებარ ერთთა, თქვა თუ მე ვარო ოსტატი, თქვენცა ისწავეთ მზერითა.

ეშმაკმან თქვა აქიმობა ჩემგან უკედ არ იქნების, მზარეულიც კარგი ვარო, რაცა თქვენს წინ დაიდებოს; ზაქ ჭკითხა გველთ ამბავი, ლამის მისგან დაინთქმების, მან ასწავლა ავი საქმე, უარესი რა ითქმების.

ოროლს კაცს დღემიდ მოჰქლევდი, ისმინე ჩემგან თქმულია. მათ თავის ტვინსა ვაჭმევდეთ შაქრით, დაიღონ სულია. ზაქს დაუგდო იბლისმა ეს საქმე წარმართულია. ფიცხლა მთასხეს კაცები, გაგზავნეს მზარეულია.

ორი კაცი მოიყვანეს, დაკლეს, თავსა წაგებდნეს, თავის ტვინი ამოართვეს, ღმერთი აღარ მოიხდნეს, გველს აქამეს, დაიძინეს, ყურთა აღარ შეიძენდეს, ამა წესით იქცეოდა იმის დღენი რაცა ესხნეს.

ზუთს წელიწადსა ესე ქნა, დღე არ იცდნა ერთთა, ოროლს კაცს დაჰკლავს დღიურად, არ მოიგონა ღმერთთა. ვეშაქდ შეიქნა გველები, ეშმაკის შენაერთთა, ყოველგან დავარდა ესე ხმა, დახდნენ მართ ვითა შუთთა.

ქალაქშია მჭედელია, მას სახელად ქაე ქვიან, მას ორმოცი შვილი ჰყავდა, ზაქაქსგან სისხლი სდიან, ორის მტრი გველისათვის დახოცეს და თავსა სჭრიან, ორი შვილი შეარჩინა, ყარან, ყუბად დაარქვიან.

(გვ. 113—116).

მართალია, ლექსითი რედაქცია ორ შემთხვევაში შორდება პროზაულ დედანს: 1) პროზაული რედაქციით ზაქს ერთი შვილი ჰყავს—ფარუხი, ლექსითი რედაქციით კი ორი—ფარუხი და გავო; 2) პროზაული ვერსიით ზაქის ცოლები ჯიმშედის ქალებია, ლექსითი რედაქციით კი ისინი ჯიმშედის დებია. მაგრამ ეს განსხვავება აიხსნება იმით, რომ გამლექსეველს, უმკვიელია, ხელთ ჰქონდა აგრეთვე „შაპანამეს“ დასაწყისი ნაწილის ქართული თარგმანი—„ფრიდონიანი“, რომლის შესახებ ზემოთ გვექონდა ლაპარაკი (ლენინგრად. ხელნაწ. № 50), და მამუკა მდიენის „ზაქიანი“, რომლის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ამნიარად, ლექსითი რედაქცია ამ თხზულებისა, მისი ორივე ნაწილი, ერთი და იმავე პოეტის კუთვნილებათ. ვინ არის ეს პოეტი ან მელექსე? ე. წ. „საამიანის“ მეთერამეტე საუკუნის მიწურულის ხელნაწერში აღნიშნულია: „...საამის ამბავი ბარძიმ ვაჩინაძის ნათქვამთა“ (S 1505). ამას ბრძილ მეფეც აღასტურებს:

ბარძიმ ვაჩინაძემ გალექსა საამის წიგნი ზდემსა.

სხვას მელექსესთან ჯდომავში უხამს იხდიდეს ბოლოშა!
თუ არ შეეძლო, რასთვის თქმა, რად შეიქმნა საამბოდ იშსა?
ვეჭვ. თუ არ ითქვა, მით უთქვამს, საქმეს უხამდენ საშიშსა.

აქედან ირკვევა, რომ მთელი ლექსითი რედაქცია ამ თხზულებისა, რომელსაც, ჩანს, ჯერ კიდევ არჩილის დროს (XVII საუკუნის 80-იან წლებში) „საამიანს“ უწოდებდნენ, ეკუთვნის ბარძიმ ვაჩნაძეს. მას გაულექსავს ბრა-მარტო საამის ამბავი, არამედ აგრეთვე ყველა იმ გმირებისაც, რომელნიც მას წინ უსწრებენ. შემდეგში გარკვეული მიზეზების გამო, რომელთა შესახებ ლაპარაკი „ზაქიანის“ მიმოხილვისას გვექნება, ამ თხზულებიდან ცალკე გამო-უყუთი საკუთრივ საამის ამბები „საამიანის“ სახელით.

ვინ არის ეს ბარძიმ ვაჩნაძე? ბარძიმ ვაჩნაძეს იცნობს პატრი იოსებ ჯულიჩი, რომელიც 1640 წელს რომში გაგზავნილ წერილში მის შესახებ ამ-ბობს, რომ ის არის „ბრძენი და უკეთილშობილესი ადამიანი“¹. ზ. კიკინაძის ცნობით, ბარძიმ ვაჩნაძე ცხოვრობდა 1630 წლებში. ეს იყო თემით კახი, თავადიშვილი, რამდენჯერმე სპარსეთშიც ყოფილა გაგზავნილი ქართველი მეფეების მიერ. უკანასკნელ დროს ოსმალეთისაკენ გადასულა და მგზავრობის-დროს სამეგრელოში ყოფილა, სადაც მას „საამიანი“ დაუწერიაო². ამ ცნო-ბების წყაროს ზ. კიკინაძე, ჩვეულებისამებრ, არ უჩვენებს, მაგრამ ადვილი-მისახვლომია, თუ საიდან ამოიღო მან ისინი: ბარძიმმა რომ „საამიანი“ და-წერა, ეს „არჩილიანიდან“ გაიგო; იქიდანვე გაიგო, რომ ბარძიმმა ის ოდიშს-დაწერა, მაშასადამე, ის უნდა, სამეგრელოში ყოფილიყო, ეს კი შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ის ოსმალეთში გაემგზავრებოდა. ვინაიდან ავტორი ვაჩ-ნაძე იყო, ცხადია, კახი თავადიშვილი იქნებოდა. რადგანაც „საამიანი“ მან სპარსულიდან გადმოიღო, ამიტომ, იგულისხმება, მას სპარსული უნდა სკოდ-ნოდა, ამისათვის კი საჭირო იყო, ის რამდენჯერმე სპარსეთში ყოფილიყო. აი, რა გზით წარმოიშვა ზ. კიკინაძის ცნობები.

რადგანაც, არჩილის ცნობის თანახმად, ბარძიმს „საამიანი“ ოდიშში გა-ულექსავს, ის, უნდა ვიფიქროთ, ერთი იმ ტყვეთაგანი იყო, რომელიც ხელთ-ჩაუვარდა სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს 1634 წლის ბრძოლაში იმერელთა და კახთა წინააღმდეგ (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, „ზაქიანის“ მიმოხილვისას). ამრიგად, ბარძიმის ლიტერატურული მოღვაწეო-ბა მოდის დაახლოებით 1634—1657 წლებში.

თუმცა, როგორც დავინახეთ, არჩილი მას წუნსა სდებს, მაგრამ მისი ლექსი ამელავენებს, რომ, როგორც პოეტი, ზოგიერთ იმდროინდელ პოეტზე გაცილებით მაღლა დგას. არჩილი არ იცნობს, ყოველ შემთხვევაში არ ასა-ხელებს, ოდიშში ბარძიმთან ერთად მომუშავე ტყვეს მამუკას, რომლის ლექსს ის მართლაც არ მოიწონებდა. ამიტომ შესაძლებელია დაისევას საკითხი: ხომ არ ურევს ერთმანეთში არჩილი მამუკასა და ბარძიმის შრომებს?

B. ზააძიანი

თუმცა ზაქის თავგადასავალი ზემოდასახელებულ პროზაულსა და ლექ-სითს გადაკეთებაშიაც გვაქვს, მაგრამ ის ცალკეც ყოფილა გამოყოფილი რო-გორც სპარსულ-თურქულ, ისე ქართულ ლიტერატურაშიც. ქართული „ზა-

¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 188—189.

² „ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში“, გვ. 13.

აქიანი¹ ეკუთვნის მდივანს მამუკას, რომელიც თავისი შრომის შესავალში გადმოგვცემს შემდეგს:

„ეს ამბავი საქართველოს ძველის-ძველადაც კჳნდა; თუმცა ჩემზე უკეთ ის სხვებმა იცოდენ, მაგრამ შისი გალექსვისათვის თავი არ შეუწყუხებიათ არც შავთელს, არც სერგის თმოგველს, არც მანუჩარს (ნანუჩა?), არც შოთას, არც კახთა მეფეს თეიმურაზს. ამიტომ მე, მეფის მდივანმა მამუკამ, ვთქვი ეს ზააკიანი, სახელდობრ, გავლექსე მე ზააკისა და ფრიდონის ქველობა; ეს მე ვაკეთე მაშინ, როდესაც ტყვედ ვიყავ ოდიშს, ჩემის პატრონის, ლევან მანუჩარის ძის დადიანის ბრძანებით“².

ვინ არის ეს მამუკა მდივანი? იუსტ. აბულაძის სიტყვით, მამუკა უნდა იყოს მანუჩარ დადიანის ერთი იმ ტყვეთაგანი, რომელნიც მან წაშობასხა ქართლის მეფის სვიმონზე ოფიშქვითის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ³. მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება: ავტორი თვით ამბობს, რომ მას უბრძანა გაეღქკა „ზააკიანი“ არა მანუჩარმა, არამედ მისმა შეიღმა ლევან დადიანმა, რომელსაც ის ექვს სტროფში (7—12) აქებს; თან ოფიშქვითის ბრძოლა, ვახუშტით, მოხდა 1590 წელს⁴. ამის მიხედვით, მამუკა XVI საუკუნის მწერალი იქნებოდა, ეს კი დაუშვებელია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ქებას, რომელსაც მამუკა თავის პატრონს უძღვნის, და მას შევუდარებთ მემატიანის ცნობებს, მამუკას პატრონად მართლაც ლევან II დადიანი (გარდ. 1657 წ.) უნდა ჩავთვალოთ და არა მანუჩარი.

დღის უკვე გარკვეულია გვარი ამ მამუკასი⁵. ხელნაწერ S.1591-ში ვკითხულობთ: „აქა გათავდა ესე წიგნი ბრძანებითა ხელმწიფისა დადიანის ბატონის ლევანისათა და ხელითა მამუკა თავაქალაშვილისათა ქორონიკონსა სამას ოცდათუთმეტსა (1647 წ.), თვისა იელისსა ოცდაშვიდსა“. თავაქალაშვილები, resp. თავაქარაშვილები ძველი დროიდან იმერეთის სამეფოს მდივნები ყოფილან. დოკუმენტებში შემდეგ მდივნებს ვხვდებით ამ გვარიდან: სადათერ 1491 წლის სიგელში⁶, ზურაბ 1527 წელს⁷, ალა 1569—1573 წლებში⁸, ხვაფილანდრე 1586 წელს⁹, ასლან 1604 წელს¹⁰,

¹ გამოცემულია იუსტ. აბულაძის მიერ: „შანამეს ქართული ვერსიები“, გვ. 3—36.

² იქვე, გვ. 3—7, სტროფ. 1—8.

³ იქვე, გვ. 6, შენ. 7.

⁴ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 32, 195, 246.

⁵ ა. ბარამიძე, შენიშვნები შანამეს ქართული ვერსიების შესახებ, „საქართველო“, III, გვ. 66—68.

⁶ თ. შორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 309.

⁷ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 10.

⁸ იქვე, გვ. 19, 31.

⁹ იქვე, გვ. 34.

¹⁰ იქვე, გვ. 37.

პაატა 1627—1639 წლებში¹, თვით მამუკა ლევან დადიანის 1639 წლის სიგელში², ელიზბარ 1685 წელს³.

როგორ მოხვდა მამუკა ოდიშში ტყვედ? ცნობილია, რომ XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში საქართველოში ორი პოლიტიკური ბანაკი ან კოალიცია შეიქმნა: ერთში იყვნენ იმერეთის მეფე გიორგი და სიმამრი მისი შერლის ალექსანდრესი კახთა მეფე თეიმურაზ I, მეორეში ქართლის მეფე როსტომი და სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი. ასეთი დაჯგუფების შედეგი იყო, რომ როსტომ მეფემ 1634 წელს ცოლად შეირთო ლევანის და, გურიის ნაცოლარი, მარიამი. დედოფალი სამეგრელოდან ქართლში უნდა გადმოეყვანათ, შესახვედრ პუნქტად, სადაც როსტომს ის უნდა ჩაებარებინა ლევანისაგან, დანიშნული იყო კაკის-ხიდი, იმერეთისა და ახალციხის საზღვართან, ზეკარის უღელტეხილის ახლოს, არც დიდად დაშორებით ბაღდადიდან. აქ, ბაღდადთან, როგორც დოკუმენტებში ნათქვამია, გიორგიმ და თეიმურაზმა გზა გადაუღობეს მოწინააღმდეგე მხარეს და გასაყვალს არ აძლევდნენ. მომხდარა ბრძოლა, რომელშიაც გიორგი და თეიმურაზი დამარცხებულან, გიორგი დაუტყვევებიათ, თეიმურაზს შვილებით გაქცევით უშველია თავისათვის. „უფროსი ერთი იმერელი და კახი ხელთ დაგვრჩა“,—ნათქვამია ერთ დოკუმენტში, ან: „სრულობით იმერელნი და კახნი დაბადისელნი ზოგნი ხელთ დაგვრჩა და ზოგნი გარდაიხვეწნეს“,—ადასტურებს მეორე დოკუმენტი⁴. ყოველ ექვს გარეშეა, სწორედ ამ ომში, 1634 წელს, ჩაუვარდა ლევან დადიანს ტყვედ იმერეთის მეფის მდივანი მამუკა თავაქალაშვილი და კახეთიდან ბარძიმ ვაჩნაძე⁵.

ამრიგად, მამუკას ლიტერატურული მოღვაწეობა მოდის ლევან დადიანის კარზე დაახლოებით 1634—1657 წლებში. ლევანი ცნობილია როგორც მეცენატი კულტურისა და მწერლობისა, კერძოდ, ის მფარველობდა პოეტებსა და მწერლებს: მისი შეკვეთით ბარძიმ ვაჩნაძესა და მამუკა თავაქალაშვილს გაუღებიათ „საამიანი“ და „ზააქიანი“.

მამუკას ლიტერატურული ინტერესები მართლაც ჰქონია. 1646 წელს, ტყვეობაში ყოფნისას, მას გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ნუსხა. მის მიერ გაღებულ „ზააქიანი“ გადმოგვცემს დაახლოებით იმას, რაც „შაჰ-ნამეში“ ჯიშმდის, ზოპაქისა და ფერიდუნის შესახებაა ნათქვამი. როგორც

¹ თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 452; ს. კაკაბაძე, დასახ. თხზ., I, გვ. 59; H 1781, ფ. 12.

² ს. კაკაბაძე, დასახ. თხზ., გვ. 52.

³ იქვე, გვ. 80.

⁴ იხ. სიგელი 1636 და 1648 წლებისა: თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 451, 463; „Histoire de la Géorgie“, II, 1, pp. 267—269.

⁵ ამ ბრძოლას დასახელებული სიგელები 1636 წლის ახლოს უჩვენებენ, მაგრამ სინამდვილეში ეს 1634 წელს მოხდა, ვინაიდან მარიამი როსტომს სწორედ ამ წელს მითხოვდა; ყოველ შემთხვევაში 1635 წელს ჩვენ გვაქვს სიგელი მათი ხელმოწერით („ქრონიკები“, II, გვ. 450).

ახლა გარკვეულია¹, მამუკას სპარსული დედნიდან კი არ გადმოუღია თავისი შრომა, არამედ ხელში ჰქონია ორი ქართული თარგმანი: ერთი ზემოგანხილული „უთრუთიან-სამიანი“ (H 921 და მის მიერ გადაწერილი S 1594) და მეორე—ზემოთვე განხილული თარგმანი „ფრიდონიანისა“ (ლენინგ. ხელნაწ. № 50). ძირითად წყაროდ გამოუყენებია მეორე თარგმანი, თუმცა ბევრი რამ პირველიდანაც ამოუღია. ეს რომ ასეა, ამისი დამადასტურებელი მაგალითები ნაჩვენებია ა. ბარამიძის მიერ². მამუკას რომ მართლაც სხვა წყაროდ ჰქონდა ხელთ „ფრიდონიან-სამიანის“ გარდა, ამის უფრო მეტად დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ „უთრუთიან-სამიანიში“ მოთავსებული ზააქის შესახებ ამბებიდან (ლექსითი რედაქციით) რამდენიმე სტროფი და შევეუდაროთ ის მამუკას „ზააქიანს“.

ფრიდონიან-სამიანი:

ზააქიანი:

მურდაეს ერთი ზვილი დარჩა, მას სახელად
 ხააქ ქვიან,
 მას ეშმაკის მანქანებით მხართა გველნი
 დასხდომიან,
 მას ერგნა ამხანაგად ბელხებელი, მოუდგვიან,
 იგ შეადგა საცთუნებლად, მისთვის ეტლნი
 ავად რბიან.
 უთხრა ეშმაკმან: ისმინე პასუხი ჩემგან
 თქმულია,
 ხარ მოწიფული, ახალი შენებრი არ
 შეგმნულია.
 შენ დაგრჩეს სრული მეფობა, საშენოდ
 შეტარებულია.
 ადრე აცდინა, დაქარგა სამუდმოდ მისი
 სულია.
 ეშმაკმან ზააქ აცდინა, უთხრა სიყვდილი
 მამისა,
 თქვა: აქვს ბევრი ქონება მამათქვენი
 მრავალ რამისა,
 შენცა ბევრი გაქვს, შეყაროთ, იყავ მოქმედი
 ამისა
 ლაშქარზედ გაგსცეთ ყოველი იგი ერთისა
 წამისა.

ზააქ იყო მუხარდის ძე, ფალავანი გამო-
 თქმული,
 თვისის მამის სამსახურთა გამოთავა მეტად
 სრული,
 ტახტი ჰქონდა საბატონოდ, სხვა ქალაქი
 ბევრი, სრული.
 ეშმაკისა მანქანებით გარდუბრუნდა იმას
 გული
 მას მიუხდა ერთი კაცი. იბლისი და
 ავისმქნელი,
 მამის მოკლა დააჯერა, მიუქცია მისკენ
 გული,
 „ზააქს ესე რა უქნია“, იმას კურობს ყოელი
 რჯული,
 ძლეულმა და ტყუა-მოლლილმა ეშმაკს
 მისცა მისი სული?
 ზააქ ჰკითხა იმ ეშმაკსა: „იგი ასმია მამის
 მოკლაჲ?“
 მან თქვა: „რად გიჩნს, რა იტყვიან, შეიღმა
 თვისი მამა მოკლა!“
 სხვა ერანში საკლმწიფოდ შენგან მეტი არიან
 ვარგა“.
 ბატონობა მონიღომა საკლმწიფო მით
 დაქარგა,

(H 61, გვ. 104).

(იუსტ. აზულაძის გამოც., 15—17).

მამუკა მისდევს „შანამეში“ მოთხრობილ ზააქის თავგადასავალს, ადგილ-ადგილ მას ამოკლებს, ადგილ-ადგილ კიდევაც ცვლის მას თავისი ღროისა და საკუთარი, ქრისტიანული, მსოფლმხედველობის მოთხოვნილებით. მაგა-

¹ ა. ბარამიძე, შანამეს ახლად აღმოჩენილი ქართული პროზაული ვერსია, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, გვ. 203—207; მისივე, ნარკვევები, II, გვ. 45—51.
² შენიშვნები შანამეს ქართული ვერსიების შესახებ, „საქართველო“, III, გვ. 62—78.

ლითად, იბლისი, რომელიც მზარეულად ეჩვენა ზააქს, ეუბნება მას: „საფ-
რანგეთსა მე ვისწავლე სულ ზნენია“ (სტრ. 24), ანდა აფთიონის გარდა-
ცვალების შემდეგ:—

აღაპი უყუეს აფთიონს კელმწიფურითა წესითა,
ეფისკოპოზი აწვიეს ქრისტიანობის წესითა,
ეამი სწირეს და ილოცეს მათის კრებულის წესითა,
თვალ-მარგალიტა მჩართმენ, სავსეს ოქროსა თეფშითა.

კვლავ მისცა უანგარიშო უდაბნოს მონახონხედა,
ქერიცა და ობოლს უბოძა, ვინც გლახა ვლიდა მთახედა,
სხვაე გაიჩინა აღაპი, ვინც გაივლიდა გხახედა,
ფრანგი იქავე წავიდა შვილთან იმავე მთახედა. (სტრ. 52, 53).

ქართველ მთარგმნელს თუ მელექსეს ისე წარმოუდგენია, თითქოს იმ
დროს, როდესაც აფთიონის ამბები ხდებოდა, ირანელები ნამდვილი ქრისტიან-
ები იყვნენ. ცხადია, ეს სპარსულ ღედანში ვერ იქნებოდა. უკვე ეს თავისე-
ბურება, თუ ის მამუკას ეკუთვნის და არა მის პროზაულ ღედანს, ამტკიცებს
მისი პოეტური შემოქმედების დაბალხარისხოვნებას. ეს უფრო გამოკვივის
მის ულაზათო ლექსებში, რომელთაც მაჯამის პრეტენზიაც კი აქვთ, თუმცა
ვერ ეხერხებათ: სტროფის სტრიქონები ბოლოვდება ერთი და იმავე სიტყვით,
მაგრამ არა სხვადასხვა მნიშვნელობისა, არამედ ერთი და იმავეთი.

„ზააქიანი“ მამუკას გაულექსავს მას შემდეგ, რაც თემურაზ პირველმა
„იოსებზილიხანიანი“ და „ლეილმაჯუნნიანი“ დაწერა, ესე იგი 1629—1633
წლების შემდეგ. ეს ჩანს თვით მისი სიტყვებიდან:

თვით კახთა მეფე თემურაზ ყოველთა უკეთესია...
ზილიხან აქო, ლეილი, მან არ ინდობა ესია. (4).

ცხადია, ეს ასეც იქნებოდა; რადგანაც მისი შრომა შესრულებულია
ოდიშის ტყეობაში, 1634 წლის შემდეგ.

„ზააქიანის“ უკანასკნელი თავი—აქა გათავდა ზააქის ამბავი და ფრი-
დონ გახელმწიფდა“ (სტრ. 104—114), სრულიად მოულოდნელია „ზააქიანი-
სათვის“ როგორც მისი მიზნის გათვალისწინებით (ზააქის ამბების გადმოცემა),
ისე შინაარსობლივად. ეს თავი, როგორც შენიშნა პროფ. დ. კობიძემ, არ
უდგება არც „შაჰნამეს“ ძირითად ტექსტს და არც „ფრიდონიანის“ ქართულ
თარგმანს (ლენინგრ. ხელნაწ. № 50). ის მომდინარეობს შემოგანხილული
„უთრუთიან-საამიანის“ პროზაული რედაქციიდან (H 921, S 1594). ვიმეორებთ,
მამუკა მღივანს არ ჰქონდა არავითარი საბაზი გაელექსა ეს თავი, მისი ნაშ-
რომი სუეტურად თავდება 103-ე სტროფით, სადაც ნათქვამია: „ზააქის ციხე-
ქალაქი ფრიდონსა დარჩა ნებითა“. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს თავი არც
ეკუთვნის მამუკას, ის მის თხზულებას, „ზააქიანს“, შემდეგ მრავალჯერ რედაქ-
ტირებმა. ნამდვილად ის უნდა ამოღებული იყოს მარქიმ ვაჩნაძის შრომიდან.
რამდენადაც ის უსზო და მოულოდნელია „ზააქიანისათვის“, იმდენად ორგა-

ნულად დაკავშირებულია ბარძიმის ე. წ. „სამიანთან“. ე. წ. „სამიანის“ პირველი (116) სტროფი ამ თავის უშუალო გაგრძელებაა.

მართალია, „ზაქიანის“ დღესდღეობით ცნობილ ხელნაწერებში ეს თავი „ზაქიანის“ ბოლო თავიდაა წარმოდგენილი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ხელნაწერები ყველა XVIII—XIX საუკუნეებისა¹, ამიტომ, არ გვაქვს მტკიცე გარანტია იმისა, რომ ამ ხელნაწერებში „ზაქიანი“ იმ სახით გვაქვს შემონახული, როგორც ის ავტორის ხელიდან გამოვიდა. ქართულ ლიტერატურაში ზაქის ამბავი ორი რედაქციით აღმოჩნდა: მამუკა მდიენისა და ბარძიმ ვაჩნაძის. შემდეგი დროის რედაქტორმა ბარძიმის შრომას ჩამოაშორა ზაქის ამბები და მის დღევანდელ „სამიანს“ წინ წაუძღვარა მამუკას „ზაქიანი“, ხოლო შემაერთებელ ხიდად მათ შორის. გახადა ბარძიმის შრომიდანვე ის ამბავი, რომელსაც სათაურად აწერია: „აქა ვათავდა ზაქის ამბავი და ფრიდონ გახელმწიფდა“. ამ რედაქტორული წვალების კვალი დარჩენილა ხელნაწერ S 4528-ში, სადაც ამ თავის უკანასკნელ (114) სტროფსა და მომდევნო „სამიანს“ შუა ვკითხულობთ დამოუკიდებელ ტაქს: „ნარიმან თქუა: აღვილია აღრე წავლა ჩემის ყმითა“. შესაძლოა, ასეთი რედაქტორული მუშაობა, გადაბმა ერთიმეორეზე მამუკას „ზაქიანისა“ და ბარძიმის შრომის მეორე ნაწილისა, მოხდა ლევან დადიანის კარზე, სადაც დაწერილია ეს თხზულებები, ლევანის ინიციატივითა და თვით ავტორების თანდახედობით. მაგრამ ამ საკითხის საბოლოო გარკვევისათვის საჭიროა ახალი მასალები და ახალი კვლევებიც.

ც. ბარზუნამი

ბარზუ არის თურანის გმირი, რომელსაც „შანანეში“ დიდი ყურადღება ექცევა, არსებითად ის, როსტომისა და სპანდიატის შემდეგ, მესამე გმირია „შანანეში“. პირველი შეხვედრისას ის ამარცხებს კიდევაც როსტომს, მხარს მოსტეხს მას. მის დანახვაზე როსტომს „შიშით“ გული უთრთოდა. ბარზუ შეილია როსტომის ვერაგულად დაღუპული ძის ზურაბისა, დედასთან თურანში გაზრდილი. ეს გამოირკვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც უცნობი პაპა როსტომი მას ვერაგობით წააქცევს და ყელში დანას მიიბჯენს. გაიგებს რა ამას, როსტომი სიხარულითა და სიყვარულით მიიღებს მას თავის წრეში.

ბარზუს სპარსულ ლიტერატურაში მიძღვნილი აქვს უზარმაზარი, „შანანამეს“ ყაიდაზე შედგენილი, მაგრამ იმაზე უფრო დიდი მოცულობის წიგნი, რომელსაც „ბარზუნამე“ ეწოდება (შედგება 68000 წყვილი ტაქისაგან). ის დაწერილია XI საუკუნეში, როგორც ფიქრობენ, ვინმე ათაის მიერ². ქარ-

¹ მხოლოდ ერთი მათგანის, S 4528-ს, შესახებ ვ. თაყაი შეიღი, ფილიგრიანის მიხედვით, ფიქრობს, რომ ის XVII საუკუნისაა, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ასეთი ფილიგრიანები XVIII საუკუნეშიც გვხვდებოდა („Описание“. II, გვ. 487—488). ასე რომ გამოირიცხებოდა, რომ ისიც XVIII საუკუნისაა.

² „ზაქიანის“ შესახებ ახ. ჯ. კობიძე, სპარსული ლიტერატურა, II, გვ. 125—131.

³ იქვე, გვ. 72—80.

თულ „როსტომიანს“, რომელსაც, ხოსრო თურმანიძის ცნობით, „სხეც ბეგ-რი აკლდა“, ჰკლებია კერძოდ ბარზუს ამბავი. ამიტომ ამ ხარვეზის შევსება უკისრია იმავე ხოსროს, მას უთარგმნია ბარზუს ამბავი და 377 სტროფად შეუტანია „როსტომიანის“ იმ ნაწილში, რომელიც სერაპიონმა ვალექსა (II, 3800—4177). ამიტომაცაა, რომ ხოსრო თურმანიძე გვეუბნება: „სპანდიერ—ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების“. ბარზუს ამბავი რომ ხოსრო თურმანიძის ეკუთვნის „როსტომიანში“, ეს, თუ გნებავთ, მისი ლექსიდანაც გამოიკნობა: ეს ამბავი იმავე უხეში, ულაზათო და გაუმართავი რუსთველური შაირითაა დაწერილი, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ ხოსროს პოეტური სტილისა და შემოქმედებისა¹. მხოლოდ ხოსროს თარგმანი უშუალოდ „ბარზუნამედან“ კი არ მომდინარეობს, არამედ ბარზუს იმ ამბებიდან, რომელთაც ადგილი აქვთ თვით სპარსული „შაჰნამეს“ ზოგიერთ ნუსხაში. „როსტომიანის“ ტექსტი, რომელიც სერაპიონს ჰქონდა ხელთ, ალბათ „შაჰნამეს“ ისეთი ვერსიიდან მომდინარეობდა, რომელშიც ბარზუს ეპიზოდი არ იყო.

დ. საამნამე

ერთ-ერთი ნაწარმოები სპარსული ლიტერატურისა, „შაჰნამეს“ მიბაძვით შეთხზული, არის ე. წ. „საამნამე“. ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში უკანასკნელ დრომდე განმტკიცებული იყო შეხედულება, რომ „საამნამე“, არის სწორედ ის თხზულება, რომელიც ბარძიმ ვაჩნაძის მიერაა ვალექსილი. მაგრამ პროფ. დ. კობიძემ გამოარკვია, რომ ბარძიმ ვაჩნაძის შრომას არაფერი საერთო არ აქვს სპარსულ „საამნამესთან“ „საამ“ სახელის გარდა. სამაგიეროდ სპარსული „საამნამე“ აღმოჩნდა ერთ ქართულ ხელნაწერში, რომელსაც ყურადღება პირველად პროფ. ა. ბარამიძემ მიუქცია, თუმცა, სათანადო მასალების უქონლობის გამო, ის ამ ხელნაწერში „საამნამეს“ ვერ ამჩნევდა. ეს ხელნაწერია საქართვე. მუზ. H 900, რომელშიაც პირველ 14 ფურცელზე არეულად არის გადმოცემული ჯიმშედის, ზოპაქისა და ფრიდონის ამბები, ხოლო მე-15 ფურცლიდან 82-ე ფურცლამდე მოთავსებულია სპარსულ „საამნამეში“ გადმოცემული ამბები. „საამნამეს“ ავტორს მიზნად დაუსახავს საამის რომანული თავგადასავლის გადმოცემა. მას სურს აგვიწეროს მისი გამიჯნულება ჩინეთის მეფის ქალთან ფერიდუხტთან. საამი აქ იმდენად გვირი და ფალავანი არაა, რამდენადაც ველად გაქრილი მიჯნური, მხეტთა საზოგადოებაში მყოფი, რომელიც იმავე დროს არ იფიქრებს არც სამისიონერო მიზნებს.

ქართულ ვერსიაში თანამიმდევრობით არის გადმოცემული სპარსულ დედანში მოთხრობილი ამბავი, მაგრამ ალაგ-ალაგ შეინიშნება შემოკლებული და განსხვავებული ეპიზოდებიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი მომდინარეობს რამდენიმე განსხვავებული ვერსიიდან.

ქართული ვერსია გადმოთარგმნილია მეთვრამეტე საუკუნეში, ერთი ცნობით (H. 900) „ათათრული“, ესე იგი თურქული ენიდან, მეორე ცნობით

¹ იხ. ა. ბარამიძე, შენიშვნები შაჰნამეს ქართული ვერსიების შესახებ, „საქართველოს არქივი“, III, გვ. 80—83; მისივე, ნარკვევები, II, გვ. 83—84.

(H 605—606) სპარსულიდან. დ. კობიძემ სხვადასხვა მონაცემითა და მოსაზრებით დაამტკიცა, რომ ცნობა თურქულიდან მომდინარეობის შესახებ სანდო არაა, თხზულება უდავოდ სპარსულიდან მომდინარეობს¹.

ე. ბაამიანი

ეგრეთ წოდებული „ბაამიანი“ გადმოგვცემს სპანლიატის შეილის ბაამანის ან არღაშირის საღვთგმირო თავგადასავალს. ბაამიანის აზებები „შანაშეში“ შედარებით მოკლედაა გადმოცემული². ეს აზბები გაუგრცია და შეუესია სხვა მრავალგვარი ზღაპრული ეპიზოდით, უმთავრესად როსტომის ოჯახის წევრთა საარაგო გადმოცემათაგან ამოღებულით, ზილაც ანონიმს 1120 წლის მახლობლად და დაუწერია ვრცელი პოემა, რომელიც ოთხ მანწილად იყოფა³. ქართულ ენაზე შენახულია „ბაამიანის“ პროზაული თარგმანი, რომელიც დაცულია ხელნაწერში A 999⁴. საფუძვლად ქართულ თარგმანს დადებია სპარსული ლექსითი ვერსია, რომელიც დამუშავებული უნდა იყოს არაუადრეს XV საუკუნისა⁵. სამწუხაროდ, ამ, დღესდღეობით ერთადერთ. უნიკუმ ხელნაწერში⁶, ეს პოემა შენახულა უთავბოლოდ, შუაშიაც, ალაგ-ალაგ, მრავალი ცარიელი ადგილია დატოვებული, ვინაიდან დედანი გადამწერს დაზიანებული მკონია. ამ პროზაული თარგმანის ენა ისეთივეა, როგორც პროზაული „ფრილონიანისა“ და „საამიანისა“ (H 921), მაშასადამე, ეს ძეგლიც ნათარგმნი უნდა იყოს არაუგვიანეს მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. ამას გვაფიქრებინებს, სხვათა შორის, ისეთი სიტყვები, როგორიცაა ფარსანგი (გვ. 78=637), პოლიტიკე კინენი (ხელნაწ.ში—პოლოტიკე რკინანი, გვ. 14=517) და ისეთი ფორმა, როგორიცაა აცავსილიყო (გვ. 115=05). აქ ხშირად განმეორებულია იგივე სიტყვები და წინადადებანი, რომელთაც ჩვენ ვხვდებით „უთრუთიან-საამიანში“, მაგალითად:

¹ დ. კობიძე, საამ-ნამეს ქართული პროზული ვერსია, გახ. „ლიტერატურული საქართველო“ 1939 წ., 20 ივნისი, № 19; მისივე, სპარსული ლიტერატურა, II, გვ. 46—150.

² J. Mohl, Le livre des rois, V, 1—13.

³ იქვე, I, გვ. LXIX—LXX; H. Ethé, Neupersische Literatur, „Grundriss“, II, 234

⁴ ეს ხელნაწერი ნაწილია ხელნაწერებისა: A 858, A 860; იხ. М. Джанашивили, Описание, III, გვ. 84—80, 253—255; Е. Тахияшвили, Описание, II, გვ. 544—554.

⁵ დ. კობიძე, სპარსული ლიტერატურა, II, გვ. 150—166.

⁶ პროფ. ჰ. შუპართს 1896 წელს წერილით უცნობებია ა. ხახანაშვილისათვის, რომ მან ერთ მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერში იპოვა „ბაამიანი“, მაგრამ აღნიშნული არაა, სად ინახება დღეს ეს ხელნაწერი (А. Хаканов, Очерки, III, გვ. 422). მ. თაშარაშვილი გადმოგვცემს („ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 682), რომ „კათოლიკობის ძველი მონასტრის არქივში Torre del Greco-ში პატრი ბერნარდეს წიგნთა შორის, რომელნიც მას გადმოუწერია საქართველოში ყოფნისას 1670—1679 წლებში, მოიპოვება ზღაპარი „ბაამა“, ერანის დიდი მეფის თავგადასავალი. წიგნი in folio, შეიცავს 113 გვერდს და გადმოწერილია ერთი ძველი წიგნიდან, რომელიც მისთვის უთხოვებია შანაშავსის შვილს გიორგის ჩანს, აქ იგულისხმება „ბაამიანის“ ის ნუსხა, რომლის შესახებ შუპართი დააპარაკობს; იხ. ჰ. შუპართი, წიგნი რედაქციის მიმართ, „იფრია“, 1896 წ., № 90.

რა გათენდა, ლავეარდისფერსა ცასა სინათ-
ლე მიეცა; საწუთროსა მაშფენებელმან სხემან
თავი ამოყო და გუმბათსა ზედა აბაღლდა.

რა დილასა საწუთროსა განმანათლებელმან
შემან შექნი მოფინა და ქვეყანა გაანათლნა..
დილასა რა საწუთროსა განმანათლებელმან
შემან შავი პერანგი დაქივა და თავი გუმბათ-
თისაგან ამოყო.

(„ფრიდონიან-საამიანი“, კარი 6).

(„ბაამიანი“, A 999, გვ. 3=491, 225=26).

ვინაა „ბაამიანის“ მთარგმნელი, არ ვიცით. იყო თუ არა ის ოდესმე
გალექსილი, ვერ ვიტყვით გადაჭრით, ვინაიდან ჯერჯერობით ამისი კვალი
არა ჩანს არსად.

F. სირინოზიანი

„შაჰნამესადმი“ მიმბაძველობას თავი უჩენია აგრეთვე ერთ საგმრო-
სარაინდო მოთხრობაში, რომელსაც „სირინოზიანი“ ეწოდება. აქაც მიმბაძ-
ველს გამოუყვანია რამდენიმე ისეთი პირი, რომელთაც „შაჰნამეში“ ვპოუ-
ლობთ. ასეთებია: არღაფი, რომელიც უღრის „შაჰნამეს“ არჯასპს, სპან-
დიერი, „შაჰნამეს“ ისფანდიერი, ხოსრო, ბარამი, ნარიმანი, გორ-
ჯასპი და ზოჰალ, „შაჰნამეს“ ზოჰაქი. ამათთვის დაუმატებია მრავალი
სხვა სახელი და შეუქმნია ვებერთელა მოთხრობა, რომელშიაც, მართალია,
ზოგიერთი ეპიზოდი შაჰნამისებურია, მაგრამ საერთოდ საკუთარი შინაარსია
ჩადებული, „შაჰნამეს“ ყაიდაზე აგებული.

თხზულება შედგება ორი კარისაგან¹: „კარი პირველი, მაშრიყის ტელმ-
წიფის არდაფის და ძისა მისისა სირინოზისა ანბავი, შესაქცევლად სასმენი“;
„კარი მეორე, ანბავი მაშრიყთა ტელმწიფისა სირინოზისა და ძისა მისისა
მარხისა“.

შინაარსი პირველი კარისა, რომელიც 30 თავისაგან შედგება, მოკლედ
ასეთია: მაშრიყის მეფე არდაფი ქეიფობს შირაზის მეფე ხარლუმთან. ქეიფის
ღროს უხილავმა ხელმა ის გადაიტანა ინლოეთში, სდაც ის ირთავს მეფის
შაფურის ქალს ნანუჯანს და მეფე ისევ უხილავად ბრუნდება თავის სამეფოში.
ერთხელ, ნადიმის ღროს, არდაფს შეატყობინეს, რომ სპარსეთის მეფემ მუ-
ზამფარმა ალყა შემოარტყა ქალაქ უმიანს და მისი დეცვა ძალიან უჭირთ.
არდაფი გაემგზავრა, მუზამფარი მოკლა და ქალაქი გაათავისუფლა. მამის
სისხლის საძებრად მოღის სპანდიერი, სპარსთა მეფე, რომელსაც დახმარე-
ბას ჰპირდება ბიძამისი ერგინ ჯადო. მართლაც, სპანდიერის შამაკობისა და
ერგინის ჯადოსნობის მეოხებით, არდაფის ჯარები დამარცხდნენ. არდაფი
და მისი ვეზირი ჩაფური ძალღებად იქცნენ, ხოლო არდაფის ცოლი ნანუ-
ჯანი, რომელიც ამ ღროს ორსულად იყო, გაიტაცა შირაზის მეფემ ხარლუმმა

¹ ესარკებლობთ ხელნაწერით S 1503; აღ. ხანანაშვილს ერთ ადგილას ჩადმო-
უტია პირველი კარის დასაწყისი, ხოლო მეორე ადგილას იმავე კარის ცალკეული თავების
სათაური („Очерк“, III, გვ. 56—60, 124, прим.) და ჰგანებდა, რომ ამით ამოიწურება შედ-
გენილობა და შინაარსი მთელი „სირინოზიანისა“. გარდა S 1503-ისა, ცნობილია კიდევ შემ-
დეტი ხელნაწერები: H 179, H 281, Q 357 და ცენტრაქციის, ფონ. 233 (B), № 156, 286, 287.

და ცოლად შერთვა მოინდომა. ცოტა ხნის შემდეგ ნანუჯანს ეყოლა ვაჟი რომელიც ხარდუმმა ყუთში ჩაასმევინა და ზღვაში გადააგდო, ხოლო დედა-მისი, რომელიც მის ცოლობას არ თანხმდებოდა, გალაში ჩაამწყვდია. ყუთი ბავშვით ზღვამ გამოაგდო რიყეზე, ის იპოვა არუთა ჯადომ, რომელსაც ბავშვი შეტად მოეწონა და მოინდომა მისი აღზრდა. სახელად უწოდა მას სირინოზი იმიტომ, რომ ზღვისაგან არისო. არუთამ აჩვენა სირინოზს სამი განჯინა და უთხრა: ორიდან ყველაფერს ისწავლე, მესამე კი არ გახსნაო. მაგრამ სირინოზმა ვერ მოიგონა, ჩუმად გახსნა მესამე განჯინაც და დაინახა მთელი ქვეყანა, სხვათა შორის, თავისი მამა, ძალად ქცეული, და დედა, გალაში დამწყვდეული. ამის შემდეგ მან გახსნა მეორე განჯინა, რომელშიაც მან იპოვა მრავალი სხვადასხვაგვარი თილისმა. ძილის დროს სირინოზმა მოკლა არუთა, რის შემდეგ ის ანახდელულად ზღვის პირას გაჩნდა შიშველი. ქაჯთა უფროსს სარდანს მან თილისმით მოატანინა მეფის ტანისამოსი, ჩაიცვა ის და თილისმისავე საშუალებით გაჩნდა უცბად ინდოეთში, სადაც ერთ მოხუც კაცს, ბაბულს, გამოჰკითხა იქაურობის ამბავი და გაიგო, რომ აქაურ მეფეს ჰყავს მზეთუნახავი ქალი მუშთარიჯანი, რომელსაც სიტყვა დაუდვია მისთხოვდეს მხოლოდ და მხოლოდ უძლეველ ფალავანს. სირინოზს შეუყვარდა ეს ქალი, გააჩალა მასთან ურთიერთობა ვეზირის ქალის სუსამბარის საშუალებით, მალე თავისი სწორუპოვარი ფალავნობაც აჩვენა ყველას, როდესაც სძლია ბნელეთის ან ჩრდილოეთის მეფის შვილს და ბარამ ინდოს. მერე სირინოზი გაემართა მშობლების დასახსნელად, მივიდა იქ, სადაც ცხოვრობდა ერგინ ჯადო. უკანასკნელმა მოინდომა მისი მოჯაღოება, მაგრამ ამაოდ, სირინოზმა თავისი თილისმებით ყველა გაფანტა და მამა არდაფი ძალობისაგან ისევ კაცად აქცია, რის შემდეგ ისინი გამოემართნენ დედის, ნანუჯანის, გასათავისუფლებლად და გაათავისუფლეს კიდევაც. სპარსეთის მეფე სპანდიერი ილაშქრებს არდაფისა და სირინოზის წინააღმდეგ, ჯერ მისი საქმე კარგად მიდის, მაგრამ მერე სირინოზმა სასტიკად დაამარცხა ის. ამის შემდეგ ის მიდის სპარსეთზე პირდაპირ, სადაც მას სიხარულით ხვდებიან, განსაკუთრებით დედოფალი, რომელმაც გადასცა სირინოზს: ჩემი შვილი ზოპალი მოიტაცეს, წაიყვანეს ჰინგიყალას და იქ მსხვერპლად უნდა შესწირონ კერპსაო. ის სთხოვეს მას დახმარებას და შვილის დახსნას. სირინოზი მიდის ჰინგიყალას, გაათავისუფლებს ზოპალს და სპარსეთის მეფედ დასვამს, სპანდიერის მაგიერ, ხოლო ჰინგიყალას გამგედ—ენიმე გორჯასპს.

ამით ეს კარი არ თავდება, როგორც ალ. ზახანაშვილს ჰგონია, მას კიდევ მისდევს შემდეგი ამბავი:

— აქა ჩრდილოს მეფის გურანის მოსლვა ინდოთა ხელმწიფეხედ ძისა თვისისა სისხლის საჭებნელად და ოში ფიცხელი.

— აქა ჩინეთის ხელმწიფის შვილის იქდასტისაგან ნადირობაში სურათის ნახვა მუშთარიჯანისა და მისგან გამიჯნურება. ჯარით მოსლვა ინდოეთს და მისგან ჩრდილოთა ხელმწიფის ბრძოლა მუშთარიჯანის ენხუნედ.

— წიგნი იქდასტისა ჩრდილოთა მეფესთან, ინდოთა ხელმწიფესთან და მუშთარიჯანთან.

— აქა ყარუნ-ჯადოსაგან ინდოეთში ხელოვნებით მოსლვა და შინარის სუსანბარ ვეზირის ქალის მოპარვა და შემდგომად სირინოზისაგან გამოხსნა.

— აქა ჯარადის ფალანგის მოსლვა სახარელის მისაპანინ ზარისა.

— აქა სირინოზისაგან ინდოთა ხელმწიფის ქალის მუშთარიჯანის შეპყრობა, მათი სამართალი, მერმე თავისათვის გამოცხადება, მუშთარიჯანთან ქორწილი და იექდასტის განთავისუფლება და სუსანბარხედ ქორწინება.

ამით თავდება მოთხრობის პირველი კარი. მეორე კარის შინაარსი, სათაურების მიხედვით, ასეთია:

— აქა იექდასტის, ჩინეთის ხელმწიფის, წიგნის მოტანა.

— აქა დახადება სირინოზის ძის მარიხისა.

— აქა ზანგისტანის სულტნის აღმის ბრძოლა მარიხთან.

— აქა მარიხისაგან ჩინეთს მისლვა და ძლიერის ომების გარდახდა.

— აქა ბრძოლა პირველი მარიხისა და მაშრიყელთა.

— აქა სირინოზისაგან წასლვა ყულაბი-ჯადოხედ.

— აქა სირინოზისაგან ჩინეთისაკენ გამართვა.

— აქა მარიხისაგან სინდეთში მისლვა.

— წიგნი მარიხისა ქაფურშაა სპარსის.

— წიგნი მარიხისა გულჯანბანოსს.

— აქა ბრძოლა გულჯანბანოსსა და მარიხის ჯარისა.

— წიგნი დერიფშაპისა გულჯანბანოსს.

— აქა მარიხისაგან მაშრიყისაკენ წასლვა თვისის საყვარლით გულჯანბანოსით.

— წასლვა მარიხისაგან მამის საძებრად.

— აქა მარიხისაგან იარალთა პოვნა და მამის გამოხსნა მეთილისმესაგან.

— აქა წასლვა მაშრიყისაკენ და სხეცა ანბავი შემთხვევით.

— აქა პირველი ბრძოლა ბნელეთელთა და მაშრიყელთა იექდასტისა და დერიყჰანგისა

— ბრძოლა დერიყჰანგისა და მარიხისა და მარიხისაგან მისი სიყვდილი.

— აქა ძლიერისა ფალანგის არდანგარდანის მოსლვა ძალთაგანი სით არამშაჰს შემწედა.

— აქა ძლიერისა მის დაღდუფუალდუნის მოსლვა.

— აქა სირინოზისა და მუშთარის ჩინეთს მისლვა და მათი გარდაცვალება ამიერსოფლით.

ასეთია ზოგადი შინაარსი ამ საღვევმეორო-სარაინდო ნაწარმოებისა, რომელშიაც გამოყენებულია უძველესი ფალაური ლეგენდა არჯასპის შესახებ. ეს ლეგენდა პოეტ დაყიყის შრომიდან გადასლვა ფირლოუსის „შაჰნამეშიც“¹. წარმოდგენილია ამ ლეგენდაში არჯასპისა და ისფანდიერის სახით ბრძოლა მაშრიყისა და სპარსეთისა.

თხზულება სხვა ენაზე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ცნობილი არაა. ამიტომ ისმის საკითხი: ორიგინალურია ის თუ ნათარგმნი? ვინმე ივერი შვილი, რომელიც პირველი შეეხრა „სირინოზისან“, მას თვლის სპარსულიდან გადმოთარგმნილ თხზულებად². ივერიშვილს მთლიანად ეყრდნობა ამ საკითხში ა. ხახანაშვილიც. თავისი შეხედულების დასადასტურებლად ისინი უჩვენებდნენ თხზულების სპარსიზმებს: სპარსულ გეოგრაფიულ და პირთა სახელებს, რომელნიც ხშირად „შან, შაჰ“-ით არიან დაბოლოებულნი. სპარსულ სიტყვებს და ა. შ. ეს საბუთები საკმარისი არაა. 1) თხზულებაში

¹ J. Mohl, Le Livre des rois, IV, 287—380.

² „Сириниовани“, Историко-литературный этюд, газ. „Кавказ“, 1898 г., №№ 219, 221, 223, 224.

ყურადღებას იპყრობს არა მარტო სპარსიზმები, არამედ თურქიზმებიც, ბერძნისმებიც (საკუთარ სახელთა დაბოლოება ოჴ-ით, თვით სახელი ს ი რ ი ნ ო - ზი დაკავშირებულია სიტყვასთან „სიერინოს“ და ითარგმნება თხზულებაში როგორც „ზღვის შობილი“), რუსიციზმებიც (სტოლი, მინუტი, უკიანე, არშია და სხვ.) და წმინდა წყლის „ქართულიზმებიც“ (მაგალ., „კახურის დაღევა“). 2) თხზულებაში გატარებულია ანტისპარსული ტენდენცია: სპარსეთი აქ წარმოდგენილია როგორც წყარო ყოველგვარი ბოროტების, დაჩაგრისა და შევიწროებისა.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემობას. თხზულებაში ჩვენ გვაქვს არა მარტო „ქართულიზმები“, არამედ ქართველების არაერთგზისი ხსენება და, რაც უფრო საინტერესოა, სხვებთან შედარებით საპატრიო სიტუაციაში (151). ეს გარემოება შესაძლებელს ხდის დაისვას საკითხი: ხომ არ არის თხზულება ორიგინალური ქართული ნაწარმოები? გამორიცხული არ არის ეს. „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში გზა გაეხსნა არა მარტო უცხო, სპარსულ საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებს, არამედ მოქმედების გადატანასაც უცხო ქვეყნებში. ის ბარსარიზმები, რომლებსაც ადგილი აქვს თხზულებაში (სპარსიზმები, თურქიზმები, ბერძნისმები) მოულოდნელი არ აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ ამ თხზულების ქართულ მწერლობაში შემოსვლის დროს.

თუ ლექსიკას მივაქცევთ ყურადღებას, უნდა ვთქვათ, რომ თხზულება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე არ უნდა იყოს შემოსული. უფრო აღნიშნული დროიდანაა მოსალოდნელი აგრეთვე თხზულების ზოგიერთი სინტაქსური მოვლენა. ქართულ ენაზე არსებულ ნათარგმნ საღვეგმირო და სამიჯნურო თხზულებათა კრებულში, რომელიც დაუმზადებია ნიკოლოზ ჩაჩიაშვილს 1774—1779 წლებში (A 858, 860, 999), „სირინოზიანი“ არ არის. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, ამ დროს ის ქართულ ენაზე ჯერ კიდევ არ ყოფილა, თორემ ჩაჩიაშვილი, რომელსაც გარკვეული მიზანი ჰქონია, ამა-საც შეიტანდა თავის კრებულში. მეორე მხრით, პეტრე ლარაძე, ავტორი „დილარიანისა“, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედშია დაწერილი, უკვე იცნობს „სირინოზიანს“. აქედან ამოუღია მას ზოგიერთი ეპიზოდი და, შეიძლება, საკუთარ სახელთა ბერძნული ოს-ით დაბოლოებაც (ლაროს, ეგროს და სხვ.). მაშასადამე, მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში თხზულება უკვე არსებობდა ქართულად, აქედან—თხზულება შეთხზული თუ არა, გადმოკეთებული უნდა იყოს დაახლოებით მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეხუთედში. ამით აიხსნება, რომ ამ თხზულების ყველა არსებული ნუსხა მეცხრამეტე საუკუნეს განეკუთვნება. ამითვე აიხსნება ისიც, რომ თხზულების მეორე კარში გამოყენებულია რუსთველური 16-მარცვლიანი ლექსი, რომელიც ცალ-ცალკე სტროფადაა ჩართული მოთხრობაში. სანიმუშოდ მოყვანთ ერთ სტროფს:

ბარხუ მქადო, მოედანსა შენა ხმაღმა ვერ მაკედინა,
ჩემის მუშტით დაიკოდე, სისხლი ჩაგდის მრავლად წინა,

ზანგის ომსა ვერ გაუძელ, ლაშქარშიგან შეგარცხენა,
მაღე მტერი მოგაკვდინა, წყენას ვრიდებ მე მას ვინა. (გვ. 157).

„ვეფხისტყაოსანს“ სხვა მხრივაც უნდა მოეხდინა თხზულებაზე გავლენა: ზოგიერთი ეპიზოდი ამ თხზულებისა გაკეთებული უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდების მიხედვით. ამ მოვლენას ჩვენ ვამჩნევთ მეთვრამეტე საუკუნის სხვა შრომებშიაც (მეფის მდივანი ონანა).

გ. ყარაშანიანი

ფირდოუსის ერთ-ერთ გამოჩენილ მიმბაძველს, აბუ-ტაჰირ-მუჰამედ-ბენ-ტარსუსს დაუწერია საღვევშირო თხზულება, რომელსაც ქართულად „ყარაშანიანი“ ეწოდება. ამ ნაწარმოებში მოთხრობილია ერანელთა მეფის ჰუშანგის თავგადასავალი, ფანტასტიკურ ჩარჩოებში ჩასმული. ყარაშანი, შვილი მეფის თეიმურაზისა, იყო სწორუპოვარი ფალავანი ამ ჰუშანგისა. ამ თხზულების მიხედვით ის ჰკლავს ისფანდიერს, „შაჰნამეით“ კი მას როსტომი ჰკლავს¹ ეს ვიეებერთელა თხზულება დაწერილია სპარსულ ენაზე, არ ვიცით როდის, და თარგმნილია თურქულადაც. მოქმედება წარმოებს სეისტანს, ერანს, თურანს, ინდოეთს და სხვა ადგილსა და ქვეყანაში. მოქმედ პირებს შეტაკება უხდებათ ფანტასტიკურ არსებებთან და მოვლენებთან. ფერიები, ჯინები, დევიები, საშინელი მხეცები და ფრინველები, გადაუვალი მთები და მდინარეები—აი, ის დაბრკოლებანი, რომლებიც წინ ეღობება ყარაშანს, ბარამს, გარდანქეშანს, ხოსროვს, გვარჯაასს, გულისტამს, ჰუშანგის, სპანდიერსა და სხვა პირთ. თილისმა, გრძნება, ჯადოქრობა—აი, ის საშუალებანი, რომელთა დახმარებით მოქმედება ვითარდება და წარმოებს. იუდაისტური ელემენტები: ღმერთი საბაოთი, ენოქი, წინასწარმეტყველები, ადამის საფლავი, აბრაამის ლოცვა, ეს აუცილებელი ატრიბუტი აღმოსავლურ-მაჰმადიანური ეპოსისა, აქაც უხვადაა წარმოდგენილი.

„ყარაშანიანი“ ქართულად უთარგმნია ერეკლე მეორის დროს დავით ორბელიანს², რომელსაც ერთ-ერთ ხელნაწერში (S 1641) ეწოდება „სარდალის ძე ქეშიქიბაში“, ხოლო დაბეჭდილ გამოცემაში—სალთხუცესი და სარდალი³.

დავით ორბელიანი (1716—1796) იყო ერეკლე მეორის სიძე, მას ცოლად ჰყავდა ერეკლეს ქალი თამარი. ორბელიანთა სავგარეულოში ლიტერატურული ტრადიციები მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული, XVIII საუკუნეში მას არა ერთი ცნობილი მოღვაწე მოუცია მწერლობის ასპარეზზე. ამ ლიტერატურულ ატმოსფეროში აღზრდილი იყო დავითი, რომელსაც ლექსების წერა-

¹ H. Ethé, Neupersische Literatur, „Grundriss“, II, S. 318; J. Mohl, Le livre de rois, I, p. LXXXVIII—LXXXIX.

² ხელნაწ. S. 4—ავეთანდოლ ორბელიანს, რაც გადამწერის შეცდომაა.

³ გამოცემულია ორჯერ: 1875—1883 წლებში დ. ლახარევისა და ნ. კობალაძის მიერ, 1888 წლიდან—დ. ლახარევისა და ვ. ედიგაროვის მიერ. ზოგიერთი კარი 1902 წლიდან მესამედაც იბეჭდებოდა.

შიაც უვარჯიშნია¹. ქართულის გარდა, მან კარგად იცოდა სომხური და სპარსული ენები. რამდენჯერმე დიპლომატიური მისიით სპარსეთშიც იყო, საიდანაც მოიტანა „ყარამანიანის“ ხელნაწერი და გადმოთარგმნა კიდევაც². თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ „ყარამანიანი“ მოთავსებულია უკვე ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის კრებულში, რომელიც გადაწერილია 1774—1779 წლებში³, უნდა ვიფიქროთ, თხზულება გადმოთარგმნილია 1762—1774 წლებში. გადმოთარგმნილია ის, ზოგიერთი ნუსხით⁴, სპარსულიდან, ზოგიერთ ნუსხაში კი⁵ ნათქვამია: „თურქთა ენისაგან ქართულსა ენისა ზედა თარგმნილიო“. უფრო სწორი უნდა იყოს პირველი ცნობა.

„ყარამანიანი“, რომელშიაც ალაგ-ალაგ ჩართულია 16-მარცვლიანი რუსთველური სტროფი, გაყოფილია თექვსმეტ კარად და ნათარგმნია მდაბიო და მარტივი, სასმენად საამო ენით. ამით აიხსნება, რომ მას მკითხველების მეტად ფართო წრე ჰყავდა, ერთხელ პიესადაც კი იყო გადმოკეთებული და სცენაზე დადგმული. თარგმანში გვხვდება რუსიციზმები: კროკოდილი, ტეტრადი, პარუსი, ბესედკა, ურა და სხე, რაც გადმოთარგმნის ეპოქის მაჩვენებელი და დამახასიათებელია.

3. ამირანდარეჯანიანი

(ბალექსილი)

მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, რომლის შესახებ პირველ ნაწილში გვქონდა ლაპარაკი, ალორძინების ხანაში გაულექსიანთ 16-მარცვლიანი რუსთველური შაირით. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის ჩვენ არჩილ მეფე „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“ აღწერისთვის:

სულხან ვინ თანიაშვილი, მეც მახსოვს, იყო ჩემობას,
 ცოდნა მას ჰქონდა ბევრი რამ, მაგრამ სწომობდენ ჩემობას,
 ამირან-დარეჯანისძეს უქებდა გამოჩვენობას,
 კარგად თქვა, მაგრამ ჯერ გვიხამს რუსთულის თქმულთა ნაჩვენობას⁶.

ეს გალექსილი „ამირანდარეჯანიანი“ ჩვენამდეც შენახულა ერთადერთი ხელნაწერით (S 357), რომელსაც, სამწუხაროდ, თავშიაც აკლია რამდენიმე ფურცელი და ბოლოშიაც. გალექსილი რედაქცია დაყოფილია 12 კარად, ისე და იმ მოცულობით, როგორც პროზაული რედაქცია მოსე ხონელისა. მელექსე

¹ „Описание“, II, გვ. 178: „პირხედ გაქეს ხალი და შავი თვალი“, რომელიც დ. ჩუბინაშვილს ბესიკისათვის მიუძღვნებია („ქრესტომათია“, II, გვ. 106—107).

² А. Х а х а н о в, Очерки, III, გვ. 183—184.

³ А 858, А 860, А 899.

⁴ Н 78, Н 280, II 1041, II 2118.

⁵ S 174, H 57, H 881, H 1376, II 2384.

⁶ „არჩილიანი“, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., ტ. II, სტროფი 31.

კვალდაკვალ მისდევს პროზაულ რედაქციას, ალაგ-ალაგ ავრცობს კიდევაც მას მრავალსიტყვაობით, მაგრამ არც ერთ მნიშვნელოვან ფაქტს ან აზრს არ უშვებს, არც რაიმე ზედმეტ ფაქტობრივ მასალას იძლევა.

ამ ნაწარმოების გამლექსავი ყოფილა, როგორც არჩილი ამბობს, ვინმე სულხან თანიასვილი, არჩილის თანამედროვე („იყო ჩემობასო“), მცოდნე კაცი და კარგი მელექსე. სულხანს თავისი შრომა შეუსრულებია 1681 წლამდე, როდესაც არჩილი ზემომოყვანილ სიტყვებსა წერდა, მაშასადამე, დაახლოებით მეჩვიდმეტე საუკუნის მესამე მეოთხედში. არჩილს, როგორც ახლა ირკვევა, ნამდვილი და მთლიანი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები არ ჰქონია ამ რედაქციის შესახებ, მას მთელი ლექსითი „ამირანდარეჯანიანი“ მიაჩნია სულხანის ნაწარმოებად, ნამდვილად კი ეს ასე არაა. სულხანს გაულექსავს არა მთელი „ამირანდარეჯანიანი“, არამედ მარტოოდენ სამი კარი ან თავი მისი. თავისი შრომისათვის მას წინ წაუშლევარებია პროლოგი, რომელიდანაც გადარჩენილა 43 სტროფი (თავში ხელნაწერს აკლია რ ფურცელი ან 48 სტროფი წინასიტყვაობისა, თუ ამ ფურცლებზე მარტოოდენ „ამირანდარეჯანიანის“ შესავალი იყო). აქ სულხანი ამბობს: „ლექსს უფრო ყურსა უპყრობენ, ამბის წიგნები ძეს ავად“. აი, ამ მოსაზრებით, რომელშიაც, ალბათ, გამოხატულია მთელი ეპოქის შეხედულება, სულხანს ხელი მიუყვია თავისი შრომისათვის: ვიდრე ის დაიწყებდეს მას, სულხანი გვითვალისწინებს „ამირანდარეჯანიანის“ წარსულს:

ამირან დარეჯანისძე და სეფედავლა ძმობილნი,
მზეგაბუჯ, მათი შემსწორე, კაბუჯად მათთან ხმობილნი,
მოსეს ეწერა ამბითა, კლდეთ ცვილებრ დამადნობელნი.

ამბითა იყო ნათქვამი, აწ შევეცადე ლექსითა,
მწადდა, მაგრამ მამხედების, ვიცი, სარჯული კენესითა.

პირველ ამბად დანაწერსა აწ ლექსად ვიქმ შეწყობილსა,
მკითხველთათვის საამოვნოს, მსმენელთათვის სიტყვა-ტკბილსა.

აწ ამბავსა ლექსად ვიწყებ, ავად ვთქვამ თუ ანუ კარგა,
კარგი კაცი კარგსა იტყვის, ავმა ავი არ დაჰკარგა.

აქვე, პროლოგში, სულხანი გადაგვიშლის მიჯნურობის თეორიას, რომელსაც ახლო კავშირი აქვს „ეფთხისტყაოსნის“ პროლოგში წარმოდგენილ თეორიასთან, და აგრეთვე შეხედულებას მელექსეობასა და ლექსზე:

გაეს ლექსთა წიგნი წალკოტთა, ვინც იცის ან ვინ ისერებს,
მკითხველნი—მისი მებაღე, მის ხილსა გულსა ისერებს,
მრავალფერისა ყვეილით უბეს აივსებს, ისე რებს,
გამოვა, ყველას აყნოსებს, ბალსა გარემო ისერებს.

ბალს აწენებს მებაღე და ლექსსა მკითხველ-მცნობელნი,
თუ არეინ საკმობს, გაოხრდეს მწუნებელი და მწყობელნი,
კაცი, მცოდნელი სიბრძნისა, იყოს ამოსა მხმობელნი,
მის მეტი ვერეინ გამოაჩნდეს ამა ამბისა მკობელნი.

აჰა, შეველ ვარდის ბაღსა, მოვიწადე სურნელთ კრეფა,
 ვნახე გაჭრა ბულბულისა, აქვს ვარდისთვის ცრემლთა ზქეფა,
 თავსა ცემა ზოჭა-გლეჯით უღირებლად ეიეფა,
 შემებრაღა, მოგებმარე, მეც დავიწყე მასთან ყეფა.

მელექსეობის შესახებ ლაპარაკის დროს სულხანი იგონებს რუსთაველს და ამბობს:

რუსთველმან ამბო ლექსები, გულისა მსგავსად მოსხმული,
 თქვა გაჭრა ტარიელისა, ყო ვეფხისტყავთა მოსხმული,
 ცრემლი აჩქეფა თვალთაგან, მინდორთ სალტობლად მოსხმული,
 მის ამბით ვარდხედ ბულბულნი მოვლენ სატირლად მოსხმული.

მისთვის მომწონდა რუსთველი—ტარიელ შექნა ბულბულად,
 არ აბოენინა იგი მზე გაურჯელ და უჩხუბულად,
 ვირემდის ირა აღინა თვალთაგან ცრემლი გუბულად;
 რა მიეწურა სიკვდილსა, მაშინ ქნა შენატყვებულად.

სულხანის ლექსი ალაგ-ალაგ მოიკოკლებს, საერთოდ კი მან, არჩილის თქმისა არ იყოს, „კარგად თქვა“. ისეთი სიტყვები და შედარებანი, როგორცა ბულბულის ვარდზე ყეფა, მელნის ტბა, ინდოთ რაზმი და სხე., მოწმობენ, რომ ის განიცდის ჩახრუხადის, რუსთაველისა და თეიმურაზ პირველის მძლავრ გავლენას, განსაკუთრებით რუსთაველისას.

სულხანს განზრახვა ჰქონია მთელი „ამირანდარეჯანიანი“ გაელექსა, მაგრამ ეს მის არ დასცლია, სამი თავის ან კარის გალექსების შემდეგ ის გარდაცვლილა და მისი შრომა განუგრძეია მის ძმას ბეგთაბეგს; რომელსაც უმუშავებია იმავე მეთოდით, როგორც სულხანი მუშობდა¹: მასაც გაუვრცეია ალაგ-ალაგ პროზის ტექსტი, თითოეული კარისათვის წაუძღვარებია შესავალი, სარწმუნოებრივი შინაარსისა, ხოლო ორი თავისათვის (10—11)—ბოლოსიტყვაობა. წინასიტყვაობა-ეპილოგში ის ხშირად თავის თავზე ლაპარაკობს, მეოთხე თავის წინასიტყვაობაში ბეგთაბეგი ამბობს:

მე არ ძალმედვა ამ წიგნის გამოთქმად შეკირვებანი,
 ძმა მყვანდა, არა ღირს ვიყავ, მმართვედა ყმურებ ხლებანი,
 ამა სოფელმა მუხთალმა ინება, მისცა ვნებანი,
 ეს წიგნი დარჩა უსრულად, იმ სოფლისკენ ქნა რებანი.

მკითხველთ ისმინეთ, რაც გჯარო ეს ჩემი მონახსენები,
 ვით შეუდარო მის თქმულებს, ან ვით ეიზმარო ენები?
 ვთქვი: ვიტყვი, რაც რომ ძალ-მიძეს, მეც ვიქნა მონახსენები.
 მისი გაცრილი სამუდრად ვსტირ, ვზივარ ცრემლთა მდენები.

¹ ე. თაყაიშვილი ამბობს, რომ სულხანმა ცხრა კარი გალექსა, დანარჩენი კი ბეგთაბეგ-მაო (მთაწვია ჩვენამდის „დილარაიანის“ ნაწყვეტმა თუ არა? „მოამბე“, 1900 წ., № 2, გვ. 47), მაგრამ ეს მართალი არაა: ე. თაყაიშვილს შეუმჩნევია მხოლოდ მეცხრე კარის ბოლოსიტყვაობა, სადაც ბეგთაბეგი თავის თავზე ლაპარაკობს, წინა კარებისათვის კი ყურადღება არ მიუქცევია.

მეხუთე კარის წინასიტყვაობაში:

წიგნს მივჰყავ ხელი სასრულად, ვქენ მართლა გამოვიდება.

მეშვიდე კარისაში:

გამისინჯეთ, ვითა ვიქმენ ნაკლულისა გამასრული.
რაც ქმას დარჩა, მე ვასრულებ, მართო ვიქმენ განასაჯო.

მეცხრე კარის ბოლოსიტყვაობაში ბეგთაბეგი ამბობს:

ბეგთაბეგ ჭყადრებ მკითხველსა, მეღლექსე-მოთარგმანესა,
სიბრძნით უქნელსაც დაინაბთ, არ დაოცონით ზანესა,
გასაქირს იმწაშს ჭარაქვეთ, არ ბრძანებთ: ის არს ან ესა,
მე ვლექსობ უცნობლობათა, რიდით გული მიქმს მქანესა.

არსად მეთქვა ამის მეტად ლექსი წიგნსა ჩანაწერად,
მოვიწოდოშე გასრულება, მაგრა ვერ ვთქვი ძმის თქმულთ ღერად.
მართალს ჭყადრებ: დღე ჰქონოდა, მას უნდოდა სხვაგვა წერად,
რაც დააკლდა, მე ვათავებ, მოქმელი ვრივე ვერვინ ვერად.

მიუხედავად ბეგთაბეგის ასეთი კატეგორიული განცხადებისა, გალექსილი „ამირანდარეჯანიანის“ გამომცემელი გ. ჯაკობია ცდილობს დამატკიცოს, რომ მთელი თხზულება გალექსილია სულხან თანიაშვილის მიერ, რომ იმაში ბეგთაბეგს, ზემოაშოწერილი სიტყვების გარდა, არაფერი ეკუთვნის¹. სამწუხაროდ, რედაქტორის მიერ მოყვანილი მოსაზრებებით ამისი დამტკიცება არ შეიძლება.

არჩილის „ერულიტობა“ ამ შემთხვევაში მოსატანი არაა. არჩილი გამოჩენილი პოეტი, მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში უცდომელი როლია. განა ის არ იყო, რომ მთელი „როსტომიანი“ ერთ პირს, ხოსრო თურმანიძეს, მიაწერა? რა გასაკვირია, თუ ამ შემთხვევაშიაც მას ასეთივე ლაფსუსი მოუვიდა, მით უმეტეს, რომ ის ბეგთაბეგს, ჩანს, არ იცნობდა, თორემ „ძველთა და ახალთა მეღლექსეთა“ შორის იმასაც მოიხსენიებდა.

მტკიცება იმისა, რომ ბეგთაბეგს არ შეეძლო ესა თუ ის გამოთქმა და სიტყვა ეხმარაო (მაგალითები მოყვანილია 2203, 2328, 2330, 2335 სტროფებიდან), უღრის იმას, რომ მწერალს, ისიც ძველი დროისას, თავზე მოვიხვიოთ აზრთა გამოთქმის ისეთი ფორმა, რაც ჩვენ გემოვნებასა და შეგნებას უფრო შეეგუება, ეს, რა თქმა უნდა, მართებული არაა.

რაც შეეხება ტექსტის კომპოზიციურსა და ენობრივ-სტილისტიკურ ინალიზს, ეს ანალიზი ისეთ სპეციფიკურ რამეს არაფერს იძლევა, რომლის მიხედვით შეგვეძლოს თქმა, რომ ჩვენ საქმე ერთ ავტორთან გვაქვს და არა ორთან. ისეთ მასალებს რომ დავეყრდნოთ, როგორიც რედაქტორს მოუყვა-

¹ სულხან თანიაშვილი, ამირანდარეჯანიანი, გ. ჯაკობიას გამოც., 1941 წ., შესავალი. ჩვენს „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“, ტ. II (პირვ. გამოც.), არც 194, არც სხვა რომელიმე გვერდზე ჩვენ არ გვითქვამს, რომ ბეგთაბეგის შრომა მეხუთე კარიდან იწყება, მიუხედავად ამისა, გ. ჯაკობია ასეთ „შეცდომას“ მაინც მოგვაწერს ჩვენ (გვ. VII, შენ. 1).

ნია, ალორძინების ხანის ლიტერატურა, თუ მთლიანად არა, უმეტეს ნაწილად მაინც, ერთ ავტორს უნდა მივაწეროთ.

ერთი სიტყვით, არ არის საბუთი არ დაეუჯეროთ ბეგთაბეგის განცხადებას მისი თანაავტორობის შესახებ: „ბევრგან ვთქვი ქალთა შვენება და ქაბუჯთ გარდაკიდება“ (440).

საინტერესოა, როგორ უყურებს ბეგთაბეგი თავის ლექსებს, — ამას ჩვენ ვეცნობით მეთაფ და მეთერთმეტე კარების დასასრულს:

ათი კარი გარდავლექსე, მეთერთმეტეს შვეკადე;
დაწუნებით ვერვინ მითხრას: ნულარ ლექსავ, კმარა. ადე!
ღმერთმან მომცა სიუზეითა სიბრძნე თქმისა, შემაცადე,
ღმრთით, რაცა გწადს, სრულ იქნება, თუ ყთილად მოიწადე.

აწ გამისინჯეთ, მკითხველნო, შეწყობით ლექსთა მიქმელობა,
თუ როგორ ეაქე მხეჭაბუჯ და მის ნაქმართა კველობა,
ვით გარდავლექსე ამბავი. მომხედა ღრმად დაუნთქმელობა,
სხვა გავთავე, თქვენ გესმას „სისხლისა აწ მძებნელობა“.

ეს ყველაი ასრე იყო, დავსრულა „სისხლთა ძებნა“,
გავისაჯე ლექსის თქმითა, მაგრამ ცულად არ დამებნა;
ჩემის შეტმა ამ მძივისა ვერვირა ქნა ლექსად შებნა,
ღმერთმან მომცა გონებანი, მეცა მმართებს მისი ქებნა.

ვინ არის ბეგთაბეგი? ბეგთაბეგ თანიაშვილი უნდა იყოს ის ბეგთაბეგი, რომელიც ცნობილია როგორც მდივანი და მწიგნობარი მეფის გიორგი XI შაჰნავაზისა. მას 1680 წელს გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი საუკეთესო ნუსხა (H 54), რომლისათვის შემდეგი memento დაურთავს: „სახელითა ღმრთისაჲთა, აღვასრულე ქორონიკონსა ტჲმ, მე, ფრიად ცოდვილმან და სახითა ოდენ მდივანმან და საქმითა ყოველთა მწიგნობართა უნარჩევსმან ბეგთაბეგ“¹. ეს ბეგთაბეგი მეტად ენაწყლიანი კაცი ყოფილა, რასაც ამოწმებს გიორგი მეფის პროზაული შექება, რომელიც მას დაურთავს მის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნისათვის“². ის რომ ამასთანავე პოეტიც ყოფილა, ჩანს იქიდან, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამავე ნუსხაში მას მოუთავსებია მეორე, ხუთსტროფიანი ლექსითი ქება ან ოლა გიორგი მეფისა³. ამ ბეგთაბეგს უნდა იხსენიებდეს პოეტთა რიცხვში დავით გურამიშვილიც, როდესაც ამბობს:

შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება,
მეფე ვახტანგ და იაკობ დაბლა ზილს მიეტკბურება,
ბეგთაბეგ, ნოჭარ, ოთარი, ონანა ბანს ეშურება,
დრინჯნ ყარან და მამუკა, მე მსურის მათი ყურება⁴.

¹ Е. Такалшынли, Описание, II, გვ. 577.

² იქვე, გვ. 574—577.

³ იქვე, გვ. 578

⁴ „დავითიანი“, გამოცემა 1935 წლისა, გვ. 29, სტრ. 16.

როდის დაასრულა ბეგთაბეგმა „ამირანდარეჯანიანის“ გალექსვა? არჩილ მეფის სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ იგი იცნობდა მთელ გალექსილ „ამირანდარეჯანიანს“, მხოლოდ ეს ნაწარმოები მას ჰგონებია მთლიანად სულხანიანის შრომა. აქედან ცხადია, მაშასადამე, რომ 1681 წელს, როდესაც არჩილი იმ სიტყვებსა წერდა, ბეგთაბეგის შრომაც დამთავრებული ყოფილა.

ლექსი ბეგთაბეგისა სულხანიანის ლექსს არ ჩამოუვარდება, ესეც საკმაოდ დახელოვნებული მწერალი ყოფილა¹.

4. სეილანიანი

„სეილანიანი“ მოთხრობილია ვინმე სეილან საპიბეირანის სადევგმირო ამბები. სეილანი ებრძვის ათარ დევს, რომელსაც დაუპყრია, სხვათა შორის, ჯინისტანი (მოხსენიებულია „სირინოზიანშიც“) და კავკასიელნი, ეომება ის ჩინეთში მზეთუნახავი სიპიდანდამის გულისათვის აბაშთა მეფის შვილს ჯაანგირს, ხვარაზმელთა სეფეწულს მანუჩარს და მთელ დაუსრულებელ რიგს სწორუპოვარი ფალაენებისას სხვადასხვა ადგილს, სხვადასხვა მიზეზის გამო. ეს ბრძოლა აწერილია ისე, როგორც ეს მიღებულია ყველა ამგვარ აღმოსავლურ სადევგმირო თხზულებაში.

ამ თხზულების ქართული თარგმანი ეკუთვნის ბატონიშვილ იოანეს, რომელსაც ის გადმოუღია 1791 წელს. ამის შესახებ ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავის ხელნაწერში (№ 17)² ნათქვამია შემდეგი: „დინდის ენიდამ გარდმოდებული დავრიშ სეიდისაგან, რომელსაც გარდმოუღია წიგნი ესე სეილან ნამა, რომელ არს ტკბილი და ამო სასმენელი სპარსულად, და სპარსულიდამ მე გარდმოვიღე, ბატონიშვილმა იოანემ, ქართულსა ენასა ზედა, რომელიც არის შვიდ წიგნად მოხსენებული თურქთა, დინდთა, სპარსთა, სინდთა, ჯინთა, ურუმთა, ჩინელთა, აბაშთა, ჩრდილოელთა, შვიდთა ყაფისა მათათა და ეიარისა მინდორთ დევთა და არაბთა, იამანენტა და სხვათა მრავალთა კელმ: წიფეთა ომი, რომელიც რომ ამ წიგნში მოუთხრობს, და დიდნი ფალაენობისა საქმენი, რომელიც კაცთა სასმენელად საამო არიან“. აქედან ჩანს, რომ ეს თხზულება თავდაპირველად ინდურ ენაზე ყოფილა დაწერილი, იქიდან სპარსულად უთარგმნია ვინმე სეიდს, ხოლო სპარსულიდან ქართულად ბატონიშვილ იოანეს. თხზულება შვიდი ტომისაგან შედგებოდა. ვერ ვიტყვიტ ნამდვილად, შვიდივე წიგნი გადმოიღო იოანემ თუ არა, არსებულ ხელნაწერში მხოლოდ ექვსი წიგნია დარჩენილი, რომელთაგან პირველს ეწოდება საკუთ-

¹ ხომ არ აქვს ჩვენს ბეგთაბეგს რაიმე კავშირი იმ ბეგთაბეგოვებთან, რომელთა შესახებ ცნობებს გვაჭვდის პროფ. ლ. მელიქსიტ-ბეგჩი („Усыпавшихся на Вербногомъ", Тифлис, 1814 г.)?

² ის ჩვენ გვაქვს კიდევ შემდეგ ხელნაწერებში: S 3695, ქუთაისის საისტ. მუხ. № 232, ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის № 28. არსებობს კიდევ სხვადასხვა ფრაგმენტული ფურცელი თხზულებისა.

რიე „სვილანიანე“, მეორეს—„ჯანგანე“¹, მესამეს—„არდაშერანე“², მეოთხეს—„რუმანე“, მეხუთეს—„მაშრიყანე“, მეექვსეს—„იდა“.

განსვენებული ა. ხახანაშვილი ფიქრობდა, რომ „სვილანიანი“ წარმოადგენს სპარსული მოთხრობის „საპიბიყრანის“ ერთ-ერთი რედაქციის ვადმოკეთებას³. მართლაც, სპარსულ ენაზე არსებობს 15-ტომიანი თხზულება „Bus-tan-i-Kayal“, რომელიც დაწერილია 1742—1756 წლებში და სამ ნაწილად იყოფა. მესამე ნაწილს, რომელიც რვა ტომისაგან შედგება, ეწოდება, სხვათა შორის, „საპიბიყრან-ნამე“, ვინაიდან მისი მთავარი გმირის—Mu'izz-uddin-ის საპატიო ტიტული იყო საპიბიყრან-აქბარი. მაგრამ საექვოა, ჩვენი „სვილანიანი“ ამ წიგნს გულისხმობდეს: ჯერ ერთი, „სვილანიანის“ დედანი ინდური ყოფილა და არა სპარსული, მეორე—იმაში Mu'izz-uddin-ი სულაც არ გვხვდება. მაშასადამე, უნდა ვითქვითო, რომ სვილანსაც საპატიო ტიტულად ჰქონია საპიბ-ყირანი, როგორც Mu'izz-uddin-ს. სპარსულ ენაზე არსებობს აგრეთვე თხზულება „ჯანგანე“ (სახელი „სვილანიანის“ მეორე წიგნისა), რომელშიაც აღწერილია სპარსეთის ზღვის ყურეში კუნძულ ყიშმის აღება შაჰ-აბასის მიერ 1623 წელს, მაგრამ არც ამასთან უნდა ჰქონდეს რაიმე საერთო ჩვენ „სვილანიანს“. ასე რომ, არც ინდური ორიგინალი, არც სპარსული თარგმანი ამ თხზულებისა ჯერჯერობით ცნობილი არაა; რითაც უფრო მეტი ფასი ეძლევა ჩვენ „სვილანიანს“.

ბატონიშვილ იოანეს თხზულებაში ბევრი რამ თავისივე შეუტანია. ერთ ადგილას ჩვენ ვკითხულობთ: „რომელსაც მხარეს ერანელნი და სანგას ფალავანია, იმ მხარეს მელქ ზოპრამ თურქისტანისა ჯარითა მივიდესო და საითაც ქართველნი, სომეხნი, კავკასიელნი და სხვანი მოვლენ, იმ მხარეს დანარჩომნი ჰინდოელნი, სინდელნი და ეგრეთვე ჩვენს ჯარსაც მიემატოს“. ქართველნი, სომეხნი და კავკასიელნი ინდურ-სპარსულ ტექსტში საექვოა რომ ყოფილიყვნენ. საერთოდ თხზულებაში ქართველები ტენდენციურად არიან განდიდებული: ისინი გამოყვანილი არიან როგორც გულადი მეომრები, რომელნიც ირანელებს ეხმარებიან. მათ მეფეს დავითს ჰყავს 80000 მეომარი და ჯინგს ამარცხებს. ქართველთა სახელზე გამართულ მეჯლისში მათ მხედართმთავარს ერანის მეფე ხალათს უბოძებს, პირველ სადღეგრძელოს ქართველებისას სვამენ. სომეხებს ავტორი დასცინის სიმხდალისათვის, მათ მეფეს ეუბნებიან ერანელნი: ქართველებს მიბაძეთ და ვაეკაცობას ისწავლითო, 10000 სომეხმა ერთი თურქი ძღვის მოკლაო. იოანეს ისეთი დეტალები შეუტანია თხზულებაში, რომელნიც სპარსელებს არასიმპათიურად გვიხატავენ. უკანასკნელნი ხშირად მარცხდებიან და თურქების უპირატესობას ამცლავებენ. აშ-

¹ ანუ ნათქვამი ლენინგრადის ბელნაწერში: „სვილანიანი, სპარსულიდან ნათარგმნი ბატონიშვილის იოანეს ჩაქვა წელსა, ორი წიგნი, მეორესა ჰრქვიან ჯანგ-ნამა“ (Прод. А. Ц и Гарелин, Сведения, III, გვ. 212, № 191). ჩანს, ამ ბელნაწერში მართო ორი წიგნია დარჩენილი

² ამას ვგებულობთ ბელნაწ. S 3695, სადაც სწერია: „აქა წიგნი დასრულდა, მეორე სვილანმა. კარი მესამე წიგნი სვილანისა, რომელსაც ეწოდების არდაშერანე“ (გვ. 20)

³ „Очерки“, III, გვ. 198.

კარად იჩენს თავს ის ზიზღი, რომელიც ლეივოდა მაშინ თითოეული ქართველის გულში ჩენი ქვეყნის დამარბეველი, ისტორიული მტრის, სპარსეთის მიმართ.

5. ალექსანდრიანი

თავის ალაგას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „ალექსანდრიანი“, რომელშიაც აღწერილია საგმირო, ზღაპრული თავგადასავალი ალექსანდრე მაკედონელისა, ცნობილი უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე ჯერ კიდევ კლასიკურ ხანაში, სამწუხაროდ, ეს ძველი თარგმანი დროთა მსვლელობაში დაკარგულა და ჩვენამდე არ შენახულა. სამაგიეროდ, აღორძინების ხანას მოუცია ახალი თარგმანი მისი, რომელიც, ა. ხახანაშვილის მოსაზრებით¹, გადმოღებულია სერბიული რედაქციიდან ცოტა განსხვავებით დეტალებში: მთარგმნელს ზოგი ალაგი გამოუტოვებია, ზოგი შეუმოკლებია, ზოგი რამ კიდევ თვითონ შეუტანია შიგ. ა. ხახანაშვილის დასკვნები და არგუმენტები იმის შესახებ, რომ ქართულ თარგმანში გვაქვს სერბიული რედაქცია იმდენად დამაჯერებელია, რომ მათ წინააღმდეგ ან მათ შესავსებად არა გვეთქმის რა.

ვინ თარგმნა ის ქართულად? ამ საკითხზე პასუხს იძლევა მეორე, ლექსითი რედაქცია ამ საგმირო მოთხრობისა. ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ ლექსითი რედაქცია, რომელსაც ეწოდება „ამბავი ძველმოსახსენებელი დიდისა და პატიოსნისა კეთილის მოქმედისა კაცისა და ცათქვეშეთ მპყრობელისა და მეფისა მაკედონელისა ალექსანდრესი, — შობისა და ცხოვრებისა და სიბნისა მისისათვის“, დამყარებულია ახლახან დასახილვებულ პროზაულ რედაქციაზე და წარმოადგენს, ნამდვილად რომ ვთქვათ, უკანასკნელის გალექსვას. ის შედგება 141 თავისა და 1921 სტროფისაგან და იწყება ასე:

ეს ამბავი ჩრდილოეთს რუსთ ქვეყნად იყო დებული,
 ეამთა სიგრძისა ძველქმნითა ყოვლს ქვეყნად დაეწყებული,
 გადმოთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო ქებული;
 მიბრძანეს, ლექსად გაზოვთქვი, მსხენელო იყავ შეებული

აქედან ჩვენ ვგებულობთ, რომ „ალექსანდრიანი“ უთარგმნია ქართულად არჩილ მეფეს, რომელსაც ის უნახავს „რუსთ ქვეყანას“, და მერე ის გამოუთქვამს ლექსად ვიღაც მელექსეს. ახლა ადვილი გასაგებია, თუ როგორ მოხდა, რომ ქართულ პროზაულ თარგმანს საფუძვლად დაედო სერბიული რედაქცია: როდესაც არჩილი საბოლოოდ დამკვიდრდა რუსეთში 1799 წლიდან, მან იქ იპოვა, ალბათ, სერბიული რედაქციიდან მომავალი რუსული თარგმანი ამ საგმირო რომანისა და რუსულიდან გადმოიღო ქართულად, ხოლო მერე მისი თარგმანი ვიღაცამ ვალექსა.

ვინაა გაშლექსავი მისი? მელექსე თავის შრომის ბოლოში ამბობს:

ვინები პეტრე გალექსად ამა ალექსანდრიანისა.

¹ Грушевская повесть об Александре Македонском, ЖМНПросв., 1893 წ., № 8, გვ. 241—252; „Очерки“, III, გვ. 100—119.

მაშასადამე, არჩილის მიერ გადმოღებული „ალექსანდრიანი“ სერბიული რედაქციისა გაულექსავს ვილაჲ პეტრეს. ამ პეტრეს შესახებ პ. ყვიცარიძე ფიქრობს, რომ ის სასულიერო პირია¹, მაგრამ ვინაჲ ის, ამას ის ვერ არკვევს. იეროთ. ბერძენი² ამბობს, რომ „ალექსანდრიანის“ გამლექსავი არის ცნობილი პეტრე ლარაძე, მაგრამ მისი მოსაზრებანი დამაჯერებელი არ არიან³. დღესდღეობით ეს საკითხი საბოლოოდ გარკვეულია⁴.

„ალექსანდრიანის“ ზოგიერთ ნუსხას სათაურში შემოუნახავს ასეთი ცნობა: „...მე მდივან-მგალობელ-მწიგნობარმან ჩხატარას ძემან პეტრე რუსეთით მოღებულის ამბვისაგან გარდმოღებით გაულექსე. და აწ ხელახლა გამოთქმით ამბათ აღმიწერია წიგნი ესე“. აქედან ირკვევა, რომ გამლექსავი რუსეთიდან მოტანილი, არჩილის მიერ თარგმნილი, „ალექსანდრიანისა“ ყოფილა ვინმე მდივან-მგალობელ მწიგნობარი ჩხატარასძე პეტრე⁵. ამ პეტრეს შესახებ ცნობები შემოუნახავს ანტონ I კათოლიკოსს და „კალმასობის“ ავტორს იოანე ბატონიშვილს. ანტონი ამბობს:

პეტრე მესტიხე, მეზიარე მაღალო,
ალექსანდრესთა დიდისათა მომთხრობი.

იოანე ბატონიშვილი „მამისა პეტრე ჩხატარაძისა-ძისა გურიელისათვის“ ამბობს: „მამა პეტრე გურიელი ჩხატარაძის-ძე იქმნა სიყრბითგანვე მონოზონ. იმან ისწავა ხედვითი ხელოვნება და იქმნა მეცნიერ და წერილთა შინა გამოცდილ. ამან შეაწყო ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა მშენიერენასა ზედა. მანვე აღწერა მრავალნი კარგნი სტიხნი და შაირნი, ეგრეთვე განსწავლნა მრავალნი მოწაფენი“⁶. პლ. იოსელიანის ცნობით, პეტრე „ჩხატარიშვილს“, ტრაპიზონში აღზრდილს, დაუწერია ლექსად „ცხოვრება საქართ-

¹ კრებ. „ცდა“, I, გვ. 199.

² „იფერია“, 1900 წ., № 284.

³ შესაძლოა გვეფიქრნა, რომ არჩილის შრომის გამლექსავი არის მისი თანამედროვე პეტრე, სარონის მგალობელი, ან მლაღადებელი, როგორც ის თავის თავს უწოდებს, გვარად ნეკაძე (E. T a k e a მ ა მ ა ი ა ი ი, Описание, II, გვ. 256). ამ პეტრეს ეწოდენის ორი „ანბანთქება“, თითოეულში 36 ოთხსტრიქონიანი სტროფია, 16-მარცვლიანი ლექსით დაწერილი. პირველი „ანბანთქების“ თითოეული სტროფი წარმოადგენს რაიმე იგავს ან ამოცანას, რომლის ახსნას სთხოვს ავტორი მკითხველებს. მეორე „ანბანთქებაში“ თავიდან ზოლომდე დაპარაკია სარწმუნოებრივ-ზნეობრივ თემებზე. საყურადღებოა ორივე „ანბანთქებაში“ ის, რომ პირველი სტროფის ყველა სტრიქონი მათში იწყება ბ-ნით, მეორე—ბ-ანით, მესამე—ბ-ანით და ასე ზოლომდე, ამიტომ ეწოდება მათ ანბანთქება (S 426, გვ. 323—336; H 2116, ფ. 174—180). დაუწერია ამ პეტრეს აგრეთვე არჩილ მეფის „ქება“ (E. T a k e a მ ა მ ა ი ა ი, Описание, II, გვ. 165—167), მაგრამ „ალექსანდრიანის“ გამლექსავლად ამ პეტრეს ვერ მივიღებთ.

⁴ ა. ბარაშიძე, ჭართული ალექსანდრიანი, „საქართე. სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, IX, გვ. 41—50; მისივე, ნარკვევები, II, გვ. 235—246.

⁵ B r o s s e t, Discours..., 1838, p. 102; დ. კარტიკაშვილი, კატალოგი, გვ. 203, 230.

⁶ „წიგნი ბიბლიკაობა“, 1853 წ., გვ. 275, სტრ. 783—6. მოცემულია ვრცელი დახასიათება.

⁷ „კალმასობა“, II, გვ. 181.

ველოს მეფის ალექსანდრესი“ (იგულისხმება, რა თქმა უნდა, ჩვენი „ალექსანდრიანი“) და უწყება ქრისტიანობის შესახებ ქობულეთში. გარდაცვილია ის 1725 წელს და დასაფლავებული ყოფილა თბილისში სიონის ტაძარში¹. პეტრე თვითონ ამბობს, რომ მას „უბრძანეს“ „ალექსანდრიანის“ გალექსვა. ვინ იყო მბრძანებელი? არა არჩილი, როგორც კონტექსტით შეეძლო ფიქტურა აღმოჩნდეს, არამედ „იმერთა-ოდიშ-გურიის განმგებელი ბეენ დადიანი და მისი დისწული, სარდალი გიორგი ჩიჩუა“, როგორც ეს დამოწმებულია თვით პეტრეს მიერ ზოგიერთი ნუსხის სათაურში. ბეენ დადიანი გარდაიცვალა 1728 წელს, მაშასადამე, ამაზე გვიან თხზულება ვერ გაილექსებოდა. ვერ გაილექსებოდა ის 1713 წელზე ადრე, რადგანაც არჩილზე აქ წარსულ დროშია ლაპარაკი („ვინ იყო ქებული“), მაშასადამე, ის მკვდარადაა ნაგულისხმევი. ამრიგად, პეტრეს „ალექსანდრიანი“ გაულექსავს 1713—1728 წლებში.

მაგრამ ამით არ ამოწურულა მისი დამოკიდებულება ამ თხზულებისადმი. პეტრე, როგორც ვნახეთ, ამბობს: რუსეთით მოღებული გალექსე და „აწ ხელახლა გამოთქმით ამბათ აღმიწერია წიგნი ესეო“. მაშასადამე, გალექსვის შემდეგ მას ხელმეორედ პროზაულად დაუმუშავებია ეს შრომა. ეს ისე კი არ უნდა გაეიგოთ, რომ მან საიდანმე ხელახლა თარგმნა „ალექსანდრიანი“, არა! მას აულია არჩილის ტექსტი, სრულიად გადაუსხვაფერებია ზოგიერთი ეპიზოდი, დაურთავს ახალი თემატიკური დეტალები, შემოუტანია უცნობი ამბები, ხშირად ისტორიული სინამდვილის დამახინჯებით, მაგალითად, ლეგენდები ალექსანდრეს საქართველოში ლაშქრობის შესახებ, ასე რომ ქართული თარგმანის დამახასიათებელი მოტივები, რომელიც ჯერ კიდევ ა. ხახანაშვილმა შენიშნა პეტრეს გალექსილ შრომაში, პროზაულ გადამუშავებაში უფრო კარბადაა მოცემული.

პეტრე უხვად სარგებლობს შედარებებისათვის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ძეგლებით, როგორცაა: „შაჰნამე“, „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ლილიმაჯუნნიანი“ და სხვ. ასახელებს აგრეთვე ჩვენამდე რომელიღაც არშენახული თხზულების გმირებს: დალალმანო და მზემასულს. „ალექსანდრიანი“ მრავალი ხელნაწერით შენახულა ჩვენამდე².

¹ „Описание древностей города Тифлиса“, გვ. 156—169, კვროდ 159.

² იხ. ა. ბარამიძის დასახელებული შრომა, გვ. 49.

II. რომანტიკული ეპოსი

1. ვუხისკყაოსნის ლაგაჟაჟანი

ჩვენ უკვე გვექონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ფეფხისტყაოსანსა, როგორც ყველაზე საინტერესოსა და პოპულარულ ნაწარმოებს, რომელიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, საუკუნეთა განმავლობაში განუცდია მრავალგვარი პერტურბაცია, როგორცაა ტექსტის შესწორება, სიტყვების შეცვლა; სტროფების ჩამატება და გამოკლება. მაგრამ ეს კიდეე არაფერი; დროთა განმავლობაში ამა თუ იმ მწერალსა და მელექსეს მთელი თავები და ეპიზოდები დაურთავს მისთვის. თვალსაჩინო დამატებანი ჩვენ გვაქვს პოემის ბოლოში. აი, ეს დამატებანი.

1. არაბეთიდან ტარიელ—ნესტანი თავიანთი მეგობრებით გაემართნენ ინდოეთისაკენ. ერთ სტროფში მოკლედ აღწერილია მათი მგზავრობა¹ და მერე უცბად იწყება ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელია (1527), ესე იგი, როგორ გამეფდნენ ისინი. ვილაც მელექსეს აღძვრია სურვილი შეეთხზა ამბავი იმის შესახებ, რა პირობებში გამეფდა ტარიელი, ცოცხალნი იყვნენ მათი დაბრუნებისას ნესტანის მშობლები თუ არა, ან რა მდგომარეობაში იყო თვით ინდოეთი. ამ მიზნით მას ჩაურთავს აღნიშნულ სტროფებს შუა თავები: ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება და ზოგიერთი დეტალი ტარიელისა და ნესტან-ღარეჯანის ქორწილში².

2. პოემა თავდება ტარიელისა და ნესტანის სამშობლოში დაბრუნებისა და მათი გამეფების ამბით. ვილაც მელექსეს დაბადებია საკითხი: რა მოხდა მათი გამეფების შემდეგ, როგორ ცხოვრობდნენ ისინი, რა ურთიერთობა დამყარდა ტარიელსა და ხვარაზმშას შორის, რომლის შვილი მან მოკლა. ამ საკითხებზე მას უპასუხნია ახალი გაგრძელებით, სადაც აღწერილია ტარიელის დაბრუნება და ხვარაზმშასაგან სისხლის ძებნად მოსვლა ინდოეთს, ტარიელი-საგან თავისი მეგობრების საშველად მოწვევა, ომი ხვარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა³.

¹ ს. კაკაბაძის გამოც., სტროფი 1527.

² იქვე, სტროფები: 1528—1584, 1589—1594, 1596, 1602, 1609.

³ იქვე, სტრ. 1611—1721.

3. საინტერესოა იყო გათვალისწინება იმისა, თუ როგორ აღასრულეს დღენი თვისნი ამ ძმადნაფიცმა მეგობრებმა, ამიტომ ერთ მეღვქსეს აღუწერია გარდაცვალება ტარიელისა და ნესტანისა, ავთანდილისა და თინათინისა, დატირება მათი ფრიდონის მიერ და გარდაცვალება ამ უკანასკნელისა¹.

4. ვილაც მეღვქსეს უფიქრია, რომ ისეთი აღამიანები, როგორც იყვნენ ტარიელი და ავთანდილი, სიკვდილის წინ რაიმე ანდერძს დატოვებდნენ, ამიტომაც მას მართლაც შეუთხზავს ასეთი ანდერძი ორივე მეგობრისა², რომლისათვის მერე კიდევ დაუმატებიათ ახალ-ახალი ანდერძები³.

როდის ჰქონდათ ადგილი ამ დამატებათ, ძნელია გააკვევა, ყოველ შემთხვევაში უნდა დაწყებულიყო ისინი არაუადრეს მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებისა. მართლაც, პირველი დამატება — ტარიელის ინდოეთს დაბრუნება და ხატაელებთან ომი⁴, უფრო ადრე რომ ვერ იქნება შედგენილი, შემდეგიდან ჩანს: აქ ნათქვამია, რომ, როდესაც ტარიელმა გაიგო ფარსადანის გარდაცვალება, საშინელი ტირილი მორთო, და მას ამ აუტანელ სევდაში ავთანდილი და ფრიდონი ექმნეს სულისმღებლად, ქათალიქოზ-მაწყურეღად (1543), ესე იგი მანუგეშებლად, როგორც კათოლიკოსი და მაწყურეღო. აქ მაწყურეღი და კათოლიკოსი დაპირისპირებულნი არიან, როგორც სწორუფლებიანი და სწორპატივიანი იერარქები. მაშასადამე, ეს იმისი მაჩვენებელია, რომ, როდესაც ეს ადგილი იწერებოდა, სამცხის ეკლესია უკვე ფორმალურად და საბოლოოდ იყო ჩამოშორებული მცხეთის ეკლესიას და მის სრულუფლებიან გამგედ, როგორც მცხეთაში კათოლიკოსი, ითვლებოდა უკვე მაწყურეღი. პროცესი სამცხის ეკლესიურად ჩამოშორებისა მცხეთისაგან, დაწყებული ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნის გასულიდან⁵, ძლიერდებოდა მეთხუთმეტეში და დამთავრდა მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს მზეკაბუჯ ათაბაგის დროს (გარდ. 1516 წ.), რომელმაც მაწყურეღად განაწესა ტრაპიზონელი ბერძენი სიმეონი⁶-ამნაირად, პირველი და, მაშასადამე, ყველაზე აღრინდელი დამატება მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებზე ადრე დაწერილი ვერ იქნება. აქედან ცხადია, სხვები კიდევ უფრო გვიანი უნდა იყოს. კერძოდ, მეორე დამატება, ხვარაზმელთა ამბავი, მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე დაწერილი არაა, რადგანაც ის ვანიცლის უცილობელ გავლენას სერაპიონ საბაშვილის

¹ ს. კაკაბაძის გამოც., სტრ. 1732 — 1756.

² იქვე, სტრ. 1722—1731, 1738—1742.

³ ეს დამატებანი გამოცემულია პირველად პ. კარბელაშვილის მიერ (ივერია, 1880 წ., № 3, გვ. 1—53), მეროდ — ს. კაკაბაძის მიერ 1913 წ. (მისი გამოცემა «ვეფხისტყაოსნისა»).

⁴ ამ დამატების შესახებ იხ. ა. ხარაშიძე, ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის, ნარკვევები, III, გვ. 64—113; კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, გვ. 160—170.

⁵ ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. შოროდანიას მიერ, ფოთი, 1903 წ., გვ. 194.

⁶ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948 წ., გვ. 55—59; Н. Марр, Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустана, гв. 487; К. Цицвадзе, Историческая справка по вопросу об автокефалии грузинской церкви, гв. 19.

მიერ გალექსილი «როსტომიანისას»¹. ეს დამატებანი შეთქმულნი არიან საუკუნეში უკვე ჩამოყალიბებულია, ვინაიდან მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში მათ იხსენიებს «ომიანიანი», სახელდობრ—ომიან კაბუცი თავის ახლად შერთულ ცოლს უამბობს თითქმის მთელ ვეფხისტყაოსანს და, სხვათა შორის, ამ დამატებათა შინაარსსაც².

ვინაა ავტორი ამ დამატებებისა? ვეფხისტყაოსნის შესახებ საუბრისას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამბავი პოემის გმირთა გარდაცვალების შესახებ დაუწერია ვიღაც «მესხ მელექსეს» (ეწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა). შესაძლებელია, სხვა დამატებანიც ამ მელექსეს ეკუთვნოდეს. მართლაც, პირველი დამატება, რომელშიაც კათოლიკოსთან დაპირისპირებულია მაწყვერელი, უძველად მესხს ეკუთვნის, მხოლოდ მესხურ პარტიკულიარიზმს შეეძლო ასეთი დაპირისპირება. მესხ მელექსეს უფრო შეეძლო გალექსვა აგრეთვე მეორე დამატებისა, ხეარაზმთა ამბისა, რომელიც თმოგვიში დარჩენილიყო პროზაულად სარგის თმოგველისაგან.

როგორც ვეფხისტყაოსანში, შიგნით, ისე ამ «დამატებებშიც», შემდეგი დროის მელექსეებს შეუტანიათ თავისი საკუთარი დამატებანი.

ერთი ასეთი მელექსე ჩვენ სახელითაც ვიცით. ეს არის XVII საუკუნის მეორე ნახევრის პოეტი იოსებ სააკაძე თბილელი. როგორც ახლა უკვე გარკვეულია, იოსებს ძირითად ანდერძებისათვის დაუშატებია ორი ანდერძი: 1. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა (ს. კაკაბაძის პირველ გამოცემაში (1731¹—1731² სტროფები), 2. ავთანდილისა (იქვე, 1742¹—1742² სტროფებში). გარდა ამისა, იოსებ სააკაძეს თვით პოემის ტექსტში შეუტანია თავისი საკუთარი ოთხი სტროფი. ესენია, ს. კაკაბაძის პირველი გამოცემით: 346¹, 1231¹, და აგრეთვე ჯერ კიდევ უცნობი: მისისა მზესა გზა-გზა მოსთქვამს, ჭირს თავს აძლევს ლხინის ფასად, ფატმან არ იცის, ავთანდილ თუ ვისით ცეცხლით მწველია»³.

მეორე მწერალი, რომლის მონაწილეობა ვეფხისტყაოსნის შევსებაში მელანდებდა, არის ნანუჩა ანუ მანუჩარ ციციშვილი, პოეტი დაახლოებით XVII საუკუნის პირველი მეხუთედისა. მისი ამ საქმეში მონაწილეობის შესახებ ცნობა დარჩენილა არჩილ მეფისაგან, რომელიც ამბობს:

ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალს ვერ შეუწყვი, წმინდა რამ აუმღერევია;

¹ ა. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის, თბილ., უნივ. მოამბე, XI, გვ. 120—130.

² «ომიანიანი», გ. ჯაკობიას გამოც., 1937 წ., გვ. 84. ამ ფაქტის მიხედვით, გამოცემელს ისეთი დასკვნა გამოჰყავს, რომ ეს დამატებანი რუსთაველის უნდა იყოს (გვ. XX). მაგრამ ის გარემოება, რომ ჭაიხოსრო ვეფხისტყაოსანს დამატებით იცნობს, კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი რუსთაველმა დაწერა. ანდა, ნუთუ ჭაიხოსრო ელდნებული იყო ჩამოეთვალა ყველა მწერალი, რუსთაველიდან მის დრომდე, და აღნიშნა მათი შრომები? ის პოემას წერდა და არა ლიტერატურის ისტორიას!

³ ამის შესახებ იხ. კ. ძეგელიძე, რუსთაველოლოგიური შტუდიები, იტიუდები, 1957 წ., ტ. IV, გვ. 13—14.

მასთან რას სწერდა მის ლექსსა? სირვენე მით მორვეია!
რუსთველი სიბრძნის ტბა არის; არცა თუ იგი მორვეია².

ამდენხანს არ ვიცოდით, რა ძეგლია და შემატა ნანუჩამ ჩვენს პოემას. ახლა ირკვევა, რომ ნანუჩას დაუმატებია პოემაში ავთანდილის ანდერძისათვისა 11 სტროფი, რომელიც დაბეჭდილია, ავტორის უსახელოდ, ს. კაკაბაძის მიერ (შეიწყნარებით ნაარსნო... ესე წესია სოფლისა, 1742¹ — 1742¹¹). ამის შესახებ ხელნაწერში ვკითხულობთ: ანდერძი ავთანდილისა, რომელთქუა გამსა სიკუდილისასა. ნანუჩას ჩამატებული მას უკანა. ამ სათაურის მიხედვით შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ნანუჩას მთლიანად ეკუთვნის ეს თავი, მაგრამ სხვა ხელნაწერებთან შეჯერებამ (S 2829, S 5006) დაგვარწმუნა, რომ მას მხოლოდ 1742¹⁻¹¹ სტრ. ეკუთვნის. გაცილებით მეტი ნანუჩას პოემის ძირითად ტექსტში ჩაურთავს. პოემის ზ ა ზ ა ს ე უ ლ ი ხელნაწერის არშიაზე, ამი თუ იმ სტროფის პირდაპირ, ტექსტისავე ხელით მიწერილია ხოლმე ნანუჩას ინიციალი ნ. სულ ხელნაწერის შემონახულ ნაწილში 20 სტროფი გვაქვს ამგვარი ინიციალით აღნიშნული (ალბათ, ნანუჩას სტროფები დაკარგულ ფურცლებზედაც იყო). ეს სტროფები; რომელნიც 1712 წლის გამოცემაში არ შესულან, ყველა დაბეჭდილია ს. კაკაბაძის გამოცემაში უნიციალოდ რასაკვირველია, ყენია: 307¹, 308¹, 308² (ეს ორი გამოცემაში შეცდომით აღნიშნულია 308², 308⁴, იხ. გვ. 55), 309¹, 313¹, 372¹, 373¹, 617⁴, 617⁴, 659¹, 684¹, 813¹⁻², 1261¹, 1288¹, 1293¹, 1300¹, 1622¹, 1651¹, 1685¹. ნანუჩას ამგვარი საქმიანობა დამოწმებულია აგრეთვე ერთ სხვა ხელნაწერშიაც, სახელდობრ H 757, აქაც ტაეებს, რომელნიც ვახტანგის გამოცემაში არ შესულან, მიწერილი ჰქონია ნუ ესე იგი ნ ა ნ უ ჩ ა, ხოლო ტარიელის (შეცდომა — ალბათ ავთანდილის) ანდერძს, ოდეს მიიცვალებოდა მიწერილი აქვს: ამას ქვევითაც სულ ნანუჩასი არის და შოთასიც ცოტა რამა². ამნაირად, ამ ხელნაწერით ჩვენ თვალწინ იშლება 31 სტროფი ნანუჩასი, მათი შეტანა ამ ხელნაწერში და ნანუჩას სახელის აღნიშვნა ბუნებრივი იქნებოდა, თუ გვებსომება, რომ ხელნაწერი დამზადებულია ზაზა ციციშვილისათვის, რომელიც თანამოგვარე და, შეიძლება, ძალიან ახლობელიც იყო ნანუჩასი³.

ზააქიანის გამლექსავი, მეფის მდივანი მამუკა, თავისი შრომის წინასიტყვაობაში შენიშნავს: ესაქართველოს ეს ამბავი — ესე იგი ზააქიანს — დარჩომოდა ძველის ძველიოა. თუმცა ის ჩემზე უკეთ სხვებმა იცოდნენ, მაგრამ არც ერთმა ხელი არ მიჰყო მის ვალექსავს:

ვერ შეეპართა შეთელსა და ვერცა სერგის თმოგველსა,
ვერცა მანუჩას მწერალსა, ტბილის სიტყვისა მკობელსა⁴.

¹ «არჩილიანი», ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., სტროფი 26-ე.
² H 757, 255v, შდრ. ს. კაკაბაძის პირველი გამოცემა, გვ. 16. მხოლოდ ს. კაკაბაძის ეს მინაწერი XVIII საუკუნისადა შიანია, ამ ხელნაწერის 1712 წლის გამოცემა მასთან შედარების მიზნით.

³ კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები, იტიუდები, IV, გვ. 14—15.

⁴ შაკ-ნამეს ქართული ვერსიები, ტ. I, გვ. 1—2.

ეს მანუჩარი არის ის ნანუჩა, რომელმაც, არჩილის სიტყვით, რუსთაველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურთო. მამუკასა და არჩილს ეს მწერალი სხვადასხვანაირად შეუფასებიათ, არჩილი მას ლექსს უწუნებს, ის იმაზე მაღლა აყენებს არამტოუ რუსთაველს, არამედ თავის თავსაც, როდესაც ამბობს: «რუსთველს არ ვიტყვი, ნანუჩას რასთვის აქებთ და მე არა?»¹ მაგრამ, ჩანს, არც ისე დასაწუნარი ყოფილა ის: მამუკა მას «ტკბილის სიტყვით მხმობელს» ეძახის, ხოლო არჩილის თანამედროვენი მას აქებდნენ, ამიტომაცაა, რომ არჩილი კითხულობს: «ნანუჩას რისთვის აქებთო?» მანუჩარი ან ნანუჩა ყოფილა ციციშვილი, როგორც ეს მ. ბროსემ აღნიშნა «ვეფხისტყაოსნის» წინასიტყვაობაში 1841 წ. (გვ. XIV). ზ. კიკინაძის სიტყვით, «ნანუჩა ციციშვილი ცხოვრობდა 1670 წელს. ეს იყო ქართველი მწიგნობარი, მცოდნე სხვადასხვა ენებისა და მწერლობისა. ამ ნანუჩას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა, მას როსტომ მეფის მახლობლივ სამეფო საქმეებში დიდი ადგილი ეკავა. ამ კაცს მთელს საქართველოში ბრძნად სახავდნენ. ნანუჩა ციციშვილს ბევრნაირ ლექსების და მოთხრობების წერას აკუთვნებენ, მაგრამ მისმა ნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიაო»².

საიდან ამოიღო ზ. კიკინაძემ ეს ცნობები, არ ვიცით. ერთი კმა, რომ ისინი სინამდვილეს არ შეესაბამებიან. მართლაც, 1670 წელს როსტომ მეფე უკვე კარგა ხნის მკვდარი იყო, თან მის დროს ნანუჩა ციციშვილს ჩვენ ვერ ვხედავთ ვერსად, მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ისაა, რომ «1670 წლებში» ნანუჩა ვერ იცხოვრებდა. როგორც დავიანახეთ, მას იხსენიებს, როგორც წარსული დროის მწერალს, მეფის მდივანი მამუკა, პოეტი მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე მეოთხედისა, მაშასადამე, ის მამუკაზე ადრე ცხოვრობდა. მართლაც, მას ჩვენ ვხედავთ მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ათეულში: მეფე თეიმურაზს, გიორგი სააკაძის სპარსეთში გაქცევის შემდეგ. ის მიუფხავნია გიორგის დედის თამარისათვის ქაიხოსრო ჯავახიშვილის საქმის გამო შუაქადალ³.

2. ომანიანი

იმ მოკლე მოთხრობათა გარდა, რომელნიც დამატების სახით დართვია «ვეფხისტყაოსანს», არსებობს მთელი თხზულება, თითქმის «ვეფხისტყაოსნის» ზომისა, რომელიც შეგვიძლია მის გაგრძელებად მივიჩნიოთ. ეს არის «ომანიანი»⁴. მკითხველ საზოგადოებაში დაბადებულია სურვილი გათვალისწინებული

¹ ანდა: «კარგადა ვთქვი ყველაკი, არ მგონია ვნანუჩაო» (სტრ. 41).

² «ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში», გვ. 15.

³ იხ. განჩინება მოურავის და ქაიხოსრო ჯავახიშვილისა 1620 წელს, «საქართველოს სიძველენი», II. გვ. 60; შდრ. ან. ფურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, 1911 წ., გვ. 202.

⁴ ზოგიერთი ხმარობს სახელს «ომანიანი» ალბათ იმიტომ, რომ თხზულების გმირს ეწოდება ომანი. ჩვენ ვიცით არჩილის ნომენკლატურას — ომანიანი (II, გვ. 28), რომელსაც იმეორებს L ხელნაწერის მინაწერები: «ეს ომანიანი», აგრეთვე იოანე ბატონიშვილი «კალმახობაში» (II, გვ. 189).

ყოფილიყო. არა მარტო პირადი დამთკიდებულება ტარიელ—ნესტანსა და ავთანდილ—თინათინს შორის მათ სიცოცხლეში, არამედ მათი გარდაცვალების შემდეგაც მათ შთამომავლობაში. ეს მიზანი დაუსახავს „ომანიანის“ ავტორს.

ამ თხზულების შინაარსი მოკლედ შემდეგნაირად შეგვიძლია გადმოვცეთ¹: ტარიელისა და ნესტანდარეჯანის შვილს, სარიდანს ცოლად შეურთავს ავთანდილისა და თინათინის ქალი. ის დიდებული მეფე იყო, თავისი სამეფო, ინდოეთი, გაათართოვა და გააძლიერა, აწუხებდა მხოლოდ ის, რომ შვილი არ ჰყავდა. ბოლოს შვილიც მიეცა, რომელსაც ომანი უწოდეს. ბავშვი წლობით კი არ იზრდებოდა, არამედ დღეებით. ისეთი გმირი და ფალავანი შეიქმნა, რომ მისი მსგავსი ქვეყანაზე არ ყოფილა არავინ, თავის პაპა ტარიელსაც კი სჯობდა. ერთხელ მას უნახავს ზღვათა მეფის შვილი, მტირალი, რომლისაგან მან გაიგო, რომ ეგვიპტის მეფეს ალიეპტარს გაუმეფებია თავისი მეტად ლამაზი ქალი ბურნე-მელიქი, რომელსაც ის გამოიჯნურებია, მაგრამ მიზნისათვის ველარ მიულწევია და უკან დაბრუნებულა მისი სურათით. ომანიანს ზღვათა მეფის შვილი სახლში მიუყვანია და მისთვის ცოლად მიუცია თავისი და, რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც, ქალის მოთხოვნის თანახმად, მას დაუმარცხებია სარიდანის სპასალარი საღიმი. თვითონ მას კი გულში გაჯდომია ბურნე-მელიქის სიყვარული, იმ სურათის საშუალებით, რომელიც მისთვის სიძეს გადაუცია. ხის ცხენზე, რომელიც მისთვის საგანგებოდ მოუმზადებიათ, თვალის დახამამებაში გადაფრენილა ეგვიპტეში, სადაც ის ვაჭრულად გამოწყობილა და დაუწყია ვაჭრობა ძვირფასი ქვებით. იმდენსა ცდილა, რომ ბურნე-მელიქთან კავშირი დაუქერია იმ კაცის «დიაცის» დახმარებით², რომლის სახლშიაც ის ცხოვრობდა აქ, და, როდესაც მისი გმირობა გამოემდევნებულა, ქალსაც შეჰყვარებია ის. მაგრამ მის აღმზრდელს მის მაგიერ სიტყვა მიუცია ვინმე გურზი-ფალავანის შვილის ზავარისათვის. უკანასკნელს რომ გაუგია ომანიანს გამოჩენა ეგვიპტეში და ბურნე-მელიქის მისდამი გამოიჯნურება, მოუწერია წერილი, რომელშიაც ბურნე-მელიქს უპირობისათვის ლანძლავდა, ხოლო ომანიანს ომში იწვევდა. ფალავნები მართლაც დაეტაკენ ერთმანეთს, ომანიანი გამარჯვებული დარჩა. ამის შემდეგ მან ცოლად შეირთო ბურნე-მელიქი და იმავე ცხენით, რომლითაც ის ეგვიპტეში მოფრინდა, თვალის დახამამებაში ცოლითურთ თავის სამეფო ინდოეთში გადაფრინდა. მამა სარიდანის დიდი ამბით ხვდება შვილს და ტახტსაც უთმობს მას. ომანიანმა ინდოეთში მოკლა თეთრი დევი, შთამომავალი იმ საშინელი დევისა, რომელიც მაზანდირანის ქვეყანაში ოდესღაც როსტომმა მოკლა. დევს მრავალი ტყვე აღმოაჩინდა, რომელნიც ომანიანმა გაათავისუფლა; მათ შორის მეტად ლამაზი ბალ-

¹ «ომანიანი», გ. ჯაკობიას გამოც., 1937 წ.

² ეს კაცი, რომელმაც ის შეიწყნარა, ერთ ადგილას წოდებულია «თვალ-მარგალიტთა მსყიდველად» (სტრ. 258), შემდეგ კი «ხალიფად» (357, 360, 361 და სხვ.), ხოლო ომანიანსა და ქალაქის უფროსის ქალის შემაერთებელი არის არა ცოლი ამ კაცისა, როგორც გ. ჯაკობიას ჰგონია (გვ. XIV), არამედ «დიაცი» (სტროფ. 276, 279, 281, 356 და სხვ.). უნდა ვიფიქროთ—შინაშოსამსახურე, რომლის მიმართ ეს კაცი არის «პატრონი» (სტრ. 397). «საპატრონო დედაკაცს ის «ქალს» ეძახის და არა «დიაცს».

ბი.ბუხარის მეფის ქალი. ეს ქალი ომანის შეუყვარდა, ცოლი არამცთუ ნებას აძლევს მას მეორე ცოლად აიყვანოს ის, სთხოვს კიდევაც. ომანი დიდი სიხარულით ასრულებს მის თხოვნას. ამის შემდეგ ის ახალი ცოლით გაემგზავრება ბალხისაკენ. აქ მას დახვდა კეისრის¹ ელჩი, რომელმაც სახლში დაბრუნების შემდეგ ისე აუწყრა კეისარს ომანის ქაბუკი, რომ ის გაემგზავრა ინდოეთს ომანის სანახავად. გზაზე კეისარი შეჩერდა სპარსეთში, სადაც ამ დროს მეფობდა ანუშირვანი. ეს უკანასკნელიც გაჰყვა მას ინდოეთს. ინდოეთში სარიდანმა გამოიწვია ბალხი-ბუხარიდან ომანი, რომელიც მოვიდა თავისი სიმამრით, ხაყან-ჩინელითურთ. ამნაირად, თავი მოიყარა ოთხმა მეფემ, რომელნიც მეჯლისობენ, განცხრომაში არიან და ერთმანეთს ეკამათებიან იმის შესახებ, რომ მოუფიქრებელ სიტყვებს დუმილი ჯოხსო და წარმოთქმულს—წარმოუთქმელიო. ომანმა თავისი ქაბუკობა და გმირობა ამ მეფეებსაც აჩვენა ერთი საშინელი ბუმბერაზის, ყარაქოლის, მოკვლით, რის შემდეგ მეფეები გამოესალმნენ ერთმანეთს და თავ-თავიანთ საბრძანებელში მიიქცნენ.

ვინ არის ომანიანის ავტორი? არჩილ მეფე ძველთა და ახალთა საქართველოს მეღეკეთაა შორის ასახელებს ომანიანის ავტორსაც:

ქაიხოსრომან შიგ-ჩართით ლექსად დაქვა ომანიანი,
ომანის სიმხნე, სიქველე, ჯაჰვის-ცმა მაემნანი;
ყარგად რომ უთქვამს, მის გამო არა ვთქვი მისს ზიანი,
კვაილშიც გამოერევა სულითა ქუფრი ჩიანი².

ამრიგად, არჩილ მეფის ცნობით, ომანიანის ავტორი არის ვილაც ქაიხოსრო. ეს ქაიხოსრო არის თანამედროვე შაჰ-აბას პირველისა, როგორც ეს ჩანს მისი თხზულების პროლოგის შემდეგი ადგილიდან:

ქაიხოსროვის შედეგად შაჰ-აბაზ ერანს მჯდომია,
უცხო დაიყრა ქვეყანი, ერან-თურანის ზომია,
სხვათა მეფეთა ვეზირნი ნიადავ გვერდსა სხდომია,
ეს თვით მარტო იქს ყველასა, ტკბების, თუ ვინდა მწყრომია. (19).

შაჰ-აბასის დროს საქართველოში განსაკუთრებით ცნობილია ოთხი ქაიხოსრო, სახელდობრ: 1) ქაიხოსრო ბართაშვილი, დიდი მოურავის მოწინააღმდეგე, რომელმაც 1625 წელს ის შეიპყრა ტბისს და ბირთვისის ციხეში 500 მეციხოვნე სპარსი გაუწყვიტა³; 2) ქაიხოსრო, ძე ვახტანგ მუხრანბატონისა, რომელიც 1624—1626 წლებში რამდენჯერმე იქნა დადგენილი დიდი მოურავის მიერ ქართლის გამგედ და რომელიც ბაზალეთის ომის შემდეგ დიდ მოურავთან ერთად ოსმალეთს გადაიხვეწა, სადაც მას, მოურავთან ერთად, 1629 წელს თავი მოჰკვეთეს; 3) ქაიხოსრო ჯაბიშვილი, რომელიც დაუძინებელი მტერი იყო დიდი მოურავისა⁴ და სახლკარსა და ცოლშვილს უწიოკებდა მას; 4) ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი.

¹ ღერად აქ იგულისხმება ურუმთა მეფე, ზონთარო.

² აარჩილიანი, ა. ბარაშიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, II, სტრ. 28.

³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 43—44.

⁴ საქართველოს სიძველენი, II, გვ. 51—51.

ლი, შესანიშნავი ნიქისა და ენერგიის მხედართმთავარი, რომელიც შიშის ზარსა სცემდა და მუსრს ავლებდა დაღესტნის ლეკებს. მას დიდ პატივსა სცემდა და დიდი ნდობით ეპყრობოდა ქეთევან დედოფალი, თუმცა ამისმა შვილმა, თეიმურაზმა, დიდი უმადურობა გამოიჩინა მისდამი. ქაიხოსროს სახელი და მამაცობა, რომელიც მის დაღესტანში გამოიჩინა, მოსვენებებს არ აძლევდა შაჰ-აბასს და პირად მის, ქაიხოსროს, მტრებს. ამიტომ, როდესაც, ცოლის სიკვდილის შემდეგ, თეიმურაზი სპარსეთში იყო შაჰ-აბასთან, უკანასკნელმა ჩასჩურჩულა მას, რომ ჩოლოყაშვილი ძლიერდება დაღესტანში, მას უნდა დაღესტანიც და კახეთიც თვითონ დაიჭიროს და ცოლად შეირთოს ქეთევანი, რომელსაც ის ამ მიზნითა ჰყავს დაახლოებულიო. ესევე დაუდასტურეს თეიმურაზს იქ მყოფმა ქართველებმა, რომელნიც შურის თვალთ უყურებდნენ ქაიხოსროს. გვიან თეიმურაზს მეტიც არ უნდოდა. ის რომ სპარსეთიდან კახეთში დაბრუნდა, დაღესტნიდან მას ქაიხოსრომ სთხოვა სამეფო ბუკები, რათა უფრო დაეწინებინა ლეკები, კახელებმა კი შეასმინეს თეიმურაზს: «ნებაგს კახეთი და ამისთვის ითხოვეს ბუქსაცა». ამის გამო ამოიყვანა ქაიხოსრო და მოჰკლა იგი ლალატაღ¹.

უქველია, «ომანიანის» ავტორი არის ერთი აქ დასახელებული ქაიხოსროთაგანი, თუმცა არც არჩილ მეფეს, არც რომელიმე ისტორიულ-ლიტერატურულ დოკუმენტს არ აღუნიშნავს, რომელი სახელდობრ. ზ. კიკინაძე ამბობს, რასაკვირველია საბუთების დაუსახელებლად, რომ ამ თხზულების ავტორი არის ქაიხოსრო მუხრანბატონი². ალბათ, ზ. კიკინაძე უნდა ჰყავდეს მხედველობაში ე. თაყაიშვილს, როდესაც შენიშნავს: «По мнению некоторых, Кай-хосро, автор Оманяни, был Мухранский владетель»³. ჩვენ კი ვგვოხნია, რომ «ომანიანის» ავტორია ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. აი რატომ: 1) ქაიხოსრო აღქურვილი იყო ისეთი სულიერი და ფიზიკური თვისებებით, როგორიც არ ჰქონიათ დანარჩენთ; ის იყო დიდი ნიქისა და ენერგიის პატრონი, რაც მან გამოიჩინა აგრეთვე როგორც სარდალმა⁴. 2) მის ოჯახში განმტკიცებული

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 115; შდრ. ა. ფურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, 1911 წ., გვ. 158—159, 422.

² ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მჩვიდმეტი და მეთვარამეტი საუკუნეებში, გვ. 16.

³ Е. Тахавишвили, Описание, I, გვ. 563. ამ «Имяне»-ს იმეორებს «ომანიანის» გამოცემელი გ. ჯაკობია, იმიტომ რომ ქაიხოსრო მუხრანბატონი იყო ქართლის გამგედ (თითქოს ეს გარემოება გარანტიაა უქველად ლიტერატურული საქმიანობისაც) და თან ტრადიციად მის სასარგებლოდ ლაპარაკობს (გვ. XXII). რომელი ტრადიცია? ნათუ ზ. კიკინაძის აზრი ტრადიციად იქცა? სპეციალურ გამოცემასა და გამოკვლევაში «ომანიანის» შესახებ პოემის ავტორის ძიება გ. ჯაკობიას «მარჩიელობად» მიუჩნევია და, საკითხის წინ წაწევის მაგიერ, ის ტრადიციას უბრუნდება, ისიც უნადაცოს, დაუსაბუთებელსა და გაუმართლებელს. თუ ტრადიციით დაკმაყოფილებდით, მაშინ მეცნიერული კვლევა-ძიება ხედმეტი იქნება და იმაზე ხელი უნდა ავიღოთ.

⁴ ეს მოსახრება გ. ჯაკობიას არ მიაჩნია დამაჯერებლად და საბუთად, მაგრამ ჩვენ მაინც შეგინშნავთ, რომ «ნიქი და ენერგია» სჭირდება არა მარტო მხედართმთავარს, არამედ უფრო მეტად მწერალს. ვისაც ის არ აქვს, ის მწერლად ვერ გამოდგება. თუ ერყლე II-ის მაგალითი საჭიროა აქ, უნდა აღვნიშნოთ რომ ერყლე მწერლობაშიც იღებდა. თავისებურ მონაწილეობას.

იყო სწავლა-განათლება და ლიტერატურული ტრადიციები, რაც იქიდანაც ჩანს, რომ თეიმურაზის გამოჩენილი ელჩი და დიპლომატი, ნიკიფორე ან ნიკოლოზ ირბახი, რომელმაც შემოიარა მთელი ევროპა და მრავალი ენა, აღმოსავლური და დასავლური, იცოდა, იყო ძმა ქაიხოსროს¹. 3) მის მამას სახელად რქმეფია ომანი, აქედან მისი და მისი შთამომავლობის გვარი შეიქმნა ომანიშვილ-ჩოლოყაშვილი. ის გამოჩენილი და მხნე სარდალი ყოფილა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ, ნიკიფორეს სიტყვით, მან, სხვა მრავალ გამარჯვებათა შორის, 20000 კაცით ერთხელ 90000 სპარსი გაწვევია². ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ თავისი გმირისა და ახოვანი მამის ომანიის სახსოვრად ქაიხოსრომ ომან ჰაბუჯის გმირობა და ქველობა აღწერა³. 4) პოემაში უდავოდ ჩანს, რომ მისი ავტორი იცნობს დასავლეთ ევროპის, კერძოდ რომის, სამყაროს. ის ასახელებს რომის ქვეყნის მონაპირობას (75₃₃), რომის სანაპიროს (76₃₃, 83₂₈); რომულ ოქროს (83) და სხვ. მაგრამ ამ მხრე ვველაზე მეტად საყურადღებოა შემდეგი გარემოება. ავტორი ერთ ადგილას ამბობს: ამ ამბავსა ზედან მტერნი მტად შეშინდენ, რომე ღიღთა რომთა პაპისა ნემსა ქვეყნისა ლაშქართაცა მოხარაჯობის ზავი ითხოვეს (69₃₃₋₃₇); მეორე ადგილას: «დიდის ლაშქრით რომთა პაპის ნემსა ქვეყანას მონაპირედ გააყენეს» (70₃₃₋₃₇). ეს ნემსა ქვეყანა (გამოცემელს ის ვერ განუმარტავს) არის ანემსთა ქვეყანა, როგორც ეს სახელი მოცემულია ხელნაწერში F (იხ. გამოცემის გვ. 72, შენ. 40). ეს ნემსთა ქვეყანა არის ნემსთა, ესე იგი გერმანელთა ქვეყანა⁴, და დიდთა რომთა პაპის ნემსთა ქვეყანა უდრის გერმანელთა ქვეყნების რომის საღმრთო იმპერიას. ე. წ. Sacrum Romae Imperium-ს, ისტორიულად ცნობილ გერმანელების პირველ იმპერიას. საინტერესოა, რომ ავტორი ამ ქვეყანას, ამ იმპერიას ეძახის პაპის ქვეყანას. აქ ჩვენ გვაქვს ანარეკლი იმ სასტიკი ომებისა და მეტოქეობისა პაპსა და იმპერატორს შორის, ან, უკეთ, კათოლიკეთა და პროტესტანტთა შორის ამ იმპერიაში, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და მეჩვიდმეტის დასაწყისში და რომლის შედეგი იყო ის, რომ პაპები

¹ ენების ცოდნა და ევროპის შემოვლა ერთი ძმის მიერ მეორე ძმას პოეტობას კი არ ავალებს (გვ. XX—XXI), შევნიშნავთ გ. ჯაკობიას, არამედ უჩვენებს კულტურულ ინტერესებსა და ტრადიციებს XVII საუკუნის ჩოლოყაშვილთა ოჯახში.

² მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 92.

³ აქვეთებსა და მწერლებს რომ ამ მოსახრებით დაესათურებიათ თავიანთი ქმნილებანი, კურიოზად მივიდოდითო—ამბობს გ. ჯაკობია (გვ. XXI). განზოგადება რა საჭიროა, კერძოდ კი ასეთი კურიოზისა მაგალითად ძველ ლიტერატურაში მომუშავეს მოვაცოცხლოდი დალღუბიანის ავტორის ცდას. საინტერესოა, რომ ამ თვალსაზრისით უდავლა საკითხს უძველესი ხელნაწერის მიწაწერი: ეს ომანიანი ომანიანთი არის» (გამოცემის გვ. XIII). ამ მიწაწერში გამოსტევივს რწმენა, რომ ომანიანი ომანიანთ-ჩოლოყაშვილების საჯაროელო რომანია.

⁴ გეოგრაფიული სახელი «ნემსა-ნემსთა», resp. «ნემსთა» მოდის რუსული წყაროებიდან, რუსეთის გზით, რაც მაჩვენებელია ამ დროის რუსულ-ქართული ურთიერთობისა. სულხან-საბა ორბელიანი თავის «მოგზაურთაში» ხმარობს «ნემსა-ს (ს. იორ დანი შვილი ის გამოცემა, გვ. 75, 132 და სხვ.).

თავის ვაგლენის ქვეშ აყენებდნენ ამ ქვეყანას. ეს გარემოება ცვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილითან, რომელიც ამგვარ ცნობებს მიიღებდა თავისი ძმის ნიკიფორე-ნიკოლოზისაგან. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში, დაახლოებით 1596—1608 წლებში, რომში სწავლობდა¹, იქ ის ვაღიშვებულა პაპისტური ტენდენციებით არა მარტო სარწმუნოების, არამედ პოლიტიკის სფეროშიაც, და სამშობლოში დაბრუნებისას, იქვე გარემედა, იქ ნახული, ვაგონილი და შესწავლილი გააცნო სხვებს, პირველ რიგში თავისი ოჯახის წევრებს.

ამ მოსაზრებათა გამო, დასახელებულ პირთა შორის ყველაზე უფრო მისაღები უნდა იყოს ქაიხოსრო ომანიშვილ-ჩოლოყაშვილის ავტორობა².

როდისაა დაწერილი ომანიანი? რასაკვირველია, შაჰ-აბას I-ის მეფობაში, მაშასადამე, არაუგვიანეს 1628 წლისა, შაჰ-აბასზე აქ აწმყო დროშია ლაპარაკი: „მჯდომია“, დაქს. თუ პოემის ავტორად ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს მივიჩნევთ, უფრო ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ პოემის დაწერის დრო. დაწერილებითი ცნობები Sacrum Romae Imperium-ის შესახებ პოეტისათვის შეეძლო მიეცა, როგორც ვთქვით, პირველ რიგში მის ძმას, ნიკიფორე-ნიკოლოზს, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა 1608 წლის მახლობლად. ნიკიფორე-ნიკოლოზი საქართველოში დარჩა 1614 წლამდე, როდესაც ის იერუსალიმს, ჯვარის მონასტერში გადასახლდა. 1614 წელზე გვიან არც ქაიხოსროს შეეძლო დაეწერა ის, ვინაიდან თეიმურაზმა ის მოაკვლევინა ამ მოსაზრებითაც, თითქოს მას მისი დედის, ქეთევანის, ცოლად შერთვა და კახეთში გამეფება სურდა, ქეთევანი კი 1614 წელს შაჰ-აბასმა სპარსეთში წაიყვანა ტყვედ, მაშასადამე, ამის შემდეგ არც ზემოდასახელებულ შიშს ექნებოდა ადგილი. თუმცა ქაიხოსროს სიკვდილით დასჯა უფრო ადრე უნდა,

¹ გ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი, «ეტიუდები», II, გვ. 292—313.

² გ. ჯაკობია არ იზიარებს ჩოლოყაშვილის ავტორობას (გვ. XXI—XXII) შემდეგი მოსაზრებით: ქაიხოსრო შაჰ-აბასის მოწინააღმდეგე ორიენტაციის მოღვაწე იყო და, როგორც ასეთს, არ შეეძლო მას მისთვის ის ქება შეესბა, რომელსაც თითქოს ასხამს მე-19 სტროფში შაჰ-აბასის ორიენტაციის მომხრედ ქაიხოსრო მუხრანბატონი ჩანს. ის რამდენჯერმე იქნა ქართლის გამგედ დადგენილი, მაშასადამე, ომანიანი ავტორიც შეიძლება ის იყოს. თუ ორიენტაციის თვალსაზრისით მიუდგებით საკითხს, მაშინ საზოგადოდ ხელი უნდა ავიღოთ პოემის ორიგინალობაზე, იმისი დაწერა არც ერთ ქართველს არ შეეძლო, რადგანაც იწვეოთი ქართველი იყო შაჰ-აბასის ორიენტაციის ნამდვილი მომხრე, არ ყოფილა მისი ორიენტაციის მომხრე არც მუხრანბატონი, რომელიც ქართლის გამგედ დადგენილი იქნა არა შაჰ-აბასის, არამედ გიორგი სააკაძის მექადინებობით (ეპართ. ცხოვრ., II, გვ. 41, 43), იმ გიორგის, რომელიც გაფთხობით ებრძოდა შაჰ-აბასის ორიენტაციას. ამ ბრძოლამ ის გადაიხრალა, ქაიხოსრო მუხრანბატონთან ერთად, ოსმალეთში, სადაც მას, აგრეთვე მუხრანბატონსაც, თავი მოკვეთეს. ერთია ორიენტაცია და მეორეა ლიტერატურული სინამდვილე. ამისათვის მოგვიგონოთ, თუ გნებავთ, არჩად მეფე და ის ხობბა, რომელსაც ის უგალობს შაჰ-აბას II. მაგრამ ვარწმუნებთ დანიტრეხებულ პირთ, რომ მე-19 სტროფში არავითარი პანეგირიკი და ხობბა შაჰ-აბასისა არაა, იქ მხოლოდ ფაქტია აღნიშნული, რომ შაჰ-აბასი ერანს მჯდომია, მან ზღერი ქვეყანა დაიპყრო და სხვებს კი არ უგონებს, თვითონ აკეთებს ყველაფერსო. ეს შეეძლო ეთქვა ემოსისხლე მტერსაც.

მომხდარიყო: თეიმურაზი სპარსეთს წავიდა პირველი ცოლის სიკვდილის (1610 წ.) შემდეგ, იქიდან მობრუნდა ქაიხოსროზე ამრეზილი და მეორე ცოლის შერთვის (1612 წ.) შემდეგ მალე¹ მოაკვლევინა კიდევაც ის. ასე რომ, ომანიანი დაწერილი უნდა იყოს 1609—1613 წლებში.

თხზულებას უძღვის საკმაოდ ვრცელი პროლოგი, რომელშიაც ავტორი იხსენიებს ზოგიერთ ძველ ქართულ მწერალს, მაგალითად: მოსე ხონელს, შავთელს (რომელსაც ის აბდულუმესიას უწოდებს), სარგის თმოგველს, რუსთაველსა და კედელაურს, რომელსაც «როსტომიანი» ლექსვამს². შინაარსით თხზულება მაინცდამაინც საინტერესოს არაფერს წარმოადგენს, ის ჰბადავს, საკმაოდ უხეშად, ფეფხისტყაოსანს, ამირანდარეჯანიანს, «როსტომიანს» და სხვა მის დროს ქართულ ენაზე არსებულ სადღევმიროსა და სამიჯნურო თხზულებებს. ალბათ, ამით იხსენება, რომ დავით რექტორი, ავტორი ქართული ლიტერატურული ძეგლების კატალოგისა, რომელიც 1810 წელსაა შედგენილი, ომანიანს თელის სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებად³. თხზულება დაწერილია ლექსითა და პროზაულად, ამიტომაცაა, რომ არჩილ მეფე ამბობს: «ქაიხოსრომა შიგ-ჩართვით ლექსად თქვა ომანიანით». ლექსად დაწერილია 11 თავი, პროზაულად — 39 თავი, ორი კიდევ «ლექსთ-ჩართვით»: როგორც დავინახეთ, არჩილ მეფე ქაიხოსროს ლექსს უწონებს და უტეხს.

3. იოსებზილიხანიანი

«იოსებზილიხანიანში» მოთხრობილია თავგადასავალი იოსებ-იუსუფისა და სიყვარული ზილიხა ანუ ზილიხანისა: სუფეტად აღებულა ბიბლიური მოთხრობა იოსებ მშვენიერის შესახებ, რომელიც ძმებმა გაყიდეს ეგვიპტეში და რომელსაც გაუმიჯნურდა, სპარსული ეპოსით, ფარაონის ცოლი, ზულიხა. ეს ეპიზოდი სპარსელ რომანტიკოსებს გაუვრციათ და შეუშკაით თავისებურად, ასე რომ ბიბლიური მოთხრობიდან მხოლოდ ჩონჩი-ლა დარჩენილა. პირველი პოეტი, რომელსაც ეს ეპიზოდი გამოუყენებია, არის შესანიშნავი ფირდოუსი, თუმცა, უნდა აღინიშნოს აქვე, რომ მისი «*Jusuf u Zuleixa*» მოკლებულია «შაჰნამეს» ღირსებას და პოეზიის მხრივ მაინცდამაინც საყურადღებოს არაფერს წარმოადგენს⁴. მეორე პოეტი, რომელსაც აგრეთვე დაუწერია «*Jusuf u Zuleixa*» 1483 წელს, არის აბდურაჰმან ჯამი⁵. დასასრულ, 1647 — 1662 წლებში პოეტმა ნაზიმმა გამოუშვა აგრეთვე თავისი «*Jusuf u Zuleixa*»⁶. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯამიდან ნაზიმამდე და ნაზიმის შემდეგაც, თითქმის მეცხრამეტე საუკუნემდე, სპარსულ ენაზე არა ერთსა და ორ მეღიქსეს უცდია ასე თუ ისე გადმოეკეთებინა ეს პოემა (სულ ცნობილია 13

¹ «ქართლის ცხოვრება», II, გვ. 115.

² E. Такавшвили, Описание, I, гл. 564—569.

³ А. Цагарели, Сводения, III, гл. 235, № 98.

⁴ H. E t h é, Neopersische Literatur, «Grundriss», II, s. 230.

⁵ იქვე, S. 231—232.

⁶ იქვე, S. 232.

ცდა მისი დამუშავებისა), თუმცა ამ გადმოკეთებათა ლიტერატურული ღირსება უმნიშვნელოა¹.

ეს რომანტიკული პოემა ქართულ ენაზედაც არის გადმოღებული, რუსთველური შაირით, ორი სხვადასხვა რედაქციით. პირველი რედაქცია, რომელიც შემონახულია ერთადერთი დეფექტური ხელნაწერით², იწყება შესავლით. აქ ავტორი, აღნიშნავს რა რუსთაველის სწორუპოვრობას, სთხოვს მას მისცეს ნება იოსებ მშვენიერისა და ზილიხა სანატრელის ამბავი თქვას. მერე ლაპარაკობს მოშაირობასა და მიჯნურობაზე. ამის შემდეგ, განაცხადებს რა, რომ ეს ამბავი აღრინდელი ცოტა ვპოვე დანარჩომი, ქართულადა გადაეთარგმნე სპარსულადა მუნ ნათქვამიოა, ავტორი მოგვითხრობს ამბავს შვილთა ქიშვართა მფლობელის, აღმოსაველეთის ხელმწიფის ნოშრევანისას, რომელსაც ჰყავდა უმშვენიერესი ასული ზილიხა. მისი ხელის მოპოვებას ცდილობენ სხვადასხვა ხელმწიფის შვილები, სხვათა შორის, რუსისაც. მაგრამ ზილიხას გათხოვება არ უნდა, ვინაიდან მას სიზმარში უნახავს მშვენიერი ჭაბუკი, ეგვიპტის მეფე, რომელიც გაივივით შეყვარებია. მაშამ ეს რომ გაიგო, ეგვიპტის მეფეს აზიხს აცნობა: მე მზადა ვარ ჩემი ქალი მოგცე ცოლადო. აზიხსაც მეტად მოსწონებია ასეთი წინადადება. ასე რომ ზილიხა ეგვიპტეში წაიყვანეს. ის დარწმუნებული იყო, რომ აზიხი სწორედ ის ჭაბუკია, რომელიც მან სიზმარში ნახა და რომელიც მას ეგვიპტეში იწყვედა, მაგრამ სინამდვილეში რომ სულ სხვა სახე დაინახა, გული წაუვიდა. აზიხი ცოლად შეირთავს ზილიხას, რომელიც თავს იხუვებებს იმით, რომ აზიხს ჯეცობა არა აქვს, თან არც რწმუნას ჰქარავს, რომ აღრე თუ ვიანი, ის იპოვის სიზმარში ნახულ ჭაბუკს.

ამ დროს ვაჭრებმა ეგვიპტეში მიიყვანეს მათ მიერ შესყიდული ებრაელი იოსები, რომელიც ყველას აკვარებდა სილამაზით, ასე რომ მრავლად აღმოჩნდა მსურველი მისი მონად ყიდვისა. ქმრის ნებართვით ზილიხამ, რომელმაც მას თვალი მოჰკრა ბაზარში, იოსები იყიდა და სასახლეში მიიყვანა. ზილიხა უახლოვდება იოსებს, გაიგებს მისგან მის თავგადასავალს და მის გულში ტრფობის კოცონი აღენთება, ვინაიდან სიზმარში ნახული მოჩვენების განსახიერება მან ამ იოსებში პოვა.

იამანეთის დედოფალს ბაზიყასაც სმენია იოსების მშვენიერება და ზილიხასთვის მიუწერია—დამითმე ისაო. ზილიხას უარი შეუთვლია, ასე რომ ბაზიყას მიუტოვებია თავისი სამეფო და ეგვიპტეში მისულა იოსების სანახავად და მისი გულის მოსანადირებლად. მისი სილამაზით გაგიჟებული და ამავე დროს დარწმუნებული, რომ ის მიზანს ვერ მიაღწევს, ის იქვე სედი-საგან გარდაცვლილა. მერე იწყება ტანჯვა ზილიხასი და მისი მცდელობა მოინადიროს იოსების გული. იოსები ამისი წინააღმდეგია, ამიტომ გაბრაზებული და სასოწარკვეთილი ქალი მას ქმართან ახეზღებს—თითქოს იოსებმა მას გაუპატიურება მოუწოდოა. იოსებს ამისათვის ციხეში დაამწყვდევენ. ბო-

¹ H. E t h e, Neupersische Literatur, «Grundriss», II, s. 232.

² S 1283. გამოცემულია გ. ჯაკობიას მიერ: «იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები», 1927 წ., გვ. 3—98.

ლოს და ბოლოს, იოსები, მას შემდეგ, რაც მან მეფეს საბედისწერო სიზმარი აუხსნა, ციხიდან გაათავისუფლეს, მეფემ ის დაიახლოვა და თავის მარჯვენა ხელად გაიხადა. ასე რომ აზიზის გარდაცვალების შემდეგ, მისი დავედრებით, იოსები ხელმწიფედ დაჯდა. ამის შემდეგ იოსები წინადადებას აძლევს ზილიხას, თუ მას სურს მისი ცოლობა, კერპები დაღწეოს და მის რუხულზე გადვიდეს. მოცრქულად ვაგზავნილმა სეფ-ქალებმა სულ სხვანაირად შეაბრუნეს საქმე, რის გამოც იოსებმა ბრძანა ზილიხას სასახლიდან გაძევება. ზილიხა დარდისაგან ჩამოხმა, გაუყითლდა. მუდმივი ტირილისაგან დაბრმავდა. ასეთ მდგომარეობაში იოსები შეხვდება მას, მაგრამ ვერ იცნობს. მხოლოდ, როდესაც სასახლეში მიიყვანს, იქ გამოიკვლევა მისთვის, რომ მის წინაშე მისთვის დატანჯული ზილიხაა. რა მოხდა ამის შემდეგ, აღარ ვიცით. რადგანაც პოემას ბოლო აქვია ფურცლების დაკარგვის გამო. ჩანს, რომ ფინალი ტრაგიკულია.

მეორე რედაქცია, რომელიც თეიმურაზ პირველს ეკუთვნის¹, შესავლის შემდეგ, სადაც მოკლედ ვაღმოცემულია ვეფხისტყაოსნისა შინაარსი, მისი ავტორისა და წარმოშობის ვინაობა და ვისრამიანისა ლიტერატურული ისტორია, მოგვითხრობს იოსების ამბავს, მის ეგვიპტეში მიყვანას, გაუიდას, ზილიხას გამიჯნურებას, ბაზიყას სიყვარულსა და სიკვდილს, იოსებისა და ზილიხას ერთად შეყვრას, მერე იოსების ციხეში ჩასმას, იქიდან განთავისუფლებას და აზიზის გარდაცვალების შემდეგ გამეფებას. თავდება პოემა იოსებისა და ზილიხას დაქორწინებით.

ზოგი ემიზოდი თეიმურაზის რედაქციაში უფრო ვრცელადაა აღწერილი, მაგალითად, ბაზიყას ვინაობა, აგრეთვე კერპთმსახურება ეგვიპტეში, ზოგი კიდევ პირველ რედაქციაში, მაგალითად — ბაზიყას მიჯნურობის ისტორია. თეიმურაზის რედაქციამ არ იცის ის მიწერ-მოწერა ბაზიყასა და ზილიხას შორის, რომელსაც ადგილი აქვს პირველ რედაქციაში. ის მოკლედ ეხება აგრეთვე ზილიხას პიროვნებასა და სიმშვენიერეს. ამე ვით ვაქო, სიტყვა-მცირმან, სპარსთ უქიათ ენამრაველადო, — ამბობს თეიმურაზი. ამ რედაქციების ფინალი სხვადასხვანაირია. საერთოდ, პირველი რედაქცია, თეიმურაზის რედაქციასთან შედარებით, უფრო ვრცელია: მიუხედავად დეფექტურობისა, ის ორჯერ უფრო დიდია თეიმურაზისაზე, ის შეიცავს 736 სტროფს, თეიმურაზის კი — 311-ს. შინაარსითაც ის უფრო საინტერესოა, ვიდრე თეიმურაზის რედაქცია.

ყველა ნიშნებით, ჩვენ ორ სხვადასხვა რედაქციასთან გვაქვს საქმე. რომელი ვერსია უძვეეს მათ საფუძვლად, ცნობილია თუ არა მათი დედნების ავტორები?

პირველი რედაქციის მიმართ მისი გამომცემელი გ. ჯაკობია წერდა, რომ არ არის დადგენილი მისი დედანიო². ჩვენ ჯერ კიდევ 1931 წელს აღ-

¹ გამოცემა ორჯერ: 1927 წელს გ. ჯაკობიას მიერ (დასახელებული შრომა) და 1934 წ. მის და ა. ბაკამიძის მიერ (თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 66—98).

² იოსებ-ზილიზანანის ქართული ვერსიები, გვ. 01.

ენიშნეთ: «რამდენადაც მისი ფრაგმენტული ხასიათი ნებას გვაძლევს დავასკვნათ, ეს რედაქცია მომდინარეობს აბდურ-რაჰმან ჯამის რედაქციიდანა»¹. ამის შემდეგ 1934 წელს, თეიმურაზის რედაქციასთან დაკავშირებით, გ. ჯაკობიამ შეუდარა ჯამის რედაქციას ეს პირველი რედაქცია და საბოლოოდ დაადასტურა ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება². მას შემდეგ ჩატარებული მუშაობის მიხედვით ირკვევა, რომ თხზულება მომდინარეობს თუ უშუალოდ ჯამის რედაქციისაგან არა, მისი პირდაპირი მიმზამველების ვერსიებიდან მაინც (ა. ვახარია). რაც შეეხება თეიმურაზის რედაქციას, მისი დედანი ჯერაც გამოურკვეველია, ყოველ შემთხვევაში, რამდენად გ. ჯაკობიას სპეციალური ანალიზიდან ჩანს³, მისი დედანი არ უნდა იყოს არც ფირდოუსის, არც ჯამის რედაქცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თეიმურაზმა მოგვეცა არა თარგმანი, თუგინდ ისეთი გაგებით, როგორც ეს გვაქვს პირველ რედაქციაში, არამედ თავისებური კომბინაცია ბიბლიური ეპიზოდისა და მისთვის ცნობილი აღმოსავლური ვერსიებისა. თავის წყაროებს ზოგადად ის თვითონ ასახელებს, როდესაც ამბობს:

«მთ საქმეთა საღმრთო წიგნი მოკლედ ამბობს—დაბადება, სპარსთ ვალექსეს ტვილად რამე, რა ბრალთა ჩალაგებდა! რაც მთა ეთქვა, მე ის ვთარგმნე, ზოტბა იყო თუ ლაყბება.

გათავდა მათი ამბავი, პირველ სპარსთაგან თქმულია, ჩვენ უწერთნელისა ნაღვაწი, ქართულად გათარგმნულია».

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თეიმურაზმა უცვლელად გადმოიღო თავისი წყაროები, არა, ის თვითონ ამბობს: «მე თვით ვწერ, ვიტყვი» (4). ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზი არჩილის პირით კატეგორიულად აცხადებს: «განმარტვითა ვთქვი ქართულად თქმული სპარსთ არაკობისა»⁴, ესე იგი მას სიტყვასიტყვით კი არ გადმოუცია თავისი წყაროები, არამედ «განმარტვითა, მაშასადამე, თავისებურების შეტანით. ეს თავისებურება ჩვენ პირველ რედაქციაშიც უნდა გვქონდეს ბლომად და ჭარბად. ამის მომასწავებელია ქრისტიანული ელემენტები, სურათები და შედარებანი ვეფხისტყაოსნიდან, რომელთაც ვხედავთ როგორც თეიმურაზის, ისე პირველ რედაქციაში.

როდის ითარგმნა ეს რედაქციები?

თეიმურაზის რედაქციის შესახებ დადებითი ცნობები მოგვეპოვება. არჩილ მეფე «რუსთველთან გაბაასებაში» ათქმევენებს თეიმურაზს:

¹ ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა, თურნ; «მნათობი», 1931 წ., № 7—8, გვ. 152, შენ. 1.

² თეიმურაზ პირველის თხზულებანი, ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოც., გვ. 243—250.

³ იქვე, გვ. 225—243, თუ, რასაკვირველია, ეს ანალიზი სწორი და სანდოა. ასეთი დეტალების საბუთს იძლევა მისი ანალიზი «ლელილმაჯნუნის» ქართული თარგმანისა, რის შესახებ ქვემოთ გვქვინებ საუბარი.

⁴ გამოცემა 1934 წლისა, სტროფ. 308, 309.

⁵ «არჩილიანი», ტ. II, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., სტროფი 706.

ამ დროს ვთქვი ლეილ-მაჯნუნი, ზილიხან-იოსებისა, ქება, შეენება, სიტურფე, მიჯნურთა ცეცხლებრ დებისა, ვაკრა შინდორად, ხელობა, გულთა ლახერულად სობისა; ტყბილად რამ აღმოვმეტყველე ლექსები სხივ-შუქებისა¹.

«ამ დროს», როდის? ნაგულისხმევია ის ხანა თეიმურაზის მეფობისა, როდესაც ის ზურაბ ერისთვის მეოხებით გაერთიანებულ ქართლ-კახეთს განაგებდა. ესე იგი 1629—1633 წლები². ამ ცნობას ადასტურებს კათოლიკე-მისიონერების წერილი, მიწერილი რომში 1629 წელს. აქ ნათქვამია: თეიმურაზი «საუკეთესო პოეტია, რადგან შეადგინა ისტორია იოსებისაო»³.

უფრო რთულია საკითხი პირველი რედაქციის შესახებ. ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა მისი გადმომღებისა და გადმოღების დროის შესახებ. აღმწერელი იმ ერთადერთი ხელნაწერისა, რომელშიაც ეს რედაქცია შენახულა, მისი გადაწერის დროის შესახებ გადაჭრით არას ამბობს: «Судя по почерку и материалу, рукопись, вероятно, XVI века, во всяком случае не позднее XVII»⁴. ს. კაკაბაძეს ეს ხელნაწერი დასჭირდა «ვეფხისტყაოსნის» ზოგიერთი პრობლემის გასარკვევად, ამიტომ, იმის მიხედვით, თუ როგორ სჭირდებოდა ის მას, «ვეფხისტყაოსნის» პირველ გამოცემაში (გვ. 28—29) ამ ხელნაწერს მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარს აკუთვნებდა, ხოლო მეორე გამოცემაში—ის მას მეთოთხმეტე საუკუნის ნახევარში გადააქვს (გვ. 20—21).

ამ რედაქციას, როგორც ვთქვით, საფუძვლად უძევს ჯამის (გარდ. 1492 წ.) რედაქცია, მაშასადამე, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ის მეთოთხმეტე საუკუნეშია გადმოქართულებული. არამტუთ მეთოთხმეტეში, მეთექვსმეტე საუკუნის პირველი ნახევრისთვისაც ნაადრევი იქნება მისი მიკუთვნება. საერთოდ, უფრო დაკვირვებული და გაღრმავებული შესწავლა საეჭვოდ ხდის მის წარმოშობას მეთექვსმეტე საუკუნეში, ხელნაწერი, როგორც აღვნიშნეთ, არ იძლევა ეკვიპოტანელ, კონკრეტულ ნიშნებს, რომ ის მეთექვსმეტე საუკუნეს მივაკუთვნოთ, ამ ნიშნებით ის, როგორც მისი აღმწერელიც უჩვენებს, მეჩვიდმეტე საუკუნეშიც შეიძლება გადატანილ იქნას⁵. ისეთი მკოდნე ქართული მწერლობისა, როგორიც იყო თეიმურაზ I, ამ თხზულებას არ იცნობს (ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება თვით მისი რედაქციის მონაცემებიდან). მაშასადამე, ის ჯერ ან არ არის დაწერილი, ანდა გავრცელება ვერ მოუსწრია. თვით პოემაში ისეთი-ნიშნებია, რომელიც საეჭვოდ ხდის მის წარმოშობას მეთექვსმეტე საუკუნეში. ერთ ადგილას აქ ვკითხულობთ:

¹ «არჩილიანია», ტ. II, სტრ. 705.

² «ქართლის ცხოვრება», II, გვ. 45—46.

³ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 102.

⁴ E. T a m a x v i k i, Описание рукописей, II, გვ. 267—268.

⁵ წინათ ჩვენ XVI საუკუნის სასარგებლოდ ვუჩვენებდით ა-მეტობას პოემაში, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს მოუღწია XVII საუკუნეშიაც გვხვდება (იხ. მაგალითები «ვეფხისტყაოსნის», I, გვ. 65—66, 68).

მაჯნუნის მსგავსად დაეწყებ კარდაკარ დაყუღებასა, ტარდელს დავესახები, ველსა ვიქ ზმირად ბნედასა, აეთანდოსავით ვარცხლაეთა უამბობ ჩემსი სეველსა, ტანსა ცხვარის ტყავს დავეკრავ, თაესა დაიერქვამ დედასა. (312).

ჯიმშითას მსგავსად გაუიქვრი, ნადირთა შევენახები, ზოსროვით ხვეწნას დაეწყებ, შირინსა არ ვეწყალები; თაესა ამაზე წაეაგებ, არა ეთქვა ემამას რას ვები, სისხლსა წერაქვზე გარდესხამ, ფარჰადსა დავესახები. (313).

ეს სტროფები, უნდა ვიფიქროთ, თვით ქართველ პოეტს ეკუთვნის, მას სკოლდია არსებობა ლელიმაჯნუნიანისა და ზოსროვშირინიანისა, ეს მას ისედაც, ქართული თარგმანის გარეშეც, ეცოდინებოდა. რაც შეეხება «ჯიმშითას» აქ იგულისხმება «შაჰნამეს» ჯიმშიდი, რომელიც, ზააქისაგან დამარცხების შემდეგ, გადაიქარგა და ას წელიწადს იყო გაჭრილ-მოხეტიალე. «შაჰნამეს» ის ნაწილი, რომელშიაც მოთხრობილია ჯიმშიდის ამბები, თუგინდ «შაჰნამეს» მიმბაძველთა შესაფერისი ნაწილები ქართულად, როგორც ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი, გადმოღებულ-გადმოკეთებულ იქნა არაუადრეს მეოთქვისმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. ეთქვათ, ჯიმშიდის ამბებიც პოეტს სპარსული წყაროებიდან ეცოდინებოდა, საყურადღებო იქნება სიტყვები: «ფარჰადსა დავესახები». აქ იგულისხმება სამიჯნურო პოემა «ფარჰადიანია». ეს თხზულება, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ქართულადც ყოფილა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ქართული ტექსტი კი არ გვიანტერესებს, არამედ სპარსული. «ფარჰადიანია» სპარსულად დაწერილია ვაჰში ქირმანელის მიერ, რომელიც 1583—4 წლებში გარდაიცვალა¹. მაშასადამე, მეოთქვისმეტე საუკუნის გასულამდე თუ მიგრდემეტის დამდეგამდე ვერ დაიწერებოდა ის თხზულება, რომელიც «ფარჰადიანს» ასახელებს, თუ, რასაკვირველია, ფარჰადის სამიჯნურო თავგადასავალი მას ამოღებული არ აქვს უშუალოდ ზოსროვშირინიანისა რომელიმე სპარსული რედაქციიდან.

მეორე ადგილას პოემაში ვკითხულობთ:

ვით ვაქო უსთაქარები, რადგან ფრანგები არისა,
რა გითხრა მათი ამბავი, ან გრძნეულობით რა რისა;
სახლი აავეს ისეთი, უხლომი კაცთა გვარისა,
ბრუნედის, გარდაყვირდის, ხმა მოლის მულამ ზარისა (689).

აქ ლაპარაკია ფრანგებზე, როგორც საუცხოო ხუროთმოძღვრებზე. საერთოდ ფრანგებზე, მათ ცხოვრებაზე, ზნე-ჩვეულებასა და განათლებაზე ლაპარაკი ხაზგასმით იწყება XVII საუკუნიდან. ასე, მაგალითად: «საფრანგეთსა მე ვისწავლე სულ ზნენია» (მამუკას «ზააქიანში», სტრ. 24), «საფრანგეთისა სამეფო, უწყით, სხვათ უზესთესია, მის ქვეყანისა ხელმწიფე ცასაცა უმაღლესია» (ნო-

¹ მართალია, უფრო ადრე ასეთი თხზულება «ჩალათურა» ენახე ალიშერ ნაოიმ დაწერა, მაგრამ ქართულად «ჩალათურა» ენახე დაწერილი შრომის გამოყენება ამ დროს სრული აუცილებლობით მოსალოდნელი არაა.

დარ ციციშვილის «ბარამგურიანი», სტრ. 1316) და სხვ. ასეთი ნიშანდობლივი სიახლოვე დასავლეთ ევროპის, კერძოდ საფრანგეთის, სამყაროსთან XVI საუკუნეში არ არსებობს, ის XVII ს. იწყება. XVI ს-ში ოსმალეთმა საბოლოოდ შეუკრა გზა ევროპელებს საქართველოსაკენ და ქართველებს ევროპისაკენ, იმ ზომამდე, რომ „მთელი ამ საუკუნის განმავლობაში ვერც ერთ მისიონერს ველარ ვხედავთ საქართველოში“¹, ვერც ვაჭარს. კერძოდ, ეს მოტივი, ფრანგ არქიტექტორების მიერ საუცხოო სასახლის აგება, დამოწმებულია აგრეთვე სწორედ XVII საუკუნის ძეგლში, ფეშანგის „შაჰნავაზიანში“:

სახლო საღიზოდ ნაგები, მტკუარს ადგა ტურფა თალარი,
ფრანთ ოსტატთაგან ნაგები, მათგანვე განათალარი;
ჰკრეს მათნი ხელოვნებანი, მოპართუს ამო თალარი².

ყოველივე ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ რედაქციის ავტორი თეიმურაზის რედაქციას არ იცნობს. ის რომ მის დროს ყოფილიყო, არ გაკადნიერდებოდა ამ დიდი პოეტის ნასაქში გაემეორებინა. აქედან, მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს პოეტი და თეიმურაზი ან პარალელურად ერთ დროს მუშაობდნენ „იოსებზილიხანიანზე“, ანდა პირველი რედაქციის დაწერიდან ისე მცირე დრო გავიდა თეიმურაზის რედაქციის შექმნამდე, რომ მისი არსებობა ჯერ არავენ იცოდა. ერთი სიტყვით, უცნობი პოეტის „იოსებზილიხანიანი“ XVII საუკუნის პირველ მეოთხედზე უგვიანესი არ უნდა იყოს. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ მთარგმნელი იცნობს ჯამის მიმბაძველთაგან მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულის პოეტს ბადრის. გამოსულია ის ისეთი დიალექტური წრიდან, რომელსაც ახასიათებს ა-მეტობა, რ-ს შეცვლა ლ-თი (აღის-არის, გიშელთა-გიშერთა, გიშელი, გიშლის—გიშერი, გიშრის და სხვ.), შ-ს — ჩ-თი (ორჩია — ორშია, მისდღეჩი — მისდღეში). ისე დიდი იყო თეიმურაზის ავტორიტეტი, რომ მისმა რედაქციამ საბოლოოდ მოაშთო და გასაქანი არ მისცა ამ უცნობი პოეტის რედაქციას, თუმცა უკანასკნელი პირველს არ ჩამოუვარდებდა არც შინაარსის ინტერესით, არც ლექსის მუსიკალობითა და რთიმათა სიმდიდრით, არც მოხდენილი, ლირიზმით აღსავსე ადგილებით. ის მხოლოდ ერთი ხელნაწერით გადაარჩენილა და, წარმოიდგინეთ, სულხან-საბა ორბელიანისთვისაც კი უცნობი დარჩენილა, ყოველ შემთხვევაში, მის ლექსიკონში ეს შრომა გამოყენებული არაა, ჩვენ 47-მდე ისეთი სიტყვა დავთვალეთ ამ პოემაში, რომელიც საბას არ განუშარტავს³.

¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 69—70.

² გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის გამოც., სტროფი 185. ცნობილია, რომ ვახტანგ V დასავლეთ ევროპიდან ითხოვდა ინჟინრებსა და მექანიკოსებს, რომელთაც მტკვარზე ისეთი წისკვილი უნდა აეგოთ, როგორც რომის მდინარეზე ყოფილა (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 27). ფრანგი ოქრომჭედელი და მესათე იმ დროს სამეგრელოშიც კი ყოფილა (იქვე, 147).

³ ამთგან 20-მდე სიტყვა არც გამომცემლის, გ. ჯაკობის, სპეციალურ ლექსიკონშია განშარტებული. ესენია: აფსანა (565), დილაშბარი (433), ზინჯილი (119), ლოლურსვი (688), მედანი (222), მსხიმილი (5), რუბათი (510), სალარი (150), სხნაკვა (541), ფავარა (385), ქეზად (61, 260), ქიტიშა (403), ქუნჯი (510), ყაშხა (403), ყაშხაში (249), ყარღოვი (687), ხარმანი (216), ჰაშვი (403), ჰელალი (22), ჰეშვანი (59), ჰილალი (22). შეად. აღ. გ. ვახტარია, „იოსებზილიხანიანის“ ანონიმური ვერსიის ლექსიკოლოგიური საკითხები. „ქველი ქართული მწერლობის საკითხები“, I, 127—137.

ეს სტრიქონები აწყობილი იყო, როდესაც გავიციანით ახალგაზრდა მკვლევარის, ა. გ. ვ. ა. ხ. ა. რ. ა. ს., საყურადღებო ნარკვევი: „იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, 1. ანონიმური ვერსია“ (1958). მკვლევარის მთავარი თეზა ასეთია: ქართული ანონიმური ვერსია იოსებ-ზილიხანიანისა უშუალოდ ჯამის რედაქციიდან არ მომდინარეობს, ის აღმოცენებულია ჯამის მიმბაძველთა წრეში და მას საფუძვლად უდევს ერთ-ერთი, დღეს უცნობი, მიმბაძველის შრომა, რომელიც ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა. ასეთი კატეგორიული დასკვნა, ვფიქრობთ ნაადრევია.

მართლაც, როდესაც ჯამის რედაქციას ქართველი ანონიმის ვერსიას ვუდარებთ, ამბობს მკვლევარი, ერთბაშად თვალში გვცნებათ დიდი მსგავსება მათ შორის: ერთნაირია არა მარტო ამბის ზოგადი განვითარება, სუეტიური ხაზი, არამედ ხშირად დეტალებამდე დამთხვეული ცალკეული ეპიზოდები (გვ. 117). თუ ეს ასეა, რატომ უნდა გავწყვიტოთ გენეტიკური კავშირი ჯამისა და ქართველი ანონიმის შრომათა შორის? საქმე ისააო, ამბობს მკვლევარი, რომ ყველაფერი ის, რაც საერთოა ჯამისა და ანონიმისათვის, დაიმტკიცება სხვადასხვა სპარსულ ვერსიაში. თითო-ორი ისეთი დეტალი, რომელიც მხოლოდ ჯამის რედაქციაში და ქართულ ვერსიაშია, შეიძლება აღმოჩნდეს რომელიმე დღეს უცნობ ვერსიაში (142). გამოდის შემდეგი: ერთი და იგივე დეტალი, რომელიც მოიძებნება ჯამის, მისი სპარსული მიმბაძველების და ქართველი ანონიმის ერთსახელოვან პოემაში, ამოღებულია ქართველის მიერ არა ჯამისაგან, არამედ მისი მიმბაძველებისაგან. გაუგებარია, რატომ, რა საბუთით უნდა ვიფიქროთ ასე, რატომ უნდა აეღო ეს საერთო დეტალები ქართველ პოეტს არა საყოველთაოდ ცნობილი და ავტორიტეტად მიღებული ჯამისაგან, არამედ ვიღაც უცნობი და უსახელო მიმბაძველისაგან? უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს მკვლევარის სიტყვები, რომ თითო-ორი მსგავსი დეტალი, რომელიც ჯამის და ანონიმის ვერსიებში შეინიშნება მხოლოდ, შეიძლება აღმოჩნდეს რომელიმე დღესდღეობით უცნობ სპარსულ ვერსიაში: „შეიძლება“ და „არც შეიძლება“, აქ გადაკრიბს ვერას ვიტყვით, მარჩიელობა კი მეცნიერებაში არ გამოდგება.

ამ შემთხვევაში უფრო მეტი მნიშვნელობა განსხვავებას აქვს, განსხვავება კი ჯამისა და ანონიმის შრომათა შორის საგრძნობია. როგორ უნდა ავხსნათ ეს განსხვავება, გამოდგება ის მკვლევრის თეზის დამადასტურებელ საბუთად? ვფიქრობთ, არა.

მკვლევრის განცხადებით, ანონიმს არ შეეძლო ეს დეტალები თვითონ შეეთხზა ანდა სხვადასხვა სპარსული ვერსიიდან ამოეკრიბა (142). მკვლევარი ამბობს: საიდან უნდა ამოეღო ისინი (განსხვავებული დეტალები) ანონიმს, თუ არა ჯამისთან მეტად დაახლოვებული, მაგრამ ამ დეტალების შემცველი სპარსული ვერსიიდან (124)? ცალკეული დეტალების არსებობა სხვადასხვა სპარსულ ვერსიაში, განაგრძობს ის, იმას კი არ უნდა მოწმობდეს, თითქოს ქართველმა მთარგმნელმა ამოკრიბა და მოათავსა ისინი ერთად. უფრო საფიქრებელი ჩანს ისეთი სპარსული ვერსიის არსებობა, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ყველა ის დეტალი, რაც ქართულ ვერსიას ახასიათებს ჯამისაგან განსხვავებით (127). რა გვეთქმის ამის შესახებ?

მუშაობის პროცესი სპარსელი პოეტებისა, რომელნიც ჯამის ბაძავდნენ, ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ისინი ჯამის პოემას ან აკლებდნენ რამეს, ან უმატებდნენ თავისი საკუთარი ფანტაზიით თუ სხვა ავტორების შრომითა დახმარებით, მათ შექონდათ ტექსტში ესა თუ ის ცვლილება თავისი მიზნისა და ჩანაფიქრის შესაბამისად. თუ ასეთი მუშაობა შესაძლებელი იყო სპარსელი მიმბაძველისათვის, რატომ უნდა ყოფილიყო ის შეუძლებელი ქართველი პოეტისათვის, რომელმაც, როგორც ჩანს, ზედმიწევნით იცოდა სპარსული ენა და არანაკლებ სპარსული ლიტერატურა. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ მას შეეძლო მხოლოდ მზამზარეული კრებული ეთარგმნა? ჩვენ რასაკვირველია, სინამდვილეს შევუპირებოდით, თუ ხელთ გვექნება მზამზარეული კრებული, მაგრამ ასეთი დღესდღეობით არ არსებობს, მკვლევრის განცხადებით, ასეთი რამე ალბათ იყო: აქაც ისეთ მარჩიელობასთან გვაქვს საქმე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

აღორძინების ხანაში სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებათა გათვალისწინებით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯამის პოემა ქართველ პოეტს, მსგავსად სპარსელი მიმბაძველებისა, გამოუყენებია ქარგად, რომელზედაც ამოუქარგავს მის ნაწარმოებში მოცემული სახეები და დეტალები, ამოუქარგავს სპარსული მწერლობის ყაიდაზე, ხშირად იმ ძაფებით, რომელნიც სპარსული მიმბაძველების სხვადასხვა ლიტერატურულ ძეგლში გვხვდება. ის მუშაობდა იმ მეთოდით, რომლითაც მუშაობდნენ ჯამის მიმბაძველნიც. ქართველი ანონიმი ჯამის ისეთივე მიმბაძველია ქართულ ნიადაგზე, როგორც არიან სპარსულ ნიადაგზე სპარსელი მიმბაძველები. მიმბაძველობა აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში ძლიერად იჩენს თავს; ჰბაძავდნენ არა მარტო მშობლიურ, ეროვნულ ავტორიტეტებს, არამედ სპარსელებსაც, მოვიგონოთ, თუ გნებავთ, თეიმურაზ I, ნოღარ ციციშვილი და სხვ.

ორიოდე სიტყვა თხზულების თარიღის შესახებ. ჩვენ არ უნდა ვიყოთ სიმაართლეს დიდად დაშორებული, როდესაც ასეთ თარიღად დაახლოვებით მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედს ვიღებთ. ამიტომ ზედმეტია ცდა ამ თარიღის მეთექვსმეტე საუკუნის შუა წლებში გადატანისა, მით უმეტეს, როდესაც მკვლევარისავე განცხადებით ხელშესახები საბუთი ამისათვის არ მოიპოვება (144). ეს რომ ისეა, იქიდანაც ჩანს, რომ სხვა ადგილას (გვ. 155) ასეთ თარიღად მას მეთექვსმეტე საუკუნის დასასრული მიუჩნევია (в конце XVI века).

რაც შეეხება ქართველი ანონიმის ვინაობას, შეიძლება მისი სახელი მართლაც ზაალი იყო. თხზულების ბოლოში ვკითხულობთ: „ასრე უნდა, ზაალხელო, ერთმანეთის სიყვარული“. ამ სიტყვებში მკვლევარი სამართლიანად ხედავს მიბაძვას ჯამისა და მიმბაძველი ბადრისადმი, რომელთაგან პირველი ამბობს შესაფერის ადგილას: „მოდი ჯამი, შენი ყოფიერებისაგან თავი შეიკავე“, მეორე კი — „მოდი, ბადრი, ამ არსის ყოფიერებას თავი დაანებე“ (144—5). სასურველია გაიკვივს მისი ვინაობა. საკითხის დასმის წესით: ხომ არაა ეს ზაალი ის ზაალი თუ მანიშვილი, რომელსაც მის სიტყვებზე დაყრდნობით (ხელნ. A 790), ზ. კიკინაძემ და თ. ეორდანიამ ლელმაჯუნიაძის გადმოქართულება მიაწერეს? ქრონოლოგიურად ეს ზაალი დიდად დაშორებული არ უნდა იყოს იოსებზილიხანიანის გადმოღების დროს.

4. ლეილმაჯნუნიანი

„ლეილმაჯნუნიანი“ ერთ-ერთი უპოპულარესი რომანული ნაწარმოებია აღმოსავლურ ლიტერატურაში. უკანასკნელმა თვრამეტამდე ასეთი ნაწარმოები იცის. პირველი პოეტი, რომელმაც ასეთი პოემა დაწერა, არის აზერბაიჯანის გამოჩენილი პოეტი ნიზამი განჯელი (1141 — 1203 წწ.). ეს პოემა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ნიზამის ცნობილი ხაშსესი. ის მას დაუწერია 1188 წელს შარვანში აღსართან მეორის შეკვეთით, რომლისათვისაც მიუძღვნია იგი.¹ ნიზამის შემდეგ და მისი მიბაძვით ასეთი პოემა დაუწერიათ აღმოსავლეთის პოეტებს: ამირ ხოსროვს—1299 წელს², ჯამის—მეთხუთმეტე საუკუნეში³, პატფის—მეთექვსმეტეში⁴ და სხვ.

როგორც ზემოთ ვამბობდით, „ლეილმაჯნუნიანი“ ჯერ კიდევ კლასიკურ პერიოდში უნდა ყოფილიყო ქართულად გადმოღებული, მაგრამ ის ჩვენამდე არ შენახულა. ამ პოემის ერთადერთი რედაქცია, რომელიც ქართულ ენაზე შენახულა, ეკუთვნის აღორძინების ხანას⁵. შინაარსი მისი მოკლედ ასეთია:

ახაბეთის ქალაქ ლაზაში ორი მონათესავე, მეფეთა შთამომავალი, ოჯახი ცხოვრობდა. ერთსა და იმავე ლამეს ერთ ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც ყაისი უწოდეს, ხოლო მეორეში—ქალი, რომელსაც ლეილი დაარქვეს. ვაჟს, მეტად ლამაზს, ერთი ზნე გამოაჩნდა: თუ ძიძა ლამაზი არ იყო, მის ძუძუს პირს არ ახლებდა. ანტროლოგებმა მის დედ-მამას უწინასწარმეტყველეს, რომ ის შეუღარბელი მიჯნური გახდება, ასე რომ მიჯნურობისაგან უდაბნოში გაიქრებაო. შეიდი წლის ყაისი და ლეილი მშობლებმა ერთსა და იმავე სკოლაში მიაბარეს მოლას. ბავშვები ჯერ კარგად მეცადინეობდნენ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ყაისმა სწავლაზე გული აიყარა. მოლამ აღმოაჩინა, რომ მას ლეილი უყვარს, ამისათვის ის სკოლიდან გააგდო, ლეილი კი მშობლებს გადასცა. ლეილმა დედ-მამა დაარწმუნა მოლას ექვების უსაფუძვლობაში. მაჯნუნი კვდება ლეილის უნახაობით, ის დროგამოშვებით, ჩუმად, მიირბენს ხოლმე სასწავლებელში და ჰკოცნის იმ ადგილს, სადაც ლეილის გაუვლია. ერთხელ მას სევდისაგან გაეხსნა მკლავის ძარღვი და სისხლიდან იცლებოდა. ასეთ ავადმყოფმა თავზარდაცემულ მშობლებს ურჩია მოეტანათ მიწა, რომელსაც ლეილის ფეხი შეხებია ოდესმე, და ქრილობაზე დაეყარათ. მართლაც, ამ გზით მას სისხლის დენა შეუჩერეს, თუმცა მის სულიერ მდგომარეობას, თუ უარესობა არა, გაუმჯობესება არ ეტყობოდა. მშობლებმა გამართეს თაობირი ყაისის შესახებ. ნათესავებმა ურჩიეს შეერთოთ მისთვის ლეილი. უკანასკნელის მშობლებმა განუცხადეს, რომ ისინი თანახმა არიან, თუკი ვაჟს ცნობა დაუბრუნდო. ასე რომ, ქორწილის დროც დანიშნეს. როდესაც ქე-

¹ H. Ethé, Neupersische Literatur, „Grundriss“, II, s. 241.

² იქვე, s. 244.

³ იქვე, s. 305.

⁴ იქვე, s. 246.

⁵ გამოცემულია ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას მიერ (თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 24—59).

ბინის წიგნს კითხულობდნენ, ყაისს შეშლილობის ნიშნები აღმოაჩნდა; მან ვერ მოითმინა და კონცა დაუწყო ლეილის გოშიას. ლეილის მშობლებმა ამისათვის ის სახლიდან გააგდეს. ამის შემდეგ ყაისი უდაბნოში გაიქრა, მამა მოუკედა, მისი ქონება ლეილის დედ-მამის ხელში გადავიდა, ხოლო დედა-მისი დარჩა უსურვეშო მღვდმარეობაში. ლეილიც მეტად შეწუხებული იყო და დღედღობით ილეოდა. ერთხელ მის სახლში მათხოვრის სახით მოვიდა მაჯუნუნი, ლეილა ის იცნო, მოწყალეობა გამოუტანა, მაგრამ ვეღარ მოითმინეს და ერთმანეთს მოეხვივნენ. დედამ ეს დაინახა და საშინლად სცემა ქალს, სულ თმებით ათრია მიწაზე, მაჯუნუნი კი ჯობის ცემით გააგდო ეზოდან. ზაფხულზე ლეილის მშობლებმა მოინდომეს მისი მთებში გადაყვანა გამოსაჯანსაღებლად. აქლემი, რომლითაც ლეილი მიჰყავდათ, ჩამოშორდა ქარავენს და უდაბნოში გავიდა. აქ ის წაეჩხება მხეცებს, რომელთა შორის მაჯუნუნიც აღმოჩნდა. მხეცები გაითანტენენ, მაჯუნუნი დარჩა მარტო და, როდესაც ლეილი დაინახა, ჰკითხა მას: ვინა ხარ, ან რა გინდა ჩემგან? მე ვარ შენი ლეილიო, — უპასუხებს ქალი. მაჯუნუს ამ სიტყვების გაგონებაზე გული წაუვიდა. ლეილი გადმოხტა აქლემიდან და მაჯუნუნი გონზე მოიყვანა. ის მას ეალერსება, ანუგეშებს და ეუბნება: დამშვიდდი, ამიერიდან ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს ერთმანეთს, აღექი, აქლემი წაყვადე და დავიმალეთ, თორემ მე ძებნას დამიწყებენო! სანამ ცოცხალი ვიყავ, ნება არ მომცემს შენთან ყოფნით დაემტკებარიყავ, ახლა კი, როდესაც მე აღარც კი ვარსებობ, ყველაფერი დაგვიანებულიაო, — უპასუხებს მაჯუნუნი. ამ დროს მათ თავზე წაადგნენ მძებნელები, ლეილი გამოსტაცეს მაჯუნუს და მიჰგვარეს დედას. ერთხელ ლეილის მშობლების სანახავად მოვიდა ქ. ბასრის ამირა, შვილი ბაღდადის ხალიფასი, რომელიც ბიძად ხედებოდა ლეილის მამას. აქ, ნადირობის დროს, მას შეხვედრია მაჯუნუნი, შებრალებია ის, დაწვრილებით გამოუკითხავს მისი ვინაობა, დაპირებია დახმარებას და თან წამოუყვანია. სახლში რომ მოვიდნენ, მშობლებმა ლეილი გამოიყვანეს. ხალიფას შეიღს მეტად მოეწონა ის, მან განიზრახა მისი შერთვა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო წინასწარ მაჯუნუს გზიდან ჩამოშორება. ამიტომ მან მოინდომა მისი მოწამვლა, შეცდომით მოწამლული სასმისი ხალიფას შეიღს მიაწოდეს, ასე რომ მაჯუნუს მავიერი ის მოიწამლა. ამ დროს მოვიდნენ მოციქულები შვილთა ხელმწიფეთაგან ლეილის სათხოვნელად, მაგრამ მისმა მამამ ყველას უარი შეუთვალა. ლეილს დარღისაგან ღონე თანდათან ეცლებოდა, ბოლოს და ბოლოს გარდაიცვალა კიდევაც. მაჯუნუნმა რომ ეს გაიგო, მივიდა მიცვალებულთან, დაემხო მის კუბოზე, მღუღარე ცრემლებით გამოიტირა თავისი სატრფო და თვითონაც იქვე განუტევა სული. შეყვარებულები ერთად დაასაფლავეს.

მიერ ქაბთაგან გაისმა სარსეთს აბაჲი მათიო,
 შეამკეს მოშაირეთა ოგ ბროლ-ჯარ-მინა სათიო. (249).

ლეილის გარდაცვალების შემდეგ მისმა მშობლებმა სიზმარში ნახეს მშვენიერი წალკოტი, გარშემოზღუდული ზურმუხტის კედლებით, ზურმუხტისავე კოშკებით დამშვენებული, აყვავებული სხვადასხვაგვარი ყვავილითა და ხები-

ლით, აქ ფრინველდნენ და ნავარდობდნენ მშვენიერი ფრინველები, რომელნიც თავიანთი მომხიბლველი გალობით იქაურობას ატკბობდნენ. ამ წალკოტში გამოდიოდა ოთხი მდინარე: წყლის, რძის, თაფლისა და ღვინის, ვისაჲ რომელი უნდოდა, იმას სვამდა, საქმელად ხმარობდნენ ხილსა და ფრინველთა ხორცს.

ეს არის მათი საშობე, შამხად ამგვარად უწესა:
ქალნი და ეჟნი ტურფანი მუნ მყოფთა გვერდა უწევსა,
იგ დაფარულნი ასონი, უთქვამს, სამ წყრთამდი უწევსა,
მთქმელსა და დამჯერებელსა ამა ამბისა ფუ წვერსა. (261).

მათს ფელამბარსა საშობე მუსაფში ესრეთ უქიან;
ქალებსა ჰური, ფერი და ეჟებსა ყილმან უქიან.
ნდობა არ მოაკლდებისო, მათთან აღერსი თუ ქნიან,
ეგზობინი სულნი ვით ჯერან, მიევირს, არ გაუქიქიან. (262).

აი, ასეთ სამოთხეში იხილეს მშობლებმა ლეილი და მაჯუნნი.

უთხრა თუ: მე ვარ ლეილი, ეს მაჯუნ, ჩემთვის ხელები,
მუნ არ გეძყოფეთ ჩვენ ერთად, მით გეწვიდა ცეცხლი ცხელები.
ცოდვი არ აყო ჩვენს შუა, არ საქმე საციცხელები.
აქ მან შეგვეყარა, წყალობა ვის აქუს აურაცხელები. (266).

უწყოდეს ღმერთმან მოწყალემ, არ ბრალი გვეონდა, ბილწობა,
მუნ უზაკველი სურვილი, არ ცუდი გოგო-ბიჭობა,
იქ უსამართლოდ წაეციხდა ჩვენ კბილთა მარგალიტობა,
აქ მოგვცა მონამართლემან ერთმანერთისა კვირიტობა. (267).

ვის გადმოაკეთა ქართულად ლეილიმაჯუნნიანისა ეს რედაქცია? ზ. კიკინაძე გადმოგვეცემს, რომ ეს სოცემა ქართულად უთარგმნია ზაალ თუმანიშვილს, რომელიც თითქოს ერთ თავის ლექსში წერს, რომ თხზულება მან სპარსეთში ყოფნისას გადმოიღო¹. ჩვენ არ ვიცნობთ არც ზაალ თუმანიშვილს და არც იმ ლექსს, რომელშიაც ასეთი ცნობა ყოფილა. ვფიქრობთ, რომ ეს ცნობა შედეგია. გაუგებრობისა და მომდინარეობს ლეილიმაჯუნნიანის ერთი ხელნაწერიდან, რომელსაც ასეთი მინაწერი აქვს:

ცოდვილმან თუმანიშვილმან, მეტად გარჯილმან სულობით, —
სამკვიდრო მოშორებული მე ვიყავ დაკარგულობით, —
ზაალად ჩემი სახელი, პირველნახობი სულობით,
ეს დაწერე ცოდვილმან, ცოტა ვილაყებ სულობით.²

ამ სიტყვების მიხედვით, ზ. კიკინაძემ, და მასთან თ. ეორდანიამაც³, დაასკვნეს, რომ ზაალ თუმანიშვილი არის ლეილიმაჯუნნიანისა გადმომთარგმნელი. მაგრამ სიტყვა «დაეწერე» აქ შეთხზვა-გადმომთარგმნას კი არ ნიშნავს, არამედ «გადმოწერას», პირის გადაღებას.

¹ ლექსნი, თქმულნი თეიმურაზ პირველისაგან, გვ. 63.

² A 790, ფ. 46.

³ Описание рукописей церк. музея, II, გვ. 224. ა. ხარაშიძის ცნობით, ეს ხელნაწერი XVIII ს. პირველი ნახევრისა (თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 013).

ასეთივე გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს «კალმასობის» ავტორის, იოანე ბატონიშვილის, ცნობა, რომელიც ამბობს: «იაკობ შემოქმედელი, კაცი მეცნიერი და მესტიხე პირველი, ამან შემოქმედელმან გალექსა ლეილი-მეჯუნნიანი»¹. არავითარი ცნობა არ არსებობს იმის სასარგებლოდ, რომ იაკობ შემოქმედელს ასეთი რამე ეთარგმნოს.

• ნამდვილად ეს შრომა ეკუთვნის პოეტ თეიმურაზ პირველს. ეს შემდეგიდან ჩანს: 1) პოემის ნუსხებს აწერია: «ეს ამბავი სპარსთა ენათაგან ნათარგმანებია ლთოვევირგვინოსანის მეფის პატრონის თეიმურაზისაგან და ლექსადაც მისგანვე თქმულია». 2) ნოდარ ციციშვილი თავის «ბარამგურიანში» ამბობს:

თეიმურაზ თქვა ამბავი ოსებ-ზილხანისი,
ლეილის ქება, სიტურფე და მეჯუნნისა ჯანისი².

3) არჩილ მეფე «არჩილიანში» ათქმევენებს თეიმურაზს:

ამ დროს ვთქვი ლეილ-მაჯუნნი, ზილხან-ოსებისა,
ქება, შეენება, სიტურფე, მეჯუნრთა ცეცხლებერ დებისა³.

4) თეიმურაზის ხელს ამგლანებს თარგმანის შესავალი და ბოლოსიტყვაობა, სადაც იგივე აზრებია გატარებული, რაც სხვა მის უცილობელ შრომებში, სახელდობრ, «შიში და ბოდიშის მოხდა», რომ, საეკლესიო-სასულიერო თემების დამუშავების ნაცვლად ის ამგვარი ზღაპრების თქმაზე ჰკარგავს დროს.

«არჩილიანის» ზემომოყვანილი სიტყვები საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ პოემის გადმოთარგმნის დრო. ამ დროშია იგულისხმება დრო, როდესაც თეიმურაზი ქართლ-კახეთის ტახტის გამგე იყო და შედარებით მოსვენებულიც ლიტერატურული მუშაობისათვის, ესე იგი 1629—1633 წლები.

თხზულება რომ სპარსულიდანაა გადმოკეთებული, ეს თვით თეიმურაზის სიტყვებიდან მელაენდება:

ხელუპო, წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე ბოჯმენლობით. (1).

საძიებელია მხოლოდ, რომელი სპარსული რედაქცია ჰქონდა თეიმურაზს ხელთ?

ამ საკითხის გასარკვევად ერთადერთი გზა არის ქართული რედაქციის შედარება სპარსულ რედაქციებთან. ამ მიმართულებით აღნიშნული საკითხის გადაჭრა მოინდომა გ. ჯაკობიამ, მაგრამ თავისი შრომა მან შემოსაზღვრა იმის დადგენით, რომ თეიმურაზს არ უთარგმნია არც ნიზამი განჯელისა და არც ჯამის რედაქცია⁴. თეშ ვისი? ამის კვლევაზე ის ხელს იღებს, ყოველ შემთხვევაში,

¹ «კალმასობა», II, გვ. 189.

² კ. ევქელიძის გამოცემა, სტროფი 7.

³ «არჩილიანი», ტ. II, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, სტრ. 705.

⁴ თეიმურაზ I, გვ. 258—264. სამწუხაროდ, მკვლევრის ანალიზი და შედარება, ყოველ შემთხვევაში ნიზამის ხაზით, სწორი და ყოველთვის სანდო არაა. ჩვენ ხელთ გვქონდა ნიზამის ლეილმაჯუნნიანის შემოკლებული რუსული თარგმანი («Востоки», Сборник II, Литература Ирана X—XV вв., 1835 г.) და აღმოჩნდა შემდეგი: გ. ჯაკობია გვარწმუნებს, რომ 1) ნიზამით ლეილისა და მეჯუნნის სიყვარული სკოლაში კი არ დაწყებულა, არამედ მას შემ-

„ჯერჯერობით“. ქართულ-ირანული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის სპეციალისტების მორიგი ამოცანა მდგომარეობს სწორედ ამგვარი საკითხების კვლევა-ძიებაში.

გ. ჯაკობიას სინამდვილესთან უფრო დაახლოებულად მიაჩნია მოსახრება, რომ თეიმურაზის ლეიღმაჯუნეიანი ცნობილი არაბულ-სპარსული ლეგენების დამოუკიდებელი დამუშავებაა, ვიდრე პოემის რომელიმე სპარსული რედაქციის გადამუშავება-გადმოკეთება¹. შეუძლებელია იმაში დაეინახოთ დამუშავება ლეგენდისა და არა ლიტერატურული ნაწარმოებისა. თვით თეიმურაზი ამბობს: *ხელ-ვჰყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე მთარგმნელობითა (1), წიგნებს. და არა ზეპირ ლეგენდას, ანდა:*

სპარსთა ენისა სიტკობან მასურვა მუსიკობანი,
მათ შეწმანსილთა სიტყვათა მინდა მარტივად მზობანი. (4).

აქაც ნაგულისხმევია სპარსული მხატვრული ლიტერატურული შემოქმედება და არა ლეგენდური თხრობა. უწყისი ღმერთმანა, ამბობს ის, *უსმენლად არა რა მომიგონიაა (270), ესპარსთა ძლიე თქეეს მისნი კირნი, აწ ვით ამბობს ჩემი ენა (131)? არც ამ სიტყვებში უნდა გვეკონდეს საქმე უბრალო, დაუმუშავებელ ლეგენდასთან. ეჭვი არაა, თეიმურაზს ხელთ ჰქონდა პოემის ერთ-ერთი, შეიძლება არა ერთი, არამედ რამდენიმე, სპარსული რედაქცია და მან ის ისე თავისებურად გადააკეთა და გადაამუშავა, როგორც იოსებზილიხანიანი. ის ხომ ხაზგასმით ამბობს: სპარსელების „შეწმანსილთა სიტყვათა მინდა მარტივად მზობანიო! (4).*

დღე, რაც ლეილის სიღამაზე გაითქვა და ყაისი დავაქაცდა, ზეპირად, უნახავად. ამასთან ერთად, ნიხამი თითქოს არ იცის თეიმურაზის ამბები ბავშვების ერთსა და იმავე სკოლაში სწავლების, სიყვარულის ნიშნების, შოლას ჩარევის, სკოლიდან მათი დათხოვნის, ყაისის მიერ ლეილის ფეხნაბიჯების კონცის შესახებ (გვ. 258). ნამდვილად კი ყველაფერი ეს ნიხამისაც ჰქონია («Восток», II, გვ. 274—277). 2) თითქოს, თეიმურაზით, ლეილისა და ყაისის შშობლები უმაღლე თანხმდებიან მათ დაქორწინებაზე (გვ. 259), ნამდვილად კი ლეილის შშობლები «უმაღლე» არ თანხმდებიან. ისინი ამბობენ: *თქვენმა ეჟამ ჩვენ სათაქილო საქმე გვიყო, ასული მოგვიყენა, აჯავსო სირცხვილით, ჩვენ მას ქალს მიეცემთ იმ შემთხვევაში, თუღა ცნობა მას ედება, თორემ გიყს როგორ შეერთავთ, მასაც რამე გადაედებო (სტრ. 65—56). 3) თეიმურაზის რედაქციით, ლეილის ცოლად შერთვა თითქოს ბაღდადის ხალიფას უნდა (გვ. 260—283), ნამდვილად კი ასეთი სურვილი აქვს არა ბაღდადის ხალიფას, არამედ მის შვილს. ქ. ხასრის ამიხას (სტრ. 94—125). 4) მართალია, ნიხამის რედაქციამ არ იცის ლეილისა და მაჯუნენის უღანოში მოვლოდნელად შეხვედრის ეპიზოდი (გვ. 259), მაგრამ თეიმურაზის რედაქციის ცნობა—მაჯუნენს უღანოში «მხეცნი გარ შემოსწოლოდეს, ერთზე თავი აქვს დებული» (სტრ. 75), ცნობილია ნიხამისათვისაც, როგორც ჩანს, ეპიზოდიდან—*მაჯუნენის მხეცებთან შეგობრობა, რომელშიც ნათქვამია: „Ему леопард заменил ковер; и ланя слезла голову друга из себе на грудь..“ (გვ. 299). ნიხამის თითქოს ისე აქვს წარმოდგენილი, რომ, მოკვდება თუ არა ყაისი ლეილის საფლავზე, მხეცები იმ მომენტშივე გაითანტებიან ქვეყნის სხვადასხვა მხარეს (გვ. 262), ნამდვილად კი „ერთი წლის შემდეგ“ (გვ. 313) (ამის შესახებ იხ. ჩვენი ნარკვევა: „Руставели и Низами Гянджеви“, თსუ შრომები, V, გვ. 161, შენ. 2).**

¹ თეიმურაზ ბირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 264.

პოემის დასაწყისში თეიმურაზი ამბობს: «ლეილ-მაჯუნის ამბავსა შიხ შეიდს დავეცილები» (5). ვინაა ეს შიხ შეიდი? ეს სახელი ხელნაწერებში სხვადასხვანაირადაა მოცემული, არის ისეთი ხელნაწერები, რომლებშიც იკითხება: შიხ სადი¹. პროფ. დ. კობიძემ ყურადღება მიაქცია², რომ XVI საუკუნის მიწურულში იყო პოეტი შეიხ საადი, რომელსაც დაუწერია პოემა «ლეილმაჯუნინანი». ეჭვი არ არის, თეიმურაზს მხედველობაში ეს პოეტი ჰყავს, რომელიც ქრონოლოგიურად მასთან ახლოს დგას. ალბათ, თეიმურაზის დროს, შეიძლება მის სპარსეთში ყოფნისას, ამ პოემის, როგორც ახალი ლიტერატურული ფაქტის, შესახებ მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი იყო, ამიტომ მას საბაბი მიეცა ეთქვა: «ლეილ-მაჯუნის ამბავსა შიხ სადის დავეცილებიო», ან გაჯიბრების, ან გადამუშავების გზით. ძალიან საინტერესო იქნებოდა გარკვევა თეიმურაზის დამოკიდებულებისა ამ საადის პოემასთან. როგორც უნდა იყოს, თეიმურაზს ამ პოემის გადმოქართულებისას იდეოლოგიური თავისებურება გამოუჩენია. თხზულება გამსჭვალულია ქრისტიანული ელემენტებით, იმაში მკაცრადაა დაცული ის ანტიმაჰმადიანური ტონი, განსაკუთრებით სამოთხის აღწერილობაში, რომელიც იმდროინდელი სასულიერო მწერლობის დამახასიათებელია³.

5. ხოსროვშირინიანი

გამოჩენილი მწერლის, ნიზამი განჯელის, კალამს ეკუთვნის, სხვათა შორის, სამიჯნურო პოემა «ხოსროვ და შირინი», რომელშიაც აღწერილია სასანიანთა ხელმწიფის ხოსროვ ფარეზისა და სომეხთა მეფის ასულის შირინის სიყვარული და თავგადასავალი.

როდესაც ტახტზე ავიდა ხოსროვი, მან გააბედნიერა თავისი ქვეშევრდომებიო. მის დროს გამოჩნდა ბარამ ჩუბინი, რომელმაც ჩინეთი დაიპყრო და იქიდან დიდი ალაფით დაბრუნდა. მას, რაღაც მიზეზით, გაურისხდა მეფე, ასე რომ ის იძულებული შეიქნა გაქცეულიყო. ხოსროვს სურს მისი შეპყრობა და კვლადაკვალ სდევს მას. ის სურათის საშუალებით გაიგებს, თუ რა მშვენიერი არსებობს სომეხთა მეფის ქალი შირინი, და მის გულში აღენთება ამ ქალის სიყვარული. პირველი შეხვედრისას ისინი ელდაცემულნი დგანან და ერთმანეთის გამოლაპარაკებას ვერ ახერხებენ. მეორე შეხვედრისას ეფიცებიან ერთმანეთს განუყრელსა და მუდმივ სიყვარულს. ხოსროვის სხვადასხვა ლაშქრობა და შირინთან სამიჯნურო შეყრა-შეხვედრა შეადგენს პოემის შინაარსს.

¹ H 59, S 3706, S 1511, S 2694.

² ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, «ლიტერატურული ძიებანი», III, გვ. 221.

³ იხ. სტროფები: 132, 256, 257, 261, 262. სხვათა შორის, სპარსეთში, ყანდაარის მახლობლად, ცნობილი ყოფილა ციხე ლეილ-მაჯუნისა («ქართლის ცხოვრება», II, გვ. 72). «ლიტერატურულ გახეთში» (1956 წ., № 19) თ. გო რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლაპარაკობს თეიმურაზის ლეილმეჯუნინანის ლიტერატურული წყაროს შესახებ. ნამდვილად კი ეძებს არა თეიმურაზის არამედ შეიხ საიდის წყაროს, რომელიც საეარუღებელია, მისი აზრით, XV—XVI სს. პოეტის ჯილილის «ლეილმეჯუნინანიში».

ეს პოემა, რომლის წინასიტყვაობა აქვებს სელჩუკთა სულტანს საჰიდ თულულ-ბენ-არსლანს, აზერბაიჯანის ათაბაგს აბუ-ჯაფარ-მუჰამედსა და მის ძმასა და მემკვიდრეს ყიზილ-არსლანს, და რომელიც მიძღვნილია აბუ-ჯაფარისადმი, დაწერილია 1180 წელს¹. მას გამოუწვევია აღმოსავლურ ლიტერატურაში მთელი რიგი მიმბაძველები, რომელთაც თავისი საკუთარი ხოსროვ და შირინი დაუწერიათ. ასეთებია: ამირ ხოსროვი (გარდ. 1325 წ.), Hatifi (გარდ. 1521 წ.), Qasimi Gunabadi (გარდ. 1543—4 წწ.), Hidayat-ullah, Hindu და Sadiq Nami².

„ხოსროვშირინიანი“³ ქართულადაც უთარგმნიათ, მაგრამ არა ლექსით, არამედ პროზაულად. ჩვენამდე შენახულა ამ თარგმანის ერთადერთი ცალი, რომელიც ინახებოდა ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავში, დღეს კი საქართველოს მუზეუმშია მოთავსებული (A 1787)³. ხელნაწერი, რომელსაც ბოლო აკლია, „ხოსროვშირინიანის“ გარდა, შეიცავს კიდევ „ბარამულანდამიანსა“ და „ბაბთიარს“. „ხოსროვშირინიანს“ უკავია პირველი 33 ფურცელი. ის ასე იწყება: „ქ. ამბავი პირველი. დასაწყისი ხოსროვისა და შირინისა, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები. აჯამისა მკოდინარეთა და ბრძენთა ასრე უთქვამთ ესე ამბავი: როდესაც ურმუზის კელმწიფის მზე ჩასვენდა და დღემიწანი გასწორდა, კელმწიფის ძის ხოსროს თავი და მისი ვარსკვლავი ცამდი ამალდა...“. თავდება პოემა შემდეგნაირად: „ხოსროვანის ხე უქვიდამ დავარდა. მოვიდა აღმოსავლეთიდან ღრუბელი და ქექა, სიკვდილისაგან ხოსროვანის მზემ საღამომდე ვერ გასძლო, მაშვიან დაიფარა. შირინმან გამწარებულმან მოვიდა, ნახა რომ სისხლის ღვარით ქვეყანა წითლად შეღებულყო. ალვის ხე ღალაზარში გდია, გულს შემოეყარა, ადგა, ხოსროს თავით ხანჯალი იყო, აილო და დაიხა, მწყურვალე გული სისხლით გააძლო, დანაქერი დანაქერზე დაადვა, სისხლით სისხლი უნდოდა დაეწყვიტა. ამოყობის ერთვულობა და წყის სისხლით დასწერა და დააგლო. შიოს ამბავი მოახსენეს. თავის ბედისთვინაც ავი იყო, არ იამა, მაგრამ შიშით მეჯლისი უბრძანა. ღვინოს სმეღდენ, იმათთან მხიარულობდა, იცინოდა, გული სისხლით სავსე ჰქონდა. უბრძანა, რომ დამარხოვნ. ორი ალვის ხე, უდროოდ წაქცეული, ერთს სამარეში დამარხეს. სიკვდილი ყურთ უკან ლომივით ზის, ჩვენ კურდღელივით ძილში ვართ, იმას ვერ მოგჩჩებით, და გარშემო ის არის და შუაზე ჩვენ ვართ. ადამიანი უმს კურქელს ჰგავს, რომ ზღვაში იყოს: უმი კურქელი რომ დასველდებ, ის მთელი როდისღა ამოვა. სიკვდილი გველე-

¹ H. Ethé, Neopersische Literatur. „Grundriss“, II, 242.

² იქვე, S. 244, 246—7.

³ № 27 на сбор. кн. Грузинского. აღ. ხახანაშვილს ეს ხელნაწერი აღნიშნული აქვს № 19 („Очерки“, III, გვ. 84, შენ. 1). იოანე ბატონიშვილის ხელნაწერების კატალოგში, რომელიც ა. ცაგარლის მიერა გამოცემული, ნაჩვენებია № 94: „ამბავი პირველი დასაწყისი ხოსროისა და შირინისა, სპარსულიდამ თარგმნილი ქართულად. ნაწერი ორგვარად, სრული არ არის“ („Сведения“, III, გვ. 212). აქ ივულისხმება ზემოაღსანიშნული ხელნაწერი № 27, რომელიც მართლაც ორი ხელითაა გადაწერილი და რომელიც ამ სიტყვების ავტორს ერთ თხზულებად, „ხოსროვშირინიანად“, მიუღია.

შპაია საშინელი: ვისაც უნდა ჩაულაპავს და, ქვეყანამ რომ მოინდომოს, ველარ მთარჩენს. არც იმთენი ჭელისძალი გვაქვს; რომ ვეოვმო, არც გაქცევა შეგვიძლიან, რომ გავექცეთ და მოვრჩეთ. რა სიკვდილი მოვა, ცდა აღარ გაეწყობა. სიცოცხლე ქარია, რომ ძირი არა აქვს: ქვეიანმა კაცმა ზურგი არ უნდა მი[ა]ყუდოს, რომ არ წაიქცეს. ხოსროს უკან შირმა სალაროები გახსნა და ქვეყანა საქონლით აავსო და ნადირობდა, სამართლობდა და ხელმწიფობდა“.

რას წარმოადგენს ქართული „ხოსროვირინიანი“? ეს არის თარგმანი პიროდაპირ ნიზამის შრომისა, თუ ერთ-ერთი მისი მიმბაძველისა და გადმომკეთებელისა? ამ საკითხის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ memento-ს, რომლითაც თავდება ქართული თარგმანი: „ქ. ესე ნიზამიმ¹ მოიგონა², თავის სიცოცხლეში შაირობდა, დიდი ხანია მინდოდა, რომ იმისის წყობით³ ლექსები [მეთქვა], იმას ვამსგავსე და ხოსროვირინი დავარქვი და ქორონიკონი ექვსას რვის წლისა იყო, რაჯაბს თვეს დავიწყეთ. ვინც ნახოთ [და] მითხრას, რომ ხოსრო და შირინის სიცოცხლე გათავდა, ღმერთმან აცხონოს“. ეს memento, რა თქმა უნდა, ქართველ მთარგმნელს არ ეკუთვნის, ვინაიდან, ჯერ ერთი, აქ ნახმარია მაჰმადიანური ქორონიკონი; მეორე—როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, თარგმანი ვერ მიეწერება 608 ქორონიკონს მაჰმადიანურად, ანუ 1212 წელს ჩვენებურად; მესამე—აქ წათქვამია, რომ „ლექსები ვამსგავსეო“, ქართული თარგმანი კი არა ლექსით, არამედ პროზაულადაა შესრულებული. მაშასადამე, memento ეკუთვნის ავტორს სპარსული დედნისას, რომელიც ქართველ მთარგმნელს ხელთა⁴ ჰქონდა და რომელიც მან გადმოიღო პოემის ტექსტთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ memento-დამახინჯებულია ხელნაწერის გადამწერის მიერ, ის მაინც შეიძლება ისტორიულ-ლიტერატურულ ფაქტებს გვიშლის თვალწინ: 1) „ხოსროვირინიანის“ დაწერა პირველად მოიგონა ნიზამიმ, რომელიც თავის სიცოცხლეში შაირობდა, ესე იგი ლექსებს წერდა; 2) მეც აღმეძრა სურვილი მიმეზაძა მისთვის, ამიტომ ჩემ შრომასაც „ხოსროვირინიანი“ დავარქვი; 3) შევასრულე ეს შრომა 608 ქორონიკონს ან 1212 წელს. აქედან ცხადი, ქართული თარგმანის დედანი ყოფილა არა ნიზამის, არამედ ერთ-ერთი მისი მიმბაძველის შრომა.

ამ თხზულების შესწავლისას ორი საკითხი იბადება: რომელი მიმბაძველის შრომა გვაქვს ქართულ თარგმანში და როდისაა შესრულებული ეს თარგმანი? რადგანაც ქორონიკონი (პარსისა) 608 უდრის 1212 წელს, ხოლო ყველაზე ადრინდელი მწერალი, რომელსაც ნიზამის მიბაძვით 1299 წელს „ხოსროვირინიანი“ დაუწერია, არის ამირ ხოსროვ დეპლევე. ჩვენ თავდაპირველად ვფიქრობდით, რომ, ნიზამსა და ხოსროვ დეპლევეს შუა, ყოფილა დღემდე უცნობი მიმბაძველი, რომლის შრომა ქართულ თარგმანს შემოუნახავს⁴.

¹ ხელნაწერში: „ესე ნიზამიმ“.

² ხელნაწერში: „მოინდომა“.

³ ხელნაწერში: „წყალობით“.

⁴ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. II, 1924 წ., გვ. 234 და „ხოსროვირინიანის ქართული ვერსია“, ძურან. „ჩვენი მეცნიერება“, 1926 წ., № 17—18, გვ. 21—23.

მაგრამ ამას ვუმატებდით: თუ ქართულ თარგმანში ხოსროვ დეპლევის შრომა გვაქვს, ზემომოწერილი memento-ში ქორონიკონი დამახინჯებულია: უნდა იყოს არა 608, არამედ 698, რადგანაც პიჯრის 698 ქორონიკონი უდრის 1299 წელს, როდესაც დაიწერა ხოსროვის შრომა¹.

ამ საკითხს შეეხო ა. პენკო, რომელიც ამტკიცებდა², რომ ქართულ თარგმანში შემონახულია ხოსრო დეპლევის შრომა და ეს თარგმანი შესრულებულია 1388 წელს, რადგანაც ქორონიკონი 608 ქართულია და ის 1388 წელს უდრისო.

ზემომოყვანილი memento-ის ქართულად მიჩნევა და იმის მიხედვით ქართული თარგმანის დათარიღება, რასაკვირველია, შეუძლებელია, რადგანაც, როგორც თავის დროს აღნიშნული იყო ჩვენ მიერ³, ქართული ქორონიკონი 532 წლის ფარგლებიდან ვერ გამოვა, სხვას რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ. პროფ. ა. ბარამიძე ხობრო დეპლევის შრომის შემცველ, ლენინგრადში არსებულ, სპარსულ ხელნაწერში აღმოაჩინა ზემომოყვანილი memento სიტყვა-სიტყვით ამ memento-დან ირკვევა, რომ ქართულ თარგმანში მართლაც ხოსრო დეპლევის შრომა⁴ გექონია, მაგრამ memento-ში ყოფილა ქორონიკონი, როგორც ჩვენ წინასწარ ვგულისხმობდით, 698, რომელიც ქართულ მთარგმნელს, გაუგებრობის გამო, 608-დ გადმოუცია.

როდისაა ქართული თარგმანი შესრულებული? ხელნაწერი A 1787, რომელიც 1800 წელს უყიდა ვილაც ელენე კოშორიძის ქალისაგან ცნობილი მეცნიერის და მწერლის იოანე ბატონიშვილის ცოლს, ზურაბ წერეთლის ასულს, ქეთევანს, გადმოწერილია სხვა ხელნაწერიდან. ეს ჩანს შემდეგიდან: ტექსტში, თუმცა თავისუფალი ადგილი დატოვებული არაა, მაგრამ ასეთ შენიშვნებს ეკითხულობთ: „სურათის ალაგი“, „აქა ხოსროსა და შირინის მეჯლისის და სურათი“, „აქა მეჯლისისა და სურათის ალაგი“, „აქა სურათის ალაგი“. გადმოწერილია ის 1784 წლამდე, ვინაიდან ყდის ქალაღღზე მიწერილია: „წელსა 1784 პრინცი მოიკლა“. თუ ვიფიქრებთ, რომ ის ორთოგრაფიული და სტილისტიკური ელემენტები, რომლებითაც აღსავსეა ეს თხზულება და რომელთა ნიმუშებს ზემომოყვანილ დასაწყისსა და დასასრულშიაც მრავლად იპოვის შკითხველი, ეკუთვნის არა გადამწერს, არამედ მთარგმნელს, თარგმანი ძველი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მეთექვსმეტე საუკუნეზე აღრინდლად ვერ ჩაითვლება. სხვა არა იყოს, იმაში ასეთ ფრაზას ვხვდებით: „თოფის სროლით კაცის მკერდი ცხრილივით იყო“ (გვ. 7—8). უფრო სწორად, ის მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს თუ ხეთვრამეტის დამდეგს უნდა ეკუთვნოდეს. მთარგმნელს ერთგვარი თავისუფლება გამოუჩენია შრომის პროცესში.

¹ „ზენი მეცნიერება“, № 17—18, გვ. 23.

² Грузинская версия Хосро и Ширин Хосро Дехлеви, „Доклады Российской Академии наук“, 1924 წ., ივლის-სექტემბერი, გვ. 138—141.

³ იქვე. „ზენი მეცნიერება“, № 17—18, გვ. 23.

⁴ ქართულ თარგმანი გამოცა ა. ბარამიძემ: ხოსრო-შირინიანის ქართული ვერსიები, „ლიტერატურული ძიებანი“, I, გვ. 70—101.

ამის მომასწავებელია, სხვათა შორის, ფრაზა— „ხუცესი და დიაკონი დამთვრალი იყუნენ, თითქო კორკოტით გამძლარან“ (გვ. 23), რომელსაც, ცხადია, სპარსულ ღედანში ადგილი არ ექნებოდა. აგრეთვე, ხოსროვი და შირინი ქართულად საუბრობენ და ქართულად უმელავენებენ ერთიმეორეს თავიანთ გრძნობებს (გვ. 23, 25—30), ესეც მთარგმნელის წვლილია.

„ხოსროვშირინიანი“ უსარგებლნია ფარსადან გორგიჯანიძეს თავისი ისტორიის დაწერისას, რომელიც დასრულებულია 1696 წელს. აქ ჩვენ ვპოულობთ შემდეგ აბზაცებს: „უწინდელი ანბავი ეს არის—ხოსროვ პარტაველიანი ტრდად ჭემწიფის შვილი...“, „დაკარგვა ლორიდამენ შაბდიზის ცხენით შირინის ტრდად ჭემწიფის შვილის სომეხთ ჭემწიფის ხოსროვის ქალისა და გლოვა და ტირილი მამიდისა და ძმეზისა“, „აქა შირინის მოსლვა მადანის და ხოსროვის მოსლვა მულამს ერთმანერთის საძებნელად“, „აქვე ჭემწიფის ცნობა შაჰბანუ ღედოფლისაგან და აშვიობა მისი და შირინისა და ერთმანერთის მოძებარნი მულამში შეიყარნეს“, „აქა ქორწილი ხოსროვ ერანის ჭემწიფისა სომეხთ ჭემწიფის ხოსროვ ტრდატის შვილის ქალს შირინისთანა და მადანის მიყვანა“¹. ფარსადანის „ხოსროვშირინიანი“ არ წარმოადგენს არც ერთი სპარსული რედაქციის თარგმანს, ის სხვადასხვა წყაროთი ყოფილა გაცნობილი ხოსროვისა და შირინის სამიჯნურო ამბავს².

„ხოსროვშირინიანი“ შემდეგი დროის სპარსელ პოეტებს გადაუმუშავებიათ სხვადასხვანაირად და სახელად დაურქმევიათ „ფარჰადშირინიანი“. ასეთია, მაგალითად, მოლა ვაჰში ქირმანელი (გარდ. 1583—4 წწ.), საიდ-მოჰამედ ურფი შირაზელი (გარდ. 1591 წ.), მირ-ჰაყილ-კაუთარი, რომელმაც 1606 წელს შაჰ-აბასს უძღვნა თავისი „ფარჰადშირინიანი“, ნავაბ-აზაფხუან ჯაფარ (გარდ. 1612 წლის შემდეგ) და სხვ.³ ამ „ფარჰადშირინიანის“ ერთ-ერთი რედაქცია ქართულადაც ყოფილა ნათარგმნი, თუმცა არ ვიცით, ვისგან ან როდის. ეს შემდეგიდან ჩანს: თეიმურაზის „ლეღმაჯნუნიანში“ ნათქვამია, რომ მაჯნუნი ჰგავდა „ხვასროს თვალად, ფარ[ჰ]ადს ძალადო“ (58). „ბარამგულანდამიანის“ მოკლე რედაქციაში ვკითხულობთ: „ფარად შირინისა სიყუარულითა ბეზთანისა მთაში გავიდა და დაღვა; შირინ რა ესე მოისმინა, მის მთისა მცოდნეთაგან მისი გზა გამოიკითხა და გაიპარა, მისთვის დაკარგული ნახა და მოიკითხა“⁴. ამ ადგილების ვარდაც, რომლებიც, საფიქრებელია, სპარსული ტექსტიდანაა შემოსული ქართულ თარგმანში, ჩვენ გვაქვს სხვა, უფრო

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 290.

² ა. ბარამიძე, ხოსროვ-შირინიანის ქართული ვერსიებისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, I, გვ. 69; მისივე, ნარკვევები, III, გვ. 304—305.

³ H. Ethé, Neopersische Literatur, s. 246—247.

⁴ „ბარამიანი“, ფამბაკელის გამოც., 1901 წ., გვ. 24, სადაც ეს ადგილი ძალზე დამახინჯებულია. ვრცელ „ბარამგულანდამიანში“ ეს ადგილი ასეა გადმოცემული: „არა გასმია, ფარად სიყუარულითა ბეზთანის მთაში მივიდა და იქ დაღვა: შირინ რა ესე მოისმინა მთისა მცოდნეთაგან, მისი გზა გამოიკითხა“ (A 860, ფ. 78).

კატეგორიული, მოწმობა „ფარჰადშირინიანის“ ქართული თარგმანის შესახებ. დავით რექტორის კატალოგში, რომელიც 1810 წელსაა შედგენილი, 120-ე ადგილას აღნიშნულია: „სპარსულიდამ ნათარგმნი ფარად-შირინისა“¹.

6. ბარამგურიანი

„ბარამგურიანი“, რომელშიაც მოთხრობილია სამიჯნურო თავგადასავალი ერანის ხელმწიფის ბარამ, resp. ბაჰრამ გურისა (სასანიანთა დინასტიიდან), ეკუთვნის გამოჩენილ პოეტს ნიზამი განჯელს. ის შეადგენს ერთ-ერთ ნაწილს მისი შესანიშნავი „ხამსისას“, მას ეწოდება აგრეთვე „Haft Paikar“, რაც „შვიდ მზეთუნახავს“ ნიშნავს. სახელწოდება ბარამ-გური, წარმოდგება იქიდან, რომ ბარამის ბედი ამ პოემაში დაკავშირებულია კანჯართან, რომელსაც სპარსულად გური ეწოდება. ნიზამის ამ თხზულებას, რომელიც დაწერილია 1197 წელს², გამოუწვევია მთელი რიგი მიმბაძველები და გადამკეთებლები როგორც სპარსულ ენაზე—ამირ ხოსროვი (გარდ. 1325 წ.), ჯამალი (გარდ. 1417 წ.), ემრედ ჰერატელი (გარდ. 1450 წ.), ჰათიფი (1521 წ.), რუჰ-ალამინი (1612 წ.), აიში (1650 წ.) და სხვ.³, ისე თურქულზედაც. ჩალათუკ-უზბეკურ ენაზე ის დაუმუშავებია გამოჩენილ პოეტსა და მეცენატს ალიშერ ნავოის (გარდ. 1501 წ.), ხოლო ოსმალურად უთარგმნია ჰათიფის რედაქცია პოეტ ლიამის (გარდ. 1531 წ.). საკვირველი არ არის, თუ ეს თხზულება ქართულ მწერლობაშიც გვხვდება. ის ნათარგმნია 16-მარცვლიანი რუსთველური ლექსით და ცნობილთა შემოკლებულად „ბარამგურიანის“, resp. დიდი ბარამიანის სახელით, ხოლო ვრცლად—„ანბავი სპარსული, ქართულგბრ ნათარგმანები, ქვეყნის მპყრობლისა ბარამ ხელმწიფისა და შვიდთა ქიშვართა ხელმწიფეთა ქალების შერთვა და ცხოვრება მათი“⁴.

ამ პოემის შინაარსი ქართული თარგმანით ასეთია მოკლედ:

ერანის ხელმწიფეს ეზღიჯირღს, ყოველმხრივ ბედნიერს. არ ჰყავდა ვაგი, რაც ნას მეტად აწუხებდა. ვეზირმა თარამ ურჩია მას გაეცა გლახაკებზე წყალობა, რომ, იქნება, ღმერთმა წყალობის თვალთ მოიხედოს და შვილი მოგეცესო. მეფემ დაუჯერა და, მართლაც, შეეძინა ვაგი, რომელსაც ბარამი დაარქვა. ბარამი გაიზარდა, ის მეტად ლამაზი და ახოვანი შეიქნა. მეფემ, როდესაც მოხუცებულობა დაატყო თავის თავს, ტახტი ბარამს დაულოცა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეზღიჯირღი გარდაიცვალა კიდევაც, ბარამი, გლოვის ნიშნად; ერთ წელიწადს ბნელში იჯდა, მერე გამოიტირა მამა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობას შეუდგა.

ერთხელ ნადირობის დროს, როდესაც ის მდინარის პირს იჯდა, მასთან მოვიდა, ჩინეთიდან მზატეარი მანი და მოახსენა, რომ ჩინეთში ერთ ვაჰარს ჰყავს მეტად ლამაზი ქალი, რომლის სურათი მე თან მოვიტანე, მას სახელიად

¹ А. Сагарели, Сведения, III, гл. 238; სადაც აღბათ შეცდომით, შირინის ნაცვლად დაიბედილა შიხინის.

² H. Ethé, Neupersische Literatur, „Grundriss...“, II, S. 242.

³ იქვე, S. 242—248.

⁴ ნოდარ ტიციშვილი, შვიდი მთიები, კ. კეკელიძის გამოც., 1930 წ.

დილარამ-ჩანგი ჰქვიაო. ბარამმა სურათს რომ დახედა, სიყვარულის აღი
მოედო და იმწამსვე გაგზავნა კაცები ჩინეთში ქალის მოსაყვანად. ჩინე-
თის მეფის დახმარებით მან, მართლაც, მიიღო ეს ქალი, რომელიც ცოლად
შეირთო და რომელთანაც სრულ ბედნიერებას განიცდიდა. ერთხელ ნადირო-
ბისას ბარამმა და მისმა მეუღლემ დაინახეს ორი კანჯარი, რომელთაც ერთ-
თად ეძინათ. ცოლმა უთხრა ბარამს: ქებას შეგასხამ მაშინ, თუ ისე მოარტყამ
მათ ორივეს ისარს, რომ „მიუბა ყური ყურისაო“. ბარამმა მართლაც ასე
მოარტყა, მაგრამ, ქების მაგიერ, ცოლმა უთხრა: „ბევრის ქნით ყოველი საქ-
მე გაადვილდებაო“. მეფეს ეწვინა ეს, გაჯავრდა, სცემა ცოლს და გადასცა
ერთ ყმას და უთხრა: წაიყვანე მინდვრად, მოკალი და დააგდე იქ მხეტ
შესაქმელადო. ყმამ წაიყვანა ქალი, რომელმაც მას უთხრა: მე დარწმუნებული
ვარ, მეფე გონს მოვა მალე, ის უჩემოდ ვერ გაძლებს და ისევე მომიკითხავს,
ამიტომ ნუ მომკლავ და სამაგიეროს გადაგიხდით. ყმამ ძმობა შეჰფიცა მას,
წაიყვანა თავის ბაღში და ერთ მშვენიერ, მაღალ კოშკში დააბინავა. თან
აახლა ქალს ღედა და ერთი წლის მოზვერი, რომელსაც დილარამი ხელით
აიყვან ჩამოიყვანდა ხოლმე კოშკის მაღალ კიბეზე. ბარამი მართლაც გონს მო-
ვიდა, უდილარამოდ ველარ სძლებდა, ტიროდა და სასოწარკვეთილებას ეძ-
ლეოდა. ბრძენმა მნატვარმა მანიმ უთხრა მას: წარსულს ველარ დაიბრუნებ.
მკვდარს ველარ გააცოცხლებ, ამიტომ ტირილსა და ვაებას თავი დაანებე,
შვიდთა იყლიმთა მეფენი შენ გემორჩილებიან, მისწერე მათ და ისინი არ
დაიშურებენ შენთვის თავიანთ მზეთუნახავ ქალებს, მოიყვანე ისინი და ბედნი-
ერი იქნებიო. ბარამმა მართლაც დამამშვიდებელი პასუხი მიიღო, ყველა მზად
იყო გამოეგზავნა მისთვის თავისი ქალი. ბარამი მოემზადა, თითოეული საცო-
ლესათვის ააგო საგანგებო მორთულობისა და ფერის კოშკი, რომ მათ ცალ-
ცალკე ეცხოვრათ.

პირველად მან მოიყვანა ინდოეთის მეფის ქალი და დიდებული ქორწი-
ლი გადაიხადა. პირველსავე ღამეს ძილგატეხილმა ბარამმა თავისთან დაუძახა
ბრძენ მანის, რომელიც ფარდაგს უკან ჩამოჯდა და იქიდან მეფესა და ღე-
დოფალს უამბო შემდეგი:

იყო ინდოეთში დიდებული მეფე. ერთ ღღეს მასთან მოვიდა ორი ყმა
შავით მოსილი და მოწყენილი. მეფის შეკითხვაზე — რა მოგივიდათო, მათ
უთხრეს, რომ თურქესტანში არის „შავი ქალაქი“, რომლის მცხოვრებნი შავით
არიან მოსილი და ყველა მოწყენილიაო; თუ გსურს გაიგო მიზეზი მათი ასე-
თი ყოფისა, თვით უნდა ინახულო ეს ქალაქიო. მეფემ ჩააბარა თავისი სამე-
ფო თავადებსა და დიდებულებს და წავიდა „შავს ქალაქს“, სადაც ის ერთ
ყასაბთან გაჩერდა. ყასაბს აუწყა თავისი ვინაობა და სთხოვა აეხსნა მისთვის
ის, რაც მას აინტერესებდა. ყასაბმა ის წაიყვანა ერთ მაღალ კოშკთან, რო-
მელზედაც დაკიდებული იყო გოდორი. ყასაბმა მეფე ჩასვა გოდორში, რომე-
ლიც უცხად ატაცებულ იქნა ზევით, ასე რომ მეფემ თავისი თავი კოშკზე
დაინახა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოფრინდა ერთი საშინელი ფრინველი,
დრძხანს იჯდა მის გვერდით, ბოლოს მან ფრთები გაშალა და გასაფრენად
მოემზადა. მეფემ, წაავლო ფეხში ხელი, ფრინველმა ის გაიტაცა და ერთ მშვე-

ნიერ ბალში ჩამოუშვა, სადაც მშვენიერი სასახლე იყო. ის მიწვა ხის ძირას და ჩაეძინა. დაბინდა თუ არა, მან დაინახა ქალთა ჯარი, რომელსაც წინ მიუძღოდა ულამაზესი ქალი. ქალებმა მეფე წაიყვანეს სასახლეში და იქ მთელი ორმოცი დღე ჰყავდათ აუწყარელ განცხრობაში: ყოველამ ეს უფროსი ქალი გაატანდა ხოლმე მისი ამაღის ერთ კეკლუც ქალს. მაგრამ მეფეს გულში ჩაუვარდა ამ უფროსი ქალის სიყვარული. მეორმოცე დღეს ჩაიგდო ის ხელ-ის და ძალადობის ხმაირება უნდოდა მასზე. ქალი ემუდარება: ჩემთან ჯერ კი ის საქმე არ ჰქონია, მოთმინება იქონიე და მეგრე ავისრულეზ სურვილსო. რადგანაც ვერაფერს გახდა, სთხოვა: ეს მაინც მიყავი, რომ ჩემ შიშველ ტანს ნუ შეხედავ, თვალები დახუჭეო. მეფემ დახუჭა თვალები და უტბად იმავე გოდორში აღმოჩნდა, რომლითაც ის კოშკზე ატაცებულ იქნა. დაეშვა ძირს და განდცილი განცხრომის შემდეგ თავისი თავი ისეთსავე პირობებში დაინახა, რომელშიაც წინათ იყო. შესტირა და შესჩილა ყასაბს, რომელმაც უთხრა: აღბათ, ახლა შეიგნებ შენ, თუ რად არიან შავით მოსილნი და მტირალნი ამ ქალაქის მცხოვრებნიო. მეფე დაბრუნდა ინდოეთში და სევდითა და ვაებით შეპყრობილმა მეფობასაც კი მიანება თავი.

მეორე ცოლი ბარამმა 'თურქთა ქვეყნიდან მოიყვანა, გადაიხადა დიდებული ქორწილი და პირველ ღამეს ბრძენმა მანამ შემდეგი ზღაპარი უამბო მასა და მის ახალ ცოლს:

ინდოეთის დიდებულ მეფეს ჰყავდა შვილი ომაინი, მეტად ღამაზი და ახოვანი. 20 წლის რომ შეიქნა ის, სიზმარში ნახა, ვითომც მოქარავენებს კუბოთი მოჰყავდათ ერთი მზეთუნახავი, რომლის დანახვამ მას ჰკუთა და გონება წართვა, მაგრამ კითხვითაც კი ვერ ჰკითხა მათ, ვინ არის ეს ქალი ან სად მიდინართო? ომაინმა მოიცვა სევდამ, აღარ მხიარულობს, აღარ ერთობა ტოლ-ამხანაგებში. როდესაც მან ამხანაგებს გაუმელაუნა თავისი სევდა, წავიდნენ და ერთ წელიწადს ეძებეს ეს ქალი, მაგრამ ვერას გახდნენ. მეგრე უთხრეს მას: განა შეიძლება ადამიანმა სიზმარი სინამდვილედ მიიღოს, რას იკლავ თავს? ომაინმა მართლაც დაიჯერა რჩევა და წინანდებურად შეება-განცხრომის მიეცა. მაგრამ ის ქალი კიდევ გამოეცხადა მას სიზმარში და უთხრა: შენ თუ მიჯნური ხარ, მიატოვე ყველაფერი, გაიჭერ სახლიდან და წადი ჩემს საძებრადო! ამის შემდეგ ომაინს ველარ ანუგეშებენ ვერაფრით, მან გამოითხოვა დედ-მამისაგან ნებართვა და რჩეული ღამეებით წავიდა ქალის საძებრად. ჯერ მივიდა იერუსალიმს, სადაც ერთი კვირა დარჩა, ლოცულობდა და ქალს ეძებდა. აქ ვერას გახდა, წამოვიდა და გზაში სიზმრად ყელავ იხილა ის ქალი, რომელმაც უთხრა: გაუშვი ღამეები და მორტო შენ წადი ქ. ალაბისაკენ და იქ მომიძიეო! ომაინმა დაწერა ანდერძი, დატოვა ის თავის ოთახში და თვითონ ჩუმად გაიპარა ქალის საძებრად. ის მივიდა ქ. ალაბში და გაჩერდა ერთ მდინარე კაცთან, რომელსაც ახი ერქვა სახელად. ომაინმა მას უამბო ყველაფერი, თავისი გაქრისა და აქ მოსვლის მიზანი. ახის შეებრალა ის, ძმობა შეჰფიცა მას და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება. ერთხელ ახიმ თავის ტოლს, რომელიც ომაინს ჯერ არ ენახა, უამბო მისი თევგადასავალი. ქალმა უთხრა: ერთხელ, ლოცვიდან დაბრუნებულს, გზაში

შემხვედა ერთი ტურფა ვაგი. დამინახა თუ არა, დაბნდა და ცხენიდან ძირს ჩამოვარდა. ახის ზოგი რამ ენიშნა ამ სიტყვებიდან. მერე მან მორთო დარბაზი და ომანის ჩუმად დაანახა თავისი ცოლი. ომანმა, შეხვედა თუ არა მას, იცნო თავისი ცეცხლისმდებელი და უგრძნობლად ძირს დაეცა. ახიმ რომ გაიგო საქმის ვითარება, თავის ძმურსა და პატიოსან სიტყვას ველარ ულალატა და თავისი ცოლი, ქალად გასაღებული, დაუთმო ომანს, რომელმაც ქალი ინდოეთს წაიყვანა. როდესაც ეს ამბავი გაიგო ქ. ალაბის პატრონმა კეისარმა, ახი ციხეში ჩაასმეინა ასეთი არაბუნებრივი საქციელისათვის, მაგრამ მან მოახერხა ციხიდან გაპარვა და გაიქცა ინდოეთს. იქ, ძალამიხილი, ხის ძირს დაგდებული, ის შემთხვევით იპოვა ომანმა და სახლში მოიყვანა. აქ ახი და მისი ცოლი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ომანმა ის მას უკან დაუბრუნა, როგორც საკუთრება, და თან ინდოეთის ერთი მეშვიდედიც მისცა. ახი ერთგულად ემსახურებოდა ომანს.

მესამე ცოლი ბარამმა ჩინეთიდან მოაყვანინა. ქორწილის შემდეგ მან იმ, ჩვეულებისამებრ, შემდეგი ზღაპარი უამბო ახალ დაქორწინებულთ:

ჩინეთში იყო ორი მეფე, ერთს ჰყავდა გმირი და ახოვანი ვაგი ალმასი, ხოლო მეორეს—მშვენიერი ქალი. ალმასს უყვარდა ეს ქალი, მეფეებსაც უნდოდათ მათი დაქორწინება, შეთანხმდნენ კიდევაც ქორწილისათვის. ალმასი ხომალდით გაემგზავრა საცოლოს წამოსაყვანად. სწორედ ამ დროს ქალს მოუწინა ზღვაში ხომალდით სეირნობა. ამოვარდა სასტიკი ქარი, რომელმაც მისი ხომალდი მიაგდო ერთ კუნძულზე მდებარე ქალაქთან, რომლის გმირთაგმირ პატრონს ერქვა ჯაბირი. მან ჩაიგდო ხელში ქალი, რომელმაც ყველაფერი უამბო მას და სთხოვა, ეს მაინც მიყავი, რომ მამაჩემს კაცი გაუგზავნე და შეატყობინე, სადა ვარო. ჯაბირმა მეფეს მისწერა წერილი და სთხოვა ქალი მისთვის დაეთმო ცოლად. მეფემ რომ ეს ამბავი გაიგო, ალმასიც მოვიდა საქორწილოდ, მაგრამ, ქორწილის მაგიერ, ის ზღვით წავიდა თავისი საცოლოს გამოსახსნელად. ვერაფერს გახდა, ტყვედაც ჩაუვარდა ხელში ჯაბირს. ამის შემდეგ მათ დასახსნელად დიდი ჯარით გამოვიდნენ ქალისა და ალმასის მამები, ერთი ზღვით, მეორე—ხმელეთით, მაგრამ მათაც იგივე ბედი ეწიათ. ჯაბირი ემზადება ქორწილისათვის, ქალი სულიერად იტანჯება, მაგრამ გარეგნულად თავს იკავებს. დარბაზში მას საკნიდან მოესმა ალმასის კენესა, გამოელაპარაკნენ ერთმანეთს, ბოლოს ქალმა მოახერხა მისი საკნიდან გამოყვანა და დამალვა. ერთხელ ჯაბირი შევიდა ქალთან სადარბაზოდ და დაუწყო მას ხვევნა. დამალული ალმასი ამას ყველაფერს ხედავდა. მას გულმა ველარ გაუძლო და შესძახა: გაჩერდი, ბილწო ადამიანო! შერე მივარდა, ამოიღო თეხქვეშ და თავი წაავადებინა. ამის შემდეგ დაუბრკოლებლივ გაათავისუფლა ქალისა და თავისი მამა, წავიდა თავის სამეფოში და დიდებული ქორწილი გადაიხადა.

მეოთხე საცოლე ბარამმა ხატაეთიდან მოაყვანინა, დიდი ზეიმით იქორწილა და მანი ბრძნისაგან შემდეგი ზღაპარი მოისმინა:

რუსთა ხელმწიფეს ჰყავდა მშვენიერი ქალი, რომელიც განცალკევებულ კოშკში ცხოვრობდა. მისი ცოლად შერთვა ბევრსა სწაღდა, მაგრამ იმას გა-

დაწვეტილი ჰქონდა წაყოლოდა მას, ვინც მისი კოშკის აღებას შესძლებდა და ამოხსნიდა ოთხ გამოცანას, რომელსაც იგი ეტყოდა. ეს კი ვერაფერს მოახერხა. რუსეთის მახლობლად ერთი სამეფო იყო, რომლის პატრონმა გადაწყვიტა ბედი ეცადა. თავისი განზრახვა მან გაუმელავენა ერთ თავის ვეზირს, რომელმაც მას მისცა ნეკის ბეჭედი და უთხრა: ამას რომ დანახებებ კოშკის მცველ თილისმას, ადვილად დაიპყრობ მასო. წაიდა მეფე, მართლაც შემუსრა კოშკის მცველები და აიღო ის; მაგრამ ჯერ კიდევ ოთხი გამოცანა უნდა ამოეხსნა. ქალმა წაიძრო ორივე საყურე და გაუგზავნა ვაჟს, იმის მომასწავებლად, რომ ეს საწუთრო ორი დღისაა. ვაჟმა გაიგო მნიშვნელობა და საპასუხოდ გაუგზავნა ქალს, საყურებთან ერთად, სამი ლალი, რაც იმას ნიშნავდა, რომ, თუ ჩემი თავი შენ გახლავს, საწუთრო, არამტოუ ორი დღის, ხუთი წლისაც რომ იყოს, არ არის გამთავებელი ეამისაო. მეორედ ქალმა ვაჟს გაუგზავნა რძე იმის აღსანიშნავად, რომ ამ ორი დღის საწუთროში კაცს სიძვა არ მართებსო. საპასუხოდ ვაჟმა რძეში შაქარი ჩაყარა იმ ნიშნით, რომ „სიძვა არს ლხინი სოფლისა, მას სიტკბოება აქვს შაქრისა, ყოველთა მისთვის სრულისა“. მესამედ მას ქალმა გაუგზავნა ნეკის ბეჭედი იმის ნიშნად, რომ „შენ შეგფერობს თავი ჩემიო“. ვაჟმა ბეჭედთან ერთად გაუგზავნა ლალი შემდეგი მნიშვნელობით: „შესაფერი შესაფერსა შეეყარაო“. დასასრულ, ქალმა ვაჟის გამოგზავნილ ლალს შეუერთა თავისი ლალი შემდეგი აზრით: „ყავს ტურფასა ტურფა დარად, თავსა ტურფად ნუ ხარ მხმობიო“. ვაჟმა ამ ლალებს შეაბა სათვალე—ერთად შეყრილან ტურფანი, არ ავნოს თვალთა ზიანმან, ვეჭვ ვერ გაყარნეს უყვდავად ასი ათასმან მლიანმანო. ამნაირად, ვაჟმა ყველა გამოცანა იმ მნიშვნელობით ამოხსნა, რა მნიშვნელობასა და აზრსაც მათში სდებდა ქალი. ასე რომ ქალი სიხარულით გაჰყვა მას ცოლად და დიდი ზემოთ იქორწილეს კიდევაც.

მეხუთე საცოლედ ბარამს მოჰყავს რუსთა მნათობი. ქორწილის შემდეგ მანი ასეთ ზღაპარს ყვება: სისტანს იყო ვინმე გორჯასპ ზაულელი, როსტომის გვარისა. მთელი ინდოეთი მას ემორჩილებოდა. მეტად ლალი, ახოვანი და ღონიერი იყო. ცოლი არ ჰყავდა მას. ერთხელ კეისრის ქვეყნიდან მასთან მოვიდნენ ვაჭარნი, რომელთაც მოახსენეს მას: ჩვენ მეფეს ჰყავს მზეთუნახავი ქალი, რომელიც მზადაა გაჰყვეს ცოლად მას. ვინც მოსწევს მის მშვილდს, მაგრამ ამისი შემძლე ჯერ არავინ გამოჩენილაო. გორჯასპმა ჩააბარა სამეფო დიდებულებს და გაუდგა გზას ამ ქალის გამოსაყვანად. გზაზე მან დაიხსნა მოქარავენნი მეკობრე ყაზახებისაგან და გაჰყვა ამ ვაჭრებს, ვაჭროლად ჩაცმული. როდესაც მივიდა იმ ქალაქში, სადაც ქალი ცხოვრობდა, დაიწყო ვაჭრობა, ყველას აცვიფრებდა მისი სიმშენიერი. ქალი თუ კაცი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, მზად იყო მისულიყო მასთან და რამე ეყიდა, ოღონდ ერთი თვალი კი მოეკრა მისთვის. ხმა მივიდა მეფის ასულამდისაც, რომელმაც თავისი გამზრდელი ქალის საშუალებით მოახერხა რამდენჯერმე მისულიყო გორჯასპისთან თითქოს სავაჭროდ, ნამდვილად კი მის სანახავად. ერთხელ, როდესაც სამივენი ერთად ისხდნენ, ქალის შეკითხვაზე გორჯასპმა გამოამეღავენა თავისი ვინაობა. მათ სიყვარული შეჰფიცეს ერთმანეთს, მაგრამ

კეისართან უნდა გაერიგებით საქმე. გორჯასპმა, მას შემდეგ, რაც კეისარმა ის სადილზე მიიპატიოა, გაუმელაუნა მას, რომ მე, ზაულელი ვაჟარი, მოვსულვარ ბედის საცდელად და შენი ქალის წასაყვანად. კეისარმა პირობა გააგებინა იმ რწმენით, რომ ის მაინც ვერ შეასრულებდა მას. ქალმა განიზრახა ნამდვილი მშვილდის შავიერ სხვა, უფრო ადვილად მოსაწყევი, გაეკეთებინა მისთვის, მაგრამ გორჯასპმა უარი თქვა. მან ხელი მოჰკიდა საბედისწერო მშვილდს, მოიზიდა ისე, რომ ოთხად გადატეხა. თანახმად პირობისა, ახლა ქალი მისი იყო და წამოიყვანა კიდევაც. კეისარმა შეკრიბა დიდძალი ჯარი, დაიხმარა ყველა, მის კარზე მყოფნი და მისი ქალის მაძიებელნი შეფისწყულები, და გამოუდგა გორჯასპს. გორჯასპმა სასტიკად დაამარცხა ისინი, ხოლო კეისარი ცოცხალი შეიპყრო და თავის სატრფოს მიჰგვარა. აქ შეფემ გაიგო ნამდვილი ვინაობა გორჯასპისა და სიამოვნებით დათანხმდა ქალის მიცემაზე. გამოეთხოვენ ერთმანეთს, კეისარი თავის საბრძანებელში დაბრუნდა, ხოლო გორჯასპი ცოლითურთ — თავისაში. გზაზე მას მოუხდა ომის გადახდა საშინელ ზანგთან, რომელიც დაამარცხა და მისი სამდიდრე ხელში ჩაიგდო. შერე მოვიდა თავის საბრძანებელში და დიდი ამბით გადაიხდა ქორწილი.

მეექვსე საცოლე ბარამისა მოიყვანეს საბერძნეთიდან. ქორწილის შემდეგ მანი ასეთ ზღაპარს უამბობს მას: იამანიდან ბაღდადს ორი მგზავრი შეიყარა, ერთს ერქვა შამებელი, მეორეს — მაწყინარი. მაწყინარმა მამებელი გზაზე გაძარცვა, წაართვა ორი ძვირფასი თვალი და მერე თვალები დასთხარა და იქვე ცოცხალმკვდარი გზაზე მიაგდო. მხლოდლად ერთი მდიდარი თურქმანი ცხოვრობდა. მისი ცოლი და ქალი ჩაივლენ წყაროზე წყლის დასალევად, მათ შემოესმათ კენესა, მივიდნენ და თავს წაადგნენ მომაკვდავ კაცს. მამებელმა მათ უამბო ყველაფერი, ქალიებმა აიყვანეს ის, აკრიბეს თვალები და წაიყვანეს სახლში. აქ თურქმანმა ერთი ხის ფურცლის საშუალებით მას თვალები გაუმთელა და მხედველობა დაუბრუნა, რისთვისაც მადლიერი მამებელი მას მწყემსად დაუდგა და მისი ქალიც ცოლად შეირთო. ერთხელ მან თურქმანს განუცხადა: ბაღდადს მინდა წასვლა და შენც თან წამოიყეო. მართლაც, დიდი საგზლით და იმ ხის ფურცლებით ისინი გაუდგნენ გზას და მივიდნენ ბაღდადს, სადაც დადგნენ თურქმანის ნაცნობის ოჯახში. აქ მათ გაიგეს, რომ ბაღდადის ხალიფას ჰყავს მშვენიერი ქალი, მაგრამ შეშლილი. მოჰყავთ სხვადასხვა ექიმი, მაგრამ მას ვერაფერს ჰრგებენ და თვითონ კი ილუპებიან უშედეგო აქიომბისათვის. მამებელმა უთხრა თურქმანს: მოდი, ვცადოთ, იქნება მოვარჩინოთო. მართლაც, მათ განუცხადეს ხალიფას თავისი სურვილი და იმ ხის ფურცლებით ეს გიგი ქალი მოარჩინეს. ხალიფამ მამებელს მისცა ცოლად თავისი ასული, გვირგვინი და ტახტი. აქ მამებელი შეხვდა მაწყინარს, რომელმაც მას ასეთი მეგობრობა გაუწია ერთხელ, და თურქმანს მოაკვლევინა. მეფობდა მამებელი ბედნიერად, მას მსახურებდა ერთგულად თურქმანი, რომელსაც მამებელმა შერთო ცოლად ერთი კეზირის ლამაზი ქალი.

მე შვიდე საცოლე ბარამმა მოიყვანა საფრანგეთიდან. მისი ქორწილი ბრძენმა მანიმ შეამკო შემდეგი ზღაპრით: იამანს იყო დიდებული მეფე. მის ვეზირს ჰყავდა მზეთუნახავი ქალი, რომლის ცოლად შერთვა განიზრახა მეფემ, მაგრამ მამა, სხვადასხვა მოსაზრებით, თანახმა არ იყო იმისი. მეფემ გადასწყვიტა როგორმე მოეკლა ვეზირი. ერთხელ ისინი ნადიმობდნენ, ვეზირი მოწყვნილი იყო, მეფემ ჰკითხა: რა მოგივიდა? ვეზირმა უპასუხა: განა ქვეყანაზე ისეთი ადამიანი მოიძებნება, რომ უნაღვლო იყოსო? მეფემ უთხრა: კიო. დანაძლეოდნენ, მეფეს უნდა მოეძებნა ასეთი კაცი. მთელი ქვეყანა მოიარა, მაგრამ ასეთი ვერ პოვა. ვილაქამ უთხრა მას, რომ უნაღვლო კაცი ეგვიპტეშია; ეს არის იქაური მეფეო. იამანის მეფე წავიდა იქ, მივიდა მეფესთან და მართლაც დარწმუნდა, რომ ის თითქოს უნაღვლო ადამიანია. ერთხელ გამოუტყდა კიდევაც, თუ რა მიზნით მივიდა ის ეგვიპტეში. ეგვიპტის მეფემ შეიყვანა ის ერთ ოთახში, საიდანაც მეორე ოთახში, მზეთუნახავი ქალის გვერდით, საშინელი ზანგი დაანახვა. მას გული წაუვიდა, უძალევი გამობრუნდა უკან და, როდესაც დამშვიდდა, უამბო სტუმარს თავისი თავგადასავალი. მამაჩემის ძმას ჰყავდა მშვენიერი ქალი მე მასთან ერთად ვიზრდებოდი, ასე რომ ჩვენ ბავშვობაშივე შეგვიყვარდა ერთმანეთი. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მის სამეფოს დაეპატრონა ბიძაჩემი. მე მას ქალი ვთხოვე, მაგრამ უარი მითხრა, როგორც ღარიბ კაცს. ეს რომ მისმა ქალმა გაიგო, გადაწყვიტა ჩემი გამდიდრება: მე ღამლამობით უნდა მივსულიყავი მის კოშკთან, საიდანაც ის ტაბაკით თვალმარგალიტს ჩამოუშვებდა ხოლმე და მე მიმქონდა. მეორმოცე ღამეს რომ მივედი იქ, დაჯექი კოშკთან და თავი დაეყარდენი დაშნას, რომელიც თან მქონდა. ჩამძინებოდა და ის დაშნა სარცხვენელზე დამედო. ქალმა რომ ზემოდან ტაბაკი ჩამოუშვა, პირდაპირ დაშვებულყო დაშნაზე, რომელსაც სარცხვენელი გადაეკრა ჩემთვის. ერთი წლის განმავლობაში ძლივს მოვრჩი, ამასობაში მოკვდა ქალის მამა. მეფედ ქალი მიმინდომეს დაესევათ, მაგრამ მან უარი თქვა: ვინ გაიგონა ქალის მეფობაო! მე მყავს ბიძაშვილი, მეფის ძე, მე ის მიყვარს, ქმრად შევიერთავ და ის იქნება მეფედაო. მოეწონათ ეს აზრი, წამიყვანეს, დაგვაქორწინეს, ქალი გიყდებოდა, ვინაიდან გულის წადილს ვერ ვუსრულებდი მას, არ იცოდა რაში იყო საქმე. მე ვუამბე ყველაფერი. იმედგაცრუებულმა ქალმა მოინდომა. ჩემი გაგდება, მაგრამ მე ვთხოვე: ნუ წამართმევ მეფობას, ნება მომეცი შენ გვერდით ვიყო და ქმრად, ვინც ვინდა, ის აიყვანეო. ქალმა დამიჯერა და ქმრად აიყვანა აი ის ზანგი, რომელიც მასთან დაგვანახეო. აი რამდენად უნაღვლო ვარ მეო! იამანის მეფე დარწმუნდა, რომ, მართლაც, უნაღვლო კაცი ქვეყანაზე არ არის. დაბრუნდა შინ და ვეზირს გულახდილად უთხრა ეს. მამინ ვეზირი დასთანხმდა და მისცა მას თავისი ქალი ცოლად.

ასე დასრულდა ბარამის ქორწილი შვიდთა იულიმთა მეფეთა ქალებთან და მანის შვიდი ზღაპარი. ბარამი კვირაში თითო დღეს თითო ცოლთან იყო ხოლმე. გავიდა შვიდი წელიწადი მას შემდეგ, რაც მან დილარამჩანგი გააგდო და მოსაკლავად გაიმეტა. დილარამი ამ ხნის განმავლობაში იმყოფებოდა კოშკში იმ ყმისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მისი მოკვლა.

ერთხელ ქალმა უთხრა ყმას: რამე მიზეზით მეფე მოიწვიე და კოშკში მოიყვანეო. მართლაც, ყმამ მორთო დარბაზი და დაპატიჟა მეფე, ისიც ესტუმრა მას. ის და მისი მხლებელნი გაკვირვებული არიან კოშკის სიმაღლით, მოწყობილობითა და კიბის სიმაღლით, მეფე ეკითხება ყმას. რად გინდა ასეთი მაღალი კოშკიო? მან უპასუხა: ერთი ტურფა ქალი მყავს, რომელსაც შვიდი წლის ხარი ჰყავს. ის მას შეისევამს ხოლმე მხარზე და ისე აიყვანს და ჩამოიყვანს კიბებზეო. მეფე გაოცდა, მაგრამ მალე დარწმუნდა ნათქვამის სისწორეში: ქალი ჩამოვიდა პირდახურული, შეისევა ხარი მხარზე, მსწრაფლ აიყვანა კიბებზე და ისევე მსწრაფლ ჩამოიყვანა ძირს. მეფემ იკითხა: რამდენი ხანია ქალი ამ საქმეს სჩადისო? მას უთხრეს: შვიდი წელიწადიაო. ხბო პატარა მოიყვანეს და პატარაობიდანვე აჰყავს და ჩამოჰყავსო. ამაზე ბარამმა თქვა: „ყოველი საქმე ქნით გაადვილდებისო“. ქალმა აიხადა პირბადე და უთხრა: „თუ ნადირთა სრვა ქნით და მახეით არ ისწავლების, სხვა საქმე ბევრის ქნით ადვილი ვით იქნებისო?“ ბარამმა ჩახედა მას და იცნო, გულს ელდა ეცა, იყვირა, გადაეხვივნენ ერთმანეთს და მათ სიხარულს, გაკვირვებასა და ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ბარამი დილარამთან ერთად ხან ერთ ცოლთან ატარებდა ხოლმე დროს და ხან მეორესთან.

ამ დროს სამეფოს შემოესია ჩინეთის მეფე, რომელიც ერთ ქალაქს მეორეზე იღებდა, ბარამი წინააღმდეგობას არ უწევდა და განუწყვეტლივ ქვიფობდა. ბოლოს აირჩია სამასი საუკეთესო მხედარი და მათთან ერთად მიატოვა სახელმწიფო და საღდაც ვადაიკარგა. ასე რომ, სპარსეთში გამეფდა ხაყანჩინელი. გადამალულმა ბარამმა, როდესაც იხელთა, შემოუტია ხაყანს და ერთიანად ამოუკლტა ჯარი და სპარსეთიდან განდევნა. ამის შემდეგ ბარამი სანადიროდ გავიდა, დანიახა ერთი მშვენიერი კანჯარი, რომელსაც ის უკან დაედევნა. დიდხანს სდია, ბოლოს კანჯარი მიაღდა ერთ გამოკვებულს და შიგ შევიდა, ბარამიც შეეცა და უჩინარ იქმნა. მხლებლებმაც მოინდომეს შიგ შესვლა, მაგრამ ვერ მოახერხეს, რითაც დიდ ვაებაში ჩავარდნენ. მათ ზეციდან ხმა მოესმათ: „ნუ ეძებთ მას ყმასა გულდამწველობით, სასუფეველსა დამკვიდრდა ყმა, კჳუით არ თუ ხელობით“. დაბრუნდნენ უკან, დიდხანს იგლოვეს, მაგრამ მერე ის დაივიწყეს და სხვას დაემონენ.

ვინ გადმობარგმნა ქართულად ეს თხზულება? წინასიტყვაობაში მთარგმნელი აღნიშნავს თეიმურაზისა და რუსთაველის მიერქსეობას და ამბობს: ვინც თავის ლექსს მათ ლექსებს ადარებს, ის ლექსთა ვერ მიხვდებისო.

თუ არ შესწევს ძალი ღეთისა და მათ ორთა მეღვესობა;
 ლექსთა თქმამცა ვით გაბედა ნოღარ, ანუ შაირობა?
 ვით დაეატკბო მათებრ ენა, თვითცა მქონდეს ქვეყნის ბრძნობა?
 მაგრამ მართებს, ოღეს კაცსა გაუპირდეს გულუფნობა. (9).

აქედან ცხადია, რომ თხზულების მთარგმნელი არის ვილაც ნოღარ: ამ ნოღარს არჩილ მეფე თავის „არჩილიანში“ ფარსადანისძედ თვლის:

ფარსადანის ძემ ნოდარ თქვა ქება კარგი ბარამ-გურის, შეიღო იყლითა ხელმწიფეთა ხობა სრული, არა გურის, თვალნი თლინი მოაფრქვივნა, გარევა ყო არ აგურის, მის ლექსისა სასმენელად მიპყრობა ხამს კარგა ყურის¹.

არჩილის ცნობის მიხედვით, ე. თაყაიშვილიც ამ ნოდარს ფარსადანის-ძედ თვლის². მაგრამ ეს ასე არ არის: ფარსადანისძე არის არა გვარი ნოდარისა, არამედ მამის სახელი, გვარი კი მისი არის ციციშვილი. ეს დამოწმებულია H 932 ხელნაწერში, სადაც პოემის დასასრულს ვკითხულობთ: „დიდება ღმერთს, ყოვლისა მპყრობელსა, შემოქმედსა ცათა და ქვეყანისასა! დისრულდა წიგნი ენე ბარამიანი ბრძინებითა ნოდარ ციციშვილისაჲთა, მისგანვე სპარსული- [დან] ქართულად ნათარგმანები და ნათქვამი ლექსად“. მაშასადამე, ირკვევა, რომ „ბარამგურიანი“ ქართულად უთარგმნია ნოდარ ფარსადანის ძე ციცი-შვილს³.

ნოდარის მამა, ფარსადანი, იყო ქართლის ერთი უძლიერესი ფეოდალ-თაგანი, რომელიც შაჰ-აბასის შემოსევისას დიდ როლს თამაშობდა აღმოსავ-ლეთ საქართველოში. როდესაც შაჰ-აბასმა მეფე ლუარსაბი მოტყუებით წაიყვან-ა სპარსეთისაკენ, დროებით ქართლის გამგედ, თითქოს, ეს ფარსადანი დანიშ-ნა⁴. როდესაც ქართლის მეფედ როსტომი იქნა დანიშნული, ფარსადანმა მას მორჩილება არ გამოუცხადა და თავდაპირველად მისი მოსისხლე მტერი იყო. ფარსადანის შვილი ნოდარი 1641 წელს მონაწილეობას იღებდა როსტომ მეფის წინააღმდეგ მომხდარ შეთქმულებაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა მისი ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგიერ იმერეთის ბატონიშვილის მამუქას გამე-ფება. შეთქმულთა აჯანყება დამარცხებით გათავდა 1642 წლის 6 იანვარს. ამის შემდეგ ნოდარმა როსტომს მიუგზავნა თავისი დედა, როსტომის ნათე-საყი, და სთხოვა ნება მიეცა მისთვის სამცხეში წასვლისა. როსტომმა თხოვნა აუსრულა, ათხოვა მას ცხენები და ბიჭები ბარგის გადასაზიდად და ამაღლის გადასაყვანად⁵. დანამდვილებით არ ვიცით, რა ბედი ეწია ნოდარს 1642 წლის შემდეგ. ერთი კია, რომ, როდესაც ვახტანგ მუხრანბატონი (შაჰნავაზი) 1653 წელს სპარსეთიდან დაბრუნდა, ნოდარი კიდევ ცოცხალი იყო: ვახტანგმა მას თავისი შვილის არჩილისათვის ქალი სთხოვა⁶. უნდა გარდაცვლილიყო ნო-დარს 1658 წლის დამლეტს. საქმე ისაა, რომ, როდესაც მომაკედავი როსტომ მეფე (ის გარდაიცვალა 1658 წლის ნოემბერში) სარეცელზე იწვა, ზაალ ერის-თავი ვახტანგს უთვლის: „ჩუენს შუა დამხდომი ნოდარი მომკედარაო“⁷.

¹ „არჩილიანი“, II, ა. ბარამიანისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., სტრ. 29.

² „Опшавание“, II, გვ. 528.

³ ცნობები ნოდარის შესახებ იხ. იუსტ. აბულაძე, ბარამგურიანის საისტ.-საეთნ. საზო-გადოების წესების შესახებ, „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 818.

⁴ ან. ფურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, 1911 წ., გვ. 192, 198.

⁵ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 518—521, 48.

⁶ იქვე, გვ. 538.

⁷ იქვე, გვ. 540. დასაფლავებულია ნოდარი ს. მძოვრეთში (გორის რაიონი), როგორც ეს დამოწმებული ყოფილა საფლავის ქვის წარწერით (Brosset, Rapport. V livr. p. 86; „Mélang. Asiat.“, VIII, p. 489).

ამრიგად, ნოდარი არის მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი.

ეს პოემა მას გადმოუქართულებია, როგორც წინასიტყვაობაში ამბობს (სტრ. 1—5), ქებად, თნებად და ნების საყოფელად ვილაყ მზის მსგავსის პატრონისა, ჩანს ქალისა, ვინაიდან, ნოდარის სიტყვით, ის „წმიდათა მისმგავსებული, ქალწულთა თანახმობილი“ არის. თავისთავს ნოდარი გვაცნობს მის ფეხის მტვრად და მის მხლებლად და გამოთქვამს სურვილს იყოს „მიჯნური ოდენ მისი ყმობისა“; უნდა იგულისხმებოდეს მარიამ დედოფალი, მეუღლე როსტომ მეფისა (1633—1658).

საინტერესოა გარკვეულ იქნეს, დაახლოებით მაინც, ამ პოემის გადმოთარგმნის დრო. პოემაში მოხსენიებულია სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ნოდარს უკვე სცოდნია ქართულ მწერლობაში. ასეთებია:

1. „ვისრამიანი“:

კვლა მიჯნურთა ვერა სცნობდა, ვერ რამინს და ვერცა ვისსა. (სტრ. 273).

მას მზესა ახლდეს მნათობნი, ვით ზილიხან და ვისია. (530).

ზილიხან და ვისი, ლეილ მასთან იყენენ ფერგაპკრათლი. (569).

ხამს, რომე მზესა სწუნობდე, და ზილიხან, და ვისისა. (623).

მისთა მნახველთა ვისის და ზილიხანს არ იდარესა. 761).

თუ მიჯნურთა ხარ, ვით რამინ ხელი. (794).

2. „ვეფხისტყაოსანი“:

მსგავსად უქია რუსთველსი ტურფად საქები რომელი. (1734).

თინათინ, ნესტან-დარეჯან მას ვერ ეღრების სახითა. (570).

3. „როსტომიანი“:

ძალგულად და შემობარად როსტომისად დასადარი. (566).

სისტანს იყო როსტომისა გვარი ვინუ ზაულელი. (860).

საწოლს მივიდა საამოდ მეფე ყუბადის გვარისა. (754).

4. „ლეილმაჯუნუნიანი“: ამისი მაგალითები იხ. ზემოთ—„ვისრამიანი“.

5. „იოსებზილიხანიანი“: თეიმურაზის რედაქციისა, მაგალითები იხ. ზემოთ—„ვისრამიანი“.

მაშასადამე, ნოდარს „ბარამგურიანი“ გადმოუთარგმნია მას შემდეგ, რაც ქართულად ითარგმნა „როსტომიანი“ (XVI ს.), „ლეილმაჯუნუნიანი“ და „იოსებზილიხანიანი“ (1629—1633). ჩამოთვლილთ გარდა, ჩანს, როდესაც „ბარამგურიანს“ თარგმნიდა ნოდარი, თეიმურაზს უკვე გადმოკეთებული ჰქონდა „ვარდბულბულიანი“ და „შამიფარვანიანი“, ვინაიდან პოემაში ჩვენ ვკითხულობთ:

ვიარს იქმობენ სულ-სურნელინი, მეფედ მათად სვიან ისად. (1728).

ვითა ფარვანი სათელსა, ყმას თავსა გარეულუბოდეს. (310).

„ვარდბულბულიანი“ და „შამიფარვანიანი“ თეიმურაზს დაუწერია 1648—1655 წლებში, როგორც ამას თავის ადგილას დაეინახავთ. მაშასადამე, „ბარამგურიანი“ ნოდარს უთქვამს 1655—6 წლებში.

რას წარმოადგენს ნოდარის შრომა?

შესავალში ნოდარი აღნიშნავს, რომ მის თხზულებაში გადმოცემული ამბავი სპარსულად „უთქემს“ ნიზამი განჯელს, ხოსრო დეჰლევისა და ჯამის, ხოლო ჩალათურ ენაზე—ნეეაის, resp. ნავოის (სტრ. 12—13). „მწაღს ქართულებრ მათთა ლექსთა გამოთარგმნა, გალექსება“ (სტრ. 14). აქ აღნიშნულ პოეტებს: ნიზამი განჯელსა (1141—1203) და ხოსრო დეჰლევეს (1253—1325) მართლაც დაუწერიათ „ბარამგურიანი“, ჯამის (1414—1492) კი არაფერი ამის მსგავსი არ დაუწერია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ასეთი თხზულება, მისი კარნახითა და ლოცვა-კურთხევით, დასწერა მისმა დისშვილმა, პოეტმა ჰათიფიმ (გარდ. 1521 წ.). უკანასკნელის ეს შრომა ჯამის სახელითაც ვრცელდებოდა საზოგადოებაში. ამით აიხსნება, რომ ნოდარი „ბარამგურიანის“ ავტორად ჯამისაც ასახელებს. რაც შეეხება ნავოის (1441—1501), რომელსაც სპარსულად ფანი ეწოდება, იმას „ბარამგურიანი“ დაუწერია „ჩალათურ“, ესე იგი ცენტრალური აზიის თურქთა (უზბეკურ) ლიტერატურულ ენაზე. ნავოი, ბავშვობის ამხანაგი სულტან ჰუსეინ-ბეიქარისა (1469—1506), შემდეგში მისი უერთგულესი ვეზირი, მასთან ერთად პოეზიისა და კულტურის ნამდვილი მეცნატი იყო. ის წერდა როგორც სპარსულ, ისე ჩალათურ ენაზე.

ნოდარს სცოდნია ამ პირთა მიერ დაწერილი „ბარამგურიანი“ და ის თავისებურად გამოუყენებია. ყველაზე მეტი ნათესაობა მას ეტყობა ნიზამი განჯელთან, მისგან აულია მას სამი ნოველა: პირველი, მეოთხე და მეექვსე-მეორე და მესამე ნოველა აღებულია ნავოისაგან. მეხუთე ნოველა ამოღებულია თუ-არა ასადის (XI ს.) „გერშასა-ნამედან“, „შაჰნამეს“ შერყენილი რედაქციიდან მაინც, როგორც ამას ვარაუდობს დ. კობიძე¹. მეშვიდე ნოველა ან ხოსრო დეჰლევისაგანაა აღებული (სამწუხაროდ, ამისი „ბარამგურიანი“ გამოცემული არაა, არც ხელნაწერები ყოფილა მისი მაინცდამაინც ცნობილი), ანდა თვით ნოდარის მიერ უნდა იყოს შემოტანილი აღმოსავლური წყაროებიდან².

თვით ბარამის თავგადასავალი ნოდარს გადმოცემული აქვს კომბინირებული სახით: ზოგ რამეში ნიზამის ემხრობა, ზოგში ნავოის. იმაშიაც კი, რაც საერთო აქვს მას დასახელებულ პოეტებთან, ნოდარი დიდ თავისებურებას იჩენს. ნოდარის ნაშრომი არის არა თარგმანი, ამ სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით, არამედ გადმოკეთება, გადამუშავება და, როგორც ასეთი, წარმოადგენს თავისებურ ქართულ რედაქციას, ისეთს, როგორიც არის ნიზამისაგან მომდინარე აღნიშნული პოემის სპარსულ-თურქული რედაქციები.

¹ ბარამგურიანის მეხუთე ნოველის წყაროს შესახებ, „საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. V, № 9, 1944 წ., გვ. 955—958.

² მეშვიდე ნოველა—უდარდელი ადამიანის შესახებ—თმატიკურად იგივეა, რაც სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიკრთუმი“—უნაღვლოთა არაქი (1938 წ. გამოც., გვ. 35—42) კერძოდ, ენათესავება ის მესამე კაცის ამბავს „ასოწარკვეთილის“ შესახებ (გვ. 38). სპარსულ სინდჰადის ერთ ხელნაწერში (R. A. S, Persian № 337) 21-ე ადგილზე მოთავსებულია არაქი—„მეფე და კუხირი, რომელნიც კამათობენ უდარდელი კაცის შესახებ“ (О ль д е н б у р -Сборник в честь проф. В. Розена", гв. 252—275; А. Х а х а н о в, Очерки, III, გვ. 121).

ამიტომ, თუ შესაძლებელია ხოსრო დეჰლევის, ნავოის, ჰათიფის და სხვებს, რომელნიც ამ პოემის დამუშავებაში ნიზამის ჰბაძავენ, ეწოდოს ავტორი იმავე საფუძვლით, და უფრო მეტითაც, ნოდარ ციციშვილსაც შეგვიძლია ეუწოდოთ ავტორი და არა მთარგმნელი. შინაარსისა და ფორმის მხრივ, აგრეთვე მასალის მხატვრული დამუშავებით, ნოდარი არ ჩამოუვარდება არც ნიზამის გამგრძელბლებსა და მიმბაძველებს, არც თვით ნიზამის. ზოგიერთი მისი სურათი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ნიზამისა.

ნოდარ ციციშვილი ეკუთვნის თეიმურაზის ლიტერატურულ სკოლას, რომელსაც მისაბაძ მაგალითად გაუხდია „ვეფხისტყაოსანი“. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჩვენ პოეტს რუსთაველიდან აუღია როგორც 16-მარცვლიანი შაირი, ისე მთელი პოეტური აქსესუარი: სურათები, შედარებანი, ეპითეტები, მეტაფორები, ლექსიკური მასალა, ფრაზეოლოგია. ერთი სიტყვით, კითხულობთ ნოდარის პოემას და ფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროში იმყოფებით. ამით აიხსნება ის დიდი პოპულარობა, რომელიც „ბარამგურიანი“ მოუპოვებია ჩვენში. პატრი ბერნარდე, რომელიც ჩვენში 1670—1679 წლებში მოღვაწეობდა, რომის კურიას სწერს: ქართველები „მიზიდულნი არიან ბეიანიანის, ბარამიანის, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზედაო“¹. პოემაში მრავლადაა გაფანტული სენტენცია-აფორიზმები, ისე როგორც „ვეფხისტყაოსანში“. ზოგიერთი მათგანი თითქოს გამეორებია რუსთაველის სენტენციებისა, ზოგიერთი კიდევ მის ყაიღაზეა ჩამოსხმული.

სანიმუშოდ მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს:

ბარამგურიანი

ვეფხისტყაოსანი

თქვა: სოფელო, რას მიუპყრობ კაცსა შენგ ან განაწირსა?

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ რა ზნე გვირსა

სისხლის სმა გვირს კაცთა გვართა, რაცა ვის სვირს, შენგან სვირსა. (192).

ყოელი შენი მონდობილი ნიადამცა ჩემებრ ტირსა!

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხერი სადიო ძირსა?!

მაგრა ღმერდი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა. (251).

ბაშს აშიყი ველთა მრბოლი, მარტო დაელოს მთა და გორი,

ბაშს მიჯნურმა გული ერთსა დააჯეოს. (25).

ერთი ჰყვანდეს სააშიყო, არც გაივლოს გულში ორი. (378).

აშა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:

დღეს ერთი უნდეს, ზეალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა. (26).

ქვასაცა გასტებს ლოდინი, თვით სალიც იყოს ტინისა. (601).

გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყეისა ლბილისა. (3).

უწყით, მოალობოს, ვით ცვილსა, კაცსა ქრთამისა ქადება. (953).

ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვრთბი ეშმაკთა ძირისა! (1196).

¹მ. თ ა მ ბ რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კთოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 683.

მთვარე შეგუკრა ვეშაპსა, მნახთ, თქვი, ამოხდეს სულეები. (1449).	დარჩა მთვარე გავსებული, გველისაგან ჩაუნთქმელი. (1198).
	ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა. (1420).
	მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედა რადმეა გაგვი-თინდა! (1158).
ჩემმან ხელმქმნელმან დამმართა გულსა ულ-ბენი წყლულთა. (1455).	ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები. (9).

მსგავსება ამ ორ ნაწარმოებს შორის ძალზე დიდია. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ბარამგურიანი“ საკმაოდ მსხვილი ლიტერატურული ფაქტია აღორძინების ხანისა¹.

7. პისრაშიანი

(ბალეშაძის)

როგორც უკვე გვქონდა ლაპარაკი, „ვისრაშიანი“ უთარგმნიათ ქართულად ჯერ კიდევ კლასიკურ ხანაში. აღორძინების ხანაში, ალბათ, თანახმად იმ ლოზუნგისა, რომელიც „ამირანდარეჯანიანის“ გამლექსავს, სულხან თანი-აშვილს, გამოუთქვამს—„ლექსს უფრო უურსა უპყრობენ, ამბის წიგნები ძეს აფად“, იმის გალექსვისათვის ხელი მოუყიდა არჩილ მეფეს. არჩილის შრომა² იწყება ვრცელი შესავლით, რომელიც შეიცავს 69 სტროფს არჩილისას და ერთს (46-ე) ბოქაულთუხუცესის ფარემ ჩხეიძის შვილისას.

შესავალში არჩილი ამბობს, რომ ქებისა და სიყვარულის საგანი უნდა იყოს ღმერთი, რომელიც ყოველივე არსებანს თავის შესაფერის ხედვას უმზადებს, მაგრამ მე, თუ ხელი მოგვიდეს ასეთ საგანს, უფრო იმიტომ, რომ, სხვის კარზე მყოფს, მომეწყინა ცუდად გდება და ფიქრმა გამათავა, არ მინდა ჯაფრს დავემონო და ვშაირობ „მოწყინებისა სეგდისა ჩემისა გასაძლებელადო“. თან ამ წიგნის სიტყვის აქებდნენ და ეს მშვენიერი ამბავი სხვა მელექსებებს, ისეთებსაც კი, როგორც იყენენ რუსთაველი და თეიმურაზი, გაუწყობელი დარჩათ, რაც გასაკვირიოა:

ეს უფრო ძველნი მიჯნურნი რად დარჩათ ამბით ქებული?
რამინ სად ნახეს გაბუჯხედ ერთს სხვახედ რითმე გლებული?

¹ ბარამგურიანის დაწერილებითი მიზომილება იხ. კ. კეკელიძის გამოცემაში, გვ. I—XXXIV.

² არჩილიანი, ტ. I. ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., გვ. 133—222.

ან ვის რით სჯობდა დარეჯან, ზილიხან გაბოზებული?
მაგრამ ვერ შესძლეს გალექსვა, მით დარჩათ ჭკვიანდებულო. (43).

სიხშო, სიძნელე ამბებისა ლექსითა ვერ დაემართათ,
თორემ იმდენთა მელექსეთ რად დარჩათ, რა დაემართათ? (15) —

კითხულობს პოეტი. იწყებს რა ამ ძნელ, სხვა მელექსეთა მერე შეუკადრებელ,
საქმეს, არჩილი წინასწარ გვაცნობს თავის თეორიას სხვისი ამბის ლექსად
გარდაქმნისას:

მელექსეს მართებს, რა მოხედეს გრძელს ამბავს, გაუწყობარსა,
სწორად არ უნდა იტყოდეს ცუდსა და შესაშობარსა,
გრძლად ნათქვამს შეაოკლებდეს, ანაზად მოსასწრობარსა,
უცებთა მიუხდომარსა, ზრძენთ ადვილ შესატყობარსა. (65).

სადაფთავან მარგალიტი მინდა სწორი გამოყვრიბო,
ორნატს ღვარძლი გაეარჩიო, წმინდა იტქლი შევიკრიბო,
წალკოტს ნარი არ ვეძებო, სხვა სულნელი სულ მოვიკრიბო,
ბადე მოვსდვა სანადირო, ეს დიდი ზღვა მოვიკრიბო. (66).

გრძელს სიტყვის შემოკლება რუსთველისგან მერგო წილად,
მეც რამე ვთქვა ორლანოდა, თუ მას უთქვამს ვით წინწილად,
რამინ მისით არ დავაგლო ლექსთა ჩემთა უნაწილად,
ეამნი მათნი საჭირონი გაუხადო საქორწილად. (67).

ეს თეორია პოეტს საეგებით გაუმართლებია თავის შრომაში. ის „ვის-
რამიანის“ ტექსტს ლექსავს თავდათავ, ხშირად დედნის სიტყვებისა და ნიუან-
სების დაცვით, არც ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი და აზრი, არც ერთი და-
მახასიათებელი დეტალი ქართული პროზაული თარგმანისა მას არ დაუტოვე-
ბია, თუმცა ამავე დროს მრავალი უმნიშვნელო წვრილმანი მართლაც გამო-
უტოვებია და საკმაო თავისებურება გამოუჩენია, უმთავრესად ნაციონალურ-
რელიგიური ხასიათისა: გაკიცხვა დის ცოლად შერთვის ჩვეულებისა, სა-
მება, მართლმადიდებლობა, ქრისტიანული სახელი კვიროსი (ვიროს მაგიერ)-
თუში, წოვა და სხვ. გაულექსავს მის ის შეგონებანიც, რომელნიც ასე
ხშირად გვხვდება ფისრამიანში. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთს. პროზაულ
თარგმანში სწერია: საწუთროსისა საქმე და მუხთლობა დაუთვალავია; სა-
წუთრო ასრე ნასკუთია შეტკარავს, რომელ ათასი ცნობა და გონება იყოს,
ველარ გაჯნისა (გვ. 7). არჩილს ეს ასე გადმოუცია:

საწუთროს საქმის სიმუხთლეს ვერავინ ვერ მისწუთებისა,
ნასკეს შეტკარავს, ავად დაბლათავს, არავის მოუთნებისა,
ათასის ცნობით, გონებით, ადარვის გაჯნებისა. (119)

ავტორს თავისი შრომა ბოლომდე ვერ მიუყვანია, ის მას შეუწყვეტია
ოცდამეორე თავზე—რამინისა და ვისის ერთგან შეყარაზე. ამ თავის შემდეგ
სათაურით—ძმისაგან დილას ვისის საწოლში შესლვია, კვითხულობთ შემდეგს
სტროფს, რომელიც პროზაულ რედაქციაში არაა:

ვისს პირი გამოეხადრა, გარშემ გიშერი მოვლიდა,
რამინ ვარ გამოსულიყო, წაღკოტის კერძო წარვლიდა,
შევიდა ძიძა, მუნ მაშინ, რაც უხმდა, მის ასწავლიდა,
ქალს ღიმი ეპარებოდა და წვრილად დასწავლიდა. (713).

ამას მისდევს ბოლოსიტყვაობა, რომელშიაც პოეტი აცხადებს, რომ ის ბოლომდის მიიყვანდა ამ შრომას, მაგრამ გარემოებამ ხელი შეუშალა მას:

სრულ ყველას თქმა უხანოან ეამან ახად არ მაცალა,
სიკვდილმან და მწუხარებამ, რაც წინ მედვა, ამატალა,
ჩემი საყოლთ და სახელმწიფოთ დია შორ სამ გამატალა,
დილას ლხინსა მომაშორა, მწუხრს ტირილზე მომატალა. (715).

ამას ქვეითცა ვიტყოდი ასევე, თუ უუკეთესა,
აქამდის ვერვის მოემკო, თუ ძველად ვისმე თეთესა;
მე კირნი ჩემნი ვამსჯავე მახვისსა უუშკვეთესა,
ეამან და სოფლის ბრუნეამან ოდენ ეს გამიკვეთესა. (716).

ჩემსა ტახტზედა მჯდარ ვიყავე, ბრძანებთ თუ არსად მვარა,
ძალი ხომ მჭირდა არვისგან, მით დამეძახა მე არა,
მაგრამ მიბრძანეთ, ღვთად-კაცად მის მეტი ვინ აღმეარა?
რუსთველს არ ვიტყვი, ნანუჩას რასთვის აქებთ და მე არა? (719).

ამ პოემის გალექსვის ამბავი ხელნაწერ N 424-ში ასეა გადმოცემული: ფისრამიანიც უწინ რომ ამთარხანს მივიდა, იქ იწყო, მაგრა წვაში ნუსხები დაიკარგა; მეორედ რომ თერგზედ მივიდა, იქ იპოვა ზოგიერთი და, მოსკოვისაკენ რომ წავიდა, გზაზედ სრულყო¹. არჩილი ასტარახანში პირველად 1682—1685 წლებში ცხოვრობდა, მაშასადამე, ამ დროს დაუწყია მას თავისი შრომა. ხოლო დღესა ახალწლისასა აღუნთეს ლამპარი დიდი სამსჭვალსა, მოვიდა ცეცხლი სასვენსა მას, რამეთუ არიან სახლნი სრულიად ხისანი, და დაიწუნენ ყოველნი სიწმინდენი და საგანძურნი არჩილისანი². როგორც ჩანს, ამ უბედური შემთხვევის დროს დაკარგვია არჩილს თავისი შრომის ნუსხაც და იძულებული გამხდარა ხელახლა შეესრულებია იგი. ვინაიდან ნაწილი პირველი შრომისა მან თერგზე მეორედ მისვლისას, 1699 წელს, იპოვა, ამიტომ ზოგიერთი ლექსი ორი რედაქციით აღმოჩნდა მის ხელში, და რადგანაც ამ ორი რედაქციიდან აარც ერთი იყო ერთმანერთის უდარესნი, მისთვის ორივე დაიწერა³.

8. ბარამგულანდამიანი

«ბარამგულანდამიანის» შინაარსი მოკლედ ასეთია:

ურუმთა ქვეყანაში იყო მეფე ქიშვარი, ყოველი კეთილით აღსაცემე, მას მხოლოდ შვილი არა ჰყავდა, მაგრამ მალე ეს სადარდებელი საქმეც მოეშალა: ორმოცი წლის რომ შეიქნა, შეეძინა ვაჟი, რომელსაც სახელად ბარამი დაარქვა. ბარამი მეფემ მიაბარა ფილოსოფოსებს სწავლისათვის, რომელშიაც

¹ არჩილიანი, ტ. I, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც. გვ. XVII.

² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 208.

ის ისეთ გულისყურს იჩენდა, რომ 14 წლისამ უკვე ყველაფერი იცოდა, ამავე დროს კაბუტთა ზნეობასაც სწავლობდა, ასე რომ 16 წლისა ის უკვე სწორ-უპოვარი გოლიათი იყო, რაც მან დაამტკიცა ერთხელ ნადირობისას ლომთან ხელდახელ შეტაკებასა და მის მოკვლაში. ამის შემდეგ, ნადირობისას, ის გამოუდგა ერთ ქურციკს, მთელი დღე სდია და ვერ დაეწვია. საღამო გაშს სტყორცნა ისარი და ქურციკი დასჭრა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძო დღე ძებნა, მის გზა-კვალს ვერ მიაგნო, მერვე დღეს მიაღდა ერთ დიდ მთას, რომლის მწვერვალზე კოშკი იდგა, ის შევიდა კოშკში და ნახა, რომ კედელზე დახატულია მზეთუნახავი. მას ის ცოცხალი ეკონა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ სურათთან ჰქონდა საქმე. მიუხედავად ამისა, მას გულში აღევჩნა სიყვარულის ცეცხლი. აქვე, ტახტის წინ, მან ნახა ერთი 80 წლის მოხუცებული, რომელმაც უამბო მას, რომ ის, ვინც აქ გამოხატულია, არის ჩინეთის მეფის ფაფხორის ქალი გულანდამი, რომელიც თვეში მხოლოდ ერთხელ გამოდის თავის კოშკიდან და ეჩვენება ხოლმე ადამიანებს. სხვა მიჯნურთა შორის მეც გამიტაცა მისმა მშვენიერებამ, სამი წელიწადი დაეყავი ჩინეთში, მაგრამ, რადგანაც ვერაფერს ვაგებდი, ეს სურათი წამოვიღე, დავბრუნდი უკან, მისდა სახსოვრად ეს კოშკი ავაგე და ვცხოვრობ განმარტოებულიო. ბარამმა მოხუცს თავისი ვინაობა განუცხადა და გულანდამის საძებრად ჩინეთში წასვლის სურვილი გამოთქვა. მოხუცმა დაუშალა, მაგრამ მან არ მოუსმინა და წავიდა. ერთი თვის მგზავრობის შემდეგ მიაღდა ერთ მშვენიერ ბალს, სადაც წამოწვა ხის ძირში დასასვენებლად. უტბად მოვიდა ერთი მხეველი, რომელმაც ტაბაკით ხილი და საქმელი მოართვა და შესთავაზა. ბარამს ქალმა უთხრა, რომ ეს ქვეყანა და ბალი არის სარასს, ქაჯთა მეფის სიფორის¹ დის, კუთვნილება, რომელმაც მოგართვა ეს და გთხოვთ, ჩქარა აქედან წახვიდეთ, ვინაოდან, სადაცაა სიფორი გამოჩნდება და რამე ხიფათს შეგამთხვევსო. ამ ლაპარაკში, მართლაც, გამოჩნდა სიფორი თავისი ოთხი ძმით. დაინახეს თუ არა მათ უცხო კაცი, შესძახეს: ვინ ხარ, ან რა გინდა აქო? მერე მისცივდნენ სათითაოდ ძმები, მაგრამ ბარამმა მათ ხელები შეუკრა და ხეზე მიაბა, ამის შემდეგ თვით სიფორმა შეუტია მას. ჯერ ცხენებით იომეს, მერე ქვეითად. ბარამმა წააქცია სიფორი, ამოიღო ქვეშ და უნდოდა თავი მოეჭრა, მაგრამ ამ დროს მოაგონდა მამის ანდერძი — ძლიულ მტერს შებრალება უნდაო, და სიცოცხლე აჩუქა მას. ამ დიდსულოვნობამ სიფორზე მეტად იმოქმედა, მან ქება შეასხა და ძმობა-ერთგულება შეჰპიცა მას. ამ დროს აქ მოვიდა ერთი მზეთუნახავი ქალი, სიფორის და, იმათ ბარამი საბლში მიიპატრიეს და რამდენიმე დღე უმასპინძლდებოდნენ. ბარამმა მათ თავისი ვინაობა და მოგზაურობის მიზანი აუწყა, სიფორმა მას აჩვენა თავისი ჯარი და აღუთქვა, როდესაც დაგვირდები, შენ განკარგულებაში ვიქნები ჯარითაო. წასვლის წინ სიფორმა, მისმა ძმებმა და დამ ბარამს უჩვენეს ერთი ჯურღბული, რომელშიაც ცხოვრობდა საშინელი აფრა-ღვევი. ეს ღვევი მთელ არემარეს ანადგურებდა,

¹ სიფორი ქაჯთა მეფე ხომ არაა გამოძახილი, გადმოკეთება სპარსული სიფოპი დივ-სიფოპი ჯადუგონისა, რაც «ღვეთა დასებს, ლაშქარს» ნიშნავს?

მაგრამ მას ვერაფერი უყვებს. ბარამი ჩავიდა ჯურღმულში, დევი მოკლა და ხელთ ჩაიგდო მთელი მისი სიმდიდრე და ავრეთვე ერთი მშვენიერი ქალი, რომელიც აღმოჩნდა ასული ქაჯთა სამეფოს ხათი-ხუთის პატრონის ქალი რაეაზი, მოტაცებული ამ დევის მიერ. ბარამმა მთელი ეს სიმდიდრე სიფორს დაუთმო, მასვე შექვედრა მან რაეაზი და თვითონ ჩინეთისაკენ გასწია. წასვლისას სიფორის ძმამ შამსამ თავიდან თმა მოიგლეჯა, მისცა მას და უთხრა: როდესაც ჩემი თავი დაეპირდეს, ეს თმა დასწვი და მე იმ წამსვე იქ გაეჩნდებიო. ბარამი მიაღდა ზღვის პირს, აქ ნახა—ვაჟკრები ხომალდში სხდებიან, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვრიან. ბარამმა გაიგო, რომ ზღვაში საშინელი ნიანგი ყოფილა, რომელიც ხომალდებსა ნთქავს. ბარამმა უთხრა მათ: ნუ გეშინიათ, მეც ვაჟარი ვარ, გამომყევით და განსაცდელისაგან დაგინხნითო. ზღვაში გამოჩნდა საშინელი ნიანგი, რომელიც ბარამმა ისრით მოკლა. ორი დღის მგზავრობის შემდეგ ისინი მიადგნენ ჩინეთის დედაქალაქს. ბარამმა დაინახა, რომ ამ ქალაქს დიდი ლაშქარი შემორტყმია გარს. ერთი მეფუნდუკისაგან გაიგო, რომ ეს არის ბულგართა მეფის შვილი ბეზადი, რომელიც მოსულა გულანდამის ძალით წასაყვანად, ვინაიდან ნებით არ აძლევდნენ მას. ბარამმა დასწვა შამსას მიერ მიცემული თმა და შამსა იქვე გაჩნდა. ბარამმა მისი საშუალებით სიფორს სთხოვა ჯარი, რომელიც დაუყოვნებლივ გამოცხადდა იქ თვით სიფორისა და მისი ძმების თანხლებით. ქაჯთა ჯარი შეება ბულგარელებისას და სძლია. თვით ბეზადს ბარამმა თავი მოჰკვეთა, შუბზე წამოაგო და ქალაქის კარებზე აღმართა წარწერით: ამისი მკვლელი არის ბარამიო. ჩინელები გაკვირებული უყურებდნენ ამ უცხო ჯარების ომს და განსაკუთრებით გაოცებული იყვნენ ბარამის ვინაობით. ბოლოს ის აზრი გამოთქმევს, რომ, ალბათ, ბარამი ზეციური მიჯნურია გულანდამისა და მან ბეზადის შური იძიაო. ბარამი მალულად ცხოვრობდა ამ ქალაქში, ის, თეთრ ნაბადში გახეული, იჯდა ხოლმე გულანდამის კოშკის პირდაპირ ქუჩაში და შეჰყურებდა მას. გულანდამი ყოველთვე თავის მხევალს გამოგზავნიდა ხოლმე ქალაქში ტაბაკით საჩუქრების შესაგროვებლად. ერთხელ მისმა მხევალმა დაველათმა ბარამსაც სთხოვა საჩუქარი. ბარამმა მას დაუდო ტაბაკზე ლალის ძვირფასი ბეჭედი. გულანდამი გააკვირვა ამ ბეჭედმა და დაველათს უთხრა: ამის მომცემი უბრალო კაცი არ უნდა იყოსო. მხევალმა დაანახვა მას ქუჩაში მჯდომი ბარამი, მათ ერთმანეთს თვალი მოჰკრეს, და შედეგი ამისა ის იყო რომ ბარამი გულანდამს მოეწონა და მისი სიყვარული გულში ჩაუვარდა. მან დაველათს დაველა გაეგო მისი ვინაობა. ბარამმა დაველათს უთხრა: მე ვადმობეწილი კაცი ვარ და გთხოვ გულანდამს ორიოდე სიტყვა გადასცეო. მან უთხრა, თუ გინდა წერილი მისწერეო. ამის შემდეგ გაიმართა ბარამსა და გულანდამს შორის მიწერ-მოწერა, რომელშიაც ბარამი თავის გრძნობებს უმელავენებს მას, თუმცა თავისთავზე არას ეუბნება. გულანდამი ცივად უპასუხებს და ურჩევს—აქედან წადიო. მეხუთე წერილის შემდეგ გულანდამიც უმელავენებს ბარამს თავის გრძნობებს, მაგრამ ურჩევს: იქონიე მოთმინება და სიფრთხილე და ნურავის შენს გრძნობებს ნუ გაუმელავენბო.

როდესაც ბარამი, ნადირობისას, ქურციკს დაედევნა და თავისიანებს ჩამოშორდა, ათი დღის განმავლობაში ეძებეს, მერე დაბრუნდნენ უკან და მამას განუცხადეს ეს. იმ წამსვე გაგზავნეს ყოველ მხარეს მძებნელნი და შემთხვევით შეხვდნენ მთის ძირში მცხოვრებ მოხუცს, რომლისაგან გაიგეს, რომ ბარამი ჩინეთში წავიდა იქაური მზეთუნახავის გულანდამის გამოსაყვანად. ქიშვარამა ჩინეთში გაგზავნა თავისი ვეზირები და 40000 ჯარი და ფაფხორის სთხოვა მოეძებნა მისი შვილი ბარამი და გამოეგზავნა. ფაფხორმა ურუმნი დიდის ზემით მიიღო, მაგრამ ბარამის შესახებ ვერაფერი უთხრა. მე ვიცი მხოლოდ ზეციური ბარამი, რომელმაც ბულგართა ჯარი შემუსრა და მეფის შვილი ბეზადი მოკლაო. ვეზირს აჩვენეს შუბი, რომელზედაც ბეზადის თავი იყო წამოგებული შესაფერისი წარწერით. ვეზირმა იცნო ბარამის შუბი და მისი ხელი. აცნობეს ფაფხორს და დაუწყეს ძებნა ბარამს. როგორც იყო, მოძებნეს ის, გამოაწყვეს მეფურად და ფაფხორს აჩვენეს. ფაფხორს ის მეტად მოეწონა და გამართა ზემი, რომელზედაც გამოიწვიეს ქაჯთა მეფე სიფორიც ძმებითა და დით. ზემის დროს შეიტყეს, რომ შურის საძიებლად მოსულა ბეზადის მამა ნავშადი დიდი ჯარით. ბარამმა გამოიწვია ქაჯთა ჯარი და ქაჯთა, ურუმთა და ჩინელთა შეერთებულმა ლაშქარმა მუსრი გააელო ბულგარელებს. ბარამმა საკუთარი ხელით მოკლა ნავშადი. გულანდამი კოშკიდან ადევნებდა თვალყურს ბარამის მამაცობას, გამარჯვების შემდეგ ბარამმა სთხოვა ფაფხორს ქალი, იმან უთხრა: თუ ქალი თანახმა იქნება, მე რა მაქვს საწინააღმდეგო? გულანდამი გაუგზავნეს სარა და რაეაზი, ისიც, რასაკვირველია, სიხარულით დასთანხმდა. ბარამმა შეირთო გულანდამი, რომელმაც თავის მამას, ფაფხორს, შერთო სარა, ხოლო რაეაზი მისთხოვდა ქაჯთა მეფეს სიფორს. ამის შემდეგ დაბრუნდნენ ურუმეთს და დიდი ქორწილი გადაინადეს. ქიშვარამა ტახტი დაუთმო ბარამს, რომელიც დიდხანს მეფობდა ბედნიერად და მხიარულად.

ასეთია მოკლედ შინაარსი ბარამგულანდამიანისა¹, რომელიც ორი რედაქციით შენახულა ჩვენამდე: მოკლეთი² და ვრცელით³. ვრცელ რედაქციაში მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ზოგიერთი ეპიზოდი, რომელიც მოკლეთში რამდენიმე სტრიქონითაა გადმოცემული, აქ გავრცობილია, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას თხზულების დასასრულის შესახებ, სადაც აღწერილია ბარამის, სიფორისა და ფაფხორის ქორწილი, აგრეთვე მათი ერთმანეთის გამოთხოვება და დაშორება. უნდა ვიფიქროთ, რომ გადმოთარგმნის შემდეგ ვიღაც გადაწერს, თუ რედაქტორს ალაგ-ალაგ შეუმოკლებია ეს თხზულება და ამით დასაბამი მიუტია მისი მეორე რედაქციისათვის.

ბარამგულანდამიანია სპარსულ ენაზე ორი რედაქციით არის ცნობილი — პროზაულად და ლექსით. რომელი რედაქცია უნდა იყოს ქართულად გადმოღე-

¹ Е Такай швили, Описание, I, гл. 552—557.

² S 3693, H 1002, A 1777, ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავის № 27 და სხვ., უზიერო გამოცემა: ქალატოხოვისა და ფერაძის 1886 წ., ფამბაკელის 1901 წ.

³ A 850.

ბული? ქართულ თარგმანს აწერია, რომ ის გადმოღებულია სპარსული ენიდან ბრძანებითა საქართველოს გამგებელის ბატონიშვილის ვახტანგისაჲთა. თუ ეს ასეა და თუ მართლა ვახტანგთან რაიმე კავშირი აქვს ამ თხზულებს, ვინაღმთარგმნას, დედანი მისი ვერ იქნებოდა სპარსული ლექსითი რედაქციი, ვინაიდან ეს უკანასკნელი დაუწერია პოეტს ამინს 1734 წელს¹, და ძნელი საფიქრებელია, რომ 1734 წელს დაწერილი თხზულება ხელში ჩავარდნოდა იმ დროს რუსეთში მყოფ ვახტანგს. მაშასადამე, ქართულ თარგმანს საფუძვლად უნდა ედოს პროზაული რედაქცია, როგორც ამას აღნიშნავს იუსტ. აბულაძეც, რომელსაც ქართული თარგმანი შეუდარებია ამ რედაქციასთან². ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ეს უკანასკნელი, პროზაული რედაქცია უნდა იყოს მინცადამინც ძველი, ყოველ შემთხვევაში, ის წინ ვერ გაუსწრებს სეფევიდების ეპოქას სპარსეთში, ვინაიდან ამ რედაქციაში მოხსენიებულია ფარჰადშირინიანი, რომლის სხვადასხვა ვერსია, თუ შესაფერისი ეპიზოდი ნიზამის ხოსროვშირინიანიდან არაა ამოღებული, მხოლოდ XV—XVI საუკუნეებიდან ჩნდება³.

უნდა დაისვას საკითხი: აქვს თუ არა მართლა ამ თარგმანს რაიმე კავშირი ვახტანგ მეფის თუ ბატონიშვილის სახელთან, მართლა მისი ბრძანებითა ის გადმოთარგმნილი? ექ. თაყაიშვილი უარყოფით პასუხს იძლევა ამ საკითხზე. მისი აზრით, ვახტანგის სახელი უსაფუძვლოდ მიუკერძოებიათ მხარამგულანდამიანთან, ის მექანიკურად გადმოუტანიათ აქ მხარამგულიჯანიანიდანაო⁴. ჩვენ გვგონია, რომ ვახტანგის სახელი არც ასე შემთხვევით უნდა იყოს დაკავშირებული ამ ნაწარმოებთან. ვახტანგი, უნდა ვიფიქროთ, დაინტერესებული ყოფილა იმით, რომ, გარდა მხარამგურიანისა, რომელიც კარგა ხანია ქართულად ნათარგმნი იყო, სხვა ტიპის მხარამიანიც გაეცნოთ ქართველებს. მისი ბრძანებით დაუწყებიათ ძებნა ამგვარი თხზულებებისა, ონანა მდივანს უპოვებია და გაუღეკსავეს მხარამგულიჯანიანი. და, მართლაც, ვახტანგის დროზე აღჩინდელი რომ არ უნდა იყოს ამ თხზულების ქართული თარგმანი, ეს იმდენად იმიდან კი არ ჩანს, რომ აქ მოხსენიებულია ღურბინი, თოფი, მეთოფე, და თოფხანა⁵, — ყველა ეს გაცილებით უფრო ადრეც გვხვდება, არამედ ისეთი რუსიციზმებისაგან, როგორიცაა გულაობა. მხარამი მინდორში გაეიდა სანადიროდ, მას მინდორსა შინა გულაობასა ერთი დიდი ლომი გამოჩნდა⁶, ანდა აფრა-ღევის ჯურღმულში რავაშქალი ეუბნება მხარამს: ერთხელ ბაღში გულაობასა შინა ვიყავო⁷. ამრიგად, მხარამგულანდამიანი გადმოთარგმნილი უნდა იყოს ქართულად სპარსული პროზაული რე-

¹ H. Ethé, Neupersische Literatur, «Grundriss...» II, S. 249.

² იხ. მის მიერ 1914 წელს გამოცემული «ეფთხისტყაოსნის» წინასიტყვაობა, გვ. XXIX.

³ იხ. ხუმთო „ხოსროვშირინიანის“ შესახებ.

⁴ E. Тахтшвиль, Описания, I, გვ. 558.

⁵ იქვე.

⁶ A 861, გვ. 61.

⁷ იქვე, გვ. 65.

დაქციიდან არაუადრეს მეთვრამეტე საუკუნის დამდეგისა, ვახტანგ ბატონი-შვილის ბრძანებითა და ინიციატივით. მთარგმნელის ვინაობა არ ვიცით.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ შეუწუნარებელია იუსტ. აბულაძის აზრი, ვითომც ბარამგულანდამიანს გაეღენა მოხვდინოს ვეფხისტყაოსანზე¹. ჯერ ერთი, ბარამგულანდამიანი სპარსულად დაწერილი უნდა იყოს, როგორც ვთქვით, არაუადრეს მეთექვსმეტე საუკუნისა. მაშასადამე, ის ვეფხისტყაოსანზე ვერ მოახდენდა გავლენას. მეორე; არავითარი არსებითი მსგავსება ბარამგულანდამიანისა და ვეფხისტყაოსნისა სუფეტთა შორის არ არსებობს, თუ ასეთ მსგავსებად არ ჩავთვლით ისეთ ელემენტებს, რომელთაც თითქმის ყველა საგმირო და რომანტიკულ ნაწარმოებებში ვპოულობთ. ასეთია: ბარამის გოლიათობა, სატრფოს ძებნა და მასთან ურთიერთობის დაკერა მხეგრის საშუალებით; ვაჟრებისათვის დახმარების აღმოჩენა და მეფე სიფორთან დამშობილება. და თუ მათ შორის არის რაიმე არა არსებითი, არამედ მოჩვენებითი მსგავსება, ეს უნდა ახსნილ იქნას, პირიქით, ვეფხისტყაოსნისა გავლენით მთარგმნელზე. ჩვენ ვიცით, რომ გატაცება ვეფხისტყაოსნითა აღორძინების ხანაში იმდენად ძლიერი იყო, რომ ნათარგმნ თხზულე ბებშიაც კი შეჰქონდათ უკედავი პოემის ელემენტები.

მეთვრამეტე საუკუნეში ბარამგულანდამიანი ქართულიდან რუსულად გადაუკეთებია სემიონ იგნატიევს (ს. ეგნატაშვილს). ეს გადაკეთებული თხზულება დაუბეჭდიათ პეტერბურგში 1773 წელს შემდეგი სათაურით: „Похождение новомодной красавицы принцессы Гулянданы и храброго принца Барамы“, перев. с грузинского Семен Игнатьев². მთავარი თარჯიმანი რუსეთის მთავრობასთან, სიმონ იაგორის ძე ეგნატაშვილი (премьер-майор Семен Игнатьев), რომელიც 1791 წელს იმერთა დელეგაციის (ბესიკის მეთაურობით) საქმეებშიაც ჩანს³, ირკვევა, მონაწილე ყოფილა რუსულ-ქართულ კულტურული-ლიტერატურულ ურთიერთობათა საქმეში.

9. ბარამგულიჯანიანი

ამ ნაწარმოების შინაარსი მოკლედ ასეთია: იყო ჩინეთის ხელმწიფე ჯონ-შერი, განდიდებული, უხვი, სიმდაბლით მალალი, მდიდარი, თვითმოსამართლე წყალობით, ძალგულიანი. მეფეს სხვა ძე არ ესვა, გარდა ერთი ასულისა, რომელსაც სახელად გულიჯანი ერქვა და თავისი მშვენიერებით შვიდსავე მნათობს აბნელებდა. ჯონშერს შვილად აეყვანა და გაეზარდა ვინმე ბარამი, ჩინელთა მეფის საგვარეულოს წევრი, მოხდენილი ვიჯაკი და სწორუპოვარი

¹ XII საუკ. ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, „ძველი საქართველო“, ტ. I, გვ. 95, შენ. 1; მისივე გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“, 1914 წ., გვ. XXV—XXVI და „XII ს. საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი“, გვ. 41—42.

² В. Соляков, Опыт российской библиографии, под редакцией В. Рогожина, ч. IV, Петерб., 1905 г., стр. 116, № 8609. აქვე აღნიშნულია (გენადის ლექსიონით, ტ. II, გვ. 45), რომ ავტორი არის დილარგეთიო (I).

³ ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, თბ., 1940 წ., გვ. 426—429.

გოლიათი. მას მეფემ სპასალარობა მისცა. ზაფხულის დამდევს მეფის ოჯახი ქალაქიდან საზაფხულო ადგილს გადადიოდა, ბარამი მას მიჰყვებოდა. უცხად ამოვარდა ქარი და კუბოს, რომელშიაც გულიჯანი იჯდა, თავსახურავი ახადა, ასე რომ ბარამმა და ქალმა ერთმანეთი დაინახეს და შეიყვარეს. ერთხელ, როდესაც მოწყენილი ბარამი თავის საწოლში იყო, შემოვიდა გულიჯანის ქალი და მოართვა ბარამს მისი წერილი, რომელშიაც ის მას სიყვარულს უცხადებდა. ბარამმაც გრძობებით აღსავსე სპასახუხო წერილი მიწერა. ბოლოს ისიც მოხერხდა, რომ ბარამი ჩუმად შევიდა ქალის საწოლ ოთახში, სადაც გულიჯანმა და მან ერთმანეთს შეჰფიცეს მუდმივი, განუყრელი სიყვარული. განშორებას ვეღარ იტანდა ბარამი, ის გაყვითლდა, ჩამოხმა და ლოგინად ჩავარდა. მეფე-დედოფალი მეტად შეწუხებული იყვნენ, მოიწვიეს მკურნალნი, მაგრამ ვერა არგეს რა. ბოლოს გამოჩნდა ერთი მესტროლაბე, რომელიც მიხვდა რომ ბარამს სწავდა გულიჯანის მიჯნურობის ცეცხლი. მან მეფეს გამოაცემინა ბრძანება, რომ ბარამთან მივიდნენ ყველანი, ვინც კი არის სასახლეში. სხვებთან ერთად ის ინახულა გულიჯანმაც. მისი მოსვლა და ნახვა განმკურნებელ წამლად შეექმნა ბარამს, მაგრამ მესტროლაბემ შესახედად ვაინც დაალევიდა მას რაღაც წამალი. ბარამის განკურნების შემდეგ გახარებულმა ჯონშერმა დიდი ზეიმი მოაწყვა, რომელზედაც ბარამი და გულიჯანი პირისპირ იხსდნენ და ერთმანეთის ცქერით ტკბებოდნენ. მათი სიყვარული, სხვებთან ერთად, მეფემაც შენიშნა, ის მეტად შეწუხდა, არ უნდოდა, რომ შეილსავით გაზრდილ ბარამს მისი ქალი ცოლად შეერთო. მეფემ მოიწვია ვეზირთა თათბირი, რომელზედაც ვადაწყდა ბარამის შეპყრობა. მეფემ საშინლად სცემა თავის ქალს და შეუდგა მზადებას ბარამის დასაქერად. ბარამმა რომ გაიგო ეს, დასტოვა ჩინეთი და გაიქრა უდაბნოდ და ველად. მთელი წელიწადი დახეტიალობს ის ადგილიდან ადგილს, ტირის, მოთქვამს, საჩივრით მიმართავს ხოლმე შვიდ მნათობს, ბოლოს შეტდის ერთ მშვენიერ ბაღში; სადაც ის თვალს ვერ ამორებს მშვენიერ ყვავილებს, განსაკუთრებით ვარდს, რომელიც მას სატრფოს, გულიჯანს, აგონებს. ის აქ ისმენს ვარდისა და ბულბულის სამიჯნურო საუბარს, გამოელაპარაკება ბულბულს, რომელიც მას ვარდისადმი ტრფობას დისწამებს და საყვიერს ეუბნება—რად მეცილებიო. ბარამი ანუჯუშებს მას, რომ უსიუფლოა მისი ექვემი, მას საკუთარი სატრფო ჰყავს, რომელიც განგებამ მოაშორა მას. როდესაც ყვავილები დაქნა, ბარამმა დატოვა წალკოტი და სხვა გზას გაუდგა. მივიდა ზღვის პირას, სადაც მას შეხვდნენ შეშინებული ვაჭრები, რომელთაც არ იცოდნენ რა ექნათ, ვინაიდან ზღვაზე მეკობრეები მგზავრებს ძარცვავდნენ. ბარამი გაუძღვა მათ წინ და მეკობრეები სულ ერთიანად ამოწყვიტა. ვაჭართა მეთაური, სედრაქი, მას ქებას შეასხამს და საჭურჭლესაც შეაძღვეს, მაგრამ ბარამი არ აიღებს და მიდის თავისი ვზით. ბალხეთის ქვეყანაში ის შეხვდა აჭაური მეფის ნარიმანის სპასალარს მილადს და უამბო მას თავისი თავგადისავალი. მათ ერთმანეთი მოეწონათ, დამეგობრდნენ, დამოზილდნენ და, ბოლოს, ნარიმანთანაც გამოცხადდნენ. ნარიმანმა ბარამის ვინაობა რომ გაიგო, დიდი თანაგრძობა გამოუცხადა და ბოლოს თავისი ჯარით მასთან ერთად ჩინეთისაკენ გაილაშქრა ბარამის საშველად.

გზაზე მათ შემოეგება ჯონშერის ვეზირი ბარზამი, რომლისაგანაც გაიგეს, რომ ჯონშერი გარდაცვლილა და ტახტი უპატრონოდა, ვინაიდან გულიჯანი უარს ამბობს გამეფებაზე, სანამ ბარამი მოძებნილი არ იქნება. მეც იმის, ბარამის, საძებრად ვარ წამოსულიო, — ითაყვებს ბარზამი თავის მოთხოობას. ბარამს კიდევაც ეწყინა ეს ამბავი, კიდევაც გაუხარდა, ვინაიდან მას შესაძლებლობა ეძლეოდა სისხლის დაუღვრელად მიეღწია მიზნისათვის. ბარზამის საშუალებით ბარამმა შეატყობინა ჩინეთსა და გულიჯანს თავისი დაბრუნება, ჩინელები დიდი ამბით მიეგებნენ მას და ნარიმანს. ბარამმა შეირთო გულიჯანი და გახდა ჩინეთის მეფე, ბრძნულად და ბედნიერად იმეფა 150 წელიწადი და მერე გარდაიცვალა.

ბარამგულიჯანიანი, რომელიც ქართულად დაწერილია 16-მარცვლიანი რუსთველური შაირით, მომდინარეობს სპარსული წყაროებიდან. ქართველი მთარგმნელი პირველ კარში ამბობს:

ისმენდით, ეიწყებ ობავსა, პირველ სპარსთაგან თქმულებსო...
 ჰამბენი, სიტყვა-შეთხულები, სპარსთა ხელთა ქმნულები,
 ბრძენთაგან ნათარგმანები, ქართულად გარდმოთქმულები¹.

საყურადღებოა თხზულების ბოლოსიტყვაობა, პროზაულად დაწერილი, სადაც მისი გადმოკეთებელი მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის. ამ ბოლოსიტყვაობის ავტორი ამბობს, რომ სასულიერო მწერლობა გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე საერო, და შენატრის მათ, ვინც სასულიერო-საეკლესიო თემებზე წერს. ვინაიდან სასულიერო მწერლობა ყველასათვის ხელმისაწვდომი არაა, ამიტომ მოიგონეს საერო, რათა ერისკაცებსაც ჰქონდეთ საკითხავად გასარტობი ამებიო. განსაკუთრებით სპარსულ მწერლებს სჩვევიათ აღწერა ქალვებით მიჯნურობისა, როგორცაა ბარამისა და გულიჯანის ამბავი; ხოლო სპარსულიდან ბრძენი კაცები ქართულად თარგმნიდნენო. ეს თხზულებაც იყო მეცნიერების მიერ სპარსთა ენისაგან გადმოთარგმნილი. დიდი ხანია ვეძებდი მის და, როგორც იქნა, ვპოვე და გაუღეკსე მე ძემან კახეთის მდივნისამ და თვით მდივანმან ონანამ². სხვა ადგილას ონანა ამბობს:

აშტარხანს ცედად დებითა დავაკვე მცირელი წელია,
 აღწერე, ლექსად შევაწყვე მსმენელთა გამახელია³.

გაუღეკსავს ონანას ეს მსმენელთა გამახელია ამბავი 1726 წელს⁴.

ამრიგად, ირკვევა, რომ ქართულ ენაზე ყოფილა სპარსულიდან ნათარგმნი ბარამისა და გულიჯანის მიჯნურობის ამბავი. ეს თარგმანი ჩავარდნია ონანა მდივანს და მას ის გაუღეკსავს ასტარხანში 1726 წელს.

ონანა, ძე კახეთის მდივნისა და თვით მდივანი, ვახტანგ მეფეს გაჰყოლია რუსეთს. ის იყო თავადიშვილი, გვარად ქობულაშვილი⁵. ჩინს, ამ

¹ Е. Такашвили, Описание, I, гл. 534, 537.

² იქვე, გვ. 523—527.

³ იქვე, გვ. 522.

⁴ იქვე, გვ. 527.

⁵ ცენტრარქივის ხელნაწერში (პნ 396, ფ. 38) ქობულაშვილის მაგიერ მოხსენიებულია თახულაშვილი.

გვარში ნდიენობა შემკვიდრებოთი თახამდებობა ყოფილა: ონანას გარდა, მდივანი ყოფილა მისი მამა, აგრეთვე სვიმონი და დავითი¹. თან ლიტერატურული ტრადიციებიც განმტკიცებული ყოფილა აქ, ვინაიდან, გარდა ონანასი, ჩვენამდე შენახულა ლექსები თამაზ ქობულაშვილისა, სვიმონ მდივნის შვილისა² და ოთარისა, დავით მდივნის შვილისა³. ყოველ შემთხვევაში, მეფის მდივნის ონანას ანბანთქებაა ჩვენ გვაქვს დავით თურქესტანიშვილის მიერ 1705 — 6 წლებში გადაწერილ აზრჩილიანში⁴. გარდაიცვალა ის 1728 წელს⁵.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ისეთი შეხედულება, ვითომცუ ის პროზაული თარგმანი, რომელიც ონანას გაულექსიავს, არის ზემოვანხილული აბარამგულანდამიანიო⁶. მაგრამ, როგორც მათი შინაარსიდან ჩანს, ეს ორი სულ სხვადასხვა თხზულებაა⁷. ონანა მდივანი ამ თხზულების სპარსული დედნის შესახებაც გვაწვდის ერთ საყურადღებო ცნობას: *«მან ბრძენმა და მეცნიერმან კაცმან კეთილმან, არა თუმცა უსწავლელმან და უგბილომან ჩუბინ ბრძენმან, რომელი იყო თემისაგან ქირმანელთასა, თქვა მათ მიჯნურთა საქმენიო»*. მაშასადამე, სპარსული აბარამგულიჯანიანის ავტორი ყოფილა ვილაც ჩუბინ ქირმანელი. ვინ არის ეს ჩუბინ ქირმანელი? სპარსულ მწერლობაში არ შენახულა ცნობა ამ ჩუბინის შესახებ, არც აბარამგულიჯანიანის დედანი. იუსტ. აბულაძე ფიქრობს, რომ ჩუბინ ქირმანელი არის სპარსეთის ცნობილი პოეტი ხაჯუ ქირმანელი⁸. სახელი ჩუბინი წარმოდგა, მისი აზრით, ხაჯუ ბენ-ისაგან: ხუ თავში მოაგლიჯეს, ჯუ resp. ჩუ შეუერთეს ბენ, resp. ბინ-საო და გამოვიდა, ამრიგად, ჩუბინ-იო. ხაჯუ ქირმანელს დაუწერია *«ქუმა-ქუმაჟუნ»*, რომელიც იუსტ. აბულაძეს *«აბარამგულიჯანიანის»* გაგრძელებად მიაჩნია და რომელიც შეიცავს *ქუმაჯანის*, ზამან ხავეარელის თავადის, გამიჯნურების ამბავს ჩინეთის მეფის ფახტურის ასულ ქუმაჯუნთან⁹. სახელის ჩუბინ წარმოება მეტად ხელოვნურია და თვითნებური, ხოლო

¹ Е. Тавадшили, Описание, II, გვ. 229—230.

² იქვე, გვ. 229, 329.

³ იქვე, გვ. 229.

⁴ H 2116, ფ. 162.

⁵ საქ. სახელმწ. მუხეუმის ხელნაწ. Ros.—316.

⁶ ხ ბ ი კ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 10; ასევე ფიქრობდა 1908 წ. იუსტ. აბულაძე (XII საუკ. ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, „ძველი საქართველო“, ტ. I, გვ. 95, შენ. 1). მაგრამ 1914 წელს შეიცვალა აზრი („ვეფხისტყაოსანი“, გვ. XXV—XXVI).

⁷ Е. Тавадшили, Описание, I, გვ. 553.

⁸ იქვე, გვ. 525.

⁹ 1291—1377 წწ. (H. Ethé, S. 248), ანდა Ch. Pieu-ით: 1277—1351 წწ. („Catalog of the persian manuscripts in the British Museum“).

¹⁰ „ვეფხისტყაოსანი“, 1914 წ. გამოც., გვ. XXVIII—XXIX. *«ქუმა-ქუმაჟუნ»* არის ერთ-ერთი ნაწილი ხაჯუ ქირმანელის *«ხუთეულისა»* („ხამსისი“). აქ ლაპარაკია ირანის მეფის ქუშანგის შვილის ქუმაინ ან ჰომანის გამიჯნურების შესახებ ჩინეთის მეფის ასულ ქუმაჯუნთან დაწერილი ის 1332 წ. მისი შინაარსი იხ. ფ. ერდმანის გამოცემაში („Zeitschrift d. Deutsch. Morgen. Gesel.“, II, 1848, s. 205—215; А. Крыженин, История Персии и ее литературы, III, გვ. 102—103).

ხსენება ჩინეთის-მეფის ფახფურის სახელისა კიდეც არ კმარა, რომ ჩუბინ ქირმანელში ვიცნოთ ხაჯუ ქირმანელი, ასე რომ საკითხი ბარამგულიჯანიანის ავტორის შესახებ ჯერჯერობით ღიად უნდა იქნეს დატოვებული.

როდესაც ქართულ ბარამგულიჯანიანს კითხულობთ, უნებლიეთ თვალწინ გიდგებათ ეფეფისტყაოსანი მთელი მისი დეტალებით. ჩინეთის მეფე ჯონშერი გვაგონებს როსტევან მეფეს. მასაც, როსტევანსავე, სხვა ძე არა ჰყავს, გარდა ერთი ასულისა, რომელიც «სოფლის მნათი მნათობია». ჯონშერს, როგორც როსტევანს ავთანდილი, გაუზრდია, ვითა ყმა და შვილი, ჩინეთის სამეფო საგვარეულოდან გამოსული ბარამი, რომელიც აღკურვილია გამიჯნურებული რაინდის თვისებით. მისთვის მეფეს უბოძებია სპასალარობა, როგორც როსტევანს ავთანდილისათვის. ეპიზოდები და საგმირო საქმეებმ ბარამის ცხოვრებაში ეფეფისტყაოსნის გმირთა ცხოვრებისა და ეპიზოდების თითქმის გამეორებაა: მგზავრობის დროს ქარისაგან ფარდაგის გადაწევა და კუბოში გულიჯანის დანახვა, გამიჯნურება, მსახური ქალის საშუალებით ურთიერთობის დაქერა მასთან, ველსა და უდაბნოში ხელივით გაქრა და მთელი წლის განმავლობაში ხეტიალი, შვიდი მნათობისადმი მიმართვა, ზღვის პირას მოქარავენე ვაქრების შეკობრეთაგან დახსნა, ბალხეთის მეფე ნარიმანთან დამეგობრება და მისი დახმარებით გულიჯანთან შეერთება და ჩინეთის ტახტის მიღება—ყველაფერი ეს ხომ ეფეფისტყაოსნის გამეორებაა! ამის გამო ზოგიერთ ჩვენ მკვლევარს ჰგონია, რომ სპარსულ ბარამგულიჯანიანს მოუხდენია გავლენა ეფეფისტყაოსნის ავტორზე¹. ჩვენ გვგონია, რომ ეს აზრი მიუღებელია, სხვა რომ არა ვთქვათ, იმიტომაც, რომ ხაჯუ ქირმანელი მეოთხმეტე საუკუნის მწერალია. ეს მსავსებება აიხსნება სულ სხვა მიზეზით: ონანა მდივანი ტიპიური წარმომადგენელია აღორძინების ხანის იმ პოეტებისა, რომელნიც იმდენად იყვნენ გატაცებული ეფეფისტყაოსნით, რომ მისი დეტალები ნათარგმნ თხზულებაშიც კი გადმოჰქონდათ. რალაც უბრალო და ტიპიური სპარსული მოთხრობა ბარამისა და გულიჯანის მიჯნურობის შესახებ ონანას გადაუკეთებია ეფეფისტყაოსნის ყაიდაზე. თანახმად ეფეფისტყაოსნის პროლოგის სიტყვებისა—«ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავექმენ», ონანაც გვიცხადებს, რომ იმანაც იბოვა ჩუბინ ქირმანელის მოთხრობის ქართული თარგმანი და ლექსად გარდაქმნა ის (თუმცა, შესაძლებელია, მართალიც არ იყოს ქართული პროზაული ვერსიის არსებობა), გარდაქმნა ეფეფისტყაოსნის ლექსითა და ფორმით. აქედან მას გადაუტანია თავის შრომაში ცალკეული ეპიზოდები, სურათები, აზრები, პოეტური ფიგურები, შედარებანი და ფრაზები. ამას არც ავტორი მალავს, როდესაც ვთქვამს:

თქვიან: ბაჰ.ამ გავს ტარიელს, არს ავთანდილის დარია,
გულიჯან ნესტან-დარეჯანს, თინათინ მინაგვარია;

¹ ეს აზრი პირველად გამოთქვა ეგრ იმ გახეთ «ივერიაში» (1892 წ., № 66), მერე თავ-გამოდებით იცავდა მას იუსტ. აბულაძე (იხ. მისი გამოც. «ეფეფისტყაოსანი», 1914 წ., გვ. XXV—XXVI).

იტყოდეს: უსუფ-ზილიხანს შეენება ორთავ დარია,
ყაის, ლეილ, ვისი, რამინ, ბაზიყაც მათში ვარიო¹;

ანდა:

შეიყრა, სცემდა უწყალოდ, ოგივე დაშვრა, დავარდა,
ვახსენოთ ნესტან-დარეჯან, ვითა მას უყო დავარ და².

დედის მწუხარებაზე იმ უბედურების გამო, რაც გულიჯანს მიჯნურობამ
მიაყენა, უკანასკნელი თვალწინ უშლის დედას სხვა ცნობილი მიჯნურების ამ-
ბავს, კერძოდ, მოჰყავს მოკლედ მთელი შინაარსი ეფეხისტყაოსნისა, მერე
«იოსებზილიხანიანისა», «ლეილმაჯნუნიანისა» და «ვისრამიანისა»³.

ამრიგად, ამ თხზულებაში ჩვენ საქმე გვაქვს უბრალო, მექანიკურ მიმბა-
ძველობასთან. ონანა ბაძავს არა მარტო ეფეხისტყაოსანსა, არამედ თეიმურა-
ზის «ვარდბულბულიანსაც». მას შეუტანია თავის შრომაში მთელი ეპიზოდი:
«ბულბულისაგან ვარდის მიჯნურობა», «საუბარი ბულბულისათვის», «საუბარი
ვარდისაგან ბულბულისათვის», «პასუხი ბულბულისაგან ვარდისათვის», რომე-
ლიც «ვარდბულბულიანის» თითქმის გამეორებაა⁴.

«ბარამგულიჯანიანისათვის» ონანას დაურთავს «ანბანთქება», რომელიც
ცალკეც გვხვდება ხელნაწერებში⁵. სულ ჩვიდმეტი ანბანთქებაა, რომელთა შინა-
არსი უმთავრესად ეკლესიურ-სარწმუნოებრივია. ვარდა ამისა, ონანას ეკუთვნის
336 სტროფი ვახტანგის მიერ გადმოთარგმნილ «ქილილა და დამანაში», რთ-
მელთა შესახებ ქვემოთ, თავის აღგილას, გვექნება საუბარი. როგორც მისი
ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩანს, მეთვრამეტე საუკუნეში, ონანა ერთ-
ერთი საუკეთესო მიმბაძველია «ეფეხისტყაოსნის» ლექსისა, მას საუცხოოდ
აქვს შეთვისებული ტექნიკა ამ ლექსისა და მისი მომარჯვების უნარიც შესწევს.
ამიტომაცაა, რომ ვახტანგს მისთვისაც მიუხდვია «ქილილა და დამანაში» მისი
ლექსების «გაჩარხვა».

10. მიჯნურობა

ასეთი სახელი ეწოდება პატარა პოემას⁶, რომელშიაც მოთხრობილია
ფრანგის ტან ქაბუკისა და გულბაჰრ მზეთუნახავის გამიჯნურება. თვით
ავტორს განუზარტავს ამ სახელის მნიშვნელობა: «წიგნსა ამას ეწოდების მიჯ-
ნურთ ბადე ამაღ, რომ მიჯნურსა ბევრი საცდომელი სდევს და თავის შე-
ნახვა მართებს, რათამცა ბადესა ამას შიგან არა გაეზბას, თვარა გამოხსნა ძნე-
ლილა, ამაღ რომე არა ყოველთაგან შესაძლებელია მიჯნურობა. და თუ ვისმე
მიჯნურობა გწადდესთ, ესე წიგნი აღმოიკითხეთ და ამას წიგნსა შიგან რადცა
ეწეროს, თუცა სრულიად გჰირდესთ, ხელჰყავთ საქმედ, თუ არა და თავი
ჰამოდ შეინახეთ».

¹ A 860, ფ. 96.

² იქვე, ფ. 98.

³ «არაკი გულიჯანისა შეგონებისათვის დედისა პასუხად მინაკემი» (A 860, ფ. 100—102).

⁴ A 860, ფ. 105—107.

⁵ S 1512; E. Тамакшвили, Описание, II, გვ. 218.

⁶ შემოკლებულად დაბეჭდილია დ. ჩუბინაშვილისა («ქართული ქრესტომატია»,
ნაწ. II, პეტერბურგი, 1863 წ., გვ. 10—21) და ა. ბარამიძის («ანთოლოგია», II, გვ. 257—
266) მიერ.

პოემა დაწერილია 16-მარცვლიანი შიშვით და იწყება შესავლით, რომელშიაც განმარტებულია მიჯნურობა და აღნუსხულია ნამდვილი მიჯნურის თვისებანი. ავტორი ამ შემთხვევაში რამდენადმე განიცდის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მიჯნურობის თეორიის ზეგავლენას. მოქმედება წარმოებს ქაჯთა სამეფოში. თავდაპირველად პოეტი აგვიწერს ქაჯთა მეფეს, დაახლოებით ისე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილია როსტევანი (განსხვავდებიან ასაკით), და მის უძლეველ ლაშქარს, რომელსაც ხარაჯა დაუდვია არარატის მთისათვის და გამარჯვებული უკან ბრუნდება. ძლევაშოსილი მეფისა და ლაშქრის საკვრეტად გამოსულან როგორც მამაკაცები, ისე ტურფა „ბანოვანი“. მეფის კარზე იყო წინა მეფეთაგან შეილად გაზრდილი, დიდგვარიანი თავადის შვილი, მხნე და ახოვანი, როგორც როსტომი, 18 წლის ჭაბუკი ფრანგისტანი, რომელმაც საკვრეტლად გამოსულ ბანოვანთა შორის თვალი მოჰკრა ერთ კეკლუც ქალს, სახელით გულბაჰრს. მისმა სილამაზემ, რომელიც აწერილია თვალწარმტაცი ფერადებით, „ვეფხისტყაოსნისა“ და თეიმურაზ პირველის ნაწერებიდან ნახესხებით, ისეთი გავლენა მოახდინა მასზე, რომ ცხენიდან ძირს ჩამოვარდა და უსულოდ მიწაზე დაეცა. გადის დრო და ფრანგისტანის გულში სიყვარულის ცეცხლი უფრო და უფრო ძლიერდება. ერთხელ მან, სანადიროდ გასულმა, მოკლა ჯეირანი, რომლის სიკეკლუცემ, მოხდენილობამ, თვალებმა და წამწამებმა მას მოაგონა მისი სატრფო (როგორც ტარიელს ვეფხმა ნესტანი) და მან საშინელი ტირილი მორთო. მეგობრებს რომ შემოესმათ მისი ტირილი, მოვიდნენ და დახმარების აღმოჩენას შეუდგნენ. ისინი ეუბნებიან მას: ნუ იკლავ თავს, რას გარგებს სიკვდილი ან შენ, ან შენს სატრფოს, მიჯნური ვინ არ ყოფილა, მაგრამ თავი არავის მოუკლავსო. ფრანგისტანი კიდევ არწმუნებს მათ, რომ ის უკვე განშორებულია ამ ქვეყნისაგან, სიცოცხლე აღარ უნდა და სთხოვს, თავს ტყუილად ნუ იწუხებთო. ერთი სიტყვით, გამეორებულია ის სურათი, აზრები და დიალოგი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანში“ ვპოულობთ, როდესაც მობრუნებული ავთანდილი მინდორში მომაკვდავ ტარიელს ნახავს. ფრანგისტანი ხშირად თავისი სატრფოს კარზე არის, შორიდან უთვალთვალებს და მის დანახვას ლამობს, ასე რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაპყრო თვით გულბაჰრმაც, რომელმაც მოიხბო თავისი მხევალი გულდასტანი და დაავალა მას მისულიყო და ეკითხა ამ კაცისათვის: ვინ არის, რა უნდა და რას აკეთებს. მხევალი მოვიდა და ჰკითხა ფრანგისტანს მისი ვინაობა. იმანაც გადაუშალა მას მთელი თავისი დამწვარი გული, გაუმელავენა ასეთი მდგომარეობის მიზეზი და სთხოვა, როგორც დას, დახმარება და შუამდგომლობა გაეწია გულბაჰრთან. გულდასტანი ეუბნება მას, როგორც ბარამს გულანდამის მხევალი, რომ მე სიტყვიერად იმას ვერ შევებდავ და თუ გინდა, წერილი მიწერე, წავუღებ და ვეცდები შენი საქმე მოვაგვაროო. ფრანგისტანიც სწერს თავის სატრფოს დამწველ-დამდაგველ წერილს, რომელშიაც თავმოყრილია ყველა საუკეთესო ადგილი ნესტან — ტარიელის, ვისი—რამინისა და ბარამ—გულანდამის მიწერ-მოწერიდან. გულბაჰრმა წაიკითხა და, თუმცა სიყვარულის ცეცხლი მის გულშიაც აინთო, მაინც

ფრანგისტანს მოკლედ და კუშტად უპასუხა: რას ამბობ, როგორ მიბედავ, ასეთ სიტყვებსაო? ბოლოს მაინც უმატებს, როგორც გულანდამი:

თუ ცეცხლი გწავს, მოითმინე, ქარტა ესე მსწრაფლ დახეი!

ფრანგისტანი წერილს დაიდებს პირსა და თვალებზე, ჰკოცნის მას, მაგრამ, როდესაც გახსნის და წაიკითხავს, გულს შემოეყრება. ის სწერს მეორე, უფრო მგრძნობიარე, წერილს, რომელშიაც, სხვათა შორის, ეუბნება სატრფოს:

არ შემიბრალებ, ვიტყვებ, თელთავან ვიღენ წყაროთა,
აწ გაეიჭრები მინდორად, შწადს—მიჯნურს შევეყაროთა,
ტარიელს ქებასა ვესტუმრო, ორთავემ ცრემლი ვღვაროთა,
ჩემისა დაკარგვისათვის, ვეპე, ვერც თქვენ გაიხაროთა.

ნესტან-დარეჯანს ბრველ დავსვამ, მასთან ვიჩიელებ ხელთა,
გეერთ ჰყავს თინათინ, გულანდამ ხომ შენი მოსახელია,
ბაზიყაც არის გარჯილი, მათთანა მონახელია,
მათ გაბრკონ, სწორედ არიან ამ საქმის მომნახელია.

წიგნი გადასცა ფრანგისტანმა თავის დობილს გულდასტანს და თან დაატანა:

წადი, უსტარო, მიერთვი მნათობსა სრულად ხმელთასა!

გულბაპრმა რომ მიიღო წერილი, უკვე ვეღარ მოახერხა თავისი გრძობების დამალვა და გულდასტანს გამოუტყდა. მხეველიც ხმას ამოიღებს და თითქმის იმავე სიტყვებითა და საბუთებით, როგორცაც ძიძა ვისს, ემუდარება გულბაპრს დაუახლოვდეს ფრანგისტან ქაბუკს და გული გულს მისცეს. გულბაპრს აწინებს მხოლოდ ის გარემოება, რომ ფრანგისტანი ქაჯია, და ქაჯები ხომ ყველა უპიროა: დღეს ერთთან არიან, ხვალ მეორესთან დაიპყრენ საქმეს. მხეველმა დაარწმუნა, რომ ამას ადგილი არ ექნება, გარანტიად მე მას ფიცს ჩამოვართმევო. მაშინ გულბაპრმა მისწერა მას საპასუხო წერილი, რომელშიაც გადაუშალა თავისი ცეცხლმოკიდებული გული და უთხრა:

ჰმართებს მამაცთან დიაცსა თავი ჰქონდეს დაკრძალულად,
არ დაჩნდეს მიჯნურობა, გულსა ჰქონდეს დაფარულად.

მაგრამ მე აღარ შემიძლია თავის დაქერა, „ღმერთი ვგმო, თუცა შენს მეტის მწადდეს მე შერთვა ქმარისა“-ო. ფრანგისტანის სიხარულსა და ბედნიერებას საზღვარი აღარ ჰქონდა, მაგრამ მან ახლა მეტი მოინდომა: მე უშენოდ არ შემიძლია ცხოვრება, წერს ის მესამედ, მინდა შენთან, შენ გვერდით ვიყო და შენ გპყრეტდეო. „შენი კოცნაა მომცემი ღონისა უსუსურისდა“, ამიტომ „შეყრით შეგჯერდეთ ერთმანეთსა“. მხეველმა წერილი წაიღო და აღუთქვა ფრანგისტანს:

არ გეწყვილეს თავი შენი, ვიყო შეყრის არა შუღლიად,
ვეიღები, რომ მსწრაფლ შეგყარო, მასთან ვიყო სიტყვის მთქმელად.

ამით თავდება პოემა, არ ვიცი, ვერ მოუხერხებია პოეტს გაგრძელების დაწერა, თუ მეტი არც უნდოდა დაეწერა¹.

ვინ არის პოემის ავტორი? თხზულებას სათაურად აწერია: „მისის ბრწყინვალეების, კახეთის თავადის ენდრონიკაშვილის ქაიხოსრო მდივანბეგ ელიალასისაგან თქმული“. მაშასადამე, პოემის ავტორი არის მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი. ამ ქაიხოსროს ჩვენ ვხვდებით ომან მდივანბეგის საისტორიო თხზულებაში—„ცხოვრება ირაკლი მეორისა“. ის არის მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მოღვაწე. ოთხმოციან წლებში ის იყო ქართველების მხრივ გამგე ქალაქ განჯისა. საქმე ისაა, რომ „ირაკლის ამას ეამსა ეპყრა საყმოდ განჯა და ყოველი მამული მისი, და აქუნდა ფრიალი მეგობრობა შუშის ხანსა თანაცა, რომელი ერთი ამისი კაცი და ერთი მეფის ირაკლისა განაგებდნენ ქალაქსა განჯისასა“. მაგრამ, როდესაც ერეკლეს ურთიერთობა ხანებთან გამწვავდა, მაშინ „გამოაძეს მუნ მყოფი იგი კაცი მეფის ირაკლისა, თავადი ანდრონიკაშვილი, მდივანბეგი ქაიხოსრო“².

ქაიხოსრო, ჩანს, ჩენი ძველი მწერლობის დიდი მკვლანე ყოფილა. მისი პოემა განიცდის გავლენას ქართულ ენაზე არსებული რომანტიკული თხზულებებისას; როგორცაა „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ბარამგულანდამიანი“. ამასთანავე ის დაჯილდოებული ყოფილა უცილობელი პოეტური ნიჭითაც. გარეგანი ფორმით, ნარნარი, დახვეწილი, პირდაპირ მომავადობელი, ვირტუოზული ლექსით, პოეტური სურათებით, მდიდარი რითმით, შედარებებითა და ეპითეტებით მისი პოემა სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ ის დასახელებული თხზულებების პირდაპირი შიბაძეა.

¹ S 1511, გვ. 559—591; S 118, S 1087.

² „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 698.



III. საზღაპრო მკონი

1. ჩ ე ს ე ლ ა ნ ი ა ნ ი

ერთ-ერთი პოპულარული საზღაპრო ნაწარმოები, რომლის ზოგიერთი მოტივი ხალხურ სიტყვიერებაშიც გვხვდება, არის «რუსულანიანი»¹. შინაარსი მისი მოკლედ ასეთია: ზმირინის ქვეყანაში ცხოვრობდა დიდებული კაცი აფთვიმიანე, რომელსაც ჰყავდა 12 სახელოვანი ვაჟი და ერთი მზის მსგავსი ქალი რუსულანი. იამანეთის ქვეყანაში იყო ერთი სახელოვანი ხელმწიფე, ქრისტიანული სარწმუნოებიდან კერპთაყვანისმცემლობაზე გადასული, რომლის საბრძანებელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, სპარსეთი² დაეპატრონა, ვინაიდან მას მემკვიდრე არ ღარჩა. ხელმწიფის სიკვდილის გამს მისი ცოლი, ქრისტიანობაზე აღზრდილი, ორსულად იყო. მას შეეძინა ვაჟი, რომელსაც მანუჩარი უწოდეს. მისი აღზრდა, დედის გარდაცვალების შემდეგ, იკისრა ერთმა ღვთისნიერმა კაცმა. დაეაყვაცებულმა და ასაკში მოსულმა მანუჩარმა გაიგო რუსულანის ამბავი, წავიდა აფთვიმიანესთან და დიდი თხოვნისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ შეირთო ის და სახლში დაბრუნდა. მათ შეეძინათ სამი ვაჟი და ერთი ასული, როდამი. რამდენიმე ხნის შემდეგ მანუჩარი დააბეზლეს სპარსეთის მეფესთან, რომელმაც ის თავის კარზე გაიწვია. მანუჩარმა უთხრა თავის მეუღლეს: ამდენი ხანია მე ჩემი სამეფო ვერ დავიბრუნე, იმიტომ რომ ქრისტიანი ვარ და არ მინდოდა წასვლა ურჯულო მეფესთან, ახლა კი ის თვით მიწვევს და ურჩობა შეუძლებელიაო. რუსულანს გული შეუწუხდა. მაგრამ მანუჩარი მას ანუგეშებს და ბოლოს მიდის მეფესთან, რომელსაც ის დიდად მოეწონება. მტრები მაინც არ დაცხრნენ: მეფეს უთხრეს, რომ მანუჩარს ერთი მზეზე უღამაზესი ქალი ჰყავს, რომელიც შენ შეგშენის გყავდესო. მეფემ მოითხოვა ქალი, რომელიც იძულებით წაიყვანეს; მაგრამ მან ესეც არ იკპარა. მან მოსთხოვა მანუჩარს, რომ გამოეწვია თავისი შვილი ფრიდონი, რომელიც აგრეთვე იძულებული შეიქნა წასულიყო. რუსულანი

¹ გამოიკა 1957 წელს ილ. აბულაძისა და ი. გიგინიის შვილის რედაქციით.

² გამოცემაში, თანახმად ზოგიერთი ხელნაწერისა, სპარსეთის მაგიერ იამანეთია დასახელებული.

ჩავარდა სასოწარკვეთილებაში. მის სანუგეშებლად გამოიწვიეს მისი მამა და ძმები, რომელნიც რომელიმე ნახულთა, რომელიმე ნასმენთა, რომელიმე ძველთა წიგნთაგან ამოკითხულთა ამბავთა უანზობდიან და დიდთა ქუეყანათა და დიდებულთა ხელმწიფეთაჲცა კირნი და განსაცდელნი ენახნეს და ბოლოს შვება და განსვენება ლეთისაგანა. თითოეული ძმა თითო ზღაპარს უამბობს, ასე რომ სულ 12 ზღაპარია წარმოდგენილი.

პირველად ლაპარაკობს უფროსი ძმა, რომელმაც წარმოსთქვა ამბავი ჩინეთის ხელმწიფის ზოსტერისა, ზოსიმეს ძისა, და ზოსტერის ძისა ზავისა, იმ მიზნით, რომ დედას შეაგონოს: ზავის დედა ყოფილიყავ, მის მეტი არა ჰყვანდა რა, ათხუთმეტისა წლისა დაიკარგა, უფრო ვერ გასძლებდითა.

მეორე ძმამ, ფარემუშმა, თქვა ანბავი ხათაელთ ხელმწიფის ტომერანისა და ძისა მისისა ჯიმშედისა. მესამე ძმამ, გურზიმ, თქვა ანბავი ყვითლის ქალაქისა ხელმწიფის გოსტამისა¹ და ძისა მისისა ხოსროსი ქრისტიანისა და კაის ქაბუქისა ქაჯთა და დევთა ამოწყვეტისა, მეოთხე ძმამ, ბარამმა, თქვა ანბავი ყარამან, ურუმის ხელმწიფისა, და ძისა მისისა ყაისრისა, რომელსა ყაისრიანი ეწოდებინს. მეხუთე ძმამ, გვიმ, თქვა ანბავი გლახას ხელმწიფეთა ნოდარისა და ძისა მისისა გორჯასპისა. მეექვსე ძმამ, ომანმა, ხემწიფის იბრეიმის ანბავი იწყუა; მეშვიდე ძმამ გოდერძიმ—ანბავი ბერძენთა მეფის კოსტასი; მერვე ძმამ საამმა—ანბავი ბალზი ბუხარ ხელმწიფისა²; მეცხრე ძმამ გურგენმა—ანბავი დუშმან ქამანაქის გოსტამისა, რომლისა მსგავსი არა ყოფილა; მეთათე ძმამ ფირანმა—ანბავი შამის ხემწიფის ბარნაოზისა და გლახისათვისა. ამ დროს რუსულანს მოსდის ფრიდონის წერილი, რომელშიც ის ატყობინებს მას, რომ მეფემ მის თავდაპირველად ისე მრისხანელ მიიღო, რომ მამას, მანუჩარს, რომელიც მის ტახტთან სვეტივით იდგა, ნებაჲ კი არ მისცა მისალმებოდა. მაგრამ ფრიდონი მალე მოსწონებია მეფეს, რომელსაც ის, მამის თხოვნით, უკანვე დაუბრუნებია იამანეთის მეფედ. ამ ამბავმა დიდად გაახარა რუსულანი და მისიანნი. შეიქნა მხიარულება და ზეიმი. რუსულანმა წინადადება მისცა ძმებს უამბონ მას ამოსალხენი და შესაქცევარიო ამბავი. ამ წინადადების თანახმად, მეთერთმეტე ძმამ, როსტევანმა, თქვა ახაზართა მეფის ანბავი და სამთა მეფისა დელამთა ძეთა; მეთორმეტემ, ზაალმა—ანბავი იტიტინე და ილაპარაკესთა. ამასობაში ფრიდონი მართლაც დაბრუნდა, დედა დიდი სიხარულით შეეგება მას და გამოკითხა ყველაფერი, განსაკუთრებით მისი ქალის როდამის ამბავი, რითაც, ცოტა არ იყოს, ის დამშვიდდა. ფრიდონმა მოიწვია ეკონიერნი მწიგნობარნი და ბიძების ნაამბობი 12 ანბავი სიტყვა-სიტყვით ჩააწერინა. ამის შემდეგ მას გამოთხოვნენ პაპა და ბიძები, დარიგება მისცეს, თუ როგორ იმეფოს, და წავიდნენ თავიანთ ქუეყანაში. გავიდა რამდენიმე ხანი და რუსულანი გარდაიცვალა. ეს ამბავი ფრიდონმა შეატყობინა პაპასა და ბიძებს, რომელთაც გულმდუღარედ დაიტრეს ის. რუსულანის დედამ შეატყობინა ეს ამბავი მის

¹ გამოცემაში—ნუშრევანისა.

² ამბავი ამირყასუმისა.

ქმარს მანუჩარს, რომელიც შეუვარდა ოთახში მეფეს და უნდოდა მოეკლა ის, მაგრამ ვეზირმა ხელი შეუშალა. მეფემ იფიქრა, რომ ეს კეილიდან შეშლილად, და სამშობლოში დააბრუნა, სადაც მან გაიხარა თავისი შვილების ნახვით.

ასეთია მოკლედ ქარგა და შედგენილობა ამ თხზულებისა, რომელიც საკმაოდ ცნობილია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. პირველად მას შეეხო აკად. მ. ბროსე, რომელმაც გადმოგვცა პირველი ორი ზღაპრის მოკლე შინაარსი და სათაურები დანარჩენებისა, და გამოთქვა თავისი შეხედულება თხზულების შესახებ¹. პროფ. დ. ჩუბინაშვილმა თავის ქრესტომათიაში² მოათავსა მეორე ზღაპარი მთლიანად და ნაწილი მეცხრესი³. აკად. ნ. მარმა დაბეჭდა მეთერთმეტე ზღაპრის ტექსტი და რუსული თარგმანი⁴. ალ. ხახანაშვილმა გადმოგვცა მთელი თხზულების საკმაოდ ვრცელი შინაარსი⁵, ექ. თაყაიშვილმა — წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში არსებული ნუსხების აღწერილობა⁶, ა. ბარამიძემ დაბეჭდა მეექვსე ზღაპარი⁷ და მოგვცა საყურადღებო ნარკვევი თხზულების ლიტერატურული წყაროების შესახებ⁸;

მეთორმეტე ზღაპარი გამოიცა ქრესტომათიაში „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ ა. შანიძის, ა. ბარამიძისა და ილ. აბულაძის მიერ.

მთავარ ინტერესსა და ნაწილს თხზულებისას წარმოადგენს თორმეტი ზღაპარი, რომელთაც გარკვეული მიზანი აქვთ: ანუგეშონ მწუხარებაში მყოფი რუსუდანი. პირველი ათი ზღაპარი ნამდვილი საღვევმრო ტიპისაა: აქ თვალსაჩინო აღვლით უკავია ბუმბერაზების რკენას ერთიმეორესთან, დევებთან, გველებთან, გველვეშაპებთან, ლომებთან და სხვა მზეცებთან. ასე რომ, თხზულება შესაძლებელი იყო საღვევმრო ნაწარმოებად გვეცნო, მას რომ გარკვეული ტენდენცია არ ჰქონდეს. ეს ტენდენცია შემდეგნაირია:

1. ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ - ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ რ ი ე თ. იამანეთის ხელმწიფეს მისი სამეფო წაართვეს იმითომ, რომ მან დაუტევა ღმერთი ქეშმარიტი და გახდა კერპთმსახური. მანუჩარის დედა იყო ქრისტიანი, რომელმაც მანუჩარიც ქრისტიანობაში აღზარდა. სპარსეთის ურჯულთა მეფე არის ქრისტიანების მტერი, მანუჩარს ეშინია, რომ ის მას ქრისტიანობის უარყოფას მოსთხოვს, ამიტომ ის ამგობინებს უტახტოდ დარჩეს, ვიდრე იმასთან წავიდეს. ბოლოს ის მაინც დააშორეს ოჯახსა და ტახტს, იმითომ რომ ქრისტიანი იყო. ის

¹ Bulletin Scientifique 1838, IV, 63—62; De la littérature romanesque géorgienne. Bulet. de L'Acad., 1878, t. XXIV—Mélanges Asiatiques, 1876—1881, t. VIII.

² 1846 წ., ნაწ. I, გვ. 36—73; 1863 წ., გვ. 69—85.

³ Восточные заметки. Сборник статей и исследований профессоров и преподавателей восточных языков Петерб. университета, «Грузинский извод связки о трех остроумных братьях из Русуданнани», гв. 221—259.

⁴ «Очерки по истории грузин. словесности», III, гв. 7—52.

⁵ «Описание», I, гв. 400—409.

⁶ «ახნოლოგია», II, გვ. 83—90.

⁷ რუსულანანის ლიტერატურული წყაროები, «თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის მოამბე», VIII, 1928 წ., 309—326; მისივე, ნარკვევები, ტ. II, გვ. 93—113.

დევნი, რომელიც უჩინ-მაჩინის ქვეყანას აოხრებს, მოკლული უნდა იქნას ქრისტიანი ქალის მეოხებით. ნუშრევეანი და ხოსრო მეფეები ქრისტიანებია, იმათ ქალაქში 500 მონასტერი და ეკლესიაა. ხოსროს ომებში ღმერთი ქრისტიანებს უწევს დახმარებას (მე-3 ზღაპ.); იოსების, იაკობის, დავითისა და იობის ცხოვრება აქ მისაბამ მაგალითადაა წარმოდგენილი (მე-6 ზღაპ.). ბერძნის მეფეს კოსტას ღამე ანგელოზი ეცხადება, რომელიც მას ცოდვების მოტევენას აღუთქვამს (მე-7 ზღაპ.); თხზულებაში თითქმის ყველაფერი «ღვთის შეწვევითა და დახმარებითა ხდება, ის გამსჭვალულია იმ აზრით, რომ ღვანგებისა შეცვალეა არ იქნების, რაც ღმერთს განუგია, ის იქმნების», რომ «კაცმა სულისთვის იზრუნოს და არა სოფლისთვის, თვარა ამის მეტსა არავის რას არგებს ძენი და ასულნი თვისნი, არცა მეყვისნი, არცა დიდება, არცა მეფობა» (მე-7 ზღაპ.); რომ ღმერთი ასეთი ხელმწიფეა: მაღალს დაამდაბლებს, მდაბალთ აღამაღლებს, მისგან ყოველი კაცი იმედული უნდა იყოს და იმას მონებდეს, მისგან ყოველი ძველი გაახლდების, ძნელი გაადვილდების და მრუდი გაიმართების» (მე-11 ზღაპ.). აქ მოყვანილია ამბავი «მხნისა მის და ახოვნისა მთავარმოწამისა ევსტატისა, თუ რაგვარად ექსორია იქმნა მამულისა დიდებისაგან და უცხო იქმნა სახლისა და სამყოფისაგან, ასე რომ მგელთაგანცა დაძაბუნდა და შვილი საყვარელი კბილთა მისთა შიგან ნახნა და მეუღლე მშვიდი ბარბაროზთაგან წარეტაცა, დარჩა მარტო, გალარიბდა და ყოველივე კეთილად დაითმინა სიყვარულითა ღვთისაგან; ამისათვის ღირსყო ღმერთმან გულთმეცნიერმა დიდებასავე თვისსა და უმჯობესნიცა განიგულა მისთვის, ამად რომე სასუფეველი ცათაცა დაუმკვიდრა მათაც» (მე-6 ზღაპ.).

2. დიდაქტიკურ-მორალური. თხზულებაში თავიდან ბოლომდე გატარებულია შემდეგი აზრი, რომელიც უფროს ძმას ეკუთვნის: «მრავალი უცხო ქვეყანა მიხანხავს და მრავალთა ბრძენთაგან გამოიკითხავს ძველი ანბავი და ლხინი ზოგნი მიხანხავს და ზოგი მასშია, რომე დიდსა ქირსა ყოფილიყვნენ დიდებულნიცა და დამცირებულნიც, მაგრამ ბოლოს ისევ შებება და ლხინი მიეცეს დამბადებელისა ყოვლისა», ანდა: «სოფელი ასე მქნელია, რომე არცა ვინ ჩვენს წინათ ყოფილა ქირუნახავი და განსაცდელთაგან დაუცდელი და არცა ჩვენს უკან იქნება» (მე-9 ძმა), თუგინდ: «ხელმწიფეთა ნათესაეთა. ქირი და სიღარიბე მრავალი გარდაუხდია, და კიდევ მრავალნი გარდაიხდიან, მაგრამ ღმერთი მათ გვარიშვილობას არ დაჰკარავს» (მე-11 ძმა).

3. ეროვნული. ეროვნული ტენდენცია ჩანს: ა) ქართულ ეროვნულ ან გაეროვნებულ სახელწოდებათა ხმარებაში: რუსულადნი, ნასთურიძე, ქეთონ ან ქეთეიან, იტიტინე, ილაპარაკე, ბედშავი, ბედუქულმართი, ბ) ვხვდებით «ფეხისტყაოსნის» გმირთა სახელებს: ტარიელს, ავთანდილს; გ) ქართულ ხელისუფლებათა და სოციალურ ცნებათა აღნიშვნაში: სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი, ყორჩიბაში (მე-4 ზღაპ.), აზნაური, დიდებული (მე-5 ზღაპ.).

ორიგინალურია თუ ნათარგმნი ეს თხზულება? ძირითადი ნაწილი მოთხრობისა, მისი; ასე ვთქვათ, კვანძი, რომლისათვისაც მოყვანილია 12 ზღაპ-

რი, სახელდობრ, ყველა ის, რაც რუსუდანს შეეხება აქ, უეკველად ორიგინალურია. რუსუდანისა და მისი ქმრის მანუჩარის თავგადასავალში ავტორს მიზნად დაუსახავს დაესურათებინა ბედშავი და ბედუკულმართი მდგომარეობა საქართველოსი მონღოლთა და შემდეგ სპარსთ-ოსმალთა ბატონობისას, როდესაც ქრისტიანობისა და ქრისტიანთა დაჩაგვრა ჩვენში ჟურჯულთათა მიერ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როდესაც დიდი გასავალი ჰქონდა უცხოელების მიერ სამეფო ტახტის მიტაცებას, მათს წინაშე დაბეზლებას, შეფთა და სეფეწულთა უცხო სამეფო კარზე ყოფნასა და აღზრდას, იქ მლიქენლობით, სარწმუნოების შარისყოფით და სხვა დამამცირებელი საშუალებით თავისი ეფემერული უფლებისა და პატივის შენარჩუნების ცდას და სხვ. უეკველია ისიც, რომ რუსუდანად ავტორს გამოყვანილი უნდა ჰყავდეს რუსუდანი დედოფალი (XIII ს.) და მისი დრო: როგორც მანუჩარი მიდის, კერპთთაყვანისმცემელ მეფესთან ტახტის საქებრად, ასევე უხდებოდათ ამ ეპოქის ქართველ მეფეებს მოგზაურობა მონღოლეთში თავისი უფლების განსამტკიცებლად. ამის საუკეთესო საშუალებად ისინი თვლიდნენ, მანუჩარის მსგავსად, ნებაყოფლობით დამორჩილებას ძლიერი მტრებისადმი. ვიცით, მგალითად, რომ თვით რუსუდანი იძულებული იყო თავისი შვილი დაეითი გაეგზავნა ყარაყორუმს დასახელებული მიზნით, ხოლო ასული თამარი მიეცა სელჩუკელისათვის. ასეთ შავსა და აუტანელ მდგომარეობაში ქართველებს ანუ უეკველად ერთადერთი აზრი, რომ მათ, ბოლოს და ბოლოს, მწარე ბედი შეებასა და ლხინზე შეეცვლება დამბადებელისაგანა. ამ აზრის საილუსტრაციოდ მოყვანილია ის 12 ზღაპარი, რომელიც შეადგენს საქუთრიე რუსუდანიანის შინაარსს. ამ შემთხვევაში ავტორს, ალბათ, უხელმძღვანელებია იმ ლიტერატურული დევიზით, რომელიც გამოთქმული აქვს ომანიანის ავტორს ქაიხოსრო ომანიშვილ-ჩოლოყაშვილს:

ფილოსოფოსთა კარები თორმეტად გაჩივებულა,
ერთის სწავლითა სრულობით ვერავენ გათავებულა (?).

ესე იგი ფილოსოფოსთა მიერ ამა თუ იმ მოთხრობის კარები ან თავები თორმეტად განაწილებულა, ვინაიდან ერთი სწავლით ან მოთხრობით აზრი ვერ გათავდება ან ვერ ამოიწურებაო. ამიტომაცაა, ალბათ, რომ ეს თორმეტი ზღაპარი თორმეტ კარად არის დალაგებული თხზულებაში.

რაც შეეხება თვით ზღაპრებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარკვეული ტენდენციითა და ეროვნული სულით არიან გატენილი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ამ ზღაპრის მოტივი ხალხში ტრიალებს, ისინი, წინააღმდეგ აღ. ხახანაშვილის მოსაზრებისა¹, მთლიანად ორიგინალური არ არიან და წარმოადგენენ სხვადასხვა ლიტერატურულად დამუშავებული ზღაპრისა და თქმულების გადმოკეთებას. პროფ. ა. ბარამიძემ გამოარკვია, რომ მეექვსე ზღაპარი, იბრაიმ ხელმწიფის შესახებ, წარმოადგენს გადმოკეთებას «ბაბთთარნამეს» იმ ზღაპრისას, რომელიც აბუ საბირს შეეხება, მხოლოდ ფა-

¹ ორიოდ სიტყვა რუსუდანიანზე, გაზ. «ივერია», 1895 წ., № 33.

ნაღს რედაქციით. პირველი ზღაპარი—ხელმწიფის ზოსტერისა და მისი შვილის ზაეისა—გადმოკეთებდა ფარშაყიანისა იმ ეპიზოდისა, რომელიც ზაბრჯათის თავგადასავალს მოგვითხრობს. მეხუთე ზღაპარი—ამბავი ნოდარისა და ძისა მისისა გორჯასპისა—ძალიან წააგავს დიდნის ქალაქის ამბავს¹. მეთორმეტე ზღაპრის ზოგიერთი მოტივი გვხვდება ქართულ ზღაპარში ასასწულთ-მოქმედი პერანგის², მაგრამ ყველაზე უფრო სრული სახით მას ჩვენ ვპოულობთ ხოსრო დეჰლევის პოემაში «ჰაშთ ბეჰეშთ» (რვა სამოთხე, პირველი ნოველი)³. მეთორმეტე ზღაპრის ჩონჩხი სომხურ მწერლობაშიაც არის ცნობილი⁴. მეოთხე ზღაპრის, ყაისრიანის, შესახებ მისი მთქმელი ბარამი პირდაპირ ამბობს: ესე ამბავი ყარაქინოზთაგან მოგვესმა მათითა ენითა და ჩუენ ქართულად ვთქვითა⁵, ანდა ასე: საარქინოზთაგან მსმენია და მე ქართულსა ენასა მითარგმნიაო⁶. მეათე ზღაპარი (ბანაროზის შესახებ) პარალელებს პოულობს ერთ მოთხრობაში, რომელსაც ან გ ი ა ლ ა ლ ი⁷ ეწოდება. მეშვიდე ზღაპარში (ბერძენთა მეფის კოსტას შესახებ) უნდა გვეპოვნოდეს ერთ-ერთი მოარული ლეგენდა კონსტანტინე დიდის შესახებ. სხვა ზღაპრების კვალი ჯერ მიგნებული არაა. რუსუდანის შესახებ ამბავში ნათქვამია, რომ ძმები მას «უანბობდიან რომელნიმე ნახულთა (იგულისხმება რუსუდანისა და მანუჩარის ცხოვრებით დასურათებული ამბები საქართველოსი), რომელნიმე ნ ა ს მ ე ნ თ ა, რომელნიმე ძ ვ ე ლ თ ა გ ა ნ ა მ ო კ ი თ ხ უ ლ თ ა ანბავთაო», ესე იგი ზეპირსა თუ ლიტერატურულ ზღაპრებს.

ამრიგად, «რუსუდანიანის» ავტორს შეუდგენია ორიგინალური, დამოუკიდებელი გეგმა, გაუკეთებია თავისებური ჩარჩო, რომელშიაც ჩაუდგია ნასესხები მასალა 12 ზღაპრის სახით, თუმცა ეს მასალაც შეუფარდებია მას ქართველთა ეროვნულ-ქრისტიანული გემოსა და მოთხოვნებთან. ვინაა ეს ავტორი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ შესაძლებელია დაახლოებით მაინც ვარკვეულ იქნას მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა და «რუსუდანიანის» შედგენის დრო.

აკად. მ. ბროსე ამ თხზულების შედგენას აკუთვნებდა XV საუკუნეს, ხოლო დ. ჩუბინაშვილი და ალ. ხახანაშვილი—მეცამეტეს, ესე იგი თვით რუსუდან დედოფლის დროს. ნ. მარი უარყოფს ამ თარიღებს და, თხზულების ხასიათისა და ზოგიერთი ლექსიკური მოვლენის მიხედვით, ის მას გადააქვს მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს, არაუადრეს სულხან-საბა ორბელიანის მიერ

¹ რუსუდანიანის ლიტერატურული წყაროები, «თბილ. უნივერსიტეტის მოამბე», VIII, გვ. 316—326.

² ძველი საქართველო, IV, 1914—15 წ., გვ. 61—69.

³ დ. კ ო ბ ძ ე, სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობიდან, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VI, №5, გვ. 393—394.

⁴ Н. М а р р, Восточные заметки, гв. 228 — 230.

⁵ S 436; S 3698, გვ. 526.

⁶ S 2541, გვ. 263. ა. ხახანაშვილს «ყაისრიანი» გამოჰყავს სახარების კეისრისაგან («Очерки», III, გვ. 52), ნაშვილად კი ის მომდინარეობს ყაისრისაგან.

⁷ А. Х а т а н о в, Очерки, III, გვ. 52.

«ლექსიკონის» დაწერისა. ექვთ. თაყაიშვილის სიტყვით კი არაფერი არ უნდა გეიშლიდეს თხზულება მივაკუთვნოთ მეთექვსმეტე საუკუნეს, ესე იგი მწერლობის აღორძინების დასაწყისის საქართველოში¹.

ყოვლად შეუძლებელია, სტილის მიხედვით, თხზულება მივაკუთვნოთ არამცთუ მეცამეტე საუკუნეს, არამედ მეთექვსმეტესაც: მეცამეტე საუკუნეში შეუძლებელია სიტყვები — თოფი, აბაზი, ხოლო წეთექვსმეტეში (აბაზის გარდა) — ა მ ა ს ო ბ ა შ ი, კ ლ დ ი თ გ ა მ ო ს ა თ, ყ ო ფ ა ე ბ ი და ს ხ ე. მრავალი სიტყვა, რომლის მსგავსი მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეიდანაა დამოწმებული, თხზულების ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი, დიდაქტიკურ-მორალური და ეროვნული ტენდენცია, აგრეთვე ტერმინი ა ბ ა ზ ი, რომელიც შ ა ჰ ა ბ ა ს ი ს სახელთანაა დაკავშირებული, გვიკარნახებენ, რომ თხზულება მეჩვიდმეტე საუკუნეზე ადრე ვერ დაიწერებოდა.

მართლაც, ამას ადასტურებს ის უდავო და უეჭველი ზეგავლენა, რომელიც ამ თხზულების ჩამოყალიბებაზე მოუხდენია გალექსილ როსტომიანსა საქუთარი სახელებით, სპეციალური, სტერეოტიპული გამოთქმებითა და შედარებებით, აგრეთვე ცალკეული ეპიზოდების გამოყენებით. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ომი ხოსროსი და ბარზინისა, რომელიც პირდაპირი გადმოტანაა როსტომიანიდან ხოსრო თურმანიძის მიერ გადმოქართულებული «ბარზუნამას» ეპიზოდისა — ომი როსტომისა და ბარზოსის². მეტიც შეიძლება ითქვას: რუსულანიანი მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარზე უადრესი ნაწარმოებია არაა, ის შედგენილია როსტომ მეფის (გარდ. 1658 წ.) შემდეგ, ეს, სხვათა შორის, ჩანს აქ ნახმარი (მეოთხე ზღაპარი) ტერმინებიდანაც, როგორცაა: 1) მო ლ ა რ ე თ ხ უ ც ე ს ი: «კულაე წაიარეს და მოეგება მოლარეთუხუცესი თავის თაბუნითა და ეთაყვანა»; 2) ს ო ლ ბ ა თ ი ა ს ა უ ლ ი: «ყოტა ალაგი წაიარეს და მოეგებნეს აგრეთვე ათასი სოლბათიასაული და ჯალაბნი მათნი»; 3) ე შ ი კ ა ლ ა ზ ი: «გამოეგზავნა დედოფალსა თავისი ხოჯა და ეშვიკალაზი თავისი სიძის მოსაკითხავად»; 4) ყ ო რ ჩ ი ბ ა შ ი: «მოახსენეს, ეს ყორჩიბაში არის მისის კერძის კაცითაო. მოვიდა ყორჩიბაში და გარდახდა შორს ეთაყვანა მეფესა». საქმე ისაა, რომ ეს ტერმინები, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, შემოულია ჩვენში როსტომ მეფეს: «ხოლო როსტომ ხელისუფალთა უწოდა: მსახურთუხუცესსა ყორჩიბაში... მექურქლეთუხუცესსა მოლარეთუხუცესი... მანდატურთუხუცესსა ეშვიკალასი, მანდატურსა სოჰბათიასაული³. როსტომის შემოღებულია აგრეთვე ტერმინი «სუფრაჯი» (I ზღაპარი).

მეორე მხრით, თუ მხედველობაში გვექნება, რომ 1732 წელს ამ შრომის მეორე თავი «ჯიშმელიანის» სახელით გაულექსავეს მამულა ბარათაშვილს, ცხა-

¹ «Описание», I, გვ. 406.

² ა. ბ ა რ ა შ ი ძ ე, რუსულანიანის ლიტერატურული წყაროები, თბილ. უნივ. მოამბე, VIII, გვ. 309 — 315.

³ «გეოგრაფია», გამოცემანი: ბ რ ო ს ე ს ი, გვ. 38 — 40; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა, გვ. 22; «საქართველოს ისტორია», დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს გამოც., გვ. 17 — 18. ამ ტერმინებიდან ზოგიერთი სხვა ზღაპრებშიც გვხვდება.

დი ხდება, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს თუ მეთვრამეტის დამდეგს, ის უკვე ცნობილი იყო ქართულად. და მართლაც, მისი ორი ნუსხა (S 436, S 3698), პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, აუცილებლად მეჩვიდმეტე საუკუნისაა¹. სახელდობრ, ერთი მათგანი (S 436) უკვე მეფე ნაზარალიხანის დროს (1688 — 1691 წწ. ქართლში და 1695 — 1703 წწ. კახეთში) გადაწერილი იყო. ეს იქიდან ჩანს, რომ იმაში ერთ-ერთ ცარიელ ადგილზე (ასეთი ადგილები იქ დატოვებულია განგებ, ალბათ, შემდეგ სურათების დასახატავად) მოთავსებულია მოკლე სიგელი ნაზარალიხანისა².

არის ერთი გარემოება, რომელსაც აგრეთვე შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს თხზულების დათარიღებისათვის.

მეათე კარის სათაური ხელნაწერში S 2541 იკითხება ასე: «აქა მეათე ძმის ფირანის ნათქვამი ანბავი შამის ხელმწიფის ბანაროზისა და გლახისათვის, საუკუნომცა არს სახსენებელი დედოფლის ელენესი, ამინ» (გვ. 464). ამგვარადვე იკითხება ეს სათაური, ელენე დედოფლის სახელის მოხსენიებით, ზოგიერთ სხვა ნუსხაშიაც, კერძოდ, ისეთ შედარებით ძველშიაც, როგორცაა S 3698 (გვ. 915)³. ჩანს, ამ ელენეს სახელი დართული ჰქონია არუსუდანიანის თავდაპირველ ნუსხას, რომლიდანაც მერე ის სხვებშიაც გადასულა. მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ თხზულების დაწერა დაკავშირებულია ელენე დედოფალთან. მაგრამ ვინაა ეს ელენე? ხელნაწერში S 3698 მეორე ადგილას (გვ. 527) მიწერილი ყოფილა: «ღმერთო, წარუშართე ფაღავას ქალს როდამსა»⁴. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ როდამ ფაღავას ქალი იყო თანამედროვე ელენე დედოფლისა, მასთან დაახლოებული და ინიციატორი «არუსუდანიანის» დაწერისა, რომელშიაც როდამი ერთ-ერთი მოქმედი პირია: ის არის ქალი მანუჩარისა და რუსუდანისა, რომელიც ურჯულო მეფემ ძალად წაიყვანა. ფაღავას გვარის ინიციატორობა გვაფიქრებინებს, რომ თხზულება მეგრელის მონაწილეობითაა დაწერილი. ამას რამდენადმე უდგება ფონეტიკური სახე ზოგიერთი ნუსხისა, რომელშიაც ზმნის პირველი დაბოლოება ებ ხშირად წარმოდგენილია როგორც ეფ⁵. საფიქრებელია, რომ ეს ელენე დედოფალი არის ასული ქართლის მეფის სვიმეონისა და მეუღლე ვამიყ მესამის დადიანისა, რომელსაც ის მითხოვდა 1658 * წელს. ვამიყი იყო მემკვიდრე ლევან მეორის დადიანისა, რომელიც ნამდვილი მეცენატი იყო და რომელმაც გააღიქვინა მამუკა მდივანსა და ბარძიმ ვაჩნაძეს «ზაქიანი» და «საამიანი». ჩანს, ლიტერატურული ტრადიციები ლევანიდან ვამიყის კარზე გადასულა და მის ოჯახსაც დაუწყია ლიტერატურული მეცენატობა. შინაარ-

¹ Е. Тамашвили, Описание, I, гв. 408, 409.

² იქვე, 409.

³ იქვე, გვ. 407. აღ. ზახანაშვილს ეს ელენე მიუღია ზღაპრის ერთ-ერთ მოქმედ პირად და ამიტომ ასე თარგმნის: «Рассказ о царе шамисском, Банагозе и царице Елене» («Очерки», III, გვ. 86).

⁴ Е. Тамашвили, Описание, I, гв. 408.

⁵ იხ., მაგალითად, ნ. შარის გამოცემაში: დავაყენეფო («Восточные заметки», გვ. 239).

სის მიხედვითაც ამ თხზულების შედგენა სწორედ ამ დროს უფრო შეესაბამება. საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა მდიდარ მასალასა და საბაბს იძლეოდა ამგვარი თხზულების დასაწერად. განსაკუთრებით ეს უნდა ეთქვათ ვამიყის ცოლის ელენეს შესახებ. როგორც «შაჰნავაზიანის» მიმოხილვისას დავინახავთ, ამ ქალის ბედი ნამდვილი ტრაგედიაა, რომელიც თავისი სიმწვავეთ, თუ არ აქარბებს, არაფრით ჩამოუვარდება რუსულდანიის ტრაგედიას, და, თუ ვისმესთვის საჭირო იყო ასეთი მანუშეშებელი თხზულება, ყველაზე შეტად იმისათვის. თუ ეს ასეა, თხზულება დაწერილი უნდა იყოს იმ დროს, როდესაც ელენე დედოფალი ქართლში ცხოვრობდა, როგორც ტყვე, ვახტანგ მეხუთას (შაჰნავაზის) კარზე, მაშასადამე—მეჩვიდმეტე საუკუნის სამოციან წლებში.

„რუსულდანიანის“ უახლესი გამოცემის შესავალ წერილში აღნიშნულია: „რუსულდანიანი XVII საუკუნეზე ადრე ჩანს დაწერილიო“ (გვ. XVII). როდის სახელდობრ? ამაზე პასუხი არაა გაცემული, აქ მხოლოდ ექვ ქვეშა დაყენებული ამდენხანს ცნობილი სათარიღო მონაცემები. რა საბუთებზე? ა. ხახანაშვილის მიერ წამოყენებულ დებულებაზე: ტერმინები თოფი, აბაზი, საათი მოგვიანო დროის გადამწერთა მიერ შეიძლება ჩამატებული იყოს ტექსტში. ეს დებულება გავრცელებულია სამოხელეო ტერმინებზეც, რომელიც რუსულდანიანში გვხვდება (გვ. XV), აგრეთვე როსტომიანის ანარეკლებზე თხზულებაში (გვ. XVI). მტკიცება იმისა, რომ ესა და ეს ადგილი თხზულების თავდაპირველ ტექსტში არ ყოფილაო, როდესაც ეს თავდაპირველი ტექსტი არ შენახულა, მარჩიელობაა. იმის მიხედვით, თუ რამდენჯერაა ესა თუ ის ტერმინი და სიტყვა თხზულებაში ნახმარი, ერთხელ (აბაზი) თუ ოთხჯერ (თოფი), „შედარების“ (გვ. XV) თუ სხვა რაიმე მიზნით, ჩვენ ვერ უარყოფთ ამ ტერმინის თუ სიტყვის ავტორისაგან მომდინარეობას, საკმარისია, რომ ის მოხსენებულია, თუგინდ ერთხელ. მაგალითად, სიტყვა „ოტა“ ვეფხისტყაოსანში ერთხელაა ნახმარი, ნუთუ ამიტომ ის არ ეკუთვნის რუსთაველს? თუ ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ თხზულება ამა და ამ დროს ეკუთვნის, და იმაში გვხვდება ამ დროისათვის შეუფერებელი ფაქტები, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ფაქტები ჩამატებულია შემდეგი დროის გადამწერთა თუ რედაქტორთა მიერ; მაგრამ, როდესაც თხზულების წარმოშობის დრო არ ვიცით, აღიარება მისი ამა თუ იმ მონაცემისა შემდეგი დროის ჩანამატად უსაფუძვლო იქნება. ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში თხზულებაში ერთი ტერმინი ან სიტყვაა ნახმარი, მეორე შემთხვევაში კი იმისი შესატყვისი მეორე, არ უარყოფს იმას, რომ ორივე ეს ტერმინი თუ სიტყვა ერთსა და იმავე ავტორს შეეძლო ეხმარა, თუ ის მათ იცნობდა. ვეფხისტყაოსანში იხმარება, მაგალითისათვის, როგორც „ლარი“, ისე „ქურქელი“, ნუთუ ამიტომ ერთ-ერთი ამ სიტყვათაგანი რუსთაველს არ ეკუთვნის? რაც შეეხება „როსტომიანის“ ანარეკლს, „რუსულდანიანში“, აქ ლაპარაკია არა „როსტომ“ სახელის შესახებ, რომელიც ავტორს შეეძლო ამოეღო სხვა წყაროდანაც, თუ გინდ შაჰნამედან უშუალოდ, არამედ მსგავს მხატვრულ სიტუაციებსა და მათ სიტყვიერ გაფორმებაზე, რაც ექვემოტანლად როს-

ტომიანზე ნიუთითებს. ჩვენ გვეუბნებიან: რუსულდანიანი რომ XVII ს. ნახევარში იყოს დაწერილი, ამ საუკუნის მიწურულისათვის ისეთი განსხვავებული ნუსხები მისი, როგორცაა ABC, ვერ გავრცელებოდაო (გვ. XVII). რომ გავრცელებულან, თვით ამ ნუსხებიდანა ჩანს; იმათში აღნიშნულია როსტომის მიერ შემოღებული სამოხელეო ტერმინები, მაშასადამე, დამზადებულნი არიან ისინი როსტომის შემდეგ, მხოლოდ სხვადასხვა გეოგრაფიულ არეში. ამ ნუსხების გავრცელება აიხსნება იმდენად არა განვლილი დროის ხანგრძლივობით, რამდენადაც იმ გატაცებით და დიდი ინტერესით, რომელიც გამოუჩენია თბულენისადმი მკითხველ საზოგადოებას; აი, ეს ინტერესი უწყობდა ხელს თბულენის ფართო და სწრაფ გავრცელებას. „დასავლეთ საქართველოში შექმნილი რუსულდანიანი“ (გვ. XXXIII) სწრაფად გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოშიაც. ამისი მიზეზი იყო იმდენად არა პიროვნება და თავგადასავალი ელენე დედოფლისა, რომელიც ამ შემთხვევაში შემაერთებელი ძაფია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის (ისიც არა მთავარი, არამედ შემთხვევითი), რამდენადაც ის აუტანელი ტანჯვა-წამება სხვადასხვა ჯურის აგრესორთაგან, რომელსაც ერთნაირად განიცდიდა მაშინ საქართველოს თვითეული კუთხე და რომლის ზუსტი, ზემოქმედი სურათია მოცემული რუსულდანიანში.¹

რუსულდანიანში ჩვენ გვაქვს მკვეთრი სურათი საქართველოს ყოველმხრივი ცხოვრებისა, განსაკუთრებით პოლიტიკურის, ის მდიდარია ყოფა-ცხოვრებითი ფაქტებით და რეალიებით. მის ავტორს გამოუყენებია როგორც ხალხური სიტყვიერების მასალები, ისე მხატვრული ლიტერატურაც. როდესაც ამაზე ვლაპარაკობთ, ზომიერება გემართება. მაგალითად, ქართული ზღაპრიდან მომდინარედ მიიჩნევენ მესამე ზღაპრის ერთს ეპიზოდს, რომელშიაც ფასკუნჯის ფრთა აღიარებულია გაქირვებისა და განსაცდელისაგან მხსნელ საშუალებად (გვ. XX). ეს ეპიზოდი წარმოშობით შეიძლება ქართული არც იყოს, ვინაიდან ცნობილია ჯერ კიდევ შაჰ-ნამეში². მხატვრული ლიტერატურიდან გამოყენებულია განსაკუთრებით როსტომიანი და ვეფხისტყაოსანი. აქაც ხელალებით არ შეიძლება ვთქვათ, რომ რუსულდანიანის მეორე ზღაპრის ეპიზოდი გრძნეული გველის შესახებ (გვ. 173) ვამეორება ვეფხისტყაოსნის ეპიზოდისა გრძნეული ქაჯების შესახებ (სტროფ. 1245—1249). მსგავსება შედარებით უმნიშვნელოა: თუ მხედველობაში არ მივიღებთ „გრძნეულობის“ მოტივს, რაც სტერეოტიპული მოტივია ფანტასტიკური ამბებისა, ჩვენ დაგვრჩება ერთ შემთხვევაში გრძნეული კაცი — ქაჯი, მეორეში გრძნეულივე კაცი — გველი; რა საერთოა ქაჯსა და გველს შორის?

ენა თბულენისა საქმოდ მდიდარი და საინტერესოა.

„რუსულდანიანის“ მეორე თავი ცალკე თბულენის სახითაც არსებობდა ჩვენს ლიტერატურაში და ეწოდებოდა „ამბავი ჯიმშედ ხელმწივისა“³. საყურად-

¹ უფრო ვრცლად იხ. ა. ბარამიძე, რუსულდანიანის გამოცემის გამო, „მნათობი“, 1958 წ., № 6, 164—172.

² შაჰ-ნამე, ტ. II, სტრ. 5603 და შემდ.

³ S 551.

ლებოა, რომ ეს თავი იმდენად მნიშვნელოვანი და საინტერესო ყოფილა მკითხველთათვის, რომ ის გაულექსავთ კიდევ „ჯიმშედიახის“ სახელით. გაულექსავს ის 16-მარცვლიანი რუსთველური შაირით ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ქ. მოსკოვში 1732 წელს ვახტანგის ერთ-ერთ მხლებელს მამუკა ბარათაშვილს, რომლის შესახებ ჩვენ თავის ალაგას გვექნება საუბარი. მამუკას ასეთი სათაური გაუქეთებია ამ შრომისათვის: აწყება პირველი წიგნისა ამის ჯიმშედიახისა. გაულექსილი მამუკა ბარათაშვილის მიერ, ამბავთაგან რუსულდანიანისა გამოღებულა. აი რას ამბობს მამუკა:

მამად მამამან იწოდა ქადაგი წინასწარისა,
შურდული, ქვა და მტერთა სრვა, ზე ძალნი დაამყარისა,
მის მთიებისა წინწილი, ვინ ჩვენთვის ნათლად არისა,
მეხუთე ვახტანგ ცხებული ქართველთა გარდამწვდარისა.

ვარ ვინმე ესე, რომელი მე სხივთა მათა მნათესა,
შეურდომით საფარველისა, უხვად მიმღები მათესა,
სრულქმნისა საწადელისა, ლექსთა თქმით მოკამათესა,
მამუკა ბარათაშვილი, რუსნი მიხმობენ მათესა.

ხათელთ მეფეთ ამბავი, ქართულად განმარტებული,
მებოძა, ლექსად შევსცვალე, ჭირთ ავთა წარმატებული,
უენო რიტორ-მეტყველი; მსგავს ჩემდა განმატებული,
გულთა მუსიკი საამო, აქამდის ძალსუსტებული.

ოდეს ინებეს ემბახით აღმოქმად სახელწოდება,
მენება შოთა, ხოჯადმან საბა მივილოთ მოდებად,
ჯიმშედისათვის გახელდეს სეემან სახმილთა მოდებად.
იყოს მამუკა ხმობილი საყნოსელთათვის როდებად.

მოსკო. წელ. ჩლლბ. სრულ იქმნა წიგნი ესე ჩემ მიერ მოსკოვს. წელთა 1732 თვესა დეკენბერსა 11 ა¹.

მამუკას პარაზაული „ჯიმშედიახია“ გაულექსავს ზედმიწევნითი სიახლოვით, პარაგრაფი პარაგრაფზე და ამბავი ამბავზე, ფაქტობრივი მასალა გამოტოვებული არაა. ლექსი მისი საკმაოდ ლაზათიანი და მოხდენილია. ტყუილად კი არ ამბობს ის:

შოთა ზის უნეს, მხედარი იგი კეთილად წვრთილებსა,
ემაჲნენ, დასხდნენ მრავალნი თვისთვისა დახედნილებსა,
გარდავლეს ესე საწუთო, გვაძლევენ შემოთვლილებსა,
არ ვიცი, რა ქნეს, ვინებე, მათა მივიღებ წილებსა.

2. უ ი რ მ ა ლ ი ა ნ ი

ამ ნაწარმოების -სრული სათაური არის შემდეგი: ამორკმა-დიდებით ცხოვრება და მოქალაქობა ხელმწიფისა ფირმალისა და ძისა მისისა აბულ

¹ S 390, გვ. 3—7, 143; Е. Такашвили, Описание, I, გვ. 410—416.

ისაყისა, ან სხვანაირად — ამაბავი დიდნის ქალაქისა¹. შინაარსი თხზულებისა, რომელიც 11 თავისაგან შედგება, მოკლედ ასეთია: იყო ერთი მდიდარი და სახელოვანი დიდნის ქალაქი, რომელმაც ასეთი სახელი მიიღო იმიტომ, რომ მისი ზღუდე იყო გაკეთებული დიდნის ქვისაგან. ამ ქალაქს ჰქონდა შვიდი სპილენძის ბურჯი ან კოშკი, რომლებიდანაც დროგამოშვებით შვიდი იყლიმის ქვეყანაში მიდიოდა ხოლმე ქარავანი სხვადასხვა ძვირფასი სავაჭრო საქონლით. ამ ქალაქის პატრონი იყო დიდებული ფირმალ ხელმწიფე, რომელსაც ჰყავდა შვილი აბულ-ისაყ. ცხრა წლის აბულ-ისაყმა უკვე იცოდა ყოველივე სამეფო ზნენი. თერთმეტი წლის რომ შეიქნა, მან დედას სთხოვა მიეცა მისთვის ქალაქის შვიდივე კოშკის დათვალიერების ნება. დედამ თავის მხრივ ნება მისცა, მაგრამ მამასთანაც გაგზავნა ნებართვის ასაღებად. თუმცა მამას ეძნელებოდა, მაგრამ უარი ვერ უთხრა და თან გააყოლა ერთგული ვეზირი, რომელსაც დააეალა — არ ეჩვენებინა მისთვის მეშვიდე კოშკი და იქიდან გამომავალი ქარავანი. აბულ-ისაყი წავიდა, დაათვალიერა შვიდივე კოშკი და იმ ქარავნისაგან, რომელიც მეშვიდე კოშკიდან გამოდიოდა, გაიგო, რომ ის მიემგზავრება ინდოსტანში, სადაც მეფეს, სულთან ბუსაითს, ჰყავს ერთადერთი ქალი, რომელსაც დაბადებიდანვე იცავს საშინელი გველი. ეს გველი არის ჯაშუში წითელი დევისა, რომელსაც ქალი თავის შვილისათვის უნდა საცოლედ. აბულ-ისაყს გულში ამ ქალის სიბრალული და სიყვარული ჩაუვარდა და განიზრახა მისი მოძებნა, განთავისუფლება გველისა და დევისაგან და ცოლად შერთვა. ერთხელ ის ვეზირის შვილის თანხლებით სანადიროდ გავიდა და წააწყდა ორ ლომს. ერთი ლახტით მოკლა, მაგრამ მეორემ წააქცია ის და დახრჩობას უპირებდა, ამ დროს მოვიდა მისი ცხენი, შაჰიტტი, და ლომი კბილებით დაგლიჯა. აქედან რომ წავიდნენ, მათ ნახეს ორი ალმასის ტახტი და ერთი ოქროს გოკი. ერთი ტახტი და გოკი მოკლეს, მეორემ აბულ-ისაყს გაჰკრა ეშვი და მუცელი გამოუატრა. მაშინ მოვიდა მისი ცხენი შაჰიტტი და ტახტი სასიკვდილოდ დააშავა. ტახტმა უთხრა ვეზირის შვილს: მე ხომ ვკვდები, ის დედისერთა მეფის შვილი რომ არ მოკვდეს, მუცელი გამოუკერე, გამოიღე ჩემი ნაღველი და კრილობაზე დაასხი, სულ ნუ დაღვრბ, მერეც მოგინდებია. ვეზირის შვილი ასეც მოიქცა, და აბულ-ისაყი გამომთელდა. წამოვიდნენ შინ და მეფე-დედოფალს ყველაფერი უამბეს. გამოვიდა ხანი და აბულ-ისაყმა მოინდომა ინდოსტანს წასვლა თავისი სატრფოს დასახსნელად. დედ-მამას დაეთხოვა ვითომცდა სანადიროდ. შაჰიტტის მაგიერ, რომელიც მამამ არ ათხოვა მას, შეჯდა თეთრ ცხენზე და იმავე ვეზირის შვილის თანხლებით გაუღვა გზას. წასვლის წინ თვალკრემლიანი გამოეთხოვა მშობლებსა და შაჰიტტს, რომელსაც სთხოვა: თუ გაქირვების დროს მოგიწოდო, მომეშველეო. ჯერ მივიდნენ ერთ ქალაქში, სადაც მოხუცებულნი

¹ გამოცემულია ა. ხახანაშვილის მიერ 1778 წლის ხელნაწერიდან: «მოამბე», 1904 წ., № 4, გვ. 1 — 58. მან არ იცოდა, რომ მის მიერ გამოცემული თხზულება «ფირმალიანი» იყო.

დედაკაცისაგან გაიგეს, რომ ეს ქალაქი ეკუთვნის იმ წითელ დეეს, რომელიც გველის საშუალებით თავის შვილისათვის იცავს ინდოსტანის მეფის ქალს. ახლავე წადით აქედან, ეუბნება მათ დედაკაცი, თორემ საცაა ის დევი გამოჩნდება და წაგახდენთო. მართლაც, გაიხედეს მათ და დანიახეს, თითქოს წითელი მთა მოგორავსო, ისე მოდიოდა საშინელი დევი. აბულ-ისაყმა სტყვარცნა მას პირში ისარი, ლახტით მარჯვენა ბეჭი მოსტება, მაგრამ მარცხენა ხელით მაინც შეძლო მან აბულ-ისაყის ქვეშ ამოღება. მაშინ აბულ-ისაყს მიეშველა მისი ცხენი, რომელმაც დევი ტოტებით დაბეფა და კბილებით დაითრია. ისაყმა ამოიღო ხმალი და ჯერ მარცხენა ხელი მოჰკვეთა მას, მერე თავი, ვეზირის შვილმა ამოაცალა დევის ღვიძლი და წამოიღო. ამასობაში გამოჩნდა ამ დევის შვილი 2000 დევით. აბულ-ისაყი ცხენით გავიდა მის წინააღმდეგ, დაკრა ლახტი და უსულოდ ცხენიდან ჩამოაგდო, მაგრამ დევმა გრძნებით დაუშვა მდულარე წვიმა და ისაყი და მისი ცხენი დააბრმავა. მაშინ ვეზირის შვილმა ამოუსვა მას და ცხენსაც თვალეზში დევის ღვიძლი და ორივეს ხედველობა დაუბრუნა. ამის შემდეგ გამოუდგა სხვა დევებს და სულ ერთიანად მუსრი გააგლო მათ. აქედან რომ წავიდნენ, ერთი ქალაქის მახლობლად დანიახეს სამი მთისოდენა გველი: წითელი, შავი და თეთრი. თეთრი გველი უთვალთვალებდა ხოლმე აქ ორ ქალს, რომელნიც მახლობელ ტბაში საბანაოდ მოდიოდნენ. შავსა და წითელ გველს ეს შურდათ და უნდოდათ თეთრი გველი მოეკლათ. აბულ-ისაყმა სტყვარცნა ბოძადა შავსა და წითელ გველს და იქვე გაავარა ორივე. მადლიერმა თეთრმა გველმა აღუთქვა მათ უვნებლად გატარება ორ საშინელ კლდეს შორის, რომელნიც ერთიმეორეს ეჯახებოდნენ ხოლმე და მიმავალთ გზას უკრავდნენ. ვეზირის შვილმა მოინდომა იმ ქალების დაპატრონება, მაგრამ ისაყმა დაუშალა, სხვა არ იყოს ამით თეთრ გველს გავაჯავრებთო. მათ კლდე მართლაც უვნებლად გაიარეს და მიადგნენ ზღვას. ვეზირის შვილი შეწუხდა: შევალთ თუ არა ზღვაში, თეთრი თევზი შეგვკვამსო. მან ურჩია ისაყს ცოტა ჩამოეტება ბეჭდისათვის და ნატეხი ზღვაში ჩაეგდო. ჩააგდო თუ არა მან ზღვაში ბეჭდის ნატეხი, ზღვა დაშრა და თეთრი თევზი მოკვდა, ხოლო ისინი უვნებლად გადავიდნენ მეორე ნაპირს, სადაც წამოჯდნენ ხალგათად. ამ დროს გამოჩნდა პირცეცხლიანი ვეშაპი, რომელმაც ყველაფერი დააბნელა. ისაყმა თქვა: ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრულიო, და მოუწოდა თავის შავჩიტს, რომელიც, მართლაც, იმწამსვე იქ გაჩნდა. აბულ-ისაყმა ჰკრა ისარი ვეშაპს, მაგრამ მან გაჰკრა მას კლანჭი და ქვეშ ამოიღო. ისაყს მოეშველა შავჩიტი, რომელმაც კბილები ჩასკიდა ვეშაპს, მაგრამ მან ყელი გამოლადრა მას. მიუხედავად ამისა, ვეშაპი მაინც დაამარცხეს. აბულ-ისაყი და შავჩიტი, მოშხამულები და დაქრილები, სისხლიდან იცლებოდნენ და თან სივდებოდნენ. შავჩიტის რჩევით ვეზირის შვილმა აბულ-ისაყს პირში ჩაასხა ცხვირის სისხლი, მერე წაუსვა ღორის ნაღველი კრილობაზე, ამ გზით ის მოაჩინა. აბულ-ისაყი ეკითხება მომაკვდავ შავჩიტს: რა გიყო? მან უპასუხა: მეძნელება თქმა, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, მე თეთრი ცხენის ღვიძლი მიშველის მხოლოდო. შეწუხდა ისაყი, მაგრამ ვეზირის შვილმა დაკლა თეთრი ცხენი, გამოუღო ღვიძლი და შავჩიტს დაადო

ქრილობაზე, რითაც ის მართლაც მოჩრა. აქედან წავიდნენ ისინი და მივიდნენ ინდოსტანის იმ ქალაქში, სადაც მეფის ქალი ცხოვრობდა. ვეზირის შვილმა აბულ-ისაყი შეიყვანა ქალის კოშკში, რომელიც მდიდრულად იყო მორთული. მისმა მცველმა გველმა დაინახა თუ არა ეს, წამოიჭრა და აბულ-ისაყს ყელზე შემოებვია ისე, რომ ახრჩობდა, მაგრამ იმან და ვეზირის შვილმა დაჰკრეს მას ლაბტი და მოჰკლეს. აბულ-ისაყი მოიშხამა და გასივდა. ვეზირის შვილმა წაიძრო თითიდან ბეჭედი და წყალში გალესა, ნალესი წყალი დაალევინა ისაყს, რომელმაც პირიდან ოცდახუთი ცოცხალი გველი წამოაგლო და სენისაგან განთავისუფლდა. ამის შემდეგ ისაყი აბანოში წავიდა, ჩაიცვა ახალი ტანისამოსი, მოედანზე გამოვიდა და ბურთაობა დაიწყო. ინდოსტანის მეფემ, სულტან ბუსაითმა, დაინახა ის და დიდად მოიწონა. როდესაც მან გაიგო მისი ვინაობა, გაეხარა: ზედსიძედ გავიხდი, მე მაინც მოხუცებული ვარ, და სამეფოს პატრონს გავუჩინო. აბულ-ისაყმა ზედსიძობა არ ინდომა, ჩემს სამეფოს არ დავაგდებო, თუ ნებით არ მომცემ ქალს, ძალით წავიყვანო. მეფეც იძულებული იყო დათანხმებოდა, მაგრამ ამავე დროს მან მოიწვია მოკლული წითელი ღვეის უმტროსი შვილი, რომელიც ცხვარში იყო. აბულ-ისაყმა ქალი წაიყვანა. იმ მინდორზე, სადაც მან წითელი ღვეი მოკლა, მისი შვილი დაეწია მას. ეძგერნენ ერთმანეთს ისაყი და ღვეი, მათი შეტაკება მთების დაჯახებამს ჰგავდა. მოილაპა ისაყი, მას მოეშველა შავჩიტი, მანამდის სწიწკნეს ორივემ ის ღვეი, სანამ არ წააქციეს უსულოდ. მაშინ სიმამრმა შეუთვალა ისაყს: თუ გინდა ზედსიძობა, ხომ კარგი, თორემ ქალს არ გავატან, იმდენ ჯარს მოგისევ, რომ ზღვის ქვიშას აღემატებოდესო. აბულ-ისაყმა შეუთვალა: შენ მე ვერას მიზამ, სახელმწიფოსაც გავიფერანებ და შენ ქალსაც ზღვაში ჩავაგდებ. შენ ისიც კი უნდა გიხაროდეს, თუ შენს ქალს მოახლედ წავიყვან; არამტუთ ცოლადო. შეშინდა მეფე და დათმობის გზაზე დადგა. ტკბილი წერილი მისწერა სიძეს და საპასუხოდ იმისგანაც ისეთივე წერილი მიიღო. აბულ-ისაყი გაუდგა გზას და მივიდა, სადაც კლდენი ერთმანეთს ეჯახებოდნენ. თეთრი გველის დახმარებით ეს კლდეები უზიანოდ გაიარა. მეორე ღვეის ტბაში მობანავე ქალები დაიპირეს, ერთი ვეზირის შვილმა წამოიყვანა საცოლედ, მეორე კი თეთრ გველს დაუთმეს. ამის შემდეგ მივიდნენ დიდნის ქალაქში და აქ დიდი ამბით ქორწილი გადაიხადეს. აბულ-ისაყის მშობლებს ისე გაეხარათ მისი დაბრუნება, თითქოს მკვდარი გატოცლებოდნენ. მამამ შვილს ტახტი დაუცალა და მეფედ დააყენა. გავიდა ხანი, მათ ღმერთმა მისცა ცხრა ძე და ერთი ქალი, რომელიც საბერძნეთის მეფეს მიათხოვეს. უფროსი ვაჟი გაამეფეს ინდოსტანში, როდესაც იქაური მეფე, სულტან ბუსაითი, გარდაიცვალა, დანარჩენმა შვილებმა კიდევ გაინაწილეს მამის საბრძანებელი და ერთმანეთში თანხმობითა და სიყვარულით ცხოვრობდნენ.

ეს ზღაპარი ჩვენამდე შენახულა ოთხი ხელნაწერით, რომელთაგან ერთი, თავში ნაკლული, გადაწერილია 1783 წ. კორნილის ჩაჩიკაშვილის მიერ (S 1145), მეორე, რომელიც ა. ხახანაშვილს ჰქონია ხელთ, 1778 წელს, მე-

სამე (S 2778)—მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, მეოთხე—II 2069¹. დასახელებულ ნუსხებში თხზულებას პირდაპირ ფირმალიანი არ ეწოდება. მაგრამ, ყოველ ეპეს გარეშე, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს სწორედ ის ნაწარმოები, რომლის შესახებ არჩილ მეფე ამბობს:

ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ ახლა თქვა ფირმალიანი,
სოზხისგან კარგად ჩააგდეთ, სიმძიმით, ვით ლიტრიანი;
გებრალებოდეს საბრალო ცხვირ-მოჭრით, თვალტრემლიანი,
მე ვათქმევინე, მაგრამე ვერა თქვა მარილიანი².

ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს უთქვამს, ესე იგი გაულექისავს ეს ზღაპარი. მაშასადამე, მანამდე ყოფილა მისი პროზაული თარგმანი, სწორედ ის, რომელიც ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს, და არჩილ მეფეს გაულექისვინებია (მე ვათქმევინე) ის. ეს მომხდარა არჩილის მიერ ზემოამოწერილი ცნობის დაწერის ახლო ხანებში (ახლა თქვა), ესე იგი 1681 წლის წინა ხანებში. სამწუხაროდ, ფეშანგის ეს შრომა ჩვენამდე არ შენახულა და ჩვენ დღეს მხოლოდ პროზაული რედაქციით შეგვიძლია გავეცნოთ ფირმალიანს, რომლისათვისაც ასეთი სახელი, ალბათ, არჩილსა და ფეშანგის მიუციათ. ეს რედაქცია, ლექსიკური ფაქტების მიხედვით, სპარსულიდან გადმოკეთებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა სპარსულ ლიტერატურაში ასეთი თხზულება ჯერჯერობით ცნობილი არ უნდა იყოს. გადმოკეთებელს, რომელიც ქრისტიანია, შეუტანია ზღაპარში ასეთი ქრისტიანული ელემენტები: ფამოგვიჩნდა ყოველთა ქრისტიანეთა კაცი ასეთთა (S 1145, გვ. 55), სიკვილის შემდეგ ესულის საქმე გარდაიხადეს, ფარდაიხადეთ ჩემთვის სულის საქმე (გვ. 127,132) და სხვ. მთარგმნელს პრეტენზია აქვს პოეტური სურათებიც მოგვეცეს, როგორც, მაგალითად, ამას დღეს იქვე იყვნენ და რა სიბნელისა ფარდაგი დაიხია და ოქროს ბურჯი აღემართა, წავიდეს (გვ. 79).

თხზულება ტიპიური სადევგმირო ზღაპარია, რომელშიაც ფალავანი თავის მოწინააღმდეგე ძალებს სძლევს ცხენის, გველის, ღორის ნაღვლის, დევის ღვიძლისა და სხვა ამგვარ გრძნება-მისწობათა საშუალებითა და დახმარებით.

3. ზალუმჯანიანი

ასეთი სახელი ეწოდება ზღაპარს, რომელშიაც მოთხრობილია ამბავი ზღამწიფისა დიდის და ამალღებულისა, სახელკეთილისა გულაზარისა და ძისა მისისა ახოვანისა ზალუმჯანისა. ზღაპრის შინაარსი მოკლედ ასეთია:

¹ 1903 წელს გახ. «ივერიაში» (№ 75) პ. კარბელაშვილი აცხადებდა, რომ მას გადმოწერილი აქვს გამოსაცემად ამბავი დიდნის ქალაქისა და მას შინა მჯდომარის ფირმან შეფისა და ძისა მისისა აბულამისა, და კითხულობდა: ზომ არ იცის კიდევ ვინმემ სხვა ნუსხა ამ ამბავისო? უმკველია, მას ხელთ ჰქონია ფირმალიანის ერთ-ერთი ნუსხა.

² «არჩილიანი», ტ. II, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც. სტრ. 34.

სრულიად ერანისა და აზერბაიჯანის ხელმწიფეს გულაზარს ჰყავდა სამი ვაჟი: ომან, სარაზან და ზალუმჯანი. ზალუმჯანი თავის ძმებს სჯობდა სილამაზითაც, ახოვნობთაც და ცოდნითაც, ამიტომ მამას ის უფრო უყვარდა, ვიდრე ორი უფროსი. უკანასკნელები შეითქვენენ და დაიწყეს ბეკობა: რა ექნათ, როგორ მოუღოთ ბოლო ასეთ მდგომარეობას? ომანმა სარაზანს უთხრა: მე გამიგონია, რომ ინდოეთის კიდეს არის ზღვა დიდი და მის პირს დიდ-დიდნი კლდენი, რომლებშიაც გამოკვეთილია ექვსი დღეის საცხოვრებელი სასახლე. ამ დღეებს აქვთ ერთი დიდი ქვაბი, რომელსაც დიდი გაქირვებით შედგამენ ხოლმე ცეცხლზე და ჩამოდამენ ძირს. მოდი, ზალუმჯანი წავაქეზოთ, ის წავა დევებთან საომრად და მათთან ომში დაიღუპება, ჩვენ კი საწადელი აგვისრულდებაო. ძმებმა ზალუმჯანს უამბეს დევების ამბავი და უთხრეს: თუ გინდა სახელი გაითქვა, წადი და შენი ძალა გამოცადე იქო. ზალუმჯანს გაუხარდა ეს ამბავი, დაუძახა თავის საყვარელ ვეზირის შვილს და უთხრა: მე მივიღივარ ინდოეთში დევებთან საბრძოლველად, შენ ეს იცოდი, და მამაჩემს ერთ თვემდის არაფერი გააგებინო. ვეზირის შვილი შეხვეწა: მეც წამიყვანე თან, თორემ თავს მოვიკლავო. ზალუმჯანი იძულებული შეიქნა დათანხმებოდა. აღგნენ ღამე, შეჯდნენ ცხენებზე და გაემართნენ ინდოეთისაკენ, სამი თვის სავალი ერთ კვირას განვლეს და მივიდნენ იმ ადგილას, სადაც დევები ცხოვრობდნენ. დევები გამოქევაბულში საქმელს ხარშავდნენ, ზალუმჯანს გულმა კერ მოუთმინა, შეეჭრა მათ სახლში, შეუჭირებლად გადმოიღო ცეცხლიდან ქვაბი და მერე ისევ შედგა. დევები გაქვირდნენ, მოწიწებით ათყვანი სცეს მას და სთხოვეს: თუ არ დაგვბოცავ, მუდამ შენი მოყმე ვიქნებითო. ზალუმჯანმა მათ ჩამოართვა შესაფერიისი ხელწერილი, ის ღამე მათთან გაათია და მერე დღეს, დევების თანხლებით, გაემართა თავისი სახლისაკენ. ერთი მალალი მთიდან დაინახა: მინდორში კარგებია გაშლილი და კობტად ჩაცმული კაცები მოხდენილად ნადირობენ. დევებისაგან მან გაიგო, რომ ეს არის ინდოეთის მეფე, რომელსაც ჰყავს სამი მშვენიერი ქალი, მაგრამ ცოლად არავის არ აძლევს. ქვეყანაზე მისი მძლეველი არავინ არისო, — დაუმატეს მათ. მაშინ ზალუმჯანმა გაუგზავნა ინდოეთის მეფეს ვეზირის შვილი და ქალები სთხოვა თავისთვისა და ძმებისათვის: თუ ნებით მომცემ, კარგი, თუ არადა მთელ სახელმწიფოს აგიფორსიაქებო. მეფემ გამართა თათბირი, რომელზედაც გადაწყვიტეს შეუკვეთონ ზალუმჯანს რაიმე ძნელი საქმე და ამის შესრულებასთან დააკავშირონ ქალების მიცემის საკითხი. მოიპატივნეს ზალუმჯანი, დიდი პატივით მიიღეს ის და გამართეს ასპარეზობა, ბურთაობა და ყაბახობა, რომლებშიაც ზალუმჯანმა განცვიფრებაში და ალტაცებაში მოიყვანა ინდოეთის მეფის ამაღა და მისი ქალები. გავიდა ხანი და ზალუმჯანმა მეფეს მოაგონა მისი აქ ყოფნის მიზანი. მაშინ მას უთხრეს: ჩვენ მოგცემთ შენ ჯარს, წადი და დასავლეთის სახელმწიფო დაგვიპყარი, მაშინ მოგცემთ ქალებსაო. ზალუმჯანს გაეხარდა კიდევაც ეს ამბავი, ჯარზე უარს თქვა, შეჯდა თავის დევებზე და აჰერსა შინა სიარულითაა გაემართა დასავლეთისაკენ. დევებისა და ვეზირის შვილის დახმარებით მან დაიმორჩილა დასავლეთის ხელმწიფე, ხელწერილი ჩამოართვა მას ინდოეთის მეფის ერთ-

გულმბასა -და სამსახურზე და წამოვიდა უკან. წინდაწინ გაგზავნა ვეზირის შვილი და ერთი დევი და ინდოეთის მეფეს გამარჯვება აუწყა. მეფეს გაუხარდა და თავისი ქალები, პირობისამებრ, მისცა მის. ზალუმჯანი წავიდა თავის სამშობლოში ინდოეთის მეფისა და ჯარის თანხლებით. გზაზე გაჩერდნენ მეფისტანის ზღვის პირას, სადაც ზალუმჯანმა ვეშაპის ტყავები გახვეული მეთვის შვილი გაიცნო და დაიძმობილა. აქ მოხდა უბედურება: ერთ ღამეს ზალუმჯანის ცოლი ჯადომ ანაზღვეულად მოიტაცა, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია მგზავრთა შორის. ზალუმჯანმა გაიყოლია თან ვეზირის შვილი და ერთი წლის ვადით გაემგზავრა დაკარგული ცოლის საძებრად.

აქ წყდება ზღაპარი იმ ორ ხელნაწერში, რომელშიაც ის შენახულა ჩვენამდე (S 1145; S 2778). თხზულება გადმოკეთებულია სპარსული ენიდან, თუმცა სპარსულ ლიტერატურაში ის ჯერჯერობით ცნობილი არ უნდა იყოს. ამ თხზულების გადმოკეთება შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა იმავე პირისათვის, რომელმაც თარგმნა 'ფირმალიანი', მაგრამ აქ გვხვდება ერთი რუსიციზმი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეზე ადრე ძნელად თუ შემოვიდოდა ჩვენ მწერლობაში, ეს არის სიტყვა კალასკა (S 1145, გვ. 204)¹.

4. მირიანი

მირიანი არის ზღაპარი, რომელშიაც გადმოცემულია ჩინეთის მეფის შვილის მირისა და მალრიბის მეფის ასულის ნომიავთაბის სამიჯნურო თავგადასავალი.

ჩინეთის მეფეს ხოსროვ-შაპს სრული ბედნიერებისათვის აკლდა მხოლოდ ვაჟიშვილი. დაუძახა მან მუნაჯობთა და მესტროლაბეთა, რომელთაც უთხრეს მას, რომ, თუ შეირთავ ფერიათა ქალს, შვილი გეყოლებათ. ერთი ვეზირისა და ფილოსოფოსის თანხლებით ხოსროვ-შაპი წავიდა აიღო ნარგიზ ჯაღოს ციხე, რომელშიაც, გვრიტის სახით, 14 წელიწადი ტყვედ იჯდა მაშრიყის მეფის ქალი, ფერია როზამფორი. მათ გვრიტი გაუშვეს. ის გაფრინდა მშობლებთან, ადამიანის სახე მიიღო და დედ მამას თავისი განთავისუფლების ამბავი მოუთხრო. მაღლიერმა მამამ გაგზავნა ფერიები და მოაძებნინა შეწყუბული და შეკვივებული ხოსროვ-შაპი ვეზირითა და ფილოსოფოსით, და მას ცოლად მისცა თავისი ქალი როზამფორი. მალე მათ ეყოლათ შვილი, რომელსაც მირი დაარქვეს. მამამ მისი აღზრდა მიანდო თავის მეგობარ ფილოსოფოსს. მუნაჯობებმა უწინასწარმეტყველეს, რომ მირი ბედნიერი და ღიდებული კაცი იქნება, მხოლოდ, 18 წლის რომ გახდება, სურათის ნახვით დიდ ქირსა და მწუხარებას გამოივლისო. მამამ ყოველივე ზომა მიიღო, რომ მირს სურათი არ ჩავარდნოდა ხელში, მაგრამ ბედს ვერ წაუვიდა: 18 წლის მირი ნადირობისას ჯეირანს გამოუდგა და ზღვის პირას ერთი მტრალაი კაბუკი ნახა, რომლისაგან გაიგო, რომ ის, მუშთარი, არის სოვდაგარი, ერთი

¹ პირველად ეს სიტყვა გვხვდება საისტორიო პოემა 'ვახტანგინაში' და სტბნია ჩხეიძის ისტორიაში (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 333).

მეფის მიერ გაგზავნილი იყო მალრიბის ქვეყანას, რათა ეშოვნა და მოეტანა იქაური მეფის, ილიალის მზეთუნახავი ქალის ნომიავთაბის სურათი. ზღვაში ხომალდი დაეღუპა და მასთან ერთად დაეკარგა ყოველგვარი საქონელი, დარჩა მხოლოდ შეკვეთილი სურათი. მირმა ეს სურათი შეიძინა მუშთარისაგან. მას გულში აღეგზნა სიყვარულის მძაფრი ცეცხლი, რომელიც იმას ჰქლავდა. ამ დროს მას ამხნევებენ მუშთარი და ერთი მისი ამხანაგი, ევზირის შვილი, ნიქახტარი. ბოლოს მან გადაწყვიტა მალრიბის წასვლა და სატროფოს მოქმენა. მამას დაეთხოვა, — ზღვაში მინდა სეირნობაო, მამამაც ნება დართო და მირი გაემგზავრა მუშთარისა და ნიქახტარის თანხლებით. მათი ხომალდი ღელვამ ერთ კუნძულზე მიაგდო, სადაც მათ იპოვეს ერთი მოხუცებული, არამია, რომელმაც მირი გააცნო და დაამეგობრა ამ კუნძულის პატრონ დევს ამიანს. მირმა დიდი მოხერხებით თავი გაითავისუფლა ამ დევის ქალის ტოფობისა და გრძნებისაგან, მერე დაეთხოვა დევს და თავის გზას გაუდგა, თან არამია მოხუციც წაიყვანა. გზაზე ერთ კუნძულზე ძლივძლივობით გადაარჩნენ მეკობრეების თავდასხმას. მეორე კუნძულზე შეხვდა ფერიის მეფის შვილს ანდალიმს, რომელსაც თავისი სატროფო გულაზარი დაჰკარგვია და გაშმაგებული დაეძებს. მირმაც მას თავისი ამბავი უამბო, მოეწონათ ერთმანეთი, დაძმობილდნენ. წასვლისას ანდალიმმა მისცა მას ხუთი ფრთა და უთხრა: «რასაც აღაგს დაგეჰიროს, ეს აქმიე და მოგეშველებიო». მეორე კუნძულზე, სადაც არამია გარდაიცვალა, მათ დაესხნენ თავს ფერიები, რომელთაც თავი დააღწიეს არამიას მიერ ნაკარნახევი წამლით. მირი აქედან გამგზავნა მალრიბისაკენ. მათი ხომალდი ზღვაში დაიღუპა, მირი მოებღალუქა ერთ ფიქარს, რომელზედაც ის იამენის სამეფოში მიიქვდა. აქ ის იპოვა მტირალი მეფის შვილმა, რომელმაც სახლში წაიყვანა. გზაზე მათ დაეცათ ლოში, რომელმაც მეფის შვილი იმსხვერპლა, მაგრამ მირმა ის ხმლით შუაზე გაკვეთა. როდესაც ის სისხლიანი ხმლით თავს აღდა მეფის შვილს, მოვიდნენ მისი მძებნელნი და შეიპყრეს მირი, რომელიც მის მკვლელად მიიღეს. წაიყვანეს ქალაქში და ციხეში ჩასვეს, რათა დანიშნულ დროს მოეკლათ. როდესაც ის გამოიყვანეს მოსაკლავად, მოულოდნელად იქ გაჩნდა მუშთარი: ის, ზღვაში ხომალდის დაღუპვის შემდეგ, ფიცრით ადანის ქვეყანაში მისულა და იქ თავი შეუფარებია. სიზმარში ნახა, რომ მირი განსაცდელშია, გამოეშურა იქიდან, მივიდა იამანს, აუხსნა იქაურ მეფეს, რომ მირი უდანაშაულოა, და გაათავისუფლებინა. იამენის მეფემ თავისი ტახტი და გვირგვინი მირს დაუთმო. ის შეუყვარდა იამენის მეფის ქალს, რომელმაც ძილში ბეჭედით კი შეუცვალა მას. მირი მის გრძნობებს არ იზიარებდა, ამიტომ გაემგზავრა იერუსალიმს სალოცვად. გავიდა დანიშნული დრო და ის არ ბრუნდებოდა. მეფის ქალმა გაიგო მისი ოინება და იერუსალიმის მახლობლად მოთარეშე ერთ ყაჩაღს შეაპყრო. ბინა ის და ეგვიპტეში გააყვადინა. ეგვიპტელებს ამ დროს მოუკვდათ მეფე მათი წესი იყო—მეფედ ვინმე ნაყიდი კაცი უნდა დაესვათ, ეს ბედნიერება მირს ხვდა წილად. ის ახლა ფიქრობდა თავის მეგობრებზე—მუშთარზე და ნიქახტარზე. ნიქახტარი კიდევ, ზღვაში ხომალდის დაღუპვის შემდეგ, ფიცრით ეგვიპტეში მისულიყო, სადაც ის ჩავარდნოდა ხელში მეგობრებს. რო

დესაც აქ მირი გამეფდა, შეიპყრეს მეკობრეების მეთაური ნასიბი, რომელიც ნიქახტართან ერთად მიჰგვარეს მირს დასასჯელად. მირისა და ნიქახტარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ახლა ისინი მუშთარის მოძებნაზე ფიქრობდნენ. ეს საქმე ჩინებულად შეასრულა ნასიბმა, რომელმაც ორ მეგობარს შესამეც შეუერთა. ნასიბი ვაგზავნა მირმა მალრიბს ილაილ მეფესთან მისი ქალის სათხოვნელად. იქ ის კარგად მიიღეს, მაგრამ უთხრეს, რომ ნომიავთაბი ჩემ ძმიშვილს მივეციო. ნასიბი დაბრუნდა მირთან, რომელმაც გადაწყვიტა შეიარაღებული ძალით მოტაცება თავისი სატრფოსი. ის შედის მალრიბის ქვეყანაში და მეორედ ითხოვს ილაილისაგან თავისი სატრფოს. სანამ პასუხს მიიღებდა, მან გაათავისუფლა ვინმე ზულუმათისაგან თავისი სატრფოს ამხანაგი ქალი, ზორა, რომლის მამა ილაილის ვეზირი იყო. ამ ვეზირის რჩევით ილაილმა ბოლოს მისცა მირს თავისი ქალი. დიდი ზეიმით გადაიხადეს ქორწილი, რის შემდეგ მირი თავისი ამალით ჩინეთს გაემგზავრა. გზაზე მათ ელოდა არამცირე განსაცდელი: ისინი ხელში ჩაუვარდნენ მილტონ ხელმწიფის სპასალარს, რომელმაც მირი, ნასიბი და ნიქახტარი ხაროში ჩაყარა და საშინელი სატანჯველი მიაყენა. დანარჩენები უკანვე მალრიბს დაბრუნდნენ, მაგრამ გზაზე მათი ჯარი ამოწყვიტა აბრუ ხელმწიფის ჯარმა, ნომიავთაბი შეიპყრეს და ბოროკლით წაიყვანეს. მირმა საპყრობილეში პოვა თავისი მეგობრის ანდალიბის საცოლე, რომელიც დიდი ხანია მოტაცებული და დაკარგული იყო. მირს მოაგონდა ის ხუთი ფრთა, რომელიც მას ანდალიბმა მისცა, დაწვა ერთი მათგანი და იქვე მყისვე გაჩნდა ანდალიბი, რომელიც შევიდა ციხეში და იქიდან გაათავისუფლა როგორც თავისი სატრფო, ისე თავისი მეგობარი. მერე ანდალიბმა გაათავისუფლა ტყვეობისაგან მირის სატრფო და მისი ამხანაგი ქალი ზორა, აგრეთვე მუშთარი, და ყველა თავის სახლში მიიწვია. ანდალიბმა შეირთო თავისი სატრფო და ქორწილი გადაიხადა. ქორწილზე ერთი შაოსანი ქალი მოვიდა, რომელმაც საერთო ყურადღება მიიპყრო. ეს ქალი აღმოჩნდა მირის დედის და, რომელმაც ნომიავთაბს უამბო მირის დაკარგვის ამბავი და ამით გამოწვეული მწუხარება გაუთვალისწინა. მას ანაზღეულად აჩვენეს მირი, რამაც უზომო სიხარული გამოიწვია ორივე მხრივ. მერე წავიდნენ ჩინეთს, სადაც ხოსროვ-შაჰმა და როზამფორმა დიდი სიხარულით მიიღეს დაბრუნებულნი და დიდი ზეიმით დააქორწილეს მირი და ნომიავთაბი.

ასეთია მირიანისა¹ მოკლე შინაარსი. ის ტიპიური ნიმუშია იმ მოთხრობებისა, რომელნიც აღმოცენებულან ძველი ლეგენდებისა და სამიჯნურო ზღაპრების ნიადაგზე და რომლებშიაც დიდ როლს თამაშობენ ღვებები და ქაჯები. მართლაც, აქ ჩვენ ვხვდებით მუნაჯობთა და პესტროლაბეთ, სოლომონ ბრძნის ბეჭედს, ლოცვის წიგნს, რომელსაც ის მიაზან ჰქვია, და ეთნოს,

¹ გამოცემულია ორჯერ თბილისში: პირველად 1876 წელს, მეორედ 1894 წ. ა. ხარგაროვის მიერ. ის ნათარგმნია ფრანგულად მ. ბროსეს მიერ 1829 წ. (*Le Miriani ou histoire du roi Miri, conte géorgien*), ბოლო რუსულად ა. ხახანაშვილის მიერ გამოცემულია თბილისის ვრცელი შინაარსი (*«Очерки», III, გვ. 182—190*).

ადამის საფლავს, აბრაამის სალოცავსა და სახლს, წინასწარმეტყველის გვარის ადამიანებს, რომელთა ვნება ღვთისაგან აკრძალულია, დევებს, ჯადოებს და სხვა ამგვარ რამეებს. თხზულების სტილი უახლოვდება ყარამანიანის სტილს, ასე რომ თხზულება მეთვრამეტე საუკუნეში უნდა იყოს შემოსული ჩვენ მწერლობაში. ყოველ შემთხვევაში, ძნელი დასაჯერებელია, რომ უფრო ადრინდელ ნაწარმოებში გვექონდეს ისეთი ვულგარიზმი, როგორიცაა ფატრეტი, ისურათის მაგიერ. მართლაც, მირიანის ერთ-ერთ ნუსხა, რომელიც დღეს ინახება პარიზის ნაციონალურ წიგნსაცავში, გადაწერილია 1770 წელს¹. მირიანია 1778 წელს შეუტანია თავის კრებულში ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს².

რა ენიდანაა თხზულება გადმოკეთებული? ცხადია, ზღაპარი ეკუთვნის სპარსულ ნიადაგზე აღმოცენებულ თქმულებათა ციკლს. შესაძლებელია, ის გადმოკეთებული იყოს სპარსელი პოეტის ესარტებრიზელის (გარდ. 1382) პოემის მიჰრ-ო-მოშთერია-ს საფუძველზე, სადაც ლაპარაკია მიჰრ-მირიანისა (მზე) და მუშთარის (იუპიტერი) მეგობრობაზე³. მაგრამ ერთ-ერთ ნუსხაში, რომელიც გადაწერილია 1857 წელს ლუკა ასათიანის მიერ, ნათქვამია: ეს ზღაპარი არის თათრულიდან გადმოთარგმნილიო⁴. თუ ამ შენიშენაში სიტყვა თათრული ნახმარია არა კონფესიური მნიშვნელობით, რომელიც სპარსულსაც გულისხმობს ხალხურ თქმულებაში, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ზღაპარი ჩვენში თურქული გზით შემოვიდა.

5. ჩარღაპრიმანი

კონსტანტინოპოლის ხელმწიფეს ბახტურს შვილი არ ჰყავდა და ამით ის დიდად შეწუხებული იყო. ვეზირმა ურჩია: გაუყავი შენი სალარო გლახაკთ და ღმერთი შვილს მოგცემსო. მეფეც ასე მოიქცა: რაც სიმდიდრე ჰქონდა, გლახაკებს დაურიგა და ღმერთს ევედრებოდა შვილის ყოლას. ერთ წიგნში ამოიკითხა: ვისაც დიდი მწუხარება აქვს, სასაფლაოზე წავიდეს და გამზიარულდებო. აგრეთვე, ვისაც სიხარულის მეტი არა განუცდია რა, ისიც სასაფლაოზე წავიდესო. ადგა მეფე ღამით და წავიდა სასაფლაოზე, სადაც ერთი პატარა გუმბაზი იდგა. ამ გუმბაზში მან სინათლე შენიშნა, მივიდა ახლოს და შიგოთხი დავრიში დაინახა, რომელთაც შემთხვევით მოუყარათ აქ თავი და ერთმანეთის არაფერი იცოდნენ. მეფე დაჯდა მახლობელ ქვაზე და ყურს უგდებდა იმათ საუბარს. დავრიშებმა კი გადაწყვიტეს უამბონ ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი.

ერთი დავრიში გამოდგა დიდი ვაჟის შვილი, მეორე—ერანის ხელმწიფის, შაჰი მანუჩარისა, მესამე—სპარსთა ხელმწიფე, მეოთხე—ინდოთ ხელმწი-

¹ А. Хаханов, Очерки, III, гл. 427. მეორე მისი ნუსხა ინახება ლენინგრადში (გრუნის კოლექცია, № 15 (12)).

² А 880, 214—240.

³ А. Крымский, История Персии и ее литературы, III, гл. 100—101; Hammer, Geschichte der schönen Redekünste Persiens, S. 264—5.

⁴ S 3169; Е. Тваквйшвили, Описание, I, гл. 519.

ფის შვილი. თითოეულ მათგანს შემთხვევია რაღაც არაჩვეულებრივი და ამავე დროს უსიამოვნო ამბავი, რომელსაც ისინი, ბოლოს და ბოლოს, მოუყვანია კონსტანტინოპოლში, სადაც ერთმანეთს ახლა თავის მწარე ხედვებს უშლიან თავლწინ და ანუგეშებენ. პირველმა ორმა დავრიშმა რომ გაათავა თავისი ამბავი, გათენდა კიდევაც, ამიტომ მეფე სახლში დაბრუნდა. მან გაგზავნა სასაფლაოზე კაცები, ეს დავრიშები სახლში მოაყვანიდა და დანარჩენ ორს აამბობინა თავისი თავგადისავალი. მაგრამ, სანამ ისინი მის ბრძანებას შეასრულებდნენ, თვითონ უამბო მათ თავისი ამბავი. მეფემ და დავრიშებმა შეიგნეს ერთმანეთის მდგომარეობა, ერთად იყვნენ და ტიროდნენ. გავიდა რამდენიმე ხანი და მეფეს ვაგი ეყოლა, რამაც იგი დიდად გაახარა. როგორც მეფეს შეუსრულდა მისი სურვილი, ისე იმ ოთხმა დავრიშმაც მიიღწია თავის მიზანს. ახლა როგორც ხელმწიფე და ოთხნი დავრიშნი თავთავის გულისწადილს ეწივნენ, მკითხველნო, დამწერნო და მსმენელნო, ისე, ღმერთმან, თქვენ თქვენის გულისწადილს და თხოვნას კაი ბედით მიემთხვეინეთო, — თავდება ზღაპარი.

ჩარდავრიშინი შედგება შვიდი კარისაგან. კარი პირველი — დაწყება წიგნისა ამის, მეორე და მესამე — პირველი ორი დავრიშის ამბავი, მეოთხე — ამბავი ბახტურ მეფისა, მეხუთე და მეექვსე — მესამე და მეოთხე დავრიშის ამბავი, მეშვიდე — რახტურის შვილის დაბადება¹. ეს ზღაპარი ეკუთვნის მოთხრობათა იმ ციკლს, რომელთაც განუცდიათ ძლიერი გავლენა არაბული ზღაპრებისა, კერძოდ, «ათასერთლამიანისა»². ამ ზღაპრების ელემენტები გამოსკვივის დავრიშების ამბებში. შინაარსო ჩარდავრიშინიც იმავე სპარსულ-მაჰმადიანურ-იუდაისტურ წინადაგზეა დამყარებული, როგორც «ირიანია». აქ დავრიშპირებულა «ქუშპარიტი და წმინდა სჯული» კერპომსახურობასა და ბუთის მლოცველობასთან, რომელიც დაგმობილია. აქაც მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან ფერიები, ფერიის ქალები და ფერიის ლაშქარი, აქაც მკითხველი ხედება «ფერიების წიგნს», ლოცვასა და სალოცავ ადგილს, მის სურმასა და გვირგვინს, ქაჯებს, დევებს, ჯინებს. სოლომონის გარდა, აქ სხვა ბიბლიურ სახელებსაც აქვს ადგილი, როგორც, მაგალითად, ადამ და ევა და მათი სამკვიდრებელი სამოთხე.

¹ ზღაპარი ორჯერაა გამოცემული: 1876 და 1880 წწ.; ამ გამოცემებში ტექსტი შემოკლებით და ცოტაოდენი ცვლილებითაა გადმოცემული. მოკლე შინაარსი მისი იხ: А. Х а х а н о в, Очерки, III, გვ. 165—182.

² არ მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, იყო თუ არა ძველად გადმოთარგმნილი ქართულად «ათასერთლამიანი», მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ლეონიდ ბარათაშვილს (ქმარი ნიკოლოზ ბარათაშვილის დის ნინოსი, მონაწილეობდა ქართულ მწერლობაში, იბეჭდებოდა 1867 წლის «ცისკარში») გადმოუღია ის რუსული თარგმანიდან, რომელიც თავის მხრივ გადმოღებული ყოფილა «ფრანციულიდან» აფანასიე-ბუტინსკის მიერ (S 3227 ა). განზრახული ყოფილა მისი დაბეჭდვა; ვინაიდან დასახელებულ ზღუნაწერს შემდეგი საცხნურო შენიშვნა აქვს: «Доставлен цензурой, г. Тифлис, октября 7 дня 1867 г.». ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ, მხოლოდ 1894 წ. პირველი და მეორე წიგნი ამ ზღაპრების, მოთხრობა შაქრახადასი, გადმოუღია და გამოუცია ვილაც ს. ს—ე-ს.

თხზულება გადმოღებულია იმ სპარსული ნაწარმოებიდან, რომელსაც ეწოდება ყუსაფე ჩაპარ დარვიშა და რომლის ავტორი ჯერ გარკვეული არაა¹, გადმოღებულია ის, რამდენადმე შემოკლებული სახით და მრავალ თავისებურებათა შეტანით², დაახლოებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ამაზე ადრე ამ თარგმანის წაწევას სტილი მისი შეუძლებელ ჰყოფს. არც ხელნაწერებია მისი ამაზე უფრო ძველი. ყველაზე უძველესად დღესდღეობით ითვლება მისი ორი ნუსხა: ერთი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილი ქორანიკონსა უმჯ, ესე იგი 1778 წელს (A 860, გვ. 240—273), და მეორე ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავისა, 1785 წელს გადაწერილი ვინმე ფარსადანის მიერ³.

6. პარშაყინი

ვარშაყინშია მთავარი მოქმედი პირი არის ვარშაყი, შვილი ფერიათა ხელმწიფის ქალისა და შვილიშვილი დიდი ხელმწიფის ზარბაჯათისა. ეს ისეთი ფალაგანი იყო, რომ იმისი მსგავსი ქვეყანაზე არ გამოჩენილა: დევებს, ქაჯებს, გველუშაქებსა და ბუმბერაზებს მუსრს ავლებდა. მართლაც, მთელი თხზულება მართო დევებთან და ფალაგენებთან რკენას მოგვითხრობს. შიგადაშიგ მოთხრობაში შეტანილია 16-მარცვლიანი რუსთველური სტროფი. ეს საქმიოდ დიდა თხზულებაა, რომელიც ერთადერთი ცალით არის დღეს ცნობილი⁴. თხზულება დაყოფილი ყოფილა კარებად, რომელთა რიცხვი ყოველ შემთხვევაში 18-ს აღემატებოდა. ამ თხზულების პირველი კარი გამოცემულია თბილისში 1885 წელს ა. ხოშტარიას მიერ მ. ახატელოვის (გადასწორებით). ეს გადასწორება გამოიხატა იმაში, რომ მას ძველი ენა შეუსწორებია ახალი ქართულის ნორმების მიხედვით, ამიტომ ამ გამოცემაში ჩვენ ვხვდებით ისეთ სიტყვებს, როგორცაა: ცერემონია, არხიტექტორობა, კრიალოსანი, ტეტრადი, პატრეტი, resp. პატრეთი და სხვ. პირველი კარის გამომცემელი თუ რედაქტორი წინასიტყვაობაში შენიშნავს, რომ ერთ კატალოგში, რომელიც შედგენილია XVIII საუკუნის ბოლოს ქართველი ბატონიშვილების ბრძანებით თბილელ მწიგნობრისაგან, ნათქვამია, თითქოს ვარშაყინია ნათარგმნი იყო ქართულად ვინმე ტუსიშვილის მიერ მეცამეტე საუკუნეში მეფის დავით ნარინის დროს. ჩვენ ასეთი ცნობა არ შეგვხვედრია სადმე. როდესაც თხზულებას ვითხულობთ (რა თქმა უნდა, ხელნაწერში და არა დაბეჭდილ გამოცემაში), იმაში ზოგიერთ მსგავსებას ვამჩნევთ აშირანდარეჯანიანთან. ლექ-

¹ სპარსულად მას მიაწერენ ხან ამირ-ხოსროვ დეჰლევის (გარდ. 1325 წ.), ხან პოეტ ანჯახს, ხან მუჰამედ-ალი-მახჰუმს (H. E t h e, Neupersische Literatur, S. 324).

² დ. კობიძე, ყუსაფე ჩაპარ დარვიშის ქართული ვერსიის სპარსულთან დამოკიდებულების საკითხისათვის, «საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე», V, № 10, 1944, გვ. 1039—1042.

³ А. Ц а г а р е л и н, Сведения, III, გვ. 212, № 186; А. Х а х а н о в, Очерки, III, გვ. 155, შენ. 3.

⁴ № 2398, გადაწერილი ორი სხვადასხვა ხელით სხვადასხვა ფერის ქალღმერთ მეცხრამეტე საუკუნეში, თავი და ბოლო აკლია, ხელნაწერში დღესდღეობით 46 რვეულია.

სიკითა და სტილით ის უფრო ახლოს დგას ამ თხზულებასთან, ვიდრე ალორძინების ხანის სხვა რომელიმე ნათარგმნი თხზულება. აქ ჩვენ ვხვდებით ასეთ ფრაზებს: ამგოსანი და მუშაითნო, ზენაარმან ლეთისმან და თავმან პატრონისა ჩემისამან, შეიქურვა სამამაკოდათა იარალითა, აპოლეტიკნი კინენი სატიკივართა ადგილთა დაიკრა, თეისისა სიცოცხლისა უიმედო შეიქმნა, ჟუივლა, ადიდოს ღმერთმან მოყვარენი შენნი და არცხვიროს ორგულთა შენტა, ყოლაუზია, შემოჟუღეს ნავარდია, ჯანერინებოდენ, აარმალნი და სხვ., რომელნიც ჩვეულებრივია ამირანდარეჯანიანში. ამასთან ერთად ინტერესს არაა მოკლებული, რომ ვარშაყის პაპის ეწოდება ბადრი იამანიძე. მაგრამ თხზულების გადმოკეთების თარიღად, რასაკვირველია, ვერ ჩავთვლით მეცამეტე საუკუნეს. ზემოთყვანილი ფრაზების გვერდით ხელნაწერში გვხვდება ისეთი ვულგარული სიტყვები, როგორცაა: წერწადი, სტაქნები, ძლივს, თავი გაავადებია, შემოდირდა ხოლმე და სხვ. ჩანს, გადმოკეთებელი ზედმიწევნით მკოდნე ყოფილა ძველი მწერლობის, კერძოდ, ამირანდარეჯანიანისა, და მას თავის შრომაში უხვად, უფრო მეტად, ვიდრე ამას ჩვენ ყვარამანიანში ვხედავთ, შეუტანია ძველი ლექსიკური, სინტაქსური და სტილისტიკური ფაქტები, თუმცა ამავე დროს თავი ვერ დაუღწევია თანამედროვე ქართულისაგან. ასე რომ, მისი შრომა წარმოადგენს ძველი და ახალი ქართულის ნორმების ერთმანეთში აღრევას.

თხზულება გადმოკეთებული უნდა იყოს დაახლოებით იმავე დროს, როდესაც ყვარამანიანი, მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეთხედში. არც ავტორი თხზულებისა და არც დრო მისი დაწერისა ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი არაა.

7. სპილენძის ქალაქიანი

ბაღდადის ხალიფას სმენია, რომ არსებობს სოლომონ მეფის მიერ შექმნილი სპილენძის ქალაქი, და უნდა გაიგოს, სად იმყოფება ის. თავისი სურვილი მან გაუმელავენა თავადებს, რომელთაც დაუმოწმეს, რომ ასეთი ქალაქი მართლაც არსებობს, მაგრამ სად, არ ვიცითო. მის საძებრად გაგზავნეს კაცები, რომელნიც შევიდნენ ავნელთა მეფის საბრძანებელში. აქაურმა მეფემ დიდი კრძალულებით მიიღო მოსულნი, გაიგო მათი მოსვლის მიზანი და უთხრა მათ: მე მოგცემთ თქვენ ისეთ ადამიანს, რომელმაც იცის ეს ქალაქი, ეს არის ბერი აბდულო. უკანასკნელი მიიყვანეს ხალიფასთან. მან მოახსენა, რომ ეს ქალაქი, აღსაესე ყოველივე სიმდიდრით, მეწამულ ზღვის ერთ კუნძულზედააო. როდესაც სოლომონ მეფემ დაიპყრო დევები, ისინი ჩამწყვედია სპილენძის კოკებში, დაბეჭდა თავისი ბეჭდით და ჩაყარა მეწამულ ზღვაშიო. იქ მიმავალი გზა მეტად ძნელია, ამიტომ დიდი საგზლითა და ამალით უნდა წავიდეთო. მართლაც, მრავალრიცხოვანი ქარავანი, აბდულას ხელმძღვანელობით და ამირ მოსესა და ვეზირ დალიფის მეთაურობით, გაუდგა გზას. მივიდნენ ერთ მშვენიერ, ლამაზ ქალაქში, რომელიც აღსაესე იყო ყოველგვარი სიმდიდრითა და რომლიდანაც სპილენძის ქალაქამდე კიდევ ექვსი თვის

სავალი გზა რჩებოდა. ამ ქალაქში მათ დაათვალიერეს რვა სხვადასხვა ეკუბო ან დარბაზი, რომელთაც ისინი გაოცებაში მოიყვანეს: ფითოეული მათგანი საესე იყო თვალ-მარგალიტით და თითოეულ მათგანში განისვენებდა მეფე ან მეფენი, ანდა სხვა ვინმე დიდებული. აქვე დაწერილი იყო ანდერძი, რომელშიაც გადმოცემული იყო განსვენებულთა ვინაობა. ბერმა აბდულამ იცოდა «შვიდი სჯულის წიგნი», ამიტომ მან ყველა ეს ანდერძი წაიკითხა. შინაარსი მათი ერთი და იმავე ხასიათისა იყო: წუთისოფლის მუხთლობა და უნდობლობა, სიკვდილის ვერაგობა, ქონების არარაობა და კეთილისა და ლეთისნიერების მოპოვება. აქ მათ იპოვეს სპილენძის კაცი; რომელსაც ხელში შუბი ეჭირა. შუბის წვერზე ეწერა: ვისაც უნდა გაიგოს საღ იმყოფება სპილენძის ქალაქი, სამჯერ შემომამბრუნეთ, საითაც პირს ვიზამ, იქით გაემგზავრეთ». ისინიც, მართლაც, ასე მოიქცნენ და გაუდგნენ გზას. დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ მივიდნენ ერთ მაღალ მთასთან, რომელზედაც კოშკი იყო აგებული, აქ მათ იპოვეს მარმარილოს სვეტი, რომელშიაც შეპყრობილი იყო საშინელი კაცი. ეს კაცი აღმოჩნდა დევი, რომლისაგან მათ შემდეგი მოისმინეს: მე ვიყავი მონა და მსახური კუნძულთა მეფის აზიზისა, რომელსაც მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. სოლომონ მეფემ მას ეს ქალი სთხოვა, აზიზმა უარი შეუთვალა, ამიტომ მათ შორის ომი დაიწყო. ორივე მხრიდან გამოვიდა დევებისა და საშინელი მხეცების უთვალავი ლაშქარი. მე ვმეთაურობდი აზიზის ჯარს, სოლომონისას — დიმადი (თუ დიადიმი). სოლომონმა გვაჯობა, მე დამიჭირეს, დამქედეს და აქ ჩამსვეს, სადაც ქრისტეს მოსვლამდე უნდა ვიჯდეო. სხვა დევები კიდევ მან ჩასვა სპილენძის კოკებში, დაბეჭდა თავის ბეჭდით და მეწამულ ზღვაში ჩაყარა. სპილენძის ქალაქი, რომელსაც თქვენ ეძებთ, იმყოფება მეწამულ ზღვაში არსებულ კუნძულზე, მისი წინა კარი დგას მიწაზე, იმ ადგილას, სადაც დევებია ჩაყრილი. 12 დღის მგზავრობის შემდეგ მათ დაინახეს შავი ქალაქი. ამ ქალაქს გარშემორტყმული ჰქონდა სქელი და მაღალი ზღუდე, რომელსაც სამი დღის განმავლობაში ძლივს შემოუვლიდა მარდი ცხენი. შესავალი კარი შიგნიდან იღებოდა, ამიტომ გააკეთეს მაღალი კიბე, ავიდნენ ზღუდეზე და იქიდან ჩაემენენ ქალაქში. გააღეს კარი და ამირ მოსემ ნახევარი ჯარი შეიყვანა შიგ. მათ დაიარეს სხვადასხვა «შუკა» ან უბანი ქალაქისა და ყველგან გაოცებული რჩებოდნენ იმ წარმოუდგენელი სიმდიდრით, რაც მათ იქ იპოვეს. აქაც ყველგან ხედებოდნენ მათ მხოლოდ მიცვალებულები იმავე ხასიათის ანდერძებით, როგორც წინათ ნახულ ქალაქებში. სხვათა შორის, იპოვეს მიცვალებული დედოფალი, სოლომონის დისწული. მისი ანდერძი შეიცავდა ვრცელ აღწერილობას ამ ქალაქის გაშენებისას სოლომონის მიერ, მისი სიმდიდრისას და, კერძოდ, დედოფლისასაც. ანდერძში ის აზრი იყო გატარებული, რომ სიმდიდრეს არავითარი ფასი არა აქვს. ერთხელ, გვალვის გამო საშინელი შიმშილობა დაიწყო, ჩვენ სიმდიდრემ ვერ ვეიშველა, რადგანაც სასყიდელი პური არ იშოვებოდა. თან ჩვენ დავიბოკეთ ყველანი და ეს სიმდიდრე, როგორც ხედავთ, ოხრად დაგვრჩაო. დედოფალს თავზე ძვირფასი გვირგვინი ეხურა. დალაფ ვეზირის სულმა წასდლია და მოინდომა მისი მოხდა, მაგრამ ორმა სპილენძის მცველმა მას თავი

წაადგებინა. ამირ მოსემ აჰკიდა ჯორ-აქლემებს აქაური სიმდიდრე, რაც კი მოახერხა, და ქალაქი დატოვა. წამოვიდნენ და მოვიდნენ იმ ბურჯთან, რომელიც ზღვის კიდზე იყო. აქ მათ ნახეს შავი კაცები, რომელთა მეფემ ზღვის ფსკერიდან ამოიღო თორმეტი კოკა, სოლომონის ბექდით დაბეჭდილი და დევებით აღსავსე, და მოსეს უბოძა. მოსე წამოვიდა, მოვიდა ავნელთ შეფესთან, რომელსაც მათი დაბრუნება მეტად გაეხარდა და რომელმაც მოსესგან ორი კოკა მიიღო. როდესაც მან კოკებს თავი მოხადა, იქედან საშინელი კვამლი წამოვიდა. მეფემ ვედრებით მიმართა სოლომონს, მაპატიე კაღ-ნიერებაო. ავნელთ ხელმწიფიდან მოსე დაბრუნდა ბაღდადს ხალიფასთან, რომელსაც დაწვრილებით აღუწერია თავისი მგზავრობა და ჩააბარა მოტანილი სიმდიდრე — თვალ-მარგალიტი და კოკები. ხალიფამ კოკებს თავი ახადა და იქიდან, საშინელი კვამლის სახით, ამოვიდნენ დევები და ზეცაში აიჭრნენ. ხალიფამ და მოსემ ტირილი დაიწყეს და სოლომონს შესანანიებელი ვედრებით მიმართეს. ამის შემდეგ ხალიფამ მთელი სიმდიდრე გლახაკებს დაურიგა, დატოვა ტახტი, შევიდა ერთ გამოქვაბულში და შვიდი წელიწადი იქ ლოცვა-ვედრებაში გაატარა.

ასეთია მოკლედ შინაარსი ამ ზღაპრული მოთხრობისა, რომლის ლექსითი ვერსია დღესდღეობით ცნობილია ერთადერთი ნუსხით¹. დაწერილია ის 16-მარცვლიანი რუსთველური შაირით და მოკლებულია ყოველგვარ პოეტურ ღირსებას. აქ პირველსავე სტროფში ნათქვამია, რომ ეს მოთხრობა აშმავედ იყო ნათქვამი, დღეს ლექსად გამოთქმულია², მაშასადამე, არსებობდა მისი პროზაული ვერსია³, რომელიც მერე ვილაცას გაულექსავს. ამ მოთხრობის პროზაული ვერსია ხელთ ჰქონია განსვენებულ ა. ხახანაშვილს, მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერით, რომლის შინაარსი მას სიტყვა-სიტყვით გადმოუტია რუსულ ენაზე⁴, მაგრამ ეს პროზაული რედაქცია არ უნდა იყოს ჩვენ მიერ გადმოცემული ლექსითი რედაქციის დედანი, ეს ორი სხვადასხვა ვერსია უნდა იყოს. მართლაც, მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებებია: პროზაულ ვერსიაში მოყვანილია ხალიფას სახელი, აბუმელიქი, რაც ლექსითმა არ იცის; პროზითი ვერსიით მოთხრობა იწყება ხალიფას სურვილით მოძებნაღ იქნეს კოკები, რომლებშიაც სოლომონმა ეშმაკები ჩაამწყვდია, ლექსითში — სპილენძის ქალაქი; ვეზირს პროზაულში ეწოდება ტალააბი, ლექსითში — დალიფი; პროზაულმა ვერსიამ არ იცის ავნელთა ქვეყანა და ხელმწიფე, რომელმაც ხალიფას ბერი აბდულა გამოუგზავნა; არ იცის მან აგრეთვე სახელი იმ ბერისა, რომელსაც ის იხსენიებს მხოლოდ როგორც ვაჭრის შვილს, ოდესღაც საფლავზე მყოფს. პროზაული ვერსიით მოსე არის დასავლეთის მფლობელი, ხოლო ლექსითით — ამირა ხალიფასი; პროზაული ვერსიით ქარავენი გაემგზავრა 100 აქლე-

¹ S 101; Е. Такайшвили, Описание, II, гл. 362—363. ჩვენ გვქონდა მეორე ნუსხა სტეფანე სიმონის ძე არაქელისისა.

² S 101, გვ. 35.

³ ეს პროზაული ვერსია დაცულია ხელნაწერში H 189.

⁴ „Очерки“, III, гл. 162—169.

მითა და ბროლის კოკებით წყლისათვის, ლექსითით — 1000 აქლემითა და ფიკვის კურტლებით; პროზაული ვერსია იხსენიებს რაღაც ხარაბუს ქვეყანას, რომელიც ლექსითმა არ იცის; აღწერილობა ამ ქალაქისა და შინაპრის აქაურ მიცვალებულთა ანდერძებისა ამ ვერსიებში ერთნაირი არაა; აზიზ მეფის მთავარი სარდალი, პროზაული ვერსიით, არის იუმენელი (?) დევი ტამ-შიერი, ლექსითმა ვინაობა და სახელი მისი არ იცის; სოლომონის მთავარ-სარდალს ის უწოდებს ამირანს, ლექსითი ვერსია კი — დიმადის (თუ დია-დიმს); აქედან სპილენძის ქალაქამდე, პროზაული ვერსიით, არის 40 დღის სავალი, ლექსითით კი — 12-ისა; სპილენძის ქალაქს, პროზაულით, აქვს 7 კარი, ლექსითით — 10; აღწერილობა სპილენძის ქალაქისა, იმაში შესვლა და დღოფლის ანდერძი ამ ვერსიებში ერთნაირად არაა გადმოცემული; პროზაული ვერსია დაწერილებით აგვიწერს შავთა სამეფოს, მათი მეფის ნადირობას ზღვაში, პარასკეობით ზღვიდან ლოცვის მოსმენას, რაც ლექსითმა არ იცის; პროზაული ვერსიით მოსეს შავთა მეფემ მისცა მხოლოდ ორი კოკა, რომელიც მან გაუგზავნა პირდაპირ ხალიფას, ლექსითი ვერსიით კი მან 12 კოკა მიიღო, აქედან ორი მისცა აენელთა მეფეს, ხოლო დანარჩენი 10 ხალიფას.

ასე რომ, ის პროზაული თარგმანი, რომელიც შერე გაულექსავთ, სულ სხვა ყოფილა, ვიდრე ა. ხახანაშვილისა. ვინ გალექსა ეს უცნობი რედაქცია, არ ვიცით, არც ის ვიცით, ვინ ან როდის შემოიტანა ჩვენ მწერლობაში პროზაული ვერსიები, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა არაუადრეს მეთვრამეტე საუკუნის დამდეგისა. ამაზე ადრე არც გალექსილი ვერსია გაჩნდებოდა¹. ა. ხახანაშვილისეული პროზაული რედაქცია, მისი სიტყვით, უნდა მომდინარეობდეს სომხური ენიდან², მაშასადამე, ესეც ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ XVIII საუკუნეზე ადრე ის გადმოტრებული არ იქნებოდა, ვინაიდან ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნეში განახლდა.

¹ შტრ. ვ. მერტრეელი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტორგრაფი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—B, 1956 წ., გვ. 34—35.

² Очерки. III. № 162, ზენ.

სომხურ ენაზე არსებობს ორი რედაქცია: მოკლე, რომელიც თარგმნილი ყოფილა არაბულიდან X ს. დავით ეურაბლადის ბრძანებით, და ვრცელი, შედგენილი XIII ს. არაქელ ანუცა-შირაკიანელის მიერ. ქართულშიც ორი რედაქციაა: მოკლე, ლექსითი და ვრცელი, რომელიც მომდინარეობს სომხური ვრცელი რედაქციიდან (არაქელის რედაქცია). მოკლე რედაქცია მომდინარეობს, როგორც ნათქვამია თავში, პროზაულიდან, რომლის კვალი დღეს არ ჩანს. ორივე ეს რედაქცია ქართულ მწერლობაში უნდა შემოსულყოფილყო არაუადრეს XVIII ს. დამდეგისა. მაგრამ არ ვიცით, როდის ითარგმნა მოკლე რედაქციის პროზაული დღეს სომეხი პეკლუარი პ. შურადიანი ფიქრობს, რომ ის ითარგმნა მეთვრამეტე საუკუნეში, ვინაიდან თუ დავით ეურაბლადამ ის სომხურად ათარგმნა, უკვე ქართულადაც ათარგმნიებდაო. (ამაზე აშკარებს ის დასკვნას, რომ ქართული სავარი მწერლობა დაიწყო X ს-ში). მაგრამ, ეს რომ ასე იყო უკველად, დამადასტურებელი ფაქტი არ ჩანს. გადმოთარგმნილი უნდა იყოს ის ან არაბულიდან ან სომხურიდან, უფრო კი სომხურიდან, რადგანაც იმაში ვაქვს სიტყვა იონი — ბერძენი, რომელიც სომხურიაო. ოთხი ჩვეულებრივი სიტყვაა ქართულ ძველ მწერლობაში. ამიტომ არ შეიძლება ეკვიპოტანულად ითქვას, რომ ის სომხურიდან მოდისო.

IV. დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი

დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი წარმოდგენილია უმთავრესად იგავ-არაკებით. ლიტერატურის ეს ეანრი, რომლის ჩანასახი ჯერ კიდევ სასულიერო მწერლობაში გვაქვს (სახარების იგავეები და ძბალაფარის არაკები), განსაკუთრებით განვითარდა ალორძინების პერიოდში. იგავ-არაკული ეანრის ან ფზოპეს ენის განვითარებას ამ პერიოდში ხელს უწყობდა ეპოქის „ეამთა სიავე“ და ალრევა. დამოდლერვა, დარიგება, ქჷუს სწავლება, ალერორიულ ფორმებში გაკიცხვა ცხოვრების უხერიო ხელმძღვანელებისა, საერონი იქნებიან ისინი თუ სასულიერონი, ეპოქის აუცილებელი მოთხოვნილებაა, ვინაიდან, ეპოქის წარმოდგენით, ცხოვრებაში ყველაფერი პიროვნებაზე დამოკიდებული, იქამდის რომ, თუ მმართველი, კერძოდ მეფე, კარგია, ცხოვრებაც კარგია, თუ ის არ ვარგა, ცხოვრებაც არ ვარგა. იგავ-არაკული ეანრის ლიტერატურა უფრო მეტად ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მეფე და მმართველი. საყურადღებოა, რომ ამ ეანრის ლიტერატურაში უკვე მკაფიოდ ლაპარაკობენ გლეხის მდგომარეობასა და მისდამი ყურადღების აუცილებლობაზე, რადგანაც შეგნებული აქვთ, რომ, თუ მუშა-საქონელს არ მოუვლი, ეს საზარალო იქნება პატრონისათვის.

ამ პერიოდიდან ჩვენ მოგვეპოვება როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი იგავ-არაკების კრებულები. პირველად განვიხილავთ ორიგინალურ იგავ-არაკებს, შემდეგ ნათარგმნ კრებულებს.

I. სიბრძნე სიცრუისა

პირველ ყოვლისა ჩვენ შევჩერდებით იგავ-არაკებს იმ კრებულზე, რომელსაც „სიბრძნე სიცრუისა“ ეწოდება და რომელიც ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია¹.

¹ ძველი გამოცემულია რამდენჯერმე: 1) 1858 წ. პეტერბურგს, 2) პ. უმიკაშვილისა 1871 წ., 3) გრ. ჩარკვიანისა 1881 წ., 4) გ. ლეონიძისა 1928 წ. და 5) ს. იორდანიშვილისა 1938 წ. (ესარგებლობთ ამ გამოცემით). იგი განმეორებით გამოქვეყნდა 1957 წელს. საბასა და „სიბრძნე სიცრუისა“ ვრცელი გამოკლევა უძღვნა გ. ლეონიძემ: „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, თბ., 1949 წ., გვ. 63—112. იხ. აგრეთვე ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, მონოგრაფია, თბ., 1953 წ.

„სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც იგავ-არაკული ჯანრის მეტად პოპულარული ნაწარმოებია, შეიცავს 110-მდე იგავ-არაკს, ამ ტერმინის ზუსტი გაგებით, და 60-მდე სენტენცია-აფორიზმს, ანეგდოტსა და ამოცანას. ყველაფერ ამას აერთებს შემდეგი მოთხრობა:

იყო ერთი დიდებული მეფე ფინეზი, რომელსაც ჰყავდა მეტად ბრძენი ვეზირი სედრაქი და გულითადი საჭურისი რუქა. მეფეს შეილი არ ჰყავდა. მაგრამ, ლოცვა-ვედრებისა და უხვი შეწირულება-მოწყალების გაცემის შემდეგ, შექიჩა ვაჟი ჯუმბერი, რომლის სწავლა-აღზრდა მან, რუქას სურვილის წინააღმდეგ, მიანდო ახალგაზრდა ბრძენს ლეონს. ლეონი მეტად მოურიდებლად და სასტიკად, სპარტანულად, როგორც იტყვიან, ზრდიდა ჯუმბერს: ლეონი სამი დღე-ღამე ნადიმობდა, ჯუმბერი თავზე დაიყენა, არც დასვა, არც აქამა, ფეხზე ღვამითა და შიმშილით მას გული წაუვიდა. მხოლოდ ამის შემდეგ მისცა დაჯდომისა და პურის ჰამის ნება. მეორეჯერ ის სანადიროდ წაიყვანა, თვითონ ცხენზე შეჯდა, ჯუმბერი კი უკან დაიდევნა ფეხით და საღამომდე აძუნძულა, ასე რომ მას ფეხები სულ ერთიანად დაუსკდა და დაუსივდა. ერთხელ კიდევ 50 როზგი დაჰკრა მას. რუქამ ლეონი დააბეზლა მეფესთან ასეთი სისასტიკისათვის, მაგრამ მან თავი იმართლა ისე: „მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჰირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჰამა და მიცემა იცოდეს. თუმცა ეგოდენ ხანს ფეხზე არ მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდიეთა ჰირი, თუ ზემდგომსა რა გარჯა აქვს?.. თუმცა შიმშილით არ მომყმარ იყო, რამცა იცოდა გლახაკთა და უღონოთა შიან ანუ სხვათა ვისმე საქმელი აკლია?... თუცა უცხენოდ სლვა და ფეხშიშვლობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჰირნი რითა ეცნა, რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა?... არგნისა სიბწარე არ ენახა, რა გამწყურალიყო მონათა. ზედა, ებძანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა; სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჰირნი მისწაეებია და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისისა?“ (გვ. 30). სწავლის დამთავრების შემდეგ მეფემ გამოსცადა თავისი შვილი და მეტად კმაყოფილი დარჩა მისი ცოდნით და ლეონის შრომით.

ეს მოთხრობა აერთებს იმ იგავ-არაკებს, სენტენცია-აფორიზმებს, ანეგდოტებსა და ზღაპრებს, რომელთაც ეუბნებიან და უყვებიან ერთმანეთს ფინეზი, სედრაქი, რუქა, ლეონი და ჯუმბერი.

კრებულის სახელწოდება—„სიბრძნე სიცრუისა“—გულისხმობს, რომ ის შეიცავს სიბრძნეს, ესე იგი გარკვეულ აზრს, მნიშვნელობას, სიცრუისას ანუ ცრუ, მოგონილი ზღაპრისა და იგავებისას¹.

¹ ზენ ჯერ კიდევ ამ წიგნის პირველ გამოცემაში (1924 წ.) ეუბნებდით, რომ მიუღებელია პროფ. ა. ცაგარლის თარგმანი „Книга мудрости и лжи“ რომლის ქართული შე-

ამ კრებულის ავტორი არის სულხან-საბა ორბელიანი. სულხანი ორბელიანთა დიდად შეძლებული და გავლენიანი გვარის წარმომადგენელია. დაიბადა ის, როგორც დამრწმბებული დოკუმენტებში, „ქართულსა ქარონიკონსა ტმვ, ოქტომბერსა კლ, დღესა კვირიაყესა, შუალამის ეამსა“,¹ ესე იგი 1658 წლის 24 ოქტომბერს (ახალი სტილით 3 ნოემბერს).. ის იყო ცნობილი მდივანბეგის ვახტანგ ყაფლანის ძე ორბელიანის შვილი. მან მიიღო კარგი განათლება: საფუძვლიანად შეისწავლა საღვთო წერილი, ქართული საერო და სასულიერო მწერლობა და რამდენიმე უცხო ენა (ყოველ შემთხვევაში, თურქული და სომხური), თუმცა თავისი „ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში უკანასკნელს ის უარყოფს. სულხანს ყველაფერი უწყობდა ხელს, რომ შესაფერისი განათლება მიეღო და შემდეგ ლიტერატურული მუშაობისათვის მოეკიდა ხელი. შთამომავლობა ორბელიანთა გვარიდან, რომელშიაც მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებს (ცნობილი ნიკოლოზ ორბელი, წიგნების მმართველი ვახტანგის სტამბაში და შემდეგ თბილელი, ძმა იყო სულხანისა), სიახლოვე და ნათესაობა სამეფო კართან, რომელიც იმ დროს ლიტერატურულ-კულტურული მუშაობის ცენტრად ითვლებოდა (გიორგი, არჩილი და ლევან მეფეები მისი მამიდაშვილები იყვნენ, ხოლო ვახტანგ VI—მისი მამიდის შვილიშვილი), დაახლოება კათოლიკე მისიონერებთან და დიდი ბუნებრივი ნიჭი,—აი ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა და განვითარდა სულხანის სულიერი ფიზიონომია.

მ. თამარაშვილის მიერ შეკრებილი ცნობებიდან ირკვევა, რომ სულხანს ორი მეუღლე ჰყოლია². ერთი მათგანი, „ბაგრატიონთ ასული დარეჯანი“, გარდაცვლილა 1683 წელს, ხოლო მეორე—სამცხის ათაბაგის ქალი თამარი, 1708 წელსაც ცოცხალი ყოფილა, როგორც ჩანს მისი ქმრის ერთი წერილიდან, რომელიც მას მიუწერია კლემენტოს პაპისათვის³. მიუხედავად ამისა, 1698 წლის 18 მარტს სულხანი ბერად აღიკვეცა გარეჯის მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერში⁴, ალბათ, ცოლ-ქმართა ურთიერთ შორის შეთანხმებით, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე, და არა მათ შორის რაიმე კონფლიქტის გამო. ყოველ შემთხვევაში, 1709 წელს ქმარი მასზე მზრუნველის ტონით წერს, როდესაც დასახელებულ წერილში ის მისთვის პაპის ლოცვა-კურთხევას გამოითხოვს. რა იყო სულხანის ბერად შედგომის მიზეზი, როდესაც მას, ჩვეულების თანახმად, სახელი გამოუცვალეს და საბა უწოდეს? ამისი მიზეზი უნდა ყოფილიყო სულხან ორბელიანის პოლიტიკური იდეალებისა და მისწრაფებათა კატასტროფა. ეს იყო დრო, როდესაც გამწვავებული ბრძოლა წარმოებდა ქართლის ტახტისათვის გიორგი XI და ერეკლე

სატყვისი იქნებოდა „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“ და არა „სიბრძნე სიცრუისა“. მოსახრება დ. შ. ლენგისა („სიბრძნე სიცრუისა“-ს სათაურისათვის, „მნათობი“, 1957 წ., № 5, გვ. 159—167), რომელიც ა. ცაგარლის თარგმანს იყავს, დამაჯერებელი არაა.

¹ „ლექსიკონი“, 1928 წ. გამოს., გვ. 478; „Описание“, I, გვ. 184—198.

² „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 328.

³ იქვე, გვ. 311.

⁴ იხ. „ლექსიკონი“ მისი ბიოგრაფია, გვ. 477.

პირველს (ნაზარალიხანს) შორის. სულხანი ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი მამიდაშვილის გიორგის სასარგებლოდ. რისთვისაც დიდი რეპრესიები განიცადა ერეკლეს მხრივ, მამულის კონფისკაციამდე და სამშობლოდან გაძევებით (იმერეთისა და ახალციხეში) გათავებულთ. ეს ბრძოლა გიორგის დამხობით დამთავრდა. 1696 წელს ის იძულებული შეიქნა სპარსეთის შაჰს ხლებოდა და იქ დარჩენილიყო. სულხანი, ალბათ, მოლოდინში იყო, იქნებ გიორგიმ სპარსეთში საქმეები გამოასწოროს, მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ შაჰი გიორგის, საქართველოში გამოგზავნის მაგიერ, თავის საკუთარ საქმეებს აკეთებინებდა იქ, ხოლო ერეკლე ქართლში საბოლოოდ განმტკიცდა, ყოველგვარ იმედს ჰკარგავს, პოლიტიკურ საქმიანობასა და ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ხელს იღებს და მონასტრის კედლებს აფარებს თავს.

სულხანმა აჩქარებული ნაბიჯი გადადგა, რამდენიმე წელიწადი რომ დაეცადა. მას ჩვენ ბერად ვერ ვიხილავდით. საქმე ისაა, რომ მალე გიორგის საქმეები გამოსწორდა, შაჰმა მას ქართლის ტახტი დაუბრუნა, რაც ერეკლეს აცნობა კიდევაც. თუმცა გიორგი უკან აღარ დაბრუნდა, მაგრამ ქართლის გამგედ დაინიშნა მისი ძმისშვილი და სულხანის მამიდაშვილის შვილი ვახტანგი (1703 წ.), ესე იგი, სულხანის იდეალი გაუცხლდა; მკვდრებით აღდგა. ამით აიხსნება, რომ ის ფაქტიურად უმაღლეს ტოვებს მონასტრის კედლებს და პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მორევენი ჩაყურყუმალავდება. მას, მის ქუეყანებს, განათლებასა და გამოცდილებას დიდად აფასებდა მისი მონათესავე სახლი ვახტანგ მეხუთის შემკვიდრებისა, კერძოდ ვახტანგ მეექვსე. ჯერ იყო და 1710 წლის 1 დეკემბერს ის გაიწვია სპარსეთში ვახტანგის ძმამ ქაიხოსრომ, საკირო საქმეების გამო, უკან დაბრუნდა 1711 წ. 20 თებერვალს¹. 1712 წლის 23 აპრილს ის გაიწვია ხვარსანში და უკან ბრუნდება იმავე წლის 20 დეკემბერს. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ვახტანგს ევროპის ორიენტაცია აუღია, საფრანგეთთან დიპლომატიური მიწერ-მოწერა გაუმართავს, ალბათ, აღმოსავლეთში მყოფი მისიონერების საშუალებით. შემონახული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მას ლუი XIV-ისაგან წერილები მიუღია², გადაუწყვეტია ელჩის გაგზავნა, შეჩერებულა კიდევაც სპარსეთში მყოფ მისიონერ რიშარზე, მაგრამ მერე გადაუწყვეტია საბაბს გაგზავნა. 1713 წლის 17 აგვისტოს საბაბა გააყვა კიდევაც რიშარს და ლუი XIV ვახტანგის წერილები წაუღო. ევროპაში ის დიდი პატივით მიიღეს როგორც პაპმა, ისე ლუიმ, რომელსაც ის ორჯერ წარუდგა. აქ მან საბოლოოდ და ფორმალურადაც კათოლიკობა მიიღო, რომლისადმი თავის სიმპათიებს ის დიდი ხნით ადრე ამჟღავნებდა. რა მოტივებით ხელმძღვანელობდა საბაბა, როცა კათოლიკობას იღებდა? მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით, რათა თავისი საქმისადმი უფრო მიეპყრო პაპისა და აღმოსავლეთში კათოლიკეთა მფარველის საფრანგეთის ყურადღება. პოლიტიკური მოსაზრებით ჩვენი ცხოვრების მესვეურნი არა მარტო რუსული მართლმ-

¹ „ლექსიონი“, გვ. 477.

² მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 314, 315, 317.

დიდებლობის წინაშე იხრიდნენ ქედს, მაჰმადიანობასაც ძალიან ხშირად იღებდნენ. რა გასაკვირია, თუ ისინი ამ მოსაზრებით კათოლიკობასაც უცხადებდნენ თანაგრძობას და გადადიოდნენ კიდევაც იმაში? ვერაძიდან საბა გამობრუნდა სამშობლოში ტკბილი დაპირებებით და არა რეალური დახმარებით (საფრანგეთი საქართველოს რეალურად ვერ დაეხმარებოდა, თუ გავითვალისწინებთ მის იმდროინდელ აღმოსავლურ პოლიტიკას), გზადაგზა ჩერდებოდა რომს, სტამბოლს, ტრაპიზონს და, ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ, 1716 წლის ივლისში, სამშობლომდე მოაღწია. საქართველოში მან მოიყვანა კათოლიკე მისიონერები, რითაც ძალზე განარისხა როგორც მეფე, ისე ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენელი. ასე რომ, იძულებული შეიქნა, მეფე ეახტანგთან ერთად, გადასახლებულიყო რუსეთს, სადაც 1725 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა კიდევაც ს. ესეგვიატსკოეში, არჩილ მეფის სასახლეში¹. დასაფლავებს ის იქვე, არჩილის კარის ეკლესიაში, გულმუხრვალედ დატირებული არჩილის ქალის დარეჯანის მიერ. საფიქრებელია, რომ ის კვლავ დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მართლმადიდებელთა ეკლესიის გალავანში ის ვერ დაიმარხებოდა. ეს შეუძლებელიც არაა: როდესაც ის დარწმუნდა, რომ კათოლიკობამ ვერ გაამართლა ის მისწრაფებანი და იდეალები, რომელთა გულისათვის მან რომის პრიმატობა აღიარა, უკანვე დაუბრუნდა მამაპაპეულ აღსარებას. განა ასე არ მოიქცა თვით ანტონ კათოლიკოსი, განა ცოტაა იმის მაგალითები, როდესაც პოლიტიკური მოსაზრებით გამაჰმადიანებული მეფეები ხშირად ისევ ქრისტიანობას უბრუნდებოდნენ (არჩილი, ვახტანგი და სხვ.)?

საბა ჩვენ გვევლინება, პირველ ყოვლისა, როგორც დიდი მეცნიერი. მისი მეცნიერული ერუდიციის ნაყოფია ცნობილი „ლექსიკონი“, რომელიც დღესაც შეუდარებელი და სწორუპოვარია. მისი წერა მას დაუწყია 1685 წელს² და დაუსრულებია 1716 წელს³. სულხანს დიდი ღვაწლი მიუძღვის როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობის დარგში.

სასულიერო მწერლობის დარგში უნდა დავასახელოთ ქადაგებათა (46) საყურადღებო კრებული, რომელსაც ეწოდება „სწავლანი და მოძღურებანი“, გადაწერილი მოსკოვში მისი ძმის ზოსიმეს მიერ 1729 წელს (A 479)⁴. თხზულება მნიშვნელოვანია იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურულ-მორალური ცხოვრების გასათვალისწინებლად⁵. შემდეგ—ბიბლიის „კონკორდანსი“ ან „სიმფონია“, რომელიც, ეკვი არაა, დართული ჰქონდა მის მიერ კათოლიკური ეულგატის მიხედვით, ანდა, უფრო სწორად სომხური ბიბლიის, რომელიც ეულგატასთან იყო შეჯერებული,

¹ М. Джанашидзе, Описание, III, стр. 122.

² „ლექსიკონი“, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის გამოცემა, გვ. 477—478. არსებობს ახალი გამოცემა ს. იორდანი შვილისა „სიტყვის კონის“ სახელწოდებით.

³ ერთი მისი ნუსხა ინახება ქუთაისის მუზეუმში (ხელნ. № 574). მასში შემონახულია 16 „სწავლა“.

⁴ გ. ლეონიძე, ძიებანი, გვ. 79.

გამოყენებით შესწორებულ ქართულ ბიბლიას¹. ეს სიმფონია, როგორც დღეს ვარკვეულია, სომხურიდანაა თარგმნილი². დაუწერია მას აგრეთვე, კათოლიკობის გავრცელების მიზნით, შემდეგი თხზულება— „სამოთხის კარი“, რომელსაც ანტონ კათოლიკოსი „ჯოჯობეთის ბქეს“ უწოდებს³. შეუსწორებია „საქარისტიანო მოძღვრება“ ან კატეხიზმო, პატარის ჯუსტინე ლეივორნელის მიერ თარგმნილი⁴. უთარგმნია „წამებანი წინასწარმეტყველთანი“⁵ და „სწავლა მეცნიერთათვის თქმული: აღვიარებ რომელ არს ღმერთი ან სჯული“.

საერო მწერლობის დარგიდან აღსანიშნავია, პირველ ყოვლისა, „მოგზაურობა ევროპაში“⁶, რომელშიაც ის გასაოცარი დაკვირვების ნიჰს იჩენს და რომელიც ამ ეპოქაში აღმოცენებული „მემუარული“ ენარის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშია. შემდეგ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საბას დიდი შრომა გაუწევია „ქილილა და დამანას“ პაროზის „გაჩაღხვასა“ და ლექსების გაწყობაში. ეს შრომა ქართული ვერსიფიკაციის ისტორიის თვალსაზრისითაც არაა ინტერესმოკლებული. დაუწერია საბას აგრეთვე რამდენიმე ჩვეულებრივი ტიპის „ანბანთქება“⁷ და სამი სტროფი დაუმატებია თეიმურაზ I-ის მიერ დაწერილი „ქეთევანიანისათვის“⁸. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მისი იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“.

როდის დაწერა სულხანმა ეს შრომა? პროფ. ა. ცაგარელი ფიქრობდა, რომ სულხანს ეს წიგნი უნდა დაეწერა მოხუცებულობაში, სახელდობრ—ევროპიდან მობრუნების შემდეგ⁹, რაც, სხვათა შორის, თითქოს იქიდანაც ჩანს, რომ წიგნში მოხსენიებულია დუკა, გრანდუკი, მაგისტროსი, რომი, საფრანგეთი, კონსტანტინოპოლი, ოქროს ქვა, ოქროს ქმია და სხვა ამგვარი, რასაც ის ევროპაში მოგზაურობისას შეითვისებდა მხოლოდო. თან, თხზულებაში გველაპარაკება ჩვენ ადამიანი, ცხოვრებაში გამოცდილი და გამობრძმედილი, რომელსაც ბევრი განუცდიდა და გაუგონიოა. ასეთი მოსაზრებით ამის დამტკიცება არ შეიძლება, ვინაიდან ყველაფერი ეს სულხანმა, ეკვი არაა, ევროპაში გამგზავრებამდეც იცოდა. ხელნაწერებში, რომელთაც შემოუნახავთ ამ თხზულების სათაური, ნათქვამია: „წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი

¹ არის ცნობა, თითქოს ეს ბიბლია საბას დაუწეს.

² ილ. ა. ბ. ჯ. ლაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები (ყალბი ამონაბეჭდი), გვ. 261.

³ „წყობოლისტყუობა“, § 805, გვ. 287; A 303, A 706, H 370, ქუთაისის მუხფუმის ბუნ. № 471.

⁴ მ. თ. მ. ა. შვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 263.

⁵ ქუთაისის მუხფუმის ბუნაწერი № 471.

⁶ ტარ. „სოსკარი“, 1852 წ., № 1—4; ს. ი. ო. დ. ა. ნ. შვილი ს. გამოც., 1941 წ.

⁷ E. T. a. k. a. m. v. n. a. n., O. n. i. s. a. n. e., II, გვ. 158, 219.

⁸ S 1511.

⁹ ამ აზრს ფშრობიან ნ. მ. ა. რ. ი. („Сборник притч Вардана“, I, 346) და ა. ხ. ხ. ა. შვილი (Очерки, III, გვ. 236), ახლა მისი აღდგენა, მოინდომა, არა საკმარის საბუთებით, თ. კ. უ. კ. ა. მ., სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ დაწერის თარიღისათვის („მნათობი“, 1957 წ., № 9, გვ. 149—152).

სულხან ორბელიანისაგან ეამსა სიკიბუჯისა მისისა“. ამ სიტყვების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თხზულება დაწერილია ავტორის ბერად შედგომამდე, ესე იგი 1698 წლამდე. მართლაც, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: 1) თხზულების ავტორად ამ სათაურში დასახელებულია სულხან და არა საბა, თუგინდ სება სულხან, ესე იგი ავტორის საერისკაცო სახელი. 2) დაწერილია ის „ეამსა სიკიბუჯისა მისისასა“. „ლექსიკონის“ ანდერძში სულხანი ამბობს, რომ ამ ლექსიკონს ის წერდა „ეამსა კიბუჯისა და სიყრმისა“ (გვ. 01) გიორგი მეფის ბრძანებით. მაშასადამე, კიბუჯის ეამად მას მიაჩნია დრო 1685 წლიდან, როდესაც დაიწყო მუშაობა „ლექსიკონზე“ („ლექსიკონი“, გვ. 477), 1696 წლამდე (ამის შემდეგ გიორგი მეფეს აღარ შეეძლო ბრძანებინა მისთვის ასეთი რამე, რადგანაც ის სპარსეთშია). 3) „ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობა-ანდერძში საბა ბოდბის იხდის და ბერისათვის შეუფერებლად თვლის იმ საქმეს, რომელსაც ის ასრულებს, ჯერ ერთი, ვახტანგის ბრძანებით, და მეორე—რომელიც მდგომარეობს არა შედგენა-შეთხზვაში, არამედ მეფის შრომის რედაქციულად შესწორებაში. როგორც მისცემდა ნებას ის თავისთავს ბერობაში თვითონ დაეწერა და შეეთხზა ანალოგიური თხზულება? 4) ერთ არაკში, რომელშიაც მელაა გამოყვანილი, ასეთ დიალოგს აქვს ადგილი: „ჩემნი (მელას) დღენი ცოდვის ქმნით დაელაძე, ახლა კეთა მოვიხმარე, ეს სოფელი გაუშვი, ბერად შეედგე, იერუსალიმს მინდა წავიდეთო. მაამლა უთხრა: რადგან ცოდვისაგან ხელი ავიღია და ქველის საქმეს იმრავლებ, მეც წამიტანე, მალე მოგვიხდებო“ (გვ. 24). აქ ავტორი ერთგვარი ირონიით ლაპარაკობს ცოდვის მონანიების, იერუსალიმის მოლოცვისა და ბერად შედგომის შესახებ, რასაც, რა თქმა უნდა, ადგილი არ ექნებოდა მას შემდეგ, რაც ის თვითონ ბერად შედგა.

ამრიგად, შრომა დაწერილია 1698 წლამდე, ალბათ, XVII საუკუნის ოთხმოციან—ოთხმოცდაათიან, უფრო ზუსტად 1686—1695, წლებში.

მეორე საკითხი: ორიგინალურია თუ არა „სიბრძნე სიცრუისა“? პროფ. ა. ცაგარელს ამ კრებულის იგავ-არაკები შეუღარებია „პანჩატანტრას“, „პიტოპადეშას“, „ანვარი სოჰაილის“, „ათასერთლამიანის“, მხითარ გოშისა და „თუთი-ნამეშ“ არაკებთან და იმ დასკვნამდე მისულა, რომ „სიბრძნე სიცრუისა“, არაა დასახელებული კრებულების არც თარგმანი, არც მიბამევა, არამედ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია, მისი შინაარსი მთლიანად ამოღებულია პირდაპირ ხალხის წიაღიდან და, თუ ზოგიერთი არაკი უცხო ერთა არაკებში პოულობს შესატყვისს, ის, ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული გზით არ უნდა იყოს შემოსული ჩვენში¹. ზოგადად ეს შეხედულება მისაღებია. კრებულის ფორმა იმის მაჩვენებელია, რომ სულხანი იცნობდა ამ ეპიკოს ლიტერატურას: ის გეგმა და ქარგა, რომელზედაც გამოყვანილია იგავ-არაკები, მოგვაგონებს „ბალაეარიანის“, „ანვარი სოჰაილისა“ და „თიმსარიანის“ გეგმასა და ქარგას. გამორიცხული არაა, რომ თვით სახელწოდება კრებულისა „სიბრძნე სიცრუისა“ მოგონილია „ვარლაამისა და იოასაფის“

¹ „Книга мудрости и лжи“, гл. XI.

წიგნის მიხედვით, რომელსაც ქართულად „ს ი ბ რ ძ ნ ე ბალავარისა“ ეწოდება. შემდეგ, ასეთი ფრაზები: „თქვა არაკი“ მეფემან, ვაზირმან, ლეონმან და სხვ., გვაგონებს „ქილილა და დამანას“ ფრაზებს: „თქვა არაკი“ ამა და ამ პირმაო. ამა თუ იმ პირთა (მეფე, მისი მოხელენი და მახლობელნი) და მოვლენათა თვისებებს საბა ასე აღნიშნავს: პირველად, მეორედ, მესამედ... (გვ. 19, 43, 63, 64, 86—88); ეს მანერა გვხვდება „ქილილა და დამანაშიც“ (გვ. 87, 93, 104, 335, 350 და სხვ.). სენტენციათა დალაგებისას საბა ზოგ შემთხვევაში (მაგალ., ვაზირი, მტერი, ამხანაგი ვინ არის, გვ. 48, 49, 78, 138) იყენებს იმავე „ქილილა და დამანას“ ფორმას (მაგალ., გვ. 429, სხვადასხვა აღმნიშნათა შესახებ).

რაც შეეხება იგავ-არაკებს, არც ერთი მათგანი საბას მოგონილი ან უცხო კრებულებიდან ამოღებული არ უნდა იყოს, ისინი ამოღებულია, მართლაც, ხალხის წიაღიდან. არსებობს აზრი, რომ საბაზე გავლენა მოუხდენია ლაფონტენს, რომელიც მას თითქოს საფრანგეთში ყოფნისას უნდა გაეცნო¹. მაგრამ ეს მართალი არაა: საბა ევროპაში 1713—1716 წლებში ვერ გაიქნობდა ლაფონტენს, რომელიც 1694 წელს გარდაიცვალა. არაა მოსალოდნელი არც ლიტერატურული ნაცნობობა მასთან, რადგანაც საბამ ფრანგული ენა, ყოველ შემთხვევაში, თავისი კრებულის დაწერისას, ევროპაში გამგზავრებამდე, არ იცოდა. შეიძლება, საბასა და ლაფონტენის კრებულებში მსგავსი არაკები მოიძებნოს, მაგრამ ასეთი მსგავსება საბას კრებულს სხვა კრებულებთანაც აქვს. ასე, მაგალითად: 1) არაკი ძენწი-ვაჭრის შესახებ (გვ. 9—11) როგორც მთავარი მოტივით, ისე დეტალებით გვაგონებს „ათასერთლამიანის“ არაკს „von Glilke verlassener Kaufmaun“². 2) არაკი იმის შესახებ, თუ როგორ მარხავენ ცოცხალ ქმარს მკვდარ ცოლთან (გვ. 113—117), გვაგონებს იმავე „ათასერთლამიანისა“ და „სინდბადის“ იგავს³, 3) დათვისა და მონადირის დამძობილების არაკი (88—89)—პანჩატანტრას⁴. 4) არაკი ვირის, ვეფხის, მელისა და მგლისა (გვ. 66—68) გამომხატურებას პოულობს იმავე პანჩატანტრაში⁵, 5) -გლახაკი და ქილა ერბო“ (გვ. 140)—პიტოპადეშაში⁶. 6) არაკი სპარსელი ვაჭრისა, რომელმაც თავისი ლამაზი ცოლი არამცთუ მიათხოვა ედესის მეფეს, უკანასკნელის ვერაგობით, რასაკვირველია, არამედ მყრობაც კი გაუწია მას (გვ. 40—41), გვაგონებს „შვიდეზირიანის“ მეშვიდე არაკს: „ერთი ხელწიფისათვის, რომელსაცა ჰყვანდა საყვარელი დიდებული, რომ შეირთო დედოფალი და გააქცია“⁷. 7) „ბროწეულის წვენი“ (გვ. 160) გვაგონებს „მეფეთა სალაროს“ არაკს⁸. 8) არაკი „უნაღვლოთა მძებნე-

¹ А. Х а х а н о в, Очерки, III, гл. 233; „არაკის კრებული“, IX, 1898 წ., გვ. 29—30.

² M. H a b i c h t, Breslau, t. X, p. 120—126.

³ А. Ц а г а р е л и, Книга мудрости и жин, гл. 194, ст. 99.

⁴ Th: B e n f e y, I, 354.

⁵ იქვე, I, 506—510.

⁶ M. M i l l e r-ის თარგმანი, IV, 159, № 8.

⁷ „შვიდეზირიანი“, გამოც. 2, გვ. 132—147.

⁸ „ანთოლოგია“, II, ა. ბარამიძის გამოც., არაკი „ბარამ-გური და მეხალე“, გვ. 95.

ლი“ (გვ. 35—48) თემატიკურად და „ასოწარკვეთილის“ ამბით (გვ. 38) უახლოვდება „ბარამგურიანის“ მეშვიდე ზღაპარს¹. 9) სოფლის მშენებელი „ძალისა და მამლის“ არაკი (გვ. 28—31) მთავარი მოტივით უახლოვდება ეზოპეს ამავე სათაურის არაკს, განსხვავება მხოლოდ დეტალებშია. ეზოპეს არაკებს უახლოვდება რამდენიმე არაკი: 10) „ძუნწი და ოქრო“ (გვ. 53), 11) „მელი და წერო“ (გვ. 81), 12) „ვირი, კაქაკი და მგელი“ (გვ. 156). 13) არაკი „ნალბანდი მგელი“ (გვ. 49) გვაგონებს ეზოპესა და „მელის წიგნის“ არაკს². 14) „ქუ და მორიელი“ (გვ. 73) გამოძახილს პოულობს „ქილილა და დამანაში“³, პანჩატანტრასა⁴ და ეზოპეს კრებულში; 15) „აკაცი და გველი“ (გვ. 126—127)—პანჩატანტრაში⁵, ეზოპეს კრებულსა და „ქილილა და დამანაში“⁶, 16) არაკი „მთიელი და კაკლის ხე“ (გვ. 2)—„მელის წიგნში“⁷. ამას გარდა ეურნალი „Athenaeum“-ში (1895 წ. 16 თებერვ.), რომელშიაც მოთავსებულია რეცენზია ო. უორდროპის ინგლისურ თარგმანზე, და გაზეთ „ივერიამში“ (1895 წ., № 60), სადაც ამ რეცენზიის შესახებაა ლაპარაკი, მოყვანილია პარალელები სერბიული არაკებიდან და მოლდავეური თქმულებებიდან⁸.

როგორ უნდა შევხედოთ ამ მსგავსებასა და სიახლოვეს?

აქ ჩვენ საქმე არ უნდა გვექონდეს ლიტერატურულ გავლენასთან, დასახელებული წყაროების უდიდესი ნაწილი საბასთვის ხელმოუწვდომელი იყო. შესაძლოა დაეუშვათ ნაცნობობა მისი „ქილილა და დამანასთან“ (დედანში ან იმ დროისათვის თარგმნილ მის ნაწილში), „მელის წიგნთან“ (დედანში), „ბარამგურიანთან“ (თარგმანში), „შვიდეზირიანთან“ (დედანში), მაგრამ ამ წყაროებთან საერთო მასალა მას სულ სხვა რედაქციით აქვს მოყვანილი „სიბრძნე სიცრუეში“. მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ერთი და იგივე იგავ-არაკული სუეტეტი შეიძლება მოიძებნოს ისეთ ერებსა და ტომებში, რომელთაც ერთმანეთში არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. სუეტური დამთხვევა სოციალური ნათესაობის შედეგია. ერთსა და იმავე სოციალურ პირობებს სხვადასხვა, ერთიმეორისაგან დაშორებულ ქვეყანაში, შეუძლია მსგავსი იდეოლოგიური, ზედნაშენობრივი მოვლენები, კერძოდ, სუეტეტი წარმოშვას.

„სიბრძნე სიცრუის“ ენა არის მარტივი, დარბაისლური, ადვილად გასაგები, ბარბარიზმებისაგან განტვირთული და შესამჩნევად დაახლოებული ხალხურ მეტყველებასთან. შესაძლებელია, ეს იმაზედაც იყოს დამოკიდებული,

¹ კ. კეკელიძის გამოც., გვ. 165—203.

² „მელის წიგნი“, გვ. 82—83.

³ „ქილილა და დამანა“, გვ. 122—123.

⁴ B e n f e y, I, 223.

⁵ იქვე, I, 113—118.

⁶ „ქილილა და დამანა“, გვ. 241—245.

⁷ „მელის წიგნი“, გვ. 114.

⁸ უფრო მეტი ანალოგია ნაჩვენებია გერმანული თარგმანის („Die Weisheit der Lüge“, Berlin, 1933) წინასიტყვაობაში.

რომ მასალა ამოღებულია, როგორც ვთქვით, ხალხის წიაღიდან. ყოველ შემთხვევაში, „სიბრძნე სიცრუისა“ ის მიჯნაა, საიდანაც ქართულ პროზაში დიდი და მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება მისი ენის ხალხურ მეტყველებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, აღმოსავლური ყვავილოვნობა მაინც თანსდევს ამ ენას. რის მაჩვენებელია ისეთი ადგილები, როგორიცაა, მაგალითად: „ოდეს გათენდა და შავთა უფსკრულთა ფარდაგი ცეცხლის ალისა მსგავსისა მზისა უჭით დაიხია, მისი ელვარე მოციქული ხმელეთს გამოგზავნა“. „ქილილა და დამანას“ სტილთან შედარებით, რომელიც საბოლოოდ სამას კუთვნილებაა, „სიბრძნე სიცრუისა“ მაინც სულ ახალსა და არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში.

„სიბრძნე სიცრუისა“ დაუზოგავად ამხელს იმდროინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სენს: მეფესა და მის უკანასკნელ მოხელეს, საქროსა და სასულიეროს, მამაკაცსა და დედაკაცს. გაკიცხულია მასში სიძუნწე, ფარისევლობა, სიამაყე, ცბიერება, ანგარება, უმადურობა, მოტყუილება, სხვისი ყვლეფა, სატყუნიობრივი პირმოთენობა და იმდროინდელი ცხოვრების სხვა ამგვარი უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებით გამათრახებულია იგავ-არაკებში უღირსი მეფე, უფარგისი მსაჯული (ყადისა და სადრის სახით) და სიმღვდლოება. ამავე დროს, ნაკლულოვანებათა გამოსწორების მიზნით, ავტორი იძლევა მორალური დებულებების მთელ კოდექსს. მისი მთავარი მიზანია დაგვიხატოს ნამდვილი, ღირსეული მეფის იდეალი. ეს ტენდენცია თავს იჩენს თხზულების თავშივე, მის ქარგაში, სადაც ლეონი იცავს და ამართლებს მის აღმზრდლობითს სისტემას. იმდროინდელი სოციალური ცხოვრების შესაწავლად თხზულება წარმოადგენს მეტად საყურადღებოსა და მნიშვნელოვან დოკუმენტს.

იგავ-არაკთა ღირებულებით, სენტენცია-აფორიზმების სიუხვითა და შინაარსიანობით „სიბრძნე სიცრუისა“ იგავ-არაკული ენარის ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ის დღეს სხვა ენებზედაცაა ცნობილი. არსებობს მისი შემდეგი თარგმანი: ინგლისური¹, ფრანგული (ზოგიერთი ადგილისა)², გერმანული³ და რუსული⁴. უკანასკნელ ხანს ის ითარგმნა უნგრულადაც.

2. მეუთა სლარო

ხელნაწერში A 617, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს თუ მეოთხრამეტის დამდეგს ეკუთვნის, მოთავსებულია ერთი თხზულება (ფურც. 1—48), რომელსაც, სამწუხაროდ, პირველი ორი ფურცელი აკლია და ამიტომ სათა-

¹ Oliv. Wardrop, *The Book of Wisdom and Lies*, London, 1895.

² J. Mourier, *Contes et légendes du Caucase*, Paris, 1888.

³ „Die Weisheit der Lüge“, Berlin, 1939.

⁴ А. Цагарели, *Книга мудрости и лжи*, С.-Петербург, 1878 г. (მოიპოვება ამ თარგმანის მეორე გამოცემა: Редакция, предисловие, комментарии С. Иорданшвили и л., литредакция Ю. Тынянова, тб., 1939 წ.); Е. Гогоберидзе, *Мудрость вымысла*, М., 1948, 1951.

ური დაკარგული აქვს. ხასიათითა და შინაარსით ეს თხზულება ეკუთვნის იმ ნაწარმოებთა ჯგუფს სპარსულ ენაზე, რომლებშიაც ლაპარაკია მეფეთა და მმართველთა მალაღ დანიშნულებახე, მისთ უფლება-მოვალეობაზე და რომ-ლებშიაც წარმოდგენილია სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და ქვეშევრ-დომთა მოვლა-პატრონობის იდეალი, განსაკუთრებით ახლოსა დას ის ხასი-ათითა და სულით საიდალი ბინ შიპაბ-უდდინის (გარდ. 1385) „Daxirat ul-muluk“-თან¹ და იმიტომ, ნამდვილი სათაურის დაკარგვისა და უტოდინარო-ბის გამო, „მეფეთა სალაროს“ ვერწოდებთ მას. თხზულება შედგება 28 თავი-საგან, თითოეულ მათგანში ლაპარაკია მეფის ერთ რომელიმე თვისება-მოვა-ლეობაზე. ჯერ განმარტებულია თეორიულად, თუ რაში მდგომარეობს ეს თვი-სება-მოვალეობა, მაგალითად: შენდობა, მოთმინება, წყალობა, და მერე სენ-ტენცია-აფორიზმებით, იგავ-არაკებითა და ამა თუ იმ შესანიშნავ პირთა ცხოვ-რებიდან ამოღებული მაგალითებით დადასტურებულია თეორიულ ნაწილში გამოთქმული აზრი. იგავ-არაკებისა და სენტენცია-აფორიზმების რიცხვი სხვა-დასხვა თავში სხვადასხვაა.

იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორი ხასიათისაა თხზულება, იქიდან მოვიყვებთ რამდენიმე ნიმუშს².

თავი XV, იგავი 26— ს ი მ ა რ თ ლ ი ს ა და ა და ლ ა თ ი ს ა თ ვ ს: მელიქ შაჰ ერქვა ერანის კელმწიფესა რომელსამე და დღესა ერთსა წყლის პირს ნადირობდა და მუნ მწვანე მოეწონა კელმწიფესა და ცოტას ბანს ცხენიდალმან გარდმოკა. მაშინ ერთი დიდებულთა მისთაგანი, რომელიცა სხვათა უწარჩინებულს იყო, სოფელში წაჩვიდა და ერთი ძროხა ნახა, რომე რუს პირსა სძოვდა; უბრძანა, დაკლეს და ცოტათენი მისი ნწვადი შეწვევინა და კბა. თურქი ეს ძროხა ერთს ქეროვის დედაკაცის იყო, და თბი ობოლი სყვანდა და იმისის რძით ზრდიდა იმ ობლებსა და იმისი საზრდელიც ის იყო. რა დედაკაცმან ფურის დაკვლა შეიტყო, ცა და ქვეყანა რისხვით თავს დაექცა, წამოვიდა და ერთი ბიდი იყო, რომე კელმწიფის გზა ის იყო, იქ დადგა, რა კელმწიფემ გამოიარა, დედაკაცმან ცხენის სადავე დაიჭირა. მაშინ იმავე კაცმან, რომე იმ დედაკაცის ძროხა დეკლა, მათრაკი გარდაკცა; კელმწიფემან უბრძანა: დაეკსენო, ვნახთ რა საჩივარი აქვსო. დედაკაცმან მოახსენა გულმწუხარედ ვითა: ესა არსა-ლანის შეილო, თუცა ამ კიდხედ კალთას არ დამანებებ, ჩემს საჩივარს არ გაიგონებ და არ გამოვლენ, მას საიკოს განკითხვის დღეს დაგიჭერ კალთასა ღეთის წინამე და გავივლენ ჩემს საბივარსა: გინდა აქ გამოიკითხე და გინდა იქ. კელმწიფე ცხენით გარდმოკა და უბრძანა: რალაქ საბივარი გაქვს, აქვე გაგივლენო და იქ არ შემოდლია სამართალიო, ეინ რა შეტოდა, მითარ და გაგივლენო. მოახსენა დედაკაცმან ვითა: კელმწიფეო, ამ კაცს რომ მათრაკი გარდამტკა, ერთი ფური მყვანდა, ჩემი და ჩემის ოთხი ობლების საზრდო ის იყო, დამიკლა და შემიკაბა, მასვე წაშა უბრძანა კელმწიფემან და ის კაცი მოაკლევინა, და ერთის ძროხის მაგთერ საბოცი ფური მიაკვინა დედაკაცისათვს. გამოვიდა ბანი და კელმწიფე მოკუდა. ის ქროვი დედაკაცი ისევ ცოცხლად იყო; მთავდა კელმწიფის საფლავებდა, ღმერთს კელა შე-გარა და თქვა ვითა: ღმერთო, ყოელისა-მსყრობელო, რაგვარადაც მე საწყალი შემიწყალა და გამოვლენა მტერსა ჩემსა ზედა, აგრეთვე შენ შეიწყალი და შეიბრალე კელმწიფე ესე და დაუმტდრე საიკოს სამოთხე და რე ჰკითხე ცოდუთა მისთა. მას უკან ერთმან ბრძინთაგან-მან ვინვე ნახა სიხმარსი ისევ ცოცხლად იყო; მთავდა კელმწიფის საფლავებზეც მყოფი; ჰკითხა კელმწიფესა ვითა: რა საქმე მიუტლდა კელმწიფესა წინამე ღეთისა, რომე სამოთხეზეც შესლვა ელისა. უბრძანა კელმწი-

¹ H. Ethé, Neupersische Literatur, S. 349—350 („Grundriss“, II).

² ძველი გამოცემა ს. ყუბანეიშვილმა: „ქრისტოშობა“, II, გვ. 245—279. მას 7 იგავით მეტა აღუბრუნავს, რადგანაც ზოგიერთი აფორიზმი-დარიგება ცალკე იგავად ჩაუთვლია.

ფემან ვითა: ქერივი დედაკაცი რომ გავიკითხე, იმისი გულისათვის შემინდო ლმერთმან ჩემნი ცოდვანი, თვარა ჩემი კსნა ძნელი იყო. ერთი რიგი საძარბალი ეს არის, რომ ყოველი საძარბალი კელმწიფისა საღვთო იყოს, რაც რომ მაჩივარი კაცი გაიკითხოს, ღვთის შერიათი კელდაღზე არ გაუმვას, და გაუწყრეს ვისმე თუ დაუტკბეს, ღვთის სათნო იყოს, რაც მისი ბრძანება არ იყოს, განწმორსო. რომელმან კელმწიფემან ბრძანება ღვთისა არ გატეხოს, დაამონოს ლმერთმან ყოველი შვილი ადამისი ბრძანებასა მისსა ქეშპირტად (ფურც. 16—17).

თავი XXI. იგავი 59—უხეობისა და გამცემობისათვის: ხოსროვი ფარევი ერქვა ერთს კელმწიფეს და ერთი სასალარი ჰყვანდა, მრავალჯერ მტერზე გამარჯვებული და სახელგანთი კაცი იყო, ჰკეთათ და სიბრძნით ქვეყანაზე განთქმული, და კელმწიფისაც მუსაიბი იყო, და სრულად მისი ქვეყანა მას ებარა და კელმწიფე მის უკითხავს არას იკმოდა. დღესა ერთსა მისმან მტრებმან კელმწიფეს მოახსენეს ვითა: სასალარი დალატს გიპირებსო და უტუღმოსაო, სანამდის საქმეს გაგიძნელებდეს, ჩვენ ჩვენი თადარიგი ვნათ და დავასწრათ და რაც იმას ჩვენივე უნდოდეს, იმას უყთო. კელმწიფე გულნაღვლიანად შეიქნა და ბრძანა ვითა: თუ ის უკუმოდებოსო, ჩვენი ლაშქარი უფროსნი ვართნი იმისკენ იკმონენ პირსა და საქმე გაგიძნელებდისო. ვახირთა და დიდებულთა ჰკითხა ვითა: რა უნდა უყთო სასალარს? ყველამან მოახსენა, რომე დაუბათო. მოეწონა ხოსროს მათი ვახირობა და მეორეს დღეს მოაწყვეინა კელმწიფეთ შვილნი და ყოველნი თავადნი და დიდებულნი და კელმწიფური მაგლიში ქნა და ლინით ნახა. სასალარიც აწვიდა კელმწიფემან და წინ მიეგება და ზემო თავსა გარდაიწვიდა. მრავალი ქება შეასხა; მოლარეს უბრძანა და მრავალი ნაღდი და ჯინსი მოუტანეს და მას მიაართეს, და მრავალი ბედაური ცხენი და ჯორი და აქლემის ყათარი მიართვეს, და უბოძა და უბრძანა, რომე ჩემი მამული აქამდისაცა შენ გბარებიო და ახლაც, რაჯვარადაც გინდოდეს, იმის უყთო. სასალარმან კელმწიფეს შეკლს აცოცა და წვიდა. რა ხალვათი შეიქნა, ვახირთ რომ უსი და ღებრა გამოერჩიათ, მოახსენეს კელმწიფესა ვითა: რაც რომ გამოერჩიეთ, რასთვის აღარა ქნა კელმწიფემანო? ხოსრომ გაიცინა და უბრძანა: რაც გამომირჩიეთ, ყველა გავათავებო; თქვენ ასრე გამომირჩიეთო, რომ დეუბათო. მე ასრე მიწოდოდა; რომე ასეთის საბმურით დამებნა, რომ მის დღეში ვეღარ აშეშებულყოყო, და წყალობის საბმურის უფრო მაგარი ვერა ეპოვე რა და მით დავაბი. საბმური რომ ერთს ასოხედ დამედვა, ქლიბი გაჰკეთდა, და მე გულზედ დავადე წყალობის საბმური ჯინჯილი, ამად რომე გული არის ყოვლის ასოს კელმწიფე; როდისცა კაცს გული დავებმის, ყოველი ასო დაბმული ენებმის, წყალობის ჯინჯილი არასფერით არ გაიკეთებმის. ბრძენთავან ნათქვამი—არის, რომე გაბმული მფრინველი ბადით დაიპირებოსო და კაცი წყალობით ინადირებოსო; მტერთა და ავის მდომელთა კაცთა წყალობა და მიცემა გააერთულებს და ავის მოქმელს კარგს ათქმევენებს. როგორც ხოსრო სასალარს ის წყალობა უყო, განიწმიდა გული მისი ყოვლისა საორგულთა საქმისაგან, ვირემ ცოცხალი იყო, ერთის ნასყიდის ყმის ოდნათ ემსახურა და მის გზაზედ მოეუდა. ერთი უხვობის სიკეთე ის არის, რომე ყოველს კაცს უხვი კაცი უყვარს, რაგინდ არა რებოდეს რა მისგან, მაშინაც აქებს და აღიღებს; მეუდარიც რომ მოაგონდეს, მასცა შენდობას ეტყვიან (ფურც. 29—30).

თავი V. აფორიზმი მომთმენობის შესახებ: „აფორასიობისაგან ნათქვამი არის, რომე შვილსა უთხრა: ნუ გეშინიან კაცთა და ლაშქართა სიმრავლისაგან, არამედ გეშინოდენ კაცთა მათგან, რომელნი მომთმინო პრიან და სულგრძელი, შენცა ეგრევე მომთმინო და სულგრძელი უნდა იყო, რომე ყოველსა კაცსა ზედა თამამად იქნებო“ (ფურც. 3).

თხზულება ეკუთვნის პოლიტიკურ-ალეგორიული და ეთიკურ-მორალური ხასიათის ნაწარმოებების იმ დარგს, რომლებიც საკმაოდ მდიდრადაა წარმოდგენილი სპარსულ ლიტერატურაში¹. იგავ-არაკების ხასიათი, მოქმედება და გარემოება, მოქმედ თუ მოსაუბრე პირთა სახელები ამოღებულია სპარ-

¹ H. E t h 6, Neupersische Literatur, S. 346—351.

სული სინამდვილიდან, რასაც ხაზს უსვამს აგრეთვე ისეთი სპარსულ-არაბული სიტყვები, როგორცაა: ამანათი, არმალანი, აში, ადლათი, ბაზირგანი, დიანათი, ზავთი, ზულფლი, იყლიმი, მაჯლიში, მერამლე, მუნაჯიბი, მუსაიბი, ორხოა, საბრი, სილაფლე, ქარავენსარაბ, ლაფალი, ყადი, ყათარი, შაფალათი, შერიათი, ჯინსა, ჯინჯილი, ჯისარი, ჰამალი და სხვ. თხზულების ძირითადი წყარო ჯერ კიდევ საძებარია. ეს წყარო შეიცავდა სხვადასხვა თხზულებიდან გამოკრებილ მასალას. ის შედგენილი ყოფილა შამს-ოლდინ აჰმედ ბენ სოლეიმანის თხზულების „ნეგარესთანის“ დაწერის (1532/3) შემდეგ¹. როგორც ვხედავთ, თხზულება აღმოცენებულია მაჰმადიანურ ნიადაგზე, მაგრამ გადმომთარგმნელს უძლია მიეცა მისთვის ქრისტიანული ელფერი, და ეს ქრისტიანული ტენდენცია თეთრადა ჩანს შავზე. აქ ჩვენ ხშირად ვხვდებით ასეთ ფრაზებს: ეკლესია, საყდარი, დაქტეული საყდრის აშენება, მართლმადიდებელი ხელმწიფე, იერუსალიმს წასვლა სალოცავად, იესო ქრისტე—სული ღვთისა. გამოთქმულია ასეთი აზრები: მეფემ უნდა „საღვთოს საყდარსა შინა მღვდელნი, მღვდელ-მონაზონნი და გლაბაკნი დააყენოს და განუჩინოს მათ საზრდო და სამყოფი, რომე მისნი მლოცველნი იყვენ და ღმერთსა აქებდნენ და აღიდებდნენ; აგრეთვე საყდარსა ყოველთა წმიდათა შესაწირის შესწირედეს და ეფისკოპოზთა და მღვდელთა და მღვდელ-მონაზონთა პატიესცემდეს, რომე მლოცველნი იყვენ, და მაშინლა დაუმკვიდრდების კელმწიფობა“ (ფურც. 28); მეფემ უნდა „ერთი ფილასოფოსი სჯულისმამტკიცებელი ეპისკოპოსი გვერთ იხლოს და რაც რომე საღვთო საქმე იყოს, იმის უკითხავს ნურას იქს“ (ფურც. 46); „როდესაც კაცმან თვალთ საკანონოს რასმე შეხედოს და ყურმან ავს საქმეს ყური მიუგდოს, ერთ ტყუილი თქვას, და კელით ქრისტიანეს სტანჯვიდეს, ღვთის ამანათშიგ მუხანათობა არის“ (ფურც. 38); „რომელმანცა ქრისტიანის კაცის გული გაამხიარულოს, ყოველთა წმიდათა და წამებულთა მადლი მას მიხედეს“; „ერთს წინასწარმეტყველს მისმა მოსამსახურემ მოახსენა, რომე ჩემის ღვთისა და მამის სულისათვის მიხდა, რომ გავსცე რამეო, და რას მიბრძანებო; უბრძანა ვითა: გასაცემს ისი სჯობს, რომე კაცმან მამული იყიდოს და გასცეს საალაპოდ, რომელ ყოველს წელიწადს ალაპს უზამდნენ და მის სულს მოიხსენიებდენ“ (ფურც. 29).

თარგმანის ენა არის მარტივი და ადვილად გასაგები. თხზულება გადმოთარგმნილი უნდა იყოს არაუგვიანეს მეჩვიდმეტე საუკუნისა. ვინ გადმოთარგმნა ის, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, თუმცა ამდენ ხანს არც თვით თხზულების არსებობა იყო ცნობილი ჩვენს მწერლობაში. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ შინაარსითა და მოხდენილობით ეს იგავ-არაკები არ ჩამოუყარდება ბევრ სხვა, ჩვენს ლიტერატურაში ცნობილ, იგავ-არაკს².

¹ დ. კობიძე, მეფეთა სალაროს წყაროს საკითხისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, VII, № 5, გვ. 391—393.

² ამ კრებულიდან 11 იგავი (6, 12, 30, 31, 32, 37, 49, 62, 64, 69, 78) დაბეჭდა, რატომღაც შეცვლილი სათაურით, ა. ბ. არამიძემ („ანთოლოგია“, II, გვ. 91—95).

3. ქილილა და დამანა

ქართულ ენაზე ნათარგმნ არც ერთ თხზულებას ისეთი რთული ისტორია არ აქვს, როგორც იგავ-არაკეთა იმ კრებულს, რომელსაც „ქილილა და დამანა“ ეწოდება. „ქილილა და დამანა“, მსოფლიო ლიტერატურის ეს ძვირფასი მარგალიტი, შეიცავს კოდექსს ყოველდღიური ცხოვრების შორალისას, უფრო კი მეფე-მმართველთათვის სავალდებულოსას. თავდაპირველი მისი სამშობლო არის ინდოეთი, საიდანაც ის შეექვსე საუკუნეში (ჩვენი წელთაღრიცხვით) ირანშიაც ცნობილი გამზდარა და, ხოსრო ანუ შირვანის (531—579) ბრძანებით, მის მკურნალს ბარზუის (ქართული თარგმანით ზაეიას) ფალაურ ენაზე უთარგმნია ფალაური ენიდან იმავე შეექვსე საუკუნეში ის უთარგმნია ასურულ ენაზე ვინმე ბოდს¹, ხოლო მერვე საუკუნის ნახევარში სპარსელ მწერალს მუყაფას არაბულზე², რის შემდეგ ფალაური ტექსტი დაკარგულა. ეს არაბული თარგმანი საფუძვლად დაედო ყველა, დღესდღეობით ცნობილ, ვერსიას ამ თხზულებისას, რომელიც თითქმის ყველა ლიტერატურულ ენაზეა გადაღებული, კერძოდ, ჩვენთვის საყურადღებოა ამ თარგმანზე დამყარებული ახალი სპარსული ვერსია, რომელიც ცნობილია „ანვარი სოჰაილის“ სახელით. ის გაჩნდა მეთხუთმეტე საუკუნის გასულს, ეკუთვნის პერატელ ქაშიფის და მიძღვნილია ამირა სოჰაილისადმი, რომელიც იყო ხორასნის სულტნის აბულ-ლაზი-ჰუსეინ ბაჰადურ-ხანის (1470—1505) ვეხირი³. „ქილილა და დამანა“ ამ თხზულებას იმიტომ ეწოდება, რომ პირველ ორ თავში მოქმედ პირებად გამოყვანილია ორი ტურა—ქილილა და დამანა.

„ქილილა და დამანა“ ქართულ ლიტერატურაშიაც გადმოსულა, როგორც უკვე გვქონდა ლაპარაკი (იხ. გვ. 289—290). ის უთარგმნით ჯერ კიდევ მეორემეტე საუკუნეში (ალბათ, ნასრ ულლაჰის პროზაული ვერსიიდან), მაგრამ დაკარგულა და ჩვენამდე არ შენახულა⁴. ინტერესი მისდამი კვლავ გაღვიძებულია „ალორძინების“ პერიოდში. ახლა ამ შრომის თარგმანისათვის პირველად ხელი მოუყიდა კახეთის მეფეს დავითს (გარდ. 1602 წ.), თეიმურაზ I-ის მამას. როგორც ვახტანგის „ანდერძშია“ ნათქვამი, „ბატონს დავითს კუსა და მორიელის არაკამლი ეთარგმნა, მაგრამ მას არც ლექსი გამოეღო და ზოგი სიტყვაც დაეკლო და არც გასრულება დასცალდებოდა“⁵. როგორც დავითი გვატყობინებს თავის „ანდერძში“, მას ეს თარგმანი შეუსრულებია ორი ეპის-

¹ G. Bickel und Th. Benfey, Kallilag und Damna. Alte syrische Uebersetzung des indischen Fürstenspiegels, Leipzig, 1876.

² S. de Sacy, Callia et Damna ou Fables de Bidpalen Arabe, Paris, 1816.

³ Useley, Anvari-Suhell origls of Canopus; being the Persian version of the Fables of Bidpal, by Husain Vatz Kaschifi, Hertford, 1851.

⁴ მართალია, ა. ხაზანაშვილმა ამ ძველ თარგმანად მიიჩნია ხელნაწერ S 110-ში მოთავსებული ამ თხზულების ფრაგმენტი (Грувицкий отрывок Калилы и Димны, „Древности Востока“, III, 1; „Очерки“, III, გვ. 141—145), მაგრამ მისი მიმოთხი არ გასართლდა (იხ. Е. Тамаишвили, Описание, I, გვ. 345—346).

⁵ „ქილილა და დამანა“, ი. ჭყონიას რედაქციით, გვ. 11.

კოპოსის, ალავერდელი ფილიპესა და ბოდბელი ზაქარიას, დაეალებით. „ესე ღირსნი იყვნეს მეცნიერ და სრულ ყოვლითა კეთილითა, გარნა არაბულთა და სპარსულთა ენათა უმეცარ იყვნენ, და მე უღირსსა მაწვეედეს მძიმისა ამის საქმისა შესაბამსა. გარნა მინდობილმან ლოცვათა ამათ მამათაგან ჭელუყავ, ერთარმედ ესენივე ღირსნი არა დამიტეობდეს, განმამხნობდეს და განმამოღობდეს მექმნებოლნი სიტყუთა კეთილითა და შენეირითა“¹. დავითის თარგმანი ხელში ჩაეარდნია ვახტანგ მეფეს მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს. მეო, ამბობს ის, „ერთს სპარსსა, რომელსა მტირედ ქართული წიგნი და ენა ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყუო. მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოიღო და გასრულებამდე მეც ისპაანს წასვლა მომიხდა“, მაშასადამე, სპარსელის მთარგმნელობას ადგილი ჰქონია დაახლოებით 1710—1712 წლებში. „ისპაანს რომ ჩავედი, მუნ ერთს სომეხს, სპარსული რომ ესწავლა, უთხარი: ნაკლების შესრულება, და მან შეასრულა; მაგრამ ლექსი, სიტყვა და განწყობა ბევრი დააკლდა“². სომხის მთარგმნელობას ადგილი ჰქონდა ისპაანში 1712 წლის ივნისიდან 1714 წლის 10 მარტამდე (ვახტანგი ამ ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ისპაანს). ამრიგად, დავით მეფის მიერ დაწყებული და „ეუსა და მორიელის“ არაკამდე (ჩათვლით) მოყვანილი თარგმანი განუგრძობი, ვახტანგის წინადადებით, თბილისში ვილაცა სპარსელს, რომელსაც ის მოუყვანია „ბერი გველისა და მყვარის“ იგავამდე (გვ. 336), ხოლო დაუმთავრებია ის ისპაანში ვილაც გარიბა სომეხს. სამი პირის (დავითის, სპარსელისა და სომხის) ეს კოლექტიური თარგმანი, რომელსაც ქართული თარგმანის პირველი რედაქცია შეგვიძლია ვუწოდოთ, ჩვენამდეც შენახულა. ის მოთავსებულია ხელნაწერში № 3177, რომელიც გადაწერილია არაუგვიანეს ვახტანგის ქირმანიდან მობრუნებისა.

ვახტანგს არ აკმაყოფილებდა არც დავით მეფის, არც სპარსელისა და სომხის შრომა: დავითის თარგმანში სპარსული ღედნის ლექსები გამოტოვებული იყო, მას მხოლოდ პროზაული ნაწილი, მოთხრობა, ეთარგმნა, თან ამაშიაც ზოგიერთი სიტყვა გამოეშვა. სპარსელმა ქართული ენა არ იცოდა კარგად. სომეხმა კიდევ არც სპარსული იცოდა ჯეროვნად და არც ქართული, თან სპარსული ღედნის ლექსები ლექსად კი არ უთარგმნიათ მათ, არამედ პროზაულად. არას ვამბობთ თხრობითი ნაწილის შესახებ, რომელიც არც ისე ზუსტად გადმოგვეცემს ორიგინალს. ამ დროს ვახტანგი ისპაანიდან ქირმანს გადაიყვანეს (1714 წლის 10 მარტს). „რა მიველ მუნ“, ამბობს ის, „წიგნნი სარგონნი არა მახლდა და ცუდად ყოფნა სულისაქ მაზიანებლად ენახე და ხორციის საწუხაროდაც; სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შექცევას გამოვეკიდო“³. ეს „შექცევა“ გამოიხატებოდა იმაში, რომ მას იღლია „ქილილა და დამანას“ სპარსული ტექსტი, შეუღარებია მისთვის ქართული თარგმანი და შეუტანია შიგ თავისი შესწორებანი. ეს შესწორებანი როგორც № 3177 ხელ-

¹ ს. ყუბანეიშვილი, ძვ. ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, II, გვ. 338.

² „ქილილა და დამანა“, ი. კუონიას რედ., გვ. 11.

³ იქვე.

ნაწერიდან ჩანს, შემდეგში მდგომარეობდა: 1) დავითის თარგმანში, არაკამდე „იყო ერთი დავრიში“ (გამოცემის გვ. 55), ის ამბატებს ხელნაწერში იმ სიტყვას, რომელიც მთარგმნელს გამოუტოვებია, ანდა შლის, ორიგინალთან შედარებით, ზედმეტ ზიტყვას; 2) ცვლის ერთ სიტყვას მეორეთი, აგრეთვე შლის მთელ წინადადებას და მის მაგიერ სხვას წერს; 3) სპარსული დედნის ლექსებს, რომელნიც დავითს არ უთარგმნია, ვახტანგი თარგმნის, მაგრამ არა ლექსით, არამედ პროზაულად, და ათავსებს მათ ან სტრიქონებს შუა; ან ხელნაწერის არშიახვ; 4) რაც შეეხება სპარსელისა და სომხის თარგმანს, აქ ცალკეული სიტყვები და წინადადებანი ვახტანგს არ უსწორებია, მხოლოდ შეხებია ის სპარსული დედნის ლექსებს, რომელნიც, როგორც ვთქვით, სპარსელსა და სომეხს პროზაულად უთარგმნიათ. ეს ადგილები ვახტანგს გაულექსავს და იქვე, სტრიქონებს შუა ან არშიახვ, მიუწერია. რიცხვი ამ ლექსები-სა, რომელთაც თავში მ=მეფისა აქვთ მიწერილი, სამასამდე აღწევს¹.

ამგვარი მუშაობის შედეგად, ჩვენ მივიღეთ „ქილილა და დამანას“ ქართული ტექსტის ახალი, მეორე, რედაქცია.

ვინც ვახტანგის ლიტერატურულ მოღვაწეობას გაიცინობს, ერთ რამეს შენიშნავს: ბევრი მისი ნაწერი სამი სხვადასხვა რედაქციითაა შენახული და, რაც უფრო საყურადღებოა, სამივე ვახტანგის მიერაა დამუშავებული. ჯერ მას უთარგმნია თუ შეუთხზავს ესა თუ ის ნაწარმოები, მერე ის საკუთარი ხელით გადაუკეთებია, დასასრულ, ეს უკანასკნელიც გადაუმუშავებია. ამას ჩვენ დავინახეთ ქვემოთ, ვახტანგის შრომების მიმოხილვისას. საკვირველი არ არის, თუ ასეთ მეცნიერულ აკრიბიას ის გამოიჩინდა „ქილილა და დამანასადმი“, რომელსაც ის დიდად აფასებდა და შესაფერის ყურადღებასაც აქცევდა. ჩანს, ვახტანგს არ აკმაყოფილებდა არც მის მიერ შესწორებული რედაქცია დავითის, სპარსელისა და სომხის მიერ შესრულებული თარგმანისა. ამიტომ მას გადაუწყვეტია თვითონ, დამოუკიდებლად, ხელახლა თარგმნოს „ქილილა და დამანას“ სპარსული ენიდან იმავე „ანვარი სოჰაილის“ რედაქციით. ეს გადაწყვეტილება მას მართლაც მოუყვანია სისრულეში და მოუცია „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანის ახალი, რიცხვით მესამე, რედაქცია. ეს თარგმანი აღმოჩნდა ლენინგრადის სააზიო მუზეუმის ხელნაწერში № 16—47 (ბროსეს კოლექციიდან). ის შესრულებულია მარტივი, სადა, უბრალო და ლიტონი ენით, თუმცა სპარსული კონსტრუქცია, სპარსულ სიტყვათა და გამოთქმათა ხმარება მისი დამახასიათებელი თვისებაა. ამ თარგმანში ვახტანგს იშვიათად, მაგრამ მაინც, მაჰმადიანური რელიგიურ-მორალური ელემენტები შეურბილებია და გაუქრისტიან-გაუქართულებია. სპარსული დედნის ლექსები მას, უმეტეს წილად, მცირე გამოწკლანისა. გარდა, პროზაულად გადმოუღია, საერთოდ კი მას მოუცია ამ საყურადღებო შრომის² საკმაოდ ზუსტი და დედანთან შეთანხმებული თარგმანი.

¹ ზოგიერთი მათგანი იხ. ე. თაყაიშვილის „Описание“-ში, I, გვ. 326—346.

² ამ რედაქციის დაწერილებითი ანალიზი იხ. ა. ბარამიძე, ანვარი სოჰაილის აწუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები, „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. I, გვ. 302—319.

ვახტანგი არც აქ შეჩერებულა, ის სხეებზე უკეთ გრძნობდა თავისი შრომის ნაკლს, ყოველ შემთხვევაში, იმ მხრავ, რომ სპარსული დედნის ლექსები მას, როგორც ვთქვით, უმეტეს წილად ლექსით კი არ უთარგმნია, არამედ პროზაულად. ამიტომ მას გადაუწყვეტია ეს თავისი თარგმანი სარელაქციოდ გადაეცა რომელიმე ცნობილი და კომპეტენტური პირივნებისათვის. პირველ ყოვლისა, ვისთვის უნდა მიემართა მას ამ შემთხვევაში, თუ არა იმ დროს გამოჩენილი მეცნიერის, პოეტის, იგავ-არაკთა კრებულის ავტორის, მისი პოლიტიკური და კულტურული თანამოსაქმის სულხან-საბა ორბელიანისათვის? მართლაც, მას მიუმართავს საბასთვის თხოვნით: „ეს ჩემი ჰერმანული გაჩაღებ გემოიანად და, სადაც ლექსები ჩართული იყოს, ეგრევე ქართულად ლექსები ჩაურთო“ (გვ. 8). საბასაც დაუვიწყრია თავისი ბერობა და მონაზვნობა, რომელიც თითქოს უკმადაედა მას ამგვარ მუშაობას, და, მეფის დავალების თანახმად, ხელი მოუკიდია საქმისათვის. მართალია, მას ხელახლა არ გადმოუთარგმნია „ქილილა და დამანა“ სპარსული ენიდან, როგორც ამას ამტკიცებდა ე. თაყაიშვილმა¹, მაგრამ მინც მეტი გაუქეთებია, ვიდრე დავალებული ჰქონდა: მას პროზის „გაჩაღებზე“ არანაკლებ უნუშავენია, ვიდრე ლექსისაზე, მას „ჩაღბი“ გაუქრავს ვახტანგის შრომისათვის მთლიანად და თავიდან ბოლომდე გაუტარებია სარელაქციო ქარცეცხლში. ის იცავს ვახტანგის რელაქციის ზედმეტსა და დანაკლის (დელანთან შედარებით) ადგილებს, მის ნიუანსებს, სამაგიეროდ, გადაეთებულია სტილი, შეცვლილია ფრაზები და წინადადებათა კონსტრუქცია, სპარსიზმები წაშლილია. მისი სტილი არის უადრესად მწიგნობრული, განსწავლული, რიტორიკულ-ენაწილიანი და დარბაზისლური. რელიგიურ-მორალური ადგილებს შეეკეთება-გაშლამინებებში საბა ვახტანგზე შორს წასულა, ის თვითონ ამბობს: „სადაც სჯულის წინააღმდეგ ჩნდა, ცოტა რამ ჩაღბი ვეარო“ (გვ. 74, შენ.). ამრიგად, საბამ მოგვცა ქართული „ქილილა და დამანას“ ახალი, მეოთხე რელაქცია.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანს ფიქრობდნენ, რომ ვახტანგმა თავისი შრომა სარელაქციოდ მხოლოდ საბას გაუგზავნა. ამ ბოლო ხანს აღმოჩნდა ვახტანგის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანას“ ერთი ხელნაწერი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ვახტანგს თავისი შრომა „გასაჩაღბავად“ და ლექსებით შესავსებად გაუგზავნია აგრეთვე ცნობილი ონანა მლიენისათვის, რომლის შესახებ ლაპარაკი გექონდა „ბარამგულიჯანისანის“ განხილვის დროს². ამ ხელნაწერში ვახტანგის ცნობილ „ანდერძს“ (დაბეჭდილი გამოც., გვ. 11—13) უშუალოდ მიჰყვება შემდეგი გაგრძელება (ფ. 8ა—9ბ):

¹ Е. Такаишвили, Описание, I, гл. 311—317.

² ეს ხელნაწერი გადმოგვცა ჩვენ შესასწავლად ს. ყუბანეიშვილმა, რომელსაც ის შეუძენია კახეთში, ს. კიკანში. ფილიჯრანის მიხედვით, ის XVIII საუკუნის პირველ მეოთხედს უნდა ეკუთვნოდეს. შენახულა დეფტქურად, შეიკავს „ქილილა და დამანას“ ერთ მეოთხედს. თავდება ის დაბეჭდილი ტექსტის 134-ე გვერდზე. მის შესახებ ჩვენ საუკეთესო მოხსენება გვქონდა ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის საჯარო სხდომაზე 1932 წლის 18 იანვარს. მეფე ცნობები მის შესახებ მოათავსა ი. ბაოაშვილმა ც თავის შრომაში—„ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, გვ. 348—350.

მას ეამსა, ოდეს ბრძენთაგან სამეცნიეროდ ამალღებული სწავლანი სპარსელის ვნი-საგან ქართულს ენახედ გადმოეთარგმნეთ, ისრევე სპარსელის ლექსის კვლად გალექსვა ამ წიგნისა ერთის რიგით მოვიდომეთ, რომე ლექსის განწყობის რიგები ისრევე სპარსული მიგვეცა. ზენ ეამთა ვითარებისაგან და ერთა მოუცლელობით ვეღარ შევასრულეთ და მდივანს ონანას უბრძანეთ, რომე ამა ტურელის წალკურის ყვეილინი ფეროვანებით შეჭკრას და ხელოვანთ გახა-ლასტებული დრაჰკანი კავშირით შეასრულოს.

შ ა ი რ ი :

მერმე უბძანეთ მდივანსა ჩვენსა კარისა მონასა
სპარსელის რიგით გალექსვა, მანცა არ ცუდოდ მონასა.
შეჭკრავს და ტურელად შეაწყობს წალკურის ვარდის კონასა,
გააკავშირებს ხელოვანთ შექმნულსა ოქროს წონასა.

ოდეს მოიწია ბრძანებანი დიდისა მის და დიდებულისა, ძლიერისა და სიმდაბლით ამალღე-ბულისა, მოწყალისა და მოსამართლისა, ძირთაგან იესესთა აღმოცენებით ყვეილ-ფურცლო-ვან კმნილისა მეფეთ-მეფისა, პატრონისა ჩვენისა ჩვენ. მონათა მათთა ზედან,

შ ა ი რ ი :

ჩვენზე გამოსცა ბრძანება დიდმან ქართველთა მეფემა,
მალაღმან, უხუმან, მდაბალმან, მზეებრ შექ-მოიფემა,
მოსამართლემ და მოწყალემ, მტერთა სისხლისა მჩქეფემა,
ამად შემართოს მონამან შორით ქებისა მყეფემა.

ეს ძლიერი და ამალღებული მეფე დროსა და ეამთა იწროებისაგან უცალოდ იქმნა და თვი-სის სიბრძნით გახალასებული სამეცნიერო წიგნი თვით აღარ გალექსა და მათის უფსკრულის სიბრძნისაგან მეორედ აღარ ააფსო და ჩვენ გვიბრძანა ეს ძნიად მისახდომი სახსახური, და თუცა ძალგვიძის, შემართვა გვენებას.

მას მისცა ცრუვან სოფელმან საქმისა მოუცლელობა,
მით არ ინება, ამ წიგნზე რომ მოეხმარა ქველობა,
ჩვენზედ მოიღო წყალობით ტყბილთა სიტყვათა მზარდელობა,
რადგან შეგვესმა მონასა, ხამს ჩვენგან მახე ხელობა.

პირველ ამის ნუსხის წერაში შიგადაშიგ ლექსები ჩაერთო და მუნით იგივე დაესწერეთ. რომე მათის რჩეულის სიბრძნისაგან შორის საცნაურ არს და საცხადოდ იცნობს, ვითარცა ბნელსა შიგან ნათელი, სამყართა ხედან მხე და ვასრკელავთა შორის მთოვარე; და მეცა მოკლისა და, უსწავლელის ენით უბილობასა ჩემსა აღვასრულებ და ვიტყვი მის გამო სწავლულებითა:

თვით სრულ არ დაშვრა ხელწიფე, ირ იქმნა ღმერთულად,
მაგრამ შიგ შერთო ლექსები სხვებშიგან გამორჩეულად;
გასიხჯავთ მისნი მკითხველნი, იცნობის იმათეულად,
მეც რასმე ეამბო უბაილი, რადგან მყო მასთან ჩვეულად.

ამ პატრონისა და უფასოის თვალმარჯალიტის იგავის ფასება და ხელად აღება ამად არ ძალ-მეღვა; თავად რა ძნელად გამოსალგბნი და გასიბრძნებულნი იგავნი, გასარკვევნი სიბრძნენი იყო და მერმე სპარსელის ლექსების ხმები და მრავალრიგად მეწყობილნი შაირნი ქართულის ენით და გვარიანებული სიტყვა არ მოვიდოდა და ჩვენი ლექსის გაწყობა და სიკეთე ბევრი დააკლდებოდა, და არც სპარსელის ლექსის რიგი ვიცოდი. ამის მეტი ვერ მოვიყვანე და ვერცა

პატრონისა ჩვენისა ბრძანებასა უარვკავე, და ვწერ მე კახეთის მდივნის შვილი და თვით მდივანი ონანა...

რადგან მიბძანებს მაღალი ოგი ხელწიფე ქებული,
მტრთა მძლე, თეთი უძლეველი, მოუვართა იმედებულო,
ამად გავლევსაე ონანა, სიბრძნე ხაშს გადიდებულო.
ეწერ კახი ვინმე ზოლექსე, მდივნობით სახელდებული.

ჩანს, ვახტანგი საკმაოდ დიდი წარმოდგენისა ყოფილა ონანას პოეტური უნარის შესახებ, რომ მან ასეთი საპასუხისგებო საქმე მიიანდო მას. ეს მისი სიტყვიდანაც ჩანს: „მდივანს ონანას უბძანეთ, როძე ამ ტურფა წალკოტის („ქილილა და დამანას“) ყვაელინი ფეროვანებით შექარას და ხელოვანთ გახალისებული დრაპკანი კაეშირით შეასრულოს“. ისო, ამბობს ვახტანგი,

შექარავს და ტურფად შეაწურობს წალკოტის ვარდის კონასა,
გააკავშირებს; ხელოვანთ შექმნულსა ოქრას წონასა.

მანო, ამბობს ვახტანგი, შეეკეთილი საქმე „არ ცუდად მონასა“, ესე ოგი ცუდად, ნასად არ შეასრულო.

რა გააკეთა ონანამ „ქილილა და დამანაში“? მას ვახტანგის პროზისათვის ხელი არ უხლია და ის უცვლელად დაუტოვებია. რაც შეეხება სპარსული დედნის ლექსებს, რომელიც ვახტანგს უმეტეს შემთხვევაში პროზაულად უთარგმნია, აქ უკვე ონანას თავისი პოეტური ნიჭი ფართოდ გაუშლია. ვახტანგს, როგორც ონანა ამბობს, ზოგი ლექსი სპარსული დედნისა ლექსადვე გადმოუღია და თავის ნუსხაში შეუტანია. ეს ლექსები ონანასაც უცვლელად შეუტანია თავის ნუსხაში, მხოლოდ მათთვის წინ, არშიაზე, მიუწერია ასო მ, რაც, ალბათ, ნიშნავს „მეფისა“. ვახტანგის ლექსები დასაწყისში უფრო ხშირად გვხვდება, მე-20 ფურცლიდან თანდათან კლებულობს, ხოლო 50-ე ფურცლიდან თითქმის სულ აღარ ჩანს. ხელნაწერის გადარჩენილ ნაწილში მოთავსებულია სულ სხვადასხვა სახელწოდების 377 ლექსი (ვახტანგის ანდერძის გამოკლებით), აქედან ვახტანგს ეკუთვნის 41 ლექსი, დანარჩენი 336 კი—ონანას (აქედან 43 ერთმუხლელი ტაეპია, 200 ორმუხლელი ლექსია, 111 ოთხმუხლელი შაირია, ათი ექვსმუხლელია, შვიდი შეიდმუხლელია, ოთხი რვა მუხლელია, ერთი ცხრა მუხლელია, ერთიც ათმუხლელი). ყველა ეს ლექსი საბას რედაქციაშიც მოიპოვება, თუმცა არა იმ სახით და იმ სახელწოდებით, როგორც ონანას აქვს. შედარება გვიჩვენებს, რომ ონანას ლექსი არც ისე დიდად ჩამოუვარდება ვახტანგისა და საბას ლექსს, მასაც უდავოდ მოეპოვება თავისი ღირსება და მიმზიდველობა. ონანა ზედმიწევნითი სიზუსტით იცავს ვახტანგის ტექსტს გალექსვის დროს, საბა კი უფრო თავისუფლად ეპყრობა მას, იქამდის თავისუფლად, რომ მას საკიროდ არ დაუნახავს, ვახტანგის სიტყვები რომ ვიხმაროთ, „ლექსი ლექსად გარდმოეცა უკლებლად, რომელი ოთხმუხლი იყო, ანუ ორმუხლი, ანუ ერთმუხლი, ანუ ათმუხლი, მეტი თუ ნაკლები“ (დაბეჭდილის გვ. 13). ასე, მაგალითად, ონანას ექვსმუხლელი და შეიდმუხლელი მას რამდენსამე შემთხვევაში შაირით. (ოთხმუხლელით) გადმოუცაო.

ასეა თუ ისე, ონანას მოუცია „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანის ახალი, რიცხვით მეხუთე, რედაქცია.

ახლა უნდა დაისვას ასეთი საკითხი: რატომ გაუგზავნა ვახტანგმა თავისი ნაშრომი „გასაჩაღბავად“ საბასა და ონანას? ეს მით უფრო საკვირველია, რომ ვახტანგმა სპარსელისა და სომხის მიერ პროზაულად გადმოღებულ ლექსები ლექსად გააწყო. თუ ის სხვის პროზას ლექსავდა, რატომ თავისი ვერ გალექსა? ფიქრობთ, ვახტანგს არც ჰქონია აზრად თავდაპირველად: ვისმესთვის გაეგზავნა დასამთავრებლად თავისი შრომა, ის თვითონ აცხადებს თავის „ანდერძში“: „მე იმავე ამბვის (სპარსულის) გალექსება მოვიწოდებ“ (დაბეჭდ. გვ. 13) და, როგორც ონანას ნუსხიდან ჩანს, დასაწყისში დაახლოებით მეოცე ფურცლამდე, მართლაც სისტემატურად ულექსია პროზაული მასალა, მერე თანდათან შეუწინებელია ეს საქმე და 50-ე ფურცლიდან უკვე თითქმის სულ აღარ ვხვდებით მის ლექსებს. ე. წ. „უცნობის“ ანდერძში (დაბეჭდ. გვ. 8—9) ის აზრით გატარებული, რომ ვახტანგმა ეს საქმე ვერ შესძლო სპარსული ენის უტოლინარობის გამო, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მართალი არაა. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ვახტანგმა სპარსული ენა არ იცოდა ზედმიწევნით, რომ მან ის უფრო სუსტად იცოდა, ვიდრე საბამ, მითუმეტეს ონანამ, რაიმე ტენდენციით თუ შეიძლება მხოლოდ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამისი მიზეზი იყო ვახტანგის მოუცლევლობა, როგორც თვითონ ამბობს თავისი „ანდერძის“ გაგრძელებაში, რომელიც ონანას ნუსხას შემოუნახავს: „ჩვენ ეამთა ვითარებისაგან და ერთა მოუცლევლობით ველარ შევესრულებით“. პროზაული თარგმანი ვახტანგს შეუსრულებია ქ. ქირმანში, სადაც ის იმყოფებოდა 1714 წლის 10 მარტიდან 1716 წლის 1 ივნისამდე. აქვე დაუწყია მას გალექსვაც, მაგრამ ეს მას აღარ დასცლია: 1716 წლის ივნისს ის ქირმანიდან კვლავ ისპანის გაიწვიეს შაჰის კარზე, სადაც პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში ჩააბეს იმდენად, რომ ლექსებზე სამუშაოდ დრო აღარ ჰქონდა. ეს დადასტურებულია „მეფის ნაბძანებ შაირში“, რომელიც „ქილილა და დამანას“ ბოლოში ახლავს (დაბეჭდ. გვ. 586): „არ დამცალდა სხვათა ლექსთა თქმა, მიხმეს ისევე კვალად კარად“, „კვლავ მიხმეს ისევე ისპანის, დამრჩა ეს შეუსრულებით“. მოუცლევლობას ასახელებს ამ გარემოების მიზეზად თვითონ ონანაც: „ეს ძლიერი და ამალღებული მეფე დროსა და ეამთა იწროებისაგან უცალოდ იქმნა და თავისის სიბრძნით გახალასებულისამეცნიერი წიგნი აღარ გალექსა და მათის უფსკრულის სიბრძნისაგან მეორედ აღარ აავსო და ჩვენ გვიბრძანა ეს ძნიად მისახლოში სამსახური“.

მას მისცა ცრუმან სოფელმან საქმისა მოუცლევობა,

მით არ ინება, ამ წიგნზე რომ მოესმარა ქველობა,—

ამბობს ონანა მდივანი.

„მდივანს ონანას უბრძანეთ“ გალექსვაო,—ამბობს ვახტანგი. ეს ბრძანება მას ქართლში კი არ გაუცია, არამედ სპარსეთიდან გამოუგზავნია მისთვის, ისე როგორც „გამოეგზავნა მას ქართლში სულხან-საბა ორბელიანისათვის“ ამგვარივე ბრძანება. ეს ჩანს ონანას შემდეგი სიტყვებიდან: „ოღეს-

მოიწია ბრძანებანი...პატრონისა ჩენისა ჩვენ ზედაო*. ამ ბრძანებას ვერც საბა და ვერც ონანა 1716 წლის 1 ივნისზე აღრე ვერ მიიღებდნენ, ვინაიდან, როგორც ვთქვით, ვახტანგი ქირმანიდან ისპაანს მხოლოდ იმ დროს გადაიყვანეს; ვერ მიიღებდნენ ისინი მას 1719 წლის 7 აგვისტოს შემდეგ, ვინაიდან, ამ დროიდან ვახტანგი ქართლშია, მაშასადამე, ეს ბრძანება მათ უნდა მიეღოთ და დაეალებათ შეესრულებინათ დაახლოებით 1717—1718 წლებში.

ვინ უფრო აღრე მიიღო ეს ბრძანება: ონანამ თუ საბამ, თუ ორივემ ერთდროულად? თუ ეს ბრძანება სხვადასხვა დროსაა გაცემული, საბას ის უფრო გვიან უნდა მიეღო, ვინაიდან მისი რედაქცია შეწყნარებული და დაკანონებული შეიქნა და ამის შემდეგ საკირო აღარ იქნებოდა კიდევ მეორე პირისათვის მიემართა ვახტანგს. თუ ონანას უფრო აღრე შეუკვეთა ვახტანგმა ეს საქმე, უნდა ვიფიქროთ, მას არ მოეწონა ონანას ნამუშევარი და ამიტომ მერე იმავე წინადადებით საბას მიმართა; მაგრამ საეკევა ვახტანგს არ მოსწონებოდა ონანას შრომა, რომელიც, მისი სიტყვით, შესრულებულია „არნასად“. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, ონანასა და საბას ერთდროულად უნდა მიეღოთ ასეთი წინადადება და პარალელურად უნდა ეწარმოებინათ მუშაობა, ისე კი, რომ არც ერთს სცოდნია, არც მეორეს, რომ ასეთი საქმე ორივეს აქვს დავალებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აღნიშნული იქნებოდა ან ერთის, ან მეორის მიერ.

რად დანიხა საკიროდ ვახტანგმა ორი პირისათვის მიეცა ასეთი დავალება და არა ერთისათვის? ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ვახტანგს ერთგვარი შეჯიბრება მოეწყოს: აბა ვინ უკეთ გააკეთებს! ვახტანგი დარწმუნებული არ იყო, რომ საბა იკისრებდა მისი წინადადების შესრულებას. ჯერ ერთი, მათ შორის ამ დროს „ჩხუბიანი“ კაცების მეოხებით უსიამოვნება ყოფილა დათესილი (დაბეჭდ. გვ. 8), მეორე — საბა ბერი იყო, ბერისათვის კი ასეთი საქმე ოდიოზურად ყოფილა მიჩნეული (იქვე, გვ. 9). ამიტომ, ყოველი შემთხვევისათვის, ვახტანგმა ასეთი ბრძანება ონანა მდივანსაც გაუგზავნა: თუ საბა არ იკისრებდა მის შესრულებას, ონანა მაინც არ იტყოდა უარს. საბოლოოდ კი მეფეს ხელში ჩაუვარდა ორივე პოეტის ნაშრომი. ახლა შესაძლებელი შეიქმნა არჩენის მოხდენა და, როგორც მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო, უპირატესობა საბას რედაქციას მიენიჭა. ამის შემდეგ საბას რედაქციამ კანონიკური ხასიათი მიიღო. საბას რედაქცია დაიბეჭდა კიდევაც თბილისში 1886 წელს¹.

1839 წელს საბას რედაქცია შეუმოკლებია თავად მელიქზად აშხარბეგის ძე ბებულაშვილს, რომელსაც ამასთანავე „ზოგიერთი ღრმამეტყვე-

¹ ამ თხზულების მეორე გამოცემა ცუთენის ა. ბარამიძესა და პ. ინგოროსკვას („ქილილა და დამანა“, 1949 წ.). ამ გამოცემაში ტექსტი დაბეჭდილია შემოკლებით, ამოღებულია ფაბულური ჩარჩო და განწყობებითი ფილოსოფიურ-რელიგიური მსჯელობის გამოხატული ზოგიერთი ნაწყვეტი.

ლებიანი ლექსნი დაბიურ ენაზე შეუცვლია“, რათა ეს საინტერესო თხზულება მდაბიოთათვისაც გასაგები ყოფილიყო¹.

ამრიგად, „ქილილა და დამანას“ ლიტერატურული ისტორია ქართულ ენაზე ასე გვეხატება:

1. ის ჯერ უთარგმნიათ მეთორმეტე საუკუნეში, მაგრამ ეს თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა.

2. აღორძინების პერიოდში ის ხელახლა იქნა გადმოღებული ანეარი სოპილის რედაქციით.

3. კახეთის მეფეს დავითს (გარდ. 1602 წ.) ის უთარგმნია „ქუსა და მორიელის“ არაკამდე. დავითის თარგმანი, ვახტანგ მეფის ბრძანებით, გაუგრძელებია ვიდაც სპარსელს, ხოლო დაუმთავრებია სომეხს. ეს არის „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანის პირველი რედაქცია.

4. ქ. ქირიანში ვახტანგ მეფეს ეს კოლექტიური თარგმანი შეუღარებია სპარსული დედნისათვის და თავიდან ბოლომდე შეუსწორებია. ეს ქართული თარგმანის მეორე რედაქციაა.

5. იმავე ვახტანგს თვითონ, დამოუკიდებლივ, უთარგმნია ქილილა და დამანას სპარსული ენიდან და მოუცია ქართული თარგმანის ახალი, მესამე, რედაქცია.

6. ეს უკანასკნელი რედაქცია ვახტანგს გამოუგზავნია ქართლში „გასაჩალხავად“ ორი პოეტისათვის: სულხან-საბა ორბელიანისა და ონანა მდივნისათვის. მათ შეუსრულებიათ დავალებული საქმე და ვახტანგს, ქართლში დაბრუნების შემდეგ, მიუღია ორი ახალი, რიცხვით მეოთხე და მეხუთე, რედაქცია ქართული თარგმანისა, რომელთაგან კანონიკური ხასიათი საბას რედაქციას მიუღია.

7. საბას დაკანონებული რედაქცია შეუმოკლებია და გადაუმუშავებია მელიგზად ბებუდაშვილს 1639 წელს. ეს არის უკანასკნელი, მეექვსე, რედაქცია ქართული „ქილილა და დამანასი“.

თხზულებას დიდი პოპულარობა მოუპოვებია ჩვენში. ის არ ერიდება და უღმობლად ამათრახებს იმ სენს, რომელიც ფესვებს უღრღინდა და ძალზე არყუვდა „აღორძინების“ ხანაში ფეოდალური საზოგადოების კეთილდღეობასა და სტაბილურ მდგომარეობას, სახელდობრ: შურს, ღალატს, სიზარმაცეს, სიხარბეს, ანგარებას, ქვეგამზიდველობას, მასაზრდოებელი მუშა ძალის, გლეხობის, „უზომოდ“ შევიწროებასა და გაძვალტყავებას (ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ხანაში გლეხობა ყიდვა-გაყიდვისა და სპეკულაციის საგნადაც კი იყო გამხდარი). არაა დაზოგვილი არც რელიგიური პირმოთენობა და პედანტიზმი. თხზულებაში აქა-იქ ისეთი აზრებიც გვხვდება, რომლებიც ჩვენ დროშიც არ არის ინტერესმოკლებული. მაგალითად: „გვარდილობასა და კეთილსა მოდგმასა

¹ Е. Такайшвили, Описание, I, гл. 196—198, 294 — 296; ტრ. რუხაძე ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, გვ. 236—238.

ადამიანის სიკეთესა და ქველსმოქმედებასა შინა რა საქმე უცს? სიდიდისა, მორკმისა და პატიოსნობის მიზეზი ცოდნა-მეცნიერება და მართებული საქციელი არის, არა თუ გვარი, მოდგმა და ნათესაობა“ (გვ. 551), თუ გინდა: „ყოველთა კაცთა პატიოსნობა ცოდნაა და არა საქონელი“ (გვ. 264).

4. ბახთიარნამე

„ბახთიარნამე“, რომელსაც საფუძვლად დადებია ეგრეთ წოდებული „სინდბადი“ და რომლის ერთ-ერთი ვერსია მთლიანად „ათასერთლამიანში“ შესულა¹, შეიცავს აჯამის მეფის აზღაბახთის, რეფ. აზღაბახთის შვილის ბახთიარისა და იმისი აღმზრდელის ამბებს. შინაარსი მისი მოკლედ ასეთია: „აჯამის ქვეყანასა იყო ხელმწიფე აზღაბახთი, ტახტისა და გვირგვინის პატრონი და ხელმწიფობისა შესაფერი, და ჰყვა ვეზირი კარგი და ჰბუეობისა სახელის მძებნელი და მის თემთა შინა გამოჩენილი, რომე ესრეთ იტყვიან: მისი ხმლისა შიშითა მზეც აღარ გამოჩნდის, თუ იგი გასწყურისო. ჰყვა და უყვარდა ხელმწიფესა, და დიდთა და მცირეთა ზედან უფროსად დადგინებული [იყო] და ჰქონდა სპასალარობა და სახელად ერქვა მოაბარ. ჰყვა მას ასული ერთი, ქება არეისგან ითქმის, ამისგან კიდე“. ერთხელ ეს ქალი მამამ გაიწყვია შორეულ ქვეყანაში, სადაც ის სამსახურის გამო იმყოფებოდა. გზაზე ქალი შეხვდა მეფეს, რომელიც სანადიროდ გამოსულიყო, მოეწონა მას და ცოლად გაჰყვა. შეურაცხყოფილმა მამამ მოახერხა მეფე ტახტიდან ჩამოეგდო და გაეძევიბინა მისი საქუთარი სამშობლოდან. ქირმანის მეფის დახმარებით აზღაბახთმა ტახტი დაიბრუნა, მაგრამ სამაგიეროდ დაკარგა ბავშვი, რომელიც ამ დროს დაებადა და რომელიც ავანაკებს ჩაუვარდა ხელში. ბავშვი იშვილა ავანაკთა მეთაურმა ფარ-როხ-ხოსროვმა, მაგრამ შემდეგ ის ჩაუვარდა ხელში მექარა-ენებებს, რომელთაც ის მიჰვარეს აზღაბახთს. უკანასკნელმა მას უწოდა სახელი ბახთიარი და მისცა ამილახორობა. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ მას დასწამა ღალატი და სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ სასჯელი სისრულეში არ მოჰყავდა, ათი ვეზირის საქმეში ჩარევისა და მათი არაკების გამო.

აი ეს არაკები:

1. უბედურის ვაჟრის თავდადსავალი.
2. ქალბის ხელმწიფის შვილისა.
3. აბუსფარის ფიქრის მოხდენისა.
4. იამანეთის ხელმწიფისა.
5. ქალბის ქალისა.
6. ქალის განზრწნისა.
7. თვალის გამსყიდველისა.
8. აბუ-თამბისა.
9. ჰაჯაზ ხელმწიფისა.

ამ მეცხრე არაკის ბოლო დაკარგულია იმ ერთადერთ ხელნაწერში, რომელშიაც შენახულა ეს ზღაპარი². თავდება ის შემდეგი სიტყვებით: „მათ-

¹ D alziel, Illustrierte Tausend und Eine Nacht.

² A 1787, ფურც. 59—99.

თვის ის დღე იყო, რომე იაკობ იოსებს შეეყარა. ბახთიარ დედას მოახსენა: რა შეგცოდნე ეგეთი, რომე შვილის სისხლში ერგოდი და მე მამაყიენე? დედა მღულრად ატირდა და მოახსენა: მე რა მერგების, შვილო, ვეზირთა გიყვეს. ხელმწიფემან შეცოდების წილ ტახტი და ხელმწიფობა ბახთიარს დაულოცა და თვით და ცოლი მისი ერთსა უაღსა მთაში წაივინდნ, ღმერთსა მადლობდნ; ბახთიარ ხელმწიფობდა, მამისა ვეზირთა ათათეეს თავი მოჰკვეთა, ვეზირთა ფარაროხ-ხოსროეს მისცა. მათი ქტევა და სამართალი ქვეყანაზედ გაისმა¹.

ამბავს თავში შემდეგი წინასიტყვაობა აქვს წამდგვარებული: „ესე წიგნი პირველად მეფეთა ამბავი ბრძენთა ამისათვის უთქვამთ ესე ათნი არაქნი და ფილოსოფოსნიც ემოწმებიან მათგან თქმულს ყურის მოპყრობასა და ამას იტყვიან: თუცა კაცსა ამო საუბარი უყვარს, ავისა და კარგისა მეცნიერი შეიქმნების, საქმესა არ აჩქარებდის, გულსა დასდებს და სინჯვასა დაუწყებს, მას ავი არ წაეკიდების“.

„ბახთიარნამე“, სხვანაირად „ათვეზირიანი“², შედგენილია დაახლოებით მეცამეტე საუკუნის დამდეგს³. ქართული თარგმანის შესახებ ხელნაწერში ჩვენ ვკითხულობთ: „კარი პირველი აჯამის ხელმწიფისა, სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნული ბრძანებითა საქართველოს გამგის ბატონი შვილის ვახტანგისითა“⁴. მაშასადამე, თხზულება გადმოთარგმნილია სპარსული ენიდან, ვახტანგის ბრძანებით, მაშინ, როდესაც უკანასკნელი საქართველოს გამგედ ითვლებოდა, ესე იგი 1703—1711 წლებში. ვინაა გადმოთარგმნილი, არ ჩანს.

ეს თარგმანი უნდა მომდინარეობდეს იმ სპარსული ხალხური ვერსიიდან, რომელიც გამოცემულია პროფ. ე. ბერტელსის მიერ⁵, თუმცა იგავ-არაკების რიგი ქართულში ცოტა სხვანაირია⁶.

ქართულად ცნობილია „ბახთიარნამეს“ მეორე რედაქცია, რომელიც აგრეთვე ერთადერთი ხელნაწერით გადარჩენილია (ცენტრარქივის ხელნაწერი № 367). ის გადმოთარგმნილია პროზაულად 1828 წელს ვინმე ალ. სულხანოვის მიერ. ამ რედაქციას საფუძვლად დადებია ფანავს შრომა, რომელიც ლექსადაა დაწერილი⁷.

5. თიმსარიანი

„თიმსარიანი“ არის ის თხზულება, რომელსაც სხვა ლიტერატურაში „სინდბადი“, pers. „სინტიპი“ ეწოდება და რომელიც შეიცავს შეიდი ბრძენი

¹ შტრ. А. Хеханов. Очерки, III, გვ. 181.

² ნამდვილად ცხრა არაკია, მეათედ აქ მიღებულია პირველი კარი—აჯამის ხელმწიფისა.

³ H. Ethé, Neupersische Literatur, „Grundriss“, II, S. 323.

⁴ Е. Э. Бертельс, Вахтанг Наме Персидский текст и словарь, Ленинград, 1926 г.; ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 102; დ. კობიძე, ბახთიარ-ნამეს ქართული ვერსიების შესახებ, „საქ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. VI, № 3, გვ. 235—236.

⁵ ა. ბარამიძე, რუსულანანის ლიტერატურული წყაროები, „თბილ. უნივერსიტეტ. მოამბე“, VIII, გვ. 317.

⁶ იქვე, გვ. 318; ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარადამავლი ხანის“ ლიტერატურაში, გვ. 236—238. ბახთიარნამე“ გამოცემულია ა. ბარამიძის მიერ (ბახთიარნამეს ქართული ვერსიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, გვ. 129—173).

ვეზირის იგავ-არაკებს. ქართული სახელწოდება წარმოდგა სპარსული თიმსარ, *tesar*. თიმსარის აგან, რაც იგავს, არაკს, ამბავს ნიშნავს. ამ იგავ-არაკების სამშობლოდ ინდოეთი ითვლება, აქედან მომდინარეობს ფალაური თარგმანი მისი, ხოლო ფალაურიდან არაბული და ახალ-სპარსული. არაბული თარგმანიდან მოდის ებრაული, ასურული და ესპანური, ასურულიდან კი — ბერძნული და, შესაძლოა, სომხური¹. ამრიგად, ეს მეტად გავრცელებული თხზულება ყოფილა, რომელიც შეუმჩნეველი ქართულ ლიტერატურაშიც ვერ დარჩებოდა, ამიტომ საკვირველი არაა, თუ ჩვენ მისი ქართული თარგმანიც მოგვეპოვება².

შინაარსი მისი მოკლედ ასეთია:

ინდოეთის მეფეს თავყარხანს, ბრძენს, სვიანსა და დიდებულს, დიდი ხნის ლოცვის, ცრემლთა ღვრისა და ქველმოქმედების შემდეგ, მიეცა ვაჟი, რომელსაც ვარსკვლავთმრიცხველებმა უწინასწარმეტყველეს ჯიმშედის ბედი და დღეგრძელობა, მაგრამ ამასთანავე დიდი განსაცდელიც. აღსაზრდელად ის მეფემ შიბარა ვეზირებს, რომელთაც ვერაფერი შეასმინეს მას. ამის შემდეგ, ვეზირების რჩევით, მეფემ ის შიბარა ერთ ბრძენ აქიმს სუმბატს, რომელმაც მას შეასწავლა ყოველგვარი მეცნიერება. სწავლის დამთავრების შემდეგ სუმბატმა დააპირა ბატონიშვილი მამასთან წაეყვანა, მაგრამ საეცლოში ჩახედვამ ის დაარწმუნა, რომ შვიდი დღის განმავლობაში მისი სიცოცხლე ბეწვზე იქნება დაკიდებული, ამიტომ ის მარტო გაისტუმრა მამასთან და უთხრა: შვიდი დღე მუნჯად იყავი და ხმა არ ამოიღო, — თვითონ კი გადამალა სადღაც. მამას გაუხარდა შვილის ნახვა, მაგრამ გაოცებული დარჩა, რადესაც დარწმუნდა, რომ ის თითქოს დამწევებულა. ვერაინ აუხსნა მას ამ სამწუხარა მოვლენის მიზეზი. მაშინ ძიძამ უთხრა მეფეს, რომ მას შეუძლია გაიგოს ამის მიზეზი, და ბატონიშვილი თავის სასახლეში წაიყვანა. ძიძამ, მოჯადოებულმა მისი სილამაზითა და მშვენიერებით, აშოყობა დაუწყო მას და დაპირდა, თუ ჩემს გულისწადილს შეასრულებ, მამაშენს მოეწამლავ და ტახტი შენ დაგრჩებაო. ბატონიშვილმა უარყო ეს საზიზღარი წინადადება და უთხრა ძიძას: თუ ცოცხალი დაურჩი, შვიდი დღის შემდეგ გაგცემ პასუხსაო. ძიძამ თავის გადასარჩენად შვილი მამასთან დააბეზლა: გაუპატიურება მომინდომა და შენი მოკელის წინადადება მომცაო, ამიტომ მეფემ შვილი ჯალათებს გადასცა მოსაკლავად. მეფეს ჰყავდა შვიდი ვეზირი, რომელთაც, გაიგეს რა ეს საშინელი ამბავი, გადაწყვიტეს ბატონიშვილი როგორმე სიკვდილისაგან ეხსნათ: ისინი, მორიგეობით, ყოველდღე თითო თითო, შედიან ხელმწიფესთან და ეუბნებიან მას თიმსარებს ანუ არაკებს, რომელთა მიზანია — დაარწმუნონ მეფე სულგრძელობის საჭიროებასა და ძიძის ვერაგობაში და

¹ С. Ольденбург, О персидской прозаической версии „Книги Синдбада“, „Сборник статей учеников барона Розена В. Р.“, 1897 წ., გვ. 254.

² „თიმსარიანი“, ე. თავარიშვილის გამოც., 1903 წ.; მეორე, პირველის უცვლელი გამეორება ეგუთენის ა. გაჭერელიას (1935 წ.); შესაბამე გამოცემა ეგუთენის ბ. ჯაკობიას (თეიმურაზ მეორის თხზულებათა სრული კრებული, 1939 წ.). ვსარგებლობთ ამ გამოცემით.

შეაგნებინონ მას, რომ „ქვეყანაზედ ათი წილი ნდობა არის, ერთი წილი კაცსა აქვს და ცხრა წილი დედაკაცს“. ვეზირების გავლენით ხელმწიფე აჩერებს შვილის სიკვდილით დასჯას, მაგრამ თითოეული ვეზირის შემდეგ შემოდის ბოროტი ძიძა და საპასუხო თიმსარით ასუსტებს ვეზირთა ნალაპარაკების შთაბეჭდილებას, ხელახლა არწმუნებს მეფეს შვილის დანაშაულობაში და აჩქარებს მისი სასჯელის სისრულეში მოყვანას. ამრიგად გადის შვიდი დღე, ბატონიშვილი ხმას ამოიღებს, სუმბატაც გაზოზნდება და სინამდვილე გამოემტლავნება: ძიძა დაისჯება, ვეზირები და სუმბატი დაჯილდოებული იქნებიან, ხოლო ბატონიშვილი ტახტს მიიღებს.

ასეთია ქარგა ამ თხზულებისა, რომელშიაც მთავარ ინტერესს თიმსარები ან იგავ-არაკები წარმოადგენენ. ამ თიმსარების რიცხვი ქართულ თარგმანში 32-ია¹, რომელთაგან ერთი, „ოფოფი და განდევლი“, დეფექტურადაა შენახული. პირველი სამი თიმსარი², რომელთა მიზანია—შეიგნოს მეფემ, რატომ ახვევენ თავზე სუმბატს მისი შვილის აღზრდას, რატომ კისრულობს ის ამას და რატომ თავდაპირველად ვერ მიიღწია მან სასურველ შედეგს ამ საქმეში, აგრეთვე უკანასკნელი ორი³ სუმბატს ეკუთვნის. მეოთხე თიმსარი⁴ ეკუთვნის უფროს ვეზირს და მისი მიზანია დაიყაბულოს სხვა ვეზირები, რათა ისინი წავიდნენ მეფესთან და სთხოვონ მას შვილის შებრალება. მეხუთე თიმსარიდან უკვე იწყება ვეზირებისა და ძიძის შეჯიბრება მეფის წინაშე. პირველ სამ ვეზირს უთქვამს ორ-ორი თიმსარი, მეოთხეს—სამი, მეხუთესა და მეექვსეს—თითო-თითო, მეშვიდეს—ორი, ასე რომ, ვეზირებს ეკუთვნის 13 თიმსარი, ძიძას—შვიდი⁵, რომელთაგან ექვსი ვეზირების საპასუხოა (7, 10, 13, 17, 19, 21), ხოლო მეშვიდე (30)—მისთვის გამზადებული სასჯელის შესაფასებელი. ექვსი არაკი (24--29) ეკუთვნის მეფის შვილს.

ქართული „თიმსარიანი“ არის ერთ-ერთი წარმომადგენელი „სინდბადის“ ვერსიების აღმოსავლური ჯგუფისა და შეიცავს ეგრეთ წოდებულ „დიდ სინდბადს“, რომელიც მომდინარეობს მეთორმეტე საუკუნის სპარსული პროზაული ვერსიიდან⁶. ეს შემდეგიდან ჩანს: 1) ქართულ თარგმანში ჩვენ გვაქვს „დიდო სინდბადის“ თითქმის ყველა დამახასიათებელი თიმსარი. მართალია, „დიდი სინდბადის“ ერთი თიმსარი (იმაში სულ 33-ია)—„მოზიზლარი კაცი და პუ-

¹ რასაკვირველია, ზენ მხედველობაში არ ვიღებთ იმ 12 არაკს, რომელიც შეუთხზავს დავით რუკტორს და შეუტანია ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავის ხელნაწერში № 52 (Собр. рук. кн. Грузинского).

² „მელა, მაიმუნი და თევი“, „ცილობა უფროსობაზე მგლისა, მელისა და აქლემის“, „ქიშირის ხელმწიფე და მესპილოვე“.

³ „ინდოეთის ხელმწიფე და ვეზირის ვეი“, „ოფოფი და აბდალი“.

⁴ „მაიმუნი, ცხარი და სპილო“.

⁵ ერთი თიმსარი ამისი—„თაფლის წვეთი“—ლექსად გადაუკეთებია სომეხ მწერალს ოვანეს თუმანიანს და ქართულად უთარგმნია ი. გრიშაშვილს (ოვანეს თუმანიანი, რჩეული ნაწერები, თბ., 1948 წ., გვ. 30—36).

⁶ С. О лъ д е н б у р г, О персидской прозаической версии книги Синдбад, გვ. 262.

რები", ქართულში არ არის, მაგრამ ეს განსხვავება შეიძლება შემთხვევითი ხასიათისა იყოს; 2) ქართული თიმსარების წესი და თანმიმდევრობა უფრო უდგება სპარსულ „დიდი სინდბადისას“, ვიდრე სხვა რომელიმე რედაქციისას¹. მართალია, თიმსარები ზოგჯერ სხვანაირად არის განაწილებული მოლაპარაკეთა შორის, ვიდრე სპარსულში (უკანასკნელში ყველა ვეზირი ორ-ორ თიმსარს ამბობს, ქართულში კი, როგორც ვთქვით, ეს წესი სამ შემთხვევაში დარღვეულია), მაგრამ ეს, როგორც სამართლიანად შენიშნავს ე. თაყაიშვილი („თიმსარიანი“, გვ. III), შეიძლება ცუდად დაწერილი ხელნაწერების მიზეზიც იყოს, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ასეთი იყო ის სპარსული დედანი, დღეს უკვე დაკარგული, რომლიდანაც ვადმოთარგმნილია ქართული „თიმსარიანი“².

ვის უთარგმნია ქართულად ეს თხზულება?³.

თხზულებას თავში ასეთი წარწერა აქვს: „სპარსულისაგან თარგმნილი ქართულად ნეტარხსენებულისა პატრონის მეფის თეიმურაზისაგან“. რომელი თეიმურაზი იგულისხმება აქ: პირველი (გარდ. 1663 წ.) თუ მეორე (გარდ. 1762 წ.) ჩვენ გვგონია, რომ მისი მთარგმნელი არ უნდა იყოს თეიმურაზ პირველი: 1) თეიმურაზ პირველის თხზულებათა კატალოგებში, არც მის ცხოვრებაში („არჩილიანი“), არსად ასეთი თხზულება მოხსენიებული არაა; 2) თეიმურაზ პირველი არ წერდა იმისთანა ნიშნით, როგორითაც დაწერილია ეს თხზულება: დავით რექტორი პირდაპირ ამბობს, რომ „თიმსარიანი“ „დიდად ავს ენაზედ იყო შეწყობილი“⁴. მართლაც, მის ენასა და სტილს ისეთი უსწორ-მასწორობა ეტყობა, რომ თეიმურაზ პირველს იმას ვერ მივაკუთვნებთ. ზოგიერთ შემთხვევაში. წინადადება ისე ბუნდოვნად არის გადმოცემული, რომ ვერც მიხვდებით, რა უნდა ეთქვას ავტორს. მაგალითად: „ეჰა, უსწორო, გონიერო და უამხანაგო მალალო ხელმწიფეო! მე შენისა მხევისისაგან ებედავ მოხსენებასა, რათა ამაღ სიტყვა ბრძანებისა უწინ ზრახვად და კითხვად სიკვდილი

¹ А. Хаханов, Очерки, III, гл. 120—121; Е. Такайшвили, Описание, I, гл. 399—400.

² С. Олденбург, О персидской прозаической версии книги Синдбада, гл. 274.

³ ჩვენ მხედველობაში გვაქვს „თიმსარიანი“ და არა ეგრეთ წოდებული „ზეიდუხირიანი“, რომელიც უთარგმნია სომხურიდან მ. ახპატელოვს (ორჯერა გამოცემული: 1881 და 1892 წწ.) და რომელიც ნამდვილი „სინდბადისაგან“ საკმაოდაა დაშორებული. ქარგა ზღაპრისა, ადგილისა და საკუთარ სახელთა შეცვლით, საერთოდ იგივეა. რაც „თიმსარიანში“. მხოლოდ იგავ-არაკები, უმეტეს შემთხვევაში, სხვაა; „თიმსარიანის“ არაქებიდან ამაში ჩვენ ვპოულობთ მეოთხეს (პიომუნი, ცხვარი და სილო—„ზეიდუხირიანი“, გვ. 2, გვ. 17—20), მეხუთეს (თუთიყუში, მასპინძელი და უნამუსო ცოლი, გვ. 52—57), მეოთხემეტეს (კატა [=ძალი]. ყმაწვილი და გველი, გვ. 26—30) და მეთხთმეტეს (მეხანოვე, მისი ცოლი და შვილი, გვ. 108—112), რომელიც ცოტათი გადაკეთებულია. „ზეიდუხირიანის“ ძალზე შემოკლებული ვერსია ჩვენ გვაქვს ხელნაწერში S 2586 (XIX საუკ.), სადაც მას ასეთი სათაური აქვს: „თარგმანი ვერსიის ფუნციანუსის და ცოლისა და შვილის დიფულიტანისა და ზეიდ ფილოსოფოსთა“. აქ მოთხრობა მოყვანილია შესამე ვერსიის. არაკამდე, მოხსენიებულია ვიხირების სახელები: ბანცილია, ჩინთიულოის, აგათონ.

⁴ „თიმსარიანი“, ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. IV; Е. Такайшвили, Описание, I, гл. 395.

ადვირჩიე დუმილსა“ (გვ. 140). ასეთი ადგილი თხზულებაში მრავალია. თხზულების თარგმანში გვხვდება ისეთი პოეტური ადგილები, როგორიცაა ვაეისა და ქალის შემდეგი აღწერილობა: „კაცის თვალთ მას უკეთესი ყმაკაცო არ ინახოდა: ტანად გრძელსა საროსა ჰგვანდა, თვალნი შავს მელნის ტბას უგვანდა, წარბი გოზა გაწიდულს არყის მშვილდსა, პირი გავეილსა მთვარესა, ახლის შავისა სუბშულისა ფერი წვერი ეხვეოდა, უღვაში ლამაზად იისფრად აშლოდა, ბაგე-კბილი ესრეთ ტურფა ჰქონდა, რომე, რა გაიცინის, კბილი-დაღმე ახლის სადაფისაგან გამოღებულის მარგალიტის ფერი გამოჰკრთის და ბაგისაგან უსინჯოსა ბადახანისა ლალისა ფერი გააქუდის და ყოვლისფრით სრული იყო“; „ასი ტურფა ქალი იყო, რომ იმ ვაეის შესაფერობაზედ კიდევ მეტობდა, უებრო მნათობი იყო, ალვა ნაკვეთი, წეღის სიწვრილით გადაწყვეტის ლანობდა, სინაზით თითქმის კვდებოდა, თვალ-წარბი დახატული ჰქონდა, თმა კოჭამდინ ჩასდიოდა, მნათობსა პირსა ზედან შავი ხალი ესრეთ გასწყობოდა, როგორც ქორწილში ახალ პატარძალს, თავით ფეხამდინ სილამაზით სრული იყო, ყოვლის სიტკბოებით შემკობილი იყო, თეთრ-წითელნი ბაგენი კრთებოდას კბილისაგან, სურნელისა სული ყრჩოლის და ყოველივე სამშვენიერო ზნე შედნოდა“ (გვ. 192). ამრიგად, თხზულება ნათარგმნი უნდა იყოს თეიმურაზ მეორის და არა პირველის მიერ. მას საფუძვლად უდევს XII საუკუნეში შემუშავებული სამარყანდის რედაქცია¹.

ნ. ბასბაშენაძე

ასეთი სახელი ეწოდება იმ ანდერძს, რომელიც დაუწერა სიცოცხლეში იმპერატორმა ბასილი მაკედონელმა (867—886) თავის შვილს, ლეონ ბრძენს (886—911) შემდეგი სათაურით: „ბასილიოს მეფისა ბერძენთაჲსა თავნი სამხილებელნი, რომელსა აქვს ზედმოწერილი ესე: ბასილიოს, მეფე ბერძენთაჲ, ლეონს, საყუარელსა ძესა და თანაშისაყდრესა“. ეს ტრაქტატი, როგორც ბერძნულ ტექსტში, ისე ქართულ თარგმანში, შეიცავს ორ თავს, რომლებშიაც დახატულია მეფის იდეალი, ის იდეალი, რომლის მიხედვით შეიძლება ითქვას: „კეთილშესწრებულ არს სამეფოჲ იგი, რომელსა შინა ანუ სიბრძნის-მოყუარენი მეფობენ, ანუ მეფენი სიბრძნისმოყუარებენ“, სახელდობრ: როგორი უნდა იყოს მეფე კერძო, ოჯახურსა და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში¹.

თხზულებას დიდი გავლენა ჰქონდა შუა საუკუნეებში და ამიტომ მრავალ ენაზეა გადათარგმნილი. ის, სხვათა შორის, რუსულ-სლავურ ენაზედაც უთარგმნიათ², და აქედან, რუსული ტექსტიდან, მომდინარეობს ქართუ-

¹ K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, S. 457—458, Aufl., 2.

² სლავურსა და ხელორუსულ ენაზე ის უთარგმნია რუსულიდან დამიანე ბუტცის და დუბუტკედის ისტორიაში 1607 წ. მეორე და მესამე გამოცემა გამოვიდა მოსკოვსა და კიევში 1680 წ. ხელმოკრედ უთარგმნიათ ის რუსულად ბერძნულიდანვე გახანის სემინარიაში და გამოუციათ მოსკოვში 1776 წ. (В. Сопикова, Опыт российской библиографии, ნაწ. I, გვ. 31, 73; ნაწ. II, გვ. 42).

³ Е. Бертельс, История персидско-таджикской литературы, стр. 486—489, 141—

ლი თარგმანი. მთარგმნელი მოკლედ გვაცნობს რა ბასილისა და ლეონის ეინაობას, შენიშნავს: „ხოლო აწ ძალისაებრ ჩემ მიერ რუსულისაგან ქართულად თარგმნილსა ამას წინამძღებელ ვეჭმენ მკითხველთა, ვითარცა ლირისისა რაისამე ქეშმარიტად ყოველივე გინა მეფისა, ანუ მთავრისა, ანუ სახლისა უფლისა წარსამართებელად ცხოვრებისა თვისისა და შეილთა თვსთათვს და უმეტესად ენებათა თვსთათვს... ხოლო აწ მე შევდრებელ ვარ, რათა რომელნიცა მიემთხვნეთ წიგნსა ამას, ლოცვა ჰყოთ ჩემ ცოდვილისა ამის ბატონი შვილისა ალექსანდრეს თვს წარსამართებელად შემდგომთაცა შრომათა ჩემთა“¹. ეს თხზულება XVIII საუკუნეში დაბეჭდილა კიდევაც. ამ გამოცემას შემდეგი წინასიტყვაობა აქვს: „ეამსა დიდად ამალღებულისა სრულიად რუსეთის [ველმწიფის] და თვითმპყრობელისა, კეთილმორწმუნისა იმპერატორიცა ანნა იოანესა, ბრძანებითა მეფის ბაქარის, ვახტანგის ძისაათა... წარსაგებელითა არქიეპისკოპოზისა იოსებისაათა, ვაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე ტესტამენტი, რუსულისაგან ქართულად თარგმნილი მისი სიმალლის, კეთილმორწმუნის მეფის ძის ალექსანდრესაგან, კურთხეულმცა არს ესენებაჲ მისი უკუნისამდე. დასაბამითგან ვიდრე აქამომდე ქსმგჳ ქრისტეს აქეთ ჩლოთ, ქორონიკონსა უკმ, თვესა დეკემბერსა ივ“².

ამრიგად, „ტესტამენტი“ უთარგმნია ქართულად ბატონიშვილს ალექსანდრეს, მაგრამ რომელს: ბაქარისა თუ არჩილის ძეს?

დ. კარიჭაშვილი ამბობს, რომ ის „თარგმნილია რუსულით ბაქარ მეფის ძის ალექსანდრე ბატონიშვილის შიერ“³.

ბაქარის ოჯახში ლიტერატურული ტრადიციები მტიკედ იწახებოდა. მართალია, ის „ანბანთქება“, რომლის ნაწილი (ასო ს-დან) შენახულია ხელნაწერში S 1091, ეკუთვნის არა ბაქარს, როგორც ეს დ. კარიჭაშვილს ჰგონია⁴ და თვით ხელნაწერში ზ. ჰიქინაძის მიერაა აღნიშნული, არამედ პაატა ბატონიშვილს⁵, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ ბაქარი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ ლიტერატურაში. ლიტერატურულ-მეცნიერ-

¹ A 617, ფ. 72.

² S 59; დაბეჭდილის გვ. 509; „ქართული წიგნი“, I, გვ. 36—37.

³ კატალოგი ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა, გვ. 262.

⁴ იქვე, გვ. 100.

⁵ პაატა იყო ვახტანგის მეფის „უჯანონო“ შვილი. ის მამას რუსეთში წაჰყვა, სადაც ისწავლა არტილერია და თოფხანის საქმე. მამის სიკვდილის შემდეგ ის გაიპარა ევროპაში, მოკლდა საფრანგეთი, იქიდან მოვიდა სტამბოლს, სტამბოლიდან 1752 წელს ჩამოვიდა თბილისის, სადაც დიდ პატივში იყო. მაგრამ 1767 წელს ლალატისათვის თავი მოჰკვეთეს („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 439, 506). დასახელებული „ანბანთქება“ რომ პაატას ეკუთვნის. ჩანს მისი ბოლოდან, სადაც გვითხვლობთ:

ოდეს ვიწყე ესე წიგნი ათთხმეტს თვეს ფებერვალსა,
ონისიმეს მის დღეს ვგალობ, ბრწყინვალესა, ვითა თვალსა,
ოკი წელი განმისრულდა, თვეც ოცდაცხრით გარდავალსა.
ორმოცობას დღეს განსრულდა მარტს მეცხრე დღეს მომავალსა.

რული მუშაობის გზაზე დააყენა მან თავისი შვილი ლევანი, რომელსაც შეუდგენია თავისი დროისათვის მეტად საყურადღებო შრომა „მსოფლიო ისტორია“¹. მომზადებული იქნებოდა, უმეველია, ლიტერატურული მუშაობისათვის მისი მეორე შვილიც, ალექსანდრე, მაგრამ „ტესტამენტის“ მთარგმნელად: გვგონია, ეს ალექსანდრე ვერ ჩაითვლება. საქმე ისაა, რომ თხზულება დაუბეჭდათ 1739 წელს, ნათარგმნი, მეტი თუ არა, ერთი წლით ადრე ხომ მაინც იქნებოდა, ესე იგი—1738 წელს. როდის დაიბადა ალექსანდრე ბაქარის ძე? ბაქარი, დაბადებული 1700 წელს², გამეფდა 16 წლისა, 1716 წელს³, ჯერ კიდევ უცოლო. 1723 წელს მან თავი გაავადებინა თავის სიმამრს, არაგვის ერისთავს გიორგის⁴, მაშასადამე ამ გიორგის ქალი, ანნა, მას შეურ-

ოზგროვას. მას ეძიად ქართლს ბეჭდავს სახარებასა, ორბელის შვილი ნიკოლოზ ჰყოფს წერილთ განსწორებას, ოხითა ვახტანგ ნეფისთა ქვენ წიგნთა განმრავლებასა, ოქროპირისა ნათარგმნთა, მოგვეყენენ განათლებასა.

ონისფორეს ეიმოწმებ, ამ ქორანოკონს ესწერ რითა, ოქრო ვის შესძენეს მას აქეთ ათას შვიდას წელს ცხრითა. ორნი მოიქცნენ მოგე-მწყემსნი ააყუანის ცემენ თავხრითა ორღანოს უტებო ხმა რამე ისმოდა ბაგით ყურითა.

ოქტომბრიდან გვემტერნეს მეფე და მისი სპანია, ომთ გვძლიეს, დავშორდით მოყვარენი და ძმანია, ოთხსავე ციხეს მივმართეთ, მათ დარჩათ შორაპანია, ოქმით შემოგვრჩენ ესენი: სვერ, კაცხი, ნავარძენია.

ამა ზედან ანბანთქება დაესრულა ჩემის თქმითა, უტხონი და ჯერ უთქმელნი, ბატას მიერ გამოთქმითა, ნურც შერეეთ და ნურც განთვისებთ. ასე სწერეთ ზედმოხმითა...

(გვ. 13—14).

როგორც ვხედავთ, „ანბანთქება“ დაუწერია პაატას 1709 წელს, როდესაც ის ოცი წლის ყოფილა (დაბადებულია 1689 წ.). ბაქარი, რომელიც 1700 წელს დაიბადა, 1709 წელს ჯერაფერს დასწერდა. ლექსში ზომა დარღვეულია.

¹ აი რას წერს ამ შრომის ბოლოს მისი ჯადამწერი და ლევანის აღმზრდელი მეღქიხედკე კავკასიძე: „ამა სიბრძნისა ტრფილაშან. რაოდენისაშე ენისა, წიგნისა და წერის ზედმიწევნით მცოდნეშან მიმოვლნა გონების თვალითა ფრანგთა სწავლისა წიგნნი დასაბამითგან ვიდრე მოდღეინდელად დღემდე აღწერილნი... არა სცა ცხრა წელ თვალთა თვისთა რულით და თავთა თვისთა განსჯენება, ვიდრემდის ლათინურისა, ფრანციტულისა და ნემწყურისა დიალექტისაგან გარდამოენითნა... ოდეს განასრულა წიგნი ესე ყოველიურთ, ანაზღათ მოგეტაცნა უზგაიშნომან და ყოველთა შეუწყალელებლმან სიკუდილმან ყოველით სრული და ძვირფასი იგი საუნჯე 1763: იელისა 23: წლის 35: დღესა ოთხშაბათსა“ (S 385, გვ. 1018). მაშასადამე, ლევანის დაბადებულა 1728 წელს. თავისი შრომა მას დაუწერია 1763—9—1754 წელს, როდესაც ის 26 წლის იყო (1754—1728 = 26). შემცდარია მ. ბროსე, რომელიც მისი დაბადების წლად თვლის 1739 წ. („Hist. Géor.“, II, liv. 1, 628).

² Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, I, гв. 504.

³ ქართლის ცხოვრება⁴, II, გვ. 347.

⁴ იქვე, გვ. 331—332.

თავს 1717—1723 წლებში, როდის—დანამდვილებით არ ვიცით. 1728 წელს მას შეეძინა ლევანი. ალექსანდრე, თუ ის უფროსი შვილი იყო, დაებადებოდა მას რამდენიმე წლით ადრე, მაგრამ 1724 წლის შემდეგ, ვინაიდან რუსეთში გადასახლებისას ბაქარის შვილები არ ჩანან არც პოემა „ვახტანგთანში“, არც სხვა ისტორიულ დოკუმენტში, ასე რომ 1738 წელს ის იქნებოდა 13—14 წლის ბავშვი და თარგმნას ვერ შესძლებდა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოშიაც რომ დაბადებულიყო ის, 1718 წელზე ადრე ვერ დაიბადებოდა¹. ასე რომ 1738 წელს ის იქნებოდა მაქსიმუმ 20 წლისა და ამ ასაკშიაც ვერ შეძლებდა ამ თხზულების გადმოთარგმნას, მით უმეტეს, რომ მის ძმას, ლევანს, გაცილებით უფრო განათლებულსა და მომზადებულს, ლიტერატურული მუშაობა დაუწყია არაუადრეს 26 წლისა. ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებასაც: ამ თხზულების დაბეჭდილი გამოცემა მთარგმნელის შესახებ, როგორც დავინახეთ, ამბობს: „კურთხეულმცა არს ხსენება მისი უკუნისამდე“. ის მას უკვე მკვდრად ეგულებოდა 1739 წელს, ალექსანდრე ბაქარის ძე კი 1784 წელსაც ცოცხალი იყო, როდესაც ის ახალგაზრდული ენერჯით ებრძოდა ერეკლე მეორეს ქართლის ტახტისათვის².

ამნაირად, უნდა ვიფიქროთ, რომ თხზულების მთარგმნელი არის ალექსანდრე არჩილის ძე³.

ალექსანდრე არჩილის ძე დაიბადა 1674 წელს, 1690 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა მუდმივ, 1697 წელს რუსეთის მეფემ ის საზღვარგარეთ გაგზავნა სწავლის მისაღებად. იქიდან მობრუნებული, ის მონაწილეობას იღებს ნარვის ბრძოლაში 1700 წელს, ტყვედ უყარდება ხელში შვედებს და ცხოვრობს სტოკჰოლმში. არჩილმა, როგორც იყო, ტყვეობიდან დაიხსნა ის, მაგრამ ცოცხალი აღარ უნახავს, ვინაიდან, დაბრუნებული, გზაზე გარდაიცვალა პეტიაში 1710 წელს. „ტესტამენტის“ თარგმნა მას შეეძლო, ცხადია, რუსეთში ყოფნისას, ტყვეობამდე, მაშასადამე, მეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში⁴.

7. ეზოპეს იგავ-არაგბი

ქართულ ენაზე ნათარგმნი ყოფილა გამოჩენილი ეზოპეს იგავ-არაგბიცი, რომელსაც, როგორც ცნობილია, დიდი გავლენა მოუხდენია მწერლობის

¹ მაგრამ ალექსანდრე, გაცილებით გვიან, რუსეთში უნდა დაბადებულიყო; 1761 წელს, ნოემბრის 11-ს, მას უჯარი დაუწერია თავადის ქალზე, დ. ა. მენშიჩიკოვაზე, რის გამო ერთ რუსს ოდა დაუწერია (В. Сопиков, Опыт российской библиографии, ч. IV, изд. Рогожина, Петерб., 1905 г., № 7145, стр. 19). 2 მაისს 1766 წელს რუსეთიდან, ჩინებაყრილი, გამოაძევეს, 1784 წელს ერეკლე მეფეს სამეფო ტახტს ედავება.

² Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, II, гл. 114—119.

³ A 617, რომელშიაც მოთავსებულია ეს თხზულება, გუოენის იმ ხელნაწერთა უჯფუს, რომელნიც არჩილ მეფეს ქონია ხელთ: მას, როგორც არჩილის ზოგიერთ სხვა ხელნაწერს, ქვედა არშიაზე რუგულთა სათვალეები ბერძნული ასოებით აქვს აღნიშნული. ესეც ერთი საბუთია იმისა, რომ თხზულება მისი შვილის, და არა ალექსანდრე ბაქარის ძის, მიერ უნდა იყოს ნათარგმნი.

⁴ ამ ალექსანდრეს უთარგმნია რუსულადან „სადიდებელნი გალობანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“ (A 347).

ამ დარგში საზოგადოდ. საყურადღებოა, რომ დღესდღეობით ცნობილი ნუსხები¹ შეიცავენ ერთსა და იმავე ტიპს, რომელშიაც ჩვენ გვაქვს ეზოპეს ვრცელი ბიოგრაფია შემდეგი სათაურით: «ცხოვრებანი გონებაშაზვილისა ესოპესნი», და მხოლოდ ო რ მ ო ც ი იგავ-არაკი, ო რ მ ო ც უ მ ე ტ ი არ უთარგმნიათ. აი, ამ იგავ-არაკების სია:

- | | |
|--|--|
| 1. იგავი მელისა და ჩიგუისა. | 21. ცხენისა და ჯორისა. |
| 2. მელისა. | 22. მპარავისა და მამლისა. |
| 3. ღორისა და ძაღლისა. | 23. მოგზაურთა კაცთა. |
| 4. ბერიკაცისა და სიკუდილისა. | 24. მონათა და მზარეულისა. |
| 5. ჯორისა და მელისა. | 25. მსოფლიოსა კაცისა და ძეთა მისთა. |
| 6. ფრინველის მჭირველის კაცისა და გველისა. | 26. პატრონისა და ძაღლისა. |
| 7. ძაღლისა და მზარეულისა. | 27. მელისა. |
| 8. დედაკაცისა და ქათმისა. | 28. ერმისა, დიოისა და მელისა და აქლემისა. |
| 9. ოქროს კვერცხის მდებლის ქათმისა. | 29. მელისა და წეროსა. |
| 10. კაცისა და თაგვისა. | 30. კაცისა მეთევზერისა. |
| 11. მელისა და მაიმუნისა. | 31. მგლისა და დედაკაცისა. |
| 12. კუსა და ორბისა. | 32. ძაღლისა. |
| 13. კაცისა მისთვის, რომელმან იყიდა შავი არაბი. | 33. კაცისა მისთვის, ლესკუმის. ესე იგი არს კერპის შემფუცრელისა. |
| 14. ქათმისა და მერცხლისა. | 34. დედაკაცისა და მისთა მხვეალთა. |
| 15. ლომისა, ჯორისა და მელისა. | 35. კაცისა ტყუილისმოქმედისა. |
| 16. ლომისა და დათუისა. | 36. კაცისა ბოროტისმყოფელისა. |
| 17. ყორნისა. | 37. ყრმისა და დედისა მისისა. |
| 18. მელისა და ლომისა. | 38. მელისა და კუისა. |
| 19. დედაკაცისა და მკურნალისა. | 39. კაცისა და ძაღლისა. |
| 20. ეტლისა და კუისა. | 40. მერკვირისა გინა ერმისა და ხუროისა ² . |

ჯერ მოყვანილია ხოლმე იგავი და მერე მას მისდევს მისი თარგმანი, ესე იგი ახსნა-განმარტება. თარგმანის ენა არის მეტად მარტივი, ლიტონი და ადვილად გასაგები, იმავე დროს ზედმიწევნით ეკლესიური. ქართული ტექსტი გადმოღებული უნდა იყოს პირდაპირ ბერძნულიდან, რომელსაც ის თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს. ეს ჩანს ეზოპეს ბიოგრაფიის შემდეგი ადგილიდან: «ხოლო ესოპე მივიდა ერთისა რომლისამე საფლავის მიმართ და იხილა ზედაწერილი ბერძნული საენითა ესრეთ: წ. ბ. დ. მ. ხ. ო., რომელსა ქართულითა ენითა გამოვთარგმნით ასოთა ამითა»³.

როდესა თხზულება გადმოთარგმნილი ქართულად? იგავ-არაკების ერთ-ერთ ნუსხას შემდეგი შენიშვნა აქვს დართული: «დასასრული ესოპეს იგავებისა ქორონიკონსა უნბ, თვ[ესა] ლე[ინობისთვისა] იბ»⁴. ეს უნდა იყოს

¹ S 2409, S 1536, S 190, S 1039.

² ეზოპეს იგავ-არაკები გამოცემა 1944 წელს ს. იორდანიშვილმა, ხოლო 1949 წ. ს. ყუბანეიშვილმა («ქრესტომათია», II, გვ. 280—239).

³ S 190, გვ. 31, თხ. ე. ბაკაშვილის ხტატია «ლიტერატურული ძიებანის» XII ტომში, გვ. 211—223, სადაც მტკიცდება, რომ არაკები გადმოთარგმნილია ამსტერდამის 1726 წლის გამოცეიდან.

⁴ S 1536, გვ. 124.

თარიღი კრებულის გადაწერის და არა გადმოთარგმნისა. მაშასადამე, თუ ეს ნუსხა გადაწერილია „ქორონიკონსა უნგ“, ესე იგი 1765 წელს, ნათარგმნი ის უფრო აღრე უნდა იყოს, რაც მისი ენითაც მტკიცდება. ყოველ შემთხვევაში, § 2409 ხელნაწერის ძველი ფურცლები (იმაში აღგ-ალაგ ახალი, მეცხრამეტე საუკუნის დამდევის, დაწერილი ფურცლებია ჩამატებული) გადაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისა. დაახლოებით ამავე დროს შეიძლება მიეწეროს კრებულის გადმოთარგმნაც. ვინ გადმოთარგმნა ის, არ ვიცით¹.

მ. მელის წიგნი

ასეთი სახელი ეწოდება სომხის მქადაგებლის ვარდანის იგავ-არაკთა ერთ-ერთ კრებულს. ვარდან აიგიველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეთორმეტე საუკუნის გასულსა და მეცამეტის დამდევს. თავისი ქადაგების გასაცხოველებლად ის მიმართავდა ხოლმე ეზოპეს კრებულსა და „ფიზიოლოგიდან“ ამოღებულ იგავ-არაკებს, რომელთაც ამკობდა „სულისმარგებელი“ სწავლითა და ხნეობრივი ხასიათის მოძღვრებით. ვარდანის პატივისმცემელთ შეუდგენიანთ მისი იგავ-არაკების კრებული, რომელშიაც შექპონდათ სხვების იგავ-არაკებიც, ანდა ვარდანის კრებულის მიხედვით შეუდგენიანთ სხვა კრებულები, რომლებშიაც ვარდანის იგავ-არაკები შეუტანიანთ. ასე რომ, რაც დრო გადიოდა, თანდათან იზრდებოდა ვარდანის ან ვარდანისეპური კრებულების რიცხვი, და ხდებოდა მათი დიფერენციაცია. ვარდანის კრებულის ერთ-ერთ გავრცელებულ გვარს შეადგენს „მელის წიგნი“, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბებულა დაახლოებით მეჩვიდმეტე საუკუნის დამდევს².

„მელის წიგნი“ სომხურიდან უთარგმნიანთ არაბულსა და ქართულ ენებზე. ამ წიგნის ქართული ტექსტი აღმოაჩინა და გამოისცა ისტორიულ-ლიტერატურული შენიშვნებით ე. თაყაიშვილმა³, ხოლო ის არაკები, რომლებიც ამ გამოცემას აკლბა, სხვა ხელნაწერების მიხედვით, გამოაქვეყნა ა. ბარამიძემ⁴. სომხურ ენაზე ეს კრებული შედგება 164 იგავ-არაკისაგან, ამდენივეა იგავ-არაკთა რიცხვი არაბულსა და ქართულ თარგმანშიც.

ქართული თარგმანი მომდინარეობს სომხურიდან. ეს შემდეგიდანა ჩანს: ის უფრო ახლოა სომხურ კრებულთან, ვიდრე არაბულთან. ქართულ თარგმანში არ მოიპოვება ის არაკები, რომლებიც არის არაბულ ტექსტში, სომ-

¹ არსებობს იტალიურიდან ნათარგმნი „იგავნი იეზუბოს ფილოსოფოსისანი, თარგმნილი და გამოცემული ქართულ ენასა ზედა სასარგებლოდ იეგრიისა“, რომელიც დაბეჭდილია ჟნე-ციიში მებიტარისტთა სტამბაში 1859 წ., ტ. I.

² H. M a r p, Сборник притч Вардана, I, Петерб., 1899 г.

³ „მელის წიგნი ანუ იგავ-არაკების კრებული ვარდანისა“, თბილისი, 1859 წ.

⁴ მელის წიგნის ქართული რედაქციისათვის, „თბილ. უნივ. შრომები“, VI, 161—168. „მელის წიგნი“, სათანადო გამოკვლევით, მეორედ გამოისცა ს. ყუბანეიშვილმა („ლიტერატურული ძიებანი“, V, გვ. 201—228; „ქრესტომათია“, II, გვ. 290—336).

ხურში კი არა, მაგალითად: ბრმა და წმინდანი, ავაზაკი და მეუღაბნოე, ალექსანდრე დიდი, არისტოტელი და სულელი, ამავე დროს ქართულში არის ის არაკები, რომლებიც მოიპოვება სომხურ ტექსტში და არ არის არაბულში, მაგალითად: მეფე და ღორი, ხოჯა და ყადი, სამი ჩვენება ხელმწიფისა. არაკების რიგი ქართულში იგივეა, რაც სომხურში. გარდა ამისა, ქართულ თარგმანში გვაქვს ისეთი დამახასიათებელი არმენიზმები, როგორცაა: ნილოს=ნილოს, კურა=არქუ, ბუთის ქვა, ნისაფი=სინილისი და სხვ.

მიუხედავად ამისა, ქართულ თარგმანში ჩვენ ვამჩნევთ ზოგ რამ ისეთს, რაც მას სომხურისაგან განასხვავებს. პირველი არაკი ქართულში უფრო მოკლეა და უფრო ახლოა ეზოპეს არაკთან, ვიდრე სომხურთან; მეშვიდე არაკში კონსტანტინე მეფის მაგიერ იხსენიება კონსტანტინეპოლის მეფე; მერვე არაკში არაა აღნიშნული, რომ ტვირთს მარლი შეადგენს; მე-14 არაკში არ იხმარება ადგილის სახელი გალატა; მე-19 არაკის სახელია „მელა და მორიელი“ და არა „მელა და კიბო“; 50-ე არაკში კატა გამოყვანილია ხელმწიფის მესაწოლედ და არა მესანთლედ; 77-ე არაკში ლაკლაჯზე სულაც არაა ლაპარაკი, არამედ მარტო გვრიტზე, ასევე უნდა ითქვას 79-ე არაკის შესახებაც; 108-ე არაკში ვირის კუდის მაგიერ ლაპარაკია ვირის თავზე; 156-ე არაკში ფრინველთ მეფედ ჩიტია მოხსენიებული და არა ტოროლა; 111-ე არაკში, სომხურ-არაბული კრებულით, გადმოცემულია ღორებისა და მუტრუკების ამბავი, ქართულში კი—სულელი მგლისა. ეს არაკი შედგენილია 103-ე არაკისა და ქართული ფოლკლორის საფუძველზე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრებულის მრავალი იგავი ჩვენში გავრცელებული ყოფილა ცაცილებით ადრე, ვიდრე კრებული ქართულად ითარგმნებოდა.

სომხური ტექსტის ზოგიერთი ადგილი მთარგმნელს ჯეროვნად ვერ გაუგია და ამიტომ ან ბუნდოვნად გადმოუცია ის, ან სულ გვერდი აუვლია მისთვის. თარგმანის ენა, საერთოდ, ძალზე მოიკოკლებს, რაც აიხსნება იმით, რომ მთარგმნელი წარმოშობით სომეხი უნდა ყოფილიყო.

გადმოთარგმნილია თხზულება მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, 1798 წელს, მდივან-მწიგნობრის იოანე პენტელაშვილის მიერ, როგორც ეს ჩანს ავტორგაფულის ნუსხის მინაწერიდან: „დროსა კეთილმსახურისა და უმაღლესის მეფის გიორგისა და მამათმთავრის, მისი უწმიანდესობის კათალიკოზის ანტონისა გადმოვთარგმნი სომეხთაგან ქართულს ენაზე მე, იოანე პენტელაშვილმა, ნოემბერსა 14, ქორონიკონსა უკვ“ (1798 წ.)¹.

ეს წიგნი დაუზოგავად ამათრახებს მსუნაცსა და გაიძვერა მოსამართლეებს, მტარვალ მეფეებს, ბობოლა მოხელეებს, ყოყოჩა და ფუქსავატ გვარიშვილებს, გარყვნილსა და მექრთამე სამღვდელო პირთ. ის აგვიწერს ღარიბ-ღატაკების უმართებულო ჩაგვრის ამბებსაც, კიცხავს საზოგადოებაში ფეხმოკიდებულ უმეცრეებს, სიხარბეს, ანგარებს, ამპარტავენებას და სხვ. ამასთან ერთად აიდევალებს საზრიანობას, ხერხიანობას, მახეილგონიერებასა და მსგავს თვისებებს².

¹ ეს იოანე პენტელაშვილი, ერთი სიგელის ცნობით, ყოფილა ერეკლეს „ამჟმარ-მურხობი“. ის დაახლოებული ყოფილა ერეკლეს და გიორგი მეფეებთან, ცნობილი იყო სიგელ-გუჯარებისა და წიგნების გადაწერით, უნდა გარდაცვლილიყო XIX საუკუნის პირველ მეხუთედში.

² ა. ბ. რ. მ. ი. ძ. ნარკვევები, II, გვ. 432—437.

9. აპოფთეგმები

დიდაქტიკურ-მორალური ნაწარმოების განსაკუთრებულ დარგს ქართულ ლიტერატურაში შეადგენს ეგრეთ წოდებული აპოფთეგმები, რომელნიც წარმოადგენენ ბრძენთა და ცნობილ პირთა, უპირატესად ბერძენ ფილოსოფოსთა და ძველი აღმოსავლეთისა და საბერძნეთის მეფეთა, სენტენცია-აფორიზმების, ნაკვეთებ-ანეგდოტებისა და თქმულებების კრებულებს. აღორძინების ხანის მწერლობაში ჩვენ გვაქვს რამდენიმე ასეთი კრებული.

А. ამირნასარიანი

ამ სახელის გასაგებად უნდა მოვიყვანოთ თხზულების დასაწყისი: „იყო ხელმწიფე ქექაოზ და შვილი მისი ამირ-ნასარ, და შვილი ამირ-ნასარის ალექსანდრე, შვილი ალექსანდრესი ყაბოს, და შვილი ყაბოსი შაქირ. ამან შაქირ მიუბოძა ძესა თუსსა გილანშაობა და უბრძანა: შვილო, მე დავებრძდი და დაუსუსურდი და ვსცან განსლუვა ჩემი ამირს სოფლით, ვინაჲთგან ვიხილე მკცობაჲა ჩემი. აწ საქმწელია ჩემგან, რომ ასეთი მცნებები დაგიდლო, რომ ამისი დასწავლა შენც გმართებდეს, რომ ჩემს უკან იმას იქმოდე. და სანამდისინ ან შენ დაბერდებოდე, ან მე მოვეკუდებოდე, მანამდის კამს სწავლაჲ, თვარამ ჩემგან თქმა ადვილია, თუ შენ დაისწავლი“. მერე ამას მოჰყვება მოკლე თუ ვრცელი აფორიზმები, სენტენციები და დარიგებანი, როგორც, მაგალითად: „შვილო, პირველი საქმე ეს არის, რომ უღვთისსახელოდ ნურას იქმ და ყოველს საქმეს მისის შევედრებით იქმოდე“; „შვილო, ავი და კარგი სწრაფად ნურც გიაიება და ნურც გეწყინება; სწრაფი საქმე ყრმათ წესია“; „შვილო, თუ არ გინდოდეს, რომ შენი ქართული გასტეხოს ვინმე, შენს ქართულს შენ ნუ გასტეხ“; „თუ ბევრი მოყვარე გინდოდეს, კაცისათვის ავი ნუ გინდა“ და სხვ. თხზულება შედგება თერთმეტი თავისაგან:

1. ანდერძი შაქირისა ძისა თუსისა თანა,—შეიცავს 78 სენტენცია-დარიგებას. აქ მოხსენიებულია მაგალითები და შემთხვევანი სხვადასხვა პირის ცხოვრებიდან, თუ მათი აფორიზმები, მაგალითად: ბოლრატ აქიმი, აფლათუნ აქიმი, ზაქარია აქიმი, ყორათ აქიმი, ალექსანდრე ხელმწიფე, ხვასრო, ერანის ხელმწიფე, და მისი ვეზირი ბოზორჯამირი, ნოვსორ შაჰი, არონ რაშიდი, ანუშირვან ხელმწიფე, მახოს სულთანნი და სხვ.

2. თქმა ხელმწიფეთ სამსახურისა,—შედგება ცხრა სენტენციისაგან, სადაც მოხსენიებულია აბასი, ყაზი აბდულ-მელიქი, მამუნ ხალიფა და სხვ. აქ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ხელმწიფეთ სითვლო ყოველი ზნეობა ცოტ-ცოტა უნდა იცოდეს: წიგნი, შაირი, რამლი, კარგი ხმა უნდა ჰქონდეს, ხუმრობა ასეთი უნდა იცოდეს, რაცა სთქვას, მარილიანი იყოს; სახელმწიფო წიგნები უნდა იცოდეს, ცხენოსნიდ ვარც იყოს; ხელმწიფე ხალვათად რომ იჯდეს და სხვათ გამრიგედ არ შეესლევებოდეს, გარიგება უნდა შეეძლოს და რჩევა; ბაზიერობა იცოდეს“.

3. მდივანთათვის, — „შვილო. მდივანი ასე უნდა: ყოველი ენა იცოდეს, სიტყვა ხელმწიფის საკადრისი უნდა ჰქონდეს, ცოდნასრული იყოს, მეჯლისის რიგი უნდა იცოდეს...“⁴.

4 — ვეზირთათვის, 5 — სპასალართათვის, 6 — სტუმართათვის, 7 — სიყვარულისათვის, 8 — საქონლის შემოგროვებისათვის, 9 — ამანათის შენახვისათვის, 10 — მეშურნეობისათვის, 11 — სიკეთისათვის⁵.

„ამირნასარიანი“, როგორც მის 'სათაურში სწერია, „თქმულია სპარსთა ენისაგან ქართულად ბატონიშვილის განმგებელის ვახტანგისაგან“, მაშასადამე, 1703—1711 წლებში. თხზულება რომ სპარსულ ნიადაგზე აღმოცენებული, ეს მისი შინაარსიდანაც ჩანს, ვინაიდან უმეტესი ნაწილი მეფეთა და გეოგრაფიული სახელებისა, რომელნიც აქ მოხსენიებულია, სპარსულია. სპარსულ ენაზე ეს თხზულება დაწერილი უნდა იყოს თითქოს მეთორმეტე საუკუნის გასულს. ეს ჩანს შემდეგი ადგილიდან: „შვილო, სამოცდასამი წელიწადი არის, მე ამ საქმით ვყოფილვარ, ქორონიკონი ახლა ხუთას სამოცდა თხუთმეტია, ახლა რომ ეს წიგნი მაგიგონია და გამითავებია, და, თუ ღმერთმან არ მომკლა, სანამდის ცოცხალ ვარ, იმავ რიგით ვიქნები; რაც ჩემი არ მომწონს, არცა რას შენსას მოვიწონებ, თუ ამისგან უკეთესს რასმე ისწავლი, კარგია, თვარამ ეს მაინც იცოდე, რაც მისწავლებია, რომ კარგად მოგიხდეს; თუ იქმ, ხომ კარგია, თუ არა, იყოს ეს ჩემი ქართულები, სხვა ვინც მოიგონებს, მეც შენდობას მეტყვის“⁶. ამ თხზულებაში ჩვენ უნდა გვქონდეს, თუ უცვლელად არა, გადმოკეთებით მაინც, სპარსული ეტიმოლოგია-პარსული თხზულება „Qabus-name“, რომელიც ეკუთვნის Kaika'us bun Iskauder bin Qabus-ის კალამს. ქექაოზს დაუწერია თხზულება 475 წელს ჰიჯრისას, ესე იგი 1032 წელს ჩვენებურად, თავისი შვილის გილანშაჰის დასამოძღვრად, და ჩაურთავს შიგ მთელი საუნჯე თავისი გამოცდილებისა და ცხოვრების კანონთა ცოდნისა⁷. აქ ჩამოთვლილი სახელები უნდა იყოს გადმოცემული შეცვლილი სახით, რასაკვირველია, ქართული თარგმანის დასაწყისში: „იყო ხელმწიფე ქექაოზ და შვილი მისი ამირ-ნასარ, და შვილი ამირ-ნასარისა ალექსანდრე, შვილი ალექსანდრესი ყაბოს, და შვილი ყაბოსი შაჰირ. ამან შაჰირ მიუბოძა ძესა თუსსა გილანშაოზა“. ქართული თარგმანის ქორონიკონი 575 (ჰიჯრისა), უეჭველია, შეცდომაა ან სპარსულ ნიადაგზე აღმოცენებული თარგმნისას, ან შემდეგ, თხზულების გადაწერისას.

„Qabus-name“ სპარსულად ორი რედაქციით არსებობს: პროზაულად და ლექსით. ქართული „ამირნასარიანიც“ ორი რედაქციით გვაქვს. გარდა პროზაული რედაქციისა, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, არსებობს მისი ლექსითი რედაქციაც. უკანასკნელი ეკუთვნის იმავე ვახტანგ მეფეს, რომელსაც გადმოთარგმნია მისი პროზაული რედაქცია. მოსკოვში ყოფნისას

¹ S 395, ფ. 23—49; S 4634, გვ. 161—203; „Описание“, II, გვ. 167—168, 444.

² S 4634, გვ. 195—196.

³ H. Eth 6, Neupersische Literatur, „Grundriss“, II, S. 347. შტრ. ზემოთ გვრდი 294, შტნ. 8.

მას გაუღეკსავეს პროზა და მოუცია ლექსითი რედაქცია, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „წიგნი პირველი, ამირ-ნასარიანი, სპარსულსაგან ქართულად ნათარგმნი მეფეთ-მეფის ვახტანგისაგან და ბოლოს მოსკოვს მეფისაგანვე გაღეკსული“¹. ის იწყება შემდეგი შესავლით:

დავიარსენით არსისგან სანეთო უნიეთელები,
სიუხვისაგან ვიზრდებით, არა აქვს გასაძნელები,
მაკვირვებს საგანგიონი, საციფრო მიუგნელები,
მენობთა და ირამცნობელთა როკიკი უცდენგელები.

გამონათქეაში ჩაიწვრთენე, ფილოსოფოსთა ბრძნობანი,
სულსა დამშვეენებელი, კორცისა გასაქნობანი,
მოუკმარისი ბედისა საცდო საქმისა ნობანი,
ლაუკადისა ყრმებისა ბრძმედულად გარდაღნობანი.

სიბრძნობაში მიმიზიდა აშბავსა საამბელადო,
დამოყვრებული მწაღია იყენით უგმობელადო,
შემაღლე გამოსაზრდელი სულ არა უგბოლეულადო,
თქმა უკირდა სათქმელადა სავირო სასმენელადო.

სამეფოს გილანისასა შეფეა მუნა მჯდომელი,
საწუთროსაგან წესია. დაბერდა მოუნდომელი,
შეილსა უბოძა სამეფო, გააგლო დაუდგომელი,
საანდერძონი უბრძანა, ქვემორე ითქმის რომელი.

ამის შემდეგ გაღეკსილია ყველა 11 თავი „ამირნასარიანისა“, რომელიც თავდება ასე:

პამირ-ნასარის ნათქეაში გათაედა გამოთქმულები,
აშბავდ გარდამოვიღე შეკობებულად რგულები,
სევდისა მოსაქარვებლად აწ ლეკსად გასაგულები,
ჩამოგირჩებათ სოფელში გაუკურნებლად წყლულები.

სომარელისაგან მწიკელების შემექნა გაუბანია,
ბოლოჟამ სხეანი შემოყეა ერთმანეთს მონაბანია,
სულ დამიქცია სამყოფი, სახალხო გასაბანია,
სამეფოს გარდაქცევითა მიბოძა ლეკსობანია.

არვის დაინდობს სოფელი, მიუნდო, დაუნდობელი,
მიმდეეთა გასაქიქელი, უღვეთა დასაგმობელი,
მეფეთა გინა ვლახაკთა ბუკთა საქიროს მკმობელი.
გულითა ამაღლებულთა საბრალოდ დამამხობელი.

¹ S 171, ფურტ. 107—130; S 4500.

ეს ლექსითი ვერსია შერე თვით ვახტანგს შეუცვლია და შოუცია მისი ახალი რედაქცია, რომელიც შენახულია ხელნაწერში S 4500, გვ. 213—236¹. ასე რომ, ქართულად არსებობს „ამირნასარიანის“ სამი ვერსია: ერთი პროზაული და ორი ლექსითი, სამივე მეფე ვახტანგს ეკუთვნის².

B. სიბრძნენი ფილოსოფოსთან

აპოფთეგმების მეორე დარგი, რომელსაც შეგვიძლია ეწოდოთ „სიბრძნენი ფილოსოფოსთან“, სამი კრებულითაა წარმოდგენილი.

I. პირველი ასეთი კრებული შემოსული უნდა იყოს ჩვენს ლიტერატურაში ე. წ. „კლასიკურ“ ან რუსთაველის ეპოქაში, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს XV—XVI საუკ. შეიძლება ეს კრებული ქართული წარმოშობისაც იყოს, თუმცა დღესდღეობით არ შეგვიძლია ვაჩვენოთ არც შემდგენელი მისი, არც მთარგმნელი. ეს კრებული შედგება ოთხი ნაწილისაგან:

პირველ ნაწილს ეწოდება „სიბრძნისაგან მრავალთა ფილოსოფოსთა—ძუელნი“, ალბათ იმიტომ, რომ აქ მოტანილია უმთავრესად ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსთა აფორიზმები. ამ აფორიზმებში გათვალისწინებულია ადამიანის ცხოვრების ყოველი მხარე. აი ზოგიერთი მათგანი: „უწვერთელთადაც უოველთა ვნებათა დედა არს“; „მლიქნელნი უბოროტეს არიან ყორანთასა, რამეთუ ყორანნი მკუდართა, ხოლო მლიქნელნი ცოცხალთა შესკამენ“, „ცოცხალი ვიდრემე იქებოდენ, ხოლო მკუდარი სანატრელ იყავ“, „დადაცათუ ბევრთა წყრათათა მიწისათა უფალ იქმნენ, მოჰკუდენ რა, სამთავანს ოთხთა უფალ იქმნენ“, „მახვლისა წყლულებამა უსუბუქეს არს ენისა, რამეთუ მახვილი სხეულსა სწყლავს, ხოლო ენა სულს“.

მეორე ნაწილს ეწოდება „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“. პირველი აფორიზმი ასეთია: „სიხარული ტანისა—სისწორე გულისა, და სიხარულნი ქუეყანისანი—მეფენი ქუეყანისანი, მოქმედნი სიმართლისა და მზადობისანი“. აი კიდევ ზოგიერთი: „შური და ტყუელი და ორპირობამა თავი არს ყოვლისა უბედურებისა“, „ცხენისა სიმაღლე სირბილსა შინა, ხოლო მოყურისა სიყუარული ქირსა შინა გამოცხადნენ“. აქაური აფორიზმების დიდი ნაწილი შეეხება მეფეთა თვისების ჩამოთვლას და შურიანობის ანალიზს.

მესამე ნაწილი: „სწავლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი შუენიერნი, გარნა უფროსნი სოლომონისნი არიან“. მართლაც, აქაური აფორიზმების უმეტესი ნაწილი ამოღებულია ბიბლიიდან, სოლომონ მეფის იგავეებიდან, თუმცა არის ფილოსოფოსთა იგავეებიც³.

მეოთხე ნაწილს ეწოდება „სიბრძნისაგან ფილოსოფოსთასა“, ის იწყება ასე: „არა არს სიგრძე ეამთა ყოველთავე მსწაველ სიბრძნისა, არამედ ბუნებამა და ზომით მიღებამა საზრდელისადა. ამ ნაწილში დაახლოებით 122 აფო-

¹ „ამირნასარიანის“ ეს მეორე რედაქცია გამოსცა ა. ბარამიძემ (ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, თბ., 1947 წ., გვ. 67—91).

² „ამირნასარიანის“ შესახებ იხ. გ. იმედაშვილი, უახტან-ნამეს ქართული ვერსია ამირნასარიანი („ლიტერატურული ძიებანი“, IX, გვ. 325—375).

³ ამ კრებულის ეს სამი ნაწილი გამოცემულია ტრ. რუხაძის მიერ („ლიტერატურული ძიებანი“, IV, გვ. 298—314).

რიზშია, რომელიც ეხება ყოველდღიური ცხოვრების მოვლენებს. იმ სანიმუშოდ ზოგიერთი მათგანი: „სწავლულებისა ძირნი მწარე არიან, ხოლო ნაყოფნი ტკბილ და შუენიერ“; „მფევი იგი არს, რომელსა ძალღევას უფლებამა ვნებათა ზედა, სულისა მავნებელთა, და მძლე ექნენს გულისტკუმათა“; „საწადელ იყავ სოფელსა ამას შინა და ნუ საშინელ, რამეთუ რომლისაგან ყოველთა ეშინის, მას ყოველთაგანვე ეშინის“; „ტანჯე ღმობიერად სჯულდებითა მცლომი და ნუ გამოიჩენ სკვთებრსა და ბარბაროზებრსა რისხუსა და უწყალოებასა“.

ეს ნაწილები ურთიერთ კავშირში იმყოფებიან: პირველი ორი წყაროა მესამესი, ხოლო მესამე—მეოთხესი.

II. მეორე კრებული¹, რომელსაც ორ ნუსხაში² ეწოდება „აპოთეგმატა, რომელ არს შემოკლებულთა რიტორებრივთა და წესისა მასწავლელთა სიტყვებთა წიგნი“ და რომელშიაც „დადებულ არიან თვითეულნი კითხვა-მიკვებანი, ცხოვრება და ქცევა და იგავნი (რომელ არიან სახისმეტყველებანი) და მეტყველება სხვათადასხვათა ფილოსოფოსთა“, შედგება სამი წიგნისაგან. პირველს ეწოდება „მოკლედ სიტყვისგება სოკრატისა და სხვათაჲა ფილოსოფოსთა. აქ თავმოყრილია სოკრატის, პლატონის, არისტოტელეს, დიოგენის, არისტოფანეს, ზენონის, ანაქსაგორის, ეპიკურის და სხვათა აფორიზმები და სენტენციები. მეორე წიგნს ეწოდება „მოკლედ გამოსახანელი ამბავი პრომისა კეისრებისა და სხუათა მეფეთა, მთავართა და მხედართმთავრებისა“. აქ მოყვანილია ანეგდოტები ივლიანე კეისრის, ტიბერის, ტიტუს, ვესპასიანის, ავრელიანის, ფილიპის, ალექსანდრე მაკედონელისა და სხვათა ცხოვრებიდან. მესამე წიგნში მოთავსებულია „ამბავნი ლაქედემონელთანი“.

ეს მეორე კრებული, როგორც მის სათაურშია აღნიშნული, თარგმნილია „რუსულისაგან ქართულს ენაზედ ერასტი თურქისტანიშვილისაგან“. გარდა ამისა, მის რუსულიდან წარმომდინარეობას ადასტურებს ისეთი რუსიციზმები, როგორიცაა სტრიაფჩი, სირია, ლეტრიცკის ომი და სხვ. ამ კრებულის მთარგმნელი არ არის ის ერასტი თურქისტანიშვილი, რომლის შესახებ ხელნაწერში № 617 (უკანასკნელი ფურცელი) ვილაცას მიუწერია, რომ ის „იშუა წელსა ქრისტესითგან ჩღმვ, ქორონიკონსა უნდ (1766), თვესა იენისსა რიცხვსა 8, დღესა შაფათსა“, და რომელიც ერეკლე მეორის მიერ გაგზავნილი იყო რუსეთს სწავლის მისაღებად. ის გაცილებით უფრო აღრინდელი მოღვაწეა, ვახტანგის დროისა, თუ უფრო აღრინდელი არა. ეს იქიდან ჩანს, რომ დასახელებული კრებული³ გაუღექსავს ვახტანგ მეფეს. მაშასადამე, ერასტი თურქისტანიშვილს ის უთარგმნია მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში მაინც, როდესაც ზემოდასახელებული ერასტი დაბადებულიც არ ყოფილა.

ვახტანგი⁴ ლექსითს რედაქციას შემდეგი სათაური აქვს: „მოკლედ სიტყვისგება სოკრატისი, სწავლა პირველი, თარგმნილი რუსულისაგან ქართუ-

¹ S 13, S 2434, S 3359, S 3664, S 4634 და სხვ.

² S 2434, ფ. 40; A 1702.

³ A 1702—გადაწერილია მოსკოვში 1753 წელს სიონის დეკანოზის ნიკოლოზის ხელით.

მეოთხე აფორიზმი S 171-ში თავდაპირველად ასე ყოფილი: „პირს ქება, უკან ძრახობა გვარიანს გააცულებს“. მერე ამისთვის ვახტანგს ხაზი გადაუსვია და ჩაუწერია: „გვარიანი არ იტყვის პირს ქებას, თუ უკან დაუძრახავსო“, ხოლო S 1624 (= „ცისკარი“) ამას ასე კითხულობს: „არა შეენის გვარიანსა პირში ქება, უკან ძრახი“.

მეხუთე აფორიზმი: -

1. კირად მიგაჩნდეს სხვა სხვისა განსაცდელი და პირები.
2. სხვის განსაცდელი სხვისათვის ღიდი რამ საწუხარია.
3. მართებს სხვისა განსაცდელი სხვასაცა ჰქონდეს საწუხარად.

მესამეტე და მეთოთხმეტე სტროფების რედაქციები ასეა წარმოდგენილი:

S 171

S 1624 = „ცისკარი“

საქები ქალი კმრისათვის სიკვდილსა დაურიდობსა,	კარგი ქალი თავის კმრისთვის სიკვდილს თავსა არ არიდებს,
უკები, გარდაიცვალოს, საგლოჯელს მონარიდობსა,	ავნი კმრისა სიკვდილზედა არ გახევენ არცა რიდეს,
ერთია ლბინი დიადი, სიხარულს გაადიდობსა, კირისა ტეირთსა მომშიმოდ მეორე ანაჟილობსა.	ერთი არის სიხარული, ლბინსა მისცემს კაცსა დიდებს, ის მეორედ შეპირებულა კმარს სასჯელსა ზურგსცა ჰკიდებს.

სიწყნარისაგან სიმშვიდით ქალი თავისა მტკვლია,	მშვიდი, წყნარი და მორცხედი ქალი თავისა მტკვლია,
სახლისა აღმავებელი, გვირგვინი უუქველია,	სახლისა მაშენებელი, გვირგვინი უუქველია,
შვილის დაცვითა მომვლელი, სწავლაზე მინაშველია,	შვილთა მომვლელი, კმრისათვის შემწედა მინაშველია,
ვულისა გამაპობელი, ენა გრძელი და მწველია.	კაცს მოშლის, გულსა მოუკლავს ენა გრძელი და მწველია.

ეს კრებული თავდება ვახტანგის შვიდსტროფიანი ბოლოსიტყვაობით:

1. აწ გაუსრულდა წადილი ლექსისა შემაკონოსა, გასაბნეველად სედისა რაც მქონდა მოსაგონოსა, ნუთუ იამოს რომელსა თუკაღმ მოეწონოსა, არ ისმენ, დასდევ მას უკან, ეგებ სხვამ გაიგონოსა.
2. ქობანს ქილილა-დამანა, მოსკოვს ამისი მოქმელია, უყურეთ სოფლის საქმესა, თუ რაებისა მქნელია, ზოგს ცად აღიყვანს, ზოგები მიწათა გასაქნელია, სულს მამაციანა, კორციცა შეიქმნა გასაქნელია.
3. ლექსი რუსთელისა მეფეა, ტახტისან, გვირგვინისან, კელაე ჩაბრუნაჲე აგრევე სხვისა რიგისა მგოსანი, მეფის არჩილის სასჯელი, სწავლაა გასაქნოსანი, საბა თუადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მკმოსანი¹.

¹ ამ თხზულების შესამე რედაქცია გამოცემულია 'ა. ბარამიძის მიერ (ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 92—163).

ამრიგად, ეს კრებული ჯერ უთარგმნია რუსულიდან ერასტი თურქი-სტანიშვილს პროზაულად, შემდეგ ერასტის პროზაული თარგმანი გაულექსავეს ვახტანგ მეფეს მოსკოვში ორი სხვადასხვა რედაქციით, ზოგიერთი ადგილი სამითაც.

III. მესამე კრებული, რომელსაც ეწოდება „წიგნი სამეცნიერო“, როგორც ნათქვამია მის ერთ-ერთ ნუსხაში¹, „ალიწერა ბრძანებითა ბაქარ, საქართველოს მეფის ვახტანგის ძისაჲთა, წელსა 1749, მარტსა 15“. ბაქარს, საზოგადოდ, ჩვეულებად ჰქონდა სხვებისთვის ეთარგმნინებინა ესა თუ ის თხზულება, ამ შემთხვევაშიაც ის ასე მოქცეულა. ვინ გადმოთარგმნა ეს კრებული მისი ბრძანებით, არ ვიცით, შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ ის თარგმნია რუსულიდან. ვრცელი სათაური მისი ასეთი: „სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი სულისანი, ორკერძოვე, ძველისა და ახლისა წმიდათა წერილთაგან რჩევით გამოკრებულნი: კლემქისისაგან, დიდისა ბასილისა და გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა და მამისა ეფრემისა და მაქსიმესი და ცხოვრებისაგან მამათასა და სხვათა წმიდათა მღვდელმოდღვართა მამათა, მოციქულ-წინასწარმეტყველთა სოლომონ და ზირაქისა და ვარეშეთა წიგნთა პლატონ, სოკრატი და მენანდროს და სხვათა ფილოსოფოსთა მიერ თქმულნი“². ეს კრებული ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში „ვარეშეთა წიგნთაგან“ მოყვანილია არისტოტელეს (6), პლატონის (11), მენანდროს (7), პითაგორის (1), სოკრატის (19), დემოკრიტეს (13), იპოკრატეს (3), ერამიოს, აფთონის და სხვ. აფორიზმები. მეორე ნაწილს საკუთარი სათაური აქვს: „სწავლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი და სიტყვანი ფრიად სარგებელნი სულ-სხეულთანი“³. ის შეიცავს არისტოტელეს, არისტოპოსის, არისტიდეს, ანაკრეონის ვიონ პერიპატეტის, დიოგენის, დემოკრიტონის, სოკრატისა და სხვების 120-მდე აფორიზმს.

С. ხუაშლანი ახიკარ ბრძინხანი

მოთხრობა ახიკარ ბრძინის შესახებ ერთი უძველესი ილმოსავლური მოთხრობაა, რომელიც თითქმის ყველა ენაზეა ცნობილი. ის, ბოლო დროს, ქართულ ენაზედაც აღმოჩნდა, მაგრამ არა მთლიანად, არა იმ სახითა და მოცულობით, როგორც სხვა ენებზეა, არამედ შემოკლებით, და ეს შემოკლება იმდენად აფორიზმებსა და სენტენციებს არ ეხება, რამდენადაც ახიკარის შესახებ მოთხრობას. ამ თხზულების ქართული ტექსტი ხელთ ჰქონია ა. ხახანაშვილს, რომელსაც გადმოუცა მისი შემოკლებული რუსული თარგმანი⁴. სად იმყოფება ის ხელნაწერი, რომლითაც მას უსარგებლნია, არ ვიცით, სხვა ნუსხა კი მისი ჯერჯერობით ცნობილი არაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ S 1574 ხელნაწერს, რომელიც გადაწერილია 1828 წელს და, სხვათა

¹ S 2434, ფ. 39.

² იქვე, ფ. 1—39.

³ იქვე, ფ. 31—78.

⁴ А. Х а х а н о в, Очерки, III, гл. 169—180.

შორის, შეიცავს ახიკარის სწავლასაც შემდეგი დამახინჯებული სათაურით: „სწავლა ბრძანა (ბრძნისა) პილოტინისა (?), რომელი ასწავლა ნათანელსა“. ამ უკანასკნელმა ნუსხამ არ იცის მოთხრობა ახიკარის შესახებ, ის გადმოგვცემს მხოლოდ მის სწავლას, ისიც, ა. ხახანაშვილის ნუსხასთან შედარებით, მეტად შემოკლებულსა და დამახინჯებულს. ასე რომ, დღესდღეობით ჩვენ იძულებული ვართ ვიხილმძღვანელოთ მხოლოდ ა. ხახანაშვილის რუსული თარგმანით.

თხზულების შინაარსი ასეთია: ასურეთის მეფეს სენექირიმს ჰყავდა მეტად ბრძენი და მდიდარი ვეზირი ახიკარი. მას, მიუხედავად იმისა, რომ სამოცი წლისა იყო და სამოცი ცოლი ჰყავდა, შვილი არ გააჩნდა, რითაც მეტად შეწუხებული იყო. ერთხელ შევიდა სამლოცველოში და მიმართა ღმერთებს ვედრებით, რათა მას მისცენ შვილი, რომელიც, გარდაცვალების შემდეგ, ერთ მუქა მიწას მიაყრის მის ცხედარს და თვალებს დაუხუჭავს მას. მაშინ მას მოესმა ხმა: ახიკარ, შენ შვილი არ გეყოლება, ამიტომ აიყვანე შენი დისშვილი ნათანი და გაზარდე ის შვილად. ახიკარმა მართლაც იშვილა ნათანი, ჩააცვა მას ღიღებულად და, შვიდი წლისა რომ შეიქნა, აზიარა ის ყოველგვარ სიბრძნესა და მეცნიერებას. ერთხელ მეფემ დაუძახა ახიკარს და უთხრა: შენ უკვე დაბერებულხარ და მალე მოკვდები, ვინ გამიწევს მერე მე შენს მაგიერობასაო? ახიკარმა უპასუხა: მეფეო, მე მყავს შვილი, რომელიც სიბრძნითა და ენაშევერობით გაცილებით მეტობს. თანახმად მეფის ბრძანებისა, მან გააცნო ის მეფეს და გაახარა უკანასკნელი. მერე წამოიყვანა შინ ნათანი და დაუწყო მას დარჩება. ამას მართლაც მოჰყვება მისი სწავლა-დარჩებანი, რომელნიც აფორიზმებისა და სენტენციების სახითაა წარმოდგენილი. რიცხვი მათი ა. ხახანაშვილის თარგმანში უტრის 108-ს. აი ზოგიერთი ნიმუში მათი: „შვილო, თუ მეფის, უფროსის ან ღიღებულის საიდუმლო გაიგო, დაიშარხე გულსა შინა შენსა და ნუ გაამტლავნებ მას, ვიდრე სხვებისაგან არ მოგესმას ის. შვილო, ნუ დაღერი სხვის სისხლს, რათა არ დაიღვაროს შენი. შვილო, ნუ მიგიზიდავს შენ მდიდრულად ჩაცმული ქალი; მთელი ქონებაც რომ გადააგო მას, მეტს სიამოვნებას ვერ მიიღებ, ვიდრე შენი ცოლისაგან, გარდა ცოდვისა და სირცხვილისა. შვილო, შეიყვარე ცოლი შენი, ის არის ხორცი შენი და აღმზრდელი შვილთა შენთა. შვილო, როდესაც უსირცხვილო ქალს შეხვდე, ან დაემორჩილე მას, ან მოშორდი. შვილო, ახალი ამხანაგი ორჯერ მაინც გამოცადე, რათა ცუდი რამ არ შეგემთხვეს მისგან. შვილო, როგორც მიწა დედაა ყველა მცენარეულობისა, ისე სიმთვრალე ყოველივე ბოროტებისა. შვილო, ჩემო ნათან, ყოველივე ეს დაიხსომე და იქნები ბრძენი და პატივცემული მეფეთა წინაშე. ასეთი იყო ჩემი სწავლა-დარჩება, მეგონა, ნათანი დაიშარხავდა მას გულსა შინა, მაგრამ ყოველივე ეს გაფანტა, ვითარცა ნაცარი წყალსა შინა. მე მივეცი მას სახელი, ქონება, ვეზირობა სენექირიმისა, მან კი ყოველივე დაივიწყა და დამიწყო თხრემლის თხრა“. თუ რაში მდგომარეობდა ეს თხრემლის თხრა, ქართულში გადმოცემული არაა¹.

¹ იხ. ის არაბულ ვერსიაში: М. Агтаж, Юбилейный сборник в честь Всев. Ф. Миллера, гл. 116—120.

ამ მოთხრობის ქართული ვერსია ნ. ნ. დურნოვოს, ამ საგნის სპეციალურად მკვლევარს, შეუდარებია სხვა ენებზე არსებულ ვერსიებთან, კერძოდ ასურულ, სლავურ, არაბულსა და სომხურთან, და აღმოჩენილა, რომ ის ნათარგმნი უნდა იყოს სომხურიდან: მოთხრობის სათაური, საკუთარი სახელები, სწავლა-დარიგებათა რიცხვი და რედაქცია სომხურს მისდევს¹. ყველა იმ შემთხვევაში, სადაც სომხური ტექსტი სხვა ვერსიებისაგან განსხვავდება, ქართული სომხურს უდგება, ხოლო, სადაც ქართული სომხურისაგან განსხვავდება, ის არც სხვებს უდგება და გადამწერთაგან დამახინჯებას უნდა წარმოადგენდეს². აღ. ხახანაშვილის ტექსტი გადაწერილი ყოფილა 1834 წელს. ზოგიერთი სტილისტიკური მოვლენის მიხედვით, რომელიც ა. ხახანაშვილს აღუნიშნავს, შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი ძველი არაა: ის შეთვრამეტე საუკუნეზე ძველი არ უნდა იყოს, და ეკუთვნის იმ დროს შეთვრამეტე საუკუნისას, როდესაც გაცხოველდა ქართველ-სომეხთა ლიტერატურული ურთიერთობა და სომხურიდან ითარგმნებოდა თხზულებანი სხვადასხვა დარგიდან.

¹ The story of Abikar from the Syriac, Arabic, Armenian, Ethiopic, Greek and Slavonic version by F. C. Conybeare, I. Rendel Harris and Agnes Smith Lewis, London, 1898.

² ნ. დურნოვოს შედარების შედეგი და დასკვნანი იხ. А. Х а х а н о в, Очерки, III, გვ. 422—425.

V. საისტორიო ეპოსი

ეროვნულმა მოტივმა და თავისებურმა „რეალიზმმა“, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, აღორძინების ხანის ლიტერატურაში გამოხატულება პოეზია საისტორიო ეპოსის ძეგლებში. ამ ძეგლებში აღებულია საქართველოს ისტორიის ესა თუ ის ეპოქა, ესა თუ ის ისტორიული პირი და მოვლენა, რომლის გარშემო ითხზება ლექსით მთელი პოემა. ასეთი პოემების რიცხვი საკმაოდ მოგვეპოვება.

I. ქუთაისიანი

საისტორიო პოემათა რიგი უნდა დავიწყოთ ქეთევან დედოფლის წამებით, რაც საკმაოდ პოპულარული თემა ყოფილა ჩვენს ლიტერატურაში. პირველი მწერალი, რომელსაც გაუღიქსავს ჩვენი ისტორიის ეს ეპიზოდი. არის თვით ღვაწლთმოსილი დედოფლის შვილი, მეფე თეიმურაზ პირველი. მის შრომას ეწოდება—„წიგნი და წამება ქეთევან დედოფლისა“¹. წინასიტყვაობაში ავტორი მიმართავს ლმერთს, ღვთისმშობელს, წმინდანებს და სთხოვს მათ:

მზის ქეთევანის წამება ვიდოდე რა საქმენითა,
ღირს მყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმევიწი ენითა. (6).

ეს ამბავი მისი არის, ვის უხმობენ დედოფლობით,
თავი მისი ქებით წერეს, ოდეს იყო ხმელთა ფლობით,
აწლა ბოლო შემოკლების, გავერიევე მეცა ფლობით,
ღმერთო ჩემო, გვედრებე, მწერინო ხელუფლობით. (7).

როდესაც შაჰ-აბასი გამოემართა კახეთისაკენ, მას „მიენდო“ ქეთევანი და „უძღვნა ძენი ტურფანი: ალექსანდრე და ლევანი“. ესენი შაჰმა განჯას „დაადო“, თვითონ კი შემოვიდა კახეთში და ააოხრა ის. განჯიდან სისხლისმსმელმა აბასმა პატიმარნი გაგზავნა შირაზს; იქ იმყოფებოდა დედოფალი, რომელიც ნუგეშს პოეზიად იმაში, რომ ხუთი წლის განმავლობაში ზრდიდა „ნაყოფსა ძისასა“, ესე იგი შვილიშვილებს. ხუთი წლის შემდეგ შაჰმა ალექსანდრე და

¹ თეიმურაზ I, თხზ. სრული კრებულის, 2. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოც., გვ. 126—137.

ლევანი შირაზიდან თავისთან გაიწვია. ქეთევანი გრძნობდა, თუ რას ნიშნავდა ეს, ამიტომ მან ცოცხლი ვამოიტირა ისინი. ტირილსა და ვაებაში ის მოუწოდებდა თავის გამდელს ხვარამზესაც კი, მაგრამ ნუგეში არსაიდან იყო. ამის შემდეგ მას მეტი არა დარჩენოდა რა, გარდა ლოცვისა და მარხვისა. ტირილისა და ვაებისაგან მოეშალა „ბაგე და კბილი“ და დაკარგა ძოწმარგალიტობა. ტყვეობაში ქეთევანმა დაპყო სულ ათი წელიწადი. შაჰ-აბასმა შირაზის ხალახანს შეუთვალა: „ქეთევანს დიდხანს ნუ აცოცხლებ“, თუ შაჰმადის რჯულს არ მიიღებს და იესო ქრისტეს არ დაჰკმობსო. შირაზის გამგეს იმამ-ყულიხანს, რომელიც პოეტის სიტყვით, იყო „მდაბალი, ტკბილი, მოწყალე“ (32), ეწვინა შაჰის ასეთი განკარგულება: „თეიმურაზის დედას ვით ვკადრო უკადრონიო?“ (31), ამიტომ სამი თვე არ გამოუცხადებია მისთვის ეს საშინელი ამბავი. მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა გაეცხადებინა ეს დედოფლისათვის. ქეთევანი ჯერ შეკრთა, მაგრამ მერე შემოიკრიბა სულიერი ძალა და ღმერთს მიმართა ვედრებით განაძლიეროს ის და ღვაწლის შემდეგ შერაცხოს წმინდათა თანა ქალწულთა, თან დაუმატა შემდეგი:

სასწული მოვლინე ქრისტაინთ ტყვეთა ზედა,
შეღლს ჩემსა თემურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,

ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა. (46).

ამის შემდეგ ეზიარა და დაიწყო მზადება ამიერ სოფლით განსვლისათვის. დანიშნულ დროს მოვიდნენ მტარვალნი და მოიტანეს თან ტანჯუა-წამების იარაღები: ქალფათინები, შამფურები და ბარები. გააჩაღეს ცეცხლი და ჩაყარეს შიგ ლურსმნები. ქეთევანის მოახლენი შეშინდნენ და დედოფალს სთხოვეს—თავს ნუ გასწირავო. ერთმა მათგანმა, თინათინმა¹, საშინელი კვიო-იონი მორთო, რისთვისაც ჯალათებმა ის კარში გააგდეს შიშველ-ტიტველი. მას გზაზე შემოეყარა გივი, რომელმაც გაახვია ის თავის შალში. ტანჯვის აღგილზე დაუძახეს დედოფლის მოძღვარს, იმერელ გიორგიის. საშინელი სურათის დანახვაზე ისიც შედრკა, მაგრამ დედოფალმა გამზნევება დაუწყო მას. შეუდგნენ წამებას: ქეთევანს შეუკრეს ხელ-ფეხი, გაზით დააგლიჯეს ძუძუები, ტანსა და თავზე დაადგეს შანთები, „მკერდით ზურგამდე გაავლეს გახურებულნი რკინანი“, „ქვეშ დაუფინეს, დახურეს ზედა ლურსმისა რკინანი“. ერთი სიტყვით, ისეთი საშინელი ტანჯვა მიაყენეს მას, რომ ენა ვერ გამოთქვამს. ქეთევანმა, რომელიც მამაკურად და შეუდრეკლად იტანდა ყველაფერს ამას, ძლევაშოსილად განუტევა სული.

ერთი წლის შემდეგ ახადეს მისი სამარხი, მაგრამ შიგ ვერაფერი ნახეს. ზოგი ამბობდა—ფრანგები მოიპარავდნენო, ზოგი კიდევ ფიქრობდა—„ხეცას წასულაო“. მისი ამბავი ვაერცელდა ყველგან, ჯვარისმოსავთ უნდოდათ მისი წმინდა ნაწილი: „თორმეტ ათასი თუმანი ფრანგთაგან დაითვლებოდა“, მაგრამ შაჰ-აბასი არავის აძლევდა მას.

¹ ეს თინათინი უნდა იყოს ქართველი ტყვე ქალი, ქეთევანთან ძალზე დაახლოებული, ვინმე თინათინ წიბა, რომელიც სპარსეთში ცოლად შეურთავს ცნობილ პიეტრო დელა ვალეს.

პოემა თავდება ავტორის განცხადებით: თუ ვინმე დაუმატებს ამ ჩემ ნათქვამს, არა მაქვს რა საწინააღმდეგო, მხოლოდ არ შესცვალონ ეს ჩემი შრომა, რომელიც 80 ლექსად¹ არის ნათქვამი (86). მართლაც, ვილაც მელექსეს, ხელნაწერთა მიხედვით, მერე მიუმატებია „შვიდი-ექვსი“ სტროფი, თანახმად ავტორის ნებართვისა (ნამდვილად კი ათი, 68—96, სტროფი).

თხზულებაში, ისტორიულ სინამდვილესთან ერთად, მოხდენილადაა გამოცემული სულიერი განცდა როგორც ტანჯული დედოფლისა, ისე თვით ავტორის, თეიმურაზისა, რომელიც, აღშფოთებული მტარავალთა მოქმედებით, უნებლიეთ წაჰოიძახებს:

მე ავაზაი, შემყოფე, ახლოს არ ვაყვ, ვინანი,
მარჯვენიო ჯვარსა არ ვეცვი, აბა ვარ ცრემლთა ზღინარი. (67).

საგულისხმოა, რომ ამ კერძო ხასიათის ეპიზოდში მას დაუნახავს თანამედროვეობის დამახასიათებელი მოვლენა, ქეთევანის ღვაწლს ის უყურებს როგორც მსხვერპლს, ტანჯული კახეთისათვის გაღებულს. ის ტირის და კენესის, რომ სამშობლოს უღმობელი ბედი და აუტანელი მდგომარეობა ასეთ მსხვერპლს ითხოვს. თეიმურაზმა პირველმა მოჰკიდა ხელი ქართულ „ლიტერატურაში ნაციონალური თემატიკის დამუშავებას. მისი პოემა მიზანდასახულებითა და კომპოზიციით, რა თქმა უნდა, ძირითადად განსხვავდება აგიოგრაფიული თანრის „მარტვილობისაგან“.

როდისაა დაწერილი პოემა? ერთ ადგილას პოეტი ამბობს:

მათ აწამეს წმიდა ესე სევდენბერსა ათორბეტსა;
შვიდსა თვემდე მოგახსენებ სასწაულსა მეტის-შეტსა;
საქართველო აღებულა წელს ნაჰამი ათორბეტსა,
მარტში დარჩა მას მეუფეს ქრისტიანი, ნათლის სვეტსა. (76).

¹ ნამდვილად ხელნაწერებში 86 სტროფია, მაგრამ ამათგან ექვსი, ალბათ, სხვისი ინტერპოლაციაა. ყოველ შემთხვევაში, 69—70 სტროფებს იცნობს მხოლოდ ერთი ხელნაწერი. ხელნაწერ S 1511-ის გადამწერს, 669-ე გვერდზე, ამ ძოგმაში იქ, სადაც აღწერილია ქეთევანის ტანჯვა, სტროფებს შუა: „ზეციით მოვიდა ნათელი“ (72) და „წელხედ ახადეს საფლავი“ (73), ჩაუმატებია სულხან-საბა ორბელიანის სამი სტროფი, რომელშიაც ეს საშინელი სცენა საკმაოდ რელიეფურადაა წარმოდგენილი:

დედოფალი ვით შეამკვეს მათ უღმრთოთა რჯულის მტერთა,
ნათია ნაცულად დაუფენდეს მიწათა და ცუდთა მტერთა,
სამკუთხს ლურსმანს ქვეშ უგებდენ, ვით ორხუვა, ვითა ტერთას,
ხან სევმდენ და ხან შეჰკრეიდენ, ვითა ხელსა და ტეტერთა.

მოკაზმიდენ შვენიერად, შეუქმოდენ ფისსა ზილფად,
ცხელს შამფურსა ქინძისთავად, საოლავედ გინდა სკითად,
ტანჯვის სარკედ, ცემას მარგედ, ნაცარს სურმად, გაზსა ჩქიფად,
აჭურს საპნად უსევმდიან, განსაყმენდლად კოხსა ლიფად.

ცხელსა ქვაბსა თავს გვირგვინად, საყურებად ნაყვერცხალსა,
ყამჩად ბარსა, საყებურად მხურველესა წალს ახალსა,
საქს ამბარჩად, ყელსაბამად მწარეს თოყსა, ვითა მხალსა,
ქამრად ჯაჰუსა მოუქერდენ, შანთს დასმოდენ, ვითა ხალსა.

ეს ნიშნავს: ქეთევანი აწამეს 12 სექტემბერს, მე მოგახსენებ დიდ, მეტისმეტ სასწაულს, რომელიც, მოხდა ამ წამებიდან შვიდი თვის გასრულებამდე: შვიდი თვის შესრულებამდე, მარტში, ჩემ მიერ აღებულ ან დაკავებულ იქნა საქართველო, რომელიც თერთმეტი წლის განმავლობაში ნაკამი, ექსპლოატირებული იყო სპარსთაგან. ამით ის, საქართველო, დარჩა მეფეს, სვეტიცნათელს, ქრისტიან ქვეყნად.

„მეტის-მეტი“ სასწაული, საქართველოს აღება თეიმურაზის მიერ, მომხდარა შვიდი თვის გასვლამდე ქეთევანის წამებიდან. ქეთევანი აწამეს 1624 წლია 12 სექტემბერს, მასასადამე, თეიმურაზს საქართველო დაუკავებია 12 მარტის შემდეგ 1625 წელს, 12 აპრილამდე, როდესაც სრულდებოდა ქეთევანის წამების შვიდი თვე. მართლაც, ამ ფაქტს უჩვენებენ 1625 წლის 25 მარტს¹. ამ წელს მართლაც 11 წელიწადი შესრულდა სპარსთა მიერ საქართველოს „კამისა“, ვინაიდან ქართლ-კახეთი შაჰ-აბასმა 1614 წელს დაიკავა². ამ წლისა და „მეტის-მეტი“ სასწაულის ნიშანდობლივი აღნიშვნა მაჩვენებელია იმისა, რომ პოემა დაწერილია 1625 წელს, ქეთევანის წამებისა და მისი მეოხებით მისი შვილის, თეიმურაზისათვის, „მტერთა ზედა ძღვეის მიცემის“ (46) უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ.

თეიმურაზს გამოჩენია მიმბაძველები, რომელთაც აგრეთვე გაულექსავთ ქეთევანის წამება. ასეთებია, მაგალითად, მღვდელმონაზონი კოზმანი, რომელიც ლექებმა მოკლეს 1735 წელს; ამას ადასტურებს ბატონიშვილი იოანე, რომელიც ამბობს: კახთა მეფის მწიგნობართუხუცესმა და მრავალმთის ხუცესმონაზონმა კოსმამ „გამოთქუა შესხმა ქეთევან დედოფლისა“³, ხოლო „ცხოვრება და წამება მისი აღუწერია ხუცესმონაზონს გრიგოლ დოდორქელს“⁴.

მეორე პოეტი, რომელსაც ლექსადვე აღუწერია ქეთევანის წამება, არის დიმიტრი ბაგრატიონი, მწერალი მეთვრამეტე საუკუნის გასულისა და მეცხრამეტის პირველი მეოთხედისა⁵.

ქეთევანის წამება აღუწერია 1626 წელს პიეტრო დელა ვალეს, რომელიც იმ დროს შაჰ-აბასის კარზე იყო, თხზულებაში „Informatione adella Georgia“⁶. ამ თხზულების საფუძველზე 1646—1648 წლებში გერმანელ დრამატურგს ანდრეას გრიფიუსს დაუწერია ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კატარინა“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იდგმებოდა გერმანულ სცენაზე⁷.

¹ თ. ეო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 446, შენიშვნა.

² იქვე, გვ. 440.

³ „კალმასობა“, II, 182.

⁴ იქვე გვ. 181. ეს შრომა გამოცემულია ტრ. რ უ ხ ა ძ ი ს მიერ („ლიტერატურული ძიებანი“, V, გვ. 229—267).

⁵ დიმიტრის ეს თხზულება დაიბეჭდა კიდეც 1819, 1876, 1895 წლებში. აღნიშნული ნაწარმოები შემონახულია სამი რედაქციით: ერთი მოთავსებულია ქუთაისის მუზეუმის № 637 ხელნაწერში, მეორე—№ 664, მესამე—№ 665 ხელნაწერში.

⁶ Z. Avalishvili, Teimuraz I and His poem „The martyrdom of Queen K'el'evan“, Georgianica, Autumn, 1937, p. 17—42.

⁷ А. В и б и ч а д а е, Андрей Грифиус и его трагедия „Королева Грузии Катерина“ автореферат диссертации), Тбилиси 1960.

2. შაჰნავაზიანი

„შაჰნავაზიანი“ არის საისტორიო პოემა, რომელშიაც გალექსილია ცხოვრება და მოღვაწეობა მეფის ვახტანგ მეხუთის, შაჰნავაზად სახელდებულისა (1658—1675 წწ.)¹. უფრო სწორად რომ ვთქვათ, აქ წარმოდგენილია ვახტანგის არა მთელი მეფობა, არამედ მისი ნაწილი, 1658 წლიდან 1665 წლამდე. პოემა შენახულია ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერით, რომელიც 1848 წელს სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს უჩუქებია მ. ბროსესათვის, ხოლო უკანასკნელს გადაუცია ის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმისათვის. ამჟამად ინახება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტში. რამდენიმე ფურცლის დაკარგვის გამო პოემის ეპილოგს აკლია ბოლო ნაწილი. ამჟამად ის შეიცავს პროლოგითურთ 61 თავსა და 1151 სტროფს, რომელიც დაწერილია 16-მარცვლიანი რუსთველური ლექსით.

პოემას ხელნაწერში² მიუძღვის პროზაულად დაწერილი ზოგადი მიმოხილვა ვახტანგის გამეფებისა (ამ მიმოხილვის დასაწყისი დაკარგულია), მისი მოღვაწეობისა და ახოვნებისა. ეს მიმოხილვა თავდება ასე: «განაგეს სადღოფლოს რიგი და ითხოვეს ზღუათა კელმწიფის დადიანის ლევანის ასული პირმთვარე მარიამ; და შეიყარნეს ესე ორნი სატურფალნი და დააშუენეს სრა და სამყოფი. იხარებდა მათისა ნახუით ყოველი სული; ამა დიდთა კელმწიფეთა ინებეს ცხორება მათი და კელჰყო მონამან ვინმე გალექსეად წიგნისა ამის». ამის შემდეგ პირდაპირ იწყება პოემა 35-სტროფიანი პროლოგით, რომლის პირველი სტროფი ასე იკითხება:

ესე ამბავი იწყების ქართულთა კელმწიფეთანი,
ვინ ქლითა ბადრობს მებრძოლთა, შექნა ყოლგნითა ქუეთანი;
ვერვინ დაუდგა სულდგმული, აბჯართა უწყო ფეთანი,
სხუა ვინ მოუთქუა სიკეთე, ანუ სისავსე ზნეთანი. (1).

¹ ნ. მარი ამბობს, რომ „შაჰნავაზიანი“ აწერილია თავგადასავალი მეფის გიორგი მეტეხრთმეტის შაჰნავაზისა („Возникновение и расцвет древне-грузинской советской литературы, ЖМНПросв., Декабрь, 1899 г., стр. 234). ეს მით უფრო საკვირველია, რომ თვით პოემაც რომ არ ყოფილიყო მისთვის ხელმისაწვდომი, მ. ბროსეს გადმოცემიდანაჲ (HG., II, I, 1, p. 601—614) შეეძლო გაეგო, რომ პოემაში იგულისხმება არა გიორგი, არამედ ვახტანგ შაჰნავაზი. ასევე ფიქრობს ა. ხახანაშვილიც („ქართული სიტყვიერების ისტორია მეფერ. საუკუნეზღდე“, 1919 წ., გვ. 352). ცნობა ხელნაწერის შესახებ იხ. ИАН, 1909 г., т. XXI, № 1, стр. 018.

² ხელნაწერის აღწერილობა და პოემის მოკლე შინაარსი, საჭირო კომენტარებით, მოუცია მ. ბროსეს („Histoire de la Géorgie“, II, 1, Addit. VIII, p. 601—614). განსვენებულ დავით ყიფშიძეს სტუდენტობისას გადმოუღია ამ პოემის პირი, რომელიც მისი ნებართვით ჩვენც გვკონდა ხელში საჭირო ცნობების ამოსაღებად. დღეს პოემა გამოცემულია გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით (ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბ., 1926 წ.). ამჟამად ვსარგებლობთ ამ გამოცემით.

ემანი გარდახდენ, მეფეთა არვის უბრძანეს წერასა,
 არცა ვინ კელყო გამოთქმად ტებოლსაუბართა თქმევასა,
 ან მელექსესა რა რჯიდა ველად დაეწყო რბენასა,
 დაუბაღლებლად სიტყუანი საღ წარმოთქვა ენასა? (2).

პოეტი მოიგონებს რუსთაველს, ტარიელ — ნესტან — ავთანდილ — თინათინის შემგებებს, სერაპიონს, როსტომის შთქმელს, და კახთა მეფეს თეიმურაზს, ლეილმაჯუნუნისა და უსუფ — ზალიხას მეზობლებს, აღნიშნავს მათს შერუდარებელ მელექსეობას, მაგრამ ამასთანავე გაკვირვებას გამოთქვამს, რომ მათ გაიმწარეს ძილი და გარდააგეს თავი უცხო ამბებისა და უცხო პირების სათქმელად და საქებრად, ისეთი პირებისა, რომელნიც ნამდვილად არც კი ყოფილან არასდროს. მე, თუმცა არა მაქვს მათი სიბრძნე, მაგრამ მზადა ვარ შევიმყო ბატონის ძალი, სიმბნე და ჯომარლობა, რაც თვითონ მინახავს რასაც მე მოესწრებოდა. ამის შემდეგ ის მოიგონებს ქვეყნისა და ადამიანის ვაჩენას, უკანასკნელის სამოთხით გამოვარდნას, და მიმართავს ღმერთს თხოვნით — მისცეს მას სქედება პირნათლად შეასრულოს განზრახული საქმე. მოიგონებს რა ებრაელთა მეფეების დავითისა და სოლომონის სიბრძნესა და სიქველეს, ის გადმოდის საქართველოში და ხოტბას უძღვნის ვახტანგ გუარგუასალის (sic), მირიან მცხეთელის, აშოტ კურატის (sic), არჩილ დიდის, ბაგრატ კურატის, დავით აღმაშენებლის და თამარ დედოფლის დიად მოღვაწეობას. მერე იწყებს თავისი შრომის პირველ თავს: „აქა ამბავი ამა უებროს კელმწიფის შვილის ვახტანგისა, რომლისა მსგავსი არა ნახულა ადამითვან ღლეთამდე“, შემდეგი სიტყვებით:

მათან დარბა ვაგი ვინმე, შუილი იმა კელმწიფეთა,
 მის სახელად ვახტანგ დასდევს, აქებდიან კაცთა ძეთა;
 ცოტა იყო, ხუთი წლისა, ასწავლიდენ გვირთა ზნეთა,
 მართ შამხანვე დაამსგავსეს დამრღუველად საღთა კლდეთა. (36).

შეიკრიბნენ დიდებულნი ქართლისანი, კათოლიკოსი, აზნაურნი, მთიულთა წარმომადგენელნიც და გადაწყვიტეს, რომ იმათ პატრონად ვახტანგი არის ღვთისაგან წინასწარვაჩენილი, მივიდნენ მისთან და სთხოვეს ეპატრონა მათთვის. ვახტანგი დითანხმეს და, როდესაც დადგა დრო და ეამი, მცხეთას აკურთხეს მეფედ დიდი ზეიმითა და მეჯლიშით. ვახტანგის კაბუკობისა და შერუდარებელი სილაბაზე-მოხდენილობის ამბავი მოესმა სპარსეთის შარიერს, ყენს, რომელმაც ვეზირების რჩევით, ისპაანიდან ტფილისს გამოგზავნა უცხო მხატვარი, რომ, თუ პირდაპირ ვერა, სურათით მიანიც გაეცნო ეს კაბუკი. მხატვარი დიდი ამბით მიიღეს, მაგრამ ის იმდენად დააბრმავა ვახტანგის პეროვნებამ და სხივებმა, რომ სურათის გადაღება ვერ მოახერხა და ხელცარიელი წაეიდა უკან. შარიერს ეწყინა ეს და გადაწყვიტა ვახტანგი პირადად ენახა, ამისათვის თვითონ დაიბარა ის. ვახტანგმა ქვეყანას უჩინა ჯეროვანი მცველები, თვითონ წაიღო ყველაფერი, რაც გზაში საჭირო იყო, გაიყოლია თან ორასამდე გულოვანი მხედარი და გაუდგა გზას. გზაზე ხანები დიდი ამბით ეგებებოდნენ და უმაპანიძღლებოდნენ მას. ქალაქში შესვლისას თვით

შარიერი შემოეგება, აკოცა, როგორც ძმას, და მეგობრულად მიიღო. ყვენი მას არ იცილებდა, მუდამ თავისთან ჰყავდა, ერთად ქიეთობდნენ და შეექცეოდნენ. პატივი სცა მას ისპაანშარის ამილბარობით, მიუბოძა გილანი და ხონინი საყმოდ და გამოუცვალა სახელი, „უქმო შაჰნავაზ მეფობით“. რამდენიმე ხნის შემდეგ, ვახტანგის სურვილის თანახმად, ის მან გამოისი ტურმა სპარსეთელში. მეფის დაბრუნების გამო თბილისში დიდი ზემი და მხიარულება გაიმართა. დიდებულებმა დაასკენეს, რომ მეფის უმეჯუფთოდ ყოფნა არა ხამს, ამიტომ მოინდომეს მოეძებნათ მისთვის ღირსეული საცოლვე. იმათი არჩევანი შეჩერდა „ზღვათა ხელმწიფის“, ლევან დადიანის, ასულ მარიამზე, რომელიც მეტად ლამაზი და 'მოხდენილი იყო. ლევანს გაუგზავნეს კაცები, მან სიხარულით თანხმობა განაცხადა. მერე გაგზავნეს მკურები სათანადო შარნით და ქალი ოღინიდან მოიყვანეს. მეფე მიეგება მათ ს. ალთან, აქედან კი. თბილისს მოიყვანა. გაიმართა უდიდესი ქორწილი, ლხინი, სმა; თამაში და საბოძერის გაცემა. ამის შემდეგ მეფე შეუდგა შინაურ საქმიანობას, შეამკო და ყოველნაირად გაამდიდრა თბილისი: მტკვრის პირას ფრანგ ოსტატებს ააგებინა სალხინო სახლი, რომელიც ააესო ძვირფასი ქურკლებითა და ნივთებით. სასახლის გარშემო გააშენა მშვენიერი ბაღი, სადაც ის დროგამოშვებით ლხინობდა, და თავის საყვარელ მეუღლესთან სრულ ბედნიერებას განიცდიდა. მათ შეეძინათ მშვენიერი, ტურფა, ახოვანი და გულოვანი ვროტლები, რომელთაგან პოეტო ასახელებს არჩილს, გიორგის, ლევანს და ერთ ასულს. მეფემ შეიღებს მიუჩინა თითო-თითო თემი, წვრთინდა მათ და ასწავლიდა ყოველგვარ ზნეს. ყუენთან მეფეს ჩინებული განწყობილება ჰქონდა: მისგან მიჩნეული იყო საყვარელ ძმად და მეგობრად, იღებდა თვალ-მარგალიტს, თავისთვის ხალათს, თაჯს, ჯილასა და თომარს, სახელოდ ჰქონდა ისპაანშარი, ეკირა გილანი და მაზანდარა და ბეგლარბეგობა არეზს აქეთი ხანებისა. ნადირობდა სხვადასხვა ალაგას, უფრო კი ყარაიაზში, ზემობდა, საბოძერის გასცემდა უხვად და ბედნიერად გრძნობდა თავს.

ამ დროს იმერეთში გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე, რომელსაც პირველი ცოლისაგან დარჩა ძე ბაგრატი. ბაგრატი დედინაცვლის, ნესტან-დარეჯანის, შიშით გადამალული იყო გურიაში. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ იმერლებმა ის მოიწვიეს მეფედ, დედინაცვალმა მას ცოლად შერთო თავისი ძმის ქალი, მაგრამ ამავე დროს გადაწყვიტა თვითონ დამჯდარიყო ტახტზე. ამისათვის მან ბაგრატი შეიპყრო და თვალები ამოსწვა, ხოლო თვითონ კმრად შერთო ვინმე ვახტანგი, ბაგრატიონთა გვარის კაცი. იმერლებმა ეს რომ დაინახეს, შეწუხდნენ. მათ გადაწყვიტეს არ დამორჩილებოდნენ ტახტის მიმტაცებელს, ამისათვის მოციქულები გაუგზავნეს დადიანს და სთხოვეს მოსულიყო და დაეკავებინა იმერეთის ტახტი. დადიანი წამოვიდა ლაშქრით და მოადგა ხონს. დედოფალმა რომ დაინახა კარზე მომდგარი ხიფათი, იმწამსვე კაცი აფრინა ქართლს შაჰნავაზთან და მას დახმარება სთხოვა: თუ მე არ დავრჩები მეფედ, მაშინ ისევე შენ დაიქირე იმერეთი, მხოლოდ „ჩვენც რამ გუარგე ნატირალსაო“. შაჰნავაზმა რომ გაიგო საქმის ვითარება, თავისი გულისწყრომა გამოთქვა დედოფლის ვერაგობისა და ბაგრატის გაუბედურე-

ბის გამო და დაიწყო ბჭობა, თუ როგორ მოქცეულიყო. მეფემ შეყარა ოცი-ათასამდე ჯარი და გასწია იმერეთისაკენ იმ გადაწყვეტილებით, რომ სასტიკად დაესაჯა ბაგრატიის უღმობლად გამაუბედურებელნი. კოლბაურს, სადაც მან კარაგი დასცა, ვახტანგს მოეგებნენ წერეთლები, რომელთაც თავი იმართლეს მეფის წინაშე. აქედან გადაიხდა საზანოს, სადაც ავროთეე შეხვდნენ მას თავადები. ვამეყ დადიანმა რომ მეფის გამოლაშქრება გაიგო, შეშინდა და შეუთვალა მოკვლასა და ბედიელის პირით: იმერლებმა ამოაგდეს მეფე, ქვეყანა უპატრონოდ დარჩა, მოდი, ჭუაზე გაიყოთ, დავემზავლოთ ერთმანეთს, მე ჩემს ქალს მოგცემ შენი შვილის არჩილისათვის საცოლედ, და იყოს ჩვენ შორის სიყვარული და მშვიდობაო. მეფემ ჯერ უარი თქვა: პაპაჩემი მთელი საქართველოს პატრონი იყო, ამიტომ იმერეთი მე მართო მეკუთვინისო,— მაგრამ მერე, კათოლიკოსის რჩევით, მან შეუსრულა დადიანს თხოვნა და იმერეთი გაუყო მას, „საზღუარი ზუსა დაიღვა, სადა წყალი არის მდინარე“. სამაგიეროდ მან მიიღო ნახევარი იმ საუფლისწულო სიმდიდრისა, რაც იმერეთში ხელთ იგდეს მეგრელებმა და დაბრუნდა სახლში. რაც შეეხება დარეჯანის, მისი ქმრის ვახტანგის, ბრმა ბაგრატიისა და მისი ცოლის ბედს, როგორც დედოფალს მარიამს გადასცა იმერეთიდან საგანგებოდ გამოგზავნილმა კაცმა, ისინი დადიანმა წაიყვანა, ვახტანგი „ქელთა დაიჭირა“, ხოლო დარეჯანი „ბოზოთის ტყვედ მოიყვანა“. მეფე დაბრუნდა თბილისს და რამდენიმე წინს შემდეგ დადიანს, პირობის თანახმად, ქალი გამოსთხოვა თავისი შვილისათვის საცოლედ. ამისათვის გაგზავნა მენიშნენი, რომელნიც იივიდნენ ოდიშს, ნიშნობა გადაიხადეს დიდი ამბით და უკანვე დაბრუნდნენ. მაგრამ შემდეგში დადიანმა მეფეს პირი უტეხა და თავისი ქალი, ცაგერლის რჩევითა და ზეგავლენით, სხვას, თავადთაგანს, ბეიან ლოლობერიძეს, მიათხოვა. მეფემ რომ გაიგო ეს, განრისხდა საშინლად და თქვა: ახლა მოვიდა დადიანის აღსასრული, მას მე საპატრონოს წაყვარებე და მის მაგიერ დავაყენებ ჩემს ხელთ მყოფ შამდავლეს. მან შეყარა ქართლში ჯარი, მისწერა იმერლებსაც და უბრძანა მზად ყოფილიყვნენ. იმერლებიც თავდადებით გამოეხმებოდნენ მეფის წინადადებას. ვამეყს აცნობეს—მეფე მოდისო, მას ურჩიეს მორიგება, მაგრამ ეს მას ეთაკილა, ამიტომ მან შეყარა ლაშქარი, გაიყოლია თან ცაგერელი, მის მიერ ფიცის გატეხის მთავარი მიზეზი, თავისი ახალი სიძე ბეიანი და მოვიდა ქუთაისს, აქ დატოვა დედოფალი და თვითონ გაუდგა გზას შაჰნავაზის პირისპირ შესაყრელად. ომის დაწყებამდე მას ლალატი ჩამოსცილდნენ ქყონდიდელი-ქილაძე, მისი ძმა ქუელი და მიქელაძენი, ასე რომ ვამეყმა შეშმა ვერ გაბედა და ქუთაისსვე დაბრუნდა. რადგანაც აქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა, მან ციხეში ჩააყენა ჯარი ცაგერლის მეთაურობით, ჩაანგარა ქუთაისის ხიდი და თვითონ ქალაქიდან გაიპარა. შემოვიდა თუ არა ქუთაისში შაჰნავაზი, მან ალყა შემოარტყა ციხეს, რომელიც აიღო ერთმა ლეჩხუმელმა—ხოსიამ. ციხიდან გამოიყვანეს ცაგერელი, რომელიც მეფემ ექსორია ყო სომხითს. მეფე წავიდა აქედან ოდიშის დასაკავებლად და ვამეყის დასაქერად, მაგრამ ის ვერსად იპოვა. მისი ცოლი ელენე და ქალი უპატრონოდ იყვნენ დაყრილნი და არ იცოდნენ, რა ექნათ. ელენემ თავისი ქალი დაუტოვა როსტომ აფაქი-

ძეს, რომელსაც სიძეს ეძახდა, თვითონ კი წავიდა აფხაზეთს და იქ სოლომონ შარვაშიძეს სთხოვა თავმესაფარი. სოლომონი გაჯაყარდა, როგორ თუ მე ფიცს გამტეხის გულისათვის დიდ მეფეს უნდა ვაწყენინო, და გადაწყვიტა დედოფლის დაქერა. დედოფალს ეს გააგებინა შარვაშიძის ერთმა მონამ, ამიტომ ის აღგა, შეჯდა ცხენზე და დაბრუნდა როსტომ აფაქიძესთან, მას შეავედრა თავი და სთხოვა დამეძალა ციხეში. როსტომმაღ მტკიცე სიტყვა მისცა: სანამ ცოცხალი ვარ, არავის დავანებებ შენს თავსო. ნამდვილად კი მაშინვე აღგა, მივიდა მეფესთან, რომელიც ბანძას იდგა, და უთხრა: შემძლია ახლავე მოგვეარო ჩემ ხელთ მყოფი დედოფალი და მისი ქალიო. მეფემ ერთგულებისათვის მადლობა გამოუცხადა და სთხოვა მოეყვანა ტყვეები. როსტომი დაბრუნდა სახლში და დედოფალს უთხრა: მეფეს გაუგია შენი ჩემსას ყოფნა და მიბრძანა—ახლავე მომგვარეო. დედოფალმაღ უთხრა: მეტი რაღა დამრჩენია წავიდეთო. მეფესთან რომ მივიდნენ, დედოფალმა სთხოვა მას: ნუ წაახდენ ჩემ ქმარს და დავმორჩილებითო. მეფემ უთხრა: შენ არას გავენებ, არც შენ ქმარს დავუშვებ რამეს, თუ თვითონ მოვა და დამნებდება, საპატრონოსაც კი დავუბრუნებ, თუ არაღა მთელ ოდიშს დავამხობო. აქედან მეფე მივიდა წაქუიჯის ციხეში, სადაც დაპატიმრებული იყო ნესტან-დარეჯანი და ბაგრატიის ცოლი. დარეჯანს გაუხარდა მეფის მისვლა, მოციქული გაუგზავნა მას და სთხოვა ტყეობიდან განთავისუფლება. მეფე შევიდა ციხეში, დედოფალს საყვედური უთხრა მისი ავკაცობისათვის, თუმცა მერე მოუღბა და თხოვნის აღსრულება აღუთქვა. ციხიდან გამოიტანა მთელი სალარო და წავიდა ზუგდიდს. ზუგდიდში მან დაათვალიერა დიდი ლევანის ნაშენი სასახლეები და კოშკები, მისი სალაროები და სიმდიდრე და ყოველივე ეს მიუთვალა შამადავლეს, რომელიც დადიანად დასვა ლევანის სახელით, და დაუმორჩილა მას, ოდიშართ გარდა, აფხაზნი და ალანნი, აიღო მათგან ერთგულების ფიცი და გამობრუნდა უკან. გზაზე მას შემოეგება კაცი, რომელმაც აუწყა, რომ ვამეყ დადიანი, რომელიც სვანეთში იმალებოდა, მოუკლავთ სვანებსო. მეფემ ბრძანება გასცა მოეგვარათ მისთვის ვამეყის ვაჟი, სვანეთში უპატრონოდ დარჩენილი, და შეუერთა ის მასთან მყოფ დედასა და დას. წაქუიჯის ციხიდან მან აქვე მოაყვანინა იმერეთის დედოფალი ნესტან-დარეჯანი, მისი ქმარი ვახტანგი, ბრმა ბაგრატი და მისი ცოლი. მეფე გამოესალმა ლევან დადიანს და წამოვიდა ოდიშისაკენ, საიდანაც ის ქუთაისს დაბრუნდა. აქ მას თხოვნით მიმართეს იმერლებმა, რათა მიეცა მათთვის მეფედ თავისი შვილი არჩილი. მეფეს მოეწონა ასეთი თხოვნა, დაპირდა მის ასრულებას და დედოფალს ქართლში საჯანგებო კაცის პირით ყველაფერი შეატყობინა. დედოფალმა საპასუხო წერილში მიულოცა მას სახელოვანი გამარჯვება და საქართველოს გაერთიანება და გაუგზავნა საყვარელი შვილი არჩილი, რომელიც აქურთხეს იმერეთის ტახტზე. იმერეთის საქმეების გარეგნების შემდეგ ვახტანგი გამოეთხოვა შვილს და წამოვიდა თავის საბრძანებელში. დედოფალი მას მიეგება გორში, სადაც მას, მისი თხოვნის თანახმად, წარუდგინეს ვამეყის ცოლი ელენე და მისი ქალი, „ყოფილი მეფეთ რძლობითა“, რომელმაც გულამოთუთქულად უთხრა მარიამს: „ხეველად გახლდე,

არ ველირსე დედოფლობით“-ო. დედამისმა ელენემ, მეფის ოჯახის მორთულობისა და ბედნიერების დანახვაზე, მოიგონა თავისი წარსული და საშინელი ტირილი მორთო. მარიამმა მას ნუგეში სცა, შესაფერისი ტანისამოსი უბოძა, განცალკევებულ ბინაში დააყენა და მოახლენი მიუჩინა.

ახალციხის ფაშამ როსტომმა ხვანთქარს შეატყობინა, რომ შენ მამულში, იმერეთში, გამეფდა ქართველთა მეფის შვილი არჩილი და ქვეყანა ყიზილბაშებით აივისოო; ხვანთქარი განრისხდა, როგორ გამიბედა მე ეს საქმე ყენნმა, რომელთანაც ღროებით დაზავებული ვარ, ახლავე მთელ ერანს მოვაობრებო! ვეზირებმა ურჩიეს, ჯერ გაეგზავნა კაცი ყენთან და გაეგო საქმის ნამდვილი ვითარება. მართლაც, ყენს მისწერა კეისარმა, ანუ ხვანთქარმა: ეს რა გიქონა, რად შემომისიე ქართველები, არ კმაროდა, რომ ვახტანგმა ოდიში ამირია, ახლა იმერეთი დააკავებინე? გთხოვ, ჩამომამორო ქართველებიო! ყენმა იწყინა ასეთი პასუხი: სამღურავე მე მაქვს, რომ შვილად ნაზარდი არჩილი ვახტანგმა წამართვა და მას, კეისარს, აყმო, ის ამიერიდან შეიქნა ხვანთქარის მესხარაჯე, აშლილი ქვეყანა დაუწყნარა, ხვანთქარს მადლობის მეტი არა მართებს რა, ის შეცდომაში შეუყვანია ახალციხის ფაშას. ხვანთქარმა რომ მოისმინა ეს, დამშვიდდა, გაგზავნა ჯალათი და როსტომ-ფაშას თავი მოკვეთა, ხოლო არჩილს შეუთვალა: მთელი ლიხთამერეთი შენთვის დამითმია, იჯექი მანდ, იმეფე და მეყმე, შენს საწინააღმდეგოს ვერავინ ვერაფერს შეტყვის ამიერიდანაო. ყენმა მაინც შაჰნავაზს მოწერა წერილი და სთხოვა: ნუ წამკიდებ ხვანთქარს და ქვეყანას ნუ ამოხრებ, გამოიყვანე იმერეთიდან არჩილი, სამაგიეროდ მე მას მივცემ კახეთს, ქიზიყსა და მალაროს, შემცილე მას არ ეყოლება, ვინაიდან თეიმურაზ-ხანი ხელთ მყავსო. წინასწარ არჩილი გამომიგზავნე აქ, მას მე ვაჩვენებ ერან-თურანს, დავლოცავ, წყალობას ვუზამ და ისე გამოვისტუმრებო. შაჰნავაზმა მოიწვია კათოლიკოსი და ვეზირები, რომელთაც ურჩიეს მას სისრულეში მოეყვანა ყენის თხოვნა: ამის შემდეგ შაჰნავაზმა მისწერა წერილი არჩილს: იმერეთი შენი შესაფერისი არაა, თან მაგ ქვეყნისათვის რად უნდა მოვიმღუროთ ან ყენი, ან ხვანთქარი, წამოდი აქეთ, ყენს შენთვის კახეთი უბოძებიაო. არჩილს ეწყინა ეს, მას უძნელდებოდა ქვეყნის უპატრონოდ დატოვება, მაგრამ არც მამის ურჩობა უნდოდა, ამიტომ გამოეთხოვა იმერლებს და თბილისს მოვიდა, სადაც მამამ დიდი ზემოთ მიიღო. მერე წინადადება მისცა მას წასულიყო ყენთან, მისი მიპატიებების თანახმად, ენახა ერანი და ეჩვენებინა იქაურებისათვის თავისი ვაგაკაცობა. არჩილი მოემზადა წასასვლელად, მას აახლეს თან გივი ამილახვარი და მეფეთა წინა ზრდილი მეპთარ მანუჩარი. დედა შვილს გულისტკივილით გამოემშვიდობა და ჩქარი დაბრუნება უსურვა. მეფემ ყენს შესაფერისი წერილი მისწერა: მე არავისი არ მეშინია, კარზე მომდგარ მტერს აღვილად ვუშვავდები, მაგრამ შენი სიყვარულით დავტოვე ჩემი მამა-პაპის ხმლით დაქერილი სამკვიდრებელი, არჩილი გამოვიყვანე იქიდან და გაახელ შენ, შენი თხოვნის თანახმად. ყენი დიდი ამბით შეხვდა არჩილს, მიუჩინა მას შესაფერისი ბინა, თუმცა უფრო ხშირად თავისთან ჰყავდა და აი იზორებდა, ერთად სვამდნენ, ერთად შეეკეოდნენ და დროს ატარებდნენ.

შაჰნავაზმა გადაწყვიტა კახეთისაკენ გალაშქრება და მისი დაქერა. შეკრიბა დიდძალი ჯარი ოთარის, თავისი ძმის ბაგრატიისა და იესეს მეთაურობით და შეუტია კახეთს. ზოგი უმაღლესი დამორჩილდა, ზოგმა კიდევ წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა. მოწინააღმდეგეთ სულ მუსრი გააუღეს და, ბოლოს, ალყა შემოარტყეს თორლას ციხეს. ციხე დააქციეს, მოწინააღმდეგენი გამოიყვანეს და თბილისს წამოასხეს. აქ გამარჯვებულ მეფეს დიდი ამბით მიეგებნენ, იზეიმეს და იმხიარულეს.

მეფემ და დედოფალმა გადაწყვიტეს ლევან დადიანისათვის ცოლი შერთოთ, გაუგზავნეს მას კაცი და შეუთვალეს: „როა საცოლე მოსძებნო. ლევანმა მზრუნველობისათვის მადლობა შემოუთვალა მათ და, ამასთანავე, სთხოვა: თქვენი ასული თამარი მომეცით მეუღლედო. მეფე-დედოფალმა თანხმობა განუცხადეს მას. დადიანმა გამოგზავნა მენიშნეთ წელენჯიხელი და გიორგი ყოლია, რომელთაც დიდი საჩუქრები მოართვეს სარძლოს. მალე ქორწილი გადაიხადეს. ლევანმა გამოგზავნა მაყრებად კათოლიკოსი, მიქელაძე, ყოლია და სხვა მრავალი დიდებული. შაჰნავაზმა თავის მხრივ გაატანა მაყრებად, სხვათა შორის, მთავარეპისკოპოსი, ქალს მისცა მდიდარი მზითვი და გაისტუმრა ოდიშს. ლევანი მიეგება მათ ქუთაისს, აქედან გაემართნენ ზუგდიდს და დიდი ამბით გადაიხადეს ქორწილი.

კახთ ბატონისათვის ერეკლე იზრდებოდა რუსეთის მეფის კარზე. ყმებმა ურჩიეს მას მიემართა თუშებისათვის და მათი დახმარებით კახეთი დაებრუნებინა. ერეკლე წამოვიდა რუსეთიდან და მოვიდა თუშეთს, სადაც სამზადისს შეუდგა. თუშების ჯარი შეიკრიბა ბორჯაღზე. ეს რომ შაჰნავაზმა გაიგო, მყისვე მოუწოდა ოთარ ერისთავს, შეუერთა მას თავისი ძმა ბაგრატი, მღვიანებეცი ედიშერი და ასიათასამდე ჯარით გაეშურა ერეკლეს შესახვედრად, რომელიც უკვე ქიზიყს ჩამოსულიყო. შაჰნავაზს შეუერთდნენ აგრეთვე არეზს აქეთი ხანები. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, რომელშიაც თავი ისახელეს ოთარმა, ედიშერმა და ბაგრატმა, თუშებს სულ მუსრი გააუღეს, ძალიან ცოტა ვაღარა მათ შორის ცოცხალი, ერეკლე გაიქცა და სადაც შეაფარა თავი. გამარჯვებულმა შაჰნავაზმა თუშებს მოსთხოვა ბეგარა, თუ არადა, შემოვალ ჯარით და სულ ერთიანად აგანაცარტუტებთო. თუშებმა შეუთვალეს: რითაც შეგვიძლია, გემსახურებით, მხოლოდ აქ ნუ შემოხვალ, თორემ აიყიყიბით, დაღესტანში გადავსახლდებით და რჯულსაც გამოვიცვლითო. ომში დახოცილი თუშების თავები ათასი აქლემით ერანს წარგზავნეს ყუენთან. ყუენმა დიდი ქება და საჩუქრები მოუძღვნა შაჰნავაზს ასეთი საგმირო საქმისათვის.

ლევან დადიანმა მეფეს სთხოვა იმერეთის ტახტზე დაებრუნებინა მასთან მყოფი ბრმა ბაგრატი, ვინაიდან ქვეყანა უპატრონოდ იყო. ასეთივე თხოვნით მიმართეს მას იმერლებმაც, რომელთაც აუწყეს მეფეს, რომ დიმიტრი [გურციელი] მეფობისაგან გარეაო. შაჰნავაზს ეს აზრი მოეწონა. მან პირდაპირ თქვა: დიდი სიამოვნებით ავსარულებდი ამ თხოვნას, იმერლების იმედი რომ მქონდეს, ისინი, კათოლიკოსის გარდა, ფიცის გამტეხნი და უპაირონი არიან. თვალით არ იხიბეს და ბრმას როგორ გაიტანენო? ყოველ შემთხვევაში, თუ ერთგულების მტკიცე ფიცს მომცემენ, აუსარულებ თხოვნასაო. ასევე შე-

უთვალა მან ლევანსაც. ლევანმა სიტყვა მისცა, ჩემი მხრით ყოველივე ღონეს ვიხმარ, რათა ბაგრატს იმერეთში არ გაუქირდეს, იმერლებმა თავის მხრივ ხელი მოაწერეს ფიცსა და პირობის ფურცელს და მეფეს გაუგზავნეს. ამ დროს შაჰნავაზს მოუვიდა მოციქული ასლან-ფაშასი, რომელიც ატყობინებდა მას: ბაგრატი კეისრის, ესე იგი ხვანთქარის, მემკვიდრეა, მოგვეცი ჩვენ და მე იმერეთის ტახტზე დაესვათ. მეფე გაჯავრდა: ფაშები როდის ერეოდნენ ბაგრატიონთა გვარისა და სახლის გარიგებაში, ბაგრატი ჩემი გვარეულია, მე ის მიმაჩნია ძმად და შვილად, მე ვიცი, რა უჯობს მასო. მეერე მან ბაგრატს ჰკითხა: როგორ გიჯობს, ვის მივაბარო? მან დააევიდრა მეფეს: ოსმალს ნუ ჩაუგდებ ჩემს თავს ხელში, ისევე იმერლებს მიმაბარე, მხოლოდ უპატრონოდ ნუ დამტოვებ და შენ დახმარებას ნუ მომაკლებ. ვინაიდან მე არა მყავს არც ძმა, არც და, არც ვინმე ახლობელი, გთხოვ მომიცე ცოლად შენი ასული, რათა მან დამიამოს წყლულებით. ბაგრატმა დედოფალსაც სთხოვა დახმარება ამ საქმეში მეფის წინაშე. მეფე-დედოფალმა გამართეს ბეობა და გადაწყვიტეს დაეკმაყოფილებინათ ბაგრატის თხოვნა. მართლაც, მათ შეუშადადეს ბაგრატს ყველაფერი, რაც კი საჭირო იქნებოდა მისთვის, გამოუწყვეს ქალიც და გაამზადეს გასასტუმრებლად. მეფემ ბაგრატს გაატანა მრჩევლად და ხელის-ამპყრობლად ბრძენი და გამოცდილი თარხანი იორამი (სააკაძე, დიდი მოურავის შვილი), რომელმაც ბაგრატი მიიყვანა იმერეთს და დაამკვიდრა იქ. სამწუხაროდ, მას ღიბხანს არ დასცალდა მისი ხლება: ის მალე ყვავილი-საგან გარდაიცვალა.

არჩილი, რომელიც ყენის ეახლა სპარსეთში, დიდ პატივში იყო იქ. შაჰი სულსა და გულში იძვრებდა მას, გამოუცვალა სახელი და უწოდა შაჰნაზარ ხანი. ერთხელ ყენმა განუცხადა არჩილს: ვინაიდან მამა გიხმობს, უნდა გავიშვა საქართველოშიო. არჩილს ეს გულში ეამა, მაგრამ ისე მოაჩვენა შაჰს, თითქოს ეწყინა და არ უნდა მისი მოშორება. ყენმა ის ღიბად და-ასაჩუქრა და გამოისტუმრა შინ. შაჰნავაზს ეს სასიამოვნო ამბავი ახარა წინდაწინ გამოგზავნილმა კაცმა, რომელსაც გახარებულმა მამამ დიდი საჩუქარი მისცა. მეფე გაეგება შვილს ერთი კვირის სავალზე და დიდი ამბით შეხვდა. თბილისში ზეიმსა და სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ყოველი მხრიდან მოდიოდნენ და ულოცავდნენ არჩილს დაბრუნებას. მისი დაბრუნების გამო მეფემ გამართა დიდი წვეულება, რომელზედაც მოიპატიეთა ქართლისა და კახეთის ღიბებულები. ამ ზეიმზე შაჰნავაზმა განაცხადა: ამდენი ხანია კახეთი უმეფოდ არის, დროა შაჰნაზარი მივიდეს და დაეპატრონოს მას. მართლაც, აქედან ისინი მცხეთას წავიდნენ, სადაც სვეტიცხოვლის წინ არჩილს შეჰფიცეს ერთგულება იქ მყოფმა კახეთის თავადებმა. ამის შემდეგ გადავიდნენ კახეთში, მეფემ მთელი თვე დაჰყო იქ, გაარიგა სამეფო საქმეები, განამტკიცა არჩილი ტახტზე და უკანვე მობრუნდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ შაჰნავაზმა მოინდომა შვილის ნახვა, შეჰყარა ღიბებულები და ჯარი და გაუდგა კახეთისაკენ. არჩილს მეტად გაუხარდა ეს ამბავი, გამოეგება წინ და უჯარმაში შეხვდა მამას. აქედან გადაიარეს გომბორი, ჩავიდნენ ირტოზას და გამართეს დიდი ღვინი და ზეიმი. აქ მეფეს

დალესტინიდან ეახლა მოციქული, რომელმაც მას ლეკებისაგან სამსახური გამოუცხადა და შესთავაზა დახმარება თუშთა წინააღმდეგ: მივალთ და დაეიქვრთ მას, ვინც თუშეთსა არის მჯდომი და მოგვეკრითო. მეფემ მადლობა შეუთვალა, მაგრამ დახმარებაზე უარი თქვა: ჩემ მტრებს მე თვითონ ვეყოფიეთ. ამ დროს მეფეს განუდგა ყორჩიბაში ბარამი შეილებითურთ, მან გაგზავნა კაცები თუშეთს და ერეკლე ბატონიშვილს შეატყობინა: ამჟამად ორივე მეფე აქ, კახეთს, იმყოფება ლხინსა და განცხრომაში; ჯარო დაითხოვეს, მეტად ხალვათად არიან, წამოდი, წამოიყვანე თუშები და თავს დავესხათო. მოციქულებს თვითონაც მიჰყვა უკან შეილებითურთ, მათ შეუერთდნენ აგრეთვე ბოდბელი და რამაზაშვილი. შეიყარნენ თუშეთს, შეკრიბეს თუშები, ფშაენი, ხევსურნი, დურძუქნი და ლილივნი და გამოემართნენ კახეთისაკენ ერეკლეს წინამძღოლობით. ერეკლემ მეფეებთან წინასწარ გამოგზავნა ჯაშუშად შეიდი თუ რვა თუში, რომლებსაც მათთვის ერთგულება უნდა განეცხადებიათ მთიულთა მხრით, ნამდვილად კი მათი მდგომარეობა უნდა დაეზვერათ. ჯაშუშებმა დავალებული საქმე პირნათლად შეასრულეს, დაბრუნდნენ უკან და ერეკლეს მოახსენეს, რომ მეფენი მართლაც კახეთს არიან, ქეიფობენ, მაგრამ მარტონი არ არიან, თან ჯარიც ჰყავთ იმდენი, რომ შენზე ათჯერ უფრო ძლიერი იქნებიანო. მათ გაუგავრდა ვილაყ ხოხონა, რომელმაც ლაჩრობა შესწამა მათ. მასინ ბარამმა თქვა: მე ვიცი, რომ შაჰნავაზი და შაჰნაზარი მძლავრები არიან, მათი გამკლავება არც ისე ადვილია, წავიდეთ და დავდგეთ გრემს, იქიდან კი

კაცი გავგზავნოთ, იყოს მათგანა კობილი,
ტბილი შეესთუალოთ პსუხი, არ იყოს სიტყუა-კობილი,
ნუ თუ მივუქედოს წყალობით, არ ღებრჩეთ ლაქვარ-სობილი. (1091).

ბარამს არ გაუგონეს და წამოვიდნენ მუქარით. გამოვიდნენ ალაზანს. წინ მოუძლოდათ განდგომილნი კახნი, შემოიარეს მინდორი და მომარტეს დაიდ მეფეს. შუალამისას შეუტყეს ანაზდუელად და დაიწყო სისხლის ღვრა. მეფემ გაიგო თუ არა ეს მოულოდნელი ამბავი, განრისხდა და აღიქურვა, შაჰნაზარიც მოეშადა საომრად. გაემზადნენ აგრეთვე მდივანბეგი, სარდარი ზაზა, ბარათიანნი, ნარჯუენის დროშის პეტრონი ამილახორი, ბატონიშვილები კონსტანტინე და ბაგრატი (შაჰნავაზის ძმები) და სხვა ერისთავებიც. დაიწყო გაშმაგებული ომი, რომელშიაც თავი ისახელეს: იესე ერისთავმა, მანუჩარ თუმანიშვილმა, ბაინდურ ნაზირმა, ჯიმშიტა თურქისტანიშვილმა, გაბაანთ და სხე. გათენებისას კვლავ განახლდა ბრძოლა, მტერის სულ ერთიანად მუსრი გააღლეს და სდიეს უკან ალაზნამდე და იალბუზის მთამდე. ერეკლეს დროშა წაართვეს, მას ალარავინ შერჩა, ასე რომ დედას-მიმპართა. გამარჯვებულები დაბრუნდნენ უკან და ერთმანეთს ულოცავდნენ მტრის დამარცხებას. შეაგროვეს სამი ათასი თავი, რომელსაც ტყავი გააძვრეს და თვით გასტენეს, ხოლო თავის გოგრისაგან ამართეს კირზე ნაგები კოშკები შემდეგში თუშთა დასაშინებლად. ეს სასიხარულო ამბავი დაუყოვნებლივ თბილისში აცნობეს დედოფალს. ამასთანავე მოიწვიეს გონიერი და დახელოვნებული მწიგნობარი და ყენს მისწერეს წერილი და დაწერილებით აუწყეს მტერზე გამარ-

ჯგუბა, თან სადემონსტრაციოდ აქლემებით გაუგზავნეს მას თივით დატენილად თუშთა თავები. ყენს მეტად ესიამოვნა ეს ამბავი და საპასუხოდ მდღლობისა და ქების წერილი გამოუგზავნა მათ.

აქედან იწყება ეპილოგი, რომლის ბოლო დაკარგულია. პოემის უკანასკნელი სტროფი იკითხება ასე:

მომსულესა მისცეს მრავალი, ვცადის, ვერ დასთულისა,
გამოსტუმრეს მაშინვე, დაუოვნებლად ვლიდისა,
შეყრა სწადს ვულად ლომისა, მის ქელშითვისა დიდისა,
ვის რკენა ძალუც სპილოსი, საიზრად არ დამრიდისა. (1151).

ასეთია მოკლედ პოემის შინაარსი. ის თავდება, როგორც ვხედავთ, ერეკლე ბატონიშვილის კახეთის ექსპედიციის დამარცხებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1664 წლის შემოდგომაზე

ვახტანგ მეხუთე მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრის საკმაოდ მსხვილი მოღვაწეა. მის პიროვნებასთან დაკავშირებულია არა მარტო ქართლ-კახეთის, არამედ დასავლეთ საქართველოს ისტორიაც. 1658—1664 წლების უმნიშვნელოვანესი ფაქტები საკმაო სისწორითაა გადმოცემული ამ პოემაში, თუმცა ზოგიერთ საყურადღებო დეტალში პოეტი არ ეთანხმება ოფიციალურ ისტორიულ ცნობებს. აი ეს დეტალები:

1. ვახტანგი პოემაში გამოყვანილია გვირგვინოსანთა უშუალო ძედ, ნამდვილად ის მეფის შვილი არ ყოფილა. ის იყო ძე თეიმურაზ მუხრანბატონისა, როსტომ მეფის მიერ ნაშვილები (ქართლ. ცხოვრ., II, გვ. 49).

2. პოემაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ვახტანგი 1653—1658 წლებში იყო ქართლის გამგე და თანაშემწე როსტომისა, რომელმაც ის წინასწარ გაგზავნა სპარსეთში, სადაც ყენნა მძაპმიდიან ყო და უწოდა შანავაზ (იქვე, გვ. 50). პოეტის სიტყვით, ვახტანგი, მოიზარდა; თუ არა, პირდაპირ მეფედ ეპურთხა და ამის შემდეგ გაწვეულ იქნა სპარსეთს. სადაც მას სახელი გამოუცვალეს და არა რჯული.

3. ვერ არის სისწორით წარმოდგენილი მირიამ დედოფლის ვინაობა. როგორც ვიცით, მირიამი იყო ლევან მეორის დადიანის და. 1621 წელს ის ძმამ მიითხოვა სვიმონ გურიელს; 1625 წელს წაართვა მას და ოდიშს მოიყვანა. 1634 წელს ლევანმა ის მიითხოვა ქართლის მეფეს როსტომს, ხოლო როსტომის გარდაცვალებისა და ტახტზე ვახტანგის ასვლის შემდეგ, 1658 წელს, ის, ყენის სურვილის თანახმად, მიითხოვდა ვახტანგს, რომელიც იძულებული იყო ამისათვის გაეშვა თავისი პირველი ცოლი როდამი (იქვე, გვ. 197—198, 47, 50), პოემით კი მირიამი არის ლევან დადიანის ასული და ქალი (თუმცა ვახტანგი პირველი შეყრისას ეუბნება მას: ასულთა უამესო, ძმისა გაყრა მოგეწყინა), ის წინათ არავის ცოლად არ ჰყოლია და პირველად მიითხოვდა ვახტანგს, რომელსაც მანამდე ცოლი არ ჰყოლიაო.

4. მირიამის თანა არა ესვა მეფესა შვილნი, არამედ როდამის თანა ესხნეს ძენი: არჩილ, გიორგი, ლევან, ალექსანდრე, ლუარსაბ, სოლომონ და ასულნი ანუკა და თამარა (იქვე, გვ. 51); პოემით კი არჩილი, გიორგი, ლევანი და

ესხუანი უმცროსნი ძენი, არიან ვახტანგის შვილები მარიამისაგან. ამათ გარდა მათ ჰყავთ კიდევ ერთი ასული.

5. თუმცა სხვაგან პოემაში აღნიშნულია კიდევ ორი ქსანურელი ასული მათი, რომელთაგან ერთი, თამარი, მიათხოვეს მათ ლევან III დადიანს, ხოლო მეორე, თითია, იმერეთის მეფე ბაგრატს; ნამდვილად კი თამარი და თითია იყვნენ არა ვახტანგის შვილები, არამედ მისი ძმის კონსტანტინესი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 203, 204).

6. პოემაში ნათქვამია, რომ იმერთა მეფის ალექსანდრეს ძე ბაგრატი იმალებოდა და იზრდებოდა გურიის შვილის დედინაცვლის, ნესტან-დარეჯანის, შიშითაო; ნამდვილად კი ის მამას გაუგზავნია იქ უფრო ადრე, ვიდრე ის მეორე ცოლს შეერთაო. «შემდგომად ორისა წლისა, ამბობს მემეტაიანე, ესე იგი 1620 წელს, «შესწამა ალექსანდრემ ცოლსა თვისსა რეცა სიძეად ქუთათლის ვაჟრისა თანა და განუტევა ცოლი თვისი და წარავლინა ძით თვისით ბაგრატით მამისა მისისა გურიელის მამიას თანაო» (იქვე, გვ. 197).

7. დარეჯანის მეორე (ნამდვილად მესამე) ქმარი, ვახტანგი, პოემით იყო «ბაგრატოვანთა გვარისა», მართინე კი მას ჰხდის მხოლოდ «მეფეთა მონათესავედ, რომელსაცა ქუქუნასშვილობით უხმობდენო» (იქვე, გვ. 202, 204).

8. პოეტი ამბობს, რომ, როდესაც დარეჯანმა დააბრმავა ბაგრატი, ეს იმერლებმა იწყინეს და, უზურპატორის წინააღმდეგ, იმერეთის ტახტის დასაქერად დადიანი მოიწვიეს; ნესტანდარეჯანმა კი დახმარებისათვის მიმართა შანავაზს, მაგრამ უკანასკნელი, დახმარების მაგიერ, წამოვიდა მის დასასჯელად. როდესაც შანავაზი და დადიანი შეხედნენ ერთმანეთს, იმერეთი გაიყვეს შუაზე და სახლვარი დასდევს სუსასა ზედაო. დაპატიმრებული ნესტანი, მისი ქმარი ვახტანგი, ბრმა ბაგრატი და მისი ცოლი წაიყვანა დადიანმა და დაამწყვდია წაქუთჯის ციხეშიო. ისტორიკოსი კი ამ ამბავს სულ სხვანაირად გადმოგვცემს: მისი სიტყვით, როდესაც ბაგრატი დააბრმავეს, იმერლებმა მიმართეს ასლან-თაშას, რომელიც ჩამოვიდა იმერეთში, შეიპყრო დარეჯანი და ვახტანგი და ბაგრატის ცოლითურთ წარგზავნა ოლთისს, ხოლო იმერეთის ტახტზე დასვა ისევ ბაგრატი. რადგანაც ბრმა ბაგრატი ვეღარ უძლებებოდა საქმეებს, ამიტომ მოიწვიეს დადიანი იმერეთს, სადაც წარბოღნა შანავაზიც; შოლაპარაკების შემდეგ მათ გაიყვეს იმერეთი და სახლვრად დადევს ბუჯის წყალი. ბაგრატი არავის არ წაუყვანია, ის იმყოფებოდა ციხეში ქუთაისს (იქვე, გვ. 202).

9. წაქუთჯის ან, როგორც ისტორიკოსი უწოდებს, ქაქეთის ციხეში დამწყვდეული იყვნენ არა დარეჯანი და მისი ოჯახის წევრნი. არამედ ვაშე დადიანის ცოლ-შვილი (იქვე, გვ. 203); ამის შესახებ პოეტი არაფერს ამბობს.

10. პოეტის ცნობით, არჩილის გამეფება იმერეთში ხვანთქარს აცნობა როსტომ თაშამ, რომელიც ყალბი მოხსენებისათვის, რაც ხვანთქარსა და ყენის შორის მიწერ-მოწერამ გამოამელაუნა, სიკვდილით იქნა დასჯილი; ისტორიკოსის გადმოცემით კი ეს ამბავი ხვანთქარს აცნობა ასლან-თაშამ და არაერთარ რეაბილიტაციას არჩილის გამეფებისას ადგილი არ ჰქონია (იქვე, გვ. 203).

11. გაუგებრობას იწვევს პოემის ის ადგილი, სადაც შაჰნავაზი ამბობს: ცოლისძმა დავსვი გურიელადო; ისტორიამ არ იცის, რომ რომელიმე დადიანი იმ ხანებში გურიელად ყოფილიყო, მით უმეტეს ლევან მეორე, ანდა ლიპარიტი, რომელთაც მარიამ დედოფლის ძმებად ვიცნობთ. შეიძლება ამ შემთხვევაში იგულისხმებოდეს ის, რასაც გულისხმობს ისტორიკოსის სიტყვებში: ქაიხოსრო გურიელი ძმა ლიპარიტისა იყო (იქვე, გვ. 201). ბანძის ომის შემდეგ, როდესაც ქაიხოსროს, მესხებთან ერთად, როსტომ მეფეც ეხმარებოდა, ის სტამბოლს გაიქცა, იქიდან მობრუნდა 1660 წელს და ათაბაგის დახმარებით (იქვე, გვ. 202) დაიპირა გურიელობა. შესაძლოა ამ დროს მას, ათაბაგთან ერთად, ეხმარებოდა შაჰნავაზიც, თავის წინამოადგილის როსტომის მსგავსად.

ვის არის ამ პოემის ავტორი? როგორც დავინახეთ, პროზაულ შესავალში, რომელიც მიუძღვის პოემას, ნათქვამია: ჯეღჳყო მონამან ვინმე გაღტქსულად წიგნისა ამისოა, მაშასადამე, თხზულების ავტორი აქ დასახელებულია შექებული მეფე-დედოფლის მონად. ავტორი თავის თავზე ორჯერ ლაპარაკობს. წინასიტყვაობაში ის ამბობს:

აჲ თუა ვარ უგუნური, კემწიფისა ყმა და მონა,
არკ სიბრძნე ვაქუს, შემეტყობის, რომე სიტყუა შამეგონა,
პატრონისთვის საქებარად მწარე ტყილად მმეწონა,
ელგავარ მითად სამსახურად, დამიყრია ჳკუა და გონა. (11).

თუთ მინახავს პატრონისა ძალი, სიმჳნე, ჯეღამარდობა,
კემწიფობა ეისა სწორად, მუღამ იყრვის დაბდაბნობა,
მტერი ყოღნით დაიღონა, მით მიეცა ლახუარსობა,
ტანის კლდეცა ვერ დაუღვის, შიშისაგან შეჳქნის დნობა. (12).

ყუელა ვსწერიო, ვერ გაუვალ, მართლად ვიტყუი, არა ჳორად,
სამამიყო მისგან ჳწნილი, რაც მინახავს გმირთა სწორად,
რაცა ბძანის, მე, უნებლემ ვერა ჳნისა ერთიორად,
თუარემ ციებლებრ მოკიდის, წამსვე შეჳქნის დასამორად. (13).

თუ მაშისმენ კემწიფისთუი ვით ვაუზნო ტყილად ენა,
მას ვეჳებ და მას ვაღიღებ, თუარემ რა მჳიის ცულად რბენა?
თუი დამიუ საწაბებლად, ვერ დამტემობ, რაცა ვთჳუენა,
სიმჳნე მითჳუამს კემწიფისა, ეის არ მართებს ამის სმენა? (14).

გთაჯი, სოფელს მყოფელნო, ისმინოთ ჩემგან თჳმულიაი
რას ვიქლოენებ უგბილი, ანუ ვით მორთეე გულია;
ეისი მწარდს ჳებადიდება, მისთუი ვარ დღადგულია,
ამად ზოგმართე სიტყუანი, არ იქნას დაჳარგულია. (15).

როგორც ვხედავთ, ავტორი თავისთავს უწოდებს პატრონის შაჰნავაზის ყმასა და მონას, ის მისთვის და და გ უ ლ ი ა, მისი სამსახურისათვის მას ჳკუა-გონება დაუყრია. მას საკუთარი თვალით უნახავს პატრონის ძალი, სიმხნე, ცისსწორი ხელმწიფობა და მტრების დამონება, თავის თხზულებაში აგვიწერს იმას, რაც თვითონ უნახავს, რაიმეს მოსაგონ-მოსაპოვრად ან გასაზვიადებლად

მას სიბრძნე არ შესწევს. ყველაფერი ეს აუწერია იმიტომ, რომ აარ იქნეს-
დაკარგულია. თავის სახელსა და ვინაობას აეტორი აქ მაინც არ ამტკიცებს.
'ამაგიეროდ სხვა ადგილას ის უფრო გარკვეულად ლაპარაკობს თავის თავზე:

კელეყე მიწამან ფე შ ა ნ გ ი მ ა მ ა წიგნისა წერასა,
სიტყუა ღაბუანჯე ცთომით, ვერად ვუბენ ენასა;
სად მივსუღებოდი საქებრად ამა ციერთა ზენასა?
თქმა რუსთულს დარჩა ლექსისა, ცუდად ვიუბენ მე რასა? (1051).

ღმერთო, ვიჯი—ისმინო, რომელი თაბორს ზიანი,
ღღვგრძელობაში აქმარე მეფეს შანავაზიანი,
სუფევით იტახტობნაზღენ თუით მისი პირად შზიანი,
ერლი საკეთოდ მოურთევე, არსით მოეზღოს ზიანი. (1052).

კახთს ვიბელ მეფესა; მზეებერ მტინნარედ ტუბილისა;
მიბანა მათად საქებრად ლექსად თქმა გამოელლისა.
რაცა მენახა, ვიუბენ მონამა მათის ჩრდილისა,
ვარდი მოვკარიფე უეკლო, ცუარით ავისილი დილისა. (1053).

უსწაველემან და უშუერმან ძლიე გამოვაგენ ენანი,
ვერ ვაქე მათად საფერად, ამაზე მამქუდა მე ნანი;
არ დამიგმობენ პასუხსა, თუ სადმე ნახუნ ბრძენანი,
მიმიტულებიან ნათქუამსა, მათ აქუს სიტყუითი სმენანი. (1054).

ზეცას ასულ ვარ საქებრად, ქუესკენელი მაირბენია,
აღმოსავლეთით დასავლეთს რაც ენახე, ვიუბენია;
ჩრდილოეთი და სამკრეთი ერთმანეთს მოვაბენია,
სიტყუა მოვკარიფე, ვასინჯეთ, თუ რავუარ დავაბენია. (1055).

აწ. შემასმინეთ მეფესა—სარჯელი გამოიგონოსა,
საუბარნი და სიტყუანი ერთმანეთს შეაწონოსა,
წყალობა რამე უბძანოს, მონა არ დააღონოსა,
სულზე მამასწრას, რაცა სწადს, საქმე არ დააყონოსა. (1056).

ამ ამონაწერიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ პოემის ავტორი არის ვინმე-
ფე შ ა ნ გ ი, რომელიც, ჩინს, მეფე ვახტანგს თან დაჰყვებოდა, სადაც კი წავი-
დოდა ის: აღმოსავლეთსა, თუ დასავლეთს, ჩრდილოეთსა თუ სამხრეთს (იგუ-
ლისხმება საქართველოს ფარგლები), ამიტომ დასაჯერებელია მისი სიტყვა:
'რაცა მენახა, ვიუბენოა'.

ვინ არის ეს ფეშანგი? ამ ფეშანგის იხსენიებს არჩილ მეფე ძველთა და
ახალთა საქართველოს მელექსეთა შორის:

ფეშანგი ფაშეიბერტყაქემ ახლა თქვა ფირმალიანი,
სომხისგან კარგად ჩააგდეთ სიძიმით ვით ლიტრაიანი,
გებრალეობდეს საბარლო ცხვირ-მოჭრით თვალცრემლიანი,
მე ვათქმევიენე, მაგრამე ვერა თქვა მარილიანი¹.

¹ „არჩილიანი“, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, II, სტრ. 34.

არჩილის ცნობები საყურადღებოა იმით, რომ ის არამცთუ მოსწრებია თვითონ ფეშანგის, ერთი შრომაც კი დაუწერინებია მისთვის, მაშასადამე, მას, უმკველად, კარგად ეცოდინებოდა ფეშანგის ვინაობა, და, მით უფრო სამწუხაროა, რომ ასე ცოტას გვეუბნება მის შესახებ. ახლა საბოლოოდ გარკვეულია მისი ვინაობა. ფეშანგი ამირას ძე ხითარაშვილი, ან, ნართაულად, ფაშინბერტყაძე, იყო გორელი სომეხი. თეიმურაზ I-ისა და როსტომ მეფის დროს, იმდროინდელი არაეულობის შეთხებით, ის გადახვეწილი იმერეთში, სადაც, დაახლოებით XVII საუკუნის ორმოციანი წლებიდან, ალექსანდრე III-ის კარზე მდივნობა მიუღია. იქ 1651—1652 წლებში, როგორც მდივანი, ის მონაწილეობას იღებს იმერეთში ჩასულ რუსის ელჩებთან წარმოებულ მოლაპარაკებაში. ამ თანამდებობას ის არ ტოვებს ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ. ის მდივანია იმერეთში არჩილის მეფობისასაც (1661—1663 წწ.). როდესაც არჩილი იმერეთს ტოვებს, მას თან გამოჰყვლია ფეშანგიც, რომელიც ამის შემდეგ მდივნობს შაჰნავაზისა და არჩილის (კახეთში) კარზე; ის მდივნად ჩანს 1666 წელსაც. სოციალური წარმოშობით ის მოქალაქეთა ფენას ეკუთვნის. რაღაც დანაშაულისათვის (ალბათ, რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებაში მონაწილეობისათვის) მისთვის ცხვირი მოუჭრიათ. როდის გარდაიცვალა ფეშანგი, ამის შესახებ ცნობები არ არსებობს¹.

სახელდობრ, როდის უნდა იყოს დაწერილი თხზულება, რომელშიაც მოთხრობილია ვახტანგის თავგადასავალი და რომლისათვისაც თვით ავტორს უწოდებია «შაჰნავაზიანი»? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხზულება თავდობა 1664 წლის შემოდგომის ამბების აღწერით. შაჰნავაზი მიბრძანებულა არჩილის სანახავად კახეთს, სადაც თავს დასხმია მას ერეკლე ბატონიშვილი. სწორედ ამ ამბების დაწყებისას შენიშნავს პოეტი: «კახეთს ვიახელ მეფესა... მიბძანა მათად საქებრად ლექსად თქმა გამოვლილისა». მაშასადამე, თხზულება ავტორს დაუსრულებია 1664 წლის ბოლოს, თუ 1665 წლის დამდეგს. ის რომ უფრო გვიან იყოს დაწერილი, სხვა ამბებიც ექნებოდა შიგ ალწერილი შაჰნავაზის მეფობიდან. თხზულების დაწერა მისთვის თვით ვახტანგს უბრძანებია, მაშასადამე, ფეშანგი კარის მეღეკეს ყოფილა, და ამით აიხსნება მისი თხზულების ის ალტაცებული ტონი, ვახტანგის, მისი ოჯახისა და მისი მოღვაწეობის ის გადაკარბებული და გაზვიადებული დასურათხატება, რომელიც ამ პოემას პირწავარდნილი ხოტბის ან ოდის ხასიათს აძლევს. «შაჰნავაზიანის გარდა, ფეშანგის, არჩილ მეფის ბრძანებით თუ ინიციატივით, «უთქვამს» ფირმალიანი. ეს «ფირმალიანი», რომელსაც ამდენ ხანს ზოგი დაკარგულად თვლიდა, ზოგი კიდევ «შაჰნავაზიანად», ჩვენ მოვძებნეთ, საკუთრივ მისი პროზული დედანი, და მის შესახებ ლაპარაკი გვეკონდა ზემოთ, საზღაპრო ეპოსის მიმოხილვისას.

როგორც ზემოთყვანილი ცნობიდან ჩანს, არჩილ მეფეს არ აკმაყოფილებდა «ფირმალიანი», რომელსაც ის შიმშილად და უმარხოლოდ თვლიდა.

¹ «შაჰნავაზიანი», გ. ლეონიძის გამოც., გვ. IX—XXI; მისივე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, გვ. 117—137.

შაინცდამაინც „მარილიანი“ არც „შაჰნავაზიანია“. დიდი წარმოდგენის არც ავტორია თავისი ლექსების შესახებ. „თქმა რუსთუელს დარჩა ლექსისა, ცუდად ვიუბენ მე რასაო“, — ამბობს ის. მიუხედავად ამისა, ის მაინც ცდილობს მიზაძოს რუსთაველს და მის მძლავრ გავლენას განიცდის, მის ნაწარმოებში ხშირად ვხვდებით „ვეფხისტყაოსნის“ ეპითეტებს, ფრაზებს, აზრებსა და სურათებს. მაგალითად: პოეტს თუ „შეუშოკლდეს ლექს ქართული, მაშინ ცეცხლი მოვლდებისო“, „ნახეს იგი მოყმე ვინმე, ჩამომხდარი წყლისა პირსა“, „მე უკეთ მოვლავ. მე უკეთ, ვეცაკთა ჰქონდათ ცილობა“ ნაღირობისას, „მოვიდა ჯოგი ნაღირთა, მინდორთა აღარ ეტია“.

მოტანეს ყოველთავე, მას ღღეს რაცა დაქრათ,
დანაღღენთა ისრთაგან მიწა ერთობ მოქოცათ,
მეფისაგან დანაქოცი ნახეს, მეტად მათ ეოცათ,
თქუეს: „მოკლულსა ესე ჩუენსას ერთი ღირღეს მგონი ოცათა. (242).

„აღარა ვამს ქირთა ქსოვნა, ჩამოხედავს ტკბილად ვის ცა“, „გლახათ მივსცე საჭურჭლე, მუდამ კარგისა მქნელია“, „შუბი უქირაეს წუერბასრი, ტარსა სიმსხო აქუს მკლავისა“. თხზულებაში, როგორც „ვეფხისტყაოსანში“, შიმობნეულია სხვადასხვაგვარი სენტენცია, მაგალითად: „სიძუნწვა ნაძრახი, ბრძენთაცა ეს იწამვისა“, „კაცი ღვთისა მიუნდობლად, ეს იცოდე, მალ წახდები“, ანდა მთელი სტროფები, როგორც, მაგალითად:

რამანე კაცმან ფიცი სტება, მოიძებნა მისთვის წესად,
შიში ღვთისა მოიძავს, იგი უჩნდეს უკეთესად,
მას სატანა ემოყურების, ბოლოს დასჯდეს ჩემებრ კუნესად,
ჩუენ ვეყოფით გზად და ხილად. ნუ ვინ დარჩეს უარესად. (403).

მას ნუ მისდევ, რაცა ღმერთმან საქმე ნლობთ არ აშენა,
არ გამოღჯეს უგანგებოდ, რადგან შენად არ აშენა,
დაერიდე, არ მოილო, შენზე მიწყვი არა შენა,
ამით ჰყოიო ზეგარდაბო სიტბო ღიდად არ აშენა. (410).

წურეინ ხედავთ საწუთროსა, ჰქონდეს თქუენი სიბრალული;
ვერ გაუვალ მოსათქმელად, რაც მასმია მისგან ქმნული;
ღუნდო და მუხანათი, სიავითა დანერგული,
მიგინდობს და შეგილიზლებს, ბოლოდ შეეკნას დაღაგული. (1050).

პოემაში ალაფ-ალაფ არის თეიმურაზ პირველისა და „როსტომიანის“ გავლენა. უკანასკნელიდან ავტორს უნდა ჰქონდეს აპოლონური ტერმინი შარ იერი — ხელმწიფე, ყუენისა და შაჰნავაზის აღსანიშნავად, სფადი — ჯარის უფროსი, დიდებული, შაჰნავაზის სახელად, ხო შგუარი (გვხვდება „ამირანდარეჯანიანშიაც“) — სასიამოვნო, მოსაწონი.

ლექსი ყოველთვის მუსიკალური არაა, გვხვდება ნაძალადევი რითმები. პოეტური ცეცხლი ყოველთვის მწველი არაა, თუმცა ალაფ-ალაფ საკმაოდ მოხდენილ სურათებს ეპოულობთ, მაგალითად:

ზღუდა მეფის ასულმა სინათლით მზესა დარიაჲ
 ცასა მისტაცა კამაში, ქუეყნად მოჰფინა დარია.
 მნათობთა შექნეს ჩივილი, პირმზის სივლამან დარია,
 თქუეს: მისი ვართო მონანი, ვის რომ არა ჰყავს დარია. (198).

სიბნელემან მისი შარი მოიძგა, გაღვა ველად,
 შავი კუბრი გაირეცხა, სითეთრემა ივლო ქელად,
 ცის კამაში ჩამოვარდა მოწყალემა დაუთუღელად,
 მზე გუმბაზით ამოვიდა ქართველთათვი კმალთა მცუელად. (1123).

ავტორის სტილი სიწმინდის მხრივ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, ავტორი ზომიერებას ვერ იცავს უცხო სიტყვათა ხმარებაში, განსაკუთრებით აკრეფებულია მისი ნაწარმოებები სპარსულ-თურქული სიტყვებითა და არმენიზმებით. მრავლად გვხვდება იმაში პროვინციალიზმი და პროვინციალური ფორმა, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ზნნათა პრეფიქსებში გ-ს ხმარება მ(რ)-ს ნაცვლად.

თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით პატრიოტი ავტორი მოტრფიალვა გაერთიანებული საქართველოსი, ის სწუხს იმ არეგ-დარევის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის დროს ჩვენში, და შესტრფის შაჰნავაზს, რომელმაც ერთ დროს თითქოს გააერთიანა საქართველოს დაფლეთილი ორგანიზმი. მთლიანი, განუყოფელი სამშობლო, — აი მისი იდეალი. ავტორი, რომელიც წარმომოებით ვაჰართა წრეს ეკუთვნის, ხაზს უსვამს ვაჰრებს, ფულის ტრიალს, ბაზარსა და მის მოწყობილობას. ერთი სიტყვით, სავაჭრო კაპიტალის გაძლიერება და ვაჰართა წრის მნიშვნელობის შეგნება ნათლად გამოსკვივის პოემაში.

პოეტი ამავე დროს ერთ-ერთი მკვეთრი გამომხატველია იმ „რეალიზმის“ ან „მართლის თქმისა“, რომელსაც მწერლობისაგან მოითხოვენ აღორძინების ხანაში. ის რუსთაველს უწუნებს ფანტასტიკურ პერსონაჟებს: უნდა ნამდვილ პირებზე გეწერაო. თვითონ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლაპარაკობს მართალს, რაც უნახავს. მაგრამ რამდენად დაუცავს მას „რეალიზმი“, ჩანს, შაჰნავაზის პიროვნების აღწერიდან, აქ ნამდვილი კარის პოეტი, მლიქვნელი მეხოტბე მოჩანს. ყოველ შემთხვევაში, „მართლის თქმას“, რეალიზმს, მოითხოვს აგრეთვე არჩილ მეფეც. ვის ეკუთვნის პრიორიტეტი ამ დებულების წამოყენებაში? რასაკვირველია, იმას. ვინც პირველად გამოთქვა ის, ესე იგი, ფეშანგის, მისი შრომა 15 წლით ადრე დაიწერა, ვიდრე არჩილისა. 1664 წლამდე, როდესაც არჩილი 17 წლის ქაბუჯი იყო, მას არ შეეძლო ასეთი ლოზუნგები წამოყენებინა და მასწავლებლის როლში გამოსულიყო, თუგინდ ფეშანგის მიმართ.

3. თიემურაზიანი

ასეთ სახელს ეუწოდებთ ჩვენ იმ საისტორიო პოემას, რომელიც შეადგენს „არჩილიანის“ ნაწილს და მოგვითხრობს მეფის თიემურაზ პირველის თავგადასავალს. ამ პოემაში, რომელიც დაწერილია 16-მარცვლიანი რუსთველური ლექსით, ებაასებთან ერთმანეთს თიემურაზ პირველი და

შოთა რუსთაველი¹. პოემა იწყება შესავლით, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში ავტორი, არჩილ მეფე, მიმართავს სამგვამოვან, მიუწვდომელ და სახიერ ღვთაებას, გამოსთხოვს მას სიბრძნეს და მერე ვრცლად ლაპარაკობს „ლექსთა თქმის“ შესახებ, ამასთან დაკავშირებით, მეორე ნაწილში, რომელსაც სახელად ეწოდება „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“, ის ჩამოთვლის და შეაფასებს ყველა, ცოტად თუ ბევრად ცნობილ, მელექსეს², რომელთაც ის შოთასა და თეიმურაზზე დაბლა აყენებს:

ქართველთ ენთა მელექსე ვერ ეღარების ამ ორსა.
რუსთველსა ენა-რიტორსა, მეფეს აღვისა ნამორსა;
ერთმანერთს რად ვაბასებთ? უხამს უყოფდენ ამბორსა,
სრულად იტყვიან უკლებლად ამბავსა სპარსთა ნაქორსა. (37).

ამის შემდეგ ავტორი შენიშნავს, რომ მას ბევრჯერ სმენია ცილობა რუსთაველისა და თეიმურაზის შესახებ: „ამბობდენ, სჯობსო ეს მასო“. ამიტომ საჭიროდ დაუნახავს მას გააბაასოს ისინი ერთმანეთს, რათა მკითხველმა თვითონ გამოიტანოს დასკვნა—ვინ ვისა სჯობს.

გაბაასება შედგება ცხრამეტი პასუხისაგან: ჯერ ლაპარაკობს მეფე, მერე პასუხს იძლევა რუსთაველი. პირველი თხუთმეტი პასუხი შედარებით მოკლეა. მეფე ეუბნება რუსთაველს: მე აღლევებული ვარ იმით, რომ გამოჩენილან ისეთები, რომელნიც არამცთუ გვადარებენ ჩვენ ერთმანეთს, შენ ჩემზე მაღლა გაყენებნო. ამ გარემოებამ მიიძულა მე გამოგებაასო შენ, ჯაფახს. მართალია, შენ სხვა პოეტებმა „გავითავეს“, ესე იგი თავად, უფროსად გიციენეს, მაგრამ მე პირველობას ვერ დავითმობ. რა გაქვს საამაყო შენ? გითქვამს მხოლოდ ერთი ამბავი, იმასაც ბოლო სხვებმა მიაბეს, ნუთუ ერთის ამბის გადალექსვა მოგანიკებს შენ ჩემს წინაშე უპირატესობას? შენზე უწინ შენებური ლექსი ჩაბრუხაძემ თქვა. ასე რომ ამ მხრივაც არა გაქვს რა თავმოსაწონი. მართალია, შენს ლექსებს ამდენ ხანს პირველი ადგილი ეკავა, მაგრამ, ხომ იცი, უმეფო ქალაქში მოურავიც დიდი კაცია, პატრონი რომ მოვა, იმან ადგილი უნდა დაუთმოს მას. მე „სად მეცალა ლექსისათვის“ ამდენ ხანს, ქვეყნის აოხრება და უკუღმართი ბედი მელექსეობისათვის დროს არ მაძლევდა. ახლა კი, როდესაც მოვიცალე და მელექსეობა დავიწყე, უნდა ჩამოვდგი, შენი დიდება ისე დაიჩრდილება, როგორც მთვარისა, როცა მზე ამოვა. შენს წიგნს ამიერიდან მნიშვნელობა ეკარგება, ის „ცუდად სძვესო“. სხვა არა იყოს, რა. ენაა შენი ენა?

რაც ენაა, ყველა გითქვამს, სომხური და ჰერკულიცა;

მე ოდენ ქართულს ენასა მარხლად ურთე სპარსული,
თათრულიც გამირეგია, მიქია მათი არ სული. (108—109).

ლაზოდა სთქვი, შემოიღე ჯაჯახური ენა მძიმე,
ქისიუყრად პასუს მოცემ, ამხვიღე შენ ვინძი მე. (126).

¹ გამოცემულია ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის მიერ („არქივიანი“ II, 1937 წ.).

² სტროფები 24—37.

თან შენ არც ცოდნა შეგწევს ჩემოდენი, არც საღმრთო და არც საერო: ყოველ შემთხვევაში, თუ დამიმტკიცებ შენს უპირატესობას, მოგცემ გრემს და ზედ ბაზარსაც დაგიღებო.

რუსთაველი ჯერ კრძალულებითა და მორიდებით ელაპარაკება მეფეს: სად მე და სად შენ, მეფეო! განა შეიძლება მონის შედარება: პატრონთან, „მე რას ვღირვიარ თქვენს დარებას, ამხანაგი შემადარონ“¹! რა გაეწყობა, რომ ვილაღ უვიცებო ჩვენ ლექსებს ადარებენ ერთიმეორეს, რას აქცევ მავას ყურადღებას, ვისაც რა უნდა, ისა თქვას. მაგრამ, როდესაც მეფემ უკმეხად და უღიერად, თან მედიდურად დაიწყო ლაპარაკი, რუსთაველმაც იმიოდო ხმა. ის ამბობს:

მე ვარ ძირი ლქისის თქმისა, მეღუქსენი ჩემზე შენობს. (79).

თქვე ჩემგან უწინ ართმული, არც შემდგომთ მოსაოფარი. (73).

ხელოანი იმას პქვიან, უნახად შექნას რამე.

ჩემგან უწინ ვის რამ გუთქვათ, ქართველთ ენით ვწყე რა მე?

ჩემი თქმული სახედ გქონდა, მით რამ იტყბე, მით რამ ამე.

სხვათ შეღუქსეთ უმჯობესო, თუ არ სწყრები, მე კი დამე! (86).

ჩემი ლექსის ქება არამცთუ გაგიგონია სხვისაგან, შენ თვითონ გითქვამს². მე ათინას გაზრდილი ვარ, იმ ათინას, სადაც თქმულა სიბრძნის მოპოვება და შოვნა. შენ ტრაბახობ საღმრთოს ცოდნით, მაგრამ არც ამაში ჩამოგვივარდები. როგორ ამბობ, რომ წიგნი გაცუდდება და მნიშვნელობას დაკარგავს, ეს რომ ასე იყოს, განა პტოლომეოსი ათარგმნინებდა ისრაელთა წიგნებს? განა შენი მონები გამოგართმევდნენ მაშინ სიგულებს? შენ მე მიწუნებ ენას, მაგრამ შენ არ ბრძანდები ის, რომელსაც „მძიმედ გჩანს ენა ქართველთა“³ მე „მიჯნური ვარ, ვის მნათობნი ვერ ურჩ ექმნეს ვერცა წამსა“, ჩემი ლქსი რომ ცუდი ყოფილიყო, განა თამარი მე იმისთვის საჩუქარს მომცემდა, განა მისი ქება ამდენ ხანს არ გაქრებოდა? არა, შენ შეგიძლია მეფის ღირსებითა და ხარისხით დამწიხლო, მაგრამ არა მეღუქსეობით.

ამ განყოფილების არჩილი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

თუმც უხვია თემურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს,

ერკინება რუსთაველს მეღვრად, შეიტყუეთ, თუ ვინ დასცემს. (209).

მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე და მეცხრამეტე პასუხი შეადგენს პოემის საისტორიო ნაწილს, რომელშიაც აღწერილია საქართველოს მდგომარეობა მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარსა და მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, თეიმურაზ პირველისა და თამარ დედოფლის დროს.

¹ აღბათ, იგულისხმება თეიმურაზის ის ნაწარმოებები, რომლებშიც იგი რუსთაველის ჰტორიკიტს მიმართავს ხოლმე, მაგალითად: „ვარდბუღბულიანი“, „გახაფხულისა და შემოდგომის შედარება“ და სხვ.

² ატორს მზედველთაში აქვს თეიმურაზის სიტყვები „ღვიღლაჯუნნიანში“:

სპარსთა ენისა სიტყობან მასურვა მუსიკობანი,

მთხევა ენა ქართველთა — ვერ ძალმეც მისებრ თხრობანი.

ეს ნაწილი აძლევს პოემას საისტორიო ეპოსის ხასიათსა და შინაარსს. ამ განყოფილების უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია მეთექვსმეტე პასუხში (210—976), რომელსაც ეწოდება: „ამბავი მოწყალისა და მოსამართლისა, სახელოვანისა და მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებულისა, ბრძნისა, რიტორისა და ფილოსოფოსისა მეფის თეიმურაზისა, რომელი სიყრმავცილით, გაზრდით, ვაჟეკრობით, სიბერით სიკუდილამდის ეშრომა და გარდახდოდა“¹. თეიმურაზი ეუბნება რუსთაველს:

ისმინე ჩემი ამბავი, სიყრმითაჲ ვით ვუ გოდებად,
სიბერით სიკუდილამდისი საუღმოდ ცეცხლთა მოღებად.
მართალი, არ თუ ტყუილი, არ მიხეზისა მოღებად,
რაც მახსოვს, ყველას გაამბობ, არ მინდა სხვაჲნ მოძებნად.

ამის შემდეგ ის მართლაც იწყებს მოთხრობას, პირველი პირობით. იწყებს ის თავისი პაპის ალექსანდრესა და მისი ოთხი შვილიდან, რომელთაგან ერთი, კონსტანტინე, ყენს მისცეს, ხოლო მეორე, ერეკლე, სტამბოლს წავიდა, დანარჩენ ძმებში დავითმა გიორგი ციხეში ჩასვა და მამას, ალექსანდრეს, კახეთის ტახტი წაართვა, იმეფა ექვსი თვე და გარდაიცვალა, რის შემდეგ ტახტზე კვლავ მოხუცი ალექსანდრე ავიდა. ობლადდარჩენილი თეიმურაზი დედამისმა ქეთევანმა, გიორგის შიშით, ყენს გაუგზავნა გასაზრდელად. ამ დროს შაჰ-აბასმა სპარსეთიდან საქართველოში გამოგზავნა კონსტანტინე და მოაკვლევინა მამა და ძმა გიორგი. კონსტანტინეს დიდხანს არ უმეფნია, ის კახელებმა მოკლეს, რის შემდეგ კახეთის მეფედ ყენმა გამოგზავნა თეიმურაზი. აღწერილია თეიმურაზის დაბრუნება, მისი შეხვედრა, მეფედ. კურთხევა, გურიელის ქალის ცოლად შერთვა, ნადირობა და შექცევა, დედოფლის გარდაცვალება და გლოვა, თეიმურაზის დაბარება ყენის მიერ, გლოვიდან გამოყვანა და ლუარსაბ მეფესთან დამოყვრება, შაჰ-აბასის თავდასხმა და ლუარსაბისა და თეიმურაზის იმერეთს გარდახვეწა, ლუარსაბის სიკვდილი, თეიმურაზის კახეთს ჩაყვანა, სპარსთა კვლავ შემოსევა და დამარცხება, თეიმურაზის იმერეთს გადასვლა, იქიდან ხვანთქართან წასვლა, ამირგურ-ხანის დამარცხება, სპარსთა შემოსევა ქართლ-კახეთში, მათი ამოყვრება დიდი მოურავისა და ზურაბ ერისთავის შეთანხმებით, თეიმურაზის ჩამოყვანა და ქართლ-კახეთში გამეფება, ალგეთის ომი, მოურავისა და ზურაბის დაქიშება და ამის გამო საქმეების არევა, ბაზალეთის ომი, ზურაბისა და თეიმურაზის განწყობილება, თეიმურაზის კახეთს ჩასვლა და მოღვაწეობა, როსტომ მეფესთან დამოკიდებულება, როსტომის მალაროს მისვლა დიდი ლაშქრით, მისი დამარცხება და გაქცევა. ამით თავდება თეიმურაზის მეთექვსმეტე პასუხი. მისი მოთხრობა, ტრაგიზმით აღსავსე, ზედმიწევნითი და დეტალურია: არ გამოპარვია მას შეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის არც ერთი ფაქტი. ამ ფაქტებს ის განავრცობს სხვადასხვა დეტალით, თან, რაც უფრო

¹ ეს ნაწილი პირველად გამოსცა თბილისში ბ. იოსელიანმა 1853 წელს და უწოდა „სიბერება მეფის თეიმურაზ პირველისა“, ხოლო მეორედ—ქუთაისში, 1887 წელს, ლეონტი მანთაძემ „არჩილიანის“ სახელით.

საყურადღებოა, გადმოგვეცემს მრავალ ისტორიული ხასიათის ამბავს, რომელიც მემატიანისა და სხვა დოკუმენტებიდან არ ვიცით. ამ მხრივ ეს პოემა საუკეთესო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს. ასე რომ, ბატონიშვილი ვახუშტი თავის მატიანეში, უმეტესად შენიშვნებში; არაერთხელ უჩვენებს ამ პოემის ცნობებსაც. მართალია, ის შეიცავს ზოგიერთ განსხვავებას მატიანესთან შედარებით, მაგრამ უმნიშვნელოს. მაგალითად, პოემაში ნათქვამია, რომ თეიმურაზი მეფედ მცხეთას ეკურთხაო, ნამდვილად კი, როგორც ვახუშტიც აღნიშნავს ამ წინააღმდეგობას, ის ბოლოდებს კურთხეულა¹.

რუსთაველის მეთექვსმეტე პასუხი ისეთივე საისტორიო ხასიათისაა, როგორც თეიმურაზისა. იმას ეწოდება „პასუხი რუსთაველისა, რომელი მოახსენა მეფესა, თამარ დედოფლისა და მეფედცა წოდებულისა, მის თამის ნაქმარნი ომნი და მის დროთ საქართველოს დიდებულთ ნაქმარნი სრულნი, რომელნი სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ვრცელად, აწ შე შემოკლებით ვთქვა ლექსად“ (781—976). წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ რუსთაველის ეს პასუხი ყველა ნუსხაში არ არის. ალბათ, ზოგიერთ გადაწყვეთ არაბუნებრივად მიაჩნდათ თეიმურაზის ცხოვრების მიმდინარეობა და მთლიანობა დაერღვიათ ან აეშალათ მეთორმეტე საუკუნის ამბების შიგ ჩართვით. რუსთაველი თავის პასუხს იწყებს ასე:

ბელწიფივე, თქვენი ამბავი ვისმინე, რაც გამიხსენე,
მეც რას დროსა ვარ შემსწრობი, მიყურეთ, თქვენი შამიხსენე,
შეპირვებისა საკრევი ინებე, აწ შამიხსენე,
თუ ტყუილი რამ გაამბო, მაგინე, ავად მიხსენე. (781).

მეფეო, გვიკვირს, ეგ ზომი თავს ღვაწლი აწაშენითა,
არ თუ გვენახოს, ძველადი ამბად ვართ ძლიეროსმენითა,
მაგრამ მელექსეთ ჯობნება არა ვთქვა აწ ამ ენითა,
თვით შამქლა, ამინარო სახლ-მარან, აწა მენთა! (782).

არც მეფედ შეგედარებო და არცა ომ-სახელითა,
არც ძალად, გულად, სიფიცებით, რომე გარა ხელსა ხელითა,
თუ მგლექსედა მედრები, ჩვენა ვართ არ ერთ ხელითა,
მე რიტორი ვარ, მიჯნურნი შევეამკე ხელნი ხელითა. (783).

ომნი ძლიერნი ნაქმარნი მიზრძანე სახელოვანი,
ქინი, სარჯელთა მოთმენა, მართ მსგავსი ობიისანი,
ხან დაძაღლებო ბედისა, ხან აძაღლებო სვიანი,
მეც რამ შოგართო პასუხი, მისმინე, ვთქვა რამ ჰკვიანი. (784).

ამის შემდეგ პოეტი ზოგადი შტრიხებით აგვიწერს თამარის გამეფებას, მის ეთეროვნებას, სიბრძნე-გამგებლობასა და საქართველოს საზღვრების გაფართოებას, და ჰყოფს თავის მოთხრობას შემდეგ თავგებად: 1) ლაშქრობა თამარ მეფისა ქვეყანასა კარისასა; 2) აქა ომი კახასძის გამრეკელისა; 3) აქა-თურქნი მოუხდენ შავშეთს და გუზან აბულისძემან შეყარა ტაოელნი, კლარ-

¹ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 114.

ჯელნი, აქათ ბოცო და მესხნი და გაემარჯვა; 4) აქა საღირ მხარგრძელის შვილთაგან, ზაქარია და ივანესაგან, ღვინის ქვეყნისა მიხდომა და გამარჯვება; 5) აქა ზემო-საქართველო ზემოთ, შუანი შუათ, ქვემონი ქვემოთ იბრძოდენ და ყოველგან ამათ გამარჯვებოდათ სვითა თამარისათა; 6) აქა რუსთ მეფის ძემან, რომელ იყო პირველი ქმარი თამარისა, ილაშქრა პართის ქვეყანასა და მოარბია და ციხე აიღო; 7) აქა გელაქუნის მოახრედა თამარის ლაშქართაგან, მოწევა და ამათგან გამარჯვება; 8) აქა ასთან აწვია ლაშქარი განძას და შთასა მასისისასა და დიდი ომი გადაიხადეს და გაიმარჯვეს შერეტითა თამარისათა; 9) აქა რუსთ მეფის ძე ექსორია-ყვეს და სტამბოლს გაგზავნეს; 10) აქა რუსი რომ განძეს, თამარს შერთეს ოსთ მეფის ძე დავით, კაცი სრული სიკეთითა, ამისად შემდგომად იზრახეს გუზან, პატრონმან შავშეთისამან, სამცხის სპასალარმა ბოცო და მისთ მოკიდულ მესხთა, ყვარყვარე ციხისჯვარელმა, და მიიყოლეს იმიერნი, დადიანი, გურიელი, აფხაზი და სხვანი, და მოიყვანეს რუსი და შეეზნეს დავითს და ამერთა; 11) აქა ამავ გუზან ქართლელნი შეყარა თორმეტი დროშა კაცი და მოვიდა კოლას, დახვდა ფანასკერტელი ზაქარია და გაემარჯვა; 12) აქა თამარს ძე მისცა ღმერთმან და მამის სახელი დასდვა, გიორგი, და ლაშა დაურთო ზედა, რომელი გამოითარგმანების ქვეყნის განმანათლებელი; 13) აქა ლაშას ბედზე გალაშქრება და გამარჯვება; 14) აქა კარსა და აზრუმზე გალაშქრება და ანადალის მოშველება და ომი; 15) აქა გელაქუნად გავიდეს, ჩაიარეს ხაჩიანი, ჩავიდეს ქვეყნად ყვარყვარისად ბალაყუნად, მოარბიეს განძის კარი, ამოვლეს და დიდი ომი იხადეს და გაიმარჯვეს; 16) აქა მხარგრძელნი, ზაქარია და ივანე, ძენი სარგის მხარგრძელისანი, წარვიდეს, რახის პირი მოარბიეს და დავინდენი, და ამბერდელნი, მაჯანელნი სამეკობრედ წამოსულნი დახვდენ და გაიმარჯვეს; 17) აქა ივანე მსახურთუხუცესმან დავით მეფე აწვია გელაქუნს სპარსის ბოზორის გორლა ქვეყანასა და მოარბიეს, აიღეს სიმრავლე ტყვისა, პირუტყვისა, შემსგავსებული ქეიშისა; 18) აქა იგი ბედკრული რუსი მამინ, ოდეს ლტოლვილი ხელთ იგდო და არა ავნო და განუტევა, მივიდა ერანის ათაბაგთან, და მისცა ქვეყანა არანისა, შეყარა ლაშქარი და მივიდა ხისიხს, კამბეჩოვანს და შიგნითი მინდორი მოარბია, წაეწია მახატელის ძე ხორნაბუჯელი და გაემარჯვა; 19) აქა შარვაშასაგან ლომის ბოკვერის მოართმევა თამარ მეფისა; 20) აქა ერანის მპყრობელი ბობქარ მოვიდა შირვანს, შარვაშე აღსართან გამოავდო, და თამარ მეფეს შემოეხვეწა. ამან ილაშქრა და გაიმარჯვა; 21) აქა მხარგრძელი ივანე მსახურთუხუცესი გელაქუნელთ მიუხდა, განძელი ლაშქარი დახუდა, ვანს მიმავალი, და გაემარჯვა; 22) აქა ნუქრადინ, საბერძნეთისა და პალესტინის სულტანმა, ოთხასი ათასი კაცი შეყარა და ლაშქრად გამოგზავნა და წინ ელჩი გამოუგზავნა თამარ დედოფალს და ეს შემოუთვალა; 23) აქა თამარ დედოფალი გეგუთს იღვა და მხარგრძელნიც იქ ახლდნენ, მიუხდა არდავილის სულტანი ანისს, რომელი გათენდებოდა აღვისება, და მოაოხრა და მოსრა და წარვიდა; 24) აქა ზაქარია ამირსპასალარმა, მისმა ძმამ ივანე მსახურთუხუცესმან და გაგელმა მეფეს თამარს ხორასანზე ლაშქრობა გამოუჩიეს, მეფემც ლაშქრა; 25) აქა ზაქარია ამირსპასალარი, ძე სარგის

მხარგრძელისა, მიიცვალა და მის ძმას, ივანე მსახურთუხუცესს, უბოძა ამირსპასალარობა; 26) აქა დიდონი განუდგეს თამარ მეფეს, ივანე ათაბაგი გაუსივა, ხადის მთაზე ავიდა, ისე მთა-მთა ჩაიარა, მიუხდა, გატეხა, დამძევლა და გამარჯვებული მოვიდა. ეს თავი სრულდება პოეტის ელემიური კენსით პირ-მინა თამარის გარდაცვალების ვამო.

როგორც ვხედავთ, ამ პასუხში აწერილია თამარ დედოფლის მეფობა, მართალია შემოკლებით (ზოგიერთი თავი თითო სტროფითაა გადმოცემული). მაგრამ ყველა თითქმის მნიშვნელოვანი ფაქტის აღწერისათვის თავი გამოჰყავს აწერილი ამბების არა მარტო თანამედროვედ, არამედ მონაწილედაც. მე აქა და აქა ვახლდით, ჩვენ ასე მოვიქეციით და სხვა, — ამბობს ხოლმე ის. ისტორიული ფაქტები აწერილია იმ რიგითა და თანამიმდევრობით, როგორც „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ ვარიანტშია. არჩილს რომ ხელთა ჰქონდა სწორედ ეს ვარიანტი, ჩანს იქიდანაც, რომ ზოგიერთი გეოგრაფიული თუ სხვა საკუთარი სახელი იმნაირადვე დამახინჯებული სახითაა მოყვანილი პოემაში, როგორითაც ამ მატიანეში. თეიმურაზის ცხოვრებაში არჩილს უსარგებლნია თეიმურაზის თანამედროვეთა და თვითმხილველთა გადმოცემული ამბებითა და ცნობებით, ამიტომ ეს ნაწილი, ფაქტობრივი მხრით, გაცილებით უფრო დიდი და ცოცხალია, ვიდრე მატიანის შესატყვისი მოთხრობა. თამარის ცხოვრებაში კი მას ასეთი წყაროები და ცნობები უკვე აღარ ჰქონია, ამიტომ ეს ნაწილი მატიანის მშრალი, შემოკლებული გადმოცემაა.

მეჩვიდმეტე პასუხი იკითხება ასე:

თეიმურაზი:

კარგა ბრძანე ყველაჲთ, მაგრამ თავი რით იმართლე? —

ბევრი ექენო საშოვარი, მოვარბიე მე საფართლე;

სიტყვა-ბრძენმან შელექსემან რა ანთე, რა განათლე?

შენ გითქვამს და აწ მეც ვიტყვი, ვინ გამოგჩნდეთ უუმართლე! (977).

მთა ეთქვი ჩემი დიდება, მერე პირი და სარკელი,
ორივ გონებას მისტაცებს კელა მეფობის სჯა, სასჯელი,
შენ ვით გამართლე მეფობა, მესხი ომობს და კლარჯელი?
თქვენ თამარს გვერცა ახლავხარ, ოვ გიზის პირად ნათელა. (978).

ბასიანის ომი რომ სთქვი, ექ თქვენ სად იყავ მაშინა?
თამართან არ იბღუნძოდი ოძრისხეგსა, ვითა შინა?
რა გინდ ბევრი ყოფილიყვნენ, აგრე როგორ შეგეშინა?
ომის დღესა ქალებთან ხარ, ვა თუ სისრულემ აგაქშინა! (979).

ბევრი გითხარ ჩემი საქმე, აწ ამასაც ყური უგდე,
რადგან სიტყვა ამიშალე, ამად ესეც არ ღაგოდე,
სხვათ ნაქნარი საქმეები პასუხად სთქვი, თუ ამოდე?
სხვის ღონესა ნულარ ექებ, კარი მაგრა წამოთოდე. (981).

რუსთმელი:

თქვენდ არ ბრძანე მაგისტანა ომები, რომ თქვენ არ იყავ?
სხვასაც ბევრსა დახვლობივარ, დიდ ლაშქარსა ვითარ იყავ?
ამას ბრძანებ: რად არ მოჰკვდი, ან ლახვიარი რად არ იყავ?
უნ ვერა ვქენ, ბატონი ხარ, რაც გეჩიოს, მუქვად მიყავ. (982).

თეიმურაზის მეთვრამეტე პასუხი წარმოადგენს თეიმურაზის თავგადასავლის გაგრძელებას. აქ აწერილია: როსტომ მეფის თიანეთის მისვლა და აქ თეიმურაზის დამარცხება, ბრძოლის გადატანა ქიზიყში, სადაც მოპკლეს თეიმურაზის ძე დავითი, დედოფლის მოსვლა როსტომთან და იმერეთისაკენ გზის გამოთხოვა, გადასვლა იმერეთში, თეიმურაზის წასვლა ოდიშს ლევან დადიანისა და მამუკა ბატონიშვილის შესარიგებლად, უმცროსი შვილიშვილის გარდაცვალება და შერის, ერეკლეს, რუსეთს გაგზავნა, ჩამოთვლა თბზულე-ბებისა, რომელნიც თეიმურაზს დაუწერია იმეოეთში შვიდი წლის განმავლობაში. პასუხი თავდება ასე:

გოთხარ, სალექსე დროები აროდეს არ შემომსწროს
ან მოსვენება მენახა, ან ჯაერისათვის ღამესწრო,
მაშინ მნახავდი თამაზად, თუ შენთვის მე არ წამესწრო. (1052).

ამაზე რუსთაველი თეიმურაზს აძლევს შემდეგს, მეთვრამეტე პასუხს: ¹

მე შავისთვის ვთქვი სრულ სრული, დროც კი მქონდა, ხანიცა,
ვინ ბედმან დასცა მიწად, მერმე სეისაკან ხანიცა,
სალბინო ანუ საქირო, გულსა მოსაფხანიცა,
ტარიელ თუცა ვარდასა ჰკრეფს, ვკალიც ხანდახან იცა. (1053).

მარჯალიტი მაშინ სწორი შეიქნების რა ეს მოხდეს,
სადაც პირი გაპოზოდეს, სწორად ცვარი მტრჯალი მოხედეს;
აუე ქარი წვეთს არ სწყვეტდეს, თუ გაწყვეტოს, ის კი წახდეს,
მრუდს იფედ სყიდულობდეს, ობოლს ვერვინ დააფსადეს. (1054).

ამას მიჰყვება „პასუხი კვლადცა მეფისა [მეცხრამეტე]“. აქ აწერილია თეიმურაზის გამგზავრება რუსეთს, როდესაც ის 70 წლისა იყო, მიღება მისი რუსის ხელმწიფის მიერ და იმედგაცრუებულის უკანვე, იმერეთს, დაბრუნება. ასტრახანში რომ მოსულა, მას გაუგია იმერეთში დარჩენილი შვილიშვილის გარდაცვალება, რასაც პასუხი საშინელი შთაბეჭდილება მოუხდენია. იმერეთში კიდევ დედოფალი დახვედრია მკვდარი. ამის შემდეგ აწერილია ლევან დადიანის სიკვდილი და მეფის ალექსანდრესაგან ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის დაკავება, აგრეთვე სიბერით დაუძლურებული თეიმურაზის შაჰ-აბას მეორესთან წაბრძანება, ყენისაგან მისი შურისცხყოფა, ასტრახანადს გაგზავნა და გარდაცვალება.

რუსთაველის პასუხი (მეცხრამეტე) აღარ არის, რადგანაც მოკამათე თეიმურაზი უკვე მკვდარია, ამის მაგიერ პოემა თავდება ავტორის, არჩილის, სიტყვებით (სულ 24 სტროფა), რომლისათვც ის ავეიწერს თეიმურაზის ნეშტის მოსვენებას სპარსეთიდან და დასაფლავებას, აგრეთვე იმ პირობებს, რა პირობებშიაღც დაწერა მან ეს პოემა.

ასეთია შედგენილობა და შინაარსი ამ პოემისა, რომელშიაღც მთელი თავისი სიმწვავეთ წარმოადგენილია ჩვენი ცხოვრების უღმობელი სინამდვილე მრგვიდმეტე საუკუნეში და გულშემზარავი ტრაგიკული თავგადასავალი გვირ-

¹ რუსთაველის ეს „პასუხი“ პ. იოსელიანისა და ლ. მახიტაძის გამოცემაში არაა.

გვინოსანი პოეტისა, რომელსაც ბედის სიმუხთლემ სიკვდილის წინ ელეგიურად ათქმევინა:

სოფელი ჩემს ცემთა არ დაშვრა, რაზომ დაჟიდა,
ვეღარ გავიძლებ სიცოცხლეს, რა მოკვდუნე, იქაც დაჟი და,
ყოვლის ლახვრითა დაჰკოდე, ერთი გაკლია ბარჯი და,
ჩუბა ჩამიცივას, მივეცილიერ, აღარ დამსვა თაყს ჯიდა. (1108).

თვით არჩილი ამბობს: „მეფეთ ამბავი მეფემან შევეკრიბე საქართველოთა“, „რაც მასმოდა ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლებით“. მართლაც, პროზაულ წინასიტყვაობაში ის გვამცნობს: „მეფის თემურაზის... ამბავი თვითმნახავთა და თანნახლთ მისთ ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა, არა ხოტბა, არამედ მართალი; რამეთუ ათორმეტ წელ კახეთს ვმეფობდი, მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერთს მახლდენ, ვჰკითხავდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდესო“. უსაქმო და მოწყენილმა კაცმა „სხვას ზღაპრულს ამბავს ესეც მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად და არცა რა ამაში ტყუილი სწერია ერთის, მეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების, მეტი“¹. აქვე ავტორი გვირკევეს იმასაც, თუ სად ან როდის დაწერა მან ეს პოემა: თემურაზის ამბები, გადმოგვცემს ის, მსმენოდა, სხვათა შორის, კახთაგან. „რამეთუ ათორმეტ წელ კახეთს ვმეფობდი... ოდეს კახეთით იმერეთის დასაქერად წამოველ, სამწელ არამცირე სარჯელი ვნახე და მეოთხეს წელს დავიჭირე, ენკენისთვეს; და თიბათვეს ხვანთქარმა სუაზს აქეთი ლაშქარი გამომისია, და მეფე და გურიელი წინ მიეგებნენ და ზოგნი იმერელნი დარბაისელნი; და ყენმა აღრიბეყანის ლაშქარი ქართლსა და კახეთს პირს მოუყენა. რომელნიც იმერელნი მე მახლდენ, ზოგთ იმათაც იქით ირჩიეს; და დვალეთს გარდმოვიც, დედოფალი იქ დავაყენე და მე იქივ იმერეთს ჩაველ. რვა თვის ჩხერს ვიყავ და ისევე დვალეთს წამოველ და იქიდან ოსეთს ფაიქომში გარდმოველ და ერთს წელიწადს იქ ვიდექ. ვითაც მოწყენილის კაცის წესია“... ამის წერას შევეუდექო².

პოემის ბოლოში ავტორი ამბობს:

ვიწყე ოდეს ესე წიანი, წლისა ვიყავ საშათ ოთხტნით,
დასაბაით წელიწადი ეს წასულა იემ არ ბასტნით,
შვილიათას ას ოთხმოც ცხრას სათვალავს ნურას დასტმანით,
ეს ჯდებოდა ქორიანიკნად, სხვას ასოას ნუ დამეტნით. (1132).

აქედან ჩანს, რომ პოემის წერა არჩილს დაუწყია ოსეთში, სოფელ ფაიქომში, დასაბაით 7189, ან ქრისტესით 1681 წელს, როდესაც ის 34 წლის იყო. თვით პოემაში „ზურაბ ერისთვის სიკვდილის“ შემდეგ და „მეფის თემურაზის ულუკოსორს მიხლობის“ წინ ვკითხულობთ: „ამას ზეით ოსეთს მითქვამს, ამას ქვევით ვიტყვი რუსეთსო“. გამოდის, პოემის მთელი წინა ნაწილი, 724 სტროფი, არჩილს დაუწერია ფაიქომში, ხოლო დანარჩენი ნაწილი (408 სტრო-

¹ „არჩილიანი“, ტ. II, გვ. 7.

² იქვე.

ფი)—რუსეთში, ქ. ასტრახანში. სულ თხზულება მას ცხრა თვის განმავლობაში დაუსრულებია, როგორც ამას თვით ამბობს პოემის ბოლოს:

ცხრა თვის ყველა გავითავე, სულ ამაზე არ მოცილილა,
ოსეთს ვიყავ, ფაიქომში, საქართველოს გამოცილილა,
რად ამაზე გამაქალა სოფლის ბრუნვამ, ვითა ჩრდილმა?
ქ, აშთარხანს, გავითავე არილ მეფემ, ასრე ზრდილმა (1130).

პირველი ნაწილი, 724 სტროფი, ავტორს დაუწერია ოთხი თვის განმავლობაში, როგორც ეს დამოწმებულია თხზულების ყველაზე ძველსა და ამასთან თვით არჩილის მიერვე რედაქტირებულ ხელნაწერში (S 2663). მაშასადამე, თუ მთელი პოემის დაწერას ცხრა თვე მოუნდა, მისი მეორე ნაწილი დაწერილია ხუთი თვის განმავლობაში. როდის, რომელ წელს, დაიწერა ეს მეორე ნაწილი? არჩილი, როგორც სათანადო საბუთებით ირკვევა¹, ასტრახანში მისულა 1682 წლის 1 სექტემბერს. თავისთავად ცხადია, რომ სანამ ახალ საცხოვრებელ ადგილზე ის საკმაოდ არ მიიხედავდა, სანამ იქ არ მოეწყობოდა ჯეროვნად და პირველ რიგში მთავარ მიზანს თავის მოსვლისას (პოლიტიკურს) ჯეროვან მსვლელობას არ მისცემდა, ლიტერატურულ მუშაობას ის ვერ დაიწყებდა. ასე რომ, 1683 წელზე ადრე პოემის გავრძელება მოსალოდნელი არაა. არჩილი ასტრახანში ცხოვრობდა 1685 წლის შემოდგომამდე. მის ნაწარმოებთა ქრონოლოგიური სიის ცდას იძლევა ხელნაწერ S 424-ის „ზანდუკი“, რომლითაც პირველ ნაწარმოებამდე ნაჩვენებია რომელიღაც დაკარგული ანბანთგება, მეორედ—„თეიმურაზიანი“, მესამედ—„სოფლისა და კაცის გაბაასება“. უკანასკნელი თვით თხზულებაშია დათარიღებული: ის დაწერილია 1684 წლის იანვარ-მარტში. ამრიგად, „თეიმურაზიანის“ მეორე ნაწილის დაწერა მოვა 1683 წელზე. მხოლოდ ძნელია იმის გარკვევა, ამ წლის რომელი „ხუთი თევა“, პირველი თუ უკანასკნელი, როდესაც ეს ნაწილი დაიწერა. ერთი სიტყვით, „თეიმურაზიანის“ პირველი 724 სტროფი დაწერილია ოსეთში, ს. ფაიქომში, 1681 წელს, ოთხი თვის განმავლობაში (რომელია ეს თვეები, არ ვიცით), დანარჩენი 408 სტროფი კი—ასტრახანში 1683 წელს, ხუთი თვის განმავლობაში.

პოემაში წარმოდგენილია ეპოქის პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილესთან ერთად მისი შინაგანი ყოფა-ვითარების მხარეც: ოჯახური ცხოვრება, სმა-კამა, გართობა, განსაკუთრებით ნადირობა, ომის წესი და წარმოება, საერთოდ თანამედროვე ზნე-ჩვეულებანი. ის გამსჭვალულია სარწმუნოებრივ-ზნეობრივი და პატრიოტული ტენდენციით, რაც რელიგიურად გამოუთქვამს ავტორს დიდი მოურავისა და ზურაბ ერისთავის საქციელის შეფასებისას (მათ ცოდვები შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობას, როდესაც მათ მიერ მოყვანილი სპარსეთის ჯარი გაანადგურეს ჩვენში) შემდეგი სიტყვებით:

საზღლისთვის მათ ცოდ-შვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ!

ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით რომ დიდათ სცოდეთ?

რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნებოს, რასაც ჭოფდეთ?

აწ ვს კნით, კართველებო, ანდერძავით შვილს ეტყოდეთ! (609).

¹ „არჩილიანი“, ტ. II, გვ. VIII.

არჩილი საქართველოს უბედურების მიზეზად თვლის არა მარტო გარე-ზე მტრების თარეშს, არამედ შინაური უთანხმოების, გაუტანლობის, გამსყმლობისა და ზნედაცემულობის მოვლენებსაც.

თხზულებაში ჩვენ გვხვდება არა ერთი და ორი ღრმა ლირიზმით აღსავსე გულდაწველი ადგილი, განსაკუთრებით იქ, სადაც ავტორი დასტირის ჭვეყნის გავერანება-გაპარტახებას, თავის პირადი ბედის უკუღმართობას, ცხოვრების სიმუხთლესა და ვერაგობას, შინაურ არეგ-დარეგასა და გაუტანლობას. ნამდვილი ელდეგია ამ მხრივ განსაკუთრებით ის თავი, რომელსაც ეწოდება: „მეფის თეიმურაზისაგან დედოფალსა ზედა მწუხარება და მგლოვარება დიდი“ (384—395). ეს ქართული ელგეის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ამასთანავე, ამ ელგეიაში ავტორი წარმოდგება ჩვენ წინაშე როგორც შესანიშნავი პორტრეტისტი, რომელსაც მოუცია ჩვენთვის მეტად ცოცხალი სურათი გარდაცვალებული დედოფლისა დასამატებლად შემდეგის, წინათ ზოგადად მოსმული, შტრიხისა:

არას ვიტყვი, თქვენც გასმია ქება, არ თუ ეუდი ხობდა;
პირად ბოლო, ბაჟე მოწი თვალუბია გიშრის ზო ტბა,
სმა-ბუღულის, საფირონი, შეჭრისაგან უფრო ზოტება,
მე არ შთატყვის ნათალო, ბრძენთა უბამს იქ შემოყრბა (300).

მშვენიერია აგრეთვე ბუნების აღწერილობანი, წლის ოთხ დროსთან დაკავშირებით, და სურათი დროს ტარებისა და განცხრომისა (302—383). აი, ერთი პატარა ნიმუში:

მაისი დაღვის—ტურფადვე, ვარდი აყვავდის ზაღებსა,
ველი ვევალით შეიძვეის, ჭვანდის წითლითა ნაღებსა,
ბუღუღლათა ყეფა ისპოდის, ვერ ვსჭვრეტლით სულადაღებსა,
მე ვინ მნახვედის იმ დროსა უღბინოდ, სუფრა ნაღებსა? (326)

ამ თხზულებაში არჩილი წარმომადგენელია არა მარტო ნაციონალური თემატიკისა, არამედ აგრეთვე იმ „რეალიზმისა“, რომელსაც ასე უჩენია თავი ალორძინების პერიოდში. ის შეგნებულად უპირისპირებს ერთიმეორეს „ხოტბასა“ და „მართალს“ (გვ. 7, სტროფ. 300).

4. ლირიკული ნიმუშები

ასეთი სახელი ეწოდება საისტორიო პოემას, რომელშიც რუსთველური შაბრით გალექსილია დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ცხოვრება და ღვაწლი და რომელშიც გაშუქებულია ქართლ-კახეთის აუტანელი მდგომარეობა ბეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში¹.

¹ პოემა პირველად გამოიცა პ. ლოსელიძის მიერ 1851 წ. (1852 წელს მისი ნაწილობრივი დაბეჭდა „ცისკარში“ № III); 1897 წელს კვლავ გამოიცა ის თბილისში ი. იმედაშვილისა და ს. კილაძის მიერ; 1939 წ. გამოვიდა შესაბამისი გამოცემა გ. ლომიძის რედაქციით. ვსარგებლობთ ამ გამოცემით.

პოემას ავტორი იწყებს ამნაირად: დაახლოებით 1626 წლის დამდეგს თეიმურაზ პირველი, გიორგი სააკაძის მიერ ორთავ ტახტზე განმტკიცებულ, ცხინვალს იმყოფება და გვერდით ახლავს დიდი მოურავიც. უკანასკნელს აქ ფარულად შეატყობინეს: თეიმურაზს შენი მოკვლა განუზრახავს და თავს უშველო. განცვიფრებული გიორგი მეფეს უგზავნის მროველ ეპისკოპოსს. დომენტი ავალიშვილს საქმის გამოსარკვევად და ამბის გასაკებად. მეფემ უარი თქვა, ეს მოგონილია, ასეთ საშინელებას როგორ გაივლებდი გულ-შიო? მოურავი იძულებული შეიქნა ხელმეორედ გაეგზავნა დომენტი მეფესთან ამ საქმის გამო. ახლა გამოირკვა, რომ მეფე მოურავს თვლის ლუარსაბის სიკვდილის მიზეზად: „ქვეყანამ იცის“, უთვლის მას, „შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია“, „მაგრამ მე მისს სისხლს არ ვეშებ, შენ იყავ შენთვის მჯდომარე“, არაფერ შენ ხელს არ გახლებსო. ახლა მოურავმა საჭიროდ დაინახა გადაეშალა მეფისათვის მთელი თავისი წარსული, თავისი ღვაწლი და დამსახურება ქართლ-კახეთის მეფეთა წინაშე, დაწყებული თათარხანის შემოსევიდან 1609 წელს და გათავებული ბაზალეთის ომით, რომლის შედეგც ის იძულებული გახდა მიეტოვებინა საყვარელი სამშობლო და გადახვეწილიყო ოსმალეთს, სადაც მან 1629 წელს პოვა დაუმსახურებელი, უპატიო და უმადური სიკვდილი. თხრობა წარმოებს პირველი პირით, დიდი მოურავი დომენტის პირით თვით ელაპარაკება მეფეს¹.

პოემა დაწყარებულია გიორგი სააკაძის მიერ მეფე თეიმურაზთან მიწერილ წერილებზე, რომელთა არსებობა, იმ დროს მაინც, ეკვიპოტანელი უნდა იყოს², და ცოცხალ, უშუალო საგვარეულო გადმოცემებზე³.

დიდი მოურავის პიროვნებასა და მოღვაწეობას ავტორმა ჩამორეცხა შურიტ აღსავსე და მეკოროიანე მტერთა მიერ დასმული დალი სამშობლოს გამცემლისა, რომლის მძლავრი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, სხვათა შორის, ბატონიშვილი ვახუშტიც, როდესაც ის თავის მატიანეს წერდა⁴. მის შედარებით

¹ მეფე, რომელსაც ცხინვალში განუზრახავს დიდი მოურავის მოკვლა და რომელსაც ამის გამო მოურავი დომენტი მროველს უგზავნის, ვახუშტის თქმით, არის ლუარსაბი („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 35). ამასვე იმეორებენ მერე პ. იოსელიანი („Жизнь Саакадзе“, გვ. 10—12) და ალ. ხაბანაშვილი („Очерки“ III, გვ. 200), ბოლო დავით რექტორა, რომელსაც 1823 წელს თავებდა დაუყვია პოემა და შესაფერისი სათაურებით წარუწერია ისინი, როგორც პ. იოსელიანის გამოცემიდან ჩანს, გვამცნობს, რომ ეს მეფე სვიმონ მეორე იყო („დიდმოურავიანი“, გვ. 33, 49). ნაძვლილად კი, როგორც შინაარსიდან ჩანს და როგორც ან. ფურცელაძემაც აღნიშნა თავის მონოგრაფიაში („გიორგი სააკაძე და მისი დრო“, 1911 წ., გვ. 10—14, 47, შენიშვნა), გიორგი სააკაძე ელაპარაკება არა ლუარსაბს, და არც სვიმონ მეორეს, არამედ თეიმურაზ პირველს.

² ანტონ ფურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, 1911 წ., გვ. 9, შენ. 2.

³ საეჭო უნდა იყოს ახრი იმის შესახებ, რომ სიტყვები: „სხუგან წერა დამწერულმან ზეანთართანა წასელა მისი“ და სხვ. (სტ. 355—6), გულისხმობს გიორგი სააკაძეზე დაწერილ ზეანმდე არშენახულ პოემას (გ. დეონიძე, დიდმოურავიანი, გვ. III—IV; მისივე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 3). აქ უნდა იგულისხმებოდეს არჩილის „თეიმურაზიანის“ 698—699 სტროფები (ა. ხარამიძის გამოცემით), იოსების მიერ უფრო ვერულად გადმოთარგმნილი.

⁴ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 34—45.

ობიექტურობას ამართლებს, სხვა რომ არ იყოს¹, დიდი მოურავის ის სურათი, რომელიც თეიმურაზის პირით დაუხატავს არჩილ მეფეს უკვე განხილულ „თეიმურაზიანში“.

ავტორის მიზანი, გარდა დიდი მოურავის პიროვნებისა და მოღვაწეობის რეაბილიტაციისა, არის ისტორიულიც:

ქართლის ცხოვრება სხვათა თქვეს, მე ამის ვიქმენ ბრალეად,
რომ დამეყარა ამბავი, ქნილ იყო შესაბრალეად,
წყარო ტყილი და ამონი ქნილ იყო გასამშრალეად. (476).

ვინ არის პოემის ავტორი? უკრ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში დანამდვილებით იცოდნენ, რომ თხზულების ავტორი არის იოსებ ბიძინაძის მიტროპოლიტი, მასასადამე, ბერი, რომლის შესახებ ანტონ კათოლიკოსი ამბობს:

ოსებ თუმა დაშურა ამოთათუს,
მგრა გონება მისი ქუემღებარებდა
თავისუფალა ცნობათი, რომლითაცა
სიქმიდა შენიერ-საქებელ შეწყობათა.
ოსებ კმადა გამოცდილ იყო სრულად
პიიტეკოსთა ქელოვნებათი მიმართ,
საყუარელ იყო მეფეთა მამინდელთა,
საყუარელ იყო ერთაცა ყოველთაგან,
აქებდეს მისსა სიბრძნის მოყუარებასა.

ანტონის კვალიფიკაცია—ოსებ „დაშურა ამოთათუს, ვითარმედ ესე არა თანედუა მასო“, დამყარებულია პოეტის სიტყვებზე, რომელიც, შენიშნავს: ვევედრები ცოდვილთა შემწყნარეს, „რომ უქმი სიტყუა მომბადოს“, ვინაიდან „სოფლის ზღაპრისა წერისთვის შევიქმენ დამნაშაფია“, განაგრძობს:

უქმი სიტყუა ცუდასა ჰქვიან, მეც ვარ მუღბად უქმის მოქმელი,
კაცო რომე უქმს ამბობდეს, ვით მორჩების დაუნქმელი?
ქკვა მით პოეს, საღმრთოს წიგნის ვინცა იყენეს გარდამქმელი,
მე შევიქმენ ენაყბედი, სოფლის წიგნის სამ წამქმელი. (479)

მე სოფლისა საქმეს მიეყევი, მე ვინა და ამის წერა,
ის მიჯობდა, მოციქულთა, რაც თქუეს, ყველა დამეჯქრა,
სულის ღწით და სინანულით ანგელოსანი შემეჯერა,
თავო ჩემო, შენთვის რა ჰქენ, ანუ კარგად გასინჯე რა? (481)

რა თქმა უნდა, მოყვანილი სიტყვები საკმაო არაა ვთქვათ, რომ პოემის ავტორი არის სასულიერო პირი, ისიც ბერი ვინაიდან ამგვარ სიტყვებსა და მოტივებს ჩვენ ვპოულობთ აღორძინების ხანის არასასულიერო პირთა თხზულებებშიაც, როგორცაა, მაგალითად, თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახ

¹ ამის შესახებ იხ. ანტონ ფურცელაძის დასახელებული შრომა.

² „წყობილსიტყუაობა“, § 678—679.

ტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი და სხვ. ამ მხრივ უფრო საყურადღებოა და დამაჯერებელი პოეტის შემდეგი სიტყვები:

ესეთი სიტყვა არა ზამს, თუ ბერი წესზედ ბერვედს. (480).

იოსებ თბილელი, პ. იოსელიანის სიტყვით, ყოფილა დიდი მოურავის ძის ძეგ, გიორგის ძის სიაუშის შვილი¹. მას ხელნაწერებში ეწოდება იოსებ თბილელი ბაბათაშვილი. პ. იოსელიანის განმარტებით, „ბაბათა არს ლექსი თათრული და ეწოდა მამასა მისსა სიაუშს მას ეამსა, ოდეს ცხოვრობდენ უცხოებისა შინა აზრუმსა და ოსმალსა სამძღვართა ძენი და ასულნი დიდისა მოურავისა“². დაბეჯითებით იმის თქმა, რომ იოსებ თბილელი არის გიორგი სააკაძის ძის ძე, სიაუშის შვილი, ძნელია. დიდ მოურავს, ისტორიულ და დოკუმენტების მიხედვით, ჰყავდა შემდეგი ძენი³: პაატა, სპარსეთში დასჯილი სიკვდილით მამის ღალატისათვის, ავთანდილი, მამასთან ერთად ოსმალეთში ტრაგეულად დაღუპული, ზურაბი, მარაბდის გმირი, რომელსაც 1643 წლის ახლო ხანებში როსტომ მეფემ დალატისათვის თვალეზი დასთხარა⁴, ივანე, იმავე საქმის გამო კახეთს გადახვეწილი და როსტომ მეფის მიერ ქონებაშიღებული⁵, და იორამი, დიდი ერთგული როსტომ მეფისა⁶, რომელმაც მას თარხნობა უბოძა. არსაიდან ჩანს, რომ დიდ მოურავს ჰყოლოდეს კიდევ შვილი სიაუშო. ასე რომ დანამდვილებით არ ვიცით, ძის ძე თუ ძმის ძე იყო იოსები დიდი მოურავისა, უფრო სავარაუდებელია უკანასკნელი. მას რომ ნათესაობითი კავშირი უქვევლად ჰქონდა დიდ მოურავთან და სააკაძიანთ გვარს ეკუთვნოდა, ამას თვითონაც ადასტურებს შემდეგი სიტყვებით:

ნათესავ-მოღამ გვარტომან მისმან ეს ვიწყე წერაბაღო.

საკაძიანთ გვარში მიღებული ყოფილა სახელი ბაბაშოშ ან ბაბასიაუშ, ერთი მათგანი მოხსენიებულია 1646 წლის დოკუმენტში⁷, შეიძლება აქედან წარმოღვა იოსების გვარი ბაბათაშვილი და პ. იოსელიანის ცნობა, რომ ის სიაუშის შვილი იყო.

პლ. იოსელიანის ცნობით, რომელსაც მერე სხვა მკვლევარნიც იმეორებენ, იოსები აღიზარდა ქვათახევის მონასტერში, საიდანაც, ბერობის მიღების შემდეგ, იმერეთს გადავიდა და რაჭაში ნიკორწმინდის ეპარქიის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი. ბქედან, როსტომ მეფის წინადადებით და ახალციხის ფაშის როსტომის (1647—1659) ნებართვით, გადავიდა აწყურის კათედ-

¹ „დიდმოურავიანი“, წინასიტყვაობა, გვ. 1; „Жизнь великого моурава“, გვ. 84.

² იქვე, გვ. 75, შენიშვნა.

³ შტრ. Brosset, Rap., 1891, p. 85.

⁴ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 522.

⁵ იქვე, გვ. 522; „საქართველოს სიძველენი“, II, გვ. 68. ეს ის იოანე სააკაძე ზომ არაა „გაბრუნის ბერთუბნის წამა, კაცი ღირსი“, რომელმაც 1715 წელს აწილა იესე მეფე უკანონო ქორწინებისათვის („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 79)?

⁶ პლ. იოსელიანი მას გიორგის შვილიშვილად თვლის („Жизнь великого моурава“, გვ. 84); „ქართლის ცხოვრება“, II, 48, 518—521.

⁷ „საქართველოს სიძველენი“, II, გვ. 83, სადაც ბაბაშოშ მიმართა გაცოცხილი.

რაზე, შესხეთში შერყეული ქრისტიანობის განსამტკიცებლად, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იძულებული შეიქნა დაენებებინა თავი იქაურობისათვის და, ქართლში დაბრუნების შემდეგ, როსტომ მეფის მიერ დაინიშნა თბილისის მიტროპოლიტად¹. ძნელია თქმა, რამდენად დასაჯერებელია ეს ცნობები, ვინაიდან, სამწუხაროდ, პირველწყაროები არაა ნაჩვენები. თბილისის კათედრაზე იოსები ჩანს 1661, 1662, 1665, 1666, 1670, 1671, 1681, 1682, 1683, 1685, 1686 წლებში².

როგორც უნდა იყოს, „დიდმოურავიანის“ ავტორად უნდა ჩაითვალოს ის იოსები, რომელსაც თბილისის კათედრაზე ვხვდავთ 1661—1686 წლებში³ და რომელიც მოკლულ იქნა 1688 წელს, როდესაც გიორგი XI დუშეთის იღებდა⁴. ამას გვაფიქრებინებს, სხვათა შორის, ის იდეური და ლიტერატურული კავშირი, რომელიც იოსებს ჰქონია ცნობილ სასულიერო მწერალთან — იაკობ სამებელ-შემოქმედელ ღუმბაძესთან. იაკობი არის მიგვიღმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების (გარდაიცვალა 1713 წ.) მოღვაწე. მას გიორგი მეთვრამეტის ბრძანებით გაუღქმავს „უსჯულოვსა მუჰამედის და ქრისტეანეთა გაბაასება“⁵ და არჩილ მეფისათვის მიუძღვნა ორსტროფიანი ხოტბა⁶. სამავთეროდ არჩილს „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“ შორის ისიც მოუხსენებია შემდეგი სიტყვებით:

აჲ სამებელი იაკობ ვახსენო, ბრძნად მოუბარო,
ამჟამად მის შეცნეო არსად არა ჰყავს უბარო,
ხუცურის ენით მელექსობს, არის საერას მგმობარო,
სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი მკობარა⁷.

¹ „დიდმოურავიანი“, წინასიტყვაობა. შტა. ხ. კი ბ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა მე-17 საუკუნეში, გვ. 30—33.

² Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары, გვ. 57; „საქართველოს სიძველენი“, II, გვ. 133; თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 483, 513; მისივე, ქართლ-კახეთის მონასტრების და ვკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 213—214, 221, 223, 205—207.

³ გ. ლეონიძე გამოდის, ერთი მხრით, იმ ფაქტიდან, რომ 1658 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია ელიც თბილელი, მეორე მხრით, პ. ბოსელიანის ცნობიდან იმის შესახებ, რომ იოსებს თბილელობა მისცა როსტომ მეფემ, რომელიც 1658 წ. 18 ნოემბერს გარდაიცვალა, და ასევე: იოსებს თბილისის მიტროპოლია 1658 წლის დეკემბერში მიუღიათ („ლიტერატურული შემკვიდრებობა“, I, გვ. 32). მაგრამ ნოემბერში გარდაცვლილ როსტომს დეკემბერში როგორ უნდა მიეცა მისთვის კათედრა? შემდეგ მან ეს თარიღი 1659—60 წწ. გადმოიტანა („დიდმოურავიანი“, გვ. XXV; მისივე, ტიბანი, გვ. 24).

⁴ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 59.

⁵ ხ. კი ბ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მებვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 33—36; А. Х а т а н о в, Очерки, III, გვ. 823.

⁶ „Описашие“, II, გვ. 153—4. იაკობს განათლება მიუღია ტრაპიზონში, 1682 წელს დადგინდა იქა შემოქმედელად; 1687 წ. გამგზავრებულა რომს, სადაც ის დიდი პატივით მიუღია ინოკენტი პაპს, იქიდან კათოლიკთა შვიდი მისიონერი წამოუყვანია. როდესაც იაკობი მღვდელად, ათონის მთაზე გამგზავრებულა, იქიდან თურქულაღმის, სადაც გარდაცვლილა კიდევაც (დ. ბ ა ქ ა ძ ე, Археологическое путешествие... გვ. 158).

⁷ „არჩილანი“, II, ა. ბ ა რ ა შ ი ძ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ის გამოც., სტრ. 33.

იაკობის მსგავსად, იოსებ თბილელაც არის „საეროს მემობარი“, როგორც დაეინახეთ, და, ამასთანავე, „ხუცურის ენით შეღეჭეს“. მაგრამ მათს კავშირს უფრო ამტკიცებებს ის ლიტერატურული მიწერ-მოწერა, რომელიც იოსებსა და იაკობს შორის ყოფილა გამართული. იოსებს მიუწერია იაკობისათვის განსამარტებლად შემდეგი იგაევი:

სიბრძნე თვისა თვისთა საბლი იშენა გებული,
მის შეიღნი სუტნი შეუღნა, შეიღნივე წმინდა გებული,
სიკლდით მოკლა სიკუდილი, დახსნა ცოდვილთ კრებული,
ამისა ახსნა თქუენგან მწადს, ვიცი, კაცი ხარ მტენებულა.

ამაზე იაკობმა უპასუხა:

სიბრძნე ქრისტეი და საბლი—უბოწო მისი შობელი,
მუნ შეიღნი სიბღმლონი ყო მტერა დასაშობელი,
სიკლდით—გუჟარცმა ქრისტესი, დახუარა დასასობელი,
თუთი მტრობსა ცნობა გებრძნა, რას გადარებ შე უცნობელი¹.

ამრიგად, იოსებ თბილელის ლიტერატურული მოღვაწეობა დაახლოებით იმავე დროს ეკუთვნის, რომელსაც იაკობ ღუმბაძისა, ესე იგი შერეილმეტე საუკუნის უკანასკნელ მესამედს.

„დიდმოურავიანის“ გარდა, იოსებ თბილელს თავისი წვლილი შეუტანია „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიაში, კერძოდ, უკანასკნელის დამატებებსა და ჩანართებში². მის სახელს ჩვენ ვპოულობთ გაგრძელება-დამატებათა იმ ნაწილში, სადაც მოყვანილია ძმდნაფიც გმირთა „ანდერძები“: იოსებ თბილელის სახელით წარწერილია აქ ორი „ანდერძი“, რომელიც მთლიანად დაბეჭდილია ს. კაკაბაძის 1913 წლის გამოცემაში ისეთი ხელნაწერების მიხედვით, სადაც იოსების სახელი არ ჩანს. ეს „ანდერძებია“: ერთი ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა—„აწ მამისმინეთ ყოველთა... მივალ და მართლად არ ვიცი“ (ს. კაკაბაძის გამოცემაში 1731¹—1731² სტროფები), მეორე—ავთანდილისა: „ავთანდილ ვკადრო... კარგნი ყოფილხართ სამნივე“ (იქვე, 1742¹—1742² სტროფები), სულ 61 სტროფი. გარდა ამისა, იოსებ თბილელის სახელი შემოკლებულად „ტფი, ტფ, ტ“ მიწერილი აქვს არშიაზე, ტექსტისავე ხელით, აგრეთვე პოემის შირეულ ნაწილში ოთხ სტროფს. ერთი მათგანი მოთავსებულია „ნესტანდარეჯანის პიოველ წერილში საყვარელთან“³, ის მიეყება სტროფს: „შენგან ჩემისა ქმრობისა წინათაც ვიყავ მღომი“ (373 სტრ. ვახტ.) და დაბეჭდილია ს. კაკაბაძის გამოცემაშიც (346¹) ავტორის მოუხსენებლად:

ამა ამხისა მოსმენა ტარიელს მოაღბინებდა,
მის შიუვიდა ამავეი, რასაცა გულით იწებდა;
თვალთა, მტირალად, ჩვეულთა, ცრემლს აღარ დაიდინებდა,
და ცნობას შეეცა, კეუას მიხელა, ზაგესა გაღიმებდა.

¹ პ. იოსელიანი, დიდმოურავიანი, გვ. 80.

² „ვეფხისტყაოსნის“ გ. წ. ხახსელი ხელნაწერთა.

ორი სტროფი ჯერ ცნობილი არაა. ერთი მათგანი, რომელიც მოთაველებულია თავში „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“, მიჰყვება სტროფს. „თვე ერთისა მოშორება“ (946 სტრ. ვახტ.) და იკითხება ასე:

მისა მხესა გზა-გზა მოსთქვამს, ჳირს თავს აძლევს ლხინის ფასად,
ვულსა იტყვის: მიაშურე, გავიპარავს შენ აწა სად;
გარჯისათვის ვერე თქმულა: მიხედებისო ერთი ასად,
და ჳირნი ჩემნი ვამსუბუქო, ჳკოდავს სხვათა უძძამესად.

მეორე შეტანილია „ფატმანის სამიჯნურო წიგნში ავთანდილთან“ — „ღა-წერა წიგნი საბრალო“-ს შემდეგ (1074 სტრ. ვახტ.), და იკითხება ასე:

ფატმან არ იცის, ავთანდილ თუ ვისით ცეცხლით მწველია,
მეფეს მოშორდა გამზრდელსა, თინათინ ცრემლთა მღერელია;
ნესტან-დარეჯანს დეძებს, ბევრს ჳირთა გარდამხდელია,
და აქა სცნობს მართალს ამბავსა, გაიაღვილოს ძნელია.

მეოთხე სტროფს ადგილი აქვს „ფატმანის წიგნში ნესტან-დარეჯან-გთან“ — „ქაჯმან უთხრა: ვინ გგონივარ“-ის შემდეგ (1269 სტრ. ვახტ.), და იკითხება ასე:

შენებთთა არსთა მზე ხარ, ქვეყანისა არეული,
ბროლ-შალაშში, ძოწ-გიშერი, პირგავისილი მთვარეული,
ალვის შორჩი, ცისკრის ვარდი, მუშკ-სურნელი ამბრეული,
და ნუ დასკვნები, წამ ერთ მოვა ღეთის წყალობა აღრეული.

ეს სტროფი ს. კაკაბაძის გამოცემაში არის შეტანილი (1231¹), მაგრამ საკმაოდ შეცვლილი სახით.

ამრიგად, იოსებ თბილელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომელიც ამდენ ხანს იყო ცნობილი, ემატება 65 სტროფი „ვეფხისტყაოსნის“ ციკლიდან. იქნება ხელნაწერის დაკარგულ ფურცლებზედაც იყო იოსების სტროფები, მაშინ ეს რიცხვი უფრო გადიდდებოდა¹.

იოსებ თბილელს დაუწერია აგრეთვე ჩვეულებრივი ტიპისა და შინაარსის „ანბანთქება“², რომელსაც ხელნაწერებში ასეთი სათაური აქვს: „ანბანთქება, ახლად თქმული ბახათაშვილის იოსებ თბილელის მიერ“³. ამათ გარდა ზ. ჳივინაძე ასახელებს კიდევ იოსების შემდეგ თხზულებებს: 1) მოგზაურობა თბილისიდან ახალციხისაკენ, რომელშიაც აღწერილი ყოფილა საათაბაგოში მყოფ გამაჰმადიანებულ ქართველთა, ეკლესია-მონასტერთა და საიღუმლო ქრისტიანეთა ამბავი; 2) ლუარსაბ მეფის ცხოვრება და 3) სასურველი ვენახი⁴. დასახელებული თხზულებები ჩვენამდე არ შენახულა, ამიტომ ძნელია თქმა, რამდენად მართალია ყველაფერი ეს. მაგრამ მას რომ მართლაც უწერია-

¹ კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები, „თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები“, III, გვ. 135—136; მისივე, ეტიუდები, IV, გვ. 13—15.

² ე. თოსელიანი, დიდმოურავიანი, გვ. 75—79.

³ Б. Т а к а ш в и л и, Описание, II, გვ. 191, 220.

⁴ „ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეტიწიგნი და მეთვრამეტი საუკუნეებში“, გვ. 33.

კიდევ, ამას თვითონაც არ მალავს. „ზოგი რამ საღმრთოც დავსწერე, სიტყვაც ვთქვი წმინდად ქებისა“-ო,—ამბობს იგი (484). მისი „საღმრთო“ ნაწარმოებები ჩვენამდეც შენახულა. ესენია: 1) „ცხოვრება და მოქალაქობა ალექსი, კაცისა ღმრთისა, ახლად შეიძარა გადათარგმნილი სააკაძისაგან იოსებ ტფილელისა“¹. აქ ვალექსილია მთელი აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც ძველადვე ყოფილა ქართულად ნათარგმნი²; 2) ქება და წამება წმინდისა მარინასი (S 1512); 3) წმიდათა კრებათათვის (S 281)³.

როდისაა დაწერილი „დიდმოურავიანი“? ამაზე პასუხს გვაძლევს პოემის პირველი სამი სტროფი:

მეფესა ქართლის ცხოვრება ებძანა ვალექსულობით,
 ზოგი რუსთელისა ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით,
 ზან ლხინი, შეება, სიამე, ზან ვარდი დანასულობით,
 სიბრძნე, ზმალს და ომებს, სიკუდილმე აღსასრულობით.

მეფევე, სიბრძნით აღსაყვო, ხელმწიფეთა პირშმოვე შეილო,
 ღრმის სიტყვისა ამომცნობო და ძნელისა გამადიელო!
 ცოტა სიტყუა განმიმარტე, ვებძანა თუ, ჩემო ჩრდილო,
 შენ სიბრძნისა ვერ მიმწომო, მაგრამ რიტორთა კაცთა ზრდილო.

ამ ამბისა განმარტებით არა გქონდა მოხსენება,
 ვით გაუწყრა მოურავსა, მეფეს ანუ ვით ენება,
 საქართველოს დასუსტებას მით ბელიარ ექნება,
 ამ ქვეყნისა შიგნით რეუა ზოგს ოცნებით ერეენება.

ამ სიტყვების აზრი ასეთია: მეფეს, ხელმწიფის პირშმო შეილს, ღრმა სიტყვის ამომცნობსა და ძნელის გამადიელბელს, ესე იგი არ ჩილს, გაუალექსავს „ქართლის ცხოვრება“, სახელდობრ: რუსთველისა და კახთ მეფის ბაასი, იგულისხმება „თეიმურაზიანი“ ან „შედარება რუსთველისა და თეიმურაზ მეფისა“. არჩილს უბრძანებია იოსებისათვის: შენ, იოსებ, ჩემო არჩდილო, სიბრძნის ვერ მიმწდომო, მაგრამ რიტორთა კაცთა მიერ აღზრდილო, განმმარტე ცოტა სიტყვა, სახელდობრ: 1) როგორ გაუწყრა მეფე თეიმურაზი მოურავს, 2) როგორ ემსახურებოდა ის მეფეს, 3) როგორ ჰქუონაედა ის დასუსტებულ საქართველოს და 4) როგორ უღებდა ბოლოს შინაურ არეულობას. ამ ამბების განმარტებით მოხსენიება შენ, არჩილს, არ გქონდა, ეუბნება იოსები მას, და ამით არის გამოწვეული შენი ასეთი წინადადებაო. მართლაც, „თეიმურაზიანიში“ არჩილი გაეკრით, ეპიზოდურად, დიდ მოურავსაც იხსენიებს და მის დამოკიდებულებას თეიმურაზთან, მაგრამ განმარტებითა და დაწვრილებით ამ საკითხს ის არ ეხება. ამ რას გამოუწვევია, სხვათა შორის, „დიდმოურავიანის“ დაწერა. შესაძლებელია, ამ სიტყვებში ისტორიული სიმართ-

¹ S 1511, გვ. 683—704; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, გვ. 395—406.

² K Kekeleძო, Monumenta hagiographica Georgia, I, 161—183.

³ დაწვრილებით იოსების ბიოგრაფია იხ. გ. ლეონიძის შრომაში: „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, გვ. 18—21.

ლევ იყოს ჩაქსოვილი და „დიდმოურავიანი“ იოსებს მართლაც არჩილ მეფის წინადადებით დაეწეროს. ყოველ შემთხვევაში, ერთი უცილობელია, რომ ეს პოემა იოსებს დაუწერია მას შემდეგ, რაც არჩილს „თეიმურაზიანი“. ის რომ უფრო ადრე ყოფილიყო დაწერილი, არჩილი, იაკობ ღუმბაძესთან ერთად, უიპველია, იოსებ თბილელსაც მოიხსენიებდა. „არჩილმა თავისი პოემა დაამთავრა 1683 წელს ასტრახანში, რუსეთში, საიდანაც ის დაბრუნდა 1688 წელს, როდესაც, როგორც დაინახეთ, იოსები გარდაიცვალა. მაშასადამე, „დიდმოურავიანი“ დაწერილი უნდა იყოს 1684—1687 წლებში. მართალია, ამ წლებში არჩილი რუსეთში იმყოფება, მაგრამ ეს გარემოება მას ვერ შეუშლიდა ხელს, როგორც გ. ლეონიძე ამბობს¹, შეეკეთა იოსებისათვის ამ შრომის დაწერა. განა ასეთი შეკვეთისათვის ის უიპველად საქართველოში უნდა ყოფილიყო, ნუთუ მას არ შეეძლო რუსეთიდან დავეალებინა ეს მისთვის?“

ავტორს თავის თხზულებაში გამოუჩენია ნაკითხობა და ერუდიცია როგორც სასულიერო მწერლობაში, ისე საერო ლიტერატურაშიაც. მას ციტატები მოჰყავს შემდეგი თხზულებებიდან: 1) „ამირანდარეჯანიანი“: „მზეჭაბუკ და გმირი როსტომ ღალატითა გარდამხდარა“ (10); 2) „როსტომიანი“:

გმირთ ზღაპრულს წოგში სწერია გეონსა გასლვა ადვილად.

მღეროსა ველარ მიწევა, ვერც გაერთ ამოყრა ადვილად,

გივისგან ქიხოსროსი მორჩენა კარგად წადილად. (49).

3) „ვეფხისტყაოსანი“:

მეფეე, თქვენ იცით ტაროელს რამაზის სიტყვის თქმანია. (18).

გავს, ტაროელ საღ ტიროდა, წყაროსთან ღვა ხისა ჩრდილი,

წავა, მიმწვეთ გზახედ დახოცს, ველარ მიხვდა აუთანდილი. (155).

აგრე თქმულა: ზეცასა ჰრბის, მეფეთათვის ვინცა კვლება (440).

„ვეფხისტყაოსნის“ სიტყვების განმეორებაა: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“; 4) „ვისრამიანი“: „რამინისებრ შევებრალდე, ჭირნი ჩემნი ესმას ვისა“ (367).

თხზულების ენა არის დინჯი, საეკლესიო-მწიგნობრული, ალაგ-ალაგ პოეტური ეპითეტებითა და სურათებით შემკული, როგორც, მაგალითად:

მეფისთვის თავს ვინ დაზოგავს, ტან-სარო გულად უხვსა,

მრავალთ აბჯრისა ცემისგან თქუეს თუ, კმა არის ჭუხისა. (72).

თვალად ტურთა და კეკლუცი, თმა მოგრძე ამბარ-ხშირია. (212).

ვარდი დაქენეს, ჩამოცვიდეს, რაც ღაგრჩების, ეგ არია. (338).

ლექსი საერთოდ მწკობრი და კეთილზმონანია, განსაკუთრებით მოხდენილი მაჯამების მეოხებით. პირველ ცხრა თავში ავტორი მოგვითხრობს შედარებით მშვიდი, ეპიკური ტონით, სამაგიეროდ უკანასკნელი თავი წმინდა

¹ „დიდმოურავიანი“, გვ. XXXI; „ძიებანი...“, I, გვ. 31.

² ნათქვამის შემდეგ გაუმართლებელია გ. ლეონიძის გადახრა იმ აზრისაკენ, რომ პოემა დაწერილია „თეიმურაზიანზე“ ადრე, 1681 წლამდე („ძიებანი“, I, გვ. 31).

ლირიკული ხასიათისაა, ეს ნამდვილი იერემიადია ღრმად მგრძნობიარე სულისა, რომელიც მღვლარე ცრემლებით დასტირის ცხოვრების უსამართლობას, ადამიანთა ვიუტანლობასა და უმადურობას, რომელიც გულისტყვივლით ეთხოვება საყვარელ სამშობლოს, ნაცნობებს, მეგობრებსა და ნათესავებს. პირადიანი შეუღლებელია ამ თავის გულდამშვიდებით წაკითხვა, ის აატორებს ისეთ ლომგულ კაცსაც კი, როგორც იყო დიდი მოურავი, რომელიც მოთქვამს:

თო ჩემო, ვით გისრულა, სედიანო, როგორ წყლულა,
საქართველოს სჯელისათვის ათასფერად წამებულა,
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო რა ერთგულა,
აღარ შეგჩინა ნოსტეს ლხინი, აღაბს, სტამბოლს დაკარგულს (274).

ვა, დაგაღვებ სახლსამყოფო, საღ კარგო და საღ ეგებო,
შორგეარ დავრჩი მუზობელთა, ვისთანც ვიყო, სა დავებო,
ეგუნდათა სიმზარუნო, მე საღ გმრედა სადავებო,
ჩამდენს მოვრჩი ძნელს ბადესა, ახლა კიდევ საღ ეგებო? (275).

თაო ჩემო, საღ მოკედები, ანუ ვისსა სამარებსა,
რას დალხავ ქუეყანასა, ბარები ხამ აჩუხსა
მოშორდები მოყვარეთა, შენ ხარ ვისსა სამარებსა?
სამყოფთაგან გააბებრდი, კარსა გაული გასარებსა (277).

შვიდობით თვისნო, მოყვრებო, გამოგესაღო სალაძით,
მეგობარნო და შემცნენო, ცრემლი დაესთხოთ სალაძით,
თქვენ ნუ დაიხნთ გაყრასა, გული შექნია სალა მით,
ვინ გაიხრების სიმხინთა, მან შეიღაროს სალა მით. (283).

მიმძიმს ამხანაგთ მოშორა, გულსა მაქვს მუღამ ზრუნვანა,
შეკირება და ობრანი, მწუხარება და ურვანი;
სამკვიდროს გაულა ძნელია, ვინც დაღვს, შესამურვანი,
თუ რამდენრეგად მომხდა სისხლის ცრემლისა წერვანი. (299).

იოსებ თბილელს მოუცია მკვეთრი სურათი ჭკუით, ენერგიითა და ახოვნებით. შემკული მოურავისა, რომელიც ხედავდა, რომ იმდროინდელი საქართველოს უბედურებას ქმნიდნენ თავაშეებული დიდგვარიანი ფეოდალები, რომლებშიაც ანგარებამ და პარტიკულიარიზმმა ჩაახშო სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის შეგნება. ამიტომ, წერილ-მემამულე აზნაურული წრიდან გამოსული¹, ის, ამ წერესა და გლეხობაზე დაყრდნობით, გამსჭვალული უსაზღვრო პატრიოტიზმით, დაუნდობლად იბრძვის დიდგვარიანი არისტოკრატის ასალავმავად, მტკიცე, ცენტრალიზებული ხელისუფლების შესაქმნელად და ბეჩაევი სამშობლოს გასამთელებლად და გასამტკიცებლად. ამ მიზნის განსახორციელებლად ის არ ერიდება ისეთ მძიმე ოპერაციასაც კი, როგორც არის სამშობლოში უცხო, სპარსეთის ჯარის შემოყვანა და საკუთარი შვილის განწირვა. მაგრამ მისი დროისათვის ეს კეთილ-

¹ სააკაძიანთ გვარს პირველად XV საუკუნის დოკუმენტებში ვხვდებით. იხ. ს. კაკაბაძე, გლორჯი საჰაძის ვინაობის შესახებ, „საისტორიო კრებული“, IV, 1928 წ., გვ. 67—75.

შობილი მისწრაფება უნიადაგო ოცნებად აღმოჩნდა და ამ ოცნებამ კიდევაც იმსხვერპლა ის.

იოსებ თბილელი „რეალისტი“ პოეტია. ფეშანგი ფაშვიბერტყაძესა და არჩილ მეფესთან ერთად ის საუკეთესო წარმომადგენელია იმ მიმართულებისა, რომელმაც XVII საუკუნეში გაარღვია „სპარსთა ნაქორი“ ამბების რაკალი, აღუხმდრდა ზღაპრულ-ფანტასტიკურ სუფეტს და მწერლობაში „მართლის თქმა“ მოათხოვა. ამის ერთ ერთი საუკეთესო ნიმუშია ნაციონალურ თემატიკაზე აგებული და საკმაოდ მხატვრული პოემა „დიდმოურავიანი“, რომლის მთავარ დამახასიათებელ თვისებას გულწრფელობა და სიმართლე შეადგენს.

5. კათოლიკოსბაქარიანი

პოემაში, რომელსაც „კათოლიკოსბაქარიანი“ ეწოდება, გალექსილია ქართლ კახეთის მდგომარეობა მეფეზამეტე საუკუნის პირველ მესამედში და მოთხრობილია მეფის ბაქარისა და კათოლიკოს დომენტის ამბები, უფრო კა— დომენტის ბიოგრაფია. თხზულება შენახულა ერთადერთი ხელნაწერით (S 953) და გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ (თბილისი, 1895 წ.). სამწუხაროდ, მას ბოლო აკლია, შეიცავს სულ 318 სტროფს, რომელიც დაწერილია 16-მარცვლიანი რუსთველური ლექსით. პოემა იწყება წინასიტყვაობით, რომელშიაც ავტორი მიმართავს დმეტოს, ცოდვითა მომტყეველსა და დამხსნელს, ხაზს უსვამს წუთისოფლის გაუტანლობას და აღნიშნავს მოკლედ, თუ რა პირობებში დაწერა მან იგი. თხზულების შინაარსი ასეთია: როდესაც ვახტანგი იჯდა ქართლში, კახეთის ბატონმა მამადყულიხანმა (კონსტანტინემ) გადაიბირა თავისაკენ გიორგი ერისთავი და სხვა დარბაისელები და ვახტანგს მოსთხოვა დაეთმო მისთვის ქართლის ტახტი, რომელიც მას უყენმა მისცა. ვახტანგმა, რასაკვირველია, მისი წინადადება არ შეასრულა, კახეთი შენ და ქართლი მეო,— შეუთვალა მას. კახთ ბატონმა შეჰყარა მთელი არეზსებით ლაშქარი და დაიკავა კრწანისი და თაბორი. მოპირდაპირენი შეიბნენ კრწანისის ველზე, ომმა ექვს საათს გასტანა. ბაქარის მხნეობითა და მამაცობით კახთ ბატონი სასტიკად დამარცხდა და გაიქცა, მაგრამ იარალი არ გაავდო ხელიდან: მან მოიყვანა ლექების ლაშქარი და თაბორზე თავს დაესხა ვახტანგს. ახლა კი ბედმა უმტყუნა ქართლებს: ვახტანგი დამარცხდა და გაიქცა, თბილისი აიღეს ლეკებმა და დასწვეს, ციხიდან გამოსულმა თათრებმა გასტეხეს სიონი, სიონის ხატი საღლაც წაიღეს და დეკანოზიც დაატყვევეს. კახთ ბატონი დაჯდა თბილისში და ლამობდა მთელი ქართლის დაქერას. ცოტა ხნის შემდეგ თრიალეთზე გამოჩნდა ურუმთ ლაშქარი, რომელსაც ბაქარი წინ მიეგება. მან ის მოიყვანა თბილისში და დააჭერინა ქალაქი, კახთ ბატონიც შეიპყრეს და დაატყუალეს, მაგრამ მერე თვით ბაქარმა ჩამოართვა მას პატიოსანი სიტყვა და გააპარა. ის ფაშა, რომელმაც თბილისი აიღო, გაწვეულ იქნა ხვანთქარის მიერ და გზაში გარდაიცვალა. მის ნაცვლად დაინიშნა სხვა, დიარბეგირი, რომელმაც ქართლი სულ ერთიანად ააწიოკა, ისე რომ ბაქარს უკვე აღარ ედგომებოდა აქ. შანშე ერისთავმა მას ურჩია შებმოდა თათრებს, მაგრამ ბაქარმა ვერ გაბედა, ადგა, გაიპარა თბილისიდან და მივიდა შამას-

თან, რომელიც ამ დროს იმერეთს იმყოფებოდა. მამამ უთხრა მას: ქართლში ალარ გვედგომება, ამიტომ რუსეთს წავიდეთო. მართლაც, აიყარნენ და გაემგზავრნენ რუსეთისაკენ, ქართლი კი უპატრონოდ თათრებს დაუტოვეს. ერთი წლის შემდეგ ეს ფაშაც გამოცვალეს და მის ადგილას დანიშნეს რაჯაბ-ფაშა, რომელმაც სულ მოულო ბოლო ქართლს: იკლებდა ქართლის ნაპირნახულეც, შეუბრალებლად ძლევდა მცხოვრებთ, ერთ დღეს სამის კაცს გააგდებინა თავი, აწამა, სხვათა შორის, მდივნის შვილები და ვითი და ზურაბი. კახთ ბატონმა რომ გაიგო ვახტანგის რუსეთს წასვლა, იმწამსვე შეეყარა ლაშქარი, შეიერთა. ქსნისა და არაგვის ერისთავები, აგრეთვე ქართლები და გამოეშურა ურუმთა წინააღმდეგ. ოსმალებმა თავი შეაფარეს გორის ციხეს და დაიწყეს მზადება ომისათვის. ომი მოხდა ატენის ბოლოს, ქვარწივებზე. ოსმალთა ლაშქარს მეთაურობდა იესე მეფე, ვახტანგის ძმა. ქართველები ამ ომში სასტიკად დამარცხდნენ, დაქრილი თავებით ოსმალებმა ხუთი ურემი ააესეს და რაჯაბ-ფაშას მიაბრთვეს. კახთ ბატონი გაიქცა და კახეთში დაიმალა, ნისი წინდაუხედელობით კი მთელი ქართლი გავერანდა.

ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდეგ მისი ძმა, კათოლიკოსი დომენტი, რომელსაც, მისივე სიტყვით, კათოლიკოსობა მიუღია ოდეს „ტარ ეანი ბანი ჯდებოდა“ (1704 წ.), შეეფარა მის დისშვილს, ერისთავს შანშეს, მაგრამ აქედან ის მალე თბილისში გაიწვია რაჯაბ-ფაშამ, ხოლო თბილისიდან სტამბოლს წაიყვანეს. თორმეტი დღის მგზავრობის შემდეგ მივიდა არზრუმს, სადაც ერთ კვირას დარჩა, და მახლობელი კუკუსო, იოანე ოქროპირის საფლავი, მოილოცა. აქედან მივიდა ამასიას, სადაც ბასილი ამასიელის საფლავზე ილოცა, ამასიიდან ჩავიდა ნიკომიდიას, სადაც წმ. პანტელეიმონი მოილოცა. მგორმოკე დღეს მივიდა ქალაქ უსკუდარს, სადაც ხვანთქარმა კაცი შეაგება. ის ჯერ მიიყვანეს ეფენდი მუღმალის სასახლეში, საიდანაც მთელი სტამბოლი მოჩანდა და სულტანის სასახლეც. სტამბოლში დომენტის დახვედართხივე აღმოსავლეთის პატრიარქი, რომელთაგან ყველაზე მეტად ის იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთოს დაუახლოვდა. ღვინობისთვის ორს დომენტი მიიღო ხვანთქარმა, მოეწონა, მოუსმინა „ქართლისათვის“ ვედრება და ნუგეში სცა მას. სტამბოლში დომენტი თავისუფლად ცხოვრობდა, სადაც უნდოდა დადიოდა, სეირნობდა ბაღებში, თევზაობდა და ნავით ცურაობდა ზღვაში და ათვალეირებდა კონსტანტინოპოლსა და მის მიდამოებს. ქართლიდან ხვანთქარს საბეზღარი წერილი მოუვიდა დომენტიზე, ეგ დიდებული კაცია, შენთვის საშიში და უკან არ დააბრუნოო. მტრები მას თვით სტამბოლშიაც აღმოუჩნდნენ: ეს იყო ვინმე იოსება, ქალაქის ნაცლის შვილი, რომელიც გაფრანგებულყო და ამიტომ თბილისიდან გამოეძეებინათ. დომენტის მხლებლები ხედავდნენ, რომ მისი აქ ყოფნა კარგად არ გათავდებოდა და, ამიტომ, ურჩევდნენ დროზე წასულიყო შინ. დომენტი ელოდა თავისი ძმის ვახტანგის რუსეთიდან დაბრუნებას და არ ჩქარობდა. სამწუხაროდ, დომენტის სტამბოლში ყოფნის ფინალი პოემაში არ არის, ვინაიდან, როგორც ვთქვით. მისი ბოლო დაქარგულია.

პოემის ავტორი არის იესე ტლაშაძე, როგორც თხზულების სათაურიდან ჩანს: „არის წიგნი ესე კათალიკოზბაქარიანი, თქმული ტლაშაძის მღვდლის იესესა“. ვინაობა მისი ჩვენ არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ ოდესღაც მას უმსახურნია ვახტანგ მეფისათვის და რუსეთშიაც წაპყლოა მას, მაგრამ მერე თავისი ნებით მოშორებია. ამის შესახებ აი რას ამბობს თვით იესე:

წაველ, მივმართე რუსეთსა, თავი არავინ მანება,
მოეშორდი მწყალობელს ბატონს, ჩალასა მიშლის ნანება. (288).

მაინც ვერ მოვრჩი დაკარგვას, შენ წაგიყვანეს სტამბოლსა. (287).

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ იესე, როგორც მოყვანილი ადგილიდანაც ჩანს, სტამბოლს გაპყლია კათოლიკოს დომენტის. დომენტისთან ის მეტად დაახლოებული ყოფილა და ამიტომ საკვირველი არაა, რომ მის ბედს, მის გაჭირვება-დაღბინებას, ის ასე ერთგულად იტანდა და თან ისეთი კადნიერი კილოთი და ენით ელაპარაკებოდა მას, როდესაც სამშობლოში დაბრუნებას ურჩევდა. არ ვიცით, ვაპყა თუ არა იესე დომენტის ტენდოსის კუნძულზე: ჩვენამდე შენახულა დომენტის 1727 წლის სიგელი, რომლითაც ის აძლევს იესესა და მის შვილებს ატენში სახუცოდ ოცდასამ კომლ კაცს¹. „ქალაქსა შინა სამეფოსა კონსტანტინეპოლს, ქრისტეს აქეთ ჩლკზ, ქორონიკონსა უნი“, ესე იგი 1727 წელს, იესეს დაუწერია ეს პოემა. რომლის შესახებ ის ამბობს:

ცრუმან სოფელმან გამტანჯა და არსად მამასენა მან,
თვალი გამიშრო ტირილმან, ნიადგ ცრემლთა ღენამან,
ვაი თუ ავად ჩამიგდოს თქუენის ყურისა სმენამან,
ვინლა გიშეელის, იასე, თუ კი წაგწყმიდოს შენ ამან. (10).

თხზულება დაწერილი უნდა იყოს დომენტის ინიციატივით, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ დომენტი განათლებული კაცი ყოფილა და მწერლობის მეგობარი; მისი ბრძანებით უთარგმნიათ არა ერთი ახალი თხზულება, მაგრამ უფრო მეტი გადაუწერიათ ძველად ნათარგმნი შრომები. საფიქრებელია, რომ ზოგიერთ ხელნაწერთა ნუსხები მას კონსტანტინოპოლში გადაუღებინებია ამავე იესე ტლაშაძისათვის.

იესე ეკუთვნის რუსთაველის სკოლას, რომელსაც ის ჰბაძავს ლექსთწყობაში, ფორმასა და ლექსებშიაც. „ვეფხისტყაოსანი“ მას ზედმიწევნით ცოდნა, ვინაიდან აქედან მას ხშირად მოჰყავს მთელი ციტატები, ისე როგორც ეს სჩვეოდათ ხოლმე იმ დროის მწერლებს, რომელთა შესახებ თვით იესე შენიშნავს:

ჩიტორ რუსთველო, კარგ გამოთქმელო, ენატკბილო და შეჭარიანო.
ჟმა მთქმელებმა, ქურდმა შელებმა, ლქმა მრავალი მოგბარიანო.

¹ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, VIII. ХХІ.

მიუხედავად ამისა, მისი „კათოლიკოსბაქარიანი“ ხელოვნურ ნაწარმოებად ვერ ჩაითვლება, პოეზიის მხრივ ის საკმაოდ სუსტია, მაგრამ მისი მნიშვნელობა ჩვენ შეგვიძლია დავაფასოთ როგორც საისტორიო თხზულებებისა, რომელშიაც რეალური სურათია მოცემული მეთვრამეტე საუკუნის დამდეგის აღმოსავლეთ საქართველოს იმ არეულ დარევისა, რომელმაც გამოიწვია ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასახლება და რომელიც ისე უკლადა გულს ჩვენ პოეტს. დომენტი კათოლიკოსის მოგზაურობის აღწერილობით ჩვენ გვაქვს მემუარული ლიტერატურული ძანრის ჩანასახი.

6. ვახტანგოანი

პოემა „ვახტანგოანი“ შეიცავს, 298 სტროფად თქმულს, ვახტანგ მეფის რუსეთს გადასახლების ამბავს და შედგება წინასიტყვაობისა და შვიდი კანონისაგან. ის შენახულა ოთხი ხელნაწერით (A 1125, S 101, H 1757 და კავთისხევის ახლად აღმოჩენილი), რომელნიც გადაწერილი არიან XIX საუკუნის პირველ ნახევარში¹. წინასიტყვაობა შეიცავს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხასიათის მსჯელობას და თავდება ასე:

ვით ძალმედვა ამ ამბავისა ხელყოფა და ლქნით წყება,
სირეგენითა მოვინდომე ასრე შვირე რიტორება,
მეცნიერმან ვინც იხილო, ბრძანათ ზემო შებრალება
ამისთვის, რომ უცოდინარს არ მართებდა შემართება.

ამ სოფელს ღვთის ღოციის გარდა, მერმე უნდა ბატონაჟობა,
ვის მსახუროს მეფეს გულთ, მას ლახვარი არ ესობა.
სქიორს პატარანსა გულითაღის წყალობა და ზშირად სმობა,
რომ არ შერჩეს გასაქიჩისა, დავდების ღვთისა გმობა.

პირი პირველი: მეფე თა ცხოვრება. აქ პირველად ნაჩვენებია ჩამოშავლობა ბაგრატიონთა და ქვეყნისადმი ერთგულება მათი, კერძოდ — ვახტანგ მეხუთისა (შაჰნავაზისა) და მისი შვილებისა: არჩილის, გიორგისა და ლევანისა. ჩამოთვლილია ლევანის შვილები: ქაიხოსრო, „შეზღუდილი სწავლა — მცნებითა“, ვახტანგი, დომენტი კათოლიკოსი, იესე, სვიმონ და თეიმურაზი, რომელთაგან „უფროს-უმცროსს ცრუ სოფელმა გრძლად არ მისცა ყოფა-შეება“. მერე ავტორი საგანგებოდ ასახელებს ვახტანგის შვილებს: ბაქარს, გიორგისა და „მწვემეცნიერს ცოდნით“ ვახუშტის, რომელმაც „სულ იღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა, ფრანგული“. როდესაც ყენსა და ხვანთქარს შორის „შეიქნა არევა“, ვახტანგმა ბრძანა: „ამათში აღარ სჯობს ჩენი გარევიო“. ამ დროს მას რუსეთის ხელმწიფემაც შეატყობინა: ჩქარა „წამოდი ჩემ კერძო“. ვახტანგმა სოფელ ალევში გამართა ამის გამო თითბირი, რომელსაც დავსწრინენ: დედოფალი, ვახუშტი, ბაქარი, სვიმონი და იესე. გადაწყდა — აყრილიყენენ და გადასახლებულიყენენ რუსეთს. რის თადარიგს შეუდგენენ კიდევაც. მეფის ოჯახი მთლიანად (დედოფალი, შვილები, კძლები, ძმა და ძმის-

¹ ს. ყუბანეი შვილი, ვახტანგოანი, „ლიტ. ძეგლი“, IV, გვ. 176—178.

შვილები) გაუღდა გზას, გარდა იესესი, რომელმაც საქართველოში არჩია დარჩენა, თათრებთან, თუმცა ვახტანგი ამის წინააღმდეგი იყო. მეფის ოჯახს გაჰყვა: რამდენიმე კაცი არაგვისა და ქსნის ერისთავთაგანი, შვიდი ორბელიანი და ოთხი ამილახვარი, იმერთ მეფის ასული მონაზონი (ნინო); ციციანთ გვარიდან ხუთი კაცი, თერთმეტი ბარათიანი (სამღვდელო და საერო), თერთმეტი კაცი თურქისტანთ-გაბაანთ-თულაშვილები, დიდმოურავის შვილი-შვილი, ჯავახიანი ორი ძმა, ხუთი შალიკაშვილი, ორი ძმა თავყელიშვილი, სამი სააკაძე, ორი კომლი ზედგინიძე, გოჩაშვილი, ჯომარჯიძეები ექვსი კაცი. ერთი გურიელის ძე, ქართლსა მყოფი, აქ აღზარდილი; იმერელი: მხეიძე, ჯაფარიძე და ჩიქოვანი, შენაზარდი მეფეთ ძისა; ზემო ქართლიდან: დიდი მთავარი ფალავანდიძე და თაქთაქიძე, ერთი ამირეჯიბი, ორი მაჩაბელი, ორი ხერხეულიძე ცხრა თუმანიანი, სამი ფავლენიანი, ორი მუსხელაშვილი. აბაზაძე, მურვანიძე, ნაზირი ოსეფა, ზურაბ რატიშვილი ძითურთ, ზაალ მეთარისშვილი მამითურთ, ერთი ქედხუდოვი, სადღუბეგი და „სხვანიცა ბევრნი“; კახეთიდან მეფეს წაუყვანია თორმეტი დარბაისელი. მას გაჰყოლია აგრეთვე მრავალი სამღვდელო პირი, რომელთა შორის მოხსენიებულია „ძმე ქსნის ერისთავისა, ბერი კარგი, ერთგული და მეფეთ ქოლა“ (რომანოზ სამთავნელი), მანგლელი არსენ დოლენჯიშვილი, მოძღვართმოდგარი გერმანე. ურბნელი ეპისკოპოსი, გვარით გლურჯიძე, სააკაძე „ღირსი ბერი“, თბილელი იოანე, კარის მღვდელი, წინამძღვარი დეკანოზით, სულ ქალი და კაცი დედაწულებით ათასორასი სული.

ქარი მ(მ)რ(მ): მეფეთ წამოზრძანებებისა ნებით თვისით რუსეთს. ვახტანგი გაეძარტა რაქისაკენ, რომლის ერისთავმა მას მიაგება სამასი კაცი და ონს მიიყვანა. აქ მან სთხოვა ვახტანგს ბაქარის დატოვება, მაგრამ ვახტანგმა, პასუხის მიგვიერ, უზრძანა დიდგორიდან გამოეწვია უფროსები მძევლებად, რათა ის უზიანოდ მიეცილებინათ ჩერქეზთა საზღვრებამდის. მძევლები და მხლებლები მართლაც მივიდნენ. ვიდრე აქედან დაიძვრებოდა ვახტანგი, მას შანშე ერისთავისგან წერილი მოუვიდა, რომელშიაც ის სთხოვდა:

ნუ შევიქთ მკვიდრსა უმკვიდროდ სახლ-სამყოფიან წვრულად.
შვილი ჩვენს ალაგს აყოფი, არ გაეხლეთ თქვენთვის იულად.

ვახტანგმა უარი შეუთვალა და ხუთი დღის შემდეგ ავიდა უწერას. აქ ხელმოკრედ მოუვიდა მას არზა იმავე ერისთავისაგან:

ნუ ხართ ჩვენთვის, მზევ, დამსლველი,
აქ გვიბოძე შანიოზ-ხან, ერთგული მკეთი, მტერო მომსურელი.

ვახტანგმა კვლავ უარი შეუთვალა და „დიდგორისაკენ“ გასწია. „საბოგელ მთებში“ სიარულში და დიდგორლების ვერაგობამ მგზავრები დიდად შეაწუხა. მივადექით ერთ მდინარესო, ამბობს ავტორი, რომელზედაც დიდგორლებმა ხიდი გააკეთეს. როდესაც ნახევარი აქეთ ვიყავით და ნახევარი იქით, ჩაშალეს ხიდი და გამოგვთხოვეს „თეთრი ქრთამად“ და მძევლები თავადთი მძევლების სამიგვიეროდ. რა გაიწყობოდა. ქრთამი მივეციეთ, ხოლო მძევლობა

იკისრა სახლთუხუცესმა ორბელისძემამო. როგორც იქნა, მგზავრები მისულან დიდგორს, სადაც ჩამოსულან ჩერქეზთ ბატონები, დედოფლის ძმები, და თავიანთ საბრძანებელში წაუყვანიათ. დედოფალს ღედამისი დიდი ამბით შეხედრია, მგზავრები დაუსვენებიათ და შესაფერისი პატივი უციათ. ცოტახნის შემდეგ მოვიდა რუსის ჯარი, რომლის დანახვამ ჩვენზე, ამბობს ავტორი, თავისებური შთაბეჭდილება მოახდინა. საქმე ისაა, რომ „სიმორისათვის ყაზახთა“ გამოეგზავნათ „კალმუხნი“. კალმუხები მერე შესცვალა დრაგუნთა ჯარმა, რომლის „ბლაღადირმა“ ქართველებს საღამი და ქება უძღვნა. ამ ჯარისკაცებმა ან „სალდათებმა“ ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს:

ვით ვთქვა მე მათი ვარჯიშში, ან ცოდნა არტიულსა,
დგომა და ყოფა, ფეხთრიგი, სისწორე სიარულისა,
პოლონიკთ დამორჩილება, როგორ სიმდაბლე გულისა,
უფროსთ ცემისთვის მადლის ხდა, არ მიწყეა საწყაულსა.

თოთხმეტი დღის მგზავრობის შემდეგ ცხენებითა და „კალასკით“ მისულან ციხეში, სადაც მათ გამოგებებია შემოსილი სამღვდლოება და დიდი პატივით მიუღია. აქედან ვახტანგმა დაუყოვნებლივ გაგზავნა ხელმწიფესთან ელჩად ამილახვარი, თვითონ კი გაემგზავრა ასტრახანს, სადაც მიაღწია 27 დღის მგზავრობის შემდეგ ზღვით.

პარი მისამე: ბრძანებითა დღეთისაჲთა მეფეთ მშვიდობით გამობრძანება ზღვიდამ. ასტრახანში მისვლისას მგზავრებს მოეგება „თეთრიო“ და მისასალმებელი სიტყვით კომენდანტი მაიორით, რომელმაც მათ, როგორც ჯერ იყო, განუსუქენა. ორი თუ სამი თვის შემდეგ დაბრუნდა ამილახვარიც, რომელიც ხელმწიფეს დაესაჩუქრებინა ძვირფასი თევლებით შემკული საკუთარი სურათით. ხელმწიფე ატყობინებდა ვახტანგს: „მალე წამოდით ძმით, შეილით, ხანარგასულიო“, გუბერნატორისათვისაც შესაფერისი „უკაზი“ გამოეგზავნა. ვახტანგმა აქ დასტოვა „ცოლშვილი“ და გაემგზავრა ცარიცინს.

პარი მემოთხე: მეფეთ ცარიცინს შიბძანებისა და იქ საზარელი ამბის ცნობა. ცარიცინში მას დახვდა კაცი, რომელმაც აუწყა დიდი ხელმწიფის პეტრეს გარდაცვალება. ამ კაცს მოეტანა აქ პეტრეს ანდერძი, რომელშიაც ის შემკვიდრედ თავის მეუღლეს ასახელებდა, მოეტანა აგრეთვე დედოფლის მანიფესტიც. ეს ამბავი ვახტანგმა თავის მეუღლესაც აცნობა, თვითონ კი გაემგზავრა მოსკოვს, სადაც მას შეხვდა მისი „და“, ხოლო მოსკოვიდან—პეტერბურგს. აქ მას მიაგებეს ხომალდები და კატარლები და სარდალ-ბრელადირმა დიდი ამბით შეიყვანა ქალაქში, სადაც ზარბაზნების სროლით მიეგებნენ მას. ქალაქში კიდევ უცხო „კალასკით“ მიაბძანეს ის თავის სავანეში:

პარი მახუთი: მეფეთ პეტრებუხს მისლვისა და ღმრთიეკურთხეულთ დედოფალთ ნახვა. მესამე დღეს დედოფალმა მიიღო ვახტანგი, მისი ძმა და შვილი. ვახტანგმა სამძიმარით მიმართა მას და სთხოვა ნებართვა პეტრეს „საფლავთ ნახვისა“. მეორედ ნახვისას დედოფალმა

„უბრძანა სიტყვა კარგ ვასაგონები“ და საიმედო, და „მოუბოძა სუფრის რიგი, ვერცხლთ კოკები ანუ ჯამი“. მესამე ნახვისას უბოძა მას ქმრის სურათი და უბრძანა „სხვათ ბაღთა წასლვა და ლხინი“, მეფემ თავის მხრივ მიუძღვნა მას „ნაწილი უცხო ძელისა“, „მარგალიტი ძვირფასი, მსხვილი საბამი ყელისა“, სხვადასხვა ნაწილი, „ზოგს კოლოფი აქეს ოქროსი, ზოგზედან ჯაჭვი კიდებით“, აგრეთვე „უანგარიშო ოქროთა ქსოვილი მანდილი რიდებით“. დედოფალი მეტად კმაყოფილი დარჩა და უთხრა ვახტანგს: მე და ხევანთქარი პირობით უნდა შევეკრათ ერთმანეთს, იმედი მაქვს „თქვენს ქვეყანას ნებით დამიგდებს, თორემ ვაჩვენო ქირობა“. „გარიგებამდი აქ გიზამ კანს მამულით რჩომასა, ულუფას მოგცემ მრავალსა, არ სწუხებდი ცულად შრომასა“. ჩემი დაი დედოფალი, თქვენე მუხლზე მოსკოვს მოვიყვანოთ, მე მალე უნდა წავიდე იქ და ერთმანეთს ვნახავთო. წამოვიდეს მხოლოდ თვითონ, წამოიყვანოს მარტო უმცროსი შვილი, სხვები კი დაორჩენ ჯერჯერობით ასტრახანშიო. მან დაუძახა თავის პოლკის კაპიტანს, მისცა მას გუბერნატორთან შესაფერისი „უკაზი“ და უბრძანა დაუყოვნებლივ დედოფალი მოსკოვს მოიყვანეო. კაპიტანი წანოვიდა. თან გამოჰყვინენ მას ზურაბი, ედიშერი და დემეტრე შალიკაშვილი. მოვიდნენ ასტრახანს და დედოფალს აცნობეს იმპერატრიცას ბრძანება. თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს გამგზავრება 27 იანვარს. დანიშნულ დროს დედოფალი თვალცრემლიანი გამოეთხოვა რძლებს, ეპისკოპოსებსა და ყველა მძღებელს და გაუდგა გზას.

ქარი მემქმსა: ხელმწიფის ბრძანების აღსრულება დედოფლისაგან და წაბძანება მოსკოვს თვესა იანვარსა. ოცდარედიმეტრი დღის მგზავრობის შემდეგ ის ჩავიდა მოსკოვს. აქ მას შეხვდა „მული“, რომელსაც მან მიუტირა მამის სიკვდილი, მერე წავიდა არჩილ მეფის საფლავზე და აქ მას ცხარე ცრემლები დააყარა.

ქარი მემქმნი: ბელმწიფეთ დედოფალთაგან წარმოგზავნა მეფის ყიზილბაშისაკენ დიდით დიდებითა და უამრავის ჯარითა. იმპერატრიცამ მოიხმო უფროსი ვეზირები და უთხრა მათ: ხომ გახსოვთ განსვენებული მეფის სიტყვები: აქ მოვა ქართლის მეფე, რომლის საქმე თუ ცოცხალი ვიქნ, კარვად უნდა იოვარიგოო, თუ მოგვკვდი, ორი სიტყვა უთხარით მას:

აქ ყოფა სწადღეს, მამულით თქვენ შეინახეთ ძღებულად,
წასვლა უნდოდეს, სარღლთა ჯარი მიეცით ხლებულად.

მა მათი მეფე არჩილი აქ მობრძანდა წინა ეამათ,
არ უნდოდა ჯარი, თორემ უბოძებდი დიახ წამათ.
მივანივე წყალობანი, არ ვადინე ცრემლი ნამათ,
წვე უყვარდი სანახაუდ, მე მიმაჩნდა სწორედ მამათ.

მერე დაიბარა დედოფალმა ვახტანგი და ჰკითხა: როგორ გნებავთ, აქ დარჩებით, თუ „თქვენკენ გინდათ რებანიო?“ ვახტანგმა მოახსენა: ჩემს ქვეყანას ურჯულონი არბევენ, გთხოვთ მის შემწუხებელს შიშის ზარი დასცეთო. კარგოო, უთხრა დედოფალმა, მე ქართლს უპატრონოდ არ დავაგდებ. ჩემს

ქმარს ჰყავდა ერთი გაზოჩენილი ჯარის თავი, რომელსაც ის ვანურისხდა და სიკვდილი მიუსაჯა, ის კილევ ციმბირს გაიქცა. მე იმას დაევიბარებ ახლავე და შენ გაიყოლე თან:

წარემართე უბილბაშით, ხარ ბელადი ქვეყანისა,
შემაბატე ზღვის პირები, სხვათ სამეფო ღიბი ხნისა,
სუიანობა ჩემი ყველა განაფინე, მსგავსად მზისა,
არ წაგებდეს კირანახული ჩემად ხორცად სულთა ღმრისა.

მეფემ თანხმობა განაცხადა, ჩამობრძანდა მოსკოვს და დედოფალს აუწყა ყველაფერი. დედოფალს მეტად ეწყინა ქმრის მოულოდნელად წასვლა, მაგრამ მეფემ ანუფეშა, ჩააბარა მისი თავი არჩილის ასულს დარეჯანსა და ბაქარს, რომელსაც შესაფერისი დარიგება მისცა, გამოეთხოვა ყველას, ჩაჯდა გემში და გამოემგზავრა აქეთ.

ასეთია ამ საყურადღებო პოემის შინაარსი¹, რომელშიაც უფრო დაწვრილებითა და სისწორითაა გადმოცემული ვახტანგის რუსეთში გადასახლების ამბავი, ვიდრე მარტიანეში² ზოგ რამეში პოემის მოთხრობა განსხვავდება მარტიანის ცნობისაგან, მაგალითად, ვახტანგის რუსეთში გადასახლების მიზეზის ასხნაში. გადასახლებულთა რიცხვი მარტიანეში 1400-ია ნაჩვენებო, პოემაში კი—1200. მარტიანით ვახტანგს ძმათაგან რუსეთში გაქცევა მხოლოდ სვიმეონი, პოემაში კი სწერია: „მეფეს ახლდა სხვა ორი ძმა“ უფროს-უმცროსი ძმები (ქიხოსრო და თეიმურაზი) ახალგაზრდობაში გარდაიცვალნენ, დომენტი კათოლიკოსი იყო და რუსეთში არ წასულა, იესემ წასვლაზე უარი თქვა, ჩანს, დარჩნენ ვახტანგი, სვიმეონი, კონსტანტინე და ადარნასე. მარტიანით ასტრახანიდან ვახტანგს პეტრებურგს გაქცევა მხოლოდ შვილი ბაქარი, ძმა სვიმეონი კი იქ დარჩა. პოემაში პეტრე დიდი სწერს ვახტანგს ასტრახანში: „მეფე, თქვენ მალე წამოდიოთ ძმით, შვილით ხანარგასული“³. პოემაში ნათქვამია, რომ ვახტანგს, და შერე მის მშუღლეს, მოსკოვს დახვდა მისი და, ნამდვილად კი, მარტიანის თანახმად. ეს და კი არ იყო, არამედ ბიძაშვილი, არჩილ მეფის ასული დარეჯანი.

ვინ არის პოემის ავტორი? თავის ვინაობას ის პირდაპირ არ ამტკიცებს, მაგრამ, ჩანს, ის ყოფილა ვახტანგის ერთ-ერთი თანამხლებელი ფივლენი-შვილთა გვარიდან. ის ამბობს:

განაყოფი ჩემი ორი სამსახურის მონღოებით,
ფივლენიანი ხაზუნ სამონოთ არ მოშორებოთ.
ჩემი კადრო, ძველად მეღვი პატრონთ ხლება უშორებოდ,
მაშაპათ გვიარტომობით დაგდებული მე ანდერძად;
ემცნათ: შეილნო, ვინც იტოცხლოთ, ემსახურეთ პატრონს ნებად,
ძმა ვიყენით ოთხი, უთხარ: სიტყვა ეს კენათ აღსრულებად.

¹ გამოცემულია ს. ყუბანეიშვილის მიერ („ლიტერატურული ძეგანი“, IV, 1948 წ. გვ. 184—218).

² „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 87—91, 333—334.

ერთი უფროსი და ორი, ჩემგანვე უმრწემესია,
 ის ვყო, რომელიც ჩვენისა ჩამაშავალა წესისა,
 მე ვაბლები, თქვენ გული ნუ შევკენების მკუნესა,
 პატრონზედ ერთგულობასა რაღა უკეთესია?

ავტორს უკვე შეუთვისებია ზოგიერთი რუსული სიტყვა და ტერმინი, როგორც, მაგალითად: ოტკა, ბლაღადირი, resp. ბრეღადირი (бредадир), დრაგუნი, სალდათი, არტიკული, პოლკოვნიკი, კალასკა, მუეიკი, პრაავა, უკა-ზი, კამენდანიტი, იფარადორი (იმპერატორი), კაპიტანი, ღრაფი. ამ ბარბარობ-მებბასე თავი რომ დავანებოთ, მისი ენა ისედაც კოჭლობს. რაც შეეხება მის ლექსს, ის მეტად მდარე ხარისხის, უხეში და ულაზათია, რითმაც ალაგ-ალაგ ნაძალადევია. არც ერთი მოხდენილი პოეტური სურათი. მას არ მოეპოვება და, თუ ხანდახან ამისი ცდა გვხვდება მის ნაწარმოებში, ის ან უხერხულია („ზღვის ჰავამ ქარვად უქცია ქალთა პირისა ბროლები“), ან მიმბაძველობითა („მეფეთა რძლები ტირიან, ჩარცხიან ბროლთა მინანი“), ანდა ნაძალადევ-სენტიმენტალურია (დედოფლის მისვლა მოსკოვში არჩილის საფლავზე და მისი დატირება).

ავტორი დიდი პატრიოტია. როდესაც ის რუსეთის ტერიტორიაზე ფეხს შედგამს, იქაური მშვიდობიანობა და კეთილდღეობა მას თავისი ქვეყნის უბედურებას აგონებს და ამიტომ გულნალვლიანი შენიშნავს: „ქურთხევითმცა არს ის რიგი, თავის ქვეყანას ვინ არსა“. თხზულება დაწერილია იმ წელს, როდესაც ვახტანგი იმპერატორისგან გილანს წარგზავნა (1727 წ.), მისი პოემა ამით თავდება და ამის შემდეგი ამბები მან უკვე არ იცის. ყოველ შემთხვევაში, ის დაწერილია სეხნია ჩეიძის საისტორიო შრომის დაწერამდე (1739 წ.), ვინაიდან სეხნია ამ შრომის იცნობს, ის სარგებლობს კიდევაც იმით, როდესაც ამავე ამბავს გადმოგვცემს. შინაარსის გარდა, ამას ლექსიკური მოვლენებიც ადასტურებს. სეხნიაც ხმარობს პოემის სიტყვებს: კალმუხი, ბელულარდი (бредадир), კალასკა, ედილი (Бодра), აშტარხანი, პეტრებუხი და სხვ. დაწერილია პოემა 1730 წელზე ადრე, ვინაიდან ამ წელს „ქნიაზ გაბრიელ გელოვანს“ აუწერია სწორედ ესევე ამბავი, — ვახტანგის რუსეთს გადასახლება, და მასაც უხვად უსარგებლნია ამ პოემით¹.

¹ გაბრიელ გელოვანის შრომა, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერში A 1007 (M. Д ж а а ш а я л и, Описание, III, გვ. 281—285), დახეტილია რამდენჯერმე. გაბრიელს ის დაურთავს მის მიერ რუსულიდან (ხელნაწ. A 1007-ით ლათინურიდან) ნათარგმნი გეოგრაფიისათვის იმერტ მეფის ასული ნინო, რომელიც ვახტანგს გასულია რუსეთში, ყოფილა ბაგრატის ქალი, ყლათის მონასტრის მონაზონი. გაბრიელი მიუბარებია ნინოსათვის „მიხეზთათვის სწავლისათა“ ოდიშის მთავრის ბეჩან დადიანის (1715—1728) მუღლეს თამარს, რომელიც მას მამიდად ზედებოდა. გაბრიელი ნინოს გასულია და, მასადაძამე, ისიც ვახტანგის ერთ-ერთი მხლებელი ყოფილა. რუსეთში რომ მოგვიღო, ამბობს გაბრიელი, „შევედენ მცირესა ენასა რუსთასა და რაც ოდენ შემძლებელ ვეკმენ, ვთარგმნენ“ ეს გეოგრაფიათ. გაბრიელის მიერ აღწერილი ვახტანგის მოგზაურობა თავდება მისი პეტრებურგს მისვლით, მასადაძამე, ის უფრო მოკლეა, ვიდრე ჩემი პოემა, მაგრამ საერთო ნაწილში ის უფრო ფრელად გაუმოვლევებს მოგზაურობის ზოგიერთ ეპიზოდს, მაგალითად, იმერეთიდან ნინო გონაზენის გაპარვას ვახტანგთან. აღნიშნავს ის ელხის სახელს, რომელიც პეტრემ ვახტანგს

7. ქართლის ჭირი

ასეთ სახელს ვუწოდებთ ჩვენ დ. გურამიშვილის „დავითიანის“ იმ ნაწილს, რომელშიაც ვალექსილია ვახტანგ მეექვსის იგივე ამბები, რაც უკვე განხილულია „ქათოლიკოსბაქარიანისა“ და „ვახტანგიანში“. დ. გურამიშვილის „დავითიანში“ ამ ნაწილს საკუთარი სახელი არ აქვს, ამიტომ, შინაარსის მიხედვით, ჩვენ მას ვუწოდებთ ზემომოყვანილი სახელი, რომელიც ამოღებულია თვით პოემიდან და გამომხატველია მისი მთავარი აზრისა: „ქართლის ჭირსა ვერინ მოსთვლის“-ო,-- ამბობს პოეტი¹.

პოემა იწყება² ქართლ-კახეთში სარწმუნოებრივ-ზნეობრივი პრინციპების შესუსტების აღწერით, რისთვისაც ღმერთმა შესაფერისი „საწყაი“ მიუწყო ქართლ-კახეთს. ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნეში გადმოგვცემს, რომ „ამ ეამებთა იყო მომსრველი ეამი ფიცხელი, მკალი მომჭამელი, რამეთუ მფრინვალთა დააბნელიან მზე, და სიყმილი ძლიერიო“³. თანახმად ამისა, პოეტიც აგვიწერს სხვადასხვაგვარ სტიქიურ უბედურებას, რომელიც ქართლ-კახეთს დაატყდა თავს, და, განსაკუთრებით 1721 წლიდან თავჩენილს ამ ქვეყნების აწიოკებას გარეშე მტრთა (თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზი, ლიფი, დიდო, ქისტი) თარეშობისა და შინაური უთანხმოებისა და აშლილობის გამო. ამის შემდეგ ის იწყებს ვახტანგ მეფის ამბავს, ქართლის არაკს, მერე თავისთავისას. „დაკარგულ-დაბაწრულისას“.

შაჰ-თამაზმა, ლოთმა და მეძაჰმა, დიდად შეაწუხა ქართლ-კახეთი და ვახტანგ მეფე, რომელიც შვიდი წელიწადი უპატიოდ ჰყავდა თავისთან. ამ დროს თეთრი რუსეთის მჭირველმა ცხებულმა პეტრემ კავკასიის მთებამდე მოაღწია კიდევაც. მან დაუწყო შენება სოლალს და შიშის ზარი დასცა დაღესტინსა და სპარსეთს. პეტრემ ვახტანგს წერილი მოსწერა: წამოდი ჩემკენ, მამად მიგიჩნევ. მომენდე მე და წამიძელ შენს მტერზედაო! გაიმართა ვახტანგთან დიდებულთა თათბირი. ზოგს პეტრეს წინადადების მიღება სხიბოუთოდ მიაჩნდა: „ვირემ რუსხი ვეშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვებდებისო“, ზოგი კიდევ სიხარულით შეეგება მას. რადგანაც მეფე უკანასკნელთა მხარეზე იყო, გადაწუდა ვახტანგის რუსეთში წასვლა. ეს ამბავი მეფის მტრებმა აცნობეს შაჰ-თამაზს, რომელმაც ამისათვის ქართლი მისცა კახთ ბატონს, კონსტანტინე ერეკლეს ძე მამადყულისანს. კონსტანტინემ ამის გამო თათბირზე

თბილისში გამოუხაჟა (გვართ ტ ო ლ ს ტ ო ვ ი). როდესაც ვახტანგი მოვიდა ციხესა სოლალისასა წელს 1146, მუნ მოეგება მას სარდალი გაბრიელ კროპოტოვიო,—ამბობს გელოვანი. საერთოდ გაბრიელის შემუარებდი სავაოდ საყურადღებოა.

¹ ზენონ არქიმანდრიტი XVII საუკუნის გასულს ლექსად დაუწერია კონსტანტი კზის ცხოვრება, რომელიც ასე იწყებოდა: „ქართლის ქვეყნისა ჭირებსა ვინ დასთვლის, ვინ დასწერებსა?“ „ქართლის ჭირი“, ჩანს, ტიქნიკურ თქმად ქცეულა ჩვენში. ამ ზენონის აღწერაა აგრეთვე XVII ს. ამბები. არც ერთ ამ თხზულებათაგანს ჩვენამდე არ მოუღწევია, მეორე მათგანი თითქოს ვახტანგს მოესპია (ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მრავალმეტრ და მეორეამეტრ საუბუხებში, გვ. 29).

² ვსარგებლობთ 1955 წლის გამოცემით.

³ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 78.

მიიწვია კახეთის დიდებულნი და განუცხადა მათ, რომ ის შაჰის იმგვარ წყალობას ვერ მიიღებს:

ყვენი შიშით თავითავე გაუხდივართ ერთი ორად.

ახლა როდის შეგვართებს, საქმე გვიგდო მოსალორად.

ქართლი მომცა ძმად საჩხუბრად, ამხანაგთა მოსაშორად.

თუმცა ყველა არ იზიარებდა კონსტანტინეს ბრძნულსა და ჰუმანურ შეხედულებას, მაგრამ მან მაინც სიმბოლურად გამოახატვინა წერილში ქართლ-კახელთა ცეცხლის რკალში ყოფნა და მათთვის ერთობის აუცილებლობა და გაუგზავნა ვახტანგს. ამ გამოხატულებაში ვახტანგის მრჩეველებმა, განსაკუთრებით მისმა ძმამ იესემ, დაინახეს კონსტანტინეს მხრივ ვერაგობა, მაგრამ ვახტანგმა სურათის მნიშვნელობა სწორედ შეიგნო და კონსტანტინეს აცნობა. შობრძანდი ჩემთან მოსალაპარაკებლადო. იესემ მაშინ იხმო დიდოელი ბერი ეპიფანე და მისი ხელით კონსტანტინეს წერილი გაუგზავნა: არ მოხვიდვი, ვახტანგს შენი მოკვლა აქვს განზრახულიო¹. კონსტანტინემ ამაზე ვახტანგს მიუგზავნა ბერები და შეუთვალა: მე არ მინდოდა ის, რაც უნდა მოხდეს ჩვენ შორის, მაგრამ შენ ჩემი კეთილი სურვილები ვერ შეიგნე, ამიტომ, შაჰის წინადადების თანახმად, უნდა ქართლი ჩავიბარო შენგანაო. ვახტანგი გაჯავრდა და ბერები დააპატიმრა, კონსტანტინემ კი ლეკების დახმარებით დაიპირა თბილისი და მისი მიდარობები. ვახტანგმა გაგზავნა თავისი შვილი ბაქარი და ძმა იესე ხვანთქართან და სთხოვა ქართლიდან სპარსელებისა და ლეკ-კახელების გაყრა. ოსმალები მოვიდნენ და დაიპირეს ქართლი და კახეთი, ვახტანგი რუსეთს წავიდა, ხოლო კახთ ბატონმა ფშავ-ხევსურებს შეაფარა თავი. ამ არე-დარევაში ქართლ-კახეთში გაწყდა მრავალი ხალხი და ქვეყანა სულ ერთნაოდ დანგრეა (აქ დავით გურამიშვილი ურთავს თავის ბიოგრაფიას, როგორ ჩაუვარდა ის ხელში ლეკებს, როგორ გააპარა და, დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, გადავიდა რუსეთში და შეუერთდა ვახტანგის ამაღლას).

ვახტანგი პეტერბურგიდან მოსკოვს ჩამოვიდა დიდი იმედებით და იქიდან ყველა თავისი მხლებლით მდინარე ედლით ასტრახანს გამოემგზავრა. აქ მან გაიგო, რომ თამაზ-ხანმა აიღო შემახია, რაც ვახტანგს დიდ უხერხულობაში აყენებდა. მიუხედავად ამისა, ის გადმოვიდა დარუბანდს, სადაც რუსებმა დიდი ამბით მიიღეს. შემახიას აღების შემდეგ თამაზ-ხანმა ოსმალები თბილისიდან განდევნა და მერე რუსეთს თავისი დესპანის ხულუფას² პირით მოსთხოვა სოლდის ცხის დანგრევა და კასპიის ზღვის სანაპიროების დაცლა, რაც რუსეთის მიერ შესრულებულ იქნა. ამ გარემოებამ ვახტანგი პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ჩაავდო. მას ყველა იმედი გაუტრუვდა და იძულებული შეიქნა დარუბანდიდან უკანვე ასტრახანს დაბრუნებულიყო. აქ მან ბაქარს უთხრა: მე ბედი არ მწყალობს, სამშობლოს ვერ ვუშველე, ახლა შენთვის ჩამიბარებთა მისი ბედ-აღბალი, იზრუნე, როგორც მოგიხერხდესო. მე აქ დავრჩები,

¹ ეს ეპიზოდი გადმოცემულია თანახმად იმ დოკუმენტებისა, რომლებიც გამოცემულია პროფ. ა. ცაგარლის მიერ („История“, III, გვ. 297—298).

² შტრა „ქართლის ცხოვრების“ (II, გვ. 78) ხოლო ფ. ა.

რაც შეეხება ჩვენს მხლებლებს, მათ ნება მიეცი მოიქცნენ ისე, როგორც სურთ: უნდათ სამშობლოში დაბრუნდნენ, უნდათ აქ, რუსეთში, დარჩნენ. ბაქარმა მამას სთხოვა—მოსკოვში გადავიდეთო, მაგრამ მან უარი თქვა. მხლებლებსაც ეტკინათ გული, ვახტანგმა მათზე ხელი რომ აიღო და თავის ამბარა დაჰყარა ისინი. ბაქარმა წინადადება მისცა მსურველთ—გაჰყოლოდნენ მას მოსკოვს, ასტრახანს დარჩა მხოლოდ ვახტანგი ათიოდე მსახურით. გავიდა ხანი და ვახტანგი გარდაიცვალა, რუსებმა ქართველებს წინადადება მისცეს—ან რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეთ და სამსახურში შედით, ან თქვენს ქვეყანაში მიბრძანდითო. ჯანი არ იყო, დასთანხმდნენ პირველს. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ თავადებსა და აზნაურებს, მათი მდგომარეობის მიხედვით, ადგილ-მამული დაურთო. ამავე დროს ისინი სამხედრო სამსახურში შევიდნენ და მონაწილეობას იღებდნენ, სხვათა შორის, 1742, 1757 და 1758 წლებში რუსეთის ომებში.

ასეთია შინაარსი ამ პოემისა, რომელშიაც, საერთოდ, სისწორითაა გადმოცემული ქართლ-კახეთის გაჭირვებული და სავალალო მდგომარეობა მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისა და ვახტანგ მეფის დიპლომატიის შედეგები¹. პოეტი ცხარე ცრემლებით დასტირის ცხოვრების სიმუხთლეს, რომელშიც ასეთი მუხრუჭი მოუჭირა მის სამშობლოს, რომელმაც ასეთი არევე-დარევა და სისხლის ღვრა შეიტანა ძმთა შორის. ყველაზე სავალალოდ მას მიაჩნია, რომ ქართველებს ვერ შეუვნიათ საერთო ინტერესები, ის ტირის, რომ „კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს“, ისინი ერთმანეთს ეკინკლავებიან და ამით მტერს ხელს უხსნიან:

ვთ მამალი სხვის მამალსა დაჰმტერღეს და წაეიღოს,
 მის სევტოს და თვით იცუბოს, დაქოჩროს და დაეიღოს,
 რა ორნივე დაღალულნი ძალმან ნახოს, პირი ჰკიღოს,
 ვგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს.

პოეტს ეძნელება ლაპარაკი ამის შესახებ, მაგრამ მამულიშვილისა და ადამიანის მოვალეობა მას აიძულებს, როგორც უნდა დაუჯდეს, ავი ავად ახსენოს და კარგი კარგად. ის აღშფოთებულია, რომ ქვეშევრდომნი ერთმანეთის სისხლს ღვრიან, ამასთან ერთიმეორეს უსისინებენ მათ პატრონ-მეფეებს და მათ კეთილ განზრახვას ტრაგედიად აქცევენ (ვახტანგი და კონსტანტინე). პოეტი ამავე დროს გულახდილად ამოთრახებს სამღვდლო პირთა ანგარებას, აგრეთვე მეფეების პოლიტიკურ სიბეცესა და წინდაუხედაობას, ამ შემთხვევაში ის ხელს არც ვახტანგს აფარებს.

პოემის დაწერის დრო გამორკვეული იქნება იქ, სადაც საგანგებოდ ლაპარაკი გვექნება დავით გურამიშვილის შემოქმედებისა და „დავითიანის“ დაწერის შესახებ.

¹ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 78—94.

მ. საინჰორომ მწერლობა

ჩვენ განვიხილეთ მხატვრული ლიტერატურის ფორმებში ჩამოსხმული მოთხრობანი ისტორიული შინაარსისა. ამასთან დაკავშირებით მოვალეობას ვგრძნობთ თვალი მიმოვაკლოთ იმ თხზულებებსაც, რომელნიც მხატვრულ მიზნებს არ ისახავენ და წმინდა „ისტორიულ“ ამბებს, ისტორიას, შეიცავენ. უამისოდ აღორძინების ხანის საერო მწერლობის ისტორია სრული არ იქნებოდა.

აღორძინების ხანაში, განსაკუთრებით XVII საუკუნის დასასრულს და მეთვრამეტეში, ჩვენ ვხედავთ ქართული ისტორიოგრაფიის მძლავრ ამოძრავებას, რომელსაც სათავეში უდგას დიდად განსწავლული ვახტანგ VI. ვახტანგის დროს ქართულ ისტორიოგრაფიას ორი საკირბოროტო საკითხი აწუხებდა. „ქართლის ცხოვრება“ ამ დროს მოყვანილი იყო XIV საუკუნემდე, ამ ნაწილში მას ბევრი რამ აკლდა, თან დაწერის თუ გადაწერის დროს იმაში უამრავი შეცდომა შეპარულიყო, საჭირო იყო ამ შეცდომათა შესწორება და ნაკლები ადგილების შევსება. მეორე: XIV—XVII საუკუნეთა ისტორია სულ არ არსებობდა, ამიტომ საჭირო იყო ამ ხარვეზის ამოვსებაც. ყველაფერი ეს კარგად ჰქონდა შეგნებული ღვაწლმოსილ მეფეს, რონელმაც, როგორც თითონ ამბობს, შეკრიბა „სწავლულ კაცთა“ კომისია და დაავალა მას მოეგვარებინა აღნიშნული საკითხები. ამ კომისიამ, რომელსაც მეთაურობდა ვინმე ბერი ეგნატაშვილი, შეძლებისამებრ პირნათლად შეასრულა ეს სამუშაო¹, რომლის შედეგად შეიქმნა „ახალი ქართლის ცხოვრება“ (საკითხი „ძველისა“ და „ახალი“ ქართლის ცხოვრების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ სადისკუსიოა). ეს იყო დიდი და საპასუხისმგებლო საქმე, რომელმაც მტკიცე ბაზა შექმნა ქართული ისტორიისა და ისტორიოგრაფიის დარგში მეცნიერული მუშაობისათვის. დასახელებული კოლექტივის გარდა საქართველოს ისტორიის დარგში მუშაობდნენ ამ დროს ცალკეული პირებიც, რომელთა შრომები მე-19 საუკუნეში შეტანილ იქნა იმ კრებულში, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება². განვიხილოთ მოკლედ ამ პირთა საქმიანობა³:

ზარსაძან ბორბიჯანნიძე. ფარსადან გორგიჯანიძეს (რომელიც 1626 წელს დაიბადა) სპარსეთში, სადაც თითქმის თელი თავისი სიცოცხლე გაუტარებია, დაუწერია საქმიანი დიდი მოცულობის საისტორიო შრომა, უძველესი დროიდან 1696 წლამდე. ამ შრომაში საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელობა აქვს იმ ნაწილს, რომელშიაც, სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის შრომაზე დამყარებით, გაშუქებულია XIV—XVII საუკუნეთა ისტორია. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ნაწილი, სადაც აწერილია 1626—

¹ XIV—XVII საუკუნეთა ისტორია, რომელიც ამ კომისიას მიეწერება, გამოცემულია ი. ჯავახიშვილის მიერ: ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება XVIII ს. დამბ. თბ., 1940 წ.

² ტ. II, დ. ჩუბინაშვილის რედაქციით, სპბ., 1854 წ.

³ ვსარგებლობთ ი. ჯავახიშვილის შრომით: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (ტაბოც. I, 1916 წ.; გამოც. II—III, 1945 წ.).

1696 წლების ამბები, რომელთა თანამედროვე იყო გორგიჯანიძე. ეს შრომა ლიტერატურის ისტორიისათვისაც არაა უმნიშვნელო, რადგანაც აქ გამოყენებულია ხოსროვეშინიანი, რომელიც, როგორც ზემოთ, თავის ადგილას, გვექონება და ლაპარაკი, არაა თარგმანი არც ერთი სპარსულად ცნობილი რედაქციისა, ის სხვადასხვა წყაროს ემყარება (1636—1696 წლების ამბები ამ ისტორიიდან გამოცემულია „ქართლის ცხოვრების“ II ტომში).

3ახუშტი ბატონიშვილი. ვახუშტი იყო შვილი ვახტანგ VI-ისა. ბედმა მას ცხოვრება და მოღვაწეობა არგუნა რუსეთში, მოსკოვში, სადაც რს მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. ვახუშტი ცნობილია როგორც სწორუბოვარი ისტორიკოსი 2ე-18 საუკუნისა. მან ისარგებლა იმ მეცნიერული ტრადიციებით და მემკვიდრეობით, რომელიც თავისი მამის საისტორიო სკოლიდან გამოიტანა და მიიღო. ვახუშტიმ დაგვიტოვა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ნაწილი, რომელიც XV—XVIII საუკუნეების ამბებს შეიცავს. მას ისტორიასთან ერთად დაუწერია საქართველოს გეოგრაფიაც, რადგანაც გეოგრაფიას ის თვლიდა ისტორიის ერთ-ერთ ნაწილად. ვახუშტის ისტორია წარმოადგენს ცდას ქართლის ცხოვრების ცნობების შესწორება შევსებისას, ის შესრულებულია მისი დროისათვის საესებით მისაღები მეთოდით, კრიტიკული აპარატის გამოყენებით, დოკუმენტებისა და წყაროების გაცხრილვით. აქ აღძრულია მრავალი ახალი და საინტერესო საკითხი, რომელიც იმ დროს დაინტერესებული იყო ქართველი ინტელიგენცია. რასაკვირველია, მისი ნიჭიერად დაწერილი ისტორია, რომელიც თავისი დროის მეცნიერულ სიმაღლეზე იდგა, არ შეიძლებოდა უნაკლო ყოფილიყო არც მეთოდოლოგიურად, არც ფაქტობრივად; ის უსაზღვრო ნდობა, რომელსაც ავტორი იჩენდა საერთოდ საბუთებისადმი, საგრძნობელ ზიანს აყენებდა მის შრომას. მინუსად უნდა ჩავთვალო მას ისეთი ეტიმოლოგიზაცია გეოგრაფიული თუ სხვა სახელებისა, როგორიცაა, მაგალითად, გამოყვანა „რანი“-სა რუსული სიტყვისაგან ранишь, „დეაღეთი“-სა სიტყვისაგან дѣя хета და სხვ. გასარკვევია, რატომ ამცირებდა მის შრომას და არაობიექტურად მიიჩნევდა მას ზოგიერთი მისი დროისა და მომდევნო ხანის მკვლევარი და მეცნიერი. მაგალითად, ჯერ კიდევ ანტონ I ამბობდა თავის „წყობილსიტყვაობაში“: ვახუშტიმ „მღურვა მიიღო სამართლიადრე, რამეთუ ვითმე ბტერობითნიცა თქმანი ვამოჩნდეს წერილთა შინა მისთა მრავლადო“. ამასვე იმეორებს იოანე ბატონიშვილიც „კალმასობაში“ შეტანილ თავის „საქართველოს ისტორიაში“: „ვახუშტი, ბუში ბაგრატიონთა, აღზარდა ვახტანგ მეფემან მოსკოვსა შინა და იყო კარგი მეციერი. ამან განაურტელა ქართლის ისტორია და აღწერა კარგად, კარგეთვე მეფეთა შთამომავლობანიცა. ვარნა, ვინაითგან გამოძებულ იქნა კახთა მეფეთაგან, ამისთვის ისტორიასა შინა, თვისსა მიერ კმნილსა, შურითა მოუთხრობს საქმეთა მათთა, შეწევნითა ცხვიროპკრილისა ორგულობასა ზედა მეფისსა ამილახორის შვილისა, და ამისათვის ძრახვენ ქართველნი და არა ქეშმარიტად ისტორიად რაცხვენ, ვინაითგან შურითა მეფეთა და მრავალთა თავადთა აუგნი დაწერა“¹.

¹ კ. ქიქელიძე, მტრუდები, I, გვ. 285—286.

ლიტერატურის ისტორიისათვის, რომელიც ვერადს ვერ აუვლის ვერც ისტორიას მისას, ვერც გეოგრაფიას, ვახუშტის შრომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მის მიერ მოპოვებული ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები, მისი აღწერილობა ქართველთა ზნე-ჩვეულებისა, სამოხელეო წყობილებისა, მის მიერ მოყვანილი ხალხური ანდაზები და სხვა ლიტერატურის ისტორიკოსისაღ დიდ დახმარებას უწევს.

სამხნია ჩხიძემ. სეხნია ჩხიძე ერთ-ერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეა XVII—XVIII საუკუნეებისა. მას უხდებოდა მოღვაწეობა როგორც სამშობლოში, ისე მის გარეთ, სპარსეთში, ამიტომ კარგად იცოდა როგორც საქართველოს, ისე სპარსეთის ამბები და მდგომარეობა. მას ამ გარემოებით უსარგებლნია და დაუწერია საისტორიო შრომა, რომელიც მოიცავს 1653—1739 წლების ამბებს¹. ამ შრომისათვის ავტორს უწოდებია ქართლ-კახეთის „მეფეთა ცხოვრება“, თუმცა იმაში მას სპარსეთის ამბებიც აუწერია. ეს შრომა იმდენად გაზვიადებულია, რომ მკითხველს შეუძლია იფიქროს, მისი ავტორი ვერ ხედავდა და ამჩნევდა მისი დროის ქართლ-კახეთის უმწიფო მდგომარეობას. ქართლის მეფეები, მისი სიტყვით, არიან „ოთხთავე კიდეთა ქუყანისათა ზარგანხდომით ზარგანმფენენნი, ყოველთა მებრძოლთა დიდად მძლეველნი და თვით არვისაგან ძლეულნი თვითმპყრობელნი საქართველოსნი“. სპარსეთში ხანგრძლივმა ცხოვრებამ და იქაურ ზნე-ჩვეულებათა გაცნობამ იმდენად დააჩლუნგა იმაში ჰუმანური გრძნობა, რომ ის რაღაც საღისტურო სიამოვნებით აგვიწერს შეუბრალებელი, მხეცური ხოცვა-ყლეტის ამბებს. სეხნია რატომღაც არაფერს ამბობს ვახტანგ VI სამეცნიერო-ლიტერატურული და საგანმანათლებლო საქმიანობაზე. კილო მისი მოთხრობისა გვაგონებს ამირანდარეჯანის სტილს: „მზემან ღვთისამან, ამას ბრძანებდო, ამისთანა არა ნახულა რაო“, „ჩამოაგდის კაცი, ვითარცა კატა“. „მზემან ღვთისამან და თავმან ამოთმან, ეს ორნივ ერთად გენახათ, ამას ბრძანებდო, ამათ თანა კაცის შვილი უკეთესი არ იქნებაო“. „მე ასე ვკვონებ, დეღითა ნაშობი მჯობი ამისა არა იყოს ქვეყანასა ზედან“².

პაპუნა ორბელიანი. სეხნია ჩხიძის ისტორია გაუგრძელებია ისტორიკოსს პაპუნა ორბელიანს. მის შრომას, რომელიც 1731—1758 წლების ამბებს შეიცავს³, ეწოდება „ამბავნი ქართლისანი“. იმაში აწერილია არა მარტო მეფეებისა და ომების ისტორია, არამედ ქვეყნის შინაური და ეკონომიური მდგომარეობაც. უმეტეს შემთხვევაში პაპუნა თვითმხილველი და უშუალო მონაწილეა მის მიერ აღწერილი ამბებისა, ამით აიხსნება ცხოველი ტონი მისი მოთხრობისა და უფრო მეტი დეტალიზაცია. გამოუყენებია მას ზოგ შემთხვევაში „სარწმუნოთა კაცთაგან მოთხრობილიც“. უდავოდ ნიჭიერი, სამშობლო-სათვის გულშემატკივარი ისტორიკოსი მთელი სიღრმით გვითვალისწინებს

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 307—342.

² ა. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 366—367

³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 343—474.

ქვეყნის გასაკვირ მდგომარეობას და თეიმურაზისა და ირაკლის თავდადებულ მუშაობას მდგომარეობის გამოსასწორებლად. რამდენადმე პაპუნა ორბელიანსაც სჩვევია აღწერილი ამბების ჰიპერბოლიზაცია. ბატონიშვილი ირაკლე „თუცა ლომი, ეგრე იბრძოდაო“, „რასაც საქმეს იქმოდა, ფაღვანის შესადარისი იქნებოდაო“. გორიდან ჩამოტანილი ზარბაზნის შესახებ ამბობდნენ— „ორი ათას ათასი ლიტრა არისო“; 1750 წელს ხელში ჩავარდნილი დავლის შესახებ „იტყოდნენ: ორასი ათასი ცხვარი იყოო“. შრომა დიდი ინტერესით იკითხება.

რმან ხმარაშლიძე. მეთვრამეტე საუკუნის ისტორიკოსთა შორის უნდა მოხსენებულ იქნეს მდივანბეგი ომან ხერხეულიძე, რომელსაც დაუწერია „მეფობა ირაკლე მეორისა მეფისა“¹. ეს შრომა დაწერილია მას შემდეგ, რაც მაჰმადხანი აღმოსავლეთ საქართველოს შემოესია, თუმცა ამბების აღწერილობა, დაწვებული 1722 წლით, მოყვანილია ოთხმოციანი წლების დასაწყისამდე. მისი მიზანი ყოფილა იჩვენებია, „ვეითართა შრომითა მიიღო მან (ირაკლემ) მეფობა ქართლისა“ და „როგორ შეაერთა სკაბტრა ორმეფობით“. თხზულებაში გამოყენებულია შემოკლებით სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის შრომები, ზოგი რამ გაგონილი და დამახსოვრებელიც შეუტანია შიგ. მოთხრობა მოკლეა და ამასთან მეტად მშრალი. როგორც არ უნდა იყოს, ირაკლე მეორის ეპოქის გასაშუქებლად მასაც თავისი მნიშვნელობა აქვს. დასასრულ, უნდა მოვიგონოთ ე. წ. გარდამავალი ხანის ისტორიკოსები: ბატონიშვილები დავით, ბაგრატ, თეიმურაზ და იოანე; უკანასკნელის „საქართველოს ისტორია“, შეტანილი მის „ქალმასობაში“, ჯერ გამოცემული არაა. ესენი არიან მოღვაწენი იმ ლიტერატურული კოლონიისა, რომელიც, 1801 წ. ისტორიული აქტის შემდეგ, ფეხს იკიდებს რუსეთში. ერთ-ერთ მიზნად თავისი მოღვაწეობისა ეს კოლონია საქართველოს ისტორიის გაშუქებასაც ისახავს. ეს გამოწვეული იყო, სხვათა შორის, ეროვნული თავდაცვის საჭიროებითაც. ასეთი შრომებით ამ კოლონიას უნდოდა იჩვენებინა ახლად დამყარებული ხელისუფლებისათვის, რომ ქართველები მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მატარებელნი არიან, ამისათვის ისინი ღირსნი არიან ახალი ცხოვრების პირობებში შესაფერისი ადგილისა და ყურადღებისა. მეორე მხრით, ამ კოლონიის მოღვაწენი გრძნობენ, რომ ცარიზმის რუსიფიკატორული რეიმიმის ბატონობისას შესაძლებელია ქართველების გათქვეფა და გადნობა იმ უსაზღვრო ოკეანეში, რომელსაც „მეფის იმპერია“ ეწოდებოდა. ამის ასაცილებლად საჭიროდ უცნიათ მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და ეროვნული კულტურული ტრადიციების განმტკიცება. ამ მიზნებს ემსახურებოდა, სხვათა შორის, დასახელებულ პირთა ისტორიული შრომებიც².

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 475—500.

² კ. კიციანიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, ატირდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, გვ. 283.



სულხან-საბა ორბელიანი

ბანსოფილება მეორე

ლირიკა

ალორძინების ხანის ლირიკა გადმოგვეცემს ავტორთა უშუალო აზრებს, გრძნობებსა და განცდას, იმაში უმთავრესად წარმოდგენილია ჩვენი მაშინდელი მწერლების ორიგინალური შემოქმედება და ამ მხრივ ჯეროვანი ყურადღების ღირსიცაა. სამშობლოს აწეწილი მდგომარეობა და ცხოვრების უკულმართობა ღრმად აფიქრებდა მწერლებს და იწვევდა „საწუთროს სიმუხთლის“ შესახებ სალაპარაკოდ, რომელსაც ისინი არკვევენ ან რელიგიურ-ფილოსოფიური; ან პრაქტიკულ-მორალური თვალსაზრისით. სასიხარულო მოვლენა თუ საყურადღებო პიროვნება ამ სავალალო მდგომარეობის დროს უნებლიეთ აღფრებებს მათ ჩანგს და აღტყინებულ ხოტბა-დიდებას ამოჰგლეჯს მათი გულიდან. გატრუებული იმედი, აუსრულებელი სურვილი და მისწრაფება „სევდის ბალისკენ“ მიერეკება და იქ მწარე ცრემლებს აფრქვევინებს მათ. სატრფოს „მელნის ტბა“, „ინდოთ რაზმით“ გარშემორტყმული და „მოზიდული მშვილდით“ შემოფარგლული, ათასნაირ სამიჯნურო ჰანგზე ამღერებს მათ და ქმნის სატრფიალო ლექსების დაუშრეტელ წყაროს. მწერლობამ ჩაითრია ფართო წრეები: წერს მეფე და ბატონიშვილი, სარდალი და მდივანი, ერი და ბერი, ქალი და კაცი. მათი ნაწერები, საგანგებოდ შეკრებილი, მრავლად ამკობს დღეს ჩვენს სიძველეთსაცავეებს (იხ. მ ფონდის ხელნაწერები: 1511, 1512, 1536, 1575, 1576, 1582, 1612, 2399, 2481, 2516, 2533, 2593, 3686, 4589, 5090, 5131 და სხვ.). ყველა ეს ნაწერი ერთნაირად არ „ესობა გულს“, ყველა ამ მგოსანს არ შესწევს თანაბარი „ნიჭი“, ამიტომ, შეიძლება ისინი თავისთავად და კერძოდ ყველა ყურადღებისა და შესწავლის ღირსია, მაგრამ ლიტერატურის ისტორიის საზოგადო კურსში ამ შემთხვევაში შეგვყავს მხოლოდ ისინი, რომელთაც თავისი „რალაცა“ ჰქონდათ და რომელნიც სხვებს გზას უნათებდნენ და უკაფავდნენ.



თეიმურაზ I

1. თეიმურაზ პირველი

ბიოგრაფიულ ცნობებს თეიმურაზის შესახებ ჩვენ გვაძლევს როგორც მატიანე და საისტორიო დოკუმენტები, ისე არჩილ მეფის თბზულემა „რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასება“, სადაც მეთექვსმეტე კასუხში გადმოცემულია „ცხოვრება თეიმურაზისა“. თეიმურაზის მამა იყო ალექსანდრე მეფის ძე—დავითი, კაცი „ამაყი, ლალი და მრისხანი“¹, ამასთანავე ბოროტი იმდენად, რომ, როგორც ცნობილია, მან დააპატიმრა თავისი ძმა გიორგი და ტახტიდან ჩამოაგდო მამა, რათა თვითონ გამხდარიყო კახეთის მეფე. დედამისი, აშოთან მუხრანბატონის ასული—ქეთევანი, იყო ადამიანი პკუითა და ყოველგვარ სათნოებით შემკობილი, რომელმაც შირაზში შაჰ-აბასისაგან მოწამებრივი გვირგვინი დარღვა თავს. თეიმურაზი დაბადებულია 1589 წელს, ვინაიდან 1605 წელს, როდესაც ის გამეფდა, 16 წლისა ყოფილა². გიორგის გამეფების მოლოდინში, რათა მას შური არ ეძია შემდგომ, დედამ, ქეთევანმა, 1602 წელს, თეიმურაზი გაუზავნა სპარსეთს შაჰ-აბასთან, რომელმაც ის ღიღი პატვიით მიიღო. სპარსეთში თეიმურაზი „ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა“³, რაც ასე გამოიყენა მან შემდეგში. ცხადია, სპარსულ ენას ის მანამდეც და შემდეგაც სწავლობდა, თორემ ორ-სამ წელიწადში ის მას ისე ზედმიწევნით ვერ შეისწავლიდა. სპარსულ ენასა და ლიტერატურასთან ერთად მას საფუძვლიანად შეუსწავლია ქართული მწერლობა, როგორც სასულიერო-საეკლესიო, ისე საერო, რუსთაველთან გაბაასებაში თეიმურაზი ამბოყობს, რომ მან საღმრთოცა და საეროც შეუღარებლად იცის. მწერლობისადმი მიდრეკილებმა და პოეტური ნიჭი მას შემკვიდრებოთ უნდა მიეღო. ცნობილია, რომ მამამისი დავითი მოტრფიალურ იყო მწერლობისა, რომელშიაც მან თავისი წვლილიც შეიტანა „ქილილა და დამანას“ გადმოთარგმნით კუსა და მორიელის არაკამდრე. მწერლობისადმი სიყვარულსა და პოეტურ ნიჭს მოკლებული არ ყოფილა არც დედამისი ქეთევანი, რომელსაც შირაზის პურობილებასში უთქვამს მეტად ელტიგური ფისტიკაური, რომელშიაც ის გადმოგვეცემს თავის სეედიან ფიქრებსა და გრძნობებს⁴.

¹ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 112.

² იქვე, გვ. 114.

³ იქვე, გვ. 113.

⁴ „ამას ვსტირი ბნელსა მჯდომი, გულთა მდულრად დადაგული“ (S 1512, გვ. 25—26;

ჩვენ არ გამოვეუდგებით თეიმურაზის მეფობის პერიპეტეების დაწვრილებით აღნიშვნას, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი მეფობა არ იყო ბედნიერი არც მისთვის პირადად, არც მის ქვეშევრდომთათვის. უმეტესი ნაწილი თავისი ხანგრძლივი მეფობისა მან გაატარა ექსპრობაში: ხან ოსმალეთში, ხან სპარსეთში, ხან რუსეთში, უმეტესად კი რაჭასა და იმერეთში, თავის ქალთან, ნესტანდარეჯანთან, რომელიც ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფეს ალექსანდრეს. ხან დიდებული ფეოდალები ჩამოაგდებდნენ ტახტიდან და გააძევებდნენ, ხან სპარსელები, ხან ქართლის მეფეები. ოჯახურ ცხოვრებაშიაც არ იყო თეიმურაზი ბედნიერი: ჯერ იყო და მოუყვდა საყვარელი მეუღლე ანა და სპარსელების მოთხოვნით იძულებული შეიქნა ცოლად შეერთო ახლო ნათესავი, ქართლის მეფის და¹, მერე—ძალით გამოგლიჯეს ხელიდან საყვარელი დედა და შეიღებინა—ალექსანდრე და ლევანი, რომელთაც ტრაგიკული ბედი ხედათ წილად სპარსეთში². ტრაგიკული იყო ბედი სხვა შეიღებისაც, დავითისა და ნესტან-დარეჯანისა: დავითი ჯერ კიდევ ქაბუკი დაიღუპა სპარსელებთან ბრძოლაში. ნესტან-დარეჯანი, ეს თავისებური ქართველი კლეოპატრა, ჯერ ზურაბ ერისთავს ჰყავდა ცოლად, მერე იმერთა მეფეს ალექსანდრეს, უკანასკნელად გაჰყვა ვილაც ვახტანგ ქუქუნაშვილს და 1668 წელს შუბით განგმირულ იქნა ხოსია ლეჩხუმელის მიერ. ობლად დარჩენილი ორი შვილიშვილიდან (დავითის შვილები) ერთი, გიორგი, ბავშვობაშივე მოკვდა იმერეთის მეფის კარზე, სადაც ის იზრდებოდა; მეორე, ერეკლე, იძულებული იყო, ქართლ-კახეთის არევ-დარევის გამო, შორეულ რუსეთში გადასულიყო, სადაც ის იზრდებოდა გარკვეულ ატმოსფეროში. შემდეგში ერეკლემ მრავალი მწარე დღე აგემა ქართლ-კახეთს. თეიმურაზი მოესწრო მეორე ცოლის სიკვდილსაც და ეს თავზარდამცემი აშბავი მან გაიგო გზაში, როდესაც ის ასტრახანში იმყოფებოდა, რუსეთიდან გაქრუებული იმედებით გამობრუნებული (1659 წ.). დასასრულ, მას უკულმართმა ბედმა ისიც კი არ არგუნა, რომ საყვარელ სამშობლოში დაეხუპა თვალები: 74 წლის, სიბერით დაუძღურებული, მეფე იძულებული იყო სპარსეთში ჰხლებოდა ახალ შაჰს, რომელმაც შელახა მისი რელიგიური გრძნობა და პირადი თამოყვარეობა სახეში ლენის შესხმით, მერე ექსპორია ყო ასტრახაბადს. აქ 1661 წ. ჩოხის ან მაზარის ჩაცმით, ესე იგი ბერად შედგომით, სულიერად სიცოცხლეს გამოთხოვებული მეფე, 1663 წელს ფიზიკურადაც გამოეთხოვა მას. მისი პოლიტიკური უბედობის მიზეზად შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ თეიმურაზი იყო ექვიანი და დაუნდობელი კაცი, მოკლებული დიპლომატიული შორსმჭკრეტელობასა და საღ პოლიტიკურ ალღოს. მაგრამ, რაც იკლდა მას როგორც

¹ ამის შესახებ იხ. გ. კეკელიძე, ქართველი ქალები შაჰ-აბაზ პირველის კარზე, თსუ შრომები, ტ. XXXIV, გვ. 373—382; მისივე, იტიუდები, IV, გვ. 217—226.

² ალექსანდრეს და ლევანის შესახებ ანტონ კათოლიკოსი „ქეთევან დედოფლის წამებაში“ ამბობს, რომ ისინი 1618 წელს „დაკუთითთა საჭურის ცენა“ შაჰმა ისპაანს. „ალექსანდრე მოკვდა დაკუთათა შინა, გარნა ლენს ესოდენ სიბერედ მიიწია, ვითარმედ აკსოვდა იგი ცოხლი დედასა ჩემსა“ („საქართველოს სამოთხე“, გვ. 592).

მეფეს, უხვად ჰქონდა როგორც პოეტს, ნამდვილად რომ ეთქვათ, ის მოწოდებული იყო იმდენად არა მეფობისათვის, რამდენადაც მწერლობისათვის.

რამდენად ნაკლებად იცნობდნენ თეიმურაზს არც ისე შორეულ წარსულში, ჩანს, თუ გინდა, იმ დახასიათებიდან, რომელსაც გვაძლევს, საერთოდ დინჯი და ჩაფიქრებული მოაზროვნე ანტონ ფურცელაძე: „ჩემიფს, განცხრომას და ნადირობას,—ამბობს ის,—დაერთო ზედ მელექსიობა, რომელიც იმას წარმოადგენილი ჰქონდა, როგორც ნერონს თავისი მეშუსიკობა, პოეტობა და მსახიობა, რომ იმის ბადალი მელექსე არ გაჩენილა. უჯდა მთელი დღეობით ამ უშნო და უაზრო ლექსებს და აკლავდა თავისი სიცოცხლეს შიგა. სწერდა ამექსს, სადაც არც ესთერკია, არც ხელოვნება, არც იდეა, არც რამე აზრი, არც რამე ისტორიული მხატვრობა, არაფერი ღვთისაგან განაჩენი არ ისახებოდა, გარდა უბრალო და უაზროდ გადატმანსილი სიტყვების რახა-რუხისა, სიტყვებით ტმასენა-გრეხისა. ჰკითხულობთ იმის ლექსებს და გიკვირს, რომ კაცი, რომელმაც გამოიარა ამდენი მწუხარება, გამოიარა ათასი ტრალიკული შესაზარი მდგომარეობა, ათასი დევნა, თავის დამცრობა, ნახა უმაგალითო ოხრება და ტყვევნა თავის სამეფოსი, თავისი აღმზრდელი და შემნახველი ქვეყნისა, დაკარგა რამდენჯერმე თავისი სარჩო-საცხოვრებელი, დარჩა მეფობიდან უბინაოდ, უჯაროდ, სკადა ათასი სიმუხთლე სოფლისა, დაკარგა უმაგალითო წამებით დედა, პირშუო შვილები, დაკარგა სიყრმის საყვარელი ცოლი და სხვა ამისთანა,—როგორ არ შეიპყრა აზრმა თავისი ლექსების წერის დროს, როგორ ერთხელ მაინც არ შეჰკენესა გულმა ამოდენა ამბების მნახველს, როგორ არ გაუარა ერთხელაც არის რამე ჩასაფიქრებელმა და საგულისხმო აზრმა, მსჯელობამ, გონების მოსაზრებამ, ქვეყნის ცრემლმა, ქვეყნის ვაებამ“¹.

ამრიგად, ა. ფურცელაძის შეხედულებით, თეიმურაზის ლექსები ფორმითაც და შინაარსითაც არაარაობას წარმოადგენს. ეს არის შემცდარი შეხედულება, ზეპირი ლაპარაკი და არა თვით ნაწარმოებთა შესწავლაზე დამყარებული აზრი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

თეიმურაზის სამწერლო მოღვაწეობა ორ მთავარ პერიოდს გვაძლევს²: პირველი პერიოდი მოდის 1629—1633 წლებზე, როდესაც ის, ზურაბ ერისთავის მიერ ზურგგამაგრებული, ორივე ტახტის, ქართლისა და კახეთის, პატრონია, უზრუნველყოფილად გრძნობს თავს და ქვეყანაც მოსვენებულად ეგულვება³, როდესაც თეიმურაზს შეეძლო ეთქვა:

ალარა მყვა მტერი მოღმა, მეომარი შემობზნოდა,
დამპორჩილდა ყოელი ურჩი, ხელთ საბმელი ვითა ბმოდა,
ყოფლგან ისმა ეს ამბავი და შეიქნა საამზოდა,
შეება იყო სამუდამო, ლხინ-სობათი შეიმყოდა⁴.

¹ „გიორგი სააკაძე და მისი დრო“, 1911 წ., გვ. 374—5. არსებითად ამასვე ამბობს აკაკი წერეთელიც თავის „ბაში-აჩუკში“ („რჩეული ნაწერები ერთ ტომად“, 1935 წ., გვ. 472—473).

² თეიმურაზის ნაწერები მთლიანად ჩვენამდე არ უნდა შენახულიყოს, თუ მხედველობაში გვექნება მისივე სიტყვები: „ღრმა რამე ეთქვი, და მემკარგა, ის ჯრავის მოვასმინო“.

³ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 45—46.

⁴ „არჩილიანი“, II, ა. ბარამიძისა და ნ. ბეძენიშვილის გამოც., სტრ. 707.

აღნიშნული ხანის შესახებ არჩილი ასე ალაპარაკებს თვით თეიმურაზს:

ამ დროს ვთქვი ლეილ-მაჯუნნი, ზილიხან-ოსებისა
კება, შეენება, სიტურაფე მიჯუნრთა ცეცხლგბრ დებისა,
გაჭრა მინდორად, ხელობა, გულთა დახერხულად სობისა,
ტაბილად რამ აღმოგვეტყველე ლექსები სხივ-შუქებისა. (705).

გამოვარჩინე ნათქვამი შე ჩემის მუსიკობისა,
არ დაშვრა რნა მეტყველი ტაბილად მათ ზედა შკობისა,
განმარტვითა ვთქვი ქართულად თქმული სპარსთ არაკობისა,
არ დამოარჩილდა მეფესა იოსებ იაკობისა. (706).

მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე პერიოდი მოდის 1649—1656 წლებზე, როდესაც ის, ტახტმიხდელი და სამეფოდან გაძევებული, იმერეთის იყო თავისი სიძისა და ქალის კარზე, და უმეტეს დროს რაჭაში ატობდა. უსაქმო და მოცილილი, დროს გასატარებლად, ის ხელს ჰკიდებს მწერლობას. ამ პერიოდის შესახებ ასე ალაპარაკებს არჩილი თეიმურაზს:

ახლა ვთქვი ზვიდის კრებისა მამათა წმიდათ დასება,
სჯულის სიმტკიცე ნათლისა მათ მიერ ზემოსება,
სარწმუნოება მართალი მუნითგან დაეთესება,
ჯერჯალთა დრეთთა მწვალებელთ ოდიოგან ეყო დაესება. (1048)

ვარდს ბუღბული გაუბუნე, შემოდგომა გახაფხულსა,
კვლავ სანთელსა პეპელაი, მისგან დამწვარ-დადაგულსა,
ამ დროს ლექსი ვით გაგაწვი, ძლივლა მხედავ შე სულდგმულსა,
მუნ მაჯამას,—შეყრილს,—ხედავ, არ იქი-აქ დაეარგულსა. (1049).

თავისი თხზულებები პოეტს დაუწერია «გასამღებელად», ესე იგი მწარე სინამდვილის გასართობად და დისაფიწყებლად. აი რას ამბობს ამის შესახებ ის „შამიფარჯიანის“ შესავალში¹:

სრულ განსაცდელში დავლეო ჩემნი რამნი და დღენია,
სხვას ვისმე ჩემნი პატიონი არც ვის კი ამბად სენია,
თვალთგან ცრემლი უწყვეტი ნილოსის მსგავსად მდენია,
ცუდად უსაქმოდ ყოფითა ცნობანი გარდამშენია (12).

შე გასაძლუბლად დაეწერე ზან ისი, ზან ეს რამეო,
გული ამახედ დაეპყარ, ბეგრი დღე დავალამეო,
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ ზვიღამეო,
ჩარხი უკულმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვა მეო! (13).

რაც გამეგონა სპარსთაგან წიგნები ლაყაბიანი,
ამბავი ანუ ზიორნი სალაღობო და წყლიანი,
ლექსი ლექსად ვთქვი, ამბავი არც ყოლ არ დავაგვიანი,
პირველად სამიჯუნრონი, ვითა ვარდნი და იანი (14).

ვარდს გაუბუნე, გაუბებუ ბუღბული მისთვის ხელები,
ხელს მოვაგანე ხელმქნელი, ცრემლი ვადინე ცხელები,

¹ ვსარგებლობთ თეიმურაზის თხზულებათა უკანასკნელი, 1934 წლის გამოცემით, რომელიც გუთონის ა. ბარამიძისა და გ. უაკობიას.

ბრძენთაგან შესაწყნარები, სიტყვა არ საციხულეობი,
 ცოტა რამ უკუვიყარე, სცედა გქენ განათხულები. (15).

შემოდგომა-გახაფხული ერთმანერთსა შევადარე,
 მე გახბობით გავაუბენ, სიტყვა ისრეთ მოვაგვარე,
 ყველას ვისმე ცოტას ხანსა ვალაღობე, უკუვიყარე,
 რაც რომ კარგი ორთავ სჭირდა, ყველას თავი მოვიყარე. (16).

თეიმურაზის ნაწერები ორი კატეგორიისაა: სპარსულიდან გადმოკეთებუ-
 ლი და ორიგინალური. გადმოკეთებულია: „ლეილმაჯუნნიანი“, „ოსებზილი-
 ხანიანი“, „ვარდბულბულიანი“ და „შამითარვანიანი“, ორიგინალურია და-
 ნარჩენი მისი შრომები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

შინაარსის მიხედვით თეიმურაზის შრომები ორ ჯგუფად შეიძლება გა-
 იყოს: პოემები, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი, — „ქეთევანიანი“,
 „ლეილმაჯუნნიანი“ და „ოსებზილიხანიანი“; ლირიკული ნაწერები, რო-
 მელთაც ახლა მიმოვიხილავთ.

თეიმურაზის ლირიკა ორგვარია: რელიგიური და საერო, ან, თეიმურაზი-
 სავე ტერმინოლოგიით, „საღვთო და საკაცო“. რელიგიური ლირიკის ნიმუ-
 შებია: „შვიდთა კრებათათვის“, ანუ „კრების ამბავი“, უფრო ვრცელი სა-
 თაურით კი — „ქება და ღიღება წმიდისა და ერთარსების სამებისა და ღვთაუ-
 ბისა, ბუნებით განუყოფელისა, ხოლო გვამოცნებით განყოფილისა, შვიდთა
 კრებათაგან დამტკიცებული“, ჩახრუხაულად დაწერილი¹. ამ „ქებაში“, რო-
 მელიც იწყება ასე: „აღვალო პირი, სიბრძნე დამძვირი, ზემთა ძალისა ჩემისა
 მბობად“, პოეტი კითხულობს: „ვითა შევმართო შესხმად და მკობად“ ერთ-
 არსება სამებისაო? ეხება უმთავრესად ქრისტიანულ დოგმებს, განსაკუთრებით
 სამების შესახებ, და ჩამოთვლის ცნობილ წვალებათა და იმ კრებებს, რომელ-
 თაც ეს წვალებანი განაქიქეს.

რელიგიური ხასიათისაა აგრეთვე სამი ანბანთქება: 1) წმიდათა
 ქება: „აღამ ვახსენოთ პირველად, თვით ღმერთმან შექმნა რომელი“². ამ ნა-
 წარმოებში, რომელშიაც პირველი სტროფის სტრიქონები იწყება ასო ა-ნით,
 მეორესი — ბ-ანით, მესამესი — გ-ანით და ასე ბოლომდე, შეკოწიწებულია წმი-
 დათა სახელები; 2) „აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო“³. აქ
 პოეტი იხსენიებს ზოგიერთ წმიდანს, ბიბლიურ ეპიზოდებს, ხოლო მეორე
 ნაწილში დაწერილებით ლაპარაკობს იესო ქრისტეს ვნების, აღდგომის, ამაღ-
 ლებისა და მეორედ მოსვლის შესახებ. აქროსტიკული სისტემა აქაც იგვევა,
 რაც პირველში; 3) „აღმართა მხსნელმან ჯვარი გოლგოთას“⁴, წარმოადგენს
 ვედრებას ღვთის, ღვთისმშობლისა და წმიდანებისადმი. აქროსტიკები იგი-
 ვეა, რაც პირველ ორში.

¹ თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 161—167.

² იქვე, გვ. 145—149.

³ იქვე, გვ. 149—154.

⁴ იქვე, გვ. 154—159.

საერო ღირსიკა უფრო ღამაზსა და შინაარსიან ნიმუშებს იძლევა. ამ შემთხვევაში ჩვენ არ შევჩერდებით ერთ ხუთსტროფიან („ანო ალვისა, ბანო ბროლო“) ანბანთქებაზე¹, თუგინდ „გრემის სასახლის“, ანუ „ბაღის სასახლის“ ქებაზე², რომელშიც გადმოცემულია მშვენიერება თეიმურაზის მიერ აგებული სასახლისა და გაშენებული ბაღისა; არ შევჩერდებით არც ლექსზე „მეფის თამარის სახე დავითგარეჯაში“³ და გადავალთ ოთხ უფრო მსხვილსა და მნიშვნელოვან ნაწარმოებზე. ესენია:

A. შადრუღბულიანი

„ვარდუღბულიანიში“⁴ წარმოდგენილია ბაასი ვარდსა და ბულბულს შორის. გაზაფხულზე ბალში გაიფურჩქნა და აყვავდა მისი დამამშვენიებელი ყვავილები: ია, იასამანი, ზამბახი, სუნბული, ნარგისი, ყაყაჩო, არღავანა, შროშანი. ყველა ზოელის ვარდის მოსვლას, რომელიც ყვავილთ მეფედება მიჩნეული. ბალში გაჩნდა ბულბული, რომელიც ზის ვარდის პირდაპირ, თავს ევლებს მას და განუწყვეტლივ დაძღერის. ვარდმა ეს ითაკილა, დაუძახა მებაღეს და ჰკითხა: ვინ არის ეს, საიდან მოსულა ან რა უნდა? მებაღემ აუხსნა, რომ ეს ბულბულია, რომელიც შენ გეტრფის და შენთვის კვდება; შენ რომ წახვალ, ისიც დაიკარგება, მოხვალ და ისიც მოგყვება. თუ მიბრძანებ, გააძევენ აქედან, მაგრამ რას ერჩი, მაგის აღგილი სწორედ აქაა, იუღეს, გეტრფოდეს და გიმღეროს. ამის შემდეგ ვარდი პირდაპირ ბულბულს მიმართავს და ეუბნება:

სადა მე და ან ვინ შენა? ხელი ხარ და ან შეშლილი. (34).

დღე და ღამე აქ დამყეფ და ძილს მიფრთხობო. ბულბული ეუბნება: „ჩემისა სიკედლისაგან მითხარ თუ რა გერგებო? თუ გაგეყრები ცოცხალი, მე სული ამომბდებო“ (35). მათ შორის იწყება დიდი დიალოგი; ვარდი ჩამოუთვლის თავის ღირსებასა და უპირატესობას ბულბულს და ეუბნება: მე ხელმწიფეთა სატრფიალო ვარ, სხვაგვარი უნდა ჩემთვის გაკრილი ველადო, შენ ჩემი შესაფერისი არა ხარ, ამიტომ აღექ და გამეცალე აქედანაო. ბულბული, თვალცრემლიანი, თავს აბრალებს მას, მორცხვად თავის ღირსებაზედაც მიუთითებს და ემუდარება: ნება მომეცი გიკვირიტო მხოლოდ, მე ამითაც კმაყოფილი ვიქნებო. ვარდი მაინც მოსთხოვს—აქედან წადიო, ასე რომ ბულბულს გული მისდის და ეკლის ძირას ეცემა. ვარდს შეებრალება ის, გულზე წყალს ასხამს, გრძნობაზე მოჰყავს და ეუბნება: „ნება დამიბრთავს, აწ იყავ ბაღისა ამ მიდამოსა“. ბულბულს გაუხარდა და დაუწყო კვლავ ალერსი და მკობა მას. ვარდი ეუბნება: მართალია, ერთობ კარგი ხარ მიჯნურად, ხმაც კარგი გაქვს,

¹ თეიმურაზ I, თხზ. სრული კრებ., გვ. 152—160.

² იქვე, გვ. 142—143.

³ იქვე, გვ. 144.

⁴ გამოცემულია: „სისკაოში“ 1861 წ., დ. ჩუბინაშვილის „ქრესტომატიაში“ 1863 წ., ა. კალანდაძის ნიერ 1875 წ., ხ. კიტიანაძის ნიერ 1886 წ. და აღ. ბარაშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ 1934 წ.

მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ „ვერ გხედავ თვალ-ფერად ჩემსა დარესა“. ამბავ

ბულბულმან მისი პასუხი ვლად თქვა, ენა დაება,
სიახლოვითა ეფონა ცოტა რამ ჭირი და ვება. (92).

ასე რომ „ამა სიტყვაზედ გარდასწყდა მათი ბრძოლა და ვაება“. ბულ-
ბული დაკმაყოფილდა იმით, რომ მას ნება მიეცა თავისი სატრფოს ახლოს
ყოფილიყო. თხზულება გადმოკეთებულია სპარსულიდან, პოეტი თვითონვე
ამბობს: „შევიწიო ძალი ღვთისა, მე დავიწყო თარგმანობაო“ (7). მის აე-
ტორს თვით პოეტი ასახელებს, ეს არის მოლა აჯა, ბრძენთა ბრძენი:

გააუბნა ერთმანერთსა მოლა აჯამ, ბრძენთა ბრძენმან,
ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული, სიტყვა-ტყბილი ენაგაძელმან,
სალხინოდ და სალაღობოდ, სხვად არასმე შესაძენმან,
მიჯნურთათვის გულსა ლახერად, ჭირსა ჭირზე დასაძენმან. (6).

ვინ არის ეს მოლა აჯა, არ ვიცით. ეს კი ფაქტია, რომ ვარდისა და
ბულბულის მიჯნურობა და გაბაასება სპარსული პოეზიის ჩვეულებრივი სუეე-
ტია¹. პირველი პოეტი, რომელსაც ეს სუეეტი გამოუყენებია, არის ვინმე ბა-
დიჰ-უდდინ მინუჩიჰი ატაჯიჩი ატაბრიზი, რომელსაც ჯერ კიდევ
1456 წლამდე აუწერია ვარდისა და ბულბულის მიჯნურობა². თუ ჩვენ
„ლეილმაჯუნნიანისა“ და „იოსებზილიხანიანის“ შემთხვევაში ვუჯერით პოე-
ტის განცხადებას, რომ ეს თხზულებები სპარსულიდან ვთარგმნეთ (1,309),
რა საბუთი გვაქვს ამ შემთხვევაში არ დავეუჯეროთ მას, როდესაც ის ერთ-
ერთ აეტორსაც კი ასახელებს? ეს კია, რომ თეიმურაზს ეს თხზულება თავი-
სებურად გადმოუკეთებია, თავში დაურთავს წინასიტყვაობა, რომელშიაც ჯერ
მიმართავს ღმერთს, მერე ორიოდ სიტყვას ამბობს მეღექსეობაზე და იგო-
ნებს მოლა აჯას. შიგ „გაბაასებაში“ მოხსენიებული არიან სპარსელ და ინ-
დოელ რიტორ მოწაირეთა შორის ქართველნიც, კერძოდ რუსთაველი, დასა-
ხელებული არიან აგრეთვე გურჯები, ყველა ეს, რასაკვირველია, თვით
თეიმურაზის წვლილი უნდა იყოს. დასასრულ, თეიმურაზი შენიშნავს რა, რომ
„მე ვთქვი ის, რაც მასმოლა მათგან“, ესე იგი არა მარტო აჯასგან, არამედ
ზოგადად სპარსელ რიტორთაგანო, ჩვეულებისამებრ შეასხამს ღიღებას ღმერთს
და სთხოვს მას: „მომიტყვე სიტყვანი, უქმნი, არნაყოფიანნი“, და გამოთქვამს
შინს: „ვაიმე, ცუდის ლაყბითა, თუ სული დავაზიანეო“. ერთი სიტყვით,
„ვარდბულბულიანი“ იმდენად თარგმანი არაა, რამდენადაც თავისებური გად-
მოკეთება.

¹ პოეტი საადი ერთ თავის ლექსში ამბობს: „როდესაც ბულბული ათასი ზღლოდიებით
თავს დაზღერის ვარდს, ის ემსგავსება საადის“ (А. Крымский, История Персия, III,
477), ჩვენი „ვარდბულბულიანი“ სუეტურად, რამდენადმე დაბულბურადაც, გვაგონებს შა-
ისმაილ ჰატაის (გარდ. 1524 წ.) თხზულებას „დჰანამე“, მხოლოდ ფინალი აქ სხვანაირია შე-
ჯვარებული შეერთდებთან.

² H. Ethé, Neupersische Literatur S. 250.

როდისაა გადმოკეთებული ეს თხზულება? არჩილ მეფე ათქმევინებს თეიმურაზს, რომ მას შემდეგ, რაც მან კახეთის ტახტი დაკარგა და იძულებული შეიქნა იმერეთს გადახვეწილიყო, „შვიდს წელიწადს მოვიცადე, კიდევ რასმე შევეცადეო“¹. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ თეიმურაზი იმერეთში შვიდ წელიწადს დარჩა, 1649—1656². იმერეთში ყოფნისას, —იმბოძს თეიმურაზი არუსთაველთან ვაბაასებაში,—მე „ვთქვი“ შვიდი კრება, მაჯამა და აგრეთვე

ვარდს ბუღბული გაეაუბნე, შემოდგომა გახაფხულსა,
ეკლავ სანთელსა პეპელაი, მისგან დამწვარ-დადაჯულსა³.

ამრიგად, „ვარდბუღბულიანი“ თეიმურაზს გადმოუკეთებია იმერეთში ყოფნისას, 1649—1656 წწ.

B. შამიფარვანისა

„შამიფარვანისა“⁴ ან, სხვანაირად, „სანთელი და პეპელა“, იმავე ხასიათისა და შინაარსისაა, რაც „ვარდბუღბულიანი“. ის წარმოადგენს სანთლისა და პეპელას ვაბაასებას, რომელშიაც ძლეგორიულად გამოყვანილი ნამდვილი მიჯნურობა. გაგიყვებული, გახელებული პეპელა თავს დასტრიალებს ანთებულ სანთელს, ეალერსება მას და უმეღავენებს თავის გრძობებს: მე შგნთვის დავბადებულვარ და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. სანთელი ეუბნება: შენი სიტყვები მე არ მიმაჩნია კვეიანურად, მე რომ კარგი ვიყო, შენ რა გჳირს და რისთვის ეკლავ თავსო? ფარვანა კიდევ აქებს მას და ემუდარება—შემიბრალეო. სანთელი იმასვე უმეორებს—ჩამომგხსენ, თავი და მინებეო, მაგრამ არა იმ მოტივით, რომლითაც ვარდი სთხოვს ბუღბულს—შენ ჩემი ღირსი არა ხარო, არამედ სულ სხვა რამით: მე საღმრთო დანიშნულება მაქვს, შექმნილი ვარ სამადლოდ და ეკლესიის მსახურად, ხატთა და ჯვართა წინაშე ვარ, უნთივარ მიცვალებულს, ვინ მე და ვინ მიჯნურობაო? ეს რომ ფარვანამ გაიგონა, იმედი დაჰკარგა, გაშალა ფრთები, დაეცა სანთლის ალს და მკედარი იქვე დივარდა. სანთელს შეებრალა მისთვის და მისით დამწვარი მიჯნური და მისი ცოდვით დნობა დაიწყო მის გაცივებულ ტანზე. ეს თხზულება თეიმურაზს გადმოუკეთებია სპარსულიდან, როგორც ამას შესავალში ამეღავენებს ის:

შამი-ფარვანას წიგნისა ვინებე გადმოღებანი,
ესოდენ ცუდთა ლყაბსა ვინცა ვინ მითხრას კებანი,
არც ზემი საქმით ნათქვამი, არც გულსა მქონდა დებანი,
სპარსთ უთქვამსთ აზი-მაზიყად, მათგან არს მოგონებანი. (17).

¹ „არჩილიანი“, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., სტრ. 1047.

² „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 123—124.

³ „არჩილიანი“, სტრ. 1049.

⁴ გამოცემები: ზ. კვიციანიძისა 1896 წ., რომელსაც შესავალი აკლავ; „რუსთაველი“, 1860 წ., III—IV; გივიშვილისა და ანჰატელოვის 1876 წლისა და ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიასი, 1934 წ.

შაში სპარსულად სანთელსა ჰქვიან მათისა ენითა, ფარვანა მისთვის მიჯნურად უთქვამს, გლახ, ერემლთა დენითა, ყოვლთა მიჯნურთა უსაწყულ, იგ სურვილისა სენითა, იგ გაულექსავთ ყურთათვის შაქრად და თაფლად სენითა. (18).

იფიქრა ისპანელმან, მელეკსეთ შიგან ქებულმან, კაცმან განთქმულმან სპარსთ შიგან, არ ცუდად მიდმოგებულმან; განფინა მისნი სიბრძნენი, იგ უქეს ბრძენთა კრებულმან, მისთა ლაყაბთა თარგმნითა იგ არც მუ დადუმებულმან. (19).

ვინ იყო ეს მელეკსეთ შორის ქებული და სპარსეთში განთქმული ისპანელი პოეტი, რომელსაც „შამიფარვანიანი“ დაუწერია? თეიმურაზი ამბობს: „ვინც აქო ვარდი-ბულბული, იმას ფარვანაც უქია“ (56). აქედან იზადება კითხვა: ისპანელი პოეტი, „შამიფარვანიანის“ ავტორი, იგივე მოლა აჯა ხომ არაა, რომელსაც „ვარდბულბულიანი“ ეკუთვნის? „შამიფარვანიანი“ გადმოკეთებულია „ვარდბულბულიანის“ შემდეგ, რაც ფარვანის სიტყვებიდან ჩანს:

ვითა ბულბული ვარდისათვის გაქრილი, გახლებული,
შენ სჯობხარ ვარდასა სინათლით, მეტი ხარ, არ თუ კლებული,
ბულბულს მე ვსჯობვარ მიჯნურად, გული უწყალოდ ლებულა,
შენთა სხივთა და შუქთაგან დამწვარა, დავალებული. (54).

არავითარი საბუთი არ გვაქვს, როგორც „ვარდბულბულიანის“ შესახებ ვთქვით, არ დავეუჯეროთ ავტორს, რომ თხზულება „ნათარგმნია“ (14, 17). მაგრამ „თარგმანი“ აქ გულისხმობს არა სიტყვა-სიტყვით თარგმანს, არამედ გადმოკეთებას. ეს ჩანს ვრცელი პროლოგიდან, სადაც წარმოდგენილია ქრისტიანულ-თეოლოგიური ტრაქტატი და უმნიშვნელოვანესი ფაქტები ბიბლიური ისტორიისა, ავრეთვე რელიგიური მოტოვიდან, რომელიც გამოხატულია სანთლის დანიშნულების აღწერაში, ღვთაებისადმი ქრისტიანულ მიმართებაში და შემდეგ სიტყვებში:

ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდას ლაყაბსა, მიდ-მოღებასა...
მოველი შეგან ხნასა და შენსავე იმედებასა. (68).

თხზულების ფინალი აქ უფრო ბუნებრივია, ვიდრე „ვარდბულბულიანში“. უკანასკნელში ბულბული კმაყოფილდება უიმედო ცქერით და სატრფოს კერეტით, აქ კი ფარვანა მსხვერპლად ეწირება თავის გრძნობას და იწვის მიჯნურობის აღში.

¹ „შამიფარვანიანი“ სპარსულად დაუწერია, სხვათა შორის, ეკლი შირაზელს 1489 წლის მახლობლად (А. Крымский, История Турция и ее литературы, Москва, 1910 г., стр. 114; მისივე, История Персии и ее литературы, т. III, М., 1914—1917, стр. 128). უკვლავდინ რუმის (1207—1273) თავის ლირიკულ ლექსში ამბობს: „მე სანთელიც ვარ და ფარვანაც, რომელიც მას თავს დასტრიალებს“ (А. Крымский, История Персии, III, გვ. 368); სხვა ადგილას იგივე ამბობს: „ფარვანამ უნდა მსხვერპლად შესწიროს თავისი სხეული და სულ შამსა, რომელიც მას იხიდავს“ (იქვე, გვ. 364). მოთხრობა შამის და ფარვანას შესახებ აქვს თავის „ბუსთანში“ (თ. III) პოეტ საადისაც (საადი შირაზელი, ბუსთანი, თბ., 1935 წ. გვ. 76, 87—88).

თხზულების სოციალური ფუნქცია, როგორც „ვარდბულბულიანისა“, მდგომარეობს იმაში, რომ ფეოდალურ საზოგადოებას აჩვენოს ტრფობის იდეალი, განუწყოსოს მას „წესი მიჯნურობისა“.

ვისაც გწავეს ცეცხლი უშრავტი, გაქვს გული დანაწყლულები,
ნახეთ ფარვანა დამწვარი, მკედარი, სულამოსულები. (23)

მისგან ისწავეთ ყოველთა ხელობა, მიჯნურობანი. (24).

„შამიფარვანიანი“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაწერილია „ვარდ-ბულბულიანის“ შემდეგ, თეიმურაზის იმერეთში ყოფნისას, 1649—1656 წლებში. დაწერილია ის რაქაში, როგორც თვით პოეტი შენიშნავს: „ცულად წოლით და გდებითა ეს მომაგონა რაქამან“. ამ თხზულების ერთ-ერთ ნუსხაში ვკითხულობთ: „შამი-ფარვანის გამიჯნურება ნათქვამია დროსა მას, ოდეს თეიმურაზი იმყოფებოდა განძებული თვისის სამეფოას კახეთისაგან იმერეთს, რაქასა შინა, წელს ქორონიკონსა 1650; ამ წელსა მუნ თქუა“¹. ეს ცნობა სიმართლეს არ უნდა შეერსებოდეს, რადგანაც თეიმურაზი თვითონ ამბობს ამ თხზულებაში: „ველარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცულად გდებასა“ (68). აქედან ჩანს, რომ, როდესაც თეიმურაზს ხელი მოუკიდია ამ შრომისათვის, შვიდი ზაფხული ან წელიწადი მისი იმერეთში ყოფნისა უკვე გასული ყოფილა, მაშასადამე, ის მას დაუწერია 1656 წელს, რუსეთში გამგზავრების წინ.

ც. გაზაფხულზე მოდგომიანი

ეს თხზულება, რომელსაც სხვანაირად ეწოდება „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, წარმოადგენს გაზაფხულისა და შემოდგომის ქებას ან ხოტბას. იმაში პოეტს მოუცია წელიწადში ამ ორი ულამაზესი დროის მშვენიერი, სულწარმტაცი სურათები². შესავალში ავტორი მიმართავს ლმერთს და მწუხარებას გამოთქვამს, რომ მის დროს საღმრთო წიგნები დავიწყებულია და უფრო დაინტერესებული არიან უსარგებლო თქმულებებითა და ლაყბობით. ამის შემდეგ ის პირდაპირ გადადის თავის თემაზე: „აწ შითხარ თუ რომელი სჯობს, გაზაფხული, შემოდგომა?“ თემა გაშლილია დიאלოგის ფორმით, პასუხის სახით: „გაზაფხული ამას იტყვის“, „შემოდგომა ამას იტყვის“. სულ ექვსი პასუხია, ჯერ ლაპარაკობს გაზაფხული, მერე შემოდგომა. ამ პასუხებში წარმოდგენილია გაზაფხულისა და შემოდგომის ექვსი ერთიმეორეზე უმშვენიერესი სურათი, უკეთ რომ ვთქვათ, პოეტი ქებასა და ხოტბას ასხამს გაზაფხულის სიკეთესა და შემოდგომის ნოყიერებას. ავტორი თვითონ არ იძლევა პასუხს დასმულ კითხვაზე და მკითხველთა ძილებს წინადადებს: „თქვენცა თქვით თუ რომელი სჯობს, აწ ნუ გაქვს მათი თნებანი“-ო, თუმცა მართლაც რომ ძნელია გადაწყვეტა ამ საკითხისა, ისე მომხიბვლელა-

¹ S 537; E. Такашвили, Описание, II, გვ. 181, 182.

² გამოცემანი: „ცისკარი“—1860 წ., გივი შვილისა და ახ. ბატლოვისა—1876 წ. ზ. კიკინაძისა—1886 წ. და აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიძისა—1934 წ.

დაა დასურათხატებული ორივე დრო. თხზულება სხვადასხვა ნუსხაში სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. ძნელია თქმა, რა მოცულობისა იყო ეს თხზულება, როდესაც ის ავტორის ხელიდან გამოვიდა, ვინაიდან ავტოგრაფი არ არსებობს, XVIII საუკუნეზე აღრინდელი ნუსხა თეიმურაზის შრომებისა არ შენახულა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შრომა თავდებოდა ჩვეულებრივი რელიგიური ეპილოგიით, რომლის უკანასკნელი სტროფი არის 83-ე: „ეს უსარგებლო გათავდა“. ამისი მომდევნო ნაწილი (84—108 სტრ.), რომელიც ზოგიერთი ნუსხით, „მაჯამაზეა“ მიეკრებულა, ზოგიერთით „ვარდებულბულიანზე“, თავისი ხასიათითა და შინაარსით სულ სხვა დამოუკიდებელი ნაწარმოებია ან ნაწილი.

„გაზაფხულშემოდგომიანი“ თეიმურაზის ორიგინალური ნაწარმოებია, მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ ეხერხებოდა მას ბუნების სურათების მოცემა. აქ აღწერილი გაზაფხული და შემოდგომა საქართველოში გაგრძნობინებს თავს. თხზულება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დაწერილია თეიმურაზის იმერეთში ყოფნისას, 1649—1656 წლებში¹.

თეიმურაზის ლირიკულ ნაწარმოებთა შორის დამოუკიდებელ თხზულებად უნდა გამოყოფილ იქნას ორი ნაშრომი, რომელთაგან, უკანასკნელ (1934 წლის) გამოცემაშიც ერთი გაერთიანებულია, ზოგიერთი ხელნაწერის თანახმად, „გაზაფხულშემოდგომიანთან“, ხოლო მეორე დაბეჭდილია ცალკე „სოფლის სამღურავის“ სახით. ამ ნაწარმოებებში, მართლაც, სოფლის, ამქვეყნიური ცხოვრების მღურვა და საყვედურია მოცემული,—ამ მხრივ ისინი ერთმანეთის მონათესავე არიან,—მაგრამ, ვინაიდან 1) ასეთი შროცი თეიმურაზის ყველა ნაწარმოებში გვხვდება, რასაკვირველია, სხვადასხვა საშრომით, 2) ხელნაწერებში ასეთი სპეციალური, საგანგებო სახელწოდება არ მოიპოვება, 3) ისინი, ხელნაწერები, თითოეული მაოგანისათვის საკუთარ სახელწოდებას ხმარობენ,—ჩვენც მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ მათთვის განკუთვნილი სათაურით.

¹ ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი თეიმურაზს მიაწერს ერთ ნაწარმოებს, რომელსაც ეწოდება „შედარება ციებისა და მღვდლისა“ („Очерки“, III, გვ. 90), აღბათ იხილომ, რომ ის გივიშვილისა და ახატულაშვილის გამოცემაში (1876 წ.) მოთავსებულია „გაზაფხულისა და შემოდგომის შედარებასთან“ ერთად. არც ერთი ხელნაწერი ამ თხზულებას თეიმურაზისად არა სცნობს, ნამდვილად რომ ვთქვათ, არც არსებობს მისი ხელნაწერი. შეუძლებელია ის თეიმურაზს მიეწეროს: ჯერ ერთი, შეიძლება „შედარება“ გაზაფხულისა და შემოდგომის, თეიმურაზისა და რუსთაველის და სხვ., მაგრამ არა ციებისა და მღვდლისა. მეორე, ის უხუშო ლექსია, რომელშიაც არც რითმაა დატული, არც მარცვალთა უბრალო რაოდენობა, არც რაიმე პოეტური სურათი, თეიმურაზის შემოქმედებას არ ეგუება ოდნავდაც. მესამე, ასეთი სიტყვები და სახელი, როგორიცაა ნ ი ნ ა (ნილოს მაგიერ), ქ ი ნ ა ქ ი ნ ა, დ ო ქ ტ უ რ ი, იმისი მაჩვენებელია, რომ ავტორი, ვილაც ი ო ს ე ბ მღვდელი, რომელსაც ჰყოლია შეილი ს ვ ი მ ო ნ ი, არის მწერალი XIX საუკუნისა (გაგიფონია, ეს არის მღვდელი იოსებ კ ო შ ო რ ი ძ ე, რომელიც XIX ს. ნახევარში ცხოვრობდა). ამ შემთხვევაში იოსები ჰბაძეს საკმაოდ უხეშად ვილაც მ ა ნ ა ნ ა ს, რომელსაც შეუთხზავს „ციებასთან გაბასება“ (S 1511, გვ. 992—996). ეს მანანა, რომელსაც ამას გარდა დაუწერია ბარათვე რელიგიური, მონაწილი, პენიტენციალური გრძნობით აღსავსე „შაირნი“ (იქვე, გვ. 979—992), არის თანამედროვე ერკლე მეორისა, რომელსაც ის უძღვნიან. ამ შაირში სამტაეპოვან ჭებას, და მოწამე მისი გამარჯვებისა კარ-დაღმსტყულებზე (გვ. 987)

D. „სინძჳა სწავლისა“

ზემოთ, „გაზაფხულშემოდგომიანის“ განხილვისას, ჩვენ უკვე გვექონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს თხზულება დამთავრებული სახით წარმოგვიდგება პირველ 83 სტროფში; ამისი მომდევნო 26 სტროფი (84—108) მას არ უნდა ეკუთვნოდეს, ისინი გაუგებრობით არიან გადამწერთა მიერ ზოგიერთ ხელნაწერში გაერთიანებული „გაზაფხულშემოდგომიანთან“. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს, პირველ ყოვლისა, ის გარემოება, რომ ცნობილ ანთოლოგიაში (S 1512) ის მაჯამის ნაწილადაა გამოცხადებული, სამ ხელნაწერში (S 1103, S 342, H 1020) ისინი გაერთიანებული არიან, მართალია, დამოუკიდებელი სათაურით, „ვარდულებულიანთან“, სხვებში კი დევ „გაზაფხულშემოდგომიანთან“. ერთი სიტყვით, ხელნაწერთა ტრადიცია დიფინებით არ ამტკიცებს, რომ ეს 25 სტროფი „გაზაფხულშემოდგომიანის“ ნაწილია. მეორე, შინაარსის მიხედვით გაერთიანება მათი „გაზაფხულშემოდგომიანთან“ შეუძლებელია, ერთში თავიდან ბოლომდე ერთი ზოტივიჲ, მეორეში—მეორე, ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია ზერელედ გადავაელოთ თვალი ერთსაც და მეორესაც. ამავე მოსაზრებით არც „ვარდულებულიანსა“ და მაჯამისთან შეიძლება მათი გაერთიანება. ამიტომ ჩვენ გვგონია, სიმართლის შემკვეთი ტრადიცია დაუცავს იმ სამ ხელნაწერს, რომელთაც ეს სტროფები დამოუკიდებელ თხზულებად გამოუყვიათ, ორ მათგანს საგანგებო სათაურით: „სწავლა სიტყვისა, ლექსი კეთილი“ (S 342) ან „სიტყვა სწავლისა“ (H. 1020).

ამიტომ ჩვენც ამ 25 სტროფს ცალკე თხზულებად გამოვყოფთ და ვუწოდებთ, როგორც ხელნაწერშია, „სიტყვა სწავლისა“-ს.

ერთსტროფიანი შესავლის შემდეგ, რომელშიაც პოეტი აცხადებს, რომ „სიკედლისა სასმლითა არვის უშვებენ ულებსა“ ამ ქვეყანაზე, ის იწყებს ამქვეყნიური ცხოვრების წიხლევას, კიცხვასა და მღურვას. წუთისოფლის უარყოფითად შეფასებისათვის მას არგუმენტებს აძლევს ამ თხზულებაში როგორც მისი პირადი ცხოვრების უბედობა და უქულმართობა, ისე ზოგადი დაკვირვება.

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?
გლახ, ლახარი სასიკედინე ყველა მე მქარ, დასად აგე;
დამიკარგე ძე, ასული, ძმა, არ ვიცი და სად აგე?
სხვა ნაყოფი, მათებრ ტურფა, რა აშენე და სად აგე? (85).

მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა,
რად გინდოდი სასიკედინე შენ მალისე არ დარჩენა!
არ გმართებდა ეგზომ მეტად მტერობისა გამოჩენა,
თავიდაღმე სრულ ბოლომდი ჩემთვის ესრეთ შეგჩენა. (87)

სიკრუე ანუ სიკვადე სხვადა ვთქვა ერთი მისი და;
მუბთლობა არის თავითგან სულ მისი დასაწყისი. და,
ზეკად გასულსა ქვე დასცემს, რომ ძმაცა იყოს მისი, და,
ანახლად, მოულოდნელად ბნელად ქნას შენი დღისი და! (92).

ტახტი იმას არ ღირს იყოს, რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი, იგ ანახლად გარდმოაგდოს, ალარ იყოს მისი ჩრდილი, მისად ნაცვლად დაჯდეს ვინმე უშუერო და სულთ უნდილი, სკორემანცა დაიწუნოს ზედ საჯდომლად ამო ზრდილი. (94).

ან ადრე დაგვბოყს, უდროოდ, ახალსა, მოუწევარსა, ვარდა დაგვიტყნობს უფრტყვენელსა, შეგვიტყმს ბედისა მწყვეარსა, ვერ მოურჩებოთ მართ, ვითა კურდღელი მალსა მწვეარსა, ვხედეთ და არ გატყნებოთ იგ მისგან მოსაწევარსა. (96).

თუ გრძლად გვაყოცხლებს, ჩვენ გვიხამს საქმესა უარესებასა, რაც გვიყვარს, თვალწინ დაგვიბოყს, სულთაგან უყეთესებასა, ცეცხლსა მოგვიდებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოჭკრავს კვესებას, ჩვენ დაგვიმკვდრებს კირთა და სულთქმა, ეთება, კვენესება. (97).

ან სიკვდილს მოგვეცემს ანახლად, ან სიბერესა ძნელებსა, პირსა, მთვარულებ გავსილსა, არმურს დაგადებს ძნელებსა, ვერ უებრო მნათობსა, ვერ ექოს ბრძენთა ენებსა, ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქს მოსაწყენებსა. (99).

თვალთა დააკლებს ნათელსა, სოფლისა მაშენებელსა, წარბსა, მშვილდულებრ მოზრილსა, მიჯნურთა მახელებელსა, შავთა წამწამთა, ნარგისთა, მტვრეტელთა გულსა მხნებელსა, გაყარევიწებს, წაახდენს, მნახელთა ცეცხლის მდებელსა. (100).

პირსა დაუტყნობს მნათობსა, უთეთრეს ზამბახისასა, დაწიისა ფეროვნებასა, ვარდულებ გაშლილისასა, წაჭრის და მოსდრეკს ლერწამსა, ტან-სარო ალვის ხისასა, დაადუბტირებს ჯავარსა სანდომად უსულიასა. (101).

ბაგეთა მოშლის ეგეთსა, უკვდავებასა ღიმობდეს, კბილსა წაახდენს, მისთანა ვერც მარგალიტი ღირობდეს, თმას, ამბრის ფერსა კოკამდი, რომ გიშრის ტვერად იშრობდეს, გაუსუეტაკებს თოვლურებს, იგ ველარ ამბრად ძვირობდეს. (102).

ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან მოსალოდები, აწ ამშიგან ვითმც იქნას გული არ დასაკოდები? ერთ დღე ვიცინოთ, მით უნდა მრავალეა ვიყოთ მგოდები, ბოლოყამს ისეც სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები. (102).

სოფელი ასეთია, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ, ათაეებს პოეტი, რომ „მუნ არ დაგვეხმას კარები“. „ეგ ღმერთმან იცის“, შენიშნავს ის სწავლა-დარიგების ტონით, რომ „თქვენთვის ვსწერ საკეთოდ, არ თუ ზიანად“ (106).

E. „ღმძსნი სხვაგვარნი“

ასეთი სათაური აქვს ხელნაწერში 24-სტროფიან თხზულებას, რომელშიაც იგივე მოტივია გატარებული, როგორც წინათ განხილულში: სოფლის უკუღმართობა, მისი ვერაგობა, მუხანარობა და დაუნდობლობა¹.

¹ თეიმურაზ I, თხზ. სრული კრებული, გვ. 138 — 141.

უწყის უფალმან, სოფელი არაეის გაუთავდების,
პირველად ამოდ შეიტკობს, საყვარლად დაუამდების,
ალარ გაჰყვების, ბოლოს ეამ უმუხთლებს, გაუავდების.
მე მას ეგმობ, ვინცა მიენდოს, ანუ ვინმე დაუზავდების. (11).

სოფლის მყოფნო, სოფლის საქმე გასინჯეთ და გაიგონეთ:
ეს სოფელი მუხთალია, ნუ მიჰყვებით, შეიგონეთ! (13).

ნეტაი ყველამ იცოდეთ, სოფელი როგორ მქმნელია:
კაცსა მიინდობს ღალატად, მცბიერი, ვითა მელია;
ანასლად გარდუბრუნდების, მით გული გარდამელია,
„მას არეინ უნდა მიენდოს“,—ესე ნათქვამი ძველია. (18).

თავის პირად უბედობას პოეტი არც ამ ნაშრომში იეიწყებს:

სოფელმან თვისი სიმუხთლე ჩემზედა არა დალია,
მაკედინებელი წამალი მე მასეა, მან არ დალია,
ჯურღმულსა შიგან შთამაგდო, შიგან დამიხედა და ლია,
ტყავისა ნაცულად სუღარი მომცა, არ მიკლავს დალია. (16).

წინა თხზულებისაგან ეს ნაშრომი იმით განსხვავდება, რომ პოეტი ძალიან წინუხებულია თავისი ცოდების შეგნებით, ეზინია სულის წაწყმედისა და ამიტომ ღრმა ლირიულ სინანულში ვარდება. ამ მხრივ თხზულება ანდრია კრიტიელის სინანულის „დიდ კანონს“ მოგვაკონებს.

ორივე „სოფლის მღურვა“ დაწერილი უნდა იყოს თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე პერიოდში, იმერეთში ყოფნისას, 1649—1656 წლებში. ამ დროს მართლაც „დაკარგული“ იყო ძე მისი, ალექსანდრე იქნება ის თუ დათუნა, დაკარგული იყო მისი და ელენე¹ და აგრეთვე ასულიც—თინათინი, რომელიც, როგორც უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიიდან ჩანს, როსტომ მეფესთან შეთანხმებით, მას გაუგზავნია შაჰ-სეფი ყენისათვის ჰარამხანაში².

F. შაჯამა

ვიღრე ამ თხზულების განხილვას შევეუდგებოდეთ, სიქიროდ ვთვლით, ორიოდ სიტყვით მისი შედგენილობა გაეარკვიოთ. შაჯამა დაიბეჭდა „ცისკარში“ პირველად 1852 წელს, მეორედ 1853 წელს იმ სახით, რა სახითაც გამოსცა ის მერე ზ. კიკინაძემ (1886 წ.). ამ სახით წარმოდგენილია შაჯამა

¹ ამ ელენეს შესახებ იხ. კ. კეკელიძე. ქართველი ქალები შაჰ-აბაზ პირველის კარზე, თსუ შრომები, ტ. XXXIV, გვ. 374—375; მისივე, ეტიუდები, IV, გვ. 217—226.

² ს. კაკაბაძის გამოცემა, თბილისი, 1926 წ., გვ. 36. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 1639 წელს („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 122). ანტონ კათოლიკოსი „ქეთევან დედოფლის წამებაში“ ამ თინათინის შესახებ გადმოგვცემს: „ესე ქეშმარიტი ვუწყი, ვითარმედ წარიყვანა ქალი იგი შაჰმა და ჰყვა ცოლად და შემდგ მისცა ვალსა ლორისტანისასა, რომელიცა მგონივს ვითარმედ ახსოვდა იგი მცირედრე დედასა ჩემსა სიჭურვივს შინა მისსა მოხუცებული ფრიად“ („საქართველოს სამოთხე“, გვ. 592). თინათინის შესახებ იხ. კ. კეკელიძის ეტიუდები, IV, გვ. 223—224.

ორ ხელნაწერში. სხვადასხვა ხელნაწერში მას სხვადასხვა სახით ვხვდებით: 1) ზოგი მას უმატებს იმ სტროფებს, რომლებიც უკანასკნელ გამოცემაში დაბეჭდილია როგორც გაგრძელება „გაზაფხულისა და შექმნადგომის შედარებისა“ და რომლებიც შინაარსითა და ხასიათით მაჯამას მართლაც არ შეესაბამებიან; 2) ზოგი ცალკეა გამოყოფილი „ქება და მკობა მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტანდარეჯანისა“; 3) ზოგი უმატებს შვიდ სტროფს, რომელშიაც გვაქვს „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“:

ღვინო ვტყვოდა ბაგესა: სიტყვითა დავგბასო და,
ბადანშანისა ლალო და იაგუნდისა ფასო და,
ფერად შენ მჯობხარ, ამით მე ვის ჩემი თავი ვასო და,
გულსა, სევდითა სავესა, ზედ ლხინი დავამტანსო და.

ბაგემა უთხრა ღვინოსა: სიმზიარულეს იქებო,
მე სულად შეეშლი მჭერეტელთა, გულსა ვტყვიან: იქ ებო!
კაცის გულებსა დაეფერავ, თქვენც დაგაშენებ კიქებო,
ძოწსა, სადაფსა, აყიყსა, არღავანს გავაქიქებო.

აწ ღვინო ვტყვის ბაგესა: ტურფა ხარ მეტისმეტადო.
ვარდი გაყარეს ბულბულთა, შენზედა შეკრბეს ყფადო,
მე კაცს დავათრობ, ვამღერებ, ტვინს გაუჯდები კეფადო,
ვირებ არ უაუფეყრები, ჯერ იგრძნან, სმიღენ რეტადო.

ბაგემა უთხრა ღვინოსა: კაცის დათრობა იქადე,
„კაცსა ვამღერებ“, ამისთვის მე დაკარბება მიქადე;
მე კაცს სრულ მოვქლადე, საწყალო, ვით აღრე გატყდეს კიქა, დე,
ვერ გამოჩნდები ჩემთანა, სადაც მე ვიყო, იქ ადე!

ღვინომ თქვა: მგონი, ამ საქმეს ვერავინ დამიწუნებსა,
ვერცხლის თასზედა ყირმიზად გარდმოვსდიოდე სურებსა,
ესწუერთოდე თუ არ ესწუერთოდე, ყველანი მომიწუწურებსა,
მჭერეტელთა თვალთა და გულთა არარა უფრო უნებსა.

აწ ბაგე ვტყვის: მც ჰება უკეთ სთქვი, რალაც ღონია,
მაგითა ჩემი სწორება ტყვილადა მოგიგონია;
ვერცხლის თასზედა ყირმიზად ღვინო დგას, მოსახღონია,
აწ მე გიამბო ჩემი ზნე, ეს უფრო მოსაწონია.

თეთრს თასსა წითელი ღვინო დასტურად შეაბამებსა,
ქვეშ მარგალიტი, ზედ ლალი, სხვას რალას შეიდარებსა,
სანდომად რასმე, ღიმილით რომ გაალებდეს კარებსა,
მისსა მჭერეტელსა შეაქდენს, ხელსა ვით შეიგვანებსა?

4) სხვადასხვა ხელნაწერში სტროფები სხვადასხვანაირადაა გადასმულ-გადმოსმული; 5) ზოგიერთ ხელნაწერს აკლია თითო-ორი სტროფი, ზოგში კიდევ თითო-ორი სტროფი ზედმეტი გვაქვს. მაჯამის ნამდვილი შედგენილობა უნდა წარმოვიდგინოთ ისე, როგორც ის დაიბეჭდა უკანასკნელ გამოცემაში¹, თანახმად ჩვენი კვლევა-ძიებისა. თავდება მაჯამა შემდგენიარად:

¹ ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოცემა, გვ. 112—125.

არ მომეწყინა ლაყაბი ეს, უსარგებლო სულია,
სხვად არას მოსახმარისი, ოდენ ჩანს სიბრძნე გულისა;
ლექსი ჩემი სჯობს გვარადა, ტყბილად სასმენლი ყურისა,
მანც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულსა.

გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულები,
საწრაფოდ უბეს სადები, ან სარტყელს ჩასარტყმლები,
იახტანთანა სარონი, გვერტ თასი, ღვინო, კულები,
ყოვლის წიგნისა უმტროსი ჩანს მათი უფლისწულები.

რას წარმოადგენს მაჯამა? მაჯამა არაა აქ ნახმარი როგორც მხოლოდ ომონიმების შემცველი ნაწარმოები, ომონიმები თეიმურაზს სხვა შრომებშიაც ბლომად აქვს, მაგრამ მათთვის ასეთი სახელი არ უწოდებია. თეიმურაზი ასე ხსნის ამ სახელს:

ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებულნი,
მომინდა წერა ამისთვის—არ იქნას დაიწყებული (2).

საარსულად ჰქვიან მაჯამა, შეყრილად ითარგმანება,
წიგნები გამოკრებული იცერთად მოიხმარება. (3).

მაშასადამე, მაჯამა არის კრებული, გამოჩრჩეული, საგანგებოდ შერჩეული წიგნების ან ლექსებისა. როგორც სახელიდან, ისე შინაარსიდან ირკვევა, რომ მაჯამა არაა მთლიანი ნაწარმოები, არამედ კრებული რამდენიმე, მოკლე თუ გრძელი ხოტბის ან ოდისა, რომელშიაც პოეტი ამკობს სილამაზეს, მშვენიერებასა და კეკლუტობას. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ „ალექსანდრესა და ნესტან-დარეჯანის“ ხოტბა გვხვდება ხოლმე ცალკეც და ამ კრებულშიაც. სულ თეიმურაზის მაჯამაში უნდა გვექონდეს რვა ოდა ან ხოტბა, თითოეულ მათგანში პოეტი ჯერ ამკობს სილამაზესა და სიტურფეს და მერე, უკანასკნელ სტროფში, ანდა მის უკანასკნელ სტრიქონში, ხაზს უსვამს თავის საეპოქალურ ბედს. შესავლის შემდეგ, რომელიც სამი სტროფისაგან შედგება, იწყება პირველი ოდა—„მზე ცულ მაშვრალობს“, რომელიც ოთხ სტროფს შეიცავს; მერე იწყება: „შენთვის ხელმან გლაბ უშენოდ“ და 6 სტროფს შეიცავს; მესამე, ოთხი სტროფისაგან შემდგარი, იწყება: „მზე უნათლე ჰქმენ, ეტლსა ზი“; მეოთხე იწყება ასე: „სტურფა ხარ შეწინიერებით“ და შედგება 13 სტროფისაგან; მეხუთე შედგება ზემომოყვანილი 7 სტროფისაგან, რომელშიაც გვაქვს ღვინისა და ბაგის გაბაასება; მეექვსე იწყება სტროფით: „მზესა შესწრაფა მისგან შუქი“ და შეიცავს 7 სტროფს; მეშვიდე იწყება: „ეშურების ბაგე-ვარდი“ და 18 სტროფისაგან შედგება; მერევე ოდას შეადგენს „ქება ალექსანდრესი და ნესტან-დარეჯანისა“, რომელიც 31 სტროფისაგან შედგება. იწყება ის სტროფით: „რადგან არ ვცხრები ქებასა“, ხოლო თავდება: „მისგან მეტი ბრწყინვალება“.

ის საუცხოო პოეტური შედარებანი, მოხდენილი ეპითეტები და თვალწარმტაცი სურათები, რომელიც ჩვენ მაჯამაში გვაქვს, ის ანკარა წყაროსათვის მოჩუბჩუბე ლექსი, რომელიც უნაზესი პარამონით ატკობს ჩვენს სმენას,

ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშად ხდის ამ ნაწარმოებს და თამამად უყენებს გვერდში ჩვენს კლასიკოსებს, დაწერილია მაჯამა თეიმურაზის იმერეთში უოფნისას, 1649—1656 წლებში. თ. ჟორდანიას ამბობს, რომ „ქება ალექსანდრესი და ნესტან-დარეჯანისა“ დაწერილია სპარსეთში¹, მაგრამ ეს სიმაართლეს არ შეეფერება, ვინაიდან სპარსეთში თეიმურაზის პირველად უოფნისას ალექსანდრე მისი სიძე არ უოფილა, ხოლო მეორედ თეიმურაზი სპარსეთს წავიდა მაშინ, როდესაც ალექსანდრე გარდაიცვალა, 1660 წელს, ოდაში კი ის გულისხმობს ცოცხალ მეფეს და არა გარდაცვლილს.

თეიმურაზის პოეზიაში მეტად მძლავრად ისმის რელიგიური მოტივი. რომელი ნაწარმოებიც უნდა აიღოთ მისი, პროლოგსა და ეპილოგში ყველგან იპოვით ვრცელსა თუ მოკლე ტრაქტატს ლმერთის შესახებ, ანალიზს ცოდვებით დაზიანებული სულისას და შიშს: „ვაიმე, ცუდის ლაყბითა თუ სული დავაზიანო“, „ლმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყბსა, მიდმოღებასა!“ მისი ჩვეულებრივი სიტყვებია: „მიჯობდა, თუ სულისათვის სინანული დაჰეწერა“, „ჩემს ცოდვას ვითლა შევინდობ, ცრემლიც რომ შევქნა მე ლარაჲ“, „ჩემი ამ სოფლის სიცრუევე აქ მოვიხმარო მე ლარად“. სულს, მიმართავს ის მას, „მიჯობდა ეკლესიისა კარნი ნიადაგ ნოგეცა, ცრემლითა ველი მოგერწყო, ტანს მუდამ ძაძა ნოგეცა“; „შენ, ცოდვილო სულს ჩემო, სიკვდილს რად არ მოელოდი, ჯოჯობეთში ქვა დაგკრიბონ, არ დაგრიდონ, მოელოდი“. შეწუხებული და შეშფოთებული პოეტი აღიარებს:

შემაშთო სოფლის ბრუნვამა, ვამე რაღა ვქნა აწა მე?
განავდე შევა სოფლისა, თავი ღუთისათვის აწამე,
უფალსა შენსა მსახურე, გულითა მასცა აწ ამე.
მიგელის მძაფრი სასჯელი. მაშინ რაღა ვყო, აწ ა მე?

ერთ შემთხვევაში პოეტი მწარედ წამოიძახებს: „სულს, მოშორდი სოფელსა, მუდამ მას რად დაეზიო?“

პოეტის რელიგიური სულისკვეთების მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ის წერს სარწმუნოებრივი შინაარსის თხზულებებს („ქება სამებისა“, ანბანთქებანი), რომლებშიაც ქრისტიანული დოგმატებია წარმოდგენილი და განქიქებულია ისტორიულად ცნობილი სხვადასხვა მწველებლობა. ამასვე ამჟღავნებს აგრეთვე ისიც, რომ ის ბაზჯასმით აღიარებს სასულიერო მწერლობის პრიმატობას და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მისი დროის საზოგადოება ძალიან გულგრილად ეპყრობა საღმრთო წიგნებსა და სასულიერო თემატიკას². მისი იერემიადა, ამ შემთხვევაში უცილობლად გადაქარბებული, ეკლესიის ამბიონიდან მოქადაგე შამხილებელ სასულიერო პირს უფრო შეშვენის. და თუ მისი ლირიკა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ა. ბარამიძე,

¹ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 471.

² ამ შეგნებით წერს ის რელიგიური ხასიათის თხზულებებს („ქება სამების“ და „ანბანთქებანი“). ის ლექსის საშუალებით პოპულარიზაციას ეწევა ელენენტარული რელიგიური ცოდნისას.

„უღარესობამდე უშუალოა, გულწრფელი და დამაჯერებელი“¹, ჩვენ არ გვაქვს არავითარი საბუთი არ დავუჯეროთ პოეტს, მის პენიტენციულურ, სინანულის ჰიმნებს, არ დავუჯეროთ არა მარტო სიტყვას, არამედ საქმესაც— ჩოხისა და მაზარის ჩაცმას (ბერად აღიკვეცას)—და ყველაფერი ეს მოჩვენებად და თვალთმაქცობად მივიღოთ. სარწმუნოებრივი გრძნობის სიღრმითა და უშუალოებით თეიმურაზს დავით გურამიშვილი თუ შეედრება აღორძინების პერიოდის მწერლობაში.

სარწმუნოებრივ გრძნობასთან ერთად თეიმურაზის პოეზიაში აჩანაკლები სიმძლავრით თავი უჩენია აგრეთვე პესიმისტურ მოტივსაც. ეს ქვეყნა, ცხოვრება, წუთისოფელი, მისი რწმენით, მუხთალია, ვერაგი, გაუტანელი, დაუნდობელი, შეუბრალებელი, ხრწნადი და წარმავალი. ეს მოტივი ისმის თითქმის თითოეულ მის სტროფში, განსაკუთრებით კი „სოფლის მღურვის“ იმ ორ ნიმუშში, რომლიდანაც შესაფერისი ადგილები ზემოთ ამოვწერეთ.

თეიმურაზის პესიმიზმის მიზეზი, პირველ ყოვლისა, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა. დაცემა და დაქვეითება თანამედროვე საზოგადოებისა, განსაკუთრებით კი მისი მესვეური ფეოდალური კლასისა, უბედობა მისი პოლიტიკური მოღვაწეობისა, რომელიც შეიძლება ითქვას, კატასტროფით დამთავრდა,—აი რა ჰქვებადა უმთავრესად მის პესიმიზმს. მაგრამ ამას თან ერთოდა მისი პირადი ცხოვრების უბედობა და დაუქმყოფილებლობა. სოფელმა მას „წაართვა სიცოცხლე, სული და თვალთაჩნა“, „მოაძულა თვისთა ტომთა“, „სამსალა ასვა“ მას, „გული დაუკოდა“. სასოწარკვეთილი, ის წამოიძახებდა:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე,
გლახ. ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე;
დამიკარგე ძე, ასული, ძმა, არ ვიცი, და სად აგე!

რა ქნას პოეტმა ასეთ მდგომარეობაში, სად ეძებოს მან და მისმა თანამოაზრემ გამოსავალი? „ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს, სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილადო“,—აცხადებს ის. მაშასადამე, პოეტი სიკვდილში ეძებს ხსნას. „ნეტამც ვინჲ სიკვდილს შიმცა“, ამბობს ის, ოღონდ „მოვკვდე, მიწაც აღარ მინდა, ჩემზედ მხეცნი მოაწვიეო!“

მაგრამ ეს სიტყვაა, სიკვდილი ჯერჯერობით თავისით არ მოდის, ძალად ხომ ღრმად მორწმუნე ქრისტიანი თავს ვერ მოიკლავს! ამას გრძნობს პოეტი და სხვა გზებს ეძებს არასასიამოვნო წუთისოფლიდან გასასვლელად. მისთვის არის კიდევ გზა ასკეტური განზოგებისა ამ წუთისოფლისაგან, ამ გზისაკენაც მოუწოდებს პოეტი: „შენ, ცოდვილო სულო ჩემო, განაგდე შეება სოფლისა!“! „სულო, მოშორდი სოფელსა, მუდამ რას დაებია?“ ის, პოეტი, მართლაც, „მოშორდა“ მას, განუდგა სოფელს, როდესაც ჩოხითა და მაზარით შეიმოსა და ბერად აღიკვეცა, მაგრამ ამას ხომ ყველა ადამიანი ვერ იზამს. მაშ რა ქნას ჩვეულებრივმა ადამიანმა, როგორ მოიქცეს ის?

¹ „ნარკვევები“, II, 83-143.

პოეტს დარჩენია კიდევ ერთი გზა, ეს არის ჰელონიკა და ეროტიკა: ვანცხრომა, ლხინი, ნადირობა-ნადიმობა, განსაკუთრებით ლეინო, ერთი მხრით, და ტრფიალება, სიყვარული, ლალისფერი ბაგენი, მეორე მხრით. „ლეილ-მაჯუნნიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“, მაჯამა, განსაკუთრებით მისი „ლეინისა და ბაგის გაბაასება“, აი რაში უნდა მას ჩაახშოს მღელვარე, დაუქმყოფილებელი სული! ტყუილად კი არ შენიშნავს ხოლმე პოეტი, რომ ასეთ რამეებს ის „გასაძლებლად“, „სევდის გასათხლებლად“, „უსაქმოს, მოწყენილის“ გასართობად და „სალალოოდ“ წერს და ამბობს. ჰელონიკა და ეროტიკა ეს ხელოვნური სიკვდილია, ლეინოსა და სიყვარულში ლამობს ის დაივიწყოს თავისი „მე“, განეშოროს ამ სინამდვილეს, წავიდეს მისგან. ჩვენი აზრით, აქ უნდა ვეძებოთ ახსნა იმ საიდუმლოებისა, რომ პოეტი, რომელიც შეგნებულად უპირატესობას სასულიერო მწერლობას ანიჭებს, რომელიც საერო პოეზიას ლაყბობად, გოგო-ბიჭობად და შეუფერებელ საქმედ თვლის, თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით ამ საერო პოეზიას ემსახურება. ამ საერო, ლეინისა და სიყვარულის, პოეზიას ის მიმართავს როგორც დამაძინებელ ბანგს, რომელმაც მას ეს მწარე სინამდვილე უნდა დაავიწყოს და რამდენადმე მაინც იდეალურ ფორმებში წარმოუდგინოს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასკეტური „მოშორება“ სოფლისაგან, პოეტის შეგნებით, არ უნდა იყოს წმინდა ანაქორეტული, ის ზომიერი უნდა იყოს იმდენად, რომ სული „დაბმული“ არ აღმოჩნდეს:

ყველა სწუნობდეს სოფელსა არ გასაძრახად სულითა,
არ ვიტყვი: სრულად გაუშვით, ნუ გიყვართ სულწასულითა.

ამას არ ვიტყვი: არ გვენდეს სოფლისა ნივთიერები,
ესრედ ვიხმართ კეთილად ბოლოს არ გასამწარები.

თეიმურაზი თითქმის სამოცი წლის განმავლობაში ებრძოდა სპარსეთს და მის აგრესიულ ზრახვებს. რამდენადაც ის სპარსეთის შეურიგებელი მტერი იყო პოლიტიკაში, იმდენად ლოიალურად იყო განწყობილი სპარსული პოეზიისადმი. ამას ის ერთგვარ გასამართლებელ საბუთსაც უძებნის. „მართებს კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს“, — ამბობს ის („ვარდბულბ.“, 2). ეს ის პოეტი იყო, რომელსაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „სპარსთა ენისა სიტკბომან ასურვა მუსიკობანი“ და რომელიც ამბობდა:

რაც გამეგონა სპარსთაგან წიგნები ლაყაბიანი,
ამბავი ანუ შაირი სალალობთ და წყლიანი,
ლექსი ლექსად ვთქვი, ამბავი არცა ყოლ დავაგვიანი.

მის შემოქმედებაში ჩვენ გვესმის სპარსული პოეზიის მძლავრი გამოძახილი, მაგრამ ქართველი პოეტის საქმიანობაში სპარსულ ელემენტებს სძლია ეროვნულმა და ქრისტიანულმა შეგნებამ; ეს შეგნება ჩანს არა მარტო წმინდა რელიგიური შინაარსის ნაწარმოებებში, არამედ საერო ხასიათისაშიც, გადმოკეთებულებშიც კი.

როგორც დავინახეთ, მას სპარსულიდან გადმოუქვთებია ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „ლეილმაჯნუნიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ვარდბულბულიანი“ და „შამიფარვანიანი“. საყურადღებოა, რომ ყველა ამ ნაწარმოებში თეიმურაზი გვევლინება როგორც ქართველი, ქართული ეროვნული და სარწმუნოებრივი შეგნებითა და ინტერესებით, იქამდის, რომ ის არ ერიდება პირდაპირ განაცხადოს: „ქრისტეს მონა ვარ, მითა მძულს მეჩიტი, მინარანია“¹. მის მიერ გადმოკეთებულ-გალექსილი ამბების შესახებ ის ამბობს:

არც ჩემი საქმით ნათქვამი, არც გულთა მქონდა ღებანი,
სპარსთ უთქვამთ აზიგ-მაზიყად, მათგან არს მოგონებანი.

ის ამ ამბებს მედიდურად დაჰყურებს, ერთგვარი გაცილებისა და დაცინვის კილოთი ლაპარაკობს მათ შესახებ, ის მათ თელის ტყუილ, ცუდ და სულის დამზიანებელ ლაუბობად, გოგო-ბიჭობად, უქმ, არანაყოფიან სიტყვად, ზღაპრულ და გასაკიცხ თქმულებად, რომლისათვის, ის დარწმუნებულია, არაფერ ეტყვის მას ქებას („შამიფარვ.“, 17). ის გაკვირვებულია, როგორ სჯერათ მათ, სპარსელებს, ასეთი ამბები, „მით არიან კქუა-ნაკლულნიო“ („ლეილმაჯნ.“, 132). თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ ამბებისადმი პოეტი განსაკუთრებული სიმწვავეთ ამტკიცებს იმ შენიშვნაში, რომელსაც მაჰმადიანთა სამოთხის აღწერილობას უკეთებს:

ეს არის მათი სამოთხე, მაჰმად ამგვარად უწესა:
ქალნი და ვაჟნი ტურფანი მუნ მყოფთა გვერდსა უწესა,
მთქმელსა და დამუჯრებელსა ამა ამბისა—ფუ წვერსა¹.

(„ლეილმაჯნ.“, 261).

თეიმურაზის შემოქმედებაში იღებს საწყისს აღორძინების ხანის მწერლობის იმ ახალი მოვლენების უმეტესი ნაწილი, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი (გვ. 316—319).

თეიმურაზი პირველი პოეტია, რომელმაც ამ ხანაში ნაციონალური თემატის დამუშავებას მოჰკიდა ხელი. მართალია, ნაციონალური თემატის წამყვანი არაა მის შემოქმედებაში, მაგრამ მისმა „ქეთიფანიანიმა“ მაინც დასაწყისი მისცა და გზა გაუკაფა მომდევნო თაობას.

უფრო დიდი თეიმურაზის დამსახურება ლიტერატურული ენარის თვალსაზრისით. აი რა მოგვცა მან ახალი ამ მიმართებით:

1. გაბაძახება ან გაბჭობა, დილოგური ფორმა („ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“, „გზაფხულშემოდგომიანი“), რომლის მკრთალი ნიმუშები თეიმურაზამდევ გვხვდება ჩვენ. ეს ენარი დაკანონდა ჩვენში და გამოყენებულ იქნა შემდეგი დროის მწერლების მიერ, როგორც არიან არჩილ მეფე, თეიმურაზ მეორე, დავით გურამიშვილი და სხვ. ეს ენარი ცნობილია სპარსულ ლიტერატურაშიც, სადაც მეთერთმეტე საუკუნიდან, პოეტ ასად

¹ კ. ბოქელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარქული ძველ-ქართულ ლიტერატურაში, 1949 წ., გვ. 26—27; მისივე იტყულები, IV, გვ. 129—130.

ტუსელის მეოხებით, გავრცელდა ე. წ. „მუნაზარე“, რაც იგივე გაბაასება, ცილობა, კამათია. ის ცნობილი იყო აგრეთვე ევროპაშიც, განსაკუთრებით პროვანსის ტრუვერთა შორის¹.

2. ანბანთქება. ეს თანრი იმდენად პოპულარული შეიქნა ქართულ მწერლობაში თეიმურაზის შემდეგ, რომ ვერ ნახავთ ვერც ერთ მწერალს, პროფესიონალურს თუ მოყვარულს, რომელიც არ ვარჯიშობდეს ამ დარგში. თეიმურაზის ანბანთქება ორი ტიპისაა: 1) პირველი სტროფის ყველა ტაეპი იწყება ა-ნით, მეორესი—ბ-ანით, მესამესი—გ-ანით და ასე ბოლომდე; 2) ანო ალეისა, ბანო ბოლო, განო გარევით ნაყოფად ესხეს“.

3. მაჯაშა, არა ომონიმური რითმების გაგებით, რაც წინა დროის მწერლობაშიაც გვაქვს, არამედ როგორც მოკლე ლექსებისა თუ ომონიმური სტროფების „კრებული“. თვით თეიმურაზი ასე განმარტავს ამ ტერმინს:

სასრულად ჰქვიან მაჯაშა, შეყრილად ითარგმანება,
წიგნები გამოკრებული, იგ ყრთად მოიხმარება.

ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული,
მომინდა წერა ამისთვის—არ იქნას დავიწყებული.

(მაჯაშა, 3, 2).

ამ სფეროშიც თეიმურაზს გამოუჩნდნენ ისეთი მიმდევრები, როგორიც არიან არჩილი და ვახტანგ შეექვსე.

4. სიასტორიო ეპოსი. ეს ლიტერატურული თანრი დაკავშირებულია ნაციონალურ თემატიკასთან, რომლის დამუშავება, თეიმურაზის შემდეგ, მიზნად დაისახეს მთელმა რიგმა პოეტებმა, მნიშვნელოვანმა თუ უმნიშვნელომ.

5. მღურვა სოფლისა არა როგორც გაკვრით გამოთქმული მოტივი, რომელიც ჩვენი ცხოვრების პირობების მიხედვით, განუყრელი თანამგზავრია თითქმის მთელი ჩვენი ძველი მწერლობისა, არამედ როგორც მთლიანი, დამოუკიდებელი თხზულება, ისეთი, როგორიცაა თეიმურაზის უკვე ზემოთ ნაჩვენები ორი ნაწარმოები. ამ მიმართულებით თეიმურაზს გამოუჩნდნენ ისეთი მნიშვნელოვანი მიმდევრები, როგორიც არიან არჩილ მეფე და დავით გურამიშვილი.

6. წვრილი ლექსი. თუ წინა დროის მწერლობა ფართო ტილოებით იყო გატაცებული და დიდი მოცულობის თხზულებებს შესტროფოდა, თეიმურაზმა პატარა, წვრილი ლექსებიც დაგვიტოვა. ასეთებია: „გრემის სასახლეზე“, „თამარის სახე“, ანბანთქება—„ანო ალეისა“; ასეთია არსებითად მაჯაშის მოკლე ლექსები.

¹ E. Э. Бертельс, Очерки по истории персидской литературы, გვ. 33. ამ თანრის ჩანასახი ქართულ მწერლობაში ჩვენ გვაქვს XVI საუკუნის დამდეგს რუსთაველის, სტრაპიონისა და ბაგრატის გაბაასებაში („შაჰნამე“ თარგმანში). უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი ფაქტით, ის, შეიძლება, უფრო ადრეც იქნას ნაგარაუდები (H. Марр, Возникновение и расцвет..., ЖМНП, 1899, XII).

თეიმურაზი რუსთაველის სკოლის მიმდევარია პოეზიაში. წერს ის 16-მარცვლიანი რუსთველური შაირით, მხოლოდ ერთ შემთხვევაში („შვილთა კრებათათვის“) მიმართავს ჩაზრუხულს. ზოგიერთ შემთხვევაში მისი ლექსი მოიკოვლებს, საერთოდ კი ის პირდაპირ ვირტუოზულია, განსაკუთრებით „მაჯამაში“.

თეიმურაზი მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული პოეზიის ჰორიზონტზე. იმდენად დიდია მისი სახელი, როგორც პოეტისა, რომ იშვიათია ალორძინების ხანის ისეთი მელექსე, რომელიც, რუსთაველის სახელთან ერთად, მის სახელსაც არ ახსენებდეს. ამ ხანაში ჩვეულებრივი ყოფილა ცილობა და კამათი იმის შესახებ, თუ ვინ ვისა სჯობს, როგორც პოეტი: რუსთაველი თეიმურაზს, თუ თეიმურაზი რუსთაველს? ყოფილან ისეთებიც, წარმოიდგინეთ, რომელნიც უპირატესობას თეიმურაზს ანიჭებდნენ. ყოველ შემთხვევაში, არჩილ მეფე გულწრფელად აღიარებს:

ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ამ ორსა,
რუთველსა, ენა-რიტორსა, მეფეს—აღვისა ნამორსა.¹

თეიმურაზი თვითონ კანდიერად აყენებდა თავის თავს რუსთაველის გვერდით და მოურიდებლად ამბობდა:

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,
მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა!²

2. არჩილ მეფე

არჩილი იყო უფროსი შვილი ვახტანგ მეხუთის შაჰნავაზისა და მისი პირველი მეუღლის როდაშის, ყაფლან ბარათაშვილის ასულისა. დაბადებულია ის 1647 წელს, როგორც ეს ჩანს ერთი მინაწერისა³ და არჩილისავე სიტყვებიდან: 1681 წელს, როდესაც „თეიმურაზიანის“ წერა დავიწყე, 34 წლისა ვიყავი, ხოლო 1684 წელს, „სოფლისა და კაცის გაბაასების“ დასრულებისას, 37-საო⁴. მშობლებმა არჩილს მისცეს ფართო და ყოველმხრივი განათლება: საეკლესიო-სასულიერო და საერო. კერძოდ, ზედმიწევნით იცოდა მან ქართული ლიტერატურა, სასულიერო და საერო. ამას ამტკიცებს მისი ნაწერების თითქმის ყოველი გვერდი. ბუნებამ ის უხვად დააჯილდოვა ქუთაგონებით, ენამახვილობით, ახოვნებითა და ფიზიკური მოხდენილობით. 1661 წელს 14 წლის არჩილი მამამ გაამეფა იმერეთში⁵ და გადაწყვიტა შეერთო მისთვის ვამეყ დადიანის ქალი, მაგრამ ვამეყმა მამა-შვილს პირი უტება, რა-

¹ „არჩილიანი“, ტ. II, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, სტრ. 37.

² „მაჯამის“ ბოლოსიტყვაობა, სტროფი 1.

³ თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 460.

⁴ „არჩილიანი“, I, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, სტრ.

357. არჩილიანიოთ“ სარგებლობისას მხედველობაში ყველგან ეს გამოცემა გვაქვს.

⁵ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 52, 103; თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 479.

მაც ომიც კი გამოიწვია შაჰნავაზსა და მას შორის. 1663 წელს არჩილი იძულებული შეიქნა იმერეთი დაეტოვებინა და სპარსეთს წასულიყო შაჰ-აბას მეორესთან, რომელმაც მას მაჰმადიანობა მიალეგინა შაჰნაზარხანის სახელით, კახეთის ტახტი მისცა და 1664 წელს უკანვე დააბრუნა¹. კახეთს ის განაგებდა 12 წელიწადს, 1663—1675 წლებში, და ამ დროს, 1667 წელს, შეირთო იმერთა მეფის, ბაგრატ ბრმის, ნაცოლარი, თეიმურაზის შვილის დავითის ქალი, ქეთევანი, რომელიც ახალციხის ფაშასთან იმყოფებოდა². 1675 წელს არჩილმა, მამის სურვილის წინააღმდეგ, დასტოვა კახეთის ტახტი და წავიდა ახალციხის ფაშასთან, რათა ოსმალთა დახმარებით, ისევ ასულიყო იმერეთის ტახტზე. 1678 წელს, სექტემბერში, მართლაც მიიღწია თავის მიზანს, მაგრამ 1679 წლის ივნისში იძულებული შეიქნა ტახტი დაეტოვებინა, რის შემდეგ ცოლ-შვილი დვალეთს გაგზავნა, თვითონ კი რვა თვის განმავლობაში ჩხერს იმყოფებოდა. 1681 წელს გადავიდა დვალეთს, იქიდან ოსეთს— ფაიქომში, ფაიქომიდან ასტრახანს, სადაც სამი წელიწადი (1682. წ. სექტემბერი—1685 წ. შემოდგომა) დარჩა, აქედან გაემგზავრა მოსკოვს³, რუსეთის დახმარებით თავისი საქმეების გამოსასწორებლად. რუსეთიდან დაბრუნდა 1688 წელს⁴ და დიდი ცდის შემდეგ, 1690 წელს, დაიბრუნა იმერეთის ტახტი, თუმცა 1691 წელს იძულებული შეიქნა კვლავ მიეტოვებინა ის და წასულიყო რაქას, საიდანაც რუსეთს უნდა გამგზავრებულიყო. რადგანაც მთიულებმა მას გზა არ მისცეს, უკანვე დაბრუნდა ქართლს⁵, საიდანაც 1695 წელს ხელთ იგდო იმერეთი, თუმცა ერთი წლის შემდეგ, 1696 წელს, გაძევებულ იქნა და დვალეთს შეეხიზნა⁶. 1698 წელს კიდევ მოახერხა იმერეთის ტახტზე ასვლა, მაგრამ ეს უკანასკნელი იყო, იმავე წელს ის კვლავ გააძევეს, ამიტომ გადავიდა დვალეთს და იქიდან, 1699 წლის გასულს, მოსკოვს⁷, საიდანაც ის სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. პოლიტიკურად იმედგაცრუებული, ის დასახლდა მოსკოვის მახლობლად სოფ. ვსესვიატსკოვს, ან ქართული გამოთქმით, სეენცკაში, და ხელი მოჰკიდა კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას. მან საფუძველი ჩაუყარა იქ ქართულ სტამბას და მოსკოვის სახაზინო სტამბაში 1705 წელს დააბეჭდვინა „დავითნი“⁸. არჩილმა პირველმა დაიწყო მზადება ქართული ბიბლიის დასაბეჭდად, ამისთვის შეაგროვა მისი სხვადასხვა ნუსხა, შეუდარა ისინი სლავურ ტექსტს, საიდანაც გადმოთარგმნა ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები, რომელნიც ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა. ამ შრომით

¹ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 52, 126; თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 480.

² „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 54, 127; თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 484.

³ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 55, 128, 207, 208; თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 490, 495, 498.

⁴ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 212; ქრონიკები, II, გვ. 507.

⁵ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 213, 214, 215; ქრონიკები, II, გვ. 511, 512.

⁶ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 216.

⁷ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 217; ქრონიკები, II, გვ. 517.

⁸ ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ქართული ზრიფტი ამსტერდამში, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, III, გვ. 19—38.

ისარგებლეს მერე 1742 წლის ბიბლიის გამომცემლებმა, ბაქარმა და ვახუშტიმ. აქვე უთარგმნია მას რუსულიდან პეტრე მოვილას „აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ წმიდისა კათოლიკე და სამოციქულოჲსა ეკლესიისაჲ“, რომელიც წარმოადგენს ჩვეულებრივი ტიპის კატეხიზმოს, სამი ნაწილისაგან შემდგარს¹. არჩილსავე ეკუთვნის ხრონოლოგია. ეს არის ვრცელი ისტორია, საეკლესიო და სამოქალაქო, ქვეყნის გაჩენიდან ფლორენციის კრებამდე². ამ შრომის პირველი ნაწილი, თეოდოსი მცირის მეფობის დასრულებამდე, ბერძნულიდან უთარგმნია მღვდელმონაზონ ბაგრატ სოლოლაშვილს, ათონის ივერიის მონასტრის მოღვაწეს, რომელიც საქართველოდან მოსკოვს გაჰყოლია არჩილს, ხოლო მოსკოვიდან ის გაუგზავნია მას სტოკჰოლმში, სადაც ტყვედ იმყოფებოდა არჩილის შვილი, ალექსანდრე, ნარვის ბრძოლის შემდეგ შეედებთან. ამ შრომის მეორე ნაწილი, მარკიანესა და პულქერიას მეფობიდან, უთარგმნია რუსულიდან, სხეების დახმარებით, თვით არჩილს³. არჩილს, თუ მას დაუუგერებთ, 1703 წელს დაუწერია აგრეთვე თითქოს რაღაც „ლექსიკონი“⁴, რომლის კვალი დღეს არ ჩანს. გარდაიცვალა არჩილი 1713 წელს, 15 აპრილს, და დასაფლავებულ იქნა დონის მონასტერში. 12 წლის შემდეგ ეს საფლავი ინახულა მოსკოვს ჩასულმა ვახტანგ მეექვსის მეუღლემ რუსულანმა და არჩილის ქალთან, დარეჯანთან, ერთად ცხარე ცრემლებით დაიტირა ის (პოემა „ვახტანგიანი“).

ასეთია მოკლედ ცხოვრება და თავგადასავალი ამ შესანიშნავი ადამიანისა, რომლის მოწოდებას იმდენად მეფობა არ შეადგენდა, რამდენად მწერლობა. მის ნაწერთა კრებული, რომელსაც „არჩილიანი“ ეწოდება, შეუდგენიათ ჯერ კიდევ არჩილის სიცოცხლეშივე, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. იმაში მოთავსებულია მხოლოდ არჩილის საერო ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოებნი. ცნობილია „არჩილიანის“ ორი ამგვარი ნუსხა. ერთი დაუმზადებია მეფის მდივანს გივი ზურაბის ძე თუმანიშვილს 1701—1703 წლებში⁵, ხოლო მეორე ეკუთვნის მონაზონ დავით ან დავით თურქისტანიშვილს, რომელმაც შამხალი განხსნა სენისაგან და მერე ყირიმის ხანთანაც იყო გაგზავნილი⁶. ამ ნუსხის ნაწილი⁷, რომელიც გადმოღებულია პირველისაგან, გადაწერილი ყოფილა 1705 წლის 1 მაისიდან 25 აგვისტომდე, ხოლო ნაწილი 1706 წელს. ამ ნუსხის პირი, მეცხრამეტე საუკუნის

¹ ხელნაწერები: A 239, A 529, A 586.

² ეს ხომ არ არის ხრონოლოგიური დოროთეოს მონემბასიგისა, რომელიც მოყვანილია 1629 წლამდე (Krumbacher, s. 401) და რუსულად უთარგმნიათ (1656—1665 წწ.) მღვდელმონაზონ არსენ ბერძენსა და არქიმანდრიტ დიონისე ბერძენს (უკანასკნელი გამოცემა ბერძნული ტექსტისა 1680 წ.).

³ II 166, 294, 1198, 1358, 1671. А. Цагарели, Сведения, III, гл. 178.

⁴ „არჩილიანი“, ტ. 1, გვ. 90, სტროფი 65.

⁵ S 424. აღწერილობა მისი იხ. Е. Такашвили, Описание; II, гл. 133—163, მხოლოდ აქ შეტყობით ის აღწერილია 426 ნომრის ქვეშ.

⁶ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 58, 211.

⁷ მოთავსებულია ლენინგრადში სსრკ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (№ 22).

დამდევისა, რომელიც წინათ პეტერბურგის საჯარო წიგნსაცავში ინახებოდა (№ 653), დღეს დაბრუნებულია სამშობლოში და ინახება საქართველოს მუზეუმში¹.

არჩილის ლიტერატურული შემოქმედება მრავალფეროვანი ყოფილა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მისი საერო ხასიათის ნათარგმნი თხზულებანი („აღექსანდრიანი“, „ვისრამიანი“ ვალექსილი) და ორიგინალური საისტორიო პოემა „თეიმურაზიანი“. ახლა შევეხებით მის ლირიკულ ნაწარმოებთ.

არჩილის ლირიკაში კარბად გვაქვს დიდაქტიკურ-მორალური ელემენტი. დიდაქტიკურ-მორალურ ლირიკას ეკუთვნის:

A. გაზაასება კაცისა და სოფლისა

ამ თხზულების² დაწერა გამოუწვევია ერთ ლექსს, რომელიც ასტრახანში „უთქვამს სოფელზედ“ ვინმე დავით მამუკას ძე ჯაფარიძეს. აი ეს ლექსი:

თქვეს: ჩარბი სოფლის სიმუხთლის სამუდმოდ არის მბრუნავი,
 ლბინს მოგვემს, კირი გვერთს ახლავს, ხან შეება, ხან საკმუნავი,
 ნურვინ სდევ. ვერვინ მისწდები, ცხენი გყავს ანუ თუ ნავი,
 თქმულა, რომ არვინ დარჩება ბოლომდინ მოუმდურავი.

ამ სტროფში გამოთქმული აზრი არჩილს აუღია თემად თავისი თხზულებისა, რომლისათვის მას წაუმძღვარებია ოთხსტროფიანი წინასიტყვაობა. ამ წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ სოფელი „ვის ავი უყო ან კარგი, არც ერთმან არ გაიტანეს“, „თუ გაამებს, გაუტინებ, გაწყენინოს—სულთქვამ, ახაე“, „სოფელს კაცი, კაცს სოფელი მუდამ ზრახვენ სიმუხთლესა“, ამიტომ, მოდი, ჯერ ვაუბნოთ ისინი ერთმანეთს და „მერმე გავებოთ სამართლითაო“. ამის შემდეგ, მართლაც, იწყება მათი ბაასი: ჯერ ლაპარაკობს კაცი ან ადამი, მერე მას პასუხს აძლევს სოფელი. თხზულებაში სულ 33 სიტყვა-პასუხია. კაცი უჩივის სოფელს, რომ ის ნუხთალი, ცრუ, უნდო, წარმავალია, რომ მისგან კაცს შერი სიმწარე ხვდება, ვიდრე სიტკობა და ბედნიერება. სოფელი შენიშნავს, რომ ამაში ზევით კაცია დამნაშავე, რადგანაც ის სოფლის ბატონ-პატრონად იყო დადგენილი, მაგრამ გარდაჰხდა ღვთის მცნებას და ყოველივე დაკარგა. კაცი შენიშნავს: ამაში შენ ხარ დამნაშავე, მე შევეცი იმ ხილით, რომელიც შენ წარმოშვი და შენვე მიეც ეშმაკსა და გველს ჩემს გასაუბედურებლად. მე რომ მცოდნოდა შენი ვერაგობა, ხომ არ შევეცდებოდიო. სოფელი უპასუხებს: შენ დავეცი არა იმიტ, რომ ხილი სკამე, არამედ იმიტ, რომ ვერ მოიხმარე ღვთისაგან მოცემული გონება და თავისუფალი ნება, რომელიც გადახარე არა ღვთის, არამედ მაცდურის სიტყვებისაქნო. ყოველ შემთხვევაში, თუ წინათ კიდევ შეგეძლო თავის მართლება უცოდინარობითა და უძღურებით, ქრისტეს მოსვლის შემდეგ გასამართლებელი სიტყვა აღარ უნდა გქონდეს, ვინაიდან მან აღიქვა შენი მანკიერება, გააძლიერა, ავიხილა თვალი ავსა და კარგზე, მაგრამ შენ, ჩემთვის ბატონად

¹ H 2116.

² „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 17—62.

შექმნილი, მაინც განაგრძობ ჩემს მონობაში ყოფნასო. მე რა ვქნაო, უპასუხებს კაცი, შენი ბრალია, შენ მაცდუნებ, „თუ მდიდარ მყოფ, კიდევ უფრო დიდებასა მომანდომებო“, რაგინდ ბევრი მქონდეს და ბედნიერი ვიყო, მაინც მეტი მინდაო. მე არ დამიმაღლავსო, უპასუხებს სოფელი, რომ „ყოველი ჩემეული მოკლეა და განხრწნაღია“, შენ გონება გაქვს და უნდა გაერკვიო— ღირს თუ არა ჩემდამი დამონებაო.

მერე კაცი უჩივის სოფელს: უსამართლო ხარ, უწყალო, „ვით მულახელი სვანია“, ზოგს იმდენს მისცემ, რომ მოხმარება არ შეუძლია, ზოგს კიდევ შიმშილითა ჰკლავ. როგორ შემიძლია გულდამშვიდებით ვუყურო, როდესაც ჩემს ამხანაგს ყელში ამოსდის ყველაფერი და მე შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალნი ვკვდები? ის, რაც მდიდარს აქვს, ეუბნება სოფელი, მიცემული აქვს იმისათვის, რომ დაეხმაროს მათ, ვისაც არაფერი აქვს, თუ ასე არ იქცევა, მასაც არ შერჩება სიმდიდრე. შენ კი, რომელსაც არაფერი გაქვს, შური არას გარგებს, „შენც მას სთხოვე, ვინც მას მისცა, ეს სჯობს სხვის წაჰიდებასა“. თან გახსოვდეს, რომ დადგება დღე, როდესაც მე დაეიწვები ჩემი ნივთითა და ცეცხლი მომედება აღისა, მაშინ ყველანი გათანასწორდებიო. შენ მთხოვე, ეუბნება კაცი სოფელს, რადგანაც „ტრუ ვარ და არ შეგრჩები“, ყველაფერი სხვას მიეცო, როგორ შემიძლია ესა ვქნა?

რაცა მაქვს, ერთპირ გავფანტო სალარო, ჩემი ქონება,
მე ვინდა მომცემს, პატრონო, ამას წაავლე გონება. (218).

რა ვქნა, სოფელო, შეილები მყავს, მიყვარს, მებრალებისა,
მინდა დაუგდო მრავალი სალარო საუნჯებისა,
მე ძლივ შევკრიბე, დაობლდენ, ამით სად ეშოვებისა?
მოვკვდე, ეს მინდა, მით მიყონ წესები რამ სულებისა. (225).

თუ კი შენს სიმდიდრეს, უპასუხებს სოფელი, მცირე სარგებლისათვის მიაბარებ ვაქარს, რომელმაც, შეიძლება, ის დაგილუპოს კიდევაც, რად არ გინდა მიასესხო ის, ლარიბებზე გაცემის სახით, მას, „ვის აქვს მრავალი საუნჯე“? საიდან იცი, შენ მოკვდები უფრო ადრე თუ შენი შვილები, საიდან იცი, რომ შენი ქონება შენს შვილებს დარჩება და არა მტერს? აბა გვასწავლე, ეუბნება კაცი სოფელს:

ვით უხამთ შენი ხმარება დიდ ხელმწიფეთა, მეფეთა,
მთავართ, დიდებულთ, შჯულის თავთ, მღვდელთ, არ სისხლისა მჩქეფეთა,
მოლაშქრე-მონადირეთა, ვაჰართა, ლართა მკრეფეთა,
მდიდართ და გლახათ, მუშაკთა, დილით ღამემდინ მეფეთა. (253).

ამაზე სოფელი იწყებს წერთნას ან სწავლას ჯერ მეფეთა, მერე მღვდელთ-მოდღეართა, მხედართა, ვაჰართა, მუშაკთა და მსოფლიოს ყოველთა კაცთა. აქ, შეიდ თავად, წარმოდგენილია, თუ როგორი უნდა იყოს მეფე, სამღვდელო პირი, მხედარი, მსახური, ვაჰარი, მუშაკი და, საზოგადოდ, ყოველი ადამიანი, აღნიშნულია მათი დანიშნულება და მოვალეობა, მათი ზნე და ყოფაცხოვრებები.

დასასრულ, კაცი ერთხელ კიდევ გამოთქვამს სამდურავს სოფლის უპირობისა და ამოებების შესახებ და სინანულით იგონებს, რომ ყოველივე მისთვის გამზადებული სიკეთე მან დაკარგა მტრის შურით. ბაასის დასრულების შემდეგ პოეტს გამოუტანია განაჩენი: დამნაშავე ყველაფერში აღამიანია, მან ვერ მოიხმარა ის, რაც ღმერთმა მისცა მას, სოფელი არაფერ შუაშია, ის ჩვენი ავის „ნაქმარი“ დაიწყველა და ამიტომ, რომ სრულ დაკმაყოფილებას მასში ვერ ვპოვებთ.

დასახელებულ თხზულებაში პოეტს წამოუყენებია ამ სოფლად გაბატონებული ბოროტებისა და უსწორ-მასწორობის პრობლემა: ერთი ღარიბია და უბედური, მეორე მდიდარი და თითქოს ბედნიერი, მაგრამ ეს ბედნიერებაც წუთიერი, განხრწნადი და წარმატალია. ამ მწვავე პრობლემის ასახსნელად და აღამიანის (რა სოციალური მდგომარეობისაც უნდა იყოს ის) დანიშნულების გასათვალისწინებლად ის მიმართავს ქრისტიანულ-თეოლოგიურ ფილოსოფიას და სწუხს, რომ ზოგიერთები მას უგულვებლყოფენ:

ესკერტი წიგნებს შონასტრებში, უბუდობით სულა ობდეს,
სიტყვა მათი სასურველი საუკუნოდ გვიფასობდეს,
საღვთოსა და საკაცობოს ორსავე კარგად შეაშკობდეს,
მას ყურს არეინ ათხოვებდა. ცუდ მუდებზე ბაასობდეს. (354).

საღვთო წიგნი ბეერი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახაუდენ სტაერის ბუდით, ან ნახლობით,
უმჯობესი დაივიწყეს წესის რასმე აწ ახლობით,
სიმართლესა მრუდზე სცლიან სიტარუსია მომხახლობით. (355).

როდის ან სადაა დაწერილი თხზულება? ამის შესახებ ცნობას გვაწვდის მისი ბოლოსიტყვაობა:

სრულ იქმნა წიგნი ბაასი ეს კაცისა და სოფლისა,
წელს დასაბამით შეიდათას ას ოთხმოც მეთორმეტისა,
აშთარხანს კაის ქალაქსა, მაგრამ ჩემს არ სამყოფლისა,
ხამთარ მწვე ცივსა, დიად ცხელს ზაფხულს, მდენელსა ოფლისა. (356).

ამავე წელიწადს ოცდაათს მარტს აღდგომა თენდებოდა,
ნაკი მოჰქონდა თებერვალს და ოცი ზედნადებობდა,
ჩემის წელისა ჩამოსლვა ოცშვიდმეტად თავდებოდა,
ქრთნიკონისა ასონი ტარონი ბანი ჯდებოდა. (357).

თუ არ ვთქვა, ვიცი, დარჩება ბოლოვამ გაუგონარად,
თუ ვთქვა და, არ დაიჯერონ ეს აღვიღმოსაგონარად;
სამ თვე გათავდა ეს წიგნი, სულ ჩაიგდება ონარად,
ინერით ოცდათ მარტამდის, ხან კიდევ ვიყავ მცონარად. (358).

აქედან ჩვენ ვგებულობთ, რომ თხზულება დაწერილია ქ. ასტრახანში, ქვეყნის გაჩენიდან 7192 წელს ან ქორონიკონს 372, რაც უძრის 1684

წელს (7192—5508=1312+372), როდესაც არჩილი 37 წლისა იყო (1647+37=1684), სამი თვის განმავლობაში, იანვრიდან მარტის ოცდაათ რიცხვამდე¹:

B. საძარტხალოს წინმოზანი

ავტორი სამგვამოვანისა და ერთარსი ღეთაებისადმი მიმართვის შემდეგ შენიშნავს²:

აწ ეს მომინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის, საღეთო და ანუ სამხედრო, მშვებლის და მოვალახარის, ლაშქრობის, ნადირობისა, რომელმან კაცი ახარის, საქთელ სამსახურისა ვინც იცის, ცოდნათაჲ კმარის. (3).

რად მონდომებია ავტორს ასეთი რამეს დაწერა, რამ გამოიწვია მისი ასეთი განზრახვა? ამის შესახებ თხზულების სათაურში ნათქვამია: ლექსად ითქვა ეს, „რათა ყოველნი ერისკაცნი ესრეთ იქცეოდნენ“, ხოლო ბოლოში შემდეგი პასუხია მოცემული:

ბევრი კაცი იმიზეზებს, არა მყვანდა მომწულელიო, ზნეობა რამ დაშესწავლა, ხარისხ-ხარისხ ამვლელიო, ახლა რალა პასუხი გაქვსო, აი თქენი მსწავლელიო! ვინ არ ბწვრთნა, მალმე მოკვდები, ნუ ხარ ხანის წამელელიო. (103).

მაშასადამე, ავტორს პრაქტიკული მიზანი ჰქონია: მოეცა მსურველთათვის ზნეობათა სწავლის საკირო სახელმძღვანელო. ამისდა მიხედვით, ის მართლაც ლაპარაკობს როგორც ფიზიკური, ისე მორალური და გონებრივი ხასიათის სხვადასხვა ზნეობის შესახებ, როგორცაა, მაგალითად, მშვილდოსნობა, ბურთაობა, ცხენოსნობა, მომღერლობა, მარაქის გარიგება, ზმა, სუფრობა, მესაკრაობა, ტან-ფეხის გაწყობა, მეჯინიბობა, ბაზიერობა, ჯირითობა, მე-თოფობა, მცურაობა, მოტირლობა, მექადრაკობა, მუშაითობა, სხვადასხვაგვარი ნადირობა, იარაღის გაყეობა და ცნობა, ენისა და წიგნის ცოდნა, მწიგნობრობა, მწერლობა (მხედრულის, ხუცურის, მგრგლოვანის, ყვავისფრჩხილოვანის, ასომთავრულის), ლექსთმთარგმნელობა, მოსამართლეობა, მრჩეველობა, მელექსეობა ან შაირობა, მესაიდუმლეობა, ფიზიკური მუშაობა, მეფეთთან, ბატონთან და ტოლამხანაგებთან შესაფერისი ზრდილობა და თავდაქერა, სარდლობა, რაზმის გაწყობა, სიბრძნე და სხვა მრავალი. ავტორის სიტყვით,

საქართველოში იტყვიან სამას სამოცდა ზუთსაო ზნეობას, სხვას არ ავდებენ ქვეყნისას, თუ არ მათსაო,

¹ დილოგი კაცისა და სოფლისა ფორმით ძალიან მოგვაგონებს საშუალო საუკუნეებში ევროპაში გავრცელებულ და XVI საუკუნეში რუსულ ლიტერატურაში გადმოსულ დილოგს „ცხიჯრებასა და სიკვდილს“ შორის (Акад. Н. Жданов, К литературной истории русского бытового поэзии. Прене жнвота и смерти, 1904 г.); მაგრამ შინაარსით ისინი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან, ასე რომ არჩილი ამ შემთხვევაში უფრო თეიმურაზის მიმდევარი და გამგრტლებელია, ვიდრე რუსული Пренне-ს რომელიმე ვერსიისა.

² „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 3—16.

აქაური რამ ყველანი ვთქვი, ვერვინ დამიხუთსაო,
ეს დაუეს, მაგრამ მე ვგონებ უფრო ბევრს ხუთათასაო. (101).

მართლაც, ავტორის გაუთვალისწინებია ადამიანის სოციალური, ოჯახური თუ ინდივიდუალური ცხოვრების თითქმის ყოველი ნაბიჯი და ყველგან შესაფერის იდეალს გვიხატავს. ყველა ზნეობაზე მაღლა ის სიბრძნეს აყენებს:

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერაარა, არც ისე მოსახმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამზმარია,
სად წაბვალთ, თან გამოკყვებათ, საჯზლადაც მგონ სახმარია,
სხვა დავრჩება და ის არა, გვერთ გახლავს ცათ კამარია. (73).

ყველაფერი წარმავალია, სიბრძნე კი—მუდმივი. „სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდი ვერ გააგდებ“ (77).

თხზულება დაწერილია რუსეთში, სახელდობრ, ქ. ასტრახანში, როგორც ეს შემდეგიდან ჩანს:

აბა გახაფხულს აშთარხანს ნახე, თუ სჯობდეს რაუ არი,
ვეგბა კიდევ სხუაც რამ ვთქვა, სულ რუსთა ვნახო რა ცარი. (4).

დაწერილია ის „სოფლისა და კაცის გაბაასების“ შემდეგ, რაც იქიდან ჩანს, რომ S 424 ხელნაწერის „ზანდუქში“, რომელშიც არჩილის თხზულებანი მათი დაწერის ქრონოლოგიური წესით არის აღნიშნული, ეს თხზულება პირველის შემდეგაა მოთავსებული¹, მაშასადამე, ეს შრომაც დაწერილია 1684 წლის აპრილიდან 1685 წლის შემოდგომამდე.

C. ჩვათა საჩინოთა ასოთა ზვამისათა

რვა მთავარი ასო გვამისა არის²: თვალი, ცხვირი, ყური, ენა, პირი, ხელი, ფეხი და გული. ავტორის მიზნად დაუსახავს გვიჩვენოს როგორია თითოეული ამ ასოს დანიშნულება და ნორმალური ფუნქციები:

თვალი რა ნახავს საყვარელს, მოხედვას აღარ ინებსა,
მისგამო წყალსა მოიკემს, სიხარულს მოიგუნებსა,
ცხვირსა მისი ფშვა სწადიან, იყნოსებს, მას უსუნებსა. (2).

„ყური კარია სიტყვისა“, ზოგი სიბრძნისათვისაა ღია, ზოგი კარგისათვის დახშული. რა ქნას კარგმა სიტყვამ, თუ ყური მას არ შეუშეგბს? ენა კარგი წამალია ბრძნის ხელოვნისა, რომელიც ყველას შესაფერის სიტყვას ეტყვის, საზოგადოდ, მას ცოტა უნდა ათქმევინო. პირია გემოს შემტყობი, ვის რა ნებაგს, მას მიიღებს და არვის შეაგინებს.

ფერხთა დიდება ეს არის, ფიცხობდეს, მერმე მალობდეს,
მალ მიაშუროს კარგ საქმეს და აგსა დაემალოდეს (14).

ხელს ძალუც ბევრი სიკეთე ზნეობისა თუ საქმისა,
ხელოვნებისა კაისა, კალმითა ტყბილადა თქმისა. (15).

¹ S 424, გვ. 246—265. იხ. აგრეთვე: S 1729, გვ. 128—142; H 2116, გვ. 13—147.

² „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 14—16.

რაც შეეხება გულს, ის მიეფეა გვამის ყოველთა ასოთა:

ყოველი ასო გულისა მსახურია და მონა და,
გარე მოისხა საშრომლად, ამუშაებს და მონადა,
რა ის არ მოჰყვეს სიმართლით, ღმერთს ვინ რა მოაწონა და?
ვინ შექმნა პირველ სიბრძნითა, მან ასრე მოიგონა და. (19).

თხზულება სულ ოცი სტროფისაგან შედგება, ის დაწერილი უნდა იყოს წინა თხზულების შემდეგ, ვინაიდან არჩილის შრომათა ქრონოლოგიურ სიაში, რომელიც წარმოდგენილია ხელნაწერ S 424-ის „ზანდუკში“, ის მოთავსებულია „საქართველოს ზნეობანის“ შემდეგ.

აღნიშნულთ გარდა, არჩილს ეკუთვნის თავისებური ფორმისა და შინა-არსის რამდენიმე დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის ლირიკული ნაწარმოები, მაგალითად: „კაცს უთხარა“ ან „თვისაგან თქმულში“¹ მშვენიერ წალკოტში არსებულ ხილთა იგავით პოეტი გვასწავლის, რომ ბრძენი კაცი უნდა გვერდს უგლიდეს უგუნურ ადამიანს, ერიდოს მის მტრობასა და მეგობრობას, „არ უნდა სიტყვას ეტყოდეს მის სმენად შეუძლებელსა“, ხოლო თხზულებაში „ანბანთქება, ლექსნი ამიციანად სათარგმანებელნი“², რომელიც არჩილს დაუწერია მაშინ, როდესაც ის მეორედ მივიდა ოსეთსა და დვალეთს³, ესე იგი 1696 წელს. ის ამოციანის საგნად წარმოგვიდგენს სხვადასხვა პირთ ბიბლიური ისტორიიდან, მაგალითად:

იტყვით კაცსა უღედმამოს, ნათესავიც ვერ უხსენეთ,
ილოცივედა, პირველ მღვდლობდა, თქვით, ვინ იყო, აწ ახსენეთ,
იერუსალიმს მეფედ იჯდა, ესე ჩვენგან მოიხსენეთ.
იტით ვინმცა, უმცროსთ ამცნეთ, და უფროსებს მოახსენეთ. (20).

[= მელქისედეკი]

იყო კაცი ქვაბსა შინა დამალული, არ თუ დავით,
იგი ვინმე მას სდევნიდა სასიკვდინედ, ავსადა ვით,
ისიც მასვე ქვაბს შევიდა მოსვენებად. ვითა დავით,
იტნა, მაგრამ არას ავნებს ცხებულობით მწვიდი დავით. (21).

[= საული]

„ასი ლექსი ორმუხლელი“⁴ აფორიზმის სახით გადმოგვცემს სხვადასხვა დარკებებს:

ვინ მრწემსა სწყალობს, ავასხებს უხვად წყალობის მძლეველსა,
შემწყალებელი ობოლთა მძლე ექმნეს თვისსა მძლეველსა. (6).

ვინ ენას სძლეეს და მუცელსა, დიდი ნიჭი აქვს მადლისა.
ვინ ბოროტსა სძლეეს, ხელთა აქვს სრულყოფა მას საწაფლისა. (23).

¹ „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 113—115.

² თითოეული ასოთი ორ-ორი სტროფითა დაწყებული, გარდა მ, ლ, მ, ო, პ, ძ, ჩ, რომლებითაც სამ-სამი სტროფი იწყება, ზ-თი—მხოლოდ ერთი („არჩილიანი“, ტ. I, გვ. 275—285).

³ Е. Та х а й ш в и л и, Описание, II, გვ. 155.

⁴ „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 73—79.

ამგვარივე ორმუხლელი სენტენციები და აფორიზმები არჩილს დაურთავს თავისი „ვისრამიანისთვისაც“¹. პრაქტიკული ხასიათის დარიგებანი გვაქვს თხზულებაში „მეორე ასეული ლექსი“², რომელიც დაწერილია ოთხმუხლელად ქორონიკონსა ტჷა, ესე იგი 1703 წელს³ და ორ ნაწილად იყოფა⁴, მაგალითად:

თუ სიმდიდრე გაიხარე, სიგლახაკეც დაითმინე,
რადგან ჰება გიაშება, მხილებაც რამ შეისმინე;
ვის რა სიტყვა შენი უთხრა, მაგიერიც მოისმინე,
სცოდებ უფალს ცრუ ვნითა, თუ მართალი შეისმინე. (42).

ერიდე სიტყვა-უცებსა, ამაღ აესა ზედავ ისომ;
თუ სთქვა სიტყვა კადნიერი, ისე თქვია, ვით თქვა ისომ.
ქენების და ორენასა კაცსა ახლო ნუ მოისომ,
ვაგლახ მეო, იტყვით მაშინ, რა ცხვირს მურსა ჩამოისომ. (73).

სადა სიტყვა არა გიდირს, რას ზღაპროი, რას არაკობ?
მოფლია ცრუ სიტყვითა, ნუ თუ ჰგონებ—თავს შეიკობ?
ერეოდი ცრუს სიტყვასა, სიტყვა-მჭევვრად თუშეც მუსიკობ,
არსად წაგცდეს ცუდი ვნა, ლექსობ ვინ თუ იამბიკობ. (84).

ამგვარივე ხასიათის დარიგებანი შეადგენს შინაარსს აგრეთვე თხზულებიას „ას და ათი ლექსი“⁵, რომელიც დაწერილია „ვისრამიანის“ გალექსვის შემდეგ [ვისრამიანსა დავსწერე“ (102),—ამბობს პოეტი], ესე იგი არაუგვიანეს 1699 წლისა. სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს:

განვიდევნოთ გულისწყრომა, ცრუი რისმე ვნოვნება,
დავიშრიტნეთ გულისთქმანი, რომელს ძალუც დიდი ვნება,
მოვიძაგოთ ნაყოფივება, ცუდი, უკმი მოსვენება,
ბექთ ვიტვიროთოთ მუშაკობა, ვით ცხედრისა განსვენება. (12).

რას გვიბრძანებს სახარება, გავიგონოთ, ყური უგდოთ!
ნუ ვართ სტუმართ მოძულენი, უცხოთ კარი არ მიუგდოთ,
განვიკითხნეთ თავნი თვისნი, უკეთესსა ვის დაუგდოთ,
ვინ ჩვენ მოგცუნა ესოდენი, მაშ მას პურიც არ მიუგდოთ? (83).

თხზულებაში „იამბიკო ლექსები“, რომელიც დაწერილია „ორსაც ასეულ ლექსებს შემდგომად“, მაშასადამე, 1703 წლის შემდეგ⁶, და რომლის აკროსტიკი იძლევა მთელ სტროფს⁷, გაკიცხულია ცრუმეცნიერი და ყოყორა ბრძენი, რომელსაც პოეტი ეუბნება:

¹ „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 221—222.

² იქვე, გვ. 83—94.

³ სტროფი 65.

⁴ მეორე ნაწილი, 66—100 სტროფები, აკროსტიკულია: სტრიქონების დასაწყისი ასოები გვადლევს მთელ სტროფს (ტ. I, გვ. 84, შენ. I), ხოლო უკანასკნელი ასოები სტროფების მთხლს: „ამას ავ ამბად არ ვგონებ, იცნათა ვინმე სააოდ“.

⁵ „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 97—109.

⁶ იქვე, გვ. 119—123.

⁷ იქვე, გვ. 123, შენიშვნა.

ბედს მონებ და ვარსკულავთ რიცხვ, შობას იმათ მიაჩემებ,
ისიბრძნები, რიცხთმეტყველებ, ქვეყნის ზომას შეიჩემებ,
სულ მოხლაპრობ, შემცვალებლობ, სხვისას შენდა დაიჩემებ,
არ შესდგები მართალს გზასა, მრუდსა კარგა ვის უჩვენებ? (8).

ამის მაგიერო, უჩრჩევს მის პოეტი, მოიგე სიმართლე, ტკბილი ენა და იარე იწრო კარებით, მსგავსად მარტვილთა, რომელთაც, მათი საშინელი ღვაწლის მიმოხილვის შემდეგ, პოეტი მიმართავს: „არჩილს მარგეთ რა, წმიდანო, ვინ მცნებასა გარდაუდებ“ -ო (32).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ჯგუფის ლექსების მორალური შეხედულებანი და გრძნობანი სტერეოტიპულია: მათში ავტორი იმეორებს, სხვადასხვა ვარიაციით, ერთსა და იმავე აზრებს და ხშირად გვევლინება როგორც საექლესიო ამბიონზე მდგომი მქადაგებელი, რომლის რეზონირობა შესამჩნევად ჩრდილავს მის პოეზიას.

წმინდა ლირიკული ხასიათის ნაწარმოებები არჩილს შედარებით ნაკლებად აქვს, სულ ექვსიოდე შრომა შეიძლება დავასახელოთ, სადაც თავიდან ბოლომდე ლირიკული მოტივი გვესმის, აქედან ოთხი რელიგიური შინაარსისაა, ორი კი საერო. ამ ექვსი შრომიდან ოთხი წარმოადგენს ხოტბას ან ოღას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

1. ასეთი ხასიათის პირველ ნაწარმოებს ეწოდება „პირველთა და შემდგომითი შემდგომთა მეფეთა ქება და სამხილებელი“¹. თხზულება დაწერილია ჩახრუხაული საზომით. ამით აიხსნება, რომ პოეტი თავის შრომას იწყებს ჩახრუხადის შესახებ ტრადიციულ ცნობათა გადმოცემითა და შენიშნით: „ბრძენი ენა, გრძლად შესმენა უხამს მეფეთ მაქებაართა“ -ო. (8). ის ამბობს:

ხელუყო, მცნობელო და უცნობელო, ქვეყნიერთ მეფეთ სახელდებულთა,
ჩვენ წინ მოსულთა, აწ გარდასულთა, ახლად მზრახველთად დადუმებულთა,
მხნედ და ძლიერთა საუბნიერთა, ახოვნად ქვენად გმირებ ვებულთა,
ღრმად აღმოვიწყო, გარ შემოვიწყო, ქება ღეთის მიერ დაბადებულთა. (7).

ასეთი შესავლის შემდეგ ავტორი შეუდგება მეფეთა ქებას, და, ვინაიდან, მისი სიტყვით, „იუვენენ მრავალნი ძვირად სავალნი, წარმართ მეფენი საქმით კეთილნი“, თავის ხოტბას იწყებს ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, მერე გადადის ღეთისმსახურ მეფეებზე. ჯერ შეეხება ებრაელთა მეფეებს — დავითს, სოლომონს, ოსიას, მანასეს, იერობოამს (უკანასკნელს იხსენიებს „სამხილებელი“ სიტყვით), მერე ქრისტიანებისას: კონსტანტინე დიდსა და ივბიმიანეს, რომელსაც განგებამ განუჩინა ბილწი ივლიანე განდგომილის თანამედროვეობა. ამის შემდეგ ის საგანგებოდ ლაპარაკობს ქართველ მეფეთა შესახებ და ხოტბას შეასხამს დავით აღმაშენებელს; გიორგი მესამესა და თამარს, რომლის შესახებ ის ამბობს: „მე თამარისა, ღმერთ ამარისა, სხვადაცა ესტკვენ ქება ვერ კმასაყოფი“, გულისხმობს, უქველია, თამარის ისტორიას,

¹ „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 225—247.

„თეიმურაზისა და რუსთველის შედარებაში“. ამდენ ხანს პოეტი ლაპარაკობდა მის დრომდე ცნობილი მეფეების შესახებ, ახლა კი ვილაპარაკებო, ამბობს ის, ორი მეფის შესახებ, „ვინანი ვნახე მე ჩემს დროსა“-ო:

ერთი შფოთშია, მეორეს შია მშვიდობის დროსა ეამსა მუდროსა,
პირველი სიყრმეს, მეორე სიღრმეს, მბეოვანებისას, ვეკე, შემსუდროსა. (55).

ეს მეფეებია: შაჰ-აბას მეორე და პეტრე დიდი. პირველის შესახებ პოეტი ამბობს:

მე ვინცა ვნახე კაცი ჩემ დროსი, არეინ მინახავს მისებრ აროსა,
ნუ ვინ იჩემებს ზესთაობასა, მისი სწორება, სჯობს, იკმაროსა. (59).

ვაი მას დღესა, მე რომ მდღესა მასთან გაგზავნა ჩემდა გზა ძნელსა!
ნათლისა წილად, უფროს ას წილად უმეტრებიოთა ჩავეიკერ ბნელსა.
რა მიხმს, რა ვთქვა ანუ რა აუთქვა მე, მშობელთაგან არ-შესაქნელსა!
ვეძიებ ლხენას, ვით წყალსა, ხე ნას, ვერა ესწვევივარ ჩემს საძებნელსა. (60).

ჩემებრ ვინანი, სადა ვინანი ჩემთა მაშინდელთ სჯულთ გარდასვლასა?
რად მოვიღორე, ვერ დავიღვარე სისხლი ქრისტიანთის, ვა ჩემს
სწაულასა! (61).

მორჩება რა შაჰ-აბას მეორის „ქებას“, არჩილი განაგრძობს:

თვით პეტრე ცარი ვნახე, რაც არი, დიდის რუსეთის მტკიცედ მპყრობელი;
სიყრმესა შინა ვიახელ შინა, მზალაი მდაბალთ ხელთამპყრობელი. (62).

ის აგვიწერს პეტრეს შინაგან და გარეგან თვისებებს ალტაკებულ კი-
ლოთი, რომელიც უზენაეს გამოცახილს პოულობს შემდეგ სიტყვებში:

გონიერი, მეტონიერი, ხედნიერი, კადნიერი,
შეგნიერი, ნიეთიერი, არმცბიერი, სახნიერი,
მკონიერი, ცნობიერი, მძნობიერი, გრძნობიერი,
ამღონი ერი, ამ-ქვეყნიერი, მონებრი არი გამგონიერი. (70).

მე საამისო, მე საამისო, ვერ ვპოვე ქება შესწორებულად,
თუ დასხდენ ბოქენნი, სიბრძნეთა მენი, შესხმად ამისდა ერთად კრებულად,
მათი გაუნმელდეს, გზა დაუბნილდეს ღირსად ქებისად ვერა შოებულად! (71).

ათავეებს რა პეტრეს ქებას, ავტორი აცხადებს: „აჲ ეს ვიკმაროთ, სხვა-
გან ვიხმაროთ სამხილემგელი კარგ-ავეებისა“. სამხილებელ მეფეებს ის არ ასა-
ხელებს, ზოგადად ლაპარაკობს, მაგრამ, უეჭველია, გულისხმობს ქართველებს.
ის მწვავე, ალშფოთებული გრძნობით ლაპარაკობს „ერთმანეთის მოდავეების“,
მლიქვნელთა, „ავად მშფოთთა“, რჯულის ამრეველთა და საწოლის შემგინე-
ბელთა შესახებ; მერე გადადის თავის საკუთარ თავზე და გულამოსკენილი
ამბობს:

ჟოი ჩემს სვესა, სად გადამსვესა, მე სადაური სადათ არესა!
ბნელსა ჩამსვესა, სისხლი მომსვესა, მგონია, ესეც არ მაკმარესა,
მათი ნაქმარი, ავად საქნარი სულა მე დია დამაბარესა,
სიცილებლე ჩემი, არ ასაჩემი, რომ ხედავთ, ასე დამაშვარესა. (68).

მე ტიტა-პიტნა და პური სიტნა უფროს ვირჩივე ცრუთა სახრდელსა. სიტკბო დამწარდა. მეკმნა ბაწრადა, საღველად, სულა არ გასახრდელსა, სულთა განყოფას, ჩემს ასე ყოფას აღვირჩევე გემოდ ველისა ჭრდელსა; ვიყავ მეზღარი, კარგ სახედარი, აწ ვეკვობ, შევეგავ კაცს არადელსა. (89).

ვაი ჩემს დროსა, სადღა მედრო სა, სულ მოღრუბული დღედ ნათლისადა? მწუხრ შესწრობილსა, ბნელთ შეპყრობილსა, სადათ ვწვიო ეამს დილისადა? სად შევისწაო, ანღა ვისწაო, მე სადაური სადმე ვლი სადა! არა ვიდუმნე, ღახოდ ვიდუმნე, მადლობა არსთა შემქმნელისადა. (91).

მეფედ ვიწოდე, ვერ გავიწოდე ფეხი ჩემისად გუნებისადა; დავდევდი თავი, არ ავად ავი, საარაკოდა ქვეყნებისადა. ბუკთა საყვირად, ვინ თქვას, თუ ვყვი რად სამუსიკულად მე ვბნისადა? ჩემს გარდა სხვათა ჩემთა მნახავთა მამხილონ, ავი ვიხე ვყვი სადა. (92).

აღიხილეთა, მოიხილეთა, ლექსი ვისია, ან ვის მკებარე! ვისი ვის ვისდა, რასა საქმისდა ვიყავ და აწე სად მივებარე! რალას ველოდე ან ვეძღებოდე, გარდუმეებ იმედს სულა მე ბარე, ვხედავ ნიშნებსა, საქმეს მკიზნებსა, მგონც მომეახლა აქა მებარე. (107).

პოეტს მეტი აღარა დარჩენია რა, რომ მწარედ თქვას: „მივიანდოთ თავი უფალსა, ამოად ნულარ ვშერებითა“ (109).

ამრიგად, მოგონება წარსული დროის დიდებულთა მეფეთა, მოგონება სამშობლოს უკუღმართი ბედისა, რომელმაც პოეტი ჩააყენა ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში, მიიყენას მას იქამდე, რომ ის თითქოს ყველაფერზე ხელს იღებს და მხოლოდ უფალს ანდობს თავს. თხზულება დაწერილია, როგორც შინაარსიდანაც ჩანს და როგორც სათაურშიაც ნათქვამია, მოსკოვში, როდესაც არჩილი მართლაც რომ სასიკვდილოდ ემზადებოდა ს. სვენცკაში, 1709—1713. წწ.¹

2. არჩილის მეორე ხოტბა, რომელსაც ეწოდება „ანბანნი საქებელნი და სავედრებელნი წმიდისა ღვთისმშობლისანი“², დაწერილია 16-მარცვლიანი ლექსით, ქართული ანბანის რიგზე დალაგებული სტროფებით, წარმოადგენს ნამდვილ ჰიმნს, უშუალო გრძნობით გამსჭვალულს, ღვთისმშობლისადმი, რომლის წინაშე ქედი მოუდრეკია ცხოვრების სიმძიმით დაბეჩავებულ ადამიანს.

3. ხოტბას წარმოადგენს აგრეთვე შვიდი ერთიმეორეზე გადაბმული, ნამდვილი ეკლესიური ხასიათის, „იამბიკო“³, რომლებშიც გამოხატულია ცხოველი რელიგიური გრძნობა, შეგნება თავისი უღირსებისა, უმწეობისა და არარაობისა. პირველ ორ იამბიკოში შექებულთა ერთარსება სამება, მესამესა და მეოთხეში—ღვთისმშობელი, მეხუთეში—12 მოციქული, მეექვსეში—წინასწარმეტყველნი, მოწაგენი, განშორებულნი, მეშვიდეში—სხვადასხვა სათნოება. იამბიკო ურითმოა, მარცვალთა რაოდენობაც კი არაა სისტემატურად დატანილი (20—28-მდე). სამაგიეროდ, მას დართული აქვს აკროსტიქი როგორც

¹ ლ. მენაბდე, არჩილის ერთი თხზულების თარიღისათვის, ვახ. „ახალგაზრდა სტალინელი“ (თსუ), 18. III, 58, № 8 (220).

² „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 265—269.

³ S 424, გვ. 175—186; H 2116, ფ. 99—105.

მარცხნივ, სტრიქონის თავში, ისე მარჯვნივ, სტრიქონის დასასრულს. ეს აკროსტიქი გვაძლევს შემდეგ ჩაბრუნბაულს:

სამებით დღერთო, ბუნებით ერთო, დამხსენ სახმილსა, უშრეტად მწველსა,
 მიწველუ რამე. შენ მნახო რა მე, სათნოებითა რომ ევევარ მწველსა;
 შენ ნებაზედან, შენებაზედან, აღარ მიმიშვა ბელეგრ მწველსა,
 ჩამსოშ მწვირესა, მის ნამწვირესა, ვა, რა ავია მის დანასველსა!
 ქალწულად მშობო, ქებით სამყობო, და საღმობისა არასა მგარძობო,
 გამოუთქმელად, მიუწლომელად დამბადებლისა სულ არსთათ მშობო,
 ვისცა ვერ იტყეს, ისინი მომიტყეს, შენ მეომ ბეყავ, ქებას გიმკობო,
 თუ ცადა ვები, თუცა დაეები, განსაცდელშიგან მეტრ მქმენ იობო.
 მოციქულთ ათორ, ევედრო ათორთ, თორე მიხმენა საქმეს ძნელესა,
 წინაწარმეტყველთ, მით გამომეტყველთ, ღმერთმან იგინი სულით აავსა,
 მღვდელთა მოძღვრითა ცრემლისა ცვრითა, ამით უფალად ალი დაავსა,
 მოწამებითა ქალწულ-ყრმებითა მტერთა განვერო და ვითხოვ დავსა.
 კაცთ საფრთხედ ოქრო ექნების, ვითა ფრინველთა მახუა,
 ადამის ნიერ ცთუნებით ბევრრიგ რამ მით მოჩნახუა.
 კმარა, დასწყნარდი ეშმაკო, რაცა მკარ ანუ მახია
 არ მცირე წყაპლად მაჩვენე, აწ განადიდე მა ზია.

4. ღრმა ღირიზმითაა გამსქვეალული „სიტყვა სანათლისღებო“¹, რომელ-
 შიაც კოეტი აღიარებს ღვთის დიდებას, ადამიანის უმწყოებას, უჩვენებს ნათ-
 ლისღების სხუადასხუა სახეს, რომლითაც შეიძლება დაცემული კაცის ლხი-
 ნება, მაგრამ ბოლოს მას სევდა მოიკავს, ვინაიდან მოკლებულია ამ საშუა-
 ლებას და თან დაშორებულია თვისტომობას. ეს მწარე გრძობა შედრევა-
 ნივით ამოხეიქავს მისი გულიდან შემდეგ სიტყვებში:

მინდა გავიტყდე, მოძღვარო სახიერ, სხუც რამ მინდაო:
 ძმანი მიჩვენე მშვიდობით და მათთან ჩემი გინ დაო,
 რა მათ მოეშორდი, სიბნელემ თეალები დამბინდაო,
 ყირმიხად აყვავებული გული ნაღელმან ინდაო (18).

სხუანი რამდენნი საყლონი და ყრმანი ჩემთან შეზრდილნი,
 ზოგ-ზოგნი ჩემნი გამხდელნი და სხუანი ჩემნი დახდილნი;
 ყა აწყლო-მუსაიფები, მოლხინე, თან მოლიმილნი,
 იმერნი, კახნი, ქართველნი, ვისითაც მქონდა ქადილნი. (20).

მახსოვს ლხინი და თამაშა, დღე და ღამე წართვით მღერა,
 მხეტთა სრვა და ნადირობა, თავი ლაღად მომელერა,
 ბურთობა და მინდორობა, კვლავ ნადიმი, ქადრაკ-მღერა,
 უხობა და გასაცემი, სრულ ვითა გთქვა, მომელე რა? (21).

აწ იგინი უჩემობით არა სწუხან, ისრეე ზმიან,
 ვინ ასპარეზს ასპარეზობს, მგრამე სმენ და მღერენ, ზმიან,
 მე აღაჯინ მომიგონებს, არ ვიცი თუ რად მიხშიან,
 ბუტბუტობენ ზოგიერთნი: „მგონი იქ ხანს ბეერს დახშიან!“ (22).

სოფლო, მუდამ ტრელობით, მიკვირს, არ სცხრები რად არა?
 არ მოესთვლი შენსა სიმუხთლეს, რაები მიყავ, რა და რა.

¹ „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 65—70.

ვერვინ მოგირჩა უენები, ცუდად ისრბოლა რა დარა,
თუ არ უცებმან წარმავალს, ვინ წარუვალი რა დარა? (23).

აქ პოეტი სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, ვინაიდან თხზულება დაწერილია რუსეთში ყოფნის პირველ ხანებში, როდესაც მას კიდევ ჰქონდა სამშობლოში დაბრუნებისა და თავისი საქმეების გამოსწორების რალაც იმედი. ამიტომ ის ამბობს:

მაგრამ მე ღუთისა იმედი აჰად არ გადმივარდება,
ამად რომ არის მოწყალე, ეს ცოდნა მინარჩარდება,
მისი წყალობა, მოხედვა ერთხელ სამხედ მომვარდება,
აწ მოქუფერილი ყვავილი, მგონია, გამივარდება. (35).

5. ნამდვილ ჩახრუხაულ ხოტბას წარმოადგენს „ანბანთქება ცხრა თავნი“¹, რომელიც შედგება მართლაც ცხრა სტროფის ან 39 სტრიქონისაგან, რომელთაგან თითოეული ცალკე ასოთი იწყება. აი მისი დასაწყისი: „ა სულ ასულა, მკერეტინი დასულა, ესე ვინაა ჩემი ასულა?“ თავდება კი: „ჭი საწყალთა არ აფრკვევ წყალთა, უწყალოდ ექმენ მიჯნურთ დნობითა“. პოეტი აქებს ვილაც ასულს, რომელიც არის „ბროლ-მინა რევით, მზისა მორევით“, მძლე შეიღთა მნათობთა, ლერწამ-ტანი. პოეტი მას ეუბნება: „ფიცად მაქვს შენი წამწამ ნაშენი, ჯარი ინდისა, ამბრებ ნაყოლი“, შენ „ენა დამბიო“, „შიში მაქვს გულსა, შენგან დაგულსა“-ო. ხოტბა შინაარსითა და პოეტური ფორმით, განსაკუთრებით ეპითეტებითა და შედარებებით, მეტად მდიდარი და შოხდენილია. ვინაა ეს „ასული“, არ ვიცი, შესაძლებელია ფიფიქროთ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ალგოროითან: ასულად პოეტი გულისხმობს ღმერთს. ამას გვაფიქრებინებს პირველი მისი სტროფი, სადაც ნათქვამია: „გიმკობ ქებასა შენ სამებასა, ხელთა შეგვედრებ ხეეწითა სულა“. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, ამგვარი ალგოროია არჩილს საზოგადოდ ახასიათებს. თხზულება დაწერილია 1681 წელს, „თეიმურაზისა და რუსთველის შედარების“ პირველ ნაწილთან ერთად, ვინაიდან დასახელებული „შედარება“ პირდაპირ ამბობს: „ცხრა ლექსი ანბანთქებისა ოსეთს არის ნათქვამი“-ო², სადაც დაიწერა მისი პირველი ნაწილი.

6. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „სამიჯნურო ლექსები, აქა-იქ ნათქვამი“³. ეს არის მაჯამა, დაწერილი, როგორც ვგებულობთ შინაარსიდან და პოეტის განცხადებიდან, თეიმურაზის მაჯამის მიზაძვით. თეიმურაზი ამბობს: „გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულები“. ამასვე იმეორებს არჩილიც სათაურში: „სამიჯნურო ლექსები, აქა-იქ ნათქვამი“. თხზულება იწყება ასე:

სამიჯნურო ლექსებიც სამ აგერ ჰეგმო ჩამიგდია,
ზოგთ მიჯნურთა საქმე კარგი მამწონს, ზოგი ამიგდია;
ცოტა რამ ვთქვა, სულ უთქმელი ვითამ არც ეს დამიგდია,
ჰე, მიჯნურო, სამიჯნურო ყური ამას მოუგდია! (1).

¹ „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 251—253.

² იქვე, ტ. II, გვ. 84.

³ იქვე, ტ. I, გვ. 127—132.

სამიჯნუროსა ლექსებსა კარგად მოგვიტხოვრობს მაჯამა,
 ვნახე მიჯნური ფარული, შემატყობინა მაჯამა,
 მეც ამიყოლა ტირილმან, ეგზომმან მათმან ვარჯამა,
 შეწყალება და გვერთ ხლება ვერ პოვა ჩემმა აჯამა. (2).

მკითხველ-მთარგმნელნო, მაჯამას წილ მეც ეს მაშირთმევი,
 ჩემი და ჩემ მაგვირად, არ ვისთვის წამირთმევი;
 მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევი,
 ვიცი, შეიტყობთ უძღურად, თუ სიტყვა ამირევი. (3).

მერე აღწერილია ნამდვილი მიჯნურობა, მიჯნურის სულიერი განცდა და ფსიქოლოგიური ანალიზი, თვალწარმტაცი ფერადებით დახატულია ლამაზი არსება, მიჯნურობისა და ტრფიალების საგანი და თავდება შემდეგი სიტყვებით:

ისმინეთ ჩემი ლექსები, ტკბილადრე, ნუ დამბაქეთა,
 ბრძენთ მომიწონეთ ნათქვამი, უგბილთა განმიიქეთა,
 ჩემ წინ წარსულთა შენდობა იქით თქვით, ჩემი აქეთა,
 ეს არ ვარჯიყოს, მანდ სამე აბა არუსთველი აქეთა! (45)

სასაქმო და სასამართლო სადღა მაქვს, თორ ვინ მიწყინა?
 ვეღარ ვბურთობ, ვერ ვნადირობ, ვეღარ ვლხინობ, ვით უწინა,
 ამის მეტი სხვა ზნეობა ჯერხან ყველა გამიყინა,
 ამაღ მიეჭყავ შაირს ხელი, აწთაოხანმან მომაწყინა. (46).

ჩანს, თხზულება დაწერილია ასტრახანში, სადაც არჩილი „მოწყენილი“ იყო დიდი ხნის უსაქმოდ ყოფნით, ესე იგი 1682—1685 წლებში. თავისი მოხდენილობით და პოეტური შვენებით ეს ნაწარმოები, თეიმურაზის მაჯამის მსგავსად, პირდაპირ შედევრად უნდა ჩაითვალოს ქართულ პოეზიაში. თხზულება შედგება სულ 46 სტროფისაგან, რომლებიც ერთიმეორეზე უკეთესია პოეტური თვალსაზრისით.

ჩვენ ჩამოვთვალეთ არჩილის ყველა ლირიკული ხასიათის ნაწარმოები, მაგრამ ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ლირიკული ელემენტი არჩილს შეუტანია „თეიმურაზიანშიაც“, რომლის მიმოხილვისას ჩვენ ვაჩვენეთ, რომ „მეფის თეიმურაზისაგან დედოფალსა ზედა მწუხარება და მგლოვარება დიდი“ ქართული ლირიკის ნამდვილი შედევრია.

არჩილის პოეზიაში ერთ-ერთი მთავარი მოტივია რელიგიურ-დიდაქტიკური მოტივი. ქრისტიანული სარწმუნოება მას მიაჩნია სიბრძნის, მეცნიერების, კეთილი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საწყისად. მას ვერ უპატივბია თავისი თავისათვის, რომ სპარსეთში ყოფნისას ის იძულებული იყო გადადგომოდა ქრისტიანობას.

არჩილის პოეზიის მეორე მთავარი მოტივი არის პესიმიზმი. ეს მოტივი თანდათანობით ძლიერდება მის თხზულებებში, ადრინდელ ნაწარმოებებში ის ისე მკაცრი არაა, როგორც შემდეგი დროისაში. ეს აიხსნება იმით, რომ, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო უცრუვდებოდა მას იმედები და იკვეთებოდა სასოება. არჩილის პესიმიზმს ჰკვებავდა, პირველ ყოვლისა, მისი რელი-

გიური მსოფლმხედველობა, რომლითაც „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა სდგას“ (I იოან. V, 19). მართლაცდა, ეს ბუნებრივი იყო ადამიანისათვის, რომელიც ამბობდა:

ბრძენთ ლათინთგან გავიგონე, ესე მათგან ბრძნულად თქმული:
 კაცი მიწა, აწ სხეული კვალი არის აღგზებული,
 ბოლო ყოვლთა ნაცარია, ქარის პირსა დადებული,
 მართლა უთქვამს წმიდა დავითს: „ერუ ვართ ყოველი აგებელი“¹.

ამ სოფლის მუხთლობა, ცრუობა, წუთიერობა და დაუნდობლობა, რომელსაც არჩილი უჩივის თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში, განსაკუთრებით მძლავრად აღუნიშნავს პოეტს „ქაცისა და სოფლის გაბაასების“ ბოლოს, სადაც ჩვენ ვკითხულობთ:

ვინა იჩემებ, სოფელო. უმუხთლო-უხანობასა?
 იჩქითი რამ ხარ, ანახდი კარგს ავისხედ დასწრობასა;
 ვირე გაუძლო შენს ეგზომს მუდამ ლახვართა სობასა?
 ყოველთა გვათქმევ ამასა: ვა ჩვენსა შენს შესწრობასა! (319).

მიჩვენე გუშინდელისა ყვეილის შევნიერება,
 სად არს სიტურფე, სინახე და მისი ნებიერება,
 ფერი ყირმიზი-ყაყაჩო, თეთობრალი შეიწირება,
 ეგზომ სიყვეთ არ ცუდ ჰყავ. რომე ძლიე დაიწერება. (320).

სადა არს ლაწუთ თეთრ-ყირმიზად შერთვა სიწმიდე ვეცხლისა,
 სადა ვარდობა ბაგისა, თვალთ წყალი მის სიმკვირცხლისა?
 წარბს შევნიერსა წამწამთა ძალუც დაბერვა ცეცხლისა,
 ცხვირსა, მათთ შუა მდგომელსა, ძალი აქეს მკვდრის სიცოცხლისა. (321).

სადა არს თხემის დალალა. ბეჭსა საშვალთა კოწოლნი,
 ყლი, მთიებთა უნათლე, ბედაურთ მკლაგთა წამწოლნი?
 იგი უებრო მიჯნურნი, ერთმანეთთანა არ მწოლნი,
 ერთბამად დაანთქ ყოველნი და უფრო შენნი აზყოლნი. (322).

რა უჯვე შეფე სვიანი, ვისაც ქვეყანა დახარდა?
 პალატი, საესე ლხინითა, ან ის სიცილი ხარხარ და,
 კელაე ნადირთა, შექცევა, იძახდენ: არის ხარ ხარ და!
 აწ ოხრად სტერეტენ ყოველთა, ასე სიმუხთლეს მზა ხარ და. (323).

მზერენ მოწყალის მეფისას პორფირს, ტახტს ცარიელადა,
 ქვემდებარესა გვირგვინსა, სკიპტრას, პყრობილსა ხელადა,
 ხმალს ოკროზუნვილს, რომელი მტრის სისხლით იყო სველადა,
 მის წილს სხვა დასვი უშუერი, ვინ თავი ისახელა და. (324).

მეორე მხრით, მის პესიმოზმს საზრდოს აძლევდა იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა: ამ შემთხვევაში მნიშვნელობა

¹ H 2116, ფ. 105. როდესაც ლაპარაკია არჩილის პესიმოზმზე, მხედველობაში გვაქვს მისი უარყოფითი შეფასება ამქვეყნიური ცხოვრებისა, რომელსაც მის თვალში მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს მხოლოდ გზას, ისიც ეკლიანს, ამ ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადასვენანს, შომაშხადებელს.

ჰქონდა სამშობლო ქვეყნის არევ-დარევასა და მესვეური კლასის უთაურობას და ზნეობრივ გაღატაკებას, რასაც ის დასტირის უმთავრესად „თეიმურაზის ცხოვრებასა“ და „მეფეთა ქებასა და სამხილებელში“ და რაც რელიგიურად გამოთქვა შემდეგ სიტყვებში: „ვერ ხედაეთ, მარტო ჩვენს ეაშვი რამდენი ავი რამ იქმნა? რა ცრვ ფიცობა რა ზაკვა, უნამუსობა, რა ლიქნა?“ („საქართვე-ზნეობანი“, სტროფი 82). ამას თან ერთოდა სოციალური „ძვრების“ ნიშნების მოახლოების შეგრძნობაც: „უაზნონი განგვილადღეს, უმეცარნი პატრის იც-ნეს“, „ცოტას მკამელი ბევრსა სკამს, ბევრისა უფრო ცოტასა“ („ლექსნი ას და ათნი“, სტრ. 20, 21). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის პირად ცხოვრებასაც,—მის სიმწარეს, რამაც თავი იჩინა ერთი ქვეყნიდან მეორეში დაუსრულებელ ხეტიალსა და შწირობაში, ტახტის დაკარგვაში, სამშობლოსა და მახლობელთა მოშორებაში, სხვის კარზე ყოფნასა და სხვისი პურის ჭამაში. ამას თან ერთოდა შეგნება თავისი უღირსებისა, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, და მოხუცებულობასთან ერთად „მებარის“ ან მესაფლავის მოახლოება. ამისი დამასურათხატებელი ადგილები ჩვენ ზემოთაც მოვიყვანეთ, როდესაც არჩილის ნაწერებს ვეხებოდით, და ხელმეორედ აღარ გავიმეორებთ მათ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ არჩილის პესიმიზმს რომანტიკული ნიადაგი არ აქვს ისე, როგორც, საზოგადოდ, მის შემოქმედებაში რომანტიკულ ელემენტს მეტად მცირე ადგილი აქვს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, სულ არა აქვს.

არჩილის პესიმიზმი საბოლოო არაა, ის თავდება იქ, სადაც თავდება ეს ქვეყანა და იწყება „ახალი ცა და ახალი ქვეყანა“. საბოლოო ნუგეშს პოეტტი პოულობს რელიგიასა და ღვთაებაში. მწვავე მომენტში, როდესაც სულით ობლობას განიცდის, ის კრძალულებით ამბობს: „მხოლოდ მივის მეგობარი, ვინცა შექმნა ცათ სამყარო“. გამოუვალ, აუტანელ მდგომარეობაში ის სასოებით შენიშნავს: „მაგრამ უფალი პატრონი გვივის მოწყალედ, შემწედა“; ანდა ასე:

მაგრამ მე ღვთისა იმედი ამაღ არ გაღმივარდება,
 ამაღ რომ არის მოწყალე, ეს ცოდნა მინარნარდება;
 მისი წყალობა, მოხედვა ერთხელ სამხედ მომვარდება,
 აწ მოქუფერილი ყვაილი, მგონია, გამივარდება¹.

სკერეტს რა ფეოდალური კლასის „სტაბილური“ მდგომარეობის შერყევის ნიშნებს, რომ „ამხედრდენ ცხენთა ჩაინდთა მონანი უაზნონია“ (110 ლექსი, სტროფი 37), პოეტი ხელს ჰქიდებს მორალიზატორობას, სხვადასხვა „ზნეობის“ კოდიფიკაციას, რომელსაც შიზნად აქვს პატრონყმური, ან უკეთ—ბატონყმური პრინციპის განმტკიცება: „თავის პატრონსა დამონდით კარგულად, ნუ აე-პირეთა“ („კაცისა და სოფლის გაბაასება“, 274). ამავე დროს მას გული შესტივთ თითქოს „გლეხი-კაცისათვისაც“. „თუ ამოსწყდეს გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდაო“,—ამბობს ის. „ზნეობათა“ კოდიფიკაციის დროს ის გამოთქვამს ზოგიერთ ისეთ აზრსა და შეხედულებას, რაც ღღესაც არაა მნიშვნელობას მოკლებული, ეს აზრის აზრი სწავლა-განათლებისა და ცოდნის მნიშვნელობის შესახებ. აი, როგორ ფიქრობს ის ამის შესახებ:

¹ „სიტყვა სანათლისღებო“, სტრ. 35.

კაცი უნდა ან გვარადა, ან სწავლაში გაიზარდოს, თუ სიბრძნეში გაიწვრთნების, უგვარომანც გაივარდოს¹.

უცოდნი კაცი სადა გინდ უხამსხედ გამამაცდება, როს მართებს, ვლარ ივარგებს, საქმესაც ბევრსა დასცდება, მუდამ ღინცილობს, მრავალჯერ კუდმუდი სიტყვა წასცდება, ცოტანანს თუცა რამ იყოს, სიბრიყვით მალე წახდება².

თავისი მასწავლებლების, რუსთაველისა და თეიმურაზის, შეფასებისას, არჩილი მათ ყველა პოეტზე მალა აყენებს, მაგრამ ერთ რამეს არ უქებს მათ („თეიმურაზიანი“, სტრ. 37):

სრულად იტყვიან, უცლებლად, ამბავსა, სპარსთა ნაქორსა.

მან თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში მართლაც დაგმო „სპარსთა ნაქორი ამბავი“, ესე იგი ლიტერატურაში უპირატესობა მისცა არა „სპარსთა“ ამბებს, არამედ ნაციონალურ, ეროვნულ, ქართულ, და არა „ნაქორ“, მოგონილ, ფანტასტიკურ, საღეგვმირო ამბებს, არამედ ნამდვილს. ამ მხრივ არჩილი ძველ ქართულ ლიტერატურაში ნაციონალური და „რეალისტური“ მიმართულების მკვეთრი წარმომადგენელია, ამისი გამომხატველია მისი ისტორიული პოემა, აგრეთვე შეუბრალებელი მხილება თანამედროვე, ნამდვილი, რეალური ქართული ცხოვრების ნაკლულოვანებათა. ამ შემთხვევაში არჩილი განმტკიცებელია იმ საქმისა, რომელიც პირველად წამოიწყო მისმა მდივანმა ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ „შაჰნავაზიანიში“, მხოლოდ მან ეს საქმე უფრო წინ წასწია და უფრო მალა საფეხურზე აიყვანა.

არჩილი იცავს ენის სიწმინდეს, თუმცა ის რუსიციზმებს არ გაურბის.

რაც შეეხება არჩილის ლექსს, ფორმის მხრივ, წინა დროის მწერლებთან შედარებით, ის საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. მთავარი ლექსთწყობა მისი არის 16-მარცვლიანი შაირი. მეორე ადგილი უკავია ჩახრუხაულს, რომელშიც ის არანაკლები ვირტუოზია, ვიდრე თვით ამ ლექსთწყობის მამამთავარი. ამ საზომის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს „მეფეთა ქება და მხილებანი“, სადაც ავტორს მოუცია „თამარ წუნარი, შესაწყნარი“-ს საუკეთესო პარალელი, რომელიც ზემოთ ამოვწერეთ. რითმის სიმდიდრით, პოეტური ფიგურებით, შედარებებითა და აფორიზმებით არჩილის ლექსი მისი მასწავლებლის თეიმურაზ პირველის ლექსის საუკეთესო მიბაძევაა. არჩილს აქვს საეკლესიო იამბიკოებიც, მათი დამახასიათებელი თვისებებით.

შეუღარებელია არჩილი აკროსტიკებში ან, როგორც თვითონ უწოდებს, „ანბანთქებაში“. ამ მხრივ მას აქვს ისეთი ნაწარმოებნი, რომლებშიაც პირველი სტროფის ოთხივე სტრიქონი იწყება ა-ნით, მეორე—ბ-ნით, მესამე—ბ-ანით და ასე ბოლომდე³. არის ისეთი, რომელშიაც თითოეული სტრიქონი,

¹ „თეიმურაზიანი“, სტროფი 417.

² „საქართველოს ზნეობანი“, სტრ. 74.

³ „ლექსნი ამიყანად სათარგმანებელნი“, „ანბანთსაქებელნი და სავედრებელნი ღეთის-მშობლისანი“.

პირველიდან უკანასკნელამდე, იწყება საკუთარი ასოთი ა-დან ჟ-მდე¹. მოეპო-
 ვება არჩილს ისეთი სტროფები, რომლებშიაც პირველი სიტყვა იწყება ა-ნით,
 მეორე—ბ-ანით, მესამე—გ-ანით და ასე ბოლომდე. ასე რომ ერთ სტროფში
 ამოწურულია მთელი ანბანი²; ანდა: პირველ სტროფში ყველა სიტყვა იწყე-
 ბა ა ნით, მეორეში—ბ-ანით, მესამეში—გ-ანით და ასე, ამ ანბანბჭებას პოეტი
 უწოდებს „ახალშემოდებულს“³. მრავალფეროვანია აკროსტიქებიც არჩილის
 ნაწერებში. არის ჩვეულებრივი ტიპის აკროსტიქი—პირველი სლო სტრიქონე-
 ბისა მარცხნივ⁴. არის ისეთებიც, სადაც მხედველობაში მიიღება სტრიქონე-
 ბის არა მარცხნივი, არამედ მარჯვნივი, სტრიქონთა უკანასკნელი, ასოებიც.
 განსაკუთრებით საყურადღებოა ამ გზით შემდგარი ჩახრუხული ლექსი, რო-
 მელიც ზემოთ მოვიყვანეთ. დასასრულ, უნდა აღინიშნოს არჩილის ერთი თა-
 ვისებური ლექსი, რომელსაც ის უწოდებს „ეტლებრ მბრუნავ ლექსს“ და
 რომლის შესახებ ის ამბობს:

არ გიკვირსთ ჩემთა მნახეთა, ვით მოვიცალე ადგენად,
 ეს ლექსი, ჩარხებრ მბრუნავი, აწ მოვიგონე უსმენად,
 ერთ სტრიქონს სიტყვა რამდენი აქვს, ლექსიც იქმნა იმდენად.
 ნამღვეი ვარ, თუ ჩემს წინათ ვთქვას ვის, იყოთ მოსმენად⁵.

თვით არჩილიც გრძნობდა, რომ მისი ლექსები ერთგვარ ლირებულებას
 არ იყო მოკლებული. ერთ-ერთ უკანასკნელი დროის ნაწარმოებში ის შე-
 ნიშნავს:

ვმე, მელექსენო, ლექსისას ვერ ბრძანებთ უეარგობასა,
 მის-მის ადგილთა სიტყვათა, მუნასობთ მოძვირობასა,
 თუ არ დამლოცოთ, ნურც დამწყვეთ, ჰრიდეთა ავირობასა,
 ამიერიოგან ვღუმენი ლექსთა თქმა, შაირობასა⁶.

საინტერესოა, რომ არჩილს, პეტრე დიდის პოლტავაში შეედებზე გა-
 მარჯვების გამო, დაუწერია რუსულად ლექსი, რომელიც, საგანგებო წერი-
 ლებთან ერთად, გაუგზავნია თავად ჩენწიკოვისათვის⁷.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიცანით თეიმურაზისა და არჩილის ლიტერა-
 ტურული მოღვაწეობა, ნათელი ხდება თეიმურაზის უძლიერესი გავლენა არ-
 ჩილზე. ეს გავლენა ჩანს როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. თეიმუ-
 რაზს აუღია თავისი შემოქმედების ერთ-ერთ მოტივად ეროვნული მოტივი და
 დაუწერია საისტორიო პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“; არჩილიც წერს
 საისტორიო პოემას—„თეიმურაზისა და რუსთველის შედარებას“. თეიმურაზი

¹ „ანბანბჭება ცხრა თავი“.

² E. Tkaishvili, Описание, II, გვ. 153.

³ „არ ადვილია აღკრძალვა ამოებისა ამისა“.

⁴ H 211b, ფ. 201.

⁵ „არჩილიანი“, ტ. 1, გვ. 70, სტრ. 44.

⁶ „თქმული ნახარალი ხანხე“ (S 1624, ფ. 31), ან „ვისრამიანის“ ბოლო სტროფი (743).

⁷ ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, „ლიტერატურა და ხელოვნება“-

წერს რელიგიური და საერო ხასიათის თხზულებებს, ასევე იქცევა არჩილ მეფეც. თეიმურაზის პოეზიას თან ახლავს რელიგიურ-მორალური და ასეკურ-მისტიკური ელფერი; ეს ელფერი არანაკლებ ახასიათებს არჩილის ნაწარმოებთ. თეიმურაზის მსოფლმხედველობას გადაკრავს პესიმისტური იერი, რომელსაც ორი საფუძველი აქვს, სოციალურ-პოლიტიკური და პირადული. და რომელიც, ბოლოს და ბოლოს, რელიგიაში პოულობს გამოსავალს; ეგვევ უნდა ითქვას არჩილის შესახებაც. თეიმურაზი „საკაცო“ ან საერო თხზულებათა წერას უსაქმობისა და ტყუილად გვების გამოჰკიდებს ხელს, ის მას ეძახის „ცუდად ლაყბობას“, უპირატესობას „საღვთო“ წიგნების წერასა და კითხვას ანიჭებს; ამასვე ვხედავთ არჩილის ნაწერებშიაც. თეიმურაზი წერს მაჯამას, მაჯამასვე წერს არჩილიც. თეიმურაზი რუსთველურ შაირთან ერთად ჩახრუხაულსაც ხმარობს, ასევე იქცევა არჩილიც. თეიმურაზს შემოაქვს თავისებური აკროსტიქი ან ანბანთქება; ასევე იქცევა არჩილიც, რომელიც თეიმურაზისაგან სესხულობს ერთ აკროსტიქულ სისტემას. თეიმურაზმა განამტკიცა საგანგებო ლიტერატურული ეანრი, დიალოგი, გაბაასება, რომელიც უფრო მეტად გამოუყენებია არჩილს.

განსხვავება ამ ორ მწერალს შორის მდგომარეობს უმთავრესად იმაში, რომ არჩილის შემოქმედებაში უფრო ძლიერია ეროვნული მოტივი. თეიმურაზი უფრო მეტად ეტანება აღმოსავლურ „ნაქორ“ ამბებს, არჩილი კი გაურბის ფანტასტიკას და მკადაგებელია ლიტერატურაში „მართლის თქმისა“, ამდენად ის „რეალისტი“ მწერალია.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ არჩილს, სხვა მელექსეთა შემფასებელს¹, ჯერ კიდევ თანამედროვეთა შორის გამოუჩნდნენ შემფასებელნი. ესენი არიან მისი თანამოდელნი გივი თუმანიშვილი და დაუთ თურქისტანი-შვილი, რომელთაც საქიროდ დაინახეს 1701—1706 წლებში შეედგინათ მისი ნაწერების მთელი კრებული, და პეტრე მგალობელი, რომელიც ამბობს:

სიბრძნე უმჯავსე სოლომონს, მეფედ ვერ სჯობდა მანასე,
ენარტორობს უბრყვნილად, პლატონ თდეს თქვა ან ასე,
უმჯობეს მთქმელსა ვერვის ვსცნობ, ნუ თუ ვინ იტყვის ან ასე?
ვინათგან ღმერთმა შეამყო, ვერამ სულდგმულმან ანასე!²

სამწუხაროდ, შემდგომმა თაობამ იმდენად დაკარგა თანამედროვეთა აღლო და გაგება არჩილისა, რომ, ერთი მხრით, სულ უკანასკნელ წლებამდე გამოცემულიც კი არ იყო მისი უკედავი „არჩილიანი“, რომლის ამომწურავად თვლიდნენ მხოლოდ „თეიმურაზისა და რუსთველის შედარებას“, ხოლო, მეორე მხრით, შესაძლებელი გახდა ისეთი კრიტიკული შეხედულების გამოთქმა, ვითომც არჩილის ლექსებში არ არის ის „აღმაფრენა“, ურომლისოდაც თხზულებაში ყველაფერია პოეზიის გარდა³.

¹ იხ. მისი „ძველთა და ახალთა ქართველთა მელექსეთათვის“, ტ. II, გვ. 3—5.

² H 2116, ფ. 180; E. T a k a მ ა ვ ა მ დ, Описание, II, გვ. 156.

³ ა. უმიკაშვილი, დავითიანი, 1881 წ., გვ. X; ხ. კიკინაძე და მასთან ერთად ა. ხახანაშვილი არჩილ მეფის მიაწერენ კიდევ ხუთსტროფიან ლექსს „ბაროლის სვეტი“ და თხზულებას „ნარაგოზიანი“ („ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში“, გვ. 22, 23; „Очерки“ III გვ. 99), მაგრამ ეს, როგორც დავინახავთ, სიმაართეს არ შეეფერება.

3. პახანგ მუქვისა

ვახტანგ ლევანის ძე დაიბადა 1675 წელს და იზრდებოდა ისეთ პირობებში, რომ, საკვირველია, როგორ პოულობდა ის დროს სწავლა-განათლებლისათვის საზრუნავად. 1703 წელს, როდესაც ვახტანგი ქართლის გამგე შეიქნა. ის ჩვენ გვევლინება როგორც ჰქვიანი, ენერგიული, განათლებით აღჭურვილი და ახოვანი ადამიანი. მის განათლებას ორმაგი ხასიათი ჰქონდა: სასულიერო და საერო; ზედმიწევნით იცოდა საეკლესიო ლიტერატურა და აგრეთვე საერო მწერლობა, ქართული და სპარსული. ამავე დროს ის იყო ნამდვილი მეცნიერი და მოტრფილ მეცნიერებისა. თავისი ლიტერატურულ-მეცნიერული მიდრეკილება და ალლო მემკვიდრეობით გადასცა მან თავის შვილებს: ბაქარს, ვახუშტისა და პაატას¹. ცხრა წლის პერიოდი, როდესაც ვახტანგი ქართლს განაგებდა (1703—1712), იყო უნაყოფიერესი ხანა მისი კულტურულ-ლიტერატურული და სამეცნიერო მოღვაწეობისა, რომელიც შემატანიანებს მეტად მკრთალად აქვთ აწერილი². ამ პერიოდში მან გამოუშვა, სწავლულ კაცთა დახმარებით, „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია, გასწია განმაცვიფრებელი საკოდიფიკაციო შრომა, რომლის შედეგი იყო ეგრეთ წოდებული „ვახტანგის კანონები“ და „დასტურლამალი“, და დააარსა თბილისში 1709 წელს სტამბა, რომელმაც ასე გაამდიდრა ჩვენი წიგნის ბაზარი. ამ სტამბიდან გამოვიდა, სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა (1712 წ.) ვახტანგის კომენტარებით, რომელიც შეადგენს ამ ნაწარმოების მეცნიერულად გათვალისწინების პირველ ცდას და რომელშიაც ავტორმა მოგვცა პოემის სუფეტისა და შინაარსის მორალურ-დიდაქტიკური ინტერპრეტაცია. ამ დროს უთარგმნიანებია ვახტანგს სპარსულიდან „ბარამჯულანდამიანი“, „მახტიარნამე“³ და დაუწყია „ამირნასარიანისა“ და „ქილილა და დამანას“ თარგმნი. 1712 წლის 23 აპრილს შეწყდა ვახტანგის თავგამოდებული მუშაობა ქართლში. ის იძულებული შეიქნა წასულიყო ყვენთან სპარსეთს, სადაც 1714 წლის 10 მარტამდე ისპაანს ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ 1716 წლის 1 ივნისამდე, ქირანს. აქ მოწყენილობისა და უსაქმობის გამო, როგორც თვითონ ამბობს, მწერლობისათვის მოუკიდია ხელი და დაუმთავრებია თარგმნი „ქილილა და დამანასი“, რომელიც ქართლში გამოუგზავნია შესასწორებლად სულხან-საბა ორბელიანისა და ონანა მდივნისათვის. 1716 წლის 1 ივნისიდან 1719 წლამდე ვახტანგი კიდევ სპარსეთში იპოვებოდა, რო-

¹ ვახუშტი და პაატა იყვნენ ვახტანგის „უკანონო“ შვილები. მათ გარდა, მას კიდევ ჰყოლია მესამე უკანონო შვილი როსტომი, როგორც ეს ჩანს თირის მონასტრის (ცხინვალის ხეობით, ქუროთას თავში) საფლავის წარწერიდან, რომელიც ჩვენ 1924 წლის ხაფხულში თვითონ ამოვიკითხეთ: „ქ. ყოვლად: ქებულის: მეფის: არჩილისა: და: დიდად: სახელოვანის: ქართლის: მეფის: გიორგის: ძმის: ყოვლად: შემკულის: ბატონის: ლევანის: ძე: საქართველოს: გამგებელი: ბატონიშვილი: ვახტანგ: ვიყავ: სამკვიდროსა: მამულსა: სოფელსა: ამას: რაოდენთავე: წელთა: და: მიიტყალა: ძე: ჩემი: პირშო: ბატონიშვილი: როსტომ: და: დაეფალ: ეკლესიასა: ამას: შინა: სამკვიდროსა: მამულსა: ჩემსა: ქრისტეს: აქეთ: ჩჰატო:“ (იხ. ქრონიკები, II, გვ. 509).

² ვახუშტისა და სეხნბა ჩხვიძის („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 71, 323).

გორც ერანის სპასალარი, რომელსაც შაჰმა უბოძა ამასთანავე თავრიზი და ბარდა. ამ დროს უნდა ეთარგმნა მას „მირზა თავრიზელის წიგნების კითხვითა და თანაშეწევნით“ სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი, ზიჯი თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნი (ასტრონომიული შრომა), რომელიც დაიბეჭდა თბილისში 1721 წელს. ამავე დროს „გადმოუღია“ მას სტროლაბიუ ქართულად¹. 1719 წლის 7 აგვისტოს ვახტანგი ქართლს დაბრუნდა და ჩვეულებრივ მუშაობას შეუდგა. ამ დროს მის გააბარესეთთან დიპლომატიური ურთიერთობის ქსელი, რამაც გააწვევა მისი დამოკიდებულება სპარსეთთან და ოსმალეთთან, ასე რომ 1724 წლის ზაფხულში, 10 ივნისს, ის იძულებული შეიქნა ქართლი მიეტოვებინა და ცოლით, შვილებითა და მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთს გადასახლებულიყო იმ იმედით, რომ რუსების დახმარებით საბოლოოდ თავს დააღწევდა ოსმალთა და სპარსთა ბატონობას. როგორც ვიცით, რუსეთში ის ხან მოსკოვს ცხოვრობდა, ხან პეტერბურგს, ბოლოს, იმედგაცრუებული, გადმოვიდა ასტრახანს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1737 წლის 26 მარტს². ლიტერატურულ მუშაობას ვახტანგი რუსეთშიაც განაგრძობდა. მაგალითად, მოსკოვში გაულექსავს მას „ამირნასარიანი“ და „მოკლედ სიტყვისგება სოგრატიში“. რუსეთშივე დაუწერია მას მომეტებული ნაწილი ლირიკულ თხზულებათა, რომელთა მიმოხილვას შევეუდგებით ახლა³.

ვახტანგის ლირიკა გამომხატველია არა მარტო მისი უკულმართი ბედისა, რომელიც მას ხან სპარსეთში გადაადგებდა და ხან რუსეთში, არამედ მისი ქვეყნისაც. საჩივარი ბედის უკულმართობასა და წუთისოფლის ვერაგობაზე, სევდა, გამოწვეული საყვარელი და კეკლუცი სამშობლოს მოშორებით, საჩივარი ადამიანთა გაუტყნობაზე, ღვთისადმი სასიება, რომელშიაც ის პოულობს ნუგეშს სულიერი კრიზისის დროს, ბრძოლა ავრესობებთან და მათი კლანჭებიდან სამშობლოს განთავისუფლებისათვის გზების ძიება,—აი, მისი ლირიკის მთავარი მოტივი. ამ მხრივ ვახტანგი დაკავშირებულია თეიმურაზისა და არჩილის ლირიკასთან.

ვახტანგის ლირიკულ შრომათაგან უნდა აღვნიშნოთ:

1. „მეფე ვახტანგ, სამეფოსაგან კიდევანქმნილი, საღბუნად გულითსა წყლულებათათვის მკურნალ თავისა თვისისათვის იქმნების და სწერს ესრეთ ესპაანს“⁴. პოეტი შენიშნავს, რომ მან მიატოვა ყველაფერი, რაც მისთვის ძვირფასი იყო და გვისურათებს სულის ობლობას, რომელსაც განიცდის ის. მერე აგვიწერს „კეკლუტთა ხელმწიფის“ მშვენიერებას, მის თვალწარმტაც

¹ А. Цагарели, Сведения, I, гл. XL—XLI, შენიშვნა.

² 1725 წლის ბრძანებით მას დაენიშნა სამონასტრო შემოსავლიდან წლიურად: 24000 მანეთი, 16 ტონა ფქული, 8 ტონა შვრია, 600 ტონა თივა, 1066 მეტრი ზეშა. ყველაფერი ეს მის ოჯახს ეძლეოდა 1792 წლამდე.

³ ვახტანგის ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოსცა ა. ბარამიძემ (ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, თბ., 1947 წ.). ესარგებლობთ ამ გამოცემით, თუმაცა ზოგიერთი ჩუნი ნიმუში სხვა რედაქციითაა წარმოდგენილი.

⁴ S 171, გვ. 1—14; B 4500; ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 10—23.

სილამაზეს და იმ გრძნობებს, რომელთაც იწვევს მოტრფიალეთა გულში მისი პერეტა. ეს „კეკლუცი“ არის მისი სამშობლო, ქართლი, თუმცა პირდაპირ ის ამას არ ამბობს. მერე კონკრეტულად ახასიათებს ქართლის სხვადასხვა კუთხეს, მათ თვისებებს, და მოიგონებს, როგორ ატარებდა ის დროს ამ კუთხეებში. დასახელებულია: თბილისი და მისი აბანოები, დიდგორი, ლილოს ტბა, კოეორი, თრიალეთი, ქცია, შამბიანი, შაენაბადი, ტბისყური, ღრმახევი, სომხითი, ხუნანი, ყარაია, ლოკინი, ნაყორულევი, აღრინტალი. განსაკუთრებით პოეტი ხაზს უსვამს ნადირობით შექცევას ამ ადგილებში, რაც, სხვათა შორის, მემატრიანებსაც აქვთ აღნიშნული¹. ჩამოთვლილია მერე წმინდა უღამნოები: დავითგარეჯა, ბეროუბანი, ჩიჩხიტური და ნათლისმცემელი, სადაც ავტორი მოვიდოდა ხოლმე ნადირობისა და შექცევის შემდეგ სალოცაეად. ყოველივე ამის მომგონე, ის ამბობს:

საწუთროა მიუნდობი, მოყვისათვის დასაქრული,
ჩალხისებრივ დაუდგომად თავსა ბოლოდ მოარული;
გქონებოდეს ესე ყოფა, გაგებადოს დაქარგული,
გაუძლია უქონელად განა სალი კლდეებზე გული? (65).

პირველად მოლხინებული შამბიანისა არებსა,
სასომხითოსა, დიდგორსა, ყარაის გასახარებსა,
საშუებსა შესაქცეველსა, სამუდმოდ დაუზარებსა,
აწლავა დამსვა მარტოკა ქუჩუქოვისა სარებსა. (66).

ამის შემდეგ პოეტი გადმოგვცემს, როგორ მოიძულეს ის თავისიანებმაც კი, რა მახეს უგებდნენ მას და როგორ ჩაადღეს ის ასეთ მწვავე მდგომარეობაში, რომელსაც ის განიცდის. საკვირველი ისაა, განაგრძობს პოეტი, რომ მე თვითონ მკიცხავენ იმისათვის, რომ სამშობლოში არა ვარ:

მეფეს არჩილსა სძრახავედენ, სხვათავენ მიმოვლელია,
განათლებულსა სახლკარსა შეეკმნა დამანელია,
მასვე მძრახავენ, არ ვიცი, სხვანილა რა საქნელია,
ლოში, ვეფხურად კისკისი, ჭუთითა განა მთელია? (68).

„ვეგობ საწუთროსა მუხთალსა, უცხოსა გასაკვირასა“, წამოიძახებს პოეტი, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს: „მოველი ღეიხისაგან ბოლომდი მეცალია გასახარებსა“-ო, — შენიშნავს ის. თხზულება დაწერილია, როგორც სათაურშიც არის აღნიშნული, ისპაანში. § 4500 ხელნაწერით ეს თხზულება დაწერილია ქირმანში (გვ. 245), მაგრამ ეს მართალი არაა, რაც შემდეგიდან ჩანს: პოეტი, როგორც ზემოთაც ამოვწერეთ, ამბობს, რომ როდესაც ის წერს ამ შრომას, ზის ან ცხოვრობს ვილაც ქუჩუქოვის სახლში, ამ სახლში კი ის სწორედ ისპაანში ცხოვრობდა. ამის შესახებ „ქილილა და დამანაში“ ვკითხულობთ:

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 75, 324.

მეტყვიან ხოლმე, რასთვის გაქვს ჰირი, კმუნვა და წყინება?
ქუბუქას სახლსა ვსწუნობდი, როგორ ნუ მომეწყინება?
ახლა ქირმანსაჲ დამკარგეს, დამეიწყდა ამას წინება,
არ ვუკვობ, შერჩეს ლეთისაგან, ვინც ზემთვის ესე ინება¹.

ამ ნაწარმოებს ჯერ კიდევ ვახტანგის სიცოცხლეში და მისივე ხელით
სამი რედაქცია განუცდია. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ პირველ სამ
სტროფს სამივე რედაქციით.

პირველი რედაქცია მოთავსებულია S 4500 ხელნაწერში, რომელიც გა-
ლაწერილია 1733 წელს².

მრწამს მისის სარჯლით აშემული ჯოჯოხეთს პირი იცოდა,
მას ვეფდრები, რომელმან არარა ცოდვა იცოდა,
მას შემწედ ვბადი მის წინა, ვინ სულის წმიდით იცოდა:
შემინდოს ყოვლი რეგნობით, რაც ზემგან რამე იცოდა.

გამსაჯა მიწყვი სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,
არ შემეწყალა არათი, არ გამომართვა აჯამა,
ამაესებინა ცრემლითა კალთა, ფიალა ა ჯამა,
მწვე მომაწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა.

დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისინი, ტომნი, მონა, ძები,
დავკარგულვარ უცხო თემსა, ვარ არვისგან მონაძები;
ვინ დამბადე, შემეწყალე, ყველასგან მონაძები,
შემომძარცვე, რაც მაცვია, ჰირი, კმუნვა, საძაძები³.

ორი რედაქცია გვაქვს S 171 ხელნაწერში. აქ ჯერ მოყვანილი ყოფილა
ერთი რედაქცია, რომელიც მერე თვითონ ვახტანგს საკუთარი ხელით შეუს-
წორებია. შეუსწორებელი რედაქცია ასე იკითხება:

სარჯელისაგან სარჯელი დაუგდებელი იცოდა,
უძვირესადრე გავადე, ნასაქმარებმა იცოდა,
გამომიტაცოს ვეფდრივარ, ვინ სულისაგან იცოდა,
მისგანვე მიხსნას, რომელი დაუფარავად იცოდა.

მაუბედურა სოფელმან, ნამეტნავობით აჯამა,
შეუწყალობით მოილო გამოურთმევი აჯამა,
ამაესებინა ცრემლითა საბალქოშენი აჯამა,
უბრალოდ შემომიწყინა ზეგარდმო სულმა ჯაჯამა.

დავაგდე სამკვიდრებელი, მოყვასი, მონა, ძები,
სხვას თემად გადმოვიკარგე. არვისგან მონაძებია;
გამომიყვანე წყალობით გავარდნილ მონაძებია,
მომბადე შესამოსელი საგლოვი, საძაძებია.

¹ „ქილილა და დამანა“, ი. კეო ნი ა ს გამოცემა, გვ. 11.

² E. Такашвили, Описание, II, გვ. 397.

³ ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 10.

ეს სტროფები მერე ვახტანგს შემდეგნაირად შეუსწორებია:

აშემული პირი სარჯლისა სარჯელისაგან იცოდა,
უძერესადრე გავალე, ნასაქმარებმა იცოდა,
გამოშიტაკოს წყალობით, ვინ სულისაგან იცოდა,
მისგანვე მიხსნას, რომელი დაუფარავად იცოდა.

ბედი მიმდარა სოფელმან და ნაშეტებით აჯამან,
შეუწყალობით შოილო გამოურთმევი აჯამან,
ამავსებინა ცრემლითა საბალქოშენი აჯამან,
ქვედამამდაბლა, უბრალოდ მოსავალისა ჯაჯამან.

დავაგდე სამკვიდრებელი, მოყვასი, მონა, ძებია,
სხვას თემად გადმოვიყარე არვისგან მონაძებია,
აწ დაერჩომილვარ ღარბად გავარდნილ, მონაძებია,
ვგების შემომქარკოს საგლოვი, საძაძებია.

თხზულებაში მოხდენილი პოეტური სტროფებიც გვხვდება, მაგალითად:

ქამანდებსა შეუყრავარ, ტბასა მელნის დასანთქმელად,
შავი მშვილდი მოხიდული გამოშესრვის დაუდგმელად,
ალმასი და იაგუნდი, მარგალიტი სისხლთა მსმელად,
ბროლი სვეტი მიმოხიდაეს საჭიროსა შესასმელად.

ლაწვი მწყაზარი, თმა გრუხი, თვალები დანაშავია,
შვიდთავე გამოშნათობთა შეუძლებარი დაჯია,
მოსუფთო, დაწყენარებული, კვლუტთა მოსართავია,
უკვდავებისა ბაგები შაქრითა. შენახავია.

2. „ტრფილისაგან სატრფოსათვის შაირობა“¹ („სატრფიალონი“). ამ თხზულების თავში ნათქვამია: „მკითხველთა უხმს გულის ხმირება, თუ ვისიდამე ტრფიალებს მეფე, სახმარ არს ყური სმენად და გული გამოკვლევად“. ამის შემდეგ იწყება:

თქმულა ლექსი გვარიანი სასწავლოთი გამაზარად,
გასასინჯი ორ-სამობით სიბრძნეზედა შოუზარად,
რუსთველს სამად გაუყვია: საამბოდ და მოსახზარად,
ჩადებული დამოკლებით, მოსალხენი საშწუზარად.

ავტორი აგვიწერს სატრფოს მშეენებას, გამოთქვამს მასთან მიახლებისა და ყოფნის სურვილს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს იმასაც, თუ რა კრძალულებითა და გრძნობებით უნდა უახლოვდებოდეს მას. ამის შემდეგ ავტორი შენიშნავს:

გამიკუდდა ცოლვისაგან საფიქრალი მოსაგონი,
ერთობითა მტერსა დარჩა საჩემონი მოსაგონი.

¹ S 171, გვ 18—33; S 4500, გვ. 267—289 (აკლია); S 526, გვ. 23; ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 24—42.

გარდამავდო საწუთრომან ასე, ვითა წამონარცხი,
დიდებანი პირველივე აღარა მაქვს წანონარცხი.

წინაშედა ვარ მცოდველი, ცოდვისა ძალის მძლეველი,
ვა, თუ დავიწვა, შევიქნა შენგანცა დასაწყვეელი.

მიბრძანებდა: მონა მსლველი ნულარასა დაიხარობ,
რაცა გამცნო, მოქმედებდე, გონებასა ნუ სადარობ,
საწვრთნელები შეისმინე, უმეცრებით ნუ იმწარობ,
მიიხვედრებ საწადელსა, სამწუხაროს დაიწყნარობ

თუ დამიარხავ ჩემისა სწავლისა სიტყვა-თქმულებსა,
საყურისებრივ გაიყრი, შემოიმადგრებ გულეზსა,
დღეებსა შემოგიმატებს, ზეადგიფრინებს სულეზსა,
სოფელსა შემოიძინებ, გადაურჩები წყლულებსა.

აქედან ცხადია, თუ ვინაა ის პირი, ვისაც ეტრფის პოეტი: ეს არის ღმერთი, რომლის წინაშე, ცოდვებით დამძიმებული, ის კანკალებს და რომელიც წინადადებას აძლევს მას—დაიმიარხოს მისი სწავლა და მცნებანი. მერე, მართლაც, კონკრეტულადაა ჩამოთვლილი და გალექსილი ეს სწავლანი და წამებანი: ათი მცნება, შვიდი საიდუმლო, ცხრა ნეტარება, სულისა და ხორცის მოვალეობანი, პაექრობის სახით. ყველა ამის შემდეგ პოეტი მიმართავს ხობითა და შესხმით სამებას, ღვთისმშობელს, ჯვარსა და მოციქულებს: პეტრეს, პავლეს, ანდრიას, იოანეს, ფილიპეს, ბართლომეს, თომას, იაკობ ალფესძეს. ლებეოსს, სვიმონ კანანელს, მეორე სვიმონს, უფლის ძმას. მერე ავტორი დაპარაკობს იმის შესახებ, რომ ადამიანი მუდამ შხად უნდა იყოს სატრფოს სიამოვნებისათვის, კვლავ უბრუნდება თაყის სავალალო ბედს, მაგრამ იმედს არ ჰკარგავს: მოიგონებს რა ძმების მიერ ეგვიპტეში გაყიდული იოსების ამბებს, შენიშნავს: „რად შევიწუხებ, არ არის განგების მოცალეობანი“.

თავისი სატრფო, ღმერთი, პოეტს წარმოდგენილი ჰყავს ქვეყნიური სატრფოს სახით და ისეთივე შტრიხებით გვისურათებს მას, როგორც ნამდვილს:

ტურფაო, კვლუობითა მოსანდომელო არედა,
შენამხედველსა მიჯნურსა საკვირველობით არე და,
ნარნარი მიხედ-მოხედვა სატრფიალოთა არედა,
კიპაროზისა საგვანსა მიდამოებით არედა.

ლაწი ვარდად, პირი შროშნად, ტუჩები გასალაღად,
თვალ მელანი, წარბი სათი, თმა სუმბული, კბილი სრაღად.
ჯლი ფრცხლი, ძუძუები ბროლისაჯან განათაღად,
ტანი ალვად, ხელმკლავები შოლტებია დასაკრალად.

ბეცხვარებთან დადგები, ვიელი სამთოსა ბარებსა,
ნარგისსა თვალად უყურებ, თმისათვის იისარებსა,
ტანადობისთვის საროსა, ღაწვს ვარდთა მახარებსა,
კირსა მოვრჩები, უმზერი პირსა, ზამბაშთა დარებსა¹.

ეს შაირობა ნათქვამია, როგორც სათაურშია აღნიშნული, „დიდსა ქალაქსა მოსკოვს“, და ისიც სამი რედაქციით შენახულა, სამივე რედაქცია ვახტანგს ეკუთვნის. პირველი რედაქცია, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერში № 4500, თვალსაჩინოდ განსხვავდება ორი დანარჩენისაგან. სანიშნულად მოვიყვანთ ერთ სტროფს:

აკსა მართებს, სამიჯნუროს რომ ეძებდეს ერთრამ კარგსა,
არ შეუდრეკს მისთვის კირსა, არ ხედვიდეს სხვისა ნარგსა.
მისთვის ცეცხლი ბან-ბან უჩნდეს, მეფობისა შენადარგსა,
დასთმოს წუთი კეთილობა, სოფლით გვანდეს განაბარგსა¹

ორ სხვა რედაქციაში ეს სტროფი ასე იკითხება:

უმჯობეა დაეძებდეს სამიჯნუროს გასაფარგსა,
შეუდრეკი კირისათვის, დაუბედი სხვისა ნარგსა,
მისთვის ცეცხლი გაეხამბოს, მეფობისა შენადარგსა,
დაითმინოს საშეებელი, დაეგვანოს განაბარგსა².

ორი უკანასკნელი რედაქცია წარმოდგენილია № 171 ხელნაწერში. მათ შორის დიდი განსხვავება არაა, მხოლოდ ვახტანგს რამდენიმე ახალი სტროფი ჩაუმატებია შერე და ორიოდ სტროფი სულ შეუცვლია. მაგალითად, თავდაპირველად უოფილა:

უნდოს ზილსა ვაშლისასა ებეერების შენებანი,
თვალ-ცხვირებსა გაახარებს პირისაგან სანებანი,
აკსა გვირდეს გონიერსა ამა გზითა მოკლებანი,
სამწელია მოყვასისა დასაყლისისა ენებანი.

ვახტანგს ეს სტროფი წაუშლია და თავისი ხელით არშიაზე მიუწერია.

ვაშლისა ზილსა უნდოსა ებეერობს შენებანი,
თვალსა და ცხვირსა ახარებს პირისა სანებანი,
გონება-ერცელსა მოგჭონდეს მახედა მოკლებანი,
ძელია მოყვარისათვის საქნელად საენებანი.

3. მაჯამა. თეიმურაზისა და არჩილის მსგავსად, ვახტანგსაც უცდია თავისი ძალა მაჯამის დაწერაში³. ეს ნაწარმოები არის მაჯამა იმიტომ, რომ მისი სტროფები ომონიმური რითმებით არიან შემკული, აგრეთვე იმიტომაც, რომ ის წარმოადგენს, როგორც თეიმურაზისა და არჩილის ანალოგიური შრომანი, სხვადასხვა ლექსის კრებულს, მხოლოდ ვახტანგის „მაჯამა“ წარმოადგენს არა დამოუკიდებელ ნაშრომს, არამედ, როგორც ეს გამოარკ-

¹ S 4500, გვ. 267.

² S 171, გვ. 17, იხ. აგრეთვე „ვახტანგის სტროფი; E. Такайшвили, Описание, II, გვ. 406.

³ S 1543, 21—29 (მეორე ნახევარი); E. Такайшвили, Описание, II, გვ. 176; ვახტანგ VI, თბზულებათა კრებული, გვ. 43—50.

ვია ა. ბარამიძემ¹, ამოკრებილ სტროფებს ზემოდასახელებული მისი თხზულებებიდან, აგრეთვე ერთი ელეგიიდან. გამოკრება მექანიკურ ხასიათს არ ატარებს.

შედგება ის ცხრა ლექსისაგან, რომელთაგან ზოგი კეკელუცი სატრფოს მკობასა და ხობტას წარმოადგენს, ზოგი კიდევ თავისი უკუღმართი ბედისა და ცხოვრების გლოვას².

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ბემა ნათქვამთა მოწმობა კელაე ლექსმა მიყო მაჯამა,
 ცრემლთა ნაკადმა აავსო, ნახეთ—გაცნობით მაჯამა,
 დამწეა სოფლისა საცთურმან, ველარა სცემოს მაჯამა,
 უკეთ არ მწამდეს იმისგან, მკითხოს ძეჩიტმა, მაჯამა.

პირველი მაჯამა შეიცავს 10 სტროფს და იკითხება ასე:

კეკელუთ ხედა ხარ ხელმწიფე, ტრფიალთ ცეცხლს უდებ მალ ამით,
 მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მალა მით,
 სხვას ვისმეა ეძლოს კურნება, ცუდად შერებთან მალამით!
 მიჯნურნო, მოდით, მიტირეთ, ცრემლი მავასხეთ, მალამით!

გიშრისა მწვილდმან, მელნის ტბამ, გლახ, გული წყლული მიწამა,
 ბროლმა და ლალმა გარეეთი ლამის დღეთ სიგრძე მიწამა,
 ცრემლი მდის მიწყივ თვალთაგან, ვეპე, გულმან შენმეა მიწამა,
 რად არ გეწყალვის მიჯნური, შეტამოს უდროდ მიწამა.

ცეცხლს უგავს ლაწვი, ცეცხლისგან უფრო მწვეავს, უფრო მედგბა,
 რა ენახე, მიწყივ საჭიროდ ფერხი მახესა მედგბა,
 მიმტაცა სული, დღეს იკით რას მარგებს გულის მე დგბა,
 მიტირონ ძმათა საწყალი, აწლა თუ ვინმე მედგბა.

რა მოვილა, ეს არ ეციო, შენთვის მსგავსი იგაგები,
 გაგიძვია დიად მიღმარ სიგონეუ და იგ აგები,
 ტრფიალთ შენთა სალალობოდ იწმინდები, იგაგები.
 ჰორსა გრძელსა განუხსნელსა ამ საჭმითა იგაგები.

ლექსსა მიეცევი სამიჯნუროს, ვარ ტრფიალი განა ხელი,
 დამიწუნა თვალნი სხივმან, ველარა ვემენ განახელი,
 გიშრის თხზულმან ტოილომან გული შეყრა განახელი,
 შეყრასა ჰგავს მხის და მთვარის, თუცა თავი გან ახელი.

სრულად სიბრძნისა საუნჯის კარი, რაც მქონდეს, დამელოს,
 ან მაგალითი პლატონის, ან პითაგორის დამელოს,
 ვეკდე გულის მზრახად სამუდმოდ, თავი ქვე სადმე დამელოს,
 საკადრად შენსა ქებასა ჯერ ვიტყვი, სულიც დამელოს.

თვალი მიგიგავს ჯერანსა, წარბი ხანგუბრელს სულა და,
 შენმა ბაგია ციმციმმა ფერი ყაყაოს სულა და,

¹ ანთოლოგია, II, გვ. XI; ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 173, 174.

² ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 43—50.

აღმასის პირსა სადართი ხაზს მზისა სხივი სულ ოდა,
საბრალოს შენთა ტრფიალთა სიცოცხლედ გულის სულ ოდა

გნებათ მისი სიტურფე, გული სხვარიგად ქცეოდა,
ეტყოდა თავსა: არ ვიცი, ან რა ნუგეში გცეო და,
ხაზს ან ჭირისთვის თუ გეძლოს, შევიპყრათ სვეო, ქცეო და,
მართ მისწუროდათ მათ სული, გასლოდა, გაცაქცეოდა-

თვალს მისცემს წყალსა პირველებრ, რა ნახოს სული და გული,
ყვავილისებრივ გაშალოს მისგანვე სული დაგული,
გააღოს კარი ლხინისა, ჭირისა კარი დაგული,
გაშალოს ვარდი კუჭური, ჩემშია მისი დარგული¹.

მეორე მაჯამა, რომელიც ექვსი სტროფისაგან შედგება, ეხება სხვა-
დასხვა დროის გასართობთ. ის ასე იწყება:

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებ ესხასა,
მწვანედ ღელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზე ესხასა,
თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას, მასხედა რითმე ესხასა,
მე ასე მითქვამს: უთუოდ ის კაცი იყოს, ეს ხასა².

მესამე, მეოთხე, მეექვსე და მერვე მაჯამა დასტირის პოეტის საეა-
ლალ სვე-ბედს, ხოლო დანარჩენი—კეკლუცის ტრფობაა. მეცხრე მაჯამის
ერთ-ერთი სტროფი (4) იკითხება ასე:

ამართნა ბროლისა სვეტნი რა, მხემან ნაზა, იამა,
უფრკვენელი ვარდი კოკობი მიხილვით მიიხია მა,
სამთავე ერთად იდინეს: ბროლმან, ლალმან და იამა,
იტვირთა ცვარი ობოლი სადაფის კარმან ლიამა.

4. ჩვენ გვგონია, რომ, რადგანაც ვახტანგის „მაჯამა“ მართლა მისი
სხვადასხვა ნაწარმოებიდანაა ამოკრებილი, მასვე უნდა ეკუთვნოდეს ის ოთხ-
სტროფიანი ლექსი, რომლის დასაწყისს შეადგენს „აღმართნა ბროლისა სვეტ-
ნი“ (მეცხრე მაჯამის ნაწილი) და რომელიც აეტორის დაუსახებლად გვხვდე-
ბა ხელნაწერებში³. რაიმე მიზეზით ეს ლექსი, რომელიც შინაარსითა და
ფორმით სავსებით უდგება ვახტანგის პოეზიის სულსა და გულს, ალბათ.
ამოვარდა ვახტანგის თხზულებათა კრებულიდან, შეიძლება თვითონ ვახტანგ-
მა ამოიღოს ის იქიდან. ლექსი რომ ვახტანგს ეკუთვნის, ეს დამოწმებულია

¹ ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 43—44.

² იქვე, გვ. 44, 45.

³ S 118, S 1087. ამ ლექსს ხ. ჭიჭინაძე, ყოველგვარი საბუთის გარეშე, არჩილ
მეფის მიაწერს („ქართული მწერლობა და ქართული მწერლები მეჩვიდმეტე და მეუთრამეტე
საუკუნეებში“, გვ. 23). თუმცა ამასთან არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ გარემოებას:
ეს ლექსი ზოგიერთ ხელნაწერში მოთავსებულია გარსევან ჩოლოყაშვილის „ბილთა ქებასთან“
(S 118, S 1087), თან სიტყვები „თვალთა ცრემლი ვაწანწყარი“ მოგვაგონებს გარსევანის ამგვარ
ჯამოთქმას. თუმცა მას დავით გურამიშვილთანაც ვპოულობთ (1955 წლის გამოცემა, გვ. 24,
120. 132).

1769 წლის ერთ ხელნაწერში, რომელშიაც მოყვანილია მეორე სტროფი ვახტანგის სახელით¹. მოვიყვანთ აქ ამ ლექსის მთლიანად, აღდგენილი სახით.

1. აღმართნა ბროლისა სვეტნი რა, მზემან ნაზა, იაშა,
უფრტყენელი ვარდი კოკობი მიზიდვით მიიზია მა,
სამთავე ერთად იდინეს: ბროლმან, ლალმან და იაშა,
იტვირთა ცვარი ობოლი სადაფის კარმან ღიაშა.
2. ორსა ბროლისა ბურთსა შვა, შიგან, უფასო თვალია,
იაგუნდისა აუხი, მაშიგან ვარდის წყალია:
გარშემო კალა ავლია, ვერ დასწავეს ნაქარწყალია.
ჯღელა მახედან ვარჯიშობს: მეფე და ჯართაც ხმალია.
3. ვთქვი თუ ჩემგან მისი შეყრა არ ეგების არაოდეს,
ზღუდას ფონად არა ძაღმიც, ვერ გადვიტევე თავსა ოდეს,
კუდად შერების ქვიშით მიხზრელი, თუ ხელითა ცასა ზომდეს,
ხელს არ მისცემს ჭვრეტა მისი, უმეტრებით ვინცა რბოდეს.
4. მოლოდინით ვირემ ვშინჯო კედელი თუ ანუ კარი,
როდეს იქმნას—მთვარე ვნახო, ამისრულდეს სანუჯვარი;
თუ არ ვნახო, როგორ გავსძლო, თვალთა ცრემლი ვაწანწყარი,
ცრე შექნას სტაგრის ნაცვლად გარს ნახადი მოსაკარი.

5. ხუთი ელევგია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით: ა) „მოკალე-
ბასა შინა მყარფსა კმუნევა-ნაღვლისა მაქარეებელად“, რომელიც 10 სტროფი-
საგან შედგება, იწყება ასე:

დამიმონა კეშანმა, სედა მომხვდა მისთვის წამლად,
ნაღველს ვხმარობ მუდამ მელნად, გულსა ვიწვევ მისად კალმად,
ლბინსა კირად, ჩანგ-ბარბითსა დაუჯონლად ცრემლთა ლამად.

პოეტი ამ ელევგიაში უჩივის წუთისოფლის ვერაგობას: „რაები მიყო სო-
ფელმან, სიცრუვით ანასდელუმა“, მისი „დღენი მიაგაეს რუსისა წალკოტე-
ბისა წესებსა“, ჩვენ კი—„რუსთ ზაფხულისებრ გავეივლით მსოფლიოისა წა-
მებსა“-ო². ელევგია დაწერილია 1730 წელს მოსკოვში (S 4500), ანდა, მეორე
ნუსხით (S 171)—პეტერბურგს, რაც უფრო სწორი უნდა იყოს, ვინაიდან
1728—1730 წლებში ვახტანგი პეტერბურგში იყო და არა მოსკოვში. ეს ნა-
ნაწარმოებიც სამი რედაქციით შენახულა ჩვენამდე: ერთია S 4500-ში, ორი.
რომლებიც რამდენიმე სიტყვით განსხვავდება ერთიმეორისაგან, S 171-ში.

ბ) ელევგია—„რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვამ სიკვდილო, მწარე
სიკვდილო“³, შედგება 18 სტრიქონისაგან, რომელთაგან თითოეული თავდება
რეფრენით: „ვამ სიკვდილო, მწარე სიკვდილო“. აქ პოეტი დასტირის სოფ-

¹ ე. თაყაიშვილი, კარიხის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები,
გვ. 49.

² S 171, გვ. 15, 16; S 4500, გვ. 266, ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 8,

9 („კეშანმა“).

³ S 303, გვ. 89; გ. ლეონიძე, კახიკი მამუკა ბარათაშვილისა, გვ. 20, 21; ანთოლო-
გია, II, გვ. 136; ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 3 („ვამ სიკვდილო“).

ლის ვერაგობას, მის წუთიერობას, თავისიანებისა და საყვარელ სამშობლოს მოშორებას, თავის უნუგეშო მდგომარეობას. ელეგია რუსეთშია დაწერილი.

გ) ელეგია—„მე შევამევე ცა, ქვეყანა“ გვიხატავს ადამიანის უმადურობას მაცხოვრისადმი. მაცხოვარმა ყველაფერი გააკეთა ადამიანთა საკეთილდღეოდ, იმათ კი „ნაცვლად ჩემთა წყალობათა აღმიმართეს საკვლად ჯუგარი“-ო¹.

დ) ხოლო ელეგიაში—„შურით აღივსნეს უგბილნი, წესი ქმნეს მათის მამისა“, ნათქვამია—როგორ შეიპყრეს მაცხოვარი და მიუსაჯეს მას სიკვდილი. თითოეული სტროფი თავდება ასე: „ვამ რა მწარედ იწვოდენ ნაწლენი მამარიამისა“².

ე) ელეგიაში—„საწუთროს ბალი რა ჰქონდა, სცან, ალექსანდრეს, მეფეო“, აწერილია ალექსანდრეს (?) მშვენიერი ბალი, სასახლე და კუთილდღეობითი ცხოვრება, რასაც ანახდეულად მოელო ბოლო. ელეგია თავდება შემდეგი სიტყვებით:

სოფლის სიმუხთლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკირს, მეფეო.

აწ შენ ამისთვის რად სწუხარ, უხვოდ მხანს, ვახტანგ მეფეო!

აქედან ცხადია, ამ ელეგიაშიც დადასტურებულია საზოგადოდ წუთისოფლის გაუტანლობა³.

6. მოკლე ნაწარმოებნი: ა) „ყველის ქება“, რომელიც მას ლათინური ენით უთხრა ფრანგმა⁴, ბ) ანბანთქებანი ორი ტიპისა: სიტყვები სტრიქონში დალაგებულია ანბანის რიგზე, მაგალითად: „არა გრძანებ ბიორგ ღვლად, ესე ვიყავ ზებ შეთერად“⁵, ანდა პირველ სტროფში თითოეული სიტყვა იწყება ა-ნით, მეორეში—ბ-ანით, მესამეში—გ-ანით და ასე ბოლომდე, მაგალითად: „ასრე არის აგებული, ამგებელსა აქ აქებდეს“⁶ უკანასკნელი ტიპის შესახებ ვახტანგი ამბობს, რომ მის მიერაა მოგონილი, მანანდის არავის უთქვამსო⁷, მაგრამ ეს მართალი არაა: ამგვარი სისტემა ნახმარი აქვს ჯერ კიდევ არჩილ მეფეს, მაგალითად: „არ აღვილია აღკრძალვა ამოებისა ამისა“⁸, არჩილი მას უწოდებს „ახალ შემოღებულს“.

¹ ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 5. („ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა“).

² S 303, გვ. 90; გ. ლეონიძე, ტაშნიკი, გვ. 21, 22; ანთოლოგია, II, გვ. 136; ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 4.

³ S 303, გვ. 91, 92; გ. ლეონიძე, ტაშნიკი, გვ. 24, 25; ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 6.

⁴ S 171, გვ. 14, 15; S 4500, გვ. 265, 266; ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 63.

⁵ S 1512, გვ. 25; ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 61. მას ჰქონია მეორე ლექსიც: „აჲა ბრძენთ ბესმასთ და ესე ვინ ზართ ზოგთშე თქმულია...“ (S 390, გვ. 144).

⁶ S 342, გვ. 183—189; S 1512, გვ. 15—23; ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 56—60.

⁷ S 4500, გვ. 237—244.

⁸ S 342, გვ. 189—195; არჩილიანი, I, გვ. 257—261.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგს მიეწერებოდა ერთი ეპი-ტაფია: „შე უმცირესმან ძმთაგან, ვახტანგმან სახელდებულად“¹, რომელიც წარმოადგენს ვახტანგის მოღვაწეობის ერთგვარ მიმოხილვას, ძლიერ დაახლოებულს სენიბა ჩხვიძის აღწერილობასთან². მაგრამ, როგორც უკანასკნელად გამოირკვეა, ამ ეპიტაფიის ავტორი ყოფილა გივი თუმანიშვილი, თანამედროვე ვახტანგისა³.

გარდა ამისა, ვახტანგის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ლექსი „ქილილა და დამანას“ შესავალ ნაწილში, აგრეთვე რიგი მოკლე ლექსებისა, რომელთა შორის გამოირჩევა „რანი და მოვაკანი და“⁴, 45 უცნობი სტრიქონი, პატრიოტული და სამიჯნურო შინაარსისა გამოაქვეყნა თ. ჟუნიამ⁵. ჰქონია მას აგრეთვე ერთსტროფიანი ლექსი — „სიყვდილი ჯიმშედის ცოლისა“, რომელიც ასე იკითხება:

მზე და მთვარე სიტურფისა ვისი იყო ბაძის მქნელი.
ბაღთა შიგან მისთა მჭურეტთა ვარდი [იქნა] გასაქნელი,
მუშკა სადღა ახსენებდა მისი შუბლთა გამომქნელი,
ბოლოდ დაჰქნა ეს ჯვავილი, მიუვიდა ის საქნელი⁶.

ამრიგად, ვახტანგი დამღერის წუთისოფლის ვერაგობას, საქუთარო ბედის ვალალობასა და სამშობლოს არევე-დარევეს; ამან ელგეიურ-პესიმისტური ხასიათი მისცა მის პოეზიას. ღვთაება და სამშობლო მას გამოყვანილი ჰყავს როგორც კეკლუცი სატრფო და დამოკიდებულება მათთან—როგორც ტრფობა მოტრფილესა და სატრფოს შორის. ამ შემთხვევაში ვახტანგმა პრაქტიკულად განახორციელა ის, რაც ცოტა ხნის შემდეგ მამუკა ბარათაშვილმა თეორიულ დებულებად წამოაყენა თავის „ქაშნიკში“: „მამუ, მართებს—კაცმა ავი ამბავი არ ვალექსოს: თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღვთის სააშიყო, ანუ ეკლესიისა, ანუ წმიდათა [თქუს]... თუ ქალის აშიყობაზე გინდა, ცოლქმრობის სიყვარულზედა სთქვი... ან კარგი იგავები მოიყვანე და იმაზედა სთქვი“⁷. როგორც დაინახეთ, თავის ნაწერებში ვახტანგი სატრფილო ლექსებით „ეარშიყება“ ღმერთს, ეკლესიასა და წმინდანებს, „იგავის მოყვანით“ ეალერსება კეკლუც სამშობლოს. ამ შემთხვევაში ის ამტკიცებს ჩვენს მწერლობაში ალეგორიულ-სიმბოლისტურ მიმართულებას.

¹ S 1512, გვ. 93; S 536, გვ. 77. დაბეჭდილია ეურნალ „იფრიაში“, 1879 წ., № 7—8; გაზ. „იფრიაში“, 1894 წ., № 74; „სახალხო ფურცელში“, 1916 წ., № 677: „ლიტერატურა და ბოლოვნებაში“, № 14, 6. IV. 1947 წ., ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 64.

² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 333.

³ ვ. მეტრეველი, ვახტანგ მეექვსის ეპიტაფიის ავტორი, თსუ შრომები, ტ 43, გვ. 141—152.

⁴ ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 51—54.

⁵ ვახტანგ VI-ის თხზულებათა ფრაგმენტები, „ლიტერატურული შიგანი“, VI, გვ.

269—291.

⁶ S 390, გვ. 140.

⁷ S 303, გვ. 75, 76; გ. ლეონიძის გამოცემა, გვ. 2; გ. შიქაძის გამოცემა, გვ.

როგორც ამ მხრივ, ისე თავისი პოეზიის მთავარი მოტივებით ვახტანგი გამგრძელებელი და მოწაფეა თეიმურაზ პირველისა და არჩილისა. ფორმის მხრივაც ეს პოეზია თეიმურაზის სკოლის გაგრძელებაა. თავის მხრივ ვახტანგი დიდ გაელენას, ფორმალური და შინაარსობლივი ხასიათისას, აღენს მომდევნო მწერლებზე, განსაკუთრებით კი დავით გურამიშვილზე.

4. თეიმურაზ მეორე

თეიმურაზი იყო შვილი ერეკლე I ნაზარალიხანისა და მისი მეუღლის ანა ჩოლოყაშვილის ასულისა. კატეგორიული ცნობა მისი დაბადების წლის შესახებ არ არსებობს. ვიცით მხოლოდ, რომ ის უნდა დაბადებულიყო 1700 წლის მახლობლად. ეჭვ-ერთი თავის ნაწარმოებში, რომელსაც „ქება სასახლისა“ ეწოდება, თეიმურაზი ამბობს:

ორმოცდა ოთხის წლისას მერწმუნა მეფობანია.

ღმერთმან მომცა ეს სიმაღლე ნადირ-შაის მიხეზობით.
ჯერ მფლობელ მყო კახეთისა, მერმე ქართლში შემეციდრობით,
კახეთშია ჩემს ძეს დასეამს, ერეკლესა მეფედ ხმობით!¹

აქედან ჩანს, რომ, როდესაც შაჰ-ნადირს „მემკვიდრეობით“ მიუცია თეიმურაზისათვის ქართლის მეფობა, ხოლო კახეთში ერეკლე დაუსეამთ, ესე იგი 1744 წელს², ის მაშინ 44 წლისა ყოფილა, მაშასადამე, დაბადებულა 1700 წ. თეიმურაზს ჯერ უნდა შეერთო ბაინდურ ერისთავის ასული, მაგრამ მისი ძმის, დავით იმამყულიხანის, და ვახტანგ მეექვსის დამეგობრების მიზნით, მას ერისთავის ქალზე ხელი ააღებინეს და 1712 წელს დააქორწინეს ვახტანგის ასულ თამართან³. დავით იმამყულიხანისა და კონსტანტინეს დროს, მათი სიკვდილის შემდეგაც, 1737 წლამდე, ის განაგებდა კიდევაც დროგამოშვებით კახეთს, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით, კონსტანტინესა და ვახტანგის ომების დროს. 1737 წელს ვერავობით შეიპყრეს და ერანს წარგზავნეს ნადირ-შაჰთან, რომელმაც 1738 წელს უკანვე დააბრუნა და კახეთი მისცა „მორჩილებასა შინა ტფილისის მჯდომის ხანისასა“⁴. 1744 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნადირ-შაჰმა მას მემკვიდრეობით მისცა ქართლი, ხოლო მის შვილს ერეკლეს—კახეთი. თეიმურაზის ქართლში გამეფებით დიდი სიხარული მოეფინა ქვეყანას, ვინაიდან, ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდეგ, ოცი წლის განმავლობაში, იქ ქრისტიანი მეფე არ უნახავთ. ერეკლეს კახეთში დამკვიდრებით აღმოსავლეთი საქართველო ფაქტიურად გაერთიანდა მამა-შვილის ხელში, რომელ-

¹ თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას გამოც., თბ., 1939 წ., გვ. 104; S 1511, გვ. 27.

² „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 145.

³ იქვე, გვ. 133.

⁴ იქვე, გვ. 143; ეს ფაქტი აქვს მას მხედველობაში, როდესაც ამბობს: „ჯერ კახეთის მეფედ გამხდისო“.

თაც ბრძნული პოლიტიკით, სპარსეთთან მეგობრული განწყობილებით, შეთანხმებული მოქმედებით, ეკლესიის მესაქედ ანტონ ბატონიშვილის დაყენებით, პირდაპირ წარმატების გზაზე დააყენეს ქართლი და კახეთი. მართალია, სრულ ბედნიერებას და აბსოლუტურ მოსვენებას თეიმურაზი არ გრძნობდა: 1746 წელს, მაგალითად, გარდაეცვალა მას საყვარელი მეუღლე, დედოფალი თამარი¹, მტრებიც მოსვენებას არ აძლევდნენ მას, როგორც თვითონვე მოგვითხრობს:

ვიყავ ქართლშიგან, მტრისაჲან ერთს ალაგს ვერ დავსდგებოდი, იქით და აქით მუდამად ვლაშქრობდი, ვიარებოდი, ავისა დროს და ჭმისგან ჯავრშიგან ვიარებოდი²

მაგრამ ქვეყანას საერთოდ, წინა დროსთან შედარებით, გაუმჯობესება დაეცო. კერძოდ, გაჩაღდა და გაძლიერდა კულტურული მუშაობა, ანტონ პირველის მეთაურობით, რაც გამოიხატა ახალი სასწავლებლების დაარსებასა და ვახტანგისეული სტამბის განახლებაში. პოლიტიკური ორიენტაციის ძიებისას თეიმურაზმა გეზი აიღო ჩრდილოეთის ერთმორწმუნე მეფეზე. 1760 წელს ის თვითონ გაემგზავრა რუსეთს იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის სანახავად და დამხარების სათხოვნელად³. გარდაცვლილა პოეტი 1762 წლის 8 იანვარს, პეტერბურგში⁴, მეორე ცნობით—პეტერბურგიდან გამობრუნებული, გზაში. წამოუსვენებიათ საქართველოსაკენ, მაგრამ დაუსაფლავებიათ ქ. ასტრახანში, იმავე ტაძარში, რომელშიაც დასაფლავებული იყო ვახტანგ მეექვსე.

კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო მწერლობის ინტენსივობასაც. საერთო ლიტერატურულ მოძრაობას არ ჩამორჩენია თეიმურაზიც და მასაც შეუტანია თავისი წვლილი ჩვენი მწერლობის საღაროში. თავის ადგილას ჩვენ უკვე განვიხილეთ თეიმურაზის ერთ-ერთი და ამავე დროს ერთადერთი ნათარგმნი თხზულება, ეგრეთ წოდებული „თიმსარიანი“. უფრო მეტი დარჩენილა მისგან ორიგინალური ნაწერები, რომელთა მიმოხილვას ახლა შევუდგებით.

A. დღისა და ღამის გაზაანება

ეს თხზულება, რომელსაც სხვანაირად „სარკე თქმულთა“ ეწოდება, წარმოადგენს კამათს დღესა და ღამეს შორის მათი უპირატესობის შესახებ; აქ აღნიშნულია ის ფაქტები და მოვლენები, რომელთაც ადგილი აქვთ დღისით

¹ რის შემდეგ შეირთო ანანანუმ ი. იესე მეფის დეიდაშვილი, ბეჟან იოთამისშვილის ასული („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 392).

² S 1512, ავ. 27, 28.

³ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 489.

⁴ Дело грузинское № 1, 1762 г. Москов. государства архива феодально-крепостнической эпохи (ცნობა მომწოდებელ ტრ. რუხაძემ); მასალები საქართველოს ისტორიისათვის (დავით და ბაგრატ ბატონიშვილებისა), მ. ჯანაშვილის გამოც., გვ. 11; ცენტრ. არქივის ელნაწ. № 297, ფ. 94.

თუ ლამით. ის ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება: საღმრთოსა და საეროსაგან. როგორც თვით თხზულების ბოლომინაწერშია ნათქვამი. პირველში გალექსილია ძველისა და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორია, აგრეთვე საქრისტიანო კატეხიზმოს ნაწილი, ხოლო მეორეში აღწერილია აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კახეთის, ზნე-ჩვეულებანი¹.

წინასიტყვაობის შემდეგ, რომელშიაც ავტორი ვრცლად მსჯელობს ლეთისა და მის მიერ ყოველივე არსის შექმნის შესახებ და რომელშიაც ის შენიშნავს, რომ თხზულებას წერდა „ცხენს მჯდომი“, იწყება თვით ბაასი. დღე ეუბნება ღამეს: „შენ მუდამ ბნელობით ყოფილხარ, მე კი ღმერთმა გამაჩინა და ნათელად სახელმძღვანო, ჩემი ამხანაგია დიდი მნათობი—მზეო. მეც ლეთისაგან ვარ სახელმძღვანო, უპასუხებს ღამე, „შენ თუ ერთი მნათობი მოგეცა, მე ექვსი მყავს: მთვარე, ოტარიდი, მუშთარი, ზუალი, ასპიროზი და მარინი, აგრეთვე ურიცხვი ვარსკვლავიო. მერე ისინი ცილობენ იმის შესახებ, თუ რომელი მნათობი უმნიშვნელოვანესია, მზე თუ მთვარე, და განაგრძობენ: „მოყვებო, რაც ლეთისგან კეთილი მომხდარა დღით თუ ღამითა“. თითოეული მათგანი ცდილობს საღმრთო ისტორიიდან აღნიშნოს ის ფაქტები, რომლებიც მომხდარა დღისით თუ ღამით. გალექსილია: ადამ და ევას გაჩენა, კაენის მიერ აბელის მოკვლა, წყლით რღვნა, ისააკის შეწირვა, იაკობის კურთხევა, ისრაელთა ამბავი, იობის ამბავი, ელიას ზეცად ამაღლება, ზაქარია და დუმიება, ხარება, მაცხოვრის შობა, წინადაცვეთა, მირქმა, ნათლისღება, ფერისცვალება, ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმს შესვლა, საიდუმლო სერობა, ენება უფლისა, ჯვარცმა, გარდამოხსნა და დაფელა, წმიდა პასქა, გვერდის განხილვა, განრღვეულის განკურნება, შობითგან ბრმის განკურნება, ამაღლება, სულიწმიდის მოსვლა, ლეთისწმობის მიძინება. ამის შემდეგ დღე ლაპარაკობს შვიდი საიდუმლოს შესახებ, გადაგვიშლის თვალწინ ათ მცენებას. ცხრა ნეტარებასა და შვიდივე მსოფლიო კრების ისტორიას. ამას თან დასძენს, რომ დღისით წარმოებს სამართალი და აგვიწერს, თუ როგორ ხდება სამართალი. ღამე ტრაბახობს, რომ ადამიანი დღისით იღლება, ღამე კი ისვენებსო. ამაზე დღე თავმოწონედ უპასუხებს, რომ დღისით ადგილი აქვს ყოველგვარ მეჯლისსა და განცხრომას: ლხინი, ნადიმობა, ზმობა, სიმღერა, ბაღებში განცხრომა და სხვ. ღამე ყოყორობით უპასუხებს, რომ იმ სიამოვნებას, განცხრომასა და ბედნიერებას, რომელსაც ღამლამობით აქვს ადგილი, შენ ვერც კი წარმოიდგენ, ეს არის მეშვიდე საიდუმლო—ქორწინება. აქ უკვე დეტალურადაა აღწერილი და გადმოცემული ყველა ის ჩვეულება, რომელიც დაკავშირებულია ქალ-ვაყის ქორწინებით შეუღლებასთან: ნიშნების მირთმევა ქალისათვის, სიძის მოპატიუება და ქალის მორთევა, ერთმანეთის დანახვა და მერე სიძის დაჯდომა საცოლესთან, იმ ღამის ლხინი და ზმობა, სასიძოს შინ

¹ ხელნაწ. მ ფონდისა: 106, 110, 342, 1103, 1382, 1547, 2676ა, 3704 და სხვ.; გამოც. ქუთაისში 1870 წ. გრ. ქორქაშვილის მიერ. ნაწილობრივად დაბეჭდილია „ანიოლოგიაში“, II, ა. ბარამიძის გამოც. გვ. 161—172; ახალი გამოცემა გ. ჯაკობიასი. გვ. 1—103.

წასვლა და ქორწილისათვის სამზადისი, ქალის მომზადება უჯარისწერისათვის, სიძის მოსვლა მაყრიონებით, ეკლესიაში წასვლა და გვირგვინით კურთხევა, ეკლესიიდან მობრუნება, მათი შეხვედრა, სახლში შესვლა, ლხინის დაწყება, ზმობა ლხინის დროს, შაირობა და გალობა, დედოფლის პირის ახდა, მზითვის წიგნის წაკითხვა, მეფის ადგომა და საწოლს შესვლა, დედოფლის საწოლს წასვლა, მეფის მიერ დედოფლის ტანთ გახდა, ქალის წაყვანა, ქორწილი მეფის სახლში, ქალთან დაწოლა, ქალის ორსულობა და ძეობა. საპასუხოდ დღე ჩამოთვლის იმ ზნეობათა და გართობას, რასაც დღისით აქვს ადგილი: ყაბახის სროლა და ბურთაობა, აშუაშავის სროლა, ნადირობა: ირმის, შავარდნისა და გავაზის, ქორისა და მიმინოს, კურდღლისა და თევზის, ღამე უპასუხებს: ჩემი უპირატესობა იმაშია, რომ ღამით მიჯნურობა იფურჩქნება. მერე საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამიანის“, „იოსებზილიხანიანის“, „ლეილაჯუნჯიანის“ შინაარსს. დღე საპასუხოდ მოგვითხრობს, რომ დღისით ხდება ყუმრის, ნარდის, ქადრაკის, განჯაფისა და ბანქოს თამაში; აგრეთვე, თუ კაცი ავად გახდება, ექიმების მოსვლა და წამლობაცაო. ღამე უპასუხებს ადამიანის ავად გახდომის, სიკვდილისა და დასაფლავების ამბისა და ტირილის ჩვეულებათა აღწერით. დღე უპასუხებს: ტირილი მიცვალებულს რას არგებს, მისი სულისათვის უნდა ვიზრუნოთო, და აგვიწერს მეორედ მოსელის ამბავს, რითაც თავდება თხზულება. ავტორი უპირატესობას მაინც დღეს აძლევს, როგორც სინათლის ენბლემას: „მე ნათელი ვარ, შენ ბნელი, ეს ჩემად ქებად კმარია“, — ამბობს დღე.

ასეთია ზოგადად შინაარსი ამ საყურადღებო თხზულებისა, საყურადღებოსი თავისი „რეალისტური“ ხასიათით. ეს პირველი ნაწარმოებია ჩვენს ძველ მწერლობაში, რომელშიაც ჩვენი ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულება აწერილია ისეთი ფოტოგრაფიული სისწორით, როგორც აქ. მართალია, „საქართველოს ზნეობანი“ არჩილ მეფემაც აღწესხა, მაგრამ მან მხოლოდ აღწესხა, ჩამოთვალა, აქ კი დაწვრილებითაა აწერილი, რაში მდგომარეობს ესა თუ ის „ზნეობა“, რა შინაარსისაა ის და როგორ სრულდება სინამდვილეში. ამ მხრივ ეს თხზულება ძვირფას ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს და დაუფასებელია მეთვრამეტე საუკუნის ჩვენი ყოფა-ცხოვრების შესასწავლად.

თხზულება რომ თეიმურაზ მეფეს ეკუთვნის, ეს შესავალშიც არის აღნიშნული: „აწ დაიწყებთ თეიმურაზ არ კახურად ტრაბახებსაო“ მაგრამ საკითხი ისმის იმის შესახებ, თუ რომელ თეიმურაზს ეკუთვნის ის, პირველს თუ მეორეს? ერთი ნუსხის (S 1547) ზედწარწერაში ვკითხულობთ: „წიგნსა ამას უწოდებენ სარკე თქმულთა ანუ დიდ მეფე თეიმურაზისას“. ალბათ, ამ სიტყვებმა მისცა საბუთი ექ. თაყაიშვილს კატეგორიულად განეცხადებინა, რომ ცნობა თეიმურაზ მეორის ავტორობის შესახებ ამ შემთხვევაში „явно ошибочная, произведение принадлежит Теймуразу I Давидовичу“¹. თავისთავად ცხადია, ასეთი შეხედულება მცდარია, თხზულება ეკუთვნის თეიმურაზ მეორეს. ეს შემდეგიდან ჩანს: 1) ნუსხების მომეტებულ ნაწილში პირდა-

¹ Е. Такайшвили, Описание, II, გვ. 300.

პირაა აღნიშნული: „თქმული მეფის ირაკლის ძის მეფის თეიმურაზისაგან“¹; 2) თხზულებას ნუსხებში S 1512, S 1547, S 3704 დართული აქვს ბიოგრაფიული ხასიათის 14-სტროფიანი ბოლოსიტყვაობა², რომელშიც ავტორი შემდეგს გადმოგვცემს: სეფიხან ყეენმა ზაკეით დამიბარა სპარსეთში, სადაც მეგავემგ ზაერე საერო და სასულიერო პირთა თანხლებით. ისპაანში რომ ჩავედი, შაჰმა მომთხოვა შეილები და კიდევაც გამოგზავნა ჩაფარი მათ წასაყვენად, ხოლო მე წამიყვანა ყანდაარს. გავიდა ხანი და შამათს ჩამოიყვანეს ჩემი შეილები, ერეკლე და ქეთევანი; უკანასკნელი შაჰმა ცოლად მისცა თავის ძმის-წულს, ერეკლე კი თვითონ იახლა. ზედმეტია ლაპარაკი, რომ აქ იგულისხმება თეიმურაზ მეორე და არა პირველი³.

როდისაა დაწერილი თხზულება? ამაზე თითქოს თვით ნუსხები გვაძლევს გარკვეულ პასუხს: „დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ირაკლის ძის, მეფის თეიმურაზისაგან, რომელი იქმნა ცხებულ შემდგომად წელიწდისა ცხრისა თქმისა ამისა“. თეიმურაზი ცხებულ იქნა მეფედ 1745 წლის 1 ოქტომბერს⁴, მაშასადამე, თხზულება მას დაუწერია 1736 წლის მიწურულში. მაგრამ ნუსხების ცნობა არაა თეიმურაზის თვითწიწმობა, ის შემდეგაა მიწერილი ვილაძას მიერ, ეს შემდეგიდანაც ჩანს: ა) ეს მოწმობა სხვის მიერ გადმოცემულ ამბავს, მოთხრობას ამჟღავნებს; ბ) ფრაზა „აწ წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა“ გვიჩვენებს, რომ თეიმურაზის დროს მას ეს სახელი არ ჰქმევია, ახლა ეწოდების მას ასეთი სახელიო, — ამბობს წამწერი; გ) წარწერით თხზულება თქმულია „მეფის“ თეიმურაზის მიერ, 1736 წელს კი თეიმურაზი ჯერ კიდევ არ ყოფილა მეფედ. ამრიგად, ამ ცნობას, როგორც არაავთენტურს, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს თხზულების დათარიღებისათვის. და თუ რამე მნიშვნელობას მივანიჭებდით მას, ეს იქნება შემდეგი: იმაში შესაძლებელია გვექონდეს გამოძახილი თხზულების

¹ იქვე, II, გვ. 253—255. გ ჯ ა კ ბ ი ა ს ის დამოუკიდებელ თხზულებად მიაჩნია (გვ. 102—103), მაგრამ მის მიერ მოყვანილი მოსახრებანი ამას ვერ ამტკიცებს. მართლაც, უფრო ძველსა და სანდო ხელნაწერებში, როგორცაა, მისი სიტყვით, A. F. H. Z. განსაკუთრებით პირველი, ეს 14 სტროფი მთელი თხზულების ეპილოგადაა წარმოდგენილი. რატომ სანდო ხელნაწერს არ უნდა დაუუკუროთ? ყველაზე მეტ მნიშვნელობას ავტორი აძლევს შემდეგ მოვლენას: „სარკე თქმულთას“ ბოლოში თეიმურაზი აცხადებს: „მეც მომწყინა ლაყაფი ბერი, ამსიგრძე თხრობანი“, ხოლო ეპილოგში ნათქვამია: „ეთქვი ლექსი მცირე რაიმე სვედისა მოსათმინობით“. ავტორი ერთსა და იმავე ნაწარმოებს ვერ უწოდებდა ერთ შემთხვევაში „ტრქელ თხრობას“, მეორეში კი „მცირე ლექსობას“. მაგრამ საქმე ისაა, რომ „მცირე“ ნაწარმოებად მიჩნეულია შესავალში თეიმურაზის მიერ თვით „სარკე თქმულთა“ (სტრ. 13; იხ. ამის შესახებ ნ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი: უფრ. „მნათობი“, 1941 წ., № 1, 155). მეორე, თხზულებაო, ამბობს პოეტი, დავასრულე „სვედის მოსათმენად“ ტყეობაში, თქვენ კი, ვინც ნაწავთ ამას არ იქნებით „წყინობით“, ესე იგი მოწყენილიო, რადგანაც, იგულისხმება, თხზულებას შინაარსით გართობა შეუძლია აღმზანისა. თარიღითარ „სვედის მოსათმენ“ რაუმე 14 სტროფი არ წარმოადგენს, თან მას არც შეეძლო მკითხველი „წყინობიდან“ გამოეყვანა, რადგანაც არაფერ გასართობს ის არ შეიკავს. ასე რომ ეს 14 სტროფი არის „სარკე თქმულთას“ ეპილოგი და არა დამოუკიდებელი თხზულება.

² „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 477.

³ იქვე, გვ. 376—387.

დაწყების დროის შესახებ. დამთავრებით კი თხზულება დამთავრებული უნდა იყოს 1738 წელს, როგორც ეს ეპილოგშია აღნიშნული:

ვიყუე ყანდაარს მკმუნვარე, არა გულითა ღბინობით,
ვთქვი ლუქსი მცირე რაიმე სვედისა მოსათმინობით;
იქ დავასრულე, ვინც ნაზოა, ნუ ვინ იქნებით წყინობით,
მაშინ ჯდა კორონოეონი უნი, კანი და ვინობით !

„ღლისა და ღამის გაბაასება“, როგორც თემა, სპარსულ ლიტერატურაშიცაა ცნობილი. ასეთი თხზულება დაუწერია ჯერ კიდევ XI საუკუნის ნახევარში პოეტ ასადო ტუსელს². მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თეიმურაზის შრომა თარგმანია, პირიქით, მთელი მისი შინაარსი თხზულების ორიგინალობის, მისი ქართულ ნიადაგზე წარმოშობის მაჩვენებელია.

ბ. ხილთა ძება

ეს თხზულება³, რომელშიაც ლაპარაკია სხვადასხვა ხილის თვისებების შესახებ, იწყება ასე:

მარწყვა თქვა: მოვალ პირველად, მე ვერ მომიწრებს ხილია,
ფერად მსგავსი ვარ ღალისა, მერმე საკმელად ტუბილია,
წინ რასა მისწრობს ტყემალი, მეავე არის და გრილია,
მისგან ჩივიან ყველანი: გვაჲ, მომკეთა კბილია.

აქ ჩამოთვლილია შემდეგი ხილი: მარწყვი, ტყემალი, ბალი, ქოლი, კიტრი, ნესვი, თხილი, მაცვალი, საზამთრო, ატამი, ვაშლი, ბროწეული, ნიგოზი, ყურძენი, ქლიაფი, სხალი, ქერამი, ალიბუხარი, უნაბი, შინდი, ფშატი, ლელვი, მალაჩინი, კომში, ხურმა, თურინჯი, ნარინჯი, ლიმონი, პანტა, კვინჩხი, ფისტა, მწიფელი, კუნელი, დათვისთხილა, კაკო, ასკილი, ნუში, პური და ღვინო, სულ—38 ხილი. თეიმურაზი ამ შემთხვევაში არც იდგით, არც მისი განვითარებით, ორიგინალური არაა, ის დამოკიდებულია წინა დროის ამგვარ თხზულებაზე, რომელიც, როგორც დავინახავთ, ეკუთვნის გარსევან ჩოლოყაშვილს.

საერთო გარსევანსა და-თეიმურაზს აქვთ: მარწყვი, ტყემალი, ბალი, ქოლი, კიტრი, ნესვი, მაცვალი, საზამთრო, ატამი, ვაშლი, ბროწეული, ნიგოზი, ქლიაფი, თხილი. მათ დახასიათებაში თეიმურაზი სიტყვა-სიტყვით ან ცოტაოდენი ცვლილებით იმეორებს გარსევანს. შემდეგი ხილი აღნიშნული აქვთ ორივეს, მაგრამ სულ სხვანაირად დახასიათებული: ნუში, შინდი, სხალი, კომში, თურინჯი, ლელვი, ხურმა. თეიმურაზს ზედმეტი აქვს: ქერამი, ალიბუხარი, უნაბი, ფშატი, მალაჩინი, ნარინჯი, ლიმონი, პანტა, კვინჩხი, მწი-

¹ ამ თხზულების მიბაძვით დიმიტრი ბაგრატიონს XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დაუწერია „ღამის აღერსი“ (S 1554).

² E. B. Берельс, Очерки по истории персидской литературы, გვ. 33.

³ გ. ჯაკობიას გამოც., გვ. 109—113.

ფელი, კუნელი, დათვისთხილა, კრკო, ასკილი, პური და ღვინო. გარსევანს ზედმეტი აქვს: ზეთისხილი და წაბლი.

„ხილთა ქება“ ალორძინების პერიოდში პოპულარულ თემად გამხდარა. გარსევან ჩოლოყაშვილსა და თეიმურაზ მეორეს გარდა, „ხილთა ქება ანბანზე თქმული“ დაუწერია XVIII საუკუნის ისტორიკოსს პაპუნა ორბელიანსაც; მისი რედაქცია სულ სხვაა, გარსევანთან და თეიმურაზთან მას კავშირი არა აქვს რა, გარდა ზოგიერთი სახელისა. მას აღუნიშნავს შემდეგი ხილი: კომში, ქერამი, უნაბი, ნუში, ალუჩა, ბალი, ქლიავი, ლეღვი, ატამი, ბროწეული, თუთა, წაბლი, ხურმა, გარგარი, ფისტა, ზეთისხილი, თხილი, ფშატი, მაცყვალი, ყურძენი, ჟოლი, შინდი, ტყემალი, ზღმარტლი, კუნელი, წიფელი, ღოღონაშო, ნესვი, საზამთრო, კიტრი, ნარინჯი, თურინჯი და სხვ. (A 1273). მეცხრამეტე საუკუნეში დავით რექტორს განუგარძვია გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“ და დაუმატებია შემდეგი ხილი: ფშატი, უნაბი, ყურძენი¹. დავითის შემდეგ „ხილთა ქება“ დაუწერია ვილაც გიორგი კაბუჯაშვილს, რომელსაც გამოუყენებია ამ შრომის ყველა, მის დრომდე არსებული, რედაქცია².

C. სასახლის ძეგა

ამ პატარა ნაწარმოებში გადმოცემულია ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობა თეიმურაზის ცხოვრებიდან და შექმნილია სამი წინა დროის მეფის სასახლე და ერთი თვით თეიმურაზისა³. იწყება ის ასე: „ქმნა ღმერთმან ცანი, ქვეყანა, შეამკო ზევით, ქვევითა“. პირველად ავტორი მოიგონებს ქვეყნისა და ადამიანის გაჩენას, უკანასკნელის დაცემასა და მაცხოვრის მიერ გამოხსნას, ხოლო შემდეგ იწყებს პირდაპირ თავის საგანზე ლაპარაკს. მე ვერ ჩამოვთვლი ღვთის ყველა იმ წყალობას, რომელიც ჩემზე იყო, — ამბობს ის. ორმოცდაოთხი წლისას მერწმუნა მეფობაო:

ღმერთმან მომცა ეს სიმაღლე ნადირ-შაჰის მიზეზობით,
ჯერ მფლობელ მყო კახეთისა, მერმე ქართლში მემყიდრობით;
კახეთშია ჩემს ძეს დასვამს ერეკლესა, მეფედ ხმობით,
ოცდა ოთხის წლისა იყო, რუს პატივსდგეს ბატონობით.

მას ეამს ჩემს დისწულს, მეფის ძეს, ანტონის, კაცსა ღმრთისასა,
ვარწმუნეთ პატრიარქობა, ოცდაოთხისა წლისასა;
ბრალთა სიმრავლით უღირსსა მადლს მომფენს ყურთხევისასა,
მცხეთას მიიღო კურთხევა, ზეთს მცხებდა მეფობისასა.

ქართლში, მართალია, შტრეებისგან მოსვენებული არ ვიყავი, მაგრამ ლხინობასაც არ ვაკლდებოდი. აქ თეიმურაზი იგონებს, და საკმაოდ დაწერი-

¹ S 1512, გვ. 516, № 6.

² გამოცემულია მ. ჩიქოვანის მიერ („პუშკინის სახელობის პედიინსტიტუტის შრომები“, VI, 1949 წ., გვ. 111—115).

³ S 1512, გვ. 26—31; S 2694, გვ. 75—79; „ანთოლოგია“, ტ. II, ა. ბარამიძის გამოც., გვ. 179, სტრ. 6, 7; ზ. ჯაკობიას გამოც., გვ. 104—108.

ლებით აგვიწერს წინა დროის სამ სასახლეს: როსტომ მეფისას, ერეკლე პირველისას და ვახტანგ მეექვსისას. რომლის ბადალი ერანშიაც კი არ იყო. კერძოდ, როსტომის სასახლის შესახებ ის ამბობს:

როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახელიანი,
ნახატი სურათებითა, ყვავილა ფერადიანი,
თვით როსტომ ფალავანი და დეფნი ეხატა რქიანი,
შემგო დიდად, დაედვა სახელად როსტომიანი.

მოიგონებს რა ყველა ამას, ატორი მწარე გრძნობით აღნიშნავს, რომ ამქვეყნად ყოველივე წარმავალია, წახდა დიდება. ამ სასახლეთაცაო, წავიდა ლხინი, რომელიც ამ სასახლეებში განუცდიათ, წავა დიდება ჩემი სასახლეთაცაო, რომელსაც ის აგრეთვე გვისურათხატებს.

D. შვილის აღმზრდელი თხის ბიჟინას გარდაცვალებაზე

ერეკლე ბატონიშვილს თავის ბავშვობისას სასახლეში აღუზრდია შველი, რომელსაც აწოვებდა თხა ბიჟინა. ეს თხა მომკვდარა და ამის გამო თეიმურაზს, ანა ბატონიშვილის სახელით, ერეკლესათვის დაუწერია გრძნობით აღსავსე ლექსი, რომელშიაც აუწერს მას ამ სამწუხარო შემთხვევას, ვილაც გოგიაურის ქალის როლს და ანუგეშებს იმით, რომ საიქიოს შენი თხა კარგ მღვთმარობაშიაო. თეიმურაზის ლექსისათვის ონოფრე ბოდბეს თავის მხრივ დაუმატებია ორი სტროფი, რომელშიაც ის საყვედურს გამოთქვამს. ამ თხის მომვლელ, ალბათ გოგიაურის, ქალისადმი, რომ ის მულამ ფუსფუსებს და თავის საქმეს არ აკეთებსო¹.

E. ზმა განჯაფისა, ხალაკიხა და ნარდისა

ყუმრის, ნარდის, ქალაკისა და განჯაფის თამაშის შესახებ თეიმურაზი ლაპარაკობს ჯერ კიდევ „სარკე თქმულთაში“, აქ კი ჩვენ გვაქვს სამი სატრფიალო ლექსი, რომელშიაც პოეტი აღიარებს, რომ მას სწვავს ტრფობის ალი იმისა, რომლის მსგავსი კაცს არ უნახავს. პირველად სწუხს, რომ სატრფო მას ჯეროვანი ყურადღებით არ ეპყრობა, მაგრამ ბოლოს დამშვიდდება, რადგანაც მეო, ამბობს ის—

სისხლის რუ კარად დამწყვიტა, აღარ მადინა თვალითა,
აქ გიშვად იყო ჩემზედა, იწოდა ჩემის ბრალითა-ო.

ამ ლექსების ზმობა გამოიხატება იმაში, რომ ორი სიტყვის ნაწილიდან ვღებულობთ ერთ სიტყვას, რომელიც თამაშობის ტერმინს წარმოადგენს, მაგალითად:

ამისგან ჯაფას ბერს ენახავ, ვინ მხესა დაედარების,—

¹ S 1512, გვ. 174—176; S 3704, გვ. 5, 6; S 2675-ა, გვ. 160—161; ზ. ჯაკობიას გამოცემაში, სადაც მას ეწოდება „ბიჟინას სიკვილიზე“, გვ. 136.

გვაძლევს სიტყვას განჯაფა. დასახელებულ ლექსში ამ გზით ჩვენ გვაქვს მიღებული განჯაფის თამაშის შემდეგი ტერმინები: ალთაფი, ყიზილი, ბარათი, ხმალი, ჩანგი, თაჯი, ყუმაში, ყარაჯი, თიფი, ვარაყი, ვალი, ასნაფი, ხარჯი, თულფი, ოქმი.

მეორე ლექსი იწყება ასე: „ხმა ნარნარ დიად უხდების ბულბულსა კიკ-კიკობანი“, სადაც ვღებულობთ სიტყვას ნარდი. აქ შემდეგი სანარდო ტერმინებია აღნიშნული: იაქე, დუ, სე, ჩარ, ფანჯი, შეში, კამათელი, კაცი, კარი, შეკარ, ქვიშარი.

მესამე ლექსი იწყება სიტყვებით: „ნიჭად რაპირუკი მესმა: კართა ზედა კენჭის ცემით“, რომელთაგან შემდგარა ქადრაკი. აღნიშნულია შემდეგი ტერმინები: მეფე, ლაზიერი, კუ, მხედარი, ეტლი, პაიკი, არუხი, რუკა, ქიშ, შამათ, ქოსია¹.

მეორე მხრით, ზმობა შეიძლება იმაშიც მდგომარეობდეს, რომ სატროფოდ სიმბოლურად იგულისხმებოდეს განჯაფის, ნარდისა და ქადრაკის თამაშობა, პოეტის სურვილი სატროფოსთან ახლოს ყოფნისა და სატროფოს უყურადღებობა ჰგულისხმობდეს თამაშობაში მოგების დაუქმყოფილებელ სურვილს, ხოლო ბოლოს პოეტის დამშვიდება სატროფოს მოახლოებით—მოგებას.

F. ანბანთქება

თეიმურაზს შემდეგი ტიპის „ანბანთქება“ აქვს ნახმარი: ა) სტროფში სიტყვები დალაგებულია ანბანის რიგზე, მაგალითად:

აღმეძრა ბაგე ბულის დადებით, ეუწყა ვის ზედ ძსრეთ თქმულება,
იყნოსე კეთილ-ღმობა. გონისა ნაცებ (ორ ჰირად ჟამ რის სხმულება,
ტრფიალი უფრო ფეროვან კმნილი ღირს ყოვლად ბენგან ჩანს ცმულება,
ძველად წყლულება, ბერეტად ხელობა, კამს ჯვარისაგან ჰამ-გობება.

ბ) „ამოცანად თქმული“ ორი ანბანთქება, რომელთა დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ პირველი სტროფის ოთხივე სტრიქონი იწყება ა-ნით, მეორესი—ბ-ანით, მესამესი—გ-ანით და ასე ზ-მდე, მაშასადამე, თითოეული მათგანი შედგება 36 სტროფისაგან. პირველი „ანბანთქება“ იწყება ასე: „არის რამ უცხოვდ საცნობელ გამოუთარგმნელ ენითა“². ამის თითოეულ სტროფში ამოცანის სახით მოცემულია ახალი ალთქმის ისტორიის ერთი რომელიმე ფაქტი. ხოლო მეორე „ანბანთქების“ („აღმძრათ სიტყვა საცნობელი, არცა ძნიად გამოჩნდების“)³ სტროფებში—ძველი ალთქმის ისტორიის ფაქტები. ამგვარი „ანბანთქებანი“ დაუწერია, როგორც ვიცით, ვახტანგ მეექვსესაც.

¹ S 1512, გვ. 176—178; S 2676 ა, გვ. 145—147; S 3704, გვ. 111, 112; გ. ჯაკობიას გამოც., გვ. 137, 138.

² S 342, S 1512, S 2176 ა; გ. ჯაკობიას გამოც., გვ. 131—135.

³ იგივე ხელნაწერები; გ. ჯაკობიას გამოც., გვ. 126—130.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს თეიმურაზის სამი ნაწარმოები, 16-მარცვლიანი ლექსით დაწერილი. ესენია: ა) შაირი, კიდურწერილობით დაწერილი პეტერბურს 1761 წლის სექტემბრის 12-ს; ბ) ანბანთქება, ლექსად თქმული 1761 წლის დეკემბრის 10-ს; გ) „ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა, დიდსა ფილოსოფიისა მცოდნესა, ბრძენს რუსთველსა ზედა ბაასი პეტერბურს“¹. ეს სამი ნაწარმოები დაკავშირებულია ერთიმეორესთან იმით, რომ სამივე დაწერილია პეტერბურგში 1761 წელს და სამივეში შექმნილია ერთი და იგივე მზეთუნახავი რუსი ქალი. პირველი ნაწარმოების სტრიქონთა დასაწყისი ასოები გვაძლევს აკროსტიქს: „ვითა ფერობს სიკეთესა შენსა, ეგრეთ საქებელ ხარ დიდად ევროპიასა, დასავით საყუარელო ჩემო“. მეორე ნაწარმოების სტროფები დაწყობილია ანბანის რიგზე, მესამეს არც აკროსტიქი, არც ანბანის რიგი აქვს. ეს ნაწარმოებნი შეადგენენ ერთიმეორის გაგრძელებას, ასე რომ შინაარსი მათი ერთად შეიძლება გადმოცემულ იქნას. პოეტი მოუჯადოებია ვილაც რუს ქალს, რომელიც არის ორ მნათობს შესაღარისი, კეკლუცი, ბრწყინვალე, ყოველ შემთხვევაში მისი ბადალი ქვეყანაზე არავინაა, მისი მსგავსი არ მოიძებნება ევროპაში; მან იცის ზედმიწევნით ფრანგული, ნემეცური და იტალიური ენები, მისი ქება არ ძალუძთ ბრძენთ, ფილოსოფოსებსა და რიტორებს, ის არის თავისი მშობლების უსაყვარლესი და უმშვენიერესი შეილი; მამამისი არის ტანად ლომი და პირად მზე, ხელმწიფის მიერ დადგენილი სპასალარად, რომელიც ქუაზე რევს პრუსიასა და პრუსიის კორალს. სილამაზესთან ერთად ეს რუსეთში დანერგოლი და აღმოცენებული ქალი შემკულია ყოველგვარი სათნოებით. ის, როგორც ქრისტიანი, ენსგავსება თავის მოსახელეს ბარბარას. მრავალი მოისურვებს და სურთ კიდევაც მისი ქმრობა, მაგრამ არის კი ვინმე ქვეყანაზე ასეთი ბედნიერების ღირსი? პოეტი დამწვარია ამ ქალის ეშხით. ფარვა არ ძალმიძს შენი სიყვარულისა, შენი სიმშვენიერითა და ეშხით მთვრალი ვარ, გიხილე თუ არა, სურვილის ბადეში გავეხვიე, ეშხის ფეთებით მელევა სული და მშინია, რომ სიყვარულის სურვილით არ გამიმრავლდეს ვნებანიო. პოეტი გაგიეებულია იმ აზრით, რომ ის მალე უნდა წავიდეს და მოშორდეს მას:

ესრეთცა ვგონებ, გაყრამა მე თქვენმა გამახელოსა,
ღამაზთ თვალთ მოეშორები; ოს წავალ საქართველოსა.

საყურადღებოა ის, რომ პოეტი იმედგაცრუებულია, ის დარწმუნებულია, რომ ამ ქალის ღირსი არაა, ამიტომ ის მზადაა თუ როგორც სატრფო არა, ძმურად მაინც მოეხვიოს მას; შენ ჩემთვის დაზე უსაყვარლესი ხარო, — ეუბნება ის მას. ვინ არის ეს ქალი, რომელსაც ასე გაუგებებია უკვე მოხუცებული და ხანში შესული მეფე-პოეტი? ეს არის ვილაც პრუსიის შემშუსვრელი სპასალარის ქალი—ბარბარე ალექსანდრეს ასული². ავგიწერს

¹ S 1512, გვ. 1262—1275; ეს უკანასკნელი დაბეჭდილია „ივერიაში“ 1879 წ., № 7, გვ. 92—95; „ანთოლოგია“, II, გვ. 172—179; გ. ჯაკობიას გამოცემა, გვ. 114—124.

² ეს ქალი, როგორც გამოირკვა, არის ფელდმარშალ ალექსანდრე ბუტურლინის ასული (გ. ჯაკობიას გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. XXXV).

რა ამ ქალის მშვენიერებას, რომელმაც პოეტი ასე დაიმონა, ის შიშობავს რუსთაველს: მე არ შემიძლია შევავო მისი ციმციმ-ბრწყინვალეობანი, ეს ისეთი ფილოსოფოს-რიტორისა და პედაგოგის საქმეა, როგორცა ხარ შენაო. მიკვირს, რად დაშვერ შენ ტყუილად, შეგვიპია ისეთი პირები, რომელნიც არასდროს ყოფილან: არ ყოფილა ინდოეთში არც ნესტან-დარეჯანი, არც ფარსადანი, არც ტარიელი; არ გაგონილა არაბეთში როსტეფანი, არც ავთანდილი და არც თინათინი,—ეს სუყველა მოგიპოვრავს შენ და თავი გაგიმწარებია მათ ქებაზე, უკეთესი არ იქნებოდა შენი ნიქი სხვა რამეზე მოგეხმარა?

თქვენი ღრმად მტყვევლებანი უცხო რამ საკვირველია, თუმცა მართალზედ თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია! ვეფხისტყაოსნის ლექსები სხვას ლექსთა გამციხველია! საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია.

შენი ნათქვამი საღმრთოდ თუ საეროდ მოიხმარების, სუბობდა, მას ზედა თქმულიყო, ვის მზე არ შეედარების. ვეროპიაში რომელსა ბნელი არ მივყარების, ვინც რომე ნათლობს ნიადაგ, შუქი არ დაემალეების.

ამაზე რუსთაველი უპასუხებს: ვინ ატეხილა ჩემზე, ვინაა ეს მელექსე, რომ ექვსასი წლის მკვდარს მოსვენებას არ მძალევეს, ან რა უნდა ჩემგან? მე იმ დროისა ვარ, როდესაც მთელს საქართველო ერთი ხელმწიფის, თამარ მეფის, იყო, ვიყავი მისგან პატრიარქული მეფის მდივნობით; ვიცოდი ფილოსოფია, მას მოსწონდა ჩემი მდივნობა და მიბრძანა: რადგანაც ცოდნა გაქვს, ლექსები გამოთქვიო. მეც „ვპოვე ამბავი და ლექსად ესთქვი“-ო. მე მისაყვედურებ, მელექსე, რომ მოკორილი ამბები სთქვიო, რად არ მოიგონებ პაპა-შენს?

პაპას შენს, შენგან უკეთესს, ჰქონდა მას სიბრძნე გულისა, მასაცა უთქვამს შიირი მიჯნურთა დადაგულისა; ვინც წაიკითხავს ჩემს ნათქვამს, მიგდებდა უნდა ყურისა, ჩემმა ლექსებმან ერთს გამსა პაპაცა გაგიგულისა.

ვინ არის ის, ვეროპიაში სწორუპოვარი ქალი, რომელსაც შენ აქებ¹?
თუ ის მართლად ასეთია, ჩემს მეტი ვერ იტყვის შესაფერისს:

თუ მე მაგ დროსა მეცობლა, გავირუებოდი მე დია,
ვისაც შენ აქებ, მაჯახედ კარეს ლექსებს ვამთავრებდი,
ამას სიტყვით შევამკობდი, შენ კარში გაგავდებდი!
რადგან შენს საქებრად დარჩა, მას არ ჰქონია ბედოა.

რა განსხვავებაა ამ სიტყვებსა და თეიმურაზ პირველის სიტყვებს შორის რუსთაველისადმი („არჩილიანი“)?

¹ ა. ხახანაშვილი ფიქრობდა, რომ პოეტი ამ დამაპქალად გულისხმობს თამარ დედოფალს (Очерк, III, გვ. 153), რაც სიმართლეს არ შეეფერება.

საყურადღებოა, რომ ამ გაბაასებაში, რომელშიაც გვესმის არჩილ მეფის ანალოგიური შრომის გამოძახილი, გატარებულია შეხედულება, რომელიც წინათ ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს გამოუთქვამს თავის „შაჰნავაზიანში“, სახელდობრ: რუსთაველმა თავი შეიწუხა არარსებულ პირთა ქებით და თანამედროვე, ცოცხალ პირთათვის კი არ მიუქცევია ყურადღებოა.

თეიმურაზს დაუწერია თითქოს ერთსტროფიანი ლექსი თოფის შესახებ:

თოფმა თქვა: ჩემო პატრონო, ვარ შენი გარდამკილია,

თავს ერთგულობა მე შენი მიტვირთავს, ამიკილია.

მტერსა პასუხსა გაგიცემ, ხავი არ წამიკილია,

შემაწევე ტყეია-წამალით, შორს მოკვლა ჩემზედ კილია.

მონა ლეთისა ქართველთ მეფე თეიმურაზ. ისჯილარ ქალანთარი¹.

აი ყველა ის, რაც ჩვენამდე შენახულა თეიმურაზ მეორის სახელით, გარდა „თინსარიანისა“, რომლის შესახებ ზემოთ გვექონდა ლაპარაკი². მართალია, თეიმურაზსაც ვერ დაუღწევია თავი აღორძინების ხანის შაბლონისაგან, რომლის მოთხოვნით ყურადღებას პირველ ყოვლისა საღმრთოს აქცევდნენ და ამიტომ მოვალედ თვლიდნენ თავს ანბანთქებაში და ლექსად გადაკეთებულ ბიბლიის მოთხრობებში თუ ცალკე ლექსებში ღმერთზე, საიქიოსა და წუთისოფლის ამაოებაზე ეფიქრნათ და ამავე დროს სიყვარულის ჰანგებიც ემღერათ; მაგრამ ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თეიმურაზი ის „რეალისტი“ მწერალია, რომელსაც ყურადღება მიუქცევია ერის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებებისათვის და ზედმიწევნითი სისწოროთ დაუსურათხატებია ისინი „სარკე თქმულთაში“, ამ მხრივ აღორძინების ხანაში მას იშვიათად თუ შეეძრება ვინმე, მან პოეზია ჩამოიყვანა მაღალი, განყენებული მატერიალიდან და აილაპარაკა ისეთ ჩვეულებრივ, უბრალო, ამქვეყნიურ რამეზე, როგორიცაა ხილი, სასახლე, შევლი და თხა, გასართობ-საათამაშონი და სხვ. თეიმურაზის სტილი „ყოველთვის სწორი არაა (განსაკუთრებით „თიმსარიანში“), ხოლო ლექსს აკლია ჰარმონია და ნამდვილი პოეტური აღმაფრენა. გრძნობათა სიღრმით და გარეგანი მოხდენილობით ყველას სჯობს ის ორი ნაწარმოები, რომელშიაც პოეტი აქებს რუს ქალს ბარბარე ალექსანდრეს ასულს.

¹ ИИ АНСССР, Архив Ленин. отд. К. XVI.

² ა. ხანანაშვილიმ თეიმურაზის აქ ჩამოთვლილი თხზულებებიდან იცის მხოლოდ „რუსთველთან გაბაასება“. სამაგიეროდ ის მას მიაწერს („Очерки“, III, გვ. 154, 155): 1) ამოცანას—„სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული“. მაგრამ ვიცით, რომ ეს ამოცანა გაუგზავნა იაკობ შემოქმედელს არა თეიმურაზმა, არამედ იოსებ თბილელმა; 2) ზაქარია გაბააშვილზე გიორგის უფერულს, მაგრამ ნუსხებში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ეს გიორგის გუთუნის მღვდელს დაეთეს, ურიაყოფილს (S 1511, გვ. 969—973); 3) სატირას, რომელშიაც ნათქვამია:

მოიღნი ცხენსა მოგაკარენ, თუ თეადი დავიზუპია,
მიბრძანდი საციკიანოს, მოგართენ ბატის კუპია,
სამილხეარო ბიჭუბი, მკერდსკელი, შიგნით ფუპია,
ღლიანთ ბართიანთა ხმაზედ აყვებათ მუპია.

მაგრამ ეს სატირა, როგორც ნუსხებშია აღნიშნული (S 1512, გვ. 367—8), გუთუნის არა თე-

5. გასსევან ჩოლოყაშვილი¹

„ვეფხისტყაოსნის“ შესავალში, სადაც პოეზიის შესახებაა ლაპარაკი, რუსთაველმა ნამდვილი პოეტის სახელი ეპიკური ჟანრის მოშაირეს მიაკუთვნა, ისიც მხოლოდ ისეთს, რომელსაც „ძალუც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგამირეთა“. ამასთან ერთად მან აღნიშნა არსებობა სხვა, წმინდა ლირიკული ჟანრის მელექსეებისაც, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნათქვამი ჩვენ „გვიამების“, „მოშაირე არა ჰქვიან“, ვინაიდან, ერთი მხრით, ისინი „გრძლად ვერას იტყვიან“, მეორე მხრით--მათი ლექსი „ქარგია“ მხოლოდ „სანადიმოდ, სამღერეოდ, სააშოკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად“. რუსთაველი, როგორც ვიცით, მთელი მომდევნო ქართული პოეზიის კანონმდებელი შეიქნა, ამიტომ საკვირველი არაა, რომ მისმა დეკლარაციამ შესაფერისი ნაყოფი გამოიღო: ჩვენში დაკანონდა გრძელი, „გულის გამგმირავი“ ეპიკური ჟანრის ნაწარმოები, ხოლო „სანადიმო, სამღერელ, სააშოკო, სალალობო“ პოეზიას ან მოკლე, მსუბუქ, ფრივოლურ ლირიკულ ლექსებს ოფიციალურ ლიტერატურაში კარები დაეხშო, საჭირო შეიქნა საუკუნეები, რომ ლირიკული ჟანრის ამგვარ პოეზიას გარკვეული ადგილი მოეპოვებინა ჩვენს ლიტერატურაში.

მართლაც, პირველ პოეტად, რომელმაც რუსთველური ტრადიცია დაარღვია და ოფიციალურ ლიტერატურაში აღნიშნული ჟანრის ლირიკასაც მოუპოვა ადგილი, ჩვენ ამდენ ხანს მიგვაჩნდა მამუკა ბარათაშვილი (მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის პოეტი). პროფ. ა. ბარამიძემ ცოტათი წინ გადმოსწია ეს ახალი მოვლენა ლიტერატურაში და ასეთ ნოვატოროდ მიიჩნია მამუკას უფროსი თანამედროვე სულხან-საბა ორბელიანი, რომლის „ქილილა და დამანას“ ერთ ლექსში („ქალი“) აღმოაჩინა ამ ნოვატორობის ელემენტები კომპოზიციის, მეტრისა და რიტმის სახით².

ახალი დაკვირვება ერთ ცნობილ ლიტერატურულ ფაქტზე საშუალებას იძლევა ხელახლა დაისვას ეს საკითხი და მიღებულ შეხედულებაში საჭირო შესწორება იქნას შეტანილი. მხედველობაში გვაქვს ლირიკული ლექსების კრებული, რომელსაც „ნარგზოვანი“ ეწოდება. ეს კრებული, რომელიც ახლა

იმურაზს, არამედ გოჩას; 4) თამარ მეფის ეპიტაფიას: „როს ნაჭარმაგვეს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს“, რომელიც არსენ იყალთოელს ეკუთვნის; 5) ვახტანგის ეპიტაფიას: „მე უმციოესმა ძმათაგან“, რომელიც ეკუთვნის არა თეიმურაზს, არამედ გივი თუმანიშვილს (S 1512, გვ. 93); 6) საეპოვა თეიმურაზს ეკუთვნოდეს ის ლექსი, რომელიც თითქოს ეთქვას მას ერთი გლეხის ქალისათვის აღდგომა დღეს გომბორზე შეხვედრისას („მოგზაური“, 1901 წ., № 2, გვ. 183):

ა ქალი ვაზი შითელი, ხელი რომ გიჭირავს კაცათა,
შენმა წარხმა და ნამნ:მმა მე გული მომიკაცათა.

¹ გარსევან ჩოლოყაშვილით ჩვენ ვიწყებთ განხილვას ლირიკოსთა იმ ჯგუფისას, რომელიც არ შერჩა მხოლოდ და მხოლოდ რუსთველურ შიარს და პოეზიაში ახალი მეტრი და რიტმი შემოიტანა.

² „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, გვ. 339.

უკვე გამოცემულია¹, შეიცავს თერთმეტ სხვადასხვა კომპოზიციის, მეტრისა და რიტმის სატრაფიალო ლექსს. ავტორი ამ ლექსებისა, რომლებიც შემოუნახავს მეთვრამეტე (1) და მეცხრამეტე (4) საუკუნის ხელნაწერებს, ცნობილი არაა, ამიტომ არც კრებულის წარმოშობის დროა საბოლოოდ გარკვეული. 1924 წელს ჩვენ ამის შესახებ ვამბობდით: „ეს ნაწარმოები, რომელიც მეტად ჰარმონიული, ლამაზი და მგაძრობიარე ლექსითაა დაწერილი, ნათქვამი უნდა იყოს XVIII საუკუნის მეორე ნახევარს, როდესაც შამუქა ბართაშვილმა, 16-მარცვლიანი ლექსის ბატონობის შერყევის შემდეგ, დააკანონა, ხოლო დავით გურამიშვილმა და სხვებმა განახორციელეს კიდევ და იწყეს წერა სხვადასხვა საზომით: 7, 8, 10, 15, როგორც აქ, და მარცვალთა სხვა რაოდენობით; არჩილის დროს ამ საზომით ჯერ კიდევ არ სწერდნენ, თან მის დროს არ იწერებოდა ისეთი შინაარსისა და მოტივის ლექსები, როგორიცაა „ნარგიზოვანი“. ამას ისიც უნდა დაეუფალოთ, რომ ჩვენ არ ვიცით არც ერთი ხელნაწერი ამ ნაწარმოებისა, რომელიც არათუ XVII და XVIII საუკუნეების, მეცხრამეტის ფარგლებიდან გამოდიოდეს“². პროფ. ა. ბარამიძემ თხზულების გამოცემაში (გვ. 9—13) ეს მოსაზრება უფრო დააზუსტა და მისი დათარიღების მიზნით შემდეგ მონაცემებს მიმართა: „ნარგიზოვანის“ მერვე ლექსი „ქართლი ზვენიერია“ ფორმალურად უნდა მომდინარეობდეს „ქილილა და დამანაში“ მოთაგებული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიდან „ქალი“, მაშასადამე, მეთვრამეტე საუკუნის ოციან წლებზე ადრე ის ვერ დაიწერებოდა. მეორე მხრით, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერში № 28 (იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან), რომელიც შეიცავს „ჩარდავრიშინას“ და „ნარგიზოვანს“, აღნიშნულია, რომ ის გადაწერილია 1785 წელს, მაშასადამე, 1785 წელი ის წელია, რომლის შემდეგ თხზულება ვერ დაიწერებოდა, ასე რომ „ნარგიზოვანი“ დაწერილად უნდა ვივარაუდოთ 1720—1785 წლებშიო.

სპეციალური დაკვირვების შემდეგ, ამჟამად იძულებული ვხდებით უარი ეთქვათ ჩვენს წინანდელ შეხედულებაზე. ის გარემოება, რომ თხზულება მხოლოდ XVIII—XIX საუკუნეთა ხელნაწერებში გვხვდება, კიდევ არ კმარა იმის სათქმელად, რომ ის XVIII საუკუნეზე ადრე ვერ იქნებოდა დაწერილი. ამ გზით რომ ვიმსჯელოთ, მაშინ „ვეფხისტყაოსნისა“ და კლასიკური ხანის სხვა თხზულებათა დაწერა XVII საუკუნეში უნდა გადმოვიტანოთ, რადგან მათი შემცველი ხელნაწერები XVII საუკუნეზე ადრე არ მოგვეპოვება, ანდა თეიმურაზ პირველი XVIII საუკუნეში უნდა გადმოვსვათ, ვინაიდან მისი ნაწერების ხელნაწერები XVIII საუკუნიდან გვხვდება. არ კმარა ამის სათქმელად არც ის, რომ „ნარგიზოვანის“ ლექსი „ქართლი ზვენიერია“ მეტრული აღნაგობით, რიტმული ნაირობით, რითმული სისტემით, სტროფიკითა და კომპოზიციური სხეულით ემთხვევა საბას ლექსს „ქალს“. განა არ შეიძლება იმისი დაშვება,

¹ „ნარგიზოვანი (XVIII საუკუნის ლირიკული პოემა)“. აღ. ბარამიძის გამოც. თბ., 1936 წ.

² „ქართული ლიტერატურის ისტორია“, II¹, გვ. 421, შენ. 5.

რომ თვით საბა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია თუ „ნარგიზოვანზე“ არა, სხვა რომელიმე ამგვარ ლექსზე, რომელიც მანამდე ცნობილი იყო არაოფიციალურ ლიტერატურაში—ხალხურ შემოქმედებაში? განა ყველა ის სალექსოსაკომპოზიციო ფორმა, რომელიც საბას „ქილილა და დამანაში“ მოგვეპოვება, მისი ნოგონილია? ყოველ შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვით შაირის, ჩახრუხაულისა და ძაგნაკორულის შესახებ, ვერ ვიტყვით ამას აგრეთვე ვერც ფისტიკაურის შესახებ, რომელიც, სხვა არა იყოს რა, გამოუყენებია ჯერ კიდევ შირაზის ტყეობაში მყოფ (1614—1624) ქეთევან დედოფალს თავის ელევიაში—„ამას ვსტირი ბნელსა მჯღომი“¹. საბა საერთოდ, როგორც ცნობილია, დიდად იყო დასესხებული შინაარსობრივად: („სიბრძნე სიცრუისა“) ხალხური შემოქმედების საღჯგეს. რატომ არ შეიძლება იქიდანვე ესესხებინა მას პოეტური ფორმა?

ვინ არის ავტორი „ნარგიზოვანისა“? ზ. კიკინაძე² და იმაზე დამყარებით ა. ხახანაშვილი³ მას არჩილ მეფეს მიაწერდნენ, მაგრამ ეს სინართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს, ვინაიდან არჩილის სახელით ეს თხზულება არსად და არასდროს არ ყოფილა ცნობილი. თან არჩილს ასეთი ენარის ლექსები არ უწერია, არც შეეძლო ეწერა, ვინაიდან ის ამგვარი ენარის პრინციპული წინააღმდეგი იყო. ლენინგრადის ხელნაწერში „ნარგიზოვანის“ ავტორად ნაჩვენები ყოფილა ვილაც ორბელიანი, მაგრამ არც ეს უნდა იყოს მართალი. ამგვარი ცნობა ხელნაწერში სრულიად შემთხვევით ან გაუგებრობის ნიადაგზე შეიძლებოდა გაჩენილიყო, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც ნაწარმოების ნამდვილი ავტორი საყოველთაოდ ცნობილი არ იყო⁴. ეს ცნობა რომ მართალი და დასაჯერებელი არ არის, შემდეგიდან ჩანს. აღნიშნული ხელნაწერი თავის დროზე ჰქუთენებია იოანე ბატონიშვილის მეუღლეს, ზურაბ წერეთლის ასულს, ქეთევანს, მაშასადამე, ის ხელთაჰქონია თვით იოანე ბატონიშვილს. იოანე, „კალმასობის“ ავტორი, ცნობილია, რომ დიდად განათლებული კაცი იყო, განსაკუთრებით მცოდნე მშობლიური ლიტერატურისა. ის კრიტიკულად მიდგომა თავისი ხელნაწერს ცნობას, არ მიუღია და არ დაუჯერებია ის, ამიტომ თავის „კალმასობაში“ „ნარგიზოვანის“ ავტორად ორბელიანს კი არ ასახელებს, არამედ სულ სხვა პირს. ვის სახელდობრ? „კალმასობის“ იმ თავში, სადაც იოანე „ძველთა და ახალთა მოშიარეთ“ ჩამოთვლის, ნათქვამია: „ჩოლოყაშვილმან გარსევან ვალექსა წიგნი ნარგიზიანი“⁵. ამგვარად, იოანეს ცნობით, „ნარგიზოვანის“

¹ S 1512, გვ. 25—26; Е. Такашвили, Описание, II, გვ. 200.

² „ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში“, გვ. 22, 23.

³ „Очерки по истории грузинской словесности“, вып. III, გვ. 99.

⁴ ზ. კიკინაძეს უნახავს „ნარგიზოვანის“ შემცველი ხელნაწერი, რომელიც გადაწერილი ყოფილა დიმიტრი ორბელიანის მიერ. ლენინგრადის ხელნაწერ № 28-ში გადაწერილი ორბელიანი ზომ არ იქცა ამ თხზულების ავტორად?

⁵ „კალმასობა“, II, გვ. 189. ეს ცნობა არაა შემთხვევითი ხასიათისა, საეჭვო, რადგანაც ის კატეგორიულადაა გამოთქმული იოანეს მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მის ხელში არსებული ნუსხა ავტორად სხვა პირს, ორბელიანს, ასახელებდა.

ავტორი არის გარსევან ჩოლოყაშვილი. ამასვე ადასტურებს ჩვენი ძველი მწერლობის მეორე კომპეტენტური მცოდნე—არჩილ მეფე. არჩილი „რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასების“ შესავალში, სადაც საგანგებოდ ლაპარაკია „ძველთა და ახალთა საქართველოს მეღუქსეთა“ შესახებ, ამბობს:

ჩოლოყაშვილსა გარსევანს უთქვამს რამე-რამები:
კიტრი ბილად რაღას ვარგა, ვაშლი შოვა რაე, ბია!
ასევე სჯობს, რაც მასშია მისგან მონახსენებია,—
გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია¹.

გარსევან ჩოლოყაშვილის „მონახსენებთაგან“, ესე იგი თხზულებათაგან, არჩილს სცოდნია, სხვათა შორის, „ნარგისთათვის“, ესე იგი ჩვენი „ნარგიზოვანი“.

ვინ არის გარსევან ჩოლოყაშვილი? არჩილის ცნობიდან ირკვევა, რომ გარსევან ჩოლოყაშვილს უცხოვრია და უწერია 1681 წლამდე, როდესაც ეს ცნობა დაიწერა. ზ. კიკინაძის სიტყვით, „ბილთა ქების“ ავტორი, ნაშასადაძე, დაეუმატებთ ჩვენ, „ნარგიზოვნისა“², გარსევან ჩოლოყაშვილი, არის 1517—1518 წლების³ მოღვაწე მართლაც, მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს ცნობილია „სახლთუხუცესი კახი ბატონისა“ გარსევან ჩოლოყაშვილი, მეფის ავ-გიორგის (მოჰქლეს 1514 წ.) ცოლის ელენეს ნათესავი. ავ-გიორგის სიკვდილის შემდეგ ის დიდხანს მალაქდა თავის სახლში მის მცირეწლოვან შვილს ლევანს, რომელიც, მისი დახმარებით, 1518 წელს გაბეფდა კიდევაც კახეთში⁴. ეს გარსევანი, არჩილის ზემოპყვანილი სიტყვების მიხედვით, „ნარგიზოვანის“ ავტორად მიაჩნია ჰლ. იოსელიანსაც⁵, მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნის გარსევან ჩოლოყაშვილი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას „ნარგიზოვანის“ ავტორად⁶. საქმე ისაა, რომ არჩილი გარსევან ჩოლოყაშვილს ასახელებს არა მეთექვსმეტე საუკუნის მწერლებში (ამ საუკუნიდან მას დასახელებული ჰყავს მხოლოდ იოსრო თურმანიძე), არამედ შეჩვილმეტისაში: ნანუხა, ჯაგლა-

¹ „არჩილიანი“, ტ. II, სტროფი 30. დაშვება. იმისა, რომ არჩილი ამ შემთხვევაში ისე ცდებოდა, როგორც ვიქტორ, ბოსრო თურმანიძისა და ბეგთაბეგ თანიაშვილის მიმართ, ძნელია, რადგანაც გარსევანი მისი თანამედროვე და, ეჭვი არაა, ნაცნობიც იყო, რაც პირველი ორის შესახებ არ იქონის. თან, „ნარგიზოვნის“ ერთ გამაღუქსავი ჰყავდა, „როსტომიანსა“ და „ამირანდარეჯ.ნიანს“ კი ორ-ორი, რომელთა მიმართ შეცდომანა ჩავარდნა უფრო ადვილი იქნებოდა.

² „ქართული მწერლობა XII საუკუნიდან მეთექვსმეტემდე“, გვ. 28—30.

³ „ქართლის ცხოვრება“ მეორე გაგრძელება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 908—911; „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 105, 106

⁴ „Под князем Чолоквевым“, Тбилиси, 1866 г., გვ. 9—10, შენ. 3.

⁵ ზ. კიკინაძემ არ იცოდა სხვა გაოსევან ჩოლოყაშვილის არსებობა. ჰლ. იოსელიანი აღნიშნავს მეორე გარსევან ჩოლოყაშვილს, ერეკლე I ნაზარალიანის ქალის მარიამის (მონახსენობაში მაკრინე) ქმარს („Под князем Чолоквевым“, გვ. 13). მაგრამ, ვერ ერთი ეს სწორი არაა: მარიამის ქმარი იყო არა გარსევან ჩოლოყაშვილი, არამედ ვდიშერ ჩოლოყაშვილი; მეორე, კიდევაც რომ აღმოჩნდეს 1681 წლის შემდეგ ვინმე გარსევან ჩოლოყაშვილი, „ნარგიზოვანის“ ავტორად მას ვერ მივიჩნევთ, რადგან ეს ავტორი 1681 წლამდე ცხოვრობდა.

გა ფაელებიშვილი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ნოდარ ციციშვილი, გარსევან ჩოლოყაშვილი, სულხან თანიაშვილი. ბარძიმ ვაჩნაძე, სამებელი იაკობ, ფეშანგი ფაშვიბერტყაძე. არჩილს ის ნავარაუდები ჰყავს არც ისე დაშორებულად თავისი დროიდან. შესაძლებელია ამ დროს მართლაც მოიძებნოს ასეთი პიროვნება. იერუსალიმის სვინაქსარის „ალაპებში“ 16 იანვრის ქვეშ ვკითხულობთ: „ამასეღ დღესა წირება და ალაპი საუკუნოა ირუბაქიძისა ჩოლოყაშვილისაა გარსევანისი; საუკუნოდ იყავნ ქსენებაა მისი. გამოეგზავნა ორასი ვენეტიკური (ველოტიური) ფლური; ასისათვის ალაპი გაუჩინეთ და ასისათვის კანდელი დაუკიდეთ გოლგოთას ჩუენ, მამამან მიკიფორე და ძმათა და დათა ერთსულობით, და შემდეგ ჩუენსა ვინც იყვენთ, გვეედრებით ღმრთისათვის, ნუ ვინ დააკლებთ“¹. მიკიფორე ან ნიკიფორე ჩოლოყაშვილი-ირბახი ჯვარის მამად იყო იერუსალიმში, როგორც გარკვეულია ახლა, 1643—1649 წლებში². მასწავლა, ის ვალსევიან ჩოლოყაშვილი, რომელსაც შესაწირავის სახით ორასი ვენეტიკური ფლური გაუგზავნია მისთვის, დაახლოებით ამ დროის მოღვაწე ყოფილა, ეს დრო კი ზედმიწევნით უდგება არჩილის მიერ ნაგულისხმევ გარსევან ჩოლოყაშვილის, „ნარგიზოვანის“ ავტორის, დროს. ამრიგად, გარსევან ჩოლოყაშვილი არის XVII საუკუნის ნახევრის მოღვაწე და მისი „ნარგიზოვანიც“ ამ დროის ნაწარმოებია.

ახლა ისმის კითხვა: შეიძლებოდა თუ არა XVII საუკუნის ნახევარში დაწერილიყო ისეთი ნაწარმოები, როგორცაა „ნარგიზოვანი“? აი როგორ ახასიათებს „ნარგიზოვანს“ მისი გამომცემელი პროფ. ა. ბარამიძე: „ნარგიზოვანი“ იშვიათი ძეგლია ძველი ქართული მწერლობისა, იმაში მხატვრულად არის შერწყმული ძლიერი სატრფიალო გრძნობებისა და მხურვალე პატრიოტიკის ხმები. აქ სიყვარულის სიმძაფრე გადმოცემულია რალაც იშვიათი სინაზით, გრძნობიერებით და სიტხოველით. ეს შინაარსის მხრივ; ფორმით, პოეტური-ოსტატობით „ნარგიზოვანი“ სამაგალითოა. მისი თითქმის ყოველი თავი იძლევა ახალსა და თავისებურ რიტმს, მეტრს, კომპოზიციას. ტრადიციული 16-მარცვლოვანი შაირის გვერდით გვხვდება 7, 8, 10, 11, 12, 13 და 15-მარცვლოვანი ტაქებიც“³.

შეიძლება თუ არა, კვლავ ვკითხულობთ, მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში დაწერილიყო ასეთი შინაარსისა და ფორმის თხზულება? ნაადრევი ხომ არაა ეს ამ დროისათვის? ვფიქრობთ, შესაძლებელი იყო. შინაარსის მხრივ ეს ექვს არ იწვევს: პატრიოტული და სატრფიალო მოტივი, თუნდაც ნაზი და მძაფრი, ამ დროის მწერლობისათვის, როგორც ვიცით, უცხო არ არის. მეჩვიდმეტე საუკუნისათვის უკვე იჩენს თავს მოკლე, მსუბუქი და ფრივოლური სატრფიალო ლექსი. მართლაც, „შაპნავაზიანის“ ერთადერთ, XVII საუკუ-

¹ ალაპი ჯვარის მონასტრისანი, გვ. 41; ხელნაწერში „მიკიფორეს“ მაგიერ „შეცდომით ამოკითხულია „შაკარე“, მაგრამ აქ რომ „მიკიფორე“ იკითხება და არა შაკარე (ასეთი არც სახელია და არც ჯვარის ნაშა), ჩანს სხვა ალაპების ანალოგიური ტექსტიდან, მაგალითად: 84, 85, 43. ქარაგმით დაწერილი „მცქერე“ წაკითხულია როგორც „შაკარე“.

² კ. კ. კელიძე, ნიკიფორე ირბახი, „ეტიუდები“, II, გვ. 304, 305.

³ „ნარგიზოვანი“, ალ. ბარამიძის გამოც., გვ. 7.

ნის, ხელნაწერში ზოგიერთ გვერდზე თანანედროვე ხელით მოთავსებულია ლექსები და ნაწევრები, რომელთაც დღეს ვხვდებით ხალხურ ზეპირსიტყვაობაში და რომლებიც მიჩნეულია როგორც ხალხური ლირიკის ნიშნები, მაგალითად

ცის ქვეშა დაბადებული თქვენი ყველაი ცუდია,
 თქვენი ლაწვი და ბაგენი ყირმიზი, იაგუნდია;
 სამოთხის სურნელობასა თქვენთანა დაუბუდია,
 ამდენი ხნის უნახავი ჩემთვის სიცოცხლე ცუდია,
 ბატონო, თქვენი თელ-წარბი მწყაზარ შავარდენს გიგავსო,
 ელვარე პირი ბროლისა ცისკარის მასკლავს გიგავსო,
 ალვა-ტანი და ბეჭ-გვერდი გიშრის თმას დაუფარავსო,
 მკლავ-გმირი, ტანით-ღერწამი ქმარი ტარიელს გიგავსო,
 ბაგენი ვარდსა მიგიგავს, დაუქნობუელსა მზისაგან¹.

„შაჰნავაზიანის“ შემცველი ხელნაწერის ზოგიერთ გვერდზე გაკეთებულ მინაწერებს გარდა ამას ადასტურებს ვაჰანის ქვაბთა ეკლესიის კედლებზე; XV—XVI საუკუნეებში მიწერილი არაერთი მოკლე, მსუბუქი და ფრივოლური სატრფიალო ლექსი (ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 30, 1954 წ.; აგრეთვე, შ. ონიანის მოხსენება ამ საგანზე 2 ოქტომბერს 1958 წ.).

განა თეიმურაზ პირველის თხზულებებში ცოტა გვხვდება ასეთი ნახილ მძლავრი გრძნობებით აღსავსე სატრფიალო სტროფები?

უფრო დამაფიქრებელია „ნარგიზოვანის“ ფორმა: მეტრი, რიტმი და კომპოზიცია, მისი სტროფიკა და მუხამბაზური რეფრენი, რომელიც ასე უხვად და ქარბადაა აქ გამოყენებული. ფიქრობთ, ანაქრონიზმად არც ეს უნდ გვეჩვენოს მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრისათვის. ხომ არ შეიძლება ეპეი შევი ტანთ იმაში, რომ მეთვრამეტე საუკუნემდე ჩვენში ხალხი მღეროდა სასი ხარულო, გასართობსა და სატრფიალო ლექსებს, მღეროდა ის ისეთ ლექსებსაც რომლებშიაც ცხოვრების სიმძიმით შეწუხებული სულის კვენესა ისმოდა? დით მღეროდა, იმას ხომ ვერ ვიტყვით, რომ ასეთ ლექსებს ის ამბობდა უმეველად მალაღმარადოვანი 16-მარცვლიანი შაირით და 20-მარცვლიანი ჩახრუხალუით? ალბათ, იყო ხალხში მოკლე, მსუბუქი, სხვადასხვა მეტრისა და რიტმის სააშკო, სალალობო და გასართობი ლექსები, და რომ იყო, ეს ჩანს თვით „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან, სადაც დადასტურებულია „სანადიმო, სამღერალი, სააშკო, სალალობო და ამხანაგთა სათრეველი ლექსის“ არსებობა (სტროფი 17), ერთი სიტყვით, არსებობა იმავე ხასიათის ლექსებისა, როგორც „ნარგიზოვანში“ ვვაქვს. ამაჲ, სხვა არა იყოს რა, ადასტურებს „ნარგიზოვანის“ რეფრენი. რეფრენი, როგორც ცნობილია, ხალხური პოეზიის დამახასიათებელია. აქედანაა ის შემოსული მწერლობაში, თავდაპირველად სასულიერო პოეზიაში, XVII საუკუნისათვის რომ უცხო არ იყო მუხამბაზური, მუსტაზადური, თეჯნიშური, თახმისური და სხვა ამგვარი ხმის ლექსები (შეიძლება, ამ ტერმინების ხმარების გარეშე), ამას ადასტურებს „კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილიც. იქ ჩვენ ვკითხულობთ:

„კეტრე: სპარსისა და თურქეთის ხმაზედ ვითარიდა არიან შაირნი ანუ ლექსნი და ვის დროს შემოღებულნი“

იოანე: სპარსთა ხმით სიმღერა, ისევე მათისავე ენითა და საკრავითაც, არ იქნებოდა, რომ ძველადაც არა სცოდნოდათ ქართველთა, მაგრამ არსად იცხადებს წერილი. ხოლო, ოდეს როსტომ მეფემ მიიღო ქართლი, ამან-დას-

¹ „შაჰნავაზიანი“, გ. ლეონიძის გამოც., გვ. IX.

დო სრულად სპარსთ კანონი და წესნი... და ამასთანა საკრავნიცა და სიმ-
ლერაც შემოიღო და გაამრავლა საქართველოსა შინა“¹.

ამასვე ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც, რომელიც ამბობს: „როს-
ტომამნ მოიყვანა ყოველნი ტყვენი საქართველოსანი სპარსეთიდან გამაჰმა-
დიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ქამა ყიზილ-
ბაშური... აბანო, კეკლუტობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი“².

ცხადია, მეჩანგეს, მგოსანსა და სიმლერას როსტომ მეფემდეც (1638—
1658) ისევე იცნობდნენ საქართველოში, როგორც, უეჭველია, აბანოსა და
კეკლუტობას, მაგრამ ყველაფერმა ამან როსტომის დროს განსაკუთრებით
იჩინა თავი სპარსთა ზეგავლენით. ერთი სიტყვით, „ნარგიზოვანისებური“ პო-
ეზია, ყოველ შემთხვევაში, მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრისათვის მოულოდნე-
ლი და შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო ჩვენში, მხოლოდ ოფიციალურ
ლიტერატურაში თამამად და გაბედულად ჯერ ვერ ჩნდებოდა. ამის მიზეზი
იყო ის, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, რუსთაველმა ანგეარ პოეზიას ნამდ-
ვილი პოეზიის სახელი წაართვა. შემდეგში ოფიციალური ქართული ლიტერა-
ტურა რუსთაველის მიერ დაკანონებული გზით მოდიოდა—„ნარგიზოვანის“
ჟანრის პოეზიას ის ებრძოდა და გზას არ აძლევდა. წარმოიდგინეთ, თეიმურაზ
პირველიც კი, რომელმაც თავისი „მაჯამითა“ და „გაზაფხულშემოდგო-
მიანით“ რამდენადმე შეარბილა რუსთაველის დეკლარაციის სისასტიკე, ზემო-
დან და მედიდურად დაჰყურებს „ნარგიზოვანისებურ“ პოეზიას, როგორც
ნამდვილი პოეზიის ვულგარობას და უბრალო „მოშაირობას“, როდესაც
აცხადებს: „ბოლოდ სცნან ყოვლთა, არა ვარ მოშაირეთა ძმობილი“³.

ასევე უყურებს ამ პოეზიას თეიმურაზ მეორეც, რომელმაც უფრო მეტად
გადაუხვია რუსთაველის ტრადიციებს. ის ამბობს:

ვინ არის ჩემზე მეტყველი, შეტყობა დია მსურისა:
თუ ვინმე დიდი კაცია, მიგდება უნდა ყურისა;
არამც რომ დამკვრელი იყოს სტიერისა, ქიანურისა,
ზედან აზღერდეს შაირებს, ნათქვამს ბისტიკას ცრუსა⁴.

უფრო მკაცრად ებრძოდა ამ პოეზიას არჩილ მეფე. არჩილი მწერლად
არ თვლიდა იმას, ვინც რუსთაველს ვერ მიბაძვდა: „ვინც ვერ მიჰყვეს რუს-
თელის თქმულსა, გადმობრძანდეს ასე აქეთ“⁵,—ამბობს ის. ამიტომ საკვირვე-
ლი არაა მისი შემდეგი სიტყვები⁶:

¹ „კალმასობა“, ტ. I, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის გამოც., თბ., 1936 წ., გვ. 295, 296; ლეგენდა „დომლაური“ გადმოგვეცხად, რომ როსტომ მეფეს მცხეთაში კვიდის დროს ართობდნენ „ბაიათებით“ (А. Х а х а н о в, Очерки, I, გვ. 285).

² „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 46.

³ „იოსებხილიბანიანი“, ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოცემა, სტრ. 3.

⁴ თეიმურაზ II, თხზ. კრებული, გ. ჯაკობიას გამოც., გვ. 123—„რუსთველთან გაბაასება“.

⁵ „არჩილიანი“, ტ. II, „რუსთველის და თეიმურაზის გაბაასება“, სტროფი 32.

⁶ იქვე, სტროფი 35.

სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ; არც ბააკა დვალძესა,
არც დათუნა ქვარაანსა, წითას რად ვერ წაბაძესა?

არჩილს არ უნდა ბააკა დვალძე და დათუნა ქვარაიანი მწერალთა რიცხვში მოიხსენიოს, რადგან ნათ „შოთას ვერ წაბაძეს“. რა მხრივ „ვერ წაბაძეს“? იმას ხომ არ გულისხმობს არჩილი, რომ ბააკამ და დათუნამ ისე კარგად ვერ დაწერეს, როგორც შოთამ? განა სხვა პოეტებმა, რომელთაც ის ჩამოგვივთელის, ყველამ ისე კარგად დაწერა და „თქუა“, როგორც შოთამ? არა, რასაკვირველია. არჩილს უნდა სთქვას, რომ ბააკა და დათუნა ყოველთვის არ წერდნენ იმ ნორმით, რომელიც დაკანონებული იყო რუსთაველის მიერ. ჩვენ, სამწუხაროდ, არა გვაქვს ცნობები ბააკას შესახებ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ყოფილა სახალხო პოეტი, „ნარგზოვანისებური“ პოეზიის წარმომადგენელი. მართლაც, თუ ზ. კვიციანიძეს დაეჯერება, მას, ბააკა დვალძეს ან დვალძეშვილს, რომელიც 1635 წლის მახლობლად მოღვაწეობდა, მეტწილად სულ სახალხო ლექსები უწერია. მას აკუთვნებენ, სხვათა შორის, „ცხენის ლექსის“ დაწერასო¹.

ასეთი სიმკაცრე არჩილს თვით გარსევანს ჩოლოყაშვილის შეფასებაშიაც გამოუჩენია, გარსევანის ლიტერატურულ საქმიანობას ის მედიდურად დაპყურებს. გარსევანს რაღაცაები („რამე-რამები“) უწერიაო, — ამბობს ის „რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასების“ შესავალში. ის სხვა ადგილასაც ეხება გარსევანს:

მადლი რა გადრო, თუცაღ გარსევანს ვსჯობდე ან ბარძიმს?
ჩოლოყაშვილს და ვაჩანძეს რადგან მადარებ, არ მიძიმის;
ერთს, კოჩივარდას მქებარსა, მეორე აქებს, — მაშ თუ ღიმს. —

ათქმევინებს ის რუსთაველს თეიმურაზისათვის? „კოჩივარდას მქებარად“ არჩილი გარსევანს გულისხმობს, ხოლო „კოჩივარდად“ იმ ყვავილოვან მცენარეთ, რომელთა შესახებ გარსევანი „ხილთა ქებაში“ ლაპარაკობს. „კოჩივარდა“, როგორც ყვავილი, არჩილს დაბალი ღირსების ყვავილად მიაჩნია. ერთ ადგილას ის ამბობს: „სად ედრება ღანძილი და კოჩივარდა ყარამფილსა?“² ამისდა მიხედვით, გარსევანის „ხილთა ქება“ მას „კოჩივარდობად“, დაბალი ღირსების ნაწარმოებად მიუჩნევია, თუმცა ის რუსთაველური შაირით, შოთას მიბაძვით არის დაწერილი. იგულისხმება, რომ არჩილს მისი შინაარსი, სუფეტი, თემა არ აქმაყოფილებდა, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, — ამბობს არჩილი — გარსევანის ეს თხზულება მაინც სჯობს („ესევე სჯობს“) მის სხვა

¹ „ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში“, გვ. 37. დათუნა ქვარაიანი ის დათუნა ქვარაიანი, რომელსაც გაუღვქმავს უმედილესი ხელნაწერიდან წმ. გიორგის ლეგენდა და ზოგიერთი ბიბლიური ეპიზოდი (A. X a x a n u s e, Очеркы. I, 239). ამ საკითხზე იხ. მ. ჩიქოვანი, უცნობი პოეტი დათუნა ქვარაიანი, აღ. 3 უ შკინის სახელობის თბილისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, IV, 1947 წ., გვ. 185—199.

² არჩილიანი, ტ. II, სტრ. 84.

³ იქვე, ტ. I, გვ. 101, სტრ. 37.

„მონახსენებს“ ან თხზულებას, რომელიც მას „სმენია“ ან გაუგონია, იგულისხმება „ნარგიზოვანი“:

ესევე სჯობს, რაც მასშია მისგან მონახსენებია:
 „გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია“.

მაშასადამე, „ნარგიზოვანი“ არჩილი უფრო დაბლა აყენებს, ვიდრე კოჩივარდობას—„ხილთა ქებას“. რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ იმაში უფრო მეტადაა ოფიციალური ლიტერატურის მიერ დაგმობილი ელემენტები, ახალი პოეზიისა.

„ნარგიზოვანი“ თერთმეტი ლექსისაგან შედგება, მაგრამ არის საბუთი ვიფიქროთ, რომ დღესდღეობით ცნობილ კრებულებში არ შემონახულა გარსევანის ყველა ლექსი. ამას გვაფიქრებინებს, პირველ ყოვლისა, არჩილის ციტატა: „გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია“. „არჩილიანის“ ლენინგრადის ხელნაწერში № 22, რომელიც გადაწერილია 1705 წელს ავტორის ბრძანებით დაუთ თურქისტანიშვილის მიერ, მოყვანილი სტრიქონის პირდაპირ წითურით შენიშნული ყოფილა: „ეს ბოლოს ერთი სტრიქონი გარსევანის (ჩოლოყაშვილის) ნათქვამია, არ მამიპარავს, მაგრამ სიტყვამ მოახდინა“¹. მაშასადამე, არჩილი თვითონ ადასტურებს, რომ ეს სტრიქონი ამოღებულია მის მიერ, როგორც ციტატი, გარსევანის თხზულებიდან. ეს თხზულება არის, რასაკვირველია, „ნარგიზოვანი“. ამას ადასტურებს, ერთი მხრით. სიტყვა „ნარგისთათვის“, მეორე მხრით—მოყვანილი სტრიქონის სიტყვები: ა) „გული კვდება“; „ნარგიზოვანიში“ „დამწვარი გული“ (1 ლექსი), „გული ღებული“ (მე-4 ლექსი), „მოდებული აღ“ (მე-8 ლექსი), „დაშირიტი ცეცხლი“ (მე-3 ლექსი) ჩვეულებრივი მოტივია. ბ) „თვალნი გაუშტერებია“; ამისი შესატყვისია „ნარგიზოვანიში“: „მიმრიდა თვალი ნათელი, მეწია გულსა ბნელია“ (მე-7 ლექსი), „რა ქნას თვალმან ბნელმან“, „მომეკიდა თვალთა ბინდი“ (მე-10 ლექსი). ასეთ სტრიქონსა და სიტყვებს დღეს ცნობილ „ნარგიზოვანიში“ ვერ ვპოულობთ. მაშასადამე, იყო ოდესღაც გარსევანის კრებულში ისეთი ლექსი, საიდანაც ამოღებულია მოყვანილი ციტატი. მეორე: გარსევან ჩოლოყაშვილის ლექსთა იმ კრებულში, რომელიც ზ. კიკინაძეს ჰქონდა ხელთ, მოთავსებული ყოფილა, „ხილთა ქების“ გარდა. „სხვა ლექსებიცა მრავალი“², რომელთაგან ერთი, თურმე, ასე ბოლოვდებოდა:

თვალთაგან ცრემლის მღვრელია მარადის გარსევანო,
 ზემოთ ნათქვამსა ამბებსა ვერ მოსთქვამს აწ ენაწიო.

¹ „არჩილიანი“, II, გვ. 133. აქ ისეთი კატეგორიულობითაა დადასტურებული გარსევანის ავტორობა რაღაც „ნარგისთათვის“ ხაზით, რომ არაუიოთარი ეჭვი უნდა იყოს იმაში, რომ საქმე სწორედ „ნარგიზოვანთან“ გვაქვს. მართალია, ასეთ სტრიქონსა და სიტყვებს დღევანდელ „ნარგიზოვანიში“ ვერ ვკითხვლობთ, მაგრამ განა არჩილის დროსაც ის დღევანდელი შედგენილობით ტრიალებდა?

² „ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან შეთქმენიტემდე“, გვ. 28—30.

გარსევანის „სხვა მრავალი ლექსები“, რომელთა ნაწილმა ზ. კიკინაძის დრომდეც მოაღწია, როგორც თვითონ აზნობს, არის, ექვს გარეშე, „ნარგიზოვანის“ ლექსები; მაგრამ იმათში დღეს ვერ ვპოულობთ იმგვარად დაბოლოებულ ლექსს, როგორც მოყვანილია. მართალია, ზ. კიკინაძის ცნობები დიდი სიფრთხილითაა გამოსაყენებელი, ისინი ხშირად გაუგებრობის შედეგია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ამას ვერ ვიტყვი, რადგან მას პირდაპირ ლექსიდან მოჰყავს ისეთი ციტატი—„თვალთაგან ცრემლის მღერელია მარადის გარსევანი“, რომელიც პარალელურია „ნარგიზოვანის“ სხვა ლექსების შემდეგ სიტყვებისა: „ნუ თურე მაშინ დამიშრეს თვალთაგან ნაწანწყარები“ (მე-5 ლექსი), „სევდით ვტირ შექირებული, ცრემლით ვარ ხშირად მრწყელია“ (მე-7 ლექსი).

დღესდღეობით ცნობილი თერთმეტი ლექსიდან ათი არის წმინდა სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათისა, ხოლო ერთი—„ქართლი შეენიერია“ (მე-8 ლექსი), რომელშიაც შექებული არიან ქართლი და ქართველები, პატრიოტულია. ავტორს სამშობლო ქვეყანაც სატრფოდ ჰყავს წარმოდგენილი, რამდენადაც ამ ლექსს ასე იწყებს:

გტრფილზე მზეო, თუ შენყენ მზეო
ერთზელ მისმინე, ირჯერ, სამხეო!

აქ ევენ ჩანასახი გვაქვს იმ პატრიოტული ალეგორიისა, რომელიც შემდეგ გაშიშვლებულადაა წარმოდგენილი ვახტანგისა და სხვათა შემოქმედებაში.

„ნარგიზოვანი“. ფორმის მხრივაც მეტად საყურადღებოა. იქ ტრადიციულ 16-მარცვლიან შაირთან ერთად (4, 5, 6, 7 ლექსი) მოცემულია 7, 8, 10, 11, 12, 13 და 15-მარცვლიანი სტროფებიც. ამასთან ერთად ყურადღებას იქცევს რითმათა სიმდიდრე და რიტმის ნაირნაირობა. მაგრამ ყველაზე მეტად თვალში გეხედება რეფრენები, რომლებიც კარბადაა გამოყენებული (1, 2 და ნაწილობრივ 3, 7, 8, 10 ლექსი).

გარსევანის მეორე ცნობილი ნაწარმოები არის „ხილთა ქება“, რომელსაც არჩილი შემდეგ სიტყვებში გულისხმობს: „კიტრი ხილად რალას ვარგა, ვაშლი მოვა რაე, ღია? ეს თხზულება¹ იწყება ასე:

უუჯრეთ ხილთა ქცევასა, რისა აზბისა მთქმელია:
ფერ-შენიერი, ძირ-წვრილი ცოტაი ხანს მდგომელია,
უხუციი და პირჯლი მარწყვი მიწას მდგომელია,
სხვას ხილსა ასრე მოუხწრობს, ვით რომ შუბ-განმწოენელია.

აქ ჩამოთვლილია 23 სახელწოდების ხილი: მარწყვი, ტყემალი, ბალი, ეოლი, თხილი, ქლიავი, მაყვალი, კიტრი, ნესვი, ატამი, საზამთრო, ვაშლი, ნიგოზი, ნუში, ბროწეული, შინდი, მსხალი, კომში, ზეთისხილი, თურინჯი, ლეღვი, ხურმა, წაბლი. გარსევანის ეს შრომა განუგრძეია XIX საუკუნეში დავით რექტორს, რომელსაც დაუმატებია შემდეგი ხილი: ფშატი, უნაბი,

¹ „ანთოლოგია“, II, გვ. 64—65.

ყურძენი (S 1512, გვ. 516, № 6). თემატიკურად „ხილთა ქებაჲ“ სულ ახალ მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელ ლიტერატურაში. გარსევანმა ამ თხზულებით საფუძველი ჩაუყარა ახალ ეპოსს, რომელიც მის შემდეგ პოპულარული ხდება.

ამრიგად, გარსევან ჩოლოყაშვილი საყურადღებო ფიგურაა ძველი ქართული ლირიკის ისტორიაში. მან თავისი „კოჩივარდობით“ (არჩილი) და „სანადიმო, სამღერელი, სააშიკო და სალაღობო“ (რუსთაველი) ლექსით ქართული პოეზია ოფიციალური ოლიმპიური სიმაღლიდან ძირს ჩამოიყვანა და ცხოვრებას დაუახლოვა როგორც თემატიკურად, ისე ფორმითაც. მან ქართულ ლირიკაში ახალი ნაკადი შემოუშვა, ანდენად ის პიონერია ქართული პოეზიის განახლების საქმეში. მან პირველმა დაამსხვრია და შეარყია 16-მარცვლიანი რუსთველური შაირისა და 20-მარცვლიანი ჩახრუხაულის ბატონობა ქართულ პოეზიაში და გზა გაუკაფა ნაირ-ნაირი მეტრის, რიტმისა და კომპოზიციის ლექსს, რომელიც მანამდე არაოფიციალური ლიტერატურის კუთვნილება იყო. მისი საქმე და წამოწყება ჯერ მორცხვად, შეიძლება ითქვას, არალეგალურად შედის ლიტერატურულ ცხოვრებაში. მას ებრძვის ტრადიცია, ოფიციალური ლიტერატურა. შეთვრამეტე საუკუნის დამდეგიდან კი ხდება მისი ლეგალიზაცია ჯერ ნაწილობრივ, სულხან-საბა ორბელიანის მიერ, მერე მთლიანი—მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილისა და მომდევნო ბოეტების შემოქმედებაში¹.

6. მამუკა ბარათაშვილი

შეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილია სამი მამუკა ბარათაშვილი. ერთი მათგანი 1701 წელს არჩილ მეფემ რუსეთიდან აახლა ვახტანგ მეექვსეს წინადადებით—მოსკოვში გადმოსახლიო², ხოლო 1722 წელს იმპერატორ პეტრე დიდს გამოუგზავნია იმავე ვახტანგისათვის დიპლომატიური მისიით³. მეორე მამუკა ბარათაშვილი არის გამოჩენილი სარდლის თამაზის შვილი და ძმისშვილი ვახტანგ მეხუთის შაჰნავაზის პირველი ცოლის როდამისა. მამის გარდაცვალების შემდეგ მამუკა იკავებს მის თანამდებობას და 1722 წელს ტაბახმელას მიდამოებში გააფთრებით ებრძვის მამადყუდიხანს⁴. მესამე მამუკა ბარათაშვილი ანუ ბარათასძე არის შვილი ავთანდილისა, რომელიც 1724 წელს ვახტანგ VI მიჰყვება რუსეთში.

რომელია ამათგან პოეტი მამუკა ბარათაშვილი? თავისთავად იგულისხმება, რომ პოეტად ვერ მივიჩნევთ პირველ მამუკას, ვინაიდან პოეტი მამუკა

¹ „ლიტერატურული საქართველო“, 1939 წ., № 34.

² „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 69.

³ იქვე, გვ. 83.

⁴ იქვე, ვახტანგთან გადასახლებულ პირთა სიაში ის იხსენიება ო რ ბ ე ლ ი ს ძ ე დ, ვინაიდან ორბელიანები ბარათაშვილთაგან შთამომავლობენ („საქართველო“, II, გვ. 133, 137, 142; ქრონიკები, II, გვ. 497).

რუსეთში პირველად ვახტანგთან ერთად მიდის, ეს მამუკა კი 1701 წელსაც რუსეთშია და 1722-საც. ის, ალბათ, არის ერთი იმ პირთაგანი, რომელიც არჩილ მეფესთან ერთად გადასახლდა რუსეთში. სამეცნიერო ლიტერატურაში პოეტად კარგა ხანს მიღებული იყო მეორე მამუკა, თამაზ სარდლის შვილი. მართალია, როგორც ირკვევა ვახტანგთან რუსეთში გადასახლებულ პირთა სიიდან, ეს მამუკაც გაპყოლია ვახტანგს, მაგრამ პოეტად იმას ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან „ვახტანგთან გადასახლებულ პირთა სიაში“ ის ასევე მოხსენიებული: „მეწინავე სრული სარდალი საბარათაშვილოსი თავიად მამუკა თამაზის შვილი ორბელის ძე“¹. როგორც ვხედავთ, ამის თანამდებობა გადასახლებულისას ყოფილა „საბარათაშვილოს მეწინავე სარდლობა“, პოეტ მამუკას თანამდებობა კი ყოფილა, როგორც მის ნაწერებშია დამოწმებული, „მეფის ხმალთა კერანი“². ვახტანგის ამალის სიაში ჩვენ მართლაც ვკითხულობთ: „მეფის კმლის მკერელი თავადი მამუკა აეთანდილის შვილი ბარათასძე“. ამრიგად, ირკვევა, რომ ცნობილი პოეტი მამუკა ბარათაშვილი იყო მამუკა აეთანდილის ძე, მეფის ხმლის მკერელი, და არა მამუკა თამაზის ძე, სარდალი.

ნამდვილი ცნობები პოეტ მამუკას შესახებ არ მოგვეპოვება მისი რუსეთში გადასახლებამდე. არ ვიცით, როდის დაიბადა და რა პირობებში იზრდებოდა. ვიცით მხოლოდ, რომ მას ჰყოლია ორი ძმა, რომლებიც მასთან ერთად გადასახლებულან რუსეთში, როგორც ეს ჩანს ვახტანგის ამალის სიიდან, ესენია: ზაალი და თომა. ზაალის შესახებ ვერას ვიტყვი, ხოლო თომა არის ის პოეტი თომა, რომლისთვისაც დავით გურამიშვილს ერთი თავისი ლექსი მიუძღვნია და რომელსაც ის ერთ სალექსო საზომს დასესხებია³.

როდესაც ვახტანგი ასტრახანიდან მოსკოვს გაემგზავრა, მისი ამაღა ასტრახანში დარჩა. ამ ამაღაში, მამუკას გარდა, იყო არაერთი და ორი მწერალი, როგორც, მაგალითად, ნიკოლოზ ორბელიანი, კახთა მეფის მდივანი ონანა, დიმიტრი სააკაძე და სხვანი, რომელთაც ხელთ ჰქონდათ მდიდარი წიგნსაცავი, საქართველოდან გატანილი. მათ იქ, სხვა საქმის უქონლობის გამო, ხელი მიუყვამთ ინტენსიური ლიტერატურული მუშაობისათვის. მამუკას

¹ ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955 წ., გვ. 123.

² S 303, გვ. 19.

³ „თომავ, დავით მეო ამ წიგნს მოგართმეო“ („დავითიანი“, 1955 წ. გამოც. გვ. 82). ამ თომას ერთი სტროფი მიუწერია მამუკას „ჯიშმუდიანზე“, ხოლო ორსტროფიანი ლექს-ანდერძი დაურთავს მის მიერ გადაწერილ „ბარამგულანდამიანისათვის“. მასვე დაუწერია ლექსი, რომელსაც პოეტი „ეკსორიანს“ უწოდებს და რომელიც მიმართულია გიორგი ბატონიშვილისადმი (დაწერილებით ის. გ. მიქაძე, როდის არის გადაწერილი „ბარამგულანდამიანი“, გახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., № 46). 1744 წლის საქმეებში ყოფილა თხოვნა ამ თომასი (№ 1) მისი მიღების შესახებ ან კოლეგიაში, ან „პორუჩიკად“ ჰუსართა პოლკში; ხოლო 1754 წლის საქმეებში (№ 4) ის სენატში თავის თავადობას ეძებს და ამტკიცებს. 1757 წლის საქმეებში (№ 4) ნათქვამია, რომ კაპიტანი, თავადი თომა ბარათაევი, გამოგზავნილია საქართველოში ჰუსართა პოლკისათვის ცხენების სასყიდლად (რასაც, „ქართლის ცხოვრებით“, II, გვ. 458, ადგილი ჰქონია თითქოს 1754 წელს). გ. მიქაძე, თომა ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის, გახ. „ახალგაზრდა სტალინიელი“, 1957 წ., № 20; მისივე, მამუკა ბარათაშვილი, 1958 წ.

საეკვო უნდა იყოს გ. ლეონიძის მოსაზრება, ვითომც მამუკას მოსკოვში სახლთუხუცესის თანამდებობა ჰქონდა. დიმიტრი სააკაძის სიტყვები: „სახლთუხუცესს ვუზამ თავახას, მიკეირს მამუკას ზრდილობა“¹, მიმართული უნდა იყოს არა მამუკა ბარათაშვილის, არამედ მეორე პოეტის, მამუკა გურამიშვილისადმი², ვინაიდან დიმიტრი სააკაძე, რომელიც დიდად აფასებდა მამუკა ბარათაშვილის ნიქსა და ჯანათლებას, არ იტყოდა მის შესახებ: „მიკეირს მამუკას ზრდილობა, სიბრძნესა სწემობს და არა აქვს მას ბრძენთა მონაწილობა“³. გარდაიკვალა მამუკა პრესნაში, დაახლოებით სამოციან წლებში, როგორც გვაფიქრებინებს დიმიტრი სააკაძის ამ დროს დაწერილი ლექსი:

ციცისთან ვახლდი მამუკას, ცოტად რამ გავიზარეთა,
წამობრძანდა და ვიახელ, მოველით პრესნას არეთა,
წარბეკა, მე თავს დავადებ, ცრემლს მოვადენდი მწარეთა⁴.

დღრთავ ბნ შუჩრა, იალა ექნა, თქვნი ნუალაბა ნალბო,
დაუბლა, შონა არ ძაღმობს, ცრემლით მუქება თვალბო,
წელიც არა ზაქს სახამოროც, გელსა მელუბა აქუბი,
ნახელ, სოფელმან და მყო, პრესნას მწუნობენ ქალბო. (იქვე, გვ. 115).

დიმიტრის ნაწერების მთავარი შოტივი არის გოდება წუთისოფლის სიმუხთლისა და ჯურაგობის გამო, რომელმაც ის მოაშორა საყვარელ სამშობლოს და ცივ ჩრდილოეთში გადააგდო, და კენესა აღამიანთა, უფრო კი ქალთა, გაუტანლობისა და ცბიერების გამო. ეს გატარებულია „თავადის დიმიტრი ვასილის ძის თავგადასავალში“, რომელიც წარმოდგენილია 45 ბარათით სხვადასხვა პირის მიმართ. განსაკუთრებით დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონის, მამუკა გურამიშვილის, გიორგი ვახტანგის ძისა და სხვათა მიმართ (S 303, გვ. 110—133). აქვს მას სატრფიალო ლექსიც, რომელშიაც სატრფო წარმოდგენია ორი ძვირფასი თვლის, ანთრაქისა და იაკინთეს, სახით. ეს თვლები ვილაყას წაურთმევია მისთვის და ამის გამო ის გულამოსკენილი ტირის და თავის ბედს წყველის (იქვე, გვ. 56—61).

¹ „ჭანნიკი“, გ. ლეონიძის გამოც., გვ. 41, 42.

² თავადი მამუკა გურამიშვილი დაბადებული უნდა იყოს რუსეთში XVIII საუკუნის ორმოციანი წლების დამდეგს, ის ცხოვრებს, როგორც დიმიტრი სააკაძის ლექსებიდან ჩანს, მან პეტერბურგში, მან მოსკოვში, ვსესვიატსკოვში, მან პრესნაში, სადაც ის დიდიწილობით ართობს ნარდის თამაშით არაგვის ერისთავის ასულს როდამს, —ოტია დივანბეგის ანდრონიკაშვილის ცოლის დას (S 333, გვ. 117, 128, 129), ამავე დროს უჭირავს მას სახლთუხუცესის თანამდებობაც და ამით აიხსნება მისი სახლოვე გავლენიან პირებთან. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მოდის უმთავრესად XVIII საუკუნის უკანასკნელ მეხუთედში. ამ დროს დაუწერია მას, მირიან ბატონიშვილის ბრძანებით, დავით გურამიშვილის მიბაძვით, ერთი ვრცელი ნაწარმოები, რომელიც იწყება ასე:

ყო, შო, გაყით მოგბაძო,
გამოყრებ, ჩას მოგობრობ, უერი მაგიფლო,
ჯვალს მოგმანდეთ შეენებით ჭები მხეთამყო.

აქ „მხეთამხედ“ გამოყვანილია ღმერთი და წარმოდგენილია მისი მზარუნელობა აღამიანისათვის (S 303, გვ. 97—109). მის კალამს ეყუთვინის აგრეთვე „კაფლანის კაბის მაგიერი“, რომელიც შეიცავს ბატონიშვილის მირიანის ქებას ან ხოტბას (იქვე, გვ. 109, 110), და მიაკვლავს სრულე თავად დიმიტრი ბაგრატიონისადმი (იქვე, გვ. 163, 164).

³ S 303, გვ. 129.

⁴ იქვე, გვ. 131.

მამუკა ბარათაშვილი საყურადღებო პიროვნებაა ჩვენს მწერლობაში. იმას არამცთუ მონაწილეობა მიუღია ჩვენი პოეზიის გამდიდრებაში, პოეტის ერთგვარი სახელმძღვანელოც კი შეუდგენია, რომლისათვისაც „ქაშნიკი“ დაურქმევია¹. ეს შრომა დაწერილია ვახტანგ მეფის ბრძანებით 1731 წელს მოსკოვში. იმაში ავტორს მოუცია სხვადასხვაგვარი ლექსწყობის განმარტება, შესაფერისი ილუსტრაციით როგორც ძველი მწერლობიდან, ისე თვით ავტორის პოეტური შემოქმედებიდან. ეს პირველი ცდაა, ის საკმაოდ ამეღავენებს ავტორის დაკვირვების ნიქს, ქართული ლექსის ბუნების შეგნებასა და პოეზიის თეორიულ გაგებას, რომელიც, სამწუხაროდ, მაინცდამაინც მაღალი არ ყოფილა. მამუკას აზრით, პოეზია უმთავრესად საღეთო, საეკლესიო თემებს უნდა ეხებოდეს და საგალობელთა და იამბიკოთაც არ უნდა ერიდებოდეს, ვინაიდან ისინიც „ერთი რიგი ლექსობისა არი“. პოეზიის მიზანი პრაქტიკულია: ის უნდა ზნეობრივად სწვრთნიდეს ადამიანს, ამიტომ პოეტს „მართებს ავი ამბავი არ ვალექსოს“. ზნეობრივ გაწვრთნისთან ერთად, ომებისა და ფალაგების ამბის თქმით, მან, პოეზიამ, უნდა კაცი გააგულოვნოს, ომი მოანდომოს და იარაღის ხმარება ასწავლოს და ამით მეფისა და ქვეყნისათვის გამოსადეგი გახადოს. საყურადღებოა, რომ ამ სქოლასტიკურ დოქტრინას მამუკაც არ მისდევს თავის ლიტერატურულ მუშაობაში: საღეთო, საფალაგო და მორალური თემები არაა მისი ნაწარმოებების მთავარი თემები. საფალაგო ამბებიდან მას გაულექსავს 1732 წელს „რუსულანიანის“ ერთი თავი, რომლისათვისაც „ჯიშედიანი“ დაურქმევია და რომლის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი „რუსულანიანის“ მიმოხილვისას. საღეთო თემაზედაც მხოლოდ ერთი თხზულება დაუწერია მას, ეს არის ეგრეთ წოდებული „წამებული“, რომელიც მას შეუთხზავს ისტრახანში 1725 წელს. ეს არის მართლმადიდებელი ეკლესიის სვინაქსრის ან კალენდრის ვალექსვა, რომელშიაც წარმოდგენილია ყოველდღიურ წმიდანთა სახელები თვეთა რიცხვების რიგზე. იწყება ის სექტემბრიდან, როგორც მიღებულია საეკლესიო კალენდარში, შემდეგი სტროფით:

- ა. ღირსსა სვიმონს, კალისტეს და ერმოგინეს, ისოსა,
- ბ. იოვანეს და მამანტის, მათ წმიდათ, არ უღირსოსა;
- გ. ანთიმოსს და თეოქტისტეს, შორით არ გარდამისოსა,
- დ. ბაბილასა და მოსესა ფედრებ მტერა მისრისოსა².

ეს იმავე ხასიათისა და ტექნიკის „ვალექსილი კალენდარია“, როგორც მეთერთმეტე საუკუნეში გადმოუკეთებია იოანე პეტრიწის ქრისტეფორე მიტილენელის შრომიდან³.

¹ „ქაშნიკი“ პირველად გამოსცა ალ. ხაბანაშვილმა („მოამბე“, 1900 წ., № XII), მეორედ—ლ. ლონიძემ, მესამედ—მ. მიქაძემ (მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნი“, თბ. სახელმწ. უნივ. სამეცნიერო შრომების კრებული“, წ. V, 1950 წ., გვ. 125—144).

² მ 303, გვ. 1—19.

³ კ. მ. მ. ლ. ი. მ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 268—9.

უფრო მეტადაა წარმოდგენილი მამუკას ნაწერებში ლირიკული ხასიათის ლექსები. მათში არც ერთი არაა ისეთი, რომელშიაც განყენებული მორალური, შით უმეტეს ასკეტური, დებულებანი ისეთი სიძვეთრით იყოს გატარებული, როგორც ამას ვხედავთ ჩვენ სხვების ნაწერებში, მგალითად, თეიმურაზის, არჩილის, ვახტანგისა და დავით გურამიშვილისაში.

მამუკას ლირიკის მთავარი მოტივები შემდეგია:

1. ქება და ხობა. ამ მხრივ, პატარა ოთხსტროფიანი „იამბიკოს“ გარდა, რომელშიაც ათმარცვლიანი ლექსით შექმნილია ვახტანგ მეექვსე¹, საყურადღებოა „ქება მეფისა ბაქარისა“, დაწერილი ნ3 ჩახრუხაული სტროფით, 1734 წელს². ამ ოდაში „მეფე ბაქარსა, სიტკბოთ შაქარსა, აქებს მამუკა ბარათაშვილი“, სახელდობრ, მის ფიზიკურსა და სულიერ თვისებებსა და ქრისტეს მოსავობას. ავტორი შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მე მივბაძე „ბრძენთა მათ ორთა, თვით სცნობდეთ სწორთა“-ო, ესე იგი:

იაკობ მბაძეს და ჩახრუხაძეს ევოთ მეფენი მათ სიბრძნის მწეხად,
არჩილ და თამარ, არა მათ ამარ, დავრიხი ბაქარის მე შონა მქებად.

აქ იგულისხმება იაკობ სამებელ-შემოქმედელი, რომელმაც აიღო „დავით აღმაშენებლისა და თამარის ქება“ (ეგრეთ წოდებული „აბდულმესიანი“ იოანე შავთელისა) და ყველგან, სადაც დავითი ან თამარია ნახსენები, არჩილი ჩაწერა. მერე მამუკა ჩამოთვლის სხვა მწერალთაც, როგორც, მგალითად, „ძველთა მეფეთა, ძლიერთა, მხნეთა“, რომელთაც დაგვიტოვეს მაჯამა (თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი), „საბამ ქილილა, შოთამ ტარიას ტრფიალებანი“. მეფემან (ვახტანგ) ბრძენთა სიტყვა-მსგავსენთა, სიბრძნე-ლალობად სახელდებანი³ და ჩახრუხაული პათოსით მიმართავს ბაქარს:

მეფე ძლიერო, მტერთა მთხიერო, შემამწიერო, ძალთა მციერო,
თანაზიერო, დასთა ციერო, ლომებრ მშიერო, სჩან საზიერო,
ღამე მთიერო, წყობად მზიერო, მავნე მტკიერო, სხვათ თვით სვიერო,
საზომიერო, მასაკიერო, კარგსიტყვიერო, მამუქიერო!

სარგებლობს რა სურათით: „მზემ სამხრით ჩრდილოს იწყო ბადება“, მამუკა აგვიწერს. პეტრე დიდის სახელგანთქმულობასა და ძლიერებას, თვალს მიმოავლებს ბაქარის ოჯახს. რომელსაც „თვით თანა დეტი ჰყავს, ვითა სვეტი“. ეს ახარებს მას, მათეს⁴, ანუ მამუკას. ბაქარის გარდაცვალების შემდეგ მამუკას „ქებისათვის“ დაუმატებია ბოლოში ორი სტროფი, რომელშიაც მოცემულია ბაქარის დატოვება ქართველების მიერ⁵.

¹ „ჩემი ხელმწიფე, ჩემ საკებარი, არს იგი ჩემთვის ვალნადებარი“ (S 303, გვ. 33).

² S 303, გვ. 19—30.

³ იხ. ვახტანგის „სიბრძენთაგან ფილოსოფოსთა“ და „სიბრძნე მაღალობელი“.

⁴ ახლად აღმოჩენილი საბუთებით დადასტურდა პოეტის სიტყვები, რომ მას რუსეთში მათეს ეძახდნენ (გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის, ტახ. „სახალხო განათლება“, 1951 წ., № 52).

⁵ გ. მიქაძე, ბაქარ მეფის ქება მამუკა ბარათაშვილისა, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., № 23.

2. წუთისოფლის სიმუხთლე და ვერაგობა. ეს მოტივი გატარებულია, სხვათა შორის, „ფისტიკაურში“, სადაც პოეტი ამბობს:

საწუთო ეს მუხთალი, ყოველთა მტერი, რასათვის არის კაცი იმისი მდომარე/
არა აქვს შვება წყვეულსა, იცით—ჩვენთვის ნიჟადა მზირად არს იგი მჯდომარე,
არის ჭვეული, მიწვივ უპიროს...

„რვეულში“ მამუკა ამბობს:

სოფელია ყოველთა მწველად, რასთვის მიჩნდა იგი მშველად?
ნათქვამია სიტყვა ძველად. ვინ მიენდოს მისთა მკვლელად? ¹

„მოკლე შეწყობილში“ მამუკა უფრო ძლიერად წარმოთქვამს:

წყვეა მაქვს საკურველსა, მუხანათისა, ჭრელისა,
საწუთოს წამთა მქნელისა, დიდების დამცემელისა.

ბევრი ჰყავს ჩემებრ მდურავი, ზამს ზღვათა მჯდომი მცურავი,
ვის მისგან დასაბურავი უნდა, სთმოს. მისცეს თურ ავი.

ვინ მისი მიმნდობარია, წამ ერთის მეგობარია,
მისცეს ლახვართა მწვედარია, ბოროტ გრძელ შვება მდარია.

წყვეულ ხარ, ბევრი სჩივის, მაქებრად არვინ გივის,
ზნათობ, ვით ცეცხლი თივისა, ცხელ და წამ მარამ ცივისა ².

„მოკლე ლექსში“ ასე აგვიწერს პოეტი წუთისოფლის ვერაგობას:

ვინ ენდა მცირედ მყოფელსა.
შეიქმს ჩემებრედ მყოფელსა.
დავგმე და სული უხარი
მათ, ვინცა მისგან უხარი.
მიწვივ ვმდურით წყვეულსა,
მაგრამ მოგვაგებს წვეულსა.
მამცემს, რაც მიმიცემია,
მიმდოთ თან მიმიცემია.
სჯობს მისგან უვაჭრელობა,
მრავალი უვაჭრელობა.

საწუთრო ერთის წამისა,
ჯანეზორენით წამისა.
ნურავის გინდათ ამება,
თვარ თქვენცა, ვით მე, ამება.
იქმნებით მოუსჯენია,
ყოველთათვის მოუსჯენია.
სხვადასხვაფერად სახენი,
მიწვივ ლახვარ სახენი.
ვის მისგან უნდა კეთილი,
მიხედვს სახმილი კეთილი. ³

„სრულ და ცბიერი წუთისოფელი“, ამბობს პოეტი „გუსტაზ რიდაეთის ხმაში“ „პირველ ახარებს, ბოლოს ამწარებს“ კაცს, ამიტომ „წყვეულ არს იგი და მისი ქნაცი“ ⁴.

3. თავისი ბედის უკუღმართობა და ამით გამოწვეული მწარე სეედა. ამის მთავარი მიზეზია პოეტის უცხოეთში გადახვეწა, უსახლკარობა,

¹ S 303. გვ. 2.

² იქვე, გვ. 32.

³ იქვე, გვ. 34.

⁴ იქვე, გვ. 34, 35.

⁵ იქვე, გვ. 45, 46.

უთვისტომობა, სხვის ხელთშემყურებობა და მრავალგვარი გაჭირვება. „ნუცავის მოგხედეს ჩემებრივ“, ამბობს პოეტი, „გული მკენეს-აღმომტირებდალ“ („მარჩობლელი“):

მწირობა სხვათა თემისა, უხმარ და უქმად გდებანი.
მუნიოტან იცნათ ძლიერი ჩემი სახმილთა დებანი,
შეგაწყალალოდეს ყოველთა, მწირობა მწირობდეს რებულად.
ძნელია, ვცადე, არ ვიცით, ვანა ხართ თავის ნებულად.
შაქარი მისთვის სამსალა, თაფლი არ კოლომანია,
გული აქვს დაუდგომელად, ვით რა სწადს ვერას თქმანია.
ვითა ყრმა, წამად შეებული, წამ ურვა მოქონებული,
გულს უკვაბდეთ, აღხედეთ, რა გერგოთ იგი ვნებული¹.

„შაირში“ პოეტი შემდეგი სიტყვებით მიმართავს თავის უბედობას:

ღე, სოფელო, შენთა მსგავსი, ვითა გწადდა, დამემართა,
სიცრუვითა აღღესილი გულთა მკარ და დამემართა,
სჯობდა, შენდა მიმედრია, სხვაგან სითმე დამემართა.
მაგრამ მიხსნის შენგან კიდევ მარიამის და მე მართა².

პოეტის ცრემლები არაა ხელოვნური:

ჩემგან საწუთოს ზივილი
სცანით, თუ მრუდად ყვივილი,
მაქვან მრავალი ტკივილი,
გულკენისით აღმონთხივილი³.

ურიკდება თუ არა თავის უბედურ მდგომარეობას პოეტი? ამაზე ის ასე გვიპასუხებს „რეელში“:

რადგან ვიყავ მისი მდომი, არა მმართებს მისთვის ომი,
კმუნეა მომცეს თუ რაზომი, უნდა ვიყო მუდამ მთმომი;
მაგრამ ჩემებრ კაცთა ტომი არ უქნია ჭირთა მწდომი,
ურიცხვი და განუხომი, ზემთვის ბადა მოსარჩომი⁴.

4. უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია მამუქას სატრფიალოს ამ იქნურო ლექსები. საყურადღებოა, რომ, თუმცა ამგვარ თემას ის კატეგორიულად ჰგომბს თავის „ქაშნიკში“, მაგრამ ყველაზე ხარბად იმ დროის მწერალთა შორის ის მიმართავს მას. სატრფიალო ლექსებში ზოგიერთი წარმოადგენს ლეთაებრივ ჰიმნს სილამაზისა და კეკლუცობისას. მნიშვნელოვანია განსაკუთრებით „ბაღდადდან გელნ ბეშდურანის ხმა“:

¹ § 303, გვ. 31.

² იქვე, გვ. 36.

³ იქვე, გვ. 34—„მოკლე შეწყობილი“.

⁴ იქვე, გვ. 32.

ვიზილე შენი შეგნება, სახესა ვეტრფიალები,
 აღუად აღზრდილი ლელწამი, წვლილს ტანსა ვეტრფიალები.
 შენი შეილდურად მოზრილი, წარბებსა ვეტრფიალები,
 მჭერეთ გულსა დამასობელსა, წამწამთა ვეტრფიალები.
 შავი ხლეა მაყურებელთა ნთქავს, თვალთა ვეტრფიალები.
 სულისა ნეთსაყუდელსა, კილოსა ვეტრფიალები,
 ბროლის კალონი მტკიცენი, ღაწვებსა ვეტრფიალები.
 ზემის გულისა კუბოსა, შავს ხალსა ვეტრფიალები.
 მუშეთა სამყოფი სოთურად, საყნოსელს ვეტრფიალები,
 კოკონი ვარდნი შეთხზულნი, ბაგეთა ვეტრფიალები.
 მარჯარიტნი არნ მიჯრილი, თეთრ კბილთა ვეტრფიალები,
 მათეს ჭკლავს ამოდ მოსმენა, ენატკბილს ვეტრფიალები¹.

ყოველი ორი სტრიქონის დასასრულს ამ ლექსში მიწერილია: „სულთ-
 სილაგაზის ასეთივე მომაჯადოებელ შესხმას შეიცავს „რუსული ხმები“-
 რომელიც ასე იწყება:

წაილო გული, მყავს დაკარგული, ვისგან ვიძით, არავინ იცის,
 თვალთა ხინება თვისთვის ინება, დამსვა უნათლო, სიბნელე იცის.

ეგრძოდ, ამ ლექსის მეორე ნაწილი შეიცავს ქართული ქალის ტებას:

ვიწყო კადრებით, თუ შედარებით, ძალმიძს რა ვაკო ქართული ქალი.
 ბრძენთა ისმინეთ, ვინ დაითმინეთ. მათ გაცონებთ სადებად ალი.

ვინ იხილის, არ იფრთხილს.

სულთაგან იქმნა ცარიელთა.

შუქით. ვითა მზე, მნათინ, ვითა მზე, ტანად ალეა და ჰიოად მთვარენი.

სხივთა მდენელნი, შუქთა მფენელნი, მზე მიდრეკილთა მოცამდარენი

ვინცა ნახის, ვერ დასახის,

ზრდილი მათი სხვათა მკვლელთა.

მშვიდად მსხდომენი, ღზინთა მდობენი, სლეა საყვარელად მოსახდომენი

ტბილად მხმობენი, გულგამობენი, მსმენელთა არის ღახუართ მწდომენი.

ჯუჯონ დასთმობს, შავთა ნათ თმის

აურება ჭკლავს და ყურება აღბენს.

თვალნი მელანი, ღაწვთა ელვანი, ციალებენ, ისერიან შავთა ისართა.

დაასვინ გულთა, მხნედ ალეა რგულთა. არსად იხილვის მათგან ისართა

ვის ახიან, წამახიან,

მათგანვე ვლიან მკურნალობასა

კბილმარჯალიტი, ვითა მაგნიტი, ბაგენი მხიდვენ კაცთა გულბსა,

დაასხინ ნარდი, ვით მრავალ ვარდი, მხნედ მალსა ნახავთ დაკარგულბსა

გულთა ყრასა, მიწა ყრასა,

ზოგი მიეცა სამარის კარსა.

მრავალგზის ხმობენ, შეხმობით მნობენ, წინწილად ითქვის ანუ თუ ქნარად.

არავინ იცის, წამაჯუ იცის, მსმენელმან გულმან საყვადეად ქნა რად.

ერთის ბაგით, ცეცხლებერ მდაგით.

მასშია სიტყვა გულთა ოროლად.

ბაშს დაჯერება, ვის გწადს ჰერება მათენ, ძნელია მათი ტყუილობა,
დაძგმით ცხოვრება, ცეცხლთა სწორება, სრბა და ხელობა უნდა მხნეობა,
წამ ამება, გრძლად წამება.
უმჯობესია მამაცი სათვის¹.

უფრო მსუბუქია „ჩერნიკოს ხმაჲ“:

შენი ნახვა გულსა ჩემსა ახარებს და ღბინსა სცემსა,
თვალთა მისცემს სინათლესა, მზისა სხივთა უნათლესა,
ტოფილო ღამაზო, მეტრფილა ბაია შენი.

ვგონებ და არსად არი ესე ღბინთა არსადარი,
გული იქნა მოცამყედარი, ლახვართათვის მიცამყედარი,
ტრფილო ღამაზო...

თვალთა ცრემლსა, ვითა მილსა, ადენ და სწვავე, ვითა ცვილსა,
არა ჰკურნე დაკოდილსა სიყვარულსა. შენგან ზრდილსა,
ტრფილო ღამაზო...

შენ ბარ კვლუთ სინათლო, რადა გწორავს სიმართლო,
ეთი დამაგდებ, ჩემო მზეო, განმინათლე სიბნელო,
ტრფილო ღამაზო...

რა ვიბილე, მასვე წამსა კაეშანი გარეწავსა,
სასმენელთა განუგებსა, ბჭეთ დახშულთა განუგებსა,
ტრფილო ღამაზო...²

მეტად ნარნარია „პრიიდი ღრუეოკის ხმაჲ“:

ნათობ ვითა ნათელი, მზისა გამოხათელი.
არა ვეცი, რისა ეთქვა. შესწორებაი შენი...

ხახვე, განიკურნება, შენი არის თუ ნება,
იბანი სიკვდილისაგან, რად არ შეგეწვალება.
ბაგე, სახე ვარდისა, სუნი შოგდის ვარდისა.
შენი მსგავსი შენებით არეინ დაიბადისა

იწვინ შენნი ტრფილნი, ღაწვინ მათთვის იაღნი.
სიხარული დაქარაგეს, შვება შექნეს ტიაღნი.

მერე აწეოილია ის მწვავე გრძობები, რომელთაც განიცდის ტრფიალი
ასეთი სატრფოს განშორებით.

უიმედო სევედითაა გამსჭვალული „პოროდილა ჩეჩოტკას ხმაჲ“:

შენა ბუღბუღმან საყვარელნი შეიდნი მართეინა
ბუარამზეა, კალამზეა. დარეჯანა, გულიჯანა. ხანფერვანა, ბუარაშანა, შვეკალა ჩემი.

.....
ტრფიალი ვარ დაუცხრომლად მე ღამაზისა,

¹ 8 პოე. გვ. 40—43.

² იქვე. გვ. 43—44.

საყვარლისა ჩემისა, ღირსი ყოელთა თემისა, მონა მიწყიე მე მისი. უსწოროდ ოგი.
რა დაესაზხო, მისი მსგავსი ვერა ვნახე რა,
თვალეზისა, წარბისა, ღაწვებისა, ბაგისა, კბილთა ჯრჩილთა, ენისა, ამოდ ამისა.
მიკვირს ვისგან სიცოცხლე მაქვს, რასთვის მაკვდინებს?

მამკვლელია გულისა, საწყლად დაკარგულია, მიმღობი სულისა, საყვარელისა.
გული ჩემი დაატყვევა გამოუზსნელად,
მიზღის თვალთა ჩენასა, ოდენ ცრემლთა დენასა მაძლევს, არა სმენას ეს არის ვნება.

.....

უფრო მწვავე ხმას გადმოგვეცემს „პოლცის ხნა“:

გულმან რა ქნას საბრალდობა, ტყვედ მიეცა საწყალია,
ისარს ისერის წამწამთაგან, ხელთ უკირავს სამალია.

.....
საყვარლისა გორებამან დამადღუმა, დამასულა,
ნახვა მკლავს და ნახვა მალხენს, ვის ვიგონებ ამას სულა;
მოშორებება სიკვდილს მიმემეცს, ნახვით სიბრძნე დაკარგულა,
თვალი, წარბი, ღაწვი, ბაგე, შვენიერად დასახულა.
სიკვდილი მაქვს სიხარულად, გულმან მტკიცედ განიგულა.
ოგ ამაყი, გულთა მკვლელი, ჩემთვის ტანჯვად დანახულა.
თუ ვწვივე საწადელსა. რა ჩემგამო განძრახულა,
არა მგამა განშორებება სულთა, ზოცთა ანაკსულა-
გული, კუბოს დაკოდილი, რომელ სისხლით გაბასრულა
შეებულ იქმნა საუკუნოდ, დასამარხად მიწაყარულა.
სურვილითა მოცამყვადარი სახელოვნად დამარხულა!

მამუკა ბარათაშვილმა საბოლოოდ დაამსხვრია ქართული ვერსიფიკაციის ტრადიციული ფორმები, რომელიც რუსთველური ლექსითა და ჩახრუხულით იყო შებოქილი, და მოგვცა ლექსთწყობის ის მრავალფეროვანი სახომი, რომელიც მერე ასე გამოიყენეს დავით გურამიშვილმა და ბესიკმა. მან პირველმა შემოიტანა ლიტერატურაში ხალხური სიმღერების კილო, მაგალითად: „პატარა ქალო თინაო, რას გარდამიდევ წინაო“¹, და პირველმა გამოიყენა რუსული ხალხური სიმღერები ქართული ვერსიფიკაციის გასამდიდრებლად. შემდეგ ამ მხრივ და არა მარტო ამ მხრივ, ის მისაბაძი მაგალითი გახდა დავით გურამიშვილისათვის².

მამუკა ბარათაშვილის შემდეგ ქართულ პოეზიაში საბოლოოდ გაიკაფა ჯზა ცხოველმყოფელმა, ლალმა, ამქვეყნიურმა ტრფობის მოტივმა, რომელსაც

¹ S 303, გვ. 48, 49. მამუკას დაუწერია აგრეთვე ერთი 21-სტროფიანი ლექსი ალგორითული ხასიათისა, რომელშიც მოცემული უნდა იყოს ზოგიერთი უცნობი ფაქტი მისი ცხოვრებიდან („ახალგაზრდა სტალინელი“, 1956 წ., № 14).
² „კაზნიკი“, ზ. ლეონიძის გამოც., გვ. 11; ზ. შიქაძის გამოც., გვ. 134.
³ მამუკას უთარგმნია ზოგიერთი რუსული ხალხური ლექსი, მაგალითად, „ნესმეზნაჲს მბაჲ“ (მ. ჩიქოვანი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XV, № 9, 1954 წ., გვ. 627-632; იბ. აგრეთვე XV, № 3, 1954 წ., გვ. 105-112).

არ ბოკავს ირც რუსთველური, თეორიულად მაინც, მოთხოვნილება, არც აღორძინების ხანის ასკეტიზმი. მამუკამ ქართული სატრფიალო პოეზია ზეცური სამყაროდან ამქვეყნად ჩამოიყვანა და დაამკვიდრა¹.

7. ღვაწი მუშაობით

დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები დავითის შესახებ არ მოგვეპოვება. მისი ცხოვრებიდან ვიცით მხოლოდ ის, რასაც ვპოულობთ მის ნაწერთა კრებულში, რომელსაც „დავითიანი“ ეწოდება². ამას შეგვიძლია დავემატოთ ახლახან გამოქვეყნებული ცნობები, ამოკრებილი დ. კოსარიის მიერ უკრაინის სხვადასხვა არქივიდან³.

დავითი, როგორც თვითონ ამბობს, იყო „ერთი თავადი, მოსახლე გორისუბანსა“ (გვ. 72). მის მამას, გიორგის, იოანე ზედაზნელისა და შიომღვიმის მონასტრებში ჰქონია სასაფლაო და სახლები (გვ. 270), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის შედარებით შეძლებული კაცი ყოფილა. დაბადებულია დავითი 1705 წელს, ვინაიდან 1728 წელს ქვეყნის გაჩენიდან, ესე იგი 1774 წელს ქრისტეს შემდეგ, ის 69 წლის იყო, როგორც ნათქვამია „კაცისა და საწუთროდს ცილობაში“ (გვ. 170, 175). საკმარისი სწავლა-განათლება მას ვერ მიუღწია, ამის მიზეზი იყო ქართლ-კახეთის მაშინდელი მდგომარეობა. „ჩემსა ყრობაში“, ამბობს დავითი „ქაცვია მწყემსში“,—

სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში;
 მით იყლო სწავლამა,
 ზენში ლყთ დაულამა
 წიგნი წარსტყვენა. (გვ. 247).

მიუხედავად ამისა, მას კარგად შეუსწავლია საღმრთო წერილი, ქართული ლიტერატურა და ზოგი რამ სხვა სამეცნიერო დარგიდან⁴. ის რომ ქართულ მწერლებს იცნობდა, ეს მისი შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს:

¹ ასეთი სატრფიალო პოეზიის ერთ-ერთი ტიპური ნიმუში არის „ლექსნი სამიჯნურონი რომელსა გწოდების ეშვი-ბონია“ და რომელსაც თავისი მოხდენილობითა და ბუნებრიობით „ტყე-უქნა მგრძობი იესე“ (N 1511, გვ. 609), ცნობილი მდივანი იესე ოსეშვილი, რომელმაც საუბრადღებო შემეარები-დავითოვა (ს. კაკაბაძე, თავდასასავალი იესე ოსეშვილისა, თბილისი, 1913 წ.). თხზულება დაწერილია ჩაბრუნული და რუსთველის სახომით და წარმოადგენს მწვავე სიყვარულის ლთაებრივ ჰიმნს, რომელშიაც ზენს გვაქვს რუსთველის, თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგის პოეტური შედარებანი და ეპითეტები, როგორც მაგალითად: „შვი შეილდით მტყორცნელია ისრისა“, „გიშრის ტბაზე ჰინდო ლაშქარი“, „თვალთა გიშრის ფერობა“, „მკალმების წამწაუები“, „ხილფნი შავნი ქამანდურად“, „თვალმა ხანგთ ლაშქარი“, „ვარდის ფერთა ტუჩთ-შარბათი“, „ინდოთ ჯარმა“ თვალზე, „ქბილი წეობილს მარჯალიტა“ და სხვ. (S 118, S 1087, S 1511 და სხვ.). ეს ეპითეტები განხორციელებულია ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის „მიჯნურთ ბადეშიც“, თხზულება იმავე დროისაა, რომლისაც „მიჯნურთ ბადე“, ესე იგი—არაუადრეს მეთურამეტრ საუკუნის მეორე ნახევრისა.

² ესარგებლობთ 1935 წლის გამოცემით.

³ დ. კოსარი, დავით გურამიშვილი უკრაინაში, თბილისი, 1949 წ.

⁴ კ. კეკელიძე, დავით გურამიშვილის განათლების ელემენტები, „ლიტერატურული საქართველო“, 1942 წ., № 30.

შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება,
მეფე ვახტანგ და იაკობ დაბლა ზილს მიეტყუებუბა,
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ონანა ბანს ეშურება,
ღვრინევენ ყარან და მამუჯა, მე მსურის მათი ყურება. (გვ. 29) ¹

იმ საშინელი არევე-ღარევის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1720—30 წლებში, როდესაც ქართლ-კახეთი გადადიოდა ხან სპარსეთის, ხან ოსმალეთის ხელში, პოეტს, ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდეგ, თავი შეუჭარებია ქსნის ხეობაში, ს. ლამისყანაში, ერთ შეძლებულ ოჯახში (გვ. 72). 1729 წელს ზაფხულზე, მკის დაწყების წინ, როდესაც დავითი მოყვრის ყანაში მიდიოდა მუშებთან, მას თავს დასხმია 15 კაცისაგან შემდგარი ლეკთა ჩაზში, რომელსაც ის ტყვედ წაუყვანია ². ლეკებმა ის მიიყვანეს ოსორქოლა, აქ ჯერ მოიმსახურეს და მერე გაყიდვა დაუპირეს. როდესაც დავითმა გაიგო ეს, გაიპარა, მაგრამ დაიჭირეს და „დააპალურეს“ კარგად. დიდ გაჭირვებასა და სულის ობლობას განიცდიდა აქ დავითი, ბოლოს გადაწყვიტა, რაღაც უნდა დაეჯდომოდა, გაპარულიყო. იმან იცოდა, რომ თერგზე, სოლალს, იმ დროს რუსის ჯარი იღვა და თან ქართველებიც ბლომად იყვნენ. ალბათ, ამიტომ მან გზა ჩრდილოეთისაკენ დაიჭირა. ერთ ღამეს მიადგა შიშველ მთას, იტყუა ქარი, წამოვიდა საშინელი სეტყვა, ასე რომ დავითი უკანასკნელ წამებს განიცდიდა, მაგრამ ამ დროს გაიღვა და იქვე მახლობლად მან დაინახა გამოქვაბული, სადაც თავი შეაფარა და ამნაირად სიკვდილს გადაარჩა. მთელი თორმეტი დღე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ღამე, იარა მან, ამ ხნის განმავლობაში იკვებებოდა „მოუწყვარი კვინჩხით და მკვახე კოწახურით“. მუხლთ ქვეით ტანისამოსი სულ შემოაცვდა, მეთორმეტე დღეს მიადგა უკა-

¹ აქ ჩამოთვლილ მწერალთაგან შოთა, თეიმურაზი, არჩილი და ვახტანგი განმარტებას არ მოითხოვენ; იაკობი არის იაკობ სამებელ-შემოქმედელი, აეტორი „შეჰამედისა და ქაისტენანეთა გაბასანებისა“; ბეგთაბეგი არის „ამირანდარეჯანიანის“ გამლექსავი ბეგთაბეგ თანიაშვილი, სულხანის ძმა, გიორგი XI-ის მდივანი; ნოდარი არის ნოდარ ფარსადანის ძე ტიციშვილი, აეტორი „ბარამჯურიანიისა“; ონანა არის კახთა მეფის მდივანი ონანა ქობულაშვილი, „ბარამჯულიჯანიანის“ გამლექსავი; ოთარი არის ან არაგვის ერისთავი ოთარი, ან მდივანი ოთარ თუმანიშვილი; მამუჯა არის „კანონის“ აეტორი მამუჯა ხარათაშვილი; ყარანის შესახებ ჟღერებს ვიტყვით დანადგომლებით; ეს ის ყარან მდივანი ზემ არაა, რომელსაც 1753 წლის ახლო ხანებში იხსენიებს იეჟე ოსეს ძე თავის ანდერძში (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, თეგადასავალი იეჟე ოსეშვილისა, გვ. 23) ან შანშთან მარტიროზაშვილი (დავითიანი, 1931 წ. გამოქ.), გვ. 344).

² დავითის დატყვევებას ჩვენ ვდებთ 1729 წლის ზაფხულზე შემდეგი მოსახრებით: იმ საშინელ სენსა და ავადმყოფობა, საქონლის ჰირიანობას, საფლავიდან მიცვლებულთა ამომთხრელი ნადირის გამოჩენას, რომლის მოწამე („ჟურ ვსკ ნი, რა აქენდის ფეოობა“ მსტესო) საქართველოში დავითიც ყოფილა (გვ. 49), მემატიაანის გადმოცემით, ადგილი ჰქონდა 1728 წელს („ქართ. ცხოვრ.“, II, გვ. 90). მისი დატყვევება მომხდარა კახთა მეფის კონსტანტინეს ოსმალთა მიერ მოკლის შემდეგ („თავის თავებდა ახმარებინა ჯალათი“, გვ. 71), რასაც ადგილი ჰქონდა 1729 წელს („ქართ. ცხოვრ.“, II, 140). კახთა მეფე კონსტანტინე ცოცხალია 1728 და 1729 წლებში („საქართველ. სიძველენი“, III, სიგელები: № № 179, 217, 265). ავტობიოგრაფიულიდან არ ჩანს, რომ ტყვეობაში დავითს დიდი ხანი დაეყო. იმ ზაფხულსვე გაპარული, ავვისტოს ბოლოს თუ სექტემბრის დამდეგს (ყურძნობისას) ის უკვე თერგზეა. თერგიდან ასტრახანამდე ერთი თვის გზა იყო (არჩილი თერგიდან გაემგზავრა 1682 წლის 30 ივლისს, ასტრახანში ჩა-

ლო წყალს, რომლის გაღმა ნაპირას კალოს ლეწდნენ. დავითს გაუხარდა, იქნება ახლა მოედოს ბოლო ჩემ ტანჯვასაო, მით უმეტეს, რომ ორი კაცი ნავით მისკენ გამოემართა. სამწუხაროდ, მათ დაინახეს თუ არა დავითის „უქოჩრო“ თავი, შიშის გამო უკან გაბრუნდნენ. დავითმა აქ გაათია ლამე და მეორე დღეს აღრე გაუდგა გზას. გზაზე მან იპოვა ორი კიტი და საზამთროს ნაქერი, მაგრამ, სამწუხაროდ, კიტრები წყალში ჩაუკვირდა და დაეკარგა, რამაც დიდად შეაწუხა დამშულოლი პოეტი. სამაგეოროდ ღმერთმა მალე ანუ-გეშა ის: დავითი მოულოდნელად მიაღდა ერთ მშვენიერ ბაღს, ყურძნიანს, ატმიანსა და ვაშლიანს. იმწამსვე გადაძვრა შიგ და ცარიელი კუჭი ამოივსო. ამ დროს მოესმა ზარის რეკა, გამოჩნდნენ ქალები და კაცები, დავითი ფვა-ლებს არ უჯერებდა, ყოველივე ეს მოჩვენებად მიაჩნდა, ამიტომ მათთან მისვლა ვერ გაბედა, მან აივსო უბე ხილით და გაქცევას აპირებდა, მაგრამ გულმა უთხრა: დაიკა, დაბინდებამდე აქ დარჩი და მერე გაუდგე გზასაო. მართლაც, ის შეძვრა მახლობელ ჩაღის ზვინში და აპირებდა იქ დაღამებამდე დარჩენას, მაგრამ მას დესიც „კოლოს ლაშქარი“, რომელმაც კინალამ დაიარჩო. ის ვამწარებული წამოხტა და გაექანა იქითკენ, სადაც კალოს ლეწდნენ. მას შემოეხვივნენ გარშემო ქალები და კაცები, რომელნიც დარწმუნდნენ, რომ ეს უტყო ადამიანი ქრისტიანია, ვინაიდან ის პირველად იწერეს და, კონიდა ჯერებს, რომელიც მათ ყელზე ეკიდებო. ერთმა მათგანმა მეორეს უთხრა: „დაიხლება, ლაზარი!“ დავითი ამ სიტყვებით მიხვდა, რომ ის. რუსებში იყო და დიდად გაუხარდა. ის წაიყვანეს სამღივნოში და აქ, „მოენის“ ან თარჯიმანის იანვარა ფხოველის საშუალებით, მისი ვინაობა გამოარკვიეს. იქედან დავითი წავიდა სოლალს, სოლალიდან ასტრაბანს, ასტრაბანიდან მოსკოვს, სადაც 1730 წელს ინახულა ვახტანგი და ბაქარი და შეუერთდა მათ ამაღას. მოსკოვში დავითი გაეჯიბრა მოშაირე ჯავახიშვილს; დაამარცხა ის და ამით დაიმსახურა ყურადღება მეფისა, რომელმაც მას ჯაბადარ-ბაშობა მისცა. როგორც ვიცით, ვახტანგს მისი პოლიტიკური მოლოდინი საბოლოოდ გაუტრუვედა: მან ყოველგვარ მოქმედებაზე ხელი აიღო და ასტრაბანში დასახლდა სამუდამოდ. მისი ამაღა, კერძოდ დავითიც, გადავიდა მოსკოვში, სადაც ბაქარის გარშემო შეიქმნა ინტენსიური ლიტერატურული

ვიდა იმავე წლის 1 სექტემბერს; ვახტანგ VI, პოემა „ვახტანგისათ“ ამ გზას 27 დღე მო-
უნდა), ბოლო ასტრაბანიდან მოსკოვამდე მგზავრობას თვე-თვენახევარი უნდებოდა (ვახტანგის
ოჯახობას „ვახტანგისათ“, 37 დღე დასჭირებია ამისათვის). ასე რომ 1729 წლის ივნისში
დატყვევებული პოეტი ამ წლის გასულისათვის (იექვისი წლით წინათ ჩემს უწინ ქართლიდამ
წაბრანებულნი, რა მიველ, მოსკოვს ვიხილე მეფე და ქართველთ კრებულნი“, გვ. 94; 1724 წ.
ჩათვლით +6 = 1729) მართლაც მოსკოვში იქნებოდა უკვე. ეს მოსახრება მართლდებდა 1737
წლის ცნობით, რომ დავითი რუსეთში მართლაც 1729 წელს ჩასულა (Рос. 316, стр. 41-42).
შდრ. ს. ჩაქოვანი, გ. ნატროშვილი, დავით გურამიშვილი დაღესტანში („ლიტერა-
ტურული გახეთი“, № 25, 24. 6. 1955 წ.); მათივე, ისევე დავით გურამიშვილის დატყვევ-
ების თარიღზე („ლიტერატურული გახეთი“, № 26, 1. 7. 1955 წ.); ალ. ბჟარამიძე, ს. ყუ-
ბანგიშვილი, დავით გურამიშვილი დაღესტანში („ლიტერატურული გახეთი“, № 27,
8. 7. 1955 წ.).

წლის სექტემბერში პოეტი ჯერ კიდევ ცოცხალია: ამ წელს მას დაუწერია პატარა ლექსი მის მიერ მოგონილი სარწყავისა და წისქვილის მოსაბრუნებელი მანქანის მოხაზულობისათვის (გვ. 281) და ბატონიშვილის მირიანისათვის 200 მანეთი უთხოვნია სესხად მანქანის გეგმის განსახორციელებლად. კარგა ხანს ჩვენ არ ვიცოდით მისი გარდაცვალების წელიწადი. დ. კოსარიკის მიერ უკანასკნელად მოპოვებული დოკუმენტებით გაირკვა¹, რომ პოეტი გარდაცვლილა 1792 წლის 21 ივლისს (ძველი სტილით, ახლით 1 აგვისტოს) და დაუსაფლავებიათ მირგოროდის სასაფლაოზე². ის ისე ჩავიდა სამარეში რომ ერთხელაც ვერ მოინახულა საყვარელი სამშობლო³.

პოემა „ქეთევან დედოფლის წამება“, რომელსაც თანამედროვენი დ ი მ ი ტ რ ი ა ნ ს უწოდებდნენ. 1822 წელს ის წაუკითხავს ივან გრიგორიჩ მურატოვს, რომელიც სწერს დიმიტრის:

ვიკითხე თქვენი ნაშრომი მე წიგნი დიმიტრიანი,
სახე საღმრთო და საერო, ცქეზები საქებანი,
აღუვაძულსა წაეკობასა ჯგავს ვარდი ან მანახს, იანი.
ამაზე დიდად გუბუნევი, მაკითხე აგე გვიანი.

(S 303, გვ. 212).

ეს პოემა შეთხზულია (96 სტროფისაგან შედგება) თეიმურაზ მეფის ანალოგიური პოემის მიხაბეით. დიმიტრის დაუწერია ლირიკული ლექსებიც, რომლებშიაც, წმინდა სატრფიალო შოტიების გარდა, ავტორი დამღერის თავის ახალგაზრდობას, სამშობლოს, ორ საყვარელ ქალს და დასტირის უცხოობასა და უვაჟობას. ასეთებია: 1) იერიქული ვარდი კნების (S 1512, გვ. 319—321), 2) ელისაბედლიანი, რომელშიაც ახალგაზრდებულ ელისაბედს ეალერსება (S 3723, გვ. 127—130), 3) ანასტასიას (მეორე ქალის) თვალაღობა (იქვე, გვ. 143—144), 4) ჩემს ქალს (იქვე, გვ. 146—149), 5) შირი სატრფიალო (იქვე, გვ. 131—138), 6) ანბანთკება: „ახლად აღვაკობ აღვასა, ანაგებ ანაზებულსა“ (იქვე, გვ. 145—146), 7) ქართული ანდაზები (სულ 126); მაგალითად, პირველი ანდაზა:

საკი ზეობა სხვის ზაფლად,
ღმერთ მასხედ იყინოდა.
(იქვე, გვ. 108—109).

8) „ღამის აღერის“ (იქვე), სადაც აღწერილია ღამის სხვადასხვა სასიამოვნო განცდა. გარდაიცვალა დიმიტრი 1826 წელს. უფრო დაწერილებით ამის შესახებ იხ. ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, გვ. 116—133.

¹ დავით გურამიშვილი უკრაინაში, 1949 წ., თარგმანი დ. ასათიანისა, გვ. 138—139.
² დ. გურამიშვილის ბიოგრაფია იხ.: „ივერია“ 1880—1882 წწ. (თ. ყორღანისა) A. Х а в а н о в, Очерки, III, გვ. 202—208; პ. უმიკაშვილი, წინასიტყვაობა „დავითიანისა“; ა. ბარამიძის წინასიტყვაობა „დავითიანის“ 1931 წლის გამოცემაში; Д. К о с а р и к, Нові біографічні відомості про Давида Гурамишвілі (Обилеліхні сборник „Шота Руставелі“, გვ. 203—207); მისივე სტატიები: Давид Гурамишвили (Биографическое материалы), газ. „Заря Востока“, 1938 г., № 4 და „Найдены материалы к биографии Давида Гурамишвили, „Заря Востока“, 1940 г., № 171; მისივე, Давид Гурамишвили, Нарис про життя і творчість, Київ, 1950 г. უკრაინის „ლიტერატურული გაზეთი“, 1940 წ., № 31, 4 ივლისი; დავით გურამიშვილი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., № 1, ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსარათა პოლკში, თბ., 1955 წ.; გ. ლეონიძე, დავით გურამიშვილი, თბ., 1955 წ., და სხვ. დავითიანის გამოცემები: 1870 წლისა ნ. ბერტენოვის; პ. უმიკაშვილისა და გ. წერეთლისა; 1881 წ. პ. უმიკაშვილისა; 1894 წ. და 1911 წ., ხ. კიკინაძის; 1931 წ. ა. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილისა; 1955 წ. (საიუბილეო).

³ გ. კიკელიძე, ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, X, გვ. 159, 161; მისივე, იტიულები, IV, გვ. 161—163.

დავითის ოჯახური ცხოვრებიდან ვიცით შემდეგი. მას ჯერ კიდევ საქართველოში ჰყოლია მეუღლე და სიდედრი. ეს დამოწმებულია ერთ 1737 წლის დოკუმენტში¹ ასე: „Князь Давид Гурамов с тещей; при нем слугитель один с женой, с дочерью, слугачи двѣ“. მეორე დოკუმენტში (1739 წლის უწყება) ნათქვამია: „Князь Давид Гурамов, с княгиней и тещею“². გ. ლეონიძეს ჰგონია, რომ დავითს საქართველოში ასულიც ჰყავდა და რომ მისი ოჯახი 1729 წელს უკვე მოსკოვშია³. მოსაზრება ასულის შესახებ დამყარებულია პირველი დოკუმენტის სიტყვების—при нем слугитель один с женой, с дочерью—არასწორ გაგებაზე, თითქოს აქ დავითის ასული იგულისხმება, ნამდვილად კი ნაგულისხმევია მოსამსახურის ასული. მისი ოჯახი 1729 წელს მოსკოვში ვერ იქნებოდა, რადგანაც თვით დავითი მოსკოვს მხოლოდ 1729 წლის გასულს ჩასულა, როგორც ეს ზემოთაც ვთქვით; იმაზე ადრე, თავისთავად იგულისხმება, ვერც მისი ოჯახი ჩავიდოდა იქ. ამ ოჯახს მოსკოვში ვერ ჩაიყვანდა დავითის ბიძა მერაბი, რომელსაც დავითთან ვხედავთ მოსკოვში უკანასკნელის უკრაინაში დასახლებაამდე⁴ და რომელიც მოსკოვში ჩასულა იმავე 1729 წელს⁵. სანამ დავითი ასე თუ ისე ფეხს არ მოიდგამდა მოსკოვის ქართულ კოლონიაში, იგულისხმება, ის ოჯახს იქ ვერ გაიწვევდა. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ცოლი და სიდედრი დავითს მოსკოვში ჩაუყვანა მისმა ძმამ ქრისტეფორემ, რომლის ვინაობა და ურთიერთობა დავითთან ახლა ირკვევა. მღვდელმონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი, პოლიგრაფიული საქმის დიდი სპეციალისტი, 1731 წელს გადაპყროლია საქართველოდან ცნობილ იოსებ სამებელს რუსეთში, სადაც ის ერთ ხანს უკანასკნელის კრებულში ითვლებოდა. თ. ყორღანიძე თავის გამოკვლევაში იოსებ სამებელის შესახებ სწორედ ამ თარიღს უზენებს⁶, თუმცა ამ შრომის სხვა ადგილას⁷ ამბობს, რომ ის ვახტანგ მეფეს წაჰყვა 1724 წელსაო. მაგრამ იმ პირთა სიაში, რომელნიც ვახტანგთან ერთად გადასახლდნენ, იმას ვერ ვხედავთ, სამაგიეროდ ის მოხსენიებულია 1737 წლის სიაში, როგორც, „Игумен Христофор“⁸; ამრიგად, მოსკოვში ის მოხვედრილა 1724 წლის შემდეგ, 1731 წელს.

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ის იოსებ სამებელის ხარჯით და ბაქარის ნებართვით მოსკოვში აწყობს ქართულ სტამბას და იქ 1737—1744 წლებში ხელმძღვანელობს საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნების ბეჭდვას. სხვათა შორის, 1743 წელს მან დაბეჭდა ცნობილი „მოსკოვის ბიბლია“ (ამის შესახებ იხ. მოსკოვში 1737—1744 წლებში დაბეჭდილი წიგნების „ანდერძები“)⁹

¹ Рос 316, стр. 41.

² დ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი, გვ. 31—32.

³ გაზ. „კომუნისტი“, 1940 წ., № 187.

⁴ დ. კოსარიკი, დასახ. შრომა, გვ. 31, 32, 42, 43.

⁵ Рос. 316, стр. 51.

⁶ იურნ. „იფრია“, 1884 წ., № II, გვ. 39.

⁷ იქვე, გვ. 54.

⁸ Рос—316.

⁹ „ქართული წიგნი“, I, გვ. 35—46.

ასე რომ დავითის მოსკოვში ყოფნისას, უკრაინაში დასახლებამდე, ქრისტეფორეც მოსკოვშია მასთან. ცხადია, არ შეწყდებოდა მათ შორის ურთიერთობა არც დავითის უკრაინაში დასახლების შემდეგ. ეს შემდეგიდან ჩანს. მას შემდეგ, რაც ქრისტეფორემ წიგნების ბეჭდვას თავი დაანება, 1746 წლიდან ის ეწერება წევრად ახლად დაარსებულ „ოსეთში ქრისტიანობის აღმდგენელ კომისიაში“, ჩრდილოეთ კავკასიაში, და მუშაობს ამ კომისიაში 1753 წლამდე, როდესაც ის გარდაიცვალა. 1756 წელს მარტში დავითი სთხოვეს რუსეთის მთავრობას გადაეცეს მას, როგორც განსვენებულის ძმას, მისგან დარჩენილი ნივთები და ფულები; ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა სინოდის განკარგულებით¹. აი ამ ქრისტეფორეს შეეძლო ჩაეყვანა დავითისათვის 1731 წელს მოსკოვში ცოლი და სიდედრი, რომელნიც, უნდა ვიფიქროთ, მოსკოვშივე გარდაიცვალნენ, ყოველ შემთხვევაში, უკრაინაში მათ კვალს ვეღარ ვხვდებით. დანამდვილებით ცნობილია, რომ უკრაინაში დავითს ჰყავდა ცოლად ტატიანა ვასილის ასული ავალი შვილი (გარდაიცვ. 1794 წ.)²; საკუთარი შვილის არყოლის გამო მათ უშვილებიათ პატარა ქალი დარია, რომელიც გარდაცვლილა ერთი წლისა 1777 წელს³.

ასეთია მოკლე დავითის ბიოგრაფია. სამშობლო მხარეს მოშორებულნი და შორეულ ჩრდილოეთში გადახვეწილი, უთესლტომოდ დარჩენილი, ის ხელს ჰკიდებს ლიტერატურულ მუშაობას და ამით ფიქრობს სულიერი წყლულის განკურნებას.

თავის ნაწერთა კრებულს მან უწოდა „დავითიანი“, რომლის შესახებ ის ამბობს:

ამდ ამ წიგნსა სახელად უწოდე დავითიანი,
დავით შევაწყვე, შევეკონე, ვით ვარდნი და ვით იანი,
გულსა მოვწყვიტე მუწუკი, მება ზედ ავი თიანი,
ზედ გულზედ ვიბი იგი ზე, კაცანი და ლეთიანი. (გვ. 266).

„დავითიანს“ პოეტი თვლიდა შეილად და მასზე ამყარებდა თავის იმედებს:

დავჯამ და ლექსვა დავიწყე, ვთქვი თუ ვიშვილებ ამასო (გვ. 104). —

შენიშნავს პოეტი და მერე განაგრძობს:

ამდ ვიხობებ, შევეკრიბე ცრუს საწუთროს ყბედობა,
მე მე არ დამრჩა ბედკრულსა, ეს არის ჩემი ბედობა (გვ. 23).

მე რაც ვშობე, შეილად ვსაქერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა,
თუმცა ენა გასარეკლდა, გული-მისთვის გამიზარდა,
მაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდა. — (გვ. 106).

¹ Центральным государственным историч. архив в Ленинграде, фонд Канцелярии Синода (79). ა. პ. როგავა, პოეტის ძმა, „ლიტერ. და ხელოვნება“, 1949 წ., № 23.

² დ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი, გვ. 124:

³ იქვე, გვ. 124—152.

ამ კრებულის შედგენა დავითს არ უნდა დაეწყო მაგდებურგის ტყვეობიდან განთავისუფლებამდე, ესე იგი 1759 წელზე ადრე, ვინაიდან ამ ტყვეობას ასახელებს ის „დავითიანის“ პირველსავე ნაწილში (გვ. 108). „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბეობა“, რომელსაც ამ კრებულში შუა ადგილი უკავია, დაწერილია 1774 წელს (გვ. 170); უკანასკნელი ნაწილიც მისი დაწერილია იმავე 1774 წელს (გვ. 277). საფიქრებელია, რომ მთელი კრებული დავითს შეუდგენია 1774 ს. თუ მის მახლობელ წინა წლებში.

ჩვენ უკვე განვიხილეთ დავითის ერთ-ერთი ნაწარმოები, საისტორიო პოემა, რომელსაც „ქართლის ქირი“ ვუწოდეთ; ახლა მიმოვიხილავთ მის ლირიკულ ნაწარმოებებს.

როგორც არჩილ მეფის ნაწერებში, დავითის შემოქმედებაშიც ლირიკულ ნაწარმოებთა ერთი კატეგორია მორალური და დიდაქტიკური სულითაა გამსჭვალული; ამ ნაწარმოებთა საგანს უმთავრესად შეადგენს: 1) სწავლა და სიბრძნე, 2) ადამიანისა და საწუთროს შორის შეუთანხმებლობა და კონტრასტი, 3) სიყვარულისა და ოჯახური ცხოვრების პრობლემა.

სწავლისა და სიბრძნის შესახებ პოეტი ლაპარაკობს უმთავრესად შემდეგ ნაწარმოებებში: „ქართველთა მეგვარ-ტომობის იგაიე“, „სწავლა მოსწავლეთა“. „სწავლის ძიება მაძებართაგან ახია“, ამბობს პოეტი, „სწავლაზე ურჩი და მორცხვი თვალით არ დასანახია“, „უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების“. ის მაშინ დაიწყებს ნანობასა და დედ-მამის გინებას, რატომ არ ვისწავლე ან არ მასწავლესო, როდესაც ცხოვრების მუხრატქს იგრძნობს, მაგრამ გვიან იქნება; ყველაფერს თავისი დრო აქვს, „თავს სინანული სჯობია ბოლოს ჟამს დანანებასა“. უწვრთნელი, უსწავლელი შვილის ყოლას სჯობს უწვრთნელი ძაღლის ყოლა, უკანასკნელი თავის პატრონს ან პურს მოსტაცებს, ან ხორცს, ან წყალს ამოუსვლემს, მეტს ვერაფერს ჰკადრებს; უსწავლელი შვილი კი გვარსა და ნათესავენს თავს სჭრის, ის მშობლებს „განათავენს“ და არ აძლევს ლხენას. უწვრთნელი ძალლი ყვეს მაინც, ამით ის ნადირს აფრთხობს და ქურდს აშინებს; ბრყესა და უსწავლოელ კაცს აძლენი სარგებლობის მოტანაც არ შეუძლია. უსწავლელი კაცი, რაგინდ კვიიანი იყოს, უმწეოა, ვით სპილო უხორთუმო და ვეფხი უკლანჭო, სხვა საქმეა ნასწავლი და ბრძენი:

ესძებნე და ვერა ვაოე რა, მჯობი ამ სწავლა-მცნებისა;
 ბრძენსა აქვს თავისუფლება, სოფელში ყოფნა ნებისა;
 ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექიებისა;
 ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოეკნებისა. (გვ. 32).

სწავლისა და ცოდნის შეძენა ადვილი არაა, ის, ვინც მას იძენს, ჯერ მწარეს კამს, კვლავ ტკბილს, ვინაიდან „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“. ამიტომ, თუ ეს საკირო იქნება, ძალაც კი უნდა იხმარო ადამიანზე, რომ იმან სწავლას ხელი მოჰკიდოს და ამ მწარე საქმეს შეუდგეს:

ნუ გენადვლებს სწავლაზე ყრმის წყვალს ცემით კვილი,
მალ გამოვლდების უწაპლოდ მისი წულუბების ტყვილი,
რა მოიზარდოს, მოყვინჩლდეს, მამწურებ შექმნას ყვილი,
უფრთხილი, მისგან წყენითა არაზე შექნა ჩივილი. (გვ. 30).

ადამიანმა, შესაძლოა, ყველაფერი დაკარგოს ამქვეყნად, სწავლას კი ვერ დაკარგავს, ის მუდამ, განუყრელად, სიკვდილამდე თან სდევს მას:

სწავლა სიკვდილდე შენა, მუდამ შენთან მყოფელი,
მას გეცილებს ვერაინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგა, თავისა გასაყოფელი,
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, ვასტანჯავს წუთისოფელი. (გვ. 31).

ცოდნა თან ღსდევს მცოდნელსა, რაზომცა დაეტარებს,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეაკარებს,
არც ცხლით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარებს,
კეუა უხმარ არს ბრყვეთათვის, კევა ცოდნით მოიხმარებს. (გვ. 31).

კევის უკეთესი საქონლად არაა საქონელია. (გვ. 36).

ეს აზრები ცოდნის, სწავლისა და სიბრძნის შესახებ ენათესავება არჩილ მეფის თხზულებიდან „საქართველოს ზნეობანს“; სადაც ნათქვამია¹:

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერარა, არც ძვე მოსახმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირა იქვს არ გამხმარია,
მალ წახლათ, თან გამოკყვებათ, საგძლადც, მგონ, სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერთ ვახლავს ცათა კმარია. (73).

უცოდნი კაცი, სადა გინდ, უხამზუდ გამამაცდება,
რომ მართებს ველარ ივარჯებს, საქმესაც ბევრსა დსაცდება,
მუდამ ღინცილობს, მრავალჯერ ცუდ-მუდი სიტყვი წასცდება,
ცოტახმს თუცა რამ იყოს, სიბრყვეთ მალე წახდება. (74).

სიბრძნე სჯობს, თორემ უთუოდ ზნეობა ყველა კობი. (75).

პურილი ხარ, შენ სხვასა სთხოვ, იმა ჩალას იპურადებ?
ქვეითი ხარ, ცხენი არ გყვის, რით თჯადრებ იმ ირადებ?
დაბერდი და თვილს დაჯაკლდა, მწვილდ-მარასა რად არ დისდებ?
სიბრძნე არის სიმუღამო, სიკვდილამდი ვერ გააჯდებ. (77).

ძალიან ენათესავება ამ მოტივის გამზლაში დავითი ვახტანგ მეფეს და მის მიერ გაღეკსილი თარგმანის მეშვეობით რუსული წარმოშობის თხზულებას, რომელსაც „სიბრძნე მალალობელი“ ეწოდება².

განსაკუთრებით თვალსაჩინოა დავითის სიახლოვე არჩილთან რქ, სადაც ის ჩამოთვლის თვისებებსა და ცოდნას, რომელიც საქირთა სხვადასხვა მდგომარეობის პირთათვის, სახელდობრ: მიჯნურის, მწყემსის, ხელმწიფის, გლა-

¹ „არჩილიანი“, ტ. I.

² ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. XVII.

ხაკის, მუშაკის, მხედრის, ვაჰრის, ხუცესის, ოსტატისა და ბრძენმსიტყველისათვის. თვისებანი და ზნეობანი სხედასხვა მღვთმარობის პირებისა, როგორც ვიცით, არჩილს საგანგებოდ აქვს აღნიშნული თავის თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“, მაგრამ ამავე თემას ის უბრუნდება მეორე თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „გაბაასება სოფლისა და კაცისა“. აქ, მეორე ნაწილში, დაწვრილებით წარმოდგენილია „წერთა სოფლისაგან კაცისა“, კერძოდ — „სწავლა“ ხელმწიფის, მღვდელმომძღვრის, მხედრის, ვაჰრის, მუშაკის და, საზოგადოდ, ყოველი კაცისა, რომელშიაც გათვალისწინებულია, ისე როგორც დავითის ნაშრომში, როგორი უნდა იყენენ ჩამოთვლილი პირები. საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დავითი პირდაპირ იმეორებს არჩილის აზრებს, მაგალითად, მეფის შესახებ დავითი ამბობს:

ხელმწიფე უნდა მართალი, ვით ბრძენთა დაუწერია,
 ბრძენი, უხვი და მოწყალე, მრისხნული ზომიერა;
 სჯულ-მტკიცედ, სწორეს სამართლით იყოს და ჰყვანდეს ერია,
 მწყსიდეს, მწყემსობის ნიშანი — ხელთ სკიპტრა—მას უქერია (გვ. 32).

არჩილის შეხედულებით, მეფე უნდა იყოს ქვრივ-ობოლთა ხელის ამპყრობი, მართლის ყურის მიმგდები, სიტყვის ბრძნად წარმომტქმელი, თითოეულისათვის ჯეროვანი წამლის მიმცემი. მეფეს უხმს:

ამასთან სჯულის სიმტკიცე, სიფრთხილე სამართლისა,
 მყოფელთა ზომით შერისხვა, ჩვენება მრუდად თეალისა,
 ერთგულთ წყალობა, პატივი ბევრგვარად დანათეალისა,
 სიბრძნე, გონება, კვეთთ ცოდნა საქმისა მომავალისა (გვ. 259).

მხედართა შესახებ დავითი ამბობს:

მოლაშქრე უნდა კაბუჯი, თამაში, თავმდაბლოვანი,
 მეპატრონეთა ერთგული, მორჩილი, სამართლოვანი,
 მხნე, ამხანაგთა მოყვარე, შამაცი, ძალგულოვანი,
 გულ-სრულად მებრძოლთ მებრძოლი, არ სუსტი, მაგარ მკლოვანი.
 (გვ. 33).

არჩილი:

თავად, დიდებულთ, მონათა, დიდთა თუ ანუ მცირეთა,
 პირველად სჯული, მეორედ ყველამ ეს დააიხრეთა:
 თავის პატრონსა დამონდით, კარგ-გულად, ნუ ავხირეთა,
 სჯულის თავთ, ეპსკოპოსთა თემდაბლად ემსახურეთა. (გვ. 274).

ვაჰარს ასე ახასიათებენ:

დავითი:

ვაჰარი უნდა სარფისა, სამთერალოს არას სმევედესა,
 ყომაზბაზობას ერიდოს, სიწმიდით თავსა სცევედესა,
 მეტად უზომოდ არამსა ალაღში არა რევედესა,
 სწორეს ოღლსა და სასწორისა ხელში არ ამრუდებდესა. (გვ. 33).

ა რ ჩ ი ლ ი :

ვაჭარნი ნუ ნამეტნაეთ მიიწყაე, მისცემ მკირითა,
ნუცა აღღრამელობ აღებას, გასყიდვას შერები მწირითა,
ლიდალ მოირკვეამს, ვინც იღებს და მისცემს სწორით უღლითა,
ჩვენგან სიცრუეთ ნაშოენი წაგვეერთის კვლავ სიცრუითა. (გვ. 280).

ჩამოივლის რა ათივე მდგომარეობის თვისებასა და ზნეობას, დ ა ვ ი თ ი
შენიშნავი:

ათივე იყო, მოგითხარ, სხვა არა მისგან კილა,
რომელიც გინდა, ირჩიე, აიღე ხელი ჰკილა. (გვ. 34).

ასევე იქცევა ა რ ჩ ი ლ ი ც, მდგომარეობათა აღნუსხვის შემდეგ ისიც
შენიშნავს:

კიდევ რამ გითხარ ამისთვის უფრო დაფარვით, იგაეთ,
ორში ერთია უმჯობეს და მეორეა იგ ავით;
რომელიც სჯობდეს, დაივლეთ, და უარესი ი გავით. (გვ. 298).

აღამიანისა და ცხოვრების კონტრასტისა და შეუთან-
ხმებლობის შესახებ ლაპარაკობს დაეითი შემდეგ ნაწარმოებებში: „გო-
დება დაეითისა, საწუთოს სოფლის გამო ტირილი“, „სოფლისა და კაცის
შელაპარაკება და ცილობა“, „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბქობა,
ერთმანეთის ძვირის ხსენება“ და სხვ. ამ უკანასკნელში ებაასებიან ერთმანეთს
კაცი და საწუთრო, ჯერ ლაპარაკობს კაცი, მერე საწუთრო, სულ მოყვანი-
ლია ათი პასუხი. ამ გაბაასების მთავარი აზრები შემდეგია:

ა) ამქვეყნიური ცხოვრება არის ცრუ, უპირო, მუხთალი, ცუდი და
წუთიერი, იმის ბოლო არის შეუბრალებელი და ყოველის გამასწორებელი
სიკვდილი.

ბ) სიკვდილი შემოვიდა სოფლად იმიტომ, რომ ჩვენმა პაპამ და ბებამ,
აღამმა და ევამ, დაარღვიეს ღვთის მცნება, მათ სქამეს სამოთხის აკრძალული
ხილი, გამოძღენ ვაშლითა და მსხლით.

გ) საწუთრო ღმერთმა კაცს ყმად მისცა, მაგრამ ის მას შექმნია მტრად
და სისხლის მჩქეფედ.

დ) აიხსნება ეს იმით, რომ კაცი ვერ ხელმწიფობს, როგორც სამართა-
ლია; მისთვის ღმერთს მოუცია თვალი, რომ გასინჯოს ავი და კარგი, მაგრამ
ის ასე არ იქცევა.

ამ შემთხვევაშიაც დაეითი-მოგვაგონებს არჩილ მეფეს, როგორც ვიცით,
არჩილს დაუწერია ამგვარივე „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, რომელიც
უფრო ვრცელია, ვიდრე დაეითისა, მაგრამ იმავე აზრებსა და მოტივებს შე-
იცავს, როგორც დაეითის „გაბაასება“. არჩილის შრომის ანალიზი ჩვენ უკვე
გაეაკეთეთ, აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ, არჩილის აზრითაც, საწუთრო ცრუ
და მუხთალია, სიკვდილი, რომელიც ქვეყნად შემოსულა ღვთის ბრძანების
დარღვევის გამო, რაც სამოთხის ხილის ჰამაში გამოიხატა, ხეიდრია ყველასი.
მიუხედავად იმისა, რომ ღმერთს ეს ქვეყანა გაუჩენია აღამიანის სამსახური-
სათვის, ნამდვილი ბატონი საწუთროა, მონა კი—აღამიანი, იმიტომ რომ უკა-

ნასკნელი ვერ იჩენს საკირო გონიერობას, ნების თავისუფლებასა და წინდახედულებას, რომ ხომით მოიხმაროს ყველაფერი და იცხოვროს ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი დანიშნულება. ერთი სიტყვით, დავითი ამ შემთხვევაში თითქმის პირდაპირ იმეორებს არჩილს.

სიყვარულია და ოჯახური ცხოვრების პრობლემა წამოყენებულია იმ იდილიაში, რომელსაც „ჩაცვია მწყემსი“ ეწოდება. ავტორის აზრით, სქესობრივი მიზიდვა ქალ-ვაეთა შორის ბუნებრივია: „ყოველს ხორციელსა ვერ ნახავ ტიელსა, არ ჰყვანდეს ტოლიო“ (გვ. 188); მაგრამ მას არა სწამს თავისუფალი სიყვარული, ვინაიდან ის მას მიაჩნია ეშმაკის საქმედ, სულის წარმწყმედელად. აღზნებული გოგოს გრძნობას ბიჭი თავდაპირვით უპასუხებს: ჯერ უნდა გავიგოთ, „ღვთიური არის თუ ეშმაკური“ ჩვენი გრძნობები:

თუმცა მონავს, მსურის შენთან დაწოლა,
მაგრამ შიშითა გულში შექვს ძრწოლა;
ვინც რომ დავეინახავს,
დაგვეგობს, დაგვეჩახავს
უწესურს საქმეს. (გვ. 188).

„უშჯულოებით შეყვარებულნი ტყეში დადიან შეპარებულნი, ხოლო სჯულიერად შეუღვლილნი არავეს არ ერიდებიან, რადგანაც მათი ერთად ყოფნა კანონიერია“. მეორე შემთხვევაში გოგოს ასეთი მორალით სურს გაანელოს ახალგაზრდა ბიჭის აღტყინებული გრძნობა:

ჯვარ დაუწერლად ეგე საქნელი
ნუ გჩანს აღვილად, ცოდვა არს ძნელი;
ღმერთსა ეწყინება
საწოლთ შევიინება
უშჯულოებით. (გვ. 191).

ჩვენ დაგვიძახებენ ბოზებს, სახელი გაგვიტყდება, ქვეყანა ატყდება ჩვენს საძრახავად, განსაკუთრებით, თუ დავორსულდი და შეილი გვეყოლა:

სჯობს, ქალი მოკვდეს და დაიძარხოს,
ურაგო საქმე არ დაიძარხოს;
ქალთ სახელთ გატეხა
არს თაეთ მეხთ დატეხა
მშობელთა თვისთა. (გვ. 192).

ვინც „უშიშრად, ურცხვად, გვირგვინთ უქურთხად ცოლქმრობას შერება“, პოეტის შეხედულებით, „ემსგავსება ქისტს და დიდოს, კერპთმსახურთ, სჯულთუწმიდოს“. პოეტი იმდენად უარყოფითად არის განწყობილი „უქანონო“, თავისუფალი სიყვარულისადმი, რომ, როდესაც ახალგაზრდა გოგობიჭში ბუნებამ მაინც თავისი მძლავრი სიტყვა თქვა და ისინი „უსჯულო საქმისათვის“ მიიყვანა ჯაგებში, პოეტმა მათ ეს საქმე არ ჩაადენია შემთხვევითი, „უმნიშვნელო გარემოებათა მეოხებით, და დააწვინა ისინი ერთად მხოლოდ მაშინ, როდესაც მღვდელმა ჯვარი დასწერა არაჩვეულებრივ პირობებში. პოეტის შეხედულებით, „კანონიერია“ ის სიყვარული, რომელიც აერთებს

მხოლოდ „სჯულიერ ცოლ-ქმარს“. მნიშვნელობა არ აქვს იმას, არსებობს თუ არა მართლა მათ შორის სიყვარული, ეს არცაა აუცილებელი საჭირო, ოღონდ ჯგერისწერის წესი იყოს შესრულებული მათზე და ცოლი მორწმუნე, შეოჯახე, მუშაკი და გამრჯელი იყოს. კაცი უნდა ცდილობდეს იმას, რომ მისი ცოლი ისეთი იყოს, როგორც ეს წარმოდგენილია ისო ზირაქის მიერ. მისი არჩევის დროს ის არ უნდა აყვეს თვალის ვენებას ან სურვილს. „თვალის სიამოვნე არის ერთი წამი“, „თვალთ ნამუშაკევი არს ნაეშმაკევი“, „თვალი არს მცდენელი, კაცთა წამბდენელი, შემასმენელი“. ამას პოეტი ასაბუთებს ბიბლიური მაგალითებით: „თვალის ნდომამ“ შეაცდინა ადამ და ევა, გამოიწვია გოდლის აშენება და წყალთა რღვნა. ცოლის არჩევისას ადამიანი უნდა უსმენდეს გონების ხმას და არა თვალისას, თვალთ არჩეული არცაა სასურველი: ლამაზ ქალს უნდა ერიდო, ვინაიდან ის ბოზია, ბევრს კაცს აცდენს. მისი „შავი თვალწარბი“ ქმრისათვის ცხოვრების განმწარებელია, ვინაიდან ბევრი ცდილობს მის „წარპარვას“.

ლაზის ცოლის პატრონი კაცი
არს ფიქრისაჲან შორს წარნატაცო
მისთვის შიშნეულობს
და მისთვის სნეულობს,
შინ არს თუ გარეთ. (გვ. 237).

ქალს ნუ უარყოფ თვალად ნასობით,
თუ გწადს სიცოცხლე წელთა ასობით;
ოღონდ ფხიზლად ვლიდეს,
ქმარს არ სხვაზედ სცვიოდეს,
არ იყოს ანჩხლი. (გვ. 236).

ულამაზო ცოლი თავიდან აგაცილებს დაუღვევლ ზრუნვას:

შენ გეყოლები შავი დეღალი,
შენს საქათმოში კვერცხის მღებულო;
ამას იტყვის ქურდი:
შავია და ცუდი,
რად მოვიპარო?
შენს კარმიდამო შეიქს კაკანსა,
მოგართმევს კვერცხით საესეს ბაკანსა
გიხეჭს წიწილებსა,
გიზრდის წერილ შეილებსა,
სხვა რაღა გინდა? (გვ. 238).

როგორც ვხედავთ სიყვარულისა და ოჯახური ცხოვრების საკითხში ჩვენი პოეტის შეხედულება რამდენაღმე რუსული Домострой-ის შეხედულებებს უახლოვდება¹.

¹ დავითის შეხედულება ოჯახური ცხოვრების, ცოლქმრული ურთიერთობის და იდეალური ცოლის შესახებ ძალიან მოგავგონებს აგრეთვე სპარსელი პოეტის საადის (გარდ. 1291 წ.) „ბუსთანში“ გამოთქმული აზრები (თავი VII). აი რამდენიმე სტროქონი კ. ჩ.—ის რუსული თარგმანით:

წმინდა ლირიკული ნაწარმოები უფრო მეტი აქვს ჩვენს პოეტს; მისი ლირიკა საკმაოდ რელიგიურ-მისტიკური ხასიათისაა, ის წარმოადგენს გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ლოცვასა და აღგზნებულ ჰიმნს, რომელშიაც შექმებულია სამება-ერთარსება და ღვთისწმობელი. ამ ლოცვებსა და ჰიმნებში მოცემულია კონკრეტულად მთელი ტრიოდოლოგიური მოძღვრება:

მზე და სხივი და ნათელი ვით სმაღ გალექსულია,
 თუ სამივე ერთი მზე არის, არ ცალკე გაქსაქსულია;
 ეგრეთ მამა და ეგრეთ ძე და ეგრეთ წმინდა სულია,
 ვისაც სამება არა სწამს, სჯულთაგან გადასულია. (გვ. 85).

ღმერთი არის თვითხელმწიფე, თვით უფალი, თვით მჭირველი;
 არავენ ჰყავს მოზიარე, აქვს მყარობლობა უცილველი.
 ღვთისგან ნეთობს ყოელი ნეთი, ხილული და უხილველი,
 სუფიეს ყოელს სულისგან ძვირ-უთქმელი, უკილველი.
 მას აქებენ ანგელოზნი, ცა, ქვეყანა, ბნელ, ნათელნი,
 ზღვა, ხმელეთი, ხე, ბალახნი, მთა, ბორცვი, ტყე, მღნარ-ველნი,
 პირუტყვ-მხეცნი, მფრინველ, თევზნი, ვეშაპ, ვოვლი ქვემარამელნი,
 ცეცხლი, ჭარი, წყალი, მიწა, კაცი ცხოვლად პირმეტყველნი,
 მზე და მთვარე, ვარსკვლავები, ღრუბელ, ნისლი, ცისსარტყელი,
 ზამთარ, ზაფხულ, ყინვა, სიცხე, თოვლი, წვიმა, მწყურნებთ მრწყველი,

ელგა-ქუხილ, მეხ-ტატანი, ხორშაკ, სეტყვა, ხილთ მებრტყელი,
 ყოველი სული აქებდით", იტყვის წინასწარმეტყველი! (გვ. 46).

მართლაც, ეს ხომ ის ჰიმნია, რომელსაც ამღერებდა თავის ებანსა და წინ-წილზე ჯერ კიდევ დავით წინასწარმეტყველი! (ფსალმუნნი, 148).

ღმერთი ღირსია ასეთი ქებისა და ღიდებისა კაცთაგან, ვინაიდან,—

ღმერთმან ქვეყნად რაც მოჰინა, ყველა ჩვენთვის განაჩინა;
 თვალ-მარჯალიტ, ოქრო-ვერცხლი, სპილენძი თუ ქვა და რკინა,
 კიაც ჩვენთვის ამუშაკა, კინკლური აპარკინა,
 ჩვენცა გემართებს ღმერთს დიუთოთ, სწავლა-გვემით რაც
 ვაბატინა. (გვ. 46).

Ах, счастлив на свете всех более тот,
 Кто дружно с любимой женой живет!
 Коль набожна. ласкова́ будет жена,
 Ликуй, пусть лицом красавицы алой,
 Верь: лучше такая красавицы алой,—
 Прикрыта ее дурнота добротой.
 Злонравных беги, пусть они—как пери,
 Но коль доброправна уродка—бери!

(Изд. „Академия“, 1935 г., гв. 169—170; შდრ. ბუსთანის, თბ, 1955 წ. გვ. 127—128). ამით რასაკვირველია, ჩვენ იმისი თქმა არ გვინდა, რომ დავითი საადის იცნობდა და სარგებლობდა; პირიქით, შეიძლება საადი იცნობდა ისო ხირაქის წიგნს, რომელიც დავითზე ახდენს გავლენას.

ამგვარივე ხასიათისა და შინაარსის ჰიმნს წარმოადგენს „ეაქოთ, ვადილოთ ვინაო, ლმერთი მაღალთა შინაო“ (გვ. 150). თავის ლოცვებსა და ჰიმნებში დავითი ან გალობასა სწირავს მამასა და ძეს გაჩენისა და მზრუნველობისათვის, კერძოდ, ძეს ჩვენთვის ვნებისა და ჯვარცმისათვის, ანდა სთხოვს მათ: „მიბოძე საზრდო სულისა, მშოიან, მაქამეო, კიდევ შემოსე, სიცივით სულ ვკრკი ამ ლამეო“, „პური არა მაქეს, მიბოძე, მშოიან, მაქამეო“, „ჩვენ გცოდეთ და შენ შევკვინდევე, სულგრძელ მოწყალეო“, „ლმერთო, შემინდევე აწ ჩემი ნაქნარი ცოდვა და ბრალი“.

უშუალო გრძნობით და ლმობიერებითაა გამსჭვალული ჰიმნი ღვთისმშობლისადმი კისტრინის ომის გამო (გვ. 115), სადაც პოეტი აქებს მას სხვადასხვაგვარი ყვაილოვანი სიტყვით, და „ვედრება ღვთისმშობლისა, ოდეს კლდეს შეაფარა თავი დავითმა“ (გვ. 86—89); ამ სტროფებში პირველი სამი სტრიქონი წარმოადგენს შესხმას ღვთისმშობლისას, ხოლო უკანასკნელი ვედრებას: „მომეც ნაყოფი კეთილი“, „შენ დამიფარე, დამიკევე“, „მიხსენ, ნუ დამწვევ სახმილით“, „შემოსე მაღლით შიშველი“, „განმადლე მაღლით მშოიერი“, „მასვი მე მაღლით მწყურვალსა“, „მიგრილე ცოდვით საწვევსა“, „შეწუხებულსა მახარე“, „გზა სიმართლისა მასწავე“, „მოწყალებისა კარი გამიღე“, „შენ განმინათლე გონება“, „ტყუებობისაგან დამიხსენ“ და სხვ.

რელიგიური გრძნობით აღტყინებული, ასკეტური მორალით გაღვინთილი დავითი უარპყოფს ქვეყანას, ხორცს, რომელსაც „მყრალ ჭურკელს“ ეძახის (გვ. 92), ოცნებობს მხოლოდ სულსა და უზენაეს არსებასთან შეერთებაზე; აქაურ ცხოვრებას ის „მოცლუნებას“ ეძახის, ამიტომ ურჩევს სხვებს:

აწ გაფრთხილდით, ვისაცა კჳა გქონდეს,
რომე არა წარსწყმდეთ, — სულითა სცხონდეთ,
ჩემსავით ნუ მოსცდებით.

.სულის ცხონებას, ღვთაებასთან შეერთებას, მისი აზრით, შეეწევა —

მღვდლის წირვა-ლოცვა, საკმევლის კმევა,
მშოერთა კმევა, შიშველთა კმევა,
უსამართლობით არვისი რთმევა. (გვ. 268).

ამრიგად, რელიგიური-მისტიკური მოტივი საყურადღებო მოტივია დავით გურამიშვილის პოეზიისა; იმას თავი უჩენია არა მარტო ლირიკაში, არამედ საისტორიო პოემებშიც, რამდენადაც ასეთი პოემების საგნად ბიბლიური ეპიზოდების გალექსვისათვის მიუშართავს მას¹. ეს მოტივი იმდენად

¹ გაულექსავს მას: ადამ და ევას შეცოდება, ნოეს კიდობნად შესვლა და წარღვნა, გოდლის შენება და ენის შერევნა, დავით მეფის როცა კიდობნის წინაშე, მაცხოვრის განკაცება, მოციქულების არჩევა, იუდას გამეცმლობა, გეთსიმანიაში შეპყრობა, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება, ხარება და მიცვალება ღვთისმშობლისა. ერთ ნაწარმოებში წარმოდგენილია ზოგადი მიმოხილვა ღვთაებრივი იკონომიისა და ადამიანისათვის მზრუნველობისა. ამ მხრივ დავითი ტიპიური წარმომადგენელია თავისი ეპოქის მწერლობისა, როდესაც პოეტები, სასულიერო და საერო, თავის ნაწარმოებთა სუვეტად იღებდნენ ხოლმე ბიბლიური ისტორიის ეპიზოდებს.

მძლავრია მის შემოქმედებაში, რომ ის რუსული ხალხური და ეროვნული ლექსების კილოსა და საზომს იყენებს საარწმუნოებრივ-მორალური შინაარსის ლექსებისათვის და ამ უკანასკნელისათვის უარპყოფს ქართულ ხალხურ მოტივებს, როდესაც ამბობს: „არანანინას, თარანანინას ესე სჯობია, ღვთის სა-მკობია, ალილუია“. (გვ. 135).

მეორე მთავარი მოტივი დავით გურამიშვილის ლირიკისა, და პოეზიისა საზოგადოდ, არის პესიმიზმი, სევდა; ეს მოტივი გვესმის ჩვენ ჯერ კიდევ ჩვეულებრივ ელემენტში. ამ შემთხვევაში საყურადღებოა „ტირილი ღვთის-მშობლისა“ (გვ. 41—43), „მოთქმა ხმითა თავბოლო ერთი“ (გვ. 43—45) და „ვა, რა მაქვს დიდი მოწყენა“ (გვ. 139—141); ამ ელემენტში მთელი მათი სიგრძე-სიგანით გამოხატულია უნუგეშო გრძნობა დედისა (ღვთისმშობლის), რომელიც ხედავს მტერთაგან განგმირულ ერთადერთ შვილს (მატხოვარს), გრძნობა, რომელიც დასტირის უდროოდ დაკარგულს ძვირფას არსებას და აღშფოთებულია ადამიანთა უმადურობით, რომელთაც თავისი კეთილისმყოფელიც კი ვერ შეიგნეს. მეორე ელემენტური მოტივი ჩვენ გვესმის ისეთ ნაწარმოებში, სადაც გამოხატულია მონანული ადამიანის გრძნობა, რომელსაც შეუგნა თავისი უღირსობა, ცოდვიანობა, რომელიც ამის გამო ძრწის სული-სათვის და უნებლიეთ ამოიძახებს:

ვაჲ, ვაჲ, სულ ცოდვილო,
ხოციით დაკრილ და დაკოდვილო! (გვ. 120).

„ვამე ცოდვილსა და უბადრუქსა, მე ვინ მალირსებს ასეთს მაზმანსა?“ (გვ. 132). სევდის ჰანგზე მომღერალი პოეტი არაიშვიათად სასოწარკვეთილებამდე მიდის და ისეთი პესიმიზმით უყურებს ყველაფერს, რომ უნებლიეთ წამოიძახებს: „რად მშვა დეღამა, შავმა ბეღამა?“ (გვ. 161).

დავითის პესიმიზმი გამოწვეულია, საზოგადოდ, მისი სამშობლოს საეკლესიო მდგომარეობით, ფეოდალური კლასის რღვევა-დაცემით და პირადი ცხოვრების უკუღმართობით; ამას თან ერთვის კიდევ შეგნება ამქვეყნიური ცხოვრების არაარობის, უსამართლობის, მუხანათობისა და წუთიერობისა, რა-ზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და რაც ასე მკვეთრად გამოუხატავს მის შემდეგს სიტყვებში:

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?
თუ ხარ სიმაძრე, რა არს შიმშილი?
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?
იყავ ერთერთი, იწამე ღმერთი! (გვ. 163).

ფუ, შენ ცრუო საწუთროვო, რად არ მძლუღი, რად მიყვარდი?
შენ ყოფილხარ მწარე, მხნაკვი, მე მეგონე ტკბილი ყანდი;
აქ საყდავად რად მოგყვანდი, თუ მუნ ცოცხალს წამიყვანდი,
რატომ აგრე უწყალო ხარ, სასიკვდილოდ არ შეგწყალები? (გვ. 24).

ფუ, შენ ცრუო საწუთროო, ხარ არაფერი!
ვარდს ყვავს შერთაჲ, ასკილს ბულბულს, არს რა საფერი? (გვ. 134).

მართლაც, რა კარგი შეამთხვია მას საწუთრომ, რომ გულდამშვიდებით ელაპარაკა და ეთიქრა იმაზე:

ამად ვსტირ, ვარ ცრემლით სველი, საწუთროს კარგს ირას ველი;
 ცრუ არს წუთისოფელი, ანაზღისა მყოფელი,
 მძმოზელი თუ მდობელი — არის დაუნდობელი,
 და მძმაყველი. (გვ. 143).

პოეტი ასახელებს მისი პესიმისტური განწყობილების კერძო მოტივებსაც:

ზურგთ მძიმე ტვირთი მკიდია ცოდვისა, არ მსუბუქია.
 გზაშველომილი ვრონიწებ, მაზრობს ქარი და ბუქია,
 მასხია ცივი ნაბადი, არა მაქვს თბილი ქურქია. (გვ. 74).

გულს მიკოლს სევდის ლახვარი, აღმსის დანის სადარი,
 დედ-მამა, ძმანი დავეარებ, არ ვიცი დანი სად არი.

დედ-მამისა და და-ძმათა დაკარგვაზე მეტიად პოეტს ჰკლავს სამშობლოს დაკარგვა:

სახით სიტყვაშეენიერო, სხიო მზეთა, მზის სახეო,
 ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერსადა ვნახეო,
 გეაჯები, ნუ გამწირავ, მოეკვდე — შენკერძ დამმარხეო,
 ჯოჯობეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო!

ვაძე ჩემო საესავო, ტუბილო ცხოვრებისა წყარო,
 ვავეყარე შენს სახესა, ვა თუ ველარ შევეყარო
 აწ შენვე გთხოვ, შენ შემყარო, ვინ გარდასთხენ ცა-სამყარო,
 მასაც გვეღრებ, ვინც გამყარა, მისი ჯავრიც ამამყარო (გვ. 73).

პოეტს აწუხებს ამასთანავე ის გარემოებაც, რომ იგი ბერდება და გადაიდის უშვილოდ, უმემკვიდრეოდ:

შვილს მომიწვია მუხთაღმა, ისარი გულში მამასო,
 არ მომცა ძე, არც ისულა, არეინ მიძახის მამასო.

ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბა,
 სად კაცს არ უნდა, წაიყვანს, ყელზედ საბელი უბა;
 მისთვის ვსტირ ცხელის ცრემლითა, სველი მაქვს კალთა-უბა,
 მე მსურდა, ერთი არ მომცა, ვის არ სურს, მისცა ტყუბა.

სამოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი მამაღერა,
 სულ მატებია ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღერა,
 ვით ბოლოკი, მქნა ბერეხი, ამაჩოყა, მამღერა,
 თესლაშრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა. (გვ. 104—105).

საზოგადოდ, დავითი ასე ახასიათებს თავის სავეალალო ზედს, რომელიც შეიქნა ერთ-ერთი მიზეზი მისი პესიმისტური განწყობილებისა:

მე ვარ, ვითა ღღაპი, ბიცი და მლაშობი,
 დღისიგანვე ცოდვისა შინა ნაშობი,
 უშრტო და უნაყოფო, ვით ვალო განმხმარი,
 უძეო, უასულა, არაბად სახმარი.

საწუთროს სოფლისაგან ბევრის გზით ვნებული,
მრავალს განსაცდელსა შინა შეყვანებული,
სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული,
დაკარგული ცოდვით, არ მადლით მოძებული. (გვ. 276).

არის თუ არა დავით გურამიშვილის ლირიკაში სატრფიალო-სამიჯნურო მოტივები? დავითს აქვს რამდენიმე ისეთი ლექსი, რომელიც თითქოს ამ საკითხს დადებითად სჭირს. ასეთია: 1) „ოდეს დატყვევებულმან საყვარლის სახე და სურათი ვეღარ ნახა“ (გვ. 73), 2) „სიმღერა დავითისა ზუზოვკა“ (გვ. 144—145) და 3) სიმღერა: „საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა, გულსაწვავი“ (გვ. 146—147). ნამდვილად კი არც ერთი ამათში ქალისადმი ტრფობასა და მიჯნურობაზე ლაპარაკი არაა; სატრფოდ და მიჯნურად ყველა ამ ლექსში, ისე როგორც ვახტანგ მეფისა და მამუკა ბარათაშვილის ნაწერებში, იგულისხმება: ა) სამშობლო და ბ) ლმერთი, კერძოდ ძე ღვთისა¹. მაშასადამე, ლექსები, მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკის“ მოთხოვნის თანახმად, ალგორითული ხასიათისან. ამას თვით პოეტიც ადასტურებს:

შორს ახლიხარ საყვარელს, ახლოს განეშხადო,
სახე მისი, სურათი, თვალწინ მაილანდო,
მის წინ ასე სტიროდ, იქ მას შეებრალდო!
თუ გწადს შენსა საყვარელს გულით შეუყვარდო,
შენთვის ლახვრით დაქრილსა სისხლსა ერემათ ბანდო.

მართლაც, დასახელებული სამი ლექსიდან პირველში (გვ. 85—87) პოეტი მიმართავს სამშობლოს, რომლის ფასს ის ვერსად პოულობს და რომლის შახლობლად, თუ წიაღში ირა, უნდა განისვენოს; მეორეში (გვ. 144—145) საყვარლად იგულისხმება მაცხოვარი, რომელსაც „მისი (ქაცისადმი) სიყვარუ-

¹ ზოგიერთი მკვლევარი „ზუზოვკა“-ში ალგორითის უარყოფს და იმაში რეალურ ქალს ზედებს. პოეტის სიტყვების მიხედვით, ლამაზ ქალად აქ იგულისხმება ძე ღვთისა იესო ქრისტე. მართლაც, პოეტის სიტყვით, ეს ლამაზი ქალი, განშორებისას მას ეუბნება: „კიდევ მოვალო“ და პოეტიც „ელის“ მას. აქ იგულისხმება ქრისტეს ანდერძი ამაღლების წინ მისი „მეორედ მოსვლის“ შესახებ, რასაც ყოველი მოაწმუნე ადამიანი „ელის“. მანო, სატრფომ, „მე გამიღოს საძყოფისა კარი შესასვლელიო“, ამბობს პოეტი. ესეც ქრისტეს ანდერძია: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან... მე წარვიდე და განგიშადო თქვენ ადგილი... და კულად მოვიდე და წარგიყვანო თქვენ“ (იოან. XIV, 1—3). პოეტი მოელის, რომ სატრფო მას „უბოძებს უყვდავების წყალს და ცხოვრების პურს“. ის სატრფო არის ქრისტე, რომელიც ამბობს: „მე ვარ პური ცხოვრებისა“ (იოან. VI, 35, 48) და „წყალი ცხოველი“ (იოან. IV, 10, 11), ესე იგი სიცოცხლის, უყვდავების. დავითი ამბობს: ჩემს სატრფოს „ჩემი სიყვარულისათვის სცემეს ზღ-შეკრულსა, საბით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა, სისხლით გაბასრულსა“. ვინ არ იცნობს ამ სიტყვებში ქრისტეს, რომელსაც ხელი შეუკრეს, სისხლი ადინეს და მოკლეს? ითვალისწინებს რა ყველაფერ ამას, პოეტი მიმართავს სატრფოს: „კვესკენლსა ვარ, ვერა გხედავ, მგულებები ცადა; ჭაუჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!“ რომელი რეალური ქალისათვის უნდა ეთხოვა პოეტს—წამიყვანე ცად, სადაც შენ იმყოფები?

დავითის ალგორითის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ქვეყლიძე, ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. X, 1956 წ., გვ. 162—165; მისივე, ეტიუდები, IV, გვ. 165—168.

ლისათვის სცემეს ხელშეკრულსა“ და რომელიც პოეტს „ეგულებსა ცადა“, სადაც ისიც უნდა წაყვანილ იქნას“; მესანეშიაც (გვ. 146—147) პოეტი გულისხმობს ღმერთს, რომელმაც გააგლო თავისაგან ცოდვილი დავითი, და ეუბნება: თუ გინდა, რომ მიყვარდე, იყავი წმინდა, დაიცავი ჩემი მცნება, არ გაიყვარო, მუდამ ჩემთან იყავიო. მაგრამ ამ მცნების შესრულება ჩემთვის ძნელი შეიქნა—ამბობს პოეტი—„მკვიდრს საყვარელს გავეყარე წუთიერი შევიყვარეო“. საყვარლად რომ ძეს ღვთისას გულისხმობს პოეტი, ეს შემდეგიდანაც ჩანს: „მომიკლეს მე საყვარელი, სიტყვა ძედ ღვთისად თბრობილიო“. გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს „ქაცვია ნწყემსი“, რომელშიაც სულწარმეტაც იდილიურ-რომანტიკულ არეზე მთელი თავისი რეალობით გადაშლილია ადამიანის სქესობრივი ბუნებისა და ქალ-ვაჟის ურთიერთისადმი ლტოლვის მძლავრი მოთხოვნილება, მაგრამ ეს მოთხოვნილება მას კანონიერი ცოლქმრობისა და სჯულთიერი შეუღლების ფარგლებში ჩაუყენებია. არც შეიძლება სხვანაირად მოქცეულიყო პოეტი, რომელსაც ღვთისად მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკიდან“ ამოღებული სიტყვები ჰქონდა: „თუ ქალის აშეყობაზე გინდა წერა, ცოლქმრობის სიყვარულზე თქვი“¹.

დავით გურამიშვილის პოეზია უღმობლად აწიშვლებს ფეოდალური კლასის იდეურსა და მორალურ სიღრმეებს: ის თანაბარი სინწყვაით ამათრახებს ყველას,—მეფეს, დიდებულს, სამღვდლოებს, თუმცა ამ კლასის მთელი ფიზიონომია მას არ გამოუმყდავებია, არ გამოუმყდავებია შეგნებულად:

ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამაღ არ ინება,
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მახედ მერცხინება;
მტერს შეესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება,
რახაც ახლად ეამობ, ვგონებ, ამახედაც მხედეს გინება. (გვ. 50).

მიუხედავად იმისა, რომ გლეხობის მდგომარეობისადმი ის გულშემატკივრობას იჩენს, ისტორიულად შეზღუდული პოეტი ბატონყმურ პრინციპს ვერ დალატობს და სოციალურ სინამდვილეში ფეოდალური კლასის პრიმატობას აღიარებს:

უმწყემსოდ ცხვარსა ბალახი უვნებლად არ უძოვნია;
დავით თქვა: დაემორჩილე, ვინც უენი მებატონია.

ეს აზრი განსაკუთრებით ხაზგასმულია შემდეგ სიტყვებში:

უნდა მხენელთა და მთესველთა, მწიღენელთა გინა მზარავთა,
მზის აღმოსვლითგან ჩასვლამდე შიგ არ შეხედონ კარავთა;
ცხელს ოფლითა დამწვართა, ჩირლილთ ქვეშ მიუკარავთა,
რაც იმუშაკონ, ჰამონ და აჰამონ ქვეყნის მფარავთა. (გვ. 33).

უსასტიკესი ბატონყმობის ხანაში იმისი თქმაც საყურადღებოა, რომ ოფლის მღვრელმა მუშაკმა თავისი ნამუშავეიდან თვითონაც „ქამოსო“.

¹ S 303, გვ. 75, 76; ქაშნიკი, გ. ლეონიძის განმელება, გვ. 2; გ. მიქაძის გამოცემა, გვ. 327, 328.

რა უნდა ითქვას საზოგადოდ დ. გურამიშვილის პოეზიის შესახებ?

არსებობს შეხედულება, თითქოს დ. გურამიშვილი მეტეორივით გამოჩენილიყოს აღორძინების ხანის ლიტერატურის პორიზონტზე და მისი პოეზია სულ ახალ რამეს წარმოადგენდეს ჩვენ მაშინდელ მწერლობაში. ეს შეხედულება მთლიანად მისაღები არაა, მას გადაკარბება ეტყობა. შინაარსობლივად განხილული, მისი პოეზია აღორძინების ხანის წინა დროის პოეზიის პირდაპირი გაგრძელებაა.

მართლაც, მისი ჩანგი ელერს საისტორიო და დიდაქტიურ-მორალურ თემებზე, რელიგიურ და პესიმისტურ ჰანგებზე, ისე როგორც თეიმურაზ I-ის, არჩილისა და ვახტანგისა. არჩილის გავლენა დიდაქტიურ-მორალურ დარგში, როგორც დაინახეთ, მისი აზრების სიტყვა-სიტყვით გამეორებამდეც კი მიდის, იმეორებს ბევრ რამეში ის ვახტანგ მეექვსესაც. სატრფიალო-სამიჯნურო თემებს ის გაურბის, როგორც არჩილი, და იმ ლექსებში, რომელთაც თითქოს ასეთი ხასიათი აქვთ, პოეტი ეტრფის და „ეაშვიება“ ღმერთსა და ღვთის-მშობელს, როგორც სხვა მისი წინამორბედი მწერლები. დავითის ლირიკა განწყობილებით ნათესაობას იჩენს რამდენადმე საეკლესიო ჰიმნოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენლებთან. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ეს წინა თაობისაგან მიღებული თემატიკა დავითმა, დიდი ნიჭისა და მხატვრული აღლოს მეოხებით, განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

თემატიკურად ახალია მის შემოქმედებაში „ქაცვია მწყემსი“, როგორც ისეთი ნაწარმოები, რომელშიაც, საქართველოს ბუნების აღწერასთან ერთად, მოცემულია გლეხკაცის ყოველდღიური ცხოვრების ფართოდ გაშლილი მხატვრული ტილო. საქართველოს ბუნებას სხვებიც შეხებიან (თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი)¹, გლეხები წინა დროის ნაწარმოებებშიაც ჩნდებიან (განსაკუთრებით იგაე-არაკებში), მაგრამ ყველაფერი ამის „ქაცვია მწყემსისებურად“ გაშლა და ასახვა ჩვენმა ლიტერატურამ დავით გურამიშვილამდე არ იცის. „ქაცვია მწყემსში“ მისმა ნიჭმა უნებლიეთ ამოგლიჯა ხალხის წიაღიდან მშვენიერი იდილია, თუმცა ბუნებრივად ის ვერ გაიშალა.

ახლა დ. გურამიშვილის პოეზიის ფორმის შესახებ. „ქაცვია მწყემსში“, მამა-შვილის ბაასში, ავტორი გეაცნობს იმდროინდელ შეხედულებას პროზასა და პოეზიაზე. შეილი სთხოვს მამას, უამბოს მას „წარღვნის“ ამბავი. მამაც თანხმდება და პირდება ლექსით გადასცეს ეს ამბავი.

შეიღან პრქვა: მამავ, ლექსად წყობითა

მართლა არ მესმის მე შეტყობთა:

თქვენ ბრძანებთ იგაუდ, მე მესმის იგ ავად;

მიბრძანეთ აშბაღ!

ლექსად ითქვიან შემოკლებითა.

ან მომატებით, ან მოკლებითა;

სიტყვა-განმარტებით, არ კლებით, არ მატებით

ამბის თქმა მსურას.

¹ სამშობლოს სურათებისა და მისი პეიზაჟის შესახებ დ. გურამიშვილის პოეზიაში იხ. კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, X, გვ. 163; მისივე, ეტიუდები, IV, გვ. 165—166.

ამაზე მამა უპასუხებს შეილს:

მე ლექსად სიტყვებს ამაღ ვაწყობდი,
უფრო ტყბილად ჩნდა, იმას ვატყობდი;
არ მაქენდა ამეღა, შენ ამაღლ ოსმენდი

მოუწყენელად. (გვ. 248).

და მართლაც, დავითი (მამა) ბოლომდე შერჩა „ტყბილად სასმენელ“ პოეზიის, მთელი მისი ცხოვრება პოეზიის სამსახურში დაიფერა. მისი იდეალი პოეზიისა განხორციელებულია რუსთაველში:

ლექსი, რუსულსებრ ნათქვამი, მე სხვისა ვერა ვნაბე და. (გვ. 22).

ის რუსთაველს მხედარს უწოდებს, თავისთავს კი—

წყებასა ზედა მჯღომ მცირე ყრბას. (გვ. 22).

„მე რუსთაველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს ჩალის ძირისა“, მაგრამ

ოდეს მაშერალს მოსწყურდების, მაშინ წყალს ღვინოდ ღირსა,
ღრო მოვა, რომ გატყბილდების, ხილად სკამღენ პანტის ზირსა. (გვ. 22).

ასეთი კრძალულების მიუხედავად, დავითი არ შერჩა პოეზიის დარგში მხოლოდდაშობლოდ რუსთაველს. ის საუკეთესო წარმომადგენელია გარსევან ჩოლოყაშვილისა და მამუკა ბარათაშვილის სკოლისა, რომელმაც საბოლოოდ შეარყია რუსთაველური ლექსის ბატონობა ჩვენს მწერლობაში. რუსთაველურ 16-მარცვლიან და ჩაბრუნებულ 20-მარცვლიან ლექსთან ერთად, დავითი ხმარობს 5, 6, 7, 11, 12 და 14 მარცვლიან ლექსს. რიტმის სინაზით, რითმის სიმდიდრითა და სხვა პოეტური აქსესუარით დ. გურამიშვილის ლექსი არაჩვეულებრივია, მართლა რომ „ტყბილად ჩანს“ ის.

დავითს აქვს აკროსტიქული ლექსებიც. მაგალითად, „ლოცვა, ოდეს დავითს ტყვეობასა შინა მოშიგდა და ღმერთს პური სთხოვა“, შეიცავს აკროსტიქად „მამაო ჩვენო“ ს (გვ. 80—81), ხოლო „სამების ვედრება“—დიდების მეტყველებასა „რამეთუ შენი არს სუფევა“ (გვ. 81). იამბიკო „ძის ვედრება“ გვაძლევს კიდურწერილობას: „დავით გურამიშვილი“ (გვ. 82). დავითს აქვს შემდეგი ტიპის ანბანთქება: 1) ლექსის პირველ სტრიქონში სიტყვები დალაგებულია ა-ზე, მეორეში—ბ-ზე მესამეში—გ-ზე და ასე ბოლომდე (გვ. 122); 2) ერთ ლექსში პირველი სისტემით ამოწურულია ანბანი თავიდან ბოლომდე (ა—ჟ), მეორე ნაწილში კი, პირიქით—ჟ-დან ა-მდე (გვ. 158). აკროსტიქულ სისტემაში ყველაზე მეტად დავითი არჩილს უახლოვდება. ეს სიახლოვე იმაშია ჩანს, რომ დავითი წერს ისეთ ლექსს, რომელშიაც წარმოდგენილია „ამოცანად იგავი ასახსნელად ადვილი“ (გვ. 157). აქვს დავითს მოხდენილი მაჯამებიც¹.

¹ კ. ქველიძე, ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, X, გვ. 166—171; მისივე მტრუდები, IV, გვ. 169—174.

ახლოს. დგას დავითთან მამუკა ბარათაშვილიც, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში¹.

ზოგ რამეში დავითი თეიმურაზ მეორეს ენათესავება; ეს ჩანს „ზმათა“ თქმაში. მას აქვს „ზმიანი შაირი“ და „ამოცანა ზმიანი“ (გვ. 151—153) იმავე ტიპისა, როგორც ვაჩვენეთ თეიმურაზის შემოქმედებაში. საერთოდ, დავითის სახანელოდ უნდა ითქვას, რომ წინამორბედებთან ნათესაობის ფაქტს არამცთუ არ მალავს, პირიქით, ხაზს უსვამს კიდევაც. ერთ ლექსში ის მიმართავს პოეტს თომას (როგორც დავინახეთ, ეს თომა არის მამუკა ბარათაშვილის ძმა) და ეუბნება: „რომელიც ხმა შენ შეგეწყო, მეც ის შევაწყუეო“, მაგრამ ესეც იცოდე, რომ „შენს ქალთა-მზეს ბევრითა სჯობს ჩემი მზეთა - მზეო“ (გვ. 82).

დავითის უფროსმა თანამედროვემ, მამუკა ბარათაშვილმა, როგორც ვიცით, პირველმა შემოიტანა ქართულ სწერლობაში ფოლკლორული, სახალხო ლექსთა მოტივები და კილო, მაგალითად, „პატარა ქალო თინაო, რას გარდამიდგე წინაო“². მან პირველმა გამოიყენა რუსული ხალხური სიმღერები ქართული ვერსიფიკაციის გასამდიდრებლად, მისი ლექსების სათაურში ჩვენ ვკითხულობთ: „რუსული ხმები“, „ჩერნიკოს ხმა“, „პრიიდი დრუეოკის ხმა“, „ნე სმუშაის ხმა“, „პოროდილა ჩეჩოტკას ხმა“, „პოლცკის ხმა“³. ამ წამოწყებას ბეჯითად აგრძელებს დავით გურამიშვილი, მხოლოდ რუსულ-უკრაინულ სიმღერათა ხაზით. რაც შეეხება ქართულ ხალხურ სიმღერებს, იმათ სანაცვლოდ, მაგრამ იმათ კილოზე, ის თავის ლექსებს თხზავს, მაგალითად: „არანანინას, თარანანინას ესე სჯობია, ღეთის სამკობია, ალილუია“ (გვ. 135), „სიმღერა ფერხისული აგერ მიღმარ ახოს სანაცვლოდ“ (გვ. 130), „პატარა ქალო თინაოს სანაცვლოდ სამღერალი“ (გვ. 150), „ახა წმინდა კობალეს სანაცვლოდ სამღერალი“ (გვ. 117), „ეო, მეო, ქალო, ქალთა მზეოს სანაცვლოდ სათქმელი“ (გვ. 126—129), სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვარობის სანაცვლოდ სათქმელი“ (გვ. 125). ამ შემთხვევაში ჩვენ იმავე მოვლენას ვხედავთ, რასაც ქრისტიანობის ისტორიაში: პირველ საუკუნეებში ქრისტიანობის წარმომადგენელი წარმართულ ტაძრებსა და დღესასწაულებს სპობდნენ და მათ ადგილას ქრისტიანულს იფუნდებდნენ, წარმართული ჰიმნების მაგიერ ქრისტიანულ ჰიმნებს თხზავდნენ. ასე იქცევა დავითიც: ხალხური სიმღერების სანაცვლოდ, მათ კილოზე, ის თხზავს სარწმუნოებრივ-მორალური და ასკეტური შინაარსის ლექსებსა და სიმღერებს.

სამაგიეროდ, რუსულ-უკრაინულ ხალხურ სიმღერებს დავითი უფრო მეტი საზომით მიმართავს, ვიდრე მამუკა. ამ მხრივ მას შემდეგი სიმღერები აქვს აღნიშნული: „Не дам покою, пойду с тобою“ (ქართული ტრანსკრიფციით), „Что за причина, всегда кручина“ (გვ. 133—135), „Ах, как скучно!“

¹ გ. მ. ქაძე, მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნი“ (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 108—111.

² იქვე, გვ. 134.

³ მ. 303, გვ. 40, 43, 44, 46, 47, 48.

(გვ. 139), „Нету злости надо мною, уменьшить мне печаль мою!“ (გვ. 142), „Казак душа правдивая“ (გვ. 144), „Чувствую скорбь лютую всяку минуту“ (გვ. 146), „Полно, полно, не прельщайся“ (გვ. 148), „Улетела зазулинка через дубину“ (გვ. 154), „Ах, сколько цвела в летах молодых!“ (გვ. 155), „Веселая весна“ (გვ. 179), „პოლშის სიმღერის ხმა“ (გვ. 136).

სტილის მხრივ დავითის ნაწერებში ყურადღებას იქცევს ხმარება: უმ ნაწილაკისა, ა-ნიანი პრეფიქსებისა და, რითმის ზეგავლენით, უკანონო ფორმებისა: ბედები, ყვაელითა ხეთები, ცოდვის ზიერი. საკვირველია, რომ დავითს მორალისტურმა ტენდენციამაც კი არ დაუშალა შეეცანა თავის ნაწერებში ზოგიერთი ვულგარული თქმა და „ქაცვია მწყემსის“ უაღრესად რეალისტური, პირდაპირ ნატურალისტური აღგილები.

მართალია, მშვენიერი, ლამაზი, პირდაპირ მომხიბლავი ფორმით — „ტკბილი“ ლექსებით, დავით გურამიშვილმა რამდენადმე ხელი შეუწყო საზოგადოებაში რელიგიური აზრების პოპულარიზაციას, მაგრამ ნის შემოქმედებას დიდი, განუზომელი მნიშვნელობა აქვს, ის თავდადებითი დამცველი და მქადაგებელია მთლიანი საქართველოს იდეისა, მტკიცე აბსოლუტური ხელისუფლებისა. ამასთან ერთად, ის იმდროინდელ საზოგადოებაში გამეფებული გონებრივი და მორალური დაცემულობის შეურიგებელი მტერია, არ ინდობს არც შორეულს და არც მახლობელს, არც უცხოს და არც თავისიანს. ის ნამდვილი პატრიოტია, რომელსაც გული შესტკივა სამშობლოს სავალალო მდგომარეობისათვის, რომელიც ეძებს გზებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მისი ბრალი არ არის, თუ ის ყოველთვის შესაფერის გზებს ამისათვის ვერ პოულობს, ამის შესახებ ის თვითონ ამბობს:

არც მე ვარ სწავლით კარად ნაზარდი,
არც მე მაქვს, შეილა ცოდნა მაგონი,
ძლივ მისწავლია ან-ბან-გან-დონი. (გვ. 247).

ამიტომაცაა, რომ დავითი, მისთვის ჩვეული რეზონიორობით, დაუღალავად და თავგამოდებით ქადაგებს სიბრძნის, ცოდნისა და სწავლა-განათლების აუცილებლობას, საქიროებასა და მნიშვნელობას. მან იცის, რომ სწავლა, ცოდნა და განათლება ხელს უწყობს პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ცხოვრების წარმატებასა და წინსვლას. ასეთი შეგნება, ამისი ქადაგება რეჰქველად პროგრესული მოვლენა იყო ბნელეთით მოცულ ეპოქაში, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვენი პოეტი¹.

დავით გურამიშვილი დღეს აღიარებულია არა მარტო საქართველოს პოეტად, არამედ მოძვე უკრაინისაც, სადაც მან გაატარა უდიდესი ნაწილი

¹ დავითის თხზულებებს საქართველოში XIX საუკუნემდე არ მოუღწევია; საინტერესოა რომ იმათ შესახებ სდუმს „ქალმასობის“ ავტორიც.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და სადაც დაიწერა მისი „დავითანის“ ამბ-
 ლევებელი სტრიქონები. უკრაინამ შემოგვინახა დიდი პოეტის არა მარტო
 ნეშტი, არამედ დოკუმენტებიც კარგა ხანს ბნელით მოსილი მისი ცხოვრების
 გასაშუქებლად. მან ამასთანავე უკვდავყო მისი სახელი მის საფლავზე ძველის
 დადგმითა და „დავითანის“ უკრაინულ ენაზე გადათარგმნით. უკრაინელმა
 შეცნოებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს დავითის ბიოგრაფიისათვის ახალი
 ცნობების შოპოვებით და საყურადღებო ნარკვევების გამოქვეყნებით (დ. კო-
 სარიკი). დავით გურამიშვილმა თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მკიდ-
 როდ დაუკავშირა ერთმანეთს უკრაინელები და ქართველები მათ მდღვარ
 ბრძოლაში ბრწყინვალე მომავლისათვის.

მ. ბესარიონ გაბაშვილი

ბესარიონი, ან, როგორც უფრო ცნობილია ის, ბესიკი, ეკუთვნის გა-
 ბაშვილთა ან გაბაონელთა გვარს, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნეში
 ლიტერატურულ ასპარეზზე რამდენიმე მოღვაწე მოგვცა. ასეთებია ცნობილი
 ტიმოთე მიტროპოლიტი¹, ზაქარია დეკანოზი და მისი შვილები; იოსე-
 ბი ანოსე² და ნიკოლოზი³, და ასული ზაზა გაბაშვილისა მაია. ბესიკი
 ერთ-ერთი შვილი იყო ზაქარია დეკანოზისა, თეიმურაზ მეორის და მისი ოჯა-
 ხის მოძღვრისა. ვიდრე ბესიკზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკ-
 ლედ ზაქარიას ვინაობასაც შევეხოთ.

ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის „ქავეზირნი ღმრთისმეტყველე-
 ბითნი“-ში აღნიშნულია, რომ ის გადაწერილია ხელითა ზაქარიასათა ჩლწ
 წელსა, როცა ზაქარია „ერგასის“ წლისა იყო. აქედან გამოდის, რომ ზაქარია
 დაბადებულია 1707 წელს (1757—50). ზაქარია არ ყოფილა მისი თავდაპირვე-
 ლი სახელი, ერისკაცობაში მას სხვა სახელი რქმევია, „ზაქარია“ მისთვის

¹ კ. კიკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 328.

² ეს ოსე შემდეგ მღვდელი გამხდარა 1814 წელს „პროთოიერმან ოსე ლაბავემან, ზა-
 ქარია შოაღურის ძემან, კიხლარს ქალაქსა შინა, მონასტერსა ცხოველმყოფელისა ჯუარისასა“
 გადსწერა ანტონ კათოლიკოსის „წვთბილისიტყვაობა“ და „პროლოგი“ პეტრიწის, არსენისა
 და ანტონისა. ეს ხელნაწერი ჩვენ ვნახეთ ერთ კოპია კაცის ხელში.

³ ნიკოლოზი, ისიც მღვდელი, რომ ბესიკის ძმა, ამის შესახებ იხ. ბესიკი, ა. ბარა-
 მიძისა და ვ. თოფურისა გამოცემა, გვ. 015—016, აგრეთვე 1785 წლის 10 სექტემბრის სიგელი
 (ცენტრალური არქივისა), რომლითაც იმერეთის მეფეს დავითსა და დედოფალს ანას დაუმტ-
 კიცებიათ ბესიკისა და მისი ძმებისათვის სოფელი ხიმში. ამ ნიკოლოზს ასე ახასიათებს იოანე
 ბატონიშვილი „კალმასობაში“: „ნიკოლოზ ბუცესი გაბაშვილი იყო სამეცნიერო სწავლასა შინა
 გამოცდილი, კარგი მოქადაგე და შესხმათა შემთხველი. ესრე უფროვე სცხოვრობდა იმერეთს
 შინა და აქუნდა პატრიე მეფისაგან, ამან აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი“ („კალმასობა“, II,
 გვ. 200). დღეს ცნობილია ნიკოლოზ გაბაონელის, ანდა ნიკოლოზ დეკანოზის იობიან-გაბა-
 ნელის ხელით იმერეთში დწერილი ორი სიგელი 1786 და 1800 წლებისა (ცენტრალური
 ფონდი 226 (I), №1509, 2549).

მღვდლად კურთხევისას დაურქმევიათ¹. ამას ჩვენ ვგებულობთ 1764 წლის კრების დადგენილებიდან, რომელმაც ზაქარია გაასამართლა და მღვდლობის ხარისხი ჩამოართვა. მღვდლობასთან ერთად, ნათქვამია კრების განაჩენში, „შიულბთ სახელსაცა, რომელი ეწოდებოდა მღვდელობასა შინა, მით რომელ არანათლისლებასა შინა წოდებულ იყო სახელი იგი მის ზედა, არამედ მღვდელობასა შინა, და რომლითა სახელითა იწოდებოდა ერისკაცობასა შინა, ვბრძანებთ, რათა იგივე სახელი ედებოდეს ამიერივითან“². რა ერქვა მას ერისკაცობაში, დანამდვილებით არ ვიცით, მასალებში ეს არ ჩანს, მაგრამ შეგვიძლია ვფიქროთ, რომ მისი საერისკაცო სახელი იყო იოზი, რადგანაც მისი შვილები (ბესიკი და ნიკოლოზი) ცნობილი არიან როგორც იოზიანნი, ანდა ისაკი; უკანასკნელი იმ შემთხვევაში, თუ ცნობილი სატირა „კატისა და თაგვების ომი“ მართლა მისი ნაწარმოებია³.

ზაქარიას სახელს პირველად ვპოულობთ „ორ სიგელში, რომლებიც გადაწერილი არის 1736 წელს. ერთი მათგანია ორბელიშვილების ნასყიდობის წიგნი. აქ ვკითხულობთ: „მე გაბაშვილს, დმანისის დეკანოზის შვილს, მღვდელს ზაქარიას დამიწერია; 8 სექტემბერი 1736 წ.“⁴. მეორე—ნასყიდობისავე წიგნი ყაფლანისშვილისა—„მე გაბაშვილს, დმანისის დეკანოზ-მღვდელს, ზაქარიას დამიწერია; 15 ნოემბერი 1737 წ.“⁵. აქედან ირკვევა, რომ ბესიკის წინაპრები დმანისელები ყოფილან, ორბელიან-ყაფლანთან საშფლობელოდან (ამ ნიადაგზე ხომ არ იჩინა თავი იმ არასასიამოვნო გრძნობამ, რომელმაც მთელი სიმძლავრით იფეთქა ჭაბუა ორბელიანისა და ბესიკის ცნობილ სატირა-პამფლეტებში?). ზაქარია დეკანოზი, როგორც ერთი ცნობიდან ირკვევა, დმანისიდან სამისიონერო მიზნით ქიზიყში გადასულა. აქ, უეჭველია, მან

¹ ზაქარიას საერისკაცო სახელი იმითაა საყურადღებო, რომ, ჩანს, ჩვენში, საერისკაცო სახელს იცვლიდნენ არა მარტო ბერად აღკვეცისას, არამედ მღვდლად კურთხევისასაც. ასეთი რამ დადასტურებულია სხვა შემთხვევაშიც. ასე, მაგალითად, ცნობილია მღვდელი გაბრიელ გარსევანი ყოფილი, რომელსაც დაუბეჭდავს 1716 წელს „დაითი“, 1717 წელს „ლუცკანი“ და „ჟამნი“, 1720 წელს „მკლესიის კურთხევის წესი“ და 1722 წელს „ჟამნი“ („ქართული წიგნი“, I, გვ. 24—30).

² კ. კარბელაშვილი, ივრარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 177.

³ მაგრამ ეს საუბრო ხდება. საქმე ისაა, რომ, როგორც ამას საეციკლურად ყურადღება პირველად ტ. რუბაქიძემ მიაქცია, ყველა ხელნაწერი, გარდა ერთისა, ამ სატირას ისაკი მცირე მიაკუთვნებს; ისაკი მცირე კი სხვა პირია, ზაქარია სხვა. მართლაც, სხვა ცნობას რომ თავი დაჯანბნოთ, ისაკი მცირეს ასხვევებს ზაქარიასაგან ანტონ I, რომელიც თავის „მზამეტყულებაში“ (დაწერილია 1752 წ.) ზაქარია მოძღვარს ცალკე ასახელებს, როგორც თავის თანამედროვეს, და ისაკი მცირეს, „გონებითა ვრცელს“, ცალკე (გვ. 604). ასხვევებს მთ ერთმანეთისაგან იოანე ბატონიშვილიც, რომელიც „კალმასობაში“ ისაკი მცირის შესახებ ამბობს, რომ ის იყო მეწიერი კაცი და მშუნიერი მესტიხე“ (II, გვ. 198, შდრ. გვ. 195). გ. ლეონიძის აზრით, ისაკი მცირე იყო ან ძმა, ან ძმისშვილი ზაქარიასი („ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, გვ. 192). ზაქარიას ერთ-ერთ შვილსაც ისაკი რქმევია (ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, „მასალები საქართვ. და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი II, 1940 წ., გვ. 22).

⁴ „საქართველოს სიძველენი“, II, გვ. 385.

⁵ იქვე, გვ. 386.

დაიშახტურა ყურადღება და მეფის კარის დეკანოზობის ხარისხი მიიღო. ასეთ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ ხოლმე განათლებული და ცნობილი პირები. ზაქარია მართლაც თავისი დროის ერთ-ერთი განათლებული კაცი იყო; მან ზედმიწევნით იცოდა ფილოსოფია, თეოლოგია, ისტორია და ლიტერატურა, რომელშიაც ის, როგორც ვიცით, უშუალო მონაწილეობასაც იღებდა¹. ამ როგორ ახასიათებს მას იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“²: „ზაქარია გაბაშვილი იყო ძველთა ფილოსოფიისა სწავლთა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე. ამან იღვაწა კიზიყსა შინა კადაგებითა, რომელთა შორის შევიდა მცირედ ლეკიანობა, და მალე მოაქცივნა ივინი. ესე იყო მშვენიერი მწერალი და მთხველი მალალსა ფრასსა ზედა, უცხო პიიტოკოსი და მღვდელობითა სრული, რომელიცა იქმნა მეფეთა მოძღუარიცა“³. მიდრეკილება ლიტერატურისადმი ზაქარიას თავის შვილებსათვისაც გადაუცია. ამისი დამამტკიცებელია. არა მართო ბესიკი, არამედ იოსები ან ოსეც, რომლისაგან დარჩენილა „ანბანთქება“. თქმული მეფე თეიმურაზ მეორის ასულ ელისაბედზე შაიხად⁴.

ზაქარია ერთ-ერთი ინიციატორი იყო ანტონ კათოლიკოსის წინააღმდეგ ატეხილი პროცესისა, რომელიც დამთავრდა, როგორც ვიცით, ანტონის დამხობით, ხოლო მისი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ (1764 წ.) ზაქარიას გასამართლებით. გასამართლების შემდეგ, 1767 წელს, ზაქარია რუსეთისკენ გამგზავრებულა, ალბათ, იქ მყოფ ბატონიშვილთა შორის ბელის საქმეზედად. ყოველ შემთხვევაში, იმ წერილში ან ხოტბაში, რომელიც მას ასტრახნიდან მოსკოვს მიუწერია ჩახარუხაული საზომით გიორგი ვახტანგის ძისათვის, ის, სხვათა შორის, თავის თავზედაც ლაპარაკობს და გიორგის ყურადღებასა და დახმარებას სთხოვს. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ის იმერეთს გადასახლებულა, სადაც შესაფერისი პატივითა და ყურადღებით მიჟლიათ.

ზაქარიას რვა შვილი ჰყოლია, როგორც ის თვითონ აღნიშნავს გიორგისადმი მიწერილ წერილში:

მე შტორალს ქართლი გამომარეს, ყვედრება, გმობა ხედ დამაყარეს,
მეულლას წართმას არა მაქმარეს, შვილნიცა რვაანი ერთჟამ წამგვარეს.

გარდაცვლილა ზაქარია არა 1780 წელს, როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავს⁵, არამედ 1783 წლის 6 თებერვალს, და დასაფლავებულია ის არა ლურჯი მონასტრის გალავანში თბილისში, არამედ გელათში⁶.

¹ მის კალამს ეკუთვნის „შესხმა გიორგი ბატონიშვილისა“, ვახტანგ VI-ის ძისა (H 1196), „ლეკი ვტლებ, რომელ არიან ზოდიაქნი ბურჯნი“ (S 1203, S 1512), „სულთ სატრფონი, საშოვნონი, სახეონი“ (S 1516) და „განზრახვანი“ (H 437, Q 422). მასვე შემოუნახავს ცნობები იერემ მცირისა და სხვა მოღვაწეთა შესახებ (П. Носеяшаяи. Описание древности г. Тифлиса, გვ. 154).

² „კალმასობა“, II, გვ. 195.

³ S 1203, S 1512, S 1516, S 1534, S 1543.

⁴ „Археологическне экскурсии“, IV, გვ. 145.

⁵ ამ ზაქარიასაგან უნდა განვასხვაოთ მეორე ზაქარია კუტისშვილი, არქიმანდრიტი გელათის წმიდა გიორგის ეკლესიისა (დაახლოებით იმავე დროისა). დარჩენილა მის მიერ გა-

ბიოგრაფიული ცნობები ბესიკის შესახებ იმდენად ღარიბია, რომ ისიც კი საძიებელია, თუ როდის დაიბადა და გარდაიცვალა პოეტი. ამ შემთხვევაში, გამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ მისი ეპიტაფია, რომელიც მოჰყავს ზ. კიკინაძეს: „საფლავსა ამასა შინა მღებარე არს თავადი ბესარიონ იობიან-გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილი იყო იმერთა მეფისაგან დესპანად რუსეთის დიდებულების საიმპერატორო კარისადმი და მიიცვალა აქა, იასსა, წლისა მ. წელთა ჩღჟუ იანერის კლ“¹. ამ ეპიტაფიის მიხედვით, ბესარიონ გაბაშვილი დაბადებულია 1751 წელს, ვინაიდან 1791 წელს, როდესაც ის გარდაცვლილა, 40 წლის ყოფილა. მაგრამ ეპიტაფიაში ყველაფერი ზუსტად არაა გადმოცემული. ბესარიონი რომ 1791 წელს გარდაიცვალა, ეს, ეპიტაფიის გარდა, დამოწმებულია სხვა მონაცემებითაც. ხოლო ის რომ გარდაცვალებისას 40 წლის იყო და, მაშასადამე, 1751 წელს (1719—40) დაიბადა, ახალი მასალების მიხედვით, საეჭვო ხდება. საკმე ისაა, რომ ბესიკის დღიურიდან ჩანს, რომ, როდესაც ის სოლომონ პირველმა სპარსეთში გაგზავნა, ის 28 წლის ყოფილა². სპარსეთში კი ის გაიგზავნა არა 1779 წელს, არამედ 1778-ს³; 1779 წელს ის დაბრუნებულია იქიდან და თან ჩამოუყვანიო ალექსანდრე ბაქარის ძე⁴. თუ სპარსეთში გაგზავნისას ის 28 წლის იყო, ხოლო გაიგზავნა ის იქ 1778 წელს, დაბადებულია 1750 წელს. ასე რომ ეპიტაფიის ცნობა, ბესიკი 40 წლის გარდაიცვალაო, არაა სწორი და ეს არც გასაკვირია, ეპიტაფიებში აშკარა შეცდომა ხშირია ხოლმე⁵.

მისი მამის, დეკანოზ ბაქარიას გავლენიანობისა და პატივცემულობის გამო, ცნობისმოყვარეობითა და ნიჭით უხვად დაჯილდოებული ბესიკი პატარაობიდანვე მეფის კარზე იზრდებოდა ბატონიშვილებთან ერთად, რის მეოხებით ის ენობა საშეფო კარზე მიღებულ სწავლა-აღზრდასა და განათლებას

დაწერილი ლოცვები, პარაკლისი და დაუჯდომელი. აღნიშნული პირი დაკრძალულია გელათში (კატალოგი თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკისა, ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბ., 1949 წ., გვ. 25).

¹ ლექსნი, თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისაგან, 1885 წ., გვ. 11. ეს ეპიტაფია ახლა მოძებნილია.

² ბესიკი, თხზულებანი, ა. ბარამიძისა და ვ. თოფურაიას რედაქციით, 1932 წ., გვ. 104.

³ ზ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 189; „ლიტერატ. მატრიანე“, წ. 3—4, გვ. 431.

⁴ ეს დამოწმებულია ეგვიპტულანად. იბ. П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. II, 116; ч. III, 150; დავით და ბაგრატ ბატონიშვილები, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, მ. ჯანაშვილის გამოცემა, 1905 წ., გვ. 25—26; თ. ლომოურის გამოცემა, გვ. 16; ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, 1940 წ., გვ. 38 (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის), II, (1779 წელს 11 იანვრისთვის, ახალციხელი მღვდელი, ბოჯავანთ იოვანე. თავის დღიურში ამბობს: „ბაქარის შვილის ალექსანდრეს მოსულა თქვეს იმერეთს, სპარსეთიდან რომ გამოიპარა“ („ლიტერატურის მატრიანე“, წ. 3—4, გვ. 431).

⁵ შტრ. შ. ბურჯანაძე, ბესიკის დაბადების თარიღი, „მომომზდილი“, II, 1951 წ., გვ. 477—478.

და შეიქნა ზედმიწევნით მცოდნე, სხვათა შორის, სპარსული ენისაც¹. მისი მამის, ზაქარიას, გაძევების შემდეგ ის თითქოს შეუფარებია თეიმურაზ II-ის ქვრივს, დედოფალს ანახანუმს². სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ბესიკი იძულებული გამხდარა თბილისი მიეტოვებინა. 1777 წლის დამდეგს მას იმერეთში, იმერეთის მეფის კარზე ვეზდავთ, როგორც „განდევნილს“, „ექსორიაქმნილს“ რა იყო მიზეზი მისი განდევნისა?

გადმოცემით, რომელიც გაზიარებულია მკვლევართა მიერაც, ამისი მიზეზი იყო ის, რომ ბესიკს შეეყარებია ერეკლეს ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ვინ სახელდობრ?

ამის შესახებ ცნობებს განსვენებული ს. გორგაძე ასე გადმოგვცემს: „1772 წელს დაქვრივდა თეიმურაზ მეფის ასული ანა ბატონიშვილი, რომელიც დიმიტრი ორბელიანზე იყო გათხოვილი. ახალგაზრდა ქვრივი თავისი ძმის ერეკლე მეფის სასახლეში დაბინავდა. ბავშობიდან ზაქარია მოძღვრის შეილებთან შეზრდილი, იგი სულ ადვილად დაუახლოვდა ბესარიონ გაბაშვილს და მათ შორის გაიბა საიდუმლო გრძნობის ქსელი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონიშვილებამდის მიუწვდია ხმას, ვითომც ბესიკს სხვა ქალი შეჰყვარებოდე; ეს რომ ანა ბატონიშვილს შეუტყვია, ბესიკი სასახლეში აღარ მიუღია. უკანასკნელი გრძნობით აღსავსე ლექსებში თავს იმართლებს, მოციქულებსაც კი აახლებს ანა ბატონიშვილს, მაგრამ ამაოდ! ერთხელ დახშული სამოთხის კარი მას აღარ გაუღეს. ამ რომანის ამბავმა ირაკლი მეფემდინაც მიაწია; განრისხებულმა მეფემ ქვრივი დაგ მონასტერში გაგზავნა, ხოლო ბესიკს სასტიკად აღუკრძალა ამიერიდან ამ საგანზე ხმის ამოღება: წინააღმდეგ შემთხვევაში შენც მამაშენივით გაგაძევებ ქართლიდამო, მაგრამ სიციხემდე მისული ახალგაზრდა მგოსანი არა ცხრებოდა; ამბობენ: ერთხელ ბესიკმა სასახლისაკენ ჩაიარა და აივანზე ორი შავით მოსილი (სამოლოზნო ტანსაცმელი) ქალი დაინახა, რომელთაგან ერთი ანა ბატონიშვილი იყო. ამ შემთხვევის გამო მას გამოუთქვამს ახალი ლექსი „შაენი შაშენი“, რომელიც მალე გავრცელებულა მთელს ქალაქში და შეფემდისაც მისულა. განრისხებულ მეფეს უბრძანებია მსახურებისათვის: ჩემი ოჯახის შეურაცხყოფელი სამაგალითოდ უნდა დაი-საჯოს, მეტეხის ციხიდან გადაადგეთო. მაგრამ სასახლის ერთ-ერთი წევრისაგან ბესიკს მეფის გადაწყვეტილება შეუტყვია და იმერეთში გაქცევით უშველნია თავისი თავისათვის“³.

ამ ამბავში გაუგებრობას იწვევს შემდეგი გარემოება: ა) ბესიკი მართლაც წერს სატრფიალო ლექსს ვინმე ანაზე⁴, მაგრამ ეს ანა არის არა ბატო-

¹ ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე XVIII ს. სულხან ორბელიანი („ქართლის ცხოვრება“, II, 348, არა იგუარაკების მწერალი) ასე ახასიათებს ბესიკს: „ცე, მეგობარო, ტბილად მოუბარო და სახით მშვიდო, სიბრძნით სრულო, ბუნებითა შეცნიერებოდა გონება-კეთილოვანო, ხოლო კეთილად სტრატოტად აღკაზმულებითის ქებითა აღმატებულო, უმშენიერესად წარჩინებულო“ („იერიკა“, 1902, № 116).

² გ. ლეონიძე, ძიებანი, გვ. 201.

³ ბესიკი, 1912 წ., გვ. X—XI.

⁴ ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ვ. თოფურიას გამოცემა. გვ. 8—10.

ნიშვილი, არამედ დედოფალი, ხელმწიფე, ბ) რად უნდა გაეგზავნა ერეკლე მეფეს თავისი და ანა მონასტერში, თუ, როდესაც მან ეს ამბავი გაიგო, ანას ბესიკი უკვე აღარ უყვარდა, თავიდან მოცილებული და სასახლიდან დათხოვილი ჰყავდა? ანას მონაზვნობა ისტორიულადაც დამტკიცებული არაა და არც ლექსი „შავნი შაშენი“ უნდა გულისხმობდეს მონაზვნებს (მონაზონნი და „არ მოწყენით მომღერალნი, მლიმარნი“? და ვინ იყო მეფის ოჯახში იმ დროს „ორნი ერთი ერთის მიმღევერნი, ტოლნი, შავით მოსილი მოლოზანი ქალი“?); პირიქით, ის წარმოადგენს სიმბოლურ აღწერილობასა და ქებას სატრფოს ორი („მჩობლად მხედნი“) შავის, შავის წამწამებით, როგორც შავი „ხავე“ თუ ხავერდით, მოსილი თვალებისას.

ბატონიშვილი ანა ვერ იქნებოდა საგანი ბესიკის აღზნებული გრძობებისა. ჯერ ერთი, ის ანა, რომელსაც პოეტი ეტრფის, არის არა ბატონიშვილი, არამედ „დედოფალი“, „ხელმწიფე“. მეორე—ანა ბატონიშვილი, დაბადებული არაუგვიანეს 1722 წლისა¹, დაქვრივდა 1772 წელს, როდესაც ის, ამ ანგარიშით, იყო არანაკლებ 50 წლისა, ბესიკი კი ამ დროს იყო 21—22 წლის ყმაწვილი. არაბუნებრივია 21—22 წლის ყმაწვილის გაგიყვებით ტრფიალი 50 წლის ქვრივისადმი. მესამე—ის, ვისაც ბესიკი ეტრფის, არის, მისი ლექსების მიხედვით, ახალგაზრდა ქალი: „კეკელა—მარდი“, „ვარდი, ჯერეთ არ შლილი“ და სხვ. ამნაირად, ანა ბატონიშვილი არ შეიძლება ყოფილიყო ის „ვარდი—ია“, რომელიც აღწერებდა ბესიკის გულის ჩანცს. მაშინაა ეს ანა?

შემდეგში ს. გორგაძემ ასე შეასწორა თავისი შეხედულება: ანა არის იმერეთის დედოფალი, მეუღლე მეფის დავით მეორისა (გამეფდა 1784 წ.), მათე ან მამუკა ორბელიანის ასული, შვილიშვილი იმ ანასი, რომელსაც წინათ ისა და სხვები ბესიკის სატრფოდ ასახელებდნენ. ის დაბადებულია 1765 (მეორე ცნობით 1770²) წელს და, მამის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლეს სასახლეში იზრდებოდა³.

ეს მოსაზრება, როგორც ახსნა ბესიკის იმერეთში განდევნის მიზეზისა, უნდა მოხსნილ იქნას, თუ მოვიგონებთ, რომ 1777 წლის დამდეგს, როდესაც ბესიკი იმერეთში გადადის, ანა ორბელიანი 11 წლის გოგონა იყო (ან, მეორე ანგარიშით, ექვსის). ძნელი დასაჯერებელია სამიჯნურო გრძობები 27 წლის ვაჟაკისა 11—6 წლის გოგონასადმი, უფრო ძნელი, ვიდრე 50 წლის ქვრივისადმი.

ბესიკის ტრფობის საგნად ანა ორბელიანი შეიძლება გამხდარიყო, და გახდა კიდევაც, 1784 წლიდან, როდესაც ის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, როგორც დედოფალი, გადადის იმერეთში და იქ, ძალზე იახლოებს დიდ კარისკაცს და შემდეგში დიპლომატს პოეტ ბესიკს.

¹ ა. იოსელიანი, ცნობრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 11, შენიშვნა.

² „Московский некрополь“, т. 1, 1907 г., № 41.

³ „ქართული მწერლობა“, 1927 წ., II, გვ. 81—84.

გ. ლეონიძეს ეს ანა სავსებით გამოურიცხავს ბესიკის სამიჯნურო რომანიდან¹. რატომ? იმ ლექსს, რომელშიაც ანას სახელია მოხსენიებული, სათაური „დედოფალს ანაზელ“ მხოლოდ ორს, მოგვიანო დროის ხელნაწერში აქვს, ასე რომ ჩვენ არ ვიცით, ვის ეკუთვნის ეს სათაური: პოეტს თუ გადამწერსო (გვ. 235)? თან, ამ ლექსის პირველ ხუთ სტროფში მკვლევარს ამოუკითხავს არა სამიჯნურო გარძობები, არამედ პატარა ანასადმი მეგობრული აღერის (244). ჩვენ უსათაუროლაც შეგვიძლია დავინახოთ, რომ ლექსის საგანია ანა „ხელმწიფე“, ესე იგი დედოფალი. ამ ლექსის გაგება ისე, როგორც ის ესმის ჩვენს მკვლევარს, ძნელია, ამის უფლებას არ იძლევა შემდეგი სიტყვები: „იგია ჩემი ხელმწიფე და ჩემი დამადნობელი“, „ცნობა მიმილო და გული“, „ეკლავ მომკლა მისმან ცილმან“, „ჯობს, რომ არ ჰყავდეს მიჯნური, ან მოკლას ამისთანამან“, „მიმილო ცნობა ჩემმან ხელქმენლმან ლამაზმან ამან“, „ვინც იყოს ხელად, ეტრფე და მოგკლას ამისთანამან“. ვფიქრობთ, ამისთანა სიტყვები და გამოთქმები არ უნდა გულისხმობდეს პატარა ბავშვისადმი აღერსს. ამასთან ერთად ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: მეხუთე სტროფში ნათქვამია: „ითნო სახელი მისმან გჟუნმან ჰაწაწანამან“; „მისმან“, ვისმა? მკვლევარის აზრით, აქ იგულისხმება ანას დედა მათი (244). ასეთი გაგებისას, თუ მთელი სტროფი არა, ეს სიტყვები მაინც ზედმეტ ხორცად აღმოჩნდება მთელი ლექსის აღნაგობაში. არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ 1786—1789 წლებში, როდესაც დაწერილია ეს ლექსი (ყარბობაში), ანა „ჰაწაწანა“ კი არა, 21—24 წლის ქალია. ამ სიტყვებში იგულისხმება არა „ჰაწაწანა“ ანა, არამედ ამისი ვაჟი კონსტანტინე, რომელიც ამ ლექსის დაწერის დროს მართლაც „ჰაწაწანა“ იქნებოდა².

გამორიცხა რა სავსებით ანა ბესიკის სამიჯნურო რომანიდან, გ. ლეონიძემ მისი ტრფობის საგნად აღიარა ანას დედა მათი, ასული ყულარალასის გიორგი ქსნის ფონისთვისა და მეუღლე ერეკლე მეფის დისშვილის მამუკა ორბელიანისა³. ეს მათა, 1764 წელს გათხოვილი, 1770 წელს დაქვრივებული და ამის შემდეგ გაუზიარებია მას ბესიკის გარძობები (გვ. 235—246). რას ემყარება ეს მოსაზრება? ერთი მხრით, იმ შენიშვნას, რომელსაც დავით რექტორი უკეთებს ლექსს „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალეზსა“. მაგრამ ვარიაციული სახე ამ შენიშვნისა [ერთ შემთხვევაში (A 1164) ბესიკის სატრფოდ დასახელებულია „ია“, მეორეში (S 1512)—„ვარდი“] ჩრდილს აყენებს ამ შენიშვნას. მართალია, დავით რექტორი იმასაც ამბობს, რომ „ბესარიონ რომ ვარდს ეძახის, ის ვარდი თავის თავს იას უწოდდაო“ (S 1512), მაგრამ ეს არაა სწორი: ლექსებში „სივდის ბაღს შეველ“, „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალეზსა“, „მიწურ-

¹ „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, გვ. 235—241.

² როდესაც დავითმა ტახტი დაკარგა, 1789 თუ 1792 წელს, ის, კონსტანტინე, საბი წლის ყოფილა (Быткова, II, 284; ბაგრატი ბატონიშვილი, ამალი მოთბობა, თ. ლ. მ. ურის გამოცემა, გვ. 63; მ. ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 36).

³ შეხედულება, რომ მათა შეიძლება ყოფილიყო ბესიკის სატრფო, გამოთქმული სკონდა ა. ბარამიძეს (იხ. ბესიკის თხზულებათა გამოც., შესავალი წერილი, გვ. 048—050)

ვილოზდა ზამთრისა ეამი“, ვარდი სხვაა და ია სხვა, ამაზე სხვებსაც მიუქცევითა ყურადღება, მაგალითად: თეიმურაზ ბატონიშვილს (S 3725).

ამ მოსაზრების მეორე საყრდენი არის იმავე დევით რექტორის შენიშვნა ლექსზე „ჰაერი ცივ-ნამიანი“: „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან მგონია ნათქვამად ყულარადასის ქალს მიაიაზე, სიკვდილის შემდგომად, ჰაზრი იმას ჰგავს. საბრალობელი თავის თავს მიაია-იას ეძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო“. აქ მიაია დასახელებულია ბესარიონის „მეგობრად“, რაც უშუალოდ სატრფოს არ ნიშნავს, ეს ერთი, მეორე: რექტორი კატეგორიულად არ ამბობს, რომ მიაია უთუოდ ყულარადასის გიორგი ერისთვის ქალიაო; ეს ლექსი, მგონია, მიაიაზე ნათქვამიაო, „მგონია“ და არა უშუალოდ. საერთოდ დევით რექტორი თავის შენიშვნებში ბესიკის სატრფოს შესახებ მკვლევარის როლში გამოდის და არა უდავო, ეკვნიუტანელი ფაქტის მცოდნედ და გადმომცემად; ეს საკვირველიც არაა, მიჯნურობა ადამიანის სულის ინტიმური მხარეა, რომელიც შეიძლება მეგობარმაც არ იცოდეს.

მესამე საყრდენი: S 1088 ხელნაწერში ვილაც ანონიმი პოეტი ბესარიონის მიჯნურობის გამო შენიშნავს: „საკვარელთან მულამ ყოფნა კაცსა მეტად გაამწარებს, და მიაას წერის გამო რათ იკვირებენ შენ ამგვარებს?“ (237). ვინაა ეს პოეტი, რამდენად სანდოა მისი შენიშვნა, ვინაა, მის მიერ ნახსენებო მიაია? ამ შენიშვნას ადგილი აქვს XIX საუკუნის ნახევარში გადაწერილ ხელნაწერში; გ. ლეონიძეს სანდოდ არ მიაჩნია ის, როდესაც იმაში მოთავსებული ლექსის „დედოფალს ანაზე“ სათაურის შესახებ ლაპარაკობს. თუ ის სანდო არაა საზოგადოდ, არც იმ ნაწილში უნდა იყოს ნდობის ღირსი, რომელიც მიაას ეხება. ნაძალადევი იქნებოდა იმისი მტკიცება, რომ ლექსი არაა სამიჯნურო ხასიათისა. ბესიკი არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ XI—XII საუკუნეთა რაინდად, რომელსაც, პატრონყმური კოდექსის თანახმად, თავისი პატრონი სილამაზისა და სიკეთის იდეალად წარმოუსახავს და თავისი თავი მოჩვენებით მის გახელებულ მიჯნურად წარმოუდგენია. ამას პოეტს ვერ დავწამებთ, რადგანაც მისი სამიჯნურო ლექსები ნამდვილი წრფელი ღირიზმითა და გრძნობითაა აღბეჭდილი. არაა სავარაუდებელი არც სამიჯნურობის არსებობა, რომ ასეთი, დედოფლის თავისმომპყრელი და მეფის სახელის შემრცხვენილი, ლექსის დაწერის შემდეგ ბესიკის იმერეთში აღარ ედგომებოდა, ჯერ ერთი, იმერტომ, რომ ლექსი დაწერილია მაშინ, როდესაც პოეტი ანასაგან შორსაა (ყარიზობაში), მაშასადამე, არა იმერეთში, არამედ რუსეთში; მეორე—ბესიკი არც ისე გულუბრყვილო იყო, რომ ლექსი მას მაშინვე გამოემხეურებია და საკვეყნო საკითხავად გაეხადა. ყველა ამის შემდეგ, თუ ჩვენ იმ მოსაზრებისაც გავიზიარებთ, რომ ბესიკის ტრფობის საგანი იყო ანა დედოფლის დედა მიაია, შემდეგ დასკვნამდე მივალთ: ბესიკის სამიჯნურო რომანი ჯერ დედასთან (მიაია) ჰქონდა, მერე კი შეიღთან (ანა). რა საზომითაც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი პოეტი ქალებით გატაცებული, ასეთ რამეს მას ვერ დავწამებთ. თან დედისადმი სიყვარულის გამო თბილისიდან სკანდალით გაძევებულ ადამიანს შეილი—ანა დედოფალი, ისე გულგაშლილად ვერ მიიღებდა იმერეთში და იმგვარი ნდობითა და თანამდებობით ვერ აღქურავდა, როგორც

ბესიკი ანას კარზე სარკვებლობდა. ერთი სიტყვით, ყულარაღასის ქალის მიახლოებით ბესიკის სამიჯნურო რომანში დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება, მიახლოება იქნებოდა მიზეზი ბესიკის იმერეთში განდევნისა, მით უმეტეს, რომ „სევდის ბაღს შეველ“, „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალეებსა“ და ამათი ციკლის მთელი რიგი ლექსები დაწერილია არა თბილისში, არამედ მის გარეთ, „ყარბობაში“. აქ ერთი გარემოებაც მისაღებია მხედველობაში: დავით რექტორი უნდა ცდებოდეს, როდესაც ჰიპოთეზის სახით გვამცნობს, რომ ლექსი „ჰაერი ციენამიანი“ დაწერილი უნდა იყოს მაშინ, როდესაც ბესიკმა მიახლოება გარდაცვალების ამბავი გაიგო. ლექსში არ შეიძლება გარდაცვლილი ადამიანი ვივარაუდოთ. ჯერ ერთი, პოეტს „მოლოდნა აქვს“ ამ ადამიანისა, ესე იგი, მას მოლოდინი აქვს მისი შეხვედრისა, შეიძლება გარდაცვლილ ადამიანთან შეხვედრის მოლოდინი? მეორე—პოეტი ამბობს, რომ მან ნახა „თვალცრემლიანი“ ია; მკვდარი და თვალცრემლიანი?

ამრიგად, რომანული თავგადასავალი ვერ ჩაითვლება ბესიკის თბილისიდან განდევნის მიზეზად.

ბესიკის იმერეთში განდევნის მიზეზად ზოგიერთები ასახელებენ ერეკლეს საწინააღმდეგო პოლიტიკურ დაჯგუფებაში მის მონაწილეობას. არ შეიძლება, რასაკვირველია, იმის თქმა, რომ ბესიკი არ გრძნობდა და არ განიცდიდა ერეკლეს მიერ მიყენებულ ჭრილობას,—მისი ნშობლების ოჯახის გაუბედურებას,—მაგრამ ძნელია იმის მტკიცება, რომ ამ მოტივით ის მონაწილეობას იღებდა მეფის წინააღმდეგ გაჩაღებულ ინტრიგებში. მეფისადმი პოეტის არალოიალობის დასამტკიცებლად არ გამოდგება თხზულება „ასპინძისათვის“, რომელშიაც თითქოს ერეკლეს ღვაწლი შეგნებულად მიჩქმალულია. ჯერ ერთი, ერეკლე არაა აქ მიჩქმალული, პირიქით, პოეტი არ მალავს, რომ „თვით მეფე ომის ხალისით ხლდებოდა“ (3), მას გული სტკივა, რომ „ცილი დასდევს რუსთა მეფეს“ (4), ის სიამაყის გრძნობით აღნიშნავს, რომ „მოულოცავდენ მეფესა“ (16) გამარჯვებასო. მეორე: „ასპინძისათვის“ თავისებური ოდაა, დავით სარდლისადმი მიძღვნილი, მას თავისი მიზნობრივი დანიშნულება აქვს და ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ იმაში სხვაზე მეტად, თუგინდ მეფეზედაც, ეს სახელოვანი სარდალია შექტებული. მესამე: თუ, მიუხედავად ყველა ამისა, ამ ოდაში მაინც დავინახავთ ერეკლეს ღვაწლის მიჩქმალვას, არ უნდა დავივიწყოთ არც ის გარემოება, რომ ოდა დაწერილია მაშინ, როდესაც ბესიკი უკვე განდევნილია თბილისიდან. ერეკლეს პიროვნება არცთუ „სამძიმარშია“ მიჩქმალული და იგნორირებული. ამ ლექსს პოეტი ოწყებს სამგლოვიარო მაგალითებით ბიბლიიდან, როგორცაა ადამისა და თევის შეცოდება, მათი გამოძევება სამოთხიდან, აბელის სიკვდილი. მესამე სიტროფში ის იგონებს აბელის სიკვდილის გამო მისი მამის, ადამის, „ტყუბას“, ტირილს, გლოვას, და მეოთხეში მკითხველებს მიმართავს: „მსგავსსა ვიგლოვდეთ, მსგავსსავე მამას ვსთხოვდეთ... ლეონს უთხოვდეთო“, ესე იგი ჩვენც, ადამის მსგავსად, ვიგლოვდეთ ლეონის სიკვდილს და მის „მამას“, იგულისხმება ერეკლე, ვთხოვდეთ დაშვიდებასა და ნუგეშისცემასო. ელეგიაში „ცრემლ-

თა ისარნი“, რომელიც დაწერილი უნდა იყოს იმერეთში გადასახლების უმაღლესი პოეტის ასეთი სიტყვებით მიმართავს ერეკლეს:

ხელწიფე, გული ცეცხლდავული, სულით გამყოფით.
ქირსაშცა თქვენსა, თუ ვალხენსა, მოახმარებით!
სხეამცა პატრინი ანუ დრონი ვერღა დავსაბეთ.

ეს სიტყვები უფრო იმ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ ბესიკი ერეკლეს არ თვლის თავისი საეკლესიო მდგომარეობის უშუალო მიზეზად. ძნელი დასაჯერებელია, ამგვარი სიტყვებით მიემართა ამაყ ბესიკს მისი გამაუბედურებელი მეფისათვის, თუ ის მართლა მისი გამაუბედურებელი იყო. მართალია, გარკვეული დროიდან პოეტის მოქმედება ერეკლეს წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ ეს არის მოქმედება ქართლის მოქიშპე იმერეთის სამეფოს წარმომადგენლის, დიპლომატ ბესარიონისა და არა ერეკლეს სასახლეში გაზრდილი ბესიკისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბესიკის იმერეთში გადასახლება მოწყობილი იყო უმთავრესად ანტონ კათოლიკოსის მიერ, რომელიც, როგორც ცნობილია, მტრულ განწყობილებაში იყო პოეტის მამა ზაქარიასთან. ასეა ეს ფაქტი გაშუქებული ბატონიშვილების დავითისა და ბაგრატის „ისტორიაში“: „გახაზვილი ბესარიონ იმყოფებოდა ექსორია ქმნილი მამითურთ თვისით იმერეთს ანტონის გამო კათოლიკოზისა“¹. ამას ისიც ერთოდა, რომ ბესიკი იმდენად უარყოფითად იყო განწყობილი ბერ-მონაზვნების მიმართ, რომ ისინი მას თურმე „ანტექრისტეს“ უწოდებდნენ და ქრისტეს სთხოვდნენ „დაგვიხსენი ამისგანო“. და აი „ქრისტეს მოადგილემ“ ამქვეყნად, ანტონიმ, „იხსნა“ ისინი ბესიკისაგან მისი მოშორებით და იმერეთში გადასახლებით. თუ შეიძლება ერეკლე მეორეს რაიმე ბრალი დაედოს ბესიკის განდევნის ისტორიაში, მხოლოდ ის, რომ მან არ გამოიყენა თავისი ავტორიტეტი და ძალაუფლება და წინ არ აღუდგა შურისმაძიებელი კათოლიკოსის სურვილებს.

იმერეთში, სოლომონ მეფის კარზე, ბესიკი, როგორც ნიჭიერი და განათლებული კაცი, საპატიო ადგილს იკერს და რამდენიმე ხნის შემდეგ დიპლომატიურ მოღვაწეობას იწყებს. 1778 წელს სოლომონი მას საიდუმლოდ სპარსეთში გზავნის, ხოლო სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, როგორც დავით მეორის მდივანი, ის ხელთ იგდებს სუსტი ნებისყოფის მეფეს და, მასთან ერთად, მისი მეუღლის ანა დედოფლის მეოხებით, რომელიც პოეტმა „მიჯნურთ ბადეში“ გახვია, მთელი სახელმწიფოს ფაქტიურ მართვა-გამგებლობას. დავით მეფის მიერ ბესიკი ინიშნება მეთაურად იმ მისიისა, რომელიც 1787—1791 წლებში მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთთან. 1787 წლის სექტემბერში ის ჩადის ქ. კრემენჩუგში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა გენერალი პოტიომკინი, რომლის ხელში იყო მისდამი მინდობილი საქმის მსვლელობა. კრემენჩუგიდან ის გადადის კიშინიოვში (1789 წ. 14 ოქტომბრის წერილი), ხოლო იქედან მიჰყვება პოტიომკინის ბანაკს ქ. იასაში, სადაც 1791 წლის 24

1 მ. ჯანაშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 26.

იანეარს, როგორც ახლა საბოლოოდაა დადგენილი¹, მოულოდნელად გარდა იცვალა და დასაფლავებულ იქნა ადგილობრივ საკრებულო ტაძარში.

ასეთია მოკლედ ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრების მთავარი ეტაპები, რომლებმაც განსაზღვრეს და ჩამოაყალიბეს მისი პოეზიის ხასიათი და მიმართულება. ცნობილია ბესიკის თხზულებათა კრებულის სამი გამოცემა: ზ. კიკინაძის (1885 წ.), ს. გორგაძის (1912 წ.), ა. ბარამიძისა და ვ. თოფურიასი (1932 წ., ესარგებლობთ უკანასკნელი გამოცემით)².

ნაირ-ნაირია ბესიკის შემოქმედების უანრობლივი მოცულობა; მის ნაწარმოებთა შორის ჩვენ გვაქვს მსუბუქი, მოკლე ლირიკული ლექსები, ოდა, ელეგია, სატირა, ეპისტოლენი, იამბიკო, ზმა და ანბანთქება. მსუბუქი, მოკლე ლექსი, რომელიც მეტიდმეტე საუკუნიდან თანდათან იკაფავს გზას, ბესიკის შემოქმედებაში საბოლოო ბატონობას პოულობს და თითქმის გამოდევნის ეპიკური ეპოსის ნაწარმოებების ფართოდ გაშლილ ტილოს.

ყველაზე მეტად და მძლავრად ბესიკის პოეზიაში წარმოდგენილია სატრფიალო-სამიჯნურო ლექსები. ეს ლექსები შთაგონებული უნდა იყოს უმეტეს შემთხვევაში, როგორც ვთქვით, ანა დედოფლის მიერ. ასეთი ლექსების ერთი რიგი შეიცავს სატრფოს სიკეკლუცე-სილამაზის ალტყინებულ აღწერასა და ქებას, მეორე რიგი—თავის გამართლებას მის წინაშე და ვაებას, რომ მან პოეტი, მისი მალმერთებელი, თავიდან მოიშორა და ახლოს აღარ იკარებს იმიტომ, რომ მან ეითომცდა უღალატა მას. მესამე კიდევ—გულამოსკენილი მოთქმაა სატრფოსაგან დაშორების გამო ავტორის უცხოეთში ყოფნისაყ.

სიყვარულის გრძნობას პოეტი ღიღი სიმძლავრით განიცდის. სიყვარული, მისი შეხედულებით, ცეცხლია მწველი, მიმზიდველი მაგნიტი, ის მთლად იმორჩილებს ადამიანს, მის სულსა და გულს, მთელ მის არსებას. ბესიკის სატრფიალო ლექსებში შეინიშნება თეიმურაზ პირველის მეშვეილრობა—ვარდ-ბულბულიანური პოეზიის პანგები და სახეები. მართლაც, ვარდი სატრფოა, ბულბული—პოეტი, რომელსაც უნდა მუდამ ბალში ახლდეს სატრფოს. მაგრამ მის სურვილს აქ წინ ელობება, ერთი მხრით, გულცივობა შეუბრალებელი მებალისა, რომელიც მას ნებას არ აძლევს ბალში შევიდეს, მეორე მხრით—ჯიუტობა თვით ვარდისა, რომელიც ახლოს არ იკარებს მას. შეყვარებული პოეტი იღვევა ისე, როგორც ბულბული და ფარვანა, ის მზადაა, ბულბულის მსგავსად, დაკმაყოფილდეს სატრფოს შორიდან ქვრეტით. „ალირსე შენი ხილვა შენსა მზირებსაო“,—სთხოვს ის ვარდს. მეორე შემთხვევაში ის მზადაა დამწვარი ფარვანას დაემსგავსოს და სატრფოს ემუდარება: „დამწვარი მაინც შემიბრალო“. ამ ნაცნობ სახეს ბესიკმა თავისებური მოტივაცია გაუკეთა: თუ

¹ ა. ბარამიძე, ბესიკის გარშემო (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 151—153; მისივე, ბესიკი, „ლიტერატურული საქართველო“, 20. I. 39; „ნარკვევები“, II, გვ. 422—430.

² ჯერ საბოლოოდ გარკვეული არაა ბესიკის კრებულის ნამდვილი შედგენილობა (იხ. წერილები ა. ბარამიძისა და მ. ხელთუბნელისა: „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ., № 24, 26-ზრდ. ზ. ლეონიძე, „ძიებანი“, გვ. 25მ, შენიშვნა. ბესიკის ლექსი „სევდის ბაღს შეველ შენდღობები“ თარგმნილია ფრანგულად მ. ბროსის მიერ (იხ. „Discours...“, p. 35—37).

ტრადიციული „ვარდი“ და „შამი“ გულგრილობას იჩენენ ბულბულისა და ფარვანას მიმართ, ეს მათ მოსდით ზვიადობით, ამპარტაევობით ბულბულსა და ფარვანას არ თვლიან შესაფერის მიჯნურად. ბესიკთან კი ასეთი თხოქოს-და გულქვაობა აიხსნება შურისძიებით, პოეტმა უღალატა სატრფოს, სხვას გაყვა, და ამიტომ აღარ იახლოებს მას.

მომხიბლავია ბესიკის მიერ დახატული სატრფოს სურათი. მართალია, აქ სურათის დახატვისას მას უხვად აქვს გამოყენებული კლასიკური პოეზიის პოეტურ-მეტაფორული აქსესუარი, როგორც, მაგალითად: მიღეული მთვარე, მზისა დარი, ბროლის ველი, ბროლის ცა, ნაწნავეები=გველები, ცრემლთა ფონი, მელნის ტბა, ჰინდოთა ლაშქარი, წამწამები=ისარი, დაზიდული მშვილ-ლი, გონებისა და ცნობის მიღება, მიჯნური და ცეცხლის ალი, ძვირფასი ქვების, ყვავილთა და მნათობთა მოხმობა და სხვა მრავალი ამისი მსგავსი, — ყველაფერი ეს წარსულიდან მიღებული მემკვიდრეობაა, მაგრამ ეს ცნობილი პოეტური საშუალებები ისეა გააზრებული, ისე მოხერხებულადაა შეზავებული სატრფიალო-სამიჯნურო განცდებთან, რომ თამამად შეიძლება ითქვას, რუსთაველის შემდეგ, ისე მძაფრად, უშუალოდ, ღრმად და შთაგონებულად არავის გამოუვლინებია სიყვარულის გრძნობა, როგორც ეს მოახერხა ბესიკმა. ბესიკი ამ მხრივ ყველაზე მეტად უახლოვდება რუსთაველს, რომელმაც ტონი მისცა მას სიყვარულის სიმღერაში. მართლაც, მოვიგონოთ, ერთი მხრით, რუსთაველის სიტყვები:

ვის მოჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი,
დაუძღვლური, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არა,
ანუ მომცეს განჯურნება, ანუ მიწა, მე საშარი.

მეორე მხრით, ყური დაეუგდოთ ბესიკს:

მკედარი ბესიკი, მოდი, მნახე, ჩამოღვი სული,
თუგინდ მიწასაც მიმბარე მოყვრის ენითა.
მკედარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ საშარეს!

ან წამალი და კურნება, ანდა მიწა-საშარე, ასეთია გზა მწვავე სამიჯნურო გრძნობისა რუსთაველიდან ბესიკამდე.

რამდენადაც ღრმა და მწვავეა სიყვარულის განცდა ბესიკთან, იმდენად ღრმა და უსაზღვროა ის სევდა და კაეშანი, რომელიც თან სდევს მის პოეზიას. ეს აიხსნება, პირველ ყოვლისა, იმით, რომ პოეტის გრძნობა დაუქმავოფილებელია. მაგრამ ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ელეგიური ტონით დაწერილია არა მარტო სატრფიალო-სამიჯნურო ლექსები. ეს ტონი განსაკუთრებით გვესმის იმ ლექსებში, რომელნიც ბესიკს დაუწერია „ყარიბობაში“, უცხოეთში. საყვარელ სამშობლოსა და გულითად მეგობრებსა და ტოლ-ამხანაგებს მოშორებული, სატრფოსაგან გადაკარგული, ის მწარედ, უნუგეშოდ ტირის, წყველის თავის თავს, თავის ბედს და ამ უკულმართ, მუხთალ საწუთროს, რომელმაც ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა ის. მისი სევდა იქამდე მიდის, რომ მას შემდეგ მწარე სიტყვებს წარმოათქმევინებს:

ბესიკი სიკვილის არ ვემალება,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები.

არ იქნებოდა სწორი, თუ ვითიქრებდით, რომ ბესიკის სეგდა-კაეშანი გამო-
წვეულია მხოლოდ სატრფიალო განწყობილებით და მისი პირადი ცხოვრების
პერიპეტეიებით. პოეტი მწვავედ განიცდის თავისი ღრრის სოციალურ ტკივი-
ლებსაც. ის ხედავს ცხოვრების სიდუხუპირეს, გრძნობს მის შმორს და ებრძვის
მას. ის მზადაა თავი გაუქვლიტოს „ენით მკვლელ გველს“, რომელიც თავისი
სისინით შხამავდა პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ბესიკის
გზა არ იყო მარტო სიყვარულის ვარდით მოფენილი და ღვინის შადრევნით
მორწყული. „რაც მიიწერა სოფელმან, ველარ დაეთვალე ამრითა, მისი სიმწა-
რე ყოველი გულს გარდამრთხმინ კამრითა“,—ამბობს ის. „სოფლის ბრქალ-
მან, ვით გრიგალმან, ჩემსა ბედსა უსწორა კილო“, ბედო, „ვინ გეტრფის,
ის სტირსა, ნატვრა აქვს მას სიკვილისა“,—შენიშნავს მეორე შემთხვევაში.
„ვარ უტვხო ვინმე ყარობი, ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი“,—
ქატეგორიულად აცხადებს ის. ეს ყველაფერი არაა უბრალო, უშინაარსო
დეკლარაცია, ამონაკენის გრძნობადაუკმაყოფილებელი შეყვარებული პოეტისა.
კაცი, რომელიც ხედავდა თავისი ქვეყნის სოციალურსა და პოლიტიკურ
რღვევას, რომელიც, ამიტომ იძულებული იყო მისთვის საიმედო მზრუნველი
ეძებნა ხან სპარსეთში, ხან რუსეთში, სხვას ვერას იტყოდა თუ არა:

ჰი სოფელო, პირდაყოფელო!
ჰი ღრკუო, ცრუო! ჰი მრუდო, ცუდო!
ჰი შენსა პირსა ვინ ეტრფის, ტირსა!
ჰაი, ჰაი, გიციან, ჰი ეშმაკო ზღუდო!

პოეტი მგრძნობიარედ მღერის ღეგრესიის გზაზე შემდგარი ფეოდალური კლასის
უკანასკნელს, გედის სიმღერას. ტყუილად შეპზარის სამშობლო ქვეყნის
გმირებს, რომელთა დანახვა „თვალთა ცრემლებს ჰრევს“; ტყუილად ქადაგებს:
„კარგისა პატრონისა წინაშე ამოა ყმისა სიკვილი“, „სჯულისა მეფისათვის
სისხლთა დენას ნუ იკმარებთ“,—მას ვერ უშეიღის ვერც „ყოველდღმოდის ქება“,
ყველაფერი გათავებულია, შორეულ ჩრდილოეთში პოტიომკინის ბანაკში პოეტი
იძულებულია ახალი გზები ეძებოს სამშობლოს გადასარჩენად; ეს გზა არის
გზა რუს ხალხთან დაახლოებისა და მასთან ერთად ბრძოლისა; ამ დაახლოე-
ბასა და კავშირს თავისი მოღვაწეობით ის დიდად უწყობდა ხელს.

სოციალური და პოლიტიკური ტკივილები, რომელთაც პოეტი განიცდის,
მისი პატრიოტიზმის მაჩვენებელია; მას გული სტკივა მშობლიური ქვეყნის
არევა-აწეწვისათვის იმიტომ, რომ უყვარს ეს ქვეყანა. მართლაც, ის აღტყინე-
ბული ტონი, რომლითაც უცხოეთში მყოფი პოეტი იგონებს თავის ტოლ-
ამხანაგებსა და იმ ადგილებს, სადაც ის იზრდებოდა და სადაც სიყრმე-ქა-
ბუკობა გაუტარებია, ნამდვილი გამოტირების ტონია. ამ მხრივ განსაკუთრე-
ბით გამოირჩევა „ცრემლთა ისარნი“. დამახასიათებელია ამ შემთხვევაში
აგრეთვე მისი „ასპინძისათვის“ და „რუხის ბრძოლა“, რომლებშიაც პოეტი
სიამაყის გრძნობით ავკვიწებს ქართლ-კახელთა და იმერ-მეგრელთა სიამაყეს

და მტერზე გამარჯვებას. „დღეს დაცემა იქმნა ქედმაღალთა მათ უცხოთესლ-თა აგაროვანთა და აღდგა პირი დაერდომილი ჩვენ ქრისტიანეთა“, — სიხარულით მიმართავს პოეტი სოლომონ მეფეს („რუხის ბრძოლა“).

ბესიკი ცნობილი ყოფილა თავის დროს როგორც მახვილი ენითა და სატირული ნიჭით დაჯილდოებული კაცი. ამისი მაჩვენებელია მისგან დარჩენილი სახუმარო-იუმორისტული ლექსები. ბესიკის იუმორისტულ-სატირულ ნიქს ასაზრდოებდა იმდროინდელი საზოგადოებრიობა. ბესიკი ცხოვრობდა იმ ეპოქაში, როდესაც „მფრინავი სიტყვის, მსუბუქი ეპიგრამების, კალამბურისა და ანეგდოტების, კიცხვითი შესხმის და საციხელი შაირის კულტი ყვაოდა“ (გ. ლეონიძე). ზოგ შემთხვევაში ბესიკის სატირა პირადი ანგარიშებითაა გამოწვეული. ასეთია, მაგალითად, სატირა მზექაბუჯ ორბელიანზე, რომელიც იყო „კაცი შესახედავად მსგავსი ეზოპესი და ძველთა ფილოსოფოსთა ზედმიწევნით, ღვთისმეტყველებასა შინა გამოცდილი და პაექრობასა შინა მარჯვე, აგრეთვე ხუმარ-სიტყვაობასა შინაც მარჯვე და პასუხსა უცხოდ მიმგები; მესტიხეობასა შინაც ქებული და მსაჯულისა საქმეთაცა შინა გამოცდილი“¹. მზექაბუჯის გარეგნობა მისი სულიერი თვისებების სრული კონტრასტი იყო: ფიზიკურად ის ნამდვილად მახინჯი იყო, ეს თანამედროვეთა შორის დაცინვას იწვევდა. სხვათა შორის, გესლიანი სატირა დაუწერია იმაზე ცნობილ აშულს საჯათნოვასაც². აი ამ სიმახინჯეს გამოუწვევია ბესიკის პირველი სატირა (გვ. 82), ხოლო მეორე, „ანბანთქებად“ დაწერილი (გვ. 80—81)—მზექაბუჯის არანაკლებ გესლიანსა და სალანძღავ საპასუხო სატირას, „ანბანთქებადვე“ დაწერილს³. რამდენადაც ეს სატირა პირადი ხასიათისაა, იმდენად საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა სატირული პოემა „რძალდედამთილიანი“ (გვ. 48—61), რომელშიაც გაკიცხულია და სასაცილოდ აღებული არანორმალური ურთიერთობა რძალსა და დედამთილს შორის. აქ ტიპობრივი მოვლენაა წარმოდგენილი, რაც, ფეოდალურ-მეშახნური ცხოვრების პირობებში, ამ ნაწარმოებს წარუვალ, მარადიულ ხასიათსა და მნიშვნელობას ანიჭებდა.

ბედმა ბესიკს არგუნა ცხოვრება ისეთ ღირსშესანიშნავ ეპოქაში, როგორიც იყო ერეკლე მეორის მეფობა, და სიახლოვე ისეთ პირობებთან, რომელნიც იყვნენ ამ ეპოქის ამებების მონაწილენი. აღტაცებულ გრძნობას, ამ ეპოქითა და პიროვნებებით გამოუწვეულს, უნებლიეთ ამოუხეტია ბესიკის გულიდან და მთელი რიგი საყურადღებო ოდები მოუცია. ასეთებია: „ასპინძისათვის“ (გვ. 25—28) და „რუხის ბრძოლა“ (გვ. 28—37), რომლებშიც აღწერილია და შექმნილი ორი ღირსშესანიშნავი ბრძოლა ქართველებისა და მათი მთავარი გმირები. კერძოდ, ბესიკის ოდების სავნად გამხდარა ერეკლე მეფის სარდალი და სიძე დავით ორბელიანი, „ყარამანიანის“ მთარგმნელი (ამით აიხსნება, რომ ბესიკი ერთ ადგილას მას უწოდებს „ყა-

¹ „კალმასობა“, II, გვ. 203.

² S 3723, გვ. 84; E. Такайшвили, Описание, II, გვ. 322; ი. ჭრიშაშვილი, საჯათნოვა, გვ. 61.

³ E. Такайшвили, Описание, II, გვ. 452—453.

რამან—დავითს“, გვ. 66). დავითისათვის ბესიკს უძღვნია სამი ოდა: „მნათობთადმი“, „რაც მიიწერა სოფელმან“, „ცრემლთა მდინარე“. ამ ოდებში პოეტი აგვიწერს თავისი მეგობრის სიქველეს, მამაცობასა და გვირობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოდაში „ასპინძისათვის“ პოეტი გულთბილად ახსენებს ერეკლე მეფესაც.

საყურადღებოა ბესიკის პოეზია სალექსო ზომათა მრავალგვარობით. ბესიკი ხმარობს: 1) ოცმარცვლიან ჩაბრუნულ ლექსს, რომელშიაც სტრიქონის პირველი ხუთი მარცვლი ერითმება იმავე სტრიქონის მეორე ხუთ მარცვალს, ხოლო დანარჩენი ათი მარცვლი შემდეგ სტრიქონთა ათ მარცვალს, ანდა სტრიქონების შინაგანი რითმები ტაქტში იძლევა შემდეგ კომბინაციას: 5—5, 7—7, 8—8; 2) ცხრამეტმარცვლიანს, რომელშიაც თითოეული სტრიქონის პირველი ხუთი მარცვლი ერითმება იმავე სტრიქონის შემდეგ ოთხ მარცვალს, ხოლო ტაქტის ყველა სტრიქონში მოცემულია რითმების კომბინაცია დანარჩენი 10—14 და 15—19 მარცვლებისა; 3) თექვსმეტმარცვლიან რუსთველურს (გვ. 156 და სხვ.); 4) თხუთმეტმარცვლიანს, რომელშიაც ხანდახან შინაგან რითმათა შემდეგი კომბინაცია გვაქვს 10—10, 5—5; 5) თოთხმეტმარცვლიანს; 6) თორმეტმარცვლიანს; ერთ შემთხვევაში (გვ. 189) ჩვენ გვხვდება ძველი ეკლესიური 12-მარცვლიანი იამბიკო მხოლოდ რითმოვანი. ამით გარდა, მას აქვს აგრეთვე 11, 10, 8, 7-მარცვლიანი ლექსები; წინა დროის მელექსებთან შედარებით, მას ახლად შემოუღია 19-მარცვლიანი ლექსი.

ამა თუ იმ საზომის ლექსისათვის ბესიკს მიუცია საგანგებო, ტექნიკური არაბულ-სპარსულ-თურქული სახელწოდება, რომელიც ლიტერატურაში შემოტანილია პირველად საჯათნოვას მიერ. აი ეს სახელწოდებანი და მათი ახსნა-განმარტებანი, რომელნიც დავით რექტორს ეკუთვნის: 1) ბაიათი—8 შაირად არის და 1 შაირი 4 ტაქტი არის, ხოლო ტაქტში 7 მარცვლი; 2) ყაფია—4 შაირი არის; თითო შაირი 4 ტაქტი და თითო ტაქტი 11 მარცვლი; 3) მუსტაზადი, resp. მუსტაფაზადი, თქმული 5 შაირად, შაირი 5 ტაქტი, ტაქტი 14 მარცვლი; მუსტაზადი—გრძელი რვა ხმად განწყობილი; 4) თახმისი—ქართულს შაირებრ 16-მარცვლოვანია, ერთი შაირი 5 ტაქტია და ხუთ-ხუთეული იქმნება, რომელ არს 15 ტაქტი; თახმისი, რომელ არს 5 სტრიქონისანი; 5) მუხამბაზი—5 შაირად, თითო შაირი 9 ტაქტია, თითო ტაქტი 10 მარცვლი; მუხამბაზი ქართულებრ ითქმის ხუთმარცვლოვანი; 6) თეჯლისი—11-მარცვლოვანი.

ზოგიერთი ლექსი ბესიკს დაუწერია ეგრეთ წოდებული იამბიკოს სახით, 16-მარცვლიანი ღარიბი რითმით, რომელიც შემოუღია ვინმე ფილიპეს და გაუმეორებია შემდეგ არჩილ მეფეს. უხმარია მას აგრეთვე მეთვრამეტე საუკუნეში შემოღებული ზმაც, მაგალითად—მირიანზე (გვ. 77), განსაკუთრებით საყურადღებოა ზმები ნარდსა და ქადრაკზე (გვ. 88), რომლებშიაც მას იმდენად გაუმეორებია თეიმურაზ მეორის ამავე სახელის ზმები, რომ ზოგიერთი ხელნაწერი მათ თეიმურაზს მიაწერს. ბესიკს გამოუყენებია თავის ლექსში შემდეგი ტიპის „ანბანთქებანი“: 1) სტროფში ამოწურულია მთელი

ანბანი: 1) — ზ-მდე, — პირველი სიტყვა იწყება ა-ნით, მეორე — ბ-ანით და ასე ბოლომდე (გვ. 76—77). ამგვარ ანბანთქებას ხმარობდნენ თეიმურაზ I, არჩილ მეფე, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი და სხვ.; 2) პირველი სტრიქონის ყველა სიტყვა იწყება ა-ნით, მეორესი — ბ-ანით, მესამესი — გ-ანით და მეოთხესი — დ-ონით (გვ. 75—76, 80—81). ეს ფორმა უხმარია ვახტანგ ყაფლანიშვილ-ორბელიანს ბესიკამდე; 3) ლექსი შედგება 20 სტრიქონისაგან, რომელთაგან თითოეულში გამოყენებულია ორი ასო, ერთით იწყება სტრიქონის პირველი 8 მარცვალი, მეორით — მეორე 8 მარცვალი (გვ. 87—88). ამ შემთხვევაშიაც ბესიკი მის წინა დროის პოეტებს ბაძავს¹; 4) პირველ სტროფში თითოეული სტრიქონი იწყება ა-ნით, მეორეში — ბ-ანით, მესამეში — გ-ანით და ასე ბოლომდე (გვ. 71—75). ეს ორიგინალური ანბანთქებაა, რომელსაც ეწოდება: „ან ზე სით მოხვალ?“ გეგმა ამგვარი ანბანთქებისა ასე აქვს გამოთქმული მაია გაბაშვილს თავისი „ანბანთქების“ წინასიტყვაობაში:

აჲ ესე შინდა ანბანის გამოცანა ვთქვა ენითა,
ვის ეძინებ ანუ სით წაულ, სახელად რა გვიხმენითა,
მშვილდი რისა გვაქვს, ისარი ან რისა იხმარენითა,
ნადირს რას მოკლავთ, რაში ჰკრავთ, ქვევითად სდევთ თუ ცხენთა?

ასეთი ანბანთქებანი უმთავრესად იმ მხრივ წარმოადგენენ ინტერესს, რომ გვაჩვენებენ, რამდენად შესწევდათ მათ ავტორებს გეოგრაფიის, ისტორია-მითოლოგიის, ზოოლოგიისა და ბოტანიკის ცოდნა. ამგვარი ანბანთქებანი, ბესარიონის გარდა, სხვებსაც უწერიათ, მაგალითად, ჩვენამდე შენახულია: 1. „ანზე ვისი ყმა ხარ, ლექსად თქმული“ დიმიტრი ორბელიანის მიერ, რომელიც იწყება ასე:

ანის ქალაქით წამოველ ალავერდისკენ რეხული,
არჩილის მოყმე აეთანდოლ, ცეცხლი მისგან მაქვს ესებული,
ალუჩის მშვილდი ხელთა მაქვს, არყის ისარი წებული,
მომფრინეველს ალალს აფსკას ვკრავ, მაშინ ექნებოი ქებული².

2. „გამოცანა ანბანზე“, მაია გაბაშვილის, ზაზას ასულის მიერ „სიყრმისა ეამსა წარმოთქმული“, რომლის წინასიტყვაობა ზემოთ მოვიყვანეთ, იწყება ასე:

ალმასხანის მოყმე ვარ, ანდრია მეწოდებისა,
ანდრით წამოსული ვარ, ალვის მავალი ნებისა,
ალუჩის შვილდი ხელთა მაქვს, ატმის ისარი ეწმისა,
ალალს ვკარ, ასო მოეტეხე იგი უმაღვე ვლებიხა³.

ბესიკის „ანბანთქება“ ამათი წაბაძვავა, როგორც დასაწყისიდანაც ჩანს:

¹ Е. Такашвили, Описание, II, гв. 237, 6, ж; შტრ. თეიმურაზ I-ის „ანო ალვისა, ბანო ბროლ-ვარდი“.

² S 1512, გვ. 503—510; S 3704, გვ. 167—171; „Описание“, II, гв. 234, 258.

³ S 1582, გვ. 2—10; „Описание“, II, гв. 242.

ათინად ბრძენთა გაზრდილი, აზიად ვგზავრობ არესა,
პირიბარს ვეყმე აეთანდილ, ამო და ლობიარესა,
პლუისა მშვილდი შემშვენდა, ისრად არუისა მხმარესა,
არწივს ატესკასა შევუგენ, ჰაირ მოფრინვა—ვემარესა. (გვ. 71).

ბესიკისათვის შემდეგ თავის მხრივ მიუბაძნია იოანე ბატონიშვილის ძეს გრიგოლს, რომელსაც დაუწერია: „ანბანთქება, ეისი ყმა ხარ, ან სად მიხვალ, ან მშვილდი რისა გაქვს, ან რას მოჰკლავ“: „ათინას ბრძნულად გაზრდილი, ანგლიად ვლიდი არესა“¹.

რაც შეეხება ბესიკის ენას, მას ახასიათებს, ერთი მხრით, წმინდა ქართული სიტყვის ამოუწურავი მარაგი, მეორე მხრით—ბარბარიზმები. ერთი მხრით, ბუნებრივი ხალხური სტილი, მეორე მხრით—ენაწყლიანი, ზვიადი, არქაისტულ-რიტორიკული, ანტონისებური საეკლესიო „მალალი შტილი“, რომელიც თავს იჩენს ხოლმე განსაკუთრებით მის პროზაულ ნაწერსა და ეპისტოლარული ხასიათის ლექსებში.

ბესიკი, როგორც პოეტი, თანამედროვეთაგან დიდად დაფასებული და მიჩნეული იყო, მას უწოდებდნენ „მელექსეთბაშს“ და რუსთაველსაც კი ადარებდნენ, როდესაც ამბობდნენ: „რუსთაველისებრ ხმატკბილობით არ აკლებდა არც ერთ გვარსო“. მისი ბაიათები და მუხამბაზები, რომელთაც ის საუცხოოდ ამღერებდა თარზე, გარკვეულ წრეში პირიდან პირში გადადიოდა და ქალაქის ბაღებსა და ქუჩებს აყრუებდა. ამ მხრივ ის რამდენადმე ე. წ. აშულური პოეზიის წარმომადგენელია. ამიტომაც, რომ მისი მეხორტბე მას უწოდებს „აშულს“: „აშულსა მართებს ზმობანი, ბულბულთ ყუფანი ყელისა“ და ამბობს, რომ მისი ჰანგები და „ტურფანი ხმანი აშულთ სახმარნიაო“. ბესიკი იყო, სხვათა შორის, შესანიშნავი მომღერალი და „მრავალნი საამო შაირნი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერებელი ქართულისა ენითაო“. თუ ბესიკის საქმიანობის ეს მხარე მის თანამედროვეთა გარკვეულ წრეს ძალიან მოსწონდა, ჩვენ ვერ გავიზიარებთ მათ ალტაცებას და, ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით, სინანულსაც გამოვთქვამთ, რომ ბესიკი, თავის ბრწყინვალე ნიქს იმისთვისაც არ იშურებდა, რომ ჩვენს მწერლობაში გაეძლიერებინა აშულური პოეზიის ტრადიციები და ქართულ ცხოვრებაში შემოეტანა აღმოსავლეთის ბაზრის მელოდიები, შეგნებულად „სპარსთა ხმათა ზედა“ წერდა და მღეროდა აშულური პოეზიის მუხამბაზებს, მუსტაზადებსა და ბაიათებს. ეს აშულური „სპარსული ხმა“ არ იყო დამახასიათებელი წმინდა ქართული პოეზიისა, რომლის ბრილიანტები უხვადაა მიმობნეული თვით ბესიკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. როდესაც პოეტი ვახტანგ ორბელიანი ამბობდა: „აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციურსა“,—ალბათ, გულსხმობ-

¹ S 3686, გვ. 115—129; Е. Такайшвили, Описание, II, გვ. 373. ამგვარივე ანბანთქება დაუწერია აგრეთვე თანამედროვეს, პეტრე ლარაძესა (გ. შიკაძე, ანბანთქება ჭეღ ქართულ ლიტერატურაში, „სტუდ. სამეცნ. შრომების კრებული“, წ. III, 1948 წ., გვ. 220) და ალექსანდრე ჭავჭავაძეს (იხ. მისი ლექსების კრებული, ი. გრიშაშვილის გამოცემა, 1940 წ., გვ. 51—55).

და ბესიკის წმინდა ქართულ „მღერას“ და არა მუხამბაზებს, რომელთა შესახებ ის გვეუბნება: „მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა, კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა“.

მიუხედავად ამისა, ბესიკი მნიშვნელოვანი ფიგურაა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მან, შეიძლება ითქვას, დაასრულა ამ ლიტერატურის დინება და, რაც კარგი ჰქონდა, ახალ თაობას გადასცა. მისმა პოეზიამ გამოხმაურება პოვა არა მარტო ე. წ. გარდამავალი ხანის ეპიგონების, არამედ ისეთი ნიჭიერი პოეტის შემოქმედებაშიაც კი, როგორიც იყო ალექსანდრე ქავჭავაძე. რატომ? იმიტომ, რომ მომავალდობელია მისი ლექსის (უფრო სამიჯნუროსი) მუსიკალობა, ამოუწურავია მხატვრული გამოსახვის საშუალებანი, საოცარია რიტმისა და სტროფის ნაირნაირობა, განსაცვიფრებელია მისი რითმის სიმდიდრე.

9. საბათნოვა

საბათნოვა ტიპიური წარმომადგენელია ეგრეთ წოდებული აშუღღური პოეზიისა, რომელიც უნდა განვითარებულიყო ჩვენში განსაკუთრებით მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრიდან. ამ ორიგინალური წარმოშობის პოეზიის ისეთი სპეციფიკური დანიშნულება და თავისებური ხასიათი ჰქონდა¹; რომ ლიტერატურის ისტორიკოსს შეუძლია აუაროს მას², მაგრამ საბათნოვა იმდენად არაჩვეულებრივი პიროვნებაა, ისე დიდი იყო მისი მნიშვნელობა და გავლენა ქართულ ლიტერატურულსა და ინტელიგენტურ წრეებში, რომ ჩვენ საქორდ დავინახეთ ორიოდ სიტყვა მასაც ვუძღვნათ³.

საბათნოვა იყო ტომით სომეხი, სანაინში დაბადებული (თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა) და თბილისში აღზრდილი. ამით აიხსნება, რომ საქართველოს ის თვლიდა თავის სამშობლოდ⁴, ქართველ მეფეს თავის მეფედ და პატრონად, ხოლო ქართულ ენას მშობლიურ ენად, როგორც სომხურს: ის არამცთუ სთბავდა და მღეროდა ქართულ ლექსებს, სომხურ ლექსებსაც ქართული ასოებით წერდა და ქართული შენიშვნებითა და ქორონიკონით ამ-

¹ ეს მშენიარადა გარკვეული პოეტ ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ, იხ. მისი „საბათნოვა“, თბილისი, 1918 წ.

² ამით აიხსნება ის გარემოება, რომელიც ავეირებს ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს (გვ. 61, შენიშვნა) რომ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ საბათნოვა არაა მოხსენიებული.

³ გარკვევლბთ, ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს დასახლებული მონოგრაფიის გარდა, კიდევ შემდეგი გამოკვლევებით: პ. რ. თ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი: ა) საბათნოვა, 1930 წ., ბ) საბათნოვას სომხურ ლექსთა სრული კრებული, 1935 წ., გ) იონა ხელაშვილი სომხეთში და საბათნოვა, „საქართველ. მუხედუმის მოამბე“, IX, 1936 წ.; დ. ლე ვ ი ნ ძ ე, მგოსანი საბათნოვა, 1930 წ.; შ ი ს ი ვ ე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 262—303. ავტორი ამ მონოგრაფიაში, რომელიც 1949 წელს გამოვიდა, ანგარიშს არ უწევს იმას, თუ როგორ შეიცვალა 1930 წლის შემდეგ როდესაც პირველად დაიბეჭდა ეს ნარკვევი, წინათ გამოთქმული მკვლევართა მიერ აზრები და შეხედულებანი, ან რა შეემატა ახალი საკითხს მას შემდეგ: А. В а р а м я д з е, Саят-Нова до г р у з . я с о ч и н и к а м (Известия АН Арм. ССР, 1946, № I).

⁴ ერთ თურქულ ლექსში ის თვითონ ამბობს: „სამშობლო თბილისია, მხარე ქართლისა, დედა აუღაბრელი, მამა ალაბელი“.

კობდა ხოლმე. საათნოვას მამა ყოფილა ქ. ალექოდან გამოსული სომეხი, რომელიც თბილისში დასკვიდრებულა და ავლაბრელი სომხის ქალი შეურთავს. საათნოვა არის მისი ფსევდონიმი, ნამდვილი სახელი კი ყოფილა, როგორც თვითონ ამბობს თავის ლექსში (გვ. 97, 121), არუთინ. ერთი სომხური ლექსის ქვეშ ასეთი წარწერა ყოფილა: „მე მიღლისას შვილი არუთინა, ყმაწვილობიდან ოცდაათ წლამდე თავი დაუდგე ყოველ სიმღერას და სურფყარაპეტის ძალით ვისწავლე კიანური, ჩონგური და ამბურა, ეხლა კი მსურს სომხურადა ვთქო“. ამასთან, საყურადღებოა, რომ მისი ლექსების დავთარში ან კრებულში ერთ თურქულ ლექსს 1742 წელი უზის თარიღად, ხოლო სომხურს—1752. აქედან ი. გრიშაშვილი ასკენის, რომ საათნოვას ლექსების წერა დაუწყია, როდესაც ის 30 წლისა იყო, 1742 წელს, მაშასადამე, დაბადებულა 1712 წელსაო (გვ. 44—45). მაგრამ დავთარში ხომ არაა ნათქვამი, რომ ის თურქული ლექსი, რომელიც 1742 წლითაა დათარიღებული, პირველი ლექსია საათნოვასი? პირიქით, თუ ის სომხური ლექსი, რომელსაც 1752 წ. უზის თარიღად, პირველი სომხური ლექსია მისი, როგორც ი. გრიშაშვილი აღნიშნავს, საათნოვა 1722 წელს უნდა დაბადებულიყო, ვინაიდან ის ამბობს, რომ, როდესაც 30 წლის შევიქენი, „ეხლა მსურს სომხურადა ვთქო“. ერთი სიტყვით, მოყვანილი მინაწერები და თარიღები ვერ გვირკვევენ ჩვენ საათნოვას დაბადების წელს; იმათგან მხოლოდ ვგებულობთ, რომ 1742—1752 წლებში ის ცნობილი მელექსე ყოფილა. ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ უნდა დაბადებულიყო ის არაუგვიანეს მეთეზამეტე საუკუნის პირველი მეოთხედისა.

პატარა არუთინას შეუსწავლია ხელობა: ერთი ცნობით, ფეიქრობა თუ ბაზაზობა, მეორე ცნობით, რომელიც უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან, —დერციკ-მკერვალობა (ლ. მელიქსეთ ბეგი); ის იმავე დროს წერა-კითხვასაც სწავლობდა თურმე. ბუნებრივი ნიჭით უხეად დაჯილდოებულ ბავშვს ზედმეწივნით შეუთვისებია ოთხი ენა: სომხური, ქართული, აზერბაიჯანული და სპარსული, და ოცდაათ წლამდე შეუსწავლია აშუღობა, ესე იგი კიანურზე, ჩონგურზე, ამბურაზე და სხვა ინსტრუმენტებზე სომხურ ქართულ-თათრული (სპარსული და აზერბაიჯანული) ბაიათების დაკვრა და დამღერება. ოცდაათი წლის რომ გამბდარა, საკუთარი ლექსებისა და ბაიათების თხზვაც დაუწყია და ჯერ დაბალ წრეებში მოუხვეჭია სახელი, მერე თანდათანობით შესულა არისტოკრატიულ სფეროებში, ბოლოს კი თვით მეფის სასახლეშიაც გაუქაფავს გზა, ასე რომ 1758—1765 წწ. ის საქართველოს მეფის საზანდარი იყო, ესე იგი ნამდვილი კარის აშუღი, აუცილებელი პიროვნება, ლხინშიაც და კირშიაც, ერეკლე მეფისა და მისი შვილებისათვის, განსაკუთრებით გიორგი ბატონიშვილისათვის. ცოლის შერთვამდე საათნოვას ჰყვარებია ვილაც „მაღალი ფენის“. წარმომადგენელი ქალი, გადმოცემით ქურქჩის ცოლი, ვინმე ტალითა. 1759 თუ 1760 წელს მას შეურთავს ცოლად შავერ-დაანთ ქალი, ვინმე მარმარა. 1765 წლის მახლობლად, ერეკლე მეფესთან რალაც, ჯერ გაურკვეველი, კონფლიქტის გამო, საათნოვას საზანდრობისათვის თავი დაუნებებია და სტეფანეს სახელით მღვდლობა დაუწყია. 1768 წელს

სადათნოვას მოუკვდა შეუღლე მარმარა, რის შემდეგ მან „სხვისა შეუღლისა შერთვაჲ არღაოდეს თავს იღვა“ და სამოცდაათი წლების ბოლოს ახპატის მონასტერში ბერად შედგა.

სადათნოვას მოუსვენარი ბუნება ვერ შეცვალა და ვერ შებოკა მონასტრის კედლებმა. დროგამოშვებით ის მიატოვებდა ხოლმე მონასტერს და თბილისში ჩამოიქრებოდა, სადაც თავის ყოფილ ამხანაგებთან ერთად აშუღობის მრავალფეროვან ცხოვრებას უბრუნდებოდა. ამით ის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა სომხურ სამღვდელოებაში.

არსებობს ლამაზი ლეგენდა, ვითომც 1795 წელს, როდესაც ჩენი დედაქალაქი ემზადებოდა მძინვარე ალა-მაჰმად-ხანის შესახვედრად, სადათნოვა ახპატიდან ჩამოვიდა თბილისში და შეიღები გაგზავნა მოზდოკს დასთან, თვითონ კი დაბინავდა ციხის ეკლესიაში (სურფგეორჯის ტაძარი). როდესაც სპარსელები შემოვიდნენ ქალაქში, მათ იავარყვეს ეს ეკლესიაც. ამ დროს სადათნოვა ეკლესიაში ლოცულობდა. სპარსელებმა შესძახეს მას: „გამოდი და გმე შენი რჯულიო“. მხცოვანი აშული გამოვიდა ჯვრით ხელში კარიბჭეში და უპასუხა სპარსულად:

არ ვუღალატებ ჩემსა იესოს,
არ დავტყვევებ ტაძარსა წმიდას.

ეს უკანასკნელი სიტყვები იყო სადათნოვასი, ის იქვე განგმირეს უღმობელმა შტრებმა. მაგრამ, ვიშეორებთ, ეს ლეგენდაა. სადათნოვა გიორგის მეფობაშია (1798—1800) ცოცხალია, ამ მეფობაში მას ახპატის მონასტერში ხედება იონა ხელაშვილი. უნდა გარდაცვლილიყო ის ბუნებრივი სიკვდილით 1801 წელს, როგორც პ. იოსელიანი აღნიშნავს¹.

ასეთია მოკლედ ცხოვრება სადათნოვასი, რომელიც, როგორცა ვთქვით, სთხზავდა ლექსებს და მღეროდა სომხურად, ქართულად და აზერბაიჯანულ-თურქულად. სამწუხაროდ, მისი ინიციატივით 1765 წელს გადაწერილ დაეთარს ან კრებულს თავიეც აქლია და ბოლოც: იმაში დღესდღეობით დარჩენილა მხოლოდ აზერბაიჯანული ლექსები, სომხური ასოებით გადაწერილი², და სომხური, ქართული კი, რომელიც, საფიქრებელია, დავთარის თავში იყო, უკვალოდ დაკარგულა. ამიტომ მათი აღდგენა გვიხდება სხვადასხვა ხელნაწერის საშუალებით, რომელთაც ექვს გარეშეა, სადათნოვას არც ყველა ლექსი შემოუნახავთ და არც ნამდვილი სახით.

ეს ლექსები, რიცხვით 29, გამოცემულია ჩენი პოეტის ი. გრიშაშვილის მიერ: 28 ლექსი 1918 წელს, ხოლო ერთი— „სამოთხიდან გამოსული“, ეურნალ „კავკასიონში“ 1924 წელს (№ 3—4, გვ. 128). ამაღ გარდა, ჩენ აღმოვაჩინეთ სადათნოვას კიდევ ერთი „მუსტაზადი“, რომელიც ასე იკითხება:

თვალად ლამაზო, დამანახე შენი პირი მე,
ნუ მკლავ, შენას სურვილით მუღამ ვსტირი მე;

¹ „ცხოვრება მეფის გიორგის მეცამეტისა“, ა. გაწერელიას გამოცემა, გვ. 263.

² სადათნოვას აზერბაიჯანული ლექსები ქართული ასოებითაც უწერია, იხ. ხელნაწ.

ძილად იწევ, ღამე გითივე, საროს ძირი მე,
 რა დაგიშავე, რომ მიწყრები, ამას ვევირი მე;
 ნუ გამიწყრები, გლაზაკი ვარ და შწირი მე,
 მამკალი, შენის ლამაზის ხელების კირი მე,
 მალაპარაკე, ბულბულის ენების კირი მე.

უნდა შემინახო, კარგი თუ ავი ვიყო
 შენთვის რამე მეთქვას, სისხლის მზღველი ვიყო
 უცხოთ ალაგს ვაგვე რამე, პირშივი ვიყო
 თუ შენი ერთი ბეწვის დამნაშავე ვიყო
 მამკალი შენის ხელით, თუ მოსაკლავი ვიყო
 მამკალი, შენის ლამაზის ხელების კირი მე,
 მალაპარაკე, ბულბულის ენების კირი მე.

მართლად შენი ყელი სურა ყარყარა ყოფილა,
 კაცს მალე გასცევთ, წყალნაგდები ხარა ყოფილა,
 განა ჩემი თავი შენთან ზეარა ყოფილა,
 ხან შემეყვარებ, ხან გამიშვებ, მა რა ყოფილა?
 რადგან შენშიაქ ეტხიბარო არა ყოფილა
 მამკალი...
 მალაპარაკე...

თუ მაჯნუნს ერთჟამს მოშორდე, ტანს შავად შევიღებ,
 რაც შენს თავს მოსასვლელია, კირს სულ მე წავიღებ.
 სულს აქეთ რაც მებაღია, შენს გზაზე გავიღებ,
 იცოდე, სიყვდილამდის შენზე ხელს არ ავიღებ,
 ორმა კაცმა გამამტყუნოს, თავს ძირს დავიღებ.
 მამკალი...
 მალაპარაკე...¹

მართალია, ამ ლექსს სადათნოვას ერთ-ერთი მისი მკვლევარი, მგოსანი გ. ლეონიძე, არ აკუთვნებს, რადგანაც ერთ ხელნაწერში ის მიეწერება ვილაც სტეფანე მკერვალს, რომლის ფსევდონიმი, მაჯნუნი, აქაც გვხვდება², მაგრამ ჩვენ შესაწყენარებლად მიგვაჩნია პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრებანი „სტეფანე მკერვალია“ და სტეფანე მღვდლის—სადათნოვას ერთი და იგივეობის შესახებ³, ამიტომ ვფიქრობთ, რომ სადათნოვას „მაჯნუნს“ ფსევდონიმიც ჰქონია⁴. გამოვდივართ რა აქედან, ჩვენ შეუწყენარებლად არ ვთვლით იმ აზრს, რომ სადათნოვასივე არის ის ცხრა ლექსიც, რომელიც „სტეფანე მკერვალის“ სახელითაა ცნობილი ერთ ხელნაწერში და რომელიც ლ. მელიქსეთ-ბეგმა გამოისცა⁵. თუ ეს უაღრესად სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებია

¹ § 1513, გვ. 36—37; ლ. მელიქსეთ-ბეგის, სადათნოვა, გვ. 152.

² გ. ლეონიძე, მგოსანი სადათნოვა, გვ. 54—55; მისივე, ძიებანი, გვ. 296—298.

³ ლ. მელიქსეთ-ბეგის, სადათნოვა, გვ. 93—99.

⁴ „მაჯნუნს“ თავის თავს უწოდებს სადათნოვა ერთ თავის უდავო ლექსში: „საყვარელო“ მაჯნუნს რატომ აშლილ ხარ?“ (გუშლიდან არა მშურს“, ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 106).

⁵ ლ. მელიქსეთ-ბეგის, სადათნოვა, გვ. 149—157.

დაწერილია სადათნოვას სასულიერო წოდებაში შესვლის შემდეგ, როდესაც მან მიიღო სახელწოდება სტეფანე, ბუნებრივი იყო, ავტორის ვინაობის დასაფარავად, სტეფანეს მაგიერ, მას მოეძებნა ახალი ფსევდონიმი „მაჯნუნი“. შინაარსით, ტონით, საზომითა და ლექსიკით ეს ლექსები არ ეწინააღმდეგება სადათნოვას სახელით ცნობილ სხვა ლექსებს.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ერთი სომხური ლექსის ქვეშ სადათნოვა წერს: მე „ყმაწვილობიდან ოცდაათწლამდე თავი დაუდე ყოველ სიმღერას, ეხლა კი მსურს სომხურად ვთქოო“. ამ მინაწერის მიხედვით ი. გრიშაშვილს ჰგონია, რომ ოცდაათ წლამდე ის წერდა და მღეროდა მხოლოდ ქართულად (გვ. 45), მეტი კი—სომხურად და სპარსულად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვები არ შეიცავს იმ აზრს, ვითომც ქართულად სადათნოვა სთხზავდა თავისი ცხოვრების მხოლოდ პირველ პერიოდში, ოცდაათ წლამდე. ყოველ შემთხვევაში, ვიცით, რომ ორი ლექსი—„მე საწყალო ჩემო თავო“ და „სამართალი მიყავ“, დაწერილია ბერად შედგომის შემდეგ. უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ერთსა და იმავე დროს ის ქართულადაც თხზავდა, სომხურადაც და აზერბაიჯანულადაც.

შინაარსის მიხედვით, სადათნოვას ქართული ლექსები, რომელიც დღესდღეობითაა ცნობილი, სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: ორი მათგანია („მე საწყალო ჩემო თავო“ და „სამართალი მიყავ“) ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, ოთხი („ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი“, „ზოგზოგი კაცი“, „დამიჯერე“, „მეზობელზედ რა კაცი“)—დიდაქტიკურ-მორალურისა, ხოლო დანარჩენი სატრფიალოა.

სატრფიალო ლექსებში ის უმღერის სიყვარულს და მის სიმწვავეს, საყვარელს და მის მშვენიერებასა და უღმობელობას. ეს ლექსები ამოგლეჯილია მისი გულიდან არა აშუღის ოფიციალური დანიშნულებითა და მოთხოვნილებით, არამედ ნამდვილი განცდითა და გრძნობით. როგორც აღვნიშნეთ, არსებობს ცნობა, რომ სადათნოვას ცოლის შერთვამდე უყვარდა ვინმე ქურქჩის ცოლი, სახელად ტალითა, სარწმუნოებით კათოლიკე, რომელიც ნორაშნის უბანში ცხოვრობდაო (გვ. 43, შენ. 1). არ არის გამორიცხული, რომ სამიჯნურო რომანი ჰქონდაო მას დაქვრივების შემდეგაც.

სადათნოვას ლექსებს თავისთავად დიდი ღირებულება არ აქვს: მოტივთა და აზრების ერთფეროვანია, პოეტური ფიგურები და შედარებანი მეტად მკრთალი, რითმა შესამჩნევად ღარიბი. პოეტი უფრო გრძნობს პოეტის სულს, ამიტომ ამის შესახებ ვალაპარაკოთ თვით გამომცემელი სადათნოვას ლექსებისა ი. გრიშაშვილი: „ამ წიგნში მოთავსებული ლექსებით ვერ დაფასდება სადათნოვას ნიჭი, პირიქით, მკითხველი ძალაძან უგემურად იგრძნობს თავს... მაგრამ თუ მაინც ვებედავთ და ვებუქდავთ სადათნოვას დაბაბუღა ლექსებს, მართო იმიტომ, რომ მკითხველმაც იქონიოს ერთგვარი წარმოდგენა სადათნოვას ქართულ ლექსებისადმი... მე კი,—რალა მე, შეიძლება მეც კი, როგორც მოშიარეს, ვერ დამკამყოფილოს აწ არსებულმა სადათნოვას ლექსებმა! მაინც დალოცვილს იმდენჯერ აქვს ნახზარი მზე, მთვარე, ვარდი და ბუღბული, რომ დღეის შემდეგ როგორ მივქარავ და კვლავ შევიყვარებ ამ საგნებს.

შეიძლება საბათნოვა, როგორც პოეტი, არ იყოს მაღალფარდოვანი, შეიძლება მისი მუხამბაზური ყადის ლექსები ოთახში დამწყვედულ მუშლივით ბზუოდეს ყურებში, მაგრამ, როგორც მგოსანს და მომღერალს, დღემდე ბადალი არა ჰყავს საქართველოში“ (გვ. 47). მიუხედავად ამისა, საბათნოვას „დაბდაბულა“ პოეზია გავლენას ახდენდა მის თანამედროვე პოეტ ბესიკზე. „თვით ბესიკი“, ამბობს ი. გრიშაშვილი, „გასულა ხალხში, უმღერია თავისი ლექსები და, როგორც საბათნოვა იყო მიღებული „ძველ საქართველოში“, ბესიკი ყოფილა არანაკლებ საყვარელი კაცი მაშინდელ ამქრის დღესასწაულებში, სამღვთოში, ქორწილ-ქეიფებში და სხვა საღიზნო შემთხვევებში. ხოლო სოლოლაკის, სეიდაბადის და ორთაქალის ბალებს ხომ ფოთლების ნაცვლად ბესიკის სიმღერები ესხა სულ! ბესიკის ლექსები, „სპარსთა ზედა ხმთა სიმღერელი“, აშულთა სახმარნიც ყოფილან“ (გვ. 48). საბათნოვას გავლენას განიცდიან შემდეგი დროის პოეტები: გრიგოლ ორბელიანი და ა. ქავჭავაძე; პირველი მათგანი თავისი ლექსების ეპიგრაფებად ხშირად საბათნოვას სიტყვებს ხმარობს.

საბათნოვა გამომხატველია ხელოსანთა და მოქალაქეთა აზრების, განცდებისა და სურვილებისა. მან შექმნა მთელი სკოლა აშულებისა და აშულური პოეზიისა, რომლის რეზონანსი დიდხანს ისმის მეცხრამეტე საუკუნეშიც. რამდენადაც თავის შემოქმედებაში ის ერთნაირად ემსახურებოდა და გამოხატავდა ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების გარკვეული წრეების იდეოლოგიას, ის საერთაშორისო პოეტია კავკასიის მასშტაბით. ამით აიხსნება განსაკუთრებული ყურადღება მისდამი საბჭოთა სინამდვილეში.

რაც შეეხება საბათნოვას ლექსების ფორმას, მას მრავალი სხვადასხვა ჰანგი და საზომი აქვს ნახმარი: მუსტაზადი, თეჯლისი, თახმისი, ყაფრა. ჰანგებისა და საზომის სპარსულ-არაბულ სახელწოდებათა ხმარებაში, რომელსაც ადგილი აქვს ბესიკის ლექსებშიც, პრიორიტეტი საბათნოვას უნდა ეკუთვნოდეს. ერთი ლექსი საბათნოვასი წარმოადგენს „ანბანთქებას“, რომელშიაც სტრიქონები დალაგებულია ანბანის რიგზე, ანდა ერთ სტრიქონში ორი ასოა გამოყენებული. აი ეს ლექსი:

ან, ამისთანა ნაღველი, ბან, ბეჭის კაცსა დაემართოს,
ბან, გულსა და ფილტვს დაუშრობს, კაცს რო გულში ჩაემართოს. (გვ. 119)

ასეთი „ანბანთქება“ წინათაც გვხვდებოდა, მას იყენებენ, მაგალითად, თეიმურაზ პირველი და ბესიკი¹.

¹ კ. ქეკელიძე, საბათნოვა, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ., № 32.



ბანუოფილება მესამე

ღ რ ა მ ა

დრამატული დარგი ძველ ქართულ მწერლობაში მეტად სუსტადაა წარმოდგენილი: ჩანასახი მისი ჩნდება მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის გასულს. მიუხედავად იმისა, რომ მწერლობის ეს დარგი საყურადღებოსა და მნიშვნელოვანს ბევრს არაფერს წარმოადგენს, ჩვენ მაინც საჭიროდ დავინახეთ, ისტორიული მიმოხილვის მთლიანობისა და სისრულისათვის, იმაზედაც შეეჩერებულებოდით, მით უმეტეს, რომ ჩვენი წარსული კულტურის მკვლევარნი, რომელნიც ქართული თეატრისა და სათეატრო მწერლობის ისტორიის ეხებოდნენ, ამ ისტორიას, უმეტეს შემთხვევაში, *ex abrupto*, მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან იწყებდნენ.



თეიმურაზ II

სახიობანი ძველ საქართველოში. მოშაითობა, ყაბახობა, ბურჯობა, ყვენობა და ბერიკობა. დასაწყისი ქართული თეატრისა, მისი კავშირი რუსულ თეატრთან. თავდაპირველი წარმოდგენები. გაბრიელ მაიორი. დრამატული მწერლობა. ძველი ქართული დრამატული მწერლობის წარმომადგენლები: გიორგი ავალიშვილი, დავით ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვები. მათი პიესები. ძველი ქართული დრამატული მწერლობის მნიშვნელობა.

თეატრი, სცენა, რომელიც ხელს უწყობს დრამატული მწერლობის შექმნასა და განვითარებას, ძველმა საქართველომ არ იცოდა, ყოველ შემთხვევაში, ცნობები მისი არსებობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. თეატრის მაგივრობას ჩვენში სწევდა სხვადასხვაგვარი საჯარო ხასიათის გასართობი და შესაქცევი¹, რომელთაგან ყველაზე ძველი და პოპულარული ყოფილა ეგრეთ წოდებული მოშაითობა ან მუშაითობა. თამარ დედოფლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ თამარისა და დავით სოსლანის დაქორწინებისას „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა სახეობათა“; „ზმა მგოსანთა და მოშაითთა იყო“ აგრეთვე მაშინაც, როდესაც მათ ეწვიენენ შარვანშა აღსართანი და ათაბაგი ამირ მირანი². ეს ისტორიკოსი გვამცნობს, რომ რუსულან დედოფალი, რომელიც განაგებდა თამარისა და დავითის ქორწილის ცერემონიალურ მხარეს, „ხუარასინისა და ერაყის სულთანთა სძლობითა გამცენიერებულთ, ბუნებრივითა სახიობითა და შეგნებითა მოქმედებდაო“³. მუშაითები უცხო ქვეყნებიდანაც მოდიოდნენ ჩვენში და ქართველებს აცნობდნენ თავიანთ რეპერტუარს, რასაც ერთ-ერთი ბიზანტიელი მწერალიც ადასტურებს. მისი სიტყვით, ეგვიპტიდან გამოსულა 40 კაცისაგან შემდგარი დისი აკრომატებისა, რომელთაც კონსტანტინოპოლში მიმავალთ, გზადაგზა უთამაშნიათ არაბეთში, სპარსეთში, სომხეთსა და საქართველოში მათი სხვადასხვა სახის მოშაითობა, რომელიც აქ დაწვრილებითაა აღწერილი, თანამედროვე ცირაკის „სასწაულებს“ მოგვაგონებს. ამ „სასწაულებისათვის“ ეს აკრომატები დიდ

¹ ეს გასართობი და შესაქცევი ჩამოთვლილი და დახასიათებულია არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანში“ და თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთაში“, უფრო ვრცლად ფ. ჯანელიძის მონოგრაფიაში: „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, თბ., 1948 წ.

² ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარაზნტი, გვ. 432, 450.

³ იქვე, გვ. 432.

ფულს კრებდნენ თურმე¹. ჩვენში მოშაითობას პატარაობიდანვე ასწავლიდნენ ბავშვს, როგორც ეს ჩანს ფრიდონის სიტყვებიდან ქაჯეთის ციხის ალების წინ გამართულ თათბირზე:

ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სა მუ შა ი თ ო ლ მზრდილიან,
 მასწავლენს მათნი საქმენი, მახლტუნებლიან, მწერთილიან;
 ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომიკლიან,
 ვინცა მკერეტლიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრილიან. (1394).

ამ მოშაითობას ან ჯამბაზობას საკმაოდ ვრცლად აგვიწერს არჩილ მეფე თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“, სადაც ის ამბობს:

ვერ ხედავთ ფრიდონისასა, მოშაითობას ჩემულობს,
 საბელზედ გავლა-ხლტომასა თამამად, არ თუ მოზარობს,
 ტარიელსა და ავთანდილს ქაჯეთს მისეღაზედ უანბობს,
 ვინ იცის, მის ღრის იქმოდეს ცოდნასა, ნუ ვინ მცონარობს.

პინდიცა ენაზე, ჩვენს წინა ოთხს აქლემს გარდახლებოდა,
 ხელდაუკრავად ჰაერში მათზედა გარდბრუნდებოდა,
 იქით ფერხს დაღვის, მის მკერეტელს თვალი არ მოუსხლებოდა,
 ორს ცხრის იქითაჲ ხელქერისს შიშელის ხმლით შიგ გახლებოდა.

წმინდას შილზედ გაიზენდა კაცთ ჰაერში დანაჰიკრისა,
 მახვილებს ბორბალშიგან შიგ გახტის და არა სკიკრისა,
 ფერხებს ქედზედ დაიწყობდა, ხელით ესკერეტლით ნარონისა,
 თამაშობდა უცნობსა, იმით უფრო გასაჰიკრისა.

თავთან დაისვის ხანჯალი, გულაღმა წაშოწვებოდა,
 ანაზღად ახტის, პირდაღმაჲ იქით თავს გარდევლებოდა,
 მუნით გულაღმაჲ დაეცის, იმის წერით თვის წვერს მყოფლობდა
 მნახავთ და გამგანეთაგან მუნ მაშინ საკვირეულობდა.

ხეს დაიქერდა კბილითა, თუ ექსმან კაცმან აიღის,
 ძელს დაიდებდი გულზედა, ძლივ ოთხმან ხარმან წაიღის,
 ქვეშ დასივება მახვილსა, ქვე ტანი აღარ დაიღის,
 ხმელზედ თიებურად ცურავდა, კვლავ უცხო რამ შემოიღის.

ინატრეს ბევრმან ვაჟებმან: ნეტა ვინ ეს მასწავლოა
 მისი სიფიცხე, სიმაღლე, ისე თამამად წავლოა
 მაგრამ ის შავი არ დადგა, არავის არ ასწავლია,
 მიზეზი ეს თქვა: მწალიან სულ ხელმწიფების დაელოა².

მოშაითობის წარმოდგენით შეღქმეცვია, სხვათა შორის, თეიმურაზ პირველს 1639 წლის აღდგომა დღეს თავისი სტუმარი, საქართველოში მოგზაური რუსი, არსენი სუხანოვი, რომელსაც აუწერია კიდევაც ეს წარმოდგენა³.

¹ П. В. Везобразов. Очерки вивантийской культуры, Петроград, 1919 г., 83-147—148.

² „არჩილიანი“, ტ. I, გვ. 5, სტრ. 18—21.

³ С. Белокурова, Арсений Суханов, 83-141, 142.

სხვა, საჯარო ხასიათის, გასართობთაგან არანაკლებ მიმზიდველი და პოპულარული ყოფილა ჩვენში ბურთობა და ეგრეთ წოდებული ყაბახობა, რომელთაც ასე აგვიწერს თეიმურაზ მეორე თავის თხზულებაში „სარკე თქმულთა“:

აჰა შაბახის სროლა და გურთაოგის ანბაში

ოდეს იქნების ქორწილი ან სხვა დღეობა კარგო,
ყაბახზე ოქროს ვაშლს შესმენ, ძვრთასის იყოს, ვარგო,
კარგა დაჯაზმულს ცხენს ისხდენ, ზედ არ ეკიდოს ბარგო,
კურტაკიანთა გუთა თქვან: სროლაში, მკლავო, მარგო!

ცხენს ისხდენ, კარგსა დაჯაზმულს, რახტით, უნაგირითაო,
ძიძემს ნაკერის ორთუქით, ბუშტით და ყუთაზითაო,
გაუკაცთა ეცვას კურტაკი ბრტყელისა ზორტებითაო,
დაუწყონ სროლა ყაბახსა მათ ცხენის ჰენებითაო.

ასე უნდა მას დღეს კაცმან ამგზით სროლას ეცადოსა,
მკლავზე მშვილდი შემოიციას, წელს ყოდალი გაირქოსა,
ცხენი შესძრას, პირველ მშვილდსა ხელით ფეშრი მან უყოსა,
მერმე ყოდალს ხელი მიპყოს, კილოს მაგრად აზიდოსა.

უნდა მშვილდი დაზეული ცოტა ხანი გაატაროს,
ჩქარად მიდგეს ყაბახზედა, ცხენი აღარ დააზაროს,
ყაბახს მუხლი დააცილოს, მაშინ უნდა გარდებაროს,
ესროლოს, თუ ჩამოგდოს, თავის გული გაახაროს.

ასე უთქვამს: მისღვა სჯობსო უფრო ჩამოგდებისაგან,
თუ ორიე სქირს, ხომ ისი სჯობს, უფრო იჯოს ბევრისაგან.
სანადის არ ჩამოგდონ, არ მოეშენენ სროლისაგან,
მას დღეს ღმერთი ვისაც მისცემს, მოხედეს მისის ხელისაგან.

ვინც ჩამოგდებს ოქროს ვაშლს, მთარმევეს შეფეს წინადა,
ფიცხლად ჩააკმევს ხალათსა თავითად ფერხადინადა,
დაამზადებენ საბურთლად ვაჯკაცებს ჩოვანითადა,
ცხენს კაცსა შეადარებენ წილისა მოღებითადა.

ოჯათ გაყოფენ, თითოს მხარს თორმეტს იქმონენ კაცებსა,
მობურთალს კაცის თავზედა მას დღეს მისცემენ ფარჩებსა,
ზედ გარდაშლიან ფერადსა იქით და აქეთ მაყებსა,
მათთვის სასმელად შარბათსა თულუხით დასდგენ საესებსა.

მობურთლებს ბურთი შეუგდონ შუაზე მეიდანსაო,
იწყონ მოჭირვით ბურთობა, სცილობენ გარდახრასაო,
ზოგი სცემს შიგნით და ზოგი ნაპირს ურბენდეს გზასაო,
გამოუვარდეს გარს ბურთი, ეცადოს მოტაცნასაო.

მაშინ გამოჩნდეს, ვინც იყოს მაყამდე ბურთის წამლები,
ეცადოს დაბრუნებასა სხვა კაცი ხელის დამლები,
ხელუკუღმთა შემოპყრას მაღალი თავის საელები,
რა დაუბრუნოს მას ბურთი, იქნების გულის საელები.

ვინცა იცის კარგად ტანა, ცხენის ყელს არ აცილოსა,
ასე უნდა გარდებაროს, თავი აღარ აიღოსა.
ბურთი ჩოგნისა ცემითა მაყაძინა წაიღოსა,
ზელგარდაყოფით შემოკერა ზნეობაში ჩაივდოსა.

გამოჩნდეს სადავის ცოდნა ჯარსა და ბურთობაშია,
ვინცა ამრავალ იბურთებს, იქების ამხანაგშია,
რომელიც იქით და აქეთ გააძქენს ბურთს მაყაშია,
ჯობნა ეს არის: გახევენ ფარჩებსა აღებაშია.

აიღონ თითო-თითობან, ამხანაგს ვინც აჯობისო
ცხენს აქენებდენ, იძახდენ: მგობი ვარ ამხანაგისო,
ჩვენ შევიქნებით წითლისა ფარჩით შემხევეი ჩოგნისო,
ეს კი ვათავდეს, სხვა რიგი ვთქვა ბურთის თამაშობისო.

ერთი არის სხვა ბურთობა, რადრებაგანს უძახიან,
გადრთის ბურთის უფრო ესე ზნეობაში ჩააგდიან,
ბევრს კი არა, სამს-ოთხს კარგსა მებურთალსა შეადრადან,
ოთხისათვის სათამაშოდ ბურთი მიწას გააგდიან.

ის არის, ვინც რომ ცხენს მალეთ ბურთი აიღოს ჩოგნითა,
უნდა შეივდოს მან მალა ცხენისა თამაშობითა,
როს ჩამოვიდეს, ზელფიხად მთუხდეს კის ცოდნითა,
რე ბურთი შეხტეს, შემოკერას ხელრადათ მალა ტყორცნითა.

ბურთი შეივდოს, ეცადოს მერმე ფეშრების ქნასადა,
სანამ ჩამოვა, დასწრებს ჩოგნისა შეგდებასადა,
ჩოგნისა ქათალმაღაყი კვრამდინა დაასწრა სადა,
ის ჩაუვარდეს, სამკერა ზედიზედ თუცა კრავსადა.

ორი რადათა, მესამედ უნდა წინ ამოკერანო,
უნდა დაასწრას, ამოკრას ჩიქილოვას ქნანო,
ესეები ქნას, შესძინოს «ცე ტევეიას» ხმანო;
დასრულდა ეს, ხომ დრო არის აწ სხვის ზნეობის თქმანო¹.

მოშაითობა, ყაბახობა და ბურთაობა უფრო საგიმნასტიკო ხასიათის ვარჯიშობას წარმოადგენდა, რომლითაც მთელი საზოგადოება ერთობოდა. თეატრალური დრამატიზმი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, უფრო მეტია ეგრეთ წოდებულ ყეენობასა და ბერიკობაში, რომელთაც ნახევრად სასცენო მოქმედების ხასიათი აქვთ. ფორმა მათი და ხასიათი კარგადაა ცნობილი როგორც ხალხში, ისე ლიტერატურაში², ამიტომ მათ აღწერილობ-

¹ S 342, გვ. 106—107; „ივერია“, 1895 წ., № I, გვ. 92—97; ნ. ჯაკობიას გამოცემა, გვ. 73—75.

² „კვალი“, 1893 წ., № 5, 6, 7; 1894 წ., № 10, 20; „ივერია“, 1889 წ., № 49; 1889 წ., № 50; 1898 წ., № 33; А. Х а в а н о в, Очерки, I, გვ. 14—16; III, 362—3; დ. ჯანელიძე ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 275—466.

ბაზე აღარ შეეჩერდებით. ორიოდე სიტყვას ვიტყვით მხოლოდ ყვენობის წარმოშობისა და მნიშვნელობის შესახებ.

ჩენის მკვლევარებს ყვენობა ნხოლოდ ქართველების ჩვეულებად მიაჩნდათ. არცერთ ისტორიულ ერში არ არის ყვენობის მსგავსი თამაში, ჩვეულება, ეს მხოლოდ საქართველოს ერის წარსულზე არის აღმოცენებული, მისი წარსული ქირისა და ლხინის მომკონებელიაო,—ამბობდა გ. წერეთელი¹. ფიქრობდნენ, რომ ყვენობაში დამარხულია მოგონება ქართველების გამარჯვებისა სპარსელებზე მეჩვიდმეტე საუკუნეში, თეიმურაზ I-ის დროს, სხეებით კი—აქ გვაქვს მოგონება საქართველოში მურვან ყრუს შემოსევისა მერვე საუკუნეში.

შეიძლება დროთა მსვლელობაში მას მართლაც შეეხორცა სხვადასხვა ისტორიული ფაქტის მოგონებანი, მაგრამ თავისთავად არავითარი ისტორიული სარჩული ამ თამაშობა-გართობას არ მოეძებნება, ის არც მხოლოდ ქართველების კუთვნილებას შეადგენს. ამგვარი გასართობი ცნობილია როგორც ისტორიულ, კულტურულ ერებში, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში,—საყველიერო გასართობები, კარნავალი,—ისე განვითარების პირველ საფეხურზე მდგომ ევლურებში². როგორც ყვენობა, ისე სხვა ერების ანალოგიური გასართობი, სრულდება ერთსა და იმავე დროს, ზამთრის გასულსა და გაზაფხულის პირზე, სრულდება არსებითად ერთი და იმავე ფორმით. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ გართობაში ჩვენ გვაქვს პირველყოფილი ადამიანის რწმენა სიცოვისა და სითბოს, ყინულისა და მზის ბრძოლის შესახებ ზამთრის მიწურულსა და გაზაფხულის მოახლოებისას. ამ დროს ადამიანისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ იწყებოდა მისი სამეურნეო წელიწადი, რაც ასე იყო დამოკიდებული მზის მობრუნებასა და მის მიერ ზამთრის სუსხის დამარცხებაზე. ადამიანს უნდოდა, რომ მზეს, რაც შეიძლება, მალე გავმარჯვია, ამიტომ ის ცდილობდა თავის მხრივ დახმარებოდა მზეს ამ ბრძოლაში. პირველყოფილ ადამიანს სწამს ე. წ. შაგია, რომლის მიხედვით, თუ ადამიანმა მექანიკურად შეასრულა ესა თუ ის საწესო მოქმედება, ეს მოქმედება სინამდვილეში იჩენს თავს, ნაყოფს გამოიღებს³. ქართულ ყვენობაში ყვენის მტკვარში, წყალში, აგდებდნენ, ხოლო ევროპელთა კარნავალში ჩალის ტანისამოსში გამოწყობილი ადამიანის მსგავსებას ცეცხლს წაუკიდებდნენ. ამით ქართველები მზეს ეხმარებოდნენ მალე გამდნარიყო მზის სხივების მიერ თოვლი, გადასულიყო ყინული და ყველაფერი ეს, წყლად ქცეული, წყალს შეერთებოდა, ხოლო ევროპელები ხელს უწყობდნენ მზეს დაეწეა მას მისი მტერი, ზამთარი.

ერთი სიტყვით, ამ გასართობში განსახიერებულია პირველყოფილი ადამიანის, მისი საწარმოო-სამეურნეო პროცესებთან დაკავშირებული წარმოდგენა ბუნების ძალთა ბრძოლის შესახებ და მისი მონაწილეობა ამ ბრძოლაში. ამით აიხსნება, რომ ქართველების ყვენობა ევროპელების კარნავალი და

¹ „კვალი“, 1893 წ., № 6.

² Д. Фреер, Золотая ветвь, III, гл. 16—38.

³ იქვე, I, გვ. 97—73.

ველურების ზოგიერთი ჩვეულება, მიუხედავად იმისა, რომ მათ მატარებელ ერებს საერთო ერთმანეთში არა ჰქონდათ რა, ასე საოცრად ჰგვანან ერთმანეთს.

რაც შეეხება ბერ იკაობას, ის გამომხატველია ზოგადად განაყოფიერებისა და შვილიერების კულტისა.

ნამდვილი თეატრი უძველეს დროში ჩვენში არ იყო იმ მიზეზით, რა მიზეზითაც მას ვერ ვხედავთ ჩვენ სხვა საქრისტიანო ქვეყნებში. ქრისტიანობა თავიდანვე მტრულად შეხვდა ძველ ბერძნულ თეატრს, მთელი რიგი სავკლესიო კანონისა მიმართულია თეატრისა და მსახიობთა წინააღმდეგ. მართალია, ეკლესიამ უარყო კლასიკური ბერძნული თეატრი, მაგრამ სააგიტაციოდ, აღმზრდელი მისწრაფებით, მან თავისი საკუთარი თეატრი შექმნა: ეს არის ტაძარი, როგორც ადგილი ღვთისმსახურების შესრულებისა მორწმუნეთათვის. დღეს მეცნიერებაში სადავო არაა, რომ ქრისტიანთა ტაძარი, თავისი აღნაგობით, ძველი ბერძნული თეატრის გამეორებაა. უკანასკნელი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: 1) სცენა, ამალღებული ადგილი, მსახიობთათვის, 2) ამფითეატრი, შუა ნაწილი, მაყურებელთათვის, და 3) მომღერალთა, მგალობელთა ადგილი. ეს ნაწილები წარმოდგენილია ტაძარშიც. აქ არის ამალღებული ადგილი, საკურთხეველი, რაც თეატრის სცენას უდრის, შუა ადგილი, სადაც მორწმუნენი ისმენენ იმას, რაც ტაძარში სრულდება, და ადგილი მგალობელთათვის, ე. წ. „ხორო“. მსახიობების როლს ტაძარში ასრულებენ სამღვდლო პირნი, ხოლო თეატრის რეპერტუარს უდრის ყველაფერი ის, რასაც სამღვდლო პირნი კითხულობენ და წარმოსთქვამენ საკურთხევილიდან და ამბიონიდან მორწმუნეთა გასაგონად. თუ ძველი ბერძნული თეატრის აუცილებელი ელემენტი იყო სიმღერა, რომელსაც გუნდი ასრულებდა, ასევე აუცილებელი შეიქნა ქრისტიანთა ტაძარში მგალობელთა გუნდი. ერთი სიტყვით, ქრისტიანობამ ტაძრის სახით შეითვისა ძველი ბერძნული თეატრის ფორმა, მაგრამ ამ ფორმაში ჩადო თავისი საკუთარი შინაარსი¹. გადავიდა საშუალო საუკუნეთა ბნელეთი და თანდათანობით ფეხი მოიკიდა ძველი ბერძნული თეატრის ნაშეიქმანობა—ახალი დროის ევროპულმა თეატრმა.

ქართული სცენისა და თეატრის ისტორია იწყება მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი წლებიდან². ცნობები ამის შესახებ მომდინარეობს პირველი წარმოდგენების ერთ-ერთი მონაწილისაგან, სახელდობრ — სარდალ იოანე ორბელიანის კარის მღვდლის იოსებ ამირაძისაგან, რომელსაც ქეშიშ-დარდიმანდს უხმობდნენ³. ქართულ სცენას საფუძველი ჩაეყარა რუსეთ-

¹ თეატრალური ელემენტის შესახებ ეკლესიასა და ღვთისმსახურებაში დაწერილებით იხ. V. Cottas-ის თხზულებაში: „Le Théâtre a byzance“, Paris, 1931.

² ხ. მთაწმინდელი, ქართული წარმოდგენები მეთვრამეტე საუკუნეში, „დროება“, 1879 წ., №16 236, 237.

³ S 2385, გვ. 167. ეს ქეშიშ-დარდიმანდი ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში ოთხიოდე სატრფილო ლექსით, რომელნიც, ბესიკისა და საათნოვას ლექსების მსგავსად, სპარსულ-თურქულ-არაბული სახელებით არიან ხედწარწერილი:

თან პოლიტიკური და კულტურული კავშირის განმტკიცების შემდეგ ქრეკლე მეფის დროს. ამ დროს რუსეთიდან დაბრუნებულა საქართველოში თბილისის მცხოვრები ვილაც მაიორი გაბრიელი, რომელსაც, ნ. ბერძენოვის ცნობით (ეს ცნობა მას მიუღია ალ. ორბელიანისაგან, უკანასკნელს კი თავისი დედის, თეკლე ბატონიშვილისაგან), დაუწყია ძველი აღთქმის ისტორიის სუ-ვეტების წარმოდგენა. ამ წარმოდგენებზე შესასვლელ ბილეთებს ასეთი წარ-წყვა ჰქონია: „შაური ორი, გაბრიელ მაიორი“¹. გაბრიელ მაიორის წარმოდ-გენები, თუ ნ. ბერძენოვის ცნობა სწორია, უახლოვდებოდა უფრო ეგრეთ წო-დებულ საეკლესიო-სასულიერო დრამებს ან მისტერიებს², ეს პირველი ნაბიჯი იყო ნამდვილი სცენისაკენ გადადგმული, ესეც მალე გაჩნდა ჩვენში იმავე ერეკლეს მზრუნველობით.

ერეკლე მეფე, როგორც ცნობილია, ახალგაზრდებს გზავნიდა რუსეთში სწავლა-განათლების შესაძენად, რათა მათი საშუალებით გადმოენერგა მერე საქართველოში რუსული კულტურა. ცნობილია, მაგალითად, ასეთი ახალ-გაზრდების ერთი ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ: დავით ბატონიშვილი, ერასტი თურქისტანიშვილი, გიორგი ავალიშვილი და იოანე ორბელიანი. რუსეთში ყოფნისას ესენი გასცნობიან, სხვათა შორის, თეატრს, იქნება რუ-სეთის თეატრებში იმ დროს მომუშავეს, გამოჩენილი მსახიობისა და რეჟისო-რის, სილოვან ნიკოლოზის ძის ზანდუკელის (1756—1820) ან სანდუ-ნოვის ხელმძღვანელობითაც³. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მათ განუ-

1. ლანუთა ხალხიდან ყრილა,
მშვიდთა ქამანდ შვირისა,
ყვლია ბროლ-მინა თიღისა,
ორ მათუბარ უსხო შიღისა,
ნუ მაგზნებალ, შენ გებრთი თვალ,
გიშრის ხალ, ვარ სავადალ!
2. სველისა ნაღობს გასაწერებულად გაშლია ვარდ,
მას სატრფოდ უეს მნათობი, კვედა მაგიდ...
3. აღეახუნე ხაგანი, შეეუყო სახე,
ამ ცრუ სოფელმან არ შიგოს მახე...
4. იშეთა ირს დაამყარო,
ღისკოდ ასხივო სახე მთვარო,
ოგზს იყნოსო ნაგვიზთ აჩო,
ბაგისა ლანუხო, ლალთა ნარუო...

S 1512, გვ. 298—303; S 3723, გვ. 237—239; S 2385, გვ. 167. ამ ქემიშ-დარღობიანდის შესახებ იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, გვ. 114—117.

¹ „История“, 1958, № 86. ეს გაბრიელ მაიორი, ტომით სომეხი, ყოფილა ერეკლეს დროს თოფჩიბაში. მისი გვარი ყოფილა გალეკოვი. ირაკლი მეორეს უბოძებია მისთვის არე-შაშვილის გვარი (ტ. რუხაძე, ლტერატი. ვახუთი, 1961 წ., № 36). იასე ცინცაძის ცნობით, ის მსახურობდა რუსეთის არმიაში (1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 148—149). ის და მისი ძმა დახოცილან 1795 წელს ალა-შაჰმად-ხანის შემოსევისას („კალმა-სობა“, II, 207). ის მოხსენიებულია ბესიკისა და მირიან ბატონიშვილის მიწერ-მოწე-რაში 1788 წელს. ალა-შაჰმად-ხანის შემოსევისას დაღუპულა აგრეთვე იმდროინდელი სცენის მეორე მოღვაწე, „მუხიკი და კომენდიანტი“, უფროსი მსახიობთა შორის, რომელსა სათელ-სდებდენ მაჩაბელად“.

² ტ. რუხაძე უარყოფს მისტერიების არსებობას ერეკლეს დროს („ძველი ქართული თეატრი“, გვ. 123—132).

³ იქვე, გვ. 91—93.

ზრახავთ წარმოდგენების მართვა და პიესების დადგმა. ამ ჯგუფს მიმართებია ერეკლესა და გიორგი მეფეთა, აგრეთვე ავალიშვილის, ქალები, ასე რომ საქირო დასი დაუბრკოლებლივ შემდგარა, მოუძებნიათ შესაფერისი ბინაც წარმოდგენებისათვის: სახლი მესხიშვილისა, ორბელიანისა და მელიქიშვილისა. შესაძლებელია ქართული თეატრის შექმნის საქმეში რაიმე მონაწილეობა მიიღო ორმა ევროპელმა, რომელნიც 1778 წელს ეწვივნენ თბილისს. ესენი იყვნენ ქალ. ვენის დრამატული დასის ანტრეპრენიორი გრაფი კოჰარი და მისი დასის მსახიობი, ცნობილი იაკობ რეინეკსი. თეატრის გასამართად, რასაკვირველია, არ კმარადა მართო სახლის მოძებნა და დასის შედგენა, საქირო იყო ამისათვის პიესები, რომელთა შესახებ ამავე პირებს მოუხდაო ზრუნვა. ამნაირად, საფუძველი ჩაეყარა დრამატულ მწერლობასაც.

ამ მწერლობის მამამთავრად უნდა ჩაითვალოს ქართული თეატრის ინიციატორი გიორგი ავალიშვილი. ეს საქმაოდ ცნობილი პიროვნება ჩვენს წარსულში, ვინაიდან გარსევან ჰეკეაქაძესთან ერთად (გიორგი ცოლისძმა იყო გარსევანისა) მთავარი მოქმედი პირი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში.

გიორგი დაიბადა 1769 წელს და გარდაიცვალა მოსკოვს 1850 წელს. ის საქმაოდ განათლებული კაცი იყო. იცოდა, ქართულის გარდა, რუსული, სომხური და თათრული ენები, უყვარდა ლიტერატურა, განსაკუთრებით რუსული, რომელსაც ის კარგად იცნობდა, ვინაიდან სწავლაც რუსეთში მიიღო და ცხოვრებითაც უმეტეს ნაწილად რუსეთში ცხოვრობდა. 1819—20 წლებში მან მოიარა აღმოსავლეთის წმ. ადგილები და დაგვიტოვა თავისი მოგზაურობის მეტად საინტერესო აღწერილობა, რომელსაც ეწოდება „მგზავრობა თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა და უკუქვევად იერუსალიმიდან თბილისისადმივე, კიპრის ჰალაკისა, მცირისა აზიისა და ანატოლიის ძლით“¹. გიორგის, მისი მოღვაწეობით შექმნილი თეატრისათვის, თითქოს დაუწერია პიესა „მეფე თეიმურაზი“, რომლის ხელნაწერი ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არსად ჩანს. მისი შინაარსი ზოგადად ასეთი ყოფილა: „თეიმურაზი საფლავიდან წამოდგება, ერთს კაცს დაიქერს და ეტყვის: კაცო, შენ ბრმა მილუაშვილი არა ხარ, ეს რაები ჩაგიცვამს? იქით კიდევ ხელს ჩაეღებს სხვა მოქალაქეთ, რომელთაც ევროპაში უმოგზავრნიათ და იქაური ტანისამოსი აცვიათ. შემდეგ მეფე ამბობს: ჰაი გიდი საქართველოვ და საქართველოს ლატაკო ხალხო! მაგრამ ეჰ, შვილო ირაკლი, შენი იმედი მაქვს, რომ ჩვენს საყვარელს ხალხს სიმართლით უპატრონებ და არ შეაქმევ მგლებს ბატყნებივით“².

თავისთავად ცხადია, რომ ახლად ჩასახული დრამატული მწერლობა ისეთ ორიგინალობას ვერ გამოიჩენდა, რომ თვითონ დეკამაყოფილებინა

¹ S 450; А. Цагарели, Сведения, II, гл. XXI—XXVIII. დაწერილებით იბ. ტ. რუხაძე, ქართული ენის „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, გვ. 164—173.
² „დროება“, 1879 წ., № 237; ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი, გვ. 237—240

თავისი საქიროება, მას ძალაუნებურად უნდა მიემართა უცხო წყაროსათვის და იქიდან გადმოეტანა ჩვენში სხვისი პიესები. ასეც მოიქცნენ ქართული თეატრის პიონერები, კერძოდ გიორგი ავალიშვილი: მან მიმართა რუსულ დრამატულ მწერლობას, სახელდობრ—მის მამამთავარს ა. პ. სუმაროკოს, და გადმოთარგმნა მისი სამი კომედია: 1) „რქისმატარებელი“ (Рогоносец), 2) „დედა ჩაყიფი ქალისა“ (Мать, совмещива да черн) და 3) „საჩხუბარი“ (Вздорница)¹. კომედიები ნათარგმნია მშვენიერი ქართულით, რომელიც ასე ეხერხებოდა გიორგის, თუმცა თარგმანში მრავლად მიმობნეული რუსიციზმები, როგორც მაგალითად: იეგირი, მანერა, ფიროგი, მალინოვკა, პრანცები, მოდა, ვერსი, რუბლი, არხივი, უქაზი, ვლიენში (в геешу), პოლეტიკა, კუჩერი, პოვალუსტა, აბიდა, ტეატრის ლოცა, ვიზიტი, ბილეთი, მუზიკის ახოტნიკი, ღურაკი, პივა, ხანეა და სხვ. ეს სიტყვები აშიაზე ქართულადაცაა განმარტებული, მიწერილია აგრეთვე რუსული შესატყვისები ზოგიერთი ქართული სიტყვებისა, მაგალითად, იკრეკ—სკალიშ, სულთქმა—უნინიე, მწუხარება—ღრუსტი, ხრინწი (მაგ შენ ენაზე)—ციპუნ (ტებე ნა იაზიკე), შეაწყენ—უტრუეი, კლანკებში—ვლამი, განქარდა—მინოვალა, ეწვალე—სტრადაი, უიშედო—ოტჩინნაია, მსკვალი—როენა, სიდედრი—ტეშჩა, ნუ როტაე—ნე კოლობროდ, საუცხოვო—დიკოეინკა, ეინება—ნრავ, მექერე—ვოროევი და სხვ. „რქისმატარებელი“, ზ. მთაწმინდლისა² და ა. ხახანაშვილის³ სიტყვით, 1791 წელს სამჯერ იქნა წარმოდგენილი, დანარჩენი ორი კი 1792 წელს წარმოადგინესო. ეს მართალი არაა. საკმე ისაა, რომ ამ პიესებს ხელნაწერში შემდეგი შენიშვნა აქვს დართული: „ითარგმნა რუსულით ქართულსა ენასა ზედა თავადის გიორგი ავალოვისაგან ფებერვალსა კზ, ოცდაშვიდსა, წელსა ჩლუდ, ათას შვიდას ოთხმოცდა ოთხმეტსა, ქორონიკონსა უპბ, ოთხას ოთხმოცდა ორსა, იეგორევისკის კრეპოსტში“. თუ ისინი 1794 წელს ითარგმნა, ცხადია, მათ ვერ წარმოადგენდნენ 1791 და 1792 წლებში.

ამავე გიორგი ავალიშვილს, ზ. მთაწმინდლისა და ა. ხახანაშვილის სიტყვით⁴, ჩენი ხალხის ცხოვრებიდან დაუწერია ორმოქმედებიანი ორიგინალური კომედია „ძვირი და უხვი“; შემდეგ უთარგმნია კიდევ ორმოქმედებიანი კომედია „უბნობა მკედართა“, რომელშიაც გამოხატულია, თუ როგორ იყო მაშინ გლეხი თავადისაგან დევნილი და ტანჯულიო. გამოდის, თითქოს „უბნობა მკედართა“ და „ძვირი და უხვი“ ორი სხვადასხვა ნაწარმოებია და უკანასკნელი ორიგინალური ქართული პიესაა. მაგრამ ეს ასე არაა. გიორგი ავალიშვილის სახელით ცნობილი დიალოგი-სატირა (და არა კომედია) „უბნობა მკედართა“ წარმოადგენს სუმაროკოვის პიესის „Разговор мертвых“ თარგმანსა და ოთხი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი არის „ძვირი და უხ-“

¹ ეს კომედიები მოთავსებულია S 11 ხელნაწერში.
² „დროება“, 1879 წ., № 232.
³ „Очерки“, IV, გვ. 50.
⁴ „დროება“, 1879 წ., № 236; „Очерки“, IV, გვ. 50.

ვი“. მეორე — „უბნობა მაღალხარისხისა და მდაბალხარისხისა“, მესამე — „უფალი და მონა“, მეოთხე — „ჯარა აქიმი და ლექსის მთქმელი“¹.

თავისი პიესების წარმოდგენაზე გიორგი ავალიშვილი წარმოთქვამდა თურმე შემდეგს, მის მიერ დაწერილ, ლექსს:

მე სახედველნი იგ ჩემნი დაეპერე წიგნთა წერითა,
ზოგთ ჩემთ მოქმედებულზე, ზოგთზე სხვით გადმოწერითა,
მსმენელთ ვევედრებ, ნუ მკიცხვენ ამა ლექსისა მღერითა,
არ დაიშლიან, მაჩვენონ იგ, თუ ვმსახურე მე რითა.

თუ ხართ ვინმე მოსურნენი თეატრს სმენად ანუ ცნობად,
შეიმეტებთ განდიდებას, ბრძენთა აგებთ თქვენად მკობად.
ერიდებით უსამართლოდ ჩემებრ მწერთა ცუდად გმობად,
არ დაიშლით, ჰგავს—არ რილებთ თქვენთან გლახ გულთ ლახვარ
სობად.

მერწმუნენთ, არ მას ვუბნობ, მქონდეს მეტი მისკენ ვრდობა,
მაგრამ მწადის განრინება კიცხვითა და ქვემო ჩრობა,
ნუ იკადრებთ, გაცხადებით იქონიოთ ჩემზე წერობა,
დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს, მლიქვნელობა, ქვე-ქვე ძრომა².

ეს ლექსი საყურადღებოა, სხვათა შორის, როგორც მაჩვენებელი იმისი, თუ როგორ უყურებდა გიორგი ავალიშვილი თეატრისა და კომედიის დანიშნულებას: „მაგრამ მწადის განრინება კიცხვითა“, „დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს, მლიქვნელობა, ქვე-ქვე ძრომა“. ის პრაქტიკულ, უტილიტარულ მიზნებს უსახავდა სცენას და სასცენო ნაწარმოებს. ამ შემთხვევაში ის მოგვაგონებს მის მიერ ნათარგმნი კომედიის აქტორს, სუმაროკოვს, რომელიც ამბობდა, რომ კომედიის მიზანია „надевать править нрав, смешить и похвалить прямой ее устав“.

მართალია, ძველი ქართული დრამატული მწერლობა გენეტიკურად დაკავშირებულია რუსულ დრამატურგიასთან, მაგრამ იმაში არ გადმოსულა ცრუკლასიციზმის ელემენტები, რომლებიც იმდროინდელ რუსულ დრამატურგიას, მით უმეტეს ევროპულს, ახასიათებს. ერეკლეს დროის ქართული დრამატურგია ჩეალისტური ელემენტების შემცველია, მან არ მიიღო ცრუკლასიკური დრამის კანონები³. თუ ის ცრუკლასიციზმს მოგვაგონებს, მხოლოდ იმით, რომ იმაში გადმოსულია, უშუალოდ თუ რუსულის მეშვეობით, რამდენიმე პიესა კორნელის, რასინისა და ვოლტერისა, მაგრამ ისეთი სახით, რომ ამ პიესების ქართულ თარგმანში თითქმის არაფერი დარჩენილა ცრუ-

¹ გიორგი ავალიშვილის მიერ თარგმნილი პიესები სუმაროკოვისა განხილული და გამოცემულია ტ. რუხაძის შრომაში: „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“, გვ. 211—235, 334—490.

² „დროება“, 1879 წ., № 237.

³ ამის შესახებ იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, გვ. 152—160.

კლასიკური. ეს ყველაზე კარგად ჩანს რასინის „ეჭილენიაში“, რომელიც ქართულად გადმოუკეთებია მდივანბეგ დავით ჩოლოყაშვილს.

მდივანბეგი დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი, კაცი განათლებული და „დიდად მინიჭებული სიტყვითა და მწერლობითა“¹, ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში იმითაც, რომ გადმოუღია ლომონოსოვის ოდა „Бор“, გაულექსიავს „წიგნი იობისა“, თავი 40, 41², 145 ფსალმუნი და დაუწერია „ლექსნი რომელნიმე საქებლნი და რომელნიმე საღალობელნი“³. დრამატულ დარგში მას „მათის მეფობის დიდებულების, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის შესაქცევლად“, როგორც ვთქვით, გადმოუკეთებია კარინის რუსული თარგმანიდან რასინის ტრაგედია „ეჭილენია“, „ემოხასა მეფობისა მისისასა ნბ, წელსა შემდგომად მაცხოვრისა ჩუენისა ჩლჴმ, თთჴსა მარტსა გ“⁴, ესე იგი 1795 წელს. დავითის ეს შრომა გამოცემულია პირველად პროფ. ა. ცაგარლის, მეორედ მ. აბრამიშვილის (1925) და მესამედ ტ. რუხაძის⁵ მიერ. ირკვევა, რომ დავითს მთლიანად და უცვლელად კი არ გადმოუთარგმნია რასინის თხზულება, არამედ გადმოუკეთებია ის თავისებურად, ის მას შეუპოვლებია იმდენად, რომ ერთი მესამედილა დარჩენილა ორიგინალურიდან, შეუცვლია რამდენადმე რიცხვი და სახელები მოქმედ პირთა, რასინის 5 მოქმედებისა და 37 გამოცხადების მაგიერ აქ ჩვენ გვაქვს 8 მოქმედება და 8 გამოცხადება. თავის მხრივ დავითს შეუტანია პიესაში მთელი ეპიზოდები, ასეთია: მოთხრობა ულისესი მამის მიერ შვილის მსხვერპლად შეწირვის შესახებ, აქილევის ქება, მონოლოგები ალამემონისა და კლიტენმესტრასა და სხვ.

დავით ჩოლოყაშვილს ეს ტრაგედია გადმოუკეთებია ერეკლეს „შესაქცევლად“, კიდევ მერტი: ალამემონად მას თვითონ ერეკლე უგულისხმებია, რაც ულისეს შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „მათის მეფობის დიდებულებამ სათნი იჩინა მოხსენებული ძლევა ახილესისა და დიდის მადლობითა მიითვალავს რომ არათუ პირჴსლი იყო ესე მიმდინარეობასა შინა ამა ნბ წლისა მეფობისა მისისა“. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ პიესის გადმოთარგმნა-გადმოკეთებისას დავითს მხედველობაში ჰქონდა ალა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრება და ერეკლეს ერისათვის თავგანწირვა ამ დროს. როგორც პროფ. ა. ცაგარელი ამბობს⁶. პიესა დაწერილია ნ თვით ადრე, ვიდრე ეს აოხრება მოხდებოდა, ასე რომ დავითს არ შეეძლო წინასწარ მოესწავებია ჩვენი ისტორიის ეს სავალალო ფაქტი.

მიუღებელია აგრეთვე ა. ცაგარლის შემდეგი სიტყვები: „Перевод сделан, повидимому, с французского, и нет никакого основания допускать, что он

¹ მას თვლიან ვოლტერის მოძღვრების მიმდევრად.

² დ. ჩუბინაშვილი, ქრესტომათია, II, 1863 წ., გვ. 74—75; S 3723, გვ. 79—80.

³ А. Цагарели, Сведения, III, გვ. 181.

⁴ იქვე, გვ. 304—320, XXXIX—XLVII.

⁵ ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი, გვ. 297—333. აქვე მოცემული მისი ანალიზი (გვ. 169—192).

⁶ А. Цагарели, Сведения, III, გვ. XLVI—XLVIII.

сделан с русского“¹. ის „ევროპეიზმები“, რომელნიც ცაგარულსაც აღუნიშნავს², საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ პიესა გადმოკეთებულია არა ფრანგული დედნიდან, არამედ რუსული თარგმანიდან. ეს ცხადია შემდეგი რუსიციზმებიდან: ვლაგირი (в лагере), სტოლი, ჩესტი, ჩესტს მისცემს, ბარაბანი, ბარაბანი პოხოლსა სცემს და სხვ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხანდახან მთარგმნელი ფრანგულ დედანშიც იხედებოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ტრაგედიის ზოგიერთი ნუსხა, გადამწერთა უმეტრებით, მას მიაწერს ხან სააკაძეს³, ხან ალექსანდრე ქავკაძეს⁴.

ყოფილა აგრეთვე ქართული „ეჭიდენიას“ მეორე ვერსია⁵.

ერეკლეს თეატრის რეპერტუარში ადგილი ჰქონდა თითქოს ორიგინალურ პიესებსაც. პროფ. ა. ცაგარელი ამბობს, რომ მას ხელში ჰქონია რამდენიმე ისეთი პიესა, რომელთა სუფეტი აღებულია XVIII საუკუნისა და XIX-ის დამდეგის ქართული ცხოვრებიდან. სამწუხაროდ, მათი ავტორები და დაწერის წელიწადი ცნობილი არააო⁶.

ერეკლეს შეფობით გათავდა, შეიძლება ითქვას, ძველი ქართული თეატრის ისტორია. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამ და ქვეყნის აოხრებამ, რომელსაც მალე ერეკლეს სიკვდილიც მოჰყვა, ბოლო მოუღო ქართულ თეატრსაც. მაგრამ სათეატრო ლიტერატურის ზრდა-განვითარება ამას არ შეუფერხებია. ამას ხელს უწყობდა, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ, საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, თბილისში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები რუსულ ენაზე რუსთათვის, განსაკუთრებით კოვალენსკისა და ერმოლოვის დროს⁷. გულშემატკივარ მამულიშვილთათვის, რომელნიც სამშობლოსთან ერთად მშობლიურ თეატრის აღორძინებასაც მოელოდნენ, რუსული წარმოდგენები საკმაოდ ძლიერი სტიმული იყო ეზრუნათ ქართული რეპერტუარის გამდიდრებისათვის. მართლაც, ჩვენამდე მოუღწევია ხელნაწერებში შემდეგ პიესებს:

1. „ველისარბონი“, ტრაგედია, რუსულიდან გადმოკეთებული უცნობი პირის მიერ მეთვრამეტე საუკუნისა და მეცხრამეტის მიჯნაზე⁸.

2. „ვეფხისტყაოსანი ტრაგედიად“ ან „ინდოეთის ტახტის მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსადმი“ გაიდერძი ფირალიშვილისა (1768—1825), 1805 წელს დაწერილი⁹. ავტორს სურვილი ჰქონია მისი დაბეჭდვისა, მაგრამ ცენ-

¹ А. Цагарели, Сведения, III, гл. XL.

² იქვე, გვ. XXXIX.

³ Brosset, Rec. des Actes de Acad. de Scien., 1838, p. 108: А. Цагарели, Сведения, III, XXXI.

⁴ А. Хаканов, Очерки, IV, гл. 38, № 1.

⁵ ის განხილულია ტ. რუხაძის მიერ („ძველი ქართული თეატრი“, გვ. 198—204).

⁶ А. Цагарели, Сведения, III, гл. XXXIX.

⁷ „იფრია“, 1885 წ., № 4—5, გვ. 120.

⁸ ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი, გვ. 262—266.

⁹ იქვე, გვ. 248—257.

ზურას ნება არ დაურთავს, სხვათა შორის იმ მოსაზრებითაც, რომ ეს პიესა მამულიშვილურ გრძნობას აღვივებს და აღიზიანებსო.

3. „მოქმედება ასტრახანსა შინა“, სატირა-კომედია ალექსანდრე ამილახვერისა (1750—1802), დაწერილი 1801 თუ 1802 წელს¹.

4. „ატეისტი“, ტრაგედია, თარგმანი რუსულიდან მირიან ბატონიშვილისა (1776—1834), შესრულებულია 1805 წელს².

5. „ალათოკლე“, ტრაგედია, გადმოღებულია ფრანგულიდან 1810—1819 წლებში; მიეწერება პეტრე ლარაძეს, მაგრამ ნამდვილად უნდა თეიმურაზ ბატონიშვილს დაეწერა³.

6. „სამსახეობა რაინდისა“⁴, თეიმურაზ ბატონიშვილისა, დაწერილი უნდა იყოს XIX საუკუნის 30-იან წლებში⁵.

7. „სინავ და ტრუფორი“ სუმაროკოვისა, ქართულად გადმოთარგმნილი პეტრე ქებაძის მიერ რომელიც დაახლოვებული იყო თეიმურაზ ბატონიშვილსა და მ. ბროსესთან⁶.

8. „ღმიტრი, თავისა თვისისა მწოდებელი“ ან „ტრუ ღმიტრი“, ტრაგედია სუმაროკოვისა; მთარგმნელი უცნობია, მაგრამ თარგმანი შესრულებული უნდა იყოს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში⁷.

ამ დარგში თავი გამოუჩენია მგოსან ალექსანდრე გარსევანის ძე ქავკავაძესაც (1786—1846).

აი უდავოდ მის მიერ თარგმნილი პიესები:

1. „სინნა“, კორნელის ტრაგედია, რომელიც, როგორც ზელნაწერში აღნიშნული, ალექსანდრეს უთარგმნია ფრანგული დედნიდან (S 4910). ნათარგმნია 16-მარცვლიანი ლექსით, რომლიდანაც მოვიყვანთ ერთ ნიმუშს:

ძოდანაც ვფუტე, ჭულკიავ, და აწცა ვფიცავ ზეცითა,
მე სინნა მიყვარს და ვეტრფი სურეთოა მეტის-მეტითა;
.მარა თუ მასაც მე ვუნდი, ჯერ არს აგვისტო წარწყვიდოს,
სისხლსა მისსა ესთხოვ ჩემ ფასად, თუ არ, ვერარით მიყვიდოს⁸.

2. „ესთერი“, ტრაგედია რასინისა (S 2480), შენახულა არა მთლიანი პიესა, არამედ ცალ-ცალკე როლები, ამოწერილი ყველა მოქმედებიდან. აქ ჩვენ გვაქვს როლები არტაქსარის, ესთერის, მარდოხესი, ამანისი, ზოსარასი

¹ ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი, გვ. 240—248.

² იქვე, გვ. 257—262.

³ იქვე, გვ. 267—272.

⁴ იქვე, გვ. 272—278.

⁵ ს. იორდანიშვილის გამოცემა, 1947 წ.

⁶ ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი, გვ. 234—237.

⁷ იქვე, გვ. 232—234. იქნებ, ტ. რუხაძის მიერ მოყვანილი ადგილი ამ პიესისა „საფუძველნი სიტყვიერებისანის“ ავტორს მოჰყავს არა ამ პიესის ქართული თარგმანიდან, არამედ რუსული ტექსტიდან, როგორც ციტატი.

⁸ უნდა დაბეჭდილიყო 1884 წელს „ივერიაში“, მაგრამ ცენზორმა არ გაუშვა („ილია ქავკავაძის საიუბილეო კრებული“, 1939 წ., გვ. 209).

და ელისაბედის. პიესა ნათარგმნი ყოფილა 16-მარცვლიანი ლექსით, რომლის ერთ-ერთი ნიმუში ასეთია:

ეს თ ე რ ი: ... სისხლი ძარღვთ შემყინებია.

მ ა რ დ ო ხ ე:

ებრავლთ თვისლის ერთობით აღმოუხურა უბრძანებია,
ჩვენ ყოვლნი სისხლის მწყურვალის ამანს ხელთა შთაცვიენულ,
მკულელნი რკინანი, ფოლადნი სასჯელად უკვე განმზადულ,
სრულად ერი ეძლევის სამუსრად ბასრსა მახელსა,
ულმართოსა ამანს, ამანსა, ვულეაბს შინა შობილსა,
უქმნია ესე განზრახვა თვისთა შემძლებელობით,
და მეფეს დაუმტკიცნია, გლახ საენოს მინდობილობით...

ესთერ, ცრემლი და ტირილი ამა კმაწულთა მიანდენ,
შენ მხოლოდ უეი იმედოდ შენთა მათ ძმათა ბედშეათა,
გმართებს უსწრაფო შეწვენა, ნუ ჰქარავებ ყამთა ძვირფასთა.

3. „ფედრა“ რასინისა.

ეს პიესები ა. ქავჭავაძეს ლექსით გადმოუქართულებია. გარდა იმ სამი პიესისა, მას მიეწერება კიდევ სამი პიესის გადმოღება. თუმცა საკითხის სპეციალურად მკვლევარის, ტ. რუხაძისათვის, ეს სადაეოა¹.

აი ეს პიესები:

„ჰერაკლე“, ტრაგედია კორნელისა (S 2480). თარგმანი დასურათებულია, შენახულა მხოლოდ პირველი მოქმედება, ხუთგამოცხადებად. მოქმედება წარმოებს კონსტანტინოპოლში, სუვეტი აღებულია ბიზანტიის ისტორიიდან. მარკიანე იმპერატორი მოჰკლა ფოკამ, რომელსაც, თავის საგვარეულოში მეფობის განსამტკიცებლად, სურს თავის ძეს მარტიანეს შერთოს ასული მარკიანესი პულქერია, უკანასკნელი კატეგორიულ უარს უცხადებს და აშინებს ფოკას, რომ კანონიერი მემკვიდრე მარკიანესი, შვილი მისი ჰერაკლე, მოდის, რათა შური იძიოს და ტახტი დაიბრუნოსო. პიესა ნათარგმნი უნდა იყოს რუსულიდან, რასაც გვაფიქრებინებს მისი რუსიციზმები, მაგალითად: უფულავ, პოლეთიკა და სხვ. აქა-იქ აშიაზე განმარტებულია უცხო სიტყვები და მიწერილია: „ალექსანდრე ქავჭავაძე“.

„ალზირა ანუ ამერიკელი“, ტრაგედია ვოლტერისა, გადმოთარგმნილია პროზაულად რუსულიდან².

„ედიპი“ თარგმანი რუსი დრამატურგის ვ. ა. ოზეროვის (1770—1816). პიესისა „Эдип в Афинах“³.

ჩამოთვლილთ გარდა, ჩვენამდე მოუღწევია სამ პიესას, რომელთაც შეცდომით იმავე ა. ქავჭავაძეს მიაწერდნენ. ესენია:

¹ ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი, გვ. 278—283.

² იქვე, გვ. 284, 285.

³ იქვე, გვ. 278—283.

„ფანტაზმა ანუ შამხალ წინასწარმეტყველი“, პიესა ვოლტერისა, ქართულად გადმოთარგმნილია პ. პოტიომკინის რუსული თარგმანიდან ვინმე ზუბალაშვილის მიერ.

„ზაირა“, ტრაგედია ვოლტერისა, გადმოღებული რუსული თარგმანიდან დავით ფურცელაძის მიერ¹.

„სიდი“, ტრაგედია კორნელისა, რომელიც აწყობილი იყო 1885 წელს „ივერიაში“ დასაბეჭდად, მაგრამ რალაცა მიზეზით არ დაბეჭდილა. ხელნაწერი მისი ჩვენ არ გვინახავს.

1852 წლის 12 იანვარს ოქროპირ ბატონიშვილს დაუმთავრებია რუსეთში ტრაგედია „ვეფხვის ტყაოსანი“, რომელიც დაუბეჭდავს კიდეცა მოსკოვში 1853 წელს. ის შედგება ხუთი მოქმედებისა და 30 სურათისაგან შეიცავს 1436 სალექსო სტრიქონს².

ამით ამოიწურება ისტორია ჩვენი ძველი თეატრისა და დრამატული მწერლობისა; ჩვენამდე გადარჩენილა ძველი თეატრის რეპერტუარიდან ოცდასამამდე პიესა, რომელნიც არ იყვნენ მოკლებულნი ერთგვარ მნიშვნელობას: ისინი აღვივებდნენ საზოგადოებაში სამშობლოსადმი სიყვარულს. აღამიანობისა და მოველეობის შეგნებას, პატროსნებისა და კაცთმოყვარეობის გრძნობას და სხვა მალალ იღებებს, აღვიძებდნენ შეგნებას სცენის საჭიროებისა და მნიშვნელობისას და ნიადაგს უმზადებდნენ ნამდვილ ეროვნულ დრამატურგიას და თეატრს, რომელიც ჩვენში ფეხს იდგამს მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან.

¹ ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი, გვ. 283—286.

² მ. ალავიძე, ოქროპირ ბატონიშვილის პიესა „ვეფხისტყაოსანი“ (იქუთაისის პენსიტრუტის შრომები VII, 1947 წ., 117—136).



მამუკა ბარათაშვილი

პირთა საძიებელი

(შეადგინა ქეთევან ცხადაძემ)

ა

- აბაჯაძე („ვახტანგისანი“) 536.
აბაჯაძენი 80.
აბან ქამანისძე („ამირანდარეჯანისანი“) 69
აბასი ნ. შაჰ-აბასი.
აბასი („ამირანსარიანნი“) 483.
აბაღა მონღოლი (მონღოლური ხალხური ლექსა, გამთავაღმწერელი) 304.
აბაში („ამირანდარეჯანისანი“) 65.
აბღალმესი (წმ.) ნ. აბღულმესი.
აბღალ-მეტალიბი („ყისაჰამზა“) 74.
აბღულა ბერი („სპილენძისქალაქისანი“) 445—447.
აბღულა-ინ-მუყაფა (არაბი პოეტი) 254.
აბღულ-მელიქ ყაზი („სპილენძისქალაქისანი“) 447.
აბღულმესი, აბღალმესი (წმ.) 234, 235.
აბღულმესი (ჯეჟარის მამის მეღვტის ძმა) 234.
აბღულმესია [შეთელის სახელი (პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი), დაეთ აღმაშენებლის ზედწოდება (ნ. შარი), საყუთარი სახელი აღმოსავლეთის ეკლესიაში (ყ. კეკელიძე)] 233, 234.
აბღურაჰმან ჯამი ნ. ჯამი აბღურაჰმან.
აბელი (ბიბ.) 607, 669.
აბესალოში („ამირანდარეჯანისანი“) 63, 64, 66, 68, 69, 71, 79, 139.
აბისაკი (ბიბ.) 275, 287.
აბო თბილელი 9.
აბრაამი (ბიბლ.) 354.
აბრაამი („ამირანდარეჯანისანი“) 140.
აბრაამიშვილი მ. 697.
აბრუ ზელმწიფე („მორისანი“) 441.
აბუბაქარი ნ. ბოქარი.
აბუ დოლუფი (ნახჩევანის მთავარი, XI ს.) 339.
აბუ-თამაში („ბახთიარნამე“) 471.
აბუთარი („ამირანდარეჯანისანი“) 66.
აბუქურა (თეოდორე აბუქურა, ხარანის ეპისკოპოსი, 740—820) 38.
აბულამი („ამაზაი დიფნის ქალაქისა“) 437.
აბულ ასანი („ამირანდარეჯანისანი“) 64.
აბულასან (ქართლისა და თბილისის ამირა) 275.
აბულაძე ილ., პროფ. 7, 111, 125, 423, 425, 454.
აბულაძე იუსტი, პროფ. 19, 53, 55 — 57, 115, 116, 119 — 122, 134, 145, 147, 160 — 162, 164, 165, 167, 185, 186, 288, 325, 329, 337, 339, 343, 402, 412, 413, 416, 417.
აბულ ისაყი, ისაყი („ფირმალიანი“) 434 — 436.
აბულისძე გუზან ნ. გუზან აბულისძე
აბულ-ლაზი-ქუსეინ ბაჰადურ-ხანი (ზორასნის სულტანი, 1470 — 1505) 462.
აბუ საბირი („ბახთიარნამე“) 427.
აბუსუარი („ბახთიარნამე“) 471.
აბულტალიბი („ამირანდარეჯანისანი“) 74.
აბუ-ტაჰირ-მუჰამედ-ბენ-ტარსუსი 354.
აბუ-ჯაფარ-მუჰამედი (ახვრბაიჯანის თაბაჯი) 390.
აბ 243.
აგათანგელოსი 255.
აგათონ („შვიდეუზირიანი“) 475.
აგვისტო („სინნა“) 669.
აღამი (ბიბლ.) 287, 354, 442, 443, 498, 555, 575, 585, 607, 648, 650, 652, 669.
აღარნაჟე (ამოტ I კურაპალატის ძე) 9.
აღერკი 13, 257, 258.
აღინა („ვისსარბიანი“) 131.

აეგ ორბელიანი (სოფ. აძიკვის ეკლესიის- ბარე-
ლოფზე გამოხატული) 313.

აეგ (პასალარი) 303.

აელოშვილი გიორგი, აელოვი გიორგი (1769—
1850) 687, 693 — 696.

აელოშვილი დომენტი, დომენტი პროვესტ
(პროვესტო ეპისკოპოსი) 523.

Avalishvili Z. 426.

აელოშვილი ტატიანა ვასილის ასული (დაეთ
გურამიშვილის მეუღლე, გარდ. 1794 წ.) 644.

აელოვი გიორგი 5. აელოშვილი გიორგი.

აე-გიორგი (კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის ძე,
კახეთის მეფე, 1511 — 1513) 329, 620.

აეთანდილი („ვეფხისტყაოსანი“) 37, 87 — 89,
93 — 98, 101, 102, 108, 117, 121, 127, 128,
130, 132, 135 — 141, 143, 145, 150, 171 —
173, 188, 191, 201, 204, 211, 289, 366—368,
370, 380, 417, 419, 426, 498, 527, 528,
530, 615, 688.

აეთანდილი (გიორგი სააკაძის შვილი) 325.

აეთანდილ („ანბანთქება“ დ. ორბელიანისა) 676.

აეთანდილ („ანბანთქება“ შაია გაბაშვილისა) 677.

აერულიანე 487.

აელუსტინი (ქართველ მეფეთა ტიტულატურა,
ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) 267.

აზღაბანთი („ბახთიარნაე“) 471.

აზიზი („იოსებზილხანიანი“) 376, 377.

აზიზი („სპილენძისქალაქიანი“) 446, 448.

აზრა („ვემე და აზრა“) 56, 138, 293.

ათაბ (პოეტი, XI ს.) 338, 347.

ათანასე ალექსანდრიელი 38.

ათარ დევი („სეილანიანჲ“) 360.

ათენი (დმერთი) 7.

ათონელი: ნ. გიორგი ათონელი, ექვთიმე ათონ-
ნელი.

აინლიეთი, ალათი („შადბერაინლიეთი“) 231,
275, 287, 293.

აიში (პოეტი, გარდ. 1650) 394.

აკაკი ნ. წერეთელი აკ.

ალავერდელი ნ. ფილიპე ალავერდელი.

ალაფიძე მ. 701.

ალათი ნ. აინლიეთი.

ალექსანდრე („ამირანსასარაიანი“) 483, 484.

ალექსანდრე („საწუთროს ზალი...“ ვახტანგ VI-ის
ელეგია) 603.

ალექსანდრე ბატონიშვილი (არჩილ მეფის ძე,
1674 — 1710) 477, 479, 574.

ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაქარ მეფის ძე)
478, 479, 664.

ალექსანდრე დიდი. ნ. ალექსანდრე მაკედონელი.
ალექსანდრე (ვახტანგ V-ის ძე) 506.

ალექსანდრე (თეიმურაზ I-ის ძე) 493, 552, 564.

ალექსანდრე მაკედონელი, ისკანდერ მაკედონ-
ელი, ალექსანდრე დიდი 38, 53, 165, 254,
255, 261, 263 — 266, 268, 270, 271,
273, 283 — 286, 288, 289, 292, 301,
362 — 364, 482, 487, 582.

ალექსანდრე მეფე (ალექსანდრე II ლევანის ძე,
კახეთის მეფე. 1574 — 1605) 515, 551.

ალექსანდრე მეფე, ალექსანდრე III (იმერთა
მეფე) 344, 510, 552, 565 — 567.

ალექსანდრიელი: ნ. ათანასე, კირილე, ოლიმ-
პიორილე, პანსოფი ალექსანდრიელები.

ალექსი (წმ.) 235.

ალექსი (ბერძენთა უფლისწული) 171.

ალექსი მეფე (რუსეთის) 312.

ალექსიძე-მესხიშვილი აპრონ (დეკანოზი) 641.

ალი დილაში („ამირანდარეჯანიანი“) 64 — 66,
69.

ალიექმარი („ომიანიანი“) 370.

ალიში („სირიონზანიანი“) 352.

ალიყანი (მონღოლური ხალხური ლექსი, ეამდო-
არმწერელი) 304.

ალიშერ ნაოფი, ნევაი; ფანი (1441 — 1501) 380,
394, 404, 405.

ალმასი („ბარამეურიანი“) 397.

ალმასხანი („ანბანთქება“ შაია გაბაშვილისა) 676.
ამაზასპა 13, 257.

ამანი („ესთერი“) 699.

ამარ იამანელი („ამირანდარეჯანიანი“) 70.

ამარტოლი: ნ. არსენ ამარტოლი, გიორგი ამარ-
ტოლი.

ამასიელი ნ. ბასილი ამასიელი.

ამბრი არაბი („ამირანდარეჯანიანი“) 61 — 64,
66 — 68, 70, 74, 75, 82, 84, 86, 143.

ამიან დევი („მირიანი“) 440.

ამილახვარი ალექსანდრე (1750 — 1802) 699.

ამილახვარი გივი 502.

ამილახვარი (ვახუშტის თანამედროვე) 545.

ამილახორი („მარჯვენის დროშის პატრონი“) 505.

ამინი (პოეტი, XVIII საუკ.) 412.

ამირან დარეჯანისძე, ამირანი („ამირანდარეჯა-
ნიანი“) 17, 53, 60, 62 — 69, 71, 72, 74—79,
81 — 87, 138, 139, 141, 143 — 145, 174;
233, 234, 275, 287, 355, 356.

ამირანი („მირიანი“) 440.

ამირ არაბი („ამირანდარეჯანიანი“) 74.

ამირგურ-ბანი („შპანავანიანი“) 515.

- ამირე-არაბ („ეყისაჲ ჰაშა“) 74.
ამირჯები („ეხტანგინა“) 536, 537.
ამირინდო („ამირანდარეჯანინი“) 86.
ამირიძე იოსებ, ქეშიშ-დარდიმანდი 692.
ამირ-მირანი, ამირ-მირმანი (ათაბაგი) 172, 286, 687.
ამირ შოკ („საბლენძისქალაქიანი“) 445, 447.
ამირ-მუმლი („ამირანდარეჯანინი“) 67, 75, 85.
ამირ-ნასარ, ჰამირ-ნასარ („ამირნასარიანი“) 483 — 485.
ამირ-ნასარ სამანიდი 213.
ამირ—ყასუმი („რუსულანინი“) 424.
ამირ ხოსროვ დეკლუვი, ხოსრო დეკლუვი, ამირ ხოსროვი (1253 — 1325) 384, 390 — 392, 394, 404, 405, 428, 444.
ანა ბატონიშვილა (თეიმურაზ II-ის ასული) 612, 665, 666.
ანა დედოფალი, ანა (შაჰუკა ორბელიანის ასული, იმერეთის დედოფალი) 661, 666 — 671.
ანა (თეიმურაზ I-ის მეუღლე) 552.
ანაკერონი 490.
ანასტასია ნ. ბეგრელი.
ანასტასია (დიმიტრი ბაგრატიონის ასული) 641, 642.
ანაქსაგორი 487.
ანახანუმი, ანახანუმ დედოფალი (ბეჟან იოთამი-შვილის ასული, თეიმურაზ II-ის მეუღლე) 606, 665.
ანგია ლაღი 428.
ანდალაბი („მირიანი“) 440, 441.
ანდიზან გრძნეული, ანდიზან მოკვი 36, 243.
ანდრია („ანბანთქება“ შაია გაბაშვილისა) 676.
ანდრია კრიტიელი 564.
ანდრია (მოციქული) 598.
ანდრია სტრატოტი (წმ.) 8.
ანდრონიკაშვილი ოტია (მდივანბეგ) 630.
ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო, ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივანბეგ, ელილასი 241, 422, 638.
ანთაქვისძე („ამირანდარეჯანინი“) 70, 85, ანთიმოსი (წმ.) 631.
ანნა (არაგვის ერისთავის გიორგის ასული, ბაქარის მეუღლე) 478.
ანნა იოანეს ასული (იმპერატრიცა) 477.
ანტიოქელი ნ. მარგარიტა ანტიოქელი.
ანტეჰრისტე 670.
ანტონ ბატონიშვილი ნ. ანტონ I.
ანტონ ეგვიპტელი 264.
ანტონ I, ანტონ კათოლიკოსი, ანტონ ბატონი-შვილი, ანტონი 17, 18, 125, 127, 192, 315, 317, 320, 327, 363, 453, 454, 482, 524, 552, 564. 600, 606, 611, 661 — 663, 670, 677.
ანტონ ჭყონდიდელი, ანტონი 126, 277.
ანუკა (ვახტანგ V-ის ასული) 506.
ანუშირვანი („ომანიანი“) 371.
ანუშირვან ხელმწიფე („ამირნასარიანი“) 483.
ანუშრევანი („საჰანაშ“) 332.
ანჯაბი (პოეტი) 444.
აპოლონი (ღმერთი) 7, 8, 301.
აპოლონიანი (ქართულ მეფეთა ტიტულატურა, „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“) 267, 273.
არაგვის ერისთავი ოთარი (შესაძლებელია იგივე ალოპინების პერიოდის უცნობი პოეტი ოთარი) 639.
არაგვის ერისთავი („ეხტანგინი“) 536.
არადელი („არჩილიანი“) 584.
არამია („მირიანი“) 289.
არამშაპი („სირინოზიანი“) 352.
არაქელევი სტეფანე სიმონის ძე 447.
არაში („ეჟიპტოზიანი“) 53.
არდანვარდანი („სირინოზიანი“) 352.
არდადი („სირინოზიანი“) 350, 351.
არდაშირი („ბაშაიანი“) 349.
არეოპაგელი ნ. დიონისე არეოპაგელი.
არზამანიკი („ამირანდარეჯანინი“) 65.
არიოსტო 165.
არისტიდე 490.
არისტოპოლი 490.
არისტოტელე, არისტოტელე 263, 271, 286.
არისტოტელე 38, 180, 283, 482, 487, 490.
არისტოფანე 487.
არმან დევი („უთრულიან-სამიანი“) 339.
არმოკლ-ჯიშური ნ. ჯიშურე-არმოკლა არნეაზი („საჰანაშ“) 275, 287, 289, 294.
არონ რაშიდი („ამირნასარიანი“) 483.
არსალანი („მეფეთა სალარო“) 459.
არსენ ამარტოლი 36.
არსენ ბერი საღირისძე 262 — 264.
არსენ ბერძენი (მღვდელმონაზონი) 574.
არსენი 269.
არსენ იყალოთელი 36, 206, 225, 617, 661.
არსენ კათოლიკოსი (X საუკ.) 257.
არტაქსარია („ესთერი“) 699.
არტაქსერქსი 270.
არტემი, შთაფოლო (ნადირობის ღმერთი) 268.
არუთა ჯადო („სირინოზიანი“) 351.

არუთინ ნ. სადათნოვა.
 არქანჯელო ლამბერტი 311.
 არღონაფეტები 7.
 არშაკი 13, 257.
 არჩილ (ერისკაცობის სახელი ანტონისა) 327.
 არჩილ („მნანთქება“ დ. ორბელიანისა) 676.
 არჩილ დიდი (არჩილ მეფე, V საუკ.) 252, 259 — 261, 498.
 არჩილ მეფე, არჩილი, შაჰნაზარხანი, შაჰნაზარ (ვახტანგ V-ის ძე) 16 — 19, 60, 100, 123, 146, 147, 164, 220, 221, 237, 312, 315, 317, 319, 320, 324, 334, 341, 342, 355, 356, 358 — 360, 362 — 364, 369, 371, 372, 374, 378, 401, 402, 406, 407, 437, 451, 453, 477, 479, 489, 499 — 502, 504 — 507, 509, 510, 512, 513, 518, 519, 521 — 524, 526, 529, 530, 532, 535, 538 — 540, 551, 554, 558, 570 — 575, 578 — 584, 586 — 592, 595, 599, 601, 603, 605, 608, 616 — 621, 623 — 628, 632, 638, 639, 645 — 649, 657, 658, 675, 676, 698.
 არჯასი („შაჰნამე“) 250, 252.
 ასაღი ტუსელი, ასაღი (XI საუკ.) 339, 404, 570, 571, 610.
 ასათიანი ლ. 642.
 ასათიანი ლუკა (XIX საუკ.) 442.
 ასენეთი (ბიბლ.) 275, 287.
 ასთან („თეოურაზიანი“) 517.
 ასლან (თავაქალაშვილი, მოხსენებულა 1604 წ. საბუთში) 343.
 ასლან-ფაშა 504, 507.
 ასმათი („ვეფხისტყაოსანი“) 89 — 91, 97, 98, 109, 129 — 132, 137, 138, 204.
 ასტარაბისძე („ამირანდარეჯანიანი“) 76.
 ასტარტი 240.
 ასტიაგი 301.
 ასფან მეფე, ასფან („ამირანდარეჯანიანი“) 70.

ბაალი („აბდულმუსიანი“) 240.
 ბაამანი („ბაამიანი“) 349.
 ბაამანი („შაჰნამე“) 288, 326, 333, 334, 336, 337.
 ბაბათაშვილი ნ. სააკაძე გიორგი.
 ბაბაშვიშ, ბაბასიოშ (სააკაძე, მოხსენებულა 1646 წ. საბუთში) 525.
 ბაბილა (წმ.) 631.
 ბაბულ („სირინოზიანი“) 351.
 ბაგრატ ბატონიშვილი ნ. ბაგრატ მუხრანბატონი.
 ბაგრატ ბატონიშვილი (გიორგი XII-ის ძე,

Atax M. 401.
 აფანსიევი-ჩუგუბინსკი 443.
 აფაქიძე როსტომი („შაჰნავაზიანი“) 500.
 აფთიშიანი („არუსელდანიანი“) 423.
 აფთიონი („ზაქაიანი“) 346.
 აფთონი 490.
 აფლათუნ ნ. კლატონი.
 აფლათუნ აქიში („ამირანასარიანი“) 483.
 აფრადევი („ბარამგულანდამიანი“) 409, 412.
 აფრასიბი („შაჰნამე“) 333, 337.
 აფრასიობი („მეფეთა სალარო“) 460.
 აფრიღონ („შაჰნამე“) 254, 288.
 აფროლიტიანი (ქართველ მეფეთა ტიტულატურა, „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“) 267, 273.
 აქემენიდები 323.
 აქილევი, აქილეუსი, ახილესი 264, 268, 271, 273, 286, 288, 697.
 ალა (თავაქალაშვილი, მოხსენებულა 1569 — 1573 წწ. საბუთებში) 343.
 ალა-მამკლდ-ხანი 680, 693, 697, 698.
 ალაშვილი 286, 301.
 ალაშვილი („აფილენია“) 697.
 ალბულა 300.
 აღსართან II, შერვაშა აღსართან, შარვაშა, შარვაშა (შირვან შაჰი აღსართან) 40, 170, 290, 291, 384, 517, 687.
 აშოთან მუხრანბატონი (ქეთევან დედოფლის მამა) 551.
 აშოტ კურაპალატი 9, 10, 252, 498.
 აშოტ კურატი ნ. აშოტ კურაპალატი.
 ახალციხელი ნ. შალვა ახალციხელი.
 ახი („ბარამგურიანი“) 396, 397.
 ახი („ომანიანი“) 170.
 ახიკარი („სწავლანი ახიკარ ბრძინისანი“) 490, 491.
 ახპატელი მ. (გამომცემელი) 444, 475, 558, 560, 561.

ბ

1776 — 1841) 547, 606, 664, 667, 670.
 ბაგრატ ბატონიშვილი (ვახტანგ V-ის ძე) 503, 505.
 ბაგრატ დიდი 329.
 ბაგრატ კურატი (ბაგრატ I, კურაპალატი, ძე აშოტ I კურაპალატისა) 498.
 ბაგრატ IV (გიორგი I-ის ძე, საქართველოს მეფე, 1027 — 1072) 80, 225, 251, 252, 260, 262.
 ბაგრატი (ბაგრატ მესამე, გურგენ II-ის ძე, საქართველოს მეფე, 975 — 1014) 40.

- ზაგრატი, ბრმა ზაგრატი (იპერთა მეფის ალექსანდრეს ძე) 499 — 501, 503, 504, 507, 540, 573.
- ზაგრატ მუხრანბატონი, ზაგრატ ბატონიშვილი (ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის ძე, ბერალ ალკეციის შემდეგ ზარნაში, XVI საუკ.) 15 — 17, 73, 74, 107, 327 — 329, 571.
- Зяграт Царовичъ ნ. ბაგრატ მუხრან ბატონი. ზაგრატიონი გრიგოლ იოანეს ძე, გრიგოლი (1789 — 1830) 641, 677.
- ზაგრატიონი დარეჯან (სულხან-საბა ორბელიანის პირველი ცოლი) 451.
- ზაგრატიონი დიმიტრი გიორგის ძე (მოციტი, 1746 — 1826) 496, 610, 619, 629, 630, 641, 642.
- ზაგრატიონები, ზაგრატიონთა დინასტია, ზაგრატიონთა გვარი 30, 37, 251 — 253, 535.
- ზადრი იამანისძე („ამირანდარეჯანიანი“) 61, 63 — 66, 68 — 71, 76, 81 — 83, 85, 86, 138, 141, 143, 144.
- ზადრი იამანიძე („ევრასიანი“) 445.
- ზადიჟუღდინ მინუჩიკი ატაჯირი ატაბაიზი 557.
- ზადრი (სპარსელი პოეტი) 381, 383.
- ზაზიყა („იოსებბილისხანიანი“) 239, 292, 376, 377, 418, 420.
- ზაზუკი 257, 258.
- ზაინდურ ნაზირი („შაჰნავაზიანი“) 505.
- ზაღვარი, ბაღაჯარი („სიმბრძენ ბაღავარისა“) 8, 52, 455.
- ზალაეი, ბალკისი, ბილიყიზი (ბიბლ.) 52, 53.
- ზალაყენი („თეიმურაზიანი“) 517.
- ზალკისი ნ. ბალაეი.
- ზალმონტი ა. 181.
- ზალხამი („ამირანდარეჯანიანი“) 68.
- ზალხი ბუხარი („რუსულდანიანი“) 424.
- ზანაროზი („რუსულდანიანი“) 428, 430.
- ზანუ („ზოსროვეშირიანი“) 275, 287, 291.
- ზარათაევი თომა ნ. ზარათაშვილი თომა.
- ზარათაშვილი ავთანდილ (მამუქას მამა) 627.
- ზარათაშვილი ზაალი (მამუქას ძმა) 627.
- ზარათაშვილი თამაზ (სარდალი) 627.
- ზარათაშვილი თომა, ზარათაევი თომა (კაბიტანი, მამუქას ძმა) 628, 659.
- ზარათაშვილი ლეონიდ (ნიკ. ზარათაშვილის დის ნინოს მეუღლე) 443.
- ზარათაშვილი მამუქა ავთანდილის ძე, მამუქა ავთანდილის შვილი, ზარათასძე მამუქა, შათე („მეფის ხმლის მკერელი“, პოეტი) 125, 317, 320, 429, 433, 489, 602, 604, 617, 618, 628 — 635, 637 — 639, 641, 655, 656, 658, 659.
- ზარათაშვილი მამუქა (არჩილ მეფის თანმხლები რუსეთში, დიპლომატიურ დაეკუთმათა შუქსრულზებელი 1701 და 1722 წლებში) 627, 628.
- ზარათაშვილი მამუქა თამაზის ძე, მამუქა თამაზის შვილი ორბელისძე (საბარათაშვილოს მეწინავე სარდალი) 627, 628.
- ზარათაშვილი ნიკოლოზ (პოეტი, XIX ს.) 443.
- ზარათაშვილი ს. ისტორიკოსი (XIX ს.) 237.
- ზარათაშვილი ქიხოსრო 371.
- ზარათაშვილი ყაფლან 572.
- ზარათიანი („შაჰნავაზიანი“) 505, 536.
- ზარამან შანი 223, 224.
- ზარამ-გური, ბაჰრამ-გური, შაჰრამგური („შაჰნამე“) 288, 289.
- ზარამი, ბაჰრამ გური („ბარამგურიანი“) 264, 271, 394, 396 — 402, 404.
- ზარიმი („ბარამგულანდამიანი“) 408 — 412, 419.
- ზარამი („ბარამგულუჯანიანი“) 413 — 415, 417.
- ზარამი („სირინოზიანი“) 350.
- ზარამი („რუსულდანიანი“) 424, 428.
- ზარამი („ყაჰარანიანი“) 354.
- ზარამი (ყორჩიბაში „შაჰნავაზიანი“) 505.
- ზარამ ინლი („სირინოზიანი“) 351.
- ზარამიძე ა. პროფ. (Баршадзе А.) 16, 18 — 20, 46, 53 — 55, 61, 63, 73, 75, 87, 109, 111, 121, 164, 207, 215, 220, 221, 232, 236, 265, 324, 325, 327, 331, 334, 343, 345, 348, 355, 363, 364, 366 — 368, 371, 377, 378, 384, 386, 387, 392, 393, 402, 406, 408, 413, 418, 425, 427, 432, 437, 456, 461, 464, 465, 469, 472, 481, 486, 489, 493, 509, 513, 523, 526, 553, 554, 556, 558, 560, 565, 567, 572, 594, 600, 611, 617, 618, 621, 623, 640, 642, 661, 664, 665, 667, 670, 671, 678.
- ზარამ ჩუბინი („ბოსროვეშირიანი“) 389.
- ზარბარა (წმ.) 614.
- ზარბარა ნ. ზარბარე ალექსანდრეს ასული.
- ზარბარე ალექსანდრეს ასული, ზარბარა (მეტურლინი) 614, 616.
- ზარზამი („ბარამგულუჯანიანი“) 415.
- ზარზინი („რუსულდანიანი“) 429.
- ზარზი, ბარზო („ბარზუნამე“) 347, 348, 429.
- ზარზუ („სირინოზიანი“) 353.
- ზარზუ („შაჰნამე“) 333, 334, 347, 348.
- ზარზუი, ზავია (მწერალი, VI საუკ.) 460.
- ზართლომე (მოციქული) 598.

- ბარნაბი (მაგრატ მუხრანბატონის სახელი ბერად აღკვეცის შემდეგ) 328.
- ბარნოვი ვ. (მწერალი) 262.
- ბარტომი 257.
- ბარძიმ ვაჩნაძე ნ. ვაჩნაძე ბარძიმ.
- ბასილი ამასიელი 533.
- ბასილი დიდი (ბასილ კეისარი, IV საუკ.) 714, 246, 269, 490.
- ბასილი ეუსომოდვარი, ისტორიკოსი 126, 276, 277.
- ბასილი მაკედონელი, ბასილიოს (იმპერატორი) 476, 477.
- ბატონიშვილი: ნ. აღქვანდრე (არჩილ მეფის ძე), აღქვანდრე (ნაქარის ძე), ანა, ანტონ, ბაგრატ (გიორგი XII-ის ძე), ბაგრატ (ვახტანგ V-ის ძმა), ბაგრატ (მუხრანბატონი), გიორგი (ვახტანგ VI-ის ძე), გიორგი (ერეკლე II-ის ძე), დავით, დარეჯან, ვახუშტი, თეიმურაზ, თეკლე, იოანე, კონსტანტინე, ლეონ, მამუკა, შირიან, ოქროპირ, როსტომ, ფარნაოზ, ქეთევან, შუშანა.
- ბაქარი, ბაქარ მეფე, შანაოზ-ხანი (ვახტანგ VI-ის ძე, ქართლის მეფე, 1717 — 1719) 477, 479, 490, 532, 535, 536, 539, 542, 543, 574, 593, 629, 632, 640, 643, 664.
- ბაქრაძე დ., ისტორიკოსი 56, 226, 288, 429.
- ბალუაში 302.
- ბაყათარი (ბაყათარ ოსი) 258, 273.
- ბაყბაყ დევი („ამირანდარეჯანიანი“) 65, 66, 70, 82, 83.
- ბახთიარი („ბახთიარნაძე“) 471, 472.
- ბახტურ მეფე („ჩარდაყრშიანი“) 442, 443.
- ბაპარსი 294.
- ბაჰმანი 254.
- ბაჰამ-გური („ბარამგურიანი“) ნ. ბარამი.
- ბაჰამ-გური („შაჰნამე“) ნ. ბარამ-გური. ბეატრიჩე 181.
- ბებუღაშვილი მელიქზად აშხარბეგის ძე 469, 470.
- ბეგთაბეგ ნ. თანაშვილი ბეგთაბეგ.
- ბეგთაბეგოევი 260.
- ბედლუქდმართი („არუსუღანიანი“) 426.
- ბედშევი („არუსუღანიანი“) 426.
- ბეგრასფი („შაჰნამე“) 206, 254, 288.
- ბეგრელი, ანასტასია (მაგრატ შაროელის ძე, აშოტ I-ის ძის იდარნასეს მეუღლე) 9.
- ბეზალი („ბარამგულანდამიანი“) 410.
- Безобразов П. 698.
- Белокурои С. 688.
- Benfey Th. 458, 457, 462.
- ბეენი („შაჰნამე“) 137, 333.
- ბერაძე ფეროთ. 363.
- ბერი არაბი („ამირანდარეჯანიანი“) 83.
- ბერტოკა 193.
- ბერი მღვიმელი, ბერი მღვმელი, ისტორიკოსი (სახელგებს ეამთაღმწერელი) 300, 302.
- ბერნარდო ნეაპოლელი, ბერნარდო (მისიონერი) 310, 333, 338, 349, 405.
- ბერსაბეს 275, 287.
- ბერტელსი ე. პროფ. (Бертельс Е.) 73, 138, 294, 472, 571, 610.
- Бертольд В. 153.
- ბერძენიშვილი ნ., პროფ. 164, 207, 220, 221, 334, 355, 368, 371, 378, 387, 402, 406, 408, 437, 509, 513, 526, 553, 558, 572.
- ბერძენოვი ნ. 642, 693.
- ბესიცი ნ. ვაბაშვილი ბესარიონ.
- ბეჟა 300.
- ბეშქენ ქველი 293.
- ბეჰენი („ვაბეყ და აზრა“) 138.
- ბეჰოზი („ეისრაჰიანი“) 131.
- Бибихадзе А. 496.
- Bickel 462.
- ბილუიზი ნ. ბალაევი.
- ბისტოკა (მეშაირე) 282. 316, 423.
- Blake R. 235.
- ბლიაძე (მელექსე) 316.
- ბობქარ, ბუბაქარ (აზერბაიჯანის ოთაბაგი) 217, 228, 230, 517.
- ბოდბელო: ნ. ზაქარია ბოდბელი, ონოფრე ბოდბელი.
- ბოდი („ჩქილილა და დამანას“ სირიულ ენაზე შთარგმნელი) 462.
- ბოზორი („თეიმურაზიანი“) 517.
- ბოზორჯამირი 483.
- ბოლდირევი ა. ნ. 292.
- ბოლხოვიტინოვი ევგენი, Евгений митрополит 56, 232.
- ბორენა დედოფალი (მაგრატ IV მეუღლე) 225.
- ბორატ აქიმი („ამირანსარიანი“) 483.
- ბოცი (სამეცხის სპასალარი) 517.
- ბროსე მ. აკად. (Brosset M., 1802—1880), 18, 57, 61, 116, 119, 121, 122, 235, 242, 363, 369, 402, 425, 428, 441, 464, 497, 671, 698, 699.

Brown E. 339.

ბურღუხან დედოფალი (გიორგი III მეულელ) 273.

ბურნე-მელიქი („ომანიანი“) 370.

ბურჯანაძე შ. 664.

ვაბანთი (ვაბაშვილები) 536.

ვაბაონელი ნიკოლოზ ნ. ვაბაშვილი ნიკოლოზ.

ვაბაშვილი ბესარიონი, იობიან-ვაბაშვილი ბესარიონი, ბესიკი 19, 117, 637, 661 — 678, 683, 692, 693.

ვაბაშვილი ზაზა, ზაზა 661.

ვაბაშვილი იოსები, ოსე, ოსე ლაბაევი (ზაქარია ვაბაშვილის შვილი) 661, 663.

ვაბაშვილი მია (ზაზა ვაბაშვილის ასული, პოეტ) 661, 676.

ვაბაშვილი ზაქარია, ზაქარია დეკანოზი, ზაქარია 616, 661 — 665, 670.

ვაბაშვილი ნიკოლოზი, ნიკოლოზ ვაბაონელი, ნიკოლოზ იობიან-ვაბაონელი (ზაქარია ვაბაშვილის შვილი) 661.

ვაბაშვილი ტიმოთე, ტიმოთე მიტროპოლიტი 112, 661.

ვაბრიელ, ვარსევან ყოფილი (მღვდელი XVIII საუკ.) 662.

ვაბრიელ შაიარი (თაბჩიბაში ერეკლე II-ისა) 687, 693.

ვაგო („უთრუთიან-საამიანი“) 341.

ვაგრეკელი ორბელიანი (სოფ. აპიკვის ეკლესიის ბარელიეფზე გამოხატული) 113.

ვაგრეკელი კახასძე 516.

ვაიჯელი, ვაიჯეი ნ. ნიზამი.

ვარდანქეშანი („ყარამანიანი“) 354.

ვარბა სომეხი („ქილილა და დამანას“ ქართულ ენაზე მთარგმნელთაგანი) 463.

ვარსევან ყოფილი ნ. ვაბრიელი.

ვარსევან ჩოლოყაშვილი ნ. ჩოლოყაშვილი ვარსევან.

ვაწერელია აკ. 473, 680.

ველოვანი ვაბრიელ 540, 541.

ვენადი (ვენადის ლექსიკონი) 413.

ვერმანე მოძღვართმოდღვარი („ვახტანგიანი“) 536.

ვერშასი (ივერშასუნ-ნაშე) 339.

ვეურჯა (სურფგურჯა) 680.

ვეარჯასი („ყარამანიანი“) 354.

ვეახარია ა. 378, 382.

Gibb E. 139.

ბუსათი („ფორბლანინ“) 434, 436.

Бутков П. Г. 478, 479, 664, 667.

ბუტურლინი ალექსანდრე (ფელდმარშალი) 614.

Bustan—I—Xayal 981.

ბ

გიგინიშვილი ი. 423.

გივი („არსტომიანი“) 273, 274, 289, 530.

გივი („რუსუდანიანი“) 424.

გივი („ქეთევანიანი“) 494.

გივიშვილი (ვაშაშვილები) 558, 560, 561.

გილანშასი („ამირნასარიანი“) 484.

გიორგ („ანბანთქება“ ვახტანგ VI-ისა).

გიორგი („თამარის ამბიკონი“) 282, 283.

გიორგი (ალექსანდრე II-ის [კახეთის მეფის] ძე) 515, 551.

გიორგი (დავით გურამიშვილის შაბა) 638.

გიორგი (დავით მეფის [დავით ნარინის] ძე) 303.

გიორგი (თეიმურაზ I-ის შვილიშვილი) 552.

გიორგი (იესე მეფის ძე) 641.

გიორგი (ქეთევან დედოფლის მოძღვარი) 494.

გიორგი (ცხრაზმის ქუეის ქელოსფალაგანი) 57.

გიორგი ათონელი ნ. გიორგი შთაწმიდელი.

გიორგი ამარტოლი 38, 268, 270.

გიორგი ამსტრიდელი 255.

გიორგი არაგვის ერისთავი 478.

გიორგი ბატონიშვილი (ვახტანგ VI-ის ძე) 629, 630, 663.

გიორგი ბროლა (კათალიკოს-ყოფილი, კალიგრაფი, X საუკ.) 225.

გიორგი ბრწყინვალე, გიორგი V (1314 — 1346) 300, 301, 304.

გიორგი კაბადუციელი (წმ.) 111, 235, 624.

გიორგი ლაშა ნ. ლაშა გიორგი.

გიორგი მერჩული 9.

გიორგი შთაწმიდელი (გიორგი ათონელი) 34, 36, 39, 79, 269.

გიორგი შვიტი (გიორგი ბუცეს-მონაზონი XI ს.) 36, 277.

გიორგი, რუსი ბატონიშვილი (რუსეთის მთავრის ანდრია ბოგოლოუბსკის შვილი, თამარ მეფის პირველი ქმარი) 31, 171, 173, 230, 267.

გიორგი ძლევაშისი (ნ. გიორგი კაბადუციელი) 8.

გიორგი მეფე (ალექსანდრე III-ის [იმერეთის მეფე] შაბა) 344.

- გიორგი მეფე, გიორგი (გიორგი X, სიმონ I-ის ძე, ქართლის მეფე, 1600 — 1603) 335.
- გიორგი მეფე, გიორგი XI, გიორგი (ვახტანგ V-ის ძე, ქართლის მეფე, 1676 — 1688) 103, 349, 359, 451, 455, 497, 499, 506, 526, 535, 593, 639.
- გიორგი მეფე, გიორგი ბატონიშვილი (გიორგი XII ერეკლე II-ის ძე, 1798 — 1800) 126, 482, 679, 680, 694.
- გიორგი მეფე, გიორგი II (ბაგრატ IV-ის ძე, აფხაზთა და ქართველთა მეფე, 1072 — 1089) 255, 262.
- გიორგი მეფე, გიორგი III (დემეტრე I-ის ძე, 1156 — 1184) 56, 80, 114, 170, 172, 207, 238, 265, 266, 268, 270, 272, 273, 287, 289, 582.
- გიორგი მეფე (გიორგი IX, კონსტანტინე II-ის ძე, ქართლის მეფე, 1525 — 1534) 328.
- გიორგი მეფე, გიორგი I (ბაგრატ III-ის ძე, აფხაზთა და ქართველთა მეფე, 1002 — 1027) 261, 262.
- გლახის ხელშეწივ (სრუსულდანიან) 424.
- გლურჯიძე (ურბნელი ეპისკოპოსი, „ვახტანგ-ანი“) 536.
- გვოგუარის ქალი (ონოფრე ბოდბელის ორსტროფიანი ლექსი) 612.
- გვოგუარისძე შ. პროფ. 180.
- Городняев Е. 458.
- გოდერძი (სრუსულდანიან) 424.
- გოეპე 161.
- გორგასლიანი (ქართველ მეფეთა ტიტულატურა, „ისტორიანი და აზმანი შარაყინდელანი“) 267, 272.
- გორგაძე ს. 19, 665, 666, 671.
- გორგოჯანიძე ფარსადანი, ისტორიკოსი 189, 331, 336, 337, 393, 544, 545, 564.
- გორგოლიშვილი თ. 389.
- გორგოლას ზაულელი („ბარამგურანი“) 398, 399.
- გორგოლასი („სრუსულდანიანი“) 424, 428.
- გორგოლასი („სირინოზიანი“) 350, 351.
- გორგოლასი („სუთრუთიანსაჲნი“) 339.
- გოსტაში („სრუსულდანიანი“) 424.
- გოსტასაბი („შაჲნი“) 137, 327, 334.
- გონა (მოეტი) 617.
- გონაშვილი („ვახტანგანი“) 536.
- Graf 45, 48.
- გრენი ა. (Грен) 61, 71.
- გრიგოლ დოდორკელი 496.
- გრიგოლი (ზოგიერთი შველევრის აზრით ჩახრუხაძის სახელი) 226.
- გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ლეთისმეტყველი 7, 244, 255, 490.
- გრიგოლ ნეოკესარიელი 38.
- გრიგოლ ნოსელი 38.
- გრიგოლ ლეთისმეტყველი ნ. გროგოლ ნაზიანზელი.
- გრიგოლ პართელი (სომეხთა განმანათლებელი) 255.
- გრიგოლ ხანძთელი 9.
- გრიფიუსი ანდრე:ს, Андрей Грифиус (გერმანელი დრამატურგი) 496.
- გრიშაშვილი ი. 19, 474, 674, 677 — 683.
- გუზან აბულის ძე, გუზან (მეფეთის პატრონი) 516, 517.
- გულაბერიძე ნიკოლოზ ნ. ნიკოლოზ გულაბერიძე.
- გულაზარი („ზალმუჯანიანი“) 437, 438.
- გულაზარი („მირიანი“) 440.
- გულანდამი („ბარამგულანდამიანი“) 409 — 411, 419, 420.
- გულაპარი („მიჯნურთ ბადე“) 418, 419.
- გულდასტანი („მიჯნურთ ბადე“) 419, 420.
- გული („გისრაჲიანი“) 50, 58, 59, 131.
- გულისტაში („ყარამანიანი“) 354.
- გულიჯანი (მამუკა ბარათაშვილის ლირიკა) 636.
- გულიჯანი („ბარამგულიჯანიანი“) 413, 414, 417, 418.
- გულიჯანზოს („სირინოზიანი“) 352.
- გურამიშვილი დავით (1705 — 1792) 19, 192, 210, 312, 313, 316, 317, 319, 320, 359, 524, 541 — 543, 570, 601, 605, 618, 627 — 630, 632, 637 — 661, 676.
- გურამიშვილი მამუკა 629, 630.
- გურამიშვილი ქრისტეფორე (Игумен Христофор, მღვდელმონაზონი, დავით გურამიშვილის ძმა) 643, 644.
- გურანი („სირინოზიანი“) 351.
- გურგანი ნ. ფახრუდდინ გურგანი.
- გურგენი („სრუსულდანიანი“) 424.
- გურზი („სრუსულდანიანი“) 424.
- გურზი-ფალავანი („ომანიანი“) 270.
- გურიდემი 153.
- (გურიელი) დემეტრი 503.
- ფურიელი შაჲა 507.
- ფურიელი სვიმონ 506.
- ფურიელის ძე („ვახტანგანი“) 536.

დ

- დადიანი ბეიან (ოდიშის მთავარი, 1715—1728) 364, 540.
- დადიანი დავით (სამეგრელოს მთავარი) 497.
- დადიანი ვამეყ, ვამეყ მესამე დადიანი, 430, 431, 500, 501, 507, 572.
- დადიანი ლევან მანუჩარის ძე, ლევან შვირე (სამეგრელოს მთავარი, გარდ. 1675 წ.) 342—344, 347, 430, 497, 499—501, 503, 504, 506, 508, 519.
- დადიანი ლევან მესამე 507.
- [დადიანი] ლიპარიტ 508.
- დადიანი მანუჩარ 343.
- [დადიანი] მარიამ ნ. მარიამ დედოფალი 508.
- [დადიანი] შამადავლე ნ. შამადავლე.
- დადიანი ცოტნე 302, 303.
- დავარი („ვეფხისტყაოსანი“) 90—92, 170, 418.
- დავით მებაღე (შელექსე) 216.
- დავით აღმაშენებელი 12, 28, 29, 35, 36, 38, 39, 40, 78, 80, 146, 147, 156, 206, 207, 233—240, 242, 243, 245, 259, 260, 262—265, 270, 271, 282, 284, 292, 302, 498, 582.
- დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (არსენ ზერი, არსენ სალირისძე, XII ს. ბირველი მეომარ-დი) 79, 284—286, 288, 289.
- დავით პატონიშვილი (ვიოხოე XII-ის ძე) 318, 606, 664, 670, 693.
- დავით იმამყულიანი (ერეკლე I-ის ძე, კახეთის მეფე, 1703—1722) 605.
- დავით ქურაპალატი 262.
- დავით მეორე, იმერეთის მეფე (გამეფდა 1784 წ.) 661, 666, 667, 670.
- დავით მესამე (დემეტრე I-ის ძე, საქართველოს მეფე 1155 წ.) 236, 237, 239.
- დავით მეფე (კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ძე, გარდ. 1602 წ.) 107, 462—464, 470, 515, 551.
- დავით მეფე (დავით IX, კონსტანტინე II-ის ძე, ქართლის მეფე, 1505—1525) 328.
- დავით მღვდელი, ურბაყიფილი 616.
- დავით შწიჩი (XII ს. 70-იანი წლები მოღვაწე, ს. კაკაბაძის აზრით ფეტრია „თამარაიანისა“), 236, 241.
- დავით-ნარინი, ნარინ-დავითი (რუსუდანის ძე, საქართველოს მეფე, 1245—1293) 112, 158, 159, 304, 305, 427, 444.
- დავით რეპტორი (დავით ალექსისძე-მესხიშვილი, 1745—1824) 57, 394, 474, 523, 611, 626, 667—669, 675.
- დავით საათაბაგოელი 57.
- დავით სარდალი ნ. რაზბუიანი დავით.
- დავით სოსლანი, დავით მეფე, დავითი (თამარ მეფის მეორე ქმარი, 1189—1207) 80, 110, 151, 170—173, 222, 228—231, 233, 234, 238, 239, 268, 270, 273, 277, 517, 687.
- დავით ტბელი 244.
- დავით ულო, დავით ულო, ულო-დავით (ლოპა გიორგის ძე, საქართველოს მეფე, 1247—1270) 112, 158, 159, 236, 237, 304, 305.
- დავით შავთელი (პ. ინგოროევის აზრით „თამარაიანის“ ფეტრია) 241.
- დავით წინასწარმეტყველი (ბიბლ.) 30, 234, 241, 251, 275, 287, 424, 426, 498, 580, 582, 585, 652.
- დავითი (ბეგ მასალარის ეჯიბი) 302, 303.
- დავითი, დათუნა (თეიმურაზ I-ის ძე) 519, 552, 564, 573.
- დავითი, მდინის შვილი („კეთილი იესოებქარაიანი“) 533.
- დავითი („სეილიანი“) 361.
- დავითიანი (ქართულ მეფეთა ტიტულიტურა, ისტორია და აზმანი შარაიანიდელთანი) 267.
- დავითიანი-პანკრატონიანი (ქართულ მეფეთა ტიტულიტურა, „ისტორია და აზმანი შარაიანიდელთანი“) 286.
- დათუნა ნ. დავითი (თეიმურაზ I-ის ძე) 410.
- დავითი („შარაიანიდელთანი“) 410.
- დაიყი (ბოტი) 352.
- დალაღანი (ჩენამდე არმოღწეულ თხზულები გმირი) 364.
- დალაღანი (სორინიანი) 352.
- დალაღი ნ. დალაღი.
- დალაღი, დალაღი (ბიბლ.) 53, 282.
- დალაღი, დალაღ გეზირი („საბილენისქალაქიანი“) 445—447.
- Dalziel 471.
- დაბსკელი ნ. თონე დამსკელი.
- დაბანე ხუცესი 476.
- დანელი (ბიბლ.) 261.
- დანტე 36, 181.
- დარეჯანი (პ. შარაიანიშვილი) 636.
- დარეჯანი („ვეფხისტყაოსანი“) ნ. ნუსტან-დავითი.

დარეჯანი (მაგარიონთ ასული, სულხან-საბა ორბელიანის პირველი ცოლი) 451.
 დარეჯანი (იმერთა მეფის ოლექსანდრეს ასული) 6. ნესტან-დარეჯანი.
 დარეჯანი, დარეჯან ბატონიშვილი (არჩილ მეფის ასული) 453, 539, 574.
 დარეჯანის ძე ნ. ამირან დარეჯანის ძე.
 დარია (დავით გურამიშვილის შვილობილი, გარდ. 1777 წ.) 644.
 დარიელ (ბიბლ.) ნ. დარიოზ მეფე.
 დარიოზ მეფე (ბიბლ.) 164.
 დარიოსი (გრძნუელი) 285.
 დარიოსი (მეფე) 268.
 დარისპანისძე ნ. სუფედავლე დარისპანისძე. დემბრა 282.
 დელეუზიანი („ემაყე და აზრა“) 138.
 დემნა (დემეტრე, დავით მეფის ძე) 171.
 დემოკრიტე, დემოკრიტონი 490.
 დერაფშაი („სირინოზიანი“) 352.
 დერაიპანჯი („სირინოზიანი“) 352.
 დერეუმერა 157.
 დეძლევი (Дедлеви) ნ. ამირ-ხოსროვ დეძლევი.
 დვალისეილი ბააკა ნ. დვალძე ბააკა.
 დვალძე ბააკა 17, 624.
 დიადიმი ნ. დიადიმი.
 დიაკონოვი მ. 46.
 დიარბეგირი („კათოლიკოსბაქიანი“) 532.
 დიდი მოურავი ნ. სააკაძე გიორგი.
 დილარამჩანჯი, დილარამ („ბარამგურაიანი“) 398, 400, 401.
 დილარგეთი, დილარი („დილარიანი“) 234, 281.
 დილარგეთი (გენადის ლექსიკონში დასახელებული „ბარამგურლანდამიანის“ ავტორად) 413.
 დილარი („ამირანდარეჯანიანის“ დამატება) 62.
 დილარი („დილარიანი“) ნ. დილარგეთი.

დიმადი, დიადიმი („სილინძისქალაქიანი“) 341, 342.
 დიმიტრი (გურიელი) 503.
 დიმიტრი, დიმიტრი მეფე (დემეტრე I, დავით აღმაშენებლის ძე, საქართველო მეფე, 1125 — 1155) 35.
 დიმიტრი თავდადებული (დავით ულუს ძე, საქართველოს მეფე 1271 — 1289) 303, 305.
 დიოგენე 487.
 დიომიდე გრამატიკოსი 7.
 დიონისე არეოპაგელი 39.
 დიონისე ბერძენი (არქიმანდრიტი) 574.
 დიოს 7.
 დიუგლიტანი („შვიდეუზიანი“) 475.
 დოდორქელი გრიგოლ ნ. გრიგოლ დოდორქელი.
 დოდან ბარათიანი (გოჩას სატირა) 616.
 დოლენჯიშვილი არსენ, მანგლელი. („ვახტანგ-ანი“) 536.
 დოლევი ნ. აბუ-დოლევი.
 დოლიძე ი., პროფ. 300.
 დომენტი კათოლიკოსი (ვახტანგ VI-ის ძმა) 532, 533, 535, 539.
 დომენტი პროველი ნ. ავალისეილი დომენტი.
 დონაური კირილე (ქურმუხის მთავარეპისკოპოსი). 299.
 დონდუა ვ. 276.
 ДОНДУА К., პროფ. 61.
 დორეთეოს მონემბასე 574.
 დოსითეოზი (მღვდელმთავარი) 641.
 დულარდუზტი („ვეფხისტყაოსანი“) 96.
 დუმბაძე იაკობი, იაკობ სამეხელი, იაკობ სამეხელე-შემოქმედელი, იაკობი 17, 73, 237, 359, 387, 526, 527, 530, 616, 621, 632, 639.
 დურნოვი ნ. ნ. 492.

0

ებერსი 165.
 ეგნატაშვილი ბერი, ისტორიკოსი 544.
 ეგნატაშვილი სიმონ იაკობის ძე, სემიონ ოგნატევი 413.
 ეგრი 417.
 ეგრის („დილარიანი“ პეტრე ლარაძისა) 353.
 ედივაროვი ვ. (გამომცემელი) 354.
 ედიშერი („ვახტანგეიანი“) 538.
 ედიშერ მდივანშვილი („შაჰნავაზიანი“) 503.
 ევა (ბიბლ.) 179, 443, 607, 648, 650, 652, 669.

Евгений митрополит ნ. ბოლხოვიტინოვი ე. ევდოკია მ.
 ევსევი ევსარიელი 254.
 ევსტატი (მთავარმოწამე) 426.
 ეზდოჯირდი („ბარამგურაიანი“) 394.
 ეზეკიელი 36.
 ეზნიკიელი ამირა („თამარიანი“) 229.
 ეზოპე, ესოპე; იეზებოს ფილოსოფოსი 318, 470, 479, 481, 482, 457, 674.
 ეთერი, ესთერი (ბიბლ.) 282.

ვატერინე (წმ.) 235.
 ელენე („ილიადა და ოდისეა“) 286, 301.
 ელენე (თეიმურაზ I-ის და) 564.
 ელენე (მეფე ავ-გეორგის მეუღლე) 620.
 ელენე დედოფალი (სვიმონ II-ის ასული, ეამბე III დადიანის მეუღლე), 430 — 432, 500, 502.
 ელა (ბიბლი.) 607.
 ელიზბარ (თავკალაშვილი, იხსენება 1685 წ. საბუთში) 344.
 ელისაბედი („ესთერი“) 700.
 ელისაბედი (დოქტორი ბაგრატიონის ასული) 641, 642.
 ელისაბედი (თეიმურაზ II-ის ასული) 663.
 ელისაბედ პეტრეს ასული (ემპერატრიცა) 606.
 შერენცე ზ. 155.
 ელისე თბილელი 526.
 ელიქატმონ (ორბელიანი, სოფ. აძიკვის ეკლესიის ბარელიეფზე გამოხატული) 113.
 ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო ნ. ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო .
 ენემოსი 275, 287.
 ენოქი (ბიბლი.) 354.
 ეპიკურა 487.
 ეპიფანე (დიდოელი ბერი, „ქართლის კირი“) 542.
 ეპიფანე კეიპრელი 38, 244.
 ერგინ ჯაღო („სირინოზიანი“) 350.
 ერდმანი ფ. 416.
 ერეკლე (ალექსანდრე II-ის [კახეთის მეფის] ძე) 515.
 ერეკლე II, ერეკლე ბატონიშვილი, ერეკლე, ირაკლი II, ირაკლი 105, 236, 311, 313, 314, 317, 354, 372, 421, 479, 482, 487, 519, 547, 605, 609, 611, 612, 665, 666, 669, 670, 674, 679, 693, 694, 697, 698.

ერეკლე I, ირაკლი, ნაზარალიანი, ერეკლე ბატონიშვილი (დავითის ძე, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი) 451, 452, 503, 505, 510, 552, 591, 605, 609, 612, 620, 630.
 ერისთავი ბაინდურ 605.
 ერისთავი გიორგი (ვახტანგ VI-ის თანამედროვე) 532.
 ერისთავი ზურაბ (ნუგზარ ერისთავის ძე) 335, 379, 515, 520, 521, 552, 553.
 ერისთავი ზაალ 402.
 ერისთავი იესე 505.
 ერისთავი შანშე 532, 533, 536.
 ერში 7.
 ერშიოს 490.
 ერმოგინე (წმ.) 631.
 ერმოლოვი 698.
 ესარ ტემრიზელი (სპარს. პოეტი, გარდ. 1382 წ.) ესთარი („ესთერი“) 699, 700.
 ეტემ თულესი ნ. ჰეთემ თაა.
 Ethé H. 45, 294, 339, 354, 375, 376, 384, 390, 393, 394, 412, 416, 444, 459, 460, 472, 484, 557.
 ფენდი მულდადი („კათოლიკონზაქარანი“) 533.
 ფეხსტოს შვედელი 7.
 ფერმანი (ქართველ მეფეთა ტიტულატურა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი“) 239.
 ფერგი (ბიბლი.) 239, 243, 490.
 ფერემ მტრე 7, 36, 38, 39, 181, 206, 246, 663.
 ექვთიმე ათონელი (ექვთიმე შოთაშვილი) 7, 34, 36.
 ექვთიმე ზიგაბენი 38.
 ექვთიმე (კათოლიკოს-პატრიარქი 1320 — 1340) 299.
 ეზრეთ ჰერატელი (სპარს. პოეტი, გარდ. 1450 წ.) 394.
 ეპლი შირაზელი (სპარს. პოეტი, IV ს.) 559.

3

ეამეცი („ეამეცი და აზრა“) 56, 138, 293.
 ეფუ-ფშაველა 167.
 ვარამ მხარგრძელი ნ. მხარგრძელი ვარამ.
 ვარდან აფიკელი, ვარდანი (სომეხთა მქალაქ-ბელი, XII — XIII სს.) 481.
 ვარდან დიდი (სომეხთა ისტორიკოსი) 35.
 Wardrop Oliv. ნ. უორდროპი ო.
 ვარშაი („ვარშაიანი“) 444, 445.
 ვაშტაშაბ („შაჰნაშ“) 254, 288.
 ვახანძე ბარძიშ 17, 341, 342, 344, 346 — 348,

430, 621, 624.
 ვახტანგ გორგასალი, ვახტანგ გურგასალი (მირდატის ძე, ქართლის მეფე, V საუკ.) 13, 15, 76, 207, 252, 253, 255, 257 — 260, 285, 289, 290, 498.
 ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი 285, 290.
 ვახტანგ VI, ვახტანგ ბატონიშვილი, ვახტანგი (ლევანის ძე, ქართლის მეფე, 1716 — 1724) 15, 17, 19, 100, 102 — 106, 120, 169, 189, 274, 289, 294, 295, 312, 314, 319, 320,

359, 412, 413, 415, 418, 433, 451, 452, 453, 455, 462—469, 470, 472, 477, 478, 484—490, 532—537, 539—546, 571, 574, 593, 596, 599—604, 606, 612, 626—629, 631, 632, 638—641, 643, 646, 655, 657, 676.

ვახტანგ V, შანავეზი, ვახტანგ მუხრანბატონი (თეიმურაზ მუხრანბატონის ძე, ქართლის მეფე, 1658—1675) 81, 211, 310, 313, 349, 381, 402, 431, 433, 497—502, 507—510, 512, 535, 572, 573, 627.

ვახტანგ მუხრანბატონი ნ. ვახტანგ V. ვახტანგ (ქართლის მეფის სიმონ I-ის ძე) 335. ვახტანგ (ქართლის მეფის სიმონ II-ის ძე) 335. ვახტანგი, „მაგრატიონთა გვარის კაცი“, ვახტანგ ქუქუნაშვილი, ქუქუნაშვილი (თეიმურაზ I-ის ასულის ნესტან-დარეჯანის [იმერეთის

დედოფლის] მესამე ქმარი) 501.

ვახტანგიანი (ქართველ მეფეთა ტიტულატურა „ისტორიანი და აზმინი შარაენდელმანი“ 272.

ვახუშტი, ვახუშტი ბატონიშვილი (ვახტანგ VII-ის უკანონო შვილი) 103, 343, 429, 516, 523, 535, 545, 546, 574, 593, 622.

ვაჰში ქირმანელი (სპარს. პოეტი, გიორ. 1583/4 წ.; 380, 393.

ვესპასიანე 270, 487.

ვიონ პერიპატეტი 490.

ვირო („ეპირამიანი“) 46—48; 54, 58, 59.

ვისი („ეპირამიანი“) 45—52, 54—59, 127—131, 231, 274, 275, 287, 291, 293, 403, 407, 408, 418—420.

ვლადიმირ 74.

ვოლტერი 696—701.

ზაალი („რუსულდანიანი“) 424.

ზაალი („უთრუთიან-საამიანი“) 339.

ზაალბ („შაჰნამე“) 324—327, 331.

ზაალი (მამუკა ბარათაშვილის ძმა) 628.

ზაალი („იოსებზილიხანიანი“) ხელნაწერის მონაწერში მოხსენებული პირი, შესაძლებელია ფიციე ზაალ თუმანიშვილი) 383.

ზააქი („ზაქიანი“) 343, 345—347, 368, 380.

ზააქი („უთრუთიან-საამიანი“) 339—342.

ზააქი („შაჰნამე“) ნ. ზოაქი.

ზაბრეჯათი („რუსულდანიანი“) 428.

ზაგარი („ომიანიანი“) 370.

ზავი („რუსულდანიანი“) 424, 428.

ზავი ნ. ბარზუი.

ზაზა გაბაშვილი ნ. გაბაშვილი ზაზა.

ზაზა სარდარი („შაჰნავაზიანი“) 505.

ზაზა ციციშვილი ნ. ციციშვილი ზაზა.

ზაალი („შაჰნამე“) ნ. ზაალი.

ზალმუგანი („ზალმუგანიანი“) 437—439.

ზამის ზავარელი („კუმაინ-კუმაინ“) 416.

ზანგისტანი („სირინოზიანი“) 352.

ზანდუკელი სილოვან ნიკოლოზის ძე, ფიციე სანდუნოვი (1756—1820) 693.

ზანქან ზორაბაბელი 31, 175.

ზარბაჯათი („ევარჰაიანი“) 444.

ზარგაიროვი ა. (გამოკვეთელი) 441.

ზარდაშტი („შაჰნამე“) 331, 332.

ზარდი („ეპირამიანი“) 46—50, 60.

ზაულელი: ნ. გორჯასპი („ზარაბგურიანი“), როსტომი („შაჰნამე“).

ზარემუზ („რუსულდანიანი“) 424.

ზაქარია (ნიბლ) 607.

ზაქარია იქიმი („ამირანსარიანი“) 483.

ზაქარია ამირსპასალარი ნ. მზარგაძელი ზაქარია.

ზაქარია ბოლბული (ცნისკაპოსი XVI—XVII სს.) 463.

ზაქარია დეკანოზი ნ. გაბაშვილი ზაქარია 661.

ზაქარია ფანასკერტელი 517.

ზედაზნელი ნ. თიანე ზედაზნელი.

ზედგინიძე („შაჰნავაზიანი“) 536.

ზეესი 7.

ზენონ არქიმანდრიტი (XVII ს.) 541.

ზენონი („ცხოვრებაჲ გრ. ხანძთელისაჲ“) 9.

ზენონი (ფილოსოფოსი) 487.

ზიარიდი ონსორ-ელ-პე ალი იბნ ისკანდერ ქეიქეუსი (1049—1069) 294.

ზიგაბენი ექეთიმე ნ. ექეთიმე ზიგაბენი.

ზილიხა, ზილიხანი 346, 375—377, 403, 407.

ზირაქი ნ. ისო ზირაქი.

ზორა „მირიანი“ 441.

ზორასტრი 268.

ზოსარა („ესთერი“) 669.

ზოსიმე („რუსულდანიანი“) 324.

ზოსიმე (სულხან-საბა ორბელიანის ძმა) 453.

ზოსტერი („რუსულდანიანი“) 324, 428.

ზოსალი („სირინოზიანი“) 350, 351.

ზოპაქ („შაჰნამე“) 324, 330, 344, 348, 350.

ზოპაბ („სეილიანიანი“) 361.

ზუბალაშვილი 701.

ზულუმბათი („მირიანი“) 441.

ზურაბი (გიორგი სააკაძის შვილი) 525.

ზურაბ ერისთავი ნ. ერისთავი ზურაბ.

ზურაბი („ეხატანგანი“) 538.

ზურაბ (თავაქალაშვილი, ხსენება 1527 წ. ს-

ბუთში) 343.

ზურაბი (მღვინის შვილი, „კათოლიკოსმაქარა-
ანი“) 533.

ზურაბი („შანაშე“) 337, 347

0)

თავულაშვილი 415.

თავუნი (მონღოლური ხალხური ლექსი, ემთა-
ჟღმწერელი) 304.

თავაქალაშვილი, თავაქარაშვილი: ნ. ასლან, ილა,
ელზბარ, ზურაბ, მამუკა, ბატა, სადათერ,
ზევდილიანდრე.

თავაქალაშვილი მამუკა, მამუკა მდივანი, მამუკა
325, 339, 341 — 347, 368 — 380, 430.

თავაქარაშვილი ნ. თავაქალაშვილი.

თაერისელი: მირზა თაერისელი.

თაყარხანი („თიმსარიანი“) 473.

თაყელიშვილები („ეხატანგანი“) 536.

თათარხანი 523.

თამაზ-ხანი, შამთამაზი 541, 542, 629.

თამარაშვილი მ. 310, 333, 338, 342, 349, 373,
379, 381, 405, 451, 452, 454.

თამარ დედოფალი ნ. თამარ მეფე.

თამარი (გიორგი სააკაძის დედა) 369.

თამარი (ერეკლე II-ის ასული, დავით სარდლის
მეუღლე) 354.

თამარი (ვახტანგ VI-ის ასული, თეიმურაზ II-ის
მეუღლე) 605, 606.

თამარი (ვახტანგ V-ის ასული) 503, 506, 507.

თამარი (რუსულან დედოფლის ასული) 427.

თამარი (ოდიშის მთავრის ბეჟან დადიანის მე-
უღლე) 540.

თამარი (სამცხის ათაბაგის ქალი, სულხან-საბა
ორბელიანის მეორე ცოლი) 451.

თამარ მეფე, თამარ დედოფალი, თამარი (Tama-
pa), 28, 31, 33, 35, 38, 40, 41, 56, 79, 80,
109, 113, 119 — 121, 123 — 125, 127, 146,
147, 149 — 159, 169 — 174, 179, 185, 194,
207, 213, 215 — 224, 227 — 242, 245, 246,
265 — 269, 271 — 275, 277, 278, 281 — 283,
287, 289, 291 — 294, 302, 498, 514, 516 —
518, 556, 571, 582, 615, 617, 632.

თამარ მეფის ისტორიკოსი, თამარ მეფის მეზო-
ტინე, შემატინე (თამარ მეფის პირველი
ისტორიკოსი, ავტორი „ისტორია და აზმ-
ნი შარავანდედონი“-ს, XIII ს. პირველი
ხაზები) 15, 34, 35, 40, 81, 286, 289, 292,
687.

თამურაზი („უთრუთიან-საამიანი“) 339.

თამურაზი („შანაშე“) 324, 330.

თანაშვილები (ძეები) ნ: ბეგთაბეგ თანაშვილი
სულხან თანაშვილი.

თანაშვილი სულხან 17, 77, 84, 355 — 360,
406, 421, 439.

თარა („ბარამგურაინი“) 394.

თარგამოსი 259, 270.

თარგამოსიანი 256, 258.

თარხანი 273.

თაქთაქიე („ეხატანგანი“) 536.

თაყაშვილი ე., აკად. 17, 19, 56, 58, 111, 113,
115, 156, 179, 251, 252, 259, 262, 283,
301, 333, 336 — 338, 347, 348, 357, 359,
363, 372, 375, 379, 402, 411, 412, 415,
416, 418, 425, 429, 430, 447, 454, 462,
464, 465, 470, 473, 475, 481, 528, 532,
560, 574, 580, 591, 596, 599, 602, 608, 619,
674, 676, 677.

თამათან („შანაშე“) 268, 275, 287, 289.

თბილელი: ნ. აბო თბილელი, თბილელი ელსე,
თბილელი თინე, სააკაქე თსუბი, ორბელ
ნიკოლოზი.

თბილელი მწიგნობარი (XVIII ს. ბოლო).

თეგულთარ ყაენი 304.

თეიმურაზ ბატონიშვილი (გიორგი XII-ის ძე)
56, 77, 78, 112, 114, 115, 189, 225, 242,
664, 668, 678, 699.

თეიმურაზ I, თეიმურაზ-ხანი, კახთ ბატონი,
თეიმურაზი (დეიოთ მეფის ძე, 1606 — 1648),
16 — 19, 53, 110 — 112, 121, 146, 207,
210 — 212, 314, 319, 335, 343, 344, 346,
357, 359, 369, 372 — 375, 377 — 379, 381,
383, 386 — 389, 401, 403, 405, 406, 418,
419, 454, 462, 475, 493 — 496, 498, 513 —
516, 518 — 520, 522 — 524, 529, 551 — 561,
564, 566 — 573, 578, 583, 586, 587,
590 — 592, 599, 605, 608.

თეიმურაზ II, თეიმურაზი (ერეკლე I-ის ძე)
125, 126, 205, 282, 291, 317, 335, 336,
473, 547, 570, 605, 606, 609 — 614, 616.

- 617, 622, 623, 659, 661, 663, 665, 675, 687, 689, 694.
- თეიმურაზ ბატონიშვილი (გიორგი XII-ის ძე, 1782 — 1846).
- თეიმურაზ ლევანის ძე (ვახტანგ VI-ის ძმა) 535, 539.
- თეიმურაზ მუხრანბატონი 506.
- თეიმურაზ-ხანი ნ. თეიმურაზ I.
- თეიმურაზი („აყარამანიანი“) 354.
- თეკლე ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ასული, 1776 — 1846) 693.
- თემისტოკლე 270.
- თემურლენგი 23, 166, 167, 329.
- თეოდორა (წმ.) 8.
- თეოდორე 282, 283.
- თეოდორე სტრატეგოტი (წმ.) 8.
- თეოდორე ხარანელი 38.
- თეოდორიტე, ისტორიკოსი 254.
- თეოდორიტე კვირიელი 38.
- თეოდოსი მცირე 574.
- თეოფილე ხუცესმონაზონი, თეოფილე 36, 244.
- თეოქისტე (წმ.) 631.
- თითა (ვახტანგ V-ის ასული) 507.
- თინა (ზალზური სიმღერა) 637, 659.
- თინათინი („ვეფხისტყაოსანი“) 30, 87, 88, 93, 98, 101, 107, 121, 128, 135, 139, 143, 145, 167, 171 — 173, 177, 179, 211, 366, 370, 417, 420, 498, 528, 615.
- თინათინი („თამარანი“) 218 — 220.
- თინათინი (თეიმურაზ I-ის ასული) 564.
- თინათინი წიბა („ქეთევანიანი“) 494.
- თმოგველი 114.
- თმოგველი (უღუ დაეითის თანამედროვე) 158.
- თმა მოციქული (ბიბლ.) 598.
- თარგელები 158.
- თოფურია გ. 661, 664, 665, 671.
- თულაშვილები („ვახტანგნიანი“) 536.
- თულესი ეტემ ნ. ჰათემ თაა.
- თუმანიანი ოვანეს 474.
- თუმანიანი (თუმანიშვილები) („ვახტანგნიანი“) 536.
- თუმანიშვილი გივი ზურაბის ძე (არჩილ მეფის მდივანი) 574, 592, 604, 617.
- თუმანიშვილი ზაალ („ლეილმაჯნუნიანის“ ხელნაწერის გადამწესხველი) 383, 386.
- თუმანიშვილი მანუჩარ („შაჰნავაზიანი“) 505.
- თუმანიშვილი ოთარა (მდივანი, შესაძლებელია იგივე უცნობი პოეტი ოთარა) 639.
- თუმანი 275, 287.
- თურა („შაჰნაშე“) 327, 330 — 332.
- თურამანიძე ზოსრო, თურამანისძე ზესარო 15, 224, 233 — 237, 248, 258, 326, 509.
- თრღატი (სომეხთა მეფე, „ავათანგელოზი“) 255.
- თურქისტანთი („ვახტანგნიანი“) 536.
- თურქისტანიშვილი დავით ან დაუთ 416, 574, 592, 625.
- თურქისტანიშვილი ერასტი (ვახტანგ VI-ის დროს მოღვაწე) 487, 488, 490, 639.
- თურქისტანიშვილი გიმიშტა („შაჰნავაზიანი“) 505.

0

- ობიკოვი (კაპიტანი) 315.
- ობონი 7.
- ობობი ალფესძე (ბიბლ.) 598.
- ობობი (ბიბლ.) 221, 275, 287, 426, 472, 607.
- ობობი სამებელი ნ. ლუმბაძე ობობი.
- ობობი შემოქმედელი ნ. ლუმბაძე ობობი.
- ობობისძე ნ. ბადრი ობობისძე („ომიანდარეჯანიანი“).
- ობობისძე ბადრი („ვარშაყანი“) ნ. ბადრი ობობისძე.
- ობობი კობუჯი („ომიანდარეჯანიანი“) 65, 70, 71, 86.
- ობობი ფხოველი (თარგმანი, „დაეითიანი“) 640.
- ობობი („შაჰნაშე“) 254, 288.
- ობობიშვილი (მონღოლური ზალზური ლექსი, ეამთაღმწერელი) 304.
- ობობი ნ. ობობი ტლაშაძე.
- ობობი (ბიბლ.) 253, 254, 284.
- ობობიშვილი-ობობი-ნასარი 45.
- ობობიშვილი ნ. პეტრე ობობი.
- ობობისი („უთრუთიან-სამაიანი“) 341, 343.
- ობობი-ასირი, ისტორიკოსი 156.
- ობობი-სალა ნ. სალა.
- ობობი-ხალიკანი 225.
- ობობი, ობობი („ორუსდინიანი“) 424, 427.
- ობობიშვილი ფილოსოფოსი ნ. ეზობი.
- ობობიშვილი (ბიბლ.) 582.
- ობობიშვილი ნ. ლუკა ობობიშვილი.
- ობობი (ვახტანგ V-ის ძმა) 503.
- ობობი მეფე, იესე (ილიყულობანი, ლეიანის ძე, ქართლის მეფე, 1714 — 1716) 525, 533, 535, 536, 606, 641.
- ობობი ოსეს ძე ნ. ოსევილი ოსეს.

- იესე ოსეშვილი ნ. ოსეშვილი იესე.
 იესიანი (ქართულ მეფეთა ტიტულატურა, „ოსტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) 239.
 იესო ქრისტე, ქრისტე 198, 244, 251, 252, 285, 302, 303, 461, 494, 527, 555, 570, 575, 583, 638, 641, 655, 670, 680.
 იეჰაბატი („სირინოზიანი“) 351, 352.
 ივანე (ციორგი სააკაძის შვილი) 525.
 ივანე ათაბაგი 157, 158, 518.
 ივანე ახალციხელი 157.
 ივანე მსახურთუხუცესი ნ. ივანე მხარგრძელი.
 ივბიმიანე, ივბიმიანოსი 271, 582.
 ივლითა (ბიბლ.) 282.
 ივერიშვილი (XIX ს.) 352.
 ივლიანე განდგომილი, კეისარი, 14, 244, 285, 487, 582.
 ილთუშიში (ინდოეთის გამაერთიანებელი 1227 წ.) 153.
 ილაილი („მირიანი“) 440, 441.
 ილაპარაკე („რუსულდანიანი“) 424.
 ილარიონ გუჯუნშერი (სასულიერო პირი) 260, 261.
 ილია ნ. ჭავჭავაძე ი.
 იტიტინე („რუსულდანიანი“) 424, 426.
 იმამ-ყულიხანი ნ. დავით იმამყულიხანი.
 იმამყულიხანი (შირაზის გამგე) 494.
 იმედაშვილი გ. 37, 294, 486.
 იმედაშვილი ი. 522.
 ინგოროყვა პ. 10, 19, 20, 46, 100, 112, 113, 115, 116, 123, 124, 187 — 189, 215, 217, 222 — 225, 227 — 229, 241, 252, 282, 288, 325, 469.
 ინლო ჭაბუცი („ამირანდარეჯანისანი“) 61 — 68, 71, 75, 86, 143.
 ინოკენტი (რომის პაპი) 526.
 იოანე („კალმასობა“) 622.
 იოანე ბატონიშვილი (ციორგი XII-ის ძე) 18, 61, 63, 121, 166, 360, 361, 363, 369, 387, 390, 392, 545, 547, 618, 619, 622, 661 — 663, 677, 678.
 იოანე დამასკელი 38, 112.
 იოანე დიაკონი (ვადაშვილი, ბორენა დედოფლის გაზრდილი) 225.
 იოანე დიაკონი (დავით აღმაშენებლის თანამედროვე სომეხი დიაკონი) 234.
 იოანე ზედაზნელი 257.
 იოანე თბილელი („ეპიტანგიანი“) 536.
 იოანე მოციქული (ბიბლ.) 598.
 იოანე ნათლისმცემელი (ბიბლ.) 303, 595.
 იოანე ოქროპირი, ოქროპირი (ბერძენი საეკლესიო მწერალი) 7, 478, 490, 533.
 იოანე პეტრიწი, პეტრიწი 35, 36, 39, 40, 181, 631, 661.
 იოანე სააკაძე („გარეჯის ბერთუბნის მამა, კაცი ღირსი“, შესაძლოა იგივე ივანე, გიორგი სააკაძის შვილი) 525.
 იოანე ტარიჭისძე 39.
 იოანე შავთელი, შავთელი 17, 110, 120, 233, 235 — 237, 241, 242, 247, 343, 368, 375, 632.
 იოანე ჭიჭიშვილი 39, 272.
 იოსაფი, იოდასაფი („სიმბრძნე ბალეარისა“) 52, 455.
 იობი (ბიბლ.) 426, 516, 585, 607.
 იობი (ზაქარია გაბაშვილის ერისკაცობის საგარეუდებელი სახელი) 622.
 იობიან-გაბაონელი ნიკოლოზ ნ. გაბაშვილი ნიკოლოზ.
 იობიან-გაბაონელი ბესარიონ ნ. გაბაშვილი ბესარიონ.
 იობიანნი ნ. გაბაშვილი ბესარიონ, გაბაშვილი ნიკოლოზ.
 იობიანე იმპერატორი (ივლიანე განდგომილის ძე, IV ს.) 254, 285.
 იოდასაფი ნ. იოსაფი.
 იოვანე (წმ.) 631.
 იოთამისშვილი ბეჟანი (ანახანუმ დედოფლის მამა) 606.
 იონა შროველი 641.
 იორამი, თარხან იორამი, სააკაძე (ციორგი სააკაძის შვილი) 504, 525.
 იორდანიშვილი ს. 46, 102, 189, 326, 373, 381, 449, 453, 454, 458, 470, 497.
 იოსება (ქალაქის ნაცელისშვილი, „კათოლიკოს-ბაქარიანი“) 533.
 იოსებ არქიეპისკოპოსი 477.
 იოსებ თბილელი ნ. სააკაძე იოსები.
 იოსები ნ. ლაბავეი ოსე.
 იოსებ, იუსუფი, უსუფი („იოსებზილიხანიანი“) 239, 292, 375 — 377, 418, 498.
 იოსებ, იოსებ მშენებელი, იოსებ ებრაელი (ბიბლ.) 123, 263, 275, 287, 426, 472, 554, 559.
 იოსებ მღვდელი ნ. კოშორიძე იოსები.
 იოსებ სამებელი 643.
 იოსებ ფლამბიუსი, ბერძენი ისტორიკოსი 301.
 იოსებ გუჯღიზი (პატრი) 342.
 იოსელიანი პ. (Иоселиани П.) 18, 57, 126, 215, 233, 236, 363, 515, 519, 522, 523, 525 — 528.
 იოსიპოსი 271, 280.

იმპორიტე 490.
 იმოლიტე რომაელი 253.
 ირა (ბერძნული მითოლოგიის ლეგენდა) 7.
 ირაკლი ნ. ერეკლე I, ერეკლე II.
 ირაკლი კეისარი 261.
 ირბახი ნიკიფორე (მიკიფორე) ან ნიკოლოზ
 ნ. ჩოლოყაშვილი ნიკიფორე.
 ირუბაქიძე ჩოლოყაშვილი გარსევან ნ. ჩოლო-
 ყაშვილი გარსევან.
 ისააკი (ბიბლ.) 256, 607.
 ისააკი (ზაქარია გაბაშვილის ერისკაცობის საეპ-
 რატუდებელი სახელი) 662.
 ისააკი (ზაქარია გაბაშვილის შვილი) 662.
 ისააკ მტორე 662.
 ისაყი („ფირზალიანი“) ნ. აბულ ისაყი.

ისაია წინასწარმეტყველი (ბიბლ.) 199, 269.
 ისო ზირაქი (ბიბლ.) 198, 199 490, 373, 581,
 631, 650, 651.
 ისფანდიერი („ყარამანიანი“) 354.
 ისფანდიერი („შაპნაშე“) 350, 352.
 ისქანდერ მაკილოვნელი ნ. ალექსანდრე მაკე-
 ღონელი.
 ისქანდერ მუნში, ისტორიკოსი 554.
 იტიტინე („ირუსუდანიანი“) 324.
 იუდა (ბიბლ.) 652.
 იუნიტან გრძელელი 243, 268.
 იუსტინა (წმ.) 8.
 იუსუფ ნ. იოსები („იოსებზილიხანიანი“).
 ივალთოელი ნ. არსენ ივალთოელი.

კ

კაბადოციელი ნ. გიორგი კაბადოციელი.
 კაენი (ბიბლ.) 291, 607.
 კაენი („ლეილმაჯუნუანი“) ნ. ყაისი 291.
 Kaika'usbin Iskander bin Qabus ნ. კეკაოხი.
 კაკაბაძე ს. 19, 61, 68, 78, 79, 101, 110, 113,
 115, 116, 119, 120, 122, 138, 149, 154, 164,
 215, 226, 229, 236 — 238, 262, 288, 309;
 329, 343, 344, 365, 366, 368. 527, 528,
 531, 564, 638, 639.
 კალანდაძე ა. 555.
 კალატოზოვი (გამომცემელი) 411.
 კალისტენი (ფილოსოფოს არისტოტელის ძმის-
 წული) 283.
 კალისტე (წმ.) 631.
 კამარ ქალი, ყამარ (ზალხური „ამირანი“) 82, 83.
 კანანელი ნ. სვიმონ კანანელი.
 კარაბეტი ნ. სურგუტარაბეტი.
 კარბელაშვილი პ. 366, 437, 662.
 კარინი 697,
 კარიკაშვილი დ. 19, 116, 122, 363, 477.
 კასანდროს 301.
 კატარინა (ანდრეას გრიფიუსი, „საქართველოს
 დედოფალი კატარინა“) 496.
 კახასძე გამრეკელი 516.
 კედელაური ნ. საბაშვილი სერაპიონ სოგრა-
 ტის ძე.
 კედელაშვილი საბა (მოსხენებული 1474 წლის
 სიგელში) 327.
 კეკელიძე კ. აკად. (Кекелидзе К., Kekelidze K.)
 2 — 7, 8 — 10, 17, 18, 20, 22, 23, 27, 33,
 40, 46, 61, 81, 102, 106, 112, 113, 117, 122,

136, 154, 170, 220, 231, 239, 244 — 246,
 252, 256, 259, 261, 265, 276, 285, 287, 288,
 291, 292, 294, 299, 325, 337, 366 — 368,
 374, 387, 391.
 კენტავროსი 268, 271, 286, 288.
 კესარიელი ნ. პროკოპი კესარიელი.
 Kessler 189.
 კვირელი ნ. ეპიფანე კვირელი.
 კვირელი ნ. თეოდორიტე კვირელი.
 კვიროსი 301.
 კვიროსი (ვირო, ვალექსილი „ვისრამიანი“) 407.
 კირილე ალექსანდრიელი 38.
 კირილე დონაუერი ნ. დონაუერი კირილე.
 კირილე იერუსალიმელი 269.
 კლემენტოს პაპი 451.
 კლუპატრა 552.
 კლიტენმესტრა („იფილენია“) 697.
 კობლაძე ნ. (გამომცემელი) 354.
 კობიძე დ., პროფ. 75, 292, 325, 330, 331, 334,
 337, 339, 346 — 349, 389, 404, 428, 444,
 461, 472.
 კოვალენსკი 698.
 კოზმანი, კოსმა (მრავალშობის მღვდელმონაზონი)
 496.
 კონსტანტი კაზი 541.
 კონსტანტინე (კონსტანტინე I, ბაგრატ დიდის ძე,
 საქართველოს მეფე, 1407 — 1411) 329.
 კონსტანტინე (კონსტანტინე II, დემეტრეს ძე,
 ქართლის მეფე, 1479 — 1505) 327 — 329.
 კონსტანტინე (კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის
 ძე) 515.
 კონსტანტინე, მამაყულიხანი (ერეკლე I-ის ძე,

- კახეთის მეფე, 1722 — 1733) 532, 541—543, 605, 627, 639.
- კონსტანტინე (იმერეთის მეფის დაით II-ის და დედოფალ ანას შვილი) 667.
- კონსტანტინე ბატონიშვილი (ვახტანგ V ძმა) 505, 507.
- კონსტანტინე დიდი, კონსტანტინე კეისარი, კონსტანტინე იმპერატორი, 254, 264, 269, 428, 582.
- კონსტანტინე მეფე („მელის წიგნი“) 482.
- Conybeare F. C. 492
- კოხალე (წმ., „დავითიანი“) 659.
- Corluy J. 235.
- კორნელი 696, 699, 700.
- კოსარიკი დ. 638, 642 — 644, 660.
- კოსმა ნ. კოხმანი.
- კოსტა („რუსულანიანი“) 424, 426, 428.
- კოსტანტი, ქართლის გამგებელი (923 — 926 წწ. ფიქალწერილობი მოხსენებული) 57.
- კოტაშვილი 316.
- კოტეტიშვილი ლ. 335
- Cottas V. 692.
- კოშორიძე ელენე 392.
- კოშორიძე იოსებ, იოსებ მღვდელი 561.
- კოშორიძე სეიმონი (იოსებ კოშორიძის შვილი) 561.
- კოპარი (გრაფი, ქალაქ ვენის დრამატული დოსის ანტრეპრენიორი) 694.
- კრაევა 179.
- კრიტელი ნ. ანდრია კრიტელი.
- Krumbacher K. 478.
- Крившый А. 56, 153, 157, 416, 557, 559.
- კრიტა 270.
- კრაპოტოვი გაბრიელ (სარდალი) 541.
- კუკავა თ. 454.
- კუტისშვილი ზაქარია (გელათის წმიდა გიორგის ეკლესიის არქიმანდრიტი) 663.
- კ. ჩ-ნი 650.
- ლაგოძე პეტრე (1310 წლის საბუთში დასახელებული პირი) 299.
- ლაზარ („დავითიანი“) 640.
- ლაზარე (ბიბლ.) 607.
- ლაზარევი დ. (გამომცემელი) 354.
- ლაშვერტი არქანჯელო ნ. არქანჯელო ლაშვერტი.
- ლანგ-თემური ნ. თემურ-ლენგი.
- ლარაძე პეტრე 281, 353, 363, 677, 699.
- ლაროს (პეტრე ლარაძის „დილარიანი“) 353.
- ლაფონტენი 456.
- ლაშა გიორგი, გიორგი მეფე, გიორგი ლაშა, გიორგი ციორგი IV, თამარ მეფის ძე, საქართველოს მეფე, 1213 — 1222) 151, 157, 189, 228, 236, 237, 266, 301, 304, 305, 517.
- ლაშა გიორგის დროინდელი ისტორიკოსი (XIII სუკ. პირველი შეთხვედი) 151.
- ლახიჯანი („ეკაშე და აზრა“) 138.
- ლემბოსი (ბიბლ.) 598.
- ლევანი (ლეონი, ავგიორგის ძე, კახეთის მეფე, 1518 — 1574) 620.
- ლევანი (შაქარის ძე) 478, 479, 498, 499.
- ლევან დადიანი (შამადაელე, ვახტანგ მეხუთემ დასვა დადიანად ლევან დადიანის სახელით) 500, 501, 503.
- ლევანი (ვახტანგ-V-ის ძე) 103, 451, 506, 535, 593.
- ლევანი, ლეონი (თეიმურაზ I-ის ძე) 493, 494.
- ლევან II ნ. დადიან ლევან მანუჩარის ძე.
- ლელო, ლეილა („ლეილაჯუნანიანი“) 135, 136, 291, 346, 384 — 386, 388, 403, 418.
- ლეგი დ. შ. 451.
- ლეონ ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ძე) 669.
- ლეონ ბრძენი (იმპერატორ ბასილ მაკედონელის შვილი, 886 — 911) 476, 477.
- ლეონი ნ. ლევანი (თეიმურაზ I-ის ძე).
- ლეონი („სივბრძნე სიკრუსია“) 450.
- ლეონი (რომის პაპი) 38.
- ლეონიძე გ. 19, 81, 102, 326, 327, 381, 449, 453, 510, 522, 523, 526, 529, 530, 602—604, 622, 630, 631, 637, 642, 643, 656, 662, 664, 665, 667, 668, 674, 678, 681.
- ლეონტი პროევილი (ისტორიკოსი, XI სუკ.) 10, 13, 37, 79, 252 — 257, 259, 260, 284, 287, 288, 290.
- ლაამი, (თურქი პოეტი, გარდ. 1531 წ.) 138, 394
- ლიპარიტი (დადიანი) ნ. დადიანი ლიპარიტი.
- ლიპარიტი ორბელიანი 80.
- ლითი (ბიბლ.) 283.
- ლოლაშვილი ი. 82, 215, 217, 218, 226, 229, 230.
- ლომონოსოვი 697.
- ლომოური თ. 667.
- ლორასპი, ლორასპი, ლორასპი („შანაშე“) 326, 331, 334.

ლ

ლორთქიფანიძე ი. 662, 664.
 ლორიაძენ შაბლიზი („მეფეთა ცხოვრება“) 393.
 ლომრასპი ნ. ლორასპი.
 ლუარსაბ ვახტანგის ძე (სიმონ II-ის შვილიშვილი) 335.
 ლუარსაბ მეფე (ლუარსაბ II, გიორგი X-ის ძე, ქართლის მეფე, 1606 — 1615) 402, 515, 523, 525.
 მაგუგ 243.
 მაგრა (წმ.) 8.
 მათე ნ. ბარათაშვილი მამუკა.
 მაია ნ. გაბაშვილი მაია.
 მაია (ეუღლარდასის გიორგი ქსნის ერისთავის ასული) 667 — 658.
 მაკარი მესხი 300.
 მაკედონელი: ნ. ალექსანდრე მაკედონელი, ბასილი მაკედონელი.
 მაკედონისი 244.
 მაკრინე (ერეკლე I-ის მარიამის სახელი მონაზვნობაში) 620.
 მალაქია კათოლიკოსი (XVII საუკ.) 313.
 მამადყულისხანი ნ. კონსტანტინე (ერეკლე I-ის ძე).
 მამანტი (წმ.) 631.
 მამებელი („ბარამგურაინი“) 398.
 მამლიკების, აგურითა მონების“ დინასტია 153.
 მამუკა ნ. ბარათაშვილი მამუკა.
 მამუკა ბატონიშვილი (იმერეთის ბატონიშვილი, XVII საუკ.) 402, 519.
 მამუკა მდივანი ნ. თავაქალაშვილი მამუკა.
 მამუნ ხალიფა („ამირნასარაინი“) 483.
 მანანა (პოეტი ქალი, ერეკლე II-ის თანაშემღროვი) 561.
 მანასე (ბიბლ.) 582, 592.
 მანგულდემურ (მონღოლური ხალხური ლექსი, ეპოპეა) 304.
 მანი 244.
 მანი („ბარამგურაინი“) 394, 396, 398, 400.
 მანიყაი („შაჰნამე“) 137, 333.
 მანუჩარ ნ. ციციშვილი მანუჩარ (ნანუჩა).
 მანუჩარი („ჩარადავრიანი“) 442.
 მანუჩარი („რუსულდანიანი“) 423 — 425, 427, 430.
 მანუჩარი („სეილანიანი“) 360.
 მანუჩარი („უთრუთიან-სამიანი“) 339.
 მანუჩარი (მეპთარ, „შაჰნამე“) 502.
 მანუჩარი („შაჰნამე“) 324, 330, 336, 337.

ლუარსაბი (ვახტანგ V-ის ძე) 507.
 ლუარსაბი („შაჰნამე“) ნ. ლორასპი.
 ლუი ბონაპარტი 155.
 ლუი XIV 452.
 ლუკა იერუსალიმელი 300.
 ლუპპოლი (კრიტიკოსი) 175.
 მარაკანელი ნ. სამუილი.
 მარგარიტა ანტიოქელი (წმ.) 8.
 მარდოხე („ესთერი“) 699, 700.
 მართა (ბიბლ.) 634.
 მარიამ დედოფალი, მარიამი (ლევან II დიდი-ნის და, ჯერ სემონ გურიელის, შემდეგ როსტომ მეფის, ბოლოს ვახტანგ VI-ის შვილს) 262, 300, 403, 497, 499, 501, 502, 506, 508, 518.
 მარიამ ნ. მაკრინე.
 მარიამ (ბიბლ.) 634.
 მარიამ (ლეთისმშობელი) 603.
 მარიამ მეგვიპტელი, მარიამ მ., -282, 283.
 მარიამი (ქმისწული აბრაამისა, წმ.) 8.
 მარი გიორგი (იური) 166, 196.
 მარი ნ. (Mapp H.), აკად. 4, 13, 16, 19, 46, 53, 55, 56, 60, 61, 72 — 75, 78 — 80, 108, 116 — 119, 123, 128, 146 — 149, 161, 164, 165, 177, 178, 183 — 186, 190 — 192, 194, 206, 215 — 218, 221, 222, 226, 230, 233, 234, 236 — 238, 240, 242 — 244, 286, 291, 292, 294, 324, 366, 425, 428 — 430, 454, 481, 497, 571.
 მარინა (წმ.) 8.
 მარინე (წმ.) 235, 529.
 მარიხი („სირინოზიანი“) 350, 352.
 მარკიანე (მეფე) 574.
 მარკიანე იმპერატორი („ჰერაკლე“) 700.
 მარკიონი (ფილოსოფოსი) 202.
 მარშარა შვედლანთ ქალი (საათონოვს მუღლ.) 679, 680.
 მარტიანე („ჰერაკლე“) 700.
 მარქსი კ. (Маркс К.). 155, 573.
 მაქსიმე აღმსარებელი 112, 490.
 მაჩაბელი („შაჰნამე“) 536.
 მაჩაბელი („მუხიცი და კომენდანტი“, XVIII საუკ.) 693.
 მაჩიტაძე ლავრენტი (გამომცემელი) 515, 519.
 მაწყინარი („ბარამგურაინი“) 399.

- მაკვარიათი შ. 241.
 მახატელის ძე ზორნაბუჯელი ნ. ზორნაბუჯელი
 მახატელის ძე.
 მახოს სულთანი („ამირანსარიანი“) 483.
 მაჯუნე („ლილიმაჯუნეანი“) ნ. ყაისი.
 მაჯუნე (საათნოეას თსეედონიმი) ნ. საათ-
 ნოეა.
 მაჰანუ ღედოფალი („ხორგომირიანი“) 393.
 მაჰმადი (Мухамед), მოჰმედი 187, 227, 261.
 293, 386.
 მაშული (სპარსეთის მეფე, 998 — 1030) 287.
 მაშუდ ღაზნეელი 153.
 მეგვიბტელი ნ. შარამ მეგვიბტელი, ტასია მე-
 გვიბტელი.
 МЕДИКОВ Н. 153.
 მეთოდი პატრელი ან ოლიმპელი (III—IV საუკ.)
 255.
 მეითარისშვილი ზაალ 536.
 მელეტი (ჯვარის მამა, მოხსენებულა XVIII
 საუკ. სიგელში) 234.
 მელიქშვილი 694.
 მელიქსედ (ფარსადან გორგიჯანისძის უმცროსი
 ძმა) 336.
 მელიქსეთბეგი ლ., პროფ. 255, 360, 678, 679,
 681.
 მელიქ-სურხავი („ვეფხისტყაოსანი“) 95, 137,
 153.
 მელოქ შაბი („მეფეთა საღარო“) 459.
 მელოქსედეკი (მიბლ.) 580.
 მელქ ზოჰარაბ („სეილანდანი“) 361.
 მეშნა (ქალაქის მკველი, მოკლეს 1227 წ. ავ-
 ლალედ-დინის შემოსევის დროს) 158.
 მენაზღე ლ. 449, 584.
 მენანდროს 490.
 მენელოა 286.
 მენშიყოფა დ. ა. 479.
 მენშიყოფი (თვადი) 591.
 მენაბი (დავით გურამიშვილის ბიძა) 643.
 მერჩული ნ. გიორგი მერჩული.
 მესხი მაკარი ნ. მაკარი მესხი.
 მესხი მელექსე („ვეფხისტყაოსნის“ ინტერპო-
 ლატორი) 108, 116, 117, 367.
 მესხიშვილი 694.
 მეტრეველი ი. 112, 448, 604.
 მეუნარგა ი. 57.
 მზემსული (ჩვენამდე არმღწეული თხზულების
 გამირი) 364.
 მზექალა (მამუკა ბარათაშვილის ლექსი) 636.
 მზეკაბუჯი ათაბაგი (გარდ. 1516 წ.) 366.
 მზეკაბუჯი („ამირანდარეჯანიანი“) 62 — 64, 68,
 70, 71, 75, 81, 85, 86, 139, 144, 275, 287,
 356.
 მთაწმიდელი ზ. (ზ. კვიციანიძის თსეედონიმი)
 ნ. კვიციანე ზ.
 Migne 244.
 მიდასი 301.
 მილადი („ბარამგულიჯანიანი“) 414.
 Миллер Ф. 491.
 მილტონ ხელმწიფე („მირიანი“) 441.
 მიჩვანი 13.
 მიჩხა თავრიზელი 594.
 მირი („მირიანი“) 439 — 441.
 მირიან ბატონიშვილი, მირიანი (ერეკლე II-ის
 ძე, 1776—1834) 630, 641, 642, 675, 693, 699.
 მირიანი, მირიან მცხეთელი (ქართველების მეფე,
 IV ს.) 13, 255, 257, 498.
 მირაჰეილ-კაუთარი (სპირს. პოეტი) 393.
 მისანინ-ზარი („სირონოზანი“) 352.
 მიტილინელი ნ. ქრისტეფორე მიტილინელი.
 მიქელი, მიქელი, მიხეილ (ვახტანგ VI-ის დრო-
 ინდელი მესტაბე) 105, 106.
 მიქაძე გ. 604, 628, 631, 632, 637, 656, 659,
 677.
 მიქელაძე („შანავაზიანი“) 503.
 მიქელაძენი („შანავაზიანი“) 500.
 მიქელ-გობრონი 170.
 მიქელი ნ. მიქელა.
 მილდისას შვილი არუთან ნ. საათნოეა.
 მილუაშვილი („თეოდრაზი“) 694.
 მიხეილი ნ. მიქელა.
 მიპრ, მირიანი, („მიპრო-მოშთერი“) 442.
 მოაბდი („ვისრამიანი“) 45 — 47, 49 — 52, 54,
 58, 59, 129, 131, 132.
 მოაბარ („მახთიარნამე“) 471.
 მოგილა პეტრე 574.
 მოკლე კაბუჯი („ამირანდარეჯანიანი“) 65.
 მოლა აჯა („ეკარდულბულანი“) 557, 559.
 მოლოჯი 240.
 მომფსევტელი 224.
 მონაზონი არსენი ნ. არსენ ბერი საღირსიძე 265,
 მოსე (წმ.) 629, 631.
 მოსე („სილიენმისქალაქიანი“) 446.
 მოსე ზონელი 17, 60, 61, 71, 77 — 79, 110,
 142, 174, 233, 256, 355, 356, 375.
 მოსე ზორნელი (სომეხი ისტორიკოსი) 283.
 მოსიმახოს 245, 264, 270, 271, 286, 288, 301.
 მოსორ ნადირისძე („ამირანდარეჯანიანი“) 70.
 Mourier J. 458.

შოპაშვილი (ათაბაგი, 1174 — 1186) 227.
 შოპაშვილი ნ. შოპაშვილი.
 Mohl J. 289, 326, 330 333, 352, 354.
 შროველი: ნ. ავალიშვილი დომენტი, იოანე შროველი, ლეონტი შროველი.
 მუღდალი ეფენდი („კათოლიკოსბაქარიანი“) 533.
 მუხამბარი („სირინოზიანი“) 350.
 მურატოვი ივან ვრიგორი 642.
 მურადეი („ფრიდონიან-საამიანი“) 345.
 მურვანიძე („შანაფაზიანი“) 536.
 მურვან ყრუ 691.
 მურტუფადინ, სალდუსის ძის ძე 274.
 მუსხელიშვილი („შანაფაზიანი“) 536.
 მუყაფი (აბდულა-იმნ-მუყაფა) 462.
 მუშთარი („მირიანი“) 439 — 441.
 მუშთარი („მოქრო-მოშეთარი“) 442.
 მუშთარი („სირინოზიანი“) 352.

მუშთარიჯანი („სირინოზიანი“) 251, 252.
 მუხვარდი („ზააქიანი“) 345.
 მუხრანბატონი ქაიხოსრო ვახტანგის ძე ნ. ქაიხოსრო მუხრანბატონი.
 მუჰამედალი-შაჰსუმი (მწერილი) 444.
 მხარგრძელი ვარამ 52.
 მხარგრძელი ზეჰარია, ზეჰარია ამირსპასალარი 517, 518.
 მხარგრძელი ივანე, ივანე მსახურთუხუცესი 517, 518, 230.
 მხარგრძელი სარგის 517.
 მხარგრძელი საღირ 517.
 მხეიძე („შანაფაზიანი“) 536.
 მხითარ გოში (სომეხი ისტორიკოსი) 455.
 Мухарр А. 153, 187.
 Mu'izz—uddin 361.
 Müller M. 456.

6

ნადირისძე მოსოი („ამირანდარეჯანი“) ნ. მოსოი ნადირისძე.
 ნადირ-შაჰი, ნადირ-შაჰი, შაჰ-ნადირი 314, 605, 611.
 ნაგაზაზუხან ჯაფარი (პოეტი, ვარდ. 1612 წლის შემდეგ) 393.
 ნაგზარი („შანაფა“) 326.
 ნავთი ალიშერი ნ. ილიშერი ნავთი.
 ნაგზადი („ბარამგულანდამიანი“) 411.
 ნაზარალისანი ნ. ერეკლე I.
 ნაზარეველი 244.
 ნაზიანზელი ნ. გრიგოლ ნაზიანზელი.
 ნაზიმი (პოეტი) 375.
 ნათანი, ნათანელი („სწავლანი ახიკარ ბრძენისანი“) 491.
 ნათენაძე 113, 118.
 ნათლისმცემელი ნ. იოანე ნათლისმცემელი.
 ნანუჩი ნ. ციციშვილი მანუჩარი.
 ნანუჯანი („სირინოზიანი“) 350, 351.
 ნარგვიზ ჯაღო („მირიანი“) 439.
 ნარიშანი („ბარამგულიჯანიანი“) 414, 415, 417.
 ნარიშანი („გერშასფ-ნამე“) 339.
 ნარიშანი („სირინოზიანი“) 350.
 ნარიშანი („უთრუთიან-საამიანი“) 339, 347.
 ნასთურაძე („არუსულანიანი“) 426.
 ნარინ დავითი ნ. დავით ნარინი.
 ნასიმი („მირიანი“) 441.
 ნასრ ულლაბი 462.
 ნატროშვილი გ. 640.
 ნეპოლელი ნ. ბერნარდე ნეპოლელი.

ნებროთი (ბიბლ.) 243, 254, 256, 258, 259, 268, 270.
 ნევიი ნ. ალიშერი ნავთი.
 ნექტანები, ნიქტანები (ალექსანდრე მიკედონელის მამა) 284.
 ნეოქესარიელი ნ. გრიგოლ ნეოქესარიელი.
 ნემესით ემესელი 197.
 Несторъ 81.
 ნერონი 553.
 ნესტან-დარეჯანი, ნესტანი („ვეფხისტყაოსანი“) 37, 91, 95, 97, 98, 101, 107, 108, 121 128 — 130, 135 — 143, 150, 151, 153, 161 166, 170 — 173, 181, 190, 191, 201, 211 365 — 367, 370, 403, 407, 417 — 420, 498, 527, 528, 615.
 ნესტან-დარეჯანი, დარეჯანი, ნესტანი (თეიმურაზ I-ის ასული, ჯერ ზურაბ ერისთავის, შემდეგ იმერეთა მეფის ალექსანდრეს მეუღლე) 499, 500, 501, 507, 565. — 567, 552.
 ნესტანი ნ. ნესტან-დარეჯანი.
 ნექაძე პეტრე (სიონის მგალობელი, არჩილ მეფის თანამედროვე) 363, 592.
 ნიზამი განჯელი, ნიზამი განჯევი, ნიზამი (აზერ-მათეანელი პოეტი, 1141 — 1203) 40, 134, 136, 154, 177, 178, 288, 290 — 292, 384, 387 — 389, 391, 394, 404, 405.
 ნიკოლოზ გულაბერიძე (1150 — 1178) 39, 179, 277.
 ნიკოლოზ დვალი 300.
 ნიკოლოზ თბილელი ნ. ირბელი ნიკოლოზ.

ნიკოლოზი (სიონის დეკანოზი, XVIII საუკ.) 487.
 ნიკტანები ნ. ნექტანები.
 ნილო სინელი 38.
 ნიმროდი 36.
 ნინო (წმ.) 179.
 ნინო (იმერთა მეფის ბაგრატის ასული, გელათის მონასტრის მონაზონი) 536, 540.
 ნინო (ნიკოლოზ ბარათაშვილის და) 443.
 ნიქაზტარი („ამირანი“) 440, 441.
 ნოდარი („რუსულდანიანი“) 424, 428.
 ნოდარ ფარსადანისძე ნ. ციციშვილი ნოდარი.
 ნოე (ბიბლ.) 253, 652.
 ნოესორ შაპი („ამირანსარიანი“) 483.

Nölske Th. 289, 339.

ნომიათაბი („მირიანი“) 439 — 441.
 ნოსარ ნისრელი, ნოსარი („ამირანდარეჯანიანი“) 63 — 66, 68, 69, 81 — 83, 86.
 ნოსელი ნ. გრიგოლ ნოსელი.
 ნოფალი („ლეილმაჯუნნიანი“) 136.
 ნოშრევანი („ოისებზილიხანიანი“) 376.
 ნურადინ-ფრიდონ ნ. ფრიდონი („ვეფხისტყაოსანი“).
 ნუქრადინი ნ. რუქნადინი.
 ნუშრევანი („რუსულდანიანი“) 424, 426.
 ნუტუბიძე შ. 215, 236.

ო

ოღისეოსი, ოღსევესი („ოლადა და ოღსეა“) 7, 286.
 ოზეროვი ე. ა. (დრამატურგი, 1770 — 1816) 700.
 ოთარი (აღორძინების პერიოდის უცნობი პოეტი, მოხსენებული ჰყავს, დ. გურამიშვილს) 359, 639.
 ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი 38.
 Охтенбург С. 404, 473—475.
 ოლიმპიელი ნ. მეთოდი პატრიელი.
 ომად ამადისძე („ამირანდარეჯანიანი“) 144.
 ომაინი („ბარამგურაინი“) 396, 397.
 ომაინი, ომაინ კაბუცი, ომაინ კაბუცი („ომანანი“) 170, 211, 367, 369 — 371, 373.
 ომაინი („ზალუმჯანიანი“) 438.
 ომანი („რუსულდანიანი“) 428.
 ომანი (ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის შაპი) 373.
 ომანიანი ნ. ჩოლოყაშვილები.
 ომანიშვილ-ჩოლოყაშვილი ნ. ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო.
 ომან შლივანბეგი ნ. ხერხეულიძე ომან.
 ომერაბი ნ. ჰომერაბი.
 ონანა შლივანი, ონანა (ქობულაშვილი, ძე კახეთის შლივანისა) 16, 354, 359, 412, 415—418, 465 — 470, 593, 628, 639, 677.
 ონგროვლან (უნგროვლანელი) 478.
 ონისიძე („ანბანთქება“ პაატა ბატონიშვილისა) 477.
 ონისიფორე („ანბანთქება“ პაატა ბატონიშვილისა) 478.
 ონოფრე ბოდბელი 612.
 ონსორი (პოეტი, გიარდ. 1039 წ.) 138, 275, 292, 293.
 ორბელიანები 627.

ორბელიანები: ავაგ, გამრეკელ და ელიქტომნ 113.
 ორბელიანი 694.
 ორბელიანი („ვახტანგვიანი“) 536.
 ორბელიანი (ლენინგრადის ხელნაწერი „ნარგოზოვანს“ ავტორად ასახელებს) 619.
 ორბელიანი აეთანდლი 354.
 ორბელიანი ალექსანდრე (პოეტი, XIX ს.) 693.
 ორბელიანი ანა ნ. ანა დედოფალი.
 ორბელიანი გრიგოლ (პოეტი, XIX საუკ.) 149, 683.
 ორბელიანი დავითი, ყაფლანშილი-ორბელიანი, დავით სარდალი 317, 354, 669, 674, 675.
 ორბელიანი დიმიტრი (საბას ძმა) 676.
 ორბელიანი დიმიტრი 665.
 ორბელიანი ვახტანგი (პოეტი, XIX საუკ.) 677.
 ორბელიანი ვახტანგ ყაფლანის ძე (სულხან-საბა ორბელიანის შაპი) 451.
 [ორბელიანი] ზოსიმე (სულხან-საბა ორბელიანის ძმა) 453.
 ორბელიანი იოანე, სარდალი 692, 693.
 ორბელიანი ლიპარიტ 80.
 ორბელიანი შამუკა ან შათე (ერეკლე II-ის დის ანას შვილი) 666, 667.
 ორბელიანი შუკვაბუცი, კაბუა 662, 674.
 ორბელიანი ნიკოლოზი 628.
 ორბელიანი პაპუნა (ისტორიკოსი, XVIII საუკ.) 546, 547, 611.
 ორბელიანი სულხანი (XVIII საუკ. პოლიტიკური მოღვაწე) 665.
 ორბელიანი სულხან-საბა, საბა 68, 319, 327, 373, 381, 404, 428, 433, 448, 449, 451—458,

465, 467 — 470, 489, 495, 593, 617 — 619, 627, 632.
 ორბელები 80.
 ორბელი 114.
 ორბელი ი., 46.
 ორბელი ნიკოლოზ, ორბელისშვილი, თბილელი (საბას ძმა) 451, 478.
 ორბელიშვილები 662.
 ორბელისძე (სახლუხუცესი) 537.
 ორესტ 286.
 ოსე ნ. ლაბავეი ოსე.

ოსეფა ნაზირი 536 („ეპიტანგანი“) 536.
 ოსეშვილი იესე, იესე ოსეს ძე 638, 639.
 ოსია (ბიბლ.) 582.
 ოსნაოზ 294.
 ოვსიბ ნ. უსიბი.
 Ouseley 462.
 ოქროპირ ბატონიშვილი (ოქროპირ ბაგრატიონი; 701.
 ოშანგ („ვისრამინი“) 58.

3

პაატა ბატონიშვილი (ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი) 477, 593.
 პაატა (გიორგი სააკიძის შვილი) 525.
 პაატა (თავაქალაქიშვილი, მოხსენებულაა 1627 — 1639 წწ. საბუთებში) 344.
 პავლე ღვინო 105.
 პავლე მოციქული (ბიბლ.) 196 — 198, 264, 598.
 პალაშიძე (ძვ. საბერძნეთის პოეტი) 245.
 პანკრატონიანი (ქართველ მეფეთა ტიტულატურა, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა-ნი“) 267.
 პანსოფი ალექსანდრიელი 7.
 პანტელეიმონი (წმ.) 533.
 პანკილია („შვიდეუზირიანი“) 475.
 პატა (პაატა ბატონიშვილი) 478.
 პატკანოვი, პროფ. 287.
 პატრელი ნ. მეთოდი პატრელი ან ოლიმპიელი.
 პაფნუტი (მღვდელმთავარი) 641.
 პაქუა (მელექსე) 316.
 Peeters, P. 7, 235.
 პელაგია (წმ.) 8.
 პელაბი 275, 287.
 პენტელაშვილი ილანე (მღვინა-მწიფინობარი) 482.
 პერსეფონი 275, 287.
 პეტრე („კალმასობა“) 622.
 პეტრე მოციქული (ბიბლ.) 598.
 პეტრე გელათელი 36.
 პეტრე დიდი, პეტრე (პეტრე I) 312, 537, 540, 541, 583, 591, 627, 632.
 პეტრე ბერიელი, პეტრე იბერი 105, 300.
 პეტრე მგალობელი ნ. ნეჭაძე პეტრე.

პეტრე მოვილა 574.
 პეტრე ჩხატარაძისძე, (გურიელი, მღვინა-მგალობელი, მწიფინობარი, გარდ. 1725 წ.) 362—364
 პეტრიწი ნ. იონე პეტრიწი.
 Pien Ch. 416.
 პიეტრო დელა ვალე (XVII ს.) 494, 496.
 პითაგორი, პითაგორი 490, 600.
 პითოდორა 270.
 პილოტნი (?) 491.
 პირ-ბუღაყი 329.
 პირი (პილივესის ძე ან *Νεοπτολεμος*) 81.
 პირი (მეფე ემპირისა) 81.
 პიროს 285.
 პლატონი (ფილოსოფოსი) 38, 180, 182, 202, 268, 486, 487, 490, 592, 600.
 პლოტინი (ნეოპლატონიკოსი) 192.
 პლუტარხოსი 269.
 პლუტონი 287.
 პლენიღონი (ღმერთი, ბერძნული მითოლოგიის) 7.
 პოტიომკინი პ. 670, 673, 701.
 პრიამოს 286, 301.
 პროკლე (დიადობოსი) 197.
 პროკოპი დუქსი 7.
 პროკოპი ეკსარიელი 246.
 პროტომაგოსი, პროტომაგოს ეგვიპტელი 37, 194, 264, 514.
 პულქერია 574.
 პულქერია („პერაკლე“) 700.
 Пурпеладзе Д. 526.

მ

ემთაღმწერელი (XIV ს. ქართველი ისტორიკოსი) 152, 153, 156, 157, 186, 188, 189, 285, 286, 300, 301.
Жданов И., აკად. 578.

ეოლია გიორგი („შანავაზიანი“) 503.

ეორდანი თ. (Жордания Ф.) ისტორიკოსი 6, 19, 61, 234, 240, 275, 343, 344, 366, 383, 386, 497, 526, 567, 572, 573, 642, 643.

ნ

ნადარა 282.

ნაეზი („ზარამგულანდამიანი“) 410, 412.

ნაზიან დევი („ამირანდარეჯანიანი“) 142.

ნაბნობადი („ამირანდარეჯანიანი“) 62, 63.

ნამაზაშვილი („შანავაზიანი“) 505.

ნამაზი („ვეფხისტყაოსანი“) 90, 91, 530.

ნამინი („ვისრამიანი“) 45 — 52, 56 — 58, 127 —

132, 164, 231, 274, 275, 287, 288, 291, 403,

406 — 408, 418, 419.

ნამინი (ცხრაზნის ხევის ხელისუფალთაგანი) 57.

ნაუდენ პირველმოწამე 257, 260.

ნასანი 696, 697, 699, 700.

ნატაშვილი ზურაბ („შანავაზიანი“) 536.

ნაქელი (ბიბლ.) 275, 287.

ნაშენ 282.

ნაჯაბ-ფაშა 533.

ნეინესი აკობ (მსახიობი, XVIII ს.) 694.

ნოშარი (მისიონერი) 452.

ნოგაია ა. 644.

Ногошин В. 413, 479.

ნოდამი („რუსულანიანი“) 423, 424, 430.

ნოდამი (არაგვის ერისთავის ასული, ოტი ან დრონიკაშვილის მეუღლე) 630.

ნოდამი (ყაფლან ბარათაშვილის ასული, ვახტანგ V-ის პირველი ცოლი) 506, 627.

ნოზაფორი („მირიანი“) 439, 441.

Новак В. Р. 404.

ნომანოზ სამთაველი („ვახტანგნიანი“) 536.

ნოსანი („ვეფხისტყაოსანი“) 136, 141.

ნოსტევაი („ვეფხისტყაოსანი“) 30, 87, 93, 98, 101, 109, 128, 135, 139, 144, 150, 177, 238, 417, 419, 615.

ნოსტევაი („რუსულანიანი“) 424.

ნოსტომ ბატონიშვილი, როსტომი (ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი) 593.

ნოსტომ ზაულელი ნ. როსტომი („შანაშენი“).

ნოსტომ მეფე (დაიით IX-ის ძე, ქართლის მეფე, 1633 — 1658) 335, 336, 344, 369, 402, 403, 429, 506, 508, 510, 515, 519, 525, 526, 564, 612, 622, 623.

ნოსტომი, როსტომ ზაულელი, როსტომ ფალავანი, რუსტემი („შანაშენი“) 137, 273, 274, 289, 325 — 327, 330 — 332, 336 — 338, 347, 349, 354, 370, 498.

ნოსტომი, როსტომ-ფაშა (ახალციხის ფაშა) 502, 507.

ნოსტომი („ზარზუნაშენი“) 429.

ნოსტომი („როსტომიანი“) 84, 398, 403, 419, 612.

ნოსტომი (მერთის ოთხთავში მოხსენებული პირი) 84.

ნოსტომ ბასანელი („ვისრამიანი“) 131.

ნუდეგი (სპარსელი პოეტი) 293.

ნუდეგო 46.

ნუსთაველი შოთა ნ. შოთა ჩუსთაველი.

ნუსტემი ნ. როსტომი („შანაშენი“).

ნუსულანი („რუსულანიანი“) 423 — 427, 430, 431.

ნუსულან დედოფალი, რუსულანი (თამარ მეფის ასული, საქართველოს მეფე 1222 — 1245) 112, 156, 158 — 160, 174, 227, 238, 305, 427, 428.

ნუსულან დედოფალი (თამარ მეფის შამილა) 291, 687.

ნუსულანი (ვახტანგ VI-ის მეუღლე) 574.

ნუსულანი (თამარ მეფის დე) 170, 277.

ნუქა („სიბრძნე სიერუისა“) 450.

ნუქანდინი, ნუქანდინი, 229, 230, 278, 515.

ნუხაძე ტრ. 57, 111, 309, 470, 472, 486, 496, 606, 642, 662 — 694, 696 — 701.

ნუჰალამინი (პოეტი, გარდ. 1612 წ.) 394.

ს

- საღი ნ. შეიხ საღი.
 საღი ტუსელი, საღი (მოეტი, გარდ. 1291 წ.) 338, 557, 559, 650, 651.
 საათაბაგოელი დავითი (უნდა იყოს საათაბაგოელი თავალი) 57.
 სააკაძე („ეფელინის“ თარგმანს შიწერდნენ შას) 698.
 სააკაძე („ეხბანგანი“) 536.
 სააკაძე: ნ. აეთანილი, ბაბაშიოშ, ზურაბ, ივანე, იორაში, პატა, სიაუშ.
 სააკაძე გიორგი, დიდი შორაგი, შორაგი 313, 335, 369, 374, 515, 521 — 525, 553.
 [საკაძე] დიდმოურავის შეილიშვილი („ეხბანგანი“) 536.
 სააკაძე დიმიტრი ვასილს ძე (მოეტი, XVIII ს.) 628 — 630, 641.
 სააკაძე ივანე (გვარჯიშის ბერძენის შაბა, კცი ლისი“) 525.
 სააკაძე იოსებ, იოსებ თბილელი ბაბაშვილი, იოსებ (გარდ. 1688 წ.) 125, 234, 317, 367, 524, 526 — 532, 616.
 სააკაძე „ღირსი ბერი“ („ეხბანგანი“) 536.
 საამი („რუსულანია“) 424.
 საამი („შანაძე“) 289.
 საამი („უთრულიან-სამიანი“) 330, 339, 348.
 საბა ნ. კეღელაშვილი.
 საბა ნ. რბელიანი სულხან-საბა.
 საბათი (ბიბლ.) 354.
 საბაშვილი სერაპიონ სოგრატის ძე, კეღელაური, სერაპიონ საბაშვილი, სერაპიონი 107, 121, 324 — 334, 336, 348, 366, 375, 498, 571.
 საბელიოსი 244.
 სადათურ (თავაქალაქი, მოხსენებელი 1491 წ. სიგელში) 344.
 საღი ნ. შეიხ საღი.
 Sadiq Namí 390.
 საღულბეგი 536. („ეხბანგანი“) 536.
 საგარამბისძე („ამირანდარეჯანი“) 61, 64, 66, 69, 71, 72, 75, 76, 79, 140.
 საგამაზ ეზიდის ძე, სთამაზი 274, 293, 294.
 საათონოვა ნ. საათონოვა.
 საიდლო ბინ შიშაბ ულდანი (გარდ. 1385 წ.) 459.
 საიდ-მოჰამედ ურფი შირაზელი (მოეტი, 1591 წ.) 393.
 სალა, იმ-სალამ („ლეილმეჯნუნი“) 135, 291.
 სალღუხის ძის ძე ნ. ბეტაფრადნ.
 სალიმ ნ. სელიმი („შანაძე“).
 სალიმი („ომანი“) 370.
 სამანილი ნ. ამირ-ნასარ სამანილი.
 სამსონ, სამსონ (ბიბლ.) 268, 270.
 სამებელი იაკობ, ნ. ღუმბაძე იაკობ.
 სამთავნელი ნ. რომანოზ სამთავნელი.
 სამსონ ნ. სამსონ (ბიბლ.).
 სამუილ (მარაქანელი რაბინი) 641.
 სამუსტევი 244.
 სანდუნოვი ნ. ზანდუნელი სილოვან ნიკოლოზის ძე.
 საათონოვა, არუთინ, მილდისა შვილი არუთინი, მაგნუნი, სტეფანე შვერვალი, სტეფანე შვერვალი, სტეფანე 316, 674, 675, 678—683, 692.
 სარაზან („ზალუმეჯანი“) 438.
 სარაჯიშვილი ა. 46.
 სარგის თმოგველი (სარგის I თმოგველი, ვარამ შხარტელის შვილი) 56, 57, 62, 110, 158, 281, 282, 343, 367, 368, 375.
 სარგისი, ვარამ შხარტელის შვილი ნ. სარგის-თმოგველი.
 სარიდანი („ეფეზისციქოლანი“) 32, 90, 153, 185.
 სარიდანი („ომანი“) 370, 371.
 სარრა („მარამგულანდამიანი“) 409.
 სასანანთა დინსტია, სასანიანი 389, 394.
 საული (ბიბლ.) 590.
 საპიოყირანი („სელიანი“) 361.
 საპიოყირანი-აქმარი („საპიოყირანი“) 361.
 საპიდ-თულერულ-ბენ-არსლან (სელჩუქთა სულთანი) 390.
 S. de Sacy 462.
 სედრაქი („მარამგულანდამიანი“) 414.
 სედრაქი („სიბრძნე სიკრუისა“) 450.
 სეიდი (მწერალი) 362.
 სეითი (ძენი სეითისანი, ბიბლ.) 15.
 სეილანი („სელიანი“) 361.
 სეილან საპიოყირანი („სელიანი“) 360.
 სეღევილები 261.
 სელიმი, სალიმ („შანაძე“) 327, 330 — 332.
 სელმანი („სელმან და ეხალი“) 294.
 სელჩუქელი (თამარ რუსულანის ასულის ქმარი) 427.
 სელჩუქიანები 172.
 სენევირიმი („სწავლანი ახიკარ ბრძინისანი“) 491.
 სერაპიონი ნ. საბაშვილი სერაპიონი.
 სეფედავა (ბაღურთი „ამირანი“) 82.
 სეფედაველ დარისპანისძე („ამირანდარეჯანი“) 62, 64, 67, 68, 71, 72, 74, 75, 85—87, 139, 141 — 144, 356.

სეფევილები 412.
 სეფიხან ყეენი 609.
 სეიმონ I, სეიმონ მეფე, სეიმონი (ლუარსაბ I-ის ძე, ქართლის მეფე, 1558 — 1600) 333—335.
 სეიმონ II, სეიმონ მეფე (ბაგრატ VII-ის ძე, ქართლის მეფე, 1622 — 1629) 335, 523.
 სეიმონ გურიელი (ძარიაშ დედოფლის პირველი ქმარი) 506.
 სეიმონ კანანელი (ბიბლ.) 598.
 სეიმონი (ლევანის ძე, ვახტანგ VI-ის ძმა) 535.
 სეიმონ (მღვდელ იოსებ კოშორიძის შვილი) 56.
 სეიმონ მღვიანი (ქობულაშვილი) 416.
 სეიმონი, უფლის ძმა (ბიბლ.) 598.
 სეიმონ შოთაძე (დეკანოზი) 111.
 სეიმონი (წმ.) 631.
 სიაოშ („შაჰნამე“) 268, 273, 289, 326.
 სიაუში (გიორგი სააკაძის შვილი) 525.
 სიბილა 270.
 სიმეონი (ტრაპიზონელი ბერძენი, პირველი მწვერეელი მშეკბუქ ათაბაგის დროს) 366.
 სინელი ნ. ნილო სინელი.
 სინნა („სინნა“) 699.
 სიპიდანდამი „სეილანიანი“ 360.
 სირინოზი („სირინოზიანი“) 350 — 353.
 სირმონის შვილი ებაგან (მონღოლური ხალხური ლექსი, ვამთაღშურელი) 304.
 სიფორი („პარამეტულანდამიანი“) 409, 410, 413.
 სოგრატე („ვეფხისტყაოსანი“) 87.
 სოგრატე (ერისკაცობის სახელი საბა კედელ-შვილისა) 327.
 სოგრატომე-საბაშვილი ნ. საბაშვილი სერაპიონ.
 სოზომენი (ბიზანტ. ისტორიკოსი) 254.
 სოკრატე, სოგრატე (ბერძენი) 268, 487, 490.
 სოკრატე (ბიზანტ. ისტორიკოსი) 254.
 სოლომონიანი (ქართველ მეფეთა ტიტულატურა, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) 267.
 სოლომონი (ვახტანგ V-ის ძე) 506.
 სოლომონი (ბიბლ.) 52, 268, 270, 441, 486, 488, 498, 582, 592.

სოლომონ მეფე („სპილენძისქალაქიანი“) 445 — 448.
 სოლომონ I, სოლომონ მეფე (იმერეთის მეფე) 313, 664, 670, 674.
 სოლოლაშვილი ბაგრატ 574.
 Соликов В 413. 476, 479.
 სოსელია გ. 10, 174, 175.
 სოსლანი ნ. დავით სოსლანი.
 სოაილი (ამირა) 462.
 სპანდიაჩ ნ. სპანდიაჩ „შაჰნამე“. სპანდიატი („ბაამიანი“) 349.
 სპანდიატი, სპანდიატ ჩვალი, სპანდიაჩ, სპანდიაჩ („შაჰნამე“) 254, 268, 273, 288, 326, 332 — 334.
 სპანდიერი „სირინოზიანი“ 350, 351.
 სპანდიერი ნ. სპანდიატ („შაჰნამე“) სპანდიერი „ყარაბაიანი“ 354.
 ს. ს-ძე (გამოშტეპელი სერგეი სტეფანეს ძე მდევანოვი) 443.
 სტალინი ი. ბ. 250.
 სტეფანე (საათონოვას სახელი ბერად აღკვეცის შემდეგ) ნ. საათნოვა.
 სტეფანე შვერვალი ნ. საათნოვა.
 სტეფანე მღვდელი ნ. საათნოვა.
 სულხან თანიაშვილი ნ. თანიაშვილი სულხანი.
 სულხანოვი აღ. 472.
 სულხან-საბა ნ. ორბელიანი სულხან-საბა.
 სუმაროკოვი ა. პ. 695, 696, 699.
 სუმბატ ბიერტიანი 13, 257, 258.
 სუმბატ დავითის ძე 251, 253, 261.
 სუმბატი („თომასარიანი“) 473, 474.
 სურამელი 114.
 სურგულაძე ი., პროფ. 174.
 სურფკარაპეტი (წმ.) 679.
 სურხავე („შაჰნამე“) 137.
 სუსამბარი („სირინოზიანი“) 351, 352.
 სუბანოვი, არსენი 688.



ტაისია მეგვიტელი ნ.
 ტალაბი („სპილენძისქალაქიანი“) 447.
 ტალთა (ქურჭჩის ცოლი) 679, 682.
 ტარია ნ. ტარიელი („ვეფხისტყაოსანი“).
 ტარიელი („ვეფხისტყაოსანი“) 5, 17, 30, 37, 96 — 98, 101, 108, 109, 120, 127 — 132, 135 — 145, 150, 151, 153, 161, 162, 164,

170 — 173, 185, 187, 191, 201, 204, 211, 234, 365 — 368, 370, 380, 417, 419, 420, 426, 498, 519, 527, 530, 615, 632, 688.

ტატიშვილი ვლ. 591.

ტატიშვილი ნ. 609.

ტაშიერი („სპილენძისქალაქიანი“) 448.

ტემბიზული ნ. ესარ ტემბიზული.

ტიბერი (იმპერატორი) 487.
ტიმოთე მიტროპოლიტი ნ. გაბაშვილი ტიმოთე-
Тимофей Ю. 468.
ტიტე (იმპერატორი) 263, 270, 286, 287.
ტლაშაძე იესე 210, 534.
ტოლსტოვი (რუსეთის ელჩი საქართველოში
პეტრე დიდის დროს) 541.
ტომერანი („რუსულდანიანი“) 424.
ტომერანი („შაჰნამე“) 327, 330 — 332.

ტორღულბეგი (სულტანი, XI ს.) 45.
ტოლრილი (უკანასკნელი სელჩუკიანი შაჰი) 172,
173.
ტრნაე ქელჭვიფე („მეფეთა ცხოვრება“) 393.
ტურნეფორი XVII — XVIII საუკ.) 312.
ტუსელი: ნ. ასადე ტუსელი, საადი ტუსელი.
ტუსიშვილი (მეფეობა „ვარშაყიანის“ თარგმნა)
444.

უ

უთრუთი („გერმან-ფანე“) 339.
უთრუთი („უთრუთიან-საჰიანი“) 339.
უთრუთი („შაჰნამე“) 137.
ულსე („ეფილენა“) 697.
ულლაძე ნასრ 462.
ულუ-დავითი ნ. დავით IV.
ულუმბანი (ქართველ მეფეთა ტიტულატურა,
„ისტორიანი და აზმანი შარაენდელთანი“) 267.
უმეკაშვილი პეტრე 46, 449, 592, 642.
უმიროსი ნ. ჰომეროსი.

უორდრომი ო., (Wardrop Oliv.) 46, 457.
ურბნელი (ნიკო ხიზანიშვილი) 237.
უსამი („ვეფხისტყაოსანი“) 94, 140.
უსენი („ვეფხისტყაოსანი“) 95, 187.
უსენ („ამირანდარეჯანიანი“) 145.
უსიბი („ამირანდარეჯანიანი“) 65.
უსიბი, ოკსიბ (ხალხური „ამირანი“) 82, 83.
უსუფი ნ. იოსებ („იოსებზილიხანიანი“).
უშანგი, ჰუშანგი („შაჰნამე“) 324, 330, 339.
უშენგი („უთრუთიან-საჰიანი“) 239.

ფ

ფაულენიანი, ფაულენიშვილები („ეპიტაგიანი“) 536, 539.
ფაულენიშვილი ჯაღლაგა 17, 620.
ფალანდრძე (დიდი მთავარი, „ეპიტაგიანი“) 536.
ფამბაკელი (გამომცემელი) 393, 411.
ფანაი, ფანაბ (მწერალი) 427.
ფანასკერტელი ნ. ზაქარია ფანასკერტელი.
ფანი (აილშერ ნაეიის სპარსული სახელი) 404.
ფარაშორტი („შაჰნამე“) 254, 288.
ფარნავაზი (ფარნაოზ მეფე) 13, 257.
ფარნაოზ ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ძე) 641.
ფარროზ-ხოსროვი („ბახთიარნამე“) 471.
ფარსადან გორგიჯანიძე ნ. გორგიჯანიძე ფარ-
სადანი.
ფარსადანი („ამირანდარეჯანიანი“) 145.
ფარსადანი („ვეფხისტყაოსანი“) 32, 90, 91, 131,
170 — 172, 366, 615.
ფარსადანი (ნოღარ ციციშვილის შაბა) 402.
ფარსადანი („ჩარადვარიშანი“) გადამწერი,
1785 წ.) 444.
ფარსადანიძე ნოღარ ნ. ციციშვილი ნოღარი.
ფარსადან-ფარუხი 257.
ფარსადან ქველი 13, 257, 258.

ფარუხი („უთრუთიან-საჰიანი“) 341.
ფარ-ხოსროვი („ბახთიარნამე“) 472.
ფარქადი, ფარადი („ფარქადშირინიანი“) 380,
393.
ფატმანი („ვეფხისტყაოსანი“) 95 — 97, 127, 132,
141, 142, 367, 528.
ფატმან-ხათუნი ნ. ფატმანი.
ფაფხორი („პარამგულანდამიანი“) 409, 411.
ფალაგა როდამი 430.
ფაშვიბერტყაძე ნ. ხითარიშვილი ფეშანგი ამი-
რას ძე.
ფახრულდინ გურგანი, ფახფურ ჯორჯანელი,
ფახრულდინი 45, 46, 51, 53, 57.
ფახფური („ჰუმამ-ჰუმამუნ“) 416, 417.
ფახფურ ჯორჯანელი ნ. ფახრულდინ გურგანი.
ფებრონია („ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“) 10.
ფებრონია (წმ.) 8.
ფერაძე (გამომც.) 411.
ფერილდინი, ფრილდინი („შაჰნამე“) 275, 287, 289,
294, 324, 330, 344, 347, 348.
ფერილდინი („საჰნამე“) 348.
ფეშანგი („შაჰნამე“) 327, 331, 332.
ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, ფეშანგი ნ. ხითარა-

შეილი ფეშანგი ამირას ძე.
 ფილიპე (ბობლ.) 598.
 ფილიპე („სიბრძნენი ფილოსოფოსიანი“) 487.
 ფილიპე ალავერდელი (ეპისკოპოსი, XVI — XVII სს.) 463.
 ფილიპე ბეთლემელი 4, 146, 206, 675.
 ფინეზი („სიბრძნე სიერუსისა“) 450.
 ფირალიშვილი გოდერძი 698.
 ფირანი („რუსულდანიანი“) 424.
 ფირანი („შაჰნამე“) 137.
 ფირდოუსი 52, 137, 196, 273, 287, 289, 292, 325, 330, 337, 338, 352, 375, 378.
 ფირმალი („ფორმალიანი“) 433, 434.
 ფირმან მეფე („ამბავი დიდის ქალაქისა“) 437.
 ფლაბიუსი 263.
 ფოკა („პერაკლე“) 700.
 ფოტი პატრიარქი 38.

ქალაქზე (მამუკა ბართაშვილის ლექსი) 636.
 ქაშინისძე აბან („ამირანდარეჯანიანი“) ნ. აბან ქაშინისძე.
 ქადარი („ბახთიარნამე“) 471.
 ქაე, ქაეე („უთრუთიან-საამიანი“) 341.
 ქაიმურსი ნ. ქაიომარი („შაჰნამე“).
 ქაიომარი („უთრუთიან-საამიანი“) 339.
 ქაიომარი („შაჰნამე“) 137, 324, 330.
 ქაიფუზალი („შაჰნამე“) 326.
 ქაიხოსრო, ქაიხოსროვი, ხოსროვი („შაჰნამე“) 254, 264, 268, 273, 274, 288, 289, 326, 330 — 333, 530.
 ქაიხოსრო გურიელი 508.
 ქაიხოსრო ლევანის ძე, ქართლის მეფე, 1709 — 1711) 452, 535, 539.
 ქაიხოსრო მუხრანბატონი (ვახტანგის ძე, დიდი მორეისი თანამედროვე) 371, 372, 374.
 ქაიხოსრო ნ. ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო („ომანიანი“) ავტორი).
 ქაშალ („აბდულმუსიას“) 240.
 ქაოზ ქოსისძე („ამირანდარეჯანიანი“) 69.
 ქართველშივილი („ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი) 116, 122.
 ქართლოსიანი 256.
 ქართლოსიან-პოსიანი 258.
 ქარიმანი („უთრუთიან-საამიანი“) 339.
 ქაფურშაა სპარსი („სიონიზონიანი“) 352.
 ქაშიფი პერატელი (შენალი) 462.
 ქეზაძე პეტრე 699.
 ქეღზუღოვი („ვახტანგის“) 536.

ფრანგისტანი („მიკუნურთ ბაღე“) 418 — 420.
 ფრიდონ, წერადინ-ფრიდონ („ვეფხისტყაოსანი“) 92, 97, 98, 101, 102, 108, 131, 132, 138, 141, 143, 145, 153, 204, 366, 528, 688.
 ფრიდონი („ზაქიანი“) 343, 346.
 ფრიდონი („რუსულდანიანი“) 423, 424.
 ფრიდონი („უთრუთიან-საამიანი“) 339.
 ფსევდო-ლიონისე 182.
 ფსევდო-ფრემი (ავტორი ე. წ. „ნებროთის წიგნისა“) 255, 256.
 ფსევდო-კალისტენი („ალექსანდრიანის“ ავტორი) 10, 255, 273, 284, 292.
 ფულკია („სინნა“) 699.
 ფუნციანუს კესარი („შეიღვეზირიანი“) 475.
 ფურცელაძე ანტ. 369, 372, 402, 523, 553.
 ფურცელაძე დ. 701.
 ფურცხვანიძე ბ. 174.

3

ქეთევან („ამირანდარეჯანიანი“) 63.
 ქეთევან ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ასული, იოანე მუხრანბატონის მეუღლე) 641.
 ქეთევან (დავითის [თეიმურაზ I-ის ძის] ასული, არჩილ მეფის მეუღლე) 573.
 ქეთევან დედოფალი, ქეთევანი (ქეთევან წამებული, ამოთან მუხრანბატონის ასული, თეიმურაზ I-ის დედა) 235, 372, 374, 493—496, 551, 573, 591, 619, 642.
 ქეთევანი (თეიმურაზ II-ის ასული) 609.
 ქეთევანი (ზურაბ წერეთლის ასული, იოანე ბატონიშვილის მეუღლე) 392, 619.
 ქეთევან, ქეთეონ („რუსულდანიანი“) 426.
 ქეთეონ ნ. ქეთევან („რუსულდანიანი“).
 ქეკაოს („შაჰნამე“) 254, 288.
 ქეკაოზ („ამირანდარეჯანიანი“) 483, 484.
 ქეკაოზი („შაჰნამე“) 326, 330.
 ქეკაოზი, Kaika'us bin Jakander bin Cabus (XI საუკ. სპარსელი პოეტი) 484.
 ქეკაოზი („ეაბუს-ნამე“) 294.
 ქეშოშ-დარდიმანდი ნ. ამირიძე იოსები 692, 693.
 ქვარიალი დაუნა 17, 624.
 ქვარიალი ხ. 171.
 ქიზმანელი: ნ. ვაჟი ქიზმანელი, ჩუბინ ქიზმანელი, ხაჯუ ქიზმანელი.
 ქიტაშვილი იასე (მღვდელი) 299.
 ქიშვარი („ბარამგულანდამიანი“) 408, 411.
 ქობულაშვილი თამაზ (სიმონ მღვდლის შვილი) 416.
 ქობულაშვილი თათარ (დავით, კახეთის მღვიანის

შვილი) 416.
 ქობულაშვილი ონანა ნ. ონანა მღვიანი.
 ქობულაშვილი სვიმონ, სვიმონ მღვიანი 416.
 ქოთავა ნ. 154.
 ქოლისძე („ამირანდარეჯანიანი“) 76.
 ქორჭაშვილი ვრ. (დამოკეშელი) 607.
 ქოსისძე ქაოზ („ამირანდარეჯანიანი“) 69.
 ქრისტე ნ. იესო ქრისტე.
 ქრისტეფორე მითილინელი 631.

ლაბაევი ნ. გაბაშვილი იოსებ, ოსე.
 ლახნეიძე 153.
 ლაშა დევი („ამირანდარეჯანიანი“) 70.

ყაბოს („ამირანდარეჯანიანი“) 481, 484.
 ყაბოს („ყაბუს-ნამე“) 294, 295.
 ყაზი აბღალ-მელიქი „ამირანსარიანი“) 483.
 ყაისარი („არუსუდანიანი“) 424, 428.
 ყაისი, კაენისი, მაჯნუნი („ლეილ-მაჯნუნიანი“) 135, 136, 291, 380, 384 — 386, 388, 418.
 ყამარი (ხალხური „ამირანი“) ნ. კამარქალი.
 ყარამან-დავით (იგულისხმება დავით ორბელიანი) 675.
 ყარამანი („არუსუდანიანი“) 424.
 ყარამანი („ყარამანიანი“) 354.
 ყარან („ოთურთუთიან-სამამიანი“) 341.
 ყარან (აღორძინების პერიოდის უცნობი პოეტი, მოხსენებული ჰყავს დავით გურამიშვილს) 359, 639.
 ყარანი („ვესრამიანი“) 46, 47.
 ყარან მღვიანი (იხსენიებს იესე ოსეშვილი თავის ანდერძში, შესაძლებელია იყოს იგივე უცნობი პოეტი ყარან) 639.
 ყარაქოილი („ომანიანი“) 371.
 ყარუნ ჯადო („სირინოზიანი“) 352.
 ყარყუმი („შაჰნამე“) 289.

შაღბავარ, შაღბერ, „შატბიერი“ („შაღბერ-აინ-ლიეთი“) 231, 275, 287, 293.
 შავერდანთ ქალი ნ. შარბარა.
 შავთელი: ნ. იოანე შავთელი, დავით შავთელი.
 შალვა ახალციხელი 157.
 შალიკაშვილი („ვახტანგიანი“) 536.
 შალიკაშვილი დემეტრე („ვახტანგიანი“) 538.

ქერციხეშვილი აკიო („ამირანდარეჯანიანი“) დამატების ავტორად ასახელებს ერთ-ერთი ხელნაწერი) 63.

ქსერქი 270.

ქსნის ერისთავი გიორგი (ყულარაღასი) 667, 668.

ქსნის ერისთავი („ვახტანგიანი“) 536.

ქუელი (ქყონდიდელ-ქილაძის ძმა) 500.

ქუჩუკოვი, ქუჩუკა 595, 596.

ლ

ლამარ ლახნელი („ამირანდარეჯანიანი“) 70.
 ლოლობერიძე ბეჟან („შაჰნამეანი“) 500.

მ

მაღხინიშვილი ს., პროფ. 7, 251, 252, 270.
 მაფლანიანი: ორბელიან-მაფლანიანი 662.
 მაფლანსშვილი 612.
 მაფლანიშვილი-ორბელიანი დავით ნ. ორბელიანი დავით.
 მაფლანიშვილი-ორბელიანი ვახტანგ 675.
 მაყარყვარე ტიხისჯვარელი 517.
 მაყიციანიძე პ. 363.
 მაზილარსლან 173, 390.
 მაფიანი ა. 698.
 მაფშიძე დ. 497.
 მაფშიძე ი., პროფ. 458.
 მაყრათ აქიმი („ამირანსარიანი“) 483.
 მაზად („ოთურთუთიან-სამამიანი“) 341.
 მაზადი (ყუბადის გვარი) „როსტომიანი“ 403.
 მაზანიშვილი ს. 61, 64, 215, 236, 259, 262, 294, 459, 463, 465, 470, 481, 529, 535, 539; 628, 640 — 642.
 მათლ-არსლანი 266.
 მალაბი ჯადო („სირინოზიანი“) 352.
 მაღარაღასის ქალი შიბა ნ. შიბა.

შ

შამადავლე (ვახტანგ V-ემ დასჯა დადიანად ლევანის სახელით, „შაჰნამეანი“) 500, 501.
 შამირა (დიდი ბანუ, „ხოსროშირინიანი“) 291.
 შამსა („შარამგულანდომიანი“) 410.
 შამს-ოღღინ აჰმედ ბენ სოლეიშანი (მწერალი XVI ს.) 461.
 შანოზ-ბანი ნ. ბაქარი.

შანიძე ა., პროფ. 84, 104, 169, 246, 282, 316, 325, 338, 425, 453.

შანშიან-მარტიროზაშვილი (ზოგიერთი მკვლევარის აზრით უცნობი პოეტის ყარანის გვარი) 639.

შარაშიძე ქრ. 111, 573.

შარდენი (მოგზაური, XVII საუკ. მეორე ნახევარი) 310, 311, 314.

შარვაში, შარვაშე ნ. აღსართან II.

შარვაშიძე სოლომონ 501.

შარიერი, შარიარ 161, 164.

შატბიერი ნ. შადბეაერ.

შაფური („სირინოზიანი“) 350.

შაფური („ხოსროშირინიანი“) 291.

შაქირ („ამირნასარიანი“) 483, 484.

შაჰაბასი, შაჰაბაზი, აბასი (შაჰაბას I, 1557 — 1628) 332, 361, 371, 372, 402, 429, 493, 496, 515, 551, 552.

შაჰაბას II 374, 573, 583.

შაქერაზადა („ათასერთლამიანი“) 443.

შაჰ-თამაზი ნ. თამიშ-შაბი.

შაჰ-ისმაილი 335.

შაჰ-ნადირი ნ. ნადირ-შაბი.

შაჰნავაზი ნ. ვახტანგ V.

შაჰნაზარი ნ. არჩილ მეფე.

შაჰრარი ნ. შარიერ.

შაჰრინოზ („შაჰნაშე“) 275, 287, 289, 294.

შაჰრმგორი ნ. ბარამგური.

შაჰრო („ეისრაჰიანი“) 46, 47, 52, 54.

შაჰ-სეფი (ყეენი) 564.

შეიხ ჰაალი, შიხ სალი, შიხ შეიდი 293, 389.

შარვაშიძე ლ. 82.

შერმაღინი („ვეფხისტყაოსანი“) 87, 88, 144.

შერო („ეისრაჰიანი“) 131.

შექსიარი 111, 161.

შიო, შოთა ყოფილი (ხურსიძე, ზარზმის რესტავრატორის გაბრიელ ხურსიძის შამა) 113.

შიოშ ბედნიერი („შაჰნაშე“) 254, 288.

შირაზელი: ნ. ეკლი შირაზელი, საღ-მოკამედ ურფი შირაზელი.

შირინი („ფარაბდშირინიანი“) 291.

შირინი, შირი („ხოსროშირინიანი“) 380, 389 — 393.

შიშმარიოვი ვ. (Chichmaref Y.), პროფ 11, 163, 165.

შოსისერი ფ. 37.

შოთა ნ. შოთა რუსთაველი.

შოთა (ცენტრალური ანგონილანდის მცხოვრებთა ერთ-ერთი ღმერთის სახელი) 114.

შოთა (მეჰურტკლეთუხუცესი, ჯერის მონასტრის ქართულ „სუნაქსარის“ აღაშში მოხსენებულ პირი) 112.

შოთა (მთავარი, სოფ. აძიკვის ბარელიფზე გამოხატული) 113.

შოთა (ყინვანის პატრონი, ხელს აწერს მანდ-ტურთ-უხუცესის ქაბარის სიგელზე) 113.

შოთა ყოფილი ნ. შიო.

შოთა ართავაჩოს ძე (1177 წ. აჯანყების მონაწილე) 112, 113, 222.

შოთა კუპრი (პერეთის ერისთავი, - რუსუდან დედოფლის დროინდელი პოლიტიკური მოღვაწე) 112 — 114, 184, 186, 188, 189.

შოთა რუსთაველი, შოთა, რუსთაველი (Шота на Рустави, Chotha Roustaveli) 17, 18, 27, 37, 99, 100, 107 — 128, 134 — 136, 138, 146, 159, 161 — 169, 174, 175, 177 — 182, 185, 189, 190, 194, 204 — 206, 208, 209, 211, 212, 221, 222, 282, 290, 291, 317, 327 — 329, 333, 343, 355, 357, 359, 367 — 369, 375 — 377, 401, 403, 406 — 408, 413, 416, 431, 433, 488, 489, 498, 509, 511, 513 — 520, 529, 534, 551, 557, 558, 561, 565, 571, 572, 583, 586, 587, 590 — 592, 623, 624, 627, 629, 632, 638, 639, 658, 672, 677.

შოთაძე სვიმონ (დეკანოზი) 111.

შტაკელბერგი (Штакелберги) 46, 52.

შუმანა ბატონიშვილი (არჩილ დიდის და) 261, 262.

შუმანიქ დედოფალი („შუმანიქის წაქება“) 9, 257.

შუპართი პ., პროფ. 349.

ნ

ნაიკეიანი გრ. (გამომკვებელი) 449.

ნაფური („სირინოზიანი“) 350.

ნალატა ნონი 303.

ნაიკაშვილი კონსტანტინე 436.

ნაიკაშვილი ნიკოლოზი 353, 355, 442, 444.

ნაჩნავირი („ვეფხისტყაოსანი“) 141.

ნახრეხასძე გრიგოლი 225, 226.

ნახრუხაძე (Чахрухадзе) „თამარიანის“ ავტორ-

- რი 17, 110, 118 — 120, 123, 146, 147, 185, 207, 215, 216, 218 — 222, 224, 225, 230 — 232, 247, 267, 281, 282, 286, 357, 489, 513, 632.
- ჩახრუხაძე II (პ. ინგოროყვას აზრით, „თამარის-ნის“ ავტორის ჩახრუხაძის ძმა, ავტორი „თამარის-ნის“ I ელევგისა) 223, 224.
- ჩინგის-ხანი 303.
- ჩინთულოს („შვიდეუზირიანი“) 475.
- ჩიქობავა ა., პროფ. 118.
- ჩიქოვანი („ვახტანგვიანი“) 536.
- ჩიქოვანი შ., პროფ. 161, 165, 166, 168, 169, 611, 624, 637.
- ჩიქოვანი ს. (პოეტი, IX ს.) 640.
- ჩიჩუა გიორგი (სარდალი) 364.
- ჩოლოყაშვილები, ომანიანი 373.
- ჩოლოყაშვილი ანა (ერეკლე I-ის მეუღლე) 605.
- ჩოლოყაშვილი გარსევანი, გარსევანი (პოეტი, XVI ს.) 17, 601, 610, 611, 617, 619 — 621, 624 — 627, 658.
- ჩოლოყაშვილი გარსევანი (XVI საუკ. დამღევს სახელმწიფო მოღვაწე „სახლოუხუცესი კახი ბატონისა“ ავგიორგის) 620.
- ჩოლოყაშვილი დავით ჯიმშერის ძე (მდივანბეგი, მთარგმნელი) 687, 697.
- ჩოლოყაშვილი ელიშერ (ერეკლე I-ის ასულის მარიამ-შაყრინეს მეუღლე) 620.
- ჩოლოყაშვილი ნიკიფორე-ნიკოლოზ ომანის ძე, ნიკიფორე ირბახი, ჩოლოყაშვილი-ირბახი ნიკიფორე (ჯვარის შამა იერუსალიმში) 112, 113, 311, 327, 373, 374, 621.
- [ჩოლოყაშვილი] ომან (ქაიხოსრო და ნიკიფორე-ირბახი ჩოლოყაშვილების შამა) 673.
- ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო, ომანიშვილ-ჩოლოყაშვილი, ქაიხოსრო 17, 326, 330, 332, 367, 371 — 375, 427, 621.
- ჩუბინაშვილი დ., პროფ. 19, 57, 116, 170, 215, 233, 236, 355, 418, 425, 428, 544, 556, 697.
- ჩუბინი ნ. ბარამ ჩუბინი.
- ჩუბინ ქირიანელი 416, 417.
- ჩხატარაძე ნ. პეტრე ჩხატარაძე.
- ჩხეიძე სენიი (ისტორიკოსი) 439, 540, 546, 547, 593, 604.
- ჩხეიძე ფარემ (მოქალაქე) 406.
- ციციშვილი ნანუჩა, ციციშვილი მანუჩარ, ნანუჩა 17, 100, 343, 367 — 369, 408, 620.
- ციციშვილი ნოდარ ფარსადანის ძე, ნოდარ ფარსადანისძე, ნოდარი 17, 210, 359, 381, 383, 386, 394, 401 — 405, 621, 639.
- ციხისჯვარელი: ნ. ყვარყვარე ციხისჯვარელი. ცოტნე დადიანი ნ. დადიანი ცოტნე.
- ძაგნიკორელი იასე ხეშუას ძე (პოეტი) 282.
- წერეთელი ა., აკაკი 171, 303, 553.
- წერეთელი გ. (შწერალი, XIX საუკ.) 642, 691.
- წერეთელი გ., პროფ. 166, 218.
- ჭაბუკაშვილი გიორგი (პოეტი) 611.
- ჭავჭავაძე ა. (პოეტი, XIX საუკ.) 677, 678, 683, 687, 698 — 700.
- ჭავჭავაძე ი., ილია 46, 171, 232, 250, 303, 699.
- ჭავჭავაძე გარსევან 693.
- ჭელიძე ა. 136.

კიბერი მანდატურთუხუცესი (XII საუკ.) 113.

კილაძე ს. 522.

კიკინაძე ზ., შთაწმიდელი ზ. 19, 20, 57, 61, 62, 71, 77 — 79, 81, 82, 116, 164, 215, 221, 226, 236, 238, 242, 335, 336, 342, 369, 372, 383, 386, 416, 477, 526, 528, 541, 556, 558, 560, 592, 601, 619, 620, 624 — 626, 642, 664, 670, 692, 695.

ბაზარანი („ამირანდარეჯანიანი“) 65, 66, 81.

ბაკანი (პოეტი, XII საუკ.) 40, 159, 292.

ბალიკანი ნ. იბნ-ხალიკანი.

ბანძთელი ნ. გრიგოლ ხანძთელი.

ბანდერვანი (მამუკა ბარათაშვილის ლექსი) 636.

ბარანელი ნ. თეოდორე ხარანელი.

ბართუმი („სირინოზიანი“) 350, 351.

ბაყანჩინელი, ბაყანი („ბარამგურაინი“) 401.

ბაყან-ჩინელი („ოშანიანი“) 371.

ბახანაშვილი ა. (ХАХАШОВ А) პროფ 19, 20.

51 — 53, 61, 62, 71, 72, 113, 161, 162, 167, 336, 338, 349, 350, 352, 355, 361, 362, 364, 404, 425, 427, 428, 430, 431, 436, 441, 444, 447, 448, 454, 456, 462, 472, 475, 490—492, 497, 523, 592, 615, 616, 619, 623, 624, 631, 695, 698.

ბაჯუ ქირმანელი, ხეაჯუ ქირმანელი (პოეტი) 416, 417.

ბელაშვილი იონა 678, 680.

ბელუბნელი მ. 671.

ბერბეულიძე („ევახტანგიანი“) 536.

ბერხეულიძე ომან, ომან მდივანბეგი (ისტორიკოსი) 421, 547.

ბეარაზმა დინასტია, ბეარაზმიდები 152, 172.

ბეარაზმა („ვეფხისტყაოსანი“) 91, 92, 131, 153, 154, 170, 365.

ბეარაზმე (ქეთევან დედოფლის გამზრდელი, „ქეთევანიანი“) 494.

ბეარაზმე (მამუკა ბარათაშვილის ლექსი) 636.

ბეარაზმა (მამუკა ბარათაშვილის ლექსი) 636.

ბეარაზანი, ბეარეშანი, ხორეშანი, ხორაშანი („ამირანდარეჯანიანი“) 67, 69, 70, 80, 81, 138, 140, 141, 145, 275, 287.

ბეასრო, ხოსრო, („ამირანდარეჯანიანი“) 63, 67, 70.

ბეასრო („ევისრამიანი“) 53.

ბეფილანდრე (თავაქალაშვილი, იხსენება 1586 წლის საბუთში) 343.

ბითარიშვილი ფეშანგი ამირას ძე, ფეშანგი ფა-

კიკინაძე კ. 116, 166, 167.

კუქუნაშვილი ვახტანგ, კუქუნაშვილი (თეიმურაზ I-ის ახლის ნესტანდარეჯანის მესამე შვირი) 507, 552.

ქუნდიდელი-ვილაძე („შაჰნავაზიანი“) 500.

კუონია თ. 604.

კუონია ი. 274, 290, 462, 463, 596, 604.

ბ

შეიბერტყაძე, ფეშანგი, ფაშეიბერტყაძე 17, 125, 313, 317, 326, 381, 437, 497, 509, 510, 512, 532, 599, 616, 621.

ხოლოფა ნ. ხულუფა.

ხონელი ნ. მოსე ხონელი.

ხორაშანი, ხორეშანი ნ. ხვარაშანი.

ხორნაბუჯელი მახატელის ძე 517.

ხორშედი („ევისრამიანი“) 51.

ხოსია ლეჩხუმელი, ხოსია 500, 552.

ხოსრო („ამირანდარეჯანიანი“) ნ ხეასრო.

ხოსრო („ირსულდანიანი“) 424, 426.

ხოსრო („სირინოზიანი“) 350.

ხოსრო ნ. ქაიხოსრო („შაჰნავაძე“).

ხოსრო, ხოსროვი ფარეზ („მეფეთა სალარო“) 460.

ხოსრო დეკლევი (Хорро Деклеви) ნ. ამირ-ხოსრო დეკლევი 392.

ხოსრო თურმანიძე ნ. თურმანიძე ხოსრო.

ხოსროვანი ნ. ხუასროვანი.

ხოსროვი („ყარამანიანი“) 354.

ხოსროვი, ხოსრო, ხოსროვანი, ხოსრო შანშა,

ხოსროვი შანშა („ხოსროვირინიანი“) 275, 287, 291, 380, 389 — 393.

ხოსროვი პარტაველიანი („მეფეთა ცხოვრება“) 393.

ხოსროვი ტრადიტი („მეფეთა ცხოვრება“) 393.

ხოსროვი ფარეზი („ხოსროვირინიანი“) 389.

ხოსროვი ფარეზი ნ. ხოსრო („მეფეთა სალარო“).

ხოსროვი შანშა, ხოსრო შანშა ნ. ხოსროვი („ხოსროვირინიანი“).

ხოსროვი-შაბი („მირიანი“) 439, 441.

ხოშტარია ა. (ვაჰოშტარელი) 444.

ხოხონა („შაჰნავაზიანი“) 505.

ხოჯავანთ იოვანე (ახალციხელი მღვდელი) 664.

ხრიზმოსი 301.

ხუასროვანი, ხოსროვანი (ქართველ მეფეთა ტრულატურა, „ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი“) 267.

ხუთოსინენი („დავით აღმაშენებლისა და თა-
მარის ქება“) 244.
ხულუფა, ხოლოფა (თამაზ-ხანის დესპანი რუ-
სეთში) 542.

ჯანგირი („სვილანია“) 360.
ჯაბირი („ბარამკურანი“) 397.
ჯაბუს-იბნ ევშაიარი შერს-ელ-შეალი (976—1012)
294.
ჯაგლაგი ფაქლენიშვილი ნ. ფაქლენიშვილი
ჯაგლაგი.
ჯაეახიანი („ეხატანგია“) 536.
ჯაეახიშვილი, ი., აკად. 79, 99, 110, 125, 126,
151, 154, 230, 241, 249, 251, 252, 259, 262,
265, 276, 299, 301, 336, 366, 393, 544, 546.
ჯაეახიშვილი (მოშიაგი, „დავითიანი“) 640.
ჯაეახიშვილი ქაიხოსრო 369, 371.
ჯაზაირი („ამირანდარეჯანიანი“) 140.
ჯაკობია გ. 16, 20, 53, 107, 111, 114, 121, 291,
232, 358, 367, 370, 372—374, 376—378,
381, 384, 387, 473, 488, 493, 554, 558, 560,
565, 605, 607, 609—614, 623, 690.
ჯამალი (პოეტი, გარდ. 1417 წ.) 394.
ჯამი აბლურაჰმან (პოეტი, 1414—1492) 124,
293, 375, 378, 379, 381—384, 387, 404.
ჯანაშვილი მ. 19, 61, 71, 75, 78, 112, 113, 115,
116, 119, 120, 122, 142, 147, 154, 164,
171—173, 215, 219, 222, 236, 260, 262,
288, 290, 349, 429, 453, 606.
ჯანელიძე დ. 587.

Habicht M. 456.
ხათემ თაბ, ჰატემ თაელისი, ეტემ თულესი 274,
293, 294.
ხათიფი, ჰათიფი (Hatifi) პოეტი გარდ. 1521 წ.)
384, 390, 394, 404, 405.
ჰამზა („ყოსთა ჰამზა“) 74.
ჰამირ-ნასარ ნ. ამირ-ნასარ („ამირანსარიანი“).
Hammer 138, 422.
ჰაოსი 256, 258, 270.
ჰაოსიანი 13.
ჰატი შამ-ისმაილ (სპარსელი პოეტი, გარდ.
1524 წ.) 557.
ჰატემ თაელისი ნ. ჰათემ თაბ.
ჰეტრორი („ოლიადა და ოლისეა“) 287.
ჰენკო ა. 392.

ხურსიძე გაბრიელ (ზარზმის რესტავრატორი)
113.
ხუსრუჯან დევი („ამირანდარეჯანიანი“) 63.

ჴ

ჯაალი („სირინოზიანი“) 352.
ჯაფარიძე („ეხატანგია“) 536.
ჯაფარიძე დავით მამუქას ძე 575.
ჯელალ-ედინ რუმი (1207—1273) 559.
ჯელალ-ედინ ზეარაზმელი 157—160.
ჯიმშელი („ეისრაჰიანი“) 45.
ჯიმშელი („თომსარიანი“) 473.
ჯიმშელი („არუსდანიანი“) 424, 432, 433.
ჯიმშელი („უთრუთიან-საჰამიანი“) 339, 344.
ჯიმშელი, ჯიმშითა („შაჰნამე“) 246, 324, 330,
348, 380.
ჯიმშერ („ამირანდარეჯანიანის“ დამატება) 62.
ჯიმშერ არმოკლა („ამირანდარეჯანიანის“ დამა-
ტება) 62, 281.
ჯიმშითა ნ. ჯიმშელი („შაჰნამე“).
ჯინგი („სვილანია“) 361.
ჯომარჯიძეები („ეხატანგია“) 536.
ჯონშერი („ბარამკურულიჯანიანი“) 413—415.
ჯუნშერი, ჯუნშერ-ჯუნშერიათი (სტორიკო-
სი) 257—262.
ჯულიში ოსებ ნ. ოსებ ჯულიში.
ჯუეენი (სპარს. სტორიკოსი XIII ს.) 301.
ჯუმბერი („სიბრძნე სიკურისა“) 450.
ჯუსტინე ლეოზნელი (პატრი) 454.

ჵ

ჴერაკლე („ჴერაკლე“) 700.
ჴერატელი ნ. ეურეფ ერატელი.
ჴეროდე 244.
ჴეროდიანი 244.
Hidayat O lah, Hindu 390.
ჴილილი (პოეტი, XV—XVI სს.) 389.
ჴიპოლამი ენემასოსის ასული 275, 287.
ჴომეროსი, ომიროს 7, 111, 122, 263, 271, 273,
286.
ჴომიონი 416.
ჴუმანი („ჴუმამ-ჴუმამუნ“) 416.
ჴუმამუნ („ჴუმამ-ჴუმამუნ“) 416.
ჴუსეინ-ბეიჴარი (სულტანი, 1469—1506) 404.
ჴუსეინი (პოეტი) 290.
ჴუმანგი („ჴუმამ-ჴუმამუნ“) 416.
ჴუჯაზ ხელმწიფე („ბახთიარნამე“) 471.

Φρεσერ დ. 114, 691.

Qasimi Gunabadi (გარდ. 1543—44 წწ.) 390.

გეოგრაფიულ სახელთა სპიქიზელი

- აბაშა (მდინარე) 261.
 აბაშეთი 62.
 აღანის ქვეყანა 440.
 აღრაბადაგანი ნ. აზერბაიჯანი.
 აღრიბეჯანი ნ. აზერბაიჯანი.
 ავარი 222.
 ავნელთა ქვეყანა 447.
 ავღანისტანი 172.
 აზერბაიჯანი, აღრაბადაგანი, აღრიბეჯანი 130.
 157, 227, 228, 384, 438, 520.
 აზია 29, 56, 283, 287, 288.
 აზოვის ზღვი 312.
 აზრუმი ნ. არზრუმი.
 ათინა (ქალაქი) 7, 35, 121, 264, 514, 677.
 ათონის მონასტერი, ივერთა მონასტერი, ქართულელთა მონასტერი, ივერი (ივერთა მონასტერი ათონის მთაზე) 36, 121, 260, 574.
 ათონის მთა, ათონი 121, 260, 526.
 ალაბი, ალუბო (ქალაქი) 224, 396, 397, 531, 679.
 ალავერდი 311, 676.
 ალაზანი (მდინარე) 505.
 ალგეთი (ალგეთის ომი) 515.
 ალევი (სოფელი) 535.
 ალუპო ნ. ალაბი.
 ალექსანდრია (ქალაქი) 33.
 ალვანი („ალვანის ისტორია“) 299.
 ალი (სოფელი) 499.
 ამასია 533.
 ამბერდი 228.
 ამსტერდამი (ქალაქი) 573.
 ანაღალი 517.
 ანაკოფია 260.
 ანატოლია 694.
 ანგლია 677.
 ანგონილადი 114.
 ანისი (ქალაქი) 228, 229, 517, 676.
 ანისის სამეფო (სომეხ ბაგრატილთა) 29.
 ანძიანძორი (ქალაქი) 255.
 არაბეთი 30, 64, 66, 79, 81, 87, 98, 139, 153, 160, 162, 163, 172, 218, 227, 365, 615, 687.
 არაბთა თბილისის საამირო 27.
 არაგვის საერისთავო 313.
 არაგვის ხევი 328.
 არანი 40, 289, 517.
 არაბთა ხალიფატი, არაბული სახალიფო, ხალიფატი 27, 33, 233.
 არაბული სახალიფო ნ. არაბთა ხალიფატი.
 არარატის მთა 419.
 არღაილი 229, 517.
 არეზი 499.
 არეზუნეთი 532.
 არზრუმი, აზრუმი 29, 312, 517, 525, 533.
 არმაზის ციხე 258.
 არტანუჯის ციხე 9.
 ასპაანი (ქალაქი) 45.
 ასპინძა (ასპინძის ბრძოლა) 317.
 ისტარაბადი 519, 552.
 ისტარაზანი, აშორაზანი, აშტარაზანი 408, 415, 519, 521, 530, 537 — 540, 542, 543, 552, 573, 575, 577, 579, 587, 594, 606, 628, 629, 631, 639, 640, 663, 699.
 ასურეთი 491.
 ატენი 533, 534.
 აფრიკეთი 285.

აფხაზეთი (სამთავრო) 313, 501, 519.
აფხაზეთი (საქართველოს მნიშვნელობით) 40.
აფხაზეთის ხაშვი (დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით) 9, 27.
აღმოსავლეთ საქართველო 432.
აღრინტალი 595.
ამთრახანი ნ. ასტრახანი.
ამტრახანი ნ. ასტრახანი.
აშქუფთიდეენის ციხე, აშქუფთიდეენის ციხე 49, 128, 131.

ბაგრატიის ტაძარი (ქუთაისში) 40.
ბაზალეთი 371, 515.
ბაზალეთის ტბა 523.
ბაღხეთი 64, 68, 70, 80 — 82, 86, 145, 414, 417.
ბაღხის კარავი 82.
ბანძა 501, 508.
ბარდავი (ქალაქი) 223.
ბაღბი-ბუხარი 371.
ბასიანი 518.
ბასრი (ქალაქი) 385, 388.
ბაღდადი (სოფელი დას. საქართველოში) 344.
ბაღდადი 33, 64, 67, 223, 385, 388.
ბაღდადის ხალიფატი 74, 78.
ბეზთანის მთა 393.

გაბონი 195.
გალატა 482.
განძი 172, 421, 493, 517.
განძაკი 157.
განჯა 517.
განჯა-ერევნის სახანოები 312.
გარეჯა 525.
გარეჯის პრავლმთის ნათლისმცემლის მონასტერი, დავითგარეჯა, ნათლისმცემელი (წმინდა უდაბნო) 451, 556, 595.
გარნისი 157.
გეგუთი 517.
გეთისმანია 652.
გელათი 237, 264, 540, 663, 664.
გელათის აკადემია 35, 39.
გელათის მონასტერი 40, 225.
გელათის წმინდა გიორგის ეკლესია 663.

აშქუფთიდეენის ციხე ნ. აშქაფთიდეენის ციხე აძიკეი (სოფელი) 113.
აწყური 525.
ახალთექე 172.
ახალციხე (მხარე) 344, 452, 502, 525, 528, 57
ახპატის მონასტერი 680.
ახტალა 311.
ახტალა (მონასტერი) 40.
აჯამი 472.

ბ

ბეთანია (მონასტერი) 149.
ბერთა (მონასტერი) 84.
ბერთუბანი (წმინდა უდაბნო) 595.
ბიზანტია 10, 34, 40, 163, 181, 314, 700.
ბირთუისის ციხე 371.
ბისონი, ფისონი (მდინარე) 195.
ბობოთი 510.
ბოდბე (მონასტერი) 516.
ბოლოსტიყე (ქალაქი) 229, 230, 235.
ბორჯალი 503.
ბოსტან-ქალაქი ნ. რუსთავი (ქალაქი).
ბულგარეთი 36, 410.
ბუჯის წყალი 507.

ბ

ველაქუნე 517.
ვილანის სამთავრო 172.
ვილანი (ქალაქი) 485, 499, 540.
ვოლოთა (მთა) 555, 621.
ვომბორი 504.
ვორი (ქალაქი) 315, 501, 547.
ვორისთუბანი 638.
ვორის ციხე 533.
ვრემის აკადემია 35.
ვრემი (ქალაქი კახეთში) 505, 514, 556, 571.
ვრემი (სოფელი დუშეთის მახლობლად) 326
ვრემის ხევი 326, 327, 329.
ვულანშარო 95, 96, 137.
ვურგანი 50, 131.
ვურგანის ზღვა 172.
ვურია 313, 499, 519.

დ

დავითგარეჯა ნ. გარეჯის მრევალმთის ნათლის-
მცემლის მონასტერი.
დარუბანდი 542.
დასავლეთ ევროპა 3, 23, 27, 37, 60, 165, 212,
314, 373, 381, 691.
დასავლეთ საქართველო 432.
დაღესტანი 372, 503, 505, 541, 640.
დევაშენდის შთები 137.
დელაში, დელამთა ქვეყანა, დილაში 50, 67, 81.
დეღვის სამისნო 7.
დეპლი (ქალაქი) 153.
დეაღეთი 520, 573.
დეინი (ქალაქი) 228.

დიარბერქიჩი 312.
დიდგორი 536, 537, 595.
დიდოეთი (დიდოთა მეფე) 76.
დილაში ნ. დელამი.
დიფნის ქალაქი 428, 434, 436, 437
დიჯლა (მდინარე ტვიგროსი) 134.
დმანისი 662.
დმანისის ეკლესია 335.
დონი (მდინარე) 260.
დონის მონასტერი (მოსკოვში) 574
დუნაი (მდინარე) 260.
დუშეთი (ქალაქი) 326, 520.

ე

ეგვიპტე 33, 140, 223, 285, 370, 375 — 377,
400, 440, 598, 686.
ელეში 195.
ელესა (ქალაქი) 285.
ელილი, იტილი (ვოლგა, მდინარე) 33, 540, 629.
ევროპა 23, 28, 60, 126, 181, 209, 285, 317, 381,
452 — 454, 477, 571, 614, 615, 694.
ეზინაკი 229.

ელადა 122.
ეპირი 81.
ერან-თურანი 288, 332, 371, 502.
ერანი 345, 349, 354, 361, 371, 374, 393, 394,
438, 442, 459, 502, 517, 594, 605, 612.
ერაყი 687.
ერეთი ნ. ჰერეთი.

ვ

ვანი 517.
ვარძიის მღვიმეები 40.
ვაჰანის ქუბთა მონასტერი 300.
ვენა (ქალაქი) 694.

ვენეცია 481.
ვოლგა (Волга) ნ. ელილი.
ვსესვიატსკოე, სვენცკა 458, 573, 584, 630.

ზ

ზარზმის მონასტერი 113.
ზეკარის უღელტეხილი 344.
ზემო ქართლი 536.
ზმირა 312, 423.

ზუბოკა (სოფელი) 641.
ზუგდიდი 501, 503, 661.
ზუ 500.
ზუვათა სამეფო 65, 83, 132.

თ

თაბორი (მთა) 509.
თაბორი (ადგილი თბილისის მახლობლად) 532.
თბილისი, თფილისი, ტფილისი 19, 31, 33, 37,
46, 99, 114, 158, 189, 237, 261, 275, 277,
312, 315, 335, 364, 441, 443, 463, 469,
477, 498 — 500, 502 — 505, 515, 526, 528,
532, 533, 542, 593 — 595, 605, 663, 668.

669, 678 — 680, 694, 697, 698.
თბილისის საამირო 27.
თელავი 315.
თერგი (მდინარე) 33.
თერგი (მხარე) 408, 639.
თიანეთი 519.
თილისმთა ქვეყანა 67, 69, 70, 80, 138, 140.

თირის მონასტერი 593.
 თმოგვი 367.
 თორღას ციხე 503.
 თრიალეთი 532, 595.
 თურანი 137, 324, 354.

თურქეთი 56, 79, 81, 160.
 თურქესტანი, თურქისტანი 167, 361, 396.
 თურქისტანი ნ. თურქესტანი.
 თუშეთი 505.
 თფილოსი ნ. თბილისი.

0

იბუხე 505.
 იამენის სამეფო 440.
 იამანეთი, იამანი 66, 69, 70, 81, 376, 400,
 423 — 425, 471.
 იამანი ნ. იამანეთი.
 იასა (ქალაქი) 664, 670
 იეშენი 67, 223, 293.
 იენგე ყალა 327, 328.
 იერუსალიმი 29, 112, 113, 121, 254, 264, 270,
 374, 396, 440, 455. 461, 526, 580, 607,
 621, 694.
 ივრთა მონასტერი ნ. ათონის მონასტერი.
 ივერი ნ. ათონის მონასტერი.
 ილეკანების თურქთა სამეფო 56.
 ილუსიისის ველი 263.
 იშერეთი 171, 313, 343, 344, 452, 499 — 501,
 504, 515, 519, 520, 525, 533, 540, 552.

554, 558, 560, 561, 564, 572, 573, 663—666,
 668 — 670.
 ინლოეთი 29, 32, 33, 64, 66, 68, 74, 78, 79,
 81, 90, 91, 98, 132, 139, 140, 145, 153, 154,
 160, 161, 163, 170 — 172, 185, 223, 243,
 311, 314, 350, 351, 354, 365, 366, 370, 371,
 396 — 398, 438, 439, 442, 462, 473, 474,
 615, 698.
 ინლოსტანი 312, 434 — 436.
 იოანე ზღაპნელის მონასტერი 638.
 ირანი 29, 40, 137, 164, 166, 223, 227, 323—325,
 339, 416, 462.
 ირტოზა 504.
 ისპანი 72, 312, 335, 462, 463, 468, 469, 498,
 499, 562, 593 — 595, 609.
 იტალია 223, 285, 481.
 იტილი ნ. ედლი.
 იყალთოს აკადემია 35, 39.

ქ

კეთისხევი 535.
 კიკისია 175, 253, 256, 629, 683.
 კაკასია (შუა აზიის) 284.
 კაქის-ხიდი (იშერეთში) 344.
 კამბეხოვანი 517.
 კარი (კარის ქვეყანა) 516.
 კარი (ქალაქი) 517, 246.
 კარქელონი 285.
 კასპიის ზღვი 29, 48, 312, 542, 629.
 კასპიის კარები 284.
 კაცხე (ციხე) 478.
 კახეთი 107, 114, 313, 372, 374, 415, 421, 430,
 462, 465, 493, 495, 502 — 505, 509, 510,
 515, 520, 525, 532, 533, 542, 543, 551, 553,
 558, 560, 573, 605 — 607, 611.
 კახეთის საქორიკოზო 27

კიევი 476.
 კიზლარი (ქალაქი) 661.
 კილიკია 285.
 კიპრის ქალაქი 694.
 კიშინიოვი (ქალაქი) 670.
 კოლა' 517.
 კოლბაური 500.
 კონსტანტინოპოლი 23, 39, 223, 224, 312, 442,
 443, 482, 454, 533, 534, 687, 700.
 კოურაი 595.
 კრანსოვოდსკი (ქალაქი) 172.
 კრემენჩუგი (ქალაქი) 670.
 კრიტე 7.
 კრწანისი 532.
 კუკუსო 533.

ვ

ლაზია 238.
 ლაზა (ქალაქი არაბეთში) 384.
 ლაშთხერი (სოფელი სვანეთში) 82.
 ლაქორი (ქალაქი ინდოეთში) 153.
 ლეიშ-მაჯნურის ციხე (ყანდაარის მახლობლად) 389.
 ლენინგრადი, პეტროგრადი, პეტერბურგი, პეტერბურლი 19, 324, 331, 336, 337, 341, 346, 360, 361, 390, 392, 413, 418, 464, 474, 517,

539, 540, 542, 574, 575, 594, 602, 606, 614, 618, 619, 625, 629, 630.
 ლენჯერი (სვანეთში) 82.
 ლილოს ტბა 595.
 ლიმონა 238, 245.
 ლიხთამერეთი 502.
 ლონდონი 161.
 ლორისტანი 564.
 ლოკინი 595.
 ლურჯი მონასტერი (თბილისში) 663.

შ

შაგდებურგის ციხე 641, 645.
 შაგუგეთი 243.
 შაღანინი 393.
 შაზანდარა 499.
 შაზანდარანი 370.
 შაქედონი (ქვეყანა) 284.
 შანგანის აკადემია (კონსტანტინოპოლში) 39.
 შარაბდა 525.
 შარავი (ქალაქი) 46 — 50, 52, 53, 132.
 შარანა 328.
 შასისის შთა 517.
 შაქანი (შაქა) ნ. შექა.
 შალარო 502, 515.
 შალრიზი 441.
 შერე (ქალთა მონასტერი) 9, 10.
 შესაოტამია 191.
 შესხეთი 114, 117, 118, 149, 183, 184, 194, 526.
 შეტეხის ციხე 665.
 შექა, შაქანი (შაქა) 187, 223.
 შეწყაული ზღვა 445, 446.
 შთიულეთი 505.

შიდა 312.
 შირგორი 641, 642.
 შისრეთი 81.
 შნათობთა ქვეყანა 67.
 შოზლოკი 680.
 შონასტერი პატიოსნისა ჯუარისია ნ. ქართველთა ჯუარის მონასტერი (პალესტინაში).
 შონილეთი 303, 427.
 შოსოცი 408, 433, 453, 476, 479, 485, 487—490, 537 — 540, 542, 543, 545, 559, 573, 574, 584, 591, 594, 599, 629 — 631, 640, 641, 643, 644, 663, 694, 701.
 შრავალთა (მონასტერი) 496.
 შტკეარი 33, 52, 54, 381, 691.
 შტკეარის ციხე 329.
 შულაზანზარი 92, 94, 137.
 შულამი 393.
 შულანი 48.
 შუბრანი 40, 328, 329.
 შცირე აზია 224, 694.
 შცხეთა 258, 318, 366, 498, 504, 516, 611, 623.

წ

წაუარქენი (ცოხე) 478.
 წათლისმცემელი ნ. გარეჯის შრავალთის წათლისმცემლის მონასტერი.
 წარგიზ ჯაღოს ციხე 439.
 წარუა 479, 574.
 წაყორულევი 595.
 წაქარაგაევი 40, 207, 617.
 წახჩევანი 339.
 წემსა-ქვეყანა, წემტთა ქვეყანი (გერმინელთა ქვე-

ყანი) 373.
 წემტთა ქვეყანა ნ. წემსა ქვეყანა.
 წიკორწმინდა (რაქაში) 525.
 წილოსი, წილოს (მდინარე) 482, 534.
 წიქოზი 114.
 წილოს ნ. წილოსი.
 წორაშნის უბანი (თბილისში) 682.
 წოსტე (სოფელი) 531

მ

ოღოში 313, 341—344, 346, 499—501, 503,
506, 519, 540.
ოღოისი 507.
ონი 536.
ოპუნის მონასტერი 303.
ორთაჭალა 683.

ოსეთი 520, 521, 573, 586, 644.
ოსმალეთი 224, 311, 312, 314, 324, 342, 371,
374, 381, 525, 552, 594.
ოსტროვა 476.
ოფშქეთი 343.
ოდრიხევი 518.

პ

პალესტინა, პალესტინე 28, 111, 223, 225, 226,
285, 517.
პალესტინე ნ. პალესტინა.
პართი (ქვეყანა) 517.
პატიზი 165, 442, 602.
პეტროგრადი ნ. ლენინგრადი.
პეტერბურგი ნ. ლენინგრადი.

პეტერბურლი ნ. ლენინგრადი.
პეტრიწონი (მონასტერი) 36.
პიტიე 479.
პოლტავა 591.
პონტო 255.
პრესნა 629, 630.
პრუსია 614.

რ

რინვანი 113

რაჭა 525, 536, 552, 554, 560, 573.
რაქის საერისთავო 313.
რახსის პირი 517.
რე, რეი (ქალაქი) 48—50, 131.
რეი ნ. რე.
რიონი (მდინარე) 33.
რომი, პრომი 191, 243, 285, 311, 338, 342, 373,
374, 379, 381, 405, 453, 454, 487, 526.
რუსთაის თემი, რუსთველის თემი 116.
რუსთავი (დაბა, მესხეთში) 114, 115, 121.
რუსთავი (სოფელი ნიქოზის თაემში, სტალინის
მახლობლად) 114.

ს

რუსთავი, ჰერეთის რუსთავი, კახეთის რუსთავი.
ზოსტან-ქალაქი (ქალაქი თბილისის ახლოს)
114, 115, 328.
რუსეთი 175, 209, 223, 311, 312, 314, 315,
318, 362—364, 373, 398, 412, 413, 453,
474, 479, 487, 503, 519—521, 530, 533—
535, 539—541, 543, 545, 547, 552, 560,
573, 579, 583, 594, 603, 606, 627—630,
632, 641, 643, 644, 663, 664, 668, 670
673, 692—694, 701.
რუხი 317.

ს

საათაბაგო 528.
საბარათაშვილო 628.
საბერძნეთი 10, 191, 221, 223, 243, 284, 399,
436, 483, 485, 517, 694.
საზანი 500.
საინგილო 115.
სამარყანდი 166.
სამეგრელო 171, 311, 313, 342, 344, 381
სამთავისი (ტაძარი) 40.
სამილახერო (სამილახერო) 616.

სამისონი 238.
სამეცხე 366, 402.
სამეცხე-საათაბაგო 313.
სამხრეთ-რუსეთი 81.
სანაინი 678.
სარავი 53.
საურანგეთი 346, 380, 381, 400, 452—454,
477.
საქართველო 10—14, 19, 21, 22, 27—29, 33,
34, 37, 39—41, 55, 71, 76, 77, 80, 82,

- 84, 99, 103, 105, 113 — 115, 118, 151, 155, 158 — 161, 166 — 174, 178, 181, 189 — 191, 194, 195, 205, 212, 213, 223, 224, 230, 231, 240, 247, 249, 251, 253, 254, 261 — 263, 267, 270, 271, 274, 283, 287, 291, 299, 301, 302, 309 — 313, 315, 316, 318, 324, 338, 343, 344, 364, 368, 369, 374, 381, 390, 412, 427, 429, 431, 432, 452, 453, 472, 479, 496, 498 — 501, 504, 506, 509, 512 — 517, 520, 522, 529, 531, 536, 545 — 547, 561, 574, 575, 578, 580, 589, 593, 606 — 608, 614, 615, 623, 628, 629, 639, 643, 646, 657, 660, 662, 678, 679, 683, 687, 688, 691, 693, 694, 697, 698.
- საციციანო 616
სეილაბადი 683
სეიტანი 354.
სელჩუიან თურქთა იმპერია 56.
სენეთი 82, 313, 501.
სვენცა ნ. ვსევადტსკოე.
სერი (ციხე) 478.
სვეტიცხოველი (მცხეთის ტაძარი) 504.
სინღეთი 243, 352.
სიონის ტაძარი. სიონი (თბილისში) 364, 487, 532
- სისტანი 398, 403.
სოლალი (ციხე) 541, 542, 640.
სოლოლაკი 683.
სომხეთი, სომხითი 56, 255, 311, 314, 500, 595, 687.
სომხითი ნ. სომხეთი.
სოხუმი 33.
სპარსეთი 72, 74, 75, 79, 80, 103, 104, 140, 152, 160 — 163, 169, 170, 172, 223, 230, 243, 246, 254, 274, 285, 287, 294, 311, 312, 314, 324, 335, 342, 350 — 353, 355, 362, 369, 371, 372, 374, 375, 395, 386, 389, 401, 402, 412, 416, 423, 425, 452, 455, 468, 494, 498, 504, 506, 515, 519, 521, 525, 531, 541, 544, 546, 551, 552, 567, 569, 573, 593, 594, 609, 623, 664, 670, 673, 687.
სპარსეთის აზერბაიჯანი 29.
სპარსეთის ზღვა 361.
საილენძის ქალაქი 445 — 448.
სტალინირი, ცხენვალი 114, 523, 593.
სტამბოლი 453, 477, 508, 517, 531, 533, 534.
სტოკჰოლმი 479, 574.
სუაზი 520.
სურფგუერქის ტაძარი (თბილისში) 680.

6

- ტაბახმელა 627.
ტაბრისტანი 131.
ტაოკლარჯეთი 27, 33, 251.
ტარკნა 7.
ტბეთი (შაეშეთში) 121.
ტბისი 371
- ტბისყური 595.
ტენდოსი (კუნძული) 534.
ტრაპიზონი 238, 363, 453, 526.
ტრაპიზონის იმპერია 29, 245, 246.
ტრაი 81.
ტფილისი ნ. თბილისი.

7

- უზბეკისტანი 167.
უკრაინა 638, 641 — 644, 660, 661.
ულუკოსორი 520.
უმიანი (ქალაქი) 350.
ურმიის ზღვა 172.
ურმუზი (ურმუზის ქელაქი) 390.
- ურუმეთი, ურუმთა ქვეყანა 408, 411.
ურუმთა ქვეყანა ნ. ურუმეთი.
ურუმის ქვეყანა 224.
უჩინ-ჰაიჩინის ქვეყანა 426.
უწერა 536.
უჯარმა 504.

8

- ფაიქოში (სოფელი ოსეთში) 520, 521, 573.
ფერსათი 9.
ფინიკე 285.
ფისონი ნ. ბისონა
- ფლანდრია 165.
ფლორენცია 574.
ფოთი 317.

ბ

ბაბა (ჩაბრა) 227.

ქართველთა მონასტერი ნ. ათონის მონასტერი.
ქართველთა სამეფო ტაო-კლარჯეთში (IX ს.
დამლევს ჩამოყალიბდა) 27.

ქართველთა გუარის მონასტერი, გუარის მონასტერი, მონასტერი პატიოსნისა გუარისაჲ (პალესტინაში) 36, 111, 112, 121, 223, 225, 226, 235, 374, 621.

ქართლი 27, 33, 103, 169, 171, 255, 275, 283, 284, 288, 313, 344, 374, 402, 430, 431, 451, 452, 468 — 470, 478, 479, 498 — 501, 504, 506, 526, 532, 538, 541 — 543, 552, 553, 573, 593 — 595, 605, 606, 665, 670, 678.

ქართლ-კახეთი 379, 387, 496, 506, 515, 522, 523, 526, 532, 541 — 543, 546, 552, 638, 659, 673.

ქაჯთა სამეფო ნ. ქაჯეთი.

ქაჯეთი 90, 96 — 98, 132.

ქაჯეთის ციხე 136, 145, 190, 688.

ქვათახევი 525.

ქვარწყვი 533.

ქიზიყი 502, 503, 519, 662, 663.

ქირმანი 463, 463 — 470, 489, 593, 595, 596.

ქიშპირი (ქიშპირის ხელმწიფე) 474.

ქლუხორის უღელტეხილი 33.

ქობულეთი 364.

ქოისტანი 52.

ქსნის ხეობა 326, 328.

ქსნის საერისთავო 313.

ქუთაისი 40, 193, 226, 304, 453, 454, 496, 500, 501, 503, 507, 515.

ქურთა (სოფელი სტალინის მახლობლად) 593.

ქურბუხი 299.

ქცია (მდინარე) 595.

ლ

ლაზნა (ქალაქი) 88, 153.

ლამახევი 595.

შ

ყაზანი (ყაზანის სემინარია) 476.

ყანდარი 389, 609, 610.

ყარაია, ყარაიაზი 499, 595.

ყარაიაზი ნ. ყარაია.

ყარაყორუმი, ყარაყარუმი 158, 305, 427.

ყარაყარუმი ნ. ყარაყორუმი.

ყირიპი 312, 574.

შ

შავი მთა (სირიაში, ქართული საენე) 36.

შიო შლეიფე (მონასტერი) 221, 638.

შენაბადი 595.

შავი ზღვა 29, 238, 245, 311.

შავშეთი 9, 516, 517.

შამბიანი 595.

შამათი 609.

შამქორი (შამქორის ომი) 172, 228, 269, 274, 283, 293.

შამხალი 574.

შემახია 542.

შირაზი 350, 493, 494, 551, 619.

შირვანი 40, 157, 223, 239, 291, 517

შირვანის სამთავრო 29.

შირეული აღმოსავლეთი 314.

შუა აზია 166, 284.

შუსტარი (ქალაქი) 336.

შუშა 421.

შამი (შამის ხელმწიფე) 424.

ჩ

ჩაბალხეთი 82.

ჩელეკენი (კუნძული) 172.

ჩინეთი 63, 81, 223, 303, 348, 351, 352, 360, 389, 394, 396, 397, 401, 409, 410, 413—417, 424, 439, 441.

ჩინ-მაჩინი 305.

ჩოხიტური (წმინდა უდაბნო) 595.

ჩრდილო კავკასია 29, 31, 33, 644

ჩხარის ეკლესია 111.

ჩხერი 573.

0

ცარიცინი 537.
 ცენტრალური აზია 33, 311, 404.
 ციმბირი 539.
 ცხენისწყალი (მდინარე) 261.

ცხინვალი ნ. სტალინისა.
 ცხრაზმის ქვეი 57.
 ცხოველყოფილი ჯვარის მონასტერი (ციხლარ-ში) 661.

ყ

ყინა აზია 29, 56, 183, 191, 194, 249, 251.

ყაქუჯის ციხე, კაკეთის ციხე 501, 507.

ბ

ბაკეთის ციხე ნ. წაქუჯის ციხე.
 ბენოა ქვეყანა (ბინეთი) 63.

ბიკანი (სოფელი) 465.

ბ

ბაღის შთა 518.
 ბათი-ბუთი (ქაჯთა სამეფო) 410.
 ბაზარეთი 67, 68, 79, 81, 223.
 ბარაბუს ქვეყანა 448.
 ბატეთი 88 — 90, 153, 160, 223, 303, 397.
 ბაჩიანი 517.
 ბევი 218, 221.
 ბეარასანი, ბუარასანი, ბორასანი 29, 48, 130,
 131, 462, 517, 687.
 ბეარაზში 152.

ბიშნი (სოფელი) 661.
 ბისიბი 517.
 ბლათი 230.
 ბმელთაშუა ზღვა 312.
 ბოინი 459.
 ბუარასანი ნ. ბეარასანი.
 ბუარასანი ნ. ბეარასანი.
 ბუზისტანი 46, 128.
 ბუმარ-მაჯარის ტრაქტი (სავაქრო გზა) 33.
 ბუნანი 595.

ჯ


ჯანგისტანის ზღვა 439.
 ჯეონი (მდინარე) 54, 134.
 ჯვარის მონასტერი ნ. ქართველთა ჯვარის მონ-

ნასტერი (ბილესტინაში).
 ჯინისტანი 360.

კ

კერეთი 113, 115, 188.
 კინგიყალა 351.

კლაბი (კლაბის ბელმწიფე) 471.
 კრომი ნ. რომი.



დავით გურამიშვილი



ბესიკი (მხატვარი ლ. გუდიაშვილი)



ԵՐԱՅԵՄԻԱ

გაერთიანებული წინასწარმეტყველება

ამ წიგნის წინამდებარე გამოცემაში მხედველობაში მიღებულია და გამოყენებული ყველაფერი, რაც კი მისი შესაბამე გამოცემის შემდეგ გამოქვეყნდება და გამოიცა მეცნიერული, სერიოზული და „ჭიუტ ფაქტებზე“ დამყარებული.

ჩვენ შეძლებისდაგვარად განვიხილეთ ძველი ქართული საერო ლიტერატურა მთელი მისი მოცულობით, წარმოდგენილი როგორც ორიგინალური, ისე მნიშვნელოვანი არაორიგინალური, უცხოეთიდან შემოსული, ძეგლებით. ამ შემთხვევაში არ შევჩერდებით იმაზე, თუ რამდენად ბუნებრივია ამა თუ იმ ერის ლიტერატურაში უცხოური ლიტერატურის ძეგლების გადმოღება და გადმოტანა¹. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ის ლიტერატურული ძეგლები, რომელნიც ჩვენში უცხოური ლიტერატურიდან შემოსულისა და ამიტომ „ნათარგმნი“ ძეგლებად ითვლებიან, ნამდვილად იმავე ქართული ლიტერატურის ძეგლებად შეგვიძლია ჩავთვალოთ. საქმე ისაა, რომ თითქმის არ არსებობს ჩვენს ძველ მხატვრულ ლიტერატურაში არც ერთი „ნათარგმნი“ ძეგლი, რომელიც უცვლელად, იმავე სახით იყოს შემოსული, რა სახითაც ის უცხოურ ლიტერატურაში არსებობს. „მთარგმნელებს“ შეაქვთ იმაში ქართული სული და გული, ქართული იდეოლოგია, ქართული ეროვნული შეგნება, ზნე-ჩვეულებანი, ადათები და მსოფლგაგება. ამ ძეგლების ასიმილირება იქამდე მიდის, რომ ეს ძეგლები შეიძლება მიღებულ იქნას ერთ-ერთ თავისებურ, ქართულ, რედაქციად. აქ პოულობს გამართლებას ისეთი, სიტყვები ჩვენი ძველი ლიტერატურის ისტორიაში, როგორიცაა: „ქართული ვისრამიანი“, „ქართული როსტომიანი“, „ქართული ბარამიანი“, „ქართული ქილიდა და დამანა“ და სხვ².

კ. კეკელიძე

¹ კ. კეკელიძე, იტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბ., 1957 წ., გვ. 5—7.

² კ. კეკელიძე, იტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956 წ., გვ. 193—197.

კლავმოჩისებანი

„ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის ტექსტი ავტორმა თავის დროზე გადაიკითხა და შიგ ზოგიერთი შესწორება შეიტანა, რაც გამოცემაში შესაფერისად არის გათვალისწინებული. წიგნის ბოლო, მეოთხე გამოცემას, ახლავს დამატება Addenda. დამატების ტექსტი გადატანილია წიგნის ძირითად ნაწილში. საგანგებო შენიშვნას საჭიროებს პატარა კარი „დაცემის პერიოდის ლიტერატურის ზოგადი დახასიათება“ (გვ. 299—300). ძველი ქართული მწერლობის პერიოდები ავტორს მოკლედ მიმოხილული აქვს წიგნის შესავალ ნაწილშიც (გვ. 21—23), შემდეგ კი საგანგებოდ და ვრცლად გვთავაზობს თითოეული პერიოდის დახასიათებას. წიგნის პირველ სამ გამოცემაში „დაცემის პერიოდის ლიტერატურის ზოგადი დახასიათება“ არ არის შეტანილი, ის ჩნდება მხოლოდ მეოთხე გამოცემაში. საქმე ისაა, რომ კ. კეკელიძემ ჭერ საჯარო მოხსენების სახით წაიკითხა, ხოლო შემდეგ თავის „ეტიუდებში“ გამოაქვეყნა ნარკვევი „ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში“¹. „დაცემის პერიოდის ლიტერატურის ზოგადი დახასიათება“ ამ ნარკვევს ემყარება და მის რეზიუმეს წარმოადგენს.

ნარკვევის პუბლიკაცია წინ უსწრებდა კ. კეკელიძის ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომის მესამე გამოცემას (დაიბეჭდა 1952 წელს), მაგრამ დამოწმებული კარი ავტორს იქ არ შეუტანია, თუმცა გამოცემის სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია: „მესამე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა“. როგორც ნარკვევი „ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში“, ისე მისი რეზიუმე „დაცემის პერიოდის ლიტერატურის ზოგადი დახასიათება“ საცილობელ მოსაზრებებს ავითარებს, მაგრამ, ავტორის ნების შესაბამისად, ის მაინც უცვლელად დავტოვებ „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ამ გამოცემაშიც.

¹ კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 11, 1945, გვ. 314—324.

შინაგასი

შობავალი

ქართული საერო მწერლობის ჩასახვის პირობები და მისი აღმოცენების მიზეზები, საერო მწერლობის დასაწყისი. ურთიერთობა ძველ ქართულ საეკლესიო და საერო მწერლობათა შორის. ძველი ქართული საერო მწერლობის შესწავლის საქმე. ძველი ქართული საერო მწერლობის ისტორიის პერიოდები 5

პირველი ნაწილი

კლასიკური პერიოდის ლიტერატურა

კლასიკური პერიოდის ზოგადი დახასიათება 27

ბანოვობა I — 03060

- 1. გისრამიანი 45
- 2. ამირანდარეჯანიანი 60
- 3. გეგზისტყაოსანი 87

ბანოვობა II — 06060

- 1. თამარიანი 215
- 2. დავით აღმაშენებლისა და თამარის ქება (ე. წ. აბდულმესია) 233

ბანოვობა III — ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ წ ი რ ო ბ ა

- 1. „ბაგრატონთა ცხოვრება“ სომხატ დავითისძისა 251
- 2. „მეფეთა ცხოვრება“ ან „მეფეთა ამბავი“ ლეონტი მროველისა 252
- 3. „ისტორია ჯუანშერისა“ 259
- 4. ისტორია დავით აღმაშენებლისა 262
- 5. თამარ მეფის ისტორიანი 265
 - ა) ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 265
 - ბ) ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა 276

ბანოვობა IV

ციტატები სხვადასხვა თხზულებიდან 281

მეორე ნაწილი

დაცემის პერიოდის ლიტერატურის ზოგადი დახასიათება	299
გამთავრების პერიოდის ისტორია	301

მესამე ნაწილი

აღორძინების პერიოდის ზოგადი დახასიათება	309
---	-----

ბანოვნილობა I—მ კ ო ს ი

I. საგმირო ეპოსი:

1. ფირდოუსის შაჰნაშე	323
A. ფირდონიანი	324
B. როსტომიანი	325
2. შაჰნაშეს მიბაძვანი	338
A. უთრუთიან-სამიანი	339
B. ზაქიანი	342
C. ბარზუნაშე	347
D. საამნაშე	348
E. ბამიანი	349
F. სირინოზიანი	350
G. ყარაბანიანი	354
3. ამირანდარეჯანიანი (გალექსილი)	355
4. სვილანიანი	360
5. ალექსანდრიანი	362

II. რომანტიკული ეპოსი:

1. ვეფხისტყაოსნის დამატებანი	365
2. ომანიანი	369
3. იოსებხილიანიანი	375
4. ლეილაშეზნიანი	384
5. ზოსროშირიანიანი	389
6. ბარამგურიანი	394
7. ვისრამიანი (გალექსილი)	406
8. ბარამგულანდამიანი	408
9. ბარამგულიჯანიანი	413
10. მიჯნურთ ბადე	418

III. სახლპარო ეპოსი:

1. რუსუდანიანი	423
2. ფირმალიანი	433
3. ხალეშვიანიანი	437
4. მირიანი	439
5. მარდაურიანიანი	442
6. ვარშაყიანი	444
7. სპილენძისქალაქიანი	445

IV. დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი:

1. სიბრძნე სიერუისა	449
2. მეფეთა საღარო	458

3. ქილილა და დამანა	462
4. ბანთიარნამე	471
5. თიმსარიანი	472
6. ტუსტაშენტი	476
7. ეხოსე იგაუარაკები	479
8. ბელის წიგნი	481
9. აპოფთეგმები	483
A. ამირნასარიანი	483
B. სიბრძნენი ფილოსოფოსთანი	486
C. სწავლანი აზიკარ ბრძინსანი	490

V. საისტორიო ეპოსი:

1. ქეთევანიანი	493
2. შაქნაუხიანი	497
3. თეიმურაზიანი	512
4. დიდმოურავიანი	522
5. კათოლიკოსბაქარიანი	532
6. ვახუანგიანი	535
7. ქართლის ტირი	541
8. საისტორიო მწერლობა	544

ბანაოფილება II — ლ ი რ ი კ ა

1. თეიმურაზ პირველი	551
2. არჩილ მეფე	572
3. ვახტანგ მეექვსე	593
4. თეიმურაზ მეორე	605
5. გარსევან ჩოლოყაშვილი	617
6. მამუკა ბარათაშვილი	627
7. დავით გურამიშვილი	638
8. ბესარიონ გაბაშვილი	661
9. საფათნოვა	678

ბანაოფილება III -- ლ რ ა მ ა

სახიობანი ძველ საქართველოში. მოშაითობა, ყაბახობა, ბურთაობა, ყვეზობა და ბერიკობა. დასაწყისი ქართული თეატრისა, მისი კავშირი რუსულ თეატრთან. თავდაპირველი წარმოდგენები. გაბრიელ შაიორი. დრამატული მწერლობა. ძველი ქართული დრამატული მწერლობის წარმომადგენლები: გიორგი ავალიშვილი, დავით ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე ტაყაეაძე და სხვები მათი პიესები. ძველი ქართული დრამატული მწერლობის მნიშვნელობა	687
პირთა საძიებელი	703
ბიუბრაფიულ სახელთა საძიებელი	735
მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობა	747
რედაქტორისაგან	748

КОРНЕЛИЯ САМСОНОВИЧ КЕКЕЛИДZE
ИСТОРИЯ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ,
т. II
(на грузинском языке)

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1558

•

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ბათიაშვილი
ტექნორედაქტორი ნ. ოკუჩავა
მხატვარი ტ. შეყილაძე

გადაეცა წარმოებას 9.1.81; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.10.1980;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი : 47;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 53.0;
უე 01213; ტირაჟი 20000; შეკვეთა № 57;
ფასი 5 ზან. 20 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა; თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ.; 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19